ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის
შესწავლისა და პროპაგანდის
სამეცნიერო ცენტრი

დავით მუსხელიშვილი, გიორგი ჭეიშვილი,

ალექსანდრე დაუშვილი

ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2016

უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების, ლინგვისტური გამოკვლევების, საარქივო მასალებისა და მდიდარი სპეციალური ლიტერატურის გააზრების საფუძველზე წიგნში შესწავლილი და წარმოჩენილია ქართველი ერის კონსოლიდაციის ძირითადი ეტაპები და თავისებურებანი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტების, საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

წიგნი მომზადდა და დაიბეჭდა კომპანია „მაგთიკომის“ ხელმძღვანელობის ყოველმხრივი მხარდაჭერით, რისთვისაც ავტორთა ჯგუფი სპონსორებს უდიდეს მადლობას ვწირავთ.

რედაქტორი: პროფ. **ალექსანდრე დაუშვილი**

გარეკანის დიზაინი: **მედეა მაზანიშვილისა**

წიგნის დიზაინი: **ირაკლი უშვერიძისა**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ანა რუაძისა** და **მარინე ბუტიკაშვილის**


კორექტორი: **ლუიზა ჯიქია**

© დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი, 2016

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016
თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-721-9

ამბები mi4gTi



ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

წინათქმა

რთულ და წინააღმდეგობრივ სამყაროში ქართველი ერი უკვე 25 წელია აშენებს ახალ, დემოკრატიულ სახელმწიფოს. დრამატული მოვლენებით გაჯერებული ბოლო ორი ათეული წელი აღსავსეა თვალსაჩინო მიღწევებით, ტრაგიკული შეცდომებით, ტერიტორიული დანაკარგებით თუ სერიოზული ზნეობრივი პრობლემებით. ერთ დროს სოციალურ-ეკონომიკურად და განსაკუთრებით კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა დღეს ერთ-ერთ პირველ ადგილზეა უმუშევრობის დონით, პაუპერიზაციით, დაბალი ეკონომიკური მიღწევებით, მეცნიერებისა და კულტურის სტაგნაციით. თუმცა ეროვნული მოძრაობის დასაწყისში ყველა ვარაუდობდა, რომ კომუნიზმის კრახი და საბჭოთა კავშირის ნგრევა ახალ იმპულსს მისცემდა საქართველოს და მის მოსახლეობას, რომ ის სწრაფად ჩამდგარიყო მსოფლიოს წამყვანი, განვითარებული ქვეყნების რიგებში.

გამწვავებულ პრობლემებს შორის აღმოჩნდა და სერიოზული საფრთხე შეექმნა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესსაც – ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების ზეგავლენით დაიწყო მისი ეროზია. ამ პროცესზე მიანიშნებს სერიოზული ჩავარდნები საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროებში, რომლებშიც ქართველებს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოშიც შესამჩნევი ადგილი ეკავათ: მეცნიერებაში, ხელოვნებაში, კულტურაში, სპორტში.

რატომ მოხდა ასე?

წინამდებარე წიგნი არის მცდელობა, შეძლებისდაგვარად, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების, ენათმეცნიერების უახლესი მიღწევების, უცნობი საარქივო დოკუმენტების, ქართული და არაქართული სპეციალური ლიტერატურის გააზრების საფუძველზე წარმოჩნდეს ქართველი ერის კონსოლიდაციის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი უძველესი დროიდან დღემდე.

არავისთვის სიახლე არ არის, რომ ახლო სამეზობლოსა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში რამდენიმე ანგაჟირებული მეცნიერი გვთავაზობს ქართველი ერის წარმოშობის, მისი განვითარების, კონსოლიდაციის პროცესის საკუთარ, აშკარად საეჭვო მეცნიერული ღირებულების ინტერპრეტაციას, როცა ამტკიცებენ, რომ „საქართველო გაჩნდა XVII საუკუნეში“ (ა. შიროკორადი), რომ „ქართველი ერი ჩამოყალიბდა XX საუკუნის

30-იან წლებში“ (რ. სუნი), რომ „ქართველებმა სტალინმა და ბერიამ მასობრივი რეპრესიები გამოიყენეს ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესების დასაჩქარებლად“ (მ. იუნგე და სხვ.) და ა.შ.

წინამდებარე წიგნის ავტორების მიზანია მკითხველს შესთავაზონ ქართველი ერის კონსოლიდაციის საკუთარი კონცეფცია, რომელიც ეფუძნება ამ პროცესის ეტაპებისა და თავისებურებების გარკვეულ, ავტორებისეულ ინტერპრეტაციას, რაც წინამდებარე წიგნის შინაარსს წარმოადგენს.

უხსოვარი დროიდან დღემდე საქართველოს ისტორია ასეთი თვალსაზრისით, ასეთი კუთხით ჯერ არ შესწავლილა, ამიტომაც ნაშრომმა შეიძლება გამოიწვიოს პოლემიკა, უკმარისობის გრძნობა. ყველა არგუმენტირებულ შენიშვნას ავტორები მადლიერებით მივიღებთ.

ნაშრომის პირველი ნაწილი: უძველესი პერიოდი – XIII საუკუნის დასაწყისამდე – ეკუთვნის აკად. დავით მუსხელიშვილს; XIII-XVIII საუკუნების ისტორიის მონაკვეთი დაამუშავა ისტორიის დოქტორმა გიორგი ჭეიშვილმა, XIX საუკუნიდან თხრობა დღემდე მოიტანა პროფ. ალექსანდრე დაუშვილმა.

ნაშრომი მომზადდა და გამოიცა „მაგთიკომის“ ფინანსური დახმარებით, რისთვისაც ავტორები ორგანიზაციის ხელმძღვანელებს უღრმეს მადლობას ვწირავთ.

თავი I

„ნათესავით ძართველნი“

XX ს-ის ქართული პუმანიტარული მეცნიერების განვითარების შედეგად, დღეს, შეიძლება ითქვას, უცილობლად დადგენილია ქართველთა ავტოქტონობა კავკასიაში.

ინტენსიურმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ წარმოაჩინა არქეოლოგიურ კულტურათა კონტინუიტეტი და გენეტიკური მემკვიდრეობითობა უძველესი ხანიდან შუა საუკუნეებამდე.

ენათმეცნიერების მიღწევებმა დაადგინა ეთნო-ლინგვისტური პროცესების მეტ-ნაკლებად ზუსტი შეფარდებითი ქრონოლოგია.

ისტორიული გეოგრაფიის განვითარებამ თვალნათლივ აჩვენა ამ მოვლენების სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობა.

ყოველივე ზემოთქმული იმის აშკარა დადასტურებაა, რომ აქვე ვითარდებოდა ქართველი ერის ხანგრძლივი და მეტად რთული ჩამოყალიბების პროცესი.

ენათმეცნიერები ვარაუდობენ, რომ საერთო ქართველური ენის დაშლა უნდა დაწყებულიყო ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში, როდესაც ფუძე ენას სვანური გამოეყო[1]. ეს გარემოება და აგრეთვე ლექსიკური შესატყვისობანი საერთო ქართველური ფუძე ენისა შუმერულ, წინარე სემიტურ და წინარე ინდოევროპულ ენებთან[2] იძლევა იმის საფუძველს, რომ წინარე ანუ პროტოქართველური ეთნოსი ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში უკვე არსებულად ვიგულისხმოთ[3].

§ 1. – ძართველ ტომთა პირველსაცხოვრისი

საერთო ქართველური ენის ლექსიკური მონაცემების მიხედვით ფიქრობენ, რომ პროტოქართველური ეთნოსის განსახლების არეალი დიდი კაეკასიონის მთიანეთი უნდა იყოს[4] ან კიდევ ასეთად ამიერკავკასიის მთიანეთის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილს – მესხეთ-ჯავახეთს – გულისხმობენ[5].

ამავე საფუძველზე გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ საერთო ქართველური ენის დიალექტებზე მოსაუბრე ტომების პირველსაცხოვრისი ისტორიული საქართველოს მთელი ტერიტორია უნდა ყოფილიყო[6].

ჩვენი აზრით, პროტოქართველური ეთნოსის ადგილსაცხოვრისის კიდევ უფრო დაზუსტებაც შეიძლება. კერძოდ, ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია ენათმეცნიერების მიერ დადგენილი ფაქტი, რომ ქართულ ტოპონიმთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოების საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული მოდელის, სახელდობრ -ის სუფიქსით დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა არსებობა სრულიად უცილობელია უკვე საერთო ქართველური ენის დონეზე და რომ, მაინცდამაინც, ქალაქ ქუთაისის სახელწოდების საერთო ქართველური არქეტიპია – „ქუთათისი“. ეს ფაქტი კი გულისხმობს, რომ ასეთი ტოპონიმი არსებობდა უკვე ქართველურ დიალექტთა ერთიანობის ეპოქაში[7] ანუ **საერთო ქართველური ეთნოსის განსახლების ერთ-ერთი არეალი ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში დასავლეთი საქართველოც უნდა ყოფილიყო.**

ამავე აზრის არიან არქეოლოგები[8], რომელთა მიხედვით დასავლეთი საქართველო ამ ეპოქაში (გვიანნეოლითი) ფრიად ინტენსიურადაა დასახლებული. ფიქრობენ, რომ „ნეოლითური რევოლუციის“ შემდეგ, წარმოებითი ეკონომიკის დამკვიდრების საფუძველზე, აქ ერთგვარ დემოგრაფიულ აფეთქებას ჰქონდა ადგილი და ნაწილი მოსახლეობისა აღმოსავლეთ საქართველოში უნდა გადმოსულიყო[9]. იგულისხმება ე. წ. „სიონის კულტურის“ მატარებელი მოსახლეობა, რომელსაც პროტოქართველებად თელიან[10] და რომლის კერამიკული ნაწარმი მსგავსია დასავლეთი საქართველოს გვიანნეოლითური ჭურჭლისა[11].

კიდევ მეტი, გამოთქმულია მოსაზრება, რომ „დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში (ჯერჯერობით ეს არეალი დასტურდება) განფენილი იყო ერთიანი, ადგილობრივ მეზოლითთან გენეტიკურ კავშირში მყოფი გვიანნეოლითური კულტურა. ენეოლითური ნამოსახლარები (არაგვის და მტკვრის ხეობები, ალაზნის ველი) წარმოადგენს სიონის კულტურის შემდგომ განვითარებას და გენეტიკურად უკავშირდება მას. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი სიონის გვიანი ნეოლითის ფინალური ეტაპის ნამოსახლარისა და მასთან მემკვიდრეობით კავშირში მყოფი წოფის ენეოლითური კულტურის მოსახლეობა უნდა მივიჩნიოთ არა დასაელეთ საქართველოდან ინფილტრირებულ ტომებად (გამორიცხული არც ესაა), არამედ დასავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში მოსახლე წინარექართველურ თუ ქართველურ ტომებად, რომლებსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ მეზობელ კულტურებთან“[12]. წოფის ენეოლითური კულტურის ადრეული ძეგლები ძვ.

წ. V ათასწლეულის დასაწყისისაა, ხოლო სიონის კულტურა კი გვიანნეოლითურია ანუ კიდევ უფრო ძველი[13].

ლინგვისტური მონაცემებითაც, როგორც ვიცით, პროტოქართველური ეთნოსის არსებობა დასავლეთ საქართველოში ამავე ათასწლეულებში ივარაუდება. ასეთი დამთხვევა ნიშანდობლივია, არ შეიძლება იყოს შემთხვევითი და უნდა მიუთითებდეს, რომ ზემოაღნიშნული არქეოლოგიური კულტურა, მართლაც, წინარე ქართველური ეთნოსის კუთვნილია.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ, გვაქვს უფლება ვამტკიცოთ, რომ ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში პროტოქართველური ეთნოსი განსახლებული იყო სამხრეთ კავკასიაში, ფაქტობრივად, მომავალი საქართველოს ტერიტორიაზე მთაშიც და ბარშიც.

ამავე დასკვნამდე მივყავართ ძველქართული ეთნოტოპონიმიკის ანალიზს ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით[14].

აღსანიშნავია, რომ მაშინ, როდესაც სიონის კულტურის მატარებელი პროტოქართველური ტომები ჩნდებიან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, აქ, კერძოდ, ქვემო ქართლის ვაკეზე უკვე არსებობს ე. წ. შულავერ-შომუთეფეს ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი მოსახლეობა, რომელიც გამოირჩევა მყარი, საუსებით ჩამოყალიბებული სამეურნეო, სამშენებლო თუ საყოფაცხოვრებო ტრადიციებით.

ვარაუდობენ, რომ ამ კულტურის ფორმირებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ, როგორც ჩრდილო-აღმოსაელეთი კავკასიიდან ჩამოსახლებულ ტომებს (ხურიტებს?), რაც თითქოს კერამიკის გარკვეული მსგავსებით მეღავნდება, აგრეთვე – სამხრეთიდან მიგრირებულ ტომებს, რომელთაც ქვითა და ხით მდიდარ ქვემო ქართლის რეგიონში თიხის არქიტექტურა და წრიული ნაგებობების – თოლოსების კულტურაც უნდა შემოეტანათ[15].

საყურადღეოა ისიც, რომ, როგორც აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ შულავერ-შომუთეფეს და სიონის ტიპის ძეგლები აშკარად ორ მეზობელ, მაგრამ სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურის წრეს მიეკუთვნება, ისინი გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში ერთმანეთს ემთხვევიან, თანაარსებობენ და მნიშვნელოვან მსგავსებასაც ამჟღავნებენ. კერძოდ, „ერთი რამ ცხადია – სიონის კერამიკა აგრძელებს შულავერ-შომუთეფეს კულტურის თიხის ჭურჭლის დამზადების ტრადიციებს“[16].

მეორე მხრივ, კიდევ ერთი გარემოებაა მხედველობაში მისაღები: ზემოთ მითითებული იყო, რომ არქეოლოგების ვარაუდით შულავერ–შომუთეფეს კულტურის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობა უნდა მიეღო, ადგილობრივ კავკასიელ ტომებთან ერთად, სამხრეთიდან მიგრირებულ მოსახლეობასაც. კერძოდ, მას უნდა შემოეტანა აქ თიხით ნაგები თოლოსების

არქიტექტურა და ასევე მიწათმოქმედების პროგრესული ხელოვნება, სახელდობრ ირიგაცია, რაც უეჭველადაა არქეოლოგიურად დამოწმებული, მაგალითად, არუხლო I-ის ნამოსახლარზე.[17]

რა თქმა უნდა, ძნელია ნიშანდობლივ თქმა იმისა, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ამ ინოვაციების შემომტანნი ცივილიზებული წინა აზიიდან კავკასიაში, მაგრამ არ არის გამორიცხული, ეს მიგრანტები წინარე ქართველური ეთნოსის შემადგენელი ის ტომები ყოფილიყვნენ, რომლებიც ამ ეთნოსის განსახლების სამხრეთ პერიფერიაზე ცხოვრობდნენ და ინტენსიური კონტაქტები ჰქონდათ ჩრდილო მესოპოტამიაში მცხოვრებ სემიტურ ტომებთან, რაც წინარე ქართული ენის ლექსიკაში კარგადაა ასახული[18]. ეს კონტაქტები ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე უნდა მომხდარიყო, შესაძლებელია ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში[19] ანუ კავკასიაში სწორედ ადრესამიწათმოქმედო გვიანნეოლითურ-ენეოლითური არქეოლოგიური კულტურების გავრცელების პერიოდში.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: „საგრძნობი განსხვავების" მიუხედავად სიონისა და შულავერ–შომუთეფეს კულტურათა შორის მსგავსებაც არსებობს, კერძოდ სამეთუნეო ხელოსნობაში, რაც „შეიძლება აიხსნას გარკვეულ ეტაპზე ამ ძეგლების თანაარსებობით, ან კერამიკის წარმოების შულავერის კულტურის ტრადიციების უწყვეტი გაგრძელებით".[20] ეს მსგავსება ორ კულტურას შორის, გამოხატული მაინცდამაინც კერამიკით მათი მატარებელი ეთნიკური ნაკადების კულტურული შერწყმის მოწმობაც უნდა იყოს.

ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანში ენეოლითურ კულტურას ადრებრინჯაოს ხანის ე. წ. „მტკვარ-არაქსის კულტურა" ცვლის, რომელიც ფრიად დიდ სივრცეს მოიცავს, სახელდობრ: ჩრდილო-აღმოსავლეთ იმიერკავკასიას, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს, აღმოსაელეთ მცირე აზიას, ირანის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს და სირია-პალესტინის ზღვისპირეთს. როგორც აღნიშნავენ, არც ერთი სხვა კავკასიური არქეოლოგიური კულტურა არ გავრცელებულა ასეთ ფართო ტერიტორიაზე.[21]

ამ არქეოლოგიური კულტურის არც წარმოქმნის ლოკალიზაციისა და არც ეთნიკური ატრიბუციის საკითხში მეცნიერთა შორის თანხმობა არ არის. ერთნი ფიქრობენ, რომ იგი ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში უნდა ჩასახულიყო, მეორენი ასეთ არეალად სამხრეთ კავკასიას ვარაუდობენ. ზოგი ამ კულტურას ხურიტებს უკავშირებს, ზოგიც ინდოევროპელებს და ა. შ. ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ იმ უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელზედაც იყო გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურა, შეუძლებელია ერთ რომელიმე ეთნოსს ეცხოვრა და ყველგან ერთნაირად წარმართულიყო პროცესები. თითქოს ისე ჩანს, რომ

ამ ახალი კულტურის წარმოქმნა ამიერკავკასიაშია სავარაუდო. მაინცდამაინც მისი ჩამოყალიბების ერთ-ერთ კერად ქართლია საგულისხმო[22], ხოლო ამის შემოქმედნი აქ გავრცელებული შულავერ-შომუთეფეს და სიონის კულტურების მატარებელი ხურიტული და ქართველური ტომები უნდა ყოფილიყვნენ.[23]

მართლაც, სიონის ნამოსახლარის გამთხრელები ხაზგასმით აღნიშნავენ აქ მოპოვებული გარკვეული სახის კერამიკის იმდენად დიდ მსგავსებას მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან, რომ ამ უკანასკნელს პირველის განვითარებად თვლიან.[24] მიუხედავად იმისა, რომ მტკვარ-არაქსისა და შულავერ–შომუთეფეს ადრესამიწათმოქმედო კულტურათა ურთიერთმიმართების საკითხში ყველაფერი გარკვეული არ არის, მაინც აღნიშანვენ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა არსად იმდენ საერთოს არ პოულობს წინამორბედ კულტურებთან, როგორც ამიერკავკასიაში[25] და რომ იგი (მტკვარ-არაქსის კულტურა) შულავერ-შომუთეფეს კულტურის განვითარების შემდგომი ეტაპია, რაც ჩანს, როგორც არქიტექტურაში (თოლოსები), ისე კერამიკაშიც.[26]

კიდევ მეტი. ამ კულტურათა მატარებელ ტომთა შორის თითქოს ეთნიკური იდენტურობის ვარაუდის საფუძველიც არსებობს.

საქმე ის არის, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურის ერთ-ერთი ნამოსახლარის, იმირის გორის გათხრისას საკულტო ნაგებობის ცენტრალურ ოთახში გამოვლინდა სტაციონალური საკულტო კერა – თიხატკეპნილ იატაკში ჩაჭრილი მრგვალი ორმო პირზე შემოვლებული თიხის ბრტყელი ქობით (ბორდიურით), რომლის ქვეშ იატაკზე მოფენილი იყო ხორბლის თხელი შრე.[27] ზუსტად ასეთივე საკულტო კერები აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის ნამოსახლარზე შიდა ქართლში, ურბნისთან, ხიზანაანთ გორაზე.[28] ჩვენი აზრით, „ეს უნდა მოწმობდეს არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო ელემენტების იდენტურობას, რაც თავისთავად ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა კულტურათა მემკვიდრეობის საკითხისათვის, არამედ კულტის რიტუალის იგივეობასაც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დეტალებში ერთი და იგივე კულტი ან კულტის ობიექტი მხოლოდ ერთნაირი მენტალობის ხალხს შეიძლება ჰქონდეს, მაშინ ზემოხსენებული გარემოება ცხადლივ უნდა ადასტურებდეს, რომ იმირის გორის და ხიზანაანთ გორის ნამოსახლარებში, რომელთაც ერთმანეთთან სულ ცოტა ხუთასწლოვანი პერიოდი აშორებს, ერთი ეთნოსის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. სავარაუდოდ, ეს წინარე ქართველური ეთნოსი უნდა ყოფილიყო“.[29] ამ ვარაუდს ის უნდა ამაგრებდეს, რომ ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში წინარე ქართველური ეთნიკური ჯგუფი, როგორც ზემოთ იყო

მითითებული, უკვე ქართლის ტერიტორიაზეც განსახლებული გვეგულება (სიონის კულტურა).

საინტერესოა მტკვარ-არაქსის კულტურის დინამიკა ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, შესწავლილი არსებული კერამიკული მასალის ფორმებისა და ორნამენტაციის საფუძველზე, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ შიდა ქართლი, სადაც კარგადაა წარმოდგენილი ამ კულტურის განვითარების ყველა ეტაპი, უახლოეს კავშირს იჩენს, როგორც ქვემო ქართლთან და კახეთთან, ისე სამხრეთი კავკასიის მთიანეთთან (სამცხე-ჯავახეთი-თრიალეთი). იმერეთთან პირველ ხანებში ურთიერთობა სუსტია, გვიანდელ ეტაპზე კი ძლიერდება.[30] მართლაც, აღნიშნავენ, რომ საჩხერულ ყორღანულ სამაროვანზე აღმოჩენილი კერამიკული კომპლექსები ბევრ საერთოს პოულობს შიდაქართლურ მასალასთან.[31] ძნელია ეჭვი შეიტანო იმაში, რომ ცენტრალური ამიერკავკასიის ზემოხსენებულ რეგიონებში, ძირითადად, პროტოქართველური ტომები ცხოვრობდნენ[32], ამდენად, მტკვარ-არაქსული კულტურის აღნიშნული დინამიკა სწორედ ამ ტომთა, კერძოდ, მთისა და ბარის ტომთა შორის ცხოველი ურთიერთობის ამსახველია. ამასთან დაკავშირებით ფრიად საინტერესოა არქეოლოგების მიერ შემჩნეული ფაქტი, რომ კოლხეთის დაბლობის ძეგლებზე, რომლებიც თავისებური მატერიალური კულტურით ხასიათდებიან, გამოირჩევა გარკვეული სახის კერამიკა, განსხვავებული ადგილობრივი თიხის ნაწარმისაგან, როგორც ფორმით, ისე ორნამენტაციით. ეს არის ყავისფერი ან შავპრიალა თხელკეციანი ჭურჭელი, მსგავსი მტკვარ-არაქსულისა, რომელიც, ფაქტობრივად, თანადროულ ყველა გათხრილ ნამოსახლარზე მოიპოვება. სავარაუდოა, რომ ეს უნდა იყოს მოწმობა და შედეგი პროტოქართველური ეთნოსის შემადგენელი გარკვეული ტომების კოლხეთის დაბლობისაკენ მიგრაციის პირველი ტალღისა, რომელიც მომდევნო პერიოდში კიდევ უფრო ძლიერდება და, რამაც საფუძველი დაუდო წინარე ქართველური ენიდან სვანურის გამოყოფას.[33]

მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის ფინალურ სტადიაზე, ყველა არქეოლოგის თანხმობრივი აღიარებით, ნამოსახლარების გათხრებით მოპოვებულ ძვლოვან მასალაში აშკარად ჩანს წვრილფეხა რქოსანი საქონლის, კერძოდ, ცხვრის რაოდენობის მატება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობა თანდათან საიალაღო მესაქონლეობაზე გადადის.[34] ამაზე მიუთითებს აგრეთვე ცხვრის ქანდაკებები, სამიწათმოქმედო კულტების შეცვლა სამესაქონლეო კულტებით და სხვა[35].

საერთოდ აღნიშნავენ, რომ ამ დროს ანუ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომების ცხოვრებაში შეინიშნება კრიზისული ვითარების ნიშნები: ბარში მოსახლეობა სტოვებს დასახლებულ ადგილებს, სოფლებს და თითქოს მთიანეთის ინტენსიური ათვისება იწყება,[36] რაც სწორედ საიალაღო მესაქონლეობაზე გადასვლის მაჩვენებელი უნდა იყოს. ამ იმანენტურ პროცესს, როგორც ჩანს, საგარეო ფაქტორიც დაემატა და ყველაფერმა ამან ძირეულად შეცვალა მოსახლეობის ტრადიციული ცხოვრების წესი: მიწათმოქმედთა ადრებრინჯაოს ხანის „მტკვარ-არაქსული კულტურა“ შეიცვალა მომთაბარე მესაქონლეთა შუაბრინჯაოს „ადრეყორღანული კულტურით“.

ვარაუდობენ, რომ ის ძირითადი განმასხვავებელი მახასიათებელი ამ ახალი არქეოლოგიური კულტურისა – ერთი მიცვალებულისათვის განკუთვნილი ყორღანული სამარხი – რომელიც ამიერიდან ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, უნდა გაევრცელებინა კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე სტეპებიდან შემოჭრილ მესაქონლე-მეჯოგე, შესაძლებელია, ინდოევროპული მოდგმის, არცთუ ისე მრავალრიცხოვან ტომს, რომლის წარმომადგენლები შედარებით ადვილად იქნენ ასიმილირებულნი ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ჩანს, რომ მათ შეითვისეს დამხვდურთა კულტურა.[37] მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგიერთ ნამოსახლარზე დაფიქსირდა ადრეყორღანულ კულტურასთან თანაარსებობის კვალი.[38] და აგრეთვე ამ კულტურის კერამიკის ერთი ჯგუფის დიდი მსგავსება მტკვარ-არაქსულ ჭურჭელთან.[39]

ყოველივე ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ადრეყორღანული კულტურა, ფაქტობრივად, მოიცავს მთელ იმ ტერიტორიას, რომელზედაც წინარე კულტურის შიდაქართლური ვარიანტი ერცელდებოდა (იხ. ზემოთ).

ჩვენთვის საინტერესო პრობლემის თვალსაზრისით, ეფიქრობთ, ეს ფრიად ნიშანდობლივი მოვლენაა.

თვით ის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც „ადრეყორღანული კულტურის“ წრეში ერთიანდებიან ორ, ერთმანეთისაგან მატერიალური მახასიათებლებით განსხვავებულ, – მარტყოფულ და ბედენურ – ჯგუფებად ნაწილდებიან. არ გამოეკიდებით ამ უკანასკნელთა ურთიერთმიმართების პრობლემას, არც საერთოდ ადრეყორღანული კულტურის წარმოქმნის საკითხს, რომელთა შესახებ სხვადასხვა, ხშირად ურთიერთგამომრიცხველი, მოსაზრებები არსებობს[40], თუმცა სპეციალისტების აზრით, ადრეული ყორღანების კერამიკა აშკარად უკავშირდება მტკვარ-არაქსულს[41].

საყურადღებოა, ჩვენი აზრით, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: ადრეყორღანული კულტურის ორივე წრის (მარტყოფულის და ბედენურის) ძეგლთა გავრცელების ფარგლები საქართველოში ერთმანეთს, ფაქტობრივად, ზედმიწევნით ემთხვევა, რაც კარგად ჩანს სათანადო რუკებზე[42].

ეს მნიშვნელოვანი გარემოება, ჩვენი აზრით, ჯერ ერთი, გულისხმობს იმას, რომ მარტყოფული და ბედენური ძეგლები, ცხადია, განირჩევიან ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურადაც და, რაც მთავარია, მიუთითებს იმაზე, რომ არავითარი „ეთნიკური ძვრები" ამ ტერიტორიაზე, რასაც ვარაუდობს ზოგი არქეოლოგი, არ მომხდარა. სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ ადრეყორღანული კულტურა, ფაქტობრივად, უნდა წარმოქმნილიყო წინარე მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველზე, რომელსაც, როგორც ვიცით, აშკარად ეტყობა მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის მნიშვნელობის ზრდის, ანუ საიალაღო მესაქონლეობაზე გადასვლის ტენდენცია (იხ. ზემოთ). ამას დაემთხვა ჩრდილო კავკასიის სტეპებიდან მესაქონლე-მეჯოგეთა შემოჭრა, რომელთაც, ფაქტობრივად, ადგილობრივ მიმდინარე პროცესის მასტიმულირებელი როლი შეასრულეს[43]. და მოხდა გარდატეხა: მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანი ფაზის საფუძველზე ცენტრალური ამიერკავკასიის რეგიონში, კერძოდ, აღმოსავლეთი საქართველოს და ჩრდილო სომხეთის გარკვეული ტერიტორიის ნამოსახლარებზე ცხოვრება დიდი ხნით წყდება[44]. მიწათმოქმედი მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოძრავდა და წარმოიქმნა საიალაღო მესაქონლეობაზე დამყარებული დიდი გაერთიანება. დაიწყო ე. წ. „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის" ეპოქა, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის თითქმის მთელ პირველ ნახევარს მოიცავს.

როგორც აღნიშნავენ, თრიალეთური და ადრეყორღანული კულტურის გავრცელების არეალი დაახლოებით ერთნაირია[45], ხოლო თვით თრიალეთური კულტურა ბედენურის უშუალო გაგრძელებაა, რომელიც, თავის მხრივ, ადრეყორღანულის მოგვიანო საფეხურია და წინას ანუ მარტყოფულის ტრადიციებს აგრძელებს[46], ასე რომ შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურა, არსებითად, ადგილობრივი საზოგადოების იმანენტური სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების შედეგად წარმოიქმნა, თუმცა არც სამხრეთული, წინააზიური იმპულსებია გამოსარიცხი[47]. მაგრამ ცხადია, თვით ეს, საზოგადოების გარდაქმნის, ასე ვთქვათ, გლობალური პროცესები, როგორც ჩანს, არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო მშვიდობიანი, რასაც ადასტურებს საბრძოლო იარაღის სიმრავლე საჩხერის გვიანმტკვარ-არაქსულ და აღმოსავლეთი საქართველოს ადრეყორღანულ სამარხებში და აგრეთვე მტკვარ-არაქსულ ნამოსახლართა ნახანძრევი შრეები[48]. მეორე მხრივ, ეს უნდა ყოფილიყო მყარი საფუძველი ბრინჯაოს მეტალურ-

გიის მძლავრი განვითარებისათვის, რაც, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ პერიოდში შეიმჩნევა[49].

მნიშვნელოვანია ერთი გარემოება. წინა კულტურებისაგან (მტკვარ-არაქსულის, ბედენურის) განსხვავებით, თრიალეთური კულტურა არ ვრცელდება დასავლეთ საქართველოში და, როგორც აღნიშნავენ, ამ დროს საერთოდ რაიმე საგრძნობი ურთიერთობა ამ რეგიონისა აღმოსავლეთ საქართველოსთან არ ჩანს[50]. ჩვენი აზრით, ეს უნდა აიხსნას იმით, რომ თრიალეთის ყორღანული კულტურა საიალაღო მესაქონლეობის მიმდევარი მოსახლეობის კულტურაა, რომლისთვისაც ყიშლაღებს მოკლებული დასავლეთი საქართველოს ტერიტორია, რომლის ჭაობიან ვაკეს ის-ის იყო მაშინ ითვისებდა[51], მიმზიდველი ვერ იქნებოდა.

ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ, სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორღანების კულტურის შემქმნელი ხალხის ეკონომიკური ბაზისი უნდა ყოფილიყო საიალაღო მესაქონლეობა და ბრინჯაოს მეტალურგია[52].

მართლაც, საიალაღო მესაქონლეობა (მეტალურგიასთან ერთად) რომ უნდა ყოფილიყო ეკონომიკის განმსაზღვრელი, ამას ნიშანდობლივად მოწმობს ის ფაქტი, რომ ასეულობით გათხრილ ყორღანებში არც ერთი სამიწათმოქმედო იარაღი არ აღმოჩენილა[53]. ამის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათი წლის წინ ვწერდით[54].

ვინ იყო, ბოლოს და ბოლოს, ის ხალხი, ვინც ეს კულტურა შექმნა?

ჩვენ ვიცით, რომ ძველქართული ტერმინი – „ცხოვრება“ წარმოდგება „ცხოვარ“//„ცხვარ“ ძირისაგან და ე. ი. თავდაპირველად ეს სიტყვა „მეცხვარეობას“ ნიშნავდა[55] და, შეიძლება ზოგადად „მესაქონლეობასაც“. ისიც ვიცით, რომ ნეოლითის პერიოდიდან მაინც ქართველები საქართველოს ტერიტორიაზე ავტოქტონები არიან. საქართველოს არქეოლოგია კი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ერთადერთი პერიოდი, როდესაც ჩვენი წინაპრების ეკონომიკური განვითარების პროცესში მეცხვარეობას ან საერთოდ მესაქონლეობას შეეძლო იმდენად არსებითი სასიცოცხლო მნიშვნელობა შეეძინა, რომ „ცხოვრების“ სინონიმად ქცეულიყო, შეიძლება იყოს მხოლოდ შუაბრინჯაოს პერიოდი ანუ სწორედ თრიალეთის „დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის“ ეპოქა. მეორე მხრივ, ტერმინი „ცხოვრება“ საკუთრივ ქართული ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილია, რაც გვაიძულებს დავასკვნათ, რომ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის კულტურის შემქმნელი ხალხი, ძირითადად მაინც, აღმოსავლელქართველი ტომები ანუ საკუთრივ „ქართველნი“ უნდა ყოფილიყვნენ[56].

გარდა ამისა, აქედან გამომდინარეობს მეორე დასკვნაც: ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში წინარე ქართული ენის დივერგენცია დასრულებულია. მართლაც, ვარაუდობენ, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოში, სვანურის გარდა, ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაზე მოლაპარაკე ტომებიც არიან უკვე განსახლებულნი[57].

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმული – ის რომ უკვე გვიანი ნეოლითის ხანიდან ჩვენი წინაპარი წინარე ქართველური ტომები სახლობენ დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზე (ოდიში-სიონის კულტურა), რაც ლინგვისტური მონაცემებით დასტურდება („ქუთათისი“); ის რომ მტკვარ-არაქსული ადრებრინჯაოს კულტურის შიდაქართლური ვარიანტი ვრცელდება იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც განფენილი იყო მისი წინამორბედი წოფის ენეოლითური კულტურა (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, თრიალეთი, ზემო იმერეთი)[58], რომელიც, თავის მხრივ, როგორც ვიცით, ოდიში-სიონის გვიანნეოლითურ კულტურას გენეტიკურად უკავშირდება (იხ. ზემოთ); ის რომ ზედმიწევნით ამავე ტერიტორიაზე ვრცელდება ადრეყორღანული კულტურა (მაინცდამაინც ბედენური ეტაპი) და შემდეგ შუაბრინჯაოს ხანის „თრიალეთური დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურაც“ (იმერეთის გამოკლებით, იხ. ზემოთ), რომელიც, როგორც ვიცით, ძირითადად, უკვე აღმოსავლელქართველთა კუთვნილია (რაც აგრეთვე ლინგვისტურად დასტურდება); თანაც თუ ყოველივე ამას დავუმატებთ, რომ ყველა ეს ქრონოლოგიურად თანმიმდევრული ეთნოკულტურული ერთობები არქეოლოგიურადაც უკავშირდებიან ერთმანეთს, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი, ვფიქრობთ, გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ ქართველთა ავტოქტონობა კავკასიაში (მაინცდამაინც მომავალი საქართველოს ტერიტორიაზე) კი არ ვივარაუდოთ, არამედ საბუთიერად ვამტკიცოთ.

მაგრამ ეს უნდა გვესმოდეს, ასე ვთქვათ, cum grano salis!

საქმე ის არის, რომ „ქართველი ტომების ავტოქტონობის აღიარებით, უნდა დაეუშვათ არაქართველთა ავტოქტონობაც, ბრძოლა ამ ტომებს შორის და ქართველი ტომების გამარჯვება“[59].

მართლაც, გარდა იმისა, რომ, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, არქეოლოგები ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში ხურიტების და ინდოევროპელების შემოჭრას ვარაუდობენ საქართველოს ტერიტორიაზე, ამ უკანასკნელზე დღემდე შემორჩენილი ტოპონიმია, მაგალითად, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზღვისპირეთში, უძველეს ხანაში, კოლხურთან ერთად, ჩერქეზული ტომების ბინადრობაზეც მიუთითებს[60]. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, ამაზე მეტყველებს ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებანი, როგორც ბაზალეთი, ჭართა-

ლი, კასპი, ფხვენისი, წობენი, ალგეთი, თრიალეთი და სხვა. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ასეთი ონომასტიკა გულისხმობს აქ ოდესღაც ბაზალთა, ჭართალთა, კასპთა, ფხოველთა, წოვათა, ალგელთა, თრიალთა თუ თრელთა ტომების ბინადრობას, რომელთაც ეთნოგენეზის ათასწლოვან პროცესში ასიმილაცია განიცადეს და ქართველი ხალხის წარმოქმნა-ჩამოყალიბებაში მიიღეს მონაწილეობა. ეს ეთნოგენეტიკური დიდი პროცესი, კერძოდ მთისა და ბარის ტომებს შორის, რომელიც, როგორც ვიცით, უკვე ადრებრინჯაოს ხანაში ნათლად იკვეთება, სწორედ შუაბრინჯაოს ხანიდან უნდა გაძლიერებულიყო საიალაღო მომთაბარული მეურნეობის პირობებში, როდესაც ერთ-ერთმა აღმოსავლელქართველმა ტომმა – „ქართველებმა“//„ქართველებმა“ ამ გლობალური პროცესის ჰეგემონობა იკისრეს. სწორედ მათ მოახერხეს ზემოხსენებულ არაქართველ თუ სხვა ქართველურ ტომთა ასიმილაცია და ინტეგრაცია, მათი შერწყმა და გაერთიანება[61].

არქეოლოგიური მასალაც თითქოს ადასტურებს ამას. ასე მაგალითად, ვარაუდობენ, რომ შიდა ქართლში სოფლების ნულის და ქვასათალის შუაბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპის სამაროვნები ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიიდან გადმოსული მიგრანტების კუთვნილი უნდა იყოს, რომლებიც მომდევნო გვიანბრინჯაოს პერიოდში უკვე ასიმილირებულნი ჩანან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ[62].

რა უნდა ყოფილიყო ამის საფუძველი, გარდა ზემოხსენებული ეკონომიკური ბაზისისა და, ცხადია, „ქართველთა“ უდრეკი ბრძოლისუნარიანობისა?

საქმე ის არის, რომ „ქართველებს“ საქართველოს ტერიტორიაზე თრიალეთური კულტურის გავრცელების ცენტრალური არეალი ეჭირათ და თვით მათი განსახლების ცენტრი უნდა ყოფილიყო „მთა ქართლი“ (გვიანდელი „არმაზი“) – მცხეთის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა მთიან ნაპირზე. ასეთია „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ქართული ეროვნული ტრადიცია.

„მთა ქართლზე“ გადიოდა ფრიად მნიშვნელოვანი მაგისტრალური გზა, რომელიც საქართველოს მთელს ტერიტორიას ჰკვეთდა დიაგონალურად და კახეთსა და ჰერეთს (ჩრდილო-აღმოსავლეთით) თრიალეთ-ჯავახეთზე გავლით ტაო-კლარჯეთთან (სამხრეთ-დასავლეთით) აკავშირებდა. ეს სავაჭრო-სატრანზიტო და სამხედრო მაგისტრალი ამავე დროს „ცხვრის გზაც“ იყო (და დღესაც არის!), რომელზედაც შიდა ქართლიდან და კახეთ-ჰერეთის საზამთრო საძოვრებიდან თრიალეთ-ჯავახეთ-არტაანის საზაფხულო საძოვრებისაკენ ცხვრის ფარები მოძრაობდნენ ძველად (დაფიქსირებულია დოკუმენტურად IV საუკუნისათვის) და მოძრაობენ დღესაც[63].

ეჭვი არ არის, ამ მაგისტრალური „ცხვრის გზის“ ექსპლოატაციას განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი სწორედ შუაბრინჯაოს პერიოდში ექნებო-

და, ადგილობრივი ტომებისათვის მეცხვარეობის ფრიად დიდი მნიშვნელობის გამო.

გარდა ამისა, „მთა ქართლზე“ მეორე მაგისტრალიც გადიოდა, რომელიც შიდა ქართლს არმაზის ხევით ანუ ძველი „ქართლის ხეევით“[64] ქვემო ქართლთან აკავშირებდა და რომელზედაც „ქარავანი შეღმა მივიდოდეს და თუ ჩამოღმა მოვიდოდეს... ძუელთაგან გაჩენილი ბაჟი... საპალნესა ზედა“, ცხადია, „მთა ქართლის“ მფლობელს უნდა მიეღო[65]. საფიქრებელია, ეს მაგისტრალიც ამავე დროს „ცხვრის გზაც“ იყო შიდა ქართლისათვის.

როგორც ვხედავთ, „ქართუელთა“ პოლიტიკური ცენტრი – „მთა ქართლი“ ანუ იგივე „ქართლის კარი“[66] მნიშვნელოვან გზათა გადაკეეთის ადგილზე მდებარეობდა და შესაბამისად აკონტროლებდა იმ მაგისტრალებს, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა თრიალეთის კულტურის მესაქონლე ტომებისათვის. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, დიდ უპირატესობას აძლევდა „ქაროუელებს“ სხვა მოძმე თუ უცხო ტომთა მიმართ[67].

პირველ რიგში მათ შიდა და ქვემო ქართლის ტომთა შემომტკიცება და მათზე პოლიტიკური გავლენის დამყარება უნდა მოეხერხებინათ. ამას თითქოს შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალაც მოწმობს[68]. გვიანბრინჯაოს პერიოდის უადრეს ეტაპზე ეს უდავოდ მტკიცდება თავხვია საკინძების გავრცელების არეალით[69]. საამისოდ უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ქართლის ხევზე“ (არმაზის ხევზე) გამავალ ზემოხსენებულ მაგისტრალს. ბუნებრივია თუ მთელმა ამ ტერიტორიამ ჰეგემონი ტომის ცენტრის სახელწოდება მიიღო („ქართლი“) და „ქართლის კარის“ მდებარეობის მიხედვით „ზენა სოფლად“ (გვიანდელი შიდა ქართლი) და „ქვენა სოფლად“ (გვიანდელი ქვემო ქართლი) დანაწილდა.

როგორც იყო აღნიშნული, შუაბრინჯაოს ეპოქის თრიალეთის კულტურა ძვ. წ. II ათასწლეულის თითქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში არსებობდა. ამ პერიოდში ურთიერთობა დასავლეთ საქართველოსთან ფრიად შესუსტებული ჩანს, ყოველ შემთხვევაში არქეოლოგიური თვალსაზრისით ასეთის სურათია და საამისო მიზეზებზე ზემოთ მივუთითეთ კიდეც: საიალაღო მესაქონლეობისათვის არახელსაყრელი ბუნებრივ-ეკოლოგიური ვითარების გამო, აქ პროცესები სხვაგვარად წარიმართა.

სამწუხაროდ ამ პერიოდის დასაელეთ საქართველოში ეთნიკური პროცესების შესახებ ბევრი არაფრის თქმა შეიძლება. ფაქტი ის არის, რომ, როგორც ვიცით, წინარე ქართული ენის დივერგენცია უკვე მომხდარია. სვანური ტომი, ძირითადად, მთაში სახლობს და მესაქონლეობასთან ერთად ბრინჯაოს მეტალურგიულ წარმოებაშია ჩართული, თუმცა მისი ნაწილი, ჯერ კიდევ, ალბათ, ზღვისპირეთშია, რასაც ტოპონიმიკა უნდა მოწმობდეს („ცხუმი“); ზანური მოსახლეობა კი მთისწინეთსა და ბარს ითვისებს, მეტა-



მეფე ფარნავაზი



ვახტანგ გორგასალი

ლურგიასა და მესაქონლეობასთან ერთად (მსხვილფეხა საქონელი, მეღორეობა), მიწათმოქმედებას მისდევს. აქაც, როგორც ჩანს, მიმდინარეობდა არაქართველურ ტომთა თანდათანობითი ასიმილაციის პროცესი.

საერთო ეკონომიკურმა აღმავლობამ, განსაკუთრებით ბრინჯაოს მეტალურგიის მძლავრმა განვითარებამ ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებისათვის განაპირობა ცნობილი „კოლხური გვიანბრინჯაოს კულტურის“ ჩამოყალიბება, რაც დასავლეთი საქართველოს მთისა და ბარის, კერძოდ, სვანური და ზანური მოსახლეობის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის შედეგია[70].

§ 3. – მიწათმოქმედთა აღზევება

ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანიდანვე კვლავ რადიკალურად შეიცვალა ვითარება აღმოსავლეთ საქართველოში. შუაბრინჯაოს ეპოქის „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ ამ დროისათვის, როგორც ჩანს, დეგრადაციას განიცდის, აღარ ჩანს მესაქონლე ტომების ყოფილი სიმდიდრე და ძლიერება. მათ, ეტყობა, კრიზისული პერიოდი დაუდგათ. სამაგიეროდ, გვიანბრინჯაოს პერიოდის დადგომისთანავე შეიმჩნევა, რომ მოსახლეობა ცხოვრების კვლავ ძველ რიტმს უბრუნდება, თუმცა ეს უკანასკნელი იმ საყოველთაო სამეურნეო აღმავლობის პირობებში, რომელიც ამ დროს აღმოსავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე ჩანს, გაცილებით უფრო ძლიერია. ხელმეორედ ჩნდება ბინადარი დასახლებანი, მოსახლეობა საამისოდ ძველ გორანამოსახლარებსაც იყენებს და ახლებსაც ითვისებს. შიდა ქართლში, მაგალითად, ადრებრინჯაოს პერიოდთან შედარებით, სამოსახლოები სამჯერ უფრო მეტია[71]. ეს გარემოება და თვით გორანამოსახლარებზე დასახლების ფაქტი, რა თქმა უნდა, დემოგრაფიულ აფეთქებასთან ერთად, მიწათმოქმედთა გაძლიერებაზე მიუთითებს[72].

კონკრეტულად როგორ ხდებოდა მესაქონლეთა „გადაშენება“ და მიწათმოქმედთა ხელმეორე აღორძინება, სამწუხაროდ, არსებული არქეოლოგიური მასალით, წარმოდგენა შეუძლებელია, თუმცა ერთი რამ გვგონია, ნათელია: ეს გლობალური პროცესი, არსებითად, მშვიდობიანი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაოს არქეოლოგიურ კულტურათა თვალში საცემი განსხვავებისა, არაეითარ ეთნიკურ ცვლილებებზე საუბარი არ შეიძლება, რასაც თუნდაც ისიც მოწმობს, რომ „თრიალეთური შუაბრინჯაოს კულტურის“ შემცველი ე.წ. „ცენტრალურ–ამიერკავკასიური კულტურა“, ფაქტობრივად, იმავე არეალზეა გავრცელებული[73].

როგორც ჩანს, „მიწათმოქმედების შემდგომ ინტენსიფიკაციასთან ერთად ძლიერდებოდა მიწათმოქმედი ტომების გავლენა მესაქონლეებზე, რომელთაგან ბევრი ალბათ, მიწაზე ჯდებოდა და ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდა. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, კახეთისა და შიდა ქართლის ის გორასამარხები, რომელთა ინვენტარიც ამყარებს კონტაქტებს გვიანბრინჯაოს პერიოდის მიწათმოქმედი მოსახლეობის უფრო გვიანდელ კულტურასთან (აშურიანის ველის გორასამარხები, ზემო ბოდბე I და II) და აგრეთვე ის გვიანდელი გორასამარხები, რომლებიც შეიცავენ გვიანბრინჯაოს ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელ კერამიკულ მასალას, ხოლო სამარხთა ტიპით უკავშირდებიან მახლობლად აღმოჩენილ ჭრიალქვაყრილიან გორასამარხებს შუაბრინჯაოს ხანისას (სალოკი ხევის გორასამარხები გრაკალთან). ბარში მიწათმოქმედების ხელმეორე მძლავრ აღმავლობასთან ერთად მთამ დაკარგა თავისი უპირატესი მნიშვნელობა და ამასთანავე, შესაძლებელია, გადაშენდა მესაქონლე ძველი გვაროვნული არისტოკრატიაც. მეორე მხრივ, ბუნებრივია, რომ ბარის მიწათმოქმედი მოსახლეობის ეკონომიკაში გვიანბრინჯაოს პერიოდში საიალაღო მესაქონლეობას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებული. კონტაქტები მთასთან უცილობელია[74]“.

როდესაც ზემომოტანილი იწერებოდა (1972 წ.) გენეტიკური კავშირი შუა და გვიანბრინჯაოს კულტურებს შორის ეჭვის ქვეშ იდგა[75]. დღეს ეს კავშირი თითქოს აღარ არის სადავო[76].

ჩვენთვის ეს პრობლემა არც არსებობს, რადგან, თუკი გავიზიარებთ ყოველივე ზემოთქმულს წინარე ქართველური ეთნოსის პირველსაცხოვრისის შესახებ, გასაგები უნდა იყოს, რომ გვიანბრინჯაოს ეპოქაშიც ქართველები (აღმოსავლელი ქართველები) ძირითადად, ცხოვრობდნენ იქ, სადაც ცხოვრობენ დღემდე და ამდენადვე ეჭვის მიტანა უძველეს კულტურათა მემკვიდრეობითობაზე, ცხადია, უსაფუძვლოა. რაც შეეხება მატერიალურ განსხვავებას, ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ თრიალეთური ყორღანების და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურათა მატარებელი „მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში ისეთი მძლავრი გარდატეხა ხდება (მესაქონლეობიდან კვლავ მიწათმოქმედებაზე გადასვლა, საირიგაციო მიწათმოქმედების, კერძოდ, მეენახეობის და ბრინჯაოს მეტალურგიის მძლავრი განვითარება, სამეთუნეო ჩარხის შემოღება, საბრძოლო იარაღის ინტენსიური გავრცელება და სხვა), რომ კულტურული სხვაობა გასაკვირი არც უნდა იყოს“[77]. და მაინც გენეტიკური მემკვიდრეობა ამ კულტურათა შორის შეინიშნება ერთი ჯგუფის კერამიკაში.

შუაბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხეულ კომპლექსებში გამოყოფენ ორ ქრონოლოგიურ საფეხურს: ადრეულისათვის დამახასიათებელია ნელა მბრუნავ მორგვზე დამზადებული ჭურჭელი (დერგი, ქოთანი, ქვაბქოთანა), რომელიც „შემკულია" უსისტემოდ დაღარული ხაზებით; მოგვიანოსათვის – სწრაფად მბრუნავ ჩარხზე დამზადებული ჭურჭელი შემკული ტანზე კონცენტრული ღარებით, ძირზე სპირალური ღარით, მხარზე და ძირის კიდეზე ე. წ. „ფრჩხილისმიერი" ნაჭდევებით[78].

ამ უკანასკნელი ტიპის ჭურჭლეული, რომელიც უეჭველია, გენეტიკურად პირველის განვითარებას წარმოადგენს[79] და რომელსაც „სპირალურ-კონცენტრულ ღარებიანს" ვუწოდებთ, საკუთრივ გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეულ ეტაპებზე განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია და გაცილებით უფრო გვიანაც გვხვდება.

საინტერესოა აგრეთვე, რომ ზემოხსენებული პირველი საფეხურის ჭურჭელი, ფაქტობრივად, მხოლოდ შიდაქართლურ კომპლექსებშია, ხოლო მეორე საფეხურისა კახეთშიცაა გავრცელებული[80].

გასული საუკუნის 50-იან წლებში ვწერდით: „ჩვენ გვაინტერესებს სრულიად გარკვეული ჯურის კერამიკა – ესაა სპირალურ-კონცენტრული ხაზებით და ჭდეული სარტყლებით შემკული ქვაბქოთნები, რომელთა სპეციფიკური იერი პირველად შენიშნა პ. უვაროვამ თლიაში აღმოჩენილი ორი ამგვარი ჭურჭლის მიხედვით[81]. ამგვარი ქვაბქოთნები, რომელთა მთელი კორპუსი და ძირიც დასერილია სპირალურ-კონცენტრული ღაროვანი სარტყლებით, ხოლო ძირის კონტური და ყელის ძირი, დამატებით – „ფრჩხილისმიერი" ჭდეული ორნამენტის სარტყლით, დამახასიათებელია სამთავროს გვიანბრინჯაოს ხანის უძველესი ორმოსამარხებისათვის (იხ. მაგალითად, სამარხი №12, ინვ. 271; სამახი №13, ინვ. 258; სამარხი №64, ინვ. 1320; სამარხი №261, ინვ. 5524 და სხვა. ამ სამარხებზე მიგვითითა ტ. ჩუბინიშვილმა). მაგრამ ამგვარი კერამიკა უფრო გვიანაც გვხვდება, მაგალითად, იყალთოში (გ. გოზალიშვილის განათხარი) ბრინჯაოს მასრაშეკრულ შუბისპირთან და რკინის პატარა დანასთან ერთად[82]. თვით სამთავროშიც 1939 წ. გათხრილ №119 ორმოსამარხში რკინის მახვილთან ერთად პატარა ცალყურა ამგვარი ქვაბქოთანა აღმოჩნდა. სამარხი ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება (რ. აბრამიშვილის მითითებით). ჩვენთვის საინტერესოა, რომ ამგვარი ორნამენტაცია გვხვდება გიორგიწმინდულ განათხარშიც, როგორც №4 სამარხის პატარა ლეგა ლანგარზე (ინვ. 8-54/32) და ლეგა ქვაბქოთნის ნამტვრევებზე (ინვ. 8-54/30), ისე №6 სამარხის ცალყურა ქვაბქოთა-

ნაზე (ინვ. 8-54/49), და №3 სამარხის ორ ჭურჭელზე (ინვ. 8-54/17 და ინვ. 8-54/21), რომელთაგან მეორე, სამწუხაროდ ფრაგმენტების სახით მოღწეული, ზუსტი ანალოგიაა ორნამენტიკით და, როგორც ჩანს, ფორმითაც სამთავროული ცალებისა. ამ უკანასკნელთა ზუსტი ანალოგია მოიპოვება გ. გოზალიშვილის საგარეჯოულ განათხარ მასალაშიც.

ამგვარად, დასტურდება, რომ არა მხოლოდ სამთაეროში, არამედ საგარეჯო-გიორგიწმინდაშიც ეს მოტივი (და თვით ჭურჭლის ფორმაც) დიდი ხნის განმავლობაში არსებობს. (როგორც ვიცით №4 სამარხი ძვ. წ. XII-XI სს-ით უნდა დათარიღდეს, ხოლო №6 სამარხი არა უადრეს ძვ. წ. VII-VI სს-საა). ჩვენთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტის კონსტატაციას.

საქმე ისაა, რომ იმ ნიშნებს შორის, რომლითაც არქეოლოგიურმა მასალამ შესაძლებელია გარკვეული პასუხი გასცეს ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურის მატარებლის ეთნიკური ვინაობის საკითხს (დამარხვის წესი, შეიარაღება, სამკაულები და სხვ.), არამცირედი მნიშვნელობისაა კერამიკა და მისი ორნამენტაცია.

სწორედ ამის გამო უნდა მივაქციოთ ჩვენ ყურადღება აღნიშნულ ორნამენტიანი კერამიკის გავრცელებას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, როგორც სიღრმეში, ისე სივრცეშიც...

ლიტერატურული ცნობებისა და ნაწილობრივ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მონაცემებით გათვალისწინებული ამ ჯგუფის კერამიკის გავრცლების არე ამგვარად იფარგლება (ცხადია ჩვენი მონაცემები სრული არ არის, რადგან ამას უნდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და სხვა მუზეუმების ფონდების გულდასმითი გადასინჯვა, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის ესეც საკმარისია):

სოფ. **თლია** – 2 ქვაბქოთანა, თანმხლები ინვენტარის მიხედვით ვფიქრობთ, უნდა გეიანი ბრინჯაოს ხანით დათარიღდეს[83].

სოფ. **სტირფაზი** – 1 ქვაბქოთანა. ბ. კუფტინის მიერ თლიას კომპლექსთან შეთანაპირებით აფხაზეთის დოლმენების შუა ფენის (წინაყობანურის) თანადროულადაა გამოცხადებული[84].

თბილისი – 2 ქვაბქოთანა **ნავთლუღიდან**. გეიანბრინჯაოს ხანა[85].

ავჭალა – 1 ქვაბქოთანა. გეიანბრინჯაოს ხანა[86].

ქვემო ქართლი – 2 ქვაბქოთანა მოპოვებული 1947 წ. ქვემო ქართლის ექსპედიციის მიერ.

ბანისხევი – ბორჯომის ხეობა (ცნობა მოგვაწოდა ტ. ჩუბინიშვილმა).

გიორგიწმინდა – 2 ქვაბქოთანა: №6 სამარხიდან, ძვ. წ. VII-IV სს. და №4 სამარხიდან, ძვ. წ. XII-XI სს.

საგარეჯო – 1 ქვაბქოთანა. (გ. გოზალიშვილის განათხარი).

იყალთო – 2 ქვაბქოთანა: ინვ. 11-34. ადრერკინის ხანა: მასრაშეკრული ბრინჯაოს შუბისპირთან და რკინის დანასთან ერთად[87].

ბაკურციხე – 2 ქვაბქოთანა. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა[88].

ამით ამოიწურება, ჯერჯერობით, ჩვენ მიერ თვალმიდევნებული სპირალურ-კონცენტრული ღარებით და „ფრჩხილისმიერი“ ჭდეული ორნამენტით შემკული კერამიკის რიცხვი (უეჭველია გულდასმითი შესწავლა მეტს გამოავლენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ვიღებდით მხოლოდ ტიპიურ ქვაბქოთნებს და არა მათ დერივატებს, რომელთა გენეტიკურ-ტიპოლოგიური კავშირი პირველებთან, ვფიქრობთ, უეჭველია – მაგალითად: გიორგიწმინდისეული №6 სამარხის ზემოგანხილული ცალყურა ქვაბქოთნები და სხვ.).

ამითვე შემოიფარგლება მათი გავრცელების არე. კერძოდ, ეს უკანასკნელი მოიცავს ისტორიულ შიდა, ზემო და ქვემო ქართლს, კახეთს და ნაწილობრივ ჰერეთს, ისიც ამ უკანასკნელის კახეთ–კუხეთის მოსაზღვრე მხარეს (საგარეჯო, გიორგიწმინდა). ამ მხრივ, თითქოს გამონაკლისს წარმოადგენს ბაკურციხული ორი ცალი. თუკი ჩვენ მიერ კერამიკის ამ სახეობის ამგვარი შემოფარგლა მეტ-ნაკლებად სწორია და თუკი მთელს ზემომოტანილ მსჯელობას უსაფუძვლოდ არ ჩავთვლით, მაშინ, ეგების, შესაძლებელი იყოს, ცხადია, უაღრესად ჰიპოთეტური სახით, დავსვათ საკითხი გარკვეულ ხანაში ზემოთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთი ეთნიკური მასივის არსებობის შესახებ. ამასვე მხარს უჭერს, ჩვენი აზრით, ზემოთქმულის გარდა, თვით ამ ჯგუფის კერამიკისა და მისი ორნამენტაციის ხანგრძლივი მდგრადობა და დერივაცია ერთსა და იმავე ადგილას (სამთავრო-გიორგიწმინდა).

მეორე მხრივ, რამდენადაც საგარეჯო-გიორგიწმინდული უეჭველად ადგილობრივი კერამიკა (შავკეციანი) სქელკეციანია, ხელით ტლანქად გამოყვანილი, ხოლო ჩვენთვის საინტერესო ცალები კი ყოველთვის ჩარხზე ნაკეთებია და შედარებით თხელკეციანია, შესაძლებლად მიგვაჩნია დავსვათ საკითხი ამ უკანასკნელის იმპორტის შესახებ ამ ტერიტორიაზე (საგარეჯო-გიორგიწმინდა და ეგების, ბაკურციხეც)[89].

სპირალურ-კონცენტრულ ღარებიან ჭურჭელს ქვემოთ ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით. ამჟამად შევეცდებით ზოგადად დავახასიათოთ ის ვითარება, რომელიც, განსხვავებით შუაბრინჯაოს ხანისაგან, შეიქმნა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ეპოქაში ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ კვლავ აღდგა თითქოს შემწყდარი ურთიერთობა დასავლეთ საქართველოსთან, კერძოდ, აღნიშნავენ, რომ ეს ურთიერთობა შიდა ქართლთან გვიანბრინჯაოს ხანის დამდეგიდანვე შეიმჩნევა[90]. მართლაც, ფრიად საინტერესოა, რომ მაგალითად, წაღვლის სამაროვანზე №91 სამარხში, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის უადრეს პერიოდს განეკუთვნება, სპირალურ-კონცენტრული ღარებით შემკულ ქოთანთან ერთად აღმოჩნდა. ე. წ. „ფრინველის მკერდისძვლისებურ ყურიანი“ კათხა[91] – ტიპიური ჭურჭელი კოლხური კერამიკისთვის[92]. შენიშნულია ისიც, რომ თითქოს შემდგომში დასავლური გაველენა შიდა ქართლში თანდათან ძლიერდება, რაც გამოიხატება არა მხოლოდ კერამიკის ორნამენტაციით (ე. წ. „პარკეტული ორნამენტი“, სავარცხლისებური იარაღით დატანილი შტამპი), არამედ ბრინჯაოს კოლხური ცულების, თოხების, სეგმენტისებური იარაღის გავრცელებით და სხვ[93]. ვარაუდობენ კოლხური ტომების შემოღწევასაც კი შიდა ქართლში, ლიახვისა და არაგვის ხეობებში[94].

კოლხური ტომების დიფუზიას ვარაუდობენ ჩრდილოეთ კავკასიაშიც (ყობანის კულტურა)[95] და, რაც ჩვენთვის საინტერესოა, მესხეთის ტერიტორიაზე. ეს დასტურდება არა მხოლოდ არქეოლოგიური არტეფაქტებით, არამედ კოლხური ტოპონიმიკითაც[96].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დასტურდება კოლხეთთან ეთნიკურად და კულტურულად დაკავშირებული მოსახლეობა[97].

მეორე მხრივ, აღნიშნავენ, რომ შიდა ქართლი ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსთვის იორ-ალაზნის კულტურის ძლიერ გაელენას განიცდის, რაც ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ბრინჯაოს იარაღის გავრცელებით გამოიხატება[98].

საერთოდ, შუაბრინჯაოს პერიოდისაგან განსხვავებით, გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნებიდან მონაპოვარი არტეფაქტები ადასტურებენ საბრძოლო იარაღის მომრავლებას, რაც, რა თქმა უნდა, ტომთა შორის ურთიერთბრძოლის და რბევა-თარეშის მომასწავლებელია.[99]

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შიდა ქართლია სწორედ ამ საომარი შეხლა-შემოხლის სარბიელი, ანუ შიდა ქართლი (თრიალეთის ჩათვლით) – ყველაზე აქტიური სუბიექტი შუაბრინჯაოს პერიოდში ცენრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური თუ

პოლიტიკურ-დემოგრაფიული პროცესებისა – გვიანბრინჯაოს ხანაში გადაიქცა ამ დიდი მოძრაობის პასიურ ასპარეზად.

ვფიქრობთ – მცდარი შთაბეჭდილებაა.

ჯერ ერთი, თუკი, მართლაც ხდებოდა კოლხური ეთნიკური ინფილტრაცია შიდა ქართლში, რაოდენობის თვალსაზრისით, ეს ფრიად უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო და ყოველ შემთხვევაში საუბარი შიდა ქართლის ტერიტორიაზე კოლხური მოსახლეობის არსებობის შესახებ, რომელიც კულტურულადაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული კოლხეთთან,[100] უსაფუძვლოა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში შიდა ქართლში ითხრებოდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი – ხოვლეგორა, რომელიც, ფაქტობრივად, ეტალონური ძეგლი აღმოჩნდა ამ ეპოქის არქეოლოგიური თუ სოციალურ-პოლიტიკური და ეთნიკური პრობლემების გასაშუქებლად ცენტრალური კავკასიის გარკვეული რეგიონისთვის მაინც. სამწუხაროდ, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ამ შესანიშნავი ძეგლის მონოგრაფიული გამოკვლევის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, რაც ჩვენი არქეოლოგიური მეცნიერების დიდი დანაკლისია. მოხერხდა მხოლოდ ხოვლეგორის ნამოსახლარის განათხარი მასალის ნაწილობრივი პუბლიკაცია, რომელმაც ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პრობლემის გაშუქების საქმეში, ვფიქრობთ, არცთუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა. კერძოდ, ნათელი გახდა, რომ მიუხედავად ცალკეული ნიშნებისა, რომელნიც აღმოსავლეთი საქართველოს კოლხურ სამყაროსთან ურთიერთობაზე აშკარად მიუთითებენ, რაც როგორც უკვე ვიცით, გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპიდანვე სრულიად ბუნებრივია, კოლხური ეთნიკური მასივის არსებობის შესახებ საუბარი შიდა ქართლში გამორიცხულია. „სრულიად ძალდაუტანებლივ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხოვლეს უძველეს ნამოსახლარზე (VIII-IV ჰორიზონტები) ცხოვრობდა კულტურულად და ეთნიკურად ერთი მოდგმის მოსახლეობა, რომლის შემოქმედებასაც წარმოადგენს ხოვლური შავლეგა (და წაბლისფერი) კერამიკა. რადგან ეს უკანასკნელი იგივე ფორმებითა და ონამენტაციით განაგრძობს არსებობას III და II (და I?) ჰორიზონტებშიც, უნდა დავასკვნათ, რომ ამ პერიოდშიც იმავე მოსახლეობასთან გვაქვს საქმე. ზემოაღნიშნული ეს გარემოება მტკიცდება არა მარტო კერამიკის შესწავლით, არამედ მატერიალური კულტურის სხვა გამოვლინებებითაც (ერთიანი სამშენებლო ტექნიკა VIII-III ჰორიზონტებში; იდენტური საცხობი ღუმლები VI-III ჰორიზონტებში; ცხვრის თავის ქანდაკებები VIII-V ფენებში). ასე რომ დაახლოებით ერთი ათასწლეულის მანძილზე ჩვენ ხოვლეს ნამოსახლარზე ეთნიკურად ერთსა და იმავე მოსახლეობას ვხედავთ. რა თქმა უნდა, აქ ერთ სოფელზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მაინცდამაინც მთელ (თუნდაც მცირე) მხარეზე“[101].

ეს რომ, მართლაც, ასეა ამას 1955 წელს შიდა ქართლში ჩატარებული დაზვერვითი ექსპედიციაც მოწმობს, რომელიც სწორედ ბრინჯაოს ხანის სამოსახლო „გორების“ აღმოჩენა-ფიქსაციის მიზნით იყო წარგზავნილი. მოხილული იქნა ფრონეს, დვანის წყლის, დიდი და პატარა ლიახვის და ქსნის ხეობები. გამოვლენილ იქნა 40-ზე მეტი ნამოსახლარი. ექსპედიციის დასკვნით: „რაც შეეხება... მოხილული სამოსახლო გორების გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანის მატერიალურ კულტურას, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იგი ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით თავიდან ბოლომდე ერთიანია, რაც რასაკვირველია სრულებითაც არ გამორიცხავს თავისებურებებს დეტალებში. მხედველობაში გვაქვს კერამიკა, რომელიც ტექნიკური თვისებებითაც და ორნამენტაციითაც ცალკეული გამონაკლისების გარდა, იდენტურია ყველა სამოსახლო გორაზე. ცხადია, ყველაფერი ეს, ტექნო-კერამიკული ტრადიციების ერთიანობასთან ერთად, შესაძლებელია მიუთითებდეს ეთნიკურ ერთიანობაზეც“.[102]

მეორე მხრივ, „ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხოვლეს ნამოსახლარის გათხრით გამოვლენილი კულტურა, ძირითადად, გამოხატული კერამიკული ნაწარმით, ამ უკანასკნელის მიხედვითვე წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის არქეოლოგიური კულტურის აშკარად გამოხატულ ერთ-ერთ ლოკალურ წრეს“[103].

შემდგომმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ყოველივე ზემოთქმული, ფაქტობრივად, დაადასტურა და მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლში 70-ზე მეტი კოლხური ცული, 40-მდე თოხი და 30-მდე სეგმენტისებური ბრინჯაოს იარაღია აღმოჩენილი[104], რაც, რა თქმა უნდა, დასაელეთ საქართველოსთან ინტენსიურ ურთიერთობაზე მიუთითებს, მაინც საუბარი კოლხური ეთნიკური მასივის არსებობაზე შიდა ქართლში გადაჭარბებულია. ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ზემოხსენებული შიდა ქართლური კერამიკა[105].

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ, როდესაც კოლხური კულტურის გავლენაზე საუბრობენ, მხედველობაში, ფაქტობრივად, ლითონის ინვენტარი აქვთ. მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ არ არსებობს წინაანტიკური ხანის არც ერთი ძეგლი (გარდა თლიის სამაროვნისა) შიდა ქართლში, რომელშიც რაოდენობის თვალსაზრისით კოლხური ლითონი აჭარბებდეს ადგილობრივს[106]. რაც შეეხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ მთიანეთში, ლიახვის სათავეებში მდებარე სოფ. თლიას, სადაც, როგორც ჩანს, კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმო უნდა ყოფილიყო და სადაც ვარაუდობენ კოლხური ეთნიკური ნაკადის დიფუზიას[107], აქაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ

მოსულთა სწრაფი ასიმილაცია უნდა მომხდარიყო, რასაც კერამიკული მასალა გვიმოწმებს (იხ. ქვემოთ).

ასეა თუ ისე, ცხადია, არქეოლოგიური არტეფაქტები შიდაქართლურ და კოლხურ სამყაროთა ფრიად ინტენსიურ სავაჭრო, კულტურულ და ალბათ, სამხედრო ურთიერთობებზე მიგვითითებს გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპისთვის[108].

§ 6. – ძართული ცული და კერამიკა

ასეთივე ურთიერთბაა, როგორც ვიცით, აღმოსავლეთ პერიფერიაზე, იერისა და ალაზნის აუზებში მოსახლე ტომებთან.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდი ანუ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი და I ათასწლეულის პირველი საუკუნეები, ეს ის ხანაა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ბარში საირიგაციო მიწათმოქმედების განვითარების შედეგად ყალიბდება ე. წ. „ხევების სისტემა“[109] და ამის საფუძველზე, საბოლოოდ, წარმოიქმნება ის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნო-პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც მთელი შუა საუკუნეები დამახასიათებელია საქართველოსთვის და დღემდეა შემორჩენილი ეთნოგრაფიული მხარეების სახით.

ჩვენ ეთნოგრაფიული „ქართლის“ ჩამოყალიბება უკვე შუაბრინჯაოს პერიოდში ვიგულისხმეთ (იხ. ზემოთ). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურათა ლოკალური ვარიანტები აშკარად მიუთითებენ არა მხოლოდ ქართლის, არამედ კახური, ჰერული, მესხური (ე. წ. ჰიბრიდული ცულების გავრცელების არეალი)[110] და, რა თქმა უნდა, კოლხური ტომების განსახლების არეალზე[111]. შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარება ამ ეთნოგრაფიულ მხარეთა ეთნიკურ-ტერიტორიული ინტეგრაციის მიმართულებით წარიმართა.

ეს პროცესი, როგორც ვიცით, არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო მშვიდობიანი და, რაც მთავარია, სრულიად წარმოუდგენელია ქართლი არ ყოფილიყო აქტიური მონაწილე ამ დაძაბული ურთიერთბრძოლისა, რომელიც სწორედ **ქართლის სამეფოს** წარმოქმნით დასრულდა. ეს კი იმის უცილობელი მოწმობაა, რომ მაინცდამაინც ქართლის ტომი ანუ „ქართუელნი“ იყვნენ ამ გლობალური მოძრაობის წარმმართველნი.

ვფიქრობთ, საამისო არქეოლოგიური დოკუმენტაციაც არსებობს. პირველ რიგში, ეს არის სიმეტრიულ ფრთებიანი საბრძოლო ცული – კავკასიური ბრინჯაოს მეტალურგიის ერთ-ერთი უმშვენიერესი ნიმუში კოლხურ ცულთან ერთად. მას, ჩვეულებრივ, ცენტრალურ-ამიერკავკასიურ ცულს უწოდებენ, რადგან, ფაქტობრივად, მხოლოდ ამ ტერიტორიაზეა გავრცელებული.

ამ საბრძოლო ცულის წარმომავლობის საკითხი დღემდე საკამათოა. აღნიშნავენ, რომ წარმოების ძირითადი ცენტრის გამოყოფა ძნელია[112]. მართლაც, თუ არქეოლოგიური ლიტერატურის მიხედვით ვიმსჯელებთ, ასეთი ცენტრი ამიერკავკასიაში (ჩამოსასხმელი ყალიბების მიხედვით) არაერთია: ითხვისი, ცხინვალი, ოფრეთი, განთიადი (საქათველოში), გუმბრი, კარმირბლური (სომხეთში), შამქორი (აზერბაიჯანში)[113], გარდა ამისა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლორე-ბამბაკის მხარე, აქ აღმოჩენილი ჩვენთვის საინტერესო ცულებისა და სხვა არტეფაქტების მიხედვით, უეჭველია, წარმოადგენდა ერთ-ერთ უძლიერეს მეტალურგიულ კერას კავკასიის და წინააზიის ტერიტორიაზე[114]. ყოველივე ზემოთქმული სწორია, მაგრამ, ვფიქრობთ, სწორია ის მოსაზრებაც, რომ ბრინჯაოს ეს შესანიშნავი იარაღი ქართლური წარმომავლობისაა[115].

ჯერ ერთი, მხედველობაში მისაღებია ის, ფაქტობრივად, ყველა არქეოლოგის მიერ გაზიარებული თვალსაზრისით, რომ გვიანბრინჯაოს ხანის სიმეტრიულ ფრთებიანი ცულის უშუალო პროტოტიპია შუაბრინჯაოს ხანის „თრიალეთური კულტურის“ ბოლო ეტაპის კიროვაკანულ ყორღანში აღმოჩენილი ცული რომლისგანაც, „იწყება სერია განსაკუთრებული კავკასიური საბრძოლო ცულებისა“[116]. „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა“ კი, როგორც ვიცით, ძირითადად, სწორედ აღმოსავლელქართველი ტომების ანუ „ქართველთა“ კულტურაა.

შემდეგ, ამ ცულთა ქართლურ წარმომავლობას მხოლოდ ის ფაქტი კი არ მოწმობს, რომ სწორედ ქართლის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი მათი დიდი უმრავლესობა ისევე, როგორც ჩამოსასხმელ ყალიბთა უმეტესობა[117], არამედ ისიც, რომ თუ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მხოლოდ რვა პუნქტშია ისინი აღმოჩენილი, ხოლო დღევანდელ სომხეთში – ოცდაორში[118], საქართველოში ასეთი ორმოცდაათზე მეტი პუნქტია, რომელთაგან ოცდახუთი ქართლშია[119]. ქართლის ამ პუნქტებს უნდა დავუმატოთ და სომხეთის ნუსხას გამოვაკლოთ თერთმეტი პუნქტი (ვორნაკი, კიროვაკანი, სტეფანავანი, ლორუტი, აკნერი, ახთალა, ნოემბერიანი, იჯევანი, დილიჟანი, ალავერდი და ხაშტარაკი), რადგან ისინი სწორედ ლორე-ბამბაკის ხეობებში მდებარეობენ, ანუ ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. ასე რომ მხოლოდ ქართლში ოცდათექვსმეტი პუნქტია, სადაც ე. წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულის აღმოჩენაა დადასტურებული, ხოლო

სომხეთში – თერთმეტი. ამ არითმეტიკას თუ დავუმატებთ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, რომ ლორე-ბამბაკის მხარე გვიანბრინჯაოს ხანაში ფრიად მნიშვნელოვანი მეტალურგიული ცენტრი უნდა ყოფილიყო, მაშინ სიმეტრიულ ფრთებიანი ცულის ქართლური წარმომავლობა კიდევ უფრო სარწმუნო გახდება. აი, ამიტომ ვუწოდებდით ჩვენ ამ იარაღს „ქართლურ ცულს“[120].

„ქართლური ცულის“ გაერცელება სხვადასხვა მიმართულებით: დასავლეთით – კოლხეთის აღმოსაელეთ მხარეში (ითხვისი, ბეჟათუბანი, პერევი, ზემო სიმონეთი, რაჭა, ლეჩხუმი), სვანეთში; აღმოსავლეთით – კახეთ-ჰერეთში (მატანი, შილდა, ლაგოდეხი, იყალთო, მელაანი, ჩალაუბანი, სიღნაღი, ბაკურციხე, არაშენდა, ახალსოფელი და სხვ.) და დასავლეთ აზერბაიჯანში; სამხრეთ-დასავლეთით – მესხეთში (ბორჯომი, ახალციხე, მზეთამზე, ჭობისხევი, თელოვანი, მეხჩისციხე, ბაკურიანი, ხიზაბავრა, ზუნდაგა)“*, სამხრეთით – არაქსის აუზი[121], ჩვენ ქართლის პოლიტიკური და კულტურული ექსპანსიის ნიშანდობლივი მაჩვენებელი გვგონია ისევე, როგორც ე. წ. ფოთლისებური სატევრის გავრცელება იმავე რეგიონებში[122], რასაც, საფიქრებელია, ნაწილობრივ მაინც, თან სდევდა „ქართუელთა“ ეთნიკური დიფუზია. ამას უნდა მოწმობდეს კერამიკა.

მხედველობაში გვაქვს ზემოთ განხილული „სპირალურ-კონცენტრულ ღარებიანი“ ჭურჭელი, რომელიც ჩვენი ვარაუდით (იხ. ზემოთ), შესაძლებელია განსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთი ეთნიკური მასივის განსახლებაზე მიუთითებდეს. გასული საუკუნის 50-იან წლებში, თვით ამ ეთნიკური მასივის იდენტიფიკაციისაგან თავს ვიკავებდით, ვიდრე მყარად არ გადაიჭრებოდა სამთავროს უძველეს ორმოსამარხთა კულტურის ეთნიკური კუთვნილების საკითხი[123].

საინტერესოა, რომ ზოგიერთი მეცნიერი ზემოხსენებული კერამიკის არსებობას შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ კომპლექსებში, სავარაუდოდ, ახალი ეთნიკური მასივის გამოჩენას უკავშირებდა[124]. ჩვენი აზრით, ეს ინოვაციები არა ეთნიკური ცვლილებების, არამედ ტექნიკური პროგრესის, სახელდობრ (როგორც უკვე იყო მითითებული), ჯერ ნელამბრუნავი, შემდეგ კი სწრაფადმბრუნავი ჩარხის თანდათანობითი გავრცელების შედეგია.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ქართლის ტერიტორიაზე ეთნიკური და არქეოლოგიური კონტინუიტეტის შესახებ, დღეისათვის შიდა ქართლის ძეგლების არქეოლოგიური გათხრით გამომზეურებული მასალის ანალიზის საფუძველზე, როდესაც ხოვლეგორის და შემდგომ ამ რეგიონის „ნა-

* ჭობისხევის, მზეთამზის, ხიზაბავრას და ბაკურიანის (ანდეზიტის), ცულების შესახებ ცნობა მოგვაწოდა ირ. ღამბაშიძემ.

მოსახლარების შესწავლამ გვიჩვენა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში ჩამოყალიბებული სახლმშენებლობის ტრადიციები (დატერასება, სახლის გეგმარება, მშენებლობის ტექნიკის თავისებურება, ინტერიერი, ინტერიერის წამყვანი ელემენტების განვითარება) არსებობას აგრძელებენ რკინის ფართო ათვისების ხანის დასასრულამდე. მეტიც, უფრო მოგვიანებით, ეს ტრადიციები თავს იჩენს შიდა ქართლის ელინისტური ხანით დათარიღებულ ნამოსახლარებზე"[125], თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად უცხოთესლთა შესაძლებელი ეპიზოდური ინფილტრაციისა, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი (და რასაც ყველა ეპოქაში, შუა საუკუნეებისა და XIX ს-ის ჩათვლით ჰქონდა ადგილი), ქართლის ძირითადი ავტოქტონური მოსახლეობა „ქართველების" ტომები უნდა ყოფილიყვნენ და მაინცდამაინც მათი კუთვნილი გვგონია ჩვენ „სპირალურ-კონცენტრულ ღარებიანი" კერამიკა, რომელიც დიდი რაოდენობით სწორედ სამთავროს სამაროვნის გვიანბრინჯაოს ხანის უძველეს ორმოსამარხებშია აღმოჩენილი[126].

ამ ჯგუფის ჭურჭლეულის აღმოჩენის ადგილების მიხედვით, რომელთა უმეტესობა სამთავროს სამაროვანთან ერთად, შიდა ქართლზე მოდის: ჩარდახი[127], კასპი, ნოსტე, თელათგორი[128], კავთისხევი[129], ხოვლეგორა[130], ნავთლუღი, ავჭალა[131], თრელიგორები[132], წაღვლი[133], ლილო[134], სტირფაზი[135], თლია[136], საფიქრებელია, (მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კერამიკა ქვემო ქართლშიც გვხვდება, იხ. ზემოთ; აგრეთვე[137]), იგი შიდაქართლური და თრიალეთური[138] ნაწარმი იყოს. რაც შეეხება მსგავსი ქოთნების აღმოჩენას კახეთში, სადაც, მაგალითად, გულგულას სამაროვნებზე, ისინი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი[139] და ჰერეთში (საგარეჯო, გიორგიწმინდა, იყალთო, ბაკურციხე და სხვ.) ეს ფაქტი ამ ტერიტორიაზე შიდა ქართლელთა ინფილტრაციის მანიშნებელი გვგონია, რაც მიგვითითებს, რომ უკვე ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო ჰერული ტომების აღმოსავლელქართველებთან შერწყმის პროცესი. სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით ასეთივე ინფილტრაციის მოწმობა უნდა იყოს თურქეთის ქალაქ ყარსის ისტორიულ მუზეუმში „თრიალეთური კულტურის" მასალასთან ერთად გამოფენილი აშკარად „სამთავროული კერამიკა", რომელიც ანისის, ყარსის და არტაანის მიდამოებშია აღმოჩენილი[140].

საინტერესოა, რომ ამ პერიოდში – გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში – ძველაღმოსავლურ წყაროებში ჩნდება ცნობები ქართველ ტომთა შესახებ, რომელნიც მტკვარ-არაქსისა და ევფრატ-ჭოროხის სათავეებში განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევიან. ექვსი საუკუნის განმავლობაში (ძვ. წ. XII-VI საუკუნეებში) ტაოელები, კოლხები, ხალიბები და სასპერიბერნი, ძველაღმოსავლურ იმპერიებთან, ჯერ ასურეთთან, შემდეგ ურარტუსთან, სასტიკი ბრძოლის პირობებში, ცდილობდნენ გაერთიანებას და ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას, მაგრამ სამწუხაროდ ეს

მცდელობანი წარუმატებელი აღმოჩნდა და საბოლოო ჯამში, მათი ტერიტორიების დიდი ნაწილი აქემენიდური ირანის იმპერიის ფარგლებში მოექცა[141]. ეთნიკური და პოლიტიკური განვითარების სიმძიმის ცენტრმა კვლავ სამხრეთი კავკასიის შინაგან რეგიონებში გადმოინაცვლა.

ძვ. წ. VI-I საუკუნეების ბერძენი მწერლების ცნობათა მიხედვით, კოლხეთის სამეფო მთელი დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა, ჩრდილო-დასავლეთით მისი საზღვარი ნიკოფსიამდე აღწევდა, ანუ დღევანდელ მდ. ნეგოფსუხოს ხეობამდე (ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით 40-იოდე კმ-ზე). დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დასავლურქართული ტომები (კორაქსები, კოლები, სვანები და სხვ.) ცხოვრობდნენ, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით უკიდურესი პუნქტი აფსაროსი იყო ანუ დღევანდელი გონიო[142].

საქმე ის არის, რომ აღმოსავლელქართველ ტომთა ზემოხსენებული ექსპანსიის შედეგად, ძვ. წ. VI ს-თვის, როგორც ძვ. წ. III საუკუნის ბერძენი მწერალი მეგასთენე მოგვითხრობს, ისინი უკვე შავი ზღვის სანაპიროზე არიან გასულნი, რის შედეგადაც დასავლურქართული ტომების მასივი ორად გაიყო. ამან დროთა განმავლობაში მეგრული და ჭანური ტომების ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი. ამის შედეგი იყო აგრეთვე ის ზემოხსენებული ვითარება, რომ ძველი „კოლხას სამეფოს“ ტერიტორიამ, ფაქტობრივად, დასავლეთი საქართველოს ფარგლები მოიცვა.

კოლხეთის სამეფოს აღმოსავლეთი პერიფერია, აღმოსავლურ–ქართული კულტურის გავლენის სფეროში იყო მოქცეული, რაც როგორც ვიცით, იქ (მტკვარ-არაქსის კულტურას რომ თავი გავანებოთ) უკვე გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდანვე შეიმჩნევა[143] (იხ. ზემოთ).

ასეთი ვითარება, კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარშიც გრძელდება. ასე მაგალითად, თუ ყვირილას ხეობის ათეულობით ნამოსახლარებიდან მოპოვებული განათხარი თუ ანაკრეფი კერამიკული მასალა მოწმობს, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდში აქ კოლხური მოსახლეობაა[144], უფრო გვიან, წინარე ანტიკური ხანის სამეთუნეო ნაწარმი თავისი ფორმით და ორნამენტაციით ფრიად ახლო დგას აღმოსავლურ ქართულ ჭურჭელთან[145] და ამ რეგიონში, დასავლურქართული ელემენტების სიჭარბის მიუხედავად, შერეული კულტურის არსებობაზე მიუთითებს[146]. ასეთი კონტაქტები, ცხადია, შეუძლებელია ცოცხალი ადამიანური ურთიერთობების გარეშე და, მართლაც, სრულიად საფუძვლიანად, ძველი არგვეთის ტერიტორიაზე შიდა ქართლელთა დიფუზიასაც გულისხმობენ, მაინცდამაინც ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში[147].

ქართველურ ტომთა კულტურული და ეთნოგენეტიკური შერწყმის თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა ამავე საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეულ რეგიონში ფიქსირებული არქეოლოგიური ფაქტი.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეები მახლობელ აღმოსავლეთში კატაკლიზმების ეპოქაა (სკვითების შემოსევა, მიდიის გაძლიერება, ბაბილონის აღზევება, ასურეთის იმპერიის და შემდეგ ურარტუს სახელმწიფოს დანგრევა), რასაც არ შეიძლება ხალხთა ამოძრავება არ გამოეწვია. ჩვენი აზრით ამით იყო გაპირობებული, ქართლის ტერიტორიაზე სამხრეთიდან ურარტუს არეალში მყოფი, ალბათ, ქართველივე ტომის შემოჭრა, რაზეც უნდა მიუთითებდეს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ხოვლეგორის ნამოსახლარზე მანამდე უცნობი „წითლადგამომწვარი კერამიკის“ გამოჩენა. ჩვენ აღვნიშნავდით: „მიუხედავად იმისა. რომ, როგორც უკვე ვთქვით, ცვლილება საკმაოდ უეცარი, სწრაფი და მძლავრი ჩანს, მაინც აქ ლაპარაკი რაიმე კატასტროფაზე ან ძალდატანებაზე არ იქნებოდა მართებული. საამისო საბუთებს ხოვლეს ნამოსახლარის IV ჰორიზონტი არ იძლევა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ახალი ეთნიკური ელემენტის არა ძალდატანებით შემოჭრასთან, არამედ ინფილტრაციასთან. საკმაოდ ინტენსიურ, მაგრამ მაინც ინფილტრაციასთან, რასაც სრული სიცხადით მოწმობს, როგორც ძველი, ადგილობრივი კერამიკის თანაარსებობა შემოტანილთან, აგრეთვე ძველი ყოფაცხოვრებითი ტრადიციების არსებობა (სამშენებლო ტრადიცია, საცხობი ღუმლები...)“[148]. ეს და სხვა, ანტიკური წყაროების ნიშანდობლივი რეალიები[149], გვაძლევდა უფლებას გვეფიქრა, რომ ახალი კულტურული ნაკადის შემომტანნი ქართულივე ტომები უნდა ყოფილიყვნენ.

აქვე, ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული საბუთიერი მტკიცებულების მიმართ ზოგიერთი არქეოლოგის არაკორექტული დამოკიდებულების საფუძველზე[150] შემუშავებული, არასწორი კონცეფცია, თითქოს ქართლში „წითელკეციანი კერამიკის“ გამოჩენა იწყება არა ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისიდანვე, არამედ თვით V საუკუნეშიც კი იგი იშვიათობას წარმოადგენს[151]; რომ ძვ. წ. VII-VI სს-ის ძეგლებზე ამ ჯურის სამეურნეო ნაწარმის არსებობა აქ არ დასტურდება[152] და რომ მისი გავრცელება ივარაუდება ძვ. წ. V საუკუნეში აქემენიდური ირანიდან[153].

არც ერთი ამ დებულებათაგან არ არის სწორი. საქმე ის არის, რომ, ჯერ ერთი, ხოვლეს ნამოსახლარის ის სტრატიგრაფიული ფენა, რომელშიც უეცრად დიდი რაოდენობით ჩნდება ზემოხსენებული ჭურჭლეული, ჩვენი აზრით, საკმაოდ მყარად არის დათარიღებული ძვ. წ. VI ს-ით[154]; შემდეგ, თუ შიდა ქართლის მტკვრის მარცხენა მხარის ამ პერიოდის განათხარ ნა-

მოსახლარებზე „წითელკეციანი კერამიკა“ არ გვხვდება*, ეს არ ნიშნავს, რომ მტკვრის მარჯვენა მხარეს და ქვემო ქართლშიც იგივე ვითარებაა. რამდენადაც ვიცით, აქ ამ დროის ნამოსახლარები არ გათხრილა, ხოლო სამაროვნებზე, რომელთა ინვენტარი, როგორც წესი, უფრო კონსერვატიულია და ადეკვატურად ვერ ასახავს ყოფაში მომხდარ ცვლილებებს, ძვ. წ. VI ს-ის სამარხებში წითლად გამომწვარი და წითლად ანგობირებული ჭურჭელი უკვე გვხვდება, მაგალითად, თრიალეთში[155] და სიონში[156]; დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხოვლეს ნამოსახლარზე გამოვლენილი „წითელკეციანი კერამიკა“ ურარტულია, როგორც ფორმით და ორნამენტაციით (რელიეფურ-გრეხილ სარტყლიანი ქვევრები, „სიგარისებური“ სალუდე დერგები. სხვათაშორის სწორედ ურარტული ორყურა ქილა აღმოჩნდა სიონშიც), ისე ტექნოლოგიური თვისებებითაც[157] და ამიტომ ხოვლე III ჰორიზონტს, რომელსაც სწორედ ეს კერამიკა ახასიათებს, ვერ დავათარიღებთ ძვ. წ. VI ს–ის მიწურულით და V საუკუნის I ნახევრით[158], როდესაც საუკუნეზე მეტი იყო გასული, რაც აღარ არსებობდა ურარტუ და, ცხადია – აღარც ურარტული წითელკეციანი კერამიკა[159].

ამგვარად, სამხრეთიდან ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისში, ურარტული სამყაროდან, გარკვეული ეთნიკური ნაკადის, როგორც ჩანს, ქართველივე ტომის, ინფილტრაცია, ქართლის აბორიგენ მოსახლეობაში საკმაოდ დასაბუთებული ვარაუდია და ასახავს არქეოლოგიური არტეფაქტებით არეკლილ იმ ცოცხალ ურთიერობებს, რომელიც ფრიად ინტენსიურად ვითარდებოდა ადრეანტიკურ ხანაში ქართველ ტომთა შორის.

§ 7. – კოლხეთის და ქართლის ურთიერთობა

ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო საინტერესოა, ელინისტური ეპოქის არქეოლოგიური მასალა. მართლაც, ძვ წ. IV საუკუნის II ნახევრიდან კარგად ჩანს ფრიად გაცხოველებული პოლიტიკური და სავაჭრო-კულტურული ურთიერთობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ანუ კოლხეთისა და ახლადჩამოყალიბებული ქართლის სახელმწიფოებს შორის.

კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში, კერძოდ, შუასაუკუნეებში კარგად ცნობილი არგვეთის პროვინციაში ვრცელდება ქვევრსამარხებში დაკრძალვის წესი, რაც დამახასიათებელია ამ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს-

* თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1955 წლის დაზვერვების დროს შიდა ქართლის არაერთ ნამოსახლარ „გორაზე“ (ქვასათალი, კარალეთი, აჩაბეთი, ავნევი და სხვ.) აიკრიფა წითლად გამომწვარი კერამიკის ფრაგმენტები, რომლებიც, შეიძლებელია, სწორედ ადრეანტიკური ხანის ფენის არსებობაზე მიუთითებენ.

თვის. ჩნდება კერამიკის ახალი ფორმები, კერძოდ, ე. წ. მსხლისებურტანიანი პირგადაშლილი დოქები. ყოველივე ეს აღმოსავლურქართული კულტურული იმპულსების მაჩვენებელია, რაც ეთნიკურ ინფილტრაციასაც უნდა გულისხმობდეს[160], კერძოდ, ინფილტრაციას შიდა ქართლიდან[161].

ამჟამად ეს ახალი ეთნოკულტურული ნაკადი, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანასთან შედარებით უფრო ღრმად იჭრება დასავლეთ საქართველოში და რიონის შუა დინებამდე აღწევს, ვანის ნაქალაქარამდე, სადაც ზემოხსენებულ ინოეაციებთან ერთად ადრეელინისტური ხანის მოხატული კერამიკაც არის აღმოჩენილი[162]. ამ ტიპის ჭურჭელი, კერძოდ კი, შესანიშნავი მოხატული პატარა დოქები, რომელთა პირველი ნიმუშებიც 1947 წელს აღმოჩნდა თრიალეთის სოფ. ყუშჩის სამაროვანის გათხრისას[163], დღეს საკმაოდ მრავლადაა გამოვლენილი შიდა და ქვემო ქართლის სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლის განათხარი მასალით. საერთო აღიარებით ეს სამეთუნეო ნაწარმი ჩვენში ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიიდან არის შემოტანილი და გვიანფრიგიული სტილის მოხატული კერამიკის გავლენის ნიშნებს ატარებს[164]. მიუხედავად იმისა, რომ გვიანფრიგიული სტილის კერამიკის ზოგიერთი ორნამენტული მოტივი (დაშტრიხული სამკუთხედები, სამკუთხა შეერონები), მართლაც, მსგავსია ჩვენებური დოქების შემკულობისა[165], მაინც უშუალო გავლენაზე საუბარი ზედმეტია, რადგან ეს სინოპური ჭურჭელი ძვ. წ. VI ს-თ თარიღდება[166]. ხოლო ქართლური მოხატული კერამიკის უადრესი ნიმუშები, ჩვენი აზრით, ადრეელინისტურ ხანაზე ძველი არ არის.

და მაინც, სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ ამ ჯგუფის კერამიკა ქართლის ტერიტორიაზე ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიდან ვრცელდება.

ეს ფრიად მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა კვლავ იმ დიდი მიგრაციული ტალღის შედეგი უნდა ყოფილიყო, რომელიც ამჟამად ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნგრევით გამოწვეული კატაკლიზმებით იყო გაპირობებული და ჩვენს უძველეს მატიანეში აზო არიან ქართლის მეფის ძის სახელთან არის დაკავშირებული, რომელიც „წარვიდა არიან ქართლად მამისა თჳისისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას“. აი, ამ (მესხ?) მიგრანტებს უნდა შემოეტანათ ქართლში ჭურჭლის მოხატვის ტექნოლოგია, რომელიც შემდეგ ქართლიდან დასავლეთ საქართველოშიც ვრცელდება[167]. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1978 წელს მივანიშნებდით[168].

ქართლისა და დასავლეთი საქართველოს ორმხრივი სავაჭრო-კულტურული ურთიერთობა კარგად არის შემჩნეული ვანის №10 სამარხის ინვენტარის მიხედვით, რომელშიც, ზემოხსენებული „ქართლური“ მოხატული პატარა დოქის გარდა, აღმოჩნდა უჩვეულო ფორმის სასმისი მსგავსი სამად-

ლოში გამოვლენილი ჭურჭლისა, სადაც იგი უეჭველად შემოტანილი უნდა იყოს, ალბათ, სწორედ კოლხეთიდან.[169]

ამ საკმაოდ და კულტურული გაცხოველებული ურთიერთობის ნათელი ილუსტრაციაა ის ფრიად საინტერესო ფაქტიც, რომ ელინისტური ხანის სამადლოს ნაქალაქარის მშენებლობაში, როგორც პეტროგრაფიულმა ანალიზმა დაადასტურა, ადგილობრივ მასალასთან ერთად, გამოიყენებოდა დღესაც კარგად ცნობილი დასავლურქართული ეკლარის კირქვის კვადრები.[170]

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ინტენსიურ ადამიანურ ურთიერთობათა მაუწყებელია, რაც, ეჭვი არ არის კულტურულ ნიველირებასაც განაპირობებდა. ეს პირველ ყოვლისა, ელიტარულ საზოგადოებაში უნდა გამოხატულიყო და ზემოხსენებული მოხატული ჭურჭელი სწორედ ამის მაჩვენებლი უნდა იყოს.

ტენდენცია კულტურული ერთიანობისკენ, თითქოს ხალხის ფართო მასებშიც მჟღავნდება, კერძოდ, ერთნაირი სამკაულის გავრცელებით. მხედველობაში გვაქვს ბრინჯაოს მავთულის რკალგახსნილი და ზურგშედრეკილი სამაჯურები, რომელთა ბოლოებიც ბურთულებისებრ შესქელებულია ან სქემატურად გადმოსცემენ რომელიღაც ცხოველის თავებს. ასეთი სამაჯურები მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული და გვხვდება როგორც აღმოსალეთში (ქართლი, თრიალეთი, კახეთი, არაგვის ხეობა, სტეფანწმინდა), ისე დასავლეთში (დაბლაგომი, ეშერა). ეს სამაჯურები აქემენიდური ხანის ირანის ოქროს მასიური, ცხოველისთავიანი სამაჯურების მინაბაძებია[171] და ცხადია, დასაელეთ საქართველოში აღმოსავლეთიდან გავრცელდნენ.

ქართლის სამეფოს (იბერიის) წარმოქმნის შემდეგ აღმოსაელური გაელენა დასავლეთზე, როგორც ჩანს, კიდევ უფრო ძლიერდება და დასავლური ელიტარული საზოგადოება ქართლურ-იბერიულ კულტურას ორგანულად ითვისებს. ამას ხელს უწყობს პოლიტიკური ვითარებაც.

ასე მაგალითად, როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით უკვე ქართლის პირველი მეფის, ფარნავაზის დროს, დღეანდელი აჭარის ტერიტორია ქართლის სამეფოშია ისევე, როგორც არგვეთი. რაც შეეხება აჭარას, ეს სხვა უცხოური წყაროებითაც დასტურდება[172], მაგრამ არგვეთთან დაკავშირებით ეჭვია გამოთქმული. საქმე ის არის, რომ ლეონტი მროველის მიხედვით, შორაპნის ციხე-სიმაგრე ზემოხსენებული ფარნავაზის მიერაა აგებული, თუმცა იქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძვ. წ. IV-III საუკუნეების ფენა არ გამოვლენილა და უადრესი სამშენებლო ჰორიზონტი ძვ. წ. I საუკუნისაა. ამის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ მემატიანე ცდება, ფარნავაზ II-ის საქმიანობას ფარნავაზ I-ს მიაწერს.

აქედან გამომდინარე, არგვეთის შემოერთებაც ფარნავაზ II-ის დროს ძვ. წ. I საუკუნეში უნდა მომხდარიყო[173].

ამ მოსაზრების გაზიარება ძნელია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართლის სამეფოს წარმოქმნის დროიდანვე („ალექსანდრობითგან“) მის ფარგლებში იგულისხმება არამცთუ არგვეთი, არამედ მთელი დასავლეთი საქართველო („ეგრისწყლამდე“) და ეს ნაციონალური ტრადიცია დაცულია ყველა უძველეს წყაროში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ჯუანშერი, ლეონტი მროველი), რაც მის რეალურ ისტორიულობაზე უნდა მიუთითებდეს[174].

შემდეგ, ჩვენ ვიცით, რომ გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპიდანვე არგვეთის ტერიტორია აღმოსავლურქართული კულტურის ძლიერ გავლენას განიცდის და ამ დროიდანვე თუ არა, ძველი წელთაღრიცხვის VII-VI სს-დან მაინც ამ მხარეში შიდა ქართლელთა ინფილტრაციაც იგულისხმება, რაც კარგად ჩანს ადრეელინისტურ ხანაშიც. ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენია ძლიერი ქართლის სამეფოს თავის საზღვრებში არ შემოეტანა დასუსტებული კოლხეთის აღმოსავლეთი პერიფერია.

ამას ნუმიზმატიკური მასალაც უნდა მოწმობდეს: ცნობილია, რომ სწორედ ელინისტურ პერიოდში კოლხური თეთრის მიმოქცევის შეწყვეტის შემდეგ, ძვ. წ. III-II სს-ში დასავლეთ საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმახის ოქროს სტატერების მინაბაძები ვრცელდება. ნიშანდობლივია, რომ ამ მონეტათა გავრცელების არეალები მკვეთრად განსხვავებულია: ლისიმახის სტატერების მინაბაძები – საკუთრივ ეგრისში, ხოლო ალექსანდრესი – არგვეთში. მონეტათა ასეთი ლოკალიზაცია არ შეიძლება შემთხვევითი იყოს და არგვეთის ტერიტორიის აღმოსავლეთ საქართველოსთან (სადაც ასევე დასტურდება ლისიმახის მონეტებთან ერთად, ალექსანდრე მაკედონელის სტატერთა მინაბაძები) არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ დამოკიდებულებაზეც უნდა მიუთითებდეს[175]. ასე რომ, შორაპნის ციხესიმაგრის ქრონოლოგიის მიუხედავად, მარგვის ერისთავის (ეგების, კოლხეთის სამეფოს დროინდელი, საირხის, სკეპტუხიის საგვარეულოდან?) ფარნავაზის მიერ დანიშვნის შესახებ ცნობაც შეიძლება რეალური იყოს.

ასეა თუ ისე, მეგასთენეს ცნობის პირდაპირი გაგება, როგორც აღვნიშნავდით, იმას გვაფიქრებინებს, რომ ფარნავაზ I-ის დროს ქართლის სახელმწიფოს ტერიტორია ზღვაზე გადის და დღევანდელი აჭარა მის ფარგლებშია. მეორე მხრივ, „ქართლის ცხოვრების“ ჩვენება, რომ აჭარა სამცხესთან ერთად ამ სახელმწიფოს ერთ-ერთი საერისთავოა, უნდა მოწმობდეს მჭიდრო ეკონომიკურ და კულტურულ კავშირს ამ მხარეთა შორის, რაც აგრეთვე უძველესი დროიდან დასტურდება (იხ. ზემოთ). ასეთი ვითარებაა ძვ. წ. II ს-მდე, როდესაც, სტრაბონის ცნობით მესხეთის ტერიტორიის გა-

ნაწილების თაობაზე კოლხებს, იბერიელებსა და სომხებს შორის (XI, 2,18), ცხადი ხდება, რომ აჭარა კოლხეთის შემადგენლობაშია[176]. და, ალბათ, მის ერთ-ერთ სკეპტუხიას, ანუ საერისთავოს წარმოადგენს.

მაგრამ სიტუაცია კვლავ იცვლება ახალი წ. აღ. I ს-ში. პლინიუსის თანახმად დღევანდელი აჭარის ზღვისპირი კვლავ კოლხეთშია, მაგრამ საკუთრივ აჭარისწყლის ხეობა იბერიაში იგულისხმება (VI, 12). პლინიუსის ამ მოწმობიდან 50 წლის გასულს II ს-ის 30-იან წლებში, რომაელი დიდმოხელე არიანე, აჭარის ზღვისპირეთში, პლინიუსის მსგავსად, თუმცა კი ლაზებსაც ასახელებს, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს, რომ მდ. არხაევე-სუს და ჭოროხს შორის ტერიტორია, რომელზედაც ზიდრიტების ტომი ცხოვრობს, ფარსმან ქართლის მეფის მფლობელობაშია (PPE, 11), ე. ი. მის დროს ქართლის სამეფოს საზღვარი კვლავ ზღვაზე გადის.

ფარსმან ქველის მეფობისას ქართლის სახელმწიფო, როგორც ცნობილია, ფრიად ძლიერია და მისი გავლენა მეზობლებზეც მნიშვნელოვანია[177]. ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხეთი, მისი ზღვისპირა მხარე მაინც, რომის პოლიტიკური გავლენის ქვეშაა და სანაპიროს სტრატეგიულ პუნქტებში რომაელთა გარნიზონები დგას. მიუხედავად ამისა, აქ დიდია აღმოსავლურქართული კულტურის გავლენა, რომელიც სამცხიდან აჭარისწყლით ვრცელდებოდა. ამის ნათელი ილუსტრაციაა ჩვ. წ. აღ. პირველი საუკუნეების განძები და სამარხეული ინვენტარი აჭარის ტერიტორიიდან: მახოში, გონიოში, ციხისძირში, ქობულეთში (ფიჭვნარში) და აგრეთვე გურიაში (ურეკში). მეცნიერები ერთხმად მიუთითებენ აქ აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშთა ერთგვაროვნებაზე, როგორც დამზადების ტექნიკის, ისე მხატვრულ-სტილისტური სპეციფიკის მიხედვით კოლხეთის შიდა რაიონების ანალოგიურ ძეგლებთან (თაგილონი, ღები, სარგეეში, კლდეეთი, ბორი) და მათ დიდ მსგავსებაზე არმაზისხევის ცნობილ ტორევტიკულ ძეგლებთან[178]. გამოთქმულია, ჩვენი აზრით, არგუმენტირებული მოსაზრება, ახ. წ. აღ. პირველი საუკუნეების საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი ადგილობრივი კულტურის არსებობის შესახებ[179], რაც, ვფიქრობთ, დასტურდება იმითაც, რომ უკანასკნელ ხანებში საქართველოს მეორე, აღმოსავლეთის უკიდურეს მხარეს, ჭერემში, გამოვლენილია მსგავსი მდიდრული ინვენტარი[180]. როგორც ჩანს, საქართველოს ელიტარული საზოგადოება ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, ფაქტობრივად, უკვე ერთ კულტურასაა ნაზიარები, რომლის მასაზრდოებელი წყარო, შესაძლებელია მცხეთის ტორევტიკული სახელოსნოების ნიმუშებია.

საინტერესოა, რომ ამ ქართლური ელიტარული კულტურის ასეთი გავრცელების პარალელურად მიმდინარეობდა დემოგრაფიული პროცესებიც. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით „ქართველთა“ ინფილტრაციის შესახებ

ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ვფიქრობთ, რომ აჭარის შიდამთიან რეგიონში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მიუხედავად „კოლხური კულტურის“ ბატონობისა, მოსახლეობა, ძირითადად აღმოსავლურქართული მოდგმის უნდა ყოფილიყო[181]. ზღვისპირეთში კოლხური ტომები მოსახლეობენ და ეს ასეა თითქოს ახ. წ. აღ. პირველ საუკუნეებშიც (სტრაბონი, პომპონიუს მელა, პლინიუსი, არიანე), თუმცა, მეგასთენეს ცნობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მაინცდამაინც ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნისთვის აქ იბერთა მყოფობაზეც მიუთითებს. თუკი გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ ეთნიკურად ფარსმან ქართლის მეფის ქვეშევრდომი ზიდრიტები – დასავლური თუ აღმოსავლურქართული ტომი (კულტურის თვალსაზრისით, მათ ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძების მიხედვით, ისინი სავარაუდოა უკვე იბერიზებულნი არიან), IV საუკუნის დასასრულისთვის უცილობელია, რომ „პონტოს გასწერივ მდებარე მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ იბერები და ლაზები“ (გელასი კესარიელი) ანუ „იბერები ცხოვრობენ ევქსინის პონტოსთან“ (სოკრატე სქოლასტიკოსი)[182]. ჩვენი აზრით, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ აქ იგულისხმება კლარჯეთ-აჭარის ზღვისპირა ზოლი[183].

ასე შეერწყა ისტორიული აჭარის მოსახლეობა აღმოსავლურქართულ ეთნოსს. უფრო გვიანაც, IV-V საუკუნეებში, ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში, აჭარა, როგორც ჩანს, ქართლის სახელმწიფოს ფარგლებში რჩება[184].

§ 8. – ქართლის და ალვანეთის შრომიერთობა

აღმოსავლელქართველთა ინფილტრაციისა და ამით გაპირობებული ასიმილაციის დიდი პროცესი, როგორც ვიცით, უძველესი ხანიდანვე, აღმოსავლეთითაც მიმდინარეობდა, რაც კარგად ჩანს, ჩვენი აზრით, არქეოლოგიური მასალით (იხ. ზემოთ). ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის ამას წერილობითი წყაროებიც გვიმოწმებენ.

მხედველობაში გვაქვს სტრაბონის ცნობა, რომლის დროს, ანუ ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში კამბისენეში//კამბეჩოვანში (დღევანდელ ქიზიყში), რომელიც იმ დროს ქართლის, ალვანეთის და სომხეთის სამეფოთა სასაზღვრო ტერიტორია იყო, „სომხები ერთდროულად ემიჯნებიან იბერიელებსაც და ალბანელებსაც“ (XI, 4, 1). კიდევ მეტი, ჩვენი წ. აღ. I ს-ის 70-იან წლებში, პლინიუსის მიხედვით იბერებსა და ალბანელებს შორის საზღვარი მდ. ალაზანზე (მის ქვემო დინებაზე) გადის (VI, 29)[185].

თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქართულ-ალვანურ-სომხური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შეჯახება კამბეჩოვანის ტერიტორიაზე შემთხვევითი მოვლენა არ არის... ეს თემი ხშირად გადადიოდა მომდევნო საუკუნეებში და ადრეულ შუა საუკუნეებშიც, ასე ვთქვათ, ხელიდან ხელში და მას ხან ქართული სახელმწიფო ეუფლებოდა, ხან კი – ალვანური. მიმდინარეობდა კულტურული ქიშპობაც კამბეჩოვანის მოსახლეობის დაუფლებისათვის ქართველ, სომეხ და ალვანელ საეკლესიო მოღვაწეებს შორის და რადგან ასეთი ვითარების მინიშნებას ჩვენ უკვე სტრაბონთან ვადასტურებთ, ამდენად გვაქვს უფლება ამ პროცესის დასაწყისი კიდევ უფრო შორს, საუკუნეთა სიღრმეში გადავიტანოთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი თანდათანობით, მაგრამ განუხრელად ქართველთა უპირატესობის ტენდენციით ხასიათდება[186].

§ 9. – მთისა და ბარის ურთიერთობა

ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას. შუასაუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს შიდა რაიონებიდან და მთიანეთიდან ქიზიყში (და საერთოდ ჰერეთში) მოსახლეობის ინფილტრაციას კარგად მოწმობს ტოპონიმია[187], რაც ასეთი მიგრაციის, შეიძლება ითქვას, „პერმანენტულ“ ხასიათზე მიუთითებს და რაც გარკვეული ეკონომიკური და სხვა მიზეზებით იყო გაპირობებული[188]. ეს კი თავისთავად იმაზე მიუთითებს, რომ სწორი უნდა იყოს ზემოგამოთქმული ვარაუდი, ამ დიდი დემოგრაფიული პროცესის ათასწლეულთა სიღრმეში დაწყების შესახებ.

ასეთივე მოვლენები ვითარდებოდა კავკასიის მთიანეთში. ამ თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია იმაეე სტრაბონის ჩვენება, რომ იბერიის „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი. ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილნი არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიც და ნათესავებიც არიან“ (XI, 3, 3)[189].

ფრიად საინტერესო ამ ცნობაში არის ის, რომ სტრაბონმა რომელიც საკმაოდ კარგად ერკვევა კავკასიის იმდროინდელ ეთნიკურ ვითარებაში, ქართლის სამეფოს მთიელთათვის სხვა სახელი გარდა „იბერიელებისა“ არ იცის, მიუხედავად იმისა, რომ მისი აზრით, ეს მთიელი იბერები სარმატების მონათესავენი არიან. ეს კი ნიშნავს, რომ, სწორიც რომ იყოს იგი მთიელთა ეთნიკური წარმომავლობის საკითხში, ეს უკანასკნელნი, ფაქტობრივად, უკვე გაქართველებულნი არიან. „რით არიან ეს მთიელები იბერიელნი

(სხეაგვარად იცვამენ, სხვა მეურნეობა აქვთ, ვიდრე ბარელებს)... ერთადერთი დარჩა ენა. ან უნდა ვიფიქროთ ბარელმა იბერებმა დაიპყრეს მთიელები, სარმატები და გააიბერეს, ან ეს მთიელები და ბარელები უძველესი-დანვე ერთსისხლნი იყვნენ და მთა და ბარმა ისინი ყოფის თვალსაზრისით დააშორიშორა... უნდა ვიფიქროთ, ბარი მოიწევს უძველესი დროიდანვე **დასახლებით**"[190].

ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (და საერთოდ აღმოსავლეთ პერიფერიაზე) უძველეს ხანაში ქართველებთან ერთად არაქართველი მოსახლეობაც ბინადრობდა, კარგად ჩანს ამ მხარეთა ტოპონიმიიდანაც[191], და ამას მოწმობს ქართველ მთიელებში დაცული ეთნოგრაფიული მასალაც, კერძოდ: გადმოცემები ძველი მოსახლეობის არსებობის შესახებ მათ დღევანდელ საბინადრო ტერიტორიაზე (გუდამაყარში, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში)[192].

დასასრულ, ქართველებთან ერთად ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ბინადრობას ქართლის სამეფოს მთიანეთში ქართული და უცხოური წყაროებიც მოწმობენ (დურძუკნი, ჭართალელნი)[193].

ჩრდილო კავკასიელთა პერიოდულ შემოღწევას კავკასიონის სამხრეთ კალთებზე და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში, უძველესი დროიდანვე რომ ჰქონდა ადგილი, ამის შესახებ ზემოთ არაერთხელ იყო აღნიშნული. ამ ცალკეული უცხო ეთნიკური ნაკადების შემოსვლა, როგორც წესი, მთავრდებოდა აბორიგენული ქართული მოსახლეობის მიერ მათი ასიმილაციით, რისი მოწმობაცაა სტრაბონის ზემოხსენებული ჩვენებაც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ათასწლოვანი გლობალური კულტურული და ეთნოგენეტიკური პროცესის შედეგად, რომელიც კავკასიაში მოსახლე ტომთა შორის ბრძოლის პარალელურად მიმდინარეობდა „ქართველთა" ჰეგემონობით, წარმოიქმნა სახელმწიფო, რომელსაც ბუნებრივია, ჰეგემონი ტომის პირველსაცხოვრისის სახელი – „ქართლი" – ეწოდა. ცხადია, ქართლის სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ ამ ტერმინის შინაარსი გაფართოვდა: თუ ადრე „ქართლი" მხოლოდ ერთი ტომის, „ქართველების" ადგილსაცხოვრისს აღნიშნავდა და, ამდენად, ეთნოგრაფიული ცნება იყო par excellence, ახლა იგი არაერთი ქართველი და გაქართველებული ტომის სამშობლო გახდა და ამდენად, ტერმინმაც ეთნიკურ-პოლიტიკური შინაარსი შეიძინა. შესაბამისად ასევე გაფართოვდა და ეთნიკურ-პოლიტიკურ ცნებად გადაიქცა ამ „ქართლის" მკვიდრის აღმნიშვნელი ეთნონიმი – „ქართველი" (ლეონტი მროველის კონცეფცია)[194].

ქართველური ტომების კულტურული ნიველირების და უცხო, არაქართველ ტომთა კულტურული და ეთნიკური ასიმილაციის დიდი ხნის წინ დაწყებული ინტენსიური პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ რაც 326 წელს ქრისტიანობა ქართლის სახელმწიფო რელიგია გახდა.

ქრისტიანობის მიღება აღმოსავლეთ საქართველოში დაემთხვა ფეოდალური ურთიერთობების განვითარება-გავრცელებას, რამაც აგრეთვე დიდი როლი შეასრულა ქართველ ტომთა კულტურული ინტეგრაციის პროცესში.

საქმე ის არის, რომ ქართლში ქრისტიანობა შეიძლება ითქვას, იმთავითვე ქართულენოვანი იყო. (მართალია, წილკნის აკლდამის წარწერა, რომელსაც IV-V საუკუნეებით ათარიღებენ ბერძნულენოვანია, ხოლო აკლდამაში დაკრძალული ქრისტიანი ღვთისმსახურნი ადგილობრივი მკვიდრნი უნდა იყვნენ[195], მაგრამ V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს ქართლში ქრისტიანობა რომ ქართულენოვანია ამაზე ეჭვის მიტანა შეუძლებელია (ბოლნისის სიონის წარწერები, „შუშანიკის მარტვილობა“) და ამიტომ, საფიქრებელია, რომ წილკნის აკლდამა IV საუკუნით უნდა დათარიღდეს). ეს კი იმას გულისხმობს, რომ ქართლის პოლიტიკური და კულტურული გავლენის არეალში ვრცელდებოდა ქართულ ენასთან ერთად ქართული მღვდელმსახურება და მწიგნობრობა, რაც განუზომლად აძლიერებდა კულტურული ინტეგრაციისა და ასიმილაციის პროცესს. ამიერიდან აღმოსავლელქართველთა გავლენაც უფრო ორგანიზებული და, ამდენადვე, უფრო ეფექტურიც უნდა გამხდარიყო.

ეს კარგად გამოჩნდა აღმოსავლელქართველთა ურთიერთობით მეზობლებთან.

დასავლეთი საქართველო, რომელიც კოლხეთის სამეფოს დაცემის შედეგად კელაე ცალკეულ ტომობრივ ერთეულებადაა დანაწილებული ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში (პომპონიუს მელა, პლინიუსი, არიანე) და რომის იმპერიის პროტექტორატის ქვეშაა, IV საუკუნის II ნახევრისთვის კვლავ ერთიანდება, ახლა უკვე ფეოდალურ საფუძველზე. მაგრამ ამჟამად არა საკუთრივ კოლხთა, არამედ ეგრისელთა ანუ ძველი ქართული წყაროების „მეგრთა“ ე. ი. მეგრელთა თაოსნობით, რომლებმაც, როგორც ჩანს, მოახერხეს ზემოხსენებულ წვრილ ტომთა ასიმილაცია. ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოს, „ეგრისის სამეფოს“, ბიზანტიელები „ლაზიკეს“ უწოდებდნენ, მათი მოსაზღვრე ერთ-ერთი კოლხური ტომის, „ლაზების“ მიხედვით[196]. ლეჩხუმი, სვანეთი, მისიმიანეთი (კოდორის ხეობა) და აფშილეთი ეგრისის სამეფოს უშუალო პროვინციები იყო, ხოლო აფხაზე-

თი – ვასალური სამთავრო[197]. აქვე შევნიშნავთ, რომ აფშილებს, რომლებიც აფხაზებს დაახლოებით გუმისთასთან ესაზღვრებოდნენ[198], არაფერი საერთო აფსუა აფხაზებთან არ ჰქონიათ და დასავლურქართულ ტომს წარმოადგენდნენ[199].

ეგრისის სამეფო აღმოსავლეთით ლიხის მთამდე ვრცელდებოდა და ქართლის მოსაზღვრე აღმოსავლეთის პროვინცია არგვეთი, რომელიც, როგორც ვიცით, გვიანბრინჯაოს ხანიდან მაინც, შიდა ქართლელთა ძლიერ კულტურულ გავლენას განიცდიდა, ამჯერად მის ფარგლებში შედიოდა. თუ აქამდე აქ „ქართველთა“ ინფილტრაციაზე მხოლოდ არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შეგვეძლო გვემსჯელა, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის ბიზანტიურ წყაროში შემონახული საამისო უტყუარი საბუთი გვაქვს აღმოსავლურქართული ჰიდრო – და ტოპონიმიის სახით: VI საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი, პროკოპი კესარიელი, ლაზიკის ტერიტორიაზე იცნობს ისეთ აღმოსავლურქართულ ტოპონიმებს, როგორიცაა – ქუთათისი (კუტატის), ნოქალაქევი (არქეოპოლისი), ვარდციხე (როდოპოლის), მდ. ყვირილა (ბოას), მდ. ცხენისწყალი (იპპის)[200].

საინტერესო აქ ის არის, რომ ეს აღმოსავლურქართული ჰიდრო-ტოპონიმია გაცილებით უფრო ღრმადაა არგვეთის დასავლეთით შეჭრილი (ქუთათისი, ნოქალაქევი, ცხენისწყალი).

აღსანიშნავია ისიც, რომ ეგრისის სამეფოში ქრისტიანობა აგრეთვე IV საუკუნეში გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად[201]. მაგრამ აქ ქრისტიანობა ბიზანტიიდან გავრცელდა, ბერძნულენოვანი იყო და ასეთადვე დარჩა, რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ფართო მასისთვის ენა, რა თქმა უნდა, უცხო რჩებოდა. მაგრამ ვითარება თანდათან იცვლებოდა სწორედ აღმოსავლურქართული ეთნოსის ინფილტრაციასთან ერთად.

აღმოსავლურქართული ენისა და კულტურის გავლენა კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყო მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა V ს-ის 60-იან წლებში დასავლეთი საქართველო აღმოსავლეთთან გააერთიანა. ამ ერთიანობამ 523 წლამდე, ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს, გასტანა და ამას არ შეიძლებოდა კვალი არ დაემჩნია ისედაც ინტენსიურ ეთნო-კულტურულ ურთიერთობაზე საქართველოს ამ რეგიონებს შორის[202].

ვახტანგ გორგასლის მიერ დასავლეთ საქართველოს შემოერთება არ იყო მხოლოდ პოლიტიკური აქტი. ეს გულისხმობდა ქართული ენის, ქართული ქრისტიანობის და საერთოდ ქართული კულტურის მიერ, ბერძნულის საწინააღმდეგოდ, გარკვეული პოზიციების მოპოვებას[203].

სომეხი ისტორიკოსის ცნობით VI ს-ის ბოლოს ქართლის კათოლიკოსი კირიონი ხელდასმულ იქნა „ქართლის სამწყსოს, გუგარეთისა და ეგრისის არქიეპისკოპოსად წინანდელ წესთა მაგალითისამებრ“. ე. ი. VI ს-ის ბოლოს და VII საუკუნის დასაწყისში ქართლის კათოლიკოსს ხელი მიუწვდებოდა დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილზე მაინც. რადგან ეს ხელდასხმა „წინანდელ წესთა მაგალითისამებრ“, ანუ ძველი მდგომარეობის ამსახველი ყოფილა, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ასეთი ვითარება მხოლოდ V ს-ის II ნახევარში, ანუ ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს შეიძლება შექმნილიყო და არა VI ს-ში, როდესაც დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ირანისა და ბიზანტიის პერმანენტული ომის სარბიელი იყო. ე. ი. ვახტანგს დასავლეთი საქართველო (ან მისი ნაწილი) ეკლესიურად მცხეთის კათოლიკოსისთვის დაუმორჩილებია[204]. ეს კი ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ მხარეში მაინც V ს-ის II ნახევრიდან მღვდელმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა.

სხვათა შორის დასავლურ – და აღმოსავლურქართულ კულტურათა ინტეგრაციის ტენდენცია ამავე პერიოდში ფართო სახალხო დონეზე სხვა მხრივაც ჩანს. მხედველობაში გვაქვს გარკვეული ტიპის სამკაული, რომელიც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება[205].

ქართული ეკლესიის გავლენის გავრცელება დასავლეთ საქართველოში, ბერძნულის შევიწროების ხარჯზე, შემდეგ საუკუნეებშიც გრძელდება. ამ კონტექსტში უმნიშვნელო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ VII-IX საუკუნეების ბიზანტიურ ნოტიციებში ჩამოთვლილ ლაზიკის საეპისკოპოსო კათედრათაგან, რომლებიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდნენ ფასიდის სამიტროპოლიტოსთან ერთად, მხოლოდ ერთი – როდოპოლისის (ვარდციხის) კათედრაა ქვეყნის შიგნით. დანარჩენი სამი კი, სამიტროპოლიტოსთან ერთად, ან ზღვისპირასაა: ფასიდი (ფოთი), პეტრა (ციხისძირი), ზიგანევი (გუდაყვა), ანდა არც თუ ისე მოშორებით ზღვის სანაპიროდან – საისი (ცაიში). ლაზიკის შიდა ტერიტორიაზე (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, არგვეთის დიდი ნაწილი) არცერთი ბიზანტიური კათედრა არ იხსენიება. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი და, საფიქრებელია, რომ VII-IX საუკუნეებში ამ ტერიტორიაზე მცხეთის კათოლიკოსის იურისდიქცია ვრცელდებოდა ქართული ენით და მწიგნობრობით[206].

საინტერესოა, რა ვითარებაა დასავლეთ საქართველოს მთიანეთში?

ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია სვანთა ადგილი ქართულ სამყაროში. ისევე, როგორც ეგრისში, აქაც X საუკუნიდან ჩნდება ქართული წარწერები ეკლესიებზე. სრულიად უნიკალურია დოკუმენტური მასალა ხელნაწერებზე, ან ხის ნაჭრებზე მიწერილი საბუთების სახით, რაც აშკარად მოწმობს წერა-კითხვის ცოდნას არა მხოლოდ წარჩინებულთა შორის, არამედ

უბრალო ხალხშიც და ე. ი. ქართული წიგნიერების ფართო გავრცელებაში. „ყველაფერი ეს სვანების საერთო ქართულ თვითშეგნებას უძველესი დროიდანვე უმტკივნეულოდ აყალიბებდა, რასაც თავის მხრივ, ეკლესია დიდად უწყობდა ხელს და ბუნებრივია, სვანი ისეთივე „ქართველად“ გრძნობდა თავს, როგორც საქართველოს რომელიმე სხვა ეთნოგრაფიული კუთხის წარმომადგენელი“[207].

ასეთი ვითარება, რა თქმა უნდა, არ იყო მხოლოდ „სვანური ფენომენი“ და უკიდურეს დასავლეთშიც, კერძოდ, აფხაზეთშიც ვრცელდებოდა.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საქართველოს გაერთიანების ინიციატორებად „აფხაზთა მეფეები“, გვევლინებიან; რომ, კერძოდ, ლეონ I „აფხაზთა მეფეს“, დასავლეთ საქართველოს შემოერთებისთანავე, რეზიდენცია ანაკოფიიდან ქუთაისში – ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრში გადმოაქვს; რომ „აფხაზთა მეფეები“ იმთავითვე ქართული მონასტრების და საეპისკოპოსოების დამფუძნებლებად გვევლინებიან; რომ IX საუკუნიდან საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე (დასავლეთ საქართველოზე რომ არაფერი ვთქვათ) ქართული ეპიგრაფიკა ვრცელდება. ყოველივე ეს მოწმობს, რომ თუ სვანებივით მთელი ხალხისთვის არა, აფხაზთა წარჩინებული ნაწილისთვის აღმოსავლურქართული კულტურა ქართული ენით, დამწერლობით და ფეოდალური სოციალური ურთიერთობებით ორგანული ეროვნული კულტურა იყო[208]. **თვით ის ფაქტი, რომ VIII ს-ის მიწურულს ძველი ეგრისის ტერიტორიაზე აფხაზთა ინიციატივით წარმოიქმნა ქართული სახელმწიფო, იმის მოწმობაა, რომ აღმოსავლურქართული კულტურა, არამცთუ ეგრისში, არამედ საკუთრივ აფხაზეთშიც დიდი ხნით ადრე ვრცელდებოდა.** ამის შესახებ, VI ს-ის ეგრისთან დაკავშირებით ზემოთ ვისაუბრეთ. VIII ს-ის I ნახევრისთვის მაინც იმერეთის და გურიის ეთნოგრაფიული მხარეები უკვე რეალობაა[209]. თვით აფხაზეთის ტერიტორიაზეც, იმავე VI საუკუნიდან სავარაუდოა ქართულენოვანი მრევლის არსებობა. ამის საფუძველს ქართული ეროვნული საეკლესიო არქიტექტურის ე. წ. „აფხაზური სკოლის“ ძეგლები გვაძლევენ ე. წ. „სამეკლესიანი ბაზილიკები“; ძველი გაგრა, აბაა-ათა VI ს.; ჯგერდა; ამბარა – VII/VIII სს.; „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპი: ბზიფი, ანაკოფია, ლიხნი, მოქვი – VIII/X სს.; „მცხეთის ჯვრის“ ტიპი: დრანდა – VIII ს.[210]. X საუკუნეში კი „აფხაზთა სამეფოს“ ეკლესია საბოლოოდ ჩამოშორდა ბიზანტიას და მცხეთის საკათოლიკოსოს დაექვემდებარა[211]. ამიტომ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ „აფხაზთა მეფეები“, რომლებიც ქართულად ლოცულობდნენ და წერდნენ[212], და მით უმეტეს ცხუმის ერისთავი შარვაშიძენი და საერთოდ, ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სარბიელზე მოღვაწე აფხაზები თავს „ქართველებად“ გრძნობდნენ[213]. მეტიც, საფიქრებელია, რომ აქაც ასეთი ვითარება მხოლოდ წარჩინებულთა წრისთვის კი არ იყო დამახასიათებელი, არამედ აფ-

ხაზთა ფართო მასის გარკვეული ნაწილისთვის მაინც. ასე მაგალითად, XI ს-ის II ნახევრის ერთი ხელნაწერის ანდერძში მითითებულია, რომ „ესე წმიდისა მართაჲს ცხორებაჲ გიორგი მიწიწივაჲსძემან აფხაზმან შემოიტანა ანტიოქიაჲთ იწრუსალემს მონასტრისა ჯუარისათჳს“. თვით ამ ხელნაწერის მომგები კი თავის თავს „ულირს გიორგი აფხაზს“ უწოდებს[214]. ვფიქრობთ, აქ „აფხაზი“ პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი და ეთნიკურ აფხაზს გულისხმობს, ანუ „ნათესავით აფხაზს“[215]. მაგრამ მეორე მხრივ, ცხადია, რომ ეს „გიორგი მიწიწივაჲსძე აფხაზი“ კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით პირწმინდა „ქართველია“ ისევე, როგორც „ნათესავით მესხი ანტონი ნაოხრებლისძე“ ან „ნათესავით ტაოელი... ფერის ჯოჯიკის ძე ქართველი“[216].

ასეთივე, პროცესები უძველესი დროიდანვე, როგორც ვიცით, მიმდინარეობს აღმოსავლეთ პერიფერიაზეც, ჰერეთში, სადაც სომხურ-ალვანური ეკლესია ცდილობდა შეღწევას. აქაც IV-IXსს-ების ქართული საეკლესიო მშენებლობა და VII-Xსს-ების ქართული ეპიგრაფიკა თვალნათლივ გვიმოწმებს აღმოსავლურქართული კულტურის გავრცელებას[217]. ამის შედეგი იყო, რომ Xს-ის შუა ხანისთვის ჰერეთში, სადაც „მეფობამდე იშხანიკისა, პირველნი ყოველნი (ხელისუფალნი, დ.მ.) იყვნეს მწვალებელნი (ანუ მონოფიზიტები – დ. მ.), ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთერისთავისა (ტაო-კლარჯეთის ქართველი მმართველისა – დ. მ.) და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებლად, დინარ დედოფალმან“.[218] ანუ მოხდა, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალება და დამკვიდრდა ქართული ქრისტიანობა. ე.ი. ჰერებიც საბოლოოდ „გაქართველდნენ“[219].

ქართული კულტურული ასიმილაციის პროცესი იმდენად ძლიერი იყო, რომ მან ჩრდილო კავკასიაც ჩაითრია: დვალეთის და ჩეჩნურ-დაღესტნური მოსახლეობის ზედა ფენა, VIII-X სს-ებში ფაქტობრივად, ორენოვანია და ქართველთა მიერ კულტურის თვალსაზრისით სავსებით ასიმილირებული[220].

ამას უნდა დავუმატოთ ის ცნობილი დიდი ქიშპი ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის, რომელიც ქართლის სამხრეთი პროვინციების (ტაოს და ქვემო ქართლის) კულტურულ-პოლიტიკური დაუფლებისათვის მიმდინარეობდა ქართლსა და სომხეთს შორის და რომელიც, საბოლოოდ, აგრეთვე, ქართლის გამარჯვებით დამთავრდა[221].

ამგვარად, ქართლის ძლიერი კულტურული ექსპანსია დიდად გადასცდა ქართლის პოლიტიკურ საზღვრებს აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით. ამდენადვე, თვით ტერმინი „ქართლი“ აღარ შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას, რადგან ახლა „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. (გიორგი მერჩულე, 951 წ.). აქ „ქართლი“ ეთნიკურ-პოლიტიკური ცნება კი არ არის, როგორც ეს ლეონტი მროველთან გვქონდა (იხ.ზემოთ), არამედ კულტურულ-პოლიტიკური ცნებაა[222]. ასეთივე მეტამორფოზი განიცადა შესატყვისმა ეთნონიმმა; „თუ ლეონტი მროველით ქართლოსის ოჯახში არ იგულისხმებიან სვანები, მეგრელები, აფხაზები, დვალები, ჰერები, – გიორგი მერჩულე ყველა ამათ ქართლში ათავსებს“[223]. ე. ი. განსხვავებით ლეონტი მროველისაგან, ამ კონცეფციის თანახმად „ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმმა IX-X საუკუნეებისათვის, თუ უფრო ადრე არა, შეიძინა სრულიად გარკვეული შინაარსი და ამიერიდან იგი გვევლინება არა ვიწრო ეთნიკურ ან თუნდაც ეთნო-პოლიტიკურ ტერმინად, არამედ ფრიად ტევად კულტურულ-პოლიტიკურ ცნებად: „ქართველი“ ეწოდება ყველა იმას, ვინც, აღიარებდა ქართულ (დიოფიზიტურ) ქრისტიანობას, ნაზიარები იყო ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებს და მოღვაწეობდა ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სარბიელზე. ასეთ სარბიელს კი ახლა მხოლოდ ქართლი (თუნდაც პოლიტიკური მნიშვნელობით) კი არ წარმოადგენდა, არამედ ეგრის-აფხაზეთიც, ჰერეთიც, კავკასიის მთიანეთიც, სომხეთის მომიჯნავე ტერიტორიებიც. „ქართლი“ ვეღარ ფარავდა მთელ ამ მრავალფეროვნებას ტერიტორიებისა თუ ხალხებისას, რამდენადაც „ქართლი“ ეთნიკურ ან ეთნო-პოლიტიკურ ტერმინად რჩებოდა უპირატესად. ამიტომ ბუნებრივად საჭირო გახდა ახალი ტერმინის შექმნა ამ სიტუაციის აღსანიშნავად და ასეთი ტერმინიც გამოიძებნა – „საქართველო“[224].

ამიტომ ვხმარობთ ჩვენ ძველი, ამ მეტამორფოზამდელი, პერიოდისათვის ტერმინს „ქართული“. რაც შეეხება ტერმინ „საქართველოს“, იგი, ცხადია, „ქართველისაგან“ არის ნაწარმოები, თანაც ამ უკანასკნელის კულტურულ-პოლიტიკური ცნებიდან და ამდენადვე თვით „საქართველოც“ კულტურულ-პოლიტიკური ცნებაა. „საქართველო“ ეწოდებოდა იმ ტერიტორიას, სადაც პოლიტიკურ და კულტურულ მფლობელობასთან ერთად, ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა ვრცელდებოდა[225].

ამგვარად, გარკვეული პერიოდიდან, ზემოგანხილული სოციალურ-კულტურული და ეთნოგენეტიკური პროცესების განვითარების შედეგად, ტერმინი

„ქართველი" კულტურულ-პოლიტიკურ შინაარსს იძენს, ხოლო ვიწრო ეთნოგრაფიული მნიშვნელობით მას ენაცვლება – „ქართლელი". ამიერიდან ტერმინი „ქართველი" (რომელმაც ძველი ვიწრო მნიშვნელობაც შეინარჩუნა), ფაქტობრივად, ერთნაირ მიმართებაშია ისეთ ეთნოგრაფიულ ცნებებთან როგორიცაა კახი, მესხი, ქართლელი, მეგრელი, ტაოელი, სვანი, თუში, დვალი, აფხაზი და სხვა და სხვა[226]. ზემოთ, ფერის ჯოჯიკის ძესთან დაკავშირებით ერთი სათანადო მაგალითი მოვიტანეთ. ამდენად, ეს ტერმინი, შეიძლება ითქვას, ფეოდალურ-ეროვნულ შინაარსს იძენს.

ვფიქრობთ, ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს **ქართველი ერი ამ დროისთვის საგსებით ჩამოყალიბებულად ვიგულისხმოთ, ხოლო გიორგი მერჩულეს „ფორმულა" ამ მოვლენის მანიფესტაციად ვცნოთ.**

ჩვენი აზრით, როდესაც გიორგი მერჩულე ქართული ენის მნიშვნელობას უსვამს ხაზს[227], აქ მხოლოდ „ჟამისშეწირვა და ლოცვა" კი არ იგულისხმება, არამედ-საერთოდ ქართულ ენაზე შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა, მთელი ქართული ფეოდალური კულტურა, რომელიც დიდი ხანია გამცდარი იყო ვიწრო ეთნიკურ საზღვრებს და ზოგადეროვნულ მოვლენად ქცეულიყო.

კიდევ უფრო ღრმავდება ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი შემდგომ საუკუნეებში, შესაბამისად ეროვნული თვითშეგნებაც უფრო მაღალ დონეზე ადის. XI-XII საუკუნეების მოაზროვნეები ხაზს უსვამენ ქართველთა ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, მათი „ბუნების" განსხვავებულობას სხვა ერებისაგან, ხაზს უსვამენ მათ დადებით და უარყოფით თვისებებს[228]. ამ თვალსაზრისით, ფრიად საგულისხმოა XII ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწის, ნიკოლოზ გულაბერისძის საგანგებო მსჯელობა სხვადასხვა ხალხთა ეროვნული თვისებების ნაირგვარობის შესახებ: „ვითარცა რა ნათესავთა შორის კაცთასა, მრავალნი რა ხელოვნებანი იპოვებიან და კაცად-კაცადსა თუსთუსად მიუჩნს ყოველთავე თუსი სახმარობაჲ, რამეთუ რომელსამე იგი და რომელსამე ესე, ესრე სახედვე უკუმ იხილვების ნათესავთაცა შორის, რამეთუ რომელნიმე ნათესავნი ესევითარნი არიან ბუნებით, ხოლო რომელნიმე ეგევითარნი. სიტყუისაებრ სამოციქულოსა ნამდვილვე განყოფანი არიან მადლთანი ყოველთავე შორის. რომელნიმე ნათესავნი ლბილ და დედალ არიან და ფრიად მოსწრაფე, ენამჭევრობისა და ფილოსოფოსობისათუს... ვითარ სახედ არნ ელინნი ესე იგი ბერძენნი, ხოლო კუალად სხუანი არიან ბუნებით სადაგნი და მარტივნი და გონებით წრფელნი, სიმართლესა ცხოვრებისასა და უღელსა უმანკოებისასა მზიდველნი და მხოლოდ ღმრთისა ოდენ და მკლავისა თუსსა მოსავნი... ვითარცა აჰა ესერა არიან ნათესავნი ჩუმნ ქართუმლთანი, რამეთუ ვითარცა საცნაურ არს ყოველთა მიერ უეჭუელად ესე ვითარი ბუნება პირველით-

განვე უკუმ და დამცუმლობს ნათესავთა შორის ქართუმლთასა“. საერთოდ, ნიკოლოზ გულასბერისძის აზრით სხვადასხვა ერს („ნათესავს“) „ყოველთავე უკუმ თუთუსად შეუცავს საზღუარი ტომებისა თუსისა“ და აქვს „შემსგავსებულებაჲ ნათესავ-ტომებისა თუთოეულსა“[229]. ანუ ყოველ ერს თავისი ტერიტორია და განსაკუთრებული თვისებები გააჩნიაო.

ვფიქრობთ, ეჭვი არ არის, რომ XII ს-ის ქართულ ელიტარულ საზოგადოებაში შემუშავებული იყო კონცეფცია სხვადასხვა ერის და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, იმდროინდელი, ქართველი ერის ეთნოფსიქოლოგიური წყობის თავისებურებათა შესახებ. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, სრულყოფილად გამოვლინდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, რომელმაც უცილობლად დიდი როლი შეასრულა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის საქმეში და დღესაც არ კარგავს ამ კეთილშობილ ფუნქციას.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ ქართველი ერი, რომლის ჩამოყალიბების მანიფესტაცია მოხდა 951 წელს გიორგი მერჩულეს მიერ, XI-XII საუკუნეების განათლებული ქართველი საზოგადოებისათვის არის არა მხოლოდ სისხლისმიერი ნათესაობით შეკავშირებული კოლექტივი, არამედ სრულიად გამოკვეთილი ეთნო-სოციალური ერთობა მისთვის დამახასიათებელი კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქიკური წყობით, განსახლებული გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელზედაც ვრცელდება მისი სახელმწიფოებრივი უფლება. ეს არის „საქართველო“.

თავი II

ქართველი ერის განვითარების ძირითადი ტენდენციები XIII-XV საუკუნეებში

§ 1. საქართველო – ძამძასიის საძრისტიანო

XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფო მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. სელჩუკიანებთან ბრძოლებში მოპოვებული არაერთი გამარჯვების შემდეგ თითქმის ყველა სომხურ-ალბანური ტერიტორია მდ. არაქსის მარცხენა სანაპირომდე მის შემადგენლობაში აღმოჩნდა.[1] საქართველოს გაელენა არზრუმს, ხლათსა და თავრიზს სწედებოდა.

XIII ს-ის 20-იან წლებში ქართველთა ჰეგემონიას ზღვარი ჯალალ-ად-დინმა დაუდო. ხვარაზმელებმა, ან-ნასავის მოხდენილი შენიშენით, „ბასრი კბილებით გამოგლიჯეს ის [ქვეყნები], რომლებშიც ეშვები ჩაესოთ ქართველებს“.[2]

ჯალალ-ად-დინის შემოსევებმა საქართველო, მართალია, „თავდაყირა დააყენა“ (ნასავის გამოთქმით), მაგრამ ვერ გატეხა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მუხტი ჯერ ძლიერი იყო და როგორც კი ხვარაზმელები ქვეყანას გაეცალნენ, ქართველებმა დაკარგული პროვინციებიც ისევ შემოიერთეს და არაქსის მარჯვენა სანაპიროზეც მოიკიდეს ფეხი.

XIII საუკუნის პირველი მესამედი, ხვარაზმელებთან განცდილი მარცხის მიუხედავად, ქართული სახელმწიფოს ტრიუმფის პერიოდად რჩებოდა. შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხეთის კათოლიკოსის იურისდიქცია გაერცელდა და ისინი ქრისტიანობის ფორფოსტად გადაიქცა. ტყუილად ხომ არ აღმოხდა არაბ იტორიკოსს იბნ ალ-ასირს ყარსის აღების შემდეგ: „გახდა ურწმუნოთა სახლად, მას შემდეგ რაც ის იყო ღმერთის ერთარსობის სახლი“.[3] ალაღებული საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანთა მფარველობას იჩემებდა,[4] მუსლიმურ სამყაროში კი შიშით ამბობდნენ: „ქართველებმა განიმტკიცეს ხარბი სურვილი ... ბაღდადს წასულიყ-

ვნენ, კათალიკოსი დაესვათ ხალიფას ადგილზე, მეჩეთები ეკლესიებით და ჭეშმარიტება სიცრუით შეეცვალათ".[5]

მონღოლთა ასწლოვანმა ბატონობამ მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკაც და ბედიც. საქართველოს სამეფომ საბოლოოდ დაკარგა ყმადნაფიცი ქვეყნები: სამხრეთით მაჰმადიანურ საამიროებში ირანის ილხანები გაბატონდნენ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში – ოქროს ურდო. თავდაპირველად მონღოლებმა ქრისტიანული კავკასია საქართველოს ნაწილად ცნეს, მაგრამ ორმოცდაათი-სამოცი წლის შემდეგ პოზიციები მკვეთრად შეიცვალეს; დაუმორჩილებლობისკენ მიდრეკილ ქრისტიან ქართველებთან შედარებით უპირატესობა უფრო მორჩილ მაჰმადიან ქვეშევრდომებს მიანიჭეს, წინ აღუდგნენ საქართველოს საზღვრების გაფართოებას სამხრეთისკენ, ჩამოაჭრეს ტერიტორიები არაქსის სამხრეთით და ჩრდილოეთით და ადრინდელ მაჰმადიან მფლობელებს გადასცეს.

მონღოლთა ბატონობის გაცილებით უფრო მძიმე შედეგი კი „ულუსობა" – ერის მორალური დაცემა, ქვეყანაში პარტიკულარიზმის მომძლავრება და საქართველოს დაშლა იყო.[6]

მომხდარ ცვლილებებს კვალი რომ უნდა დაემჩნია ქართველი ერის ფსიქიკაზე, ეს უკვე თანამედროვეთ ჰქონდათ შესანიშნავად გააზრებული. XIII საუკუნის ირანელი ისტორიკოსი ჯუვეინი ნიშანდობლივად წერდა ქართველებზე: „ვინც მათი მხარის მიუვალობისა და სიმაგრეების მიუდგომლობის, დიდი სიმდიდრისა და მეომართა სიძლიერის გამო დაცული იყო ჟამის ცვალებადობისა და ბედის ტრიალისგან", ვისაც „შამისა და რუმის სახელგანთქმული ბატონები ... სუსტად და უღირსად" გაურბოდნენ, ახლა უკვე „ქედს იხრიან ერთგულებით" ახლადმოელენილი მბრძანებლების წინაშე.[7] XIV საუკუნის ანონიმმა ქართველმა ისტორიკოსმა ჟამთააღმწერელმა მოვლენათა არსი ერთი ფრაზით გამოხატა: „და იქმნა უკუქცევა სუესჯანისა ბედისა".[8] ჟამთააღმწერლის თხზულება, რომელიც პირობითად „ასწლოვანი მატიანის" სახელითაა დასათაურებული, შესანიშნავი პირველწყაროა არამხოლოდ მონღოლთადროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, არამედ ქართველი ერის სააზროვნო სიტემის შესასწავლად, მის ცნობიერებაში მომხდარ ცვლილებებზე თვალის გასადევნად. ჩვენი მსჯელობის ამოსავალიც ეს საისტორიო ნაწარმოები იქნება.

XIII-XV საუკუნეებში ქართული მონარქიის აღმნიშვნელ იურიდიულ ტერმინად „საქართველო" რჩებოდა. ტრადიციით, ჩანს, განაგრძობდა არსებობას ერთიანი ქართული სამეფოს აღმნიშვნელი ტერმინი „აფხაზეთიც".[9] დამახასიათებელია თანამედროვეთა მიერ ბაგრატოვან გეირგეინოსანთა არა საქართველოს მეფობით, არამედ აფხაზთა მეფობით მოხსენიება.[10]

დავით ალმაშენებელი



მეფე თამარი

ქართული სინამდვილის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს „საქართველოსა“ და „აფხაზეთის“ მონაცვლეობა ზოგიერთ აღმოსავლურ წყაროში. ანნასავი ამ ორ ტერმინს პარალელურად იყენებს ჯალალ ად-დინის ლაშქრობათა აღწერისას: სულთანი ლაშქრობს საქართველოში და იპყრობს აფხაზეთის უშორეს კიდეებს, აოხრებს აფხაზეთს და ტყვე მონებად აქცევს ქართველებს, შალვა ალ-ქურჯი საიდუმლო წერილებს უგზავნის თანამოძმე აფხაზ ამირებს და სხვა.[11] ხვარაზმელთა დაპყრობების კიდევ ერთი აღმწერი, XIII საუკუნის ისტორიკოსი ჯუვეინი რუსუდანს „მთელი საქართველოს ფადიშაჰს“ უწოდებს[12]. ირანელი ავტორის „მთელი საქართველო“ ქართული წყაროების „ყოველი საქართველოს“ იდენტური ცნება უნდა იყოს.[13] საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული განფენილობა გამოიხატებოდა ტრადიციული პოლიტიკური ფორმულით: „ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე“. ეს განსაზღვრება ჩვენთვის საინტერესო პერიოდთან დაკავშირებით ხუთჯერ გეხვდება. ის არადიფერენცირებულად აღნიშნავს: (1) საქართველოს სახელმწიფოს თავისი ყმადნაფიცი ქვეყნებით,[14] (2) მხოლოდ საქართველოს სამეფოს,[15] (3) ლიხთ-ამერს.[16]

„ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე“ ქართველ ბაგრატიონთა შავსა და კასპიის ზღვებს შორის „მფლობელ-მპყრობელობასაც“ აღნიშნავდა. ეს პოლიტიკურ-გეოგრაფიული კონცეფცია იმდენად მოარული ყოფილა, რომ უყურადღებოდ არც უცხოელებს რჩებოდა. XIII ს-ის 70-იან წლებში მარკო პოლომ თავის „მსოფლიოს აღწერილობაში“ ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „[საქართველო] მდებარეობს ორ ზღვას შორის, რომელთაგან ერთს ჩრდილო-დასაელეთის მხარეს ჰქვია „დიდი ზღვა“ [შავი ზღვა], ხოლო მეორეს აღმოსავლეთით „აბაკუ“ [კასპიის ზღვა]“.[17] მარკო პოლოს კასპიის ზღვისკენ, შესაძლოა, ექანებოდა, აგრეთვე, თანადროულ ევროპაში გავრცელებული წარმოდგენები კასპიის მთებამდე გადაჭიმულ საქართველოსა[18] და კასპიის კარიბჭის (დარუბანდის) მცველ ქართველებზე.[19]

მარკო პოლოს უფროსი თანამედროვე, ფლანდრიელი მისიონერი დე რუბრუკი კავკასიონის ერთ მონაკვეთს გეორგიანთა ანუ ქართველთა მთებს უწოდებს;[20] საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მიჯნებთან იმავე ავტორს დასახელებული აქვს ქურჯიის, ე.ი. საქართველოს მთები, საიდანაც ევფრატი იღებს სათავეს.[21] ეს უკანასკნელი, შესაძლოა, გურჯი-ბოღაზის („ქართველთა ყელის“) გასასვლელსაც გულისხმობს. მთაგრეხილები, ცხადია, საქართველოს სამეფოს მიჯნებს წარმოადგენდა. სასაზღვრო ორონიმთა ეთნო-პოლიტიკური სახელით მოხსენიება კი კარგად აჩვენებს, თუ როგორ აღიქვა საფრანგეთის მეფის წარგზავნილმა დიდი საქართველოს (majorem Gurgiam),[22] როგორც ის თავად უწოდებს ამ სახელმწიფოს, ნაციონალურ-ტერიტორიული სივრცე.

„საქართველოს“ არსის განსასაზღვრად უპირველესი მნიშვნელოვანი „ასწლოვანი მატიანის“ ცნობებს ენიჭება. „...ჟამთააღმწერლის, ამ XIV საუკუნის მწერლის, პოლიტიკურ ლექსიკონში მხოლოდ „საქართველოა“, რომელშიაც იგულისხმება კავკასიის საქრისტიანო ... სომხეთით, საქრისტიანო შარვანით: შაჰანშა და შარვანშა ეს იყო ... საკუთრივ საქართველოს ქვეყანა... ჟამთააღმწერლის პოლიტიკური შეხედულება ამ მხრივ უკიდურესად გამოკვეთილია და შექმნილია იმ ვითარებაში (XIV ს.), როცა ისტორიულ მოვლენათა გამო საქართველო გარკვეულ ფარგლებში იქნა აღიარებული მონგოლთა მიერ“ – შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი და იქვე დასძენდა: „არც ერთი მაჰმადიანურად მიჩნეული ქვეყანა საქართველოში უშუალოდ არ შემოდიოდა, ისინი მოხარკე ყმადნაფიცები იყვნენ“.[23]

მართლაც, ირკვევა, რომ უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით ადიღეველ ჯიქთა ქვეყანა საქართველოა; ის იმერი სამეფოს ნაწილია.[24] „ჯიქთა მეფობა“, ზოგჯერ, ბაგრატოვანთა ტიტულატურაშიცაა დამოწმებული.[25] XIII საუკუნის შუახანებში შედგენილ სომხურ გეოგრაფიაში საქართველოს უკიდურეს მხარეებად აფხაზეთი და მასქუთთა ქვეყანაა დასახელებული.[26] „მასქუთები“, ზოგადად, ჩრდილოკავკასიელ მომთაბარეებს ეწოდებოდათ. ამ შემთხვევაში ის, ალბათ, ჯიქებს გულისხმობს. საინტერესოა, რომ მწიგნობრული გზით შემორჩენილი ეთნონიმის საშუალებით სომეხი ავტორები აფხაზებს მათი ჩრდილოელი მეზობლებისგან გამოარჩევდნენ. XIV საუკუნის არაბი მწერლები საქართველოს საზღვრებში უჩვენებენ ქალაქ აბხასს,[27] რომელსაც კომენტატორები ნიკოფსიასთან აიგივებენ.[28] აბუ ლ-ფიდას მიხედვით, ქალაქი კაფას პროვინციის მახლობლად მდებარეობდა.[29]

უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს სახელმწიფო „სამცხეს და ჯავახეთს და აღმართ საბერძნეთამდი“, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით „კახეთს და ჰერეთსა დარუბანდამდე“ მოიცავდა.[30] ჟამთააღმწერლის სხვა მოწმობითაც, „ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქამდე“[31] ანუ „ქართლი და აღმართ კარნუქალაქამდის ყოველი ქუეყანა“[32] XIII ს-ის პირველ ნახევარშიც და, მის დროსაც, საქართველოა. საქართველოს სამეფოს განფენილობის აღსანიშნავად მოპირდაპირე მიჯნების დასახელება, ჩანს, ჩვეულ მოვლენას წარმოადგენდა. XIII ს-ის შუახანების სახელმწიფო მოღვაწე, მეჯურჭლეთუხუცესი კახა თორელი თანადროული საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ქვეყნად ასახელებს გიშის საერისთავოს (ჰერეთ-კაბალას), ხოლო სამხრეთ-დასავლეთით – ფანასკერტის საერისთავოს ტაოში.[33] კახას თანამედროვის, სომეხი მწერლის, ვარდანის მიხედვით „ტაოს გავარი [მდებარეობს] საქართველოში, რომელსაც კურჭისტანი [ეწოდება]“.[34]

დავუბრუნდეთ „ასწლოვან მატიანეს“. ჟამთააღმწერლის პოლიტიკურ-გეოგრაფიული ლექსიკონისთვის „ჰერეთით დარუბანდამდე“ ფრიად სახასიათოა; აშკარაა, ის „ნიკოფსით დარუბანდამდის“ გამოძახილს წარმოადგენს და გარკვეული თვალსაზრისით, მთელ კავკასიაზე ჰეგემონიის ნოსტალგიაცაა. რეალურ-ისტორიულად კი, იმავე ისტორიკოსის სხვა განმარტებით, ტერიტორია, „რომელსა უწოდიან ჩაღან-უსუნი, ესე იგი არს თეთრი წყალი“, ყოფილა „ქუეყანად შარვანშასა, საზღვართა საქართველოსათა“.[35] კიდევ ერთი სრულიად კონკრეტული ჩვენებით ჩრდილო-აღმოსავლეთით „ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა“ საქართველოდ ითვლებოდა.[36] შამახიის მთები და თეთრიწყალი საქართველო-შარვანის მიჯნის აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა ტერმინია. ჟამთააღმწერელი გვაწვდის კიდევ ერთ მეტად საყურადღებო ცნობას საქართველოს დეფინიციისათვის: ადარბადაგანის დამორჩილების შემდეგ მონღოლები შეიჭრნენ კავკასიაში და „იწყეს რბევად და ოჴრებად საქართველოსა. იწყეს დარუბანდით აღმომართ, ქუეყანასა შარვანშისასა და კაბალას, ჰერეთს, კახეთს, სომხითს და ქუეყანასა არშაკუნიანთასა – დვინს და ანისსა. ხოლო ვინათგან მეზობლობით მოეახლებოდეს ქუეყანასა საქართველოსასა, უდიდესნი და უბოროტესნი ... განსაცდელნი აღიძრვოდეს“.[37] ამ ფრიად საყურადღებო ცნობაში ამჯერად ის გვაინტერესებს, რომ კაბალა ისეთივე საქართველოა, როგორც კახეთი, ჰერეთი, სომხითი... რაშიდ ად-დინისა და ალ-ყუთბი ალ-აჯარის „ისტორიებიდანაც“ კარგად ჩანს, რომ აკსუ ანუ თეთრიწყლები შარვანის საზღვრად ითვლებოდა, მაგრამ არ ამბობენ, რომელი სამეფოსგან გამოჰყოფდა მას.[38] იბნ ალ-ასირი პირდაპირ მიუთითებს, რომ კაბალის ვილაიეთი ქართველთა მფლობელობაში იყო,[39] ან-ნასავი კი აზუსტებს, რომ ეს ქვეყანა საქართველომ შირვანისგან წაიღო.[40] კაბალას საქართველოდ მიიჩნევს კირაკოს განძაკეციც.[41]

ჟამთააღმწერლის ციტირებული ფრაგმენტიდან ისიც ჩანს, რომ „ქუეყანა არშაკუნიანთა“ ანუ სომხეთი ცენტრით დვინსა და ანისში, ასევე, საქართველოა. იგივე კონცეფციაა გატარებული შემდეგ ნაწყვეტშიც: „აიმჭედრა სულტანმან საქართველოსა შემოსლვად და მეფე ყოფად თავისა თჳსისა. მივიდა და მოაოჭრა ყოველი ქუეყანა დვინისა, კუსტისა დვინისა და ყოველი ანისი, სომხითი, გაგი განძამდე, შანქური“;[42] სხვა სახასიათო პასაჟი „ასწლოვანი მატიანიდან“: „გარნა პირველჴსენებულნი იგი სპარსნი ხუარაზმელნი მცირედ მოახლობდეს საქართველოსა, განრყუნიდეს ქუეყანათა. მაშინ ცნა სულტანმან ჯალალდინ ავაგ ათაბაგისა და ამირსპასალარისა ბიჯნის(ს) ყოფა, ინება ნახვა მისი, მოუვლინა მოციქული და რქუა: «შენ ხარ ვაზირთუხუცესი, და ითუალავ საქართველოსა. თუთოთა კაცითა შეევრბეთ, რამეთუ მნებავს სიტყუად შენ თანა». სთნდა ავაგს და ნება-სცა ხილვად“; შეხვედრისას „იწყო სულტანმან სიტყჳსა თქუმად: «არა მოველ

მე რბევად საქართველოსა, არამედ ზავისა და მშუდობისათუს»".[43] კიდევ ერთხელ აშკარა ხდება, რომ ბიჯნისი და ზოგადად, ისტორიული ჩრდილოეთ სომხეთი საქართველოა; დარბეულ საქართველოში სომხეთს გარდა დასახელებულია ყოფილი ალბანური მიწები მტკვრის სამხრეთით („გაგით განძამდის").[44]

საქართველოს სახელმწიფოდ აღიქმებოდა „რაჭას იქით ქუეყანანი", ვალაშკერტი და სურმარი.[45]

ჟამთააღმწერლის კონცეფციასა და ამ კონცეფციაზე დაფუძნებულ დასკვნაში შეიძლება დაგვაეჭვოს სომხურ წყაროთა მონაცემებმა, რომელშიც საქართველოს სამეფოს დუალისტური ხასიათია ხაზგასმული. მხედველობაში მაქვს, პირველ რიგში, XIII-XIV სს. შესრულებული ეპიგრაფიკული წარწერები და ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც საქართველოს სამეფო „საქართველოდ და (დიდ) სომხეთად" / „სომეხთა და ქართველთა მთელ ქვეყნად" მოიხსენიება,[46] ქართველი ბაგრატიონები – სომეხთა და ქართველთა / ქართველთა და სომეხთა მეფეებად,[47] მხარგრძელები და ორბელები – სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარებად/მხედართმთავრებად.[48] მათი მეუღლეები – ქართველთა და სომეხთა (სახლის) დედოფლებად.[49]

მაგრამ იმავე წყაროთა ჯგუფიდან შეიძლება მოვიტანოთ არაერთი ისეთი მაგალითი, როდესაც ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ მხარგრძელთა საჭელოსა და სიუზერენობაზე, ეთნიკონზე მითითების გარეშე;[50] აღნიშნულია, ზოგჯერ, ქართველთა მეფის მოხელეობა;[51] დასახელებულნი არიან საქართველოს მეფენი (ხანდახან, „ჩვენ მეფედ" წოდებულნი), რითაც ქვეყანაში ბაგრატიონთა უზენასეობა და მათდამი მხარგრძელთა ვასალური მორჩილებაა ხაზგასმული;[52] პირდაპირაა ნათქვამი „ქართველთა მეფობა" ჩრდილოეთ სომხეთში.[53]

საინტერესოა, რომ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მხარგრძელები მხოლოდ და მხოლოდ სამოხელეო ტიტულით იხსენიებიან; წარწერებში არც ეთნიკონია მითითებული და არც პატრონი მეფის სახელი.[54] თუ ეს განსხვავება ქართულ და სომხურ ეპიგრაფიკულ ძეგლებში შემთხვევითი არ არის, მაშინ ქართულ და სომხურ მწიგნობრულ წრეებში პოლიტიკური რეალობის რეპრეზენტაციის განსხვავებულობაზეც შეგვიძლია ვილაპარაკოთ. მონღოლ-თათართა თუ ხვარაზმელთა შემოსევების აღწერისას სომეხი ავტორები ხან საქართველოს სამეფოს,[55] ხან საქართველოსა და სომხეთის[56] ხან ალვანეთისა და საქართველოს,[57] უფრო ხშირად კი, „ჩვენი ქვეყნის", სომხეთის ან დიდი სომხეთის[58] დალაშქვრა-დაპყრობაზე საუბრობენ. სომხური მატიანეების მიერ მშობლიური სომხეთის რბევა-აოხრებაზე ყურადრების გამახვილება სავსებით ბუნებრივია. დიდი სომხეთი, ისევე როგორც

ალბანეთი, ლიტერატურული ტრადიციით შექმნილი ტერმინია, რეალური შინაარსისგან დაცლილი.[59] XIII საუკუნის სომხურ წყაროთა გაცნობა უეჭველს ხდის, რომ იმჟამინდელი სომხეთი ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობის აღმნიშვნელი გეოგრაფიული ცნებაა; ის საქართველოს სამეფოს პოლიტიკური სივრცის ნაწილია: მათი მოწმობით, 20-იანი წლებისათვის და შემდეგაც, სომხეთის უამრავი გავარი, მუსლიმებისგან გამოგლეჯილი, ქართველებს ეპყრათ,[60] საქართველო, სომხეთი და ალბანეთი საქართველოს სამეფოს ნაწილებია („ხორასანის სულთანმა ... დაარტყა საქართველოს სამეფოს და ნიშანი მისცა ... სომეხთა, ალბანთა და ქართველთა ქვეყნების მოოხრებას"),[61] სომხური მიწები ქართველთა საგადასახადო დავთრებში ირიცხება,[62] მათი მფლობელი მთავრები (უპირველესად, მხარგრძელები) საქართველოს მეფის მოხელეები (ზოგჯერ ეს სტატუსი ყაენის ბრძანებითაცაა განმტკიცებული: „დიმიტრი მეფე ... შეიყვარა არღუნმან და მისცა მას ყოველი ქვეყანა სომხეთისა აეაგიანთა და სახლი შაჰან-შაიანთა და გაგელნი და ძე სადუნ ათაბაგისა"),[63] საქართველოს წარჩინებულები[64] არიან, სომხეთში შემოჭრილ მტერს საქართველოს სამეფოს ლაშქარი უპირისპირდება[65]... მონღოლთა მიერ საქართველოში დაპყრობილ ციხე-ქალაქთა ჩამონათვალი – ანისი, ყარსი, შამქორი, მაწნაბერდი, ჰრაშკაბერდი, ოროტნ-ბოროტნი და სხვ.[66] – უცილობლად მოწმობს, რომ საქართველოს სამეფო, თანამედროვე სომხური საზოგადოების თვალსაზრისითაც, კავკასიის საქრისტიანოს მომცველი ქვეყანაა.[67]

არაბი და სპარსელი ავტორების მოწმობითაც, „ქართველთა ... ქვეყანა მდებარეობს ... არ-რუმსა და არმენიის ქვეყნებს შორის. იგი დიდი ქვეყანაა და სახელგანთქმული სახელმწიფოა".[68] ის, თითქმის, მთელ ქრისტიანულ კავკასიას მოიცავს – საქართველოს სამეფოში შედის ანისი, ყარსი (სამხრეთ კავკასიაში) და ალანია (ჩრდილოეთ კავკასიაში).[69] „საქართველოს საზღვარშია" დვინი, გარნისი და ბიჯნისი, ასევე ადარბადაგანსა და არანს შორის ტერიტორია (სივნიეთი და ხაჩენი).[70] ეს მიწა-წყალი ქართველებს მუსლიმებისთვის წაურთმევიათ.

აღმოსავლური წყაროების მიხედვით ამირკავკასიაში სამი სახელმწიფო ერთეულია: შირვანი, არანი და ქურჯების ქვეყანა ანუ საქართველო. პოლიტიკური სომხეთი მათთვის ხლათია, რომელსაც დიდ არმენიასაც უწოდებდნენ მცირე არმენიისგან ანუ კილიკიის სომხეთისაგან განსასხვავებლად.

§2. – ქვეყნის დაშლისა და გაერთიანების ტენდენციების ასახვა ტერიტორიულ სტრუქტურაში

საქართველო ორი უმთავრესი ნაწილისგან შედგებოდა – იმერისა და ამერისგან. ერთიანი მონარქიის აღმნიშვნელი ეს პოლისემიური წყვილი ხშირად გვხვდება XIII საუკუნის I ნახევრის ამბების თხრობისას: განდგომილი განძის საამიროს დასასჯელად „მეფემან ლაშა მოუწოდა ყოველთა სპათა საქართველოსათა, იმერთა და ამერთა“;[71] ლაშა-გიორგი როცა „აღსრულდა ... შეკრბეს წარჩინებულნი მის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი“;[72] მონღოლთა ლაშქრობებისგან თავმობეზრებულნი „შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტასთავსა, იმერნი და ამერნი“[73] და სხვ.

იმერ-ამერს ლიხის ქედი ჰყოფდა, ამიტომ წყაროებში გვხვდება „ლიხთ-იმერი“ და „ლიხთ-ამერი“, „ლიხთიქითი“ და „ლიხთაქეთი“.

ხვარაზმელთა და მონღოლთა ბატონობის შედეგად დეცენტრალიზაციის გზაზე დამდგარი ქვეყნის პოლიტიკურ ლექსიკონში სულ უფრო რელიეფურად იკვეთება ამერ-იმერის პოლიტიკური დატვირთვა.[74]

ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება, აგრეთვე, „ლიხთამერი საქართველო“ „ამერი საქართველო“, ან „ლიხთაქათი საქართველო“. თავდაპირველად ტერმინი აღნიშნავდა ერთიანი ქართული მონარქიის აღმოსავლეთ ნაწილს,[75] რომელიც ყველაზე მეტად ააოხრა ხვარაზმელთა თუ მონღოლთა შემოსევებმა;[76] მას შემდეგ კი, რაც „იქმნა განყოფა სამეფოსა, და მიერითგან შეიქმნა ორ სამეფოდ“, „ამიერი საქართველო სამეფო“ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინად გადაიქცა.[77]

ორ სამეფოდ გაყოფილი სახელმწიფოს აღმოსავლეთ ნაწილს, როგორც ნარატიული წყაროებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, XIII საუკუნის მიწურულამდე მაინც „საქართველო“ (vs. „ქართლი“) ეწოდებოდა.[78]

ნიშანდობლივია, რომ პოლიტიკურ გეოგრაფიაში მომხდარი ძირეული ცვლილებების მიუხედავად ქრისტიანული კავკასიის კულტურულ-პოლიტიკური ერთობის აღმნიშვნელი ეს ტერმინი კვლავ ცოცხლობდა; „საქართველო“ სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყნის გაერთიანების იდეად გამოდიოდა. ქართული საზოგადოების მოწინავე წრეების ამგვარი სულისკვეთება კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც დემეტრე მეფის სიკვდილით დასჯის შემდეგ ტახტზე დავით ნარინის ძე, ვახტანგი ავიდა; მოვუსმინოთ კვლავ უამთააღმწერელს: „ამას ვახტანგს მოსცა (არღუნ ყაენმა – გ.ჯ.) მეფობა ყოვლისა საქართველოსი და დაჲ თჳსი ოლჯათ – ცოლად, და წარმოგზავნა და მოვიდეს ტფილისს... და დაიპყრა ყოველი საქართველო ნი-

კოფსით დარუბანდამდე, თუნიერ ჯაყელ-ციხისჯუარელისა ბექასი. და განიხარეს ყოველთა მკუდრთა საქართველოსათა“.[79]

ქვეყნის პოლიტიკურ დაშლასთან ერთად შეინიშნება „საქართველოს“ „ქართლით“ ჩანაცვლების ტენდენცია. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე ვიცით, არამხოლოდ შიდა ქართლს ან ეთნოგრაფიულ ქართლს (შიდა და ქვემო ქართლს) აღნიშნავდა (ასე იყო საუკუნეთა განმავლობაში, ასე იყო ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც), არამედ – მთელ აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის სამეფოს/საერისმთაეროს, ანუ იბერიას) და, X საუკუნემდე, – საქართველოსაც კი. „ასწლოვანი მატიანის“ ავტორს თუ ვერწმუნებით, ეს პროცესი უკვე XIII საუკუნის I ნახევარში უნდა დაწყებულიყო.[80]

„საქართველოს“ უფრო „შესაფერისი“ „ქარლით“ ჩანაცვლების პროცესი თითქმის ასი წლის განმავლობაში გრძელდებოდა[81] და არცთუ იშვიათად „ქართლის“ გამარჯვებით სრულდებოდა. საამისო მაგალითები იმავე ჟამთააღმწერელს არაერთი მოეპოვება: დავით ულუს შვილს, დემეტრეს, ტრაპიზონის კეისრის ქალიშვილისგან ეყოლა ვაჟი, „უწოდეს სახელად დავით, რომელი უკანასკნელ მეფე იქმნა ქართლს“;[82] XIII საუკუნის მიწურულს მონღოლებმა ბექა ჯაყელს „სთხოვეს ყრმა გიორგი, რათა მისცეს და მეფე ყონ ქართლსა დავითის წილ“.[83] მოტანილ ამონარიდებში „ქართლი“ ერთმნიშვნელოვნად ლიხთამერ საქართველოს გულისხმობს; ის პოლიტიკური ერთეულის სახელწოდებაა; ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი კი ქართლის მეფედ იწოდება.

„საქართველო“ – „ქართლის“ მონაცვლეობა ქვეყნის დაშლისა და გამთლიანებისთვის ბრძოლის გამოძახილიცაა.

ცვლილებები ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში დასაელეთ საქართველოსთან დაკავშირებითაც შეინიშნება. XIII საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს „სამეფო ესე ორ სამთავროდ“ რომ „შეიქმნა“, „დარჩა ლიხთსაქათი ლაშას, ძესა დავითს. და ლიხთიმერი რუსუდანის ძესა“;[84] მოგვიანებით, „იქმნა განყოფა სამეფოსა, და მიერითგან შეიქმნა ორ სამეფოდ. მაშინ უმეფო იყო ამიერი საქართველო სამეფო, და დაიშალა ლაშქრობა და მსახურება თათართა“[85]. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გახლეჩილი მონარქიის დასავლეთი ნაწილის აღსანიშნავად „იმიერი საქართველო სამეფო“ გვექნებოდა, მაგრამ არც ის და არც მისი მსგავსი ტერმინები – იმერი/ლიხთიმერი/ლიხთიქითი საქართველო – წერილობით წყაროებში არ დასტურდება. ეს დასავლურქართული მონარქია, უპირატესად, ლიხთ-იმერეთად // ლიხთ-იმერად, ან, უბრალოდ, იმერად იწოდებოდა,[86] ხოლო მონარქი – აფხაზეთის მეფედ[87] ან აფხაზთა მეფედ.[88] ამ სუვერენულ სივრცეში ერთიანდებიან აფხაზნი, სუანნი, დადიანი, ბედიანი, რაჭის ერისთავი და „სრულად ლიხთ-იმერელნი“.[89]

XIII-XV საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში ლიხთ-იმერის სამეფო აფხაზეთად იხსენიება. სომეხი ავტორებთან ტრადიციულ Ափխազ(ք) ფორმასთან ერთად[90] გვხვდება Ափխազէթ-იც,[91] რაც ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგიის უშუალოდ თანადროული ქართული სამყაროდან ნასესხობას უსვამს ხაზს. ამაზევე მიანიშნებს სომეხ ისტორიკოსთა ნაწერებში არაერთხელ დამოწმებული Սուանէթ/Սուանեթ-Սոնէթ-ი[92] (შდრ. ტრადიციული სომხ. ფორმა Սոնք). საინტერესოა, რომ ზოგ შემთხვევაში სომხურ წყაროებში „სვანეთი" „აფხაზეთის" სინონიმად გამოდის და მთელ დასავლეთ საქართველოს ფარავს (ასეა, კერძოდ, კირაკოს განძაკეცისთან[93], მხითარ აირივანეცისთან,[94] და, შესაძლოა, სტეფანოს ორბელიანთანაც[95]), ხოლო „სვანთა მეფე" (թագաւորին Սոնաց) ლიხთ-იმერის მბრძანებლს გულისხმობს.[96] ეს ფაქტი საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთკავშირის, სვანეთის დანარჩენ ქართულ მიწებთან მჭიდრო ინტეგრაციის კიდევ ერთი შესანიშნავი მოწმობაა.

XIII საუკუნის უკანასკნელი მესამედის მოვლენათა აღწუსხვისას სომეხი ავტორები ტერმინით Վրաց/Վիրս, რომელსაც ამავე საუკუნის 40-იანი წლების მიწურულამდე მაინც ერთიანი ქართული მონარქიის (Վրաց տուն) სახელწოდებად გამოიყენებდნენ,[97] ახლა მხოლოდ და მხოლოდ ლიხთ-ამიერის სამეფოს აღნიშნავდნენ; ლიხთ-იმერის სამეფოს, როგორც უკვე ვთქვით, აფხაზეთს უწოდებოდნენ.[98]

სომეხი ავტორები იმასაც მიანიშნებენ, რომ აფხაზეთი და ქართლი ერთი სამყაროს ორი ნაწილია. ამ მხრივ დამახასიათებელია კილიკიის სომხეთის სამეფო დინასტიის წარმომადგენლის, ჰეთუმის ნაშრომი „თათართა ისტორია", რომელიც 1307 წლიდან ევროპაში „აღმოსავლეთის ისტორიების ყვავილის" სახელით გავრცელდა. თანადროულ გეოპოლიტიკაში საკმაოდ კარგად გათვითცნობიერებული ეს სახელმწიფო მოღვაწე თავისი თხზულების I წიგნის X თავში წერს: „საქართველოს სამეფო (ფრანგ. Le roiaume de Jorgie; ლათ. Regnum Georgie) ორ სამეფოდ განიყოფება: ერთს საქართველო (ფრანგ. Jorgie; ლათ. Georgia) ჰქვია, მეორეს – აფხაზეთი (ფრანგ./ლათ. Abcas)."[99] სომხურ ტექსტში, რომელიც ლათინურიდან მომდინარეობს, ერთიანი საქართველოს სამეფოს შეესატყვისება թագաւորութիւն Վրաց, საქართველოს (ქართლს) – Վրաստան կամ Կուռճիստան, ხოლო აფხაზეთს – Ափխազք, რომელიც შერყვნილი Ապվաս ფორმითაც დასტურდება.[100] არაბთა დაპყრობების დროინდელი ამბების გადმოცემისას (წიგნი II, თავი IV) ჰეთუმი ასეთ გლოსას ურთავს: „...აფხაზთა სამეფო, რომელიც საქართველოა".[101]

ლიხთ-იმერის სამეფო აფხაზეთად XIII-XIV საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმურ სამყაროშიც იყო ცნობილი. საინტერესოა, რომ XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო თანადროულ სპარსულ წყაროებში ტერმინით „აფხაზი“ აღინიშნებოდა, შემდეგ ის „გორჯესთანმა“ ჩაანაცვლა. მონღოლთა ბატონობის პერიოდში აფხაზი დასავლეთ საქართველოს, გორჯესთანი კი აღმოსავლეთ საქართველოს ფარავდა.[102] ტერმინოლოგიური ცვლილებები კარგად აისახა მონღოლთა დიდმოხელის, რაშიდ ად-დინის „ისტორიასა“ და „მიმოწერაში“.[103] მუსლიმმა ავტორებმა კარგად იცოდნენ, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომ XIII-XV სს. არაბ და არაბულენოვან ავტორებთან ლიხთ-იმერის „მეფენი“ საქართველოს მეფედ იწოდებიან, ლიხთ-იმერი – საქართველოდ.[104]

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ევოლუციიხ ამსახველი ტერმინოლოგიის გასაოცარი მსგავსება ქართულ და აღმოსავლურ საისტორიო მწერლობაში აშკარაა. ინფორმაციის ორივე წყება ქართულ საზოგადოებაზე შინაგანი და გარეგანი დაკვირვების შედეგია და ადექვატურად გადმოსცემს ქართველი ერის ცნობიერებაში მომხდარ ტეხილებს.

როგორ გავიგოთ დავით ნარინისა და მისი მემკვიდრეების აფხაზეთის/აფხაზთა მეფობა? ხომ არ ნიშნავს „საქართველოს“ გაუვრცელებლობა ლიხთ-იმერზე ამ უკანასკნელის საერთოქართული სამყაროდან მოწყვეტას? გავიხსენოთ, რომ XIII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთ კუთხესაც[105] და მთლიანად დასავლეთ საქართველოსაც[106] ერქვა. ცხადია, ეს წარსულის რემინისცენცია იყო, იმ დროის გახსენება, როდესაც დასავლურქართული აფხაზთა სამეფო ტოლს არ უდებდა ქართლის საერისმთავროს, შემდეგ კი – ქართველთა სამეფოს და ზოგჯერ ძლიერებით აღემატებოდა კიდეც მათ. თანასწორობის ხაზგასმით დავით ნარინი, პირველ რიგში, შელახულ პატივმოყვარეობას იკმაყოფილებდა – მან ხომ თავის უკანონოდ შობილ ბიძაშვილს იძულებით ტახტი გაუყო და წლების განმავლობაში მისი მეფეთა-მეფობის ჩრდილქვეშ უღიმღამო მეფედ რჩებოდა.[107] ლიხთ-იმერეთში გადასვლით დავით რუსუდანის ძის მდგომარეობა იცვლება, ის დავით ულუს თანასწორი ხდება, იმ დროსაც კი, როდესაც ერთიანი სამეფო de jure ორ სამთავროდაა მხოლოდ გაყოფილი.[108] ამ თვალსაზრისს ლიხთამერშიც იზიარებენ, მათ შორის, ფორმალურად ჯერ ისევ ერთიანი ქვეყნის მონარქის, დავით გიორგის ძის უახლოეს გარემოცვაში.[109] როგორც ჩანს, ქუთათური რანდევუს დროს დავით ნარინმა დევნილი ბიძაშვილისგან „მოიეერაგა“, უფრო ზუსტად, დაიკანონა ადრევე მითვისებული „აფხაზთა/აფხაზეთის მეფობა“, რაც სრულიად საქართველოს ხელმწიფის ტიტულსაც წარმოადგენდა.[110] დავით რუსუდანის ძის იდეოლოგებმა ისიც მშვენივრად უწყოდნენ, რომ ძველი ტრადიციით ფართოდ გაგებული „აფხაზეთი“ იმერის გარდა ამერსაც მოიცავდა და „საქართველოს“

თანაბარმნიშვნელოვან ცნებად გამოდიოდა. ამდენად, ლიხთ-იმერ მეფეთა „აფხაზობა“ არა იმდენად განკერძოებისკენ მიდრეკილებაა (მაგრამ არც უმაგისობაა) რამდენადაც გახლეჩილი საქართველოს ყაენის მონობისგან თავისუფალ „აფხაზთა მეფეთა“ მოთავეობით გაერთიანების ამბიცია, რომლის ხორცშესხმის პრაქტიკულ ნაბიჯს ვახტანგ დავითის ძის აღმოსავლეთ საქართველოში გამეფება წარმოადგენდა.

დავით ნარინის ფართო სახელმწიფოებრივი პროგრამა კარგად გამოჩნდა მის სამეფო წოდებულებაში. სულ მალე მას შემდეგ, რაც ბიძაშვილ-მამიდაშვილმა საქართველო ორად გაინაწილეს, დავით რუსუდანის ძე მეფეთა-მეფედ იქცა,[111] წინაპართაგან მიღებულ ხმაურიან ტიტულს კი „ყოველისა საქართველოისა“ „მპყრობელობაც“ ემატება (1261/62 წლიდან).[112] „ყოველისა საქართველოისა“ „ჴელმწიფედ მპყრობელობა“ დავით და ვახტანგ მეფეების 1287/1288 წწ. დათარიღებულ სიგელშიცაა ხაზგასმული.[113]

ყოველი საქართველოს ხელმწიფეებად დავით ულუს შთამომავალნიც იწოდებოდნენ. უადრესი შემთხვევა დავით VIII-ის სახელით გაცემულ 1297/1298 წწ. სიგელშია დამოწმებული.[114] აღსანიშნავია, რომ საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის ხანის მეფეთა, მათ შორის, ლაშა გიორგის, ტიტულატურაში „საქართველო“ და „ყოველი საქართველო“ არ გვხვდება.[115] რუსუდანი სახელით გამოცემულმა სიგელ-გუჯრებმა ჩვენამდე არ მოაღწია, ამიტომ ძნელია გადაწყვეტით რაიმის თქმა მისი წოდებულების შესახებ. ის კი თითქოს უცილობელია, რომ ქვეყნის ერთიანობის ხაზგასმა სწორედ მისი ზეობის დროს გახდა საჭირო, რაც ხვარაზმელთა და მონღოლთა შემოსევებით შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. საამისო პირველ მითითებას ტბელი აბუსერისძის თხზულებაში (1233 წ.) ვხვდებით: ხიხათა ეკლესიის მშენებლობისას მომხდარ სასწაულებს შორის ის ახსენებს „კაცისმჭამელთა მგელთა“ „ოტებას“ „სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოჲსათა...“.[116] ტერმინი „სრულისა საქართველოჲსა“ სუვერენული სივრცის აღმნიშვნელი პოლიტიკურ ფორმულაა; ის XIV საუკუნის საქართველოს მეფეთა ტიტულატურაშიც გვხვდება (დადასტურებულია მაყაშვილისადმი ბოძებულ 1387 წლის საბუთში).[117]

„სრულისა საქართველოჲსასთან“ შედარებით მეტი გავრცელება ჰპოვა ტერმინმა „ყოველი საქართველო“, როგორც ჩანს, უკვე დამკვიდრებული „ყოველი ქართველის“, „ყოველი სპის“, „ყოველი წარჩინებულის“, „ყოველი მკვიდრის“ ანალოგიით, ანუ სოციუმის ერთობლიობის აღმნიშვნელი ტერმინი ამ სოციუმისადმი კუთვნილ ტერიტორიაზეც გავრცელდა. ეს მნიშვნელოვანი სიახლე ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში მონღოლთა ბატონობის დამყარებას უკავშირდება.[118] მემატიანის ცნობით, ქუთაისში გახიზნულ რუსუდანს მონღოლებმა დამორჩილება შესთავაზეს, სანაცვლოდ

აღუთქეს „მისცენ მეფობა, და ტფილისი და ყოველი საქართველო“. ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ რუსუდანმა თავისი შვილი გაგზავნა. კმაყოფილმა მონღოლებმა „პატივი უყვეს მეფესა და მთავართა საქართველოსათა, მოსცეს ყოველი საქართველო“.[119] ნოინებთან დაზავების შემდეგ „გარდამოვიდა მეფე რუსუდან ლიხით და მივიდა ტფილისად... მოსცეს (მონღოლებმა – გ.ჭ.) ყოველი სამეფო, წარჩინებულნი და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი. და ესრეთ კუალად ეგო სამეფო ბრძანებასა ქუეშე რუსუდან მეფისასა“.[120] მოხმობილი ციტატებიდან კარგად ჩანს, რომ ყოველი საქართველო გულისხმობს ერთ სამართლებრივ სივრცეში გაერთიანებულ იმერამერს, იმ სახელმწიფო ტერიტორიას, რომელზეც სრულად ხორციელდება ბაგრატოვანი ხელმწიფის უფლებები.

რუსუდანის მემკვიდრეების ტიტულატურაში „საქართველოსა“ და „ყოველი საქართველოს“ გამოჩენა დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ მოვლენად უნდა იქნას მიჩნეული. ეს ინოვაცია მეფეთა წოდებულებაში ქვეყნის პოლიტიკურ დაქუცმაცებულობაზე რეაქციას, გაერთიანებისკენ სწრაფვის გამოხატულებას და საქართველოს მთლიანობის ხაზგასმას წარმოადგენდა.[121] „ყოველი საქართველო“ იმ მიწებსაც გულისხმობდა, რომლებიც დროებით ბაგრატიონთა იურისდიქციის მიღმა რჩებოდა.[122] ვფიქრობთ, რომ იმავდროულად პოლიტიკურად დაშლილ ქართველთა ზოგადეროვნულ, კულტურულ-პოლიტიკურ იდენტობას ესმეოდა ხაზი.

დაქუცმაცებული საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, ანუ როგორც ძველ დროს იტყოდნენ, ყოველი საქართველოს ერთად შეკრება,[123] გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) სახელს უკავშირდება. მიწების შემოკრების რთულ პროცესს უამთააღმწერელი ერთ მომენტად წარმოსახავს და ზეაღმატებულ ტონალობაში აღწერს: „მოსცა (ყაენმა მეფე გიორგის – გ.ჭ.) ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი, შვილნი ბექასნი. და იწყო მთიებმან აღმოჭრევებად“.[124]

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ამ მნიშვნელოვან მოვლენას ასე გადმოგვცემს: „...ამან ბრწყინვალემან გიორგი დაიპყრა საქართველონი“.[125] მრავლობითი „საქართველონი“, ფრიად დამახასიათებელი გვიანი შუა საუკუნეების პოლიტიკური გეოგრაფიისათვის (იხ. ქვემოთ), რამდენად ადექვატურად ასახავდა XIV საუკუნის ვითარებას? ჩვენთვის ცნობილია ორი შემთხვევა, როდესაც XIII-XIV სს, ავტორებთან საქართველოს ნართანიანი „საქართველოთა“ ფორმით დასტურდება.[126] საფიქრებელია, რომ ძველ მემატიანეთა წარმოდგენით საქართველო მრავალი ქვეყნისგან, საქართველოებისგან – იმერ-ამერისა („ფრიადი ქუეყანაჲ“) და მათთან კულტურულ-პოლიტიკურად შერწყმული ჯიქეთის, ჩრდილოეთ

სომხეთისა და დასავლეთ შირვანისგან – შემდგარი ერთი სახელმწიფო იყო.[127] „საქართველოთა“ ფონზე „ყოველი საქართველოს“ გამოჩენაც უფრო გასაგები ხდება.

გიორგი ბრწყინვალის მემკვიდრეთა ტიტულატურაში, ხმაურიან პანკავკასიურ წოდებულებებთან ერთად, ყურადღება საგანგებოდაა გამახვილებული „საქართველოს“, „სრულისა საქართველოისა“ ან „ყოელისა საქართველოსა“ „მპყრობელ-მჭონებლობასა“ და „ჴელმწიფობაზე“,[128] ისევე როგორც „ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა“ „განმაერთებლობასა“ და „ორისაევე სამეფოსა მტკიცედ და შეურყეველად მპყრობელობაზე“.[129] ი შვიათად, მაგრამ მაინც, „ლიხთ-იმერს“ და „ლიხთ-ამერს“ „აფხაზეთი“ და „ქართლი“ ენაცვლება,[130] რაც, აგრეთვე, XIII საუკუნის მეორე ნახევარში განვითარებული პროცესების გამოძახილი უნდა იყოს.

გიორგი ბრწყინვალისა და მისი მემკვიდრეების სახელმწიფოში ამერ-იმერის გარდა ზემო და ქვემო სამეფოებსაც გამოარჩევდნენ.[131] ქვეყნის გამთლიანებამაც და დანაწილების ამ ძველისძველმა პრინციპმაც[132] საინტერესო ასახვა ჰპოვა XIV საუკუნის ევროპულ და არაბულ მწერლობაში.[133] ერთიან მონარქიაში ისინი გამოყოფენ ორ „სამეფოს“. დასავლეთ ნაწილს განაგებდა „მეფე“, უფრო ზუსტად, კი „მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარი“ "დადიმანი“ ანუ, დადიანი. ამ მხარეს „აფხაზეთის სამეფოს“ და „ქვემო საქართველოს“ სახელითაც მოიხსენებენ. ლიხთ-ამერი „ზემო საქართველოდ“ იწოდება. მისი მბრძანებელი, რომელიც თბილისში ზის, იმავდროულად არის „აბხაზთა, ქართველთა და ჯურჯანელთა“ ანუ „ყოველი საქართველოს“ მეფე. ზემო და ქვემო საქართველოს მცხოვრებნი არიან იბერები ან ქართველები. თანამედროვე ევროპელებს, ზოგად განცხადებებთან ერთად, კონკრეტული ჩვენებებიც მოეპოვებათ; ქვემო საქართველოს ეპისკოპოსის პეტრე გერალდის თანახმად, ცხუმის მოსახლეობა ქართულია. ნიშანდობლივია, რომ ქალაქის მკვირებსაც კი არა ეთნოგრაფიულ ჯგუფთა სახელებით (მეგრელთა, აფხაზთა), არამედ ზოგადეროვნული ტერმინით აღნიშნავდნენ.

§ 3. – ეროვნული იდენტობის მანიფესტი

1335 წელს იაკობ დე ვერონა წერდა: „ქართველები ეწოდებათ იმათ, ვინც საქართველოს ქვეყანაში ცხოვრობენ... მათი მეფე უძლიერესია. ისინი ერთგული ქრისტიანები არიან“.[134] დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ალკაშკაშანდიმ საქართველოს „ქრისტიანი ქართველების ქვეყანა“ უწოდა და

აღნიშნა, რომ ის „დიდი ქვეყანაა და სახელგანთქმული სახელმწიფოა“.[135] ორიეე უცხოელმა ავტორმა, ევროპელმაც და არაბმაც, სავსებით სწორად განსაზღვრა ქართველთა იდენტობა (ქვეყანა, სარწმუნოება) და სახელმწიფოს არსი – ქრისტიანული.

ქრისტიანობა ქართველთა ცნობიერების ქვაკუთხედს წარმოადგენდა და ეს შეგრძნება განსაკუთრებით გამძაფრდა ხვარაზმელთა შემოსევების დროს.[136] დამარცხებულ საქართველოში ჯალალ ად-დინმა დაუოკებელი სისასტიკით მიჰყო ხელი ისლამის გავრცელებას – ქრისტიანთა ხოცვას, ეკლესიების ნგრევას და მეჩეთების აღმართვას. მაგრამ დამპყრობთა სისასტიკე ქართველებს მხოლოდ განამტკიცებდა თავის რწმენაში: ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლებში გმირულად იღუპებოდნენ, „არადატეებისათჳს სჯულისა“ მოწამებრივად აღესრულებოდნენ „დიდნიც“ და „მცირენიც“, ცალკეული ინდივიდებიც და ათასობით მკვიდრნიც (ჟამთააღმწერელი). „ქ(რისტე)ს სჯულთა და მერმე ჩუენთა მეფეთ-მეფეთა ერთგულობისათუის წამებით [აღსრულებულთა დიდთ]ა ჰომთა და ბრძოლათა შიგა ერცელად და შეწყობი[თ] დიდისა მეტაფრასისა ბოლოსა სწერია...“ – გვამცნობს ალის მონასტრის სვინაქსარის ერთი მინაწერი.[137] ეს გმირები წმინდანებად ირაცხებოდნენ, მათი ცხოვრება და ვნება ეკლესია-მონასტრებში იკითხებოდა, მთელ ერს ემცნობოდა და ისიც „ჭირსა შიგან“ კიდევ უფრო „მაგრდებოდა“.

მტერი ქართველთა სულს ვერ იმონებდა, მათ წინააღმდეგობას ვერ სტეხდა. ნასავის აღიარებით, ნაცვლად იმისა რომ სახლებში შეყუჟულიყვნენ და სიცოცხლის გადარჩენაზე ეზრუნათ, ქართველები ბრძოლებს აგრძელებდნენ და დიდ ზიანსაც აყენებდნენ ჯალალ ად-დინის ჯარებს[138] დაუშრეტელი ენერგიის წყალობით იყო, რომ ქართველებმა გაუძლეს ხვარაზმელებსაც და მათზე უფრო დაუნდობელ დამპყრობლებსაც (მონღოლებს, თემურ-ლენგს) და ეროვნული თვითმყობადობა შეინარჩუნეს, თუმცა მსხვერპლი აუნაზღაურებელი გაიღეს.

„ქართველნი არიან გულმხურვალე ქრისტიანენი, დიდი ძალის კაცნი და მამაცნი მებრძოლნი „ – წერდა რომის პაპს ჰეთუმი და თან დაბეჯითებით ურჩევდა, წმინდა მიწის გამოსახსნელად მათ მეფესაც დაკავშირებოდა.[139] ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში მონღოლები ბატონობდნენ, ქართველთა ეროვნული ენერგია კი მათ ლაშქრობებში იხარჯებოდა.[140] ქართველთა ლაშქარი – ამბობს არაბი ავტორი ალ-უმარი და შემდეგ ამასვე სხვებიც იმეორებენ – „მტკიცედ დგას ჯვრის სარწმუნოებაზე და გულადი და მამაცი ხალხია... ისინი ჰულაგუიანთა ლაშქრის ძალასა და სიმდიდრეს წარმოადგენენ“.[141] ბიზანტიელ ისტორიკოსს, გიორგი პაქიმერეს თუ ეწმუნებით, ყაენები ქართველთა ჯარს განსაკუთრებულ მისიასაც კი

ანიჭებდნენ, მათი სიქველე და ქრისტიანული რწმენის სიწმინდე მსოფლიოზე გაბატონების საწინდრად ეგულებოდათ.[142]

„ქრისტიანენი" წყაროებში ქართველობის სინონიმადაც იხმარება.[143] წმინდანები, სიწმინდეები და სალოცავები იყო არამხოლოდ „სამეუფოჲსა (ე.ი. საქართველოს) ამის სიმტკიცე, ძალი და დიდებაჲ",[144] არამედ კულტურულ-ტერიტორიული კუთვნილების, უფრო ზუსტად, კუთვნილების აღქმის განმსაზღვრელი ფაქტორიცაა, იქნებოდა ეს ლოკალური (განსაკუთრებით მთაში) თუ ზოგადეროვნული. დამახასიათებელია, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, ამა თუ იმ გარიგების დადებისას, წმინდა სამების, მთავარანგელოზთა, ღმრთისმშობლისა და ჯვარპატიოსნის ხსენების შემდეგ, იტყოდნენ: „ოხითა და მეოხებითა ილორისა და გორგოთისა, ვანისა მთორმოწამისათა და შავათისა ნისლასათა მთორმოწმისათა; თავსმდებობითა ტბისა მთორმოწმისათა, აგარასა ღთისმშობელისათა; და წმიდათ მოციქულთა მადლითა, აწყუერისა და ვარძიისა ღმრთისმშობლისათა და ოღოროსა ღმრთისმშობელისათა და წმიდისა დემეტრესითა და ზღუდრისა და ქაშუეთისა მთორმოწმისათა; ოხითა და მეოხებითა ცხრათა ნაწილთა სინიქოტისათა და ძელის ჯეშმარიტისათა, და წეფთისა მთორმოწმისათა, და ჩიხორისა მთორმოწამისათა; თავსმდებობითა ათორმეტთა უდაბნოთა მადლითა და სამთა ძმათა მაღლისა მთორმოწმისათა; და წმიდათა კურიკეს და ივლიტეს მადლითა".[145] შესანიშნავი მოწმობაა, თუ როგორ აიგივებს XV საუკუნის ქართველი თავის ვინაობას თითქმის ყველა კუთხის სიწმინდესთან და მათთან ერთად – სრულიად საქართველოსთან.

ქართველთა ეროვნული ცნობიერების გასააზრებლად მდიდარი წერილობითი და ნივთიერი წყარო, ასევე ზეპირგადმოცემები მოგვეპოვება. შესაძლებლობა გვაქვს, ჩავწვდეთ არა მხოლოდ ბარის, არამედ მთის მკვიდრთა მენტალობასაც. „წ(მიდა)ო მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგელოზო მუხერისო, ჰელთუქმარო, ადიდენ მეფენი ბაგრ(ა)ტუნიანნი და დადიანი, და დიდებულნი და ერთობ(ი)ლი საქართველო და ერთობ(ი)ლნი ს(უ)ანნი და ჰეეი ლატალისა; და აღაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაილისა და ყ(ოვ)ელნი მადიდებელნი შენნი; ამ(ე)ნ"[146] – ამ საყურადღებო წარწერას თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ეროვნული იდენტობის მანიფესტი. ერისა და ქვეყნის ეს სავედრებელი, რომელიც გაბრიელ მთავარანგელოზის ხატზეა ამოკვეთილი და XIII-XIV სს. თარიღდება,[147] კარგად აჩვენებს, თუ როგორ წარმოედგინა მაღალმთიანი სვანეთის ერთ-ერთ სოფელს საქართველოს სამეფოს სტუქტურა და თავისი ადგილი ქართულ ეროვნულ სახელმწიფოში.[148] განსაკუთრებით ფასეულია, რომ ქართველად, საქართველოს ნაწილად თავს აღიქვამს არა წარჩინებული, არამედ რიგითი სვანი მეთემე.[149]

ეს არ ყოფილა ლიტონი განცხადება. ასეთი იყო თვითცნობიერება, მენტალობის უშინაგანეს პლასტებში დალექილი. სხვანაირად ძნელი ასახსნელია, ლოცვა-კურთხევის გამოთხოვისთვის რატომ ანიჭებდა შუა საუკუნეების სვანი განსაკუთრებულ ძალას მაინცდამაინც ქართულ ანბანს (XIII ს. მხედრული ანბანი აცის მთავარანგელოზთა ეკლესიის დასავლეთი კედლის შიდა შელესილობაზე, XIV ს. ნუსხური ანბანი ტვიბის მთავარანგელოზტა ეკლესიის შიდა შელესილობაზე, XV-XVI სს. ნუსხური ანბანი ჩვაბიანის მთავარანგელოზთა ეკლესიის საკურთხევლის უბეში).[150] თანადროულ ქართულ ეპიგრაფიკაში ანბანი ცნობილია დოდორქის მონასტერში და ფიტარეთის ეკლესიაში; ორივე XIV საუკუნით თარიღდება.[151] ცხადია, რომ მთაშიც და ბარშიც, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც ქართველი კაცის ცნობიერება ერთია.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სვანეთის წერილობითი ძეგლები, არქიტექტურა თუ სახვით ხელოვნება უეჭველს ხდის, რომ ის საქართველოს არა ერთი უშორესი მხარეა, არამედ ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური აღმშენებლობის ცნობიერად განუყოფელი და აქტიურად მონაწილე ქვეყანა.[152]

ნარას ქვაბურის სიძველეთა კვლევამ მსგავსი ტენდენციები გამოავლინა ცენტრალურ კავკასიონშიც. დვალეთში ცენტრალური ხელისუფლების კვალდაკვალ თავად ადგილობრივი მკვიდრნი აგებენ ეკლესიებს (ხუცაუძუარი ანუ ღვთაების სამლოცველო, ძილეს-ძუარი ანუ ძლევის ჯვარი) — ასეთივე მოვლენა შეინიშნება ხევის საკულტო ხუროთმოძღვრებაშიც — და მათ ქართული წარწერებით ამკობენ (XIII-XIV სს. მოსახსენებლები ძლევის-ჯვრიდან); მხარის ეპიგრაფიკულ ძეგლებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება დვალეთში ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიის შესასწავლად.[153]

დვალეთში ზოგადქართული და ადგილობრივი ტრადიციების შერწყმის თვალსაჩინო მაგალითს ნუზალის ეკლესია წარმოადგენს. მისი არქიტექტურა ტიპოლოგიურად ჩრდილოკავკასიურ ორფერდასახურავიან აკლდამებს უკავშირდება, ხოლო კედლის მხატვრობა (ქტიტორთა პორტრეტები, რელიგიური სცენები) რაჭა-სვანეთის მხატვრული სკოლის ტრადიციებს ეფუძნება; განირჩევა ადრეპალეოლოგოსური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი სტილისტური თავისებურებანი. განმარტებითი წარწერების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია. ეკლესიაში გამოსახულ ქართველ ფეოდალთა გვარსახელების აღდგენა, გარდა ელიასი და სოსლანის, ვერ ხერხდება. ნუზალის მოხატულობა XIII ს-ის მიწურულითა და XIV ს-ის დასაწყისით თარიღდება.[154]

ქართულ სავანეთა რიცხვი ამაზე მეტი იქნებოდა. ოსური გადმოცემებით, ქართული მონასტერი ყოფილა რეკომში, ხოლო წაისხევის რამდენიმე სოფელი ქართველი სასულიერო პირებისგან წარმომაელობდა.[155] კიდევ მეტი, გასულ საუკუნეში დვალეთში ჩაწერილი ზოგიერთი თქმულების თანახმად, იქ ჯერ ბერძნები სახლებულან, შემდეგ ისინი ქართველებს განუდევნიათ და მეზობელი ოსებიც დაუმორჩილებიათ. კავკასიას მონღოლები როცა შესევიან, ოსები მშობლიური მიზურიდან აყრილან და დვალეთისთვის შეუფარებიათ თავი.[156]

ქართული ქრისტიანული კულტურის პირმშოა დვალეთის ამ უშორესი კუთხის მკვიდრი ნიკოლოზ დვალი. აი, რას ეკითხულობთ მის ბიოგრაფიაში: „ესე სანატრელი ქრისტეს მოწამე ნიკოლოზ იყო ნათესავით დვალი, სოფლისაგან, რომელსა ეწოდების წაჲ, შვილი მორწმუნეთა მშობელთა და მოსავთა წმიდისა ნათლისმცემელთაჲ, რომელსა საშოჲთგანვე დედისაჲთ შესწირეს და რაჲ ათორმეტისა წლისაჲ იქმნა, მონაზონ იქმნა და იყო უდაბნოთა კლარჯეთისათა.“[157]

წერილობითი წყაროები მოწმობენ, რომ კულტურულ-სარწმუნოებრივი ვითარება XIV საუკუნის მიწურულისთვისაც ასეთივე უნდა ყოფილიყო. ონის საჯანის კარის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცულ სახარებას ასეთი მინაწერი ჰქონია: „ქ. ღუდისა ღთის მშბლისა ხატნი და წიგნები წაჴდა თათრობასა ბერციხეს და ესე ოთხთავი ხორაულსა ეპოვნა... ფარუხაულსა დედისა მისისათჳს დვალეთს გაეგზავნა გასსყიდლად და ღუჭისშვილსა წაერთუა...“[158] ხელნაწერი XIV-XV სს. თარიღდება,[159] ამიტომ იქ ნახსენებ „თათრობას“ თემურლენგის შემოსევებად მოიაზრებენ.[160] ტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ დვალეთში ქართულ სახარებაზეა მოთხოვნა, ანუ წირვა-ლოცვის და მწიგნობრობის ენად მინაწერის შესრულების დროისთვის ქართული რჩებოდა.[161] შესაბამისად, არც ეთნოკულტურული ვითარება იქნებოდა შეცვლილი, დვალეთის ნაწილში მაინც.[162] ფარუხაულებს, სრულიად სამართლიანად, დვალებად მიიჩნევენ.[163] გარეჯის უდაბნოს მონასტრის 1424 წლის წარწერაში იკითხება დვალთა ქორებისკოზის, აღნია რაფირისშვილის სახელი.[164]

სურათის სისრულისთვის ხევსა და მეზობელ თემებზეც შევჩერდებით. მოხევეთა და, ზოგადად, მთიელთა თვითიდენტობის გასარკვევად მნიშვნელოვანი წყაროა „გერგეტის სულთა მატიანე“,[165] უფრო ზუსტად, მისი უძველესი ფენები (ჩვენთვის საინტერესო პერიოდისთვის). დასახელებული ძეგლი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ამაყ მთიელებს თავი ერთიანი საქართველოს წარსულისა და აწმყოს, საეკლესიო და სახელმწიფო ცხოვრების მონაწილედ წარმოედგინათ. ასეთი ერთიანობა უკვე „გერგეტის სულთა მატიანის“ თავშივე, მეფეთა მოსახსენებლის დასაწყის ნაწილში

იგრძნობა: „რომელმან პირველ ყოველთა მეფეთა ო-ცნა ჭე"შმარიტი ღმერთი, ქრისტე მეუფე და დადვა საფუძველი ქრისტიანობისაჲ და განანათლა ქუჱყანაჲ საქართველოჲსაჲ ქადაგებითა წმიდისა ნინო მოციქულისაჲთა სული დიდისა ღ-მთივ გჳრგჳნოსნისა მეფეთ მეფისა მირიანისი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე".[166]

სწორედ მთისა და ბარის კონსოლიდაციის, მისი „ერთ სულ – ერთ ხორცობის" შედეგი იყო, რომ მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულმა დავით VIII (1293-1311) მთიულეთს შეაფარა თავი და „მოდენახეს" მიუვალ ციხეში გამაგრდა. მას მიუვიდნენ მთეულნი, ფხოვნი და ყოველნი შემოგარენნი მისნი. აჯანყებულებმა აიღეს ალანთა კარი და იქიდან მონღოლი მეციხოვნეები გაყარეს – ასე მოგვითხრობს ამ ამბავს თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი.[167]

საქართველოში „მოდამნახის" ციხე რამდენიმეა. წყაროებში ისინი, ძირითადად, გვიანდელ ამბებთან დაკავშირებით ჩნდება.[168] უადრესი ხსენება, ჩვენი შემთხვევის გარდა, დამოწმებულია თემურ ლენგის ისტორიკოსის იბნ არაბშაჰის ნაწარმოებში.[169] „შუა საუკუნეებში საქართველოს ძლიერსა და მიუვალ ციხეებს – წერს დ. ბერძენიშვილი – ხატოვანი სახელი ჰქონდათ – „მო და მნახე!" ის შემდგომში „მოდი ნახე"-დ იქცა. თავდაპირველი, თავმომწონე შეძახილი მტრისადმი იყო მიმართული და აღნიშნავდა – მოხვალ, შემხედავ და ვერაფერს დამაკლებ, ისე გაბრუნდებიო".[170]

ციხის სახელი კარგად გამოხატავს ქართველთა ეროვნულ ხასიათს, ამ შემთხვევაში კი – მთიელთა შეუპოვარ ბუნებას. ისინი დიდად ერთგულობდნენ მეფეს – ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს და მის გვერდით იბრძოდნენ მონღოლების წინააღმდეგ. კვლავ ჟამთააღმწერელს მოვუსმინოთ: „... დავით (VIII – გ.ჭ.) ... შედგა ციკარეს, რამეთუ ციკარე მტერთაგან შეუვალ იყო. ჩავლო ხუტლუშამან და განვიდეს ჴადას და გარდვიდეს ჴევსა, და მიმართეს გუელეთს, მუნ შინა ჰგონებდეს მეფესა დავითს. და გარე-მოადგეს სტეფანწმიდასა სოფელსა... ვითარ ცნეს, სტეფანიათ ვერას აენებდეს და მეფე მუნ არა არს, ითხოვეს საზრდელი მცირე. სტეფანელთა მოსცეს. და აიყარნეს და გარდმოდგეს ჴადას. ხოლო მეფე ციკარეს იყო. დაამტკიცეს და დადგეს ერთგულობასა მეფისასა ... აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი, და დიდი ერთგულობა აჩუენეს. ვითარ ცნა ხუტლუშამან მეფისა ციკარეს დგომა, განყო ლაშქარი. რომელი წარავლინა ცხავატით, გზასა ძნელსა, რათა ეგრეთ შევლონ და შევიდენ ციკარესა, რომელ-ესე შეუძლებელ იყო. მაშინ ქუემო შესრულთა ლაშქართა შევლეს გზა ცხავატისა და განვიდეს ცხავატს. ვითარ ცნა მეფემან, წარავლინა მცირედნი ლაშქარნი, და იქმნა ომი ძლიერი, და მოსწყდა თათარი ურიცხუ, რამეთუ შემოსრულ იყვნეს ეიწროსა გზასა კაცი მეომე ვითარ ხუთასი, რომელნი ვერღარა გა-

მოესწრნეს გზისა სიცოცხლისაგან. შეიპყრეს ხუთასივე, რომელი მოკლეს და რომელი დარჩა, მოჰგუარეს მეფესა. ხოლო სხუანი ივლტოდეს. და სპანი მეფისანი განვიდეს ჯადის თავსა გორასა რასმე, რომელ არს ციკარეს პირისპირ, და იქმნა ომი ძლიერი. კეთილად ბრძოდეს შინაურნი მეფისანი, ჯადელნი და ჯევით მოსრულნი რჩეულნი. და უმეტეს მოისრვოდეს თათარნი. რამეთუ დიდად ავნებდეს მთიულელნი: იყვნეს ფერჯითა მალე, ცხენოსანი ვერ შეუვიდოდა საომრად".[171] სულ მალე მრისხანე მონღოლებმა კიდევ ერთი მარცხი იწვნიეს მთიულთაგან: „და თათარნი კუალად წარვიდეს მთიულეთს და გარდავიდეს გუელეთს, რამეთუ მეფე შედგომილ იყო, და დიდად ავნებდა თათართა, გარნა სიდიდითა არა აკლდებოდა. ვითარ იხილეს სიმტკიცე და უბრძოლველობა გუელეთისა, აიყარნეს და წარმოვიდეს, რამეთუ ქართაცა მოჰბერეს და იწყო თოვლმან მოსლვა. და მოესწრნეს მთიულნი და მრავალი მოკლეს. ეგრეთვე ზანდუკისჴევს შესრულნი მრავალნი თათარნი მოისრნეს. და შთამოვიდეს ქართლს".[172]

ძნელია, უკეთ ითქვას მთის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიაში, ან უკეთ გამოიხატოს თვითშეგნება და ლოიალობა მოქმედებაში.

§ 4. – „ნათესავით ქართველნი" და მძვიდრნი

ქართველი ერის განვითარების ტენდენციები ყველაზე თვალნათლივ თანადროულ ტერმინოლოგიაში აისახა. XIII-XV საუკუნეების ქართულ მწერლობაში დამოწმებული „ქართველი" / „ქართველნი" ან „ქართველთა ნათესაი" / „ნათესავნი ქართველნი (ქართველთანი)" გამოკვეთილი კულტურულ-პოლიტიკური ერთობაა, რომელიც განსხვავდება „თათრისგან", „სპარსისგან", „მეგვიპტელისგან", „ბერძნისგან"...

პირველი, რაც „ქართველობას" სხვა ერთობებისგან გამოარჩევს, ეს, ჟამთააღმწერლის კონცეფციით, საქართველოს მკვიდრობაა;[173] „საქართველო" და „ნათესავით ქართველი" ჩვენი ისტორიკოსისთვის განუყოფელი ცნებებია საილუსტრაციოდ „ასწლოვანი მატიანიდან" რამდენიმე მაგალითს მოვიტან: „განიყვეს (მონღოლებმა – გ.ჭ.) საქართველო, წარვიდეს ბრძოლად ალმუთს და ქართველნი თანა-წარიტანეს",[174] „ვინათგან განითქმოდა ყოველგან უმეფობა საქართველოსა, აღიძრვოდეს ყოველნი ნათესავნი ოჯრებად ქართველთა"[175] და სხვ. მაგალითების გამრავლებით მკითხველს აღარ შევაწუხებთ.

ქართველის შინაარსს რადგანაც მნიშვნელოვნად ტერიტორია განსაზღვრავდა, ამიტომ წყაროებში, არცთუ იშვიათად, „მკუდრნი საქართველო-

სა“, „მკუდრნი სამეფოსა“ იხმარება.[176] ჟამთააღმწერლის პოლიტიკურ ლექსიკონში „საქართველოს მკვიდრი“ „საქართველოსთან“, „ყოველი საქართველოსთან“ ან „საქართველოს საზღვრებთანაა დაწყვილებული“.[177] ლიხთ-ამერის სამეფოში განვითარებული მოვლენების აღწერისას „ქუეყანა ქართლისას“ „მკვიდრნი ქართლისა“ ან „ერი ქართლისა“ უკავშირდება.[178]

„მკვიდრნი“ და „ქართველნი“ ჟამთააღმწერელთან, თხრობის ჟანრიდან გამომდინარე, საქართველოს ერისთავებით, მთაერებით, თავადებითა თუ წარჩინებულებით არიან წარმოდგენილნი.[179] იმავე ავტორთან ორ შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ მკვიდრობა „დიდითგან მცირეთამდეს“ ფარავდა.[180] შესაძლოა, ამასვე ნიშნავს სხვა ადგილას დამოწმებული „ყოველნი მკუდროანნი“.[181] ამრიგად, წარჩინებულიც („დიდნი“) და გლეხიც („მცირენი“) ერთნაირად „მკვიდრნი“, „ნათესავნი ქართველნი“ არიან. ორი სხვადასხვა კლასი ერთ სოციუმსა ქმნის, რაც კარგად გამოჩნდა იურიდიულ ტერმინოლოგიაშიც. კერძოდ, ბექა-აღბუღას სამართლის მთავარი სუბიექტი „კაცი“ არის დიდებულიც („კაცმან კაცი მოკლას, დიდებულმან დიდებული“),[182] ყმა-გლეხიც („გლეხი კაცი“)[183] და მათ შორის მყოფი „სისხლმცირე კაციც“.[184] მაშასადამე, სოციალური კიბის სხვადასხვა საფეხურზე მდგარი წოდებები საერთო სამართლებრივი ტერმინით – „კაცით“ აღინიშნებოდა. ეს უკანასკნელი ძალიან გვაგონებს თამარის უცნობ ისტორიკოსთან დამოწმებულ ტერმინებს „ქართველთა კაცი“ / „კაცი ქართველი“, ქართული ჯარის სინონიმად რომ გამოიყენებოდა XII-XIII სს. მიჯნაზე. პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეშიც დიდებული და ყმა-გლეხი თანაბრად „ქართველნი“ და „მკვიდრნი“ არიან.

მაინც, ვინ არიან „ქართველნი“? ფარავს ტერმინი სამეფოს ყველა მკვიდრს თუ მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს? თუ „ქართველი“ და „მკვიდრი“ იდენტური ცნებებია, რატომ გამოირჩევიან საქართველოს სამეფოში ქართველები თანამემამულე სომხებისგან, ებრაელებისგან თუ სპარსელებისგან?

ჟამთააღმწერლის ერთი უთუმცაო ჩვენებით, „ჰერნი, კახნი, სომხითარ-ქართველნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტან-კოლაელნი“ „ყოველნი მკუდრნი საქართველოსანი ამერისნი“ ყოფილან.[185] იგულისხმება, რომ მათ რიცხვს მონღოლთაგან მოოხრებული შანშე მანდატურთუხუცესის, ავაგ ამირსპასალარისა და ვარამ გაგელის ქვეყნებიც ეკუთვნოდა.[186] მართლაც, იმავე მემატიანის კიდევ ერთი ცნობით, „უდიდესნი ბოროტნი შეიცვიდეს ნათესავსა ქართველთასა: მოახლებულ იყო სრულიად მოსპოლვა სიმრავლისათჳს უსამართლობათა ჩუენთა, რამეთუ აიმჴედრა სულტანმან (ჯალალ ად-დინ – გ.ჭ.) საქართველოსა შემოსლვად და მეფე ყოფად თავისა თჳსისა“. შემდეგ მოსდევს ქვეყანათა – დვინი, კუსტი დვინისა, ყოველი ანისი, სომხითი, გაგი განძამდე, შამქორი – ჩამონათვალი, რაც, მოხმობილი ფრაგმენტის

კონტექსტიდან გამომდინარე, წარმოდგენას გვიქმნის „ქართველთა ნათესავის“ გავრცელებაზე შემოერთებულ სომხურ-ალბანურ მიწებზე.

„მ[კ'უ]იდრნო ა[მ]ის ქალაქისისანო ქართველნო...“ – მიმართავდა ეტიფანე კათოლიკოსი ანისის სამწყსოს.[187] ოცსტრიქონიანი წარწერა, რომელიც „ქართველთა ეკლესიის“ სახელით ცნობილი ტაძრის სამხრეთ კედელზე ყოფილა ამოკვეთილი, 1218 წლით თარიღდება[188] და ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ტერმინის „ქართველი“ ერთ-ერთი უადრესი დოკუმენტური დადასტურებაა საქართველოს სამეფოში. ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიაზე (იგ'ულისხმება ისტორიული და არა თანამედროვე სომხეთი) კი „ქართველის“ გამოჩენის პირველი შემთხვევაა. ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს მამამთავრის „განჩინება“ ქართული და სომხ'ურ-დიოფიზიტ'ური მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი.[189]

ქართული ლაპიდარული (განჩინებანი, ხელრთვები, ეპიტაფიები) და ფრესკული წარწერების აღმოჩენა[190] ეჭვს არ ტოვებს, რომ ანის'ში ქართული, გნებავთ, ქართულენოვანი მოსახლეობაც მკვიდრობდა. ამასვე მოწმობს შანშე ათაბაგის მეუღლის, ხუანძეს 1320 წლის სომხური წარწერა-საბუთის კრ'ულვით ნაწილ'ში ქართველების, ტაჭიკებისა და სომხების მოხსენიება,[191] რაც ანისის მოსახლეობის უმთავრეს ეთნო-კულტ'ურულ ჯგუფებზე მინიშნებად უნდა გავიგოთ.[192]

წერილობით წყაროთა მონაცემებს მხარს უჭერს ისტორიული ტოპონიმიაც. 1392 წლის საკათალიკოსო მამ'ულების სითარხნის გუჯარ'ში ჩამოთვლილია, სხვათა შორის, შირაკის რამდენიმე სოფელი: „მარმარაშენის თავს: სოფელი წყარომრავალი; და წინ'უბანს სოფელი ფუძემარგი, სოფელი ველთა, სოფელი მთავარანგელოზისა“.[193] „მარმარაშენს ახლო“ სოფელი წყარომრავალი იხსენიება, აგრეთვე, 1425 წლის საბუთ'ში, რომლითაც ალექსანდრე მეფე შეწირ'ულობას უახლებს მცხეთის სვეტიცხოველს.[194] ტოპონიმების ქართული ხასიათი ეჭვს არ ტოვებს, რომ ანისის თემის ჩრდილოეთ კ'უთხეში ქართველი ან გაქართველებ'ული დიოფიზიტები სახლობდნენ.

მსგავსი ვითარება შეინ'იშნება სხვა სომხურ თემებშიც. კარ'ში, კარნიფორ'ში, კეჩროლ-კაღზევანში, ამბერდსა თუ ბიჯნის'ში მიკვლეული არცთუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ შინაარსობლივად მეტად მრავალფეროვანი ქართ'ული ეპიგრაფიკ'ული ძეგლები[195] მოწმობს, რომ ახლადშემოერთებ'ული ჩრდილოეთ სომხეთის საერთო კულტ'ურულ-პოლიტიკურ სივრცე'ში შემოსაყვანად ქართული ეკლესია-მონასტრების დაარსებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს პროცესი თითქმის XIV ს-ის ბოლომდე გრძელდებოდა.[196] ქართველ ბერებთან ერთად იქ სომეხი დიოფიზიტებიც მოღვაწეობდნენ. ბილინგვური წარწერები (ყარსის კიზილქილისა) კარგად წარმოაჩენს მონასტრის საძმოს ეთნიკურ შემადგენლობას. იმ სავანეებ'ში, სადაც მხოლოდ

მონოლინგვა დასტურდება (ჩანგლი; სხვა ეკლესიებსაც ქართული წარწერები ამკობდა, სომხურის შესახებ კი ინფორმაცია არ მოგვეპოვება), ძმობის წევრთა ეთნიკურობის ცალსახად განსაზღვრა ჭირს; უეჭველი მხოლოდ ისაა, რომ წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სრულდებოდა და კულტურულ-სარწმუნოებრივადაც ის ბერები ქართველი მოღვაწენი იყვნენ.[197]

კიდევ უფრო საინტერესოა ეკლესიებზე ამოკვეთილი იურიდიული აქტები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი და ეპიტაფიები. იგულისხმება, რომ ქართულ ენაზე კითხულობდნენ და ის ესმოდათ.

ჩრდილოეთ სომხეთში ქართული საეკლესიო ცხოვრების განვითარება რეგიონში ქართული // ქართულენოვანი მოსახლეობის ზრდის მანიშნებელია. მონაპირე ერისთავთა თუ მთავართა, მათ ყმა-აზნაურთა და მოლაშქრე-მეციხოვნეებთან[198] ერთად აქ ცხოვრობდნენ ქართველი (ან გაქართველებული) გლეხები და ვაჭარ-ხელოსნები. ბუნებრივ მიგრაციებთან ერთად მიზანმიმართული გადმოსახლებაც დასაშვებია: ქართველებისა და სომეხი დიოფიზიტების ჩასახლების პოლიტიკას მაჰმადიანთაგან გამოხსნილ სომხეთის მიწა-წყალზე უკვე დავით III კურაპალატი (X ს. II ნახ.) მისდევდა.[199]

ქართული ეთნო-კულტურული ელემენტის გავრცელებას სომხეთში თან სდევდა სომხური პერიფერიების კულტურულ-პოლიტიკურ ინტეგრაცია „ქართველობასთან“.

საყურადღებო ცნობები სხვა შემოერთებულ ქვეყნებთან დაკავშირებითაც მოგვეპოვება. სულთანიეს არქიეპისკოპოსის, იოანე დე გალონიფონტიბუსის ჩვენებით, შაქი-შარვანში ცხოვრობდნენ ქართველები, სარკინოზები, ლეკები და სხვა ხალხები. ყველას თავისი ენა ჰქონდა, რელიგიაში კი ქართველებს მისდევდნენ.[200] კათოლიკე მოღვაწის ლექსიკაში „ქართველს“, შესაძლოა, ამ პასაჟში არამხოლოდ ეთნიკური, არამედ კულტურულ-სარწმუნოებრივი დატვირთვაც ჰქონდა. ცნობა, დაახლოებით, 1400 წლის მდგომარეობას ასახავს, როდესაც შაქიც და ყაბალაც დაკარგულია და იქ მაჰმადიანი მფლობელები მბრძანებლობენ. საქართველოს სამეფოში „ქართველობა“, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ძლიერად იქნებოდა წარმოდგენილი. ევროპული წყარო შესანიშნავად ამოწმებს ნ. ბერძენიშვილის მიერ მრავალი ათეული წლის წინ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ *„ეს მხარე* (შაქი-ყაბალა – გ.ჭ.) *ჰერეთ-კახეთთან ერთად ქართველობას იჩემებდა,* **ქართველ ხალხში** *შემოდიოდა“*.[201] საამისო მოწმობად მას „ვართაშნელი უდების მიერ ჩვენ დრომდე შემონახული „ქართული“ ქრისტიანობა“, აგრეთვე შამახიის მიდამოებში დადასტურებული *კალეი გურჯი* („ქართველთა ციხე“) და ორი „გურჯი ვანი“ მიაჩნდა.[202]

„მაღალაშვილისეული სახარების“ მინაწერები მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის იმ მორალურ და იდეურ-პოლიტიკურ სულისკვეთებაზე, რომელიც სა-

ქართველოს სამეფოს აღმოსავლეთ პერიფერიებზე სუფევდა XIII-XIV საუკუნეებში. ერთ-ერთი მათგანი გვამცნობს: „ოდეს ბრწყინვალემან მეფემან გიორგი გაიმარჯუა აგარიანთა ზედა განძას (?) და შირავანს, მას ჟამსა შინა ჩუენნი სამწყსონი შაქ-ქურმუხისანი ჩინებულად იბრძოდეს მტერთა ზედა.“[203] ჩვენება თავისუფლად შეგვიძლია გავიგოთ ისე, რომ ქართულ მხედრობაში გიშის ეპარქია ცალკე დანაყოფს ქმნიდა. ასეთ შემთხვევაში, ეს უადრესი მითითება იქნებოდა საქართველოს ჯარში საეპისკოპოსო ნაწილების არსებობაზე. გვაქვს საფუძველი, ადგილობრივი მოსახლეობის ცენტრალური ხელისუფლებისადმი ლოიალობაზეც ვისაუბროთ, მათი ცნობიერების განმსაზღვრელ ფაქტორად კი ქრისტიანული სარწმუნოება მივიჩნიოთ.

სახელმწიფო, ეკლესია და იდენტობა ურთიერთგადაჯვარედინებული ცნებები იყო. გასაკვირიც არაა, რომ საქართველოს სამეფოს აღმოსაელეთ სანაპიროზე მდებარე გიშ-ქურმუხის საეპისკოპოსო ქართული ქრისტიანობის მნიშვნელოვან ფორფოსტს წარმოადგენდა აღმოსავლეთ კავკასიაშიც. იქაური ეკლესია-მონასტრები ქართული მწიგნობრობისა და ქართული იდეოლოგიის გავრცელების მნიშვნელოვან კერებად გვევლინება. XIV საუკუნის დასაწყისის სასულიერო მოღვაწის, მთავარეპისკოპოსის კირილე დონაურის მოწმობით, ინტენსიურად იწერებოდა და სხვადასხვა ცენტრებში იგზავნებოდა საეკლესიო წიგნები, ისწავლებოდა „სჯული ჭეშმარიტი და ფილასოფოსებაჲ, მამათა ცხორებაჲ, ქართლისა ცხორებაჲ და ც... ბაჲ (?) ალვანიისაჲ“.[204] ამ უკანასკნელმა ნაწარმოებმა, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოაღწია; ამიტომ ჭირს მის რაობაზე საუბარი. თუმც კი „ალვანიის ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრების“, საქართველოს სამეფო კარზე შემუშავებული ოფიციალური „დოქტრინის“, გვერდით დასახელება მეტად საყურადღებოა. როგორც ჩანს, საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო მესვეურნი იაზრებდნენ, რომ ყოფილ ალბანურ სამეფოში მოღვაწეობდნენ და ცდილობდნენ იმდაგვარი ისტორიის შექმნას, რომელიც ალბანეთის საქართველოსთან ერთობის მქადაგებელი იქნებოდა (განსხვავებით, ვთქვათ, მოვსეს კალანკატუაცის „ალვანთა ქვეყნის ისტორიისგან“ ან მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკისგან“). ესეც აღმოსავლეთ პერიფერიებზე საქართველოს სამეფოს მშენებლობის კიდევ ერთი საინტერესო იდეოლოგიური ასპექტი იყო.

„ალვანთა ისტორია“, ამტკიცებს მინაწერის ავტორი, „დაწერნა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სომეხმა გა..... იგი (?) და საკუთრად დაწერილად გამოაცხადნა და სომეხთაც ადჳლად (?) იწამეს (?) ჩვეულებისამებრ“.[205] ირკვევა, რომ ეპარქიაში სომხებიც ცხოვრობდნენ და ისინიც აქტიურ პროპაგანდას უწევდნენ ალვანთა ისტორიას. საინტერესოა, მხოლოდ, იყვნენ ეს გადმომთარგმნელნი დიოფიზიტი სომხები, რომლებიც მსგავსი საქმიანო-

ბით სომხური თუ სომხურენოვანო მოსახლეობის ქართული ეკლესიის წიაღში შემოყვანას ცდილობდნენ, თუ მონოფიზიტი მოღვაწენი (თუნდაც, ალბანური ეკლესიის წრიდან), რომლებიც ისტორიის საკუთარ ვერსიას ქადაგებდნენ.

§ 5. – შემწყნარებლობა და ერთობა

ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ისტორიულმა განვითარებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ქართველთა ეროვნული ბუნებაც – შემწყნარებლობა და კაცთმოყვარეობა – და საქართველოს სამეფოს საკმაოდ ჭრელი ეთნიკური თუ კონფესიური შემადგენლობა.

იოანე გალონიფონტიბუსი წერდა, რომ საქართველოში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ სომხები, სარკინოზები, ებრაელები, რომლებიც ვაჭრობას მისდევენ, ხოლო მის საზღვრებზე, მთებში – დვალები, ალანები, ოსები და სხვანი.[206] ამგვარივე ეთნოკულტურულ ვითარებას, ოღონდ სახელმწიფოს დედაქალაქისთვის, აღწერს მარკო პოლოც: „ამ ქვეყანაში არის ერთი ლამაზი ქალაქი. ეს არის თბილისი... აქ ცხოვრობენ ქართველი და სომეხი ქრისტიანები, აგრეთვე მაჰმადიანები და ებრაელები. ამ უკანასკნელთა რიცხვი დიდი არ არის“.[207] ვენეციელი მოგზაური, უთუოდ, „ფრანკებს“ ანუ კათოლიკე მისიონრებსაც შეხვდებოდა.

სხვადასხვა ეთნოსებთან და კულტურებთან ყოველდღიური ურთიერთობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ქართველის ინდივიდუალობას, მის ფსიქოტიპს.

ქართული და უცხოური წყაროები მოწმობს, რომ თითქმის ყველა ეთნოკონფესიურ ჯგუფს საქართველოში ჰქონდა თავისი უბანი, ერთი ან რამდენიმე სამლოცველო, სასაფლაო, დაუბრკოლებლივ სრულდებოდა რელიგიური რიტუალები და პროფესიული, მათ შორის, „ბიზნეს“ საქმიანობა.[208] განსაკუთრებულ შემთხვევაში მათ ქვეყნის დაცვაც ევალებოდათ.[209]

ხანდახან გვხვდება ცნობები სხვადასხვა კონფესიებს შორის დაპირისპირებაზე, მაგრამ ეგ ყველაფერი ლოკალურ ან ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა[210] და ხანგრძლივ, ჯგუფურ დაპირისპირებაში, თითქმის, არასდროს გადაზრდილა.

ხშირად აღნიშნავენ, რომ კულტურათა „მშვიდობიანი თანაარსებობა“ საქართველოში სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფალთა ბრძნული პოლიტიკის ნაყოფს წარმოადგენდა. ეს, ერთი მხრივ, ასეა. ქართველთა ტო-

ლერანტ'ული დამოკიდებ'ულება მ'უსლიმი ქვეშევრდომებისადმი, მათ შორის მოხარკე საამიროებისადმი, ისლამ'ურ სამყაროსთან და განსაკუთრებით, ეგვიპტის სას'ულთნოსთან ურთიერთობებით იყო ნაკარნახევი. ერემია ერზნკაცის ერთი გვიანდელი ჩვენებით, XV ს-ის 30-იან წლებში ივანე ჯაყელის მოციქ'ულს სულთანი დაურწმ'უნებია, „თუ არ მისცემ (ქართველებს – გ.ჭ.) გოლგოთას, ის (ივანე) თურქთა ნათესავს, რომელიც მათი ხელის'უფლების ქვეშ არის, ყველას მოსპობს და მათ მიზგითებს დაანგრევენ".[211] თითქმის ასეთსავე მოტივებს ვხედავთ ორასი წლის წინათაც, როდესაც წერდა ჯაკ დე ვიტრი: „ქართველებს ... სარკინოზები წყენინებას ვერ უბედავენ, რადგან სახლში დაბრ'უნებ'ულებს შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სხვა სარკინოზებზე".[212]

მსგავსადვე, კეთილგანწყობას კათოლიკეებისადმი და კათოლიციზმის დაუბრკოლებლად გავრცელებას XIII-XV სს. საქართველოში განაპირობებდა სამეფოს მესვეურთა სრ'ულიად პრაგმატ'ული პოლიტიკა: კათოლიკ'ურ ევროპასთან დაახლოებისა და საერთო ძალებით ურჯ'ულოთაგან წმინდა მიწის გამოხსნის სურვილი, რაც უცილობლად გაზრდიდა მათ ავტორიტეტსაც და გავლენასაც მახლობელ აღმოსავლეთში. აქეთკენვე უბიძგებდა ქართველებს ვენეციელთა და გენ'უელთა შემოპატიჟების პოლიტიკაც.

დასახელებ'ული თ'უ სხვა მსგავსი ფაქტების მხოლოდ „პოლიტიკ'ურ-სახელმწიფოებრივი სიბრძნით" განმარტება საკითხის გამარტივება იქნებოდა. ამ გარემოებაში დ. მ'უსხელიშვილი, უპირველეს ყოვლისა „ქართველთა ზნეობრივი ფასე'ულობების გამოვლენას" ხედავს.[213] მართლაც, ვერანაირი დეკრეტითა თ'უ ბრძანებით სახელმწიფო უმცირესობებს დარბევებისგან ვერ დაიცავდა (თ'უნდაც, მათ შორის ყველაზე დაუცველთ, ებრაელებს), ქართველობას რომ ამგვარი ქსენოფობიური მიდრეკილებები ჰქონოდა. ძნელი ასახსნელი იქნებოდა, თ'უ რატომ არჩიეს ჩადენილი ღალატიდან ერთი წლის თავზე თბილისელმა მაჰმადიანებმა ერთმორწმ'უნე ხვარაზმელებს ისევ ქრისტიანი ქართველები[214] ან რატომ მოციქ'ულობდნენ აჯანყებ'ულ დავით VIII-სა და მონღოლებს შორის აბრაამ კათოლიკოსი, ივანე ბ'ურსელი და თბილისის ყადი, მაინცდამაინც ქალკედონიტი, მონოფიზიტი და მაჰმადიანი მოღვაწეები?[215] რამდენად გ'ულისამაჩ'უყებელია სებასტოპოლისის (სოხ'უმის) კათოლიკე ეპისკოპოსის პეტრე გერალდის აღიარება, რომ „კვირაობით რომელიმე ღარიბი[216] ქართველისაგან შეწირ'ულობას" იღებდა.[217]

ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, სომხებთან ურთიერთობა იყო. სახელმწიფოებრიობა მათ, მართალია, დიდი ხნის წინ ჰქონდათ დაკარგ'ული, მაგრამ ეროვნ'ული იდენტობა მკვეთრად გამოკვეთილი რჩებოდა. მიუხედავად

ამისა, სომხობა არ ყოფილა ერთგვაროვანი; მათ სარწმუნოებრივი – დიოფიზიტ-მონოფიზიტობა – უთანხმოება ღრნიდა.

ქართულ სახელმწიფოში სომეხი დიოფიზიტების პოზიციები, ცხადია, გაძლიერდებოდა. გადამწყვეტი იყო ივანე მხარგრძელის მიერ „ქართველთა მართალ სარწმუნოებაზე" მოქცევა, რის შედეგად „მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად და იქმნა" „ქართველებთან" „შერთვა".[218] არისტოკრატიული ზედაფენა სწრაფად დენაციონალიზდებოდა. XIII საუკუნის დასაწყისიდანვე მხარგრძელთა სამიეე უმთავრესი შტოს წარმომადგენლები აბსოლუტურად „ქართველები" არიან.[219] ასე აღიქვამენ ამ დიდებულებს არამხოლოდ ქართველი, სპარსი ან ევროპელი ავტორები,[220] არამედ სომეხი მემატიანენიც.[221] სომხურ წყაროებში ქართველი მხარგრძელების სომეხი აზნაურების კრებულიდან გამოყოფა („ქართველმა მთავარმა, გაგის მფლობელმა ... აღბუღამ, რომელიც მხნედ შეებრძოლა სულთნის ჯარს სომეხთა და ქართველთა აზნაურთაგან შემდგარი ჯარით...") იმის მაჩვენებელია, რომ ისინი, პირველ ყოვლისა, ეიწრო, ენობრივ-სარწმუნოებრივი, თვალსაზრისით არიან ქართველნი (ანუ, საკუთრივ ქართველნი, გაქართველებულები). რაც მთავარია, ქართველ მოღვაწეებად აღიქვამდნენ თავს თვითონ ეს მხარგრძელნი, რისი შესანიშნავი მოწმობაცაა დიდი ზაქარიას შვილიშვილის, ბერი გიორგის მოღვაწეობა ქობაირის მონასტერში, ასევე სავანის ქართული ლაპიდარული ძეგლები, განსაკუთრებით კი – ეპიტაფიები.[222] ეს უკანასკნელი საყურადღებო წყაროა ქართული ონომასტიკონის შესასწავლად. იგი, ასევე, წარმოდგენას გვიქმნის შიდა მიგრაციებზე, ამ მნიშვნელოვან ფაქტორზე ერის ჩამოყალიბების პროცესში.

რაშიდ ად-დინი „ქართველად" მოიხსენიებს სადუნ მანკაბერდელს, გასომხებულ ქურთთა შთამომავალს.[223]

ყველა ესენი და კიდევ სხვა გაქართველებული სომეხი აზნაური „ტომით ქათველნი" არიან[224] და განსხვავდებიან სომეხი მონოფიზიტებისგანაც (ენით და აღმსარებლობით) და დიოფიზიტებისგანაც (ენით).[225] დროთა განმავლობაში სხვა ფენებიც „ქართველდებიან" და ენობრივი განსხვავებაც ნიველირდება. დამახასიათებელია თბილისელი სასულიერო მოღვაწის, იოვანე ხუცესის ქართული და სომხური წარწერები უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიიდან.[226] შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება იყოს დაცული თვითიდენტობა, ამ შემთხვევაში, „სომხობა", „საქართველოს მკვიდრობასა" და „ქართველობაში".

ქართველობისა და სომხობის ინტეგრირებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ისინი ერთად იბრძოდნენ გარეშე მტრების წინააღმდეგ, ერთ მეფეს და ერთ სახელმწიფოს ემსახურებოდნენ.

XIII-XIV სს., ცხადია, არმია თანამედროვე გაგებით არ არსებობდა, მაგრამ სამეფო სპას რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ კონსოლიდაციაში, ქართული წყაროებიდან შესანიშნავად ჩანს. იმავე ჟამთააღმწერლის თხზულებიდან არაერთი ფრაგმენტის მოტანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ სამეფო სპა მთელ საქართველოს, იმერსაც და ამერსაც, განასახიერებდა; საპატიო ადგილი ეკავათ მხარგრძელებსაც თავისი ლაშქრით.[227] რამდენად აპირობებდა სამეფო ჯარი ქართველთა და სომეხთა საერთო იდენტობის ჩამოყალიბებას, ეს თანადროული პირველწყაროებიდანაც შესანიშნავად ჩანს.

დავიწყოთ ზაქარია მხარგრძელით. XIII საუკუნის დასაწყისში მოღვაწე თამარის ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანის“ ანონიმი ავტორი, ზაქარია მხარგრძელის შეფასებისას დილემის წინაშე აღმოჩნდა: „ზაქარია მისი საქმიანობით ქართველი მთავარია, ქართველი თაეადია, ის საქართველოს ლაშქრის ამირსპასალარია, ხოლო სარწმუნოებით სომეხია. ჩანს ორი ცნება: კულტურულ-პოლიტიკური (ქართველი) და რელიგიურ-კონფესიური (სომეხი) ერთიმეორეს დაუპირისპირდა ზაქარია მხარგრძელის ვინაობის განსაზღვრაში. ჩვენს ავტორს არ შეუძლია თქვას, რომ ზაქარია ქართველი იყო, მაგრამ არც ის ეჩვენება მართებულად, რომ თქვას, ზაქარია სომეხი იყო. ამიტომაც სჭირდება განმარტების სახით: რომ ზაქარია სარწმუნოებით სომეხი იყო და აქვე ... ურთავს ... ისეთი სომეხი იყო, რომ არცერთი სათნოება არ აკლდა“.[228]

სომეხი ავტორის, სტეფანოს ორბელიანის დახასიათებით, ზაქარია იყო „ნათესავით სომეხი“, და ჭეშმარიტი სარწმუნოების აღმსარებელი.[229] კირაკოს განძაკეცი მას ხან ქართველთა, ხან საქართველოს მეფეს დაქვემდებარებული ქართული და სომხური სპის მხედართმთავარს უწოდებს.[230] ზაქარია მხარგრძელი როცა გარდაიცვალა, ამბობს სომეხი ისტორიკოსი, მწუხარებამ მოიცვა ყველა ქრისტიანი, გლოვობდნენ მას ლაშა გიორგი, ივანე ათაბაგი და სრულიად სპა საქართველოსი.[231] ნიშანდობლივია, რომ სომხებს ამ ჰასაჟში არ ახსენებს. ისინი, ჩანს, „ყველა ქრისტიანში“ და „სრულიად საქართველოს სპაში“ იგულისხმებიან. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სარწმუნოება და სახელმწიფოს სამსახური ქართველთა და სომეხთა საერთო იდენტობის, სომხების „ქართველებისადმი“ მიკუთვნების საფუძველია.

იგივე დასკვნა გამომდინარეობს განძაკეცის „ისტორიის“ სხვა ადგილიდანაც: XIII ს-ის 20-იან წლებში ივანე მხარგრძელმა ლაშქარი შეკრიბა და განძასთან დაბანაკებული ყივჩაღების წინააღმდეგ დაიძრა. ყივჩაღები თავს დაესხნენ ქართველთა ჯარს და დიდძალი ტყვე იგდეს, მათ შორის გრიგოლ ხაჩენელი, სარწმუნოებით მართლმადიდებელი ქრისტიანი და ტომით სომეხი.[232] ამ საინტერესო პასაჟიდანაც დასტურდება, რომ მონოფიზიტური

აღმსარებლობის სომეხი წარჩინებულები ქართული ლაშქრის განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ, „ქართველთა“ ერთობაში შემოდიოდნენ. ყიეჩაღთა მიერ „ქართველთა“ დამარცხებასა და დატყვევებაზე იბნ ალ-ასირიც მოგვითხრობს.[233]

„სომხის“ „ქართველთან“ მიმართება კარგად ჩანს კიდევ რამდენიმე ეპიზოდიდან. მონღოლთა პირველი ლაშქრობების გადმოცემისას ქართველი და სომეხი ისტორიკოსები ქართველთა / ქართველთა სპის დამარცხებასა და ქრისტიანთა დაღუპვაზე საუბრობენ. „საქრისტიანოსა“ და „ქართველობაში“ სომხებიც მოიაზრებიან, რადგან ბრძოლებში, იმავე ავტორთა თანახმად, მონაწილეობას იღებდა მხარგრძელთა სამივე შტოს მონაპირე მხედრობა.[234] ვარდანი და ანონიმი სებასტიელი ქრონოგრაფი დასძენენ, რომ მონღოლებმა მომდევნო წელსაც მოისურვეს შემოჭრა, მაგრამ სომეხთა და ქართველთა ჯარის მზადყოფნა შეიტყვეს.[235] არაბი იბნ-ალასირი, ისევე როგორც სპარსელი რაშიდ ად-დინი, მხოლოდ და მხოლოდ გურჯისტანსა და გურჯებზე საუბრობენ.[236]

უფრო მკაფიო სურათი ჯალალ ად-ინის შემოსევათა ისტორიაში იკვეთება. უამთააღმწერელი და კირაკოს განძაკეცი გარნისის ბრძოლაში ქართველთა დამარცხებას აღნიშნავენ,[237] თუმცა ეს უკანასკნელი ცოტა ადრე ხვარაზმელთა სულთნის მიერ სომეხთა და ქართველთა მხედრობის სასტიკ დამარცხებაზე საუბრობს.[238] სტეფანოს ეპისკოპოსი და სტეფანოს ორბელიანიც სომეხთა და ქართველთა ჯარის განადგურებას ამბობენ.[239] სხვა აღმოსავლური წყაროების ჩვენებით, ბრძოლები ხვარაზმელთა და ქურჯთა ჯარს / ქურჯთა შორის ხდება, გარნისშიც და შემდეგაც.[240]

სხვა არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება, როდესაც ქართული წყაროს „ქართველის“ პარალელურად სომხურ ტექსტში „სომეხი და ქართველი“, „ქართველი და ალვანი“, ან „ქრისტიანი“ გვხვდება.[241]

თუ შევადარებთ „ისტორიანი აზმანისა“ და „ასწლოვანი მატიანის“ ტერმინოლოგიას, დავინახავთ, რომ ქართველთა პოლიტიკური აზროვნება კიდევ უფრო შორს წასულა და უამთააღმწერელმა „ქართველობაში“ საქართველოს სამხედრო ასპარეზზე მოღვაწე მონოფიზიტური სომხური არისტოკრატია (მათთან ერთად, მსახურ-მოლაშქრენიც) უპირობოდ შემოიყვანა. XIV საუკუნის ანონიმმა მემატიანემ პოლიტიკური ფორმულაც კი შემოგვთავაზა: „სპანი ქართველთანი“ – „თანამონათესავენი და ერთსჯულ ქრისტეს აღმსარებელნი“.[242] კიდევ უფრო საყურადღებოა სომეხ ავტორთა მიმსგავსებული თვალსაზრისი.

სომეხ მწიგნობართა მთავარ საზრუნავს მაინც ის წარმოადგენდა, რომ სომხის ერი თუ მისი რომელიმე ცნობილი წარმომადგენელი არ დაახლოებულიყო ქართველებს და არ გაქართველებულიყო (კირაკოს განძაკეცი,

ვარდანი). ამის მიღწევას ისინი სხვადასხვა ხერხით, მათ შორის, ქალკედონიტობის განქიქებით ცდილობდნენ. მაგრამ დროს თავისი განაჩენი გამოჰქონდა: როდესაც XIII ს-ის მიწურულს სივნიეთის ეპისკოპოსმა სტეფანოს ორბელიანმა მრისხანე ანტიქალკედონიტური ეპისტოლე შეთხზა,[243] მის გვერდით სომეხთა მხოლოდ ოთხი ეპისკოპოსი აღმოჩნდა და ორი ფეოდალური სახლი (ორბელები და ხაჩენელები).[244] ჩანს, სომხურ განათლებულ საზოგადოებას მობეზრდა უსაგნო აგრესია და პოტენციურ მოკავშირეებთან დაპირისპირება.

ფრიად ნიშანდობლივია სომეხ მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა ტერმინოლოგიური დამთხვევები: ორივე ფრთისთვის „ქართველი", უპირატესად, ქალკედონიტის სინონიმია, „მართლმადიდებლობა" „ქართველთა" ან „ბერძენთა და ქართველთა" სარწმუნოებაა, ხოლო მართლმადიდებლური სალოცავები „ქართველთა" სავანეებია.[245] კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ მოღვაწეობის ასპარეზს, მათ შორის ლორე-ტაშირსა და ხოჟორნისხევს, ორნიე სომხეთად ან დიდ სომხეთად აღიქვამენ.[246]

ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩანს, ის გარემოებაა, რომ აღნიშნული ტერიტორიები, უმთავრესად, სომეხთა მეფეებად მოაზრებულ მხარგრძელთა მამულებია; თავის დროზე იქ ბატონობდნენ სომეხი ბაგრატუნები, მათ შორის, კვირიკიანებიც, რომელთა სამფლობელოების მზაკვრულ მიტაცებაში სომეხი იდეოლოგები ქართველებს ადანაშაულებდნენ.[247]

გარკვეული დროის მერე ეგ თვალსაზრისიც გადაისინჯა და დავიწყებას მიეცა. 1437 წელს ვინმე შმავონი აცხადებდა, რომ მათი მონასტრის დარბევის შემდეგ „ძმობის წევრები გავიქეცით და გავიფანტეთ ქართველთა ქვეყანაში... დაემკვიდრდით სანაინის ამ წმ. მონასტერში";[248] კიდევ ერთი სომეხი გადამწერი, ჰოჰანესი, ჩივის, რომ დავაწერინე ეს წიგნი უცხო ქვეყანაში, საქართველოში ... ჰაღბატის მონასტერში".[249] ორივე მინაწერში ლორე-ტაშირი საქართველოს კუთხედაა მოაზრებული. მას შემდეგ, რაც მხარგრძელები დიდ ასპარეზს ჩამოცილდნენ და დიდი სომხეთის აღდგენის იმედიც მინავლდა, ტერიტორიული აღქმაც შეიცვალა.

1228 წლის მიწურულსა თუ 1229 წლის დასაწყისში, ბოლნისხევში, მინდორად წოდებულ ადგილას დიდი ბრძოლა მოხდა ქართველებსა და ხვარაზმელებს შორის. ბრძოლის წინ, რუსუდანმა „მოუწოდა ყოველსა სპათა თუსთა, იმერთა და ამერთა", აგრეთვე „განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი". სასტიკ ბრძოლაში „პირველსავე შეკრებასა სძლევდეს ქართველნი", მაგრამ „მოხედნა ღმერთმან რისხვით ნათესავსა ქართველთასა" და „იძლივნეს სპანი მეფისანი".[250]

არაბული და სპარსული წყაროების მიხედვით, ხვარაზმელთა წინააღმდეგ ქართველებთან ერთად ალანები, ყივჩაღები, ლაქზები ანუ ლეკები, სარირები (ხუნძები), ასევე ჭანები (ტრაპიზონელი მოქირავნეები?), რუმის სულთნები (მცირეაზიელი სელჩუკიანები) და სირიელები (აიუბიანები) გამოვიდნენ. აქვე არიან დასახელებულნი სომხები, სვანები და აფხაზები. შემდეგ, უკვე, ქართველთა ლაშქრის მოსვლასა და დამარცხებას და ქართველთა უკუქცევას აღნიშნავენ.[251]

ქართველ და უცხოელ ავტორთა ცნობები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯუვეინისა და რაშიდ ად-დინის მტკიცებას კოალიციაში მუსლიმი დანაყოფების მონაწილეობის შესახებ,[252] კარგად ეთანხმება ერთმანეთს. მსგავსება ტერმინოლოგიაშიც შეიმჩნევა: ყველგან ქართველთა დამარცხებაზეა საუბარი. გამოდის, რომ „ნათესავით ქართველი“ (აღმოსაელური წყაროების „გურჯი“) ფარავდა არამხოლოდ იმერ-ამერს, ჯიქ-აფხაზიდან მხარგრძელთა სამფლობელოებამდე („სომეხი“). არამედ ვასალურ „ყოველთა მთიულთ“: ოვს-ალანებს, ძურძუკებს, დაღესტნელებს (ლეკები, სარირები), ყივჩაღებს (თუმცა, ამ უკანასკნელთ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ). ცნობათა ინტერპრეტაცია თუ სწორია, მაშინ „ქართველი“, შეიძლება ითქვას, სამხედრო-პოლიტიკური ტერმინია, რომელიც საქართველოს მეფის დროშის ქვეშ გაერთიანებულ ეთნოსებსაც აერთიანებს.

ჟამთააღმწერლის თხზულების სხვა პასაჟებშიც გვხვდება ღუნძნი,[253] „ნათესავი ლეკთა“,[254] „ნათესავით ოვსი“ / ოვსნი,[255] ყივჩაღნი,[256] მაგრამ ყველგან დასახელებული ეთნონიმები „ქართველის“ ტოლფარდ ტერმინებად იხმარება. ამიტომ დგება კითხვა: „ნათესავით ქართველის“ ასეთი ფართო კონტექსტი მხოლოდ ერთ კერძო შემთხვევასთანაა დაკავშირებული თუ ის უფრო ზოგადი მოვლენის გამოძახილია?

ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეთნონიმიკური გადმოცემები. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დიგორელ ოსებში ცოცხალი იყო მოგონება ოსებისა და ქართველების სამი ძმის – სუანის, ოსისა და ქართილისაგან შთამომავლობის შესახებ.[257] გასული საუკუნის დასაწყისში კი ღუმუქელ ლაკებს ახსოვდათ, რომ ლაკებს, ქართველებს და სომხებს სამი ძმა ჰყავდათ მამამთავრად – ლაკუსი, ქართუსი და მარკუსი.[258] ეს თქმულებები თუნდაც საქართველოდან ყოფილიყო შესული,[259] ადგილობრივ მკვიდრთ გათავისებული ჰქონდათ და თავის იდენტობასაც მათი საშუალებით გამოხატავდნენ. კიდევ მეტი, დაღესტნურ ქრონიკებში ხიდის თემის ანუ გიდატლის (ავარიის ყოისუს მარჯვენა სანაპირო),[260] ხოლო ეთნოგრაფიულ ზეპირგადმოცემებში ბაცადას, შუპანის, უნტისა და კულაბის (ყარაყოისუს მარჯვენა სანაპირო) მკვიდრთა[261] გურჯი-გურჯიხლიდ ანუ ქართველებად-ქართველობად მოიხსენიებიან. ნიშანდობლივია,

რომ დასახელებული სოფლების ძველ სასაფლაოებზე ხშირია ჯვრის აღმოჩენის შემთხვევები.[262] ეს დაღესტნელი გურჯები არა ეთნიკურად ქართველები, არამედ ქართული ეკლესიის წიაღში შემოსული და ქართულ ფეოდალურ კულტურას ნაზიარები ადგილობრივი მცხოვრებნი უნდა ყოფილიყვნენ.

ცნობილია, რომ XIV საუკუნის დასაწყისისათვის უკვე არსებობთა ღუნძთა // ხუნძთა საკათალიკოსოდ ცნობილი საეკლესიო ოლქი,[263] რომელიც გიშის, ანწუხისა და ნეკრესის საეპისკოპოსოებთან ერთად, ნახჩებს, ხუნძებს და სხვადასხვა დაღესტნურ ტომებს აერთიანებდა.[264] ქართული ეკლესიის იურისდიქცია ტაბასარანამდე ვრცელდებოდა; იქ მცხეთას დაქვემდებარებული წმ. პავლე მოციქულის ეკლესია მოქმედებდა.[265] იოანე დე გალონიფონტიბუსიც აცხადებს, რომ 1400 წლისათვის ლეკთა ნაწილი სარკინოზებს მისდევდა, ნაწილი – ქართველებს, ნაწილიც – ქრისტიანებს.[266] ქართულ ქრისტიანობასთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული მწიგნობრობაც ვრცელდებოდა. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობასთან ერთად[267] მეტად ნიშანდობლივია ქრისტიანული შინაარსის ქართული და ქართულ-ხუნძური წარწერიანი ქვების (ეპიტაფია, მოსახსენებელი ქვა-ჯვარზე) – სამი მათგანი ჩვენთვის საინტერესო პერიოდით, სავარაუდოდ, XIV საუკუნით თარიღდება – აღმოჩენა ხუნძეთში[268] და ქართული სოციალური თუ ადმინისტრაციული ტერმინების (აზნაური, თავადი, ერისთავი, ნუცალ-ნაცვალი)[269] გავრცელება. საქართველოს სამეფოს საზღვრებს გარეთ დაღესტნელთა ქართულ კულტურასთან და სოციალურ ყოფასთან ზიარება, ქართული ენის შესისხლხორცება, ქართული ანბანის გამოყენება საკუთარი ენაზე დამწერლობის შესაქმნელად, ცხადია, ნებაყოფლობითი აქტი იყო და ამ მხრივ მეტად ღირსშესანიშნავ კულტუროლოგიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს გარემოება, იმავდროულად, „ქართველობის“ გაფართოებასაც ნიშნავდა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით.

დაღესტნური „გურჯიხლის“ მსგავსად უნდა აიხსნას ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის „ქართველობაც“, უფრო ზუსტად, „ქურჯთან“, ქართველთა აღმნიშვნელ ადიღეურ ტერმინთან, დაკავშირებული ჰიდრონიმებისა და ტოპონიმების გავრცელება ჩერქეზებსა და ალანებში: ქურჯიფსუ (უერთდება მდ. ბელაიას მაიაკოპთან),[270] ქურჯ ნიბ / ქურჯ ჩე ანუ ქართველთა ველი / დაბლობი კრასნოდარის გარეუბანში,[271] ქურჯკიტი (აბაზურად „ქართველთა სოფელი“) – ნასახლარი სოფ. მარუხას შემოგარენში[272] და ქურჯინოვო – დასახლება ურუპის რაიონში. ეს უკანასკნელი ქურჯიევ-ქურჯევის გვარს უკავშირდება, რაც, ისევ და ისევ, ეთნონიმ ქურჯისგან წარმომავლობს.[273]

დამოწმებულ გეოგრაფიულ სახელთა გაჩენის კონკრეტული მიზეზი უცნობია.[274] ტოპონიმთა წარმოების წესი გვკარნახობს, რომ ისინი ქართველთაგან უცხო ეთნიკურ გარემოში გაჩნდა. ჩვენთვის საინტერესო არეალში ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის გავლენას თუ მოვიგონებთ – XII-XIII სს. ზემო ყუბანში ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრული ძეგლების გავრცელება, საეკლესიო ლექსიკაში მძლავრი ქართული ნაკადის დადასტურება[275] – მაშინ დასაშვებია, რომ „ქურჯ“ ძირიანი სახელწოდებები ქართველ მისიონერთა მოღვაწეობის ადგილს ან ქართულ ქრისტიანობაზე მიქცეულ ჩერქეზთა[276] საცხოვრისს შემორჩა.

საინტერესოა, რომ ჩერქეზული გადმოცემებით, ქურჯიფსუსთან ქართველთა პოლიტიკური გავლენაცაა ასოცირებული. ერთი თქმულების თანახმად, მდინარესთან აღმართულ ციხეში ცხოვრობდა თამარ მეფის მესამე შვილი, რომელიც ჩერქეზებზე ბატონობდა.[277] მ. ჯანაშვილის მახვილგონივრული შენიშვნით, თამარის მესამე შვილი მისი მესამე თაობის მემკვიდრე, ანუ გიორგი ბრწყინვალე უნდა ყოფილიყო,[278] რაც სრულიად რეალურ-ისტორიულია.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ „ქართველი“ ფართო გაგებით ქართულ-კავკასიური „თანამეგობრობის“ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში შემომავალ ერებსაც ფარავდა.

§ 6. – თავდადება ძვეყნისთვის

XIII საუკუნეში ქართველთა ცნობიერებაში ერთი მნიშვნელოვანი ტეხილი ხდება: მეფეთა და პატრონთა ერთგულებას, რაც საქართველოს მკვიდრთა უპირველეს ზნეობრივ მოვალეობას შეადგენდა,[279] ერისა და ქვეყნისათვის თავდადება უტოლდება. ის სენტიმენტები თუ იდეალები, რომლებიც მეფის პერსონაზე იყო კონცენტრირებული, დამოუკიდებელ ღირებულებას იძენს.

უდიდესი ქრისტიანული მორალის, ერისათვის თავგანწირვის მაგალითი თანამედროვეთ და შთამომაელობას გიორგი II (1072-1089) მისცა, როდესაც სელჩუკიანთა სულთანთან გაემგზავრა და „დადვა სული თჳსი და სისხლნი ქრისტეანეთა ჴსნისათჳს“.[280] შემდეგ ეს მოტივი, თითქოს, დავიწყებას მიეცა. ქართველთათვის დასაფასებელი უფრო მეფეთა ნათესავის ერთგულება და მათთვის „სიკუდილამდის“ „ღწვა“ იქცა.

მაგრამ მონღოლთა ასწლოვანმა ბატონობამ მორალურ ორიენტირებში მნიშვნელოვანი კორექტირება შეიტანა – უდიდეს ზნეობრივ ნორმად მოყვასისთვის ან ქვეყნისთვის „სულისა თჳსისა“ დადება გახდა; არ ჰქონდა

მნიშვნელობა, ნაბიჯს დგამდნენ საკუთარი საგამგეო-სამთავრო ქვეყნების გადარჩენისთვის (ავაგ მხარგრძელი) თუ თანამოძმეთა დახსნისათვის და ღირსებისათვის (ცოტნე დადიანი).[281] მთავარი, როგორც ჩანს, ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენა იყო. ასე შეგვიძლია გავიგოთ კონსტანტინე სომეხთა კათოლიკოსის 1251 წლის ეპისტოლეც, რომელშიც ავაგ მხარგრძელის დამსახურებებზეა საუბარი: „თავისი ქვეყნის დიდად მოყვარულმა, გულმოწყალე პარონმა ავაგმა“ „სული თვისი თქვენთვის დადო“ – მიმართავს კათოლიკოსი საქართველოს სამწყსოს; ავაგისვე გამოისობით დამყარებულა, თურმე, ქვეყანაში ნანატრი მშვიდობა.[282]

აბსოლუტურად გააზრებულად წირავს თავს ქვეყნისთვის დემეტრე II (1270-1289). თავდადებული მეფის ყაენის კარზე გამგზავრების სცენა თავისი ექსპრესიულობით ერთ-ერთი უშესანიშნავესი ეპიზოდია ქართულ საისტორიო მწერლობაში. მისი მთლიანად ციტირება, მოცულობის გამო, სამწუხაროდ არ ხერხდება. მოვიხმობ მხოლოდ ერთ ნაწყვეტს: „...რა სარგებელ არს ცხორება ჩემი, უკეთუ ჩემთჳს მრავალი სული მოკუდეს და მე ტჯრთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან? აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა. უკეთუ მე მომკლან, ეგონებ, რომე ქუეყანა უვნებელად დარჩეს... მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათჳს ჩემისა და არა დავიშლი ურდოსა წასლვას“.[283]

საქართველოს მეფემ თავი საქართველოსთვის დადო და ამით, თითქოს, განაცხადა, რომ ერთ ადამიანზე, თუნდაც მირონცხებულ მეფეზე, მაღლა დგას კრებული – ერი და ქვეყანა, როგორც ერის განმსაზღვრელი და გამომხატველი. ისტორიას დემეტრე II „საქართველოსათჳს“, „საქართველოს ჴსნისათუის“ „წამებულისა“ მეფის სახელით შემორჩა.[284]

ქართველი ერის ბრძოლა სარწმუნოებისთვის და ქვეყნისთვის ერთმანეთს მჭიდროდ გადაეხლართა. მთავარი საფრთხე მცირე აზიაში მომთაბარე ოღუზებისგან მომდინარეობდა. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით რუმის სასულთნოს განადგურების შემდეგ გააქტიურდნენ; სისტემატურად თავს ესხმიან ბიზანტიას, კილიკიას, ტრაპიზონსა და საქართველოს. თანდათან თურქმანები აღარ სჯერდებიან თარეშსა და ნადავლს და ტერიტორიების დაპყრობებს იწყებენ. XIII საუკუნის მიწურულს მომთაბარეები საქართველოსაც გაუმეზობლდნენ.[285]

ჩვენამდე მოაღწია ოღუზურმა ეპიკურმა ნაწარმოებმა „დედე ქორქუთის წიგნი“,[286] რომელშიც შესანიშნავად აისახა მაჰმადიან თურქმანთა დამოკიდებულება ქრისტიანული სამყაროსადმი. აკად. ვ. ბარტოლდს გარკვეული აქვს, რომ თქმულებათა ციკლი კავკასიასა თუ მასთან დაკავშირებულ გარემოში შეიქმნა.[287] იქ მოთხრობილი ამბები XI-XV სს. მოვლენებს ასახავს. ეპოსში არაერთხელ იხსენიებიან გიაურები, ანუ ქრისტიანები, მათ შორის

– ქართველები. თურქმანთა ერთ-ერთი ტომი „სჯულბილწ ქართველთა საზღვარზე სახლობს“.[288] ოღუზებს ქართველებისგან შავი მთები და სისხლიანი მდინარეები ჰყოფს.[289] ისინი დაუნდობელი მოწინააღმდეგენი არიან. ერთ-ერთ თქმულებაში შვილი მშობელს ეკითხება: „მტერს რად ეტყვიან, მამავ? ყაზანი ეტყვის: მტერს იმად ეტყვიან, შვილო, ჩვენ რომ წავაწყდებით, ვკლავთ; ისინი რომ მოგვიხელთებენ, გვხოცავენ“.[290] პასუხი მეტად მოკლე, მაგრამ ამომწურავია. ქართველთა თუ სხვა გიაურთა წინააღმდეგ გალაშქრება სარწმუნოებისთვის ბრძოლად აღიქმება.[291] ბედი თუ სწყალობთ, ოქრო-ვერცხლს აღარ სჯერდებიან – ციხეებს იღებენ, ეკლესიებს ანგრევენ, მეჩეთებს აგებენ, მღვდლებს ხოცავენ, ეზანს კითხულობენ,[292] ანუ, ფაქტიურად, ქვეყანას იტაცებენ. გამარჯვებული ბელადი თავის „გოლიათ ვაჟკაცებს“ ციხესიმაგრეებს ურიგებს,[293] ცხადია, დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

საინტერესო მინიშნებებია დაცული მომთაბარე ოღუზების საქართველოში დამკვიდრებასა და „გაქართველებაზე“. ერთ-ერთი თქმულების გმირი, ბეგილი, თანამოძმეებზე განაწყენდება და გადაწყვეტს: „უნდა დავტოვოთ ჩვენი სახლი, ტომი და გვარი, და ცხრად დაყოფილ გურჯისტანის შევაღოთ კარი, მე ოღუზ ტომებს ავუჯანყდი მათზე გამწყრალი“;[294] „ყაზან ბეგის ძის ურუზ ბეგის დატყვევების ამბავში“ კი მამაზე გულმოსული შვილი იქადნის: „ჩემ შავთვალა ვაჟკაცებს ვიახლებ, აფხაზთა მხარეს მივაშურებ, ოქროს ჯვარზე ფიცს დავდებ, ანაფორიან მღვდელს ხელზე ვეამბორები, უსჯულო შავთვალა ასულზე ვიქორწინებ, შენ წინაშე აღარასოდეს გამოვცხადდები“.[295] მექანიზმი ნათელი და სავსებით რეალურ-ისტორიულია: უცხო ქვეყანაში, საქართველოში შემოსვლა, ქრისტიანობაზე გადასვლა, სოციალურ გარემოსთან ზიარება მკვიდრთან ქორწინების გზით და წარსულთან (ყოფილ „მესთან“) კავშირის გაწყვეტა.

„დედე ქორქუთის წიგნი“, უანრიდან გამომდინარე, კარგად აჩვენებს ოღუზთა შინაგან სამყაროსაც და გულისთქმასაც.

დავუბრუნდეთ კვლავ ქართულ რეალობას. XIII-XIV სს. მიჯნაზე „გამოჩნდეს თურქნი, საბერძნეთს მყოფნი, რომელნი დაემკჳდრნეს ზაფხულის მთათა პარხლისათა და ზამთრის – მახლობელად პონტოსა“.[296] გაძლიერებულ თურქმანების მრავალათასიანი ლაშქარი, მემატიანის მტკიცებით, „მოოჴრებად ყოელისა საქართველოსა“ გამოჩნდა და სასტიკი ხოცვა-ულეტით მესხეთის გეგმაზომიერ მიტაცებას შეუდგა.[297] აღსანიშნავია, რომ „არა თურქნი ოდენ იყვნეს, არამედ სპარსნიცა“, რადგან მომთაბარე ოღუზებს „ყოველთა ქალაქთაგან გამოჰყვა კაცი, სჯულითა სარკინოზი, ჴოცად ქრისტიანეთა“.[298]

ამრიგად, მცირეაზიელმა თურქებმა გიაურებთან ბრძოლის საბაბით ქართული ტერიტორიების დაპყრობა დაიწყეს.

მძიმე განსაცდელის ჟამს მესხეთის მთელი აზნაურობა, მათთან ერთად თორელები, თმოგველები და ფანასკერტელები, ბექა ჯაყელის გარშემო დაირაზმა. ბექამ მათ საუცხოო სიტყვით მიმართა: „ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავნო ჩემნო, სიტყუა ჩემი. დიდმან და სახელოვანმან, სკიპტრისა და პორფირისა მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა და დაამჭო ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა სამეფოსგან მისისა. მიერ ჟამთაგან აქამომდე არღარა ჩენილან თურქნი. აწ ცოდვათა ჩუენთათჳს კუალად აღიძრნეს და აღაოჴრეს მძუნვარედ ტაო და ურიცხუ სული ტყუეყვეს და მოსწყჳდეს პირითა მახჳლისათა, ეკლესიანი დასცნეს და სიწმიდენი შეაგინეს, და კუალად განმზადებული არიან ბოროტისყოფად ქრისტიანეთა და მოოჴრებად, ეინათგან მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა, და კუალად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან, და არავინ არს წინააღმდგომ თურქთა. აწ ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთნებანო, და შეეკრბეთ ყოველითა ძალითა ჩუენითა და მიემართოთ თურქთა, და არა მივსცეთ თავნი და შვილნი ჩუენნი, და არა განგუწირნეს ღმერთმან მოსაენი მისნი და აღმსარებელნი მისნი, და მოგუცეს ძლევა მათ ზედა, ეითარ მისცა მამათა ჩუენთა ძლევა მათ ზედა. დავდვათ თავი ჩუენი სჯულისა შეუგინებლობისათჳს და ძმათა ჩუენთათჳს, უეჭუელად ღმერთი მოგუანიჭებს ცხორებასა“.[299]

შესანიშნავი მოწოდებაა, კარგად ჩანს, როგორ აქვთ გააზრებული ქართველებს ქვეყნის, სარწმუნოების, მოყვასის დაცვა. მაგრამ მთელი ტრაგიზმი ისაა, რომ თავად ბექა ჯაყელი პოლიტიკური განკერძოების თავგამოდებული დამცველი იყო და ქვეყნის ერთიანობა მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების დროს ახსენდებოდა.[300] იმ დროს საქართველო გადარჩა,[301] მაგრამ მოგვიანებით ბექას მემკვიდრეთა პარტიკულარისტულმა პოლიტიკამ ქვეყანა ეროვნულ კატასტროფამდე მიიყვანა.

მეორე ისტორიული მხარე, რომელსაც მომთაბარე თურქმანები ეძალებოდნენ, ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებით მდიდარი ქვემო ქართლი იყო.

დავით ბატონიშვილის (1767-1819 წწ.) ცნობით, თემურ ლენგს ქართლი მომთაბარე შამშადილოელებით დაუსახლებია. თურქმანული ტომები თეთრბატკნიანთა და ყიზილბაშთა აგრესიის მთავარ დასაყრდენად გადაიქცნენ. ისინი თანდათანობით დებედას ხეობისკენაც მიიწევდნენ, იქიდან სდევნიდნენ ქართულ მოსახლეობას და ითვისებდნენ მისი ქვემო დინების ნაყოფიერ ველებს. იქ აღმართულ აღჯაყალისა და ქაოზიანის ციხე-სიმაგრეებს დამპყრობელი ანახლებდა და აძლიერებდა, ქართველი მეფეები კი

ანგრევდნენ და ელსაც მუსრს ავლებდნენ. მაგრამ ხმლის ქნევამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და გარდაბანი დიდი ხნით დაიკარგა.

1431 წელს, საგულდაგულო მომზადების შემდეგ, ალექსანდრე I (1412-1442), დიდად წოდებულმა, ლორეს ციხე აიღო და თურქმანები გარეკა. ქართველთა ჯარს თან ახლდა კათოლიკოს-პატრიარქი თეოდორე III (1429-1435), რაც თავისთავად მეტყველებს ბრძოლის მნიშვნელობაზე. საქართველოს მწყემსთმთავარმა მხედრობას ასე მიმართა: „ამა უსჯულოთა აგარის ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტნელი გიორგი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუებიან და ტახტი მეფეთა განურყუნია და საპატიონი და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხუქმნიან, სახლ-სალოცველი ქუაბ-ავაზაკთა უქმნია და ჰუნეთა მათთათუის საყოფად განუჩენია. აწ ბრძოლეთ ძლიერად, და დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ, ქრისტესთუის წამებულთა გუერდის მიითუალვით, და დაღათუ ვინმე დაკოდითა ანუ დაშავებითა და რათაცა ტკივილითა იტანჯებით, ყოველსავე ქრისტე მისად ნებისმყოფელად და სამსახურად მიითუალავსო“.[302]

საპროგრამო სიტყვაა: ქვეყნის გამოხსნისთვის თაეგანწირულნი მაცხოვრისთვის სისხლდათხეულთ ემსგავსებიან, დაკარგული ტერიტორიებისათვის ბრძოლა კი საკრალიზდება.

თავი III

ქართველი ერის კონსოლიდაცია XVI-XVIII საუკუნეებში

§1. – ქვეყნის ერთიანობის იდეა დაშლილობის ხანაში (XVI ს. – XVIII ს. I ნახ.)

XV საუკუნის მიწურულს საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა: აღმოსავლეთ საქართველოში ქართლისა და კახეთის სამეფოები წარმოიქმნა, დასავლეთში – იმერეთის სამეფო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – სამცხის სამთავრო, რომელიც უფრო სამცხე-საათაბაგოს სახელით იყო ცნობილი. ამით დაშლის პროცესი არ დამთავრებულა: XVI საუკუნიდან იმერეთი სამეფოს თანდათან გამოეყო და დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბდა ოდიშის (სამეგრელოს), გურიისა და აფხაზეთის სამთავროები.

დაქუცმაცებული საქართველო მაჰმადიანურ სამფლობელოთა გარემოცვაში აღმოჩნდა. აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მის შთანთქმას ოსმალეთი და ყიზილბაშური ირანი ცდილობდა. 1555 წელს ორმა მაჰმადიანურმა იმპერიამ კაეკასია გაინაწილა. დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს ერგო, აღმოსაელეთ საქართველო – სპარსეთს. კელავ განმეორდა ის, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არაერთხელ მომხდარა და ერის განვითარებაზეც მნიშვნელოვანი დაღი დაუსვამს – ქართული მიწები დაპირისპირებულ იმპერიებს შორის აღმოჩნდა გაყოფილი.

ჩრდილოეთიდან საქართველოს სხვადასხვა ჩრდილოკავკასიელი მფლობელები ესაზღვრებოდნენ. საქართველოს ძლიერების ხანაში ურთიერთობა ჩრდილოკავკასიელებთან იმდენად მჭიდრო იყო, რომ ისინი „ქართველებადაც“ კი აღიქვამდნენ თავს (იხ. ზემოთ, თავი II). მაგრამ თემურ-ლენგის ლაშქრობებისა და ყირიმის სახანოში ოსმალთა გაბატონების შემდეგ, იქ სწრაფად იწყო ისლამმა გავრცელება და ყოფილი მოკავშირეები მოწინააღმდეგეებად გადაიქცნენ; განსაკუთრებით ეს დაღესტნელებზე ითქმის.

ერთმორწმუნე რუსეთი, რომელიც ბიზანტიის მემკვიდრეობას იჩემებდა, ჯერ ისევ შორს იყო. XVI საუკუნის II ნახევარში რუსების ვოლგისპირეთში გაბატონებამ და თერგზე გამოჩენამ საქართველოს სიკეთეზე მეტად,

შეიძლება ითქვას, ზიანი მოუტანა: კაეკასიელ მთიელებს სულ უფრო და უფრო უძნელდებოდათ ჩრდილოეთ კაეკასიისა თუ სამხრეთ რუსეთის სტეპების მოთარეშება და სასიცოცხლო ინტერესების დასაკმაყოფილებლად საქართველოს მოოხრებას მიჰყვეს ხელი. ლეკიანობის სახელით ცნობილმა მთიელთა ჩამოწოლამ არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა საქართველოს ბედის განსაზღვრაში.

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, / ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო ქისტი, / სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, / ყველამ წაჰკრა თითო ქი'შტი!" – ეს სტრიქონები ზუსტად ასახავს არა მხოლოდ დავით გურამიშვილის თანადროულ მდგომარეობას, არამედ წინა საუკუნეების პოლიტიკურ ვითარებასაც. „ქართლი", ამ შემთხვევაში, მწიგნობრული ტერმინია, მთელი საქართველოს აღმნიშვნელი. „ოფიციალურ" ნაწერებში, ჩვეულებრივ, „საქართველო" გვხვდება.

საქართველოს დაშლისთანავე იწყება იდეოლოგიური თუ ფიზიკური ბრძოლა მისი გაერთიანებისათვის. ბაგრატიონთა დინასტიის სამივე შტოს წარმომადგენლები ოფიციალურად მეფეთ-მეფეებად იწოდებიან (შესაბამისად, პატარა საქართველოში ერთდროულად სამი მეფეთ-მეფე არსებობდა![1]) და სამეფო ტიტულატურაში ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის, ორივე ტახტის და ყოველი საქართველოს მტკიცედ მპყრობელობაზე ამახვილებენ ყურადღებას. ამას გარდა, მათ წოდებულებაში გვხვდება საქართველოს კავკასიური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი „მეფე აფხაზთა, ქართველთა" და ა.შ. ეს ტენდენცია ქართლსა და კახეთში XVI საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა, ხოლო იმერეთში – თითქმის XVII საუკუნის მიწურულამდე.[2] როგორც ჩანს, ბაგრატოვანნი არ ურიგდებოდნენ საქართველოს დაშლას, ყოველი საქართველოს აღდგენაზე ფიქრობდა და სხვათა დაპყრობა-დამორჩილებას ცდილობდა.

კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყოველი საქართველოს მეფობას დადიანებიც იჩემებდნენ. ცაიშის გულანის მინაწერში ლევან II დადიანი (1611-1657) „ჴელმწიფეთა ჴელმწიფედ" და „ყოელისა საქართველოსა პატრონად" იწოდება.[3] ოდიშის მთავრის ამ წარწერაში, ს. ჯანაშიას თანახმად, სრულიად ქართული ეროვნული ერთობის შეგნებაა გამოხატული. იგივე პოლიტიკური ტენდენციები მის დიპლომატიურ საბუთებშია გამოხატული.[4] კერძოდ, ლევან დადიანი რუსეთის მეფეს აცნობებდა, რომ ივერიის ქვეყანაში ხუთი ხელმწიფე იყო; მათგან ორნი სპარსეთს შაჰს დაუმარცხებია, დანარჩენი სამს კი, ღვთის ნებით, თავად ფლობს.[5] შაჰის მიერ დამარცხებული მეფეები, ცხადია, ქართლ-კახეთის ბაგრატიონები არიან, ხოლო მის მიერ დაპყრობილი ქვეყნები იმერთი, აფხაზეთი და გურიაა. მართლაც, რომის პაპს ურბან VIII-ს ოდიშის მთავარი, სხვათა შორის, იმასაც

ამცნობს, რომ „დავიმორჩილეთ ჩვენი მტრები, აფხაზეთის, იმერეთისა და გურიის მთავრები“.[6]

მისი მემკვიდრე, ვამეყ III დადიანი (1658-1662) აღარ სჯერდება მთავრის ტახტს და ლატალის მაცხოვრისადმი შეწირული ჩარის ქუსლზე ამოკვეთილ წარწერაში თავს მეფედ მოიხსენიებს, რადგან „ოდეს იმერეთს მეფენი გარდაშენდენ და ძალითა და შეწევნითა შენითა ლისა და შავს ჯიქეთს შუა მეფობა და დაიანობა ჩუენ დაეიჭირეთ“.[7] კიდევ უფრო ხმაურიან ტიტულს ატარებს ვამეყ დადიანი ერთ შეწირულობის სიგელში: „ლიხთიმრისა და ლიხთამრისა, ოსეთისა და დვალეთისა, სვანეთისა და ყაბარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელ-მქონებელმან დიდმა მეფეთ-მეფემან ჭელმწიფემ დადიანმან პატრონმან ვამეყ ... მას ჟამსა, ოდეს ... სრულიად საქართველო დაეიჭირეთ, იმ დროსა ბიჭვინტის ღმრთისმშობელსა შამოგწირეთ გურიას წმიდის კეირიკეს საყდარი ძიმითისა და ... რეა კვამლი კაცი“.[8] წოდებულებანი, ცხადია, ფრიად გაზვიადებულია, ოცნებებთან ლაციცს უფრო წაგავს, მაგრამ დოკუმენტი, თავისთავად, საინტერესო, რადგან ოდიშის მთავრის პოლიტიკური იდენტობის გამომხატველია; თავისი შეგნებით ის საქართველოს მოღვაწეა.

საქართველოს გაერთიანების საქმეში განსაკუთრებით ქართლ-კახეთის ბაგრატიონები აქტიურობდნენ. ალექსანდრე კახთა მეფე (1574-1605) საქართველოს მეფე-მთავართა გეგმებს სახავდა, მისმა შვილიშვილმა, თეიმურაზ I-მა (1606-1663) ,მცირე ხნით ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანება მოახერხა ალექსანდრეს არც თუ სასურველმა სიძემ, სვიმონ I-მა ორჯერ სცადა იმერეთის შემოერთება, ხოლო სვიმონის ძმისწულმა, მეფე როსტომმა (1658-1675) დროებით კახეთიც შეიერთა. ყველაზე დიდ წარმატებას ამ გზაზე მუხრანბატონთა შტოს წარმომადგენლებმა, შაჰნავაზმა (1658-1675) და მისმა შვილებმა მიაღწიეს. მათი ენერგიული მოქმედებების წყალობით, ფაქტიურად, მთელი საქართველო გაერთიანდა.[9] „მეფობდა მეფე შანავაზ სამთავე სამეფოთა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა ზედა, ესრეთ განდიდნა და აღემატა მეფობა და სიმდიდრე მისი საქართველოსა შინა“.[10] მართალია, გაერთიანება დღემოკლე არმოჩნდა, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართველთა ცნობიერებაში. ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში (1712 წ.) ამაყადაა გაცხადებული: „... ხსენება ვჰყო ... შაჰნავაზისა, რომელი მეფობდა ქარ-თველთა და კახთა ზედან, ჴლმით დამპყრობელ იქმნა ლიხთ იმერსაცა, სამთავე სამეფოთა აფხაზთაცა, ვიდრე შავს ზღვადმდე“.[11]

ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე კიდევ უფრო შორს მიდიოდა და ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური ვითარების დადგომის შემთხვევაში სა-

ქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის გეგმებსაც კი სახავდა. რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ VI (1703-1737) ბედს არ ეპუებოდა და რუსთ ხელმწიფეს სთხოვდა, გამოეყენებინა მთელი მისი ავტორიტეტი და ქართველი ბაგრატიონებისთვის დაებრუნებინა ნიწა-წყალი „которые в нашем владении было, а именно до реки Шамкори, до Ереванской горы, до Гуржи Багази, до Чани, до Черного моря, до Жики, до черкесского и лезгинского рубежа, от Варташеня до ширазского рубежа и до Куры реки“.[12] ცხადია, ეს ყველაფერი ერთი სკიპტრის ქვეშ უნდა გაერთიანებულიყო.

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ერთიანობის აღქმის სხვა გამოხატულებაც იყო: იმერეთის მეფეთა მიერ ყმა-მამულის შეწირვა ილორის წმ. გიორგისადმი და მოწინააღმდეგე აფხაზებზე გამარჯვების შესთხოვნა,[13] კახთა მეფეების მიერ ზარების მირთმევა სვანეთის სალოცავებისადმი,[14] ქართლის მეფეების იმდაგვარივე შეწირულობანი დვალეთის სიწმიდეებისადმი.[15] ასპექტები კიდევ მრავალგვარი იყო.

ინტეგრაციის ძლიერი იმპულსები ადექვატურად გამოხატავდა ეროვნულ თვითშეგნებასაც. მაგრამ ახლაც, ისევე როგორც მრავალი საუკუნის წინ, დაპირისპირებული იმპერიები ქვეყანაში სტატუს ქვოს შენარჩუნებას ცდილობდნენ, რაც საქართველოს კონსოლიდაციის საწინააღმდეგო უდიდესი ფაქტორი იყო.[16] ოსმალეთისა და სპარსეთისვისაც არათუ ერთიანი საქართველოს, დამოუკიდებელი ქრისტიანული სამეფო-სამთავროების არსებობაც კი მიუღებელი იყო. ისინი გამალებით კვებავდნენ სეპარატიზმს (თუმცა, ეს მიდრეკილებები, ალბათ, ქართველთა ბუნებაშიც იდო), რისი წყალობით დეცენტრალიზაციის მომხრე ძალები ამარცხებდნენ კიდეც გაერთიანების იდეის ირგვლივ დარაზმულ დასს. ასეთი იყო რეალობა, რომლის მონაწილეთა ჭიდილი ქართველთა ფსიქოტიპს აყალიბებდა.

გვიან შუა საუკუნეებში „საქართველომ“ პოლისემიური მნიშვნელობა შეიძინა. საქართველო, უპირატესად, ქართლის სამეფოს აღნიშნავდა.[17] ზოგჯერ წყაროებში „ლიხთ-იმერეთისა საქართველო“ გვხედება იმერეთის სამეფოს მნიშვნელობით.[18]

საისტორიო ძეგლებში ის, ტრადიციულად, სრულიად საქართველოს შეესატყვისება, თუმცა არა იმ ფარგლებში, რომლებშიც უამთააღმწერლის ყოველი საქართველო წარმოგვიდგებოდა.

XVIII საუკუნის დასაწყისის ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი ცალკეულ სამეფო-სამთავროთა საზღვრებს აღწერს და იქვე დასძენს: „ხოლო ამას გარდა საქართველონი რომელნიმე თავისუფალ შექმნილიყვნენ, რომელნიმე სპარსთა მიეტაცნეს, რომელნიმე ხონთქარსა და რომელიმე ხაზართა“.[19] აშკარაა, რომ პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მიუხედავად, მთელი სივრცე საქართველოა, მისი თითოეული წევრი – „საქართველოები“. ქვეყნის

ასეთ გააზრებას – „საქართველოების“ კრებული – საკმაო ხნის ისტორია ჰქონდა და ბერი ეგნატაშვილიც მხოლოდ თანადროული განათლებული ქართული საზოგადოების თვალსაზრისს არ გადმოსცემს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, საქართველოს დაშლის მოთავეებსაც მშვენიერად ესმოდათ, რომ კულტურულ-სახელმწიფოებრივი ერთობლიობა, რომლის ნაწილები თავადაც იყვნენ და ახლა დანგრევას უპირებდნენ, „საქართველოა“. ასე აღიქვამდნენ რეალობას „ღმრთივგვირგვინოსანი“ მეფე ბაგრატი (1466-1478) და დიდი ერისთავთ-ერისთავი, დადიან-გურიელი შამადავლა (1470-1474).[20]

XVII საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძეც ოდესღაც არსებული ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური სივრცეს „საქართველოთი“ აღნიშნავს. „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლათ გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარნი და იესოს ქრისტეს რჯული ეჭირათ. ამისთვის იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზიბაშნი და ამისთანას ორს დიდს ჴელმწიფეებს შვაში ბევრს ეცადნეს, აქეთ იქნიეს ჴმალი და იქით და მრავალი ნაენებიც ქნეს, მაგრა არ იქნა და ვერცა რას თაეს გაუვიდნეს. ჴონთქარმან და ყაენმან საქართველო შვა გაიყვეს“ – ასე დაახასიათა მან გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს მაგისტრალური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები და იქვე ჩამოთვალა „საქართველოებიც“: სამცხე, ქართლი, კახეთი, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურია და „ლაზის ქვეყანა“.[21]

მოტანილ ამონარიდებს თუ შეეადარებთ, დავინახავთ, რომ ფარსადან გორგიჯანიძესაც და ბერი ეგნატაშვილსაც „საქართველო“ ერთნაირად ესმით, თუმცა ეს უკანასკნელი იმასაც შენიშნავს, რომ არსებულა სხვა „საქართველოები“, ჟამთა სიავის გამო, ძირი-საქართველოსგან მოწყვეტილი და დაკარგული.

ბერი ეგნატაშვილის თანამედროვეს, ცნობილი მოაზროვნეს, ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი თავის საისტორიო და საგეოგრაფიო თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ „საქართველოდ“ მოიაზრებს იმ ტერიტორიას, რომელიც იქმნა „შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ“. ნაშრომის გეოგრაფიულ ნაწილში, რომელიც ავტორის თანადროულ ვიტარებას ასახავს, საქართველოს მხარეებად მოაზრებულია, სხვასთან ერთად, ბასიანი, ჯიქეთი, ჭანეთი, დიდოეთი, პერეთიც, დვალეთი; სამაგიეროდ, არ გეხედება ყაზახ-შამშადილო (მისთვის ბერდუჯი დებედაა), ჩრდილოეთ სომხეთი (ანისი, კარი, ერევანი). ცალკე მონაკვეთი ეძღვნება „ოვსეთის“ აღწერას, მაგრამ მინიშნებაც კი არსადაა, რომ ის „საქართველოა“.[22]

ნაშრომის შესავალში ვახუშტი ამბობს: „ხოლო ქუეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირველად – საქართველო, მეორედ – ივერია, მესამედ – გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხუდა ქუეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თჳსითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილჴდომილთა მისთა ეწოდა საქართველო... ხოლო მეორე სახელი, ივერია, ენითაჲ ქართულითა მიეცა... ოდეს ი- მეფემან ადერკიმ მოკლა არშაკ ... მაშინ აღუტეცა ჴმა სპათა მიმართ თჳსითა: „იი, ვერიე!““. ივერია, განაგრძობს ვახუშტი, მოასწავებდა, აგრეთეე, სიხარულს უფლის შობისა და „მორევნასა კერპთა ზედა ძალსა ჯუარისასა და ჴსნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა“; რაც შეეხება მესამე სახელს, გიორგიას, „მჴნედ მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა... კუალად ... დიდის მოწამის გიორგისა ... მიერ იწოდა“.[23]

განსხვავებული ვითარებაა წარმოდგენილი მეცნიერი ბატონიშვილის მიერ შედგენილ „ატლასში“. 1735 წლის ატლასში კავკასიის დიდ ნაწილი დაფერილია, ლეგენდაში კი ამგვარი წარწერა ახლავს: „ახალი დახაზული სამეფო იბერიისა ანუ ყოვლისა საქართველოსი ქართა ანუ რუკა, რომელი არს ორთა ზღვათა შორის პონტოსა და კასპისასა: ქართლი, სამცხე, რომელ არს მესხნი, ოვსნი, დურძუკი, რანი, იმერეთი, ოდიში ანუ სამეგრელო, აფხაზი, გურია, სვანეთი, სომხეთი, კახეთი, შირვანი, ლეკი ანუ დღისტანი, ყივჩაყ ანუ მცირე ყაბარდო“[24] პირველი შთაბეჭდილება ისაა, ვახუშტიმ ისტორიულ საქართველოს კავკასიის ოდესღაც არსებული საპატრონყმო ქვეყნებიც მიათვალა. მაგრამ მეორე, 1745 წლის ატლასის განმარტებები საქმეს უფრო რთულად წარმოადგენს. აქ, კერძოდ, ვკითხულობთ: „რუკა მომზადებული საქართველოსი ანუ იბერიისა ანუ გიორგიისა ... ორთა კასპიისა და შავ ზღვას შორისი, რომელი წილად ხვდა რვათა ძმათა... ხოლო ჰაოსისა (წილი – გ.ჭ.) არსად მჩენარებს...“.[25] ეს უკვე ავტორისეული კონეფციაა, თუ როგორ განივრცო ქართლოსიანთა ანუ ფარნავაზიანთა ქართლი და როგორ შემოკრიბა მან თაეის გარშემო „მოძმე“ სახლები. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ის გარემოებაც შეიძლება მეტყველებდეს, რომ ატლასში ცალკე რუკადაა წარმოდგენილი ფარნავაზის დროის საქართველო.[26] ვახუშტის ზემოთმოტანილი თვალსაზრისი ქრთლოსისადმი მორჩილების შესახებაც შეგვიძლია მოვიგონოთ კიდევ ერთხელ.

საინტერესოა ჰაოსისა და ჰაოსიანთა წილის ვახუშტისეული გააზრება: ის არაქსის მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული, ხოლო მარცხენა სანაპირო მთლიანად საქართველოს საზღვრებშია შემოყვანილი. არაქსის მარცხენა სანაპიროზე განფენილ ტერიტორიებს „სომხითი“ ეწოდება და განიმარტება როგორც არზრუმი, ბასიანი, კარი და „ერევნის ადგილნი“.[27]

დაახლოებით ამდაგვარივე სურათია მესამე, რუსულ ატლასშიც, იმ განსხვავებით, რომ მცირე ყაბარდო საზღვრებს მიღმაა ნაჩვენები, ბასიანი სამცხე-საათაბაგოს ფერითაა დაფერილი, არაქსის მარცხენა სანაპიროც მთლიანად არ არის გამოხაზული.[28]

მაშასადამე, ვახუშტი ბაგრატიონისთვის საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც თარგამოსიანთა სახლებს აერთიანებს; ეს „ძმობა" ამ უფლების ლეგიტიმურობის საფუძველია. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ის იბერიისა და გეორგიის სახელითაც მოიხსენებს, ანუ ხაზს უსვამს იმ სემანტიკურ კოდს, რომელიც მისი სათაყვანებელი სამშობლოს სახლწოდებაში იდო.

რამდენად რეალურად ეჩვენებოდა თავად მეცნიერ ბატონიშვილს ორ ზღვას შუა გადაჭიმული კავკასიური სახელმწიფოს აღორძინება, ძნელი სათქმელია. შესაძლებელია, ის მხოლო და მხოლოდ, თავის თვალსაზრისს გადმოსცემდა ისტორიული საზღვრების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ამ კონცეფციასაც გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ვახუშტიზე თითქმის ერთი საუკუნით ადრე თურქული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ევლია ჩელებიმ სრულიად მკაფიოდ განაცხადა, რომ „მდინარე არეზისა და ზანგის ჩრდილოეთით ორმოცი დღის სავალი კავკასიის მთების ჩათვლით, ხაზართა ზღვამდე დაღისტნად და საქართველოდ ითვლება".[29] იგივე ავტორი შაქზე აცხადებს: „შირვანის ვილაიეთში ... მდებარე ... ციხეა, მაგრამ საქართველოსად ითვლება, რახან მისი ამშენებელი ქართველია".[30] ევლია ჩელებიმ მახლობელი აღმოსავლეთის ისლამურ სამყაროში გავრცელებული ძველისძველი პოლიტიკური თეორიები შემოინახა. ისტორიული მეხსიერება, ვფიქრობთ, ქართველებშიც არანაკლებ ძლიერი იქნებოდა.

§2. – ეთნიკური ცვლილებები

2. 1. – ქართველები

ვახუშტი ბაგრატიონმა შექმნა მწყობრი კონცეფცია, რომელიც ეთნოსისა და ტერიტორიის მჭიდრო ურთიერთკავშირს ასაბუთებდა. ამოსავალ დებულებას წარმოადგენდა თეზა, რომ „იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქუეშე პყრობასა", რაც სამი არგუმენტით დასტურდებოდა („წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი"): „პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა (დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ), მესხსა და ჰერ-კახსა, რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი"; მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული. და

პკითხო რა წინათქმული მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის „ქართული“. რამეთუ არა იტყჳს, არცა რჯულსა, არცა ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და პერ-კახთასა, არამედ ქართულსა. მესამედ: არასადამე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა, ანუ ხატთა და ჯუართა, ძჳრფასთა, რომელტა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თუნიერ: „ჩუენ, მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან“, რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა“.[31]

ამრიგად, ვახუშტის მიხედვით ქართველობას განსაზღვრავდა სარწმუნოება – მართლმადიდებლობა, ენა, დამწერლობა, მწიგნობრობა, საერთო ისტორია. ამას ერთვოდა ტერიტორია, რადგან ყველა ესენი „იქერიელები“, ანუ „ქართლის მეფისა ქუეშე პჳრობილი“ ტერიტორიების მკვიდრნი არიან.

მეცნიერი ბატონიშვილი მხოლოდ ამ ნიშნებით არ კმაყოფილდება. მან ისიც კარგად იცოდა, რომ ყველა ერს თავი თვისებები პქონდა, მათ შორის, ფიზიკური ტიპი („ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალ-წარბ-თმოსანნი“...), ეროვნული ფსიქიკა და მენტალობა („საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი... სტუმართა და უცხოთა მოყვარენი...“), შესამოსელი და თავსაბურავი („თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვეული, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა...“),[32] რომლებსაც სხვადასხვა ეთნოგრაფიულ კუთხეში თავისებური ელფერი შეიძლებოდა შესძენოდა.

ვახუშტის კონცეფციას ენისა და მწიგნობრობის შესახებ კარგად ადასტურებს არქანჯელო ლამბერტის ცნობები. იტალიელი მისიონერი შემდეგს მოგვითხრობს: „მეგრელები იმდენად უმეცარნი არიან, რომ მათ შორის თითქმის არავის არ ესმის ის ქართული წიგნები, რომელიც დაწერილია მათი ნამდვილი ძველებური და წმინდა ენით. ამ ენისგან მათი მდაბიური ენა ისე განირჩევა, როგორც ჩვენი მდაბიური განირჩევა ლათინურისგან. აქ არ თავდება მათი უმეცრება: ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. ისე რომ თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად“.[33] კიდევ ერთი ცნობა – „ახლახანს ჩამოსულმა ჩვენმა ბერებმა პირველ რიგში ქართული ენის შესწავლა დაიწყეს“[34] – მოწმობს ქართული ენის მნიშვნელობას სამეგრელოში. სხვა მაგალითიც, როგორ განსაზღვრავდნენ იდენტობას ჩვენში: „ოდიშში ჩამოვიდა ერთი მილანელი რენეგატი, სახელად ალიბეგი... ის ჯიუტად იდგა თავის ახალ რწმენაზე და ქრისტიანობაში დაბრუნება არ სურდა. მალე ექიმი ავად გახდა და მაჰმადიანობაში გარდაიცვალა. მთავარმა ერთ სომეხ ამირას უბრძანა, ის წიფურიაში, ჩვენს სასაფლაოზე დაესაფლავებინა. მთავრის აზრით, რადგან

ექიმი წარმოშობით ქრისტიანი და მილანელი იყო, ქრისტიან იტალიელებთან უნდა დამარხულიყო. სომეხმა ეს გვამი ორი დღის მანძილზე წაიღო და ჩვენც წაგვიყვანა... იგი გვპასუხობდა, იტალიელი იტალიელებმა უნდა დამმარხონო. მამები კი მიუგებდნენ, რომ ამ შემთხვევაში ადამიანებს რწმენა უფრო აერთიანებთ, ვიდრე სამშობლო".[35] ამ ამონარიდით, საქართველოში სარწმუნოებასთან შედარებით, წარმომავლობას ენიჭებოდა უპირატესობა, მაშინ როცა იტალიელებისთვის აღმსარებლობა ყოფილა უმთავრესი. ეს გარემოებაც ადასტურებს, რომ ქართველის განსზღვრაში „გამონაკლისებიც" ყოფილა. ამას შექმნილი რეალობაც მოითხოვდა.

წინა თავებშიც დავინახეთ, რომ საქართველოში სხვადასხვა წარმომავლობისა და სარწმუნოების ეთნოსები მკვიდრობდნენ. მათთან თითქმის ყოველდღიური ურთიერთობების შედეგად იცვლებოდა არსებული ეთნო-კულტურული შემადგენლობა: ზოგი ინათლებოდა და ქართველდებოდა, ზოგჯერ კი პირიქითაც ხდებოდა – ქართველები იცვლიდნენ სარწმუნოებას და შემდეგ უკვე ეროვნებასაც.

2. 2. – აფხაზეთი

იოანე გალონიფონტიბუსი ერთ-ერთი პირველი ავტორია, ვინც დასავლეთ საქართველოში პატუა ენების არსებობას ადასტურებს. მისი ფრიად საინტერესო ჩვენებიდან ვიგებთ, რომ „აფხაზეთი მცირე, მთაგორიანი ქვეყანაა. იქ მრავლადაა პირუტყვი და შესანიშნავი ღვინო. ისინი (აფხაზები – გ.ჭ.) არ ხმარობენ არც პურს და არც ხორბალს და არც არასდროს ჰქონიათ, ხარშავენ ღომს თიხის ჭურჭელში, მარილის გარეშე და მას მიირთმევენ პურის ნაცვლად... არ აინტერესებთ სულის საკითხები, სარწმუნოებაში კი ქართველებს მისდევენ. ენა საკუთარი აქვთ. დახელოვნებულნი არიან შალის, ტილოს და აბრეშუმის ნაწარმის დამზადებაში".[36] აფხაზეთის აღმოსავლეთით მდებარეობდა „სამეგრელო, საკმაოდ ვრცელი ქვეყანა. მის მკვიდრთ საკუთარი ენა აქვთ, დამწერლობა და რელიგია ზუსტად ისეთივე, როგორც ქართველებს".[37] სამეგრელოში ბევრი დაბლობი ადგილი ყოფილა, მაღალი მთები კი აფხაზეთის, კავკასიისა და კასპიის მთებს ესაზღერებოდა. მთებში ცხოვრობდნენ განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე სხვადასხვა ხალხი, მათ შორის მეგრელები, სვანები და ფრანკები.[38]

ვის გულისხმობს ჩვენი ავტორი „ფრანკებში", ძნელი სათქმელია. ენათა თუ დიალექტთა განსხვავება სვანებსა და მეგრელებში მან ზუსტად შენიშნა. უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული ინფორმაციაც სწორია. ნიშანდობლივია, რომ სამწერლობო და ღვთისმსახურების ენა

ქართული იყო. იოანე გალონიფონტიბუსის პირდაპირი ჩვენებით, საქართველო იგივე აფხაზეთია (Ioriania sive Apcasia), ამ „ერცელი ქეყნის“ აღმოსავლეთ, ანუ გარე ნაწილს Ioriania ეწოდებოდა, ხოლო შიდა ნაწილს – Apcasia.[39] სახასიათოა, რომ სულთანიეს არქიეპისკოპოსი აფხაზეთს სამი მნიშვნელობით ხმარობს: (1) საკუთრივ აფხაზეთის, (2) დასავლეთ საქართველოს, (3) საქართველოს სამეფოს

იოანე გალონიფონტიბუსს პროვინციათა საზღვრები არ აქვს გამოყოფილი, ამიტომ ჭირს იმის განსაზღვრა, რა ტერიტორიაზე ისმოდა პატუა აფხაზური. გარკვეული დახმარება შეიძლება გაგვიწიოს ანონიმი ესპანელი ბერის ნაშრომმა „ცოდნის წიგნი“.[40] აღნიშნულ თხზულებაში აფხაზეთ-ჯიქეთის სანაპიროზე დასახელებულია ანაგოსია-არუასაქსია ანუ აფხაზეთი ცენტრით (?) ბიჭვინთაში და სანტ ესტროპოლის ანუ სებასტოპოლის სამეფო.[41] მსგავს პოლიტიკურ სურათს ვხედავთ ასი წლის შემდეგაც: ანაკოფიაში აფხაზთა მთავარი შარვაშიძე ზის („მიიღო ... შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი“[42]), ხოლო ცხუმი და ბათუმი ოდიშის მთავარს შამადაველე დადიანს ეკუთვნის.[43]

ამავე პერიოდში აფხაზეთში, ქართული ქრისტიანული ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერაში, ძირეული ცვლილებები ხდება: „აფხაზეთი ქ(რისტე)ნობის(ა)გ(ა)ნ ს(რულია)დ მიდრეკილ იყ(უ)ნეს, ქ(რისტ)ეს მცნებათაგ(ა)ნ გ(ა)ნშო[რე]ბულ იყუნეს“ – გვამცნობს XV საუკუნის საეკლესიო სამართლის ძეგლი „მცნებაი სასჯულოი“.[44] ეს ამბავი, საგულვებულო სიგელ-გურჯების წყალობით, XVII საუკუნეშიც ახსოვდათ. ლევან II დადიანის (1611-1657) განცხადებით: „ესე ვითარცა დადიან გურიელისა ... სამადაველსაგან გარიგებული სიგელი ვნახეთ, ესრეთ ეწერ და გაერიგა: „მას ჟამსა უღმთოდ და უსჯულოებად მი(ი)ქცეს აფხაზნიო, და ... აფხაზთა გარყუნეს სჯული და კ-ზობა...“.[45]

ამ ტეხილს, სრულიად სამართლიანად, მთის ჩამოწოლას, კერძოდ, აბაზაასუა ტომების შემოტევას უკავშირებენ.[46] ჩრდილოკავკასიელთა ეს მომძლავრება კარგად აისახა ყაბარდოულ ზეპირგადმოცემებში. თქმულება ინალის გმირობათა შესახებ, რომელშიც XV საუკუნის 20-იანი წლების ამბებია აღწერილი, გვამცნობს შემდეგს: ადიღეველთა ამ უდიდეს მთავარს მტკიცე ხელით ურთიერთბრძოლები აღუკვეთავს, მოქიშპე მხარეები შეურიგებია და ხალხი გაუერთიანებია; ერთგულებს პატივს არ აკლებდა, განსაკუთრებით ოფსთა მთავრებს, აშეს და შაშეს სწყალობდა. ერთხელ ინალს აუჯანყდნენ სამხრეთის მთიელები, რომლებსაც სათავეში ოფსი მთავარი ოძემირი ედგა. მეამბოხენი აფხაზეთში გადავიდნენ. ინალმა მათ სდია აბაზეხებამდე და იმ ურჩი ხალხიდან ბევრი გაწყვიტა. დაიღუპა ოძემირიც. მდ. ძიბზე დაბანაკებულმა ინალმა დამარცხებულ აფხაზებთან ზა-

ეი შეკრა. ამის მერე მალე აღესრულა და აღნიშნულ ადგილზე დაკრძალეს. მის საფლავს ახლაც ინალ-კუბე ჰქვია.[47] ფრიად საინტერესოა, რომ გვიან შუა საუკუნეებში თავადი ინალიფები ბზიფზე გადასაელელი ფონის მახლობელ სოფლებს ფლობდნენ,[48] ანუ აფხაზეთისა და ჯიქეთის დამაკავშირებელ გზასაც აკონტროლებდნენ.

ეს გადმოცემა მრავალმხრივ საყურადღებოა. ირკვევა, რომ XV საუკუნის დასაწყისში ადიღეელ ტომთა კოალიცია, ინალით სათაეში, კავკასიის სამხრეთ ფერდობებზე ჩამოდის და აფხაზებს ებრძვის. ამ გაერთიანებაში შედიან ოფსთა, იგივე აფსუა ტომების (ასე ეძახიან თავს დღევანდელი აფხაზები) მთავრები აშე და შაშე – აჩბა (ანჩაბაძე) და ჩაჩბა (შერვაშიძე). წებელის, დალის, ფსხუსა და მთის სხვა თემებიდან გამოსული აფხაზების მიერ ინალ-კუბას თაყვანისცემა[49] ინალის მოკავშირეებსაც უნდა გვაცნობდეს. ბზიფის დასახელება, ერთი მხრივ, აბაზა-აფსუების ჩამოსახლების მაგისტრალზე, მეორე მხრივ კი, აფხაზთა ჩრდილო-დასაელეთ საზღვარზე მიანიშნებს.[50] აქვე უჩვენებენ აფხაზთა საზღვარს ჯორჯიო ინტერიანო (1502)[51] და ვახუშტი ბატონიშვილი (1745).[52]

საბრძოლო შეტაკებები ურთიერთობათა მხოლოდ ერთი, შეიძლება ითქვას, შუა საუკუნეებისთვის სავსებით ნორმალური, მხარე იყო. ამის პარალელურად დასტურდება შიდა მიგრაციები და მშვიდობიანი ინფილტრაცია; მხედველობაში გვაქვს ქართულ ონომასტიკაში დადასტურებული ეთნონიმური წარმომავლობის ტოპონიმები თუ ანთროპონიმები: ჯიქიძე, ჯიქია,[53] ჯიქთუბანი.[54] საინტერესოა, რომ ეს გვარსახელები თუ ადგილის სახელები ქართულ ისტორიულ საბუთებში XV ს-ის ბოლოდან და XVI ს-ის დასაწყისიდან გვხვდება.[55] თამარ დედოფლის „დაწერილში“ (1260-1267) ნახსენები სოფ. ჯიქეფონი თუ, ასევე, ჯიქებს უკავშირდება (ჯიქების გადასასელელი? შდრ. „ზესტაფონი“ ანუ ზედა ფონი), მაშინ ამგვარი მიგრაციების კიდევ უფრო ადრინდელ შემთხვევას დოკუმენტურადაც დავამოწმებდით.

XV საუკუნიდან ქართული ფეოდალური საზოგადოების ასპარეზზე ანჩაბაძეებსაც ვხედავთ; ალთუმიშარ ამჩაბაძე, სხვა ქართველ თავადებთან ერთად, ამოწმებს თოფურიძეთა სასისხლო სიგელს.[56] ანჩაბაძეები, უფრო ზუსტად, აშე-აჩბები, როგორც დავინახეთ, ოფსთა მთავრები არიან. ისინი თავის წარმომაელობას ლოოს გვარიდან ამბობენ.[57] ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მდ. ლოო სოჭის ჩრდილო-დასაელეთით ჩაედინება შავ ზღვაში, ხოლო მისგან ნაწარმოები აბაზური თავადური გვარი და მასზე დაქვემდებარებული თემი ჩრდილოეთ კავკასიაში მკვიდრობდა.[58] უფრო გვიან ანჩაბაძეები (მრ.რ. – აჩაა, მხ. რ. – აჩბა) ჩანან აფხაზეთის საზღვართან, ხოშუპსეს ხეობის სოფ. ხიშხაში.[59] აბაზა დიდკაცობის ქართულ სოციუმში შემოსვლა, ეტყობა, მაინც, უმტკივნეულოდ ხდება.

1578 წელს თურქებმა ცხუმი აიღეს და იქ სოხუმის საბეგლარბეგო შექმნეს.[60] მოვლენათა თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი ჟან ჟაკ ბუასარდო წერდა, რომ 1580 წელს თურქები ქართველთა საზღვრებში შეიჭრნენ და გეორგიელი იბერების მოსათოკად ბათუმსა და სოხუმში საბეგლარბეგოები შექმნეს.[61] ოსმალთა ბატონობამ დიდხანს არ გასტანა. ორიოდ წელიწადში მათ ქალაქი დატოვეს. სოხუმი შერვაშიძეთა მფლობელობაში გადავიდა.

XVII საუკუნის დასაწყისში წარმოიქმნა აფხაზთა სამთავრო შარვაშიძეებით სათავეში. არქანჯელო ლამბერტი (იტალიერი მისიონერი საქართველოში XVII ს-ის 30-40-იან წწ.) და ევლია ჩელები (თურქი ისტორიკოსი, საქართველოში იმოგზაურა XVII ს-ის 40-იან წწ.) ორ სამთავროს შორის საზღვარს მდ. კოდორზე დებენ.[62] ევლია თავის ცნობას აზუსტებს, როდესაც ამბობს, რომ მდ. ფაშადან – ასე ეძახის ის კოდორს – მთელი დღე იარეს და მხოლოდ ამის მერე მიაღწიეს აფხაზეთს.[63] ეს ჩვენება კარგად ეთანხმება სხვა თვითმხილველთა – იტალიელი მისიონერის ჯოვანი და ლუკასა და რუსი ელჩების, ელჩინისა და ზახარიევის – მტკიცებას, რომ კოდორის მარჯვენა სანაპიროზე დრანდის საეპისკოპოსო ტაძარი ოდიშში მდებარეობდა.[64] და ლუკას კიდევ ერთი მითითების თანახმად, სკისორნუმშუ ანუ ძველ სოხუმში ჩამოედინებოდა მდ. აბსი, რომელიც აფხაზეთს სამეგრელოსგან ჰყოფდა.[65] აბსი, რა თქმა უნდა, იგივე აბაზაა. ეთნონიმებიდან ნაწარმოები ამ ტიპის ჰიდრონიმები თანამოსახელე ტომის განსახლების საზღვრის მაჩვენებელია, ანუ მდ. აბსი შეგვიძლია ეთნოგრაფიულად საზღვრადაც გავიაზროთ. ცხუმთან კავშირი გვაფიქრებინებს, რომ ის მდ. კელასური უნდა იყოს.[66]

ამის მატერიალური მოწმობაა კელასურის კედელი. ლამბერტიცა და ვახუშტიც მის აგებას ლევან დადიანს მიაწერენ.[67] წერილობით ცნობას საველე კვლევაც ადასტურებს.[68] ეს თავდაცვითი სისტემა, შემორჩენილ ნაგებობათა მიხედვით, კელასურის მარცხენა ნაპირს გასდევდა თითქმის 60 კმ-ის მანძილზე.[69] განსაკუთრებული ყურადღება კელასურის მონაკვეთს ეთმობა; მოქვიდან თავდაცვა სუსტდება, ხოლო ტყვარჩელის შემდეგ თითქმის აღარც იგრძნობა.[70] ზრუნავენ კოდორისკენ მიმავალი ბილიკებისა თუ გზა-გადასასვლელების დაცვაზე.[71]

კედლის აღმართვა იმას ნიშნავს, რომ მის იქით ოდიშისგან განსხვავებული სამყარო იწყებოდა. აფხაზთა ცხოვრების ის სურათი, წყაროებმა რომ შემოგვინახა, საკმაოდ მუქ ფერებშია: მთებში დამკვიდრებული ეკლური ხალხი, ცხოვრობენ არა ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში, არამედ თხრილით გარშემოვლებულ დაწნულ ფაცხებში, არ აქვთ დამწერლობა და არ იცნობენ დაწერილ კანონებს, ქრისტიანობა თითქმის მიეიწყებულია, და

ისლამიც საკმაოდ ზედაპირულია, არ იყენებენ ფულს, არ მიირთმევენ თევზს, ეზიზღებათ კიბორჩხალა....[72]

ამ ძირეულ ცვლილებებთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა: „სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი ქრისტიანობისგან მიქცეულიყო, თუ იქ მთის ჩამოწოლას არ ჰქონდა ადგილი“.[73]

1672 წელს სამეგრელოში ჩასულ შარდენს კელასურის კედელი „დიდი ხნის დანგრეული“ დახვდა,[74] ხოლო ისკურიის მხარე (კოდორის შეასართავი), აფხაზთა თავდასხმების გამო – სრულიად გაუკაცრიელებული.[75] დაახლოებით იმავე დროს რომში გაგზავნილ მოხსენებაში პატრი ძამპი აღნიშნავდა, რომ „სამეგრელო ... ომების გამო უკანასკნელ სიგლახაკეშია ჩავარდნილი., დაქცეული და აოხრებული... ახლა კაცს აღარ შეუძლია უშიშრად იყოს, მუდამ აფხაზების დაცემის შიშშია, თვით ხომალდები, რომლებიც სავაჭროდ მოდიოდნენ კავროს და მორბილაში, ახლა შიშის გამო ანარგიაში მიდიან. ეგრეთვე ხმელეთზე ვიდრე ოღასყურამდე აფხაზებისა ეშინიათ, რადგან იქაურობას ხშირად იკლებენ“.[76]

დაპყრობილ-აოხრებულ ტერიტორიებზე აფხაზები ესახლებოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით „გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს ... და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ჴმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარედმდე, და დაეშენებოდეს თჳთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი“.[77] როგორც ვხედავთ, აფხაზთა ჩამოსახლებასთან ერთად კულტურული ლანდშაფტიც იცვლებოდა.

XVII ს-ის მიწურულს შარვაშიძეებმა სამფლობელოები ენგურამდე გააფართოვეს. ეს უკანასკნელი ტალღა განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. „ჟამსა ვითარობით ქვეყანა ამოწყდათ“ – აღიარებს ყვაპუ შერვაშიძე კათალიკოსისადმი მიცემულ ფიცის წიგნში.[78] სამურზაყანოს მთავარი პირობას დევს, არ გაყიდოს ნაჟანეულსა და ხოირში დარჩენილი საკათალიკოსო ყმები: ბაბადიში კონდარია, ხუცესი ღუბელაი, კაკა ელიშია, ზუმალეი კოდია, ჯიმადიში უჩაძე, მამაკოჩი სუბუქია, ხუხუტა ჯგუბურია, ობოლა ციცორია, ბაძღალეი მარკოზია, მიამია ბიგვავა.[79] თავადმა სიტყვა ვერ შეასრულა „ნაჟანევს სოფელი აფხაზს აეყარა“ – აღნიშნავს აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე 1712 წლის ბიჭვინტის შეწირულობის სიგელში.

XVIII-XIX სს. მიჯნაზე შედგენილი ერთი დოკუმენტის მიხედვით, გაუკაცრიელებულ სამურზაყანოში ყვაპუ შარვაშიძემ ბზიფიდან ჩამოასახლა ანჩაბაძე, ემხვარი, ინალიშვილი, მარღანია, ზვანბაია, ლაკერბაია, აქირთა-

ეა.[80] კარგად ჩანს, როგორ ხდება ეთნიკური ცვლილებები დაპყრობილ ტერიტორიებზე. საბუთი სხვა მხრივაცაა საინტერესო: ინალიფა ინალიშვილად გვეელინება, ზვანბა – ზვანბაიად, ლაკერბა – ლაკერბაიად. გვარსახელთა გაქართველება მათ უკან მდგარ სუბიექტთა ეთნოკულტურული ტრანსფორმაციის მაჩვენებელიცაა. ეს პროცესი, შესაძლოა, სამურზაყანოში დამკვიდრებამდეც, ბზიფის აფხაზეთში (ზუფუში) დაწყებულიყო. ყოველ შემთხვევაში ის მაინც ფაქტია, რომ ქორთუა-ქორთოძის თუ ქართველიშვილის გააქირთავება (ნიშნავს „ქართველს") ზუფუში მომხდარა.

ცელილებების მიუხედავად, შარვაშიძეთა სახლი, ისევე როგორც სხვა ფეოდალური გვარები, ქართული რჩებოდა. აფხაზური არისტოკრატია იყო ის ხიდი, რომელიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ადუღაბებდა.

2. 3. – „ურიათყოფილნი" და „ოსთყოფილნი"

შედარებით გეიანდელი ხანის წყაროებში დამოწმებული ეს ტერმინები შესაბამის ჯგუფებში მომხდარ ცვლილებებზე მიგვანიშნებს. ებრაელები, როგორც ცნობილია, ძვ.წ. VI ს-ში შემოვიდნენ საქართველოში. მკვიდრი მოსახლეობის დამოკიდებულება ლოიალური იყო, იმდენად, რომ ეროვნულ მატიანეებში „ურიანი ქართველად" მოიხსენიებიან.[81] აღებ-მიცემობას ებრაელები, ძირითადად, დაუბრკოლებლად ასრულებდნენ. XVII-XVIII სს. ისინი სახლობენ შიდა ქართლში, იმერეთში, რაჭაში. თბილისსა და გორში, საბუთების მიხედვით, ებრაელები არ ჩანან. მათი ნაწილი მართლმადიდებლობაზე გადმოდის. ეს, ალბათ, ძალიან მცირე პროცენტი იქნებოდა, მაგრამ თვითონ ფაქტი საინტერესოა. დოკუმენტურად დადასტურებულია უკუპროცესებიც, როდესაც ურია მებატონის ყმა „გააურიავდა", თუმცა ასეთი შემთხვევები კიდევ უფრო ნაკლები იქნებოდა.[82]

ცნობილია, რომ ებრაელები სამცხე-საათაბაგოშიც ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი იქაური ყოფის ამსახველი დოკუმენტები არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ არსებობს ი. ყიფშიძის ცნობა, რომ XIX საუკუნეში ახალციხის ქართულენოვანმა ებრაელობამ დიდი როლი შეასრულა სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაში.[83]

ოსების ჩამოსახლება საქართველოში XV საუკუნიდან იწყება. თემურ-ლენგისგან შევიწროვებულნი, ისინი დიგორიდან დვალეთში გადადიან და ნარას ქვაბურში იკიდებენ ფეხს.[84] ოსთა მოძალებას ადგილობრივ მკვიდრთა აყრა-გადასახლება სდევდა, დარჩენილი დვალები კი მომხდურებს შეერივნენ და თანდათანობით დაკარგეს თავისი ეროვნულობა. ასიმილაციის პროცესი XVII საუკუნისათვის უნდა დამთავრებულიყო.[85]

ოსური საგვარეულო გადმოცემების, ასევე ქართული საისტორიო წყაროების, უმთავრესად კი, დოკუმენტების, შესწავლის საფუძველზე საკმაოდ ზუსტად დგინდება ოსთა საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე მიგრირების პერიოდები. შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, მათი პირველი ახალშენები თრუსოს ხეობასა და მაღრან-დვალეთში გაჩნდა XVII საუკუნის I ნახევარში. მომდევნო პერიოდში მათი ჩამოსახლება გრძელდება და XVIII საუკუნის მიწურულისათვის ოსების განსახლების არეალი მოიცავს დიდი და პატარა ლიახვის მთიან ზოლს, ჟამურს (ქსნის ხეობა), ისროლისხევისა და მეჯუდას სათავეებს, კუდაროს.[86]

ახალმოსულები, ძირითადად, ქართველთა ნასახლარებზე მკვიდრდებიან. მათი გადმოსახლების ინიციატორები ქართველი თავადები იყვნენ, მათ შორის – მაჩაბლები; ყმა-გლეხებისა თუ იაფი მუშახელის ძიებაში თავადებს ოსები ქედს სამხრეთით გადმოყავთ.[87] შემორჩენილია რამდენიმე დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ ოსთა გარკვეული კატეგორიის ჩამოსახლების ინიციატივა ცენტრალურ ხელისუფლებას ეკუთვნის.[88]

ოსები მხოლოდ საქართველოს მესვეურთა ინიციატივით როდი ესახლებიან. გარკვეულ შემთხვევებში ისინი იმ ადგილებსაც ითვისებენ, რომლებიც ოსთა თარეშით შეწუხებულმა ქართულმა მოსახლეობამ მიატოვა. XVII საუკუნით დათარიღებულ ერთ დოკუმენტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „ამოსწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან“.[89]

ოსებმა თუ ნაწილმა ქართული ბატონყმური სისტემა ვერ იგუა, მათი პროტესტი გადაიზარდა ფართომასშტაბიან მეკობრეობაში, რომელსაც ხალხში დღესაც „ოსიანობა“ ეწოდება.[90] ეს მოვლენა მშვიდობიანი მოსახლეობისთვის არანაკლებ საშიში იყო, ვიდრე ლეკიანობა. დამახასიათებელია აბისის წარწერა, რომელიც ოსთა და ლეკთა თარეშების საწინააღმდეგოდ ციხის აგებას ამბობს.[91]

ცენტრალური ხელისუფლება, წესრიგის დამყარების მიზნით, რამდენჯერმე აწყობს დამსჯელ ოპერაციებს.[92] მაგრამ შიში მოკლევადიანი იყო, რამდენიმე ხნის შემდეგ ოსიანობა ახლიდან იწყებოდა.

არასწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ოსებსა და ქართველებს შორის მუდამ კონფლიქტური სიტუაცია იყო. ცნობილია, მაგალითად, რომ ოსმალობის დროს, როდესაც თურქებმა თერგის ხეობაში გაჭრა და დარიალის ხელში ჩაგდება განიზრახეს, ხევის ოსები მოხევეებთან და სხვა მთიელებთან ერთად გმირულად დაუხვდა მტერს და ხევი დაიცვა.[93] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საზღვრებს მიღმა, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ოსებთან საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა, რასაც კარგად აჩვენებს დიგორელი ოსების გადმოცემები.[94]

მნიშვნელოვანი იყო ქართველთა მისიონერული მოღვაწეობა ოსებში. სავარაუდოდ, ამგვარ ურთიერთობათა შედეგად ჰოლანდიურ-ოსური სიტყვარი, რომელიც ნიკოლას ვიტსენს ექიმმა დრე'შერმა გაუგზანა. „ქვეშ ჩამოთვლილია სიტყვების სია – წერს ვიტსენი – რომლებიც იხმარება მეფე არჩილის ქვეყანაში, რომელიც განლაგებულია მთებში...“.[95] ეს ლექსიკონი „ოსების ისტორიულად საქართველოსთან მჭიდრო ასოციაციას მიუთითებს“.[96] ქართველ სასულიერო მოღვაწეებს ოსების გასაქრისტიანებლად და მათ რუსულ ორბიტაში მოსაქცევად აქტიურად იყენებდნენ რომანოვებიც XVIII ს-ის შუახანებიდან.[97] ვფიქრობთ, ეს კონტექსტი ერთ-ერთი ახსნაა იმისა, თუ საიდან გაჩნდა ამდენი „ოსყოფილი“, ანუ ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ წიაღში შემოსული ოსური წარმოშობის პირი. ყველაზე ცნობილი მათ შორის გამოჩენილი მოღვაწე ივანე იალღუზიძე იყო.

2. 4. – სჯულით სომეხნი და ზნით ქართველნი

სომეხთა კათალიკოსი იაკობი (XVII ს-ის შუახანები) წერდა, რომ სომხურ ეკლესიას ძველთაგანვე ჰქონდა საქართველოში სოფლების შეძენის სურვილი. მოხერხებული მდებარეობის მქონე ქვეყანა, შესანიშნავი ჰავით და ნიადაგით, სადაც თავსაც დაცულად გრძნობდი, ბუნებრივია, მრავალი კონფესიისა თუ ეროვნების წარმომადგენელს მიიზიდავდა.

საქართველოში სომხური მოსახლეობის დამკვიდრებას დიდი ხნის ისტორია აქვს. გადმოსახლებამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები გვიან შუა საუკუნებში მიიღო, როდესაც სომხეთი მაჰმადიანი მბრძანებლების თარეშის ასპარეზად გადაიქცა. სომხური მოსახლეობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ცხოვრობდა. ისინი საზოგადოების სხვადასხვა ფენებს მიეკუთვნებოდნენ: თავადები, აზნაურები, ვაჭარ-ხელოსნები, გლეხები.

ქართული სახელმწიფოსა და სომხურ მოსახლეობის ურთიერთობის სწორი წარმართვისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს სომეხთა მთავარი სასულიერო ცენტრი, ახპატის მონასტერი ქართულ ბატონყმურ რიგს ექვემდებარებოდა. ერეკლე II-ის შვილიშვილის, დავით ბატონიშვილის ცნობით „ახპატის ეპისკოპოსი არს მეფისა, და მამულიცა იმისი – მეფისა. არა აქუს რაიმე სამართალი ლათალიკოზსა ეჩმიაწინისასა, რომელ მას ზედან უფლობს, ვინათგან არს იგი მეფისა ეპისკოპოზი და მეფე აკურთხებინებს“.[98]

რამდენად მჭიდროდ იყო ურთიერთდაკავშირებული ქართული სახელმწიფო და მისი სომხური მოსახლეობა, ეს კარგად ჩანს ლორეს მაგალითიდანაც, სადაც სომხური მოსახლეობა ყველაზე კომპაქტურად იყო დასახლე-

ბული. ლორე-ტაშირი, მიუხედავად იმისა, რომ იქ მოსახლეობის უმრავლესობას მომთაბარე ელები და სომხები წარმოადგენდნენ, ქართული ქეყანა იყო: პოლიტიკურად ის ქართლ-კახეთის სამეფოში შემოდიოდა, მასზე ერცელდებოდა მეფის ხელისუფლება, ადმინისტრაცია და სამართალი, მოსახლეობა იხდიდა სახელმწიფო და სხვა გადასახადებს, გამოდიოდა სამეფო ლაშქარში. მოსახლეობის აკულტურაცია და ძირძველ მოსახლეობასთან ინტეგრაციაც საკმაოდ შორს იყო წასული – ლორეს მელიქებისათვის სამოქალაქო ურთიერთობის ენა ქართულია,[99] ქართულ ენაზე აწარმოებენ გარიგებებს სომხური წრიდან გამომავალი ლორელი ვაჭრებიც;[100] სამეფო კარზე თუ საპატიო სტუმრების მიღებისას ქართული ენის ცოდნით თავს იწონებდნენ სომეხი ვარდაპეტები,[101] რომლებსაც ყველაზე მეტად ევალებოდათ სომხების ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ზოგან ეს პროცესი კიდევ უფრო შორს იყო წასული: არტემ აირარატელი ირწმუნება, რომ დუშეთში სომხურმა მოსახლეობამ არ იცოდა მშობლიური ენა და ამიტომ საეკლესიო წიგნებს ვერ კითხულობდა.[102]

აღიქვამდა თუ არა სომხური მოსახლეობა საქართველოს თავის მშობლიურ სახელმწიფოდ? ამ კითხვაზე, ალბათ, მრავალი პასუხი იქნება, სხვადასხვა მაგალითის მოტანით. ჩვენ მხოლოდ ერთ ამბავს მოვიტანთ, რომელიც გარკვეული წრეების დამოკიდებულებას ნათლად აჩვენებს. გავიხსენოთ გორელი ტერტერა, ყირიმელი თათრების დანახვისთანავე უკან რომ გაიქცა და ხიდი აყარა; მან მრავალი სული გადაარჩინა იმ ღამით, სომეხი, ქართველი, ურია. მემტიანემაც აღნიშნა, ქეყანა იხსნაო.[103] ცხადია, იმიტომ ეცადა ასე, რომ ქეყანასთან, რომლისთვისაც იზრუნა, თავის მე ჰქონდა გააიგივებული.

სომხური მოსახლეობის მომრაელებას და მათთან ქართული მოსახლეობის ურთიერთობების გააქტიურებამ გვიან შუა საუკუნეებში ახალი ფენომენი შვა – ქართველი მონოფიზიტი. მონოფიზიტად გადაქცევის სხვადასხვა გზა არსებობდა:, მაგ. ყმა-მამულის ბოძება სომხური ეკლესიისადმი ან მონოფიზიტი თავადებისადმი, რომელიც საკუთარ ყმებს თავისავე რჯულზე მოაქცევდა.[104] ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქართველი მონოფიზიტები, უმთავრესად ქვემო ქართლში ცხოვრობდნენ, რასაც კარგად ადასტურებს ამ მხარის არქიტექტურა.[105] ჩანს, სწორედ მათზე ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი სარწმუნოებით სომეხნი და „ქცევა-ზნითა ქართულითა“. მაინც ვინ იყვნენ ისინი? ქართველნი თუ სომეხნი? აშკარაა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შემოთავაზებული ქართველის დეფინიცია არცთუ ისე მხოლოაზროვანია; ეთნოკონფესიური ვიტარება იმდენად გადახლართულია, რომ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა თავად ვახუშტის უჭირს.

1749 წელს ირანიდან დაბრუნებულ თეიმურაზ II-ს თან მოჰქონდა შაჰის ფირმანი „როგორც საქართველო, ეგრე ყაზახ-ბორჩალუ იმსახურეო“.[106] ერთი წლის შემდეგ თეიმურაზმა და ერეკლემ კიდევ ერთი პროვინცია მიიღეს – განჯის ხანმა ერეკლეს შამშადილოს ქვეყანა ათას ხუთასი თუმნის გირაოდ მიართვა 1750 წელს.[107]

ბორჩალოს მომთაბარე ტომი დებედას ხეობაში შაჰ აბას I-მა ჩამოასახლა XVII ს-ის დასაწყისში. მისმა მემკვიდრემ, სეფი II-მ ალგეთსა და ქციას შუა, წყალთაშუად წოდებულ ადგილას ბაიდარი ჩამოასახლა. ეს მომთაბარენი ყიზილბაშ ხანებს ემორჩილებოდნენ.

ახლადშემოერთებული პროვინციების ინტეგრაციის პროცესი ქართულ სახელმწიფოში რთულად მიმდინარეობდა. ადგილობრივი მაჰმადიანი მფლობელები არ თვლიდნენ თავს ვალდებულად ქრისტიან ხელმწიფეს დამორჩილებოდნენ და პროტესტს სხვადასხვა სახით გამოხატავდნენ: ხან მომხდურ მტერს მიემხრობოდნენ, ხანაც აიყრებოდნენ და განჯისკენ გადაიხვეწებოდნენ. ელების ურჩობაში არცთუ იშვიათად განჯის ხანის ხელიც ერია. ერთი დოკუმენტში ერეკლე II აღნიშნავს შამშადილოს ელებზე, რომ „ესენი ზოგჯერ განჯისთვისა დაგვინებებია, რადგანაც იმაზე ახლოს არის, მაგრამ იმისი ყმა არ ყოფილა“.[108]

თურქმანულ თემებს მეფის მოურავები განაგებდნენ. მათ სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადი ჰქონდათ დაკისრებული: დაბანაკებული ლაშქრის სურსათ-სანოვაგით მომარაგება, რუსის ჯარისთვის პურის მიწოდება, მოლაშქრეობა და სხვა. თუმცა, მიდგომა ყველასთან სხვადასხვა იყო. თუ ბაიდრელებისგან მეფეს ლაშქარი გამოჰყავდა, ხოლო ყაზახ-შამშადილოელებს ბოლომდე არ ენდობოდა და მათგან სასურსათო გადასახადით კმაყოფილდებოდა.[109]

მაჰმადიან მოსახლეობას, როგორც მეფის ქვეშევრდომებს, სამეფო სამართალი იცავდა. მდივანბეგთა განჩინებებში არაერთხელ ვხვდებით ბორჩალოელებს თუ სხვა თურქმანებს.[110]

მომთაბარე ელები კახეთშიც სახლობდნენ. მათი პირველი მასობრივი ჩასახლება (15000 ოჯახი) XVII ს-ის შუახანებში განხორციელდა, რასაც ბახტრიონის აჯანყება მოჰყვა (1660).

XVI-XVII სს. მიჯნებზე სპარსელებმა კახეთს აღმოსავლეთის პროვინციები ჩამოაჭრეს და ამ ტერიტორიებზე შექმნეს ელისუს სასულთნო, რომელსაც სათავეში გამაჰმადიანებლი ქართელი თავადიშვილი ჩაუყენეს. ელისუს სულთანს მფარველობდნენ სპარსეთის შაჰიც და ოსმალეთის სულთანიც:

ის ესაჭიროებოდათ, ერთი მხრივ, ქართლ-კახეთის მეფეთა მორჩილებაში მოსაყვანად, ხოლო მეორე მხრივ, საშამხლოსთვის ზურგის გასამაგრებლად და კავკასიაში რუსთა წინსვლის შესაჩერებლად.

XVII ს-ის 40-იან წლებში ამ ადგილებში იმოგზაურა თურქმა ისტორიკოსმა ეულია ჩელებიმ: „სოფელ ზუჯურიაში მიეედით. საქართველოში, თეიმურაზ-ხანის სამფლობელოს ფარგლებში, თბილისის ხანისადმი დაქვემდებარებული დიდი სოფელია. მისი ქვეშევრდომები ქართველი აზნაურები, სომხები და გოქდოლაკები არიან. აქედან გზა განვაგრძეთ და ქალაქ „კახეთში“ მივედით. საქართველოშია და ირანის მბრძანებლობაში იმყოფება... მისი მოსახლეობა სომხები, გოქდოლაკები და ქართველები არიან. მათი მბრძანებელი ცალკე სულთანია“.

სურათი მეტად მეტყველია – მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ კახეთი მოსწყდა დედა-სამშობლოს, იქ ქართველობა მაინც ძლიერად იყო ფესვგადგმული. სიმპტომატურია, რომ თითქმის ასი წლის განმავლობაში ელისუს სასულთნო კახეთის სამეფოსთან კულტურულ-სარწმუნობრივ და სამართლებრივ კავშირებს ინარჩუნებდა.

2. 6. – გალეკება

დაღესტნელთა ინფილტრაცია კახეთში XVI ს-ის შუახანებიდან დაიწყო. „ამანვე ლევან – გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი – მოიყვანნა ლეკნი და დასხნა ფიფინეთს ზიდვად ყინულისად ზაფხულისათვის კავკასიიდამ“. ასე გაჩნდნენ კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჭარისა და თალას დაღესტნური თემები, რომლებმაც თანდათანობით დაიკავეს კახეთის დაცლილ-აოხრებული მიწები.

XVIII ს-ის დასაწყისიდან მათ ახალი ტერიტორიების დაპყრობასაც მიჰყვეს ხელი და რამდენიმე წელში ელისენი დაიკავეს. მათი შემოსევა იმდენად მასშტაბური იყო, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ გალეკება დაიწყო. ეს კი ქვეყანას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა, რაზეც წერდნენ კიდეც კახთ მეფეები ვახტანგ VI-ს და დახმარებას სთხოვდნენ.[111] 1727 წელს თურქეთის სულტანმა საგანგებო ფირმანით მათ კახეთის მიტაცებული მიწები სამუდამოდ დაუმტკიცა. ტერიტორია გავაზისწყლამდე სრულიად დაცარიელდა ლეკთა თავდასხმების შედეგად.

XVI საუკუნეში თურქებმა სამცხე-საათაბაგო და ჭანეთი დაიპყრეს და იქ ისლამის გავრცელება დაიწყეს. გამაჰმადიანების პროცესზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იტალიელი მისიონერი ლუი გრანჟე. 1615 წელს მან რიზეზე გაიარა და შემდეგი სურათი აღწერა: ადგილობრივი მცხოვრებნი ნელ-ნელა მაჰმადიანობაზე გადადის. ის, ვინც ასაკოვანია, ქრისტიანული აღმსარებლობის გამო სასტიკ შევიწროებას განიცდის. ისინი გადადიან თურქების მხარეზე, რათა მძიმე გადასახადებს თავი დააღწიონ. რაც შეეხება ბავშვებს, მათ მშობლები უტარებენ წინადაცვეთას და ამით ათავისუფლებენ ყველანაირი გადასახადებისგან. ყველა ცდილობს, რომ ქრისტიანი ქალიშვილები იანიჩარებს მიათხოვონ და ამით მშობლებმა სიცოცხლე შეინარჩუნონ.[112]

გამაჰმადიანების პროცესი სამცხე-საათაბაგოსაც შეეხო. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარი“ თუ სხვა ოსმალური საგადასახადო წიგნები ნათლად მოწმობს, რა სწრაფად მიმდინარეობდა მესხების ისლამიზაცია. თავად პროცესზე საინტერესო ცნობებს ჰაკობ კარნეცის „ზემო ქვეყნების აღწერაში“ ვხვდებით: თორთომ-იშხნის მიდამოებში „მცხოვრებნი არიან ნახევარი სომხები, ხოლო ნახევარი ტომით და სარწმუნოებით ქართველი, მხოლოდ სომხური ენით ლაპარაკობენ“; 1643 წ. არზრუმის ფაშამ „გააკეთა დავთარი და დაადგინა მძიმე ხარკი... ეს ქვეყანა თორთუმი ხარაჯის გამო შეძრწუნდა და შიშისაგან ყველა ქართველი გადავიდა მაჰმადის რჯულზე, ხოლო სომეხთა ტომმა შეინარჩუნა სარწმუნოება“.[113] იმავე ავტორის თანახმად, მეზობელ მამირვანის ხეობაშიც შერეული, ქართულ-სომხური, მოსახლეობა ყოფილა.[114] სურათი მეტად მეტყველი და სავალალოა – ეკონომიკური იძულების გზით ოსმალები აიძულებენ ქრისტიანულ მოსახლეობას, მიიღონ ისლამი და ხშირად აღწევენ კიდეც მიზანს. მაჰმადიანდებიან, კერძოდ, ლაზები და ტაოს ქართველები. მაგრამ ამ უკანასკნელთა დენაციონალიზაცია ისედაც დაწყებულია – ისინი თანდათან სომხურ მეტყველებაზე გადადიან. მართალია, სარწმუნოებას და გვარტომობას ჯერ ისევ ინარჩუნებენ, მაგრამ ეს მხოლოდ დროის საკითხია და ენის შეცვლასთან ერთად სარწმუნოების და მენტალობის შეცვლაცაა მოსალოდნელი.

სხვა დეტალები ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერაში“ გვხვდება: „ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი. ტანოვანნი, მჭნენი, შემმართებელნი, შვენიერნი, ცოდნა-ჭელოვნების მოტუარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა...მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთის გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი... ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა

შინა უმბობენ თათრულსა და თუსთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან წარჩინებულნი და მოჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი, და ქრისტეანენი ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიეთნიმე მესხნიცა, ვითარცა თრიალეთელნი".[115]

ისლამიზაციას ვერც გურიის ზღვისპირეთი ხინო-ქობულეთი აცდა. იოანე ხინოწმინდელის მოწმობით, „როდესაც ჩვენ ხინოწმინდლათ დავიდგინეთ, ის ხინოწმინდა და მისი შემავალი ერი თათართ მიიმძლავრეს და ქრისტიანობას განუდგენ და სრულიად თათარი შეიქმნენ".[116] საყურადღებოა ტერმინი „გათათრდა". ეს გათათრებულები, ცხადია, ქრისტიანი ქართველები არიან, რომლებიც თათრების, ე.ი. ოსმალების „მიმძლავრებით" გამაჰმადიანდნენ. დოკუმენტის მიხედვით, ეს პროცესი საკმაოდ სწრაფად მომხდარა.

§ 3. – რჯული, მამული, მეფე

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოს ისტორიას წითელ ზოლად გასდევს ბრძოლა სარწმუნოებისთვის და ქვეყნისთვის. განსაკუთრებული აგრესულობით ყიზილბაში შაჰები გამოირჩეოდნენ. ისინი, თნამედროვე სპარსი ისტორიკოსების მოწმობით, საღვთო ომს აწარმოებდნენ ქართლ-კახეთის წინააღმდეგ, არაფერს ზოგავდნენ, ოღონდ გაეტეხათ ქართველები და გაემაჰმადიანებინათ, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო ყიზილბაშურ სახანოდ ექციათ. სპარსელებს არც თურქები ჩამოუვარდებოდნენ, თუ კი ამის საშუალება მიეცემოდათ. მთელი XVI საუკუნე ქართლი გააფთრებით იცავდა თავს, ხოლო კახეთი მოჩვენებითი მორჩილებით ცდილობდა აეცილებინა გამძვინვარებული მტრის რისხვა. ზოგჯერ კითხვა დაისმის: რა აზრი ჰქონდა ბრძოლას, თუ თავის დახრითაც შეიძლებოდა მშვიდობის და კეთილდღეობის მიღწევა? ეს კითხვა ისევ და ისევ გამეორდება, თუ მატიანეებს გადავაელებთ თვალს: „და ამას ჟამსა შინა (დაახლ. 1600 წელს – გ.ჭ.) იყო ქართლი ფრიად გლახაკი და საჭმართაგან უღონო... ხოლო კახეთი იყო ფრიად მორჭმული და მდიდარი".[117] ისტორია გვასწავლის, რომ კახეთის წინსვლა დროებითი იყო. XVII საუკუნის დასაწყისში ირანის შამა აბას I-მა რამდენჯერმე დალაშქრა ეს სამეფო. მხოლოდ ერთი კამპანიისას, თვითმხილველთა მოწმობით, 60 ათასი ქართველი დაიღუპა, 200 ათასი ქალი და ბავშვი ყიზილბაშთა ტყვეობაში აღმოჩნდა, კიდევ 100 ათასი ლეკებმა წაასხეს.[118] აყვავებული ქვეყანა გაველარდა და ტყით დაიფარა. მორჩილების პოლიტიკამ კახეთს ვერ უშველა.

ახლა 100 წლის წინანდელ ამბებს დავუბრუნდეთ. ქართლის ბაგრატიონები, ლუარსაბ I და მისი შვილი, სვიმონი, იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, ვისაც ქედის მოხრა უჭირდა; მათ ბრძოლა ერჩივნათ. „დამოუკიდებლობაზე და მაღალ მთებსა და ბორცვებზე დანდობილი ურწმუნოები“ – ასე დაახასიათა ლუარსაბის თანამედროვე ქართველობა XVI საუკუნის სპარსელმა ისტორიკოსმა პასან რუმლუმ.[119] მემატიანის ცნობით, ლუარსაბი, თურმე, ქართველთ შთააგონებდა: „მამაცმან კაცმანო უნდა თავის თაკი მგელს ამზგავსო და მტრის ლაშქარი ცხვარი ეგონოსო. როგორც მგელი ცხვარს, ისრე მტერთ უნდა მიუჴდესო და გამარჯვება მღ-თისა არისო“.[120] გმირ მეფეს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ სამშობლოსთვის იბრძოდა („ჩემს გლოვას დაეხსენითო და ქვეყნის შენახვას გაუფრთხილდით“[121]), ამიტომ თვითონ იყო თავგანწირვის მაგალითის მიმცემი („დღეანდლამდისინო ჴონთქარსა და ყაენს პირი არ დავრიდეო“[122]). მისი დაუღალავი ბრძოლა შთამომავლობამ ასე შეაფასა: „და მიიცვალა მეფე ლუარსაბ მოწამე, მსგაჳსი ეახტანგ გორგასლისა. უკეთმცა მეფესა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არ ექმნა, ახლაცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ და, რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნიეე ჴრმლისა მისისაგან არიან“.[123]

ბრძოლებში იწრთობოდა ერის ზნეობა; მეფის, სარწმუნოებისა და ქვეყნის ერთგულება გენეტიკურ კოდად გარდაიქმნებოდა. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე პასაჟს მოვიტან იოსებ თბილელის „დიდმოურავიდან“. ნაწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა თვალსაზრისი, თითქოსდა, გიორგი სააკაძეს ეკუთვნის. ამჯერად ამას ჩვენთვის პრინციპული ნიშნელობა არ აქვს. მთავარია, ის ზნეობრივი ატმოსფერო შევიგრძნოთ, რომელიც იმდროინდელ საქართველოში სუფევდა.

ერთ ადგილას პოეტი თავის გმირს ათქმევინებს: „საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო, მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერთგულო, აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალბათ, სტამბოლს დაკარგულო“ (294,2-4).[124] მოტანილ სტრიქონებში კარგად ჩანს, რა ზნეობრივი ვალდებულებები ჰქონდა ქართული ფეოდალური საზოგადოების წევრს. მეფისა და ქვეყნის ერთგულება კიდევ რამდენიმე ადგილას არის ხაზგასმული („რაც მეფეს და ქართლს უჯობდა, ყველაკაი ისრე ეჰქენით“ 77_2); მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ქვეყნის ერთგულებაზეა საუბარი: „ქართლისათვის რა ძე დავსთმე, როგორ ტურფა, სასურველი“ (181_1), „ქვა არსად არის ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ სცხია“ (205_3), „თავს ვეტყოდი, ქართლისათვის მოკვდი, წინ გიც ა, წამება / ვინ სჯულს რყვნიდენ, გვისუსტებდენ, მათთვის მშვილდი აწ ამება“ (415_{1-2}) და სხვ.

იოსებ თბილელმა, ჟამთააღმწერლის მსგავსად, უმაღლეს მორალურ კატეგორიად ქვეყნისთვის თავდადება დაასახელა.

მომდევნო, XVII საუკუნეშიც ისტორიაში არაერთი თავდადებული გმირის სახელი ჩაიწერა: ქეთევან დედოფალი, ლუარსაბ II, თეიმურაზ კახთა მეფე, ექვსი ათასი გარეჯელი მოწამე, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები... ეწირებოდნენ სარწმუნოებას, ქვეყანას, მეფეს; მათი ცხოვრება და ღვაწლი აღიწერებოდა, ეკლესიებში იკითხებოდა, ზეპირსიტყვიერების სახით ვრცელდებოდა, თაობებს გადაეცემოდა. ისტორიული მეხსიერება, საერთო წარსულის განცდა კი უფრო კრაეადა ქართველობას.[125]

გმირები ცოტანი არ იყვნენ: მამაცი მეფენი, ზნესრული ბერ-მონაზვნები, ჩინებული რაინდები, სამშობლოს დამცველი გლეხები – ისინი ერთად ზიდავდნენ ჯვარს და საქართველოს ისტორიის დადებით ფურცლებს ქმნიდნენ. მაგრამ არსებობდა სხვა რეალობაც: შაჰების მაამებელი და რჯულგანდგომილ მეფეები, ვერცხლისმოყვარე სამღვდელოება, ტყვის მსყიდველი თავადები, მძარცველ-დამარბეველი მოლაშქრეები. ეს ორი საქართველო გვერდიგვერდ არსებობდა, ერთმანეთში არასდროს ირეოდა, გარკვეულ პირობებში ერთი მათგანი წინ წამოიწეოდა, მეორე კი ჩრდილში რჩებოდა.[126]

§ 4. – გაერთიანების ცდები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

1762 წელს ერეკლე II-მ (1762-1798) ქართლ-კახეთის სამეფოები გააერთიანა. ამ მოვლენის მნიშვნელობა უკვე თანამედროვეებმა შეაფასეს. იმავე წელს ანტონ კათალიკოსმა ერეკლე მეფეს მიართვა მის მიერ თარგმნილი „ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“, რომელსაც ვრცელი მიძღვნა დაურთო. „მოგილოცავ ახალსა წინაპართა პაპათა ჩუენთა ადრით განჭრილისა საყდრისა შეერთებულად მიღებასა, შენ გონიერსა მჭნესა მეფესა ვითა კუროსს. და მემკურესა ვითა ქსერქსისს“[127] – ანტონ კათალიკოსი არა მხოლოდ თავის პირად განცდას, არამედ მოწინავე ქართველობის სიხარულსაც გამოხატავდა. ანტიკური ალუზიები იმის უტყუარი მოწმობაა, რომ ინტელექტუალურ წრეებში ქვეყნის აღდგენა-გამთლიანების იმედი ჩაისახა.

ერეკლემაც თავი არ დაზოგა. რუსი რეზიდენტის, პოლკოვნიკ ბურნაშევის დაკვირვებით, „ни к чему однако-ж так не стремится, как преоброзовать народ свой по европейски“.[128] გონებრივი მოძრაობა დღითიდღე ძლიერდებოდა, სიახლეები ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში იგრძნობოდა, საზოგადოებრივი შეხედულებები ნელ-ნელა იცვლებოდა, ქვეყანა ფეხზე დგებოდა.

ერეკლეს საქართველოში ყველას მოუხაროდა; აქედანაც გაქცევა აღარავის უნდოდა. საინტერესოა ეგვიპტის ბეგის სულეიმან აღას წერილი ერეკლესადმი, რომელშიც თხოვს, მისი ძმა, ივანე კანუტი შვილი, ავალიანთა ყმობიდან გაათავისუფლოს და სახასო ყმად აქციოს. თხოვნის მიზეზი ის ყოფილა, რომ „მაგ ქაჲეყანიდამა არ დაჰკარგონ ჩვენის ხათრ[ი]სთვისა... რომ საქრ[ი]სტიანოდამ არ დაიკარგოს“.[129] საინტერესო წერილია; გავლენიანი მამლუქი, რა თქმა უნდა, ძმის გამოსყიდვის და ეგვიპტეში წაყვანის საშუალებასაც გამოძებნიდა, მაგრამ, ჩანს, გასათათრებლად არ ემეტება, ქართველის საქართველოდან მოწყვეტა არ უნდა.

ქართლ-კახეთის სამეფო, უდავოდ, სამხრეთ კავკასიაში ყველაზე ძლიერი იყო. სახელოვანი იმერთა მეფე სოლომონ I (1752-1784) როდესაც გარდაიცვალა, იმერეთის სამეფოდან დიდი დელეგაცია ჩამოვიდა და ერეკლეს იმერეთის შეერთება სთხოვა. „დესპანნი იმერთა არწმუნებდენ მეფესა, რომ ყოელადი სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულით და მხიარულებით საქმისა ამის დასარულსა; თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას სურთ და სწყურიანთ ესე. მცხოვრებთა გლეხთაცა იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯარისა გაოხრებულსა“.[130] ნიშანდობლივია, რომ გაერთიანების მომხრე იმერეთის მთელი მოსახლეობა, თავადობაც და გლეხობაც ყოფილა. იდეას მხარს უჭერდნენ დადიანი და გურიელი, რამდენად გულწრფელად, ეს სხვა საკითხია.

საქართველოს ისტორიის ეს შესანიშნავი ეპიზოდი გადმოცემულია აქვს XIX საუკუნის ქართველ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს თხზულებაში „ცხოერება გიორგი მეცამეტისა“. იმერ-ამერის შეერთების საკითხის განხილვისას სამეფო დარბაზის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვები ეროვნული ცნობიერებისა და მაღალი პოლიტიკური აზროვნების საუცხოო ნიმუშებია, ამიტომ რამდენიმე ამონარიდს შევთავაზებთ მკითხველს.

„მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით“ – ასეთი იყო იმერეთის წარგზავნილთა თხოვნა. ერეკლეს კარზე მათ მრავალი უჭერდა მხარს, განსაკუთრებით აქტიურობდა ჭაბუა ორბელიანი: „ნუ ჰყოვნი მეფეო! – იტყოდა ჭაბუა, – მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის, ერი იმერთა ითხოვდა ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისთვის არ მიიღებს თხოვასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოულო მეფობა შვილისშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყნისა... ბედნიერება ერისა იოხოეს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება“.[131]

შეერთების საკითხს ის ართულებდა, რომ იმერეთის ტახტზე სოლომონის მემკვიდრედ მისი ძმისწული და ერეკლეს შვილიშვილი, დავით არჩილის

ძე მოიაზრებოდა. განათლებულ ქართველთ კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის ბედი არა ოჯახურ-კლანური, არამედ ერის ინტერესების გათალისწინებით უნდა ხდებოდეს, რადგან ერი უზენაესია, ვიდრე მეფე.

ჭაბუა ორბელიანმა დარეჯან დედოფლის რისხვაც კი დაიმსახურა, მაგრამ ჭეშმარიტ პატრიოტს თავისი აზრი არ შეუცვლია: „არა, ბატონო დედოფალო, ვერ შეიქმნები ორგული – იტყოდა ჭაბუა – მეფისა და სამეფოჲსა. პაზრი ჩემი დაჰშთება უცვალებელად, მტკიცედ და უკეთუ არ აღსრულდება. შთავიტან თან საფლავსა. რად მიბრძანებთ, არ ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყანისა... მამა-პაპათა სისხლი დაულვრიათ ქვეყნისათვის და მეფეთათვის. ვარ შვილი ქვეყნისა და ერთგული მეფისა. ამისთვის გაბედვით ვიტყვი და უშიშრად მოვახსენებ მეფესა ჩემსა და თქვენ ბატონსა ჩემსა დედოფალსა, სიტყვათა ამათ".[132] ფურცლავ მატიანეებს და განცდა გეუფლება, შუა საუკუნეებში პლიტიკოსებსა და მეფეთა მრჩევლებს უფრო მაღალი აზროვნება ჰქონიათ ვიდრე დღეს.

დიდი გაერთიანება არ შედგა. ისტორიკოსები დღესაც დავობენ ერეკლეს გადაწყვეტილების მიზეზებზე.[133] მაგრამ ქვეყნის გამთლიანებისთვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. დიდი იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობისა იყო „ტრახტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოსათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეუფოსა ქალაქსა თფილისს 1790". უკვე დოკუმენტის სათაურშივე ჩანს, საქართველოს მეფე-მთავრები ერთი სივრცის – ივერიის – ნაწილებად მოიაზრებდნენ თავს. საამისო მიზეზი ტრაქტატის შესავალშივეა განმარტებული: „ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აქუსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქუსთ მავასხებლობითიცა სიყუარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი...".[134] ქართლ-კახეთის სამეფო ზემო ივერიაა, ხოლო დასავლეთ საქართველო – ქვემო ივერია;[135] ქვეყნის მკვიდრნი კი ივერიელნი არიან.

დოკუმენტში საუცხოოდაა გამოხატული თვითიდენტობა და ერთიანობის შეგრძნება, აღქმა იმისა, რომ ეს მიკროსამყარო მთლიანად საქართველოა,[136] თუმცა „საქართველოს" ნაცვლად მწიგნობრული „ივერია" იხმარება. ესეც იმდროინდელი ქართველობის მენტალობის დამახასიათებელია ფაქტია: რადგან „ქართველი" უპირატესად ქართლელს ნიშნავდა, ხოლო „საქართველო" – ქართლის სამეფოს, ცნებათა აღრევის თავიდან ასაცი-

ლებლად „საქართველო“ იმავე კულტურულ-პოლიტიკური შინაარსის „ივერიით“ ჩაანაცვლეს.[137]

1799 წელს იოანე ბატონიშვილმა ქართლ-კახეთის მეფეს გიორგი XII-ს წარუდგინა თავისი „სჯულდება“ – სახელმწიფოს გარდაქმნის პროექტი. ამ შესანიშნავი დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ მოწინავე წრეებში პოლიტიკური გაერთიანების გეგმა მუდამ ცოცხლობდა, მუშავდებოდა მექანიზმები ამ იდეის ხორცშესასხმელად.[138] მაგრამ ისტორიამ იმ ეტაპზე სხვაგვარად განსაჯა: შინააშლილობითა და გარეშე მტერთა შემოსევებისაგან დაუძლურებული საქართველო ნაწილ-ნაწილ რუსეთის იმპერიამ შთანთქა. დაიწყო ახალი ეტაპი ქართველი ერის განვითარებაში.

თავი IV

საქართველოს სამეფო-სამთავროები და მისი ისტორიული ტერიტორიები სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების წინ

XIX საუკუნის დასაწყისში, წარსულში ერთობ ძლიერი და ერთიანი საქართველოსაგან მხოლოდ სუსტი აჩრდილი იყო შემორჩენილი – ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, გურიის, სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები, სოციალურ-ეკონომიკური სტაგნაციისა და პოლიტიკური დაქსაქსულობის პირობებში, ახლო აღმოსავლეთის ძლიერი და გავლენიანი პოლიტიკური ძალების სანუკვარ საკბილოს წარმოადგენდნენ.

განსაკუთრებით პრობლემური და უაღრესად დრამატული იყო ისიც, რომ წარსულში, სხვადასხვა დროს, ერთიანი საქართველოს ორგანიზმიდან ძალით წართმეული და თურქეთის იმპერიასთან უკვე რამდენიმე საუკუნის მანძილზე ინკორპორირებული ტერიტორიები: ახალციხე-ახალქალაქი, აჭარა, ტაო-კლარჯეთი, ოლთიისა და არტანუჯის მიწები – აკვანი ქართული ცივილიზაციისა, პოლიტიკურად, რელიგიურად, ყოფა-ცხოვრებითა და ტრადიციებით დედა-სამშობლოსგან მთლიანად მოწყვეტილი აღმოჩნდა.

იმჟამად მხოლოდ ძალიან ოპტიმისტურად განწყობილ ქართველ პოლიტიკოსს თუ შეეძლო თავის ფარულ ოცნებებში წარმოედგინა, რომ ერთ დროს ერთიანი საქართველოს ეს მიწები და მასზე მოსახლე ქართველები საკუთარი შესაძლებლობებით ახლო მომავალში კვლავ გაერთიანდებოდნენ, შეიქმნებოდა „ერთობილი საქართველო“ და ის კვლავ დაიმკვიდრებდა თავის კუთვნილ ადგილს სამხრეთ კავკასიის ხალხებსა და ქვეყნებს შორის.

როგორი იყო პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოს ისტორიულ მიწებზე სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენის წინ?

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის სერიოზული სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ დინასტიური პრობლემების მიუხედავად, მოწინავე მაინც ქართლ-კახეთის სამეფო იყო. კახეთის ბაგრატიონების დიდი დამსახურებაა, რომ მათ მოახერხეს ორი სამეფოს – ქართლისა და კახეთის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწი-

ფოების გაერთიანება და, თუმცა დაარღვიეს მონარქიული ლეგიტიმიზმის შეუვალი კანონი, ჩაუყარეს საფუძველი, ახალ დროსა და ახალ პირობებში, საკუთარი – ქართული პოლიტიკური რესურსით, ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს. ერეკლე II-ის ქარიზმატული პიროვნება, მისი დიპლომატიური ნიჭი, ორგანიზაციული გამოცდილება, მიზანსწრაფულობა, პოლიტიკური ლავირების უნარი, დიპლომატიური შესაძლებლობები მას გამოარჩევდა იმჟამინდელ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის. მისი ავტორიტეტი და სიყვარული ხალხის მასაში, უკვე მისი სიცოცხლის პერიოდში გამორჩეული იყო და ეს ხალხურ ფოლკლორშიც აისახა – ქართველი ხალხი მას ენდობოდა.

მაგრამ ერთიანობის გზაზე იყო პრობლემებიც – ქართლ-კახეთის ერთიანი სახელმწიფოს შექმნას, როგორც ზემოთ დაეინახეთ, ქართლში ყველა ერთგვაროვნად არ შეხვდა, განსაკუთრებით ეს შესამჩნევი იყო ვახტანგ VI შთამომაველების მხარდამჭერთა შორის, რომლებიც კახეთის ბაგრატიონებს ლეგიტიმიზმის პრინციპების დარღვევასა და ხელისუფლების უზურპაციაში ადანაშაულებდნენ. არაგვისა და ქსნის ერისთავების შთამომავლებსა და მომხრეებში, მათი სათავადოების გაუქმების გამო, ერეკლეს შთამომაველების მიმართ საკმაოდ სერიოზული ოპოზიციური განწყობილება ჰქონდათ.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევაში უპირატესობა მუდამ უნდა მიენიჭოს საქართველოს ერთიანობის იდეას, რომლის წინაშე ყველა სხვა არგუმენტი ნაკლებმნიშვნელოვანი და ღირებულია.

ქართლ-კახეთის გაერთიანებამ შექმნა საქართველოს გამთლიანების, ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის გაგრძელების სერიოზული მატერიალური ბაზა. ის რომ საქართველოს გაერთიანება დაიწყო სწორედ ამ ორი ქართული სამეფოს გამთლიანებით, მიანიშნებს იმაზე, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ქვეყანაში შექმნილი ობიექტური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები აპირობებდნენ საქართველოს ამ რეგიონის განსაკუთრებულ გამორჩეულობას. ჩვენი აზრით ეს მნიშვნელოვანი ფაქტორებია:

1. საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და პირობები; უკვე ერეკლეს პერიოდში ეკონომიკური პოტენციალის ზრდა, ვაჭრობის გამოცოცხლება, საგარეო ეკონომიკური კავშირების აქტივიზება ამაზე მკვეთრად მიანიშნებს;

2. ორივე სამეფოში მოსახლეობის მთავარი სალაპარაკო ენა იყო ქართული – ერთიანი საქართველოს ენა, რომელზეც ხორციელდებოდა ღვთისმსახურება საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროების ეკლესიებშიც (აფხაზეთში, გურიაში, იმერეთში, მესხეთ-ჯავახეთში) და მასზე იქმნებოდა ქარ-

თული ლიტერატურის შედევრები, ის გამოიყენებოდა სამართალწარმოებაში, დიპლომატიაში.

3. ქართველთა რელიგიური ცენტრი – მცხეთის საკათალიკოსო სწორედ ქართლ-კახეთის სამეფოში მდებარეობდა და ქართული სამოციქულო ეკლესიის მესვეურები მუდამ ზრუნავდნენ და ლოცულობდნენ ერთიანი ქართული სამეფოს აღორძინებისა და განმტკიცებისათვის.

4. ქართლ-კახეთი სხვებთან შედარებით უფრო ინტენსიურად იყო ჩართული საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში: რუსეთთან, დასავლეთ ევროპასთან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ქართლ-კახეთის სამეფოს საერთაშორისო კავშირები უფრო ინტენსიური და მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროების.

5. ქართლ-კახეთში, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, მოწინავე თავადაზნაურთა მხრიდან, მოხერხდა რუსეთისა და ევროპის კულტურული მიღწევების უკეთ გაცნობისა და გათავისების პროცესის დაწყება, რაც მტკიცე საფუძველი შეიძლება გამხდარიყო ახალ ეპოქაში ერის კონსოლიდაციის პროცესის იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის.

6. მნიშვნელოვანი იყო თბილისის ფაქტორიც – გვიან შუა საუკუნეებში სამხრეთ კავკასიის გამორჩეული ეკონომიკური და კულტურული ცენტრი სწორედ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში იყო მოქცეული. ამ ქალაქს ჰქონდა პოტენციური ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობები გამხდარიყო (და გახდა კიდეც) არა მარტო ქართული მიწების, არამედ კავკასიის ტერიტორიების შემკრები და ხელმძღვანელი ქალაქი (მართლაც, თბილისის ამ ისტორიული ფუნქციის აღორძინება – გამხდარიყო სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი! 1801 წელს დაიწყო და თითქმის ორი საუკუნის მანძილზე პერმანენტულად გრძელდებოდა. ქალაქის ამ გამორჩეულ ფუნქციას აღიარებდნენ როგორც რუსეთის იმპერატორები, ისე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნები).

მაგრამ იმისათვის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პოტენციური შესაძლებლობები რეალურ პოლიტიკურ შედეგებში (ამ შემთხვევაში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის აღორძინებაში) გადაზრდილიყო, მარტო ობიექტური ფაქტორების ერთობლიობა არ კმაროდა. საჭირო იყო სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობაც. სამწუხაროდ, ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთში სწორედ ძლიერი სუბიექტური ფაქტორის არარსებობამ შეამზადა ის პოლიტიკური კრახი, რომელმაც წერტილი დაუსვა არა მარტო ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, არამედ ერთიანი ქართული რესურსით ძლიერი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს, რაც ასე წარმატებით დაიწყეს კახეთის ბაგრატიონებმა.

თეიმურაზ II

ერეკლე II

საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XII არ ჰქონდა მამის – ერეკლე II არც ნიჭი, არც სიბრძნე და არც გამოცდილება სათავეში ჩადგომოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიულ პროცესს. თავისი უღიმღამო საგარეო და საშინაო პოლიტიკით მან მხოლოდ რუსეთის საქართველოში შემოსელას შეუწყო ხელი.

§ 1. – იმერეთის სამეფო

ქართულ სამეფოებს შორის იმერეთი გამორჩეული იყო – ის ოთხი ფეოდალური სამთავროს (სვანეთის, აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს) მფლობელი და სიუზერენი იყო, თუმცა XIX საუკუნის დასაწყისში ფაქტობრივად არც ერთს უკვე აღარ აკონტროლებდა, პირიქით – ამ სამთავროთა მფლობელები აქტიურად ერეოდნენ იმერეთის სამეფოს საშინო საქმეებში, მხარს უჭერდნენ, ან ექიშპებოდნენ იმერეთის ტახტისთვის ბრძოლაში მეფობის ხან ერთ, ხან მეორე კანდიდატს.

დასავლეთ საქართველო, მათ შორის იმერეთიც, მატერიალური რესურსებით შედარებით ნაკლებად მდიდარი, ძირითადად მთიანი მხარე იყო და ეკონომიკური შესაძლებლობებით არ გამოირჩეოდა. უმთავრესად აგრარული ქვეყანა თავის მეზობელს, აღმოსავლეთ საქართველოს, ჩამოუვარდებოდა ეკონომიკის განვითარების დონითაც. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საუკუნის დასაწყისში აქ შეიძლება მხოლოდ დაახლოებით 120 ათასი მცხოვრები ყოფილიყო[1]. მოსახლეობის ძირითადი მასა სოფლად ცხოვრობდა და ძლიერ თავადურ კლანებს – აბაშიძეების, წულუკიძეების, მიქელაძეების, წერეთლების და სხვა საგვარეულოების ყმებს წარმოადგენდა და ფეოდალურ ვალდებულებებს იხდიდა.

რეგიონში ვაჭრობა სუსტად იყო განვითარებული, ხოლო წარმოება – კუსტარული. ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, აქაც ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი იყო. ამას ემატებოდა ფეოდალური შინაომლილობა, თავგასული ფეოდალების ლაგამამოუდებელი პრეტენზიები, რაც სერიოზულად აფერხებდა იმერეთის სამეფოს განვითარებას.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტზე ახალი პირის – დავით არჩილის ძის (სოლომონ II) ასვლის შემდეგ (1790 წ.) იმერეთი უფრო ინტენსიურად ჩაება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში – ამას აპირობებდა ქართლ-კახეთის ბაგრატიონებთან იმერეთის მეფის ნათესაობა – ახალი მეფე ერეკლე II შვილიშვილი იყო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მითითებულია, რომ „სოლომონ II ენერგიულად იბრძოდა გურიისა და სამეგრელოს მთავართა დასამორჩილებლად. მან რამდენადმე მოახერხა გურიის დამორჩილება. ბევრჯერ შეავიწროვა და ტახტიდან ჩამოაგდო სამეგრელოს მთავარი“[2].

სოლომონ II ძლიერი პიროვნება იყო და, როგორც ჩანს, მას შეეძლო გაეგრძელებინა დიდი პაპის – ერეკლე II დაწყებული საქმე, ებრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის. მაგრამ მისი შესაძლებლობები და ლიდერის თვისებები ჯერ წვრილმან პოლიტიკურ ინტრიგებსა და თავგასული ფეოდალების წინააღმდეგობის დაძლევას, ხოლო შემდეგ – რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლას ეწირებოდა.

იმერეთის მეფეს სერიოზულად გაურთულდა ურთიერთობა სამეგრელოს სამთავროსთან, რომლის მთავარი გრიგოლი თავს დამოუკიდებლად აცხადებდა, არ ეგუებოდა იმერეთის მეფის ჰეგემონიას და ცდილობდა მისი გვერდის ავლით ახალი რეალური მფარველის მოძიებას.

არსებობს ოფიციალური რუსული წყარო, რომელიც მიანიშნებს, რომ „იმერეთის მეფე სოლომონ არჩილის ძე, ეწევა რა ომს დაღიანთან, სამეგრელოს მფლობელთან, მასთან წარმატებული ომის შემდეგ მთლიანად დაეუფლა პროვინცია ლეჩხუმს. მიუხედავად იმისა, რომ მის (იგულისხმება სამეგრელოს მთავარი – ა.დ.) დასახმარებლად ჩამოვიდა აფხაზეთის ჯარი ქელეშ-ბეის ხელმძღვანელობით, რომელიც უკვე აღარ ჩაება ომში და დაბრუნდა აფხაზეთში“[3].

სოლომონ II–ისა და დადიანის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. მეფე ცდილობდა აღედგინა დასავლეთ საქართველოში იმერეთის ბაგრატიონების სიუზერენიტეტი და გაეერთიანებინა ქვეყანა და ამით, მართლაც, გადაიდგმებოდა კიდევ ერთი ნაბიჯი ქართველი ერის კონსოლიდაციის გზაზე. ამასთანავე, მეფის აზრით, ამით შეიქმნებოდა სერიოზული ბარიერი რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ, რაც ყოველწლიურად ძლიერდებოდა. მაგრამ მის ამ მცდელობას უპირისპირდებოდა ფეოდალური პარტიკულარიზმი გადაჯაჭვული ლეგიტიმიზმის პრინციპებთან, როცა ფეოდალისათვის მთავარი იყო არა ქვეყნის საერთო პოლიტიკური ინტერესები, არამედ კერძო, ადგილობრივი, დინასტიური.

სოლომონ II-ს განსაკუთრებით აღიზიანებდა სამეგრელოს მთავრის დამოუკიდებელი პოლიტიკა და რუსეთთან მისი ინტენსიური კონტაქტები. იყო შემთხვევა, როცა იმერეთში დააპატიმრეს რუსეთის ხელისუფალთან მიმავალი სამეგრელოს ელჩობა და, როგორც რუსები ამტკიცებდნენ, დელეგაციის წევრები უწამებიათ კიდეც. ამ წამების შედეგად ერთი დესპანი გარდაიცვალა. რუსეთის მთავრობა ამ ფაქტს მკაცრი ნოტით გამოეხმაურა და

მოსთხოვა სოლომონ II მომავალში არ შეეფერხებინა სამეგრელოს დესპანების ტრანზიტი იმერეთის ტერიტორიაზე იმ მახინჯი ფორმით, რაც მან უკვე გამოიყენა და რაც, რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების აზრით – „აზიური სტუმართმოყვარეობის ყოველგვარი კანონის დარღვევაა“[4].

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენის, ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგაც იმერეთის სამეფო და მისი მონარქი დიდხანს განაგრძობდა უთანასწორო ბრძოლას საკუთარი დაკარგული თავისუფლების აღსადგენად, თუმცა ამაოდ. სამართლიანია შეფასება, რომ „სოლომონ მეფის პროგრესული მიზნები, რუსეთის დახმარებით საქართველოს გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის რომ იყო მიმართული, განწირული აღმოჩნდა“[5].

§ 2. – გურია

გურიის სამთავრო XIX საუკუნის დასაწყისში ტიპიურ, მცირე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ფორმალურად ის იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა, თუმცა საკმაოდ დიდ ავტონომიას ფლობდა. გეოგრაფიული მდებარეობა მას სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა თურქეთის აგრესიული სახელმწიფოს მხრიდან – გურია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს იცავდა. მცოცავი ანექსიით თურქეთი თანდათან ეუფლებოდა გურიის მიწებს.

ვარაუდობენ, რომ საუკუნის დასაწყისში ეს სამთავრო დაახლოებით 30-35 ათას კაცს ითელიდა[6]. ასევე ფიქრობენ, რომ გურიაში იმჟამად სულ 5000-მდე კომლი თუ იქნებოდა დასახლებული.

რთული გეოგრაფიული გარემო, შეზღუდული მატერიალური რესურსები არ იძლეოდნენ სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს. სამთავროში არ იყო გამორჩეული წიაღისეული, ეკონომიკის ძირითადი სახეობა იყო მიწათმოქმედება, მისდევდნენ მესაქონლეობას, მეფუტკრეობას და მეაბრეშუმეობას.

გურიის ქალაქები არ წარმოადგენდნენ სერიოზულ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს, ზოგიერთი მოგზაური ოზურგეთს – გურიის მთავარ პოლიტიკურ ცენტრს, ქალაქადაც კი არ თვლიდა.

XIX საუკუნის დასაწყისში გურიას ტრადიციულად კვლავ გურიელების დინასტია მართავდა, რომელთა ეკონომიკური შესაძლებლობები ერთობ მწირი იყო. გურიის უკანასკნელ მთავარს 150-მდე კომლი აზნაური და 750-

მდე კომლი გლეხი ჰყავდა. მას ბეგარას მხოლოდ 927 გლეხი უხდიდა[7]. ისტორიკოს ქ. ჩხატარაიშვილის აზრით „გურიის სამთავრო გვიანი შუა საუკუნეების გერმანული ტერიტორიული სამთვაროების მსგავს მცირე მონარქიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა", მაგრამ მას არ მოჰყავს არავითარი არგუმენტი, თუ რის საფუძველზე აკეთებს ამ დასკვნას. ჩვენი აზრით, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფო-სამთავროების ეკონომიკური დაცემა, სოციალურ-ეკონომიკური სტაგნაცია და კულტურული დაქვეითება ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. უფრო დასაშვებია გურიის შედარება კავკასიის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის წერილ სამთავროებთან.

გურიის მოსახლეობა (ანუ გურიის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც გადაურჩა თურქეთის აგრესიას) ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო (სამთავროში მოქმედებდა შემოქმედის სამიტროპოლიტო და სამი სამონასტრო კომპლექსი: შემოქმედის, ჯუმათისა და იოანე ნათლისმცემლის) და მოსახლეობა ქართულ ენაზე (გურულ დიალექტზე) მეტყველებდა. კონფესიური თვალსაზრისით გურია მცხეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა, რაც პოტენციურად, მომავალში ერთიან საქართველოში სამთავროს უმტკივნეულო ადაპტაციის მნიშვნელოვანი საფუძველი იყო.

თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკური აღებ-მიცემობისა და ერთიანი ქართული ბაზრის მოშლის პირობებში, ფეოდალური პარტიკულარიზმის კანონები მოსახლეობის გარკვეულ იზოლირებას იწვევდა, რაც აისახებოდა მოსახლეობის ყოფასა და მეტყველებაზე, იწვევდა ადგილობრივი დიალექტების გაძლიერებას, ზოგადქართული ენის საზიანოდ. მაგრამ ეს განსხვავება იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ მოგვიანებით, რუსეთის კოლონიალური ხელისუფლების მცდელობების მიუხედავად, ამ განსხვავების ანტიქართული მიზნით გამოყენება გურიაში ვერ მოხერხდა.

გურიის მთავარს, გურიელების საგვარეულოდან, იმჟამად არც მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდა და არც სუბიექტური ფაქტორები არ აძლევდა საშუალებას სათავეში ჩადგომოდა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის საქმეს. მით უფრო, რომ რუსეთის კავკასიაში შემოსვლის წინა ხანებში, გურიელი უკვე აშკარად იხრებოდა რუსეთის იმპერატორის ჰეგემონიის აღიარებისაკენ.

კავკასიის მთიანეთში, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა სვანეთის სამთავროც, რომელსაც დადეშქელიანების (დადიშგელიანთა) საგვარეულო მართავდა. XIX საუკუნის დასაწყისში მათი ძალაუფლება ბალსზემო სვანეთზე ვრცელდებოდა, ქვემო ანუ „სადადიანო სვანეთს“ სამეგრელოს მთავარი აკონტროლებდა. ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში ტერიტორიული დავები, რომელიც ხშირად შეიარაღებულ კონფლიქტებშიც გადაიზრდებოდა ხოლმე, სამთავროს სასაზღვრო რეგიონებში იშვიათი არ იყო[8].

სამთავრო მოსახლეობის რაოდენობით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა — XIX საუკუნის დასაწყისში ვარაუდობენ დაახლოებით 30-45 ათას კაცს[9]. მოსახლეობა ძირითადად სვანურ (ქართველურ) ენაზე ლაპარაკობდა. თავადაზნაურობამ იცოდა ქართულიც და ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ იმერელ, მეგრელ თანამოძმეებთან. თუმცა ფეოდალური დაქუცმაცებულობის ზოგადპოლიტიკური კანონების მოქმედების პირობებში, განკერძოების მუხტი და ადგილობრივი ინტერესების პრიმატი აშკარად აქაც შეიმჩნეოდა.

რთული გეოგრაფიული, კლიმატური პირობები ადგილობრივი საწარმოო ძალების განვითარების საშუალებას არც აქ იძლეოდა. ციცაბო კლდეები, მიუდგომელი ხეობები, მცირე სავარგულები აფერხებდნენ ადგილობრივი საწარმოო ძალების განვითარებას. უფრო გავრცელებული იყო მესაქონლეობა, თუმცა საძოვრების სიმცირის გამო მაინცდამაინც მასშტაბური არც ეს საქმიანობა იყო.

მთიანეთის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი საწარმოო ძალების გაწუვითარებლობის კომპენსაცია, როგორც კავკასიის სხვა კუთხეებში, აქაც მონათა ვაჭრობის კულტივირებით ხდებოდა, რაც საკმაოდ დიდხანს შემორჩა ამ მხარეს და მატერიალური დოვლათის დაგროვების ერთ-ერთი რეალური საშუალებაც გახდა. მოსახლეობაში გავრცელებული იყო სისხლის აღების ტრადიცია (ვენდეტა).

რა თქმა უნდა, მოსახლეობის მცირე რაოდენობა, მძიმე ეკონომიკური პირობები, სუსტი მატერიალური რესურსები არ აძლევდნენ შესაძლებლობას ადგილობრივ მოსახლეობას (თავისუფლების დიდი სიყვარულის მიუხედავად) გამხდარიყო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობის დემიურგი. მაგრამ, მიგვაჩნია, რომ საქართველოს ამ კუთხეში — სვანეთში იყო ორი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამ კუთხეს გამოარჩევდა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებისაგან და უზრუნველყოფდა ეროვ-

ნ'ული ერთიანობის იდეის პოტენციურობასა და პერმანენტ'ულობას ხანგრძლივი ისტორი'ული დროის განმავლობაში. ეს ფაქტორებია:

1.ისტორი'ულად სვანეთი წარმოადგენდა ერთიანი საქართველოს კულტურ'ული საგანძ'ურის სავანეს. სრ'ულიად საქართველო სწორედ სვანეთის მოსალეობას აბარებდა შესანახად საუკ'უნეების მანძილზე მტრისაგან გადარჩენილ რელიგი'ურ განძეულს. სვანეთის ეკლესია-მონასტრებში დავანებული იყო მნიშვნელოვანი ეროვნ'ული საგანძ'ური. ამ ფაქტის მორალ'ურ-ეთიკ'ური და ისტორიულ-გენეტიკ'ური ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე (როგორც თავად-აზნა'ურობაზე, ისე რიგით მაცხოვრებელზე) იმდენად დიდი და 'უკარგავი იყო, რომ გვიან შუა საუკ'უნეებშიც ის სვანეთის მთელ მოსახლეობას ერთიანი ქართ'ული სახელმწიფოებრიობის იდეის გამორჩეულად ერთგ'ულს ხდიდა, ჯერ კიდევ ამ იდეის კონკრეტულ რეალიზაციამდე დიდი ხნით ადრე.

2. საინტერესოდ მიგვაჩნია სვანეთში მართლმადიდებლ'ური ქრისტიანობის გავრცელების დონე, მასშტაბები და თავისებურებანიც. ამას, რა თქმა უნდა, აპირობებდა სვანეთის – როგორც სრულიად საქართველოს რელიგი'ური განძეულის სავანის ფუნქცია. მაგრამ ამასთან ერთად ე.წ. „პაპ"-ის ან'უ „ბაპ"-ის ინსტიტ'უტის მასობრივი არსებობაც, რომლის რეალ'ურმა ფუნქციონირებამ ფაქტობრივად ჩაანაცვლა მღვდლობის ინსტიტ'უტი. ეს მდგომარეობა სვანეთისათვის გამორჩ'ეული და განსაკ'უთრებ'ული იყო. ე.წ. „პაპ"-ები ან'უ „ბაპ"-ები ერთიანი ქართ'ული იდეის პოპ'ულარიზატორები იყვნენ. მოგზაურები და სვანეთის ისტორიის მკვლევრები მიუთითებენ სვანეთ'ში ასეთი „პაპ"-ების როგორც რაოდენობრივ სიმრავლეზე, ისე ადგილობრივ მოსახლეობა'ში მათ ავტორიტეტზე. მართალია, ისინი ყოველთვის არ გამოირჩეოდნენ ორთოდოქს'ული მართლმადიდებლ'ური ქრისტიანული მოძღვრებისადმი ერთგ'ულებით და მათ ნააზრევში იყო სინთეზი ქრისტიანობისა და ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენებისა, მაგრამ მცხეთის საყდრის მიმართ მათი ერთგ'ულება და ქართ'ული ქრისტიანობის, როგორც სრულიად საქართველოს ერთიანობის ერთ-ერთი ფ'უნდამენტის აღიარება, მათ ქადაგებებში მ'უდამ გარკვეულ როლს ასრ'ულებდა.

ზემოთქმ'ულიდან გამომდინარე, სვანეთის ინკორპორაცია ერთიან ქართ'ულ ორგანიზმ'ში სიძნელეს არ წარმოადგენდა.

საქართველოს ისტორიული მხარე – აფხაზეთი XIX საუკუნის დასაწყისში ტიპიური ფეოდალური სამფლობელო იყო, რომელსაც კვლავ შარავაშიძეების საგვარეულო მართავდა. ვარაუდობენ, რომ ამ დროს აქ დაახლოებით 30 ათასი კაცი ცხოვრობდა[10]. თუმცა არის მოსაზრება, რომ აფხაზეთში უფრო მეტი – 80 ათასი მოსახლე იყო[11], რაც გადაჭარბებულად მიაჩნია ბევრ მკვლევარს.

XIX საუკუნის დასაწყისში „ძველი" აფხაზების „ახალ" აფხაზებად ტრანსფორმაციის პროცესი უკვე დასრულებული ჩანს, რაც გულისხმობდა ჩრდილო კავკასიიდან ჩერქეზულ-ადიღეური ტომების გარკვეული ნაწილის ჩამოსახლების შედეგად მიღებულ ახალ ეთნიკურ თვისებრიობას, რომელსაც ძველი ქართული სახელწოდება – „აფხაზი" ეთნონიმად დარჩა, თუმცა თავის თავს ისინი „აფსუას" უწოდებდნენ. ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულებმა თან ჩამოიტანეს და გაავრცელეს ისლამი, რამაც განსაკუთრებული ფეოდალური არისტოკრატიის ყოფასა და მათ პოლიტიკურ ორიენტაციას დააჩნია კვალი. ამტკიცებენ, რომ აფხაზეთის მთიანეთში აღორძინდა არქაული წარმართული სარწმუნოებაც.

არის მოსაზრება, რომ უკვე ამ პერიოდში აფხაზური ეთნოსი, რომელიც თავიდანვე მონაწილეობდა ერთიანი საქართველოს მშენებლობაში და მისი ხალხის ორგანულ ნაწილად აღიქმებოდა ფართო, სოციალურ-პოლიტიკურ-კულტურული გაგებით, „შუა საუკუნეების მიწურულში ფაქტობრივად გამოდის ამ ფარგლებიდან, მიუხედავად იმ მრავალი „ძაფისა" რომელიც კვლაინდებურად აკავშირებდა ფეოდალურ აფხაზეთს საქართველოს ცენტრალურ რეგიონებთან. ამიტომაც, როგორც ჩანს, აფხაზეთში, იგივე სამეგრელოსაგან განსხვავებით, ფეხი ვერ მოიკიდა ერთიანი ქართველი ხალხისადმი კუთვნილების შეგნებამ"[12].

მიგვაჩნია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, ისევე როგორც საქართველოს სხვა სამთავროები (გურია, სვანეთი, სამეგრელო), ასევე აფხაზეთიც ტიპიური დამოუკიდებელი ფეოდალური ერთეულები იყვნენ და მტკიცედ იცავდნენ ფეოდალური ლეგიტიმიზმის კანონს – დინასტიური ინტერესები ხშირად ჯაბნიდა ეროვნულ ინტერესს, მათ შორის ტერიტორიული გაუგებრობები და საბრძოლო შეტაკებებიც იშვიათი არ იყო.

მაგრამ აფხაზეთში ყოველთვის ძლიერი იყო ქართველური ეთნოსი, განსაკუთრებით მის სამხრეთ რეგიონებში, მეგრელებით (ქართველებით) დასახლებულ ტერიტორიებზე, სადაც ქრისტიანული სიწმინდეებიც საკმაოდ იყო და ქრისტიანული წირვა-ლოცვაც ქართულ ენაზე აღევლინებოდა ხოლმე.

თუმცა ეროიანი ქართული სახელმწიფოს ლიკვიდაციამ, მცხეთის საპატრიარქოს დასუსტებამ, ეკლესიურმა განცალკევებამ, მუსლიმანობის გავრცელებამ, წარმართობის აღორძინებამ – რა თქმა უნდა, სამთავროში შექმნა გაუცხოების გარკვეული მუხტი. მაგრამ, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, მსგავსი გაუცხოება საქართველოს ისტორიულ მიწებზე, სხვა სამთავროებსა და ტერიტორიებზეც დაფიქსირდა და მიგვაჩნია, რომ გაუცხოების გამოვლენა აფხაზეთში იმჟამად არც ისე ძლიერი იყო. მისი დაძლევა ერთიანი ძალისხმევით ადვილი შესაძლებელი გახდებოდა, როგორც კი ამისათვის სათანადო ობიექტური და სუბიექტური პირობები შეიქმნებოდა.

თუ თვალს გავადევნებთ აფხაზეთის მთავრების მოღვაწეობას XIX საუკუნის დასაწყისში, აშკარად ჩანს, რომ ისინი დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილეები არიან. ამყარებენ დინასტიურ კავშირებს სამეგრელოს სამთავროსთან. აფხაზი მთავრები ან მთავრობის პრეტენდენტები აქტიურად იყენებენ სამეგრელოს მთავრის, იმერეთის მეფის დახმარებას პოლიტიკურ ბრძოლებში, თვითონ მონაწილეობენ სამეგრელოს, იმერეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

როგორც ირკვევა აფხაზეთის მთავარი ქელაიშ-ბეგი აქტიურად მონაწილეობდა იმერეთ-სამეგრელოს შორის არსებულ პოლიტიკურ თუ სამხედრო უთანხმოების მოწესრიგებაში, ზოგჯერ სამხედრო ძალითაც კი[13].

საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ სამეგრელოს მთავრებიც აქტიურად ერეოდნენ აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკურ მოღვაწეთა ცხოერებაში, მხარს უჭერდნენ ხან ერთ, ხან მეორე პოლიტიკურ დაჯგუფებას, ტახტის პრეტენდენტებს და ა.შ. ცნობილია, რომ სამეგრელოს მთავარმა, გრიგოლ დადიანმა დიდი ღვაწლი დასდო იმას, რომ აფხაზეთის ტახტზე ასულიყო მისი სიძე (დის ქმარი) საფარ-ბეგი შარვაშიძე, რომელიც ფარულად მონათლულიც კი ყოფილა და თავის ცოლისძმას ქართულ ენაზე წერილებსაც სწერდა[14]. მრავალმხრივი ურთიერთობა სამეგრელოსთან უფრო ინტენსიური გახდა მთავარ მიხეილ შარვაშიძის დროს, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად შევეხებით.

ისტორიკოსები იმასაც ამტკიცებენ, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ქართული (მეგრული) ელემენტი მნიშვნელოვანი იყო არამარტო სამხრეთ სამურზაყანოს ტერიტორიაზე[15], არამედ ცენტრალურ აფხაზეთშიც – ლიხნში, კინდღში, გუდაუთასა და სხვა კუთხეებში[16]. ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტები აშკარად მიანიშნებენ იმას, რომ აფხაზეთი არ იყო იზოლირებული დასაელეთ საქართველოს პოლიტიკური პროცესებისაგან, ურთიერთობა კი მრავალმხრივი იყო, არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ არისტოკრატიის დაახლოებით, სისტემატური ხასიათი ჰქონდა რიგითი ქართველებისა და აფხაზების ინტენსიურ კავშირს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აფხაზეთ-

ში მომავალ'ში ქართველებისა და აფხაზების მტკიცე ერთიანობის მიღწევის რეალური პოტენცია არსებობდა.

ამრიგად, თვალსაზრისი, რომ აფხაზეთი XIX საუკუნის დასაწყის'ში, დანარჩენი საქართველოსაგან გაუცხოების რაღაც გამორჩეულ მდგომარეობაში იყო, ვიდრე ეს დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებისათვის, ჭეშმარიტებას არ უნდა შეესაბამებოდეს. პოტენციაში არსებ'ული პოლიტიკ'ური ერთობის მუხტი აშკარად არსებობდა, რომელიც გარკვეული ობიექტ'ური და სუბიექტ'ური პირობების შედეგად შეიძლება კვლავ აღორძინებ'ულიყო და აფხაზეთი, როგორც ადრეულ შუა საუკუნეებ'ში, კვლავ ჩამდგარიყო ერთიანი საქართველოს მშენებელთა პირველ რიგებ'ში.

მაგრამ სამხრეთ კავკასიაში გამოჩნდა ახალი პოლიტიკური და სამხედრო მოთამაშე – რუსეთი.

§ 5. – სამეგრელო

შავი ზღვის სანაპიროზე, თურქეთის იმპერიის საზღვართან სამეგრელოს სამთავრო მდებარეობდა. ჩრდილოეთიდან მას აფხაზეთი, აღმოსავლეთიდან – იმერეთის სამეფო ესაზღვრებოდნენ. ლეან დადიანის დროინდელი ძლიერებიდან სამთავროს მესვეურებს რეალური ბევრი აღარაფერი შემორჩათ, თუმცა პოლიტიკ'ური პრეტენზიები (მაგალითად, ისინი თავის ოფიციალურ წერილებში აფხაზეთის მფლობელადაც აცხადებდნენ თავს) საკმაოდ ჰქონდათ და დასაელეთ საქართველოს პოლიტიკურ პროცესებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

სამეგრელო'ში მოსახლეობის, განსაკუთრებით გლეხობის ძირითადი სალაპარაკო ენა მეგრული (ქართველური ენა) იყო, ამ ენაზე მეტყველებდა ფეოდალური არისტოკრატიაც, ადგილობრივი სასულიერო წოდებაც, თუმცა მათთვის ქართული ენაც მშობლიური იყო, რადგან ამ ენაზე მიმდინარეობდა ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვა, მყარდებოდა დიპლომატიური ურთიერთობა დანარჩენ საქართველოსთან, ხდებოდა ქართული მხატვრ'ული თ'უ საეკლესიო ლიტერატურის გადაწერა-გამრავლება და ა.შ. და ა.შ.

ერთიანი ქართული სახელმწიფოსადმი ერთგ'ულება სამეგრელოს იმჟამინდელ პოლიტიკურ ელიტაში ძლიერი იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, საკუთარი დინასტიური ინტერესების შეუვალობის დაცვით. ეს დაადასტურა საქართველოს მეფე-მთავრების ერთობლივმა გადაწყვეტილებამაც, რომლის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, თუმცა დადიანები თავის ლეგიტიმურ უფლებებს ძლიერ უფრთხილდებოდნენ და ძალაუფლების დაკარგვას ახლო

პერსპექტივაში არც ვარაუდობდნენ. ეს მათი პოზიცია აშკარად ცხადყო იმ პროცესებმაც, რაც სამეგრელოში განვითარდა XIX საუკუნის დასაწყისში.

დადიანების საგვარეულო აქტიურად იყო ჩაბმული მთლიანად საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ დინასტიურ პროცესებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ისინი ნათესაური ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებული კახელ ბაგრატიონებთან – ერეკლე II-ის მეუღლე დარეჯანი – სამეგრელოს მთავრის ოჯახიდან იყო. სამეგრელოს მთავარმა გრიგოლმა კი ჯვარი დაიწერა ერეკლე II შვილიშვილზე ნინოზე და ის სამეგრელოს დედოფალი გახადა. ზუგდიდიდან სასიძო თბილისში ჩამოვიდა დიდი მაყრით – 50 თავადი, აზნაური და საპატიო გლეხი ჩამოჰყვა გრიგოლ დადიანს. მეფე ერეკლესა და დედოფალ დარეჯანს სასიძომ მიართვა ზუგდიდში გამოჭედილი ოქროს ძვირფასი თასები, ხოლო მცხეთის კათოლიკოსს – ძვირფასი ომფორი[17].

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, რომ „სამეგრელოს მთავრის დანათესავებას ერეკლე – II-ის ოჯახთან, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეგრელოსა და ქართლ-კახეთის დაახლოებისათვის. იმერეთის მეფე სოლომონ II-ც ხომ ერეკლე II-ის შვილის, ელენეს ვაჟი იყო... საქართველოს მეფე-მთავართა შორის ნათესაური კავშირების მეოხებით მოსალოდნელი იყო სიმშვიდე და ქვეყნის გაერთიანებაც კი...“[18].

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებით გაჯერებულ საქართველოში, პარტიკულარიზმისა და საკუთარი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლის სურვილი ძალიან ხშირად უკეთურ საქმეს აკეთებინებდა პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილ სახელმწიფო მოღვაწეებს.

ნათესაობისადმი ერთგულება და ერთიანი საქართველოს ინტერესები სწრაფად იქნა დავიწყებული, როგორც კი იმერეთში პოლიტიკური არეულობა დაიწყო. აქ ორი პოლიტიკური ძალა ეჭიშპებოდა ერთმანეთს, ტახტის ორი პრეტენდენტი: დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე (ერეკლე II-ის შვილიშვილი). თავდაპირველად სამეგრელოს მთავარი გრიგოლი თავის ნათესავს – ერეკლე II-ის შვილიშვილს უჭერდა მხარს და მისი დახმარებით დავით არჩილის ძემ (სოლომონ II-მ) მოახერხა იმერეთის ტახტზე გამაგრება.

მაგრამ საქმეში ჩაერია ფეოდალური აზროვნებით ნაკარნახევი დინასტიური ინტრიგები, რამაც სერიოზულად დააზიანა ერთიანი ქართული საქმე. ერეკლე II-ის მეუღლეს, დარეჯანს სძულდა თავისი გერი – ბატონიშვილი ნინო, სამეგრელოს ახალი დედოფალი. ისტორიკოსი აღნიშნავს: „დედოფალმა დარეჯანმა ხომ თავისი შვილები გადაკიდა გიორგი XI შვილებს,

გააჩაღა ბიძებსა და ძმებს შორის ბრძოლა. დარეჯანს სძულდა ნინა გიორგის ასული და შეიძულა გრიგოლ დადიანიც. დედოფალ დარეჯანის ხრიკებით და მითქმა-მოთქმით გრიგოლ დადიანსა და სოლომონ II-ს შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ მისი დახმარების მაგიერ გრიგოლ დადიანი ახლა უკვე იმერეთის ტახტის პრეტენდენტის, დავით გიორგის ძის მხარდამჭერთა მხარეზე აღმოჩნდა"[19].

იმერეთსა და სამეგრელოს შორის ურთიერთობას სერიოზულად აფერხებდა გაუთავებელი კინკლაობა ლეჩხუმის გამო. სოლომონ II-ისადმი მტრულმა დამოკიდებულებამ, სამეგრელოს სამთავროს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და იმერეთისათვის სადავო ტერიტორიების წართმევის სურვილმა სამეგრელოს მთავარი რუსეთისადმი ზედმეტად ლოიალური გახადა.

რუსეთი კი 1801 წლიდან აქტიურად მკვიდრდება საქართველოში და სრულიად საქართველოში პოლიტიკური სურათიც რადიკალურად შეიცვალა.

§ 6. — სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა)

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოსაგან მიტაცებულ ტერიტორიებზე თურქეთის სახელმწიფოს „ელვიე-ი სელასეს" სახელწოდებით სამი სანჯაყი ჰქონდა შექმნილი (ბათუმის, არტაანისა და ყარსის). ბათუმის სანჯაყში შედიოდნენ: ცენტრით ჩარუქსუ (ქობულეთი) ქვემო აჭარა, ზემო აჭარა, ართვინი იუსუფელით, არხავი, გონიო, ხოფა, ხემშინი და ათინაფაზარი. ოლფინი მოიცავდა — ნარმანს, ფენექის, ბარდიზის, თაუსქერ-ოლორს, ხოლო არტანუჯი — შავშეთის ნაჰიეს, არტაანი — გიოლეს, ფოცხოვს, ჩილდირს[20]. თურქი ავტორების მიხედვით ამ ტერიტორიებზე თურქეთის სახელმწიფოს ერთგული ერთმორწმუნე, ძირითადად თურქი მოსახლეობა ცხოვრობდა.

რუსული წყაროების მიხედვით კი XIX საუკუნის დასაწყისში, ამ ტერიტორიებზე (უფრო ზუსტად, ართვინის მომიჯნავე ტერიტორიაზე) ძირითადად სომეხი და თურქი მოსახლეობა ცხოვრობდა[21], ბათუმში — მაჰმადიან მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობდნენ სომხები (როგორც გრიგორიანი, ისე კათოლიკენი). რუსი ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ „ადგილობრივი მუსლიმანების უმრავლესობას წარმოადგენენ ქართველები, რომლებიც გამაჰმადიანეს ამ ტერიტორიების თურქების მიერ დაპყრობის შემდეგ. ეს რომ სწორედ ასეა, ამაზე მიანიშნებს ბევრი თურქის გვარი, მაგალითად, ვალანიძე, ჭანიძე, ტაბახიძე და სხვ."[22]

რუსული წყაროს ეს ინფორმაცია ძირითადად ეხება ართვინის რეგიონს, რომელიც უფრო დაშორებული იყო ბათუმისა და ქობულეთისაგან, სადაც, როგორც ცნობილია, ქართული გვარები კიდევ უფრო მასობრივად იყო შემორჩენილი როგორც თავადაზნაურთა შორის, ისე რიგით გლეხებშიც.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნიკური სურათის შესასწავლად მნიშვნელოვანია ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერები. ინგლისელი ბიზნესმენი მარტინ ბოლი, რომელიც 1804 წელს იმყოფებოდა ბათუმში, აღნიშნავდა რომ ქალაქში ძირითადად საუბრობენ თურქულად, არიან ბერძნებიც და აქ გაიგონებთ ლაზურ საუბარსაც[23].

მეტად საინტერესოა რუსი მოხელის ალექსანდრე კოსტილევსკის ინფორმაცია, რომელმაც ბათუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე 1822 წელს იმოგზაურა და მიუთითა: „მოსახლეობაზე ვერ ვიტყვით რომ ჭრელია. უმეტესობა ოსმალოებია, მაგრამ **ქალაქში ზოგჯერ ოსმალეთის მეზობელი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქართველებიც შემოდიან და ქალაქში ვაჭრობენ. ისინი განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ ყავთ აყვანილი ოსმალეთის ხელისუფლებას. ძირითადად ვაჭრობენ საყოფაცხოვრებო საქონლით** (ხაზგასმა ჩვენია – ა. დ.).

ეს ინფორმაცია იმით არის საინტერესო, რომ აჭარის მომიჯნავე – გურიის მოსახლეობას უკვე მაშინ, ჯერ კიდევ რუსეთის შემადგენლობაში ამ ტერიტორიების შესვლამდე, ინტენსიური ეკონომიკური კავშირი ჰქონდა გამაჰმადიანებულ თანამოძმეებთან. ეს ურთიერთობა აშკარად სავაჭრო ხასიათის იყო – ე.ი. ეროვნული კონსოლიდაციისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი (მჭიდრო ეკონომიკური-სავაჭრო კავშირი) უკვე იმჟამად იწყებდა ამოქმედებას და ის ხორციელდებოდა ერთმანეთისათვის საერთო – ქართულ ენაზე.

საყურადღებოა ინფორმაციის მეორე ნაწილიც – **ისინი განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ ყავთ აყვანილი ოსმალეთის ხელისუფლებას**. ე. ი. თურქეთის ხელისუფლება უფრთხოდა აჭარის მოსახლეობასთან გურიის მხრიდან შემოსული ქართველების ინტენსიურ კავშირს. ეს მიანიშნებს, რომ ქართველებში თურქეთის ხელისუფლება ხედავდა იმ საშიშროებას, რასაც ადგილობრივ აჭარელ მოსახლეობაში ერთიანი ქართული ცნობიერების აღორძინება და განვითარება შეიძლება გამოეწვია. მით უფრო, რომ იმ ხანებში ძლიერდებოდა რუსეთის აგრესია, ლტოლვა ბოსფორის სრუტეებისაკენ, ქართველების ისტორიული ტერიტორიების განთავისუფლების საბაბითაც. არ იყო გამორიცხული ისიც, რომ შეიძლება დღის წესრიგში დამდგარიყო საქართველოს ისტორიული ტერიტორიების რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ინკორპორირების საკითხიც.

საფიქრებელია, რომ შეიძლება სწორედ ეს საფრთხე გახდა ის სტიმული, რამაც თურქეთის ხელისუფლების ინტერესი ელვიე-ი სელასეს სამი სანჯაყის მიმართ განსაკუთრებით გააძლიერა XIX ს. დასაწყისში. ამ ყურადღების ზრდაზე უკვე აშკარად მიანიშნებენ უცხოელი მოგზაურებიც, რომლებიც ამჩნევენ იმ ცვლილებებს, რასაც განიცდის ბათუმი XIX საუკუნის დასაწყისში. მაგალითად, თუ ინგლისელი მოგზაური საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა, რომ „ბათუმი ძალიან ბინძური და უწესრიგო ქალაქია, თუმცა ქალაქი მას არც კი ეთქმის, სულ სამი ქუჩაა და თითოეული ქუჩის ბოლოს სასაფლაოა“[24], უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ფრანგი მოგზაურები მიუთითებენ, რომ „თურქებმა ბათუმში დაიწყეს კეთილმოწყობითი სამუშაოები“[25].

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბათუმის პორტის სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებას, ბათუმის აკვატორიის გამაგრებას. საინტერესოა, რომ ამ და სხვა სამუშაოების საწარმოებლად თურქეთის ხელისუფლებას ჩრდილო აფრიკის სამფლობელოებიდან ზანგებიც კი შემოჰყავდა და მათ ადგილზე ასახლებდა. რუსეთისადმი პანიკური შიში თურქეთის მთავრობას აიძულებდა თურქეთის შიდა გუბერნიებიდან ეთნიკური თურქებიც გადმოეყვანა და დაესახლებინა აჭარის ტერიტორიაზე. ეს მიგრაცია მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ინტენსიური იყო. თურქეთის სახელმწიფო თავის ჩრდილო ტერიტორიებს ამაგრებდა რუსეთის მხრიდან შესაძლო აგრესიის მოლოდინის გამო.

ცნობილი ავსტრიელი მოგზაური გერჰარდ ბუხვალდი აღნიშნავდა: “როგორც შეეიტყვე ქალაქში (იგულისხმება ბათუმი – ა.დ.) ჩამოსულა ოსმალეთის ხელისუფლების მაღალჩინოსანი, მოუწევია თათბირი, მიუცია ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დავალება, რომ მოეწესრიგებინათ ბათუმის პორტი, თან დიდი თანხის მიცემას დაპირებია. თანხები მართლაც წამოსულა სტამბულიდან, თან ცენტრიდან ბევრი მუშაც ჩამოსულა და დაუწყიათ პორტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა“. ავსტრიელი მოგზაური წერს, რომ „მე მქონდა საუბარი ბათუმში მყოფ მაღალჩინოსანთან და მან აღნიშნა, რომ ბათუმი უნდა გადაიქცეს მიუვალ და აუღებელ ციხე-სიმაგრედ, რომ აქ ვერ შემოაღწიოს მტერმა. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ბათუმს ვერავინ ვერ შეხედოს ავი თვალით. ეს არის ჩვენი უმთავრესი პორტი და აქედან შეეძლებთ ჩვენი ამოცანების წარმატებით, მოხერხებულად გადაჭრას და მოგვარებას“[26].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის ხელისუფლების დავალებით, ამ ტერიტორიებზე იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც შთამომავლობას ჩინებული ინფორმაცია დაუტოვა აქ მოსახლე, წარმოშობით ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობის შესახებ: „გუ-

რიის საზღვრიდან ბათუმამდე მოსახლეობა მხოლოდ ქართული ელემენტისაგან შედგება... მცხოვრებთა ტიპი, ტანსაცმელი, ზნე-ჩვეულება ასევე გურულია. ჩაუქ სუელებს ძალიან კარგად ახსოვთ თავიანთი ქართული წარმომავლობა და თუმცა თურქული სახელები ჰქვიათ, მაგრამ მაინც კვლავ ხმარობენ თავის ძველს, ქართულ გვარებს; ... ისლამმა მაინც უკვე დაასვა მათ თავისი დაღი. ქალს თვალს ვერსად მოჰკრავთ, ისინი ჩაკეტილნი არიან და გამოჩენას ვერ ბედავენ...“[27]

თურქეთის სახელმწიფოს საქართველოს ყოფილ ისტორიულ მიწებზე ძლიერი და ერთგული მეკავშირე ჰყავდა – ეს იყო მუსლიმური რწმენა-წარმოდგენები, შარიათის ტრადიციები და ადგილობრივი მოსახლეობის ახლადშეძენილი, მუსლიმური ყოფითი ჩვევები. ცნობილი ქართველი მამულიშვილი მემედ აბაშიძე სამართლიანად მიანიშნებდა მუსლიმური რელიგიის ძლიერებაზე ადგილობრივი აჭარელი მოსახლეობის ცნობიერებაში. ის წერდა: „ვინც იცნობს მუსლიმან მასას, შეუსწავლია და ღრმად ჩაუხედავს მათ რელიგიურ-სულიერ ცხოვრებაში, მისთვის სადავო და მიუღებელი არ არის ის აზრი, რომ მუსლიმანისთვის რელიგია არის მთავარი და თითქმის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც გეზს აძლევს მათ მოქმედებებს, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას. ეს ფანატიზმი არ გამორიცხავს მუსლიმანისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე რელიგიური ლოზუნგის გარშემო ე.წ. მსოფლიო წმინდა ომის წარმოების შესაძლებლობას“[28].

სახელოვანი მამულიშვილის ამ მოსაზრებაში აშკარად იგრძნობა ის სერიოზული ხიფათები, რაც მომავალში ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს შეხვდებოდა მუსლიმური რელიგიის მატარებელ ადგილობრივ მოსახლეობაში, სადაც ხშირად რელიგია ეროვნული იდენტობის ტოლფასი იყო.

მართალია, არის ცნობები, რომ ბათუმ-ართვინის მიმდებარე ტერიტორიაზე XIX საუკუნეშიც – „ჯერ კიდევ შემორჩენილია ქრისტიანული წეს-ჩვეულებანი, ჩუმად ლოცულობენ და მამა-პაპათა წესებს არ ივიწყებენ“[29].

ეს ინფორმაცია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წყაროებიდან არის და ადვილი შესაძლებელია სუბიექტურიც იყოს, მთლიანად არ ასახავდეს საქმის ჭეშმარიტ მდგომარეობას. ამ ტერიტორიებზე მაჰმადიანური შეხედულებების პრიმატზე აშკარად მიუთითებენ ის კონკრეტული ისტორიული მოვლენები, რაც ამ რეგიონში განვითარდა მომდევნო წლებში და ქართველ მამულიშვილებს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ ამ ტერიტორიებზე ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი სწრაფად და ეფექტიანად წასულიყო წინ.

§ 7. – მესხეთ-ჯავახეთი

XIX საუკუნის დასაწყისში ისტორიული მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე თურქეთის იმპერიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საფაშო – აპისქას (ახალციხის) საფაშო მდებარეობდა. ეს ტერიტორია, როგორც ზემოთ უკვე იყო საუბარი, ყველაზე ადრე ჩამოცილდა ერთიან საქართველოს და მისი მთავრები – სამცხის ათაბაგები თავიდანვე გამოირჩეოდნენ სეპარატიზმის მაღალი ხარისხით. ადგილობრივი ათაბაგების შთამომავლებმა (ჯაყელებმა) შეინარჩუნეს თავისი გაბატონებული მდგომარეობა და თურქეთის სულთნის წყალობით ჯაყელთა საგვარეულო ახალციხის საფაშოს მეტნაკლები წარმატებით მართავდა XIX საუკუნის დასაწყისშიც.

როგორი იყო ეთნიკური სურათი ამ ყოფილ ქართულ, ხოლო ახლა უკვე – თურქულ პროვინციაში, რომელიც ბოლო რამდენიმე საუკუნის მანძილზე თურქეთის ანტიქართული პოლიტიკის მნიშვნელოვანი პლაცდარმი და ჩრდილო კავკასიელი მარბიელი ბანდიტების მუდმივი თავშესაფარი იყო. სწორედ ახალციხეში ფუნქციონირებდა მონათა ის ცნობილი ბაზარი, სადაც კავკასიელი მარბიელების ნადავლი – ქართლ-კახეთსა და იმერეთში მოტაცებული ქრისტიანი ახალგაზრდები იყიდებოდა მონებად მდიდარ თურქ ბობოლებზე.

ქართულ და, არა მარტო ქართულ, ისტორიოგრაფიაში დღესაც არის კამათი მესხეთის ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ, მათი პოლიტიკური ფიზიონომიისა და პოლიტიკური ორიენტაციის გამო[30]. მაგალითად, თურქი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ მესხეთ-ჯავახეთში ბინადარი ძირითადი, მაჰმადიანი მოსახლეობა თურქული მოდგმის ყივჩაღების შთამომავლობაა[31]. პოსტსაბჭოთა რუსულ ისტორიოგრაფიაში მათ „თურქ მესხებს“ უწოდებენ. საქართველოში უფრო პოპულარულია „მესხეთელი თურქის“ ეთნონიმი.

ცნობილმა ქართველმა ეთნოგრაფმა სერგი მაკალათიამ ჯერ კიდევ II მსოფლიო ომის წინ მოიარა ეს მხარე და ამტკიცებდა, რომ მესხეთში ცხოვრობდნენ: „ქართველი მაჰმადიანები და რუსეთთან შეერთებამდე ქართული ენა ახალციხის საფაშოში ითვლებოდა ოფიციალურ ენად, ამ ენაზე ფაშები და ბეგები აწარმოებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და საქართველოს სამეფო-სამთავროებთან მიმოწერას. ამასთანავე აქაური მცხოვრებლები ატარებდნენ ქართულ გვარებს და ქართული ენა ითვლებოდა მშობლიურ ენად“[32].

როგორც ირკვევა, XIX საუკუნის დასაწყისში სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის (სავარაუდოა დაახლოებით 37 000 სული) ეთნიკური სურათი მეტად

ჭრელი იყო. ამ მრავალფეროვნებას თურქეთის ხელისუფლებაც ახალისებდა. როგორც ამტკიცებენ: „ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მკვიდრდებოდნენ თურქეთის შიგა რეგიონებიდან შემოყვანილი მუსლიმანი ღვთისმსახურები, ოსმალური ადმინისტრაციის მოხელეები, ჩრდილო კავკასიის მთიელები და თურქმანული მოდგმის მომთაბარე ელები". ეთნოლოგ ლ. ჯანიაშვილის ვარაუდით სამცხე ჯავახეთის მოსახლეობაში ისინი დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენდნენ[33].

ახალციხის საფაშოში ცხოვრობდნენ ქურთები, თარაქამები (მაჰმადიანი სომხები). ამრიგად, ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობასთან ერთად, ისინი ერთ მთლიან რელიგიურ სუბსტანციას (მუსლიმურ სამყაროს) წარმოადგენდნენ, რომლებიც თანაცხოვრობდნენ ადგილობრივ ქრისტიანულ მოსახლეობასთან – ქართველ მართლმადიდებლებთან, ქართველ და სომეხ კათოლიკეებთან, გრიგორიანელ სომხებთან და ა.შ. ახალციხეში ცხოვრობდნენ ებრაელებიც.

როცა საფაშო ასეთი პოლიეთნიკურია, რა თქმა უნდა, მისმა მესვეურებმა გარკვეულ რელიგიურ შემწყნარებლობაზე უნდა იფიქრონ. დასტურდება, რომ ახალციხეში ქრისტიანულ თემებს არსებობის ასატანი პირობები ჰქონდათ, კათოლიკეებს – უფრო უპირატესი (რომის პაპისა და თურქეთის სულთანის ისტორიული ხელშეკრულებების საფუძველზე), შედარებით დამცრობილ მდგომარეობაში იყვნენ ქართველი მართლმადიდებლები.

რეგიონის ისტორიის ჩინებული მცოდნე პროფ. შოთა ლომსაძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ახალციხე კვლავ ქართლ-კახეთის დარბევისა და ბანდიტური თავდასხმების მთავარი ეპიცენტრი იყო სამხრეთ კავკასიაში. ამ აგრესიის შედეგად „ყოველწლიურად ქართლ-კახეთში 300-მდე კომლი ან ნადგურდებოდა, ან უმთავრესად ახალციხეში ტყვედ იყიდებოდა"[34].

ასე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ჯერ ერთი, ფეოდალური სეპარატისტული შეგნება-ქმედება, ხოლო მეორე, ახალი მაჰმადიანური სარწმუნოება უკვე აღარაფერს ტოვებდა ამ ტერიტორიების მკვიდრი მოსახლეობის (საქართველოს ყოფილი ერთგული შვილების) შეგნებაში ადრეულ საუკუნეებში არსებული ერთიანი ქართული ცნობიერებისაგან. დედა-სამშობლოსაგან გაუცხოვების პროცესი ამ ტერიტორიებზე უკვე საგრძნობლად იყო წინ წასული.

XIX საუკუნის დასაწყისში ახალციხელი ფაშები – ჯაყელების გვარიდან, ისე იყვნენ დაკავებული ტახტისათვის ბრძოლის ჟინით და პოლიტიკური ინტრიგებით, რომ, როგორც ამტკიცებენ, „ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის გაბატონების ფაქტმაც კი ვერ იმოქმედა მათზე".

1816 წელს ახალციხეში მოხდა დიდი ანტითურქული აჯანყება, რომლის მიზეზი იყო 5–6 ქართველი მაჰმადიანი ქალის საჩივარი. ქალები აღშფოთებული იყვნენ თურქი ჯარისკაცების მხრიდან ძალადობისა და მათი შეურაცხყოფის გამო. ახალციხის ფაშის მხრიდან ქალების საჩივრისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ ადგილობრივი, ღირსებისა და რაინდული თვისებების მქონე მოქალაქეების პროტესტი გამოიწვია, რაც შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. ამტკიცებენ ამ აჯანყებაში სხვადასხვა კონფესიების ადგილობრივი წარმომადგენლების ერთობლივ ბრძოლას თურქების წინააღმდეგ.

ამ აჯანყებაზე მსჯელობისას პროფ. შ. ლომსაძე ასკვნის – „მესხეთის 1816 წ. აჯანყება იყო ნამდვილი სახალხო ბრძოლა, რომლის მიზანს წარმოადგენდა თურქთა უღლის გადაგდება. დამპყრობლებთან ბრძოლაში აჯანყებამ გააერთიანა საზოგადოების ყველა ფენა, რომელთაც შექმნეს ძლიერი სახალხო ლაშქარი. მთელი საფაშოს ტერიტორიაზე **აჯანყებულთა მოქმედებაში აშკარად შეინიშნებოდა ეროვნული მომენტი. ამ თვალსაზრისით ეს იყო ქართველი ხალხის ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. აჯანყებაში ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო: სამცხემ, ჯავახეთმა, არტაანმა, აჭარამ, შავშეთმა, სადაც ჯერ კიდევ ძლიერად იყო შენარჩუნებული ქართული ენა და ზნე-ჩვეულება** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)[35].

მიგვაჩნია, რომ ასეთი ოპტიმისტური განცხადებისათვის საფუძველი არ არსებობს და იგი არ გამომდინარეობს იმ მასალის ანალიზიდან, რასაც ისტორიკოსი ეყრდნობა. ადგილობრივი ანტიოსმალური აჯანყება არ შეიძლება ქართულ ეროვნულ მოძრაობად ჩაითვალოს, თუნდაც მასში ქრისტიანი მოსახლეობის ნაწილიც იღებდეს მონაწილეობას. წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა ამის საფუძველს არ იძლევა. როგორც სამართლიანად მიუთითებს ეთნოლოგი რ. თოფჩიშვილი „ქართველთა გამაჰმადიანება სამცხე-ჯავახეთში ძირითადად XVII საუკუნის დასასრულიდან დაიწყო და მეტ-ნაკლებად XVIII საუკუნეში დასრულდა. ჩანს ეს პროცესი აქ XIX საუკუნეშიც კი გრძელდებოდა“[36].

თუ ეს ასეა, მუსლიმური რელიგიის პრიმატი მუდამ უბიძგებს მოსახლეობას, სოციალური პრობლემების მიუხედავად, კავშირი არ გაწყვიტოს რელიგიით მონათესავე ეთნოსთან. აშკარაა, რომ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც აჭარაში, ისე მესხეთ-ჯავახეთში, სადაც ძალმომრეობით გაერცელდა მაჰმადის რჯული, იმ ხანებში აშკარად არ ფიქსირდება ესპანური „რეკონკისტას“ მსგავსი მოძრაობა ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის, რომლის ინიციატორები ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები იქნებოდნენ. ამისათვის ჯერ არც სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური პირობები შეიმჩნეოდა და, რაც მთავარია – არც გა-

მორჩილი, ადგილობრივი, პროქართულად მოაზროვნე ქარიზმატული ლიდერის ინიციატივა არსებობდა.

თუმცა, სამართლიანად მიუთითებენ, რომ ყოფით დონეზე, ცალკეული ოჯახები, სხვადასხვა მიზეზების გამო, სტიქიურ მიგრაციულ პროცესებში ჩაერთვნენ მესხეთ-ჯავახეთიდან ქართლ-კახეთისა და იმერეთის მიმართულებით და პირიქით. ისიც შემჩნეულია, რომ ხდებოდა მესხეთ-ჯავახეთიდან გადმოხვეწილი მოსახლეობის დროთა განმავლობაში ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაბრუნების შემთხვევებიც[37].

როგორც ზემოთ დაგინახეთ, ქართველმა ბაგრატიონებმა, სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიისა და სვანეთის მთავრებმა, საქართველოს თავადაზნაურობამ საერთოდ, ფეოდალური ლეგიტიმაციის კანონების ერთგულების გამო, ვერ მონახეს ადგილობრივი ქართული რესურსით ქვეყნის გაერთიანების შესაძლებლობა და ვერ უზრუნველყვეს ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის აღორძინება. ერეკლე II–ის მიერ დაწყებული ისტორიული პროცესი ქართული მიწების შემოკრებისა XIX საუკუნის დასაწყისში შეჩერდა.

საუკუნეების მანძილზე პოლიტიკურად დაშლილ, სარწმუნოებრივად უკვე გათიშულ, ბევრ შემთხვევაში მკვეთრად დაპირისპირებულ ყოფილ ერთიანი საქართველოს შეილებს ტრადიციებიც ხშირ შემთხვევაში გაუცხოვებული ჰქონდათ. საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილში მაჰმადის რჯული იყო გამტკიცებული და შარიათის კანონები ბატონობდა. იმჟამად მათთვის ერთმორწმუნე თურქეთი უფრო ახლობელი იყო, ვიდრე ქრისტიანული ქართლ-კახეთი, იმერეთი და გურია.

ქრისტიანული საქართველოც გაუცხოვებული იყო „მაჰმადიანური საქართველოსაგან“. ქართულ სამეფო-სამთავროებში ფეოდალური პარტიკულარიზმი მძლავრობდა, კუთხურობამ გაიმარჯვა, ეთნონიმი „ქართველი“ რეალური შინაარსს აღარ გამოხატავდა: იყვნენ ქართლელები, კახელები, იმერლები, მეგრელები, სვანები, აჭარლები, მესხები.

პოლიტიკური დუღაბის როლის შესრულება შეეძლო ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანა, საკმაოდ დასუსტებული და შესაძლებლობა დაქვეითებული ჩანს, მაგრამ საერთო ქართულ ენაზე წარმოებული საეკლესიო ცხოვრებით, ღვთისმსახურების ქართული წესით, ქართულ ენაზე ნათარგმნი თუ ორიგინალური ნაშრომებით (რომელიც იშვიათად, მაგრამ მაინც იწერებოდა ქართულ სამეფო-სამთავროებში) ინარჩუნებდა ქრისტიანი ქართველების გაერთიანების გარკვეულ შანსს.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას: „XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია ჰქონდა. დაშლილობის ასეთმა ხანგრძლივობამ დიდი ხნით შეაფერხა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული წინსვლა. შესუსტდა საერთო ქართული ენისა და მწერლობის მნიშვნელობა. ადგილი ჰქონდა ცალკეული ქართულ-დიალექტიკური მეტყველების კონსერვაციას. ყოველივე ეს ეკონომიკური განკერძოების ტენდენციათა საფუძველი ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ძლიერი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, ენისა და მწერლობის ტრადიციები იმდენად გამძლე იყო, რომ პოლიტიკურად გათიშულ ტომებს შორის კავშირი ცოცხლობდა. სამეფო-სამთავროებს ერთმანეთთან აკავშირებდა საერთო კულტურა და მწერლობა, ისე როგორც სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების საერთო თვისებები. ცალკეულ პროვინციებს, მიუხედავად ფეოდალ-მთავართა შემზღუდველი ღონისძიებებისა და შინაომებისა, ერთმანეთთან მეტად მნიშვნელოვანი საეჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ“[38].

ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, რასაც შედეგად მოჰყვებოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანება და ისტორიული მიწა-წყლის შემოერთება, შეიძლებოდა დაწყებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გამოიძებნებოდა საამისო მატერიალური, სულიერი და ადამიანური რესურსები, გამოჩნდებოდა ძლიერი ქარიზმატული ლიდერი. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ადგილობრივად არც ეს რესურსი და არც ქარიზმატული ლიდერი არ მოიძებნა.

ასეთ ვითარებაში, უკვე ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შედეგად, რუსეთმა დაიწყო სამხრეთ კავკასიაში თავისი შორსგამიზნული აგრესიული გეგმების რეალიზება.

თავი V

რუსეთის დამკვიდრება საქართველოში, სამხრეთ კავკასიური ომები და ქართველი ერის კონსოლიდაციის პრობლემა

§ 1 – საქართველოს სამეფო-სამთავროების დაპყრობა თუ საქართველოს კონსოლიდაცია-გაერთიანების გაგრძელება?

ამისათვის, რომ ერი გაერთიანდეს, გაერთიანდეს – მტკიცედ და ურღვევად, ამის უპირველესი საფუძველია – ტერიტორიული მთლიანობის მიღწევა, ანუ უნდა მოხდეს ერის მფლობელობაში უკვე არსებული, მაგრამ დაშლილ-დანაწილებული ტერიტორიების კონსოლიდაცია. შემდეგი ნაბიჯი კი – ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ძლიერი მეზობლების მიერ ძალით მიტაცებული ტერიტორიების (ჯერ მხოლოდ ტერიტორიების!), ხოლო შემდეგ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ყოფილი თანატომელების შერწყმა-შესისხლხორცებაა.

წინა თავში ჩვენ ვნახეთ, როგორი რთული ვითარება იყო საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე XIX საუკუნის დასაწყისში და რა შედეგი მოუტანა საქართველოს ფეოდალური დაშლა-დაქუცმაცების პროცესის ზედმეტად გაჭიანურებამ, ეკონომიკური ცხოვრების სტაგნაციამ, ძლიერი და აბეზარი მეზობლების გაუთავებელმა თავდასხმებმა და საქართველოს მმართველი პოლიტიკური ელიტის უუნარობამ (განსაკუთრებით ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ) საკუთარი ძალებით, საკუთარი პოლიტიკური რესურსის გამოყენებით გაეგრძელებინათ ერის კონსოლიდაციის ისტორიული პროცესი. ამის მიზეზი, გარდა ფეოდალური დაშლა-დაქუცმაცებულობისა და ცენტრიდანული ძალების ქმედებისა, იყო აბეზარი მეზობლების დაუფარავი სურვილიც – არ მომხდარიყო ქართველი ერის კონსოლიდაცია, არ შექმნილიყო ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ის აუცილებელი ერთობლიობა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში კვლავ გააძლიერებდა ერთიან ქართულ სახელმწიფოს.

საჭირო იყო (სამწუხაროდ, საჭირო გახდა) სხვა, ახალი – მესამე ძალა, რუსეთის იმპერია, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს მაოხრებელი ორი ძირითადი აგრესიული სახელმწიფოს (ერანისა და ოსმალეთის) ანტიქართულ საქმიანობას გაანეიტრალებდა და შეძლებდა იმ პერიოდში უკვე ჰიპოტეტური საქართველოსათვის (პირველ რიგში, რა თქმა უნ-

და, საკუთარი სახელმწიფოსათვის – რუსეთისათვის) დაკარგული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებას.

ამ ამოცანის რეალიზაცია რუსეთის იმპერიამ ენერგიულად დაიწყო. მაგრამ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ ეს ვალდებულება მეფის რუსეთს გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ჰქონდა აღებული ქართველი ერისა და მეფე ერეკლე II-ის წინაშე.

ხოლო ამ ისტორიული „მისიის“ განხორციელება რუსეთმა საქართველოს შეერთებისთანავე დაიწყო. 1801 წლის ალექსანდრე I-ის მანიფესტი, რომლის ძალით ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, უკვე იმის მინიშნება იყო, რომ რუსეთმა დაიწყო საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემოკრება-შემომტკიცების პროცესი. ამ მიზნით რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოყენებული მეთოდები და ხერხები მთლიანად პასუხობდნენ ფეოდალიზმის ეპოქაში ძლიერი სახელმწიფოს მტაცებლურ ბუნებას (ასე იქცეოდა ინგლისი – ინდოეთში, საფრანგეთი – ალჟირში, ავსტრია – უნგრეთში და ა.შ.), რომელიც მხოლოდ საკუთარი სუბიექტური პოლიტიკური ინტერესებით მოქმედებდა და ნაკლებად იზიარებდა პოლიტიკური ობიექტის (ან ობიექტების) – ამ შემთხვევაში კი საქართველოს მმართველი წრეების პოლიტიკურ მოსაზრებებსა და სურვილებს.

რუსეთმა ქართლ-კახეთის შემომტკიცება პირველ რიგში განახორციელა, რაც არ აღმოჩნდა იოლი პროცესი. ლეგიტიმიზმის საყოველთაოდ აღიარებული კანონის უგულებელყოფით მიტაცებულ ქართლ-კახეთის ტახტს რუსეთის იმპერატორი, ფაქტობრივად, მხოლოდ ძლიერი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაძლევის შემდეგ დაეუფლა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორი შტო – თავადაზნაურული და გლეხური, სრულიად სხვადასხვა გამომწვევი მიზეზებითა და საკუთარი კლასობრივი მიზნებით, საქართველოში რუსეთის დამკვიდრებისთანავე არყეევდა ქვეყანას. ქართველები თავისუფლების დაკარგვას ვერ ეგუებოდნენ.

ქართველ გლეხობას აღაშფოთებდა რუსების, როგორც ოფიცრებისა და ისე რიგითი ჯარისკაცების მტაცებლური ბუნება, არაქრისტიანული დამოკიდებულება ქართველებისადმი, რუსული ექსპლოატაციის აუტანელი პირობები და ადამიანის პიროვნული ღირსების შელახვის ენით აუწერელი ფაქტები. ცნობილია, რომ ანანურის მაზრის რუსმა კაპიტან-ისპრავნიკმა ხელ-ფეხი შეუკრა გლეხებს, ძაღლების სალაფავისათვის განკუთვნილ ჭურჭელში შეამზადა ადამიანის გონებისათვის წარმოუდგენელი მასა, რომელშიც შედიოდა შრატი, დაკუწული კატები, ყოველივე ეს შეაზავა ადამიანის ფუნით და შეაჭამა გაბაწრულ ადამიანებს[1].

ასევე ცნობილია საქართველოს სამხედრო გზაზე მცხოვრები მთიელების მიმართ განხორციელებული არაადამიანური, საშინელი მოპყრობის მაგა-

ლითებიც, როცა „ორნი დედაკაცნი ულელში შეაბეს, მარხილნი მოუბეს და სალდათები მათრახის ცემით მიერეკებოდნენ“[2].

რადიკალურად განსხვავებულ საფუძველზე აღმოცენდა ქართველი თავადაზნაურობის პროტესტი. მათ მიმართ რუსეთის ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ იყენებდა რეპრესიების ზემოთ აღწერილ მეთოდებს და ფორმებს. მაგრამ ქართველ თავადაზნაურობას სერიოზული უკმაყოფილების მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში, ქართლ-კახეთის სამეფო გვარის წარმომადგენლები (რომლებიც წარმოუდგენლად ბევრი იყვნენ) ტახტის დაკარგვას აპროტესტებდნენ, მიაჩნდათ, რომ უკანონოდ შეილახა მათი ტახტის მემკვიდრეობის ლეგიტიმური უფლება და ისინი, რუსეთის მფარველობის პირობების დაცვით, რუსეთისაგან ქართლ-კახეთის ბაგრატიონების ქართლ-კახეთის სამეფოზე სიუზერენიტეტის აღიარებას მოითხოვდნენ. თითქმის ყველა წერილში, რომელიც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს გაეგზავნა ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრებისაგან, მათგან ყველაზე რადიკალურად განწყობილ ბატონიშვილებისაგანაც კი, აღიარებულია რუსეთის იმპერატორისადმი უსაზღვრო ერთგულება, დადასტურებულია რუსეთის მფარველობაში ყოფნის სურვილი და, ამასთან, დასმულია ერეკლეს II-ის მიერ დამტკიცებული ტახტის მემკვიდრეობის პრინციპის დაცვის საკითხი, ე.ი. ბაგრატიონებს იმჟამად თავისუფალი და დამოუკიდებელი ქართლ-კახეთი კი არ აღელვებდათ, არამედ მათ მიერ რუსეთის იმპერატორის სიუზერენიტეტის აღიარების პირობებში, ქართლ-კახეთის ტახტის ესკლუზიური ფლობის უფლება.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა იმერეთის მეფის სოლომონ II (ერეკლე II შვილიშვილის, ე.ი. ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენლის) რუსეთის იმპერატორისათვის გაგზავნილი ერთი წერილის ამონარიდიც: „შეიწყალეთ, ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფეო, სახლი მეფისა ირაკლისა, ფამილია და ძენი მისნი, უბედურებისა თვისისათვის მტირალნი...“[3]. ეს გამოსარჩლება, ეს თანადგომა აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ იმერეთის მეფე, გვარით ასევე ბაგრატიონი, ბოლომდე იბრძოლებდა თავისი ნათესავების ლეგიტიმური უფლებებისათვის და, ამასთანავე, ის ასევე ერთგულად დაიცავდა თავის ლეგიტიმურ უფლებებს იმერეთის სამეფო ტახტზე, რასაც თავის მემკვიდრეებს გადასცემდა. ეს კი ამ ორი ქართული სამეფოს გაერთიანების შესაძლებლობას ძალიან შორეულ პერსპექტივაში გადაიტანდა.

ის რომ, ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა ოჯახში უფრო აღელვებდათ ტახტზე ერეკლეს II რომელი შვილი ავიდოდა, ვიდრე ის გარემოება – რამდენად თავისუფალი ან ერთიანი იქნებოდა საქართველო, ეს შემჩნეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. როცა საუბარია ერეკლეს ოჯახის დამოკი-

დებულებაზე რუსეთის იმპერატორის მიმართ, ხაზგასმულია ისიც, თუ როგორ ცდილობდნენ ისინი რუსეთის გამოყენებას საკუთარი ვიწრო კლანური (დინასტიური) ინტერესების განსამტკიცებლად[4].

ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობისთანავე რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში შექმნა და განამტკიცა თავისი პოლიტიკური და სამხედრო ციტადელი – თბილისი. დაიწყო თბილისის ისტორიის ახალი პერიოდი, საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი, როცა ქალაქს უნდა შეეხამებინა ქართველთა ისტორიული დედაქალაქის საუკუნეებით ბოძებული და ისტორიულ ბრძოლებში განმტკიცებული ეროვნული ფუნქცია ახალ, რუსულ იმპერიულ ფუნქციასთან – ყოფილიყო რუსეთის დიდმპყრობელური ამბიციების რეალიზაციის ფორპოსტი ახლო აღმოსავლეთში. რუსეთმა თბილისში დამკვიდრების პირველსავე დღეებიდან (1803 წელს თბილისში მხოლოდ 1 რუსული ოჯახი თუ ცხოვრობდა[5]) ამ იმპერიული ამოცანის რეალიზაცია დაიწყო – ამ ამოცანის საბოლოო შედეგი უნდა ყოფილიყო **თბილისის ქართული ეროვნული საქმისაგან გაუცხოვება.**

ქართლ-კახეთის შემომტკიცებისთანავე დადგა მეორე მნიშვნელოვანი ქართული პოლიტიკური ერთეულის – იმერეთის სამეფოს ყოფნა-არყოფნის საკითხიც. ამის აუცილებლობას მეფე სოლომონ II, გარკვეულწილად, დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედება აპირობებდა, რომელიც ჯერ ერთი – მფარველობდა თავის ნათესავებს, ქართლ-კახეთის ბაგრატიონებს, რუსეთის წინააღმდეგ იარაღით მებრძოლებს აძლევდა თავშესაფარს და რუსების აზრით, ამით ინარჩუნებდა ქართლ-კახეთში დესტაბილიზაციის მუდმივ საშიშროებას, და მეორეც – ზედმეტად ენერგიულად ცდილობდა დასავლეთ საქართველოს სამთავროებზე იმერეთის დაკარგული სიუზერენიტეტის აღდგენას.

სოლომონ მეფის, თავისთავად ეს უმნიშვნელოვანესი პატრიოტული საქმიანობა წააწყდა დასავლეთ საქართველოს სამთავროების მესვეურების მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას. სამართლიანად არის მითითებული, რომ სოლომონ II „დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა. მთავართა არსებობას მხოლოდ მორჩილების პირობებით ურიგდებოდა. იგი თავის თავს უწოდებდა „ქვემოისა იევრიისა და სხუათა მეფეს"[6]. სამწუხაროდ, მისი ეს, ეროვნული კონსოლიდაციის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი საქმიანობა, განწირული აღმოჩნდა მარცხისათვის – ჯერ ერთი, დასავლეთ საქართველოს მთავრებს არ სურდათ იმერეთის სიუზერენიტეტის აღიარება, თუნდაც ეროვნული კონსოლიდაციის გულისათვისაც კი, მეორეც – სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებულ რუსეთს არ ჭირდებოდა გაძლიერებული იმერეთის სამეფო – რომელიც პოტენციაში ერთიანი და ძლიერი საქართველოს წინამორბედი შეიძლება გამხდარიყო. ამი-

ტომაც ძალიან ადვილად მოხდა ალიანსი რუსეთსა და დასავლეთ საქართველოს მთავრებს შორის იმერეთის მეფის წინააღმდეგ.

რუსეთს არ შეეძლო არ გამოეყენებინა ის მეტად რთული, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, რაც იმერეთის მეფესა და გურია-სამეგრელოს სამთავროების მესვეურთა შორის არსებობდა. გურია-სამეგრელოს მთავრები თავიანთ სამფლობელოებში დესპოტურად იქცეოდნენ, ეწეოდნენ გაუთავებელ ბრძოლებს საკუთარ თავგასულ თავადებთან და თავის სიუზერენთან – იმერეთის მეფესთან.

გურიის სამთავროში XIX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ბრძოლები ხელისუფლებისათვის ნთქავდა დამცრობილი მატერიალური რესურსების უკანასკნელ გროშებს. ადგილობრივი გლეხობა ნადგურდებოდა ფეოდალური შინაამშლილობისა და გურიის მთავრის გაუთავებელი პოლიტიკური ამბიციების გამო. პატარა გურია პოლიტიკური ვნებათა ღელვის ასპარეზი გახდა. აი, პატარა ამონარიდი საისტორიო თხზულებიდან: „ქაიხოსროს (გურიის მთავარი – ა.დ.) შინაური მტერი არ ელეოდა. განსაკუთრებით აქტიურობდა მთავრად ნამყოფი ვახტანგ ბატონიშვილი. ვახტანგი თავისი მცირეწლოვანი ძმის – ლევანის მეურვე იყო. როცა ლევანი სრულწლოვანი გახდა, ვახტანგმა მას კუთვნილი ქონება არ დაანება. ლევანი ამის გამო ვახტანგს ებრძოდა. მაშინ ვახტანგმა შეაგულიანა ლევანის აზნაური ბერეჟიანი, რომელმაც თურქთა ხელქვეითი აჭარლები გამოიყენა და ლევანის მამული ააოხრა“[7]. ფეოდალური ყოფის ტიპური სურათი: ასე იქცეოდნენ გურული ფეოდალები სამთავროს შიგნით.

აი, როგორ იქცეოდნენ ისინი იმერეთის მეფესთან ურთიერთობის დროს: „ქაიხოსროს (გურიის მთავარი – ა.დ.) სამადლობელი წერილის მიღების შემდეგ რუსეთის სარდლობამ გურიის საშინაო საქმეებში ქაიხოსროსა და მამია გურიელის მხარე დაიკავა. ამის გამო ვახტანგ და ლევან ბატონიშვილები (ადგილობრივი ბატონიშვილები – ა.დ.) ცარიზმის ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლ სოლომონ II-ს დაუკავშირდნენ და მას თურქეთთან ურთიერთობაში ხელს უწყობდნენ. ქაიხოსრო ცდილობდა ბოლო მოელო ამ ჯგუფისათვის და, როცა ხელთ იგდო ლევან ბატონიშვილის მიერ იმერეთის მეფისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც იმერეთის მეფის თურქეთთან ფარულ ურთიერთობას ადასტურებდა, მაშინვე ლიტვინოვის მეშვეობით ციციანოვს გაუგზავნა და მისი მადლობა დაიმსახურა“[8].

ესეც ფეოდალური ურთიერთობის ტიპიური ნიმუშია – აღარავის ახსოვდა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი. **ყველა საკუთარი ლეგიტიმური უფლებების დაცვას ცდილობდა.**

ამ პოლიტიკურ ვაკხანალიაში პარადოქსი კიდევ ის იყო, რომ საკმაოდ დამცრობილი ეკონომიკური რესურსების მქონე იმერეთის მეფეს თვითო-

ნაც სურდა რუსეთის მფარველობაში ყოფნა და რუსეთის მეფის უზენაესობას აღიარებდა. მან 1804 წლის 25 აპრილს სოფ. ელაზნაურში რუსეთთან მფარველობის ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა. საინტერესოა სოლომონ II მიერ რუსეთის იმპერატორისათვის შეთავაზებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი – „მეფე სოლომონის უშვილობის გამო, ტახტის მემკვიდრეობა გადაეცეს იმას, ვისაც ის ანდობს"[9].

აშკარაა, რომ მეფე იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობასა და მისი ტახტის ურღვევობაზე ზრუნავს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ის ენერგიულად იღვწოდა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე თავისი ნათესავების ლეგიტიმური უფლებების აღსადგენად, ცხადი გახდება, რომ XIX საუკუნის დასაწყისში ქართველ ბაგრატიონებს თავისი ღვთითბოძებული უფლებების დაცვა უფრო აღელვებდათ, ვიდრე ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი.

უფრო მეტი: ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ მეფის უშვილობის გამო სამი პრეტენდენტი ჰყავდა იმერეთის სამეფო ტახტს: I. ალექსანდრე ბატონიშვილი (ერეკლე II ძე), რომელმაც ამ საქმეში სათანადო აქტიურობა ვერ გამოიჩინა; II. იოანე აბაშიძე – დედის მხრიდან ბაგრატიონების შთამომავალი, რაც მის ლეგიტიმურ უფლებებს საკმაოდ ასუსტებდა; და III. ვახტანგ ბატონიშვილი – იმერეთის მეფის დავით II-ის უკანონო შვილიშვილი[10]. ტახტის პრეტენდენტების სიმრავლე აშკარად მიანიშნებს, რომ იმერეთის სამეფოში ბრძოლა ტახტისათვის, იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის პირობებში, საკმაოდ ხანრძლივი და დამქანცავი იქნებოდა და აშკარად შეაფერხებდა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს.

რა თქმა უნდა, იმერეთის მეფის, მისი ტახტის კანონიერი თუ უკანონო პრეტენდენტების სურვილები და მიზნები ნაკლებად რეალიზებადი იყო, რადგან რუსეთი რომელიც მთელი სამხრეთ კავკასიის ინკორპორირებას აპირებდა, არ დაუშვებდა იმერეთის პატარა სამეფოს მფლობელისა თუ ტახტის პრეტენდენტების ზედმეტ აქტივობას რეგიონში.

სწორედ ამიტომაც, რუსეთ-იმერეთის ხელშეკრულების ხელმოწერის მიუხედავად სოლომონ II ურთიერთობა რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებასთან სერიოზულად დაეძაბა. 1806 წელს რუსეთ-თურქეთის ახლადდაწყებული ომის დროს სოლომონმა თურქეთს დახმარება სთხოვა. იგი იმედოვნებდა, რომ დიპლომატიური მანევრებით აიძულებდა რუსეთის მთავრობას დათმობაზე წასულიყო და იმერეთის ავტონომიური სამეფოს არსებობას შერიგებოდა[11]. რა თქმა უნდა, სოლომონ მეფის ეს ქმედება რუსეთის დიპლომატიისა და რუსული პოლიტიკური სამზარეულოს არცოდნას ეფუძნე-

ბოდა. მისმა ასეთმა დამოუკიდებელმა ნაბიჯმა განარისხა რუსეთის ხელისუფლება, როგორც ცენტრში, ისე ადგილზე. სოლომონის ბედი გადაწყვეტილი იყო – 1810 წლის 20 თებერვალს რუსეთმა იმერეთში გაავრცელა პროკლამაცია სოლომონ II ტახტიდან გადაყენების შესახებ. ხოლო 1810 წლის 13 აპრილს რუსი გენერალი ტორმასოვი ამაყი ტონით აცნობებდა პეტერბურგში „იმერეთი. ამ ქვეყნის ყველა ციხე-სიმაგრე დავიკავეთ ერთ თვეში. იმერეთის თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ხალხი – სულ 40 ათასი კომლი, დაფიცებულია რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე. ურჩი ვასალი მეფე სოლომონ II დატყვევებულია, გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას. იმერეთის გადაქცევას იმპერიის პროვინციად“[12].

ამრიგად, რუსეთმა საქართველოში წერტილი დაუსვა ქართველი ბაგრატიონების იმედებსა და გეგმებს და 1810 წლისათვის ფაქტობრივად, რუსული ჩექმის დახმარებით, სამივე ქართული სამეფო გააერთიანა. ბაგრატიონების ათასწლოვანი მეფობა საქართველოში დასრულდა. ამის შემდეგ, როგორც იტყვიან, უკვე „ტექნიკის საქმე“ იყო დარჩენილი. ლეგალური სამთავროების (გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, სვანეთის) ხელისუფალნი უკვე თვითონ ეძებდნენ რუსეთის მფარველობასა და კეთილგანწყობას.

თავდაპირველად რუსეთის მფარველობაში სამეგრელოს მთავარი – გრიგოლ დადიანი შევიდა (1804 წ.) და ამ ნაბიჯით მან საკმაოდ დიდხანს – 1857 წლამდე უზრუნველყო სამეგრელოში დადიანების მმართველობა.

1809 წელს გურიის ახალმა მთავარმა მამია გურიელმა სთხოვა რუსეთის იმპერატორს ქვეშევრდომობა. გაფორმებულ ხელშეკრულებაში მთავარი პუნქტი იყო „გურიის სამთავროში დარჩება მთავრის მემკვიდრეობითი ხელისუფლება“[13].

სამეგრელოს მთავარსაც, სვანეთისა და აფხაზეთის მთავრებსაც, პირველ რიგში აღელვებდათ საკუთარი დინასტიური პრობლემები, მათი მემკვიდრეების მომავალი და რუსეთისაგან თავისი შვილებისა და შვილიშვილების ლეგიტიმური უფლებების დაცვას ითხოვდნენ. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლება ყველა მათგანს იმედით აღავსებდა და ასეთი მფარველობითი (ანუ ავტონომიური უფლებებით გაჯერებული) ხელშეკრულება საქართველოს ყველა მთავართან გააფორმა.

მაგრამ რუსეთი, როგორც ყოველთვის, ნაკლებად ფიქრობდა ხელშეკრულების პირობების დაცვაზე და ვერ იტანდა მოწილე-თანამონაწილეს მბრძანებლობის ექსკლუზიურ საქმეში. ამიტომაც საქართველოს სამთავროების საშინაო პრობლემებში ჩარევით ადგილობრივ ხელისუფალთ თავი შეაბეზრა.

დაძაბულობამ რუსეთსა და გურიის მთავარს შორის კულმინაციას მიაღწია მამია გურიელის გარდაცვალებისა და მისი მეუღლის – სოფიო გურიელის ტახტზე ასვლის შემდეგ. როგორც ამტკიცებენ: „რუსეთის მთავარსარდლობამ სოფიო გურიელის უფლებები მეტად შეზღუდა და ამით აგრძნობინა, რომ მისი ხელისუფლება მალე უნდა გაუქმებულიყო. სოფიოსა და რუსეთის მმართველობას შორის კონფლიქტის გაღრმავებას ხელს უწყობდა სამთავროს ფეოდალებს შორის შუღლის გამწვავებაც“[14].

ამრიგად, რუსეთის ერთგულ მოკავშირედ საქართველოში ფეოდალური პარტიკულარიზმი აღმოჩნდა – ფეოდალური კინკლაობა და უროიერთქიშპი აკნინებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესაძლებლობებს, ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს, ასუსტებდა ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე და ამიტომაც ქართული სამთავროები ერთმანეთის მიყოლებით გადადიოდნენ რუსეთის თვითმპყრობელობის ხელში.

1829 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით გურიაში ადგილობრივი მთავრის ხელისუფლება გაუქმდა და გურია უშუალოდ შეეიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ჯერი შემდეგ სამეგრელოზე მიდგა.

1857 წელს სამეგრელოში დიდი ანტიფეოდალური აჯანყება დაიწყო, რომელსაც სამთავროში არსებული გლეხთა მძიმე სოციალური ვითარება აპირობებდა. რუსეთის ადგილობრივი ხელისუფალის აზრით: „სამეგრელოს აჯანყების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის უვარგისობა არის და სთხოვდა (რუსეთის იმპერატორს – ა.დ.) მისთვის ნება დაერთოთ გარემოების შესაფერისად ემოქმედა, ანგარიში არ გაეწია მფარველობითი პუნქტებისათვის, რომლის საფუძველზე არსებობდა სამეგრელოს ავტონომია“[15].

რუსეთის იმპერატორმა თავისი ერთგული ვასალის – დადიანების უფლებამოსილება შეწყვიტა, დედოფალი ეკატერინე დადიანი–ჭავჭავაძისა ოჯახითურთ სანკტ-პეტერბურგში გაიწვია და სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გააერთიანა.

სვანეთის პატარა სამთავროს შემოერთება რუსეთმა მხოლოდ 1857 წლის 24 ოქტომბრის ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ შეძლო. იმ დღეს სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გაგარინი მოკლა მისი პიროვნული შეურაცხყოფისა და მისი სამთავროს მიტაცების რუსული გეგმის რეალიზაციისათვის.

დასავლეთ საქართველოს გაუქმებული სამთავროები რუსეთმა ქუთაისის გუბერნიაში გააერთიანა.

ამრიგად, ქართული სამეფო-სამთავროების ტერიტორიული კონსოლიდაცია, ფაქტობრივად რუსეთის სკიპტრის ქვეშ, ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ.

§ 2. – მესხეთ-ჯავახეთის შემოერთება

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა და დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა საქართველოს იმ ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებას, რომლის მოსახლეობა საუკუნეთა მანძილზე სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში რჯულშეცვლილი და ერთიანი საქართველოსაგან გაუცხოებული, ახლა უკვე ეჭვის თვალით უყურებდა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებს და რუსეთის სამხედრო წინსვლას თავისთვის სერიოზულ საფრთხედ აღიქვამდა.

საქართველოს ისტორიული მტრების – ერანისა და თურქეთის მიმართ რუსეთის იმპერიას თავისი შორსგამიზნული ამოცანები ჰქონდა და სამხრეთ კავკასიაში მათთან ხანგძლივ და უკომპრომისო დაპირისპირებას გეგმავდა. რუსეთის პერმანენტული ლტოლვა „თბილი ზღვებისაკენ“ ერანისა და თურქეთის გეოსტრატეგიულ-ინტერესებს მკვეთრად უპირისპირდებოდა. ეს დაპირისპირება განსაკუთრებით საცნაური გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოში ფეხი მოიმაგრა და აშკარად გამოიკვეთა ისტორიული საქართველოს მიწების შემომტკიცების პერსპექტივა. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის სამხედრო დაპირისპირებები, უწყვეტი კასკადით, არყევდა სამხრეთ კავკასიას და ძალიან მალე აშკარა გახდა, რომ ამ ომებში რუსეთი იმარჯვებდა.

საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ სამხედრო ოპერაციებს, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს წინააღმდეგ თურქეთის აგრესიის ციტადელის – ახალციხის საფაშოს ინკორპორირებას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. როგორც აღინიშნა, საუკუნეების მანძილზე, საქართველოს ეს ყოფილი ისტორიული მხარე, ცენტრი ქართული სულიერებისა და მაღალი მატერიალური კულტურისა, გადაიქცა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ფორპოსტად. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ახალციხის შემოერთება რეალური გახდა. რუსების გვერდით აქტიურად იბრძოდნენ ქართველი მოლაშქრეებიც, რომლებიც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ[16].

ახალციხის საფაშოს დაპყრობა ახალქალაქის ციხის ოპერაციის განხორციელების შემდეგ გახდა შესაძლებელი. აი, რას მოგვითხრობენ ისტორიკოსები ამ ბრძოლის შესახებ: „ახალქალაქის ბრძოლა ნიმუშია ფანატიზმისა. გარნიზონი ფაქტიურად ქართველი მაჰმადიანებისაგან შედგებოდა,

რომელსაც მეთაურობდა ფარხად-ბეგ ხიმშიაშვილი. გარნიზონში მაჰმადიანური პროპაგანდისა და ფანატიზმის ძალა ისე დიდი იყო, რომ 23 ივლისს, საღამოს მეომრები ერთიმეორეს ფიცს აძლევდნენ რომ მომკვდარიყვნენ იარაღით ხელში ალაჰის სახელისათვის. 24 ივლისს, ირიჟრაჟა თუ არა, მინარეთიდან გაისმა აზანი და ციხეში დაიწყო საერთო სიმღერა ყურანის სიტყვებზე, რომელიც ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა"[17].

1828 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარებმა ახალციხეს შეუტიეს. რუსების გვერდით აქ იბრძოდა ქართული მილიცია, ქართველ გრენადერთა პოლკი და სხვა ქართული სამხედრო შენაერთები. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ქართველმა მებრძოლებმა: პოდპორუჩიკმა ვაჩნაძემ, პროპორშჩიკმა ბეჟანიშვილმა, პოდპოლკოვნიკმა ანდრონიკაშვილმა, იასონ, სპირიდონ, რომან ჭავჭავაძეებმა და სხვებმა. თურქების მხარეზეც ბევრი მაჰმადიანი ქართველი (ხიმშიაშვილები, ფალავანდიშვილები და სხვ.) იბრძოდა და თავი შეწირა კიდეც ამ ომს.

ომის წარმოების შემზარავი მეთოდების გამოყენებით გრაფმა პასკევიჩმა, რომელმაც ფაქტობრივად ახალციხის მოსახლეობა – მოხუცები, ქალები და ბავშვებიც კი ცეცხლში გამოწვა, ქალაქის უდიდესი ნაწილი გადაბუგა, თურქეთის საფაშო რუსეთის იმპერიას დაუქვემდებარა. როგორც თვითმხილველები გადმოგვცემენ, მარტო ქალაქის ქუჩებში მოაგროვეს და დაასაფლავეს 3000 ახალციხელი, მათ შორის 100-ზე მეტი კაცის ტანსაცმელში გადაცმული ახალციხელი მებრძოლი ქალი[18].

აი, როგორ ფასდება ახალციხის შემოერთება ქართულ ისტორიოგრაფიაში: „1828 წ. აგვისტოში საბოლოოდ მოიშალა ახალციხის საფაშოს ტახტი. ამ ტახტმა საუკუნეების მანძილზე აწამა საქართველო. მას 600 წლის განმავლობაში ჯაყელთა გეარი ფლობდა. ეს ტახტი ჯერ მუნაპირეობდა, შემდეგ მონღოლთა კალთა გადაიფარა და ულუსიანი გახდა, მერე საათაბაგოდ იქცა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას დაუპირისპირდა. სულ იბრძოდა, სულ განკერძოებას მიელტვოდა და შედეგად XVII საუკუნეში თურქთა მონობა მოიმკო. თურქებმა ამაყი ფეოდალები გატეხეს, მაჰმადიანობა მიაღებინეს და თავიანთ მოხელეებად (ფაშებად) აქციეს. ჯაყელთა მოდგმის გადაგვარებული შთამომავლები ბოლო ხანებშიც განკერძოებისათვის იბრძოდნენ, მაგრამ მათი ეს ბრძოლა განწირული იყო იმთავითვე, რადგან იგი შორს იდგა ყოველგვარი ეროვნულ-სოციალური პოზიციებიდან და მხოლოდ საკუთარ ფეოდალურ სურვილებს იყო აყოლილი."[19]

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ომში გამარჯვებული ქრისტიანი რუსეთის მიმართ პანიკურმა შიშმა აიძულა ახალციხის მაჰმადიანური მოსახლეობის უმრავლესობა სასწრაფოდ გასცლოდა მშობლიურ კუთხეს. სწორედ ამის

მიზეზი იყო, რომ ქალაქ ახალციხის აღების შემდეგ, მეხუთე წელს ცნობილ ფრანგ მოგზაურს ფრედერიკ დიუბუა მონპერეს მოსახლეობის ეთნიკური სურათი რადიკალურად განსხვავებული დაუხვდა. მისი ცნობით ქალაქში ცხოვრობდა: ბერძნული წესის ქრისტიანი ქართველი – 44 კომლი, რომაელი კათოლიკე – 385 კომლი, სომეხი – 26 კომლი, ებრაელი – 117 კომლი, მუსლიმი – 24 კომლი. სამაგიეროდ უკვე ძალიან ბევრი იყო თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობა – 1542 კომლი[20]. ეს მოსახლეობა გენერალ პასკევიჩის აშკარა ხელშეწყობით და რუსეთის იმპერატორის სურვილით ჩამოსახლდა საქართველოს ისტორიულ მიწაზე, ისე, რომ ქართველი ხალხისთვის არავის არაფერი უკითხავს.

დაპყრობილ ტერიტორიაზე შეიქმნა „ახალციხის საფაშოს დროებითი მმართველობა“, მოგვიანებით ის გარდაიქმნა ახალციხის მაზრად, რომელიც აბასთუმნის, ხერთვისისა და ახალქალაქის უბნებად დაიყო. როგორც ამტკიცებენ, ახლადშემოერთებულ სანჯაყებში 60-65 ათასი სული ცხოვრობდა. ამათგან 25-30 ათასი თურქეთიდან მიგრირებული სომეხი იყო. იმასაც მიუთითებენ, რომ ამავე ხანებში სამცხე-ჯავახეთში 6 ათასამდე არაქართველი მუსლიმანი და 26 ათასი გამაჰმადიანებული ქართველი ცხოვრობდა[21].

ამრიგად, რუსეთის იმპერიას შემოუერთდა ისტორიული სამცხე-ჯავახეთი, უპირატესად მაჰმადიანი მოსახლეობით, რომლებიც წარსულში ქრისტიანები იყვნენ და ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ქართული სახელმწიფოებრიობას ინტერესებს ემსახურებოდნენ. ახლა კი რჯულშეცვლილი და საქართველოსაგან გაუცხოებული ახალციხის მუსლიმური თემის ძირითად საფუძველს ქმნიდნენ. თუ გავითვალისწინებთ როგორი ფანატიზმით და რელიგიური გრძნობების მხურვალებით გამოირჩეოდნენ აქაური ქართველი მაჰმადიანები, ადვილი მისახვედრია რა პრობლემების დაძლევა დასჭირდებოდა ნებისმიერ ქართველ მამულიშვილს, ვინც ამ რეგიონში ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის ხელშეწყობას მოისურვებდა.

§ 3. – აჭარისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის შემოერთება

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის განსაკუთრებული დაძაბვა, როგორც აღინიშნა, გამოიწვია რუსეთის ლტოლვამ „თბილი ზღვებისა და ოკეანეებისაკენ“, რომელსაც, ჰქონდა შორს გამიზნული იმპერიული, გეო-სტრატეგიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა – ამ პერიოდში შავი ზღვა – ფაქტობრივად თურქეთის „შიდა ტბად“ ითვლებოდა, ხოლო ბრწყინვალე პორტა ამ ზღვასა და სტრატეგიუ-

ლად მნიშვნელოვან სრუტეებს (ბოსფორს, დარდანელს) მკაცრად აკონტროლებდა.

საქართველო, თავისი ძლიერების პერიოდში, შავი ზღვის თითქმის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროს ფლობდა. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, XIX საუკუნის დასაწყისში ქართველები მხოლოდ სამეგრელოს ტერიტორიაზე მიმდებარე მცირე აკვატორიას აკონტროლებდნენ მხოლოდ. ყველაზე უფრო ხელსაყრელი სტრატეგიული პუნქტები: ბათუმი, ფოთი – თურქეთის მფლობელობაში იყო და აქ თურქული გარნიზონები იყო ჩაყენებული. ფოთი ხომ საერთოდ კავკასიელი ტყეების სტამბოლის ბაზარზე ტრანზიტის მთავარი ცენტრი იყო – ე.წ. „კრაზანების ბუდე“.

მესხეთ-ჯავახეთის წარმატებით შემოერთების შემდეგ რუსეთის არმიამ შეძლო ფოთის აკვატორიის გაკონტროლებაც (1929 წ. ანდრიანოპოლის ზავის საფუძველზე), მაგრამ თურქები კვლავ მძლავრად გრძნობდნენ თავს აჭარაში, ტაო-კლარჯეთში – ისტორიული საქართველოს განუყოფელ კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკურ ცენტრში. თურქეთის 300 წლიანმა ბატონობამ, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, თავისი ზეგავლენა დაატყო ამ ტერიტორიებსა და მის მოსახლეობას.

ქართველი ისტორიკოსები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ „აჭარაში თურქთა ბატონობით შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა იგი რამდენადმე მოსწყვიტა დედა-საქართველოს, ამან გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის კარჩაკეტილი ყოფა-ცხოვრება, ცხოვრების თავისებურება კი მათში სპეციფიკური ხასიათით და თავისებურებით გამოიხატება“[22].

ეს თავისებურება, რა თქმა უნდა, პირველ რიგში რელიგიურ აღმსარებლობაში ვლინდებოდა, რომელიც ადგილობრივი მუსლიმანისათვის პიროვნული არსებობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. როგორც არაერთხელ აღინიშნა, იმ პერიოდში მაჰმადიანისათვის რელიგიურობა ნაციონალობის ტოლფასი იყო და ამ ფაქტორის იგნორირება არ შეიძლება. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „ოსმალეთის იმპერიაში სოციალური, სოციალურ-პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების საფუძვლად ედო ისლამური მოძღვრება, რომელიც აჩქარებდა ქართველების ეროვნულ გადაშენებას“[23].

სრულიად სამართლიანია და გასათვალისწინებელიც არის დ. ბაქრაძის შემდეგი შენიშვნა: „სიტყვა „ქართველი“ აჭარის მცხოვრებთათვის უცნობია და ისინი თავის თავს მხოლოდ აჭარლებს ეძახიან, ხოლო თავის ენას – გურჯის ენას.. არ შეიძლება არ შეამჩნიოთ, რომ აჭარლების შეგნება მათ გვარტომობაზე მეტისმეტად აბნეულია ისლამის გავლენით. შეხედულება ამ საკითხზე, ისე როგორც ბევრ სხვა საკითხზე, სარწმუნოების თვალსაზრისიდან გამომდინარეობს“.

მუსლიმური რელიგიის წარმომადგენლები: მოლები, ხოჯები მნიშვნელოვნად განსაზღვრავდნენ აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, პრაქტიკულ საქმიანობას, პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებებს, სიმპათიებსა და ანტიპათიებს.

აქედან გამომდინარე ცოტა გადაჭარბებულად გვეჩვენება ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის განცხადება: „დედა საქართველოს წიაღში დაბრუნებაზე მუსლიმი ქართველებიც ოცნებობდნენ"[24]. „აჭარლები ხსნას სამშობლოსაგან, საქართველოსგან მოელოდნენ... აჭარის მოსახლეობამ მიუხედავად თურქთა სამი საუკუნის ბატონობისა, მაინც შეინარჩუნა ქართული ზნე-ჩვეულებანი"[25].

ჩვენი აზრით, ამ კონტექსტში ალბათ შეიძლება საუბარი მხოლოდ აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე, აჭარის თავადაზნაურობის ზოგიერთ წარმომადგენელზე, რომელთაც ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა ერთიანი საქართველოსადმი კუთვნილების ხსოვნა. XIX საუკუნის შუა ხანებში საქართველო – დამოუკიდებელი, ერთიანი სახელმწიფო ფაქტობრივად უკვე აღარ არსებობდა და დამოუკიდებლად ის ვერც ვერავის დაეხმარებოდა და ვერც თურქეთის დასუსტებული იმპერიის შემადგენლობიდან მაჰმადიან თანამოძმეებს ვერ გამოიხსნიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალურად განსხვავებული შეხედულება აქვთ თანამედროვე თურქ ისტორიკოსებს, რომლებიც თვლიან, რომ იმჟამად აჭარასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხში მუდამ იყო ლტოლვა სამშობლოსკენ, ცოცხლობდა თურქეთთან მარადიული ყოფნის იდეა და „ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთისაგან მოწყვეტას"[26].

მიგვაჩნია, რომ სადავო ნამდვილად არ არის, ამას დოკუმენტური წყაროები და ჩვენს მიერ ზემოთ უკვე მოხმობილი მემედ აბაშიძის ცნობილი წერილიც ადასტურებენ, რომ აჭარასა და ტაო-კლარჯეთში მუსლიმანური რელიგიის ზეგავლენის შედეგად ქართველ მაჰმადიანების მნიშვნელოვან ნაწილში შეიმჩნეოდა პროთურქული განწყობილება.

რუსეთის იმპერიას ნაკლებად აინტერესებდა აჭარის მოსახლეობის სიმპათიები და ანტიპათიები. მისი გეოსტრატეგიული ინტერესები მოითხოვდა შავი ზღვის სრუტეებზე გასასვლელების ხელში ჩაგდებას, თურქეთის სახელმწიფოს განადგურებას და მისი გავლენის სფეროების მკვეთრად შემცირებას როგორც ევროპაში, ისე ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კავკასიაში, რუსეთის სამფლობელოების აწ უკვე მიმდებარე ტერიტორიებზე.

რუსეთმა XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის შეძლო სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების რადიკალური გარდაქმნის საფუძველზე მნიშვნელოვა-

ნი სოციალურ-ეკონომიკური წარმატებების მიღწევა და ევროპაში უკვე სამხედრო ძლიერებითაც გამოირჩეოდა. ალექსანდრე II-მ ჩინებულად გამოიყენა ბალკანეთის სლავი ხალხის ანტითურქული განმათავისუფლებელი მოძრაობა და „ერთმორწმუნე სლავი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე“ (რუსეთის მმართველი ელიტის მარადიული და საყვარელი ლოზუნგი თავისი აგრესიული ინტერესების შესანიღბად ყველა დროსა და ყველა ეპოქაში) თურქეთთან სერიოზული სამხედრო კონფლიქტისათვის მოემზადა.

რუსებს ამ საქმეში ქართველებიც გვერდში დაუდგნენ. გაჩნდა „თურქეთის საქართველოს“ დაბრუნებისა, და თუნდაც რუსეთის იმპერიის ფარგლებში, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების გაერთიანების იმედი. იმხანად ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ს. მესხი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ, იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომლებიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი) ჩვენ შემოგვიერთონ“[27].

სერგი მესხის ეს პატრიოტული აღტაცება დამახასიათებელი იყო იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრისათვის. პერიოდულ პრესაში, პირად საუბრებში საქართველოს ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაზე. მათ კარგად ახსოვდათ რუსეთის მესხეთ-ჯავახეთში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შედეგები – ახალციხე, ახალქალაქის დაბრუნება, ფოთის შემოერთება და იმედოვნებდნენ, რომ აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მაჰმადიანი ქართველები შემოუერთდებოდნენ ქრისტიან ძმებს.

ქართველ ინტელიგენტებს ისიც კარგად ახსოვდათ, რომ რუსეთის იმპერატორმა ერეკლე II-სთან 1783 წელს გეორგიევსკში გაფორმებული ხელშეკრულებით ივალდებულა ისტორიული ქართული მიწების ქართველი ხალხისათვის დაბრუნება. სწორედ ამიტომაც სრულიად საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ანტითურქულ მზადებას არა მარტო გაგებით მოეკიდა, არამედ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში.

თუმცა თვითონ ალექსანდრე II-ს ომის გამოცხადების ოფიციალურ მანიფესტში ერთი სიტყვაც არ უთქვამს ისტორიული საქართველოს მიწების დაბრუნებასთან დაკავშირებით[28]. მანიფესტის უდიდესი ნაწილი მან სლავი ხალხის ანტითურქულ ბრძოლას და ამ ბრძოლისადმი რუსეთის სახელმწიფოს მხარდაჭერას მიუძღვნა. თავის ოფიციალურ გამოსვლებში საქართველოს ისტორიული მიწების შემოერთების ამოცანებს ომის დასაწყისში არ შეხებიან არც კავკასიის მეფისნაცვალი – დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, არც კავკასიის არმიის მთავარსარდალი და კავკასიის ფრონტის უშუალო ხელმძღვანელი.

პარადოქსია, მაშინ, როცა ქართულენოვანი გაზეთები სავსე იყო სტატიებით, რომლებიც ხაზს უსვამდნენ, რომ მიმდინარე ომი, გარკვეულწილად, საქართველოს ისტორიული მიწებისა და მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის დაბრუნებასაც ითვალისწინებდა, მეფის რუსეთის ოფიციოზი გაზეთი „კავკაზი“ სიტყვას არ ძრავდა ამ მნიშვნელოვანი საკითხის გასაშუქებლად.

თბილისის რუსული და ქართული პერიოდიკის ასეთი რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ რუსეთის ხელისუფლება აშკარად ხელს არ უშლიდა ქართველებს თავისი გაზეთების ფურცლებზე გაეწიათ მგზნებარე პროპაგანდა თანამემამულეებისათვის, რომ მათ რუსეთ-თურქეთის ომში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ, თუნდაც საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებისა და მაჰმადიანი ქართველების ეროვნულ ორგანიზმში შემომტკიცების მიზნით.

ამის პარალელურად, რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება, რომელიც აშკარად არ აფიშირებდა საქართველოს ისტორიული მიწების შემოერთების პრობლემას, თავისი ოფიციოზის საშუალებით, აშკარად მიანიშნებდა ყველას, რომ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი და განუყოფელი რუსეთის ინტერესებს ემსახურებოდა და სხვა დანარჩენი მიზანი, იმედი ან მოსაზრება – მხოლოდ ჰიპოტეტური და ადგილობრივი მნიშვნელობის შეიძლება ყოფილიყო, რომელსაც რუსეთის ოფიციოზი სერიოზულად არ აღიქვამდა.

სწორედ ამიტომაც, გაზეთ „კავკაზს“ და მის მესვეურებს უფრო აღელვებდათ ის გარემოება, რომ თბილისელი ბიზნესმენები არ წააგავდნენ რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქების კაპიტალისტებს და მათ უხვი შესაწირით არ გაამდიდრეს სახელმწიფო ხაზინა. გაზეთის გვერდებზე დაიბეჭდა სტატია რუსული პატრიოტიზმის აქტივობის შესახებ იმპერიის სხვა ქალაქებში. საყურადღებოა, რომ წერილის ავტორი სვამს რიტორიკულ შეკითხვას „სად არიან ჩვენი თბილისელი კაპიტალისტები, ბანკირები, ხაზინის მსხვილი მოიჯარადრეები, ვაჭრები? სად არიან ჩვენი მირზოევები, თამამშევები, ალილოევები, იზმიროვები, ბარუთჩევები, აკიმოვები, არწრუნები, ანანოვები, ცოვიანოვები, მანთაშოვები, პიტოევები, მიკირტიჩიანცები, აბოეიანცები და სხვები – ... იქნებ მათ არც გაუგიათ მანიფესტი?“[29]

თბილისელი სომეხი კაპიტალისტებისაგან განსხვავებით ძლიერ აქტიურობდნენ საქართველოს ქალაქები და სოფლები. სრულიად საქართველოს კარგად ესმოდა ისტორიული ტერიტორიებისა და მისი მოსახლეობის შემოერთების დიდი მნიშვნელობა, თუნდაც რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ამ აქტიურობაზე მიანიშნებს კონკრეტული ფაქტები: მანგლისის მოსახლე-

ობამ ომის საჭიროებისათვის გამოყო 600 მანეთი, დუშეთის მოსახლეობამ 700 არშინი გააგზავნა ფრონტზე[30]. ოზურგეთელებმა 800 მანეთი შეაგროვეს. საქველმოქმედო კონცერტებმა ფრონტის საჭიროებას მარტო თბილისში 7 ათასი, ხოლო ქუთაისში 10 ათასი მანეთი მოუტანა[31]. იყო სხვა შეწირულობებიც. ქართველ ქალებს შორის გავრცელდა მოძრაობა მოწყალების დების რიგების შესავსებად. ქუთაისელი ქალები გამოთქვამდნენ სურვილს მოწყალების დების რიგებში ჩასაწერად და ა.შ.[32].

უფრო აქტიურობდნენ ქართველი ვაჟკაცები. სხვადასხვა წყაროს მონაცემებით რუსეთ-თურქეთის ომის კავკასიის ფრონტზე დაახლოებით 30 ათასი ქართველი მილიციელი იბრძოდა. მათ შორის საქართველოს სხვადასხვა კუთხის – იმერეთის, ქართლის, შიდა ქართლის, სამეგრელოს წარმომადგენლები. განსაკუთრებით კი ეს შესამჩნევი იყო კავკასიის ფრონტზე. მარტო გურულებმა დააკომპლექტეს 12 საბრძოლო შენაერთი. მოხალისეები იყვნენ: გურიის ხიდისთავიდან, სურებიდან, ბახვიდან, ჩოხატაურიდან, შემოქმედიდან, ლიახურიდან და სხვა დაბა-სოფლებიდან.

როცა რუსეთის ხელისუფლებას დასჭირდა, პროპაგანდის მიზნით გაიხსენეს „საქართველოს ისტორიული ტერიტორიებიც“. მკვლევარი შ. მეგრელაძე თავის მონოგრაფიაში აქვეყნებს რუსეთის კავკასიის არმიის სარდლის მოწოდებას ადგილობრივი აჭარის მოსახლეობისადმი, რომელშიც ნათქვამია: „რუსეთის ჯარის ყოფნამ თქვენ ქვეყანაში უნდა მოსპოს ერთმანეთს შორის არსებული მტრობა – სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვაახლოვოს ჩვენ თქვენთან, ჰოი, ძენნო კეთილშობილის ქართველის ტომისანნო“[33].

ქართულ ისტორიოგრაფიაში დაფიქსირებულია რუსი გენერლის ოკლობჟიოს მიმართვაც მებრძოლებისადმი ომის დაწყების წინ: „დაე გახსოვდეთ, რომ თქვენ წინ გადაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის ათასობით მილიციელი და მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას და საერთო მტერს ებრძვის“.[34]

როგორც ჩანს, ეს მოწოდება თბილისის ოფიციალურ პრესაში არ გამოქვეყნდა, ჩვენ არ ვიცით რა ენაზე იყო დაწერილი ეს მოწოდება – ქართულად, რუსულად თუ თურქულად. რუსეთის ოფიციალური პრესა ისტორიული ქართული ტერიტორიების შესახებ საკმაოდ გვიან „ალაპარაკდა“ – გაზეთ „კავკაზის“ 1877 წლის 30 იელისის პუბლიკაციაში „წერილები ოზურგეთიდან“, რომელიც ახლადდაპყრობილი ქობულეთის მოსახლეობის შესახებ ინფორმაციას შეიცავდა, ნათქვამი იყო შემდეგი: „ქობულეთელები პირველ რიგში გურულები არიან, ქართველი ტომის შვილები. ქობულეთელები ისეთივე მოკრძალებული, მხიარულნი, სტუმართმოყვარე არიან, როგორც ყოველი გურული, იმერელი ან კახელი“.

რა თქმა უნდა, ფრონტის ამბებს და ისტორიული საქართველოს მიწების რუსი და ქართული ჯარის მიერ დაკავების ფაქტებს კიდევ უფრო დიდი ენთუზიაზმით თბილისისა და ქუთაისის ქართულენოვანი გაზეთები ეხმაურებოდნენ – ქართველების მხრიდან მაღალი საბრძოლო შემართების უამრავი მაგალითი იყო ცნობილი: 16 მაისს პოლკოვნიკ მუსხელიშვილის სარტილერიო დივიზიონის ზალპით რუსეთის საჯარისო ფორმირებებმა დაიწყეს საერიო შუტევა. ელიზავეტპოლის პოლკმა თავადი ამირეჯიბის მეთაურობით, გმირული ბრძოლებში გაანადგურა მტრის ბანაკი ჰელიაეერდის მთაზე და გზა გაუხსნა შემტევ ძალებს ქალაქისაკენ.[35]

გაზეთი „კავკაზი“ იუწყებოდა მდინარე ზივინთან ბრძოლაში ქართველების განსაკუთრებული საბრძოლო შემართების შესახებ. ქართველ კავალერისტებს თავადი ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა[36]. ბრძოლაში მარჯვენა ფლანგიდან თურქებს სამეგრელოს პოლკი უტევდა, ქართული გრენადერების თბილისის პოლკი კი მოწინააღმდეგის ცენტრალურ პოზიციებს ავიწროვებდა.

რუსეთ-თურქეთის სამხედრო ოპერაციებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქართველმა მხედართუფროსებმა დარისპან მიქელაძემ, გიორგი ღლონტმა, დავით გურიელმა, გიორგი გუგუნავამ და სხვებმა.

როგორც ადრეული ეპოქებში, იმჟამადაც და მომდევნო ხანებშიც – ფრონტის სხვადასხვა მხარეს ერთმანეთს დაპირისპირებული ქართველები იდგნენ. ქობულეთში ოსმან და ალი ფაშა თავდგირიძეებმა ძლიერი სამხედრო რაზმი შექმნეს, რომელიც თურქეთისა და ბრწყინვალე ფადიშაჰის ინტერესებისათვის იბრძოდა. ჩაქვში გამოირჩეოდა ხუსეინ ბეჟანიძის მებრძოლი რაზმი, რომელმაც არა ერთხელ გაამწარა რუსი სამხედროები ხელჩართული ბრძოლებში. ქართული ისტორიოგრაფიაც მიუთითებს, რომ „აქაური პრივილეგირებული წოდების ზოგიერთი წარმომადგენელი ბოლომდე ერთგული დარჩა სულთანის მთავრობის“[37]. ამას ხსნიან შემდეგი გარემოებით „ოსმალეთის მთავრობა მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველების დაპირისპირების, რუსეთის არმიის სიძულვილისა და მტრობის გაღვივების მიზნით ყველა ღონეს მიმართავდა: შანტაჟს, მოსყიდვას, იდეოლოგიურ დამუშავებას, ძალადობას“[38].

თურქი ავტორები კი გვიმტკიცებენ, რომ რუსეთ-თურქეთის ომის ტრაგიკული შედეგების გამო „აქ მცხოვრები მოსახლეობის ტყვეობიდან განთავისუფლებამ და შემდეგში მხარის ბრძოლამ სამშობლოსთან (ე.ი. თურქეთთან – ა.დ.) შეერთებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა“[39].

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ თურქ ისტორიკოსებს – მაჰმადიანური რელიგიის ზეგავლენა, ქრისტიანული რუსეთისადმი შიში – გაქრისტიანების შიში, ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ – ფანატიკურ ნაწილს შეუ-

რიგებელ მებრძოლებად ხდიდა. მათ ბევრი არაფერი იცოდნენ ერთიანი ისტორიული საქართველოს შესახებ, არც თამარ მეფე და შოთა რუსთაველი გაეგოთ, მათ არც ისტორიული საქართველოს აღდგენის პერსპექტივა აღელვებდათ მაინცდამაინც.

მაგრამ იყვნენ ქართველ ძმებთან გაერთიანების მხურვალე მომხრეებიც. ისინი, მართლაც, უკვე დიდი ხანი ატარებდნენ ამ სურვილს და მათი ეს განწყობილება საჯაროდ დააფიქსირა 1878 წლის 17 აგვისტოს ქობულეთში რუსეთის ჯარის შესვლის წინ ქართველმა პატრიოტმა, ქობულეთელმა გულო კაიკაციშვილმა: „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო, ბიძაშვილებო. თქვენი ჭირიმე, თქვენი. ემადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატერა შესრულდა. ღმერთმა შეგვაერთა“[40].

გულით ნათქვამი სიტყვებია.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა, უფრო ზუსტი ვიქნებით, თუ ვიტყვით – ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებებმა: ყარსი, ბაიაზეთი, ერზრუმი, ალაშკერტი, კოლა-არტაანი, შავშეთ-იმერხევი, არტანუჯი, ოლთისი, ტაოსკარი, მაჭახელა, ლაზისტანის ნაწილი, აჭარა-ბათუმ-ქობულეთი, მილიარდიანი კონტრიბუციის ნაცვლად, რუსეთის იმპერიას გადასცა.

§ 4. – აფხაზეთის დაპყრობა

აფხაზეთი რუსეთისათვის სერიოზული პრობლემა აღმოჩნდა: გიორგი შარვაშიძესთან მფარველობითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (1810 წ.) ადგილობრივი მთავარი მუდამ ჭირვეულობას იჩენდა, ვერ ელეოდა თავის სუვერენულ უფლებებს და რუსეთის ზედმეტი ჩარევა სამთავროს საშინაო თუ საგარეო საქმეებში სერიოზულად აღიზიანებდა. რეგიონში ზოგადპოლიტიკური ვითარებაც არ იყო ერთგვაროვანი – ეკონომიკურად სუსტი, პოლიკონფესიური, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამთავროს მეთაურს უნდა საბოლოოდ განესაზღვრა თავისი სამთავროს პოლიტიკური განვითარების ვექტორი. ქრისტიანი ქართველი (მეგრელი) მოსახლეობით დასახლებული სამხრეთი, მაჰმადიანური ცენტრი და წარმართობას შეპარული მთიანეთი აშკარად ძნელი სამართავი ხდებოდა და ხელისუფლებისაგან განსაკუთრებულ შორსმჭვრეტელობას მოითხოვდა.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ აფხაზეთის მთავრები ორგანულად იჭვნენ ჩართული დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში, ეს ურთიერთობა კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შემდეგაც გაგრძელდა – განსაკუთრებით სამეგრელოსთან იყო ეს ურთიერთობა ინტენსიური: დი-

ნასტიური ქორწინებები, „მორდუობა“, ნათესაური ურთიერთობები სამეგრელოსა და აფხაზეთის მმართველი ელიტისათვის შემთხვევითი მოვლენა არ იყო. განსაკუთრებით ინტენსიური იყო ეს კავშირი მთავარ მიხეილ შარვაშიძის დროს, რომელიც ხშირად სტუმრობდა სამეგრელოს – თავისი სიმამრის გრიგოლ დადიანის ოჯახს.

მაგრამ პრობლემა რუსეთი იყო – აფხაზეთი დასავლეთ კავკასიის მთიანეთს კეტავდა, ის იყო უშუალო მეკავშირე ჩრდილო კავკასიის დაუმორჩილებელი ხალხების მათ ტრადიციულ მოკავშირესთან – თურქეთის სახელმწიფოსთან. ამიტომ საჭირო იყო შავი ზღვის აფხაზეთის აკვატორიის მკაცრი გაკონტროლება, რომ აფხაზებს, თავისი ჩრდილოკავკასიური ფესვების გამო, ჯერ კიდევ არსებული კონტაქტები მეამბოხე ჩრდილო კავკასიელებთან საბოლოოდ გაეწყვიტათ.

სწორედ ამიტომ რუსეთმა განახორციელა სამხედრო ოპერაციები და დაიკავა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გაგრა და მისი მიმდებარე ტერიტორია. რუსების ამ ექსპედიციას აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძეც შეუერთდა თავისი რაზმით. აფხაზეთის სანაპირო ზოლში: ბომბორაში, ბიჭვინთაში, გაგრაში რუსები სიმაგრეების აგებას შეუდგნენ[41].

რუსულმა ადმინისტრაციამ რედუტ-ყალედან სოხუმამდე და სოხუმიდან გაგრამდე გზა გაიყვანა. იმავდროულად დამატებით კიდევ ორი სიმაგრეც ააგეს – ილორსა და დრანდაში.[42]

იყო დრო, როცა აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსების კეთილგანწყობით სარგებლობდა. მაგრამ კავკასიური ომების დასრულების შემდეგ (1864 წ.) ვითარება დასავლეთ კავკასიაში რადიკალურად შეიცვალა. რუსეთის იმპერატორი დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი ნახევრადდამოუკიდებელი სამთავროების არსებობას ვეღარ ურიგდებოდა. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ, რა თქმა უნდა, დადგა საკითხი აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის ძალაუფლების შეწყვეტის შესახებ.

როგორც სამეგრელოში, აქაც – აფხაზეთში რუსები შეეცადნენ ეს საკითხი „მშვიდობიანად“, მთავართან შეთანხმებით მოეგვარებინათ. მიხეილ შარვაშიძეს დაპირდნენ პრივილეგიების შენარჩუნებას, დაუნიშნეს დიდი პენსია და ტახტიდან გადადგომაზე დაითანხმეს.

რუსების ასეთი ზედმეტი აქტივობა რეგიონში აღიზიანებდა ადგილობრივ ფეოდალურ ელიტას, აფხაზ მოსახლეობას. ამიტომაც იყო, რომ ყველა კრიზისულ მომენტში, როცა რუსეთს დასავლეთ კავკასიაში პრობლემები ექმნებოდა, აფხაზების მოქმედება ან ორჭოფული, ან კიდევ უფრო მეტი – ანტირუსული ხდებოდა. ასე მოხდა რუსების მიერ ჯიქებისა და უბიხების

დამორჩილების დროს. შავი ზღვის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ეს ტომები, რომლებიც შავ ზღვაზე გასასვლელს აკონტროლებდნენ და შეეძლოთ თურქეთისათვის ჩრდილო კავკასიის სიღრმეში გასასვლელი გაეხსნათ, როგორც იმპერატორი ნიკოლოზ I იტყოდა ან უნდა „დამორჩილებოდნენ რუსულ იარაღს, ან ფიზიკურად განადგურდებოდნენ“.

ჯიქებისა და უბიხების მიმართ რუსების მიერ გამოჩენილმა სიმხეცემ აღაშფოთა აფხაზი მოსახლეობის ერთი ნაწილი და ჯერ კიდევ 1840 წელს ისინი რუსების წინააღმდეგ აჯანყებისთვის ემზადებოდნენ[43].

რუსებს აფხაზებთან ურთიერთობა სერიოზულად გაუფუჭდათ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს, როცა თურქებმა აფხაზეთში დიდი დესანტი გადასხეს გუდაუთაში და სოხუმისაკენ დაიძრნენ[44].

აფხაზი მოსახლეობის დიდი ნაწილი განუდგა რუსეთს. დესანტის პირველი ტალღის გადმოსვლისთანავე გუდაუთაში ხალხმრავალი თავყრილობა გაიმართა. ოსმალეთის წარმომადგენლებმა სულთანის ფირმანი წაიკითხეს, რომელიც აფხაზებს რუსებთან საღვთო ომისკენ მოუწოდებდა. „ხალხის მხარდამჭერი ყიჟინის შემდეგ მოლამ ყურანი გამოიტანა და შეკრებილები სულთნის ერთგულებაზე დააფიცა. თვითმხილველების აღწერით, აფხაზები გულსაკიდ ჯვრებს იხსნიდნენ, ხეებზე კიდებდნენ და ყურანს ემთხვეოდნენ[45].

მაგრამ თურქულ დესანტს კარგად შეიარაღებული რუსული ძალა დაუპირისპირდა, რომელსაც გენერალი ალხაზიშვილი (ალხაზოვი) ხელმძღვანელობდა. აფხაზეთში ბრძოლები საკმაოდ გაჭიანურდა, სოხუმის დასაცავად განსაკუთრებით თავდადებით თურქულ-აფხაზური რაზმები იბრძოდნენ. როგორც გაზეთი „კავკაზი“ იტყობინებოდა, რუსეთის არმია სოხუმს 17 აგვისტოს მიუახლოვდა. 2 სექტემბერს ალხაზიშვილმა აიღო სოხუმი და სულ მალე მთელი აფხაზეთი გაიწმინდა ოკუპანტებისაგან.

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები და აფხაზთა აჯანყების მარცხი განსაკუთრებით ტრაგიკულად აისახა აფხაზების ისტორიულ ბედზე. „აფხაზეთი განადგურებული იყო. ცოტა ხნის წინ დასახლებულ და სიცოცხლით სავსე ვრცელ ფართობებზე მხოლოდ ნანგრევები იყო დარჩენილი“. თურქებმა თან წაიყვანეს აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი, დანარჩენი კი აქეთ იქით გაიფანტა. XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსები წერენ: "თურქებმა გადაწვეს რუსული, ბულგარული, ბერძნული დასახლებები და იმ აფხაზთა აულები, ვინც არ ემორჩილებოდნენ მათ, ჩვენ კი იძულებულნი ვიყავით მოღალატე აფხაზების აულები დაგვეწვა!“[46]

1877-1878 წლის ომში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ რუსეთის იმპერატორმა, ახალ-ახალი ტერიტორიები შემოუერთა თავის იმპერიას, აფხაზი

ხალხი „დამნაშავე მოსახლეობის“ წოდებით „დააჯილდოვა“: აფხაზებს ჩამოერთვათ მიწაზე საკუთრების უფლება, აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ცხოვრება აეკრძალათ, შეიქმნა ყველა ობიექტური თუ სუბიექტური პირობა, რომ აფხაზი თავის სამშობლოდან აყრილიყო და თურქეთში გადახვეწილიყო.

რუსეთის იმპერატორმა თავისი სკიპტრის ქვეშ 1877-1878 წლებში საქართველოს ისტორიული მიწების თავმოყრა დაასრულა – **გეორგიევსკის ტრაქტატის საიდუმლო მუხლები შესრულდა!**

§ 5. – ქართველების ორი ტენდენცია რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში

საქართველოში რუსეთის დამკვიდრებისთანავე ქართველებში აშკარად შეიმჩნევა ორი ისტორიული ტენდენცია რუსეთთან პოლიტიკური დამოკიდებულების საკითხში – პირველი – მკვეთრად უარყოფითი, შეურიგებელი, რაც ვლინდებოდა რუსეთის რეჟიმის მიმართ მუდამ ოპოზიციურ დამოკიდებულებაში, აშკარა თუ ფარულ შეთქმულებებში, შეიარაღებულ ბრძოლებში – საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მისი კულტურული და ნაციონალური იდენტობისათვის.

მეორე ისტორიული ტენდენცია ვლინდებოდა რუსეთის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებაში, რუსული საქმის გათავისებაში, მისდამი პირნათელ სამსახურში, რუსებთან კომპრომისების მიღწევით ქართული საქმის კეთების სურვილში და ამ გზით ქართული კულტურისა და იდენტობის გადარჩენა-შენარჩუნებაში, რუსული იარაღის დახმარებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში და ა.შ.

ეს ორი ისტორიული ტენდენცია მთლიანად განმსჭვალავდა საქართველოს XIX-XX საუკუნის ისტორიას და თითოეულ მათგანს თავისი იდეოლოგები და გულმხურვალე პრაქტიკოსები ჰყავდა, თითოეულ მათგანს თავისი ქმედების ლოგიკური დასაბუთება ჰქონდა და ყოველი მათგანი თავისი კონკრეტული ბრძოლის შედეგებითაც გამოირჩეოდა. არ შეიძლება არ იქნეს შემჩნეული ის გარემოებაც, რომ თითოეულ მათგანს (ამ ორ ტენდენციას) ჰქონდა ზედმეტად რადიკალური გამოვლენა (გადახრები), რომლებიც აშკარად საფრთხეს უქმნიდნენ ან მომავალში ნამდვილად შეუქმნიდნენ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს, ქართველი ერის იდენტობას, მის კულტურულსა თუ სოციალურ განვითარებას.

ისიც აშკარად შესამჩნევია, რომ ეს ისტორიული ტენდენციები ზოგჯერ თანაარსებობდნენ, ზოგჯერ აშკარად ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ,

ზოგჯერ ერთი ტენდენცია უპირატესად უფრო წამყვან მდგომარეობას იკავებდა მეორესთან შედარებით და ა.შ.

ამ ორი ისტორიული ტენდენციის განვითარების თავისებურებები ხშირად დამოკიდებული იყო რუსეთის მმართველი კლასის კონკრეტულ პოლიტიკაზე საქართველოს და სამხრეთ კავკასიის მიმართ, იმ ამოცანებზე, რომლის რეალიზაციას ახორციელებდა რუსეთი სამხრეთ კავკასიაში და იმაზეც, თუ რამდენად პასუხობდა ან არ პასუხობდა ეს რუსული იმპერიული შეხედულებები ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესებს, მის ამოცანებსა თუ მიზნებს.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მხრიდან ცალსახა, უკანონო, საერთაშორისო კანონებისა და ლეგიტიმიზმის საყოველთაოდ დადგენილი წესების უხეშმა დარღვევებმა საქართველოში მკვეთრად ანტირუსული განწყობილება გამოიწვია. საქართველოში ბაგრატიონთა ათასწლოვანი ბატონობის არალეგიტიმურმა ლიკვიდაციამ, სამეფო საგვარეულო ოჯახზე განხორციელებულმა შეურაცხმყოფმა დამოკიდებულებამ, ბატონიშვილების ძალმომრეობითმა გასახლებამ სრულიად საქართველოში გამოიწვია აჯანყებების, შეთქმულების, თავისუფლებისათვის ბრძოლის პერმანენტული პროცესი.

სამეფო ღირსების შელახვისათვის, სამეფო ღვთითკურთხეული პერსონის მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებისათვის საქართველოს უკანასკნელმა დედოფალმა მარიამმა, გიორგი XII მეუღლემ, გენერალი ლაზარევი საკუთარი ხელით მოკლა; სვანეთის მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა, ასევე ღირსების შელახვისა და სამთავროს უკანონო გაუქმებისათვის, მახვილით განგმირა ქუთაისის რუსი გუბერნატორი გაგარინი.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისთანავე მეფის რუსეთის უკანონობის წინააღმდეგ დაიწყო პერმანენტული სახალხო-განმათავისუფლებელი ომი, რომელსაც ბატონიშვილები იულონი, ალექსანდრე, თეიმურაზი და სხვები ხელმძღვანელობდნენ. სამართლიანად არის შემჩნეული, რომ „1803-1804 წლებში ჯერ კიდევ საქართველოში მყოფი ბაგრატიონები სხვადასხვა ფორმით აგრძელებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას. რუსულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ხალხისაგან მათი იზოლირება. განმათავისუფლებელი მოძრაობა უფლისწულების მეთაურობით გრძელდებოდა“[47].

1804 წელს საქართველოს მთიანეთი მოიცვა დიდმა ანტირუსულმა აჯანყებამ, რომელსაც ასევე ბაგრატიონი უფლისწულები ხელმძღვანელობდნენ. საყურადღებო და ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ამ ეტაპზე რუსული აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდნენ საქართველოს მთიანეთში მცხოვრე-

ბი ოსებიც, რომლებიც მხარში ამოუდგნენ ქართველ ბატონიშვილებს ანტირუსულ პარტიზანულ ბრძოლებში[48].

სერიოზული საფრთხე შეუქმნა რუსეთის მმართველობას საქართველოში კახეთის 1812 წლის აჯანყებამ, რომელსაც აშკარად შეეძლო ბოლო წერტილი დაესვა რომანოვების ბატონობისათვის საქართველოში. რუსეთი ნაპოლეონთან ომში იყო ჩაბმული. ქართველების აღიარებულმა ლიდერმა ალექსანდრე ბატონიშვილმა და მისმა მომხრეებმა გადაწყვიტეს საერთაშორისო მდგომარეობის თავისთვის სასიკეთოდ გამოყენება. პროფ. ა. ბენდიანიშვილი წერს: „ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები და მოწოდებები ნათელყოფს, რომ ის მახვილგონივრულად საქმიანობდა საქართველოს შინაგან ძალთა გაერთიანებისათვის, მიზნად ისახავდა რუსეთის წინააღმდეგ ფართო მასშტაბიანი აჯანყების ორგანიზებას. საამისო ნიადაგი ნაწილობრივ შეამზადა კიდეც და იმ დროს, როცა ნაპოლეონი უკვე მოსკოვში იყო შესული, თავისი მინიატურული რაზმით კახეთისაკენ აიღო გეზი“[49].

ალექსანდრე ბატონიშვილი ძლიერი, ქარიზმატული ლიდერი იყო, მცირე რესურსების მიუხედავად მას ხელეწიფებოდა ადამიანების დარაზმვა, იყო ჩინებული დიპლომატი და სწრაფად უღებდა ალღოს შექმნილ სიტუაციას. მიუთითებენ, რომ „ალექსანდრე ბატონიშვილის მოწოდებებს კახელებთან და მთიელებთან ერთად ქართლის ბევრი თავადაზნაურიც გამოეხმაურა, მის დროშის ქვეშ დასარაზმავად ემზადებოდა. ყველაზე ადრე ალექსანდრე ერეკლეს ძესთან გაიქცნენ ციციშვილები, ავალიშვილები, ამილახვრები, კავთისხველი აზნაურები და გლეხები“[50]. ფაქტობრივად ალექსანდრე ბატონიშვილი აღმოსავლეთ საქართველოს ერთობლივ ლაშქრობას ამზადებდა ქართლ-კახეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მიუხედავად რთული საერთაშორისო მდგომარეობისა, რუსეთმა შეძლო სამხრეთ კავკასიაში ძალების მობილიზება, ამ საქმეში მას რენეგატი ქართველებიც დაეხმარნენ და კახეთის დიდი სახალხო აჯანყება მარცხით დასრულდა. ალექსანდრე ბატონიშვილი, ანტირუსული მოძრაობის გამორჩეული ლიდერი, სამშობლოდან გადაიხვეწა.

რთული ვითარება შეიქმნა დასავლეთ საქართველოშიც. იმერეთის სამეფოს უკანონო ანექსიის შემდეგ იმერეთის მოსახლეობა ვერ შეურიგდა რუსული რეჟიმის დამკვიდრებას, მართვის არაქრისტიანულ მეთოდებს, რუსი სალდაფონების მმართველობას. სამეფოს გაუქმებისა და სოლომონ II შეპყრობისთანავე იმერეთი აჯანყებამ მოიცვა. სოლომონ II შეძლო პატიმრობიდან გაქცევა და ახალციხეში გადავიდა. რუსეთის მმართველები თბილისში იღებდნენ ინფორმაციას, რომ „ახალციხეში მყოფ მეფე სოლომონთან ჩამოვიდნენ ორი იმერელი მღვდელი, ათამდე თავადი და რამდენი-

მე ცხენოსანი, რომლებმაც აცნობეს, რომ იმერლები მზად არიან აჯანყდნენ რუსული ჯარების წინააღმდეგ“[51].

იმერელთა ეს აჯანყება სწრაფად გაანეიტრალეს რუსებმა, მაგრამ უფრო ფართო და ყოვლისმომცველი იყო 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყება, რომელმაც გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიებიც მოიცვა. ფაქტობრივად ეს იყო დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კონსოლიდირებული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული იდენტობის გადასარჩენად, რუსული ხელისუფლების უტიფარი პოლიტიკის წინააღმდეგ. აჯანყების კონკრეტული საბაბი გახდა ის რუსიფიკატორული პოლიტიკა, რასაც ატარებდა რუსეთის მმართველობა საქართველოს ეკლესიის წეს-განრიგის წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო ეკლესიაში ქართული წესის მთლიანი აღმოფხვრა და მის ადგილზე რუსული საეკლესიო წესების ძალადობრივი დამკვიდრება. სამართლიანად არის შენიშნული, რომ „ქართული ქრისტიანული ეკლესიის შეურყეველობის გამო დაწყებული მოძრაობის მიზანი გაფართოვდა, აჯანყების მეთაურებმა წინ წამოსწიეს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრობლემა“[52].

მაგრამ რუსებმა მოახერხეს ძალების მობილიზება და აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ. სრულიად საქართველოს საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია იმ სისტასტიკემ და ბარბაროსობამ, რაც რუსეთის ხელისუფლებმა ჩაიდინეს იმერეთის მიტროპოლიტების – ქუთათელისა და გენათელის მიმართ და მსოფლიოს კიდევ ერთხელ აჩვენეს რუსი „დერჟიმორდის“ ჭეშმარიტი სისხლიანი სახე.

1832 წელს მეფის ხელისუფლებამ აღმოაჩინა ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულება, რომელსაც შორს გამიზნული პოლიტიკური მიზნები და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის კონკრეტული ამოცანები ასულდგმულებდა. აშკარაა, რომ შეთქმულება რუსი დეკაბრისტების მოძრაობის ზეგავლენით და პოლონეთის 1830 წლის აჯანყებით იყო ფრთაშესხმული. შეთქმულები აერთიანებდნენ როგორც პეტერბურგში გადასახლებულ ბაგრატიონებს, ისე საქართველოში მოღვაწე თავადაზანაურობის ბრწყინვალე წარმომადგენლებს, რომლებიც გულამრეზით უყურებდნენ რუსების ძალადობას საქართველოში და სურდათ მდგომარეობის რადიკალური გამოსწორება. შეთქმულთა დიდი უმრავლესობა კონკრეტულ ამოცანად ანტირუსული აჯანყების მომზადებას ისახავდა მიზნად. თუმცა ჰქონდათ აზრთა სხვადასხვაობა აღორძინებული საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე მსჯელობის დროს – იყო სახელმწიფოს როგორც მონარქისტული, ისე რესპუბლიკური მოწყობის პროექტები. **მაგრამ აქ მთავარი იყო ის, რომ შეთქმულები ერთობლივ, განუყოფელ საქართველოზე საუბრობდნენ.** ქართველი ისტორიკოსების აზრით, შეთქმულებს

ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ დაწყებული საქმე გამარჯვებით დაეგვირგვინებინათ, მაგრამ მოღალატემ შეთქმულება გასცა და მონაწილენი დააპატიმრეს.

აშკარაა, რომ XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთთან დამოკიდებულებაში ჭარბობს პირველი ისტორიული ტენდენცია.

წარუმატებლობის მიუხედავად ანტირუსული ბრძოლა საქართველოში არ შემწყდარა და ის საქართველოს ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში პერიოდულად იწყებოდა და სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა რუსეთის კოლონიალურ ადმინისტრაციას. ასეთი აჯანყებები მოხდა გურიაში (1844 წელს), სვანეთის სამთავროს გაუქმებამ გამოიწვია 1875 წელს სვანების აჯანყება და ხალდეს ტრაგედია. აჯანყების ჩაქრობის დროს რუსები ქართული სოფლების გადაწვას არ ერიდებოდნენ. დიდ ანტირუსულ აჯანყებას ადგილი ჰქონდა აფხაზეთშიც – 1866 წელს.

როგორც სამართლიანად მიუთითებენ: „აფხაზეთის სოციალურ-საზოგადოებრივი წყობის თავისებურებების გაუთვალისწინებლობამ, ჩინოვნიკური აპარატის უხეშმა ჩარევამ აფხაზთა ცხოვრების წესში, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიუღებელმა ადმინისტრაციულმა რეფორმამ და თავისი ხასიათით ბატონყმური რეფორმისათვის ნიადაგის მომზადებამ აფხაზეთის მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა“[53].

აჯანყებამ მთელი აფხაზეთი მოიცვა, აჯანყებულები სასტიკად გაუსწორდნენ რუს მოხელეებს, ბევრი მათგანი გაწყვიტეს. მეფის მთავრობამ მოახერხა ამ აჯანყების ნეიტრალიზება და მისი მონაწილეები სასტიკად დასაჯა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში შემჩნეულია, რომ ანტირუსული აჯანყების ლიკვიდაციაში ხშირად ქართველებიც მონაწილეობდნენ, სწორედ ის ქართველები, რომლებმაც რუსეთის ტახტის სამსახური და რუსეთის იმპერიის ინტერესების დაცვა ცხოვრების მიზნად გაიხადეს. ეს ადამიანები ქმნიდნენ სწორედ მეორე ისტორიულ ტენდენციას – რუსოფილობის, რუსებისადმი ლოიალური დამოკიდებულებისა და რუსეთის ინტერესების გათავისების მოსურნე ქართველი ადამიანების საკმაოდ დიდ ჯგუფს. ეს ტენდენცია საქართველოში რუსეთის იმპერატორის ძალაუფლების დამყარებისთანავე გაჩნდა და საკმაოდ ხანგრძლივადაც იარსება.

ამ ისტორიულ მოვლენას აპირობებდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობა: გარკვეულწილად არსებობდა ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთისადმი ურყევი რწმენა ქართველების საკმაოდ დიდ ნაწილში (თუმცა ყველასათვის ცნობილი იყო, რომ პეტრე I

დაარღვია და შელახა რუსეთის ეკლესიის მართლმადიდებლური წეს-განრიგი, როცა გააუქმა პატრიარქის ინსტიტუტი და ეკლესია უშუალოდ დაუქვემდებარა იმპერიულ სახელმწიფოს, გახადა მისი ადმინისტრაციული რგოლი ე.ი. რუსული „მართლმადიდებლობა“ აშკარად ემიჯნებოდა ჭეშმარიტ ქართულს), მნიშვნელოვანი იყო რუსეთის იმპერატორისადმი მიცემული ფიცის ერთგულებაც, და რაც მთავარია, გარკვეული პერიოდიდან დაიწყეს, **რუსეთის აგრესიული იმპერიული პოლიტიკისა და საქართველოს ისტორიული ამოცანების დამთხვევის გააზრება და მისი ობიექტური შედეგების საქართველოსათვის სასრგებლოდ გამოყენება.**

ამასთან, აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ამ მეორე ისტორიულ ტენდენციაში ქართველების ორი ნაკადი, ორი ჯგუფი – პირველისათვის დამახასიათებელია რუსეთის იმპერატორის ტახტისადმი მონური მორჩილება, „რუსეთუმეობა“, რუსული კულტურისადმი ბრმა ქედის მოხრა და მისი აპოლოგია, საქართველოში მიმდინარე გარუსების ტენდენციებზე თვალისდახუჭვა და როგორც ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი – ქართველთა გადაჯიშება-გარუსების პროცესისადმი შემრიგებლური დამოკიდებულება; და მეორე, რუსებთან, მოწინავე რუს ინტელიგენციასთან თანამშრომლობა, რუსული კულტურის მიღწევების შემოქმედებითი ათვისება, რუსული კულტურის დაფასება, ერთობლივად საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტა, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში სამხრეთ კავკასიაში რუსეთის როლის ობიექტური შეფასება და მისი გამოყენება საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებისათვის.

ეს ორი ნაკადი ქართველ რუსოფილებში XIX საუკუნის დასაწყისიდან აშკარად იკვეთება. პირველი ნაკადის, ანუ დაჯგუფების ნიმუშად შეგვიძლია მოვიტანოთ რუსეთის იმპერატორისადმი სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის მიერ გაგზავნილი წერილის ერთი ამონარიდი: „ვედერებათა მისისა იმპერატორობითის დიდებულებისა ყოველად უმოწყალესისა ჩუენისა ხელმწიფისა და მბრძანებელისადმი მე, ქვემო ხელის მომწერი, მენაცულეთცა ჩემთათურთ შევიკერი რათა ხელმწიფეთა დადგინებულთა მისისა იმპერატორობითის დიდებულებისაგან, ესე იგი, საქართუელოს უპირატესს მმართველსა (ამ მისგან გამოგზავნილ გენერალთაგან), დავემორჩილებოდეთ ყოველთა შინა, ვითარცა **ერთგული მონა ყოვლისა რუსეთის ხელმწიფისა იმპერატორისა**“ (დოკუმენტის სტილი დაცულია, ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)[54].

„ვითარცა ერთგული მონა ყოვლისა რუსეთის ხელიმწიფისა იმპერატორისა“ -მტკიცე და მკვიდრი ფორმულა გახდა ბევრი უღირსი თუ ღირსეული ქართველი მამულიშვილის, რომლებმაც ჩათვალეს, რომ რუსეთის იმპერატორისადმი მონური მსახურება – საქართველოს მსახურებაა.

„რუსეთუმეობის“ გაძლიერებისა და განმტკიცების ტენდენცია, განსაკუთრებით საქართველოს არისტოკრატიულ ფენებში, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში აშკარად შესამჩნევია და ის დაფიქსირებულია კიდეც ქართულ ისტორიოგრაფიაში: „რაც შეეხება რუსეთთან უშუალო შეერთების მომხრე პარტიას, რომელიც ჯერ კიდევ გიორგი მეფის დროს შეიქმნა, იგი დღე-დღეზე იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ამ პარტიის წარმომადგენლები იმთავითვე დაუახლოვდნენ რუსულ მმართველობას, აღიჭურვნენ რუს სამხედრო მოხელეთა ნდობით და ეს ნდობა თავიანთი ფეოდალური ინტერესებისათვის გამოიყენეს. რუსეთის მთავრობა ფეოდალთა ამ დასს აძლიერებდა საჩუქრებით და პენსია-ორდენებით“[55].

საყოველთაოდ არის ცნობილი გამონათქვამი ქართველი თავადის, ივანე აფხაზის, რომელიც რუსეთისადმი დიდი ნდობით აღჭურვილი უფალს შესთხოვდა: „ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულებასა შინა, რომელ იძულებული იყვნენ დატევებად საქართველოსა, რომელიც მყისვე შეიქმნების მსხვერპლად უწესოებისა, შინაგანისა განხეთქილებისა და ზედა დასხმისა დაუძინებელთა მტერთაგან“[56].

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ პრორუსული განწყობილებებით უფრო გამოირჩეოდნენ ქართველი სამხედროები, რომლებიც რუსეთის ჯარში მსახურობდნენ და თავის სამხედრო ფიცს არ ღალატობდნენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში შემჩნეულია, რომ „ქართველებს არ ჩვეოდათ ფიცის გატეხა. რაკი სამხედრო სამსახურში შესელისას მეფის ერთგულებაზე ფიცს მიიღებდნენ, მას განუხრელად იცავდნენ და ასრულებდნენ. სამხედრო ფიცის ერთგულება იმპერიისადმი არა მხოლოდ ლოიალობას, არამედ თავდადებასაც გულისხმობდა“[57]. სწორი და სამართლიანი შეფასებაა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისა და საქართველოს სამეფო-სამთავროების შემომტკიცების შემდეგ რუსეთმა ისტორიული დანაპირების – თურქების მიერ მიტაცებული მესხეთ-ჯავახეთის, ტაო-კლარჯეთისა და აჭარის შემომტკიცება დაიწყო.

ისიც რელიეფურად გამოიკვეთა, რომ რუსეთის იმპერიული ამბიციების თანხვედრამ საქართველოს ისტორიულ ამოცანებთან საქართველოს პროგრესული საზოგადოებრიეი აზრის გულმხურვალე მხარდაჭერა გამოიწვია, რაც მასობრივ პატრიოტულ აღტკინებაში გადაიზარდა და ქართული მილიციის საგმირო საქმეებში, ქართველ მხედართუფროსების საბრძოლო მამაცობაში გამოიკვეთა. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ ქართული სამხედრო შენაერთების ღვაწლი რუსეთის კავკასიურ და სამხრეთ კავკასიურ ომებში მნიშვნელოვანი და შედეგიანი იყო. სწორედ ამის გამო შეიძლება იმის კონსტატაცია, რომ **საქართველოს ისტორიული მიწების შემომტკიცება-კონსოლიდაციის პროცესში დაღვრილი ათეულ-ათასობით ქართველის**

სისხლი არის ამ შემომტკიცებულ ტერიტორიებზე ერთიანი საქართველოს იურიდიული და მორალური უფლებამოსილების ჭეშმარიტი დადასტურება.

თუმცა არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ ქართველების ანტირუსული აჯანყებების წინააღმდეგ მიმართული რუსული ექსპედიციების შემადგენლობაში ასევე აქტიურობდნენ ქართველები: თავადი დიმიტრი ორბელიანი, თავადი მიხეილ ერისთავი, თავადი იოსებ ბებუთაშვილი, თავადი გაბრიელ ყაზბეგი, ქსნის ერისთავები და ბევრი სხვა, რომლებიც ასევე ერთგულად ემსახურებოდნენ რუსულ ინტერესს და სისხლში ახშობდნენ ქართველთა ანტირუსულ გამოსვლებს. მათ ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად უწოდებენ „მოღალატეს“, "რენეგატს“, "მანთურქს“ და ა.შ.

როგორც აღინიშნა, პრორუსული ნაკადის ეს ორი მიმართულება, ფაქტობრივად თანაარსებობენ XIX-XX საუკუნეებში, და თავისი დადებითი თუ უარყოფითი შედეგებით ავსებენ საქართველოს ისტორიას. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში აშკარად ჭარბობს უკვე მეორე ისტორიული ტენდენცია – როცა ქართველების დიდი უმრავლესობა აშკარად ლოიალურია რუსეთის ხელისუფლების მიმართ, თუმცა პირველი მიმართულება – მკვეთრად რადიკალური დაპირისპირება, უკვე აშკარად იატაკქვეშ გადასული, ლოდინის პოზიციებიდან თვალს ადევნებდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

მოვიტანთ რუსეთისადმი ლოიალური დამოკიდებულების ტიპიურ ორ მაგალითს:

1888 წელს, შემოდგომაზე რუსეთის საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენლები: იმპერატორი ალექსანდრე III, იმპერატრიცა მარია თევდორეს ასული, ცესარევიჩი ნიკოლოზი (მომავალი მეფე ნიკოლოზ II) და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე საკმაოდ ხანგრძლივად საქართველოში იმყოფებოდნენ. ისინი ესტუმრნენ აფხაზეთს, აჭარას, ქართლს, თბილისს, კახეთს.

ილია ჭავჭავაძის „იერიამ“ აღფრთოვანებული სიტყვები უძღვნა სამეფო ოჯახის სტუმრობას საქართველოში: „ხელმწიფე იმპერატორის მობრძანება თავისის უავგუსტოესის მეუღლით და მემკვიდრით ჭეშმარიტი ნიშანია მათის უდიდებულესობის ჩვენდამი გულის ტკივილისა და სიყვარულისა. გულ-მტკივნეულობა და სიყვარული ხელმწიფისა ერის მიმართ ერთი უდიდესი ძლევა-მოსილობაა, ერთი სასიქადულო გამარჯვებაა ერისათვის. დღეს ჩვენს შორის ბრძანდება რა ხელმწიფე იმპერატორი და მასთან ერთად მის უმაღლეს სახლობის უავგუსტოესნი წევრნი, თავმოწონებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უდიდებულესი გული დიდის და ძლიერის ხელმწიფისა ჩვენ მიერ მოგებულია და ჩვენკენ არის! ნუთუ ეს გამარჯვება არ არის ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენის ერისათვის! გამარჯვება სხვა რა

არის თუ არ მოგება და მოპოვება სანატრელისა და სანატრელი სხვა რა არის, თუ არ გ'ულ-მტკივნე'ულობა და სიყვარული ხელმწიფისა ჩვენდამი. ამითი ვართ დღეს გამარჯვებულნი და გამარჯვებულნი სხვა რით მიეგებებიან თავის ბედნიერ ხელმწიფეს, თავის გ'ულშემატკივარ პატრონს, თუ არ ერთიანი ძახილით: გა'უმარჯოს ხელმწიფე იმპერატორს! გა'უმარჯოს ხელმწიფე იმპერატრიცას! გა'უმარჯოს მემკვიდრეს ცესარევიჩს და მთელს უავგ'უსტოეს სახლობას!

ამას იძახის დღეს მთელი საქართველო, გამარჯვებული მით, რომ ღირსი იქნა და ეზიარა თავის ხელმწიფის და მის უმაღლესის სახლობის გვერდით ხლებას და ხილვას. ამას იძახის დღეს მთელი ყველა ჩვენგანი, ამას იძახის დღეს ტფილისი – ეგ მთელის საქართველოს დედა-ქალაქი, მთელის საქართველოს ძველისძველი, მაგრამ ყოველთვის ახალი და შეურყეველი გ'ული, რომელიც დღეს მთელ საქართველოსთან ერთად ერთის სიხარ'ულით, ერთის ბედნიერებით, ერთის გრძნობით აღტაცებულია.

ყველამ იცის, რა დიდი მოწ'ყალებაა, რომ დღეს ხელმწიფე იმპერატორი ჩვენს შორის ბრძანდება, რათა თავის ბედნიერის თვალით ინახულოს თავისი ერი, რომელიც თავის ხსნას, თავის სასოებას, თავის ფარს, თავის ხმალს თავის ხელმწიფე'ში ჰხედავს უერთგ'ულესის ნდომითა და ნდობითა. დიდი ზარია, როცა ბედი არგ'უნეს ერს თავისი სასო-ხელმწიფის გვერდით ეახლოს და მისი ხილვის ღირსი შეიქმნას. ამ ბრწ'ყინვალე ბედნიერებას თუ რა აჩრდილებს, მარტო ის, რომ გვერდით ხლება და ხილვა მისის უდიდებ'ულესობისა ხან-მოკლეა, დღეებით გათვლილია და არა წლებით. ჩვენი ნატერაა, ჩვენი წ'ყურვილია, რომ გვერდით ხლება და ხილვა მათთა უდიდებ'ულესობათა იყოს და აღარ გათავდეს. მართალია, ეს მეტისმეტი ნატერაა, მეტისმეტი წ'ყურვილია, მაგრამ მით უფრო შესაწ'ყნარებელია და პატივ-სადები, რომ გ'ულითადია, ერთგ'ულების დანაბადია და მის მიერვე აღფრთოვანებ'ული."[58]

მოვიტანთ მეორეამონარიდს: „ტაძარ'ში იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელი (იგ'ულისხმება ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) – ა.დ.) მიეგება და შემდეგი სიტყვა მოახსენა: უკეთილმსახურესო ხელმწიფეო, საქართველოს არა ერთხელ ჰქონდა ბედნიერება ეხილნა გვირგვინოსანი მეფენი რუსეთისანი, გარნა ეხლანდელი მობრძანება შენი საქართველო'ში დედოფლითა და უავგ'უსტოესის ძეებით'ურთ უმეტესად საბედნიეროა და საგ'ულისხმიერო. იგი მობრძანება მოასწ'ავებს, რომ ამ განაპირა ქვეყანაშიც შენის სამპყრობელოსამან, ხანგრძლივს ბრძოლასა და ლაშქრობას შემდეგ, დაიმკვიდრა ბოლოს ჟამს ესოდენი მშვიდობა და კეთილდღეობა, რომ შესაძლო შეიქმნა ხელმწიფე იმპერატრიცასა და ძეთა მისისა მობრძანებაცა.

იხარებდეს სული შენი, უკეთილმსახურესო ხელმწიფეო, ხილვასა ზედა ერისა ამის, რომელიც გულწრფელის სიხარულით მოგეგებების, და ქვეყნისა ამის, რომელიც შენთა უთვითმპყრობელესთა წინაპართა მიერ იქმნა თაყისუფალ, ბედნიერ და გზასა ზედა მშვიდობიანისა მუშაკობისასა მკვიდრ, მრავალსა ჟამსა არ გაუვლია მას შემდგომ, რაც ქვეყანა ესე, ვითარცა ახსოვთ და გვსმენია მამათა ჩვენთაგან, იყო აკლებულ, მოოხრებულ და კიდით-კიდემდე და მორწყულ ძეთა მისთა სისხლითა; აწ-კი, აქა, განრინებული რუსეთისა ქველისა მხედრობითა ქრისტიანობისა მძულვარე მტერთაგან, ქვეყანა იგი, ვითარცა აღდგომილი მკედრეთით, კვალად აჰყვავდა შენისა და წინაპართა შენთა სათნო გამგეობასა ქვეშე, ხელმწიფეო!

გვახსოვს რა ესე ყოველი, ჩვენ მკვიდრნი ამა ქვეყნისანი უსაზღვროდ ვმადლობთ: პირველად, უფალსა წინაპართა ჩვენთა განმანათლებელსა მართალ-მადიდებლისა სარწმუნოებითა, მეორედ, თვით წინაპართა, რომელთაც, ხანგრძლივის ბრძოლისა და წამების შემდგომად, გვიანდერძეს იგი წინდი მართლ-მადიდებლობისა და მათ გაგვიადვილეს საუკუნოდ შევკრდომოდით დიდსა მართლ-მადიდებელსა რუსეთის სამპყრობელოსა და თანაზიარ შექმნილიყაეით სულიერისა მის საზრდოისა. დასასრულ უსაზღვროდ ვმადლობთ შენთა თვით-მპყრობელთა წინაპართა და შენცა, დიდებულო ხელმწიფეო, ყოლველ იმ ურვისა, ღვაწლისა და წარსაგებელისათვის, ყოველ იმ სისხლის ღვართათვის, რომელიც რუსეთმა იტვირთა ჩვენდა გამოსახსნელად მტერთა ჩვენთა ხელთაგან. უმეტესად გმადლობთ კიდეე შენ, ხელმწიფეო, რომ არ გვამცრობ აუარებელთა ქვეშევრდომთა შენთა შორის, მობრძანდი ჩვენდა სანახავად, გაგვაცოცხლე, აღგვაფრთოვანე და შეგეაერთე ყველანი ერთისა შენდამი მადლობისა და სიყვარულისა გრძნობითა. ის არის დიდება და სახელი რუსეთის დიდისა და მსოფლიო სამპყრობელოსი, რომ ყველა ქვეშევრდომნი, ტომთა და სარწმუნოებათა განურჩეველად, ერთსა და იმავესა სამართლიანსა და პირუთვნელსა კანონებს ექვემდებარებიან, ერთი და იგივე უფლებანი აქვსთ, მაშინ როდესაც სხვათა განათლებით თავ-მომწონე დიდთა სამპყრობელოთა შინა ხშირად მხოლოდ სიტყვით არიან თანასწორნი ქვეშევრდომნი და პატივისცემა აქვსთ უღმრთოთა და ურწმუნოთა, ხოლო მართლმადიდებელთ ხშირად არა აქვთ შეწყნარებაცა ოდენ. მხოლოდ ღვთით დაფარული და ბრძენთა მიერ ხელ-ძრვანილი რუსეთი ისწრაფვის სახელმწიფოსა გამგეობასა შინაცა განახორციელოს მართალი უფლისა. ფიქრი იგი, რომ განგებულებასა ღვთისასა განუმზადებიეს გზაი დიდი სამპყრობელოსათვის შენისა, განუგეშებსცა, მეფეო მართალ-მადიდებელთაო, სამეფოსა ღვაწლსა და ურვასა შინა შენსა. მრავალჟამიერ ჰყოს სიცოცხლე შენი მეუფემან მეფეთამან და ბედნიერ გყოს ბედნიერებათა სახლეულობასა შენითა და მშვიდობიანისა ქვეშევრდომთა შენთა წარმატებითა.“[59]

ეს ორივე ამონარიდი, ფაქტობრივად ტიპური მაგალითია მეორე ისტორიული ტენდენციის მეორე მიმართულებისა, რომელიც რუსეთის იმპერიასთან ლოიალური დამოკიდებულებით, რუსული კულტურული მიღწევების გამოყენებით, სწორედ რუსულ პოლიტიკურ სივრცეში მოიაზრებდა იმჟამად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებას.

როგორც ვხედავთ, ამ ორი ამონარიდის ავტორები ეროვნული მოძრაობისა და ქართული სასულიერო წოდების თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. იმ დროს გაერცელებული საყოველთაოდ მიღებული ეტიკეტი ვერ ფარავს რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის გააზრების მცდელობას და საქართველოს ისტორიაში რუსეთის როლის ობიექტურ შეფასებას. თუ მოტანილი მაგალითების ავტორები გულწრფელნი იყვნენ, რუსეთის პროგრესული როლის დაფასება მათ სიტყვებში აშკარაა.

ამ მიმართულების მომხრე ქართველთა პოზიციების გაგებას აადვილებს, რა თქმა უნდა, ის გარემოებაც, რომ მთელი მსოფლიო გადანაწილებული იყო გავლენის სფეროებად, რომ კოლონიალური იმპერიების არა თუ ნგრევა, არამედ შენება მიმდინარეობდა და უდიდეს საშიშროებას წარმოადგენდა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების დროს არ შექმნილიყო ისეთი ობიექტური პირობები, რომ საქართველოს ტერიტორიების კონსოლიდაციის ნაცვლად (რაც აშკარად დაწყებული იყო და წარმატებით მიმდინარეობდა!) არ მომხდარიყო მისი დაშლა-დაქუცმაცება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე რუსებთან დამოკიდებულების მეორე ტენდენციის მეორე მიმართულება, რომლის ტიპიური ორი მაგალითი მოვიტანეთ, ისტორიული თვალსაზრისით აშკარად გამართლებული და ლოგიკურად გასაგები ხდება.

რა თქმა უნდა ქართველ მამულიშვილთა ეს გასაგები ქმედება უნდა გავმიჯნოთ იმ „მანთურქების“, კონფორმისტების საქმიანობისაგან, რომლებიც XIX საუკუნის დასასრულს უკვე აშკარად უარყოფდნენ თავიანთ ქართულ წარმომავლობას, გვარებს რუსულ ყაიდაზე იკეთებდნენ (ციციანოვი, ჩოლოკაევი, არაკჩეევი, თუმანოვი, გრუზინსკი და ა.შ.), აერცელებდნენ მოსაზრებას „ქართველი ერის დაბერების და მისი უპერსპექტივობის“ შესახებ, მოუწოდებდნენ ქართველობას მხოლოდ რუსულ ენაზე მიეღოთ განათლება, მხოლოდ რუსულ ენაზე ესაუბრათ, სანაგვეზე გადაეყარათ მამა-პაპათა ტრადიციები და გათქვეფილიყვნენ რუსეთის იმპერიის უკიდეგანო ოკეანეში (მათ შესახებ ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი).

§ 6. – საქართველო მითიური თუ რეალური?

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ რუსეთმა, დაიპყრო რა საქართველო, შეეცადა წაეშალა „საქართველოს“ როგორც ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოს ხსოვნა და გათიშა ის ორ გუბერნიად – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად, რომლებიც კავკასიის „სამეფისნაცვლოში“ გააერთიანა და ამით „გათქვიფა“ რუსეთის უკიდეგანო იმპერიაში.

ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, მთლიანად შეეფერება იმ პერიოდში რუსეთის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას, რომელსაც სურდა „დაყავი და იბატონეს“ კლასიკური ლოზუნგის გამოყენებით შეეფერხებინა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი), მაგრამ არის გარემოებები, რომელიც მიგვანიშნებენ, რომ საქართველო – როგორც ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო მაინც განაგრძობდა არსებობას ისევე, როგორც განაგრძობდა არსებობას საქართველოს სამეფო – კანონიერი მეფით სათავეში.

ასეთი განცხადების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს რუსეთის იმპერატორის ოფიციალური სამეფო ტიტულატურის შემადგენლობაში საქართველოს ერთიან სამეფოდ მოხსენიება და რუსეთის იმპერატორის მიერ საქართველოს მეფის ტიტულის მითვისება.

რუსეთის იმპერატორის ტიტული, რომელიც ჩამოყალიბდა საუკუნეთა მანძილზე და დამტკიცებული იყო რუსეთის უზენაესი კანონმდებლობით[60], აღიარებული და პატივცემული მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ, რუსეთის იმპერატორს საქართველოს მეფის ტიტულით მოიხსენიებს. რუსეთის იმპერატორის ტიტულის მრავალწევრიან ჩამონათვალში, განსაკუთრებით საპატიო ადგილზე – სამეფოთა რიგში, მეექვსე წევრად დასახელებულია „მეფე საქართველოსი“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთის იმპერატორმა საქართველოს მეფის ტიტულის მისაკუთრებით ოფიციალურად გაითავისა აგრეთვე ის უფლებები და ვალდებულებები, რასაც საქართველოს ბაგრატიონ მეფეებს აკისრებდა ისტორიული პროცესის აუცილებლობა და ქართველი ერის ინტერესები.

რომ საქართველოს მოხსენიება საიმპერატორო ტიტულში შემთხვევითი არ იყო და მას გარკვეული რეპრეზენტაციული მნიშვნელობა და კანონმდებლობითი შინაარსი ჰქონდა, მიანიშნებენ თანამედროვე რუსი ისტორიკოსები. ისინი ამტკიცებენ, რომ რუსეთის იმპერატორების ტიტულატურა, ისევე როგორც ყველა მონარქის ტიტულატურა: „არ ყალიბდება ქაოტურად. ტიტული მუდამ იყო ხელისუფლის რეპრეზენტატულობის ერთ-ერთი აუცილებელი საშუალება და ამ საქმეში შემთხვევითობისა და სტიქიურობის დაშ-

ვება ტიტ'ულის ტრანსფორმაციის ნებისმიერ ეტაპზე, ნიშნავდა ხელისუფლის ლეგიტიმაციის ეჭვის ქვეშ დაყენებას"[61].

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართველი ისტორიკოსები ამ საკითხით ჯერ არ ყოფილან დაინტერესებ'ული და არა გვგონია არსებობდეს სპეციალ'ური გამოკვლევა ამ თემაზე.

ჩვენდა თავად აღვნიშნავთ: რ'უსეთის იმპერატორი ოფიციალ'ურად, რ'უსეთის იმპერიის კანონმდებლობით, რაც რუსეთის იმპერატორის ოფიციალ'ური ტიტ'ულით დასტ'ურდება, „საქართველოს მეფის" ფ'უნქციებსაც ითავსებდა, აქედან გამომდინარე ყველა მისი ვალდებ'ულებითა და სამეფო უფლებით. სწორედ ეს სამეფო 'უფლება ავალებდა რ'უსეთის იმპერატორს შეესრ'ულებინა საქართველოს მეფის 'უპირველესი ამოცანა – გაეერთიანებინა ქვეყანა, შეშოემტკიცებინა მისი ისტორი'ული ტერიტორიები, 'უზრ'უნველეყო საქართველოს – ერთიანი და განუყოფელი სოციალ'ურ-ეკონომიკ'ური განვითარება.

თ'ე ეს ასეა, სწორედ ეს გვაძლევს საფ'უძველს ვამტკიცოთ, რომ რ'უსეთის იმპერატორის მიერ განხორციელებ'ული ყველა ტერიტორიული შენაძენი სამხრეთ კავკასიაში, ერანისა და თურქეთის სახელმწიფოს მიერ რუსეთის სახელმწიფოსა და რ'უსეთის იმპერატორის მიმართ აღებ'ული ვალდებ'ულებები, ცალსახად გ'ულისხმობს ასევე „საქართველოს მეფის" მიმართ აღებ'ულ ვალდებ'ულებებს და ისინი ძალამოსილია საერთაშორისო ხელშეკრ'ულებების საფ'უძველზე. ახალციხე და ახალ-ქალაქი, ტაო-კლარჯეთი, აჭარა ორგან'ულად შე'ერთდა არა მარტო რ'უსეთის იმპერიას, არამედ საქართველოსაც მისი რ'უსი მეფის (რ'უსეთის იმპერატორის) მიერ განხორციელებ'ული სამხედრო თ'ე დიპლომატი'ური აქტივობის საფ'უძველზე.

ამრიგად, საერთაშორისო იურიდიული სამართლის თვალსაზრისით რუსეთის იმპერატორისა და საქართველოს მეფის მიერ განხორციელებული დიპლომატიური თუ სამხედრო ქმედება, ეფუძნებოდა იმჟამად მოქმედ, საერთაშორისოდ აღიარებულ დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს, ხოლო მისი შედეგი – საქართველოსა და ქართველი ხალხის კუთვნილებაა.

აღსანიშნავია და ამას დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ რუსეთის საიმპერატორო ტიტ'ულატ'ურაში დაფიქსირებ'ულია ერთიანი, განუყოფელი საქართველო მეფით სათავეში – „მეფე საქართველოსი". რ'უსეთის იმპერატორის ტიტ'ული არ ცნობს აფხაზეთს, იმერეთს, გ'ურიას და სამეგრელოს, რაც აშკარად იმაზე მიანიშნებს, რომ რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით ეს მიწები ერთიანი საქართველოს შემადგენელი ნაწილებია და მათი განყოფა არ მოიაზრებოდა.

მეტად მრავლისმეტყველია ის კონკრეტ'ული ადგილიც, რომელსაც საქართველო იკავებს საიმპერიო ტიტ'ულატ'ურის ჩამონათვალში, „საქართველოს

მეფე“ არის მეექვსე პოზიციაზე ყაზანის, ასტრახანის, პოლონეთის, ციმბირის, ხერსონეს-თავრიდის სახელმწიფოების შემდეგ და კეტავს ამ ექვსეულს. აშკარაა, რომ საქართველოს, რუსეთის იმპერატორის ტიტულის შემქნელთა აზრით, იმპერიის შემადგენლობაში გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ის იმპერიის ერთ-ერთ ღერძს წარმოადგენდა.

(რამდენად კანონიერად, სწორედ და სამართლიანად ახორციელებდა პომპეზურ ტიტულატურაში დამოწმებულ „საქართველოს მეფის“ უფლება-მოვალეობებს რუსეთის იმპერატორი – ეს ცალკე კვლევის საგანია და მასზე ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შეეჩერდებით).

უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ რეალიების ობიექტური აღქმაც აიძულებდა ქართველ თავადაზნაურებს, რომლებისთვისაც ლეგიტიმიზმის კანონი ღვთაებრივ ღირებულებას წარმოადგენდა, გამოეჩინათ ის ერთგულება და რუსეთის იმპერატორის საქმისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, რაც დღეს შეიძლება ზოგიერთი ქართველისათვის მიუღებლად ჩაითვალოს.

სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ის ძირები, რომლებიც ასულდგმულებდნენ იმ იდეოლოგიურ კლიშეებს, რომლებიც შეიმჩნევა XIX-XX საუკუნის ქართველ თავადაზნაურობაში, სასულიერო წოდების წარმომადგენლების სიტყვებსა და გამოსვლებში, ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტის მხრიდან რუსეთის სამეფო ოჯახის ზედმეტად გადაჭარბებულ შეფასებებში.

მაგრამ მარტო ზემოთქმულით არ არის საინტერესო ჩვენთვის რუსეთის იმპერატორის ოფიციალური ტიტულატურა. მასში დაფიქსირებულია, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო შემთხვევა – რუსეთის იმპერატორი ე.ი. „საქართველოს მეფე ერთდროულად არის „ხელმწიფე ივერიისა, ქართლისა, ყაბარდოს მიწებისა და სომხეთის ოლქების“.

ამრიგად, რუსეთის იმპერატორი არ კმაყოფილდება მხოლოდ „საქართველოს მეფის“ ტიტულით და ითავსებს „ივერიისა და ქართლის ხელმწიფეების“ წოდებებსაც. სამწუხაროდ, რუსული ისტორიოგრაფია არ დაინტერესებულა (ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ) ამ მეტად საყურადღებო შემთხვევის მეცნიერულ ანალიზს: რუსეთის იმპერატორის ტიტულატურაში ერთი ქვეყანა – საქართველო მოხსენიებულია სამი სახელწოდებით, რომლის მსგავსი არ ფიქსირდება საიმპერატორო ტიტულატურაში დასახელებულ სხვა სამეფო-სამთავროების შემთხვევაში.

ჩვენი აზრით აქ შეიძლება იგულისხმებოდეს საქართველოსთვის მეტად საყურადღებო რამ – საიმპერატორო ტიტულატურაში დაფიქსირებულია **სრულიად საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან თანადროულობამდე**. „ივერია“ – ეს საქართველოს უძველესი სახელწოდებაა, რომელიც ბოლომ-

დე შემორჩა ქვეყანას, „საქართველო“ – პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურული აღორძინების პერიოდის სახელია, რომელიც ერთიან და განუყოფელ საქართველოს გულისხმობდა, რომლის მეფის წოდებაც რუსეთის იმპერატორმა მიითვისა და „ქართლი“ – ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი და მისი ძირითადი ცემენტი.

უარკვეულ სამეცნიერო ინტერესს იწვევს ტიტულატურაში საქართველოსთან დაკავშირებით „ყაბარდოს მიწებისა და სომხეთის ოლქების“ მოხმობა.

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა დამოწმებული, რუსი ისტორიკოსები ამტკიცებენ – სამეფო ტიტულატურაში არაფერი არ არის „ქაოტური და შემთხვევითი“.

რატომ დააწყვილა რუსეთის იმპერატორის ტიტულატურის შემოქმედმა ყაბარდოსა და სომხეთის ეს მიწები ივერიასთან და ქართლთან? საქართველოს ძლიერების ხანაში ერთიანი და ძლიერი საქართველო მართლაც აკონტროლებდა ჩრდილო კავკასიის სახელმწიფოებს, მათ შორის ყაბარდოსაც, სომხეთის მიწებსაც. ამ ტერიტორიებზე დღესაც არის შემორჩენილი საქართველოს ძლიერების დროინდელი არტეფაქტები.

ჰიპოთეზის სახით შეიძლება ითქვას, რომ არ უნდა იყოს შემთხვევითი, და შეიძლება შემდგომმა კვლევამ ეს ჰიპოთეზა დაადასტუროს – 1944-1945 წლებში საბჭოთა სახელმწიფოს მიერ საქართველოსათვის ჩრდილო კავკასიაში არსებული ქლუხორის მიწების გადმოცემა სწორედ რუსეთის იმპერატორის ტიტულატურაში დაფიქსირებული ჩრდილო კავკასიაში საქართველოს ისტორიული მიწების მიკუთვნებამაც უზრუნველყო?!

ჩვენს ჰიპოთეზას აძლიერებს ისიც, რომ რუსეთის დიდ სახელმწიფო ღერბზე ამ მიწების ამსახველი პერალდიკური გამოსახულებები დაფიქსირებულია.

ამრიგად, რუსეთის იმპერატორის ოფიციალური ტიტულატურა აერთიანებს საქართველოს სამ იპოსტასს – ქართლს-ივერიას-საქართველოს, ერთი ქვეყნის ისტორიული ტრანსფორმაციის (ანუ კონსოლიდაციის) სამ უმნიშვნელოვანეს ეტაპს.

ჩვენი აზრით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ერთიანი და განუყოფელი საქართველოს არსებობა, ქვეყანაში კოლონიალური რეჟიმის მიუხედაველად, დასტურდება რუსეთის იმპერიის მიერ დანიშნული ეგზარქოსის ტიტულატურაშიც. „საქართველოს ეგზარქოსი“ – ასე ეწოდებოდა საქართველოს ახალ საეკლესიო იერარქს, რომელიც არა მარტო სრულიად საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონში განაგებდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებს. ხომ მართლაც ასე იყო ერთიანი საქართველოს არსებობის დროსაც – მცხეთის კათოლიკოსი განაგებდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებს მთელს სამხრეთ კავკასიაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად ერთიანი საქართველო ფაქტობრივად აღარ არსებობდა, ის არსებობდა ლეგიტიმურად, რუსეთის საიმპერატორო ტიტულატურაში, სადაც მას წამყვანი ნიშნული ეკავა და აქედან გამომდინარე „საქართველოს მეფეს“ გარკვეული საერთაშორისო იურიდიული ბალასი ჰქონდა. ყველა ის შენაძენი და ყველა ტერიტორია, რაც რუსეთის სახელმწიფომ მოიპოვა და რისი მფლობელებიც ისტორიულად საქართველოს მეფეები იყვნენ – სრულიად და განუყოფლად ეკუთვნის საქართველოს და მის მოსახლეობას, სწორედ იმიტომ, რომ ის მოიპოვა და საერთაშორისო კანონმდებლობით გააფორმა რუსეთის იმპერატორმა – „საქართველოს მეფემ“.

აშკარაა, რომ ფეოდალური პარტიკულარიზმისა და სახელმწიფოებრივი დაშლა-დაქუცმაცებულობის პირობებში საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ ვერ შეძლო კახელი ბაგრატიონების მიერ დაწყებული ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის განვითარება და დაგვირგვინება. საქართველოს მეფე-მთავრები, ბაგრატიონი უფლისწულები, გაელენიანი თავადები უფრო ფიქრობდნენ საკუთარი დინასტიური ლეგიტიმაციის პრინციპების დაცვაზე, ვიდრე ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესებზე. ფეოდალური ურთიერთქიშპი და პოლტიკური განცალკევებისაკენ მისწრაფება XIX საუკუნის პირველ ნახევარში სერიოზულად ასუსტებდა საქართველოს და რის გამოც ის რუსეთის იმპერიის მარწუხებში აღმოჩნდა.

რუსეთის იმპერიამ, ლეგიტიმიზმის საერთაშორისო კანონების უხეში დარღვევით საქართველოში შეწყვიტა ბაგრატიონების 1000 წლოვანი მეფობა და ჯერ ქართლ-კახეთი, ხოლო შემდეგ იმერეთის სამეფო, მოგვიანებით გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი შეუერთა თავის იმპერიას და ფაქტობრივად მოახდინა ამ ქართული დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო ერთეულების კონსოლიდაცია რუსეთის იმპერატორის სკიპტრის ქვეშ. 1878 წელს რუსეთმა დაასრულა საქართველოს ისტორიული მიწების საკუთარი იმპერიის მიერთებისათვის ბრძოლის თითქმის ასწლიანი პროცესი.

რუსეთის იმპერიის მიერ ქართული მიწების – ისტორიული მესხეთ-ჯავახეთის, აჭარის, ტაო-კლარჯეთის შემოერთება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართველი ხალხის მხარდაჭერამ და საბრძოლო ოპერაციებში უშუალო მონაწილეობამ. საქართველოს ისტორიული მიწების შემომტკიცება-კონსოლიდაციის პროცესში დაღვრილი ათეულ-ათასობით ქართველის სისხლი არის ამ შემომტკიცებულ ტერიტორიებზე ერთიანი საქართველოს იურიდიული და მორალური უფლებამოსილების ჭეშმარიტების დადასტურება.

მთელი XIX-XX საუკუნეების მანძილზე ქართველთა შორის არსებობდა რუსეთის მიმართ ორი ისტორიული ტენდენცია: რადიკალურად შეურიგებე-

ლი, რაც ვლინდებოდა პერმანენტ'ულ აჯანყებებში, ფარ'ულ თუ აშკარა შეთქმ'ულებებში ქართველი ერის იდენტობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მასთან ერთად თანაარსებობდა მეორე – რ'უსეთის მიმართ ლ'ოიალ'ური დამოკიდებ'ულების ტენდენცია, რომელშიც აშკარად იკვეთება ორი ნაკადი, ქართველების ორი ჯგ'უფი – პირველისათვის დამახასიათებელია რ'უსეთის იმპერატორის ტახტისადმი მონ'ური მორჩილება, „რ'უსეთ'უმეობა", რ'უს'ული კ'ულტ'ურისადმი ბრმა ქედის მოხრა და მისი აპოლოგია, საქართველო'ში მიმდინარე გარ'უსების ტენდენციებზე თვალის დახ'უჭვა და როგორც ყოველივე ამის ლოგიკ'ური შედეგი – ქართველთა გადაჯ'იშება-გარ'უსების პროცესისადმი შემრიგებლ'ური დამოკიდებ'ულება; და მეორე, რუსებთან, მოწინააღმდეგე რ'უს ინტელიგენციასთან თანამშრომლობის, რ'უს'ული კ'ულტ'ურის მოწინავე პლასტების შემოქმედებითი ათვისების, რ'უს'ული კ'ულტ'ურის დაფასების, ერთობლივად საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ისტორი'ული ამოცანების გადაწ'ყვეტის, კონკრეტ'ულ ისტორი'ულ ვითარებაში სამხრეთ კავკასია'ში რ'უსეთის როლის ობიექტ'ური გააზრების და საქართველოსა და ქართველი ხალხის სამსახ'ურ'ში მისი გამოყენების ჯანსაღი და პროდ'უქტი'ული დამოკიდებ'ულება.

დიდი ხნის მანძილზე ბატონობდა აზრი, რომ რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართ'ული სახელმწიფოებრიობა და მთელი საქართველო ორ გ'უბერნიაში – თბილისისა და ქ'უთაისის გ'უბერნიებში გადაანაწილა. ფაქტობრივი მდგომარეობა კი მიუთითებს, რომ **ერთიანი საქართველო არსებობდა ლეგიტიმურად**. ის არსებობდა რუსეთის საიმპერიო ტიტ'ულატ'ურაში, სადაც მას წამყვანი ნიშნ'ული ეკავა. ოფიციალ'ურად რუსეთის იმპერატორი ითავსებდა „საქართველოს მეფის" ტიტ'ულსაც, და, აქედან გამომდინარე, „საქართველოს მეფის" უფლება-მოვალეობებსაც. XIX-XX საუკუნის საერთაშორისო კანონმდებლობით ეს უფლებები ლეგიტიმური და საერთაშორისო დიპლომატიის მიერ აღიარებული იყო. ეს მდგომარეობა გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ ყველა ის ტერიტორია, რისი მფლობელებიც ისტორი'ულად საქართველოს მეფეები იყვნენ და დაიკარგა ისტორი'ულ ბრძოლებ'ში, ხოლო მათმა იურიდიულმა მემკვიდრემ – რუსეთის იმპერატორმა, რ'უსეთის სახელმწიფომ მოიპოვა ისტორი'ულ ბრძოლებ'ში ქართველი ხალხის მატერიალ'ური და ს'ულიერი რეზერვების დახმარებით, სრ'ულიად და განუყოფლად ეკუთვნის საქართველოს და მის მოსახლეობას, სწორედ იმიტომ, რომ ის მოიპოვა და ეს მონაპოვარი საერთაშორისო კანონმდებლობით გააფორმა „საქართველოს მეფემ" – რუსეთის იმპერატორმა.

თავი VI

ინტეგრაციული და დეზინტეგრაციული პროცესები საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში

§ 1. — მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა და ქართველების სოციალური სტრუქტურა

1878 წელს რუსეთის იმპერატორმა და „საქართველოს მეფემ“ ალექსანდრე II სამხრეთ კავკასიაში დაასრულა საქართველოს სამეფო-სამთავროებისა და თურქეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული ტერიტორიების შემოერთება. ამ პროცესებს, როგორც დავინახეთ, მოწინავე ქართველი საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა.

იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის, რაც რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შემოსვლა-დამკვიდრების პროცესს მოჰყვა, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში დამყარდა შედარებითი მშვიდობა, შეწყდა კავკასიელი მარბიელი მთიელების ქანცგამწყვეტი, უკონტროლო თარეში, თურქეთისა და ერანის მბრძანებელთა პერმანენტული თავდასხმები, აწიოკება-განადგურება, ქართველების გენოციდი, ქართველი მეფე-მთავრების ფეოდალური კინკლაობა, რის შედეგადაც საქართველოს გენოფონდი XIX საუკუნის დასაწყისში მკვეთრად იყო შემცირებული.

ქართველი დემოგრაფები ვარაუდობენ, რომ 1800 წლისათვის საქართველოში 675 ათასი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა[1]. მათი დიდი უმეტესობა, რა თქმა უნდა, ქართველი იყო, რომელთა როგორც რაოდენობრივი, ისე შეფარდებითი მაჩვენებელი მოსახლეობის საერთო სტრუქტურაში ინტენსიურად იზრდება მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. თუ 1873 წელს საქართველოში ბინადრობდა 1 301 ათასი კაცი, 1897 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 1 919 423 კაცი, აქედან ქართველიიყო 1 310307 კაცი, ანუ მოსახლეობის 68.3%[2]. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის განმავლობაში, ძნელბედობის მიუხედავად, შეიმჩნევა მოსახლეობის საშუალო წლიური მატების მაღალი პროცენტი (1,92%), რაც უზრუნველყოფდა მოსახლეობის შედარებით სწრაფ ზრდას, რაც უაღრესად დადებითი ტენდენციაა.

მოსახლეობის ეს რაოდენობა გადანაწილებული იყო ორ გუბერნიაში. თბილისის გუბერნიაში ცხოვრობდა 1 051 032 კაცი, მათ შორის 575 447 მამა-

კაცი, 475 585 ქალი[3]. ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრობდა 1 058 241 კაცი, მათ შორის 508 737 ქალი, 549 504 მამაკაცი[4].

საერთოდ, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესების უკეთ წარმართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიტული მოწყობის საკითხს. მართალია, რუსეთის ხელისუფლებამ უარყო ქართული ტრადიციული ტერიტორიული მოწყობის გამოცდილება (სამთავროები, სათავადოები და ა.შ.), მაგრამ სამაზრო სტრუქტურა – რაც XIX საუკუნეში დამკვიდრდა საქართველოში უფრო ეფექტიანად ახერხებდა კონსოლიდაციის პროცესის წარმართვას, რადგან უფრო მობილური და, რაც მთავარია, უფრო ცენტრალიზებული სახელმწიფო სტრუქტურა იყო.

თბილისის გუბერნია მაზრებად იყო დაყოფილი. მაზრებს შორის აშკარად შესამჩნევია როგორც შედარებით მონონაციონალური, ისე, პოლიეთნიკური ადმინისტრაციული ერთეულები. ქართველების ყველაზე მეტი კონცენტრაცია იყო გორის მაზრაში (124 180 კაცი), ყველაზე ნაკლები – ბორჩალოს მაზრაში (7 840 კაცი). არ იყო მაზრა, სადაც ქართველი არ ცხოვრობდა. ზაქათალის ოკრუგშიც კი, რომელიც დღეს აზერბაიჯანის შემადგენლობაშია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში 12 389 ქართველი ცხოვრობდა[5].

მეტად საინტერესო მდგომარეობა ფიქსირდება ქუთაისის გუბერნიაში. რუსული დემოგრაფიული სტატისტიკა 1897 წლის აღწერის დროს ამ გუბერნიაში ქართველ მოსახლეობას „აქუცმაცებს“ ენობრივი ფაქტორისა და იმ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არსებობის ტრადიციის გათვალისწინებით, რომელიც მას დახვდა დასავლეთ საქართველოში მისი დამკვიდრების დროისათვის. აღწერის მასალებში ქართველების გვერდით ვხვდებით რუსეთის ადმინისტრაციის მიერ ოფიციალურად დამკვიდრებულ ეთნონიმებს: „იმერელს“, „მეგრელს“, „სვანს“, რომლებსაც რუსი ოფიციოზი მიჯნავს „ქართველისაგან“.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეს მოქმედება რუსი ოფიციოზის მხრიდან აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯია, რადგან სულ რამდენიმე წლით ადრე ამ საკითხთან დაკავშირებით ფიქსირდება რადიკალურად განსხვავებული ვითარება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს რუსული ადმინისტრაციის მიერ გამოცემული: «Сборникъ статистических свѣдьни о Кавказе», რომლის რედაქტორი ნ. ი. ვორონოვი ქართული ეთნოსის სტატისტიკის გარკვევისას „ქართველის“ განსაზღვრის კრიტერიუმს ასე აყალიბებს: „ქართველების რაოდენობაში განისაზღვროს მთელი თბილისის გუბერნიის მართლმადიდებელი მოსახლეობა, ქუთაისის გუბერნიის მართლმადიდებელი მოსახლეობა, ახალციხის მაზრის მაჰმადიანი მოსახლეობა, რომლებიც ქართულ მოდგმას განეკუთვნებიან, სამეგრელოს მთელი მოსახლეობა, ზაქათალის ოკრუგის ის მოსახლეობა, რომელიც მოიხსენიება „ინგილოებად“[6].

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მითითებები ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ მაშინ, როცა აჭარა და ტაო-კლარჯეთი არ შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ ამ სტატისტიკური კრებულის რედაქტორის მიერ აღიარებული პრინციპით – აჭარისა და ტაო-კლარჯეთის „მაჰმადიანი მოსახელეობა, რომლებიც ქართულ მოდგმას განეკუთვნებიან“, ასევე ქართველების ეთნიკურ ერთობლიობაში უნდა ყოფილიყვნენ მოაზრებული.

მაგრამ 1897 წლის სტატისტიკა, როგორც ვხედავთ, უკვე რადიკალურად განსხვავდება იმ პრინციპებისგან, რასაც აღიარებდნენ 1869 წლის სტატისტიკური კრებულის შემდგენლები.

აშკარაა, რომ დაუშვეს ქართველების ხელოვნური „გახლეჩა“ კუთხური პარტიკულარიზმის სასარგებლოდ. რატომ მოხდა ასე?

ამ კონტექსტში გვინდა მკითხველს მივაწოდოთ შემდეგი საყურადღებო ფაქტი: როგორც აღინიშნა, 1888 წლის შემოდგომაზე საქართველოს საკმაოდ ხანგძლივად, ესტუმრა სამეფო ოჯახი – იმპერატორი ალექსანდრე III თავისი ცოლ-შვილით. საქართველოს მოსახლეობასთან უამრავი შეხვედრისას, ქართველ თავადაზნაურებთან, სასულიერო წოდებასთან კონტაქტების დროს იმპერატორს („საქართველოს მეფეს“) ერთხელაც არ უხსენებია სიტყვა „საქართველო“[7], თუმცა მისი მასპინძელები, კეთილშობილი აზნაურები და სამღვდელოება თავის სიტყვებში ხშირად იხსენებდნენ ერთიან საქართველოს თავისი ბრწყინვალე წარსულით, რუსეთის იმპერატორის მიმართ მადლიერების სიტყვებს არ იშურებდნენ. რაში იყო საქმე?

როგორც ცნობილია, ალექსანდრე II ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ (1881 წ.), რუსეთში გამეფდა რეაქცია – დაიწყო თვითმპყრობელობის მარწუხების გაძლიერება-განმტკიცების პროცესი.

ალექსანდრე III თანამედროვე რუსი ისტორიკოსების მიერ მიჩნეულია რუს იმპერატორთა შორის ყველაზე უფრო „ეროვნულად“, ანუ ნაციონალისტად, ხელმწიფედ, რომელმაც წინ წამოსწია რუსეთის ეროვნული იდეა და რომელმაც კიდევ უფრო განავრცო და გააღრმავა რუსეთის ინტეგრაციული პროცესები, ქვეყნის კონსოლიდაცია. რუსეთის მმართველი ელიტა უკვე კარგად ხედავდა, რომ ის ეთნიკური მრავალფეროვნება, რომელიც რუსეთში იყო და, რომ მხოლოდ შიშველი სამხედრო ძალის საშუალებით ხერხდებოდა ერთ სახელმწიფოში მართლმადიდებელის, პროტესტანტის, კათოლიკის, იუდეველის, ბუდისტის, ლამაისტის და სხვა აღმსარებლობის მატარებელი სხვადასხვა ერის გაერთიანება, მომავალში არ იქნებოდა მონოლითური, თუკი ახალი სახელმწიფო პრინციპების საფუძველზე არ მოხდებოდა მთელი ამ ეთნიკური მრავალფეროვნების „გადახარშვა“ რუსულ იმპერიულ მანქანაში.

ამისათვის უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო იმპერიის შემადგენელი ერების დაშლა-დაქუცმაცება, ყოველმხრივ დასუსტება, რომ ადვილად მორეოდა რუსი დერჟიმორდი განაპირა კოლონიალურ ქვეყნებს, მათ მოსახლეობას და ადგილებზე ჩამოეყალიბებინა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოსათვის მისაღები ახალი ეთნიკური ერთფეროვნება – „რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი“.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში პოლიეთნიკური სუბსტრატისაგან ძლიერი ნაციონალური სახელმწიფოების ფორმირების პროცესები უკვე დიდი ხანია მთელი სისწრაფით მიდიოდა წინ და რუსებიც, რა თქმა უნდა, დაინტერესებული იყვნენ, რომ ხელოვნურად შეკოწიწებული იმპერიისაგან მიეღოთ ძლიერი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი“.

სწორედ ამიტომ საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთის ოფიციალურმა სტატისტიკურმა სამსახურებმა (რა თქმა უნდა, საიმპერატორო სახლის იდეოლოგების მითითებების საფუძველზე) სწრაფად დაივიწყეს აბსოლუტურად სწორი დემოგრაფიული პრინციპები და XIX საუკუნის დასასრულს უკვე გაჩნდნენ „ქართველები“, „იმერლები“, „სვანები“, „მეგრელები“.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე ქუთაისის გუბერნიაში უკვე ვხვდებით ამ ეთნოსების კონკრეტულ სტატისტიკას. მაგალითად, 1897 წელს ქუთაისის მაზრაში ცხოვრობდა 148 000 იმერელი, 60 278 ქართველი, 1738 მეგრელი, 45 სვანი; ასევეა „დაშლილი“ ქართული ეთნოსი სხვა მაზრებსა და ქალაქებშიც. მაგალითად, ბათუმის ოკრუგის 88 444 კაციან მოსახლეობაში ქართველია – 56 498, თურქი – 3 199, იმერელი – 341, მეგრელი – 635, სვანი – 14, ბერძენი – 4650, სომეხი – 7 120 და ა.შ.[8]

მიგვაჩნია, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს (შეიძლება ამ გარემოებამ ბევრად განსაზღვრა მათი მომავალი საბჭოთა ხელისუფლების წლებში), რომ ბათუმის ოკრუგში მაჰმადიანი ქართველების ნაწილი დაფიქსირდა ეთნონიმით „ქართველები“, რაც არ გვხვდება ახალციხისა და ახალქალაქის სტატისტიკური მასალის დამუშავების დროს. აშკარაა, რომ აჭარაში ქართული ეროვნული ცნობიერება უფრო მაღალ საფეხურზე იყო შემორჩენილი, ვიდრე მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობაში და ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის პასუხი კითხვებზე – „რა ეროვნების ხარ?“, ან „თქვენი მ'შობლიური ენა?“ იყო ადეკვატური იმისა, რასაც გრძნობდნენ და რასაც განიცდიდნენ.

ქართველი ერის დემოგრაფიული კონსოლიდაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დემოგრაფიულ ვითარებას აფხაზეთში. როგორც ირკვევა სოხუმის ოკრუგში 1897 წლის აღწერის დროს ცხოვრობდა 106 179 კაცი.

აქედან რუსი – 6 011, ქართველი – 1 830, თურქი – 1 347, იმერელი – 141, მეგრელი – 23 810, ბერძენი – 5393, ჩერქეზი – 58 715, სომეხი – 6 552.[9]

აშკარაა, რომ სტატისტიკური კრებული ამ ცხრილში არ იცნობს ეთნონიმს „აფხაზი", ის აშკარად ჩანაცვლებულია ეთნონიმით „ჩერქეზით". რატომ?

როგორც აღნიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში: „რაც შეეხება აფხაზებს (აფსუებს) ისინი ცალკე ეთნიკურ ჯგუფად გამოყოფილი არ არიან, მხოლოდ აღნიშნულია, რომ მთელ ქუთაისის გუბერნიაში გამოელინდა 60 სხვადასხვა ენობრივი ჯგუფი და მათ შორის 59 469 კაცი აფხაზურენოვანი მოსახლეობა. 1897 წლის აღწერაში სამურზაყანოელები შეგნებულად მიათვალეს მთიელებს, რითიც მიზანმიმართულად გააყალბეს რეალური ეთნიკური სურათი. შედეგად მიიღეს გაზრდილი რიცხოვნობა აფხაზებისა"[10].

არსებობს შედარებით გვიანდელი სტატისტიკაც, რომელიც ეკუთვნის სოხუმის ოლქის უფროსს თავად ლ. ჯანდიერს. მისი მონაცემებით სოხუმის ოლქში ცხოვრობდა 3 419 რუსი, 40 978 აფხაზი, 9 037 მეგრელი, 44 623 სამურზაყანოელი, 56 გურული, 60 ქართველი, 53 იმერელი, 4 946 ბერძენი, 6 313 სომეხი, 935 თურქი და ა.შ.[11] როგორც ვხედავთ ქართველები უმრავლესობას წარმოადგენენ – 53 829 კაცი აფხაზეთის დაახლოებით 110 ათასიან მოსახლეობაში, რაც თითქმის ნახევარია (49,3%).

ეთნიკურ შემადგენლობასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის სოციალურ სტრუქტურასაც, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი კონსოლიდაციის პროცესის ზეაღმავალი განვითარების ტენდენციებს, მის თავისებურებებს. 1897 წლის აღწერით თბილისის გუბერნიის მოსახლეობა სოციალური მდგომარეობით მეტად მრავალფეროვანია: შთამომავლობით აზნაურები იყვნენ 29 347 კაცი (2,8%) პირადი აზნაურები – 15 042 კაცი (1,4%), სასულიერო წოდება – 10 863 კაცი (1%), საპატიო მოქალაქე – 5 274 კაცი (0,5%), ვაჭრები – 3 947 კაცი (0,4%), მეშჩანები – 102 421 კაცი (9,7%), გლეხები და კაზაკები – 865 887 კაცი (82,4%), უცხოელები – 15 427 კაცი (1,5%), სხვები – 2 824 კაცი (0,3%)[12].

იგივე მონაცემები ქუთაისში ასეთია: შთამომავლობითი და პირადი აზნაურები იყვნენ 13 937 კაცი (6,86%), სასულიერო წოდება – 23 270 კაცი (2,22%), საპატიო მოქალაქე – 1 950 კაცი (0,18%), ვაჭრები – 2 457 კაცი (0,23%), მეშჩანები – 34 650 კაცი (3,27 %), გლეხები და კაზაკები – 897 557 კაცი (84,8%), უცხოელები – 22 809 კაცი (1,5%) და სხვ.[13]

როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს მოსახლეობა სოციალური (ანუ ქონებრივი) და უფლებრივი თვალსაზრისით

ზედმეტად დიფერენცირებულია. საკმაოდ დიდია მოსახლეობის საერთო სტრუქტურაში თავადაზნაურთა წარმომადგენლობა. ეს პრივილეგირებული კლასია რუსეთის სახელმწიფოში და XIX საუკუნის დასასრულისათვის ყველაზე უფრო ლოიალურად არის განწყობილი კოლონიალური რეჟიმის მიმართ. როგორც ჩანს, საუკუნის დასასრულს საქართველოში ფეოდალური არისტოკრატია აერთიანებდა 58 326 კაცს, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის დაახლოებით 3 პროცენტია.

აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ძირითადად ყოფილ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმოადგენდა, თავადაზნაურობა უმეტესწილად ქართველი იყო. საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩამოსახლდნენ რუსი, გერმანელი, ფრანგი არისტოკრატებიც (მაგალითად, ბარონი კუჩენბახი ქვემო ქართლში, პრინცი ოლდენბურგელი გაგრაში, პრინცი მიურატი სამეგრელოში და ა.შ.), მაგრამ მათი რაოდენობა უმნიშვნელო იყო.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველ თავადაზნაურობაში ძირითადად უკვე გაიმარჯვა რუსეთის ხელისუფლების მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ტენდენციამ. ისინი იკავებდნენ მაღალ ადმინისტრაციულ (მაგალითად, სახელოვანი მგოსანი თავადი გრიგოლ ორბელიანი გარკვეულ პერიოდში მეფისნაცვლის ფუნქციასაც კი ასრულებდა) და სამხედრო თანამდებობებს, იყო დანათესავების მრავალი ფაქტი ქართველ, რუს და უცხოელ თავადაზნაურთა გვარებში და ა.შ. ქართველი თავადაზნაურობა სამართლებრივი უფლებებით მთლიანად იყო გათანაბრებული რუს არისტოკრატიასთან. ქართველები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რუსეთის ცენტრალურ ადმინისტრაციულ თუ სამხედრო სტრუქტურებში (მაგალითად, გაეიხსენოთ, გენერალი პეტრე ბაგრატიონი, გენერალი პაველ ციციანოვი, ძმები ლაშქარიოვები, ნიკოლოზ II პირადი მეგობარი თავადი ანდრონიკაშვილი და მრავალი სხვა.)

სოციალური ყოფის თვალსაზრისით შედარებით რთული ვითარება იყო „პირადი აზნაურობის" კატეგორიაში. მათ შორის დიდი უმრავლესობა იყო ე.წ. „შემოდგომის აზნაური", რომელთა სოციალური მდგომარეობა დიდად არ განსხვავდებოდა ქართველი გლეხის მდგომარეობისაგან. მათი მთავარი სლოგანი, თუკი დავით კლდიაშვილს დავუჯერებთ, „გაჭირვება" და „გასაჭირი" იყო. ამ სოციალურ კატეგორიას მთავრობის მიმართ უკმაყოფილების დიდი პოტენციალი გააჩნდა და სწორედ ამ კატეგორიამ დაბადა საქართველოში რადიკალური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლების ახალი პლეადა.

მოსახლეობის აღწერის ოფიციალური სტატისტიკური კრებულიდან ჩანს, რომ საქართველოში სასულიერო წოდება საკმაოდ ბევრია.

სასულიერო წოდება საქართველოში მთლიანად ლოიალური იყო რუსეთის სამეფო ხელისუფლების მიმართ. სამღვდელოება ხელფასს იღებდა ხაზინიდან, მთლიანად ექვემდებარებოდა რუსეთის ეგზარქოსსა და წმინდა სინოდს. ყველა ის ნაკლი და კანონიკური გადაცდომა, რაც რუსეთის ეკლესიამ პეტრე I რეფორმების შემდეგ შეიძინა, ძალადობით გავრცელდა საქართველოს ეკლესიაზეც, რომელმაც ავტოკეფალიასთან ერთად დაკარგა ქართული ეკლესიის წეს-განრიგიც. რუსეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობამ კი მართლმადიდებელ ეკლესიას ავტორიტეტი შეულახა მშრომელი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, რამაც საქართველოში ათეისტური მოძრაობისათვის ნაყოფიერი საფუძველი შეამზადა.

უფრო რთულად იყო საქმე არამართლმადიდებელ კონფესიებში, რომელთაც ცენტრები სხვა სახელმწიფოებში ჰქონდათ (კათოლიკეებს, სომეხ-გრიგორიანელებს, მაჰმადიანებს). მათი სამღვდელოება მოლიანად ემორჩილებოდა საზღვარგარეთული ცენტრების ხელმძღვანელობას და ატარებდა იმ პოლიტიკას, რასაც ავალებდნენ მათი ზემდგომი სასულიერო ორგანიზაციები (ამის შესახებ ქვემოთ).

ძნელი გასარკვევია და ჭირს იმის დადგენა. თუ რა რაოდენობის ქართველი იყო სოციალურ კატეგორიაში „საპატიო მოქალაქე“ და „ვაჭრები“. როგორც ყველგან, საქართველოშიც ეს იყო ფაქტობრივად ყველაზე აქტიური ელემენტი – ბურჟუაზია (13 628 კაცი), რომელიც ავითარებდა ეკონომიკას-ბიზნესს და ქვეყნისათვის ხვავი და ბარაქა მოჰქონდა. თვალში საცემია, რომ ეს კატეგორია გაცილებით მეტია აღმოსავლეთ საქართველოში, ვიდრე დასავლეთში.

სამწუხაროდ, ქართველები მათ რიცხვში შედარებით ცოტა იყვნენ – დავით სარაჯიშვილი და აკაკი ხოშტარია, მიუხედავად მათი მაღალი ეკონომიკური შესაძლებლობებისა, არ განსაზღვრავდნენ საქართველოში ბიზნესის ეროვნულ ხასიათს. აღმოსავლეთ საქართველოს ბიზნესმენების დიდი უმრავლესობა არა ქართველი იყო. გავიხსენოთ გაზეთ „კავკაზის“ ზემოთ უკვე დამოწმებული მოწოდება: „სად არიან ჩვენი თბილისელი კაპიტალისტები, ბანკირები, ხაზინის მსხვილი მოიჯარადრეები, ვაჭრები? სად არიან ჩვენი მირზოევები, თამამშევები, ალილოვები, იზმიროვები, ბარუთჩევები, აკიმოვები, არწრუნები, ანანოვები, ცოვიანოვები, მანთაშოვები, პიტოევები, მიკირტიჩიანცები, აბოეიანცები და სხვები...“.

ამ ჩამონათვალში არც ერთი ქართული გვარი არ არის, ყველა ცალსახად სომეხია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი, არაქართული წარმომავლობის ბიზნესმენები, ქართული საქმისაგან ძალიან დაშორებული იქნებოდნენ და ისინი ვერ შეასრულებდნენ იმ მისიას, რაც ტრადიციულად ყველა ქვეყანაში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის წარმართვაში ბურჟუაზიას

ევალება. **აქედან გამომდინარე საქართველოში ამ ამოცანის გადაწყვეტა უნდა დაკისრებოდა სხვა სოციალურ ფენას ან ჯგუფს** (ამის შესახებ ქვემოთ).

დაახლოებით 10 პროცენტს უდრიდა საქართველოში „მეშჩანების“ კატეგორია, რომელიც საქართველოს ისტორიული წარსულისათვის დამახასიათებელი არ იყო, მაგრამ რუსეთის იმპერიაში ეკატერინე II შემდეგ დამკვიდრდა ოფიციალურ სოციალურ სტატისტიკაში. ამ ტერმინით მოიაზრებდნენ ქალაქის წვრილ მესაკუთრეებს, საშუალო შეძლების ხალხს. საქართველოში „მეშჩანი“ იყო 137 071 კაცი.

საქართველოში ძირითადი მწარმოებელი მოსახლეობა იყო გლეხი. მისი რაოდენობა მოსახლეობის საერთო შემადგენლობაში 80% აჭარბებდა. შეიძლება ეს ციფრი საეჭვო ჩანდეს, რადგან საგლეხო რეფორმის შემდეგ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სწრაფმა პროცესებმა გლეხობის კატეგორიაში დიდი ცვლილებები შეიტანა – დაიწყო გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის დაჩქარება, ნაწილი გლეხი გადაიქცა მუშად – გახდა პროლეტარი. მაგრამ რუსეთის ოფიციალური სტატისტიკა სოციალურ კატეგორიას – „მუშა“ არ იცნობს. ამ, მეტად მზარდი და აქტიური, კლასის იგნორირება ძვირად დაუჯდება რომანოვების რეჟიმს. გლეხთა დიფერენციაციის პროცესის დაჩქარებამ XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში აშკარად გამოკვეთა და სერიოზული პოლიტიკური შინაარსი შესძინა სწორედ ამ კლასს, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის მესაფლავედ გადაიქცა.

§ 2. – ბურჟუაზიული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ერთიანი ქართული ბაზრის ჩამოყალიბება – ქართველების კონსოლიდაციის საფუძველი

შედარებით ხანგრძლივმა მშვიდობამ, საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულმა მატებამ, გამოიწვია ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლება და მისი ზეაღმავალი განვითარება. ამას მოითხოვდა საქართველოს ახალი პოლიტიკური სტატუსიც – ის კოლონიალური, დაპყრობილი ქვეყანა იყო და მეტროპოლია მასში მუდამ ეძებდა ახალ ეკონომიკურ რესურსებს, შესაძლებლობებს, სიმდიდრის გამრავლებისა და დაგროვების ახალ წყაროებს.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ძირითადად გაბატონებული იყო ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა, წარმოების ფეოდალური წესი, მიწაზე ფეოდალური საკუთრება. ერთ დროს მდიდარი სა-

ქართველოს ეკონომიკური პოტენციალი, პერმანენტული შემოსევა-გაველრანების გამო, მინიმუმამდე იყო შემცირებული და რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა სწრაფ ეკონომიკურ აღმავლობას.

მეფის რუსეთს საქართველოში დამკვიდრების შემდეგ თითქმის არ შეუცვლია არც წარმოების წესი და არც საკუთრების ფორმები – თვითონ რუსეთიც იმჟამად ტიპიური ფეოდალური ქვეყანა იყო ძლიერი სამხედრო-ბიუროკრატიული მექანიზმებით გაჯერებული და ამასთან, მას საოცრად აშინებდა სოციალური ურთიერთობების ზედმეტი რადიკალიზაცია, ახალი, პროგრესული ეკონომიკური ფორმების დანერგვა და მთელ იმედებს ფეოდალური სტრუქტურების გამძლეობაზე და რეჟიმისადმი რუსი თავადაზნაურობის ბრმა ერთგულებაზე, რუსი გლეხის მონურ მორჩილებაზე ამყარებდა.

მაგრამ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ რუსეთს დასჭირდა გარკვეული ზომების მიღება, რამაც გამოაცოცხლა საქართველოში მანუფაქტურული წარმოება, შინამრეწველობა, ხელოსნობა და მეურნეობრიობის სხვა დარგები. როგორც ქართველი ეკონომისტები აღნიშნავენ: „XIX საუკუნის 40-50-იან წლებში საქართველოში ნელ-ნელა ჩნდებიან შედარებით მსხვილი სავაჭრო კაპიტალის მფლობელი კომერსანტები, რომლებიც სახელმწიფო მშენებლობათა იჯარის, ბეგარა-გამოსაღებთა გამოსყიდვის, ჯარის ნაწილების სურსათ-სანოვაგის მიწოდების, სპირტის, თამბაქოს, მარილისა და სხვა მონოპოლიების, ირან-თურქეთთან, მთიელებთან და ქვეყნის შიგნით ვაჭრობის, აგრეთვე მევახშეობის, შინამრეწველთა, ხელოსანთა, გლეხობის, საერთო წვრილ მწარმოებელთა ექსპლოატაციის, ცარიზმის მტაცებელი სამხედრო თუ სამოქალაქო ბიუროკრატიასთან ხელიხელჩაკიდებული, მუხანათობისა და ვერაგობის ათასგვარი შავბნელი კომბინაციების პროცესში წარმოიშვნენ“[14]. ე.ი. განვითარდა და განმტკიცდა ადგილობრივი ბურჟუაზია.

ეკონომიკური გამოცოცხლება გამოიწვია იმანაც, რომ საქართველოს განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მდებარეობა მას, რუსეთის იმპერიის სხვა კოლონიებს შორის, გამოარჩევდა სატრანზიტო შესაძლებლობებით და ქვეყნის ეს გამორჩეული თავისებურება შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსეთის ეკონომიკურ ელიტას.

ხაზგასასმელია ისიც, რომ საქართველოს ეს გამორჩეული თავისებურება, ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად მომგებიანი, დროულად შეამჩნია და კომერციულად ჩინებულად გამოიყენა დასავლეთის კაპიტალისტურმა სამყარომაც, რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე მზარდ ინტერესს ავლენდა საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების მიმართ.

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი კი სისტემატურად იზრდებოდა: რუსეთის სამხედრო ექსპანსიამ სამხრეთ კავკასიაში დაბადა სატრანსპორტო კომუნიკაციების მოწესრიგების, მაგისტრალური გზების გაყვანის, სატრანზიტო კორიდორების მოწყობის, შავი ზღვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში ნავსადგურებისა და გადასატვირთი პუნქტების აშენების აუცილებლობა.

1871 წელს გაიხსნა სარკინიგზო მიმოსვლა ფოთსა და ყვირილას შორის. მომდევნო წელს ფოთი დაუკავშირდა თბილისს. გაიჭრა წიფის გეირაბი. 1877 წელს ქუთაისი რკინიგზით დაუკავშირდა სრულიად საქართველოს. 1883 წელს დასრულდა სამტრედია-ბათუმის და თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. სარკინიგზო ბუმმა მოითხოვა ადგილზე საექსპლოატაციო-სარემონტო საწარმოების მშენებლობა, ამისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება, დამხმარე მუშების მოზიდვა, სპეციალურ საინჟინრო და სამშენებლო ინფრასტრუქტურების ჩამოყალიბება და ა.შ.

1883 წელს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიაში უდიდესი რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, რომელსაც საბჭოთა ისტორიკოსები „ამიერკავკასიის პროლეტარიატის აკვანს“ უწოდებდნენ. დასაწყისში ის მხოლოდ სარკინიგზო საქმის რამდენიმე სპეციალისტს აერთიანებდა. XX საუკუნის დასაწყისში საწარმო, რომელიც რუსეთის ხაზინის კუთვნილება იყო, ტიპიურ კაპიტალისტურ სარემონტო-საწარმოო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, რომელიც უდიდესი იყო მთელ ამიერკავკასიაში – მასში უკვე ათასობით მუშა მუშაობდა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საზღვაო პორტების მშენებლობის საკითხი. სახაზინო უწყების ხელშეწყობით დაიწყო ბათუმისა და ფოთის პორტების მშენებლობა. მათ განსაზღვრათ საყაჭრო პროფილი:

ბათუმი გადაიქცა ბაქოს ნავთობის გადაზიდვის მთავარ ფორპოსტად, ხოლო ფოთის პორტის საშუალებით საზღვარგარეთიდან საქონელი უწყვეტად შემოდიოდა ამიერკავკასიაში. ორივე პორტის ნორმალური ფუნქციონირება მოითხოვდა საკმაოდ დახვეწილ საპორტო ინფრასტრუქტურას, საინჟინრო კადრებს, მუშა-დოკერების მრავალრიცხოვან რაზმებს. საქართველოში დოკერები – ძირითადად გუშინდელი გურული გლეხები იყვნენ, რომლებიც სოფლიდან კაპიტალისტური განვითარების კანონებმა გამორეკა ქალაქში საშოვარზე.

საშოვარზე ყოფილი გლეხების სიარული განსაკუთრებით გაძლიერდა 1861 წლიდან, როცა ალექსანდრე II რუსეთის იმპერიაში გააუქმა ბატონყმობა და გლეხობას პირადი თავისუფლება მიანიჭა. იმპერატორის ეს ისტორიული გადაწყვეტილება გამოიწვია ყირიმის ომში რუსეთის სამარცხვინო და-

მარცხებამ, როცა აშკარა გახდა რუსეთის ეკონომიკური პოტენციის სისუსტე და არქაულობა, ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობების დაძაბუნება და ეკონომიკური დაქვეითება. „ზემოდან“, ხელისუფლების ინიციატივით, განხორციელდა რეფორმები, რომლებმაც წინ წასწია რუსეთის კაპიტალისტური განვითარება. კაპიტალიზაციის პროცესებმა სრულიად საქართველოც ჩაითრია. დაიწყო ფეოდალური ურთიერთობის კაპიტალისტურში გადაზრდის სწრაფი პროცესი. თუმცა ის გაჯერებული იყო ფეოდალური ურთიერთობების გადმონაშთებით, რაც გარკვეულწილად აფერხებდნენ პროგრესულ ეკონომიკურ წამოწყებებს.

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ახალი ფორმები გავრცელდა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე. გაბატონდა კაპიტალისტური სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, რომელმაც ნელ-ნელა, მაგრამ საკმაოდ ენერგიულად, სადაც კი შეაღწია, მნიშვნელოვნად შეარყია ფეოდალური ეკონომიკის საფუძვლები.

საქართველო XIX საუკუნის შუა ხანებში უპირატესად გლეხური ქვეყანა იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძირითადი საწარმოო საშუალება იყო მიწა, ხოლო მოგება – მიწის რენტით ხდებოდა. ტრადიციულად საქართველოში სოფლად აგრარულ ურთიერთობაში, ფეოდალური წარმოების წესი ბატონობდა და ეფუძნებოდა გლეხის ფეოდალურ ვალდებულებებს. რეფორმების შემდეგ, ახალი ეკონომიკური ურთიერთობები ნელ-ნელა ქართულ სოფელშიც ინერგებოდა.

კაპიტალიზაციის პროცესი საქართველოს სოფელში წინააღმდეგობებით მიმდინარეობდა – ტრადიციული ფეოდალური ურთიერთობიდან ახალ, კაპიტალისტურ მეურნეობრიობაზე გადასვლა ყველა მიწის მესაკუთრემ ვერ შეძლო. ქართველი თავადაზნაურობის დიდი უმრავლესობა თაკილობდა თავის მამულში კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი საწარმოო ურთიერთობების დანერგვას, არ ავლენდა დაინტერესებას წარმოების პროცესების ოპტიმიზაციის საქმეში. ზოგიერთი ამას ვერც ახერხებდა გამოუცდელობისა და სიახლის მიმართ გარკვეული სიფრთხილის გამო, ზოგს კი ამის მატერიალური შესაძლებლობა საერთოდ არა ჰქონდა. ამიტომაც ბევრმა მათგანმა საკუთარ მამულებში თანამედროვე და პროგრესული აგროწესების დანერგვის ნაცვლად ამჯობინა მიწის გაყიდვა, ამონაგები ბანკებში დააბანდა და „კუპონების კრეჭით“ დაიწყო ცხოვრება.

ამ პროცესმა საქართველოში მიწის ბაზარი აამოძრავა. ბევრი მიწა გადავიდა არაქართველი მეპატრონის ხელში (საკმარისია დავასახელოთ, ანანოვის მამული ვარციხეში, ბარონ კუჩენბახის მამული ქვემო ქართლში, პრინცი ოლდებურგელის აგარის მამული, გრაფი შერემეტიევის მამული

კარდენახში, სამეფო გვარის – რომანოვების მამულების მთელი კასკადი აღმოსავლეთ საქართველოში და უამრავი სხვა).

თუმცა იყვნენ ქართველი თავადები, რომლებმაც ალღო აუღეს ეკონომიკის კაპიტალისტურ წესს და აგრო-ბიზნესის პროგრესული მეთოდების დანერგვით საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს. ასეთი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო თავადი დ. ჭავჭავაძე, რომელიც წინანდალში, მუკუზანში, ნაფარეულში, ურიათუბანში და კახეთის სხვა სოფლებში 15 ათას დესეტინა მიწას ფლობდა. ის თავისი მიწების დიდ ნაწილს იჯარით გასცემდა, თეითონ ჰქონდა 300 ჰექტარი ჩინებულად მოვლილი ვენახი, რომელსაც ამუშაევებდა უკვე დაქირაყებული მუშებისა და ჯერ კიდევ ფეოდალურ ვალდებულებაში მყოფი გლეხების საშუალებით. მის მეურნეობაში ითვლებოდა 11 მარანი 15 საწნახელითა და 371 ქვევრით. წლიურად ამზადებდნენ 20-30 ათას ვედრო ღვინოს[15].

ბრწყინვალე თავადი ივანე მუხრან-ბატონი თბილისის გუბერნიაში 25 794 დესეტინა მიწას ფლობდა. ის მისდევდა მესაქონლეობასაც, ჰყავდა 147 ძროხა, 7 500 ცხვარი, 300 ღორი, 68 ხარ-კამეჩი და 61 ცხენი. ივანე მუხრან-ბატონმა საფრანგეთიდან ჩამოიყვანა მეღვინე და სოფელ მუხრანში ააგო 100 ათასი ვედრო ტევადობის ღვინის სარდაფი და ღვინის დაყენების ევროპულ წესზე გადავიდა. მისი ღვინის ხარისხი საუკეთესო იყო რუსეთის იმპერიაში – 1882 წელს მოსკოვის გამოფენაზე მუხრანულმა ღვინომ დაიმსახურა ოქროს მედალი[16].

რეფორმის შემდგომ ხანაში პროგრესი აშკარად შეიმჩნევა საქართველოსთვის ტრადიციული დარგის – მეღვინეობის განვითარების საქმეში. ეს დარგი მთელი XIX საუკუნის მანძილზე აღმავლობას განიცდის, იზრდება ღვინის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებელი და მისი ხარისხიც.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ 1888 წელს საქართველოში იმპერატორ ალექსანდრე III სტუმრობის დროს ის მოიხიბლა კახური ღვინის გასტრონომიული თვისებებით და გადაწყვიტა სასახლის კარზე ფრანგული ღვინო ჩაენაცვლებინა კახური ღვინით.

რუსეთში კახური ღვინის პოპულარიზებას დიდად შეუწყო ხელი იმანაც, რომ იმპერატორთან დაახლოებულმა პიროვნებამ – გრაფმა შერემეტიევმა თაყად ივანე აფხაზისაგან შეიძინა კარდენახის ჩინებული მამული, რომელიც ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა და ის კახური ღვინის წარმოების ცენტრად გადააქცია. სწორედ მის მამულში სტუმრობდა იმპერატორი ალექსანდრე III თავისი ოჯახით საქართველოში ყოფნის დროს.

ქართულ ღვინოებზე მოთხოვნილების მკვეთრმა ზრდამ მისი წარმოების მასშტაბების გადიდება გამოიწვია. თუ 1875 წელს საქართველოში დამზად-

და 6 406 000 ვედრო ღვინო, 1896 წელს – უკვე 9 546 000 ვედრო. ფაქტობრივად, სულ რაღაც ოც წელიწადში წარმოება თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა[17]. საქართველოს გარდა ქართულ ღვინოს ყიდდნენ მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, ოდესასა და კიევში, იმპერიის სხვა მსხვილ ქალაქებში.

მეღვინეობის შემდეგ საქართველოს სოფელში ინტენსიურად ვითარდებოდა მეურნეობრიობის ის დარგები, რომლის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება იყო რუსეთში, დასავლეთ ევროპაში. დასავლეთ საქართველო გადაიქცა სიმინდის დამზადებისა და გატანის მნიშვნელოვან ცენტრად. ყოველწლიურად საქართველოდან დასავლეთ ევროპაში 5-6 მილიონი ფუთი სიმინდი იგზავნებოდა. როგორც ამტკიცებენ, მესიმინდეობა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა.

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველო გარკვეულ წლებში ევროპას ამარაგებდა ფრინველით, კვერცხითაც კი.

ქართული სოფელი მრავალდარგოვანი იყო. სერიოზული წინსვლაა მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მებრეშუმეობის დარგში. აფხაზეთი გადაიქცა თამბაქოს ნედლეულის – საუკეთესო ხარისხის თამბაქოს დამზადების ცენტრად. ამ საქმიანობაში ჩაება ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

კაპიტალიზმის მკაცრი და ულმობელი კანონები სრულიად საქართველოს სულ უფრო და უფრო ღრმად ითრევდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ერთიან სისტემაში. ეკონომიკურ ფერხულში ჩაებნენ საქართველოს ცენტრს მოშორებული კუთხეებიც და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის კანონები დამკვიდრდა ყველგან: აფხაზეთში, ხევსურეთში, რაჭაში, ფშავში. სამართლიანად არის შენიშნული, რომ „გაიხსნა მოძრაობა თბილისზე გავლით ბათუმიდან ბაქომდე, რამაც უდავოდ გააადვილა და ხელი შეუწყო მოსახლეობის მოძრაობის გაძლიერებას, მის ტერიტორიულ ადგილმონაცვლეობას. ყოველივე ამან სერიოზული როლი შეასრულა და არსებითად განაპირობა მხარის მივარდნილი რაიონებიდან და მიყრუებული კუთხეებიდან სოფლის მოსახლეობის ქალაქებში მოზღვავების მძლავრი პროცესი“[18].

ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ჩაება ადრე შედარებით იზოლირებული სვანეთიც. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „XIX საუკუნის სვანეთიდან შეძლებული მოსახლეობის მამაკაცთა დიდი ნაწილი სამუშაოდ მიდიოდა საქართველოს ყველა კუთხეში“[19]. როგორც დასტურდება სამუშაოდ წასული სვანი მამაკაცები ძირითადად მიწასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოს ასრულებდნენ: ბარავდნენ ბაღ-ვენახებს, ჭრიდნენ თხრილებს, სარწყავ არხებს, გაჰყავდათ გზები, რწყავდნენ ყანებს, იღებდნენ მოსავალს, თიბავდნენ თივას, ჩეხდნენ ხე-ტყეს, ამზადებდნენ შეშას და ა.შ.

„საშოვარზე სიარული“ პირველადი კაპიტალისტური დაგროვების პერიოდის საქართველოს მახასიათებელი იყო. ის შესამჩნევია საქართველოს თითქმის ყველა მაღალმთიან რეგიონისათვის, გურიისათვის, იმერეთისათვის. საწარმოო ძალების ამოძრავება, რეგიონებიდან სამუშაო ძალის მიგრაცია, საკუთარი ეკონომიკური ყოფის გაჯანსაღების მიზნით ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეზე გადასელის აუცილებლობა– კაპიტალიზმის კანონია და ის საქართველოშიც სათანადოდ მუშაობდა.

ეს პროცესები განსაკუთრებით გაძლიერდა მაშინ, როცა ამოქმედდა ჭიათურის მარგანეცის მსოფლიოში უნიკალური საბადო, რომელმაც ევროპის წამყვანი ქვეყნებიდან ამ ნედლეულით დაინტერესებული ბევრი ბიზნესმენი მოიზიდა. როგორც ამტკიცებენ, 1900 წლისათვის ჭიათურაში უკვე მოქმედებდა მეტ-ნაკლები სიდიდის 377 სამთო საწარმო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გერმანელები, რომლებმაც საკმაოდ დიდი გაერთიანება – „გეზელკირხენის სააქციო საზოგადოება“ ჩამოაყალიბეს, რომელსაც მრავალმილიონიანი კაპიტალი ჰქონდა და სისტემატურად ზრდიდა თავის ინვესტიციებს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ჭიათურის სამრეწველო ექსპლოატაციის საქმეში ქართველი ბიზნესმენების ხვედრითი წილი საკმაოდ დიდი იყო. იმასაც ამტკიცებენ, რომ XIX საუკუნის დასასრულს ჭიათურის წილად მოდიოდა მარგანეცის მადნის მსოფლიო მოპოვების 36,16% და მისი მსოფლიო ექსპორტის 43%[20].

ჭიათურაში დაქირავებულ მუშებს შორის შეხვდებოდით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულ ადამიანებს, რომლებსაც გაჭირვება მიერეკებოდა ახალ საცხოვრებელ ადგილზე. ხდებოდა ერთიანი ეროვნული სამუშაო ბაზრის ფორმირება, საწარმოო კადრების ინტენსიური გაცვლა-გამოცვლა რეგიონებს შორის, რაც არღვევდა ფეოდალურ კარჩაკეტილობას.

საქართველოში საწარმოო ძალების შიდა მიგრაციის საქმე სერიოზულად წასწია წინ ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ექსპლოატაციის დაწყებამაც. იმერეთის ყოფილი სოფელი ქვანახშირის წარმოების ცენტრი გახდა, რომლის საწარმოო შედეგები ყოველწლიურად იზრდებოდა. ისტორიკოსები იმისაც ამტკიცებენ, რომ აღნიშნულ პერიოდში „ტყიბულში სამრეწველო გადატრიალება ინტენსიურად მიმდინარეობს და ძირითადად დასრულებულ სახეს იღებს“[21].

საქართველოს ეკონომიკაზე კეთილნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა ბაქოს უნიკალური ნავთობის საბადოს ექსპლოატაციაში შესვლამ. ბაქო იმჟამად მსოფლიოში ნავთობის მოპოვების გამორჩეული ცენტრი გახდა და ამ ნედლეულის საზღვარგარეთ გატანამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ამან კი მეტად გაზარდა ბათუმის სატრანზიტო მნიშვნელობა და ქალაქის ამ შესაძლებლობებით დაინტერესდნენ მსოფლიო კაპიტალიზმის თვალსა-

ჩინო წარმომადგენლები: ბარონი როტშილდი, ნობელი, მანთაშევი და სხვები. უმოკლეს დროში ბათუმში ბიდონების წარმოების ბევრი დიდი საწარმო აშენდა, რომელშიც დასაქმებულნი იყვნენ მშრომელები საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის თითქმის ყველა კუთხიდან.

ამრიგად, საქართველოს სამრეწველო განვითარებამ და ფაბრიკა-ქარხნებისთვის მუშა-ხელით უზრუნველყოფამ გამოიწვია ერთიანი ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირებასთან ერთად, საწარმოო ძალების ინტენსიური მოძრაობა, რეგიონალური გაცვლა-გამოცვლა, რაც ანგრევდა ფეოდალურ კარჩაკეტილობას და ეროვნული კონსოლიდაციისათვის ნაყოფიერ ეკონომიკურ პირობებს ქმნიდა.

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში ხდება საქალაქო ცხოვრების ინტენსიფიკაციაც. ძველ, ტრადიციულ ქალაქებს (თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, ზუგდიდს და ა.შ.) მხარი გაუსწორეს ახალმა ქალაქებმა – ჭიათურამ, ტყიბულმა, სამტრედიამ, ხაშურმა. ქალაქებს მოაწყდა სოფელში გამოთავისუფლებული ყოფილი გლეხობა, რომელმაც პროლეტარიატის რიგები შეავსო და აქტიურად ჩაება მრეწველობაში. ქალაქების სწრაფი ზრდა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ზრდის მაჩვენებელია. ამასთან, საქალაქო ცხოვრების ინტენსიფიკაციასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის კონსოლიდაციის პროცესების დასაჩქარებლად. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ქალაქების სწრაფი ზრდა ფიქსირდება რეფორმისშემდგომ პერიოდში. მაგალითად, 1897 წელს თბილისის მოსახლეობა 1865 წელთან შედარებით 235,4 პროცენტით გაიზარდა, ქუთაისის 275,4 პროცენტით, ბათუმის – 200 პროცენტით[22]. მოსახლეობის პროცენტული ზრდა შესამჩნევია ჭიათურაში, ტყიბულში, ხაშურსა და სხვა ახალ ქალაქებშიც.

მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქებში (ურბანიზაცია), ურბანული განვითარების კანონები დღის წესიგში აყენებს ადგილობრივი საბაზრო ურთიერთობების განმტკიცება-განვითარებას. ტრადიციულ სასოფლო-საქალაქო ბაზრების გვერდით იქმნება საყოველთაო – **ერთიანი ეროვნული ბაზარი**. ის თანდათან აკავშირებს ერთმანეთისაგან ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულ რეგიონებსა და ოლქებს. ყალიბდება რეგიონების ეკონომიკური სპეციალიზაცია, როცა ერთი ოლქი განსაკუთრებით გამოირჩევა კონკრეტული დარგის მაღალი მწარმოებლურობით, წარმოებული პროდუქციის ხარისხით, მაღალი სასაქონლო შესაძლებლობებით.

ერთმანეთისაგან დაშორებული რეგიონების მწარმოებელი მოსახლეობა, ერთმანეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებს სწორედ ამ საერთო ეროვნულ ბაზარზე და მისი მეშვეობით – ყალიბდება სრულიად საქართველოს ეკონომიკური ერთიანობა ანუ სრულიად საქართველოს ბაზარი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არარსებობის პირო-

ბებშიც, გარკვეულწილად, აუცილებელი კაპიტალისტური ღვედებით აკავშირებდა გურიასა და აფხაზეთს, ქართლსა და სამეგრელოს, სვანეთსა და კახეთს.

უკვე ახალი, ბურჟუაზიული ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველზე იქმნება ერის ხელახალი კონსოლიდაციისათვის მატერიალური პირობები, სუსტდება ადგილობრივი კუთხური განკერძოებულობა და წარმოიშობა ერის ერთიანობისა და კონსოლიდაციის ეკონომიკური საფუძვლები (ე.წ. „ეკონომიკური ღვედები“).

აი, რას ამბობენ ამის შესახებ ქართველი ეკონომისტები: „სოფელი უფრო და უფრო უკავშირდება ბაზარს; მიწათმოქმედებაში საქონლური წარმოების შეჭრის შესაბამისად ვითარდება თვით ბაზარი, რითიც უკვე მზადდება ნიადაგი ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის აფეთქებისათვის, კარჩაკეტილობის კედლების გარღვევისათვის, რაც თავის მხრივ საესებით დამოკიდებული იყო ვაჭრობის და მრეწველობის შემდგომ განვითარებაზე“[23].

ისტორიკოსები კი ხაზგასმით აღნიშნავენ: „სოფლის პრიმიტიული ბაზრობა კარგავს მნიშვნელობას. მის ადგილს კაპიტალისტურად გამართული მუდმივი ვაჭრობა იჭერს. XIX საუკუნის დამლევისათვის საქართველოს ყველა ქალაქში, ცოტად თუ ბევრად მსხვილ დაბა-სოფლებში, მრავალად იყო საფეიქრო და საერთოდ სამრეწველო და სასურსათო ნაწარმის მაღაზია–დუქნები, რომლებიც მუდმივ ვაჭრობას აწარმოებდნენ“[24].

სამართლიანია შემდეგი შეფასებაც: „რეფორმის შემდგომ საქართველოში, განსაკუთრებით რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ, შესამჩნევია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ვაჭრობის განვითარების გამო, მრეწველობაში, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების შედეგად, საქართველოს ცალკეული ოლქების კარჩაკეტილობის თანდათანობით ლიკვიდაცია, რის შედეგადაც მოხდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება...“[25].

ამრიგად, საქართველოს ცალკეულ ოლქებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივმა სპეციალიზაციამ, სამრეწველო ძალების თავისუფალი გადაადგილების პირობებმა, სისტემატურმა ეკონომიკურმა აღმავლობამ, მუდმივი გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ შექმნა საფუძველი ერთიანი ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის, რაც ერის კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანესი მატერიალური პირობა გახდა.

ამ სტიქიურ კაპიტალისტურ პროცესებს შეეძლოთ ბოლომდე მიეყვანათ ერის კონსოლიდაციის ეკონომიკური საფუძვლები და უკვე ამ ეტაპზე მთლიანად დასრულებულიყო ქართველი ერის კონსოლიდაცია, რომ სა-

ქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა ყოფილიყო და თვითონ შეძლებოდა ემართა ეს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროცესები.

მაგრამ რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოქცეულ საქართველოს არ შეეძლო სრულად გამოეყენებინა კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ის შესაძლებლობები, რამაც უზრუნველყო დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესების განსაკუთრებული წარმატება. რატომ?

1. საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება მიმდინარეობდა დასავლეთ ევროპის ლიბერალური ფასეულობების (სიტყვის, პრესის, კავშირების, სინდისის თავისუფლების, შრომისადმი დამოკიდებულების ევროპული პრინციპების, პრაგმატიზმის და ა.შ.) სრული იგნორირების პირობებში. ლიბერალური ფასეულობები კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების დროს აცემენტებს და წინ სწევს ყველა ერში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს. ასე მოხდა საფრანგეთში, ასე მოხდა ინგლისში, ასე მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რუსეთის იმპერია, ლიბერალური ფასეულობების შეურიგებელი მტერი, არ დაუშვებდა საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად იმპერიაში, ლიბერალური იდეოლოგიის დამკვიდრების შესაძლებლობას. ამიტომაც კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების სოციალური შედეგები ლიბერალური ფასეულობების გარეშე, გარკვეულწილად, აფერხებდა პროგრესული ეკონომიკის სოციალურ შედეგებს, მათ შორის ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს.

2. საქართველო კოლონიალური ქვეყანა იყო და ის თვითონ არ განსაზღვრავდა თავისი ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებს, ეტაპებს, მასშტაბებს, შედეგებს. რუსეთის იმპერიული მანქანა სრულად აკონტროლებდა მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეკონომიკური განვითარების მაგისტრალურ ხაზს, ყველა მის ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტით.

3. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ კაპიტალიზაციის პროცესი საქართველოში იმჟამად მხოლოდ დაიწყო, მისი გაღრმავების, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან კაპიტალისტური ურთიერთობების შესისხლხორცების პროცესი თავის სიმწიფის ხანაში არ იყო შესული, კაპიტალიზმი ჯერ მხოლოდ პირველადი დაგროვების პროცესს გადიოდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად რუსეთის იმპერიაში, ამიტომაც კაპიტალიზაციის დადებითი შედეგების სოციალური ასპექტები ძალიან ძნელი შესამჩნევი იყო, რაც საქართველოში კაპიტალიზმის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას საკმაოდ აძლიერებდა.

4. საქართველოში კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრება და განვითარება ხდებოდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში რუსეთის იმპერიული მანქანის ანტიქართული დეზინტეგრაციული პროცესების ფონზე, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სოციალურ შედეგებს (ამის შესახებ ქვემოთ). სამწუხაროდ, პატარა საქართველო უზარმაზარი კოლონიალური იმპერიის ერთი რეგიონი იყო მხოლოდ და მის ეკონომიკას, ისევე როგორც მისი ცხოვრების სხვა მხარეებსაც, მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მეტროპოლია, რომელიც ყველანაირად ცდილობდა მინიმუმამდე დაეყვანა დადებითი ეკონომიკური ტენდენციების ზეგავლენა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესებზე.

საქართველოში მეტროპოლიას სხვა ამოცანები ჰქონდა...

§ 3. – რუსეთის იმპერია – ანტიქართული, დეზინტეგრაციული პროცესების მთავარი კატალიზატორი საქართველოში

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთის იმპერატორს – „საქართველოს მეფეს“ წესით, და მის მიერ უფლის წინაშე აღებული ვალდებულებით, უნდა ეზრუნა ქართველი ერის განვითარებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურებისათვის. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მიუხედავად ამისა, ქართველი არისტოკრატიის ერთი ნაწილი იმპერატორთან შეხვედრების დროს ხაზგასმით აღნიშნავდა რუსეთის მეფეების გამორჩეულ მზრუნველობას ქართველი ერის მიმართ. **საქართველოში მეტროპოლიას სხვა ამოცანები ჰქონდა...**

ეს ამოცანები მთლიანად ნაკარნახევი იყო რუსეთის იმპერიის გეოსტრატეგიული პრიორიტეტებით, „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ურღვევობის ცარისტული პრინციპებით, რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესების დაცვის გადაუდებელი მოთხოვნილებით.

აქედან გამომდინარე, საქართველოში დამკვიდრებისთანავე რუსეთის სახელმწიფო ამ ამოცანების რეალიზაციას შეუდგა. ქართველებისათვის ყველაზე სერიოზული და მეტად საშიში პრობლემა – ეს იყო რუსეთის მხრიდან საქართველოში დემოგრაფიული რეალიების შეცვლის დაუოკებელი სურვილი, საქართველოს მფლობელობაში არსებულ თუ შემოერთებულ ისტორიულ ტერიტორიებზე ერთპიროვნულად მოსახლეობის ეთნიკური სურათის რადიკალური შეცვლის მოთხოვნილება.

თურქეთთან ყველა ომის შემდეგ, საქართველოს კუთვნილ ტერიტორიებზე რუსეთის სახელმწიფო უპირველესად ასახლებდა ახალმოსახლეებს, რომელთა უმრავლესობა სომეხი ეროვნების წარმომადგენელი იყო და თურქეთში ანტისომხური პოლიტიკის დამღუპველ შედეგებს საქართველოში გამოექცა.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ახალციხისა და ახალქალაქის შემოერთების შემდეგ რუსეთის ბიუროკრატიამ ხელი შეუწყო და ქართულ მიწებზე დაასახლა არზრუმის ვილაიეთიდან გამოყრილი სომეხი მოსახლეობა – 30 000 კაცი. მომდევნო წლებშიც – რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომების შემდეგაც, რუსეთმა შემოიყვანა და საქართველოს სამხრეთ ტერიტორიებზე დაასახლა სომეხი მოახალშენეების დიდი რაოდენობა.

მსგავსი დემოგრაფიული პროცესი თვალში საცემი იყო ლორეშიც. 1829-1900 წლებში ლორეში ოსმალეთიდან 100 ათასი, სპარსეთიდან კი – 30 ათასი სული სომეხი გადმოსახლდა. ამან ამ რეგიონში გააჩინა სომხების კომპაქტური დასახლებები.

ქართველი ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ მესხეთ-ჯავახეთში „უცხო ეთნოსის შემოსახლებამ მოსპო ქართული მეურნეობრიობის ტრადიციული ფორმები, ბაქან-ტერასების სისტემა. რუსულმა მმართველობამ ეს მხარე ეთნიკურად და რელიგიურად ააჭრელა“[26].

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ არსებობდა ამ თავისუფალ მიწებზე ეთნიკური ქართველების დასახლების პროექტები. მკვლევარმა დ. ჭუმბურიძემ გამოაქვეყნა მასალა, რომელიც მიუთითებს, რომ მესხეთიდან აყრილმა და საქართველოს სხვა კუთხეებში ჩასახლებულმა ქრისტიანმა ფეოდალებმა – ციციშვილებმა, ავალიშვილებმა, მესხელიშვილებმა და სხვებმა რუსეთის მთავრობას წარუდგინეს ქართველ მეფეთა წყალობის სიგელები და თხოვნა ამ თავისუფალ ტერიტორიებზე მათი კუთვნილი მამა-პაპური მიწების უკან დაბრუნების შესახებ, მაგრამ მთავრობისაგან უარი მიიღეს[27].

სერიოზული დემოგრაფიული პრობლემები შეიქმნა აფხაზეთშიც – რუსებმა აუთვისებელი ან აფხაზებისაგან გამონთავისუფლებული მიწები რუს, უკრაინელ, ესტონელ კოლონისტებს დაჩქარებული წესით გადასცეს. ერთი რუსი ჩინოსანი ზემდგომ ინსტანციაში წერდა აფხაზეთის შესახებ: „თუ შევიძენდით მთავრის მამულებს, რომელიც მეტად ვრცელია და მნიშვნელოვანი, ახლავე შეგვეძლო შევდგომოდით აფხაზეთის კოლონიზაციას კაზაკ-რუსების მეშვეობით“[28].

ეს დემოგრაფიული პოლიტიკა რუსეთმა აფხაზეთში წარმატებით გაატარა და სულ რამდენიმე წლის შემდეგ თანამედროვენი გულისტკივილით წერდნენ აფხაზეთის შაიზღვისპირეთის ძალმომრეობითი კოლონიზაციის გა-

მო: „მიდიხარ და მისდევ ამ ნაპირს: აქ ბაღია, სახელად „ოტროდნოე", იქ „სჩასტიე", ფეხს მოინაცვლებ, „ლუბოვ" ან „დრუჟბას" მიადგები. მათი უწინდელი პატრონები აფხაზები კი ხელცარიელნი დარჩნენ: რაც ფული აიღეს, მოეხარჯათ, მამულიც ხელიდან გამოუძვრათ"[29].

სერიოზული დემოგრაფიული პრობლემები შექმნეს რუსებმა აჭარის ახლადშემოერთებულ მიწებზეც. თურქი ავტორი ესინ დაი მიუთითებს, რომ „რუსები, თუმცა ოფიციალურად არა, მაგრამ სიტყვიერი პროპაგანდის საშუალებით, კავკასიაში ჩამოსახლებულ ლტოლვილებს მიწის ნაკვეთებთან ერთად 15 რუბლის მიცემას, სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებას, ნამატი პროდუქციის უქონლობის შემთხვევაში, გადასახადებიდან 20 წლით განთავისუფლებას პირდებოდნენ და ხალხს კავკასიაში ჩამოსვლაზე აქეზებდნენ... რუსები ამგვარი პროპაგანდით ცდილობდნენ დაესახლებინათ კავკასიაში მეფის ერთგული კოლონისტები".[30]

საქართველოს სამხრეთ რეგიონების დემოგრაფიული სურათის შესაცვლელად რუსებმა გამოიყენეს გერმანელი მოახალშენეები (ბორჩალოში), რუსი დუხობორები (წალკაში), ესტონელები (აფხაზეთში) და ა.შ. თუმცა, არ შეიძლება არ დავინახოთ გერმანელი კოლონისტების საქართველოში ჩასახლების დადებითი შედეგებიც – დასავლეთ ევროპის აგროკულტურის მიღწევების ფართოდ დანერგა-გავრცელება. გერმანული შრომისმოყვარეობა და მიზანმიმართება მათ ახალშენებს სანიმუშოდ და მისაბაძ მამულებად ხდიდა და ეს მათი გამოცდილება ვრცელდებოდა სრულიად საქართველოში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში უფრო ენერგიულად, ვიდრე ადრე, ცდილობდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" ფორმირების პროცესის დაჩქარებას, რისთვისაც მას აუცილებლად ესაჭიროებოდა კოლონიების ძირითადი და წამყვანი ეთნოსების, ამ შემთხვევაში ქართველების, დემოგრაფიული დასუსტება, რომ არ მომხდარიყო მათი კონსოლიდაციის პროცესის დაჩქარებული განვითარება-გაძლიერება. ხელოვნურად დემოგრაფიული სურათის რადიკალური შეცვლა რუსეთის იმპერიული დივერსიული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა გახდა სამხრეთ საქართველოში.

იმისათვის, რომ საქართველოში რუსეთის იმპერიისათვის სასურველი დემოგრაფიული სურათი ჩამოყალიბებულიყო და რაც შეიძლება მეტი ახალმოსახლე დასახლებულიყო ქართველების კუთვნილ ტერიტორიებზე, რუსეთის სახელმწიფომ სპეციალური ორგანიზაცია „გადმოსახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება" შექმნა, რომლის მიზანი იყო ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა კავკასიაში გადმოსახლებულ პირთა დახმარების საქმეში, მოახალშენეების ადგილზე დამაგრება, მათთვის გარკვეული მატერიალური პირობების შექმნა. ორგანიზაციის

აგენტები სრულიად საქართველოში უკვე გაკოტრებული თავადებისა და მიწათმფლობელებისაგან იაფად იძენდნენ მამულებს და ამ ტერიტორიებზე ქმნიდნენ ახალშენებს.

ასეთი დივერსიული დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგად საქართველოში მოხდა ის, რომ თუ XIX საუკუნის განმავლობაში ქართველი მოსახლეობა იზრდებოდა ბუნებრივი მატების გზით, არაქართველი ეთნოსების ზრდა მოხდა დაჩქარებულად, არაქართველი მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნურად ზრდის საფუძველზე. ქართველი მეცნიერები მიუთითებენ, რომ „XIX საუკუნეში ქართველთა რაოდენობა 670 ათასიდან 1 314 ათასამდე გაიზარდა, ეროვნული უმცირესობისა კი 180 ათასიდან 533 ათასამდე. ე.ი. ქართველების რიცხვი გაორმაგდა, სხვა ეთნიკური ჯგუფების – გასამმაგდა. შემცირდა ქართველთა ხვედრითი წილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში და მან რვა მეათედის ნაცვლად, შვიდი მეათედი შეადგინა, რაც რუსეთის აგრესიულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ გამოიწვია“[31]. სწორი და სამართლიანი შეფასებაა.

დემოგრაფიული დივერსიის შედეგები ძალიან მალე გახდა საცნაური – მოახალშენეები თავის ვალდებულებას მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს მიმართ გრძნობდნენ და არაფრად აღელეებდათ ქართველები და საქართველოს ინტერესები. ისინი, მართლაც, გახდნენ რუსეთის იმპერიის ერთგული დასაყრდენი სამხრეთ კავკასიაში. თითქმის მთლიანად გაუცხოებული ქართველებისა და ქართული საქმისაგან, კოლონისტები თავს ვალდებულად არ თვლიდნენ ესწავლათ ქართული ენა, გაეცნოთ ქართული კულტურა, დაახლოებოდნენ საქართველოს მოწინავე საზოგადოებას (რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს მასობრივი პროცესები და არა ცალკეული პიროვნების ქართველების მიმართ დამოკიდებულების ხარისხი, რომელიც შეიძლება ძალიან მეგობრული, ურთიერთნაყოფიერიც კი ყოფილიყო).

რუსეთის ცარიზმის ასეთმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ თავისი შედეგები უფრო მოგვიანებით საკმაოდ რელიეფურად აჩვენა (ამის შესახებ ქვემოთ).

განსაკუთრებით დივერსიული და ანტიქართული შინაარსის იყო რუსეთის ცარიზმის დამოკიდებულება საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მაჰმადიანებთან, რომლებიც წინა საუკუნეებში ქართველები იყვნენ, აფხაზებთან და აჭარლებთან. მუხაჯირობა – როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა მთლიანად რუსეთის მმართველი წრეების შორსგამიზნულ იმპერიულ გეგმებს პასუხობდა. ამ ტრაგიკული მოვლენის შესახებ როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართველ ისტორიკოსებს მსგავსი შეხედულება აქვთ. ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი სერგი მაკალათია, ჯერ კიდევ 1938 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ხაზგასმით

მიუთითებდა: „თვითმპყრობელობა ამ მხარეში აწარმოებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომლის შედეგი იყო ხელოვნურად შექმნილი ეროვნული და სარწმუნოებრივი სიჯრელე, ქრისტიანობის გაძლიერება და მაჰმადიანი მოსახლეობის გარიყვა. ამან დააფრთხო აქაური ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობა, რომელმაც რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით თანდათან დაივიწყა ქართული ენა. ძალდატანებითი გაქრისტიანების შიშით იგი შეიპყრო რელიგიურმა ფანატიზმმა, რამაც დაუხშო მას ეროვნული შეგნება. მათ თანდათან დაივიწყეს სამშობლოს ისტორიული თავგადასავალი და მშობლიური ენა. ქართული გვარები შეცვალეს თურქულზე, რადგან „ქართველი“ მის შეგნებაში ნიშნავდა „ქრისტიანს“[32].

ისტორიკოსები იმასაც აღნიშნავენ, რომ „რუსეთის ხელისუფლებამ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მიცემული პირობა ხელშეუხებლობისა, არ შეასრულა, რამაც უზრუნველჰყო მუჰაჯირობა“[33]. ამ სიტყვების ავტორი აშკარად ბრალს სდებს რუსეთს, რომ სპეციალურად შექმნა აჭარაში პირობები „რათა მას ხელი არ შეეშალა მუჰაჯირობისათვის და განსაკუთრებულ ადგილზე თავისი ერთგული ელემენტის ჩამოსასახლებლად“.

ასეთივე ვითარება იყო შექმნილი აფხაზეთშიც. რუსი ჩინოსნები ადგენდნენ გეგმებს აფხაზების თურქეთში გასახლების შესახებ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ერთ-ერთ წერილში დაფიქსირებულია შემდეგი: „არსებობს მხოლოდ ერთი რადიკალური საშუალება სოხუმის განყოფილების მხრიდან ყოველგვარი საშიშროების აღმოსაფხვრელად, ესაა აფხაზეთის მოსახლეობის თურქეთში გადასახლება“[34]. უფრო შორს მიდიოდა მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი, რომელიც მიუთითებდა: „აფხაზთა გადასახლების მთავარ ამოცანად მიაჩნდა რუსეთის იმპერიის საზღვრიდან მოსახლეობის იმ ნაწილის მოშორება, რომელიც ხელისუფლებისადმი ყველაზე უფრო მტრულად არის განწყობილი“[35].

უდავოა, რუსეთის ხელისუფლებას შავი ზღვის აკვატორიაში არ სჭირდებოდა ჭირვეული და ფიცხი, ზედმეტად აგრესიული მოსახლეობა, რომელიც ისტორიული კატაკლიზმების დროს შეიძლება სერიოზული პრობლემების შემქმნელი აღმოჩენილიყო. ამიტომაც რუსეთის მხრიდან მუჰაჯირობის წახალისება რუსეთის იმპერიული მიზანდასახულობის შემადგენელი ნაწილი იყო.

მეტად საინტერესოა თურქი ისტორიკოსების პოზიცია ამ საკითხზე. ისინი გამორიცხავენ თურქეთის დაინტერესებას მუჰაჯირობით და ამ პროცესებს მთლიანად რუსებს აბრალებენ. როგორც ისინი ამტკიცებენ, თურქეთი დაინტერესებული იყო შეენარჩუნებინა მუსლიმანი მოსახლეობა ადგილზე, რომ „არ გამქრალიყო გაზიებისა და გმირების კერა, არ შეწყვეტილიყო წმინდა ... მუჰამედისადმი ლოცვა და მუსლიმანთა ხმა, ჯამებსა და მეჩე-

თებში, თურბე-სასაფლაოების მოსაგონრად და შესანარჩუნებლად, გიაურთა ჩაგვრის ქვეშ მოქცეული უმცირესობის მხარდაჭერისათვის სამშობლოში დარჩენა იყო ყველაზე დიდი ლოცვა და ხალხის სამსახური, რადგანაც ეს ტერიტორია ფადიშაჰის მიერ რუსეთს დროებით და კონტრიბუციის სახით გადაეცა“[36].

ბოლო წლებში საქართველოში გამოქვეყნდა ნაშრომები, რომელშიც მუჰაჯირობის ხელშემწყობებად და წამხალისებლებად როგორც რუსეთის, ისე თურქეთის ხელისუფლები არიან დასახელებულნი. როგორც ამტკიცებენ „ერთიც და მეორეც ცდილობდა ვრცელი რეგიონის მოსახლეობის აყრა-გასახლებას, თანაც რაც შეიძლება მეტი რაოდენობით. არის ფაქტები, რომლებიც მოწმობს, რომ ოსმალები ადგილობრივი მოსახლეობის აყრას ძალით ცდილობდნენ“[37].

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი სამართლიანად მიანიშნებს ცარიზმის დაინტერესებაზე არ მომხდარიყო ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების კონსოლიდაცია: „ცარიზმი ყველა საშუალებით ცდილობდა არ დაეშვა ქართული მხარეების კონსოლიდაცია, მათი ერთიან ეროვნულ ორგანიზმად ჩამოყალიბება. ამიტომაც სხვადასხვა კუთხის ქართველებს ერთმანეთს უპირისპირებდა“[38].

მუჰაჯირობა უაღრესად ტრაგიკული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა იყო, რომელმაც ფაქტობრივად ეთნიკური წმენდის ფუნქცია შეიძინა. არის ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული სტატისტიკა ბათუმის ოლქიდან ემიგრირებული მაჰმადიანი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ – ზ. ჭიჭინაძე თავის ნაშრომში მიუთითებს 100 000 კაცს, რუს ავტორებთან დასახელებულია – 30-38 ათასამდე კაცი, თ. სახოკია 12 ათას კაცს უარაუდობს, ხოლო ხ. ახვლედიანი – ნახევარ მილიონზე მეტს[39].

ასევე ერთმანეთისაგან განსხვავებულია აფხაზეთიდან თურქეთში მიგრირებულთა რაოდენობრივი მონაცემი. ცნობილი აფხაზი მეცნიერი ზ. ანჩაბაძე თავის ნაშრომში ასახელებს 30 ათას კაცს, რაც მისი აზრით შეადგენდა აფხაზი მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტს[40].

მუჰაჯირებს ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები გამოესარჩლნენ. საქართველოს პრესის ფურცლებზე ისინი ამხელდნენ მეფის რუსეთის მოხელეთა ძალადობას, მათი მხრიდან მაჰმადიანი მოსახლეობის შევიწროებისა და ადგილებიდან მათი ძალადობრივი აყრის ფაქტებს. რეალურად დამცველებადაც ადგილობრივი ქრისტიანი ქართველები მოევლინნენ, რომლებიც რუსებისაგან მალულად იფარებდნენ მაჰმადიან თანამოძმეებს, საცხოვრებელს აძლევდნენ, ხელს უმართავდნენ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ აფხაზეთის ეპისკოპოსთან ალექსანდრე ოქროპირიძესთან მისულა მაჰმადიანი აფხაზი, სახელად ურუსი, თავის 12 წლის ვა-

ჟიშვილთან ერთად. აფხაზმა ასე მიმართა ქართველ მღვდელმთავარს: „ჩემი ვაჟი მინდა დავსტოვო შენთან... ცოლი და სხვა შვილები ადრე დავკარგე, არ ვიცი რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვტოვებ სამშობლოს, არ მინდა ჩემი უბედურება გავუზიარო ჩემს ერთადერთ შვილს და შენთან მოვიყვანე, მოწყალეო მამაო, ვიცი მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და იქნება ბედნიერი“[41].

მუჰაჯირობა სისხლიანი ტრაგედიაა საქართველოს ათასწლოვან ისტორიაში და ტიპიური მაგალითიც იმისი, თუ როგორც აბრკოლებდნენ მსოფლიო იმპერიები ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს. მართლაც, რა ფორმებსა და საშუალებებს არ მიმართავდნენ, რომ დასუსტებულიყო და დაქსაქსულიყო „ერთობილი საქართველო“.

მარტო მაჰმადიანი ქართველები არ იყვნენ რეპრესიების მსხვერპლნი. ქრისტიანი ქართველებიც საკმაოდ დამცრობილად გრძნობდნენ თავს ერთმორწმუნე რუსეთის საეკლესიო იერარქების შეუზღუდველი ბატონობის შედეგად.

მეფის რუსეთმა ბოროტად გამოიყენა საქართველოს ზედა ფენის და საერთოდ, იმჟამინდელი ქართველების გულუბრყვილო რწმენა „ერთმორწმუნე“ რუსეთის ფენომენის მიმართ, რაც გულისხმობდა რუსეთის მხრიდან საქართველოსთან დამოკიდებულებაში ქრისტიანული გულმოწყალებით გამთბარი მეგობრული პოლიტიკის გატარებას, მართლმადიდებელი ქრისტიანობის ფუძემდებლური ფასეულობებისადმი რუსეთის იმპერატორების ერთგულებას და მათ მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული პოლიტიკის უანგარობას.

სამწუხაროდ, ქართულ-რუსული ურთიერთობების საწყის პერიოდში, როგორც ჩანს, ქართველობამ კარგად არ იცოდა, რომ პეტრე I საეკლესიო რეფორმების შემდეგ რუსეთის ეკლესია ფაქტობრივად გაემიჯნა ორთოდოქსალურ მართლმადიდებლობას, როცა გააუქმეს პატრიარქის ინსტიტუტი და ეკლესია სახელმწიფოს ინტერესების სამსახურში ჩააყენეს. სამართლიანად მიუთითებენ ისტორიკოსები, რომ „პეტრე I-ის საეკლესიო რეფორმამ სათავე დაუდო რუსეთში მართლმადიდებელი ეკლესიის განვითარების ახალ, ე.წ. სინოდალურ პერიოდს. პატრიარქის ინსტიტუტის გაუქმებამ, ხოლო მის ნაცვლად უმაღლესი სასულიერო იერარქების მუდმივი კრების – უწმინდესი სინოდის ჩამოყალიბებამ ეკლესიის მართვის სამართლებრივკულტურული ფორმები და პრინციპები ძირეულად შეცვალა. ამგვარი რეფორმის შემდეგ საეკლესიო მმართველობის სადავეები, ფაქტობრივად, სახელმწიფო ხელისუფლების ხელში აღმოჩნდა“[42].

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საქართველოს კათოლიკოსი და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიულად და ტრადიციულად წარმო-

ადგენდნენ ქართველი ერის მაკონსოლიდირებელ ძლიერ ძალას – ქართული მართლმადიდებლობა თავისი 1900 წლიანი ტრადიციით მთლიანად განსაზღვრავდა ქართველთა იდენტობას და იყო მისი ერთ-ერთი მთავარი მარკერი.

„ქართული ეკლესიის სახელმწიფოსთან ურთიერთობა ისტორიულად აგებული იყო ასეთ პრინციპებზე, – წერს მკვლევარი ხ. ქოქრაშვილი, – სარწმუნოების გავრცელებაში სრული თავისუფლება და ძალდაუტანებლობა; საეკლესიო წყობისა და და შინაგანი მართვა-გამგეობის სრული დამოუკიდებლობა; საერო ხელისუფალთა მხრივ უმაღლეს საეკლესიო იერარქთა უფლებამოსილებაში ჩაურევლობა; საეკლესიო ქონების ხელშეუხებლობა“.

რუსეთში ეს კანონიკური მოთხოვნები უკვე დიდი ხანია აღარ სრულდებოდა, ამიტომაც იმპერია თავისი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ შეინარჩუნებდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციულ წეს-განრიგს, პატრიარქის ინსტიტუტს (ეს ინსტიტუტი ხომ თვითონ რუსეთში უკვე 1700 წლიდან აღარ არსებობდა), ქართული ეკლესიის ტრადიციულ დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან და სახელმწიფო სტრუქტურებისაგან, საეკლესიო მიწათმფლობელობას (რაც, ასევე, რუსეთში უკვე დიდი ხანია არ არსებობდა) და ა.შ.

სწორედ, რუსეთის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოში გაუქმდა პატრიარქის ინსტიტუტი, მის მაგიერად რუსეთის სინოდი ნიშნავდა ეგზარქოსს. ქართულ ეკლესიას მთლიანად ჩამოერთვა კუთვნილი მიწები და ის გადაეცა რუსეთის სახელმწიფოს. ქართველი სამღვდელოება გახდა რუსეთის სახელმწიფოს დაქირავებული მსახური – ის ხელფასს იღებდა იმპერიის ხაზინიდან, აქედან გამომდინარე, მატერიალურად დამოკიდებული და მორალურად დავალებული იყო მისგან. ყველა მნიშვნელოვანი საეკლესიო ღონისძიება ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. ქართულ ეკლესიას დაეკარგა უკვე ის ფუნქციაც, რასაც რუსეთის ეკლესია მორჩილად ასრულებდა საუკუნეების მანძილზე – განედიდებინა რომანოვების სამეფო სახლი, ეზრუნა რუსეთის სახელმწიფო ინტერესებზე, დროულად შეეტყობინებინა ხელისუფლებისათვის აღსარების საიდუმლოს დროს გაგებული ხელისუფლებისათვის საინტერესო ინფორმაცია და ა.შ.

საქართველოს ეკლესია იძულებული გახდა დამორჩილებოდა ამ ზეწოლას. ამან მნიშვნელოვნად შელახა ქართული ეკლესიის ავტორიტეტი მოსახლეობაში, რამაც შექმნა ნაყოფიერი ნიადაგი XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ათეისტური იდეოლოგიის ზეაღმავალი განვითარებისათვის და ეკლესიას დაუკარგა ის ფუნქცია, რაც მას საუკუნეების მანძილზე საქართველოში ჰქონდა – ყოფილიყო ერის კონცენტრაციისა და კონსოლიდაციის მნიშვნელოვანი საფუძველი.

რამდენადაც, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის იმპერია უკვე აშკარად ცდილობდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ იდეოლოგიის პრაქტიკულად რეალიზაციას, ადგილებზე დაიწყეს ერების დაშლა-დაქუცმაცებისა და მათი მორალურ-ფსიქოლოგიური დასუსტების პოლიტიკა, რა თქმა უნდა, ამ იდეოლოგიის მამამთავრების გეგმით, ქართული ეკლესიაც უნდა დაკნინებულიყო, რომ მოშლილიყო ქართველთა ტრადიციული ერთიანობის მნიშვნელოვანი მარკერი. ამ მიზნით საქართველოში დაჩქარებული წესით გატარდა ორგანიზაციულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი – 13 ეპარქიის ნაცვლად შეიქმნა ორი ეპარქია: მცხეთა-ქართლისა და ალავერდ-კახეთისა. საქართველოს ეგზარქოსად, როგორც წესი, რუსი ეროვნებისა და რუსეთის სახელმწიფოს გულმხურვალედ ერთგული პირები ინიშნებოდნენ. მათ შორის ბევრი იყო „ქართველთმოძულე“, რუსიფიკაციის პოლიტიკის მებაირახტრე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეგზარქოსმა პავლემ იოსებ ლაღიაშვილის მიერ მოკლული თბილისის სემინარიის რექტორის ჩუდეცკის დასაფლავების დროს დაწყევლა ქართველი ერი, „რომელმაც წარმოშვა ისეთი ავაზაკი, როგორიც იოსებ ლაღიაშვილია“.

საქართველოს ეგზარქოსის ამ განცხადებამ აღაშფოთა საქართველოს საზოგადოებრიობა. დიმიტრი ყიფიანმა სპეციალური წერილით მიმართა ეგზარქოსს: „თქვენო აღმატებულებავ, მიიღეთ მწყემსმთავრული მოწყალება და შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება, თუ გატაცებული დაუჯერებელი ხმებით ვსცოდავ თქვენს წინაშე. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც თქვენ მოწოდებული ხართ სამწყსოდ და, რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას... თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი ღირსების გადარჩენა მხოლოდ შეიძლება იმით, რომ შემჩვენებელი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან“[43].

დიმიტრი ყიფიანის წერილმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, ქართული საზოგადოებრიეი აზრი ბობოქრობდა, მაგრამ საქართველო დატოვა არა უღირსმა ეგზარქოსმა, არამედ ქართველმა პატრიოტმა – დიმიტრი ყიფიანმა, რომელიც სტავროპოლში გადაასახლეს. დიდი მამულიშვილი მეფის „ოხრანკის“ მიერ მიგზავნილმა მკვლელმა სიცოცხლეს გამოასალმა.

რუსული საეკლესიო რეფორმა თანდათან გავრცელდა საქართველოში. ცვლილებები განიცადა საღვთისმსახურო ტრადიციამაც. ეკლესია მონასტრებში ღვთისმსახურება სლავური ტიპიკონის მიხედვით წარმოებდა. ეთნიკურად შერეულ სამრევლოებში წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე სრულდებოდა. მხოლოდ ქართულენოვან სამრევლოებში შემორჩა ქართული წირვა-ლოცვა. ამტკიცებენ, რომ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში სულ უფრო იშვიათად სრულდებოდა ქართული საგალობლები.

საქართველოში ეკლესიას რუსიფიკატორული ამოცანები განსაკუთრებულად გაუძლიერეს XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როცა ალექსანდრე III დაიწყო „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ პროექტის მიზანმიმართული რეალიზება და ამ მიზნით განსაკუთრებული დატვირთვა დაეკისრა ეკლესიას, მის იმპერიულ საგანმანათლებლო სისტემას.

ამ პერიოდის საქართველოს საეგზარქოსოს ქართველი ისტორიკოსები უკვე „ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის გარუსების საქმეში საყრდენ სასულიერო უწყებას“ უწოდებენ[44].

საქართველოში რუსი ეგზარქოსები განსაკუთრებით ცდილობდნენ მინიმუმამდე დაეყვანათ ქართველი ეროვნების ეპისკოპოსების მცდელობა შეენარჩუნებინათ ქართული ენა, ქართული გალობა ღვთისმსახურებაში. რუსები ეჭვის თვალით უყურებდნენ და ყოველმხრივ აფერხებდნენ ქართველთა მეცადინეობას – შეენარჩუნებინათ ტრადიციული ღვთისმსახურება. მეტად მნიშვნელოვანია ერთი დოკუმენტი, რომელიც სანკტ-პეტერბურგიდან საქართველოში გამოიგზავნა: „რაც შეეხება ქართველთა მონდომებას, რომ ამ მხარეში (იგულისხმება აჭარა, ტაო-კლარჯეთი – ა.დ.) ქართული მართლმადიდებლობა გაბატონდეს, ეს ჩვენთვის არ არის მისაღები და მათ ამაში ხელი უნდა შევუშალოთ, რადგან ქართველები ნაციონალისტები არიან და ისინი დაიწყებენ ამ ახლადშემოერთებულ მხარეში ნაციონალისტური იდეების ქადაგებას და ეს კი ჩვენთვის სახიფათოა“[45].

ცნობილია, რომ თავისი ანტიქართული განწყობილებით გამოირჩეოდა სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსი არსენი (იზოტოვი), რომ მისი მღვდელმთავრობის დროს (1895-1905 წწ.) აფხაზეთში ქართულ ენაზე შესრულებული წირვა-ლოცვა მთლიანად აიკრძალა. ქართველთ მოძულე „ღვთისმსახური“ იქამდეც კი მივიდა, რომ სინოდის წინაშე დააყენა საკითხი საქართველოს საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის შესახებ. სწორედ ასეთი, და მსგავსი, რუსი შოვინისტების მიერ იმ ხანებში ყველაფერი კეთდებოდა ქართველებისა და აფხაზების ისტორიული ერთობის გასათიშად და ჩასაკლავად.

ამასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის გადასაჯიშებლად-გასარუსებლად რუსი ჩინოსანი-მღვდელმთავრები და მათი ადგილობრივი აგენტები სპეციალურ მეთოდებს ამუშავებდნენ. ამ საქმეში ისინი, უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო განათლების საკმაოდ განტოტვილ სისტემასაც იყენებდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სამი ტიპის სასულიერო სასწავლებელი იყო: სასულიერო სემინარიები, სამაზრო სასწავლებლები, სამრევლო სკოლები. მათ შორის თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდა თბილისის სასულიერო სემინარია. ამ სასწავლებლის აღზრდილებს შორის იყვნენ ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კორი-

ფეები: სოლომონ დოდაშვილი, დანიელ ჭონქაძე, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე. ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო ლომოური, იაკობ გოგებაშვილი, მოსე ჯანაშვილი, გიორგი საძაგლი'შვილი (მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი) და ბევრი სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ცნობილი ბევრი რევოლ'უციონერიც აღზარდა ამ დაწესებ'ულებამ – ვანო კეცხოველი, ნოე ჟორდანია, მიხა ცხაკაია, იოსებ ჯუგაშვილი (სტალინი) და ბევრი სხვა.

წლების განმავლობაში სასწავლებელმა რუსეთის ანალოგიურ დაწესებულებებს შორის პრივილეგირებ'ული ადგილი დაიკავა – ის ამიერკავკასიის რეგიონში მთავარი ქრისტიან'ული სას'ულიერო სასწავლებელი იყო. მისი წარჩინებ'ული კ'ურსდამთავრებ'ულები იგზავნებოდნენ კიევის, მოსკოვის, ყაზანის, სანკტ-პეტერბურგის სას'ულიერო აკადემიებში.

სემინარიაში გამეფებ'ული იყო ბავშვის აღზრდის იეზ'უიტური მეთოდები, აღსაზრდელებზე მიმდინარეობდა სისტემატიური ოვალთვალი, იყენებდნენ ყმაწვილების კარცერ'ში დასჯის მეთოდსაც, დევნიდნენ თავის'უფალი აზრის ყოველ'გვარ გამოვლენას, აღსაზრდელებს ეკრძალებოდათ შეკრებები და მსჯ'ელობა პოლიტიკ'ურ საკითხებზე. ასეთი დრაკონ'ული კანონები, უსამართლობა, ეროვნ'ული ღირსების შე'ურაცხყოფა, უდავოდ დაბადებდა სასწაულებელ'ში არსებ'ული რეჟიმისადმი ნიჰილიზმს. სემინარიის ბევრი კ'ურსდამთავრებ'ული ასე იგონებდა სემინარიაში გატარებულ პერიოდს: „ვდგებოდით დილით შეიდ საათზე. ჯერ გვალოცვინებდნენ, შემდეგ ესვამდით ჩაის. ზარის შემდეგ მივდიოდით კლასში. მორიგე მოწაფე კითხ'ულობდა ლოცვას „მე'უფეო ზეცათაო" და მეცადინეობა დაუსრ'ულებლად გრძელდებოდა დღის ორ საათამდე. სამ საათზე – სადილი, საღამოს ხუთ საათზე – ამოკითხვა, რის შემდეგ სასტიკად გექნებოდა აკრძალ'ული ქალაქში წასვლა. უფრო გვიან მივყავდით საღამოს ლოცვაზე, რვა საათზე – ვსვამდით ჩაის, შემდეგ მივდიოდით კლასებში – გაკვეთილების მოსამზადებლად, ხოლო ათ საათზე უნდა დაგვეძინა. თავს ისე ეგრძნობდით, თითქოს ქვის ტომარაში ვზივართო"[46].

იოსებ სტალინი, რომელიც ამ სემინარიის მოწაფე იყო, მოგვიანებით, გერმანელ მწერალთან ემილ ლ'უდვიგთან საუბრისას აღნიშნავდა: „სემინარიაში გამეფებ'ული დამამცირებელი რეჟიმისა და იეზ'უიტური მეთოდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მე მზად ვიყავი გავმხდარიყავი და გავხდი კიდეც რევოლ'უციონერი..."

XIX საუკ'უნის დასასრულს თბილისის სას'ულიერო სემინარიიდან ყოველმხრივ იდევნებოდა ქართული ენა. რუსი პედაგოგების მხრიდან ქართველი ბავშვების დისკრიმინაცია ყოველგვარ საზღვრებს სცილდებოდა. ბავშვებს მშობლიურ ენაზე ფიქრსაც კი უკრძალავდნენ, რომ ქართველი ბავშვების

გარუსების პოლიტიკა დაეკანონებინათ, სემინარიის მასწავლებელთა კრების 1896 წლის 16-24 იანვრის გადაწყვეტილებით მიიღეს დადგენილება: „მოსწავლეთა შორის რუსული სამეტყველო ენის ხმარების გაძლიერების შესახებ“. დადგენილება მოითხოვდა სემინარიის შენობაში და მის ფარგლებს გარეთაც კი ქართულ ენაზე მეტყველების ფაქტების არა მარტო აკრძალვას, არამედ ქართულად ლაპარაკისათვის საბაბის წარმოშობასაც კი“[47]. ეს დრაკონული კანონი საბოლოოდ უკრძალავდა ქართველ ბავშვებს მშობლიურ ენაზე აზროვნების ყოველგვარ გამოვლენას.

გარუსება-გადაჯიშების ეს პოლიტიკა კიდევ უფრო მახინჯი ფორმებით ტარდებოდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე, რომლებიც კავკასიური ომების შედეგად შემოიმტკიცა რუსეთის იმპერატორმა და „საქართველოს მეფემ“ – აჭარაში, ახალციხეში, აფხაზეთში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX საუკუნის დასასრულს რუსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ პრაქტიკული რეალიზაციის პროგრამამ, რაც ადგილობრივი ენების ნაცვლად რუსული სალაპარაკო და საზეროენო ენის დამკვიდრებას ითვალისწინებდა. ვერ ვიტყვით, რომ ამ საქმეში რუსეთის იმპერია გამორჩეული იყო და ყველა სხვა იმპერიები უფრო გულისყურით ეპყრობოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მათ მშობლიურ ენებს. ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო ცდილობს დაიმორჩილოს და დაიქვემდებაროს კოლონია სულიერად და ამ საქმეში წარმატებით იყენებს საკუთარ საგანმანათლებლო სისტემებს, საკუთარ მშობლიურ ენას. ბევრმა მეტროპოლიამ ამ საქმეში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და გარკვეული გამოცდილებაც შეიძინა. საფრანგეთმა შეძლო ბრეტანიის, ნორმანდიის, ლოტარინგიის, პროვანსის, გასკონიის, კორსიკელების სრული ენობრივი ასიმილაცია. ინგლისელებმა ასევე დააავიწყეს თავისი მშობლიური ენა უელსის, შოტლანდიის, ირლანდიის, კანადის, ა.შ.შ. მცხოვრებლებს. ავსტრიამ გერმანულ ენაზე აამეტყველა უნგრეთი, ჩეხეთი, გალიცია და თავისი სხვა კოლონიები.

რუსეთის იმპერიაც ასევე, ენერგიულად ცდილობდა თავისი მშობლიური რუსული ენა გაეხადა იმპერიის განუყოფლობის მთავარ დუღაბად და ამ საქმეში, რა თქმა უნდა, განათლების სისტემას აკისრებდა მთავარ როლს.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში საგანმანათლებლო სისტემის დახმარებით გარუსების პოლიტიკის რეალიზაციამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. ისტორიკოსები აღნიშნავენ: „რეაქციის ძალები საქართველოში არა მხოლოდ ილაშქრებდნენ რეეოლუციურ-პროგრესული დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, არამედ საგანგებო ღონისძიებებსაც კი ატარებდნენ ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართული ენის მოსასპობად, ქართველი ერის დანაწილებისა

და მისი სხვადასხვა კუთხის დასაპირისპირებლად, დედა-სამშობლოსაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად"[48].

ამ მიზნის ოპერატიულად შესასრულებლად კავკასიის სასწაელო ოლქის მზრუნველმა – არქირეაქციონერმა იანოვსკიმ შეადგინა გეგმა და სახელმძღვანელო ცირკულარი, რომლის ძალით ყველა ტიპის სასწაულებელში პირველი კლასიდანვე უნდა დაეკანონებინათ რუსული ენის სწაელება. დედა-ენის – ქართული ენის სწავლა აღარ იყო სავალდებულო და მას უმნიშვნელო დრო უნდა დათმობოდა. დედა-ენის სწავლა საოჯახო, კერძო საქმედ გამოცხადდა.

მაგრამ მარტო ამით არ შემოიფარგლნენ რუსი კოლონიზატორები. მათ ქართველი ერის გახლეჩვის მიზნით გადაწყვიტეს „გაეთიშათ" ქართველები ადგილობრივი, კუთხური ენების (მეგრული, სვანური, აფხაზური) ანბანის შექმნით.

მაგალითად, 1855 წელს გამოიცა ბრძანება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. რუსულ ანბანზე დაყრდნობით შემუშავდა მეგრული ანბანიც. დაიწყეს საღვთო წიგნების მეგრულ ენაზე გადმოთარგმნა, მაგრამ ეს თარგმანები იმდენად უცხო და ხალხისათვის სავსებით გამოუსადეგი გამოდგა, რომ ისინი სიცილს იწვევდა მსმენელში[49].

ასევე შეუქმნეს ანბანი სვანებს – ე.წ. „ლუშნუ ანბან". მისი ავტორი იყო აფხაზური ანბანის შემქმნელი ცნობილი „ანბანოლოგი" – პ. უსლარი. ამ ანტიქართულ წამოწყებას იდეოლოგიური სარჩული ასეთი ჰქონდა: „ვითომ ქართული ენა არ არის სვანებისათვის მშობლიური ენა, სვანური ენა არის სრულიად უცხო ენა, რომელსაც არავითარი ნათესაობა არა აქვს ქართულ ენასთან, ამიტომაც სვანებს უჭირთ ქართულის სწავლა და უფრო მიდრეკილება აქვთ და ეადვილებათ რუსული ენის სწავლა. სინამდვილეში ეს იყო თავისებური ხერხი სვანების გარუსებისა და დენაციონალიზაციისა"[50].

რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დარჩა აფხაზეთი და აფხაზური ენა. იგივე პ. უსლარმა კირილიცას საფუძველზე შექმნა აფხაზური ანბანი. რუსეთის დიდმპყრობელური საგანმანათლებლო პოლიტიკას აფხაზეთში ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ადგილობრივი რუსი-კოლონისტები. მათ შექმნეს „ჭეშმარიტი რუსების კავშირი" და ყველა ხერხით ცდილობდნენ სოხუმის ოლქში ამოეფხვრათ ქართული ენის გამოყენების შესაძლებლობა როგორც სკოლებში, ისე საერთოდ – რეგიონში, გაეთიშათ და დაეპირისპირებინათ ქართველები და აფხაზები.

„ანბანთმოხსნელობის" რუსული ეპოპეა ცუდად დამთავრდა – ადგილობრივმა მოსახლეობამ არ მიიღო ხელოვნური, მათთვის უცხო დამწერლობის სისტემა, როგორც აღინიშნა, სამეგრელოში დასცინოდნენ კიდეც მეგრუ-

ლად ნათარგმნ საღვთისმეტყველო ნაშრომებს, იმჟამად ვერც უსლარის აფხაზურმა და სვანურმა დამწერლობამ მოიკიდა ფეხი მოსახლეობაში.

მაგრამ ამ თემაზე მსჯელობისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოება – საშინი და ვერაგი მტერი, მათ შორის იდეოლოგიურიც, მუდამ მონახავს სუსტ ადგილს მოწინააღმდეგის ერთიან სხეულში, თუკი მას ამის შესაძლებლობა ეძლევა. საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის პროცესის ზედმეტად გაჭიანურებამ, ცენტრალიზებული სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლამ, ქართული ეკლესიის ავტორიტეტის დაკნინებამ, გარკვეულ პერიოდში ადგილობრივი ენების მნიშვნელობა წინ წამოსწია, სერიოზულად გააძლიერა და ეს მოხდა ერთიანი სახელმწიფო ენის, ქართული ენის მნიშვნელობის, მისი ფუნქციონალური დატვირთვის შესუსტების საფუძველზე. ეს ობიექტური რეალობა იყო და ტრაგიკული ისტორიული შედეგიც ფეოდალური პარტიკულარიზმისა. ეს ყველაფერი კი რუსეთს საქართველოში შემოსვლის დროს „დე ფაქტო“ **ჩვენ დაგახვედრეთ!**

მარტო ანბანი კი არა, მთელი რუსეთის საგანმანათლებლო სისტემა იყო მიზანმიმართული ქართველების გასარუსებლად და გადასაჯიშებლად. სამართლიანად არის შემჩნეული, რომ რუსეთის "ხელისუფლება, უპირველესად, ქართველი ხალხის გარუსების მიზანს ისახავდა საქართველოში არსებული სკოლების მეშვეობით, ადმინისტრაციულ სამსახურში ყველგან რუსული ენის საჭიროება განსაზღვრავდა სოციალური ზედაფენების მისწრაფებას რუსული განათლებისაკენ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი ქალთა რუსულად აღზრდა იძენდა, ვინაიდან ისინი მომავალი დედები იქნებოდნენ და შვილებსაც რუსებად აღზრდიდნენ“[51].

იმპერიული განათლების მანქანა მთელი ენერგიით მუშაობდა. თუკი 1878 წელს საქართველოში ჯერ კიდევ იყო მცირე პროცენტი (17,9) სკოლებისა, სადაც მხოლოდ მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა ბავშვის აღზრდა, 1900 წელს საქართველოში ასეთი არცერთი სკოლა აღარ ჩანს. სამაგიეროდ გაიზარდა იმ სკოლების რაოდენობა, სადაც მხოლოდ რუსულ ენაზე ისწავლებოდა საგნები: 49,8 პროცენტიდან (1978 წ.) 88.1 პროცენტამდე (1901 წ.) გაიზარდა. სამწუხაროდ, სკოლების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა ახერხებდა რუსულთან ერთად მშობლიური ენის სწავლებას (11. 9%)[52].

რა თქმა უნდა, მდგომარეობა კატასტროფული იყო და მას არ შეეძლო არ გამოეწვია და გამოიწვია კიდეც სავალალო შედეგები (ამის შესახებ ქვემოთ).

ერთ-ერთი მათგანი იყო ქართული ენის ფუნქციონირების ბაზის კატასტროფული შემცირება. იქმნებოდა ქართული ენის საოჯახო ენად გადაქცევის სერიოზული საშიშროება. ქართული ენა აღარ იხმარებოდა საშუალო სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, ეკლესიაში, სამხედრო საქმეში, და რაც უკვე შემაშფოთებელი იყო – ეკონომიკურ ცხოვრებაშიც კი.

მეფის იმპერიული ეკონომიკური პოლიტიკა ყოველნაირად ცდილობდა მინიმუმამდე შეესუსტებინა იმ ობიექტური ეკონომიკური პროცესების კეთილნაყოფიერი ზეგავლენა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესებზე, რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და ცარიზმის სურვილების მიუხედავად, ეკონომიკური ღვედებით აერთიანებდა სრულიად საქართველოს.

რუსეთის იმპერიის გამორჩეული თავისებურება ის იყო, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, მუდამ ზედმეტად აქტიურად ერეოდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, თვითონ იყო მთავარი სპონსორიც, მთავარი მესაკუთრეც და ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელიც. – რუსეთში თავისუფალი საბაზრო – სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ცარიზმის დიქტატის პირობებში მიმდინარეობდა.

საქართველოში დამკვიდრებისთანავე რუსეთი თანმიმდევრულად ატარებდა ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც სასარგებლო იქნებოდა მხოლოდ რუსული კაპიტალისა და რუსეთის სახელმწიფოსათვის. მაგალითად, თავისუფალი ტრანზიტი, რაც რუსეთმა განახორციელა საქართველოში 1821-1830 წლებში, სასარგებლო იყო რუსეთისათვის, მაგრამ სერიოზულად დააზარალა საქართველოს ხელოსნური წარმოება – თავისუფალი კონკურენცია, რაც ბუნებრივად მოჰყვა ახალი სატრანზიტო პოლიტიკის რეალიზაციას, შემაფერხებელი აღმოჩნდა თბილისელი, ქუთაისელი, თელაველი, დუშეთელი ხელოსნებისათვის, ბევრი მათგანი გაკოტრდა[53]. სტატისტიკური დოკუმენტები მიუთითებენ, რომ, მაგალითად, მკვეთრად შემცირდა თბილისში ბამბეულის მქსოველების, აბრეშუმის ამომხვევების, მექუდეების, მეუნაგირეების, ხმლის მკეთებელი ხელოსნების საერთო რაოდენობა.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ცარიზმი არ სჯერდებოდა ტრანზიტის ეკონომიკურ შედეგებს, იმპორტული პროდუქციის რაოდენობის ზრდას, რუსეთი საქართველოში იწვევდა, ნაყოფიერ პირობებს უქმნიდა საზღვარგარეთელ – გერმანელ, ინგლისელ, ფრანგ, იტალიელ, ებრაელ მწარმოებლებს, რომლებიც სარგებლობდნენ შეღავათებით და საქართველოში საწარმოებს ხსნიდნენ. ისტორიკოსები სამართლიანად მიუთითებენ, რომ „მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ადგილობრივი ხელოსნები მთავრობის კოლონიალურ პოლიტიკას დაუპირისპირა, იყო რუსი და უცხოელი ხელოსნების მოღვაწეობის წახალისება და გავრცელება თბილისში და საქართველოს სხვა სარმეწველო ცენტრებში“[54].

ქართველი ეკონომისტები ხაზგასმით აღნიშნავენ: „შიგარუსეთის ეკონომიკური ინტერესების გამომხატველი თვითმპყრობელობა არამცთუ არ იყო დაინტერესებული საქართველოში საერთოდ მრეწველობის განვითარებით, არამედ ყოველმხრივ აბრკოლებდა მას. ცარიზმის ბიუროკრატია თავისი

კოლონიალური პოლიტიკის ამ მომენტს ასაბუთებდა იმ მოტივით, რომ კოლონიაში გადამუშავებითი მრეწველობის აღორძინება ხელს შეუშლიდა „მშობლიური“, ე.ი. საკუთრად მეტროპოლიის მრეწველობის განვითარებას“[55].

რუსეთს საქართველო აინტერესებდა როგორც რუსული პროდუქციის გასაღების ბაზარი და რუსეთის მრეწველობისათვის ნედლეულის წყარო. მისი დამოკიდებულება საქართველოს სამრეწველო პოტენციისადმი იყო მძარცველური. მეფის ხელისუფლება რუს და საზღვარგარეთელ კაპიტალისტებს, ქართველი ერის ეკონომიკური ინტერესების სრული იგნორირებით, შეღავათიან ფასებში, ზოგჯერ სიმბოლურ ფასადაც კი, აძლევდა უძვირფასეს ქართულ მიწებს ეკონომიკური ექსპერიმენტებისათვის, მაშინ როცა ქართველ მეწარმეებს ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ განევითარებინათ ადგილობრივი წარმოება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფრანგ ვაჭარ გამბას მეფის მთავარობამ საქართველოში საუკეთესო მიწები (16 ათასი დესეტინა) მიჰყიდა სიმბოლურ ფასად – 1 დესეტინა 25 კაპიკად.

ყოველმხრივ ხალისდებოდნენ სომეხი მეწარმეები. რუსეთის ხელისუფლება უსაზღვროდ ენდობოდა სომხებს და მიაჩნდა ისინი ეკონომიკის, ფინანსების განვითარების და საერთოდ კაპიტალის დაგროვების მნიშვნელოვან საშუალებად. ამიტომაც მათ კომერციულ ინტერესებს გაგებით ეკიდებოდნენ და ხელს უწყობდნენ მათ დამკვიდრებას ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცენტრში – თბილისში. თბილისის ულამაზესი უბანი – სოლოლაკი სომეხი ბურჟუაზიის საცხოვრებელ პრესტიჟულ ადგილად გადაიქცა.

სამაგიეროდ, აკოტრებდნენ და ხელში იაფად იგდებდნენ ქართველი მეწარმეების ქონებას. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ რუსეთის ხაზინამ შეიძინა საქართველოში ყველაზე წარმატებული აგრო-ბიზნესმენების, თავადების ივანე მუხრან-ბატონისა (მუხრანის) და დავით ჭავჭავაძის (წინანდლის) მამულები, რომელთა პატრონებმა ვეღარ გაუძლეს რუსული დისკრიმინაციული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებს.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ყველაფრის მიუხედავად, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ თვითონ რუსი ავტორები: „რუსეთის ეკონომიკა მიდიოდა არა სიღრმეში, არამედ სივრცეში“. ეს იმას გულისხმობს, რომ კაპიტალისტური განვითარება რუსეთში, ფეოდალური გადმონაშთების საკმაოდ მნიშვნელოვან პლასტების არსებობის პირობებში, საკმაოდ დუნედ მიმდინარეობდა, დასავლური ლიბერალური, სოციოლოგიური და ეკონომიკური იდეოლოგიის არარსებობის პირობებში, რაც, როგორც აღინიშნა, სწორედ ეკონომიკის ზეაღმავალი განვითარებისათვის ყველა ქვეყნისათვის საუკეთესო საფუძველს ქმნის. ეს ორგანული პროცესები აჩქარებს მთელი ქვეყნის ჩათრევას კაპიტალიზმის ფერხულში, აქედან გამომ-

დინარე ძლიერი სოციალური შედეგებით და უკვე არაფერს არ ტოვებს კუთხური თუ რეგიონალური თავისებურებებისაგან. ეკონომიკის მაკონსოლიდირებელი ეს დადებითი შედეგები რუსეთის იმპერიაში მაქსიმალურად შემცირებული იყო სწორედ რუსეთის ეკონომიკური ცხოვრების არასათანადოდ განვითარების გამო. სწორედ ამიტომაც, და საბედნიეროდ ამიტომაც, მან ვერ გამოიწვია საქართველოში ის ეროვნული თვითშეგნების დამანგრეველი ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური პროცესები, რამაც გადააგდნო ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ეთნოსი ერთ მთლიან პოლიტიკურ ნაციად. ეს რუსეთში არ მოხდა.

მიუხედავად ამისა, რაც დრო გადიოდა, ცარიზმი თანდათან და მეთოდურად ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკურ დაპყრობას, რაც გულისხმობდა იმ ყაიდის საწარმოთა მოწყობის წახალისებას და ხელის შეწყობას. რომლებიც მეტროპოლიის მრეწველობის განვითარების ინტერესებს პასუხობდნენ, მისთვის ნედლეულის ბაზასა და გასაღების ბაზარს შექმნიდნენ, ხელს შეუწყობდნენ იმ რუსული და უცხოური ყაიდის პროდუქციის ხელოსნურ თუ საფაბრიკო წარმოებას, რომელიც საქართველოში ჩამოსახლებული არაქართველებისათვის აუცილებელ და კომფორტულ საგნებს დაამზადებდნენ.

ასეთი დისკრიმინაციული დამოკიდებულება აფერხებდა ქართული ბიზნესის განვითარებას და, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ის ვერ შეასრულებდა იმ მნიშვნელოვან ფუნქციას, რაც ეროვნული კონსოლიდაციის პროცესში ქართულ ბიზნესს უნდა შეესრულებინა.

ამ ისტორიული ამოცანის შესრულება ქართველმა ინტელიგენციამ დაივალა.

§ 4. – ქართველთა პოლიკონფესიური შემადგენლობა

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს: ერის კონსოლიდაციის პროცესში სერიოზულ პრობლემებს მუდამ ქმნის ერის შიგნით კონფესიური განსხვავება, რაც, როგორც წესი, ისტორიული ბედის უკუღმართობის შედეგია. მსოფლიოში ბევრი ძლიერი და დიდი ერი, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის დროს, აშკარად დადგა სერიოზული პრობლემების წინაშე, როცა ის რამდენიმე კონფესიურ ჯგუფად იყო დაშლილ-დანაწევრებული. ამ დროს წარმოშობილ პრობლემებს ამ ერებისთვის ხშირად რთული, ზოგჯერ დრამატული შედეგებიც მოუტანიათ. არის შემთხვევები, როცა კონფესიური განსხვავებების გამო ხდება დენაციონალიზაციის შეუქცევადი პროცესები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში რამდენიმე სახელმწიფო დადგა ეროვნული კონსოლიდაციის აუცილებლობის წინაშე, რამაც მათი მესვეურებისაგან სპეციალური ეროვნული პოლიტიკის შემუშავება და მისი მიზანმიმართული გატარების აუცილებლობა მოითხოვა. ერთ-ერთი მათგანი იყო ახლადშექმნილი გერმანიის იმპერია – II რეიხი, რომლის ლიდერმა ოტო ფონ ბისმარკმა ჩინებულად გაართვა თავი ამ ურთულეს ამოცანას. გერმანიის იმპერიაში გაერთიანებული მოქალაქეები ძირითადად ორ ძირითად კონფესიურ დაჯგუფებას მიეკუთვნებოდნენ – იყვნენ პროტესტანტები და კათოლიკეები. მართალია, ორივე ეს მიმართულება ქრისტიანული იყო, მაგრამ კათოლიკეები რომის კურიას ემორჩილებოდნენ, პროტესტანტებისაგან (ლუთერანებისაგან) განსხვავებულ საეკლესიო წეს-განრიგს, ტრადიციებსა და ფასეულობებს აღიარებდნენ.

ბისმარკმა შეიმუშავა გერმანელი ერის კონსოლიდაციის პროცესის დასაჩქარებლად სპეციალური პოლიტიკა ე.წ. „კულტურკამფი“ ანუ ბრძოლა გერმანული კულტურისათვის, რომელმაც გერმანელებს დაუსახა ამოცანა – რელიგიურზე უფრო მაღლა და უფრო ზემოთ გერმანელების ეროვნული ერთიანობის იდეა დაეყენებინათ ერთიანი გერმანული კულტურის თაყვანისცემის საფუძველზე. ამ პოლიტიკამ გერმანია და მისი ხელისუფალნი ლამის გადაკიდა რომის ტახტს (მათ თავისი პოლიტიკის რეალიზაციის დროს დასჭირდათ ზოგიერთი გერმანელი კათოლიკე ეპისკოპოსის ციხეში ჩასმაც კი), მაგრამ ბისმარკმა შეძლო შეუძლებელი – გერმანელებმა, მართლაც, კონფესიურ განსხვავებებზე მაღლა ეროვნული ინტერესების პრიმატი დააყენეს – ეს ჭეშმარიტება ჩინებულად გამოჩნდა I და II მსოფლიო ომის პერიოდებში.

არის სხვა მაგალითიც. ეს მაგალითი თავისი ისტორიული წარმომავლობით და მიმდინარეობის ხასიათით ძალიან უახლოვდება ქართულ გამოცდილებას. სამხრეთ სლავების ისტორიული ერთობა საუკუნეების მანძილზე ძლიერი მეზობლების პოლიტიკური ზეწოლის შედეგად სერიოზულად დაირღვა: სამხრეთელი სლავები XIX საუკუნის ბოლოს აღიარებდნენ ქრისტიანობის ორ მიმართულებას: მართლმადიდებლობას და კათოლიციზმს. სლავების საკმაოდ დიდი ნაწილი გახდა მაჰმადიანი. რამდენადაც სლავები, ისევე როგორც ქართველები, გადანაწილებულნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნებში: ნაწილი კათოლიკური სახელმწიფოს, აესტრია-უნგრეთის იმპერიაში შედიოდა, ნაწილი – თურქეთის სულთანის ქვეშევრდომი იყო და ნაწილიც მართლმადიდებელი დარჩა. მოხდა ისე, რომ მათი კონფესიური მრავალფეროვნება ეროვნული ერთიანობის იდეამ ვერ გადაფარა და ეს პრობლემები მომავალში გადასაწყვეტი გაუხდათ. როგორც ცნობილია, სლავების კონფესიური მრავალფეროვნებით გამოწვეულმა განსხვავებამ

XX საუკუნის დასასრულს სამხრეთ სლავების (იუგოსლავიის) ერთიან სახელმწიფოში ტრაგიკული ხასიათი მიიღო.

როგორც სამხრეთ სლავები, ისე ქართველებიც XIX საუკუნეში კონფესიური მრავალფეროვნებით გამოვირჩეოდით. ქართველების შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ კონფესიებს კიდევ ერთი აღმსარებლობა დაემატა – მონოფიზიტური შეხედულებების გავრცელება ქართველების ერთ, საკმაოდ დიდ ნაწილში.

როგორც დასტურდება, XIX საუკუნეში მონოფიზიტური რელიგიის აღმსარებელი ქართველები – გრიგორიანელები საკმაოდ მრავლად იყვნენ და ისინი თითქმის ყველგან ცხოვრობდნენ, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, კახეთში, ქართლში, იმერეთშიც კი.

ქართველ ინტელიგენციაში იმჟამად პოპულარული იყო ლეგენდები, თქმულებები ქართველების გასომხებისა და ქართველთა შორის ჰაოსიანთა საეკლესიო წეს-განრიგის გავრცელების შესახებ. ყვებოდნენ, რომ ოდესღაც სომხები და ქართველები ერთი სარწმუნოების მატარებლები იყვნენ. ქალკედონის კრებაზე, რომელმაც იესო ქრისტეს ღვთაებრივი და ადამიანური საწყისების პრობლემებზე იმსჯელა, სომხები არ დასწრებიან, ქართველი კი 12 ეპისკოპოსი ჩავიდა. ქართველმა ეპისკოპოსებმა ერთხმად მიიღეს ყველა ის გადაწყვეტილება, რაც ქალკედონის კრებამ დაადგინა – იესო ქრისტეს ორბუნებოვნების – დიოფიზიტობის შესახებ. როცა ქართველი ეპისკოპოსები სამშობლოში დაბრუნდნენ და იქადაგეს დიოფიზიტური დოგმატიკა, ქართველთაგან ყველამ გაიზიარა იგი. წინააღმდეგი წავიდა მხოლოდ ბურდუჯელი ქართველობა (სამხრეთ საქართველო, სომხეთის მოსაზღვრე კუთხე), რომელმაც არ ისურვა „მამა-პაპათა წეს-ჩვეულებების“ შეცვლა ახალი დოგმატიკით. ამ ლეგენდის ინტერპრეტატორი ასე აღწერს ქართველთა გასომხების პროცესს: „ნელა-ნელა, დროის განმავლობის მეოხებით ქართველნი სასტიკათ დაექვემდებარნენ ჰაოსიანთა ეკლესიის წესებს, ქართველნი განდრიკდნენ ახალს მერჯულს ქართველთაგან, განირჩნენ მათგან სასტიკათ, მის ნაცვლად იწყეს ჰაოსიანთა ეკლესიის წესებზე მკვეთრად აღმოცენება. მალე ისე მოიმართა საქმე, რომ მთელი სამხრეთ საქართველოს ერს რბილსა და ძვალში ჰაოსიანთა ეკლესიის წესები და მაღიარებლობა ქვაკუთხედად გადაექცათ, ქართველთა საეკლესიო ენათ ჰაოსიანთა ენა შეიქმნა და მათ ენაზე ეკლესიაში საეკლესიო წიგნის ხმარება და ჰაოსიანთა ლოცვა“[56].

ქართველთა „გასომხების“ შესახებ საინტერესო შეხედულებები აქვთ თანამედროვე ქართველ ისტორიკოსებს და ღვთისმსახურებს. თვლიან, რომ „ქართველთა ერთი ნაწილის გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლა მართლაც გაპირობებული იყო, ერთი მხრივ, მეზობელი თურქი დამპყრობ-

ლის ბატონობით და სამხრეთ საქართველოს ჩამოცილებით ხოლო, მეორე მხრივ, სპარსთა, ლეკთა და სხვა მტრების დაუსრულებელი შემოსევებით... ქართველი მეფეები ხან ისლამს აღიარებდნენ, ხან კი კათოლიკური ეკლესიის ქვეშევრდომობას... უპატრონოდ მიტოვებული ქართველი ხალხის ერთი ნაწილი საქართველოში „მოღვაწე" სომეხმა ტერტერებმა „სომხურ სარწმუნოებაზე" – გრიგორიანობაზე მოაქციეს"[57].

მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) ქართველთა „გასომხებას" ანუ, გრიგორიანულ აღმსარებლობაზე გადასვლას შემდეგი მიზეზებით ხსნის: „...თბილისსა და ქვემო ქართლში, მაჰმადიანთა ბატონობის დროს, ქართული მოსახლეობა ძირითადად სომხურ ეკლესიას ეკედლებოდა, რაც გამოწვეული იყო სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით, სომხურ ეკლესიას შეეძლო ტყვეთა დახსნაც და სამშობლოში დაბრუნებაც"[58].

ისტორიკოსები ხაზგასმით იმასაც მიანიშნებენ, რომ ქართველთა გაგრიგორიანება-გასომხების ერთ-ერთი გზა იყო: „ქართველ მეფეთა მიერ ეჩმიაძინისა და ახპატის მონასტრებისათვის გლეხთა შეწირვა. ქართველ თავადაზნაურთა რამდენიმე გვარის (თუმანიშვილი, ბებუთიშვილი, ბეგთაბეგიშვილი) ზოგიერთი შტო გრიგორიანული სარწმუნოების მიმდევარი იყო, რომლებსაც თავიანთი ქართველი ყმები მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე გადაჰყავდათ"[59].

ქართულ-სომხური ისტორიული ურთიერთობების აღიარებული მკვლევარი გ. მაისურაძე ზემოთ მოტანილ საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებით რუსეთის ფაქტორს გამოჰყოფს და ხაზს უსვამს საქართველოში რუსების ბატონობის პერიოდში სომხებისათვის საერთოდ, ხოლო კონკრეტულად კი სომხური მონოფიზიტური ეკლესიისათვის, სასათბურო პირობების შექმნას. სომხური ეკლესიის დახმარებით რუსეთის იმპერია შორსგამიზნულ აგრესიულ გეგმებს სახავდა და სომხები ამ საქმეში ერთგულ მოკავშირეებად მიაჩნდა. ამიტომაც მათ მცდელობებს, როგორც კომერციულს, ისე შოვინისტურს, ყოველმხრივ ახალისებდა და მხარს უჭერდა. ასეთი პრივილეგირებული დამოკიდებულება სომეხ მონოფიზიტებს ხელს უხსნიდა საქართველოში, შესღუდვის გარეშე ეწარმოებინათ მონოფიზიტური სარწმუნოების საფუძვლების ყოველგვარი პოპულარიზება, ეს მაშინ როცა, როგორც არა ერთხელ აღინიშნა, ქართულ ენაზე მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა სასტიკად იზღუდებოდა, გარკვეულ პერიოდში იკრძალებოდა კიდეც.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკვლევართა მიერ იმ გარემოებაზე ყურადღების გამახვილებასაც, რომ „ქართველთა და სომეხთა კონფესიური სხვაობა ხელისუფლებას კონფესიური დაპირისპირების პროვოცირების საშუალებას აძლევდა, რის საფუძველზეც უკვე ადვილი ჩანდა როგორც ისტორიული მეზობლების გათიშვა და მათ შორის მტრობის თესვა, ისე ქართული სა-

ზოგადიების ერთი განსაზღვრული ნაწილის ეროვნულ ცნობიერებაზე იერიშის მისატანად ნიადაგის შემზადება"[60].

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმპერიის ხელშეწყობით საქართველოში სერიოზულად გაძლიერდა სომხური წარმომავლობის ბურჟუაზია, რომელმაც ამიერკავკასიის სატახტო ქალაქში – თბილისში უდიდესი ზეგავლენა მოიპოვა და ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო ქალაქის მართვის სადავეები. სომეხი ბურჟუაზიის მატერიალური დოვლათი, ქველმოქმედება და შეწევნა, პირველ რიგში ეჩმიაძინის ეკლესიის ზეგავლენის გაძლიერებას ხმარდებოდა. მათ შორის უდიდესი სახსრები იხარჯებოდა ჰაოსიანთა საეკლესიო წეს-განრიგის პოპულარიზებისათვის. ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ „ქართველთა სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასელა – „გასომხება" მტკიცდება მოსახლეობის კამერალური აღწერის, XIX საუკუნეში არა ერთხელ ჩატარებული მასალებით"[61]. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დროთა განმავლობაში ქართველ გრიგორიანელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

ქართველთა „გასომხების" პროცესმა საკმაოდ შემაშფოთებელი სახე მიიღო XIX საუკუნის დასასრულს. ქართველი მამულიშვილები აღნიშნავდნენ, რომ „დღეს მთელი ქართლ-კახეთი და მრავლად იმერეთიც სავსეა ქართველ გრიგორიანელებით, მათ ყველას კარგად ეტყობათ, რომ იგინი შთამომავლობით ნამდვილი ქართველები (ავტორის სტილი დაცული, ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) უნდა იყვნენ და არა სომხები"[62].

მეტად საინტერესოდ გვეჩვენება იმჟამინდელი ქართველი დამკვირვებლების ერთი საგულისხმო შენიშვნაც: „40 წლის წინათ ქართველ გრიგორიანელებს ნამდვილი ქართული გვარების სომხურად გადაკეთება დაუწყეს და ყველას გვარი – ტერით და იანცით გადაასხვაფერეს"[63].

თუ ამ შენიშვნას გავიზიარებთ, აშკარაა, რომ ქართველების გასომხების პროცესი XIX საუკუნის 60-იან წლებში უნდა გაძლიერებულიყო. ეს სწორედ ის პერიოდია, როცა იწყება რუსეთის კაპიტალისტური განვითარება და სახელმწიფო მანქანა ცდილობს ადგილობრივი ძლიერი ეთნოსების მიზანმიმართულ დასუსტებას, რისთვისაც მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას იყენებს.

სომხური ფორმით გვარის გადაკეთებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. უამრავი ქართული გვარი სომხურად გადაკეთდა – ქიტიაშვილები, ღარიბაშვილები, ჩარქიშვილები, ხახუტაშვილები, აფხაზიშვილები და ბევრი კიდევ სხვა. იყო მეგრელების გასომხების შემთხვევებიც. საქმეში ჩახედულები იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის იმპერიაში ცნობილი მრეწველები მანთაშოვები – ქართველი მენთეშაშვილების გასომხებული შთამომავლობაა, რომელთა ქართული წარმომავლობა დოკუმენტურად დასტურდება[64].

რა თქმა უნდა, ხდებოდა მთელი სოფლების გასომხება, რაც ბუნებრიეია, იწვევდა ადგილობრიეი მართლმადიდებელი ეკლესიის არქიტექტურაში შესაბამის ცვლილებებს (ტაძრის შესასვლელში სომხური ტრადიციისამებრ პატარა სამრეკლოს აღმართვა, შიდა ინტერიერის გადასხვაფერება და ა.შ. და ა.შ.).

როგორც ყველა ხალხში და ყველა დროში სარწმუნოებაზე ახლად მოქცეულები (პროზელიტები) გამორჩეული ერთგულებით და ფანატიზმით ამტკიცებდნენ თავის, ამ შემთხვევაში ჰაოსიანელობას. დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია, რომ „შუაგულ ქართლში ქართველი გრიგორიანელი აღარ სწავლობს ქართულ ენას და წერა-კითხვას იმიტომ, რომ იმათ თავიანთი ვინაობა სომხად მიაჩნიათ".

იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ქართველ გრიგორიანელებს აქეთ სკოლები, რომლებშიც ქართული ენა აღარ ისწავლება. როგორც ჩანს, ასეთი სკოლები იყო ცხინვალში, გორში, ახალქალაქში, სურამში, კავთისხევში და ა.შ.

დამკვირვებლები გაოცებას ვერ მალავდნენ, რომ ქართლის გრიგორიანულ სკოლებში მასწავლებლები „უმეტეს წილად ქართველის გვარისანი, ქართველი გრიგორიანელებია, რომელთა დედა-ენას ქართული ენა შეადგენს, რადგანაც თვითონ ქართველი ტომის შთამომავალნი არიან, მათი გარჩევა ქართველისაგან შეუძლებელია. მათი სახალხო ენა ქართულია, ყოველივე მათში ამ ენით სწარმოებს და სრულდება: ტირილი, სიმღერა... ყოველივე საოჯახო, შინაური თუ გარეული, სულ ქართული ენით სწარმოებს"[65]. ეს შენიშვნა აშკარად მიანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ქართველების გარკვეულ ნაწილში ქართული ცნობიერების რღვევასთან.

ყოველივე ზემოთ თქმული ადასტურებს, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქართველობის დეზინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის სახით, ეფექტიანად მუშაობდა, რასაც საკმაოდ საგრძნობი შედეგი მოჰქონდა მათთვის, ვინც მათ ამ საქმეში ხელს უწყობდა.

ქართველების სრული ერთიანობის გზაზე გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა, თუმცა აშკარად შედარებით ნაკლებს, საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების არსებობაც. ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ კათოლიციზმის საქართველოში გავრცელების ისტორიულ პირობებს და მის შედეგებს.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში კათოლიკეთა რაოდენობა მაინცდამაინც დიდი არ იყო: თბილისში სულ 55 კათოლიკე ოჯახი ივარაუდება, გორში – 30. შედარებით ბევრი იყვნენ კათოლიკები ახალციხეში –

დაახლოებით 450 ოჯახი. 1818 წელს საქართველოში, როგორც ვარაუდობენ, დაახლოებით 9 ათასი კათოლიკე ცხოვრობდა[66].

ახალციხეში კათოლიკებს ჰქონდათ ლათინურ ყაიდაზე მოწყობილი ერთი პატარა მონასტერი და ყოვლადწმინდა მარიამის მცირე ზომის ეკლესია. იმჟამად კათოლიკე მღვდლები ძირითადად არაქართველები – იტალიელები იყვნენ და მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რომთან, რაც გარკვეული საფრთხის შემცველი იყო – მათ უკან ძლიერი ორგანიზაციული სტრუქტურა იდგა რომის კურიის „პროპაგანდა ფიდეს“ სახით, რომელსაც პროპაგანდისა და აგიტაციის კარგად დამუშავებული სისტემა ჰქონდა და ყველაფერს აკეთებდა საქართველოში მორწმუნეთა რაოდენობის გასამრავლებლად, რა თქმა უნდა – მართლმადიდებელი მრევლის გადაბირების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთის ადმინისტრაცია არ ახალისებდა კათოლიკე მღვდლების მოღვაწეობას საქართველოში – გარკვეული დროიდან მათ აეკრძალათ მართლმადიდებელი ქართველების „გაკათოლიკება“, მაინც, ნელა-ნელა კათოლიკე მრევლი საქართველოში გაიზარდა. მიხეილ თამარაშვილის ცნობით XIX საუკუნის დასასრულს საქართველოში კათოლიკენი უკვე 40 ათასი კაცი უნდა ყოფილიყო[67].

რუსეთის იმპერიაში ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგებით საქართველოში კათოლიკეები იყვნენ: თბილისის გუბერნიაში 11 544 კაცი[68]; ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – 4 260 მორწმუნე იყო[69]. სულ 15 804 კაცი, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია იმ ციფრთან შედარებით, რასაც მ. თამარაშვილი ასახელებს.

მაგრამ საქართველოში კათოლიკეებს, განსაკუთრებით ქართველ კათოლიკეებს ჰქონდათ სერიოზული პრობლემა – სომხურ-კათოლიკური ეკლესია იბრძოდა იმისათვის, რომ მთლიანად დაემორჩილებინა ქართული კათოლიკე მრევლი და ღვთისმსახურებაში დაემკვიდრებინა არა ქართული, არამედ სომხური წეს-განრიგი (რიტი). სამართლიანად მიუთითებენ, რომ „საქართველოში სომხური ტიპიკონიანი და ლათინურ ტიპიკონიანი კათოლიკური ეკლესიების დაპირისპირებას საფუძვლად პირველ რიგში არა მხოლოდ სარწმუნოებრივი, არამედ სოციალურ-ეკონომიკური და კომერციული ინტერესები ედო. სომხური ეკლესია (სომხურ-კათოლიკური თუ სომხურ-გრიგორიანული, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა) ლათინურ-კათოლიკური ეკლესიის გაძლიერებაში თავის კომერციულ მოწინააღმდეგეს და კონკურენტს ხედავდა“[70].

უნდა აღინიშნოს, რომ კათოლიკეთა საძმო საქართველოში გარკვეულ ქონებას ფლობდა: თბილისში მათ ჰქონდათ დუქნები, რაც წლიურად 600 მანეთ შემოსავალს იძლეოდა. ამ თანხას ისინი იყენებდნენ კათოლიკური სა-

ვანის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, რელიგიური პროპაგანდისათვის, ქველმოქმედებისათვის და ა.შ.

რაც დრო გადიოდა, საქართველოში კათოლიკეთა რიცხვის ზრდასთან ერთად, იზრდებოდა ქართველ კათოლიკეთა პრობლემების რაოდენობაც.

შეიძლება ითქვას, რომ მთელი XIX საუკუნე იყო დაუნდობელი ბრძოლა ქართველი კათოლიკე მრევლისათვის, რაშიც ძალიან ხშირად სომეხი კათოლიკეები იმარჯვებდნენ, რადგან რუსეთის იმპერიის ჩინოსნები მათ მიმართ ხშირად იყვნენ კეთილად განწყობილნი.

მაგალითად, რუსეთის იმპერიამ მიიღო კანონი, რომლის ძალით რომის კათოლიკეებს აეკრძალათ სომეხ-კათოლიკეების საქმეებში ყოველგვარი ჩარევა. 1845 წლიდან რუსეთმა საქართველოში კათოლიკე მისიონერების შემოსვლა აკრძალა. როგორც მ. თამარაშვილი აღნიშნავს, ასევე ბარბაროსულად გააძევეს საქართველოს სხვა „ქალაქებში მყოფი კაპუცინი პატრები... საქართველოს კათოლიკეები მღვდლების გარეშე დარჩნენ“[71].

უნდა აღინიშნოს, რომ სომეხი კათოლიკენი საქართველოში მაინცდამაინც ბევრი არ იყვნენ. მოსახლეობის აღწერით თბილისის გუბერნიაში ასეთი 20 216 კაცი ფიქსირდება, ქუთაისში კი 5 525 სომეხი-კათოლიკე, მაგრამ მათი მზარდი და აგრესიული პრეტენზიები აშკარად ნაკარნახევი იყო რუსების მხარდაჭერით და სომხური მრევლის მდიდარი წევრების შემოწირულობის სიუხვით.

ქართველ კათოლიკეებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ საკუთარი უფლებების დასაცავად. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მკვლევარი, რომელიც ქართველი კათოლიკეების პრობლემატიკაზე მუშაობს, ყურადღებას არ ამახვილებს საკითხზე – როგორი იყო დამოკიდებულება კათოლიკე ქართველებისა მართლმადიდებელ, ან მაჰმადიან თანამოძმეებთან, რამდენად ეხმარებოდნენ არა კათოლიკე ქართველები კათოლიკე ძმებს მათ სააღმსარებლო საქმიანობაში. სავარაუდოა, რომ ასეთი მაგალითები არ იძებნება.

როგორც ირკვევა, ქართველი კათოლიკეები უფრო „პროპაგანდა ფიდეს“ დახმარებით ახერხებდნენ მნიშვნელოვანი საქმის კეთებას. 1862 წელს ქუთაისში დასრულდა ღვთისმშობლის სახელობის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა, დაარსდა კათოლიკური სამრევლო სკოლა, იკურთხა პირველი ქართველი კათოლიკე მღვდელიც – დონ ანტონ გლახაშვილი[72].

ბათუმში მეცენატი ზუბალაშვილის დახმარებით დასრულდა დიდებული არქიტექტურული ნაგებობა – კათოლიკური ეკლესია. იყო სხვა მიღწევებიც.

მაგრამ არსებული რეალობა ქართველ კათოლიკეებს მაინც გაუსაძლისად მიაჩნდათ. მ. თამარაშვილი წერდა: „რაც შეეხება ქართველ კათოლიკეებს,

ისინი ჯერ კიდევ განცალკევებულნი და მიტოვებულნი არიან ყველა გაგებით. არა აქვთ არც საეპისკოპოსო, არც მისიონი, არც არავითარი ინსტიტუტი. რომლის დანიშნულება იქნებოდა რწმენის შენარჩუნება და მისი ხელშეწყობა, გულმოწყალების გამოღვიძება, ღატაკთა შეების მოგვრა, ახალგაზრდობისათვის მფარველობის გაწევა“[73].

დახმარება კი არსაიდან არა ჩანდა. უფრო მეტიც... 1886 წელს რუსეთის მთავრობამ კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ტიპიკონით (რიტით) ლოცვა აკრძალა. ამით რუსებს უნდოდათ კათოლიკე ქართველები სომხურ ენასთან ხელოვნურად დაეკავშირებინათ, რაც მათ ეროვნულ ცნობიერებაზე მომაქლში აშკარად ზეგავლენას მოახდენდა. ამას ისიც დაემატა, რომ რომის პაპმა ლეონმა 1894 წ. სპეციალური დეკრეტით აღმოსავლეთის კათოლიკეებს ლათინურ ტიპიკონზე გადასვლა აუკრძალა[74]. ვატიკანმა ამით დამატებით სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქართველ კათოლიკეებს.

რახან რთული მდგომარეობიდან გამოსაელის პოვნა ქართველ კათოლიკეებს რუსების მიერ დაპყრობილ საქართველოში გაუჭირდათ, მათ ეს საზღვარგარეთ მოახერხეს. ვატიკანის „პროპაგანდა ფიდეს“ დახმარებით ქართველებმა სტამბოლში შექმნეს კათოლიკეთა სავანე, რომლის დაარსებაში უდიდესია პატრი პეტრე ხარისჭირაშვილის დამსახურება. იქვე დაარსდა დედათა სავანე. მონასტერთან შეიქმნა სასწავლებელი, რომლის პირველი მოსწავლეები სტამბოლის ბაზარზე ნაყიდი გურული ახალგაზრდები იყვნენ. სკოლაში ისწავლებოდა ქართული ენა, ქართული ლიტერატურის ისტორია, ფიზიკა, ასტრონომია და სხვა საგნები. ქართველი კათოლიკეების მეცადინეობით XIX საუკუნის დასასრულს ევროპაში უკვე არსებობდა 4 ქართული-კათოლიკური სკოლა: პერაში, სკუტარში, ფური-კვიკსა და დარდანელში. ამ სკოლებმა უდიდესი ღვაწლი დასდეს ქართული კულტურის მიღწევების ევროპაში პოპულარიზების საქმეს, ახალგაზრდა თაობის აღზრდას და მათი მხრიდან მოწინავე ევროპული კულტურის ათვისებას.

ქართველი კათოლიკეების ღვაწლი ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში, საისტორიო მეცნიერების განვითარებაში (მ. თამარაშვილის ღვაწლი), რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, მაგრამ კონფესიური გათიშულობა, ქართველ კათოლიკეთა მხრიდან საკუთარ პრობლემებზე ზრუნვა, მოგვიანებით კი საქართველოდან ქართველი კათოლიკე ინტელექტუალების გადახვეწა ევროპასა და თურქეთში, რა თქმა უნდა, სერიოზულად ასუსტებდა ქართველების ერთიან ფრონტს, ხელს უშლიდა ეროვნულ კონსოლიდაციას.

რთული და წინააღმდეგობრივი იყო ქართველების მთავარი რელიგიური კონფესიის – ქართული სამოციქულო ეკლესიისა (უფრო სწორი იქნება თქმა, რაც გადაურჩა რუსეთის ასიმილატორულ საეკლესიო პოლიტიკას)

და მისი ქართველი მრევლის მდგომარეობა. საქართველოს ეკლესია და მისი მწყემსმთავარი – კათოლიკოსი, როგორც არა ერთხელ აღინიშნა, საუკუნეების მანძილზე იყო ქართველობის იდენტობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოს თვითიდენტიფიკაციისა და კონსოლიდაციის საქმეში.

მცხეთის კათოლიკოსის ტახტის მოშლა და რუსეთის სნეული ეკლესიისათვის ქართველი მრევლის ხელოვნური შეერთება იყო ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯი ქართველთა დეცენტრალიზაციის, დენაციონალიზაციისა და დეკულტურიზაციის გზაზე. საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში საქართველოს ეკლესია ერთპიროვნულად განაგებდა როგორც საღვთისმეტყველო დოგმატიკურ საკითხებს, ისე მთლიანად განკარგავდა საეკლესიო ქონებას, რომელიც საქართველოში საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანი იყო.

რუსეთის ეკლესიის წეს-განრიგით, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში არსებული საეკლესიო მიწები მთლიანად რუსეთის სახელმწიფოს გადაეცა, რითაც ძირი მოუნგრიეს საქართველოს ეკლესიის მატერიალურ ძლიერებას (ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი წინა თავში).

რა მდგომარეობა შეექმნა საქართველოს მართლმადიდებელ მრევლს პეტრე I-ის მიერ დამახინჯებული რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის პერიოდში?

XIX საუკუნის II ნახევარში მართლმადიდებელი ქრისტიანი საქართველოში ყველაზე დიდი მრევლი იყო – ის აერთიანებდა დაახლოებით მილიონნახევარ კაცს. თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოში (ორიენ გუბერნიაში) სულ ბინადრობდა 1 919 423 კაცი, გამოდის, რომ მოსახლეობის 78,1 პროცენტი მართლმადიდებელი იყო. ამ საერთო რაოდენობაში ქართველი მრევლი იყო 1 393 320, რაც უდრის მთელი მრევლის დაახლოებით 92 პროცენტს.

საქართველოში იმჟამად მოქმედებდა 134 მართლმადიდებლური მონასტერი (მათ შორის 65 დედათა), 2 486 ეკლესია და მონასტერი. სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ: 943 ბერ-მონაზონი, 34 ბერი, 80 მონაზონი, 98 საეკლესიო მსახური. საქართველოში უმაღლესი და დაბალი სამღვდელოება აერთიანებდა სულ 3 954 კაცს. მათლმადიდებლურ ეკლესიას ჰქონდა 2 სასულიერო სემინარია (თბილისსა და ქუთაისში), 7 სასულიერო სასწავლებელი, 485 სამრევლო სკოლა 26 763 აღსაზრდელით[75].

ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში საკმაოდ ძლიერი და განტოტვილი სტრუქტურა იყო და ის იმჟამად უდიდეს ზემოქმედებას ახდენდა მრევლზე, საერთოდ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაზე.

სასულიერო პირების დიდი უმრავლესობა – ქართველი იყო: თბილისის გუბერნიაში ასეთი 1 033 კაცი ფიქსირდება, ქუთაისში – 2 142 კაცი. საინტერესოა, რომ ქუთაისის გუბერნიაში 722 რუსი ღვთისმსახური იყო. თბილისში მსახურობდა 208 რუსი ღვთისმსახური.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ ენერგიულად ცდილობდნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურები ქართული საეკლესიო სტრუქტურების სრულ ინკორპორაციას, რაც მათ თითქმის მოახერხეს კიდეც, რადგან ისინი მთავარს – მატერიალურ რესურსებს ფლობდნენ და მთელი საქართველოს საეკლესიო წოდება რუსეთის სინოდის დაქირავებული მსახური გახადეს – ისინი ხელფასს ხაზინიდან იღებდნენ.

XIX საუკუნეში საქართველოში, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების სტატუსით მსახურობდნენ ცნობილი და ღვაწლმოსილი ქართველი საეკლესიო მოღვაწეები: ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე), ეპისკოპოსი ამბროსი (ხელაია), ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი), რომელთა ღვაწლი უდიდესია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება-განმტკიცების, საზოგადოების ზნეობრივი აღზრდის, ქართველოლოგიური მეცნიერების აღორძინებისა და საქველმოქმედო მუშაობის გააქტიურების საქმეში.

დღეს საქართველოში უამრავი ლიტერატურა არსებობს, რომლებშიც გადმოცემულია ამ დიდებული მამულიშვილების მისიონერული, საგანმნათლებლო და საქველმოქმედო მოღვაწეობის შესახებ. მაგრამ, უნდა გეახსოვდეს, რომ ისინი, ქრისტიანული მორჩილების კანონიკური პრინციპებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებების უსიტყვო აღმსრულებლები იყვნენ და ვერაფერს ვეღარ ახერხებდნენ, როცა საკითხი საეკლესიო იერარქიასა და საქართველოს ეგზარქოსის გადაწყვეტილებებს შეეხებოდა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX საუკუნის II ნახევრიდან საქართველოს ელიტარულ ფენებში გაიმარჯვა რუსეთთან დამოკიდებულების მეორე ტენდენციის მეორე მიმართულებამ – საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთის ხელისუფლებასთან ლოიალურმა, შემრიგებლურმა პოზიციამ. იმ გარემოებაზე, რომ ასეთი პოზიცია, ზოგჯერ აშკარად კონფორმიზმთან აახლოვებდა პიროვნებას, ამაზე, როგორც ჩანს, იმჟამად არავის არ სურდა ფიქრი.

ყველაზე რელიეფურად ეს მორჩილება, ეს მოკრძალებული დამოკიდებულება რუსეთის ხელისუფლებასა და მის ეგზარქოსთან ქართული საზოგადოების ელიტის, მათ შორის ქართველი სასულიერო წოდების მხრიდანაც,

გამოიკვეთა იოსებ ლაღიაშვილის მიერ თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობისას მომხდარი ცნობილი ინცინდენტის დროს, როცა რუსმა ეგზარქოსმა დაწყევლა ქართველი ერი.

ისტორიკოსი ასე აღწერს ამ ამბავს: „დაკრძალვას (ჩუდეცკის დასაფლავებას – ა.დ.), ცხადია, ბევრი ადამიანი, მათ შორის ქართველთა „მაღალი საზოგადოების“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ. იყვნენ გენერლები, დიდმოხელენიც, ინტელიგენციის წრის წარმომადგენლები. მაგრამ მათ ვერ გაბედეს აშკარად გამოეხატათ თავიანთი აღშფოთება“[76].

მეორე ისტორიკოსი კი ასე აღწერს მომხდარს: „დაკრძალვის დროს ეკლესიაში (ალექსანდრე ნეველის ლავრაში – ა.დ.) იყო თბილისის მთელი გენერალიტეტი, რომლის ქართველ წევრებს პროტესტის ნიშნად დაუტოვებიათ ეკლესია და გარეთ გამოსულან“[77].

უფლებადაკარგულმა ქართველმა გენერლებმა მხოლოდ ჩუმი პროტესტი შეძლეს, დემონსტრაციულად ეკლესიის დატოვება... და რა გულდასაწყვეტია, რომ მათ არ მიბაძეს ქართველმა საეკლესიო იერარქებმაც. არც ერთი მკვლევარი-ისტორიკოსი, რომელიც ამ ეპიზოდს ეხება, არაფერს ამბობს (ჩვენც ამის შესახებ არაფერი გვსმენია), თუ რა ზომები მიიღეს ქართველმა ეპისკოპოსებმა ქართველების მაწყევარი ეგზარქოსის წინააღმდეგ, დატოვეს ეკლესია დემონსტრაციულად (ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ღონისძიებას, რომელსაც საქართველოს ეგზარქოსი ესწრებოდა, არც ერთი ქართველი საეკლესიო იერარქი არ დაესწრო), გააგზავნეს სინოდში საჩივარი, თუ რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორს მიმართეს საპროტესტო წერილით.

უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიკოსები, როცა აკრიტიკებენ „ქართველ გენერლებს, დიდმოხელეებს, ინტელიგენციის წრის წარმომადგენლებს“, რომლებმაც აღმაშფოთებელი სიმხდალე გამოიჩინეს და მხოლოდ „დემონსტრაციული ფორმით დატოვეს ეკლესია“, სიტყვას არ სძრავენ, თუ რატომ არ გააპროტესტეს ეს თავხედობა ეკლესიის ქართველმა იერარქებმა.

რა თქმა უნდა, ეს ქართველ ეპისკოპოსებს არ ამართლებთ, მაგრამ არც ქართველი ინტელიგენციის გამორჩეულად სათაყვანებელ პირებს არ გამოუდიათ თავი იმუამად ეგზარქოსის დასაგმობად და მისი საქართველოდან განდევნის მოთხოვნა საჯაროდ არავის დაუყენებია (ქართველი ისტორიკოსები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ ილიასეულმა „ივერიამ“ ეგზარქოსთან დაკავშირებული ინცინდენტი საერთოდ ყურადღების გარეშე დატოვა).

მით უფრო ფასეულია და ღირებული, რომ ეს ისტორიული მისია დიდმა ქართველმა – დიმიტრი ყიფიანმა იტვირთა და მსხვერპლადაც შეეწირა ქართველების ღირსების დაცვის საქმეს. რა თქმა უნდა, დიმიტრი ყიფიანის დასაფლავებაზე ქართველების მხრიდან, (როგორც საერო ისე საეკლესიო პირების მიერ) ბევრი გულმხურვალე სიტყვაც წარმოითქვა და შემდეგ ბევრი პატრიოტული ლექსიც დაიწერა...

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართველ საეკლესიო იერარქებს არც სხვა ანტიქართული საქმიანობა გაუპროტესტებიათ, მაგალითად, მეგრული და სვანური ანბანების შექმნა (თუმცა, სრულიად დასაშვებია, რომ ისინი ამ ანტიქართულ საქმიანობას არ მიესალმებოდნენ), არც ეკლესიაში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აკრძალვას გამოხმაურებია ვინმე, არც თბილისის სასულიერო სემინარიაში შექმნილი გაუსაძლისი ვითარება გამოუსწორებიათ, სადაც რუსული დერჟიმორდული საქმე ხშირად ქართველი მღვდლების ხელით კეთდებოდა (მაგალითად, გაეიხსენოთ თბილისის სემინარიის ცნობილი ზედამხედველი მამა დიმიტრი (აბაშიძე), რომელმაც სიცოცხლე გაუმწარა ქართველ სემინარისტებს), რის გამოც საეკლესიო სემინარიის აღსაზრდელები რევოლუციონერთა რიგებს უფრო აქტიურად ავსებდნენ, ვიდრე ეკლესიის.

სრულიად სამართლიანია მეუფე ანანიას მიერ XIX საუკუნის საქართველოს ეკლესიის შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომ "საეგზარქოსოს პოლიტიკა, საბოლოო ჯამში იწვევდა მრევლის (პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უნდა ვიგულისხმოთ ქართულენოვანი მრევლი, რადგან საქართველოს რუსულენოვანი მრევლი მთლიანად თანაუგრძნობდა რუსეთის სინოდის დიდმპყრობელურ პოლიტიკას – ა. დ.) **სარწმუნოებრივ ინდიფერენტიზმს, უკარგავდა ქართულ ეკლესიას ეროვნულ სახეს** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)[78].

ამის მიზეზი სწორედ ისიც იყო, რომ ქართულმა სამღვდელოების უმეტესობამ, მისმა ქართველმა იერარქებმა მიიღეს და გაითავისეს პეტრე პირველისეული რუსული ეკლესიის არაკანონიკური მართლმადიდებლური პრინციპები, რითაც საგრძნობლად დაასუსტეს ქართული ეკლესია – როგორც ეროვნული საქმის მკეთებელი ძლიერი ორგანიზაციული სტრუქტურა.

აშკარა იყო – საქართველოს ეკლესია და მისი უმაღლესი იერარქები XIX საუკუნის დასასრულს, რუსეთის ეკლესიასთან ევქარისტიული ერთობისა და მტკიცე კავშირის პირობებში, ერთობლივად, ერთ ჯგუფად შეკრულნი, ვერ შეძლებდნენ ერის მაკონსოლიდირებელი განმსაზღვრელი ძალის მნიშვნელობის შესრულებას. ამის გაკეთება უმაღლეს ქართველ იერარქებს უფრო ცალკ-ცალკე, ინდივიდუალურად შეეძლოთ, და შეძლეს კიდეც, პროგრესულ ქართველ ინტელიგენციასთან ერთად, სხვადასხვა კულტუ-

რულ-საგანმანათლებლო თუ საქველმოქმედო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დროს.

ქართველების კონსოლიდაციის საქმეში კიდევ უფრო რთული ბარიერები აღიმართა და სერიოზული პრობლემებიც გამოჩნდა მაჰმადიან ქართველებთან დაკავშირებით. მოსახლეობის ეს ჯგუფი საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. 1897 წლის აღწერით სულ საქართველოში 306 648 მუსლიმი ცხოვრობდა, მათ შორის თბილისის გუბერნიაში – 189 028 კაცი, ქუთაისის გუბერნიაში – 117 620 კაცი. მათი ხვედრითი წილი საქართველოს მოსახლეობის საერთო შემადგენლობაში მხოლოდ 14,5 პროცენტი იყო.

საქართველოში სხვადასხვა წარმომავლობის მაჰმადიანი ცხოვრობდა: მაჰმადიანები ქართული წარმომავლობით, თურქები, სომეხი-თარაქამები, ლეკები, დაღესტნელები, ჩეჩნები (ქისტები), აფხაზების ნაწილი იყო მუსლიმი და ა.შ. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ორი ეთნოსის: თათრებისა და თურქების რაოდენობა და მათ მიერ მშობლიურ ენასთან დამოკიდებულების საკითხი.

თბილისის გუბერნიაში შედიოდა მაჰმადიანებით დასახლებული ის რეგიონები, რომლებიც რუსეთმა 1829 წელს წაართვა თურქეთს: ახალციხე, ახალქალაქი. ამათ გარდა მუსლიმი მოსახლეობა ცხოვრობდა ბორჩალოს მაზრაში, ზაქათალაში, მცირე რაოდენობით სიღნაღში, თელავში. მაჰმადიანი მოსახელეობა ძირითადად სოფლად ბინადრობდა (179 981 კაცი), ქალაქში მაჰმადიანების მეტად უმნიშვნელო ნაწილი (9047 კაცი) თუ ცხოვრობდა. მსგავსი მდგომარეობა იყო ქუთაისის მაზრაშიც – იქაც მუსლიმები ძირითადად სოფლად ცხოვრობდნენ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მაჰმადიანები ქართული წარმომავლობით, მათი დამოკიდებულება ქართულ ენასთან, ქართულ წარსულთან, ქართულ ცივილიზაციასთან. ამის შესახებ კი უპირველეს ინფორმაციას იძლევა ადამიანის დამოკიდებულება მშობლიურ ენასთან.

ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ თათრებს, რა თქმა უნდა, არავითარი ნათესაური კავშირი ქართველებთან არ ექნებოდათ – ისინი ბორჩალუს ტომის შთამომავლები იყვნენ და მათი მშობლიური ენა იყო თურქმენულთან მიახლოებული კილოკავი, თუმცა სტატისტიკური კრებული ამ ენას „თათრულს“ უწოდებს.

თბილისის გუბერნიის მაჰმადიანთა შორის თურქული მშობლიურად დაასახელა მხოლოდ 24 722 კაცმა, თათრული – 107 383 კაცმა.

ახალქალაქსა და ახალციხეში ცხოვრობდნენ მუსლიმები, რომლებზეც ტრადიციულად ვრცელდებოდა ეთნონიმი „მაჰმადიანი ქართველი“ ან უფ-

რო სწორი იქნება მათ ვუწოდოთ „მაჰმადიანი ქართული წარმომავლობით“. ასეთი კატეგორია ახალქალაქის მაზრაში იყო 6 572 კაცი, ახალციხეში – 37 742 კაცი.

ახალქალაქში მცხოვრებმა მაჰმადიანებმა მშობლიურ ენად თათრული დაასახელეს. ახალციხეში თათრული ენა მშობლიურ ენად დაასახელა მხოლოდ 12 370 კაცმა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ თათრულ ენაზე ყველა მოსაუბრე მაჰმადიანი ქართული წარმომავლობისაა?

როგორც რუსული სტატისტიკური კრებული ადასტურებს, მაჰმადიანი და ისიც ქართველი, ქართველების საერთო რაოდენობაში, იყო 1,9 % კაცი და 1.8 % ქალი. თბილისის გუბერნიის ქართველების საერთო რაოდენობას (467 631 კაცი) თუ გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ თბილისის გუბერნიაში 17 302 კაცი არის მაჰმადიანი, რომელსაც აქვს შემორჩენილი ქართული ცნობიერება. ანუ ეს არის ის ერთობლიობა, რომელიც არ უარყოფდა ქართველებთან გენეტიკურ კავშირს. სამწუხაროდ სტატისტიკური კრებული არ იძლევა იმის გარკვევის შესაძლებლობას, თუ გუბერნიის რომელ მაზრაში არის თავმოყრილი მაჰმადიანების ეს რაოდენობა. სავარაუდოა, რომ ის გაფანტული იყო მაჰმადიანებით დასახლებულ მაზრებსა და ქალაქებში.

ახალქალაქში მცხოვრებმა მშობლიურ ენად თათრული დაასახელა 6 572 კაცმა, ხოლო ახალციხეში – 12 370 კაცმა. სავარაუდოა, რომ სწორედ ესენი უნდა იყვნენ მაჰმადიანები ქართული წარმომავლობით.

როგორც სტატისტიკური კრებულიდან ჩანს, თბილისის გუბერნიაში თავის თავს თურქად მიიჩნევს 24 722 კაცი. რა თქმა უნდა, ისინი ძირითადად ახალციხის მაზრაში იყვნენ დასახლებულნი (24 137 კაცი). როგორც ირკვევა, გუბერნიაში მცხოვრები 5 508 თურქს ჰქონდა თურქეთის მოქალაქეობა (ეს კი უცხოეთის მოქალაქეების საერთო რაოდენობის 35,7% იყო).

რა თქმა უნდა, სამხრეთ საქართველოს მაზრებში მცხოვრები „თათრები“ – ეს ყოფილი ქართველები არიან, რომლებიც ამ დროისთვის უკვე მაჰმადიან სარწმუნოებას აღიარებდნენ. მოსახლეობის ეს კატეგორია „თათარი“ ახალქალაქის მაზრაში არის 6 572 კაცი, ახალციხეში – 12 370, ბორჩალოში 37 742, სიღნაღში – 5 272, თელავში – 1873, ზაქათალაში – 28 950 და ა.შ.[79]

საინტერესოა მაჰმადიანთა სტატისტიკა ქუთაისის გუბერნიაშიც, მის შემადგენლობაში უკვე შედიოდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად შემოერთებული საქართველოს ყოფილი ისტორიული მიწები თავისი მოსახლეობით. გუბერნიაში მცხოვრები მაჰმადიანი მოსახლეობიდან

თათრული მშობლიურ ენად დაასახელა მხოლოდ 750 კაცმა, თურქული 46 665 კაცმა[80]. გუბერნიაში მაჰმადიანები ძირითადად ორ მაზრაში: ართვინისა და ბათუმის მაზრებში ბინადრობდნენ. სოხუმის ოკრუგშიც ცხოვრობდნენ მაჰმადიანები – აფხაზების ნაწილი აღიარებდა მუსლიმურ სარწმუნოებას.

საყურადღებოა, რომ ბათუმის მაზრის 88 444 კაციან მოსახლეობაში ქართული მშობლიურ ენად დაასახელა 56 498 კაცმა, ამას დაეუმატოთ იმერელი – თავისი „იმერული" ენით – 341 კაცი, მეგრელი – თავისი მეგრული ენით – 635 კაცი და სვანი – თავისი სვანურით – 14 კაცი. თურქული ენა მშობლიურად დაასახელა მხოლოდ 3199 კაცმა.

საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები ართვინის მაზრის მოსახლეობის შესახებაც. აქ სულ 56 140 კაცი ცხოვრობდა, რომელთა შორის ქართული მხოლოდ მშობლიურ ენად დაასახელა 5 506 კაცმა, ხოლო მშობლიურ ენად თურქული დაასახელა 41 468 კაცმა[81]. აშკარაა, რომ მაზრაში ადგილობრივი მცხოვრებლების დიდ უმრავლესობას ენასთან ერთად ქართული ცნობიერება დაქვეითებული ან მთლიანად დაკარგული ექნებოდა, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, ართვინის მაჰმადიანი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ქართული წარმოშობის იყო.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების შედარებითი ანალიზი ადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ბათუმის ოლქში ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ქართული მშობლიურ ენად დაასახელა, რაც იმას გულისხმობს, რომ მათი ეროვნული ცნობიერების აღორძინება-განმტკიცება ქართული ენის საფუძველზე ადვილი შესაძლებელი იქნებოდა სპეციალური პროგრამებისა თუ გარკვეული ძალისხმევის საფუძველზე, რაც მთლიანად გამოირიცხებოდა ან უაღრესად გაძნელდებოდა ართვინის ოლქში, სადაც მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მშობლიურ ენად უკვე თურქული გამოაცხადა.

ძალიან საინტერესოა რწმენასთან დაკავშირებული საკითხებიც ამ ორ რეგიონში. ბათუმში ქართული ენა მშობლიურად დაასახელა უფრო მეტმა, ვიდრე მაჰმადიანი იყო. ეს ცდომილება განსხვავებას იძლევა 1597 კაცს. ე.ი. 1597 კაცი ბათუმის ოლქში ცხოვრობს, მისთვის მშობლიურია ქართული, მაგრამ არ არის მაჰმადიანი. ე.ი ის არის ქართველი მართლმადიდებელი ან სხვა არამაჰმადიანური სარწმუნოების მატარებელი. სწორედ ეს კატეგორია ზემოთ ჩამოთვლილ იმერლებთან, მეგრელებთან და სვანებთან ერთად ქმნის ძლიერ ქართულ ერთობლიობას (ენით ქართველები და რწმენით – მართლმადიდებლები) ბათუმის ოლქში (ასეთი აქ ცხოვრობდა

2 587 კაცი). სწორედ მათზე იყო დამოკიდებული მნიშვნელოვანწილად, თუ როგორ ძალუმად აღორძინდებოდა ქართული ცნობიერება აჭარაში.

როგორც დასტურდება, XIX საუკუნის დასასრულს ქართული წარმომავლობის მაჰმადიანებზე ზეგავლენის მოსაპოვებლად, სერიოზული პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლა გაჩაღდა კონკრეტული სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

თურქეთის იმპერია, რომელიც რუსეთის მიერ XIX საუკუნის მანძილზე მისთვის წართმეულ ტერიტორიებსა და მასზე მცხოვრებ მოსახლეობას თავისი ქვეყნის ორგანულ ნაწილად და დროებით უკანონოდ წართმეულ ტერიტორიებად თვლიდა, ყოველმხრივ ცდილობდა კავშირი და ზეგავლენა არ დაეკარგა ამ მოსახლეობაზე. „ოსმალეთმა ომის შედეგად დაკარგული ნახსენები ტერიტორიები (იგულისხმება რუსეთთან ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები – ა.დ.) არ დაივიწყა და არც აქაური ხალხი დაემორჩილა რუსეთთან შეერთებას“ – აღნიშნავს თანამედროვე თურქი ისტორიკოსი.

აშკარაა, როგორც კი საშუალება მიეცათ თურქულმა ნაციონალისტურმა ორგანიზაციებმა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიამ და სხვა ორგანიზაციებმა ჩამოაყალიბეს ბრძოლის მეთოდები და ფორმები, თუ როგორ განემტკიცებინათ ახალციხე-ახალქალაქისა და აჭარა-ართვინის ტერიტორიებზე მობინადრე ყოფილ თანამემამულეებში პროთურქული განწყობილებები. „ამ პერიოდში ელვიე-ს სელასეში, სხვადასხვაგვარი ეროვნული ორგანიზაციების ჩამოყალიბების მიზნით, იქმნებოდა საზოგადოებები. მაგ. : პანისლამიზმის, ეროვნული დაცვის კომიტეტი, დიფაის პარტია, ჯანბიხარი (ჯენბიზარის ორგანიზაცია), წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ – აცხადებს იგივე თურქი ავტორი[82].

საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქსელია, რომელიც მოწოდებულია ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მაჰმადიან მოსახლეობას განუმტკიცოს პანთურქული იდეოლოგია და არ დაავიწყოს თურქეთთან მათი ისტორიული ორგანული კავშირი.

საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრები მაჰმადიანების მიმართ, რომელთა უმრავლესობის ქართული წარმომავლობა ჩინებულად იცოდა, სერიოზული ჩანაფიქრი ჰქონდა რუსეთის სახელმწიფოსაც. რუსი შოვინისტები ცდილობდნენ ქართული წარმომავლობის მაჰმადიანების გაქრისტიანებას რუსული კანონიკური წესების საფუძველზე, რომ მინიმუმამდე დაეყვანათ მათზე ქართველების რაიმენაირი ზეგავლენა.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთის სინოდს სერიოზულად აშინებდა მაჰმადიან ქართველებში ქართული ქრისტიანობის, ქართული კულ-

ტურის, ქართული დამწერლობის, საერთოდ ქართული ცივილიზაციის გავრცელება-აღორძინება. ამიტომაც რუსმა ეგზარქოსმა პალადმა (რაევი) გახსნა 4 მისიონერული ცენტრი იმ ადგილებში, სადაც განსაკუთრებით შეინიშნებოდა სექტანტებისა და მაჰმადიანების ძლიერება. ის ცდილობდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გაეხსნა გამორჩეული სამისიონერო განყოფილება თურქეთში მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველების ქრისტიანულ რჯულზე მოქცევისათვის, რა თქმა უნდა, რუსული კანონიკური წესგანრიგის საფუძველზე[83].

რუსეთის სახელმწიფო ვერ დაუშვებდა თურქეთის იმპერიასთან სასაზღვრო ზოლში პროთურქული განწყობილების მაჰმადიანი მოსახლეობის დიდი მასის არსებობას, რომელსაც ისტორიული კატაკლიზმების დროს შეეძლო პროთურქული განწყობილებები პროთურქული ორიენტაციით შეეცვალა და „მეხუთე“ კოლონის როლი შეესრულებინა – ისინი ან უნდა თურქეთში მასიურად გადასახლებულიყვნენ, რაც წარმატებით განახორციელეს 1877-1878 წლების ომის დამთავრებისთანავე და ამას მუდამ ახალისებდნენ, ან უნდა გაექრისტანებინათ, ანდა ციმბირში გაესახლებინათ (რაც აჭარელთა გარკვეული ნაწილის მიმართ მოგვიანებით წარმატებით განახორციელეს კიდეც).

სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრები მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ, რომელთა დიდი ნაწილი იყო წარმომაყლობით ქართველი, გარკვეული ინტერესი გვქონდა ქართველებსაც. ამ საკითხზე დეტალურად შემდგომ თავში ვისაუბრებთ, მაგრამ აქ გვინდა ხაზგასმით შევნიშნოთ, რომ თუ თურქეთს და რუსეთს არა მარტო ინტერესები და სურვილები ჰქონდათ ქართული წარმომაყლობის მაჰმადიანი მოსახლეობის მიმართ, არამედ გააჩნდათ უზარმაზარი შესაძლებლობებიც, რომ ეს სურვილები და მიზნები რეალობად ექციათ – მაგალითად, სპეციალური სამსახურები მრავალმილიონიანი დაფინანსებებით, საიდუმლო აგენტურის განტოტვილი ქსელი, იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მძლავრი აპარატი და ა.შ. ქართველები ყველაფერ ამას მოკლებულნი იყვნენ. საქართველოს სახელმწიფო, რომელიც იზრუნებდა თავისი მაჰმადიანი თანატომელების ბედზე, მათ მომავალზე და ამისთვის გამოჰყოფდა სპეციალურ სახსრებს, გასწევდა დიდ ძალისხმევას და შეარჩევდა ადამიანთა რესურსს, რეალობაში აღარ არსებობდა. რუსეთის იმპერატორი – „საქართველოს მეფე“ ამ საკითხების ქართველების სასარგებლოდ გადაწყვეტას არ აპირებდა.

ქართული არარსებული სახელმწიფოს ნაცვლად ამ ამოცანის გადაწყვეტა დაივალა საქართველოს დემოკრატიულმა ინტელიგენციამ.

§ 5. – ანტიეროვნული, ინტერნაციონალისტური სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია

ადამიანთა საზოგადოებამ სოციალურ თანასწორობაზე ოცნება კლასობრივი დიფერენციაციის წარმოშობისთანავე დაიწყო – პირველმა ანტაგონისტურმა საზოგადოებამ დაბადა საოცარი ნოსტალგია დაკარგულ სოციალურ თანასწორობაზე, ადამიანთა შორის ურთიერთობის სამართლიან ფორმებზე, იმ ლამაზ დროზე, როცა არ იყვნენ მდიდრები და ღარიბები, როცა არ იყო ერთი ინდივიდის მიერ მეორის ჩაგვრა და ექსპლოატაცია, როცა ადამიანები ძმურად, საყოველთაო დოვლათსა და კეთილდღეობაში ცხოვრობდნენ.

მოგვიანებით ამ ეპოქას „პირველყოფილ კომუნიზმს“ შეარქმევენ, ხოლო თვითონ ძველი ხალხები ამ ეპოქას „ოქროს საუკუნეს“ უწოდებდნენ. ბევრი ხალხის მითოსში და ფოლკლორში აისახა ნოსტალგია საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებაზე. ყველაზე უკეთ ამ ლამაზი ეპოქის შესახებ მოგონება შემოგვინახა დიდმა ჩინელმა ფილოსოფოსმა და საზოგადო მოღვაწემ კონ-ფუ-ციმ თავის ერთ-ერთ ნაშრომში – „დადგენილებათა წიგნი“. მისი მტკიცებით, უძველეს დროში, ჩინეთში: „ხორციელდებოდა დიადი სამართლიანობის პრინციპები და ზეცის ქვეშ ყველაფერი საერთო იყო. ირჩევდნენ ბრძენთა და ნიჭიერთა, იქცეოდნენ კეთილსინდისიერად და მხარს უჭერდნენ თანხმობას და მშვიდობას. ადამიანები ნათესაურად ექცეოდნენ არა მარტო თავის ნათესავებს, მამაშვილურად – არა მარტო საკუთარ შვილებს. ამიტომაც ჰქონდათ მოხუცებს თავშესაფარი. მცირეწლოვანთ დიდი ამაგით ზრდიდნენ, უვლიდნენ ყველას – ქვრივ მამაკაცებს და ქალებს, ობლებს, უშვილო მოხუცებს, უძლურებს... პროდუქტების დაყრა ადგილზე არ შეიძლებოდა, მაგრამ არ არსებობდა მათი საკუთარ სახლში შენახვის აუცილებლობაც. ისინი შრომისათვის თავის არიდებას სამარცხვინოდ თვლიდნენ, მაგრამ შრომობდნენ არა საკუთარი თავისათვის. აი, რატომ არ ხორციელდებოდა ბოროტი ზრახვები. არ არსებობდა მოტყუება, არ იყო ქურდობა და ყაჩაღობა, ამიტომ არ კეტავდნენ შემოსასვლელ კარებს. ყოველივე ამას დიდი ერთობა ეწოდებოდა“.

აშკარაა, რომ კლასობრივი საზოგადოების ახალმა საშინელებებმა: ქონებრივმა დიფერენციაციამ, ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციამ, ვალის გამო მონად გადაქცევამ, ჩაგვრამ, ძალმომრეობამ, სოციალურმა უსამართლობამ ადამიანებს მალე დაავიწყა პირველყოფილი საზოგადოების წყლულები და მოანატრა ის სამყარო, სადაც **საყოველთაო სოციალური თანასწორობა** სუფევდა.

მოგვიანებით, ანტიკური სამყაროს არა ერთ მოაზროვნეს (მაგალითად, პლატონს, არისტოტელეს, სხვებს) ჩამოუყალიბებია მოძღვრება სამართლიანი საზოგადოების აშენების გზებისა და მეთოდების შესახებ, გამოუთქვამს მოსაზრება ადამიანების მორალურ-ზნეობრივ სრულყოფის საკითხებზე, საყოველთაო სამართლიანობის მიღწევის აუცილებლობაზე და ა.შ.

მაგრამ მსოფლიოს გამოჩენილ მოაზროვნეთა შორის არავის მოუცია საყოველთაო კეთილდღეობისა და სამართლიანობის ისეთი ფილოსოფიურ-ეთიკური სისტემა, რაც ადამიანთა საზოგადოებას ღმერთ-კაცმა იესო ქრისტემ უანდერძა.

ეს ახალი მესია გამოირჩეოდა მდიდრებისადმი განსაკუთრებით შეურიგებელი დამოკიდებულებით. მას მუდამ თან დაჰყვებოდა ღარიბ-ღატაკთა გუნდი. მისი ზრუნვის ობიექტი მუდამ გაჭირვებული, უპოვარი და მაშვრალი ადამიანი იყო. მას ეზიზღებოდა სასახლის ბრწყინვალება და უყვარდა ქოხის სისადავე. იესო ქრისტეს არა ერთხელ აღუნიშნავს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება სიმდიდრის, ფუფუნების, ქონების მოხვეჭის, სიხარბის მიმართ: „კვლავ გეუბნებით თქვენ: უფრო ადვილია აქლემის გაძრომა ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდრის შესვლა ღმერთის სასუფეველში“. სახარების სხვა ადგილზე ქრისტე ურჩევს ერთ მდიდარს, რომელსაც სურს, რომ მისი ერთგული მიმდევარი გახდეს: „ერთი გაკლია – წადი, რაც გაქვს, გაჰყიდე და მიეცი ღარიბებს და გექნება საუნჯე ზეცაში, მოდი და გამომყევი“. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ღარიბების სასარგებლოდ კერძო საკუთრების ლიკვიდაციის მოთხოვნასთან გვაქვს საქმე.

დასავლეთ ევროპაში ქრისტიანული მოძღვრების დამკვიდრებისა და განმტკიცების პარალელურად, მოაზროვნეების გარკვეულ ნაწილში მუდამ იყო სურვილი ქრისტიანული მოძღვრება არა მარტო ზნეობის განმტკიცების, არამედ ქრისტიანული პრინციპების საფუძველზე საზოგადოების აუცილებელი გარდაქმნისათვის გამოეყენებინათ: რომ აღარ ყოფილიყვნენ მდიდრები და ღარიბები, რომ ადამიანები გულწრფელი სიყვარულით მოჰკიდებოდნენ ერთმანეს, შეწყვეტილიყო ომები და ერთმანეთისადმი უსამართლო დამოკიდებულება. მაგრამ საუკუნეები გადიოდა და ქრისტიანულ კლასობრივ სახელმწიფოებში ცხოვრება რადიკალურად არ იცვლებოდა. აშკარა იყო – ქრისტიანულმა ეკლესიამ ვერ შეძლო ცხოვრებაში იმ სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრება, რასაც მუდამ ქადაგებდა იესო ქრისტეს სახელით. კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც არსებობდნენ მდიდრები და ღარიბები, ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელი ჩანდა. საუკუნეების მანძილზე ეკლესიამაც იცვალა სახე და ბევრ ქვეყანაში მდიდრების ინტერესების დამცველ სახელმწიფო ინსტიტუტად ჩამოყალიბდა.

სწორედ ამიტომაც ქრისტიანობის წიაღში ჩაისახა ახალი მოძღვრება – უტოპიური სოციალიზმი. ამ მოძღვრების ფუძემდებელთა შორის ძალიან ბევრი იყო სასულიერო პირი (ბერი ტომაზო კამპანელა, აბატი ჟან მელიე, მოძღვარი გაბრიელ დე მაბლი), ხოლო უტოპიური სოციალიზმის დამფუძნებელი, ინგლისელი მოაზროვნე და პოლიტიკოსი თომას მორი (XVI ს.) რომის კათოლიკურმა ეკლესიამ XX საუკუნის 30-იან წლებში წმინდანადაც კი შერაცხა.

საერთოდ, როგორც ცნობილია, ქრისტიანულ მოძღვრებაში, ქრისტიანულ ეთიკაში, მის სიღრმისეულ პლასტებში ძალიან ბევრია სოციალისტური, აშკარად კომუნისტურიც კი. მარქსიზმის კლასიკოსები ამას ძალიან კარგად გრძნობდნენ და მიუთითებდნენ კიდეც, რომ „პირველანდელ ქრისტიანების ისტორიაში ყურადღებას იმსახურებს თანამედროვე მუშათა მოძრაობასთან შეხების წერტილები... ქრისტიანობა, როგორც ეს უკანასკნელი, წარმოიშვა როგორც ჩაგრულთა მოძრაობა... ქრისტიანობა და მუშური სოციალიზმი ქადაგებენ მომავალში მონობისა და სიღატაკისაგან განთავისუფლებას...“.

XIX საუკუნის შუა ხანებში ევროპაში შეიქმნა სწორედ ისეთი სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური წანამძღვრები, რამაც მოამწიფა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფორმირება, რომლის მიზანი გახდა მთელს მსოფლიოში უკლასო, სოციალურად თანასწორი საზოგადოების მშენებლობა. აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც უტოპიური სოციალიზმისა და ქრისტიანული სოციალიზმის სინთეზის საფუძველზე ჩამოაყალიბეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმი – მოძღვრება პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობისა და ქვეყანაში სოციალურად სამართლიანი საზოგადოების აშენების ფორმებისა და მეთოდების შესახებ, ამ მიზნის განმახორციელებელი მთავარი პოლიტიკური ძალის – პროლეტარიატის შესახებ და მას თავისი ერთგული სამსახური შესთავაზეს.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, თავის თანამოაზრეებთან ერთად, სულ რამდენიმე წლის განმავლობაში, ევროპა აშკარად დააყენეს უნივერსალური რადიკალური მოძღვრების წინაშე, რომელიც ეროვნული პრობლემების ნაცვლად, საზოგადოებას სოციალური პრობლემების გადაჭრის ამოცანებს უყენებდა და მათი გადაწყვეტის რადიკალურ გეგმებსაც სახავდა. მარქსიზმის კლასიკოსების მიხედვით უკლასო, სოციალურად სამართლიანი საზოგადოება მხოლოდ პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინების შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი და ეს მოხდებოდა მხოლოდ ბურჟუაზიის, და საერთოდ მქონებელი კლასების, ტოტალური განადგურების საფუძველზე.

რადიკალური რევოლუციური ბრძოლა ახალი საზოგადოებისათვის – პროლეტარიატის წმინდა ამოცანად გამოცხადდა. ევროპის პროლეტარიატის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ამ თეორიაში თავისი სოციალური მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესების კონკრეტული გზა დაინახა და ძალიან მალე მისმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ეს თეორია გაითავისა კიდეც. სრულიად სამართლიანად მიუთითებს ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი: „მარქსმა შექმნა ნამდვილი მითი პროლეტარიატზე... მარქსიზმი არ არის მარტო მეცნიერება და პოლიტიკა, ის არის, ამასთანავე, რწმენა, რელიგია. ამაზეა დაფუძნებულია მისი ძლიერება...“[84].

მაგრამ ეს ახალი პოლიტიკური მოძღვრება ერთი თვალსაზრისითაც იქცევდა ყურადღებას – ის საოცრად შეურიგებელი იყო ეროვნული პრობლემატიკის მიმართ, მიაჩნდა ის პროლეტარიატის პოლიტიკური ნების შემაფერხებლად, პროლეტარიატის ერთიანი ძალის დაქსაქსვის ძირითად საშუალებად. ამიტომაც ეროვნული პრობლემების ნაცვლად მუშათა კლასს შესთავაზეს მოძღვრება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ. მარქსიზმში ძირითადი და მთავარია შემდეგი: „... პროლეტარიატს ყველა ქვეყანაში აქვს ერთი და იგივე ინტერესები, ჰყავს ერთი და იგივე მტერი, მათ მოელით ერთიანი ბრძოლა“[85].

მარქსიზმის კლასიკოსები ხაზგასმით მიუთითებდნენ: „ნამდვილად არსებობს ყველა ერის ბურჟუაზიის ერთგვარი ძმური კავშირი. ეს არის ძმური კავშირი მჩაგვრელებისა ჩაგრულთა წინააღმდეგ, ექსპლოატატორებისა ექსპლოატირებულთა წინააღმდეგ“[86].

ეს „ერთი და იგივე მტერი“ – იყო ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც, მარქსიზმის კლასიკოსების მიხედვით, უსამართლოდ ითვისებდა პროლეტარიატის შრომის შედეგებს, ნერგავდა საზოგადოებაში უზნეობას, აკანონებდა ჩაგვრას, უსამართლობას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

აქედან გამომდინარე, მსოფლიოს სხვადასხვა ერის პროლეტარიატის მთავარი ამოცანაა გაერთიანდეს, უკან მოისროლოს „ჭუჭყიანი საცელები“ – ეროვნული იდეოლოგია, რომელიც ეფუძნება და აფეტიშებს ერებს შორის განსხვავებებს, ინდივიდუალურს უპირისპირებს კოლექტიურს, სეპარატულს – უნივერსალურს და აუცილებლად უნდა გაერთიანდეს წმინდა ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

სწორედ ასეთი შეხედულებებიდან ჩამოყალიბდა მარქსიზმის მთავარი სლოგანი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, რომელმაც უდიდესი მაორგანიზებელი როლი შეასრულა მთელ მსოფლიოში და წითელი დროშის ქვეშ დააყენა მილიონობით უქონელი და ცხოვრებისაგან გარიყული ადამიანი.

ასევე აქედან მომდინარეობდა მარქსიზმის მეორე მნიშვნელოვანი სლოგანი – „პროლეტარიატს არა აქვს სამშობლო!“. ეს ლოზუნგი კი მიანიშნებს, იმას, რომ პიროვნება, რომელიც საკუთარ ქვეყანაში უუფლებო, უქონელი, ღირსება შელახულია და ბურჟუაზიისაგან მძიმე ექსპლოატაციას განიცდის, არ შეიძლება იყოს მოქალაქე – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მოქალაქედ ის გახდება მხოლოდ მაშინ, როცა დაიპყრობს ძალაუფლებას, გაანადგურებს მსოფლიო ბურჟუაზიას და შექმნის პროლეტარიატის საყოველთაო საუფლოს.

და ამ საუფლოში აღარ იქნება არც ფრანგი, არც გერმანელი, არც რუსი და არც ქართველი. დამყარდება პროლეტარიატის საერთო კეთილდღეობის, „შრომის სუფევის“, ადამიანური ნეტარების საზოგადოება. სწორედ აქედან გამომდინარეობს მარქსისტული შეხედულება მომავალში ერების კვდომის. მათი ერთმანეთში შერწყმის და ამის საფუძველზე საერთაშორისო პროლეტარული ძმობის ჩამოყალიბების შესახებ უკვე ახალი მითი.

ამრიგად, მარქსისტული იდეოლოგია თავისი არსით ანტიეროვნული იყო და მხოლოდ უნივერსალური პროლეტარული ფასეულობებისადმი ერთგულების ქადაგებით გამოირჩეოდა.

კაპიტალიზმის განვითარების იმ ეტაპზე, რომელზედაც ევროპა იმჟამად იმყოფებოდა, ეს იდეოლოგია საოცრად სწრაფად გავრცელდა და უამრავი ადამიანი მიიზიდა, რაც იმას მიანიშნებს, რომ იმჟამად მარქსიზმში იყო მნიშვნელოვანი რაციონალური მარცვალი, რომლის დახმარებით ადამიანების გარკვეული კატეგორია (პირველ რიგში პროლეტარიატი) მომავალში შეეცდება სწრაფად შეცვალოს არსებული მდგომარეობა და ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება.

მარქსიზმი სწრაფად გავრცელდა რუსეთშიც, სადაც მართლმადიდებლური იდეოლოგიითა და პეტრეს დროინდელი ზედაპირული რეფორმებით დამახინჯებულ ქვეყანაში, წარმოუდგენლად ხელსაყრელი პირობები აღმოჩნდა ამ ნიჰილისტური იდეოლოგიის გასავრცელებლად.

გ. პლეხანოვი, პ. სტრუვე, ვ. ზასულიჩი, ი. მარტოვი, ვ. ულიანოვი, ლ. ტროცკი, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი, და სხვები და სხვები აქტიურად შეეცდებიან დანერგონ მარქსიზმი რუსეთში. ფაქტობრივად, რუსი და ებრაელი ნიჰილისტებით ძლიერ გაჯერებული ახალგაზრდული ორგანიზაციები რუსეთის იმპერიას გადატრიალებით ემუქრებოდნენ და ძალებს არ ზოგავდნენ მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონსა თუ გუბერნიაში ახალ-ახალი პროლეტარული ცენტრების შესაქმნელად.

მარქსისტული ინტერნაციონალისტური პროლეტარული მოძღვრება გავრცელდა საქართველოში. ამ გავრცელებას ორი ეითარება აპირობებდა –

პირველი, ქართველების საზღვარგარეთ (რუსეთში, დასავლეთ ევროპაში) სწავლა-განათლება და იქაურ მარქსისტულ ჯგუფებთან დაახლოება, და მეორე, რუსეთიდან რეეოლუციურად განწყობილი, მარქსისტული იდეოლოგიით შეპყრობილი მუშების, ინტელიგენტების საქართველოში გადმოსახლება და ქართველებთან მათი ინტენსიური კავშირი-თანამშრომლობა.

იყო თუ არა ობიექტური და სუბიექტური საფუძველი საქართველოში მარქსისტული მოძღვრების გასავრცელებლად?

როგორც ყველა ერი, ქართველებიც ოცნებობდნენ ბედნიერ, სამართლიან ცხოვრებაზე. ეს ოცნება, სხვა ერებისაგან განსხვავებით, იმითაც იყო გამძაფრებული, რომ აგრესიული მეზობლების პერმანენტული თავდასხმებისაგან ერი ფიზიკურად ნადგურდებოდა, მისი ისტორიული ტერიტორიები იკარგებოდა, მხსნელი და მშველელი არავინ ჩანდა – მესია აშკარად აგვიანებდა.

ამიტომაც ქართველმა კაცმა მოიგონა საოცარი სამყარო ირეალური ურთიერთობებისა: დიდებული ქართული ზღაპრები, მითები, სადაც ამირანი ღმერთსაც კი ეურჩება, ხოლო ღარიბი ქვრივის შვილი თავისი ცოდნით, მოხერხებით, ფიზიკური შესაძლებლობებით არა მარტო ჯაბნის ფანტასტიკურ მონსტრებს – დეევებს, არამედ ბოროტ მეფეებსაც და მათი სამეფოს მფლობელიც კი ხდება.

ქართულ ფოლკლორში, ასევე ამეტყველებულია ნამდვილი ისტორია მარაბდელი გლეხის ბიჭის – არსენა ოძელაშვილისა. სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ეს მეამბოხე ქართულმა ხალხურმა ცნობიერებამ საოცარ სიმაღლეზე აიყვანა. „მდიდარს ართმევს – ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ გაუწყრესა“, – ხაზგასმით აღნიშნულია ხალხურ პოემაში. მიუხედავად არსენა ოძელაშვილის ბრძოლის ფორმების არაეთიკურობისა, მეფის რუსეთის მოხელეებისა და ქართველი ხარბი თავად-აზნაურების წინააღმდეგ მიმართული ექსპროპრიაციისა, რიგითი ქართველი კაცის აღფრთოვანება და გატაცება ამ ისტორიულ-მითოლოგიური პერსონაჟით განუსაზღვრელი იყო. ქართველი სახალხო მთქმელები მის გალექსილ ბიოგრაფიას ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ ზეპირგადმოცემების, სიმღერების სახით ავრცელებდნენ, უმატებდნენ საკუთარ, მოგონილ სიუჟეტებს, ამდიდრებდნენ, ამრავალფეროვნებდნენ მას.

ჩვენ ზემოთ სპეციალურად შეეჩერდით საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე. ვაჩვენეთ, რომ საქართველოში თანდათან ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ბურჟუაზიის კლასი – მდიდარი ადამიანების ერთობლიობა, რომელიც მატერიალურ რესურსებს აბანდებდა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით წინ სწევდა ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებ-

ლებს. კაპიტალის პირველადი დაგროვების პერიოდის ურთიერთობები: სიხარბე, უსამართლობა, მოტყუება, ექსპლოატაციის ბარბაროსული ფორმები უკიდურესობამდე ამძაფრებდენენ დამქირავებელთა და დაქირავებულთა თანაცხოვრებას.

ბურჟუაზიასთან ერთად საქართველოში თანდათან პროლეტარიატიც ჩამოყალიბდა. მაგრამ ის ჯერ კიდევ იყო „კლასი სხვისთვის", რომ გამხდარიყო – „კლასი თავისთვის" – ამას დრო და დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა.

საქართველოში პროლეტარიატიც ძალიან მრავალეროვანი იყო. ამიერკავკასიის დედაქალაქი, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი თბილისი ღრუბელივით იზიდავდა მთელი ამიერკავკასიის „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ".

საქართველოს პროლეტარიატის მრავალეროვანი შემადგენლობა ხელს აძლევდა დამქირავებელს, რადგან მას შეეძლო წარმატებით ეთამაშა მუშათა ეროვნულ განსხვავებაზე, ეროვნულ დაპირისპირებაზე, ჩამოეგდო მათ შორის შუღლი, ხელი შეეშალა მათი კლასობრივი კონსოლიდაციისათვის, ამ საშუალებით ძირს დაეწია მუშა ძალის ფასი „შრომის ბირჟაზე", საჭიროების შემთხვევაში ისინი ერთმანეთზე წაექეზებინა, ხელი შეეშალა კლასობრივი სოლიდარობის გრძნობის ჩამოყალიბებისათვის, ერთიანი ანტიბურჟუაზიული ფრონტის შექმნისათვის.

პროლეტარიატი კი თავისი თვისებრივი მახასიათებლებითაც საქართველოში, მართლაც, არაერთგვაროვანი იყო. იყვნენ მაღალკვალიფიციური მუშები, ძირითადად გერმანელი, პოლონელი და, ნაწილობრივ, რუსი ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც სახაზინო საწარმოებში მუშაობდნენ. ფეხსაცმლის საწარმოებში ძირითადად სომეხი მუშები საქმიანობდნენ. ჭიათურის მაღაროებში ქართველები ჭარბობდნენ, ბათუმის საწარმოებში ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელს შეხედებოდით.

საქართველოს საზოგადოებრივი აზრი, როგორც ჩანს, მათ სათანადო ყურადღებით არ ეპყრობოდა, ნაკლებად აინტერესებდა მათი პრობლემები. ნოე ჟორდანია ერთ ასეთ ამბავს გადმოგვცემს: „...მუშას ვეძახდით კურტნის მატარებელ მომუშავეთ, ანდა აისორ-სპარსელ ამბლებს და ვერასოდეს ვერ წარმომედგინა, რომ ფაბრიკის ან რკინის გზის მუშა რევოლუციონერ მუშათა კატეგორიაში შედიოდა. ერთხელ, მახსოვს, საღამოს ჩამოვუარე სიონის უბანში დანგრეულ სარაიას, რომელშიც შედიოდნენ აისორ-მუშები, ნახევრად ტიტველნი და მშიერნი, შევიხედე და დავინახე მრავალი მათგანი წამოწოლილი მიწაზე. ეს იყო მათი ბინა"[87].

ამ აისორ-მუშების ყოფისაგან დიდად არ განსხვავდებოდა თამბაქოსა თუ ჩუყავის ქარხნების უუფლებო მუშების ყოფა-ცხოვრება: 12 საათიანი მუშაობა, მცირე ხელფასი, დიდი ჯარიმები, გადაუჭრელი საყოფაცხოვრებო პი-

რობები, უუფლებობა, ლოთობა და ოჯახური აყალ-მაყალი – მუშის ულიმ-ღამო ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტები იყო.

საბჭოთა ისტორიოგრაფიამ სრულად, თუმცა საკმაოდ ტენდენციურად, წარმოაჩინა საქართველოში კაპიტალიზმის ეპოქაში მუშის გაუხარელი ყო-ფის თითქმის ყველა მხარე, რომ დაესაბუთებინა რევოლუციური გადატრი-ალების კანონზომიერება და აუცილებლობა.

და ეს ყოფა, მართლაც, ძლიერ აუტანელი იყო. ცნობილი მუშა-რევოლუ-ციონერი მიხა ჩოდრიშვილი თავის მემუარებში ერთ ტრაგიკულ სურათს გვიხატავს: „ფაბრიკაში მცირეწლოვანი მუშებიც შეგირდებად მუშაობდნენ. მათი მოვალეობა იყო პაკლით ხელში მაშინების წმენდა, ზეთის წაცხება. აი, სწორედ ამ დროს ერთი შეგირდი მაშინას ზეთს ასხამდა, რომ მაშინის ღვედმა შეგირდის ფართუკი ზედ დაიხვია და ეს ბიჭი რამდენჯერმე მაში-ნას ჩარხებზედ მიაწყვიტა და, მანამ მაშინას გააჩერებდნენ, ბიჭი მაშინას ჩარხებმა ნაჭერ-ნაჭერ დაგლიჯა. ამ პატარა მუშის სხეულის ნაჭრები შეკ-რიბეს, ერთ ყუთში ჩააწყვეს... მესამე დღეს მკედარი ბიჭის მამა მოვიდა ხაზეინთან... ხაზეინმა გლეხს 10 მანეთი მისცა და უთხრა, აჰა დამარხეო, და ეს იყო და ეს. გლეხი კი თავში იცემდა და გულსაკლავად მოსთქვამ-და: – ვაიმე შვილო, რაღა ამბავი წავიღო სახლშიო, ათი მანეთით დაფას-და შენი სიცოცხლეო...“[88].

ასეთი ტრაგიკული შემთხვევები იშვიათი არ იყო საქართველოს საწარმო-ებში: შრომის კატორღული პირობები, შრომის უსაფრთხოების ელემენტა-რული წესების უგულებელყოფა, კაპიტალისტების მხრიდან ზემოგების მი-ღების სურვილი, მუშის, განსაკუთრებით მოზარდებისა და ქალების, გაუ-გონარი ექსპლოატაცია აპირობებდა იმ შესაზარ სოციალურ და ფსიქო-ლოგიურ ფონს, რაც ქმნიდა ჩინებულ პირობებს საქართველოში მარქსის-ტული მოძღვრების გასავრცელებლად, უზრუნველყოფდა მუშათა შორის სტიქიური სოციალისტური შეგნების ჩამოყალიბებას.

ცხოვრებისეული მაგალითებით სოციალ-დემოკრატები, მოწინავე მუშები აყალიბებდნენ რიგით მუშებში კლასობრივ შეგნებას და ინტერნაციონა-ლურ სოლიდარობას, ისინი მათ უძლიერებდნენ სოციალურ ზიზღს კაპი-ტალისტების მიმართ, რომლებიც მათი ბარბაროსული ექსპლოატაციის შე-დეგად ზღაპრულად მდიდრდებოდნენ.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების ფორმირებისა და განვითარების საქმეში მნიშვნელოვანია რუსე-თის ეკონომიკურად დაწინაურებული რეგიონებიდან ემიგრირებული მოწი-ნავე მუშების ზეგავლენა: პოლონელი, რუსი, გერმანელი მუშები, რომლე-ბიც სხვადასხვა მიზეზების გამო ხვდებოდნენ საქართველოში, უკეთესად ერკვეოდნენ კაპიტალისტური ცხოვრების მექანიზმში, ზოგიერთმა მათგან-

მა მარქსიზმის ანა-ბანაც იცოდა, უფრო ორგანიზებულნი და მიზანსწრაფულებიც იყვნენ. ვიდრე ადგილობრივი მუშები. ისინი ცდას არ აკლებდნენ საქართველოში კლასობრივი ძმების — მუშების ორგანიზაციასა და დარაზმვას, აჩვევდნენ ადგილობრივ მუშებს ქარხნის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ახალ ფორმებს, პროლეტარულ სოლიდარობას, საკუთარი კლასობრივი ინტერესების დაცვას.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ერთხმად აღიარებს რუსი და სხვა ეროვნების რევოლუციურად განწყობილი მუშების მნიშვნელოვან ღვაწლს საქართველოს პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების ფორმირების საქმეში. ბედის საძებნელად საქართველოში გადმოხვეწილი მუშები აქ კვალიფიცირებული მუშების ფენას ქმნიდნენ. მათ შორის იყვნენ კლასობრივ ბრძოლებში გამოცდილნიც, გაფიცვების საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილენი. იყვნენ პეტერბურგისა და მოსკოვის მუშათა წრეებისა და ნაროდნიკული ორგანიზაციების წევრებიც და აქტივისტებიც. მათ საქართველოში ჩამოიტანეს რუსეთის სატახტო ქალაქების მუშების განწყობილებები, არალეგალური ნაროდნიკული თუ სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა.

მოწინავე რუსი მუშები ცდილობდნენ მუშათა დარაზმვას, მათთვის საგანმანათლებლო წრეების შექმნას. პირველ ხანებში ასეთი წრეების მსმენელები ძირითადად რუსი მუშები იყვნენ, თანდათან მათ ქართველებიც შეუერთდნენ. თბილისში მუშათა წრეების ჩამოყალიბება დასტურდება უკვე XIX საუკუნის 80 -იანი წლების შუა ხანებში[89].

განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა მუშა-მექანიკოსის თ. აფანასიევის წრემ. აქ იკრიბებოდნენ თბილისელი მუშები, ჰქონდათ სჯა-ბაასი ცხოვრებისეულ საკითხებზე. ამ წრის აქტიური წევრი იყო ალექსი პეშკოვიც (მაქსიმ გორკი).

ალექსი პეშკოვი (მაქსიმ გორკი) საქართველოში 1891 წლის დამლევს ჩამოვიდა და თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში დაიწყო მუშაობა. დაუახლოვდა თ. აფანასიევს და მასთან ერთად ე.წ. „კრასნოგორსკის კომუნაც“ კი შექმნა, სადაც მუშები კომუნისტური პრინციპებით ცხოვრობდნენ. ა. პეშკოვი მალე დაუახლოვდა ქართველ მუშებს, განსაკუთრებით ძმებს ჩიტაძეებს და გულით შეიყვარა საქართველო და ქართველი ხალხი. ა. პეშკოვი არა ერთხელ შეხვედრია ცნობილ ქართველ მწერალს ე. ნინოშვილს, კრიტიკული რეალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელს ქართულ ლიტერატურაში, ჩინებული მოთხრობების ავტორს. გადმოგვცემენ, რომ პოპულარულ ქართველ მწერალთან საუბრისას ა. პეშკოვს უთქვამს: — შენ ბედნიერი ხარ იმით, რომ შენი საკუთარი თვალებით ხედავ თუ როგორ უყვარხართ და პატივს გცემენ —

– ის რაც შენ ასე საოცრად გვიამბე, დაწერე და ნახავ შენც როგორ შეგიყვარებს ყველა – იყო პასუხი.

მართლაც, სულ მალე, 1892 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა ა. პეშკოვის „მაკარ ჩუდრა“ – ამით დაიწყო მაქსიმ გორკის ლიტერატურული კარიერა. საქართველოზე შეყვარებული მწერალი მოგვიანებით დაუფარავად ეტყვის ქართველებს: „შეიძლება იფიქრო, რომ თქვენი ქვეყნის ულამაზესმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სიფაქიზემ – სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ბიძგი, რომელმაც მაწანწალიდან ლიტერატორი გამხადა“[90].

მუშათა თვითგანათლების წრეების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. თანდათან გაჩნდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების წრეებიც. ისინი აღარ კმაყოფილდებოდნენ მარტო თვითგანათლებით, მათ უკვე სოციალური პოლიტიკა, ცხოვრების აუტანელ პირობებზე სჯა-ბაასი, მუშათა გაუსაძლისი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა და აქედან სწრაფი გამოსავლის ძებნა აღელვებდათ. 1893-1894 წლებში თბილისში შეიქმნა მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეები. რუს მუშებთან ერთად უკვე გამოჩნდნენ მომზადებული და ორგანიზებული ქართველი მუშებიც: ზ. ჩოდრიშვილი, ვ. სტურუა, მ. ბოჭორიძე, ა. ოქუაშვილი და სხვები.

მუშათა კლასობრივი თვითშეგნების ზრდის პროცესი დაემთხვა საქართველოში მარქსისტული მოძღვრების, სოციალ-დემოკრატიული აზროვნების განვითარებას ქართველ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფში. მარქსის ეკონომიკური მოძღვრების შესახებ გარკვეული ინფორმაცია საქართველოში უკვე XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ჰქონდათ. მაგრამ ამ პოლიტიკური მიმართულების აშკარა მიმდევრები საქართველოში 90-იან წლებში გამოჩნდნენ.

1892 წელს ე. ნინოშვილისა და მ. ცხაკაიას ინიციატივით ზესტაფონში მოეწყო მარქსისტულ პოზიციებზე მდგომი ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენტების შეკრება – კონფერენცია. აქ იყვნენ ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ი. რამიშვილი, ნ. ჩხეიძე და სხვები. შეკრებაზე შეეცადნენ სამოქმედო პროგრამა მიეღოთ. კონფერენციამ უარყო ნაციონალიზმი და მტკიცედ დადგა ინტერნაციონალიზმის პოზიციებზე[91].

სულ მალე სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი ორგანიზაციულადაც გაფორმდა, შემუშავდა წესდება, ორგანიზაციას ჰქონდა ლეგალური გაზეთიც კი – „კვალი“, პირველი ლეგალური მარქსისტული გაზეთი რუსეთის იმპერიაში. ამ ახალ მიმდინარეობას ცნობილი ქართველი მწერლის – გ. წერეთლის ხატოვანი გამოთქმით „მესამე დასი“ დაერქვა და ამ სახელწოდებით შევიდა საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში.

1894 წელს ე. ნინოშვილის დაკრძალვაზე ქართველმა მარქსისტებმა პირველი საჯარო გამოსვლა მოაწყვეს. მწერლის საფლავზე ს. ჯიბლაძემ წარ-

მოთქვა სიტყვა, რომელიც მიჩნეულია ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის არაოფიციალურ მანიფესტად: „ჩვენი აწინდელი ცხოერება წარმოადგენს ორ ახალ, ერთიმეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით – ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით – მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტები, პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა...“[92].

ამ პოლიტიკური მოძრაობის ლიდერები მარქსიზმის საფუძვლებს დასავლეთ ევროპაში ეზიარნენ. ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე ვარშავაში გაეცნენ მარქსიზმის საფუძვლებს. ცოტა მოგვიანებით, ევროპაში ხანგძლივი მოგზაურობის დროს ნ. ჟორდანია გაეცნო ცნობილ გერმანელ მარქსისტს კარლ კაუცკის და რუს მარქსისტებს.

საქართველოში ახალი იდეოლოგია ძალიან სწრაფად იხვეჭდა მომხრეებს. შეიძლება პარადოქსადაც ჩაითვალოს, რომ ეკონომიკურად არცთუ მაღალგანვითარებულ კოლონიალურ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი სულაც არ შეადგენდა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ძირითადად გლეხურ ქვეყანაში, განვითარდება რუსეთის იმპერიის მასშტაბის მნიშვნელოვანი მოძრაობა, რომელიც გამორჩეულ მარქსისტებსა და თვალსაჩინო პოლიტიკოსებს წარმოშობდა (ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, კარლო ჩხენკელი და სხვები – მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის – „მენშევიზმის“ ლიდერები; იოსებ ჯუგაშვილი (სტალინი), სერგო ორჯონიკიძე, აბელ ენუქიძე და სხვ. – მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის – „ბოლშევიზმის“ ლიდერები).

ამ ამოცანის გასაღები, ალბათ, საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებურებებში უნდა ვეძებოთ. XX საუკუნის დასაწყისში აშკარა გახდა, რომ ქართველები ვერ „მოერგნენ“ კაპიტალიზმს. ქართველი კაპიტალისტები საქართველოს ბურჟუაზიის უმნიშვნელო ნაწილი იყო მხოლოდ. ისინი აშკარად ვერ ქმნიდნენ „ამინდს“ საქართველოს ეკონომიკაში. განმსაზღვრელი პოზიციები სომხებს, რუსებს, გერმანელებს და საზღვარგარეთელ (ნობელი, როტშილდი და ა.შ.) მაგნატებს ეპყრათ ხელში, რომლებიც სრულებით არ ზრუნავდნენ ეროვნული კულტურის ასაღორძინებლად, ქართველი ხალხის ნაციონალური ინტერესებისათვის, არ აფინანსებდნენ ეროვნული ინტელიგენციის მრავალმხრივ საქმიანობას, რის გამოც მათ მიმართ ნიჰილიზმი ჰქონდა არა მარტო პროლეტარიატს, არამედ ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილსაც.

კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში გააღატაკა არა მარტო ამქარ-ხელოსნები, არამედ აზნაურები, თვით თავადებიც კი. არაქართველი კაპიტალისტების ეკონომიკური ბატონობა, მათი ბურჟუაზიული ყოფა სოციალურ ზიზღს აღძრავდა და აძლიერებდა უარყოფით ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას მთლიანად კლასის წინააღმდეგ.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქართველ მარქსისტთა პირველი თაობის მნიშვნელოვან ნაწილს რელიგიური განათლება ჰქონდა მიღებული (ნ. ჟორდანია, მ. ცხაკაია, ლ. კეცხოველი ი. ჯუგაშვილი და სხვ.), ხოლო რელიგიური დოგმატიკა, განსაკუთრებით ქრისტიანობის ფუნდამენტური პრინციპები, ძალიან ადვილად ტრანსფორმირდება სოციალისტურ მოძღვრებად. თუ გავითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნე ქრისტიანული რელიგიის კრიზისის ხანაა, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, რამაც, უდავოდ, ხელი შეუწყო ახალ მსოფლმხედველობის – მარქსიზმის პოპულარობას, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგივე პირობებმა და ყველაფერმა ერთად უზრუნველყო საქართველოში მარქსიზმის სწრაფი გავრცელება და მისი გაძლიერება.

ამრიგად, ქართველი ერის კონსოლიდაციის გზაზე სერიოზული ბარიერი აღიმართა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის სახით, რომელიც მტკიცე კავშირს ეძებდა არა ქართველ თავადთან, აზნაურთან, გლეხთან, ინტელიგენტთან, არამედ ფრანგ, რუს, გერმანელ, ავსტრიელ, სომეხ და სხვა ეროვნების პროლეტარიატთან, რომელთანაც ერთად მას ახალი, წარსულისაგან რადიკალურად განსხვავებული, ეროვნული პრობლემებისაგან განთავისუფლებული, საზოგადოება უნდა აეშენებინა.

ამრიგად, XIX საუკუნეში ქართველების დემოგრაფიული განვითარება, მოსახლეობის ზრდა – აშკარად თვალში საცემია, რაც უდიდეს ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. საქართველოში ქართველები უმრავლესობას შეადგენდნენ, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ერის კონსოლიდაციის პროცესის განვითარების საქმეში.

სამაგიეროდ აშკარად შესამჩნევია, რომ ქონებრივი თვალსაზრისით ქართველების სოციალური მდგომარეობა ზედმეტად არის დიფერენცირებული და აქედან გამომდინარე, მათი ინტერესებიც, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება, რაც ნებისმიერ საზოგადოებაში კლასობრივ კონფრონტაციას უზრუნველყოფს. ეს კი აუცილებლად გულისხმობს საკუთარი კლასობრივი ინტერესების პრიმატს, სიღარიბის ფაქტორის ზედმეტ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ადამიანების ქცევაზე, მათ სიმპათიებსა და ანტიპათიებზე, რაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის „კლასობრივი ზავის“ დამყარების გეგმის რეალიზაციის დროს და ნაყოფიერ საფუძველს უქმნის ნიჰილისტური იდეოლოგიის განსავითარებლად.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში წარმატებით გრძელდებოდა საქართველოს კაპიტალიზაციის პროცესი. საერთაშორისო მნიშვნელობის წიაღისეულის (ჭიათურა, ტყიბული) აღმოჩენამ, უმნიშვნელოვანესი ბაქოს საბადოს ექსპლოატაციაში შესვლამ და საქართველოზე მისმა ტრანზიტმა, მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების შექმნამ საქართველოს სხვადასხვა კუთხე-

ში. სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზაციის პროცესის შეღწევამ და ღარიბი გლეხის ამოძრავება-მიგრაციამ, საქართველოს ცალკეულ ოლქებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივმა სპეციალიზაციამ, სამრეწველო ძალების თავისუფალი გადაადგილების პირობებმა, სისტემატურმა ეკონომიკურმა აღმავლობამ, მუდმივი გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ შექმნა საფუძველი ერთიანი ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებისათვის, რაც ერის კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანესი მატერიალური პირობა გახდა.

მაგრამ მაინტეგრირებელი პროცესები საქართველოში სერიოზულად ფერხდებოდა რუსეთის სახელმწიფოს ანტიქართული საქმიანობის გამო, რომელიც მიზნად ისახავდა სწორედ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის ხელოვნურად შეფერხებას. ამ მიზნით გამოიყენებოდა უამრავი საშუალება, მათ შორის ქართველი ერის კუთვნილი მიწების უცხოტომელებზე გასხვისება, მიგრანტების მასობრივი ჩამოსახლება და მთელი რეგიონების ეთნიკური „აჭრელება“, ქართული ეკლესიის მნიშვნელობის დაკნინება და მისი ადაპტაცია რუსულ დამახინჯებულ საეკლესიო სტრუქტურებში, რათა მას აღარ შეესრულებინა ქართველი ერის მაკონსოლიდირებელი ძალის ფუნქცია. და ა.შ.

რუსეთის მთავრობამ მაქსიმალურად გამოიყენა განათლების საიმპერიო სისტემის შესაძლებლობები და საქართველოს სკოლებიდან ფაქტობრივად განდევნა დედა-ენა. რუსი ჩინოსნები ქართველ ბავშვებს არა მარტო მშობლიურ ენაზე ლაპარაკს უკრძალავდნენ, არამედ ამ ენაზე ფიქრსაც კი.

ყველაზე დიდი ბოროტება, რასაც შეეცადა რუსეთის სახელმწიფო, იყო ქართველების ეთნოგრაფიული ნიშნით გათიშვის მცდელობა, მეგრული, სვანური და აფხაზური ანბანების შექმნა, ქართველების ერთმანეთზე დაპირისპირების კულტივირება.

ასეთ ვითარებაში საქართველოში გავრცელება დაიწყო მარქსისტულმა იდეოლოგიამ, რომელიც თავისი არსით ანტიეროვნული იყო და მხოლოდ უნიკერსალური პროლეტარული ფასეულობებისადმი ერთგულების ქადაგებით გამოირჩეოდა. მან დამატებითი პრობლემები შექმნა ქართველი ერის კონსოლიდაციის რთული პროცესის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში.

თავი VII

ქართველი ინტელიგენცია („თერგდალეულები“) ერის კონსოლიდაციის სათავეში

§ 1. – ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის თავისებურებანი XIX საუკუნის შუა ხანებში

წინა თავებში ჩვენ ძირითადად ჩამოვაყალიბეთ ის ხელის შემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები და გარემოებები, რომლებიც აპირობებდნენ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს. აღინიშნა, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს დამთავრდა პროცესი საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემოერთებისა, რომელთა ორგანული შერწყმა-შეკავშირება დროის გადაუდებელი ამოცანა გახდა; აღინიშნა ისიც, რომ ამ ტერიტორიებზე ძირითადად თავი მოიყარა ქართველურენოვანმა (ქართული, მეგრული, სვანური), თუმცა კონფესიურად რადიკალურად განსხვავებულმა (მართლმადიდებელი, კათოლიკე, გრიგორიანელი, მუსლიმი) მოსახლეობამ, რომლის ერთიანობის მიღწევა – ასევე რთულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული და დიდ ძალისხმევას საჭიროებდა; აღინიშნა ისიც, რომ ქართული წარმომავლობის მოსახლეობის საკმაოდ დიდ ჯგუფებს ეროვნული ცნობიერება მთლიანად დაკარგული ჰქონდათ.

უაღრესა დადებით ფაქტორებს შორის აღინიშნა ისიც, რომ მოხდა შესამჩნევი დემოგრაფიული ზრდა და ქართველების რაოდენობა XIX საუკუნის დასასრულს თითქმის გაორმაგდა. ამასთან, აღვნიშნეთ, რომ ეკონომიკური განვითარების ობიექტური კანონზომიერებების მოქმედების შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი ეროვნული ბაზარი, რომელმაც ეკონომიკური ღვედებით დააკავშირა სრულიად საქართველო, ჩამოაყალიბა ეკონომიკის რეგიონალური დანაწილება და მატერიალური ინტერესების საფუძველზე დაიწყო სრულიად საქართველოს შედუღაბების ურთულესი პროცესი.

ხაზგასმით ისიც აღინიშნა, რომ არსებობდა სერიოზული დეზინტეგრაციული ფაქტორები. პირველ რიგში რუსეთის იმპერიული სახელმწიფო მანქანის სახით, რომელიც უამრავ დაბრკოლებას უქმნიდა ქართველ ერს კონსოლიდაციის გზაზე: იქნებოდა ეს დემოგრაფიული დივერსიები (უცხოტომელების უკონტროლო ჩამოსახლება, მთელი რეგიონების ეთნიკური „აჭრე-

ლება"), თუ ქართული ეროვნული კაპიტალის მოქმედების შეზღუდვა და სხვა ეროვნების ბიზნესმენების წახალისება, ქართველების ეთნოგრაფიული ნიშნით გათიშვის ცდები და ა.შ. და ა.შ..

იმისათვის, რომ პოტენციაში არსებული ქართველი ერის კონსოლიდაციის ფაქტორები რეალურ ძალად გადაქცეულიყო, საჭირო იყო პოლიტიკური კლასი, პოლიტიკური ფენა ან პოლიტიკური ჯგუფი მაინც, რომელიც ქართველი ერის ერთიანობის ამ რეალურ შესაძლებლობებს ურღვევ კავშირად გადააქცევდა და ამ მიზნით ჩამოაყალიბებდა იმ ერთადერთ კარდინალურ გეგმას, რომლის მიზანმიმართული რეალიზაცია უკვე მტკიცე საფუძველს დაუდებდა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარებას და დროთა განმავლობაში გამოიწვევდა მის წარმატებულ დასრულებას.

ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს მაკოორდინირებელი ძალა მესამე წოდება – ბურჟუაზია იყო, რომელიც საქართველოში ამ მისიას ვერ შეასრულებდა, რადგან მასში ქართველები ერთობ სუსტად იყვნენ წარმოდგენილნი;

თავადაზნაურობა – ისტორიულად საქართველოს ხელმძღვანელი, ჰეგემონი და მაკონსოლიდირებელი კლასი, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის სახელმწიფოს მიმართ თითქმის მთლიანად ლოიალურ პოზიციაზე დაეშვა, იმჟამად ერის წინაშე მდგომი ამ ამოცანის გადაწყვეტას ნაკლებად ფიქრობდა. მათ შესახებ ილია ჭავჭავაძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა: „ჩვენი დიდკაცობა, რომელიც წარჩინებულობით, ხარისხით, ყოფა-ცხოვრებით და შეძლებით ყველაზე მახლობლად არის უმაღლეს მთავრობასთან და, მაშასადამე, უმაღლეს მთავრობამდე მიწვდენის ღონე ხელთა აქვთ, ამ საქმისათვის მიუმზადებელია... არ არის ქვეყანაზე არც ერთი ერი, რომლის შემძლებელი ნაწილიც ასე გულაცრუებული, ასე გულგრილი იყოს საზოგადო საქმეების შესახებ, როგორც ჩვენები არიან"[1].

ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ რუსეთის სინოდის მარწუხებში მყოფი ქართული ეკლესია – ისტორიულად ქართველობის დუღაბი და ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი მებაირაღე, უაღრესად დასუსტებული იყო და ამ ამოცანას თავს დამოუკიდებლად ვერ გაართმევდა. ასევე სამართლიანია ილია ჭავჭავაძის შემდეგი მინიშნება: „ჩვენი სამღვდელოება ამგვარი საქმისათვის უღონოა და ამ უღონობით ძალაუნებურად გულხელდაკრეფილია"[2].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში, ადგილობრივი ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით, მოხდა ისე, რომ ერის კონსოლიდაციის ისტორიული ამოცანის აღსრულება დაიკალა ქართველი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობამ, რომელმაც განათლება საზღვარგარეთ,

თერგის გადაღმა („თერგდალეულები“) – რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიიღო და XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო მძლავრი ეროვნულ-საგანმანათლებლო, ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი საქმიანობა სწორედ და მხოლოდ ამისათვის საჭირო ყველა აუცილებელი მიმართულების გამოყენებით. ეს მრავალმხრივი საქმიანობა ითვალისწინებდა: ქართველი ერის კონსოლიდაციის შემაფერხებელი ფაქტორების ფიქსირებას და მის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას, ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობას, ამ პროცესის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, სულიერი და მატერიალური რესურსების მოძიებას, კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავებას, პროპაგანდისტულ-აღმზრდელობით საქმიანობას და ა.შ. და ა.შ..

ამ ქართველი ახალგაზრდების შესახებ, რომელთა შორის თვითონაც იყო, ილია ჭავჭავაძე მოგვიანებით იტყვის: „...მოედანზე გამოვიდა სხვა ახალი მოზარდი თაობა. ახალი თაობა მოესწრო და ის თითქმის განელებული, მილეული სურვილობა ერთობისა და საზოგადოებრივის კავშირისა კვლავ გაფუვდა, აღორძინდა ჩვენ გაფუებულ გულში...“[3].

აშკარაა, რომ ამ ნაწყვეტში ი. ჭავჭავაძე სწორედ ქართველების ეროვნული ერთიანობის იდეის „გაფუვებას“, „აღორძინებას“ გულისხმობს, რისი აუცილებლობაც უკვე დროის მოთხოვნა იყო.

ამ თაობის დადებით როლს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში ხაზგასმით აღნიშნავდა ნიკო ნიკოლაძეც: „რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს“[4].

ეს სრულიად სწორი და სამართლიანი შეფასებაა და ჩვენდათავად ვიტყვით, რომ ქართველი ახალგაზრდების ამ პატრიოტულმა ჯგუფმა ძირითადად სწორად განსაზღვრა ის კარდინალური მიმართულებები, ის გადაუდებელი ამოცანები, შეამჩნია ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე შემფერხებელი ბარიერები და ფაქტორები, დროულად დასახა მათი დაძლევის გზები და მეთოდები, ხოლო ყოველივე ამან უზრუნველყო ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის ნორმალურად დაწყება და გარკვეული მიზნით მისი წარმართვა. ქართველი ახალგაზრდების სამოქმედო გეგმა ფაქტობრივად ასეთი იყო: ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლა, ქართული ენის სახელმძღვანელოს შექმნა, ქართული სასკოლო ქსელის მშენებლობა, ერთიანი საქართველოს ისტორიის ჩამოყალიბება, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების აღორძინება, კუთხური პარტიკულარიზმის დაძლევა ერთიანი ქართული ცნობიერების განმტკიცების

საფუძველზე, კონფესიური მრავალფეროვნებით გამოწვეული გაუცხოების დაძლევა და ა.შ. და ა.შ..

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ბევრი თანამედროვე საზღვარგარეთელი სოციოლოგი, რომელიც ნაციონალიზმის ეტაპებს აყალიბებს, წარმოადგენს შეხედულებათა ისეთ სისტემას, რომელიც საოცარ მსგავსებას ავლენს სწორედ იმ პროგრამასთან, რაც ქართველმა ახალგაზრდებმა დასახეს ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის დასაჩქარებლად. მაგალითად, ცნობილი სოციოლოგი მიროსლავ ჰროში ნაციონალიზმის განვითარების ეტაპებს ასე აყალიბებს: პირველი ეტაპი, ეს არის კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვა, რაც მოიცავს ენის რეფორმას, ეროვნული ისტორიის აქტივიზაციას და მისი როლის გაძლიერებას; მეორე ეტაპი – ეს არის „პატრიოტების" ჯგუფის მიერ შექმნილი ეროვნული იდეის საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების) და პრესის საშუალებით ხალხამდე მიტანა და მესამე – საზოგადოების საყოველთაო მობილიზაცია[5]. აშკარაა, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა ერის კონსოლიდაციის (ნაციონალიზმის) განვითარების საქმეში პრაქტიკულად დიდი ხნით გაუსწრეს წინ დასავლურ სოციოლოგიას.

და ისიც, აშკარაა, რომ ქართველი ახალგაზრდა თაობა XIX საუკუნის შუა ხანებში ჩინებულად ერკვეოდა ქვეყანაში შექმნილ მოვლენებში და ერის კონსოლიდაციის გზაზე სწორ ორიენტირებს სახავდა.

ამიტომაც ზედმეტად მკაცრად გვეჩვენება „თერგდალეულისა" და ასევე დიდი პატრიოტის ნიკო ნიკოლაძის მხრიდან ამ ახალგაზრდების მისეული გვიანდელი კრიტიკა: „საუბედუროდ ეს თაობა ჩვენს ცხოვრებაში დაუმზადებელი შემოვიდა. იმან არც საზოგადოებრივი მეცნიერება იცოდა თეორიით, არც პრაქტიკული მდგომარეობა ჩვენი ხალხისა, არც ჩვენი ხალხის საჭიროება და სურვილი."[6]

აშკარად ზედმეტად მკაცრი შეფასებაა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის წარმართვა, როგორც წესი, სახელმწიფოს პრეროგატივაა (გავიხსენოთ გერმანიის II რეიხის მაგალითი) ან დამოუკიდებელი ეკლესიის (გავიხსენოთ სომხური ეკლესიის მაგალითი), რაც საქართველოს შემთხვევაში საერთოდ გამორიცხული იყო იმით, რომ პირველი – არ არსებობდა, ხოლო მეორე – საოცრად დასუსტებული და უუფლებო იყო.

ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, თუ როგორ ძნელად მიმდინარეობდა გერმანიაში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი. აქედან გამომდინარე ჩვენი ქართველი ახალგაზრდები, მოკლებულნი ყოველგვარ მხარდაჭერას, მხოლოდ ერთმანეთის შემყურე და მოიმედენი, მხოლოდ იმიტომ არიან დასაფასებელნი, რომ მათ დაინახეს, მთელი საკუთარი არსით შეიგრძნეს იმ ობიექტური

პროცესების თავისებურებანი, რომელიც საქართველოში შეიქმნა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, გამოუცდელობისა, თუნდაც „საზოგადოებრივი მეცნიერების თეორიის“ არ ცოდნისა და ქართველი ხალხის „პრაქტიკული მდგომარეობის“, „ჩვენი ხალხის საჭიროება და სურვილი“-ს გაუაზრებისა, აქტიურად ჩაერთვნენ იმ გადაუდებელი ამოცანების შესრულებაში, რასაც ერის განვითარების ისტორიული კანონზომიერება იმჟამად ასე აქტუალურად აყენებდა მათ წინაშე.

გვინდა მკითხველის ყურადღება ერთ გარემოებაზეც მივაპყროთ – თითქმის ყველა ისტორიკოსი, საბჭოთა პერიოდის იქნება ის თუ პოსტსაბჭოთა მოაზროვნე, „თერგდალეულების“ მოღვაწეობაზე მსჯელობისას გამორჩეულ და უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოღვაწეობას, დამოკიდებულებას რუსეთთან, ცარიზმის რეჟიმთან, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნის ამოცანებიდან გამომდინარე კონკრეტულ რეალობებთან, ამ მიზნით მათ მიერ შექმნილ პროექტებთან და უკანა პლანზე გადააქვთ, ან მოკრძალებულად იხილავენ მათ მიერ ჩატარებულ ეროვნულ-მაკონსოლიდირებელ დიდ მუშაობას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა – ეს რთული ამოცანაა, რომლის განსახორციელებლად საქართველოს მსგავს ერებს (პოლიკონფესიურებს, სამ (ქართულ, მეგრულ, სვანურ) ენოვნებს, ფეოდალური სეპარატიზმით დაავადება შეყრილებს და ა.შ.) პირველ რიგში, სჭირდება ერის კონსოლიდაციის პროცესის დაჩქარებული განვითარება და მხოლოდ ამის შემდეგ, მის ბაზაზე, ამ პროცესის წარმატებით დაგვირგვინების საფუძველზე შეიძლება ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის ამოცანის რეალიზება. საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი თავისებურება ქართველ „სამოციანელებს“ ჩინებულად ჰქონდათ გააზრებული.

და, სწორედ აქედან გამომდინარე, და ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ მათ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ანტიცარისტული აჯანყების ორგანიზებით კი არ დაიწყეს, არამედ უდიდესი მუშაობა, ფაქტობრივად ბრძოლა გაშალეს ახალი სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად (ამის შესახებ ქვემოთ).

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ, რომ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ არა მარტო ეპოქალური, არამედ პროგრამული ნაწარმოებიც არის. მოთხრობის მთავარი გმირის ლელთ ღუნიას ცნობილი გამონათქვამი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“ – ფაქტობრივად „თერგდალეულთა“ ეროვნული პროექტის საბოლოო, დასკვნითი აკორდი უნდა გამხდარიყო. მაგრამ ამ ისტორიული მიზნის მიღწევის რთულ გზაზე ძალიან ბევრი ბარიერისა და ხელოვნური დაბრკოლების გადალახვა საქართველოს

ახალგაზრდა თაობის ღირსეული წარმომადგენლების კოლოსალური, ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის საფუძველზე იქნებოდა მხოლოდ შესაძლებელი. იმჟამინდელ „სამოციანელებს“ ამისთვის მზაობა მართლაც ჰქონდათ.

შემთხვევითი არ არის, რომ „მგზავრის წერილების“ ფაბულა სწორედ ახალგაზრდა კაცის შორეულ გზაზე მოგზაურობის ფონზე იშლება – ხანგრძლივი განშორების შემდეგ ახალგაზრდა ქართველი სამშობლოში ბრუნდება. ასეთ დროს ადამიანს მუდამ გამახვილებული აქვს კრიტიკული თვალი, ფაქტებსა და მოვლენებზე რეაგირების უნარი, დაკვირვების კონტურები უფრო გამუქებულია და დასკვნებიც ზოგჯერ ზედმეტად აგრესიული – მტკივნეულიც.

რა დაინახეს, რა შეამჩნიეს ქართველმა ახალგაზრდებმა („თერგდალეულებმა“) საქართველოში, ხანგძლივი განშორების შემდეგ, როცა ევროპული განათლებით აღჭურვილები, სამშობლოში დაბრუნდნენ (მკითხველი, ალბათ უკვე მიხვდა, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ ნ. ნიკოლაძის მოსაზრებას ამ ახალგაზრდა თაობის არაკომპეტენტურობის შესახებ საზოგადოებათმცოდნეობაში. მათ ზუსტათ იცოდნენ იმდენი და იმ ზომით, რაც საჭირო იყო იმდროინდელ საქართველოში არსებული პოლიტიკური პროცესების გასაანალიზებლად, შესაფასებლად და სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად).

გამძაფრებულ შთაბეჭდილებებს შორის ჩვენ პირველ რიგში გამოვყოფთ შეხედულებას ქართველი ერის იმჟამინდელი მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს ძალდატანებითი გაერთიანება და 1878 წელს ისტორიული საქართველოს ტერიტორიული კონტურები ფაქტობრივად გამოკვეთილი იყო. მაგრამ ამ წარმატებული სამხედრო ოპერაციის შედეგად ავტომატურად მოხერხდა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის დასრულება?

რა თქმა უნდა, არა!

ახალგაზრდებმა პირველ რიგში სწორედ ეს თავისებურება შეამჩნიეს: „აბა დაიძახე: ქართველო თქო, თუ შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართლელის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნებ კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენსკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქოს იმათ არ ეძახიო. თითქოს ისინი კი ქართველები არ არიანო“[7].

ეს შეხედულება გულისტკივილით გვახსენებს იმ ობიექტურ მდგომარეობას, როცა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაყოფილი საქართველო

სულ რამდენიმე ათეული წლის წინ კუთხური პატრიოტიზმის გამო აშკარად ებრძოდა ერთიანს – ქართულს; როცა აღგილობრივი, სეპარატული უფრო მეტი ღირებულების შემცველი იყო, ვიდრე სრულიად ქართული, ერთობლივი. ილია ჭავჭავაძე ზუსტად და სამართლიანად აფასებს ქართველი ერის ისტორიის ამ ეტაპს: "ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვეამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულისტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს იქით გაითხარა ჩვენი ბედნიერების სამარე... ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხამდე..."[8].

სწორედ ამ ფაქტორების წინააღმდეგ დაიწყეს ენერგიული ბრძოლა ქართველმა ახალგაზრდებმა.

ისტორიული განვითარების გამო შექმნილი რეალობები ქართველების ენობრივ და კონფესიურ განსხვავებებს განსაკუთრებით საცნაურს ხდიდა. თუ ამას დავუმატებთ რუსეთის ხელისუფლების ინტენსიურ მცდელობას მისი ანტიქართული პოლიტიკის ესკალაციის მიმართულებით, ეს გათიშულობა ქართველებს შორის კიდევ უფრო შემაშფოთებელ ფორმას მიიღებს და მაშინ კი აშკარად გასაგები გახდება, თუ რა დიდი ბარიერების გადალახვა დასჭირდა საქართველოს ახალგაზრდა თაობას („თერგდალეულებს").

რუსეთის იმპერიაში პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები მიგვანიშნებს, რომ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ფაქტობრივად დათანხმდა რუსეთის ხელისუფლების შეთავაზებას და დაადასტურა, რომ ის „ქართველი" კი არ არის, არამედ არის „იმერელი", „მეგრელი", „სვანი". ჩვენ ვუშვებთ იმ გარემოებას, რომ იყვნენ ისეთი იმერლები, მეგრელები და სვანები, რომლებმაც რიტორიკულ შეკითხვაზე „რა ეროვნების ხარ?" – უპასუხეს „ქართველი". მაგრამ სტატისტიკური ცნობარიდან ისიც ჩანს, რომ კუთხური ტენდენციების მქონე ადამიანების რიცხვი საკმაოდ ბევრია. ეს კუთხურობა, მიუხედავად მის წინააღმდეგ წარმოებული ქართული ინტელიგენციის (და არა მარტო ინტელიგენციის...) ბრძოლისა, იმჟამად საკმაოდ იყო ფეხმოკიდებული. მაგალითად, მაჰმადიანები ქართული წარმომავლობით თავის თავს არ თვლიდნენ ქართველებად, სომხები ქართული წარმომავლობით თავს არ თვლიდნენ ქართველებად, მეგრელების დიდი ნაწილი თავის თავს არ თელიდა ქართველად, იმერლების გარკვეულ ნაწილსაც მიაჩნდა, რომ ისინი იყვნენ არა ქართველები, არამედ იმერლები და ა.შ.

სწორედ ამ ისტორიული ბარიერის დაძლევის ამოცანა დაისახეს მიზნად თერგდალეულმა ახალგაზრდებმა და პირველი სერიოზული ნაბიჯებიც გადადგეს ამ მიმართებით...

უდიდესი ისტორიული ამოცანის დაწყება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შესწავლის ობიექტის ყოველმხრივ კრიტიკულ გააზრებას, შეფასებას, მისთვის დიაგნოზის დასმას, ხოლო შემდეგ, დიაგნოზიდან გამომდინარე, მის მკურნალობას.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტის და პოლიტიკოსის ა. ბაქრაძის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ ქართველ ახალგაზრდობას: „ფანატიკოსის სიყვარულით, დაუნდობლად უნდა გაესინჯა, გაეჩხრიკა, აეწონ-დაეწონა ყოველივე... ანატომის გულგრილობით დადო საოპერაციო სარეცელეზე საქართველოს ეროვნული სხეული... დასცა თავზარდამცემი დიაგნოზი“[9].

დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა ქართველი სამოციანელების მიერ ქართველებისთვის დასმული დიაგნოზის შეფასება, რომელიც გააკეთა ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა და მწერალმა ჯ. ღვინჯილიამ: „რა სიღრმის, რა მასშტაბის, რა ძალის უნდა ყოფილიყო სამშობლოს სიყვარულის გრძნობა პოეტში, რომ მას დაენახა ქვეყნის ამგვარი მხილების აუცილებლობა, შემდეგ გაებედა თავისი სათაყვანებელი ხალხისთვის „გამანადგურებელი“ სიმართლის თქმა“[10].

ეხლა რაც შეეხება დიაგნოზს... ტრადიციულად საილუსტრაციოდ მოუხმობენ ხოლმე ილია ჭავჭავაძის ლექსებს: „ბედნიერი ერი“ და „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“. თუმცა ქართველების ხასიათის, მათი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ქცევის კრიტიკა სხვა მამულიშვილებსაც როგორც პუბლიცისტიკაში, ასევე მხატვრულ შემოქმედებაში საკმაოდ უხვად აქვთ დაფიქსირებული.

აკაკი ბაქრაძის აზრით „ათასხუთასწლიან ქართულ ლიტერატურაში „ბედნიერი ერის“ ბადალი სატირული ლექსი არ არსებობს. არ არსებობს არც გაბედულობის და გულახდილობის, არც სულიერი ტკივილისა და ტანჯვის თვალსაზრისით თითოეული სტრიქონი დაწერილია სისხლით... **გათიშულია ქვეყანა და ერი, გამქრალია ჰარმონია. ამის აღდგენაა უპირველესი** ამოცანა (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)“[11].

ცნობილი ლიტერატორი და პოლიტიკოსი სამართლიანად მიანიშნებს ახალგაზრდა თაობის წინაშე მდგომ ამოცანას – „გათიშულია ქვეყანა... გამქრალია ჰარმონია. ამის აღდგენაა უპირველესი ამოცანა“. ეს აზრი ადვილად გამოითქმის, მაგრამ ძნელი განსახორციელებელია. ამ ურთულესი საქმის დაწყება კიდევ უფრო ძნელია – ამას მართლაც ქირურგის მჭრელი სკალპელი და ექიმის ძლიერი ხელი სჭირდება.

ა. ბაქრაძის აზრით, ასეთი მკაცრი შეფასება აუცილებელი იყო როგორც მწარე წამალი ეროვნული კონსოლიდაციის გზაზე. ისტორიაში ცნობილია ერის გამოჩენილი შვილების მხრიდან საკუთარი ერის ზედმეტად კრიტიკული შეფასებების გაკეთების კონკრეტული ფაქტები. მაგალითად, ჩერნიშევსკის მიაწერენ გამოთქმას რუს ერზე – „მონათა ერი, თითოეული მათგანი მონაა!“

ახალგაზრდა თაობის („თერგდალეულების“) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ საკუთარ „ექიმის ძლიერ ხელში“ ჩინებულად აამოქმედეს „ქირურგის მჭრელი სკალპელი“ და შედეგიც მიიღეს.

რა თქმა უნდა, უპირველესი ამ საქმეში იყო შეხედულება ქართველობაზე, როგორც ხსნისა და გადარჩენის მთავარ ობიექტზე. მასზე ახალგაზრდა ქართველ ინტელიგენციას, მართლაც, მკაცრი შეხედულება ჰქონდა. აღნიშნავდნენ, რომ „სადაც სიტყვა ქართველი შემხვდება, იქ უსათუოდ უნდა ვიგულისხმოთ სიტყვა ზარმაცობისა, უზრდელობისა, უჯიშობისა და ყოველნაირის ვერაგობისა და უბედურებისა“[12].

ილია ჭავჭავაძე კიდევ უფრო მკაცრია თავის „ბედნიერ ერში“, რომლის თითოეული სტროფი თავისმოჭრა და ლოყაში სილის გაწნაა:

ყველა ყრუი,
ყველა ცრუი
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი
ცულლუტი და მანკიერი
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!

ეს ლექსი თითოეულმა ქართველმა ზეპირად იცის და ზოგსაც გულის კედელზეც აქეს ამოტვიფრული, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ილია ამ შემთხვევაში ზედმეტად მკაცრია, რომ მას თვითონ ახალგაზრდას, ჯერ არაფრით განსაკუთრებით გამორჩეულ პირს, საკუთარ ერზე ასეთი გამონათქვამის გაჟღერების უფლება არა ჰქონდა. მით უფრო, რომ ეს ითქვა XIX საუკუნის ქართველობაზე, რომლებიც ჯერ ერთი, საუკუნის დასაწყისში განუწყვეტლივ იბრძოდა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ, ხოლო მოგვიანებით, რუსებთან ერთად, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემოსაერთებლად უდიდესი მსხვერპლი გაიღო. პიროვნული თვისებები, რომელიც ამ ლექსშია მოტანილი და ქართველების ნიშან-თვისებად არის გამოცხადებული, მეტ-ნაკლებად ყველა ერში გვხვდება – იმდენად ისინი ზოგადსაკაცობრიოა, აშკარად ადამიანის ცოდვილი ბუნების მანკიერებიდან გამომ-

დინარეობს და უფრო ხშირად ის უფრო ინდივიდუალური თავისებურებაა, ვიდრე ზოგადეროვნული...

მაგრამ, რა თქმა უნდა, გარკვეული პრობლემები ქართველი ერის წინაშე იდგა – ეს იყო კუთხურობის დაძლევა, კონფესიური განსხვავების ლიკვიდაცია, ახლადშემოერთებული ტერიტორიებისა და მის მოსახლეობასთან ეროვნული დაახლოების ურთულესი საკითხების მოგვარება, ერის კულტურული აღორძინება და ა.შ. და ა.შ..

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ახალგაზრდა თაობამ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით მიზანმიმართულად შეიმუშავა ქართველი ერის განვითარების კონკრეტული – ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი გეგმა, რაც თავის მოღვაწეობის ძირითად ქვაკუთხედად გადააქცია. მათ შორის უპირველესი ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება იყო.

§ 2. – მშობლიური, ქართული, ახალი სალიტერატურო ენა

ერის კონსოლიდაციის საფუძველი, მისი იდენტობის ერთ-ერთი მარკერი – მშობლიური ენაა. ენათმეცნიერები ამტკიცებენ: იმ შემთხვევაშიც კი, როცა ერთი ერის ენა მეორე ერის მშობლიური ენა ხდება, როგორ წესი, ის მუდამ იძენს გამორჩეულ, მაინც მხოლოდ ამ ეთნოსისათვის დამახასიათებელ ორიგინალურ ნიშნებს, ნიუანსებს, პასაჟებს, გამოთქმებს და ა.შ. მაგალითისათვის ინგლისური ენაც გამოდგება, რომელიც მსოფლიოში მრავალი ერისთვის უკვე მშობლიურია, მაგრამ ყველა ხალხმა მას შესძინა რაღაც გამორჩეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კოლორიტი (მაგალითად, ამერიკული ინგლისური. ასევეა: ბრაზილიური პორტუგალიური, არგენტინული ესპანური და ა.შ.).

მშობლიური ენა განსაკუთრებულად საყვარელი და ახლობელია მაშინ, როცა ის მხოლოდ ერთი ერის საკუთრებაა და სწორედ ამ ენაზე შეიქმნა ამ კონკრეტული ერის მთელი ისტორიულ-ფილოლოგიურ-ფილოსოფიური ლიტერატურა. ქართული ენა ქართველი ერის ფორმირებით განსაზღვრულია და მისი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი მუდამ იყო და არის – ეს ჭეშმარიტება კარგად იცოდა ქართველობამ, ამიტომაც მუდამ თვალისჩინიეით უფრთხილდებოდა და ხმალამოღებული იცავდა მას. თავისი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში ილია ჭავჭავაძე იტყვის: „ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზე უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგან უფრო-ერთ შემთხვევაში **ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)“[13].

აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე ერის შემაკავშირებულ, მაცემენტებელ ფუნქციას გულისხმობს, რომელსაც ენა ასრულებს ყველა ერის ფორმირებისა და განვითარების პროცესში.

სწორედ ამ შეგნებით აღჭურვილი ქართველი ახალგაზრდები უკომპრომისოდ შეეკამათნენ თავის წინა თაობას – „მამებს“, სწორედ ენის საკითხთან დაკავშირებით, რათა უფრო ცოცხალი და უფრო მობილური, ამრიგად უფრო შემძლე და ძლევამოსილი გაეხადათ მშობლიური ქართული ენა, რადგან სწორედ ის უნდა გამხდარიყო ურღვევი ცემენტი ერთიანი საქართველოს ქართველი მოსახლეობისათვის.

უძველესი და უმდიდრესი ქართული სალიტერატურო ენა, მრავალი სალიტერატურო შედევრის საფუძველი და შემნახავი, XIX საუკუნის შუა ხანებში, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, გარკვეული აზრით კონსერვატული, არქაული, მოუქნელი გახდა. ის დაშორდა რეალურ სამეტყველო ენას, რაც მასობრივად იყო უკვე გავრცელებული და იქმნებოდა საშიშროება, რომ მდიდარი ქართული სალიტერატურო ენა დარჩებოდა ელიტარულ ინსტრუმენტად, რომელიც მთლიანად მოწყდებოდა მის მთავარ შემოქმედს – ქართველ ხალხს.

სწორედ ეს საშიშროება შეამჩნიეს და მის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღეს ქართველმა ახალგაზრდებმა.

კამათი ამ თემაზე ილიამ დაიწყო, როცა 1860 წელს გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კოზლოვის მიერ „შეშლილი“-ს თარგმანზედა“. აქედან დაიწყო პოლემიკა, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში „მამათა და შვილთა ბრძოლად“ არის ცნობილი და მრავალი წელი გაგრძელდა და მრავალი სახელოვანი თუ ნაკლებადსახელოვანი პირი ჩაითრია.

სამართლიანად აღნიშნავენ: „ი. ჭავჭავაძე ისწრაფოდა ქართული ლიტერატურის განვითარება საბოლოოდ გაენთავისუფლებინა კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის გადმონაშთებისა და კრიზისის გზაზე დამდგარი რომანტიკული პოეზიის გავლენისაგან, რომელიც აფერეხებდა ჩვენი მწერლობის წინსვლას“[14].

საქმე იმაში იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ უფროს თაობას საჯაროდ დაუწუნა ლიტერატურული ხელწერა, აზროვნების ფორმების ფურცელზე გადატანის წესები და მანერა, თარგმანის კულტურა, არქაიზმი. „აბა, მოდი და ამ უთავბოლოდ აშენებულ სიტყვის ყორეში პოეზიის ვარდი მონახე! ჭინჭარიც არ არის, თორემ ვარდს ვინა ჩიეის?... თუ აქ გაიგება რამე, ხელს მოვიჭრი... აბა ეხლა გაშინჯეთ თავად ერისთავის თარგმანი, რა საცოდაობაა!“[15] და ა.შ..

„მამათა“ წინააღმდეგ ლიტერატურულ ორთაბრძოლაში ილიას მხარი დაუჭირეს და საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანეს: ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, ი. ჯოგებაშვილმა, პ. მირიანაშვილმა, სილ. ხუნდაძემ, ა. ჭყონიამ. გ. დაყითაშვილმა, გ. წერეთელმა და სხვა „თერგდალეულებმა“.

საქართველოს ინტელიგენციის ძველმა თაობამ ქართული ენის შერყვნად და „მამებისადმი“ უდიერ დამოკიდებულებად ჩაუთვალა ახალგაზრდებს ეს დემარში.

„შვილების“ წინააღმდეგ დაირაზმნენ მწერალი ქალი ბ. ჯორჯაძე, თვითონ კრიტიკის ობიექტი თავადი რ. ერისთავი, მწერალი გ. ბარათაშვილი და სხვები. როცა „მამებს“ საქმე ძალიან ცუდად წაუვიდათ, ბრძოლაში ჩაება „მძიმე არტილერიაც“ – უბრწყინვალესი თავადი, რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანიც.

„მამებს“ მიაჩნდათ, რომ ენაში ცვლილებები არ შეიძლება მოხდეს, ის წინა თაობებმა შექმნეს, სისხლისმღვრელ ომებში დაიცვეს, შთამომავლობას შემოუნახეს. გადასცეს, რის გამოც არავის არა აქვს უფლება შეცვალოს დამწერლობა. უფროს თაობას ქართული დამწერლობა წმინდათაწმინდა ატრიბუტად, ერის მარკერად მიაჩნდათ, რომლის ხელყოფა ერის ღირსების შელახვის ტოლფასი იქნებოდა, ხოლო ამის დაშვება არაფრით არ შეიძლებოდა.

მაგრამ. როგორც თანამედროვე ქართველი ლიტერატურათმცოდნეები ამტკიცებენ: „ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ დროთა ვითარებაში ქართულ მეტყველებაში ცვლილებები მოხდა და სამწერლობო ენაშიც შესაფერი ცვლილებათა შეტანა იყო საჭირო. ი. ჭავჭავაძეს არა თუ შესაძლებლად მიაჩნდა სამწერლობო ენის გამარტივება, არამედ მტკიცედ მოითხოვდა „სამი სტილის“ თეორიაზე დამყარებული ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლიან გადამუშავებას, სასაუბრო ენის შესატყვისი ახალი სამწერლობო ენის შემოღებას“[16].

„სამი სტილის“ თეორია გაბატონებული იყო იმჟამინდელ ქართულ ლიტერატურაში და გულისხმობდა ერთდროულად მაღალ, საშუალო და დაბალი სტილის ენის არსებობას სალიტერატურო სივრცეში. მაღალ სტილზე მხოლოდ „მაღალ“ მატერიებზე, მათ შორის რელიგიურ-საღვთისმეტყველო თემებზე შეიძლებოდა მსჯელობა, ისტორიული პრობლემები – საშუალო სტილის ქართულითაც ამეტყველდებოდა, ხოლო ყველა სხვა თემატიკა – დაბალი სტილით უნდა ყოფილიყო განხილული. ეს, რა თქმა უნდა, ხელოვნურად ართულებდა ენის გამოყენებას და ფაქტობრივად, როგორც აღვნიშნეთ, აშორებდა მას მის მთავარ შემოქმედს – ქართველ ხალხს.

ახალგაზრდა ქართველობა მოითხოვდა ქართული ანბანიდან ამოღებულიყო ფაქტობრივად მეტყველებაში უკვე აღარ ხმარებული ასოებიც: „იოტა“, „ვიე“, „ხარ“, „ეი“ და რამდენიმე სხვა ასო.

ახალგაზრდების ასეთი შემტევი პოზიცია სერიოზულად იუკადრისეს ქართული ლიტერატურის კორიფეებმა. გრიგოლ ორბელიანი მოგვიანებით აღშფოთებული იტყვის მათზე: „მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი, ენა მაღალი, მის ძალი მადლი, უწყალოდ წახდა...“, ან კიდევ: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!“.

ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც მტკიცედ იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში, არ მოერიდა გრიგოლ ორბელიანის ავტორიტეტს, მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და მკაცრადაც გადაუჭირა მას მათრახი. აკაკი წერეთელი წერდა დისკუსიის დროს გ. ორბელიანის შესახებ, რომ მისი: „... ნაციონალური მადა კუჭში იდგამს ფესვსა“-ო და ომში გამარჯვებებით ცნობილ ქართველ გენერალს ზედწოდებად „ორ ბელიანი დათვის“ ეპითეტი შეურჩია[17].

ახალგაზრდების მხრიდან შეურაცხყოფილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი უკვე აღშფოთებას ვერ მალავდა:

„ბევრნი მოვიდნენ თქვენისთანები!
კოღო-ბუზები,
ლიბერალები,
ცრუ პოეტები, პატრიოტები
აკაკიები,
ბაკაკიები
რიონელები, გოგიტელები.“

მაგრამ უფროს თაობას გრიგოლ ორბელიანის ავტორიტეტმაც ვერაფერი უშველა. დრო შეიცვალა, ახალმა სიომ დაბერა. ქართველ ახალგაზრდა თაობას სწორედ ეს ახალი სიო ასულდგმულებდა. სრულიად სამართლიანია მწერალ ე. მაღრაძის შემდეგი შეფასება: „ის ცდება (იგულისხმება თავადი გ. ორბელიანი – ა.დ.), როცა ენის წახდენას ეძახის მის გახალხურებას, სამეტყველო ენით წერას. ხდებოდა რაღაც ეპოქალური მოვლენა. ხდებოდა სალიტერატურო ენის რეფორმა, საფუძველი ეყრებოდა ახალ ქართულ მწერლობას...“[18].

სიმართლე ახალგაზრდების მხარეზე იყო. მათ გაიმარჯვეს. დაიწყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ეპოქა, რომელიც მთელი თავისი არსით გასხივოსნდა სწორედ ამ ახალგაზრდების, „თერგდალეულების“ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში. ახალმა სალიტერატურო ენამ, რომლის შენება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, სულ რამდენი-

მე წელიწადში დაბადა ალექსანდრე ყაზბეგის შეუდარებელი პროზა, გიორგი წერეთლის კრიტიკული რეალიზმი, ვაჟა ფშაველას პანთეისტური ლიტერატურა, ეგნატე ნინოშვილის სოციალური დრამა, დაყით კლდიაშვილის ლიტერატურული გმირების ტრაგიკული ყოფიერება და ა.შ. და ა.შ..

და რაც მთავარია, სწორედ ახალი ქართული ლიტერატურა გახდა ერთობლივი საქართველოსათვის ის ფუნდამენტი, რომელმაც კეთილნაყოფერი ზეგავლენა მოახდინა ქართველი ერის კონსოლიდაციის მიმდინარე პროცესზე. **ეს იყო ქართველი ახალგაზრდების პირველი სერიოზული გამარჯვება.**

§ 3. – ძართული ეროვნული სკოლა

ახალი ქართული ენის ფორმირების პროცესის დაწყების პარალელურად, ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტების („თერგდალეულების“) მთავარი ამოცანა გახდა განათლების ერთიანი ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება – ქართული სკოლის ძირითადი თეორიული პრინციპებისა და მისი ფუნქციონირების პრაქტიკული საკითხების დამუშავება. ამ ურთულესი პრობლემის დაჩქარებული მოწესრიგების აუცილებლობას შექმნილი დრამატული ვითარება აპირობებდა...

მეფის რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, გულისხმობდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ქვეშეერდომის აღზრდას და საგანმანათლებლო სივრციდან ეროვნული ენების განდევნას. ჩვენ ზემოთ უკვე წარმოვაჩინეთ ის ფორმები და მეთოდები, რასაც იყენებდა რუსეთის საიმპერატორო განათლების სამინისტრო თავის, საკმაოდ განტოტვილ საგანმანათლებლო სივრცეში, ადგილობრივი ენების დაჩაგერის, ძირითადი და განმსაზღვრელი ერის გახლეჩის, ადგილზე კუთხურობის კულტივირებისა და ეროვნული თვითშეგნების დასუსტების მიმართულებით. ამ გზაზე მეფის რუსეთი გარკვეულ წარმატებებს აღწევდა...

სწორედ იმპერიული ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ ქართველების ერთ ჯგუფში ფესვი გაიდგა უიმედობისა და ეროვნულ ნიჰილიზმის დამღუპველმა გრძნობამ. შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე (XIX ს. დასასრულს კოლონიალური იმპერიების საბოლოოდ ჩამოყალიბება, კოლონიალიზმის ღვედების გაძლიერება და განმტკიცება და ა.შ.) საკუთარი სუბიექტური დაკვირვების საფუძველზე, ისინი აკეთებდნენ დასკვნას „ქართველი ერის დაბერების“, „მისი მომავლის უპერსპექტივობის“ შესახებ, და უკვე საჯაროდ აყენებდნენ ქართველი ერის რუსებთან აუცილებელი შერწმის საკითხს. მათი

აზრით ქართული ენის სწავლას აზრი აღარა ჰქონდა, მისი გამოყენების არეალის საოცრად დავიწროების გამო (პერსპექტივა, რაც უკვე დაემართათ შოტლანდიელებს, ირლანდიელებსა და უელსის მოსახლეობას დიდ ბრიტანეთში; ლოტარინგიელებს, ბრეტონელებს, ნორმანდიელებს, კორსიკელებს – საფრანგეთში; პრუსებს, პომერანიელ სლავებს – გერმანიაში და ა.შ.).

1872 წელს ბრწყინვალე თავადმა გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელმა რუსულ ენაზე გამოაქვეყნა წერილი: „ეროვნული ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო ერთეულების არსებობის საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“. სწორედ ამ წერილში ჩამოაყალიბა მან თავისი ანტიქართული, ნიჰილისტური შეხედულებების მთელი სპექტრი. ის ამტკიცებდა, რომ ქართველი ერის არსებული ეროვნული ენერგია არასაკმარისია თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობისათვის. მისი აზრით, საუკუნეების მანძილზე იდენტობის შესანარჩუნებლად განუწყვეტელმა ბრძოლამ ქართველობა გადაღალა და დღეს მისი ბედნიერებაა, რომ რუსეთის ძლევამოსილმა იმპერიამ ის შეიწყალა, შეითვისა, მიიერთა და გადაარჩინა ისტორიის არეალიდან საბოლოო გაქრობისაგან. ის ამტკიცებდა, რომ ახლა საქართველოს მომავალი მთლიანად რუსეთზე იყო დამოკიდებული და რაც მალე გაითქვიფებოდა მასში ქართველობა, მით უკეთესი იქნებოდა მათთვის.

ცოტა მოგვიანებით, მსგავსი შეხედულებები გამოვლინდა ყოფილი ნაროდნიკის, ივანე ჯაბადარის წერილებში, რომლებიც მან სანკტ-პეტერბურგის „სეევერნი ვესტნიკ“-ში გამოაქვეყნა საერთო სახელწოდებით „წერილები საქართველოზე“.

ასეთ ნიჰილისტურ თეორიულ შეხედულებებს, ძალიან მალე, საქართველოში ზოგიერთი პედაგოგ-პრაქტიკოსის გაუმართლებელი ექსპერიმენტებიც მოჰყვა. როგორც ილია ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ წერილში აღშფოთებით აღნიშნავდა, ქალაქ გორის სასწავლებლის პედაგოგმა ნათიევმა (ნათიშვილი) პრაქტიკაში დანერგა მშობლიური ენის სწავლება ქართული ანბანის გარეშე – რუსული ანბანის („კირილიცას“) გამოყენებით და ამ საკუთარი გამოცდილების ტირაჟირებას აპირებდა.

ამ „ნათიშვილისეულ“ მეთოდს უკვე იყენებდა რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო სისტემა დამწერლობის არმქონე ერებისა და ხალხებისათვის. მას იყენებდნენ და მომავალშიც გამოიყენებენ სხვა ქვეყნებსა და ხალხებშიც.

მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, როცა ქართველ ერს მრავალი საუკუნის მანძილზე, ისტორიულად უკვე არსებული და საუკუნეების განმავლობაში პრაქტიკაში აქტიურად დამკვიდრებული ეროვნული ანბანი ჰქონდა – მისი

ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მარკერი – ამის ნაცვლად უცხო ანბანის შემოტანა და გამოყენება აშკარად გამოიწვევდა ეროვნული ცნობიერების გახლეჩასა და შეაფერხებდა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს.

პუბლიცისტისა და პოლიტიკოსის აკაკი ბაქრაძის აზრით, ასეთი ადამიანები: „ეროვნული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით სასოწარკვეთილი ადამიანები იყვნენ. მათ მარადიულ ეროვნულ ტანჯვას, მარადიულ ქვეშევრდომობას ნაციონალური სიკვდილი ამჯობინეს“[19].

დღეს აშკარად ძნელი გასარკვევია, რეტროგრადი ქართველების მაშინდელი ანტიქართული მცდელობა აკაკი ბაქრაძის მიერ ნაგულისხმი მაღალი იდეალიდან (მონობას სიკვდილი ჯობია!) გამომდინარეობდა, თუ ჩვეულებრივი მდაბალი კონფორმისტული პოზიციით შეიძლება ყოფილიყო ნაკარნახევი, რასაც მეტად ტევადი სახელწოდება „რუსეთუმეობა“ ერქვა და მთლიანად ეტეოდა რუსეთისადმი ქართველების დამოკიდებულების მეორე ისტორიული ტენდენციის პირველი მიმართულების ჩარჩოებში (მაამებელი მონის ფსიქოტიპიდან გამომდინარე).

ერთი კი ფაქტია – XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ზემოთაც დავინახეთ, ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა უწევდა: კუთხურობის, პოლიკონფესიურობის, რუსეთის ანტიქართული საქმიანობის, ერთიანი ქართული ცნობიერების დაკნინების, ქართული ეკლესიის დაუძლურების, რეტროგრადი ქართველების ანტიქართული მოღვაწეობის გააქტიურების და ა.შ. და ა.შ..

სწორედ ამიტომაც აღნიშნავდა დიდი ილია გულისტკივილით: „...ქართული ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინ და აღარც გარეთ, არც მახლობლისათვის და არც უცხოსათვის. იმერელი-იმერელია, გურული-გურული, მეგრელი-მეგრელი, ქართლელი-ქართლელი, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან“.

ამ მდგომარეობის დაძლევა რთული გადასაწყვეტი ამოცანა იყო...

გვინდა ხაზგასმით ისიც აღვნიშნოთ, რომ ქართველების მომავალზე რუდუნებით დაფიქრებული პატრიოტი ინტელიგენტები XIX საუკუნის მეორე ნახევრში ხშირად აყენებდნენ „ახალი ქართველის“, „ნამდვილი ქართველის“ ფორმირების პროცესის დაწყების საკითხს და სახავდნენ მისი განვითარების კონკრეტულ გზებს[20].

ეს მოსაზრება კი იმაზე მიუთითებს, რომ ამ ინტელიგენტებისათვის არსებობდნენ „არანამდვილი ქართველებიც“, რაც საკარაუდოა, სწორედ გულისხმობდა პარტიკულარიზმით, კუთხურობით დაავადებულ თანამემამულეებს, გამაჰმადიანებულ და გასომხებულ, „გაფრანგებულ“ ქართველებს,

რომლებიც მხოლოდ გარდაქმნის, ახალი, „თერგდალეულთა“ მიერ შემუშაებული ეროვნული იდენტობის პრინციპების საფუძველზე აღზრდისა და „ნამდვილ ქართველებთან“ სრული შერწყმის პროცესის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდებოდნენ ჭეშმარიტად ქართველ მამულიშვილებად. მათი აზრით სწორედ ასეთი ქართველი იქნებოდა თავისუფალი კუთხურობისაგან, მისი მიზანი იქნებოდა ერთიანი ქართული ინტერესებისათვის ბრძოლა.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, როგორ მკაცრად კრიტიკულნი იყვნენ „თერგდალეულები“ იმჟამად საკუთარი თანამემამულეების მიმართ – ფაქტობრივად მათი შეხედულებები „კრიტიკული ნაციონალიზმის“ ჩარჩოებში თავსდება და ისინი სწორედ „ახალი ქართველის ფორმირების“ რთულ ამოცანას აყენებდნენ საზოგადოების წინაშე.

„ახალი ქართველის“ ფორმირება „თერგდალეულებისათვის“ იდეა-ფიქსი გახდა. XIX საუკუნის ქართველის ხასიათის, მისი ქცევების კრიტიკული გააზრების საფუძველზე, ქართველმა ახალგაზრდებმა დააყენეს ქართველების „გაჯანსაღების“, ახალი სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან უფრო ადაპტირებული, მომავალი თაობის ეროვნულ ცნობიერებაზე აღზრდის ამოცანა. მათი აზრით, სწორედ ასეთი ქართველი შეძლებოდა გამკლავებოდა რუსეთის ცარისტული იდეოლოგიის ანტიქართულ მცდელობებს, დაეძლია სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები და საქართველო მიეყვანა სანუკვარ მიზნამდე.

ასეთი ქართველი – „ნამდვილი ქართველი“ იქნებოდა:. „დაიბადებოდა და განვითარდებოდა ტიპი ქართველი კაცისა თავისუფალი თავკერძოებისაგან. პროვინციული ტრაბახისაგან და პოზიორობისაგან...“[21].

პარტიკულარიზმის სერიოზულ საფრთხეს ილიასთან ერთად სხვა თერგდალეულებიც ხედავდნენ. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილიც ამჩნეედა ამ საშიშროებას და მიაჩნდა, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ერთიანი ეროვნული სკოლის ბაზაზე შეიძლებოდა გამლილიყო. ამიტომაც, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ი. გოგებაშვილი „დედაენის მთლიანობის დაცვით ერის მთლიანობას იცავდა“[22].

ეროვნული სკოლის მნიშვნელობას ქართველების კონსოლიდაციის, მათი ერთიანობის მიღწევისა და საქართველოს ახალგაზრდა თაობის ეროვნულ საფუძველზე აღზრდის საქმეში ილია ჭავჭავაძეც მუდამ წინა პლანზე აყენებდა: „უებარი წამალი კიდევ, უწინაც გვითქვამს, საკუთარი ქართული გიმნაზიაა. თუ თქვენის შვილებისათვის მართლა სიკეთე გინდათ, თუ გინდათ – რომ თქვენმა ქვეყანამ თქვენი სახელი ლოცვით და კურთხევით მოიხსენიოს, ამ აზრის აღსასრულებლად ნურას დაზოგავთ “ – მოუწოდებდა ის სრულიად საქართველოს[23].

ეროვნულ სკოლაში, რა თქმა უნდა, განათლების სრული ციკლი მშობლიურ- ქართულ ენაზე უნდა წარმართულიყო, მხოლოდ მაშინ შეძლებდა შეესრულებინა ის ეროვნული ფუნქცია, რასაც ახალგაზრდა თაობას უყენებდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია.

XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოში წინა თაობის მიერ, შემუშავებული იყო ქართული განათლების გარკვეული სისტემა, თანმხლები სახელმძღვანელოებითურთ (მაგალითად, პლ. იოსელიანის, დ. ფურცელაძის, პ. უმიკაშვილის), მაგრამ როგორც პედაგოგიკის ისტორიის სპეციალისტები მიუთითებენ, ისინი „დაწერილი იყო მოძველებული ენით და შედგენილი უვარგისის მეთოდით“[24].

მათგან განსხვავებით ახალგაზრდა „თერგდალეულებმა“ გადაწყვიტეს, ახალი ქართული ენის დამკვიდრებასთან ერთად, შეექმნათ ახალი ეროვნული სკოლა და ახალი ეროვნული სახელმძღვანელოები.

ილია ჭავჭავაძე კატეგორიულად აყენებდა საკითხს: „საერო განათლების საქმე უნდა გადაისინჯოს და ძირიანად გადაკეთდეს, რომ განათლებამ მართლა ფეხი გაიდგას და მოიკიდოს ჩვენში... დროა განათლების საქმეს მთელი ქვეყნიერებისაგან აღიარებული საფუძველი დაედოს, ერთხელ და ერთხელ თავის საკუთარს გზაზედ დაყენებულ იქმნას, განათლების საქმეში განათლების მეტი არავინ არ შეურიოს და წმინდა რამ არ აამღვრიოს“[25].

განათლების პროცესის გაქართველებას, ქართველების ქართულ ენაზე აღზრდის საკითხს მთელი კატეგორიულობით აყენებდა აკაკი წერეთელიც. ის კარგად ხედავდა რუსულ ენაზე აღზრდის დამღუპველ შედეგებს საქართველოს მომავლისათვის, ამიტომაც ყველას გასაგონად განგაშის ზარს რეკდა:

„ნუ გადაცვლით უცხოზე ქართულ დედა-ენასა,
თორემ ზედმეტად მოიმკით ცრემლთა დენასა,
ენაში არის ძალაც საიდუმლო გონების!
ვინაც დაკარგავს, გახდება სხვისი მონების.“

განათლების პროცესის გარდაქმნა, ახალი ქართველი ახალგაზრდის აღზრდა -ამ დიდი ეროვნული ამოცანის შესრულება, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური ენის – ქართული ენის სახელმძღვანელოს უნდა შეესრულებინა, რომელიც თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერების კანონების გათვალისწინებით უნდა დაწერილიყო და შემდეგ კი ფართოდ გავრცელდებოდა ქართველთა შორის.

ამ ამოცანის გადაწყვეტა დაიეალა იაკობ გოგებაშვილმა, რომელმაც ეს ამოცანა ჩინებულად შეასრულა. როგორც ამტკიცებენ: „იაკობი იდგა მა-

შინდელი თეორიული პედაგოგიკის განვითარების სიმაღლეზე და ფლობდა ენის სწავლების თეორიას"[26]. ამან კი ავტორს მტკიცე მეცნიერული საფუძველი შექმნა ქართული ენის სახელმძღვანელო გაეხადა ღრმად მეცნიერულიც და ახალგაზრდობისათვის მისაწვდომიც.

დიდი და სერიოზული მუშაობის შედეგად, შეცდომებისა და გარკვეული ნაკლოვანების დაძლევის გზით, იაკობ გოგებაშვილმა შეუქმნა და ქართველობას წარუდგინა სრულიად ახალი ტიპის სახელმძღვანელო, რომელიც არა მარტო პასუხობდა პედაგოგიკის მეცნიერების იმჟამინდელ უმაღლეს მოთხოვნებს, არამედ იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ მისი დახმარებით აღიზარდა ქართველი ახალგაზრდობის რამდენიმე თაობა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში.

იაკობ გოგებაშვილმა ქართულ სიტყვიერებაში მიაგნო საკრალურ ფრაზას: „აი ია", რითიც მან დაიწყო სწავლების პირველი დღე და ამ ორ ასოსაგან შემდგარ კომპოზიტს უდიდესი შინაარსი შესძინა: პატარა ქართველი ამ ორი ასოს გამოყენებით იწყებდა მშობლიური ენის შესწავლის რთულ პროცესს. ეს იყო ფაქტობრივად ორი სიტყვა გამოხატული ორი ასოს დახმარებით.

პედაგოგიკის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ იაკობმა, რომელმაც სახელმძღვანელოს შექმნისას სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეთოდი გამოიყენა, საბოლოოდ სახელმძღვანელო დააფუძნა ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს, რაც გულისხმობდა სწავლების პროცესის დაწყებას ფრაზიდან, რომელიც მარცვლის გზით დადიოდა ბგერამდე ან ასომდე და შემდეგ ბგერებისა ან ასოების შეერთებით მიიღებოდა მარცვალი, მარცვლიდან სიტყვა, სიტყვიდან – წინადადება[27].

დროის საკმაოდ დიდი ამპლიტუდა დასჭირდა იაკობ გოგებაშვილს „დედაენის" სახელმძღვანელოს საბოლოო ვარიანტის შესაქმნელად (1865–1906 წწ), მაგრამ ქართველობამ, მართლაც, მიიღო ერთ-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო მსოფლიოში, რომელმაც ეპოქებს გაუძლო. ამის მიზეზი მარტო ის კი არ იყო, რომ სახელმძღვანელო პედაგოგიური მეცნიერების ყველა კანონს აკმაყოფილებს, არამედ ისიც, რომ სახელმძღვანლო გაჟღენთილია საქართველოს უდიდესი სიყვარულით, სახელმძღვანელოს ყოველი ფურცლიდან საქართველოს ბუნების არომატი იფრქვევა, ყოველი გვერდი – საქართველოს ისტორიაზე ღაღადებს. იაკობ გოგებაშვილის მიერ შერჩეული ყოველი ლექსი თუ მოთხრობა, ფაქტი თუ მოვლენა მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვს – ქართველებო გიყვარდეთ საქართველო, გაუფრთხილდით საქართველოს!

იაკობმა ქართული ეროვნული სკოლისათვის „დედაენა" ორ ნაწილად ჩამოაყალიბა. მანვე დაწერა სახელმძღვანელოები: „ბუნების კარი" და „რუს-

კოე სლოვო“ (რუსული ენის შესასწავლად ქართულ სკოლებში). მან მოძებნა, შეარჩია და სახელმძღვანელოებში დააეანა ცნობილი ქართველი მწერლების, პოეტების ნაწარმოებების ფრაგმენტები, პატრიოტული ლექსები, ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები, ქართული ლეგენდები, თქმულებები, ზღაპრები.

იაკობ გოგებაშვილს „დედაენის“ მეორე ნაწილში შეტანილი აქვს სპეციალური თავი „საქართველო“, რომელშიც ბავშვს აცნობს სამშობლოს, საქართველოს, მის ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებას. სახელმძღვანელო გვასწავლის: „ყველა იმ სოფლებს და ქალაქებს და იმ მიწა-წყალს, სადაც ქართველები ცხოვრობენ, საქართველო ჰქვია“.

ქართველთა ერთიანობის იდეა სახელმძღვანელოს წითელ ზოლად გასდევს. თვითონ იაკობ გოგებაშვილი კუთხურობის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო და ყველა შესაძლო ხერხით ებრძოდა მას. ის წერდა: „ჩვენ კარგად ვიცით, რომ ერთსა და იმავე მშობლის შვილებს გვარი ერთი აქვთ, მაგრამ სახელი სხვადასხვა ჰქონიათ; როგორც ღვიძლ ძმებს და დებს სხვადასხვა სახელს უწოდებენ ხოლმე, ისე საქართველოს კუთხეებსაც თავისი სახელები აქვთ: კახეთი, ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, სვანეთი“[28].

მაგრამ რაც არ უნდა დიდებული და მეთოდიკურად გამართული სახელმძღვანელო დაიწეროს, ის ფუჭი და უფუნქციო გახდება, თუ მას არ გამოიყენებენ უპირველესი დანიშნულებისათვის – სკოლაში, ახალგაზრდა თაობის აღსაზრდელად.

საქართველოს ინტელიგენციის („თერგდალეულების“) მიზანი ახალი ქართველის აღზრდის შესახებ ხორცს ვერ შეისხამდა, თუ ქვეყანაში არ შეიქმნებოდა ეროვნული სკოლის რამდენადმე განტოტვილი ქსელი, თუ კი **ქართველი ბავშვი ქართულ სკოლაში ქართული სახელმძღვანელოს დახმარებით საქართველოს სიყვარულს არ შეისწავლიდა**.

ახალგაზრდა თაობის ეროვნული აღზრდა გადაიქცა ქართველი ინტელიგენციის უპირველეს ამოცანად. მაგრამ ეს ამოცანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველოსათვის უამრავი წინააღმდეგობით იყო დეტერმინებული. რუსეთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რომ ქართული ენა მაქსიმალურად დაეყვანა საოჯახო ენის დონეზე, რადიკალურად შეემცირებინა მისი ფუნქციონალური დატვირთვა, რომ თვითონ ქართველებს ეთქვათ უარი მის სწავლაზე პრაქტიკაში ამ ენის გამოყენების უპერსპექტივობის გამო.

სწორედ ამიტომ გახდა აუცილებელი ერთიანი ქართული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ქართულ ენაზე

სწავლება არა მარტო საგუბერნიო ქალაქებში, არამედ დაბა-სოფლებში, ადგილებზე, კონფესიური თვალსაზრისით განსხვავებულ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთში, აჭარასა და ტაო-კლარჯეთში, საინგილოში).

ამ ამოცანის შესრულება კი უფრო რთული ამოცანა აღმოჩნდა, ვიდრე საუკეთესო სახელმძღვანელოს შექმნა – ეს პროექტი უზარმაზარ სახსრებს საჭიროებდა, რასაც ქართველებისათვის რუსეთის ცენტრალური მთავრობა არაფრის დიდებით არ გაიღებდა. ამიტომაც თვითონ ისტორიულმა აუცილებლობამ დაბადა აზრი სპეციალური საზოგადოების ჩამოყალიბებისა, რომლის უპირველესი ამოცანა იქნებოდა ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, მისი განმტკიცება და განვითარება.

ამ იდეის რეალიზატორები საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც 1879 წელს დააფუძნეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ორგანიზაცია დაფუძნდა სწორედ აჭარისა და ტაო-კლარჯეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეერთების შემდეგ – მაჰმადიანი ქართველების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქცევის აუცილებლობა თვითონ ქვეყნის ისტორიულმა განვითარებამ დააყენა.

ახლადშექმნილი საზოგადოების მთავარი ამოცანა იყო: წერა-კითხვისა და დაწყებითი სწავლების გავრცელება მთელს კავკასიის სამეფისნაცვლოში, სადაც ქართველები მოსახლეობდნენ. საზოგადოება კისრულობდა დახმარებოდა უკვე არსებულ სკოლებს, გაეხსნა ახალი სკოლები ან ადგილობრივ მოსახლეობას დახმარებოდა ახალი სკოლის გახსნასა და მის ნორმალურ ფუნქციონირებაში. საზოგადოებას ჰქონდა უფლება დაეარსებინა სამკითხველოები, დაებეჭდა და გაევრცელებინა სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, შეერჩია პედაგოგები, დახმარებოდა მათ პედაგოგიკის თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების ათვისებაში, წაშველებოდა სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს, განსაკუთრებით კი ბეჯით მოზარდებს და ა.შ.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ საზოგადოება საწევრო შემოსატანის საფუძველზე არსებობდა და აქედან გამომდინარე, ფინანსურ სახსრებსაც ფლობდა, ე.ი. გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

საზოგადოებამ გააერთიანა იმჟამინდელი მთელი ქართული მოწინავე ინტელიგენცია, ვისთვისაც ქართული ენა და საქართველოს მომავალი ფუძჭ სიტყვას არ წარმოადგენდა. საზოგადოების წევრები იყვნენ: ივ. ბაგრატიონ-მუხრანელი (საზოგადოების პირველი თავმჯდომარე), ი. ჭავჭავაძე, ივ. მაჩაბელი, ნ. ცხვედაძე, დ. ბაქრაძე, ე. გაბაშვილი ი. გოგებაშვილი, ა. ფურ-

ცელაძე. ან. თუმანიშვილი და ბევრი სხვა. საზოგადოებას ხელმძღვანელობდა გამგეობა, რომელსაც 1885 წლიდან თავადი ილია ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში.

დაარსების პირველ წელს საზოგადოებას სულ 245 წევრი ჰყავდა. წევრების რაოდენობა ყოველ წელს იზრდებოდა. ხუთი წლის განმავლობაში საზოგადოებას შეემატა 81 წევრი.

საზოგადოებას თავიდანვე დაჰყვა „აქილევსის ქუსლი" – ქართველების პასიურობა, საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება, უსახსრობა, რის გამოც საზოგადოება მუდამ განიცდიდა ფინანსურ პრობლემებს, რაც ცუდად აისახებოდა მის ორგანიზაციულ საქმიანობაზე. მიუხედავად ამისა, მტკიცდება, რომ საზოგადოების შემოსავალი და გასავალიც, მართალია ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იზრდებოდა[29].

პირველი სკოლა, რომელიც საზოგადოებამ გახსნა – ეს იყო თბილისის სასწავლებელი მესანგრეთა ქუჩაზე. სკოლას ჰქონდა ორი განყოფილება, ჰყავდა სულ 32 მოწაფე, ამათგან 10 გოგონა. სწავლა ფასიანი იყო. მაგრამ, სკოლა ძალიან მალე დაიხურა, რადგან მოსწავლეებს სწავლის ქირის გადახდა არ შეეძლოთ.

საზოგადოებამ სკოლები გახსნა ახალ სენაკში, ქუთაისში, წინარეხში, თონეთში, ხელთუბანში, გომარეთში, ბათუმში, კავკავში და სხვა ქალაქებსა, დაბებსა თუ სოფლებში. სულ საზოგადოებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დააარსა 18 სკოლა, რომელშიც აღიზარდა 26 763 ბაშვი[30].

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ საზოგადოებამ შეარჩია და მობილიზება გაუკეთა ქართველი პედაგოგების გამორჩეულ ახალ თაობას – „ახალი ქართველის" აღმზრდელ თაობას და ყველაფერს აკეთებდა, შეძლების ფარგლებში, რომ ახალგაზრდა თუ გამოცდილ ქართველ პედაგოგებს ენთუზიაზმი არ ჩაქრობოდათ. წერა-კითხვის გამავარცელებელ საზოგადოებასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული დამსახურებული ქართველი პედაგოგები: მოსე ნათაძე, ალექსანდრე ნანეიშვილი, ივანე ბელელაძე, ილია წინამძღვრიშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, ანთიმოზ ჯუღელი, ივანე როსტომაშვილი და მრავალი სხვა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართული სკოლების შესახებ აფხაზეთში. საქართველოს ისტორიულ რეგიონში მცხოვრებ ქართველ ინტელიგენციას სერიოზულად აღელვებდა ადგილობრივი აფხაზების, თავის ძმებთან – ქართველებთან, ინტეგრაციის გაღრმავების საკითხი. ისინი სრულიად სამართლიანად ვარაუდობდნენ, რომ ბოლო საუკუნეების მანძილზე აფხაზების გარკვეული გაუცხოება საქართველოს ცენტრალურ რეგიონებისაგან, ადვილად დაიძლეოდა ადგილზე ერთიანი, საერთო საგანმანათლებლო

სივრცის შექმნითა და მისი ინტენსიური განვითარებით. სწორედ ამიტომ აფხაზეთში ქართული სკოლის ქსელის გავრცელების საკითხი სერიოზულად დადგა XIX საუკუნის დასასრულს. ამ იდეის განხორციელებას უდიდეს ენერგიას ახმარდნენ აფხაზეთში ე.წ. „ქართული პარტიის“, ანუ აფხაზურ-ქართული დაახლოების მომხრე საზოგადოებრივი ჯგუფის წევრები: თ. სახოკია, ა. ჯუღელი, ივ. გეგია, ი. კერესელიძე, დ. მაჭავარიანი და სხვ. თავის მოღვაწეობაში ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართულ სკოლას, აფხაზეთის სხვადასხვა კუთხეში მისი ქსელის შექმნა-განვითარების საქმეს. სოხუმის ეპარქიის რუსი ეპისკოპოსი „ქართული პარტიის“ წევრების მოღვაწეობის შესახებ შეშფოთებული სწერდა თავის ერთ-ერთ წერილში: „...თავის მიზნად დაუსახავთ აფხაზეთისა და სამურზაყანოს სრული გაქართველება ქართული სკოლის დახმარებით და წირვა-ლოცვის და ყოველივე ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აღსრულებით“[31].

უნდა აღინიშნოს ადგილობრივი ქართველი და აფხაზი პედაგოგების უდიდესი ძალისხმევის შესახებაც, რომლებიც ძირითადად ენთუზიაზმის საფუძველზე ემსახურებოდნენ როგორც აფხაზ, ისე ქართველ მოსახლეობას. თვალსაჩინოა აფხაზი პედაგოგების: პ. ჭარაიას, ი. ლაკერბაიას, თ. ეშბას, ა. ჭოჭუას და სხვათა დამსახურება, რომლებსაც ჩინებული ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ კოლეგებთან და ხელს უწყობდნენ აფხაზურ-ქართულ დაახლოებას, ზრდიდნენ ახალგაზრდა თაობას ერთმანეთისადმი პატივისცემისა და სიყვარულის სულისკვეთებით.

იმპერიის საგანმანათლებლო სისტემის ადგილობრივი მესვეურები ყველა საშუალებით ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი და აფხაზი პედაგოგების ძალისხმევას აღედგინათ ტრადიციული, ძმური ურთიერთობები აფხაზეთში, აბრკოლებდნენ ქართული სკოლების გახსნას, აქცენტს აკეთებდნენ რუსული სკოლების ქსელის გაფართოებაზე, რუსული საგანმანათლებლო სივრცის მონოპოლიაზე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ხელის შეშლაზე. ამიტომაც იყო, რომ აფხაზეთში ქართული სკოლების რაოდენობა ერთობ მოკრძალებული იყო.

რუსი ჩინოსნები ყოველმხრივ აფერხებდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მცდელობას როგორც აფხაზეთში, ისე საქართველოს სხვა რეგიონებში – გახსნილიყო ქართული სკოლები. საქმეში ჩახედულები იმასაც ამტკიცებენ, რომ მეფის მთავრობამ ხელი შეუშალა საზოგადოებას გაეხსნა სკოლები, მაგალითად, მცხეთაში, ვაყაში, დიღომსა და სხვა სოფლებში[32].

საზოგადოებას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის რომ ბოლომდე განეხორციელებინა თავისი მიზანი – ქართველი ბავშვისათვის ცოდნა მიეცა ქართულ ენაზე. ქართულ სკოლებში იგეგმებოდა რუსული ენის შეს-

წაელა მხოლოდ სწავლების მესამე წლიდან. მაგრამ ქართველების ამ სურვილს რუსი შოვინისტის იანოვსკისა და მისი დამქაშების წინააღმდეგობების გადალახვა ჭირდებოდა. რუსეთში რეაქციის გაძლიერების კვალდაკვალ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, ადგილობრივი ენების საგანმანათლებლო სივრციდან განდევნის პროცესი ლოგიკურ დაგვირგვინებას აშკარად უახლოვდებოდა.

ამიტომაც არ შეიძლება არ შეფასდეს, და არ დაფასდეს, არა მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, არამედ პედაგოგ-ენთუზიასტების უდიდესი ძალისხმევა ქართული სკოლის დამკვიდრებისა და განმტკიცების მიმართულებით, რადგან სწორედ იმ წლებში და მათ მიერ დაიწყო საქართველოს ახალგაზრდა თაობის ეროვნულ იდეალებზე აღზრდის პროცესიც.

მაგრამ, არ ვიქნებით ობიექტური თუ არ დავინახეთ, რომ უაღრესად შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები, ობიექტური და სუბიექტური დაბრკოლებები, შექმნილი რეალიები ქართული სკოლების მარგი ქმედების კოეფიცენტს უაღრესად დაბლა სწევდა. საუკუნის დასასრულს საქართველოში 420 დაწყებითი და 10-ზე მეტი საშუალო სასწავლებელი არსებობდა[33]. ისინი ძირითადად რუსეთის განათლების სამინისტროს, სინოდალურ ეკლესიას, მრევლს ეკუთვნოდა და მხოლოდ რუსული ენის საფუძველზე ზრდიდა ადგილობრივ ახალგაზრდობას. თუ ამ ციფრს შევადარებთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლების რაოდენობას, დავინახავთ, რომ განსხვავება ძალიან შთამბეჭდავია (430:18) და შედეგებიც, რა თქმა უნდა, ქართველებისათვის სასარგებლო არ იქნებოდა.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ რუსულ ენაზე, პუშკინისა და დოსტოევსკის შემოქმედებაზე, საერთოდ რუსულ (ან სხვა) ცივილიზაციაზე თავიდან ბოლომდე გაზრდილი ქართველი მოზარდი, უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს საქმეს ვერ გააკეთებს.

განათლების ამ იმპერიულ სივრცეს უპირისპირდებოდა ქართველი ინტელიგენტების მიერ ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ახალი ქართული საგანმანათლებლო სივრცე – რამდენიმე ათეული დაწყებითი სკოლით, შეჭირვებული ფინანსებით, მაგრამ გულანთებული ღირსეული პედაგოგებით.

ვარაუდობენ, რომ სულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლებში სწავლა-განათლება მიიღო, ი. გოგებაშვილის ქართული ენის სახელმძღვანელოს საფუძველზე მშობლიურ ენას დაეუფლა დაახლოებით 30 ათასი ქართველი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს: სწორედ ამ საგანმანათლებლო სივრციდან შეირჩა მოგვიანებით კონტინგენტი სამხრეთ კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის უნივერსიტე-

ილია ჭავჭავაძე

აკაკი წერეთელი

ტისათვის. ამრიგად, შეიქმნა გარკვეული საგანმანათლებლო ფუნდამენტი-ბაზა.

მაგრამ ეს რაოდენობა აშკარად არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ქართველების ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, დაწყებითი და საშუალო განათლების საფუძველზე, სწრაფი ნაბიჯით წასულიყო წინ. 1897 წელს თბილისის გუბერნიაში ქართველი კაცების მხოლოდ 15,4 პროცენტი და ქალების 12,4 პროცენტი ფლობდა წერა-კითხვას. იმერეთის გუბერნიაში ეს მონაცემი უდრიდა 14,65 პროცენტს. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ქართველების დიდი უმრავლესობა (დაახლოებით 85 პროცენტი) მოწყვეტილი იყო იმ ცხოველმყოფელ ზემოქმედებას, რასაც სწავლა-განათლების სისტემას, უფრო მეტიც – მხატვრულ-შემოქმედებით და კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს ეკისრებოდათ ქართველების ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის დროს.

§ 4. – „თერგდალეულთა“ პატრიოტული მხატვრული შემოქმედება და პუბლიცისტიკა

დიდი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისათვის პატრიოტული მოტივი, სამშობლოს სიყვარული და მისი საქმისადმი თავდადება – არა უცნობია, ტრადიციულია. შუშანიკის წამებიდან მოყოლებული, მდიდარი ქართული მწერლობა ქართველს ზრდის სამშობლოს ჭეშმარიტ პატრიოტად, უნერგავს თავდადებას, საქართველოსთვის თავგანწირვას – რაც ადამიანის უმაღლესი სუბლიმირებული გრძნობის ბუნებრივი გამოხატულებაა. ქართულ ლიტერატურაში, ტრადიციულად, არ არის სხვა ნეტარება – თუ არა სამშობლოსთვის ცხოვრება და მისთვის ვაჟკაცური სიკვდილი.

ახალ ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც ჩინებულად გააერთიანა რეალიზმისა და რომანტიზმის ელემენტები, პატრიოტიზმის ქადაგება, „ახალი ქართველისათვის“ სამშობლოს სიყვარულის გრძნობის ჩანერგვა, ქართველობისა და მამულიშვილობის პოტენციაში არსებული მუხტის გაღვივება-განვითარება გადაიქცა „თერგდალეულთა“ მხატვრული მოღვაწეობის ერთერთ ძალუმ და მთავარ მიმართულებად. მათ მიზნად დაისახეს საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით გმირული პერიოდების მოძიება, გამოარჩიეს საქართველოსთვის თავდადებული გმირები, ქება შეასხეს მათ მოღვაწეობას, საგმირო საქმეებს, რა თქმა უნდა, თანადროული საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე და ყველაფერი ეს ლიტერატურულად დაამუშავეს. შედეგი საჩინო იყო – ასეთი მხატვრული ლიტერატურა, მართლაც, გადაიქცა უპირველეს წყაროდ, საშუალებად, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა ნებისმიერი ქართველის მი-

ნავლებული მოთხოვნილება პატრიოტიზმზე, სუბლიმირებულ, ამაღლებულ გრძნობებზე, „ახალი ქართველისათვის“, „ნამდვილი ქართველისათვის“ უნდა გაეხსენებინა მისი სამშობლოს დიდებული ისტორიული წარსული, რათა სამშობლოსათვის თავშეწირული გმირების მაგალითზე მასაც აუცილებლად გასჩენოდა ერთიანი საქართველოს ხსოვნის, მისთვის გარჯისა და ბრძოლის პატრიოტული გრძნობა.

ამ მიმართულებით „თერგდალეულთა“ მოღვაწეობა, მართლაც თვალსაჩინო და მრავალპროფილიანია. როგორც წესი, ასეთი პატრიოტული თხზულებების ობიექტი – თავისუფალი და ერთიანი საქართველოა, მხატვრულ თხზულებებში ცოცხლდება მისი ისტორიის ბრწყინვალე თუ ტრაგიკული ფურცლები: მართლაც „დიდნი იყვნენ საქმენნი გამოსაჩენნი, პირნი – ქებულნი და სამშობლოსთვის წამებულნი“.

1877-1878 წელს, სწორედ იმ პერიოდში, როცა საქართველოს დაუბრუნდა თავისი ისტორიული ტერიტორიები ტაო-კლარჯეთი და აჭარა, ილიამ დაწერა თავისი გამორჩეულად პატრიოტული პოემა „დემეტრე თავდადებული“. როგორც პავლე ინგოროყვა აღნიშნავს: „ამ პოემაში ილიამ სამშობლოსათვის თავდადების უკეთილშობილესი გრძნობა გამოხატა“[34]. ასეთივე ამაღლებულია ამ პოემის ივანე ჯავახიშვილისეული შეფასებაც: „საქართველოს ისტორიიდან ილ. ჭავჭავაძეს ერისთვის თავგანწირულობა ხიბლავდა“[35].

პეროიკულ პოემაში საქართველოს ისტორიის დრამატული პერიოდია წარმოჩენილი: მონღოლთა ბატონობის ქვეშ გმინავს საქართველო და მისი ღირსეული მეფე. დამპყრობი – მტარვალი და მზაკვრალია, ქართვლის მეფე – ვაჟკაცი და პირნათელი. მის წინაშე დილემაა – ან ქვეყნის აოხრება, განადგურება, ათეულათასობით ქართველის ფიზიკური მოსპობა, ან – ყაენის სამსჯავროზე გამოცხადება, შესაძლო დამცირების, ან კიდეც უფრო მეტი – წამების ატანა და აქედან გამომდინარე ლოგიკური შეღეგი – ძალმომრეობითი სიკვდილი. მაგრამ არის იმედი – ამით სამშობლო და ქართველი ხალხი გადარჩება. აი, რას ათქმევინებს ილია გმირ მეფეს:

„მაშ რად არის მეფე მეფედ,
თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეავა?
თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის,
ეს სიკვდილი სიცოცხლეა.
არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.“

„საქართველო – უპირველეს ყოვლისა!“ – აი, დედა-არსი ამ პოემისა და ილია ჭავჭავაძის მთელი მხატვრული შემოქმედების. ამ დიდ საქმეში კი ყოველთვის მასთან იყვნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა ფშაველა და სხვა პატრიოტები. მათი ჰეროიკული პოეზია და პროზა სწორედ ის საშუალება აღმოჩნდა, რომელმაც (უფრო მოგვიანებით) გაათბო ქართველის გული, გაახსენა სამშობლოს გმირული ისტორია და ქართული საქმის კეთების დაუოკებელი სურვილი გაუჩინა.

საქართველოს სიყვარულით არის გამთბარი აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავი“. მხოლოდ აკაკისათვის დამახასიათებელი წერის მანერით, მისი მადლიანი ქართულითა და უზადო რიტმით ჩამოქნილი პოემა საქართველოს ისტორიული დიდების გაცოცხლების წარმატებული ცდაა. მისი გმირები: მეფე დავით კურაპალატი, თორნიკე ერისთავი, ანტიგმირი ბარდა სკლიაროსი და სხვები – საქართველოს გარდასულ დღეთა დიდების შემოქმედნი და მოწმენი არიან. პოემის თითოეული ფრაზა – საქართველოს სიყვარულით ფეთქავს, ყოველი აზრი – საქართველოს მომავალ აღორძინებას გულისხმობს. აკაკისათვის ისტორია არ არის მხოლოდ წარსული, მისთვის ისტორია – ეს არის აწმყოსა და მომავლის შენების ორგანული ცემენტი, წინსვლის ბერკეტი, ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება.

ვაჟა ფშაველას პოემა „ბახტრიონი“ საქართველოს ისტორიის ურთულეს პერიოდს – 1659 წლის ბახტრიონის აჯანყებას, მის მიზეზებს, სპარსელების წინააღმდეგ ქართველების გმირულ და ერთიან ბრძოლას ასახავს და აქცენტს რიგითი ქართველების გამორჩეულ თავდადებაზე აკეთებს. ბერი ლუხუმი – ეს საქართველოა, რომელიც მოვა დრო და მტერზე გამარჯვებული ლაშარის გორაზეც ამაყად დადგება.

იაკობ გოგებაშვილი კიდევ უფრო შორს წავიდა საქართველოს სიყვარულში – მან გენეტიკური, შეურყეველი ქართველობის იდეა შემოიტანა და წარმატებითაც დანერგა ქართულ ლიტერატურაში. მისი აზრით ქართველი – ეს გარკვეული გენეტიკური ერთობლიობაა, რომელიც ღრმად არის ჩამჯდარი პიროვნების სულში. ეს ერთობლიობა, ეს გენეტიკური კავშირი შეიძლება, ერთი შეხედვით, შეფერხდეს, გარკვეულად შეწყდეს კიდეც, მაგრამ სათანადო პირობების შექმნისთანავე – ახალი ძალით გაიფურჩქნება, გაღვივდება, არ მოკვდება.

მისი მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა!“ სწორედ ამ თვალსაზრისით არის დაწერილი და ტიპიური რომანტიკული გააზრებაა შუა საუკუნეების დროს მეტად ცნობილი ცხოვრებისეული დრამის: პატარა ქრისტიანი ქართველი გოგონა ლეკებმა მოიტაცეს და მაჰმადიან უშვილო ოჯახს მიჰყიდეს. წლების მანძილზე ახალმა ცხოვრებამ გოგონაში დავიწყებას მისცა ყველაფე-

რი ქართული, საქართველო, ქართველი მშობლები. მაგრამ მრავალი წლის შემდეგ მოხდა მისი მშობლებთან დაბრუნება, რამაც გამოიწვია ნამდვილ მშობლებთან ქალიშვილის უკვე აშკარა გაუცხოება, არსებული ყოფიერების უარყოფაც კი. მაგრამ მოხდა სასწაული – ქართველი დედის მიერ ქართულ ენაზე შესრულებულმა იავნანამ გოგონა დაუბრუნა ოჯახს, მშობლებს, სამშობლოს, საქართველოს.

იაკობ გოგებაშვილს თავისი მოთხრობა ძალიან მოსწონდა და აინტერესებდა, როგორ მიიღებდნენ ქართველი ბავშვები ამ პატრიოტულ მოთხრობას. ის სწერდა მეგობრებს: „მე ძლიერ მსურს შევიტყო, რა გაგებით, ინტერესით და შეგნებით წაიკითხავენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოზრდილნი ქალნი თუ ვაჟნი და ამიტომ... წაუკითხეთ მესამე-მეოთხე კლასის მოწაფეებს და მაცნობეთ რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ჩემი პირველი მოთხრობა მათზედ“[36].

მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობას ნაციონალისტური იდეალიზმის ელფერი აქვს და მისი რეალიზმი მეტად სათუოა, მოთხრობის სულიერ-ზნეობრივი და აღმზრდელობითი მუხტი იმდენად ძლიერი და მისაღებია, რომ ნაშრომი სასკოლო სახელმძღვანელოებში შეიტანეს საბჭოთა სისტემის დროსაც კი.

მსგავსი პატრიოტული გულისთქმის გამოძახილს ვხვდებით აკაკი წერეთლის „ბაშიაჩუკში“, უიარაღოს „მამელუქსა“, სხვა მსგავსი მიზანდასახულობის მქონე ქართულ მოთხრობებსა თუ პოემებში. იდეა აქ ერთია – ქართველი არ კარგავს ქართველობას, ქართველის შინაგან გენეტიკურ ნიშნებს: სამართლიანობას, სიდინჯეს, გულმოწყალებას, კაცთმოყვარეობას, ვაჟკაცობას, სამშობლოს სიყვარულს.

ა. წერეთლის გმირი აბდუშახილი – „ბაში-აჩუკიდან“, ერთი უპატრონო სპარსი მხედარია, მაგრამ სწორედ იმიტომ არის კეთილშობილი და კაცთმოყვარე, ვაჟკაცი და რაინდი, რომ ის გენეტიკურად ქართველია, რაც მოულოდნელად გამოვლინდა. მოთხრობის ავტორის მიხედვით ეს აღმოჩენა მასში მკვეთრ გარდაქმნას გამოიწვევს და საქართველოსთვის ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებინებს.

ასეთივე ბედისაა ეგვიპტეში მონად გაყიდული მამელუქი გოჩა-მაჰმუდი, რომელსაც ასევე ქართული სიმღერა გაახსენებს თავის ქართველობას და მამულიშვილობას (მხედველობაში გვაქვს უიარაღოს – „მამელუქი“).მსგავსი მაგალითები კიდევ ბევრია.

შეიძლება ღღეს, რომელიმე კრიტიკოსმა ეჭვის ქვეშ დააყენოს ამ შინაარსის მოთხრობა-რომანების ღირებულება, დაუწუნოს მათ რეალიზმი, გამოაცხადოს ისინი შოვინისტურ, ნაციონალისტურ-იდეალიზირებულ თხზულე-

ბებად, მაგრამ ერთი რამ ცხადია – კოლონიალიზმის უღელქვეშ მყოფ ერს, რომელსაც გადაშენებას უპირებენ, ართმევენ ენას, ეროვნულ ცნობიერებას, სამშობლოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, მას აუცილებლად სჭირდება მსგავსი შინაარსისა და ხასიათის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც ააღორძინებენ მასში მამულიშვილობასა და ქართველობას.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ქართველი სამოციანელების დამსახურებაა, რომ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში აღორძინდა საჭირო და დროული ლიტერატურული მიმდინარეობა – ისტორიული ბელეტრისტიკა, რომელიც თავის განსაკუთრებით ძლიერ განვითარებას მოგვიანებით, XX საუკუნის 20-70-იან წლებში მიაღწევს.

უნდა აღინიშნოს, რომ საისტორიო შინაარსი შეიძინა „თერგდალეულების“ პუბლიცისტური მოღვაწეობის ერთმა კონკრეტულმა მიმართულებამაც. გარკვეული აზრით შეიძლება მას დავარქვათ „საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის“ მიმართულება. ისტორია, როგორც იდეოლოგიური დაპირისპირების უმნიშვნელოვანესი იარაღი, უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად იყო გამოყენებული მსოფლიო ერებსა და სახელმწიფოებს შორის იდეოლოგიურ ურთიერთობებში. ქართველ მამულიშვილებს ამ ფრონტეზეც უხდებოდათ ბრძოლა აგრესიული შემტევი თავდასხმებისაგან, რომლის მიზანი იყო საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიის, კულტურის, ენისა და ლიტერატურის მიღწევების გაყალბება, დაკნინება.

ამ ბრძოლაშიც ილია ჭავჭავაძე მოწინავე იყო. მისი პუბლიცისტური წერილების მთელი რიგი, სწორედ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას ისახავს მიზნად. მისი „ქვათა ღაღადი“ უშუალოდ მიმართულია რუსი და სომეხი ეაიმეცნიერების წინააღმდეგ, რომლებიც დაუშვებელი ხერხების გამოყენებით ყოველმხრივ აკნინებდნენ საქართველოს ისტორიას, ქართველი ერის ადგილსა და როლს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ისტორიული პროცესების შეფასების დროს.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ილიას სხვა წერილებსაც: „აი ისტორია“, „სამუსულმანო საქართველო“ და სხვები.

ქართული პერიოდიკა იმჟამად უდიდეს ყურადღებას უთმობდა ეროვნული ისტორიის საკითხებს, აქტიურად იყენებდა ისტორიულ გამოცდილებას „ახალი ქართველის“ აღზრდის პროცესში. გაზეთები, იმჟამად, საქართველოში ერთობ მრავალი გამოდიოდა როგორც თბილისში, ისე ქუთაისში. ილიასეულ „საქართველოს მოამბეს“ და „ივერიას“, ღირსეულად უმშვენებ-

დღეს გვერდს ჟურნალები: „ცისკარი“, „მწყემსი“, გაზეთები: „დროება“, „გეონის ღედა“, „შრომა“, „კვალი“ და სხვა მრავალი.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქართულ პერიოდიკაში აქტიურად თანამშრომლობდნენ ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, დ. ჭონქაძე, დ. მიქელაძე (მეცხვარე), ვ. ფშაველა, გ. მაიაშვილი, გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, პ. უმიკაშვილი, გ. თუმანიშვილი და მრავალი სხვა. სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი დ. ჭუმბურიძე: „ქართული პრესა შეუპოვრად აკრიტიკებდა რუსი მოხელეების შოვინისტურ ქმედებებს, ხელისუფლების უსამართლო დამოკიდებულებას ჩვენი ერის პრობლემებისადმი, ამკვიდრებდა პროგრესულ აზროვნებას, აღრმავებდა დამპყრობელისადმი წინააღმდეგობის გრძნობას, მოუწოდებდა ქართველ ერს – არ შერიგებოდა მონობას, ებრძოლა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის“[37].

ქართული წიგნის, ქართული პერიოდიკის რაოდენობა და მნიშვნელობა, წინა წლებთან შედარებით, აშკარად იზრდებოდა. ამტკიცებენ, რომ საქართველოში XIX საუკუნის 60-იან წლებში ყოველწლიურად 5-12 ქართული წიგნი იბეჭდებოდა. უკვე 1868 წელს დაიბეჭდა 11, ხოლო 1899 წელს – 112. როგორც ირკვევა 1868 -1892 წლებში მარტო 100 სახელწოდების ქართული სახელმძღვანელო გამოქვეყნებულა[38].

წინსვლა – უდავოა. ამ საქმეში „თერგდალეულების“ მოღვაწეობის შედეგები თვალსაჩინოა, მაგრამ მაინც ვერ დავეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „უაღრესად გაფართოვდა ქართული წიგნის მკითხველთა წრე. ცოდნას დაეწაფა ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობა... წიგნი საყოველთაო სიყვარულისა და ზრუნვის საგანი ხდებოდა... ქართული პრესისა და წიგნის გამოცემის მანამდე არნახული განვითარება, საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა, ხალხის ფართო მასების გამოღვიძების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერების, მისი მეთაურების – გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და განმანათლებლების – თავდადებული მოღვაწეობის შედეგი იყო“[39].

ასეთი ოპტიმიზმისათვის არავითარი საფუძველი არ გვაქვს. XIX საუკუნის დასასრულს ქართველების 85 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ე.ი. მოკლებული იყო მხატვრული ლიტერატურისა და პრესის გაცნობის შესაძლებლობას. და რაც მთავარია, თვითონ ეს ლიტერატურა საკმაოდ მოკრძალებული ტირაჟით გამოდიოდა და სერიოზულ ზეგავლენას ვერ მოახდენდა სრულიად საქართველოს სხვადასხვა კონფესიას მიკუთვნებულ ქართველობაზე. როგორც ამტკიცებენ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი დიდი არ იყო. მაგალითად, „დროება“ გამოდი-

ოდა 500 ცალი, „ცისკარი“ – 150 ცალი, „ივერია“ – 600 ცალი. შედარებით დიდი ტირაჟი ჰქონდა გაზეთს „კვალი“ – 960[40].

ასევე მცირე იყო ტირაჟი მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებისა, რაც მკვეთრად მერყეობდა – იბეჭდებოდა საშუალოდ 3000-5000 ცალი[41].

მართალია, წიგნის მაღაზიები XIX საუკუნის დასასრულს იყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავში, გორში, ხონში, სოხუმში, ახალ-სენაკში, ოზურგეთში და კიდევ 12 დაბა-ქალაქში, მაგრამ ჟურნალ-გაზეთების, მხატვრული ლიტერატურის მცირე ტირაჟი ვერ აღწევდა ფართო მკითხველამდე. და ვეთანხმებით გაზეთ „დროების“ მიერ იმჟამად გამოთქმულ აზრს, რომ „ყველაზე უფრო, რაც დღემდის ქართულ ენაზე გამოსულა და გამოდის, იბეჭდება იმ ერთი მუჭა თავად-აზნაურობისათვის, რომელიც მკითხველ საზოგადოებას შეადგენს“[42]. ეს იმჟამინდელი საქართველოს მკაცრი რეალობა იყო.

§ 5. – ქართული ეროვნული თეატრი

„ახალი ქართველის“ ფორმირების პროცესში, „კუთხურობისა და ყოყოჩობისაგან“ განთავისუფლებული ქართველის აღზრდის საუკეთესო საშუალებად, „თერგდალეულების“ თვალსაზრისით, ჩაითვალა ქართული ეროვნული თეატრის ჩამოყალიბებაც, მისი რეპერტუარის პატრიოტული შინაარსით გამდიდრება, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩაბმა თეატრალური ცხოვრების საინტერესო და მრავალფეროვან სამყაროში.

ქართული თეატრი, გარკვეული აზრით, ჭეშმარიტი სკოლა გახდა იმათთვის, ვინც წერა-კითხვას ჯერ კიდევ არ ფლობდა, არ შეეძლო ჟურნალ-გაზეთებში წაკითხვა და გაესიგრძეგანებინა ის კონკრეტული ამოცანები და მიზნები, რასაც ქართული საზოგადოების წინაშე აყენებდნენ ქართველი პატრიოტები ბეჭდვით მასმედიასა თუ საკუთარ მხატვრულ შემოქმედებაში.

სამაგიეროდ სულ სხვა ვითარება იყო თეატრში – აღზრდისა და ეროვნული იდეოლოგიის კულტივირების უმნიშვნელოვანეს ცენტრში – მისი მაყურებელი საზოგადოების ყველა ფენიდან იყო, არისტოკრატიც და ქალაქის მდაბიოც, წერა-კითხვის მცოდნეც და გაუნათლებელი ადამიანიც, ჩინოსანი მოხელეც და რიგითი სემინარისტიც.

თეატრის ასეთი დემოკრატიულობა და მაყურებლის საკმაოდ ჭრელი სპექტრი მისი ორგანიზატორებისაგან მოითხოვდა სათანადო რეპერტუარზე

ზრუნვას, თეატრის ინფრასტრუქტურის განვითარებას, რეჟისორების, დრამატურგებისა და მსახიობების მოზიდვას და მათთვის მუშაობის ხელსაყრელი პირობების შექმნას, განსაკუთრებით პატრიოტული შინაარსის რეპერტუარის შერჩევას და ა.შ. და ა.შ.. მხოლოდ ამ ამოცანათა რეალიზაციის პირობებში შეძლებდა ეროვნული ქართული თეატრი შეესრულებინა ის ამოცანები, რასაც „თერგდალეულები" უყენებდნენ ხელოვნების იმჟამად, მართლაც, ყველაზე დემოკრატიულ დარგს.

ილია ჭავჭავაძე ეროვნული ქართული თეატრის განვითარების საკითხებზე მსჯელობისას არაერთხელ ხაზგასმით მიუთითებდა: „ჩვენ წინათაც გვითქვამს და ახლაც ვამბობთ, რომ თეატრს დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუმართოს"[43]. ილია სხვა ადგილზე ასეთ ამოცანას სახავდა ქართული თეატრის წინაშე: იგი უნდა ყოფილიყო „საზოგადოების ჭირისა და ლხინის თვალწინ წამომყენებელი"[44].

ამრიგად, თეატრი თერგდალეულების თვალსაზრისით უნდა გამხდარიყო „საზოგადოებრივი საქმე", ქართული „საზოგადოების ჭირისა და ლხინის წამომყენებელი", და აი, მხოლოდ მაშინ შეასრულებდა ის საზოგადოების აღმზრდელის, მისი მაკონსოლიდირებელი ძალის, გამორჩეულად დამრაზმელისა და ერის სასიკეთოდ ხალხის ენერგიის წარმმართველის გამორჩეულ ფუნქციას.

ამისათვის კი, როგორც ილია მიუთითებდა, საჭირო იყო „რიგიანი რეპერტუარი", ანუ საზოგადოებრივი აღზრდის შინაარსი, მისი ზემოქმედების შესაძლებლობები, კონკრეტული მიზანმიმართულება, ეროვნული აღზრდის კონკრეტული გეგმა, რაც უზრუნველყოფდა არა მარტო ადამიანში ზოგადად პროგრესული შეხედულებების ფორმირებას, არამედ ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში ეროვნული სულისკვეთების განმტკიცებას. სამართლიანად არის შემჩნეული ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომ ქართულ თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსული აგრესიული დემარშების მოსაგერიებლად. ხაზგასასმელია ისიც, რომ ქართულ თეატრს უპირველესი მნიშვნელობა შესძინა ქართული ენის ფუნქციონალური დატვირთვის განმტკიცება-განვითარებისათვის მისმა საქმიანობამ. ასევე სამართლიანია დასკვნაც, რომ „ანტირუსული სულისკვეთებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების საქმეში თეატრმა უდიდესი როლი ითამაშა. ამ კულტურულ დაწესებულებას ყველაზე ახლო კავშირი ჰქონდა ხალხთან, ამიტომ შეეძლო დიდი ემოციური ზემოქმედების მოხდენა ადამიანებზე, მათში გამოეწვია ეროვნული გრძნობების გაღვივება, საბრძოლო სულიკვეთების გაძლიერება"[45].

სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართველი „სამოციანელები“ უდიდეს ძალისხმევას ახმარდნენ ქართული თეატრის განვითარებას, მის რეპერტუარს, დრამატურგიას, რეჟისურას, მსახიობურ ოსტატობას. თვითონ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით ერისთავი, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები უდიდესი სერიოზულობითა და რუდუნებით ეკიდებოდნენ ქართული თეატრისათვის რეპერტუარის მომზადების საქმეს. მათ არა ერთი, გამორჩეულად საინტერესო, პატრიოტული შინაარსის სცენარი შექმნეს და საზოგადოებას წარუდგინეს. განსაკუთრებით მოსწონდა ქართველ საზოგადოებას დავით ერისთავის „სამშობლო“, აკაკი წერეთლის „პატარა კახი“, სუმბათაშვილის „ღალატი“, ალ. ყაზბეგის „არსენა“ და სხვა პატრიოტული შინაარსის სპექტაკლები.

სწორედ დავით ერისთავის „სამშობლოს“ ერთ-ერთი წარმოდგენის დროს ააფრიალეს მსახიობებმა სცენაზე ქართული ეროვნული დროშა, რამაც დარბაზის მყისიერი რეაქცია გამოიწვია, რაც ოვაციაში გადაიზარდა. პატრიოტულად განწყობილმა წარმოდგენამ მაყურებელი შეძრა და ერის მომავალზე დააფიქრა. ამან კი სერიოზულად გააღიზიანა დამპყრობელი. „მოსკოვის ვედომოსტმა“ ქართველების პატრიოტული აღტაცება გააბაიბურა, შეურაცხყო, დასცინა და საცირკოდ გახადა ეროვნული დროშა. ამ შოვინისტურმა გამოსდომამ კი დაბადა ქართულ პუბლიცისტიკაში ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი საუკეთესო პოლემიკური წერილი, რომელმაც ქვა-ქვაზე არ დატოვა რუსი შოვინისტების ნაბოდვარიდან და ბოლომდე დაიცვა ქართველთა ღირსება: „ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელითა და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკლელად და უჩირქოდ გადაუცია; ...ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსეთთან ერთად სისხლი უნთხევია მამულისათვის, – დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ყიღაცა კორესპონდენტმა... “[46].

იმჟამად, მართლაც, უდიდესი იყო შეგნება იმისა, რომ ქართულ თეატრს გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესში. ეს კი ქართველ ინტელიგენციას აძლევდა ძალას, რომ უაღრესად რთულ ვითარებაში ებრძოლა ქართული თეატრის ქსელის გაფართოებაზე, მისი რეპერტუარის დახვეწაზე, ახალი თეატრების ფორმირებაზე. 1879 წელს აღდგა თბილისის განახლებული დრამატული თეატრი, ერთი წლის შემდეგ თეატრი დაარსდა ქუთაისში. ქართველებმა თეატრი დააარსეს ბათუმში და ა.შ...

აფხაზეთში დიდი ყურადღება მიექცა სცენისმოყვარეთა სპექტაკლების წარმოდგენებს, ქართული რეპერტუარის გავრცელებას, თბილისიდან მოწ-

ვე'ული გასტროლიორების საგანმანათლებლო საქმიანობას, რათა ქართული მხატვრული სიტყვა აფხაზეთში მტკიცედ დამკვიდრებულიყო. უკვე 1885 წელს ორი წარმოდგენა დაიდგა დაბა ოჩამჩირეში[47]. სხვადასხვა დროს აქაურმა სცენისმოყვარეებმა ითამაშეს ა. ცაგარელის, ვ. გუნიას და სხვა ქართველი დრამატურგების სპექტაკლები. აფხაზეთის ქართულ დასში მოღვაწეობდნენ ნ. ბერძენიშვილი, მ. ჩიკვაიძე, ს. ფრანგ'ულიანი და სხვა მოყვარ'ული მსახიობები.

აფხაზეთში საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩამოყალიბდა „ქართველ სცენისმოყვარეთა საზოგადოება“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ანთიმოზ ჯუღელი.

აფხაზეთში ქართულ თეატრს მფარველობდნენ სამთავრო სახლის წარმომადგენლები და ადგილობრივი მაღალი არისტოკრატია: გაიანე და აღათი შარვაშიძეები, ელისაბედ დადეშქელიანი, ტერეზა შარვაშიძე, ელისაბედ წერეთელი და სხვ. საუკუნის დასასრულს აფხზეთში შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო მომაეალში ცნობილმა დრამატურგმა და საზოგადო მოღვაწემ შალვა დადიანმა. აფხაზი და ქართველი სცენისმოყვარეთა თანამონაწილეობით დაიდგა კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი“, დავით ერისთავის ისტორი'ული დრამა „სამშობლო“, რომელმაც თბილისში უკვე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ქართველების პატრიოტ'ული აღზრდის ჩინებულ საშუალებად გადაიქცა[48].

ქართველი ერის კონსოლიდაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ პროფესიული თეატრების გვერდით XIX საუკუნის II ნახევარში თანდათან ძალებს იკრებდა და მრავლდებოდა თვითმოქმედი დრამატ'ული კოლექტივების მოღვაწეობაც. ძალიან პოპულარ'ული გახდა სახალხო თეატრების ჩამოყალიბების პრაქტიკა. თეატრით გატაცება დაეტყო დაბალ სოციალურ ფენასაც. მაგალითად, ცნობილი იყო სცენისმოყვარე ხელოსნების ამხანაგობა ვასო თევდორაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც მ'უდმივ წარმოდგენებს მართაედა ავჭალის მოედანზე მდებარე საჩაიეში. პოპულარობა მოიხვეჭა სახალხო თეატრმა იოსებ იმედაშვილის თაეკაცობით, რომლის რეპერტუარში იყო პატრიოტ'ული სპექტაკლები. სახალხო თეატრები ჩამოყალიბდა ქ'უთაისში, ბათ'უმში და ა.შ.[49]

ქართ'ული ეროვნ'ული თეატრალ'ური კოლექტივების რეპერტ'უარის გაცნობა აშკარად მიანიშნებს გარკვეულ კანონზომიერებას, რაც დამახასიათებელი იყო მათთვის და მიზნად ისახავდა სწორედ „თერგდალეულთა“ ეროვნული კონცეფციის რეალიზაციას თეატრალ'ური ხელოვნების ფორმებითა და საშუალებებით. ეს იყო, პირველი, „კრიტიკ'ული ნაციონალიზმის“ ძლიერი ტენდენცია და, მეორე, ქართველებში ძლიერი პატრიოტ'ული მუხტის განვითარება-გაღრმავება. „კრიტიკ'ული ნაციონალიზმის“ ილიასეული პოზიციე-

ბიდან ქართულ თეატრში უხვად იყო წარმოდგენილი შეუჩერებელი სოციალური კრიტიკა – თავადების, ჩარჩ-ვაჭრების, უსაქმურების, ტრაბახების, რომელთაც „სამშობლო სულ ფეხებზე ჰკიდიათ". ქართველი დრამატურგების: გიორგი ერისთავის, ავქსენტი ცაგარელის „კრიტიკული ნაციონალიზმით" გაჟღენთილ წარმოდგენებში მოცემულია წარმატებული მცდელობა ქართველთა უარყოფითი ხასიათის მხილებისა, რითიც იქმნებოდა ამ ნაკლის გამოსწორების საფუძველი. სამართლიანად არის კრიტიკოსების მიერ შენიშნული, რომ „...კომედიების საშუალებით ხალხმა თავისი თავი იცნო, დაცინვამ თავისი კეთილი შედეგები მოიტანა და საზოგადოება რამდენადმე გამოფხიზლდა. ყველაზე მეტი მათრახი თავად-აზნაურობასა და მოვაჭრე საზოგადოებას მოხვდა"[50].

ამ მიმართულების სპექტაკლებიდან განსაკუთრებით დიდხანს შემორჩა ქართულ სცენას გიორგი ერისთავის „გაყრა", ავქსენტი ცაგარელის „ხანუმა" და „რაც გინახავს, ეეღარ ნახავ". სწორედ გიორგი ერისთავმა დანერგა ქართულ დრამატურგიასა და სალიტერატურო ცნობიერებაში ფრაზა „გიჟ-ერაცუა" – უსაქმური, მფლანგველი, ტრაბახა და ფუქსავატი ქართველი თავადის სახე, რომელიც ხარხარს იწვევს მაყურებელში და ამით მკვეთრად ემიჯნება იმ სოციალურ გარემოს თუ ტრადიციულ ყოფას, რაც ბადებს ამგვარ მახინჯ მოვლენას ქართულ საზოგადოებაში. ავქსენტი ცაგარელის – ლეონ ფანტიაშვილი, თავისი გროტესკულობით, აშკარად უახლოვდება ილიასეულ ლუარსაბ თათქარიძეს – მუქთახორა, ხეპრე, არაფრისმცოდნე და არაფრისგამკეთებელი მხატვრული სახე. საუკუნეებია უკვე ეს მხატვრული სახეები თან სდევს ქართულ საზოგადოებას – მათი სოციალური ყოფიდან საბოლოო გაქრობა მაინც ვერ ხერხდება...

სამაგიეროდ ძლიერი ეროვნული მუხტის მატარებელი იყო ჰეროიკული დრამატურგია, სპექტაკლები, რომლებიც საქართველოს ერთიანი ისტორიის, გმირული ფურცლების ინტერპრეტაციას ისახავდა მიზნად და, როგორც წესი, საოცარ პატრიოტულ აღმაფრენას იწვევდა მაყურებელში. ასეთ სპექტაკლებში განსაკურებით ბრწყინავდნენ ქართველი მსახიობები, რომლებიც გატაცებით თამაშობდნენ ბაგრატ IV-ის, ქეთევან წამებულის, დავით აღმაშენებლის, ერეკლე II-ის, რუსთაველისა და სხვა ქართველი გმირებისა თუ წმინდანების როლებს.

მართალია, XX საუკუნის დასაწყისში მ. ჯავახიშვილი სერიოზულად გააკრიტიკებს ქართულ თეატრს სწორედ ისტორიული გმირებით გატაცების გამო: „რატომ გაქრა ჩვენს ისტორიულ პირობებში ხალხი? რატომ არ ჩანს მათი სოციალური ცხოვრება? სად არიან ისინი? ვით გაუძლო ათასეულ შემოსევებს და ერის ერთობა შეინარჩუნა. აი, ეხედავთ, სცენაზე არის მე-

ფე. მხედართმთავარნი და სხვა დიდებულნი, მაგრამ არ არის ხალხი, უბრალო ხალხი, ჩვენი გელეხკაცობა".[51]

მიხეილ ჯავახიშვილის ეს სიტყვები, უდავოდ, ნაკარნახევია ილია ჭავჭავაძის მიერ საქართველოს ისტორიის ამსახველი მატიანეების მიმართ გაკეთებული შენიშვნებით, სადაც ისევე, როგორც ქართულ თეატრში, არ ჩანდა რიგითი ქართველი ადამიანი.

§ 6. – საქართველოს ერთიანი და განუყოფელი ისტორია

ალბათ იშვიათად მოიძებნება მსოფლიოში ლიტერატორი, არაპროფესიონალი ისტორიკოსი, ბანკირ-ფინანსისტი, საზოგადო მოღვაწე – პოლიტიკოსი, რომელსაც იმდენი ყურადსაღები აზრი გამოეთქვას ზოგადად ისტორიის მნიშვნელობაზე, და განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის მნიშვნელობაზე ქართველი ერის არა მარტო კონსოლიდაციის, არამედ მისი მომავალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საქმეში, რამდენიც გამოთქვა და შთამომავლობას დაუტოვა ქართველების დიდმა განმანათლებელმა ილია ჭავჭავაძემ.

ილიას და მის თანამებრძოლებს ღრმად ჰქონდათ გააზრებული საქართველოს ერთიანი და განუყოფელი ისტორიის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ამ აღზრდის შედეგებიც ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ურთულეს პროცესში – ისინი მას ერთიანობაში წარმოიდგენდნენ.

აი, რას წერდა დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ილიას საისტორიო გამონათქვამებისა და კონცეფციების შესახებ 1938 წელს: „ჩვენ დაუვიწყარს მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავისმოწონების თვალსაზრისით და ეროვნული სიამაყის გრძნობის ჩასანერგად კი არ უნდა დასჭირვებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა"[52].

ეს მართლაც ასე იყო, „კრიტიკული ნაციონალიზმის" წარმომადგენელი საქართველოში, ქართველების ნაკლოვანებებისა და ხასიათის გადაცდომების პრინციპული მამხილებელი, ილია ჭავჭავაძე თავის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში საქართველოს ისტორიის თემას გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ასე მოძღვრავდა სრულიად საქართველოს: „...ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერთ თავის დიდებულ და დიდ-ბუნებოვან კაცთა უწმინდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი

რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ-ბუნებოვანნი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნეედება, ჰგულოვნდება და თავმოწონებულია ყველგან, ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუკარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხლად იბრძვის. იღვწის, გამხნეებული თავის მამა-პაპის მაგალითითა და ანდერძითა"[53].

უკეთესს მართლაც ვერ იტყვი, ღრმად და ყოველმხრივ არის დანახული და გასიგრძეგანებული ისტორიის როლი „ახალი ქართველის" აღზრდის საქმეში, ჩინებულად არის დასაბუთებული საისტორიო მეცნიერების უდიდესი მნიშვნელობა ახალი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, მოცემულია ისტორიის როგორც გამოყენებითი, ისე უდიდესი მორალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ნებისმიერი მოაზროვნე ერისათვის, რომელსაც მიზნად დაესახავს „დიდთა საქმეთა" კეთება. ილია ჭავჭავაძეს სხვანაირად ამის გამოთქმა არ შეეძლო, რადგანაც ღრმად სწამდა: „რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას იკიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისი ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წარწყმენდისაცა. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეორედ წარმოუდგენელია, გაუგებარი და გამოუცნობია"[54].

როცა მოასროვნეს ასეთი მაღალი შეხედულება აქვს ისტორიის აღმზრდელობით მნიშვნელობაზე, რა თქმა უნდა, მას და მის მეგობრებს სრულიად ცალსახად აქვთ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ამ მეცნიერების არსებული მდგომარეობისა თუ მისი განვითარების მომავალი პერსპექტივების შესახებ.

„კრიტიკული ნაციონალისტები" – ქართველების მიმართ დამოკიდებულებაში, მკაცრად კრიტიკული იყვნენ ასევე ქართული საისტორიო მეცნიერების მიმართაც და დაუფარავად აღნიშნავდნენ, რომ ქართველების უპირველესი საისტორიო თხზულება „მხოლოდ მეფეთა ისტორიაა", რომელშიც არ ჩანს რიგითი ქართველი, მისი ჭირ-ვარამი, საწუხარი, მისი შეუჩერებელი ბრძოლა და ღვაწლი მამულის გადარჩენისა თუ ასაღორძინებლად. ამიტომაც სწორედ ისტორიული პროცესის ასახვის „დემოკრატიზაციას" უყენებდნენ ამოცანად „თერგდალეულები" ქართველ პროფესიონალ ისტორიკოსებს, რადგან მეცნიერების ეს დარგი, ახალ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე, ევროპული საისტორიო მეცნიერების მიღწევების გათვალისწი-

ნებით საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ის-ის იყო მხოლოდ ყალიბდებოდა.

სანკტ-პეტერბურგში გადახვეწილი ქართველი ბაგრატიონების მიერ დაწყებული საისტორიო საქმიანობა (გავიხსენოთ, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა"; დავით ბაგრატიონის „საქართველოს ისტორია", „ახალი ისტორია", თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორია"და ა.შ.) ჩინებულად განაგრძეს თავიანთ თხზულებებში ქართველმა პროფესიონალმა ისტორიკოსებმა.

დავით ბაქრაძემ სწორედ იმ პერიოდში შექმნა თავისი არაერთი საინტერესო საისტორიო გამოკვლევა („კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში", „ქართული პალეოგრაფია" და სხვ.). მისმა მოგზაურობამ გურიასა და აჭარაში 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა იმით, რომ მან ისტორიული ფაქტებით და ეთნოგრაფიული მასალის მოხმობით დაასაბუთა ქრისტიან ძმებთან მაჰმადიანი აჭარლებისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის გენეტიკური კავშირი. ილია მოხიბლული იყო ისტორიკოსი დ. ბაქრაძის მუშაობის შედეგებით. მისი საოცრად ღრმა წერილი „ერი და ისტორია", სწორედ დ. ბაქრაძის ერთ-ერთი ნაშრომის გაცნობის შემდეგ დაიწერა.

საისტორიო მეცნიერება სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანეს რუსეთში მოღვაწე ქართველმა ისტორიკოსებმა: ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა და სხვ.

უშუალოდ საქართველოში ინტენსიურ საისტორიო კვლევას ეწეოდნენ: ზაქარია ჭიჭინაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვ.

საქართველოში დაიწყო დიდი და ინტენსიური მუშაობა ქართული სიგელ-გუჯრების, ძველი საისტორიო თხზულებების აღმოჩენა-შეგროვების მიმართულებით, რაც შეუქცევადი პროცესი გახდა. სწორედ ამის საფუძველზე თედო ჟორდანიამ გამოაქვეყნა თავისი „ქრონიკები", რასაც ყაელი არასოდეს გაუვა.

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა მიენიჭა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეგროვებულ ნარატიულ წყაროებს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით „აქტების" მრავალტომეულში გამოქვეყნდა და ამით უზარმაზარი საქმე გაკეთდა.

ქართული სიძველეების შეგროვების საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი მღვდელმთავრები, რომლებიც საისტორიო მეცნიერების ფრონტზეც მოღვაწეობდნენ. ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილის, ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის საისტორიო თხზულებები საქართველოს ისტორიის, ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ჩინებულ და საყურადღებო მაგალითებს წარმოადგენენ.

მაგრამ XIX-XX ს. მიჯნაზე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მწვერვალი მაინც დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მიერ ეპოქალური ნაშრომის „ქართველი ერის ისტორიის“ შესაქმნელად დაწყებული კოლოსალური სამუშაოა.

რატომ?

იმიტომ, რომ, ჩვენი ვარაუდით, სწორედ ამ ნაშრომით ჯამდება გარკვეული ეტაპი ქართველი „თერგდალეულების“ ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობისა, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელი მიმდინარეობდა. ის რომ ამ ეპოქალურ ნაშრომს ჰქვია „ქართველი ერის ისტორია“, და არა „საქართველოს ისტორია“ – ხაზგასმით მიანიშნებს, რომ ავტორი, ისევე როგორც სხვა „თერგდალეულები“ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ერის პრობლემას, ეროვნული ერთიანობის იდეას, რომელიც ამ წიგნის დაწერის დროს დამცრობილი და დამონებული იყო, მაგრამ ქართველი ინტელიგენციის პროგრესული ნაწილის თვალსაზრისით აუცილებლად აღდგებოდა და გაიმარჯვებდა. სწორედ ეს იყო ივანე ჯავახიშვილის მრავალწლიანი შრომის ლაიტმოტივიც – ქართველი ერის პოლიტიკური და სოციალური აღორძინებისათვის იდეოლოგიური საფუძვლების მომზადება.

ნაშრომის მნიშვნელობა უდიდესია საქართველოს ისტორიაში და მასზე მუშაობის დაწყებას გარკვეული პერიოდი უძღოდა წინ. მთავარი იყო ის პრინციპული პოზიცია, რომელიც ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა როგორც მეცნიერსა და მოაზროვნეს. ის, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსი, მუდამ თანაუგრძნობდა „კრიტიკული ნაციონალიზმის“ პრინციპებს და მიაჩნდა მისი რეალიზაცია საისტორიო მეცნიერებაში აუცილებლად და საჭიროდ.

საიდან დიდი ივანეს ასეთი პოზიცია?

როგორც ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფები სამართლიანად აღნიშნავენ: „ივანე ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ადეკვატური მეცნიერება მაენეა ხალხის თვითცნობიერების გამოღვიძებისათვის, ეინაიდან ატყუებს საზოგადოებას, ჰქმნის ყალბ მამულიშვილურ თავმოყვარეობას, რამდენადაც „ღირსებანი დიდდებიან, ნაკლოვანებები მცირდებიან“. ყველაფერი ეს თავის შედეგად „ხალხს ბაქიობას და უსაფუძვლო ამაყობას და კმაყოფილებას შეაჩვევს, დასასრულ ჩვენს წარსულს, აწმყოს იდეალად დაუხატავს“[55].

ივანე ჯავახიშვილი წიგნზე მრავალი წელი მუშაობდა და მას წინ უძღოდა უამრავი ახალი, ნაკლებად ცნობილი თუ საერთოდ უცნობი საისტორიო წყაროების მოძიება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ქართული ნარატიული წყაროების გარდა გამოიყენა ბერძნული, ლათინური, სომხური, არაბული, სპარსული წყაროები და შექმნა ევროპული საისტორიო მეცნიერების უახლესი მიღწევების სადარი

ნაშრომი-მონოლოგი, რომლის მთავარი მიზანი იყო, როგორც ამას თვითონ ავტორი აღნიშნავდა: „მე მინდოდა მკითხველი თანამოაზრედ გამეხადა, რომ მას თვითონაც ეგემნა ის გონებრივი სიამოვნება, რომელსაც მეცნიერ-ისტორიკოსი ჰგრძნობს საისტორიო წყაროების შესწავლისა და კვლევა-ძიების დროს".

„ქართველი ერის ისტორიის" ოთხ ტომში ივანე ჯავახიშვილმა ჩამოაყალიბა ერთიანი და განუყოფელი ქართველი ერის ისტორია, მისი ფორმირებისა და განვითარების ეტაპები და თავისებურებები, გაითვალისწინა იმჟამად არსებული ყველა საისტორიო წყარო, მონაცემი და შექმნა ორიგინალური, დასრულებული ნაშრომი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო. ამით საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის კვლევის ივანე ჯავახიშვილისეულ მიდგომას – როცა ობიექტურობა და პირუთვნელობა ისტორიკოსის მთავარ კრიტერიუმად არის დასახული, და როცა ისტორიკოსი არ „ატყუებს საზოგადოებას", არ „ჰქმნის ყალბ მამულიშვილურ თავმოყვარეობას". ივანე ჯავახიშვილის ამ პრინციპულ სამეცნიერო პოზიციას აქ ჩვენ აქცენტს იმიტომ ვუკეთებთ, რომ ქართველი ერის კონსოლიდაციის სხვა დროსა და სხვა ეტაპზე შეეცდებიან ამ პრინციპის „გადაწერას", შეცვლას, გაყალბებას, რითიც უდიდეს ზიანს მიაყენებენ ქართველი ერის ზეაღმავალ განვითარებას (ამის შესახებ) ქვემოთ).

წიგნი „ქართველი ერის ისტორია" მეცნიერული თვალსაზრისით საუკეთესოდ შეფასდა მისი გამოქვეყნებისთანავე. მაგრამ თვითონ ავტორს აწუხებდა ის გარემოება, რომ „წყაროებით დატვირთვა ძნელ საკითხავად აქცევს ამ წიგნს". და ეს წუხილი საფუძვლიანია, რადგან საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ წიგნს თითქმის არ იცნობდა.

ივანე ჯავახიშვილი, თავის მოწაფეებთან ერთად, სრულიად საქართველოსათვის მართლაც შექმნის ყველასათვის ხელმისაწვდომ ნაშრომს საქართველოს ისტორიაში, მაგრამ ეს მოხდება რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, საქართველოსათვის სრულიად სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარებაში.

§ 7. – ეროვნული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საგრძნობლად გამოცოცხლდა ინტერესი ზოგადქართული ფენომენისადმი, საქართველოს ისტორიის, ქართული ეროვნული მუსიკის, ხალხური ფოლკლორის მიმართ. ეს ინტერესი, უდავოდ, გამოიწვია რუსეთში, ალექსანდრე III მმართველობის პერიოდში, „ერ-

თიანი და განუყოფელი რუსეთის“ იდეის განსაკუთრებულმა პროპაგანდამ, როცა ყველანაირად ცდილობდნენ მიეღწიათ რუსეთის ერთსახოვანი ეთნიკური ერთობისათვის, რათა ბოლომდე გაეთქვიფათ რუსებში იმპერიის ყველა ძირითადი ერები და ეროვნებები. რუსეთის სახელმწიფოს კონსოლიდაციის პროცესი იმდენად უხეში, ძალმომრეობითი ფორმებით ხორციელდებოდა, რომ ის უკურეაქციას იწვევდა ადგილებზე, განსაკუთრებით პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციაში, ძლიერდებოდა ინტერესი და ყურადღება ყოველივე მშობლიურის, ადგილობრივის, ეროვნულის მიმართ. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური იყო იმ კოლონიალურ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივ ინტელექტუალურ ძალებს ჯერ კიდევ შესწევდათ ძალა და ენერგია, რომ წინ აღდგომოდნენ რუსიფიკაციის სახელმწიფო მანქანას.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ქართველი „სამოციანელების“ ინიციატივით ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობა სწორედ ამ პერიოდში მთელი თავისი შესაძლებლობებით გაიშალა და გარკვეული კვალიც დაამჩნია საზოგადოებას. ეროვნული ფასეულობებისადმი ინტერესი, საქართველოს ისტორიისადმი გაღრმავებული ცოდნის შეძენის სურვილის გარდა, ითვალისწინებდა ეროვნული კულტურის გადარჩენილი ძეგლების გამოვლენას და აღწერას, ნარატიული ისტორიული ლიტერატურის მოძიება-შეგროვებას, მუზეუმებისა და წიგნთსაცავების ორგანიზებას. ილია ჭავჭავაძე მიესალმებოდა ქართველი პროფესიონალი თუ მოყვარული ისტორიკოსების მცდლობას მოეძებნათ, შეენახათ და მუზეუმებში დაეცანებინათ ეროვნული მნიშვნელობის საგანძური, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავებდა ერთიანობის შეგნება-შეგრძნებას ქართველთა შორის. იგი წერდა: „ვინ არ იცის, რომ ჩვენს მონასტრებსა და ძველთა-ძველ ეკლესიებში მრავალი საისტორიო განძი მოინახება... რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის განელილის ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ ზედ ამჩნევია ჩვენთა მამა-პაპათა ხელთნაქნართა ჭკუით ნამოქმედართა... კარგი იქნებოდა და დიდს ღვაწლს გაუწევდნენ ჩვენს ძველს ლიტერატურის ისტორიას ცალკე და ცხოვრებისას საერთოდ, რომ ამ ძვირფასის განძის სიები, კატალოგები შესდგეს, თვითოეულად აღნუსხულ იქმნას, რა წიგნია, ვისგან არის შედგენილი, რა დროს ეკუთვნის, რა ზედწარწერანი აქვს...“[56].

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი პროფესიონალი ისტორიკოსები, ქართველი საეკლესიო მოღვაწეები, მართლაც, უდიდესი რუდუნებით აგროვებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, მხატვრული ლიტერატურის ხელნაწერ უნიკალურ ძეგლებს. ამ საქმეში თვალსაჩინოა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი, რომელმაც საქართველოს ბევრი კუთხე შემოიარა და არაერთი საინტერესო საისტორიო ნარატიული ძეგლი გამოავლინა. სწორედ მან აღმოაჩინა, შეისწავლა და გამოაქვეყნა ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“. ექვთიმე რუდუ-

ნებით იკვლევდა ქართველების უპირველესი ნარატიული ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხელნაწერს, რედაქტორობდა კრებულებს: „საქართველოს სიძველეები“, „ხელნაწერთა აღწერილობანი“, „ძველი საქართველო“ და ა.შ.

არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ კოლონიალური ხელისუფლებაც, გარკვეულწილად, ცდილობდა ხელი შეეწყო სიძველეების მოძიების, მათი კლასიფიკაციისა და მუზეუმებში მათი განთავსებისათვის. აღნიშნავენ, რომ თბილისის სიძველეთა მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილი იყო მართლმადიდებლური კულტურის თვალსაჩინო ძეგლები, ერთ-ერთი საუკეთესო იყო რუსეთის იმპერიაში. ამ მუზეუმმა, მოგვიანებით, გარკვეულწილად წინ წასწია საქართველოში პროფესიული საისტორიო მეცნიერების განვითარება.

ჩინებული მუზეუმი და წიგნთსაცავი ჰქონდა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. XX საუკუნის დასაწყისში წიგნთსაცავში 4870 ცალი ქართული წიგნი და ხელნაწერი იყო მოთავსებული, ხოლო მუზეუმში დავანებული იყო როგორც საისტორიო ძეგლები, ისე ნუმიზმატიკის მდიდარი კოლექცია.

სიძველეთა შეგროვება გატაცებად გადაიქცა. ქართველი ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში უკვე აღმოჩნდა რიგითი ქართველი, მისი ცხოვრება, ყოფითი თავისებურებანი. ჩაისახა ინტერესი ეთნოგრაფიული მეცნიერებისადმი. ილია წერდა: „ამ ბოლო დროს ჩვენს განათლებულ საზოგადოებაში გაჩნდა ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელსაც დიდი გაელენა უნდა ჰქონდეს ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ. ეს მოვლენა სახალხო ლექსების შეკრება და ბეჭდვაა ჩვენს ჟურნალ გაზეთებში“[57]. დიდი ილია ქართველ მეცნიერთა წინაშე აყენებდა ქართული ფოლკლორის, ეთნოლოგიის, მუსიკოლოგიის განვითარების ამოცანებს და ხაზს უსვამდა მათ უდიდეს მნიშვნელობას ეროვნული ცნობიერების აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

ამ რთული საქმის განსახორციელებლად, სურვილთან ერთად, საჭირო იყო მაღალპროფესიული კადრებიც. ფოლკლორისტიკა, მუსიკოლოგია იმჟამად ევროპაშიც მხოლოდ ისახებოდა და თავის საკმაოდ სერიოზულ ნაბიჯებს დგამდა. საქართველოშიც გამოჩნდნენ ამ საქმის ენთუზიასტები. ხაზგასასმელია ისიც, რომ უმრავლესი მაოგანი უშუალოდ იყო დაკავშირებული ან ილია ჭავჭავაძესთან, ან ივანე ჯავახიშვილთან. ილია ჭავჭავაძესთან ინტენსიურ კავშირში საქმიანობდა მუსიკოსი ია კარგარეთელი, რომელმაც ქართველებს შემოგვინახა შესანიშნავი ქართული ხალხური პოემა თავფარავნელ ჭაბუკზე, ძველი ქართული სიმღერები: „წყალსა მოჰქონდა ნაფოტი“, „გვყავს მიღებული“ და მრავალი სხვა.

მუსიკათმცოდნეები ერთხმად ამტკიცებენ, რომ XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ქართული პროფესიონალური მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლები თავის შემოქმედებით მოღვაწეობას ქართული საგალობლების, ხალხური მელოდიების შეგროვება–ფიქსაციით იწყებდნენ. აღნიშნავენ, რომ „მელიტონ ბალანჩივაძემ, ზაქარია ფალიაშვილმა, დიმიტრი არაყიშვილმა, ნიკო სულხანიშვილმა და მრავალმა სხვამ სწორედ ხალხური მუსიკალური შემოქმედების ღირშესანიშნავი ნიმუშების შეგროვება-შესწავლით, მათი გამოცემითა და ფართო პოპულარიზაციით დაიწყეს მადლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა“[58].

ივანე ჯავახიშვილთან უშუალო შემოქმედებითი კავშირის საფუძველზე ეწეოდა თავის მუსიკოლოგიურ საქმიანობას ზაქარია ფალიაშვილიც. ის წერდა: „ამ შვიდი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქართველი საზოგადოების დავალებით დავიარე თითქმის მთელი საქართველოს კუთხეები: ქართლ-კახეთი, გურია, იმერეთი, რაჭა-სვანეთი. ბევრი სიმღერა გავიგონე და ჩავწერე კიდეც, დავრწმუნდი, რომ ქართველები ერთ ნიჭიერ ხალხთაგან უნდა ჩაითვალოს სამუსიკო ხელოვნებაში“[59].

როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ქართველი ფოლკლორისტების, მუსიკოლოგების მთავარი შედეგი ის იყო, რომ ისინი აფიქსირებდნენ იმ საერთოს „რაც საქართველოს სხვადასხვა თემის სიმღერებშია“, რომ „საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერათა სამხმიანობა მეტად ხელსაყრელი გარემოებაა მათთვის, რომ ეს სიმღერები ერთი მოდგმის ხალხისაა, ისინი მცირედ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ჰარმონიის მხრივ, მაგრამ სხვაობაა მათ შორის მელოდიის, ხმების მოძრაობისა და სიმკვირცხლით. ქართლ-კახურ სიმღერებს საკვირველად ჩამოჰგავს „სიდინჯით და მოწყობილობით სვანური სიმღერები“ და ა.შ.[60]

ამრიგად, იმჟამინდელი ფოლკლორისტები თავისი საქმიანობით აძლიერებდნენ ერის კონსოლიდაციის იდეოლოგიურ, მეცნიერულ საფუძვლებს, განსაკუთრებით თვალსაჩინოს ხდიდნენ იმ ერთიანს, ურღვევს და გენეტიკურს ქართველთა შორის, რაც ასე უხვად შემოინახა ქართულმა ყოფამ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქართული ფოლკლორის შეგროვებისა და მისი პუბლიკაციის კვალდაკვალ საქართველოში ძლიერი გაქანება ჰპოვა ფოლკლორული ანსამბლების შექმნის პრაქტიკამ. განსაკუთრებით პოპულარული იყო ლადო აღნიაშვილის მიერ ჩამოყალიბებული ფოლკლორული გუნდი, რომელმაც, ასევე, მოძებნა და ახალი სიცოცხლე შთაბერა ბევრ მივიწყებულ მელოდიას. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ლ. აღნიაშვილმა „როგორც მომაჯადოებელმა მომღერალმა, მხოლოდ ერთმა თავის მხრებით ატარა დამცრობილი ხალხური სიმღერა და დიდის დიდებით გამოიტანა ის ცის სინათლეზე“[61].

ძალიან მალე მოიხვეჭეს პოპულარობა საქართველოში ჩეხი ი. რატილის, ს. კავსაძისა და სხვების ფოლკლორელმა ანსამბლებმა. ისინი სულ უფრო და უფრო ხიბლავდნენ არა მარტო ქართველ მსმენელს, არამედ იპყრობდნენ უცხოელი მოგზაურების ყურადღებასაც, რომლებიც ქართული სამუსიკო ფოლკლორის უნიკალურობაზე თავიანთ მოგონებების წიგნებში ასე გულმხურვალედ წერდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ფოლკლორისტების, მუსიკოლოგების მუშაობა არ იყო იზოლირებული საზოგადოების ფართო წრეებისაგან. ისინი მსმენელებს, მკითხველებს ხვდებოდნენ სხვადასხვა კულტურულ საღამოებზე, ბიბლიოთეკებში, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ბიბლიოთეკების ქსელის გავრცელება და მათი საშუალებით ქართველი მოსახლეობის განათლება და აღზრდა, ეს „თერგდალეულთა" მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი და ფასეული მიმართულება იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, უდიდეს ყურადღებას უთმობდა ბიბლიოთეკების ორგანიზებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ახალციხეში, უდეში, ხობში, ახალსენაკში, მათხოჯსა და სხვა სოფლებსა და ქალაქებში. საზოგადოებას სულ 13 ბიბლიოთეკა ჰქონდა[62]. ბიბლიოთეკები უდიდეს საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ ქართველთა შორის ეროვნული ერთიანობის განმტკიცებისა და კუთხური განკერძოების აღმოსაფხვრელად.

აშკარაა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ინტელიგენციის მიერ წამოწყებული და საკმაოდ ინტენსიური საგანმანათლებლო მუშაობა, გარკვეულ დადებით შედეგებს აღწევდა და ქმნიდა ნაყოფიერ საფუძველს სხვა პირობებსა და ისტორიულ ეპოქაში ამ მუშაობის კიდევ უფრო ინტენსიფიკაციისათვის.

ქართული საქმის საკეთებლად უდიდესი ფინანსები იყო საჭირო. ამ საქმეს შეძლებისამებრ ასრულებდა ქართველების ფარული „ფინანსთა სამინისტრო" – თბილისის საადგილმამულო ბანკი.

§ 8. – ქართველების ფარული „ფინანსთა სამინისტრო"

ასე უწოდებენ ქართველი ისტორიკოსები და ეკონომისტები 1874 წელს დაარსებულ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკს, რომლის

ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე თითქმის 30 წლის მანძილზე იყო. ერთი წლით გვიან ანალოგიური ბანკი დაარსდა ქუთაისშიც[63].

სათავადაზნაურო ბანკების დაარსებას საქართველოში ხელი შეუწყო 1861 წლის საგლეხო რეფორმამ, რომლის დროს რუსეთის სახელმწიფომ ქართველ თავადაზნაურობას, გლეხობის განთავისუფლებაში, საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადა.

იმისათვის, რომ ეს თანხა უმიზნოდ არ დახარჯულიყო და ქართველი თავადაზნაურებისათვის შესაძლებლობა მიეცა ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობების შესაბამისად დაეწყოთ მამულების განახლება, ახალი აგროსისტემების და აგროკულტურების დანერგვა, მომავალშიც მუდამ მოეგვარებინათ საკუთარი ეკონომიკური პრობლემები, გადაწყდა – მთავრობისაგან მოცემული თანხის 20% გადაედოთ ბანკის საჭიროებისათვის. ყველამ არა, მაგრამ ქართველი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა (დასაწყისში 480 თავად-აზნაურმა, რომელთა რაოდენობა მოგვიანებით გაიზარდა და შეადგინა 888 კაცი), მართლაც გადასდო მნიშვნელოვანი თანხა ახალი ბანკის დასაარსებლად და ამით, შეიძლება ითქვას, რომ საფუძველი ჩაეყარა ქართველების ყველაზე მნიშვნელოვან ფინანსურ წამოწყებას, სადაც აკუმულირებული იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, რომელიც შეიძლებოდა ქართულ საქმეს მოხმარებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის ფუნქციონირებაში, მის დამფუძნებელთა და ხელმძღვანელთა შორის ბევრი იყო „თერგდალეული“, რომლებიც თავიდანვე მიზნად ისახავდნენ ბანკის ფინანსური შესაძლებლობები ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის განსამტკიცებლადაც გამოეყენებინათ. ისიც აღსანიშნავია, რომ ბანკის არსებობამ უზრუნველყო ქართული ენის ფუნქციონალური დანიშნულების განმტკიცება, საფინანსო-ეკონომიკურ სივრცეში მისი ინტენსიური განვითარება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ ქართული ენის ხმარების არეალის გასაფართოებლად რუსეთის ანტიქართული პოლიტიკის გაძლიერების ფონზე.

ქართველი ეკონომისტების დიდი ნაწილი ასე აფასებს ბანკის მოღვაწეობას: „ილია ჭავჭავაძე საბანკო სარბიელზე გადასვლით საქართველოსათვის დიდ, ყველაზე არსებით და ყველაზე მასშტაბურ საქმეს ჩაუდგა სათავეში“. იმასაც ამტკიცებენ, რომ ბანკი ილიას ხელმძღვანელობით „გადაიქცა დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს ეკონომიკური და სულიერი განვითარების მზარდ ეკონომიკურ კონსტრუქციად, მისი აღორძინებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უმძლავრეს იარაღად“[64].

თუ ჩვენ გავიხსენებთ, რა კონკრეტული მიზნები ჰქონდათ ქართველ „სამოციანელებს“ და რა დიდი ინტენსივობით მოღვაწეობდნენ ქართველი ერის კონსოლიდაციის მიზნით ყველა მიმართულებით, იქნებოდა ეს განათლება,

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების ქსელი, ქართული თეატრი და კულტურის სხვა დაწესებულებები, რაშიც მეფის ხელისუფლება ერთ მანეთსაც არ იღებდა, რა თქმა უნდა, ბანკის საქმიანობა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დასპონსორების მიმართულებით, უაღრესად დადებითად უნდა შეფასდეს.

როგორც დასტურდება, ბანკის ხელმძღვანელობა, რომელიც მუდამ იყო შუღლული ბანკის წესდებით და უამრავი სხვა გარემოებებით, მუდამ ცდილობდა დახმარებოდა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს და ამისათვის ზოგჯერ წესებსაც კი არღვევდა.

მაგალითისთვის საკმარისია ერთი შემთხვევაც ბანკის ცხოვრებიდან. ქართული თეატრის შენობის გასარემონტებლად ბანკის გამგეობამ გამოჰყო 30 ათასი მანეთი. მაგრამ ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა და მოითხოვა დამატებით კიდევ 140 ათასი მანეთი, რაც ბანკის ხელმძღვანელობამ (წაიკითხე – ი. ჭავჭავაძემ) თავისი უფლებების გადამეტების საფუძველზე კიდევ გამოჰყო. ამან დამფუძნებლებისა და აქციონერების აღშფოთება და გაღიზიანებაც გამოიწვია. მათ თავისი გულისწყრომა ილიას საერთო კრებაზე განუცხადეს და მოითხოვეს მისი სამაგალითო დასჯა. ილიამ კრებაზე აღნიშნა შემდეგი: „ჩვენ წინათაც გვითქვამს და ახლაც ვამბობთ, რომ თეატრს დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, ჩვენი საზოგადოებისათვის ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუმართოს, სახელი და დიდება თბილისის ბანკს, რომ ქართულ თეატრს საზოგადო საქმედ სესხი და ფული გამოუყო“[65].

თუ გადაუხედაუთ ბანკის მიერ 30 წლის მანძილზე გაღებულ თანხებს ქართული საგანმანათლებლო თუ კულტურული ორგანიზაციების დასაფინანსებლად, მართლა, სახეზეა ზრუნვა ეროვნული კულტურული დაწესებულებების განვითარებისათვის. მაგალითად დაფინანსდნენ: თბილისის თავადაზნაურთა გიმნაზია, წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, თბილისისა და თელავის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები, გორის ვაჟთა გიმნაზია, თბილისის სახალხო უნივერსიტეტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული დრამატული საზოგადოება, კახეთის რკინიგზის საძიებო სამუშაოები და სხვა მრავალი.

თბილისის თავადაზნაურული ბანკის ხელმძღვანელობის ასეთ ქველმოქმედ საქმიანობას დადებითად აფასებდა იმჟამინდელი ქართული საზოგადოება. კიტა აბაშიძე წერდა: „ისტორიული მდგომარეობა ჩვენი იმგვარად მოაწყო ბედმა, რომ ერთადერთი საზოგადო საქმე, რომელსაც რაიმე პრაქტიკული კეთილი შეღება მოჰყვა, ჩვენი ბანკებია. არა გვაქვს სხვა ისეთი დაწესებულება, რომ ჩვენ საზოგადო საქმეს განაგებდეს“[66].

მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სერიოზული განხეთქილება „თერგდალეულთა“ შორის სწორედ საბანკო საქმემ გამოიწვია. წარმოშვა გადაულახავი დაპირისპირება, ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძეს, და მეორე მხრივ, ივანე მაჩაბელს, ნიკო ნიკოლაძეს, დიმიტრი ყიფიანს შორის.

განსაკუთრებით დრამატული ფორმა მიიღო დაპირისპირებამ ილიასა და ივანე მაჩაბელს შორის. ისინი ადრე დიდი მეგობრები იყვნენ. ერთად თარგმნიდნენ შექსპირს. მაგრამ ფინანსურმა-საბანკო საქმემ ისინი ტრაგიკულად გადაჰკიდა ერთმანეთს. ივანე მაჩაბელი ილია ჭავჭავაძეს ბანკის ხელმძღვანელობაში დაშვებულ გადაცდომებსა და დარღვევებს უკრიტიკებდა. ის ამტკიცებდა, რომ ილიასათვის დამახასიათებელი იყო „ამბიციურობა, პირველობისადმი სწრაფვა, ლამის დიქტატორობის წყურვილი“, რომ ილიამ „ვერ გაიცნო, ვერ შეითვისა ანბანიც-კი ბანკის საქმის“[67].

ყოფილი მეგობრების მწვავე პოლემიკამ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მან წაახალისა „თერგდალეულთა“ ისეთი იდეური მოწინააღმდეგეები, როგორიც იყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები (ამის შესახებ, ქვემოთ).

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ამ დაპირისპირებამ სერიოზულად შეაფერხა „თერგდალეულთა“ უდიდესი მუშაობა ერის კონსოლიდაციის პროცესის განვითარების მიმართულებით, რაც აშკარად დასუსტდა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ტოტალური გავრცელების ფონზე.

ჩვენდათავად აღვნიშნავთ, რომ თბილისის საადგილმამულო ბანკის მნიშვნელობა ერის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის, შენახვა-დაცვის, კულტურის მოღვაწეთა დახმარებისა და ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობისათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად, ფასეულია და აღსანიშნავი, მაგრამ ამ საქმიანობის გადაჭარბებული შეფასებაც, რომელიც შეიმჩნევა თანამედროვე ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში, არ შეიძლება.

როგორც აღნიშნავენ, 30 წლის მანძილზე ბანკმა სხვადასხვა საქმის დასაფინანსებლად გამოჰყო 2 მილიონი რუსული მანეთი, რაც თავისი მსყიდველობითი უნარით იმჟამად, მართლაც, კოლოსალური თანხა იყო, მაგრამ ამ თანხის 2/3 (თითქმის 1 500 000 მანეთი) მოხმარდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენახვას, ახალი შენობის აგებას, რემონტს და ა.შ. ფაქტობრივად მხოლოდ ნახევარი მილიონი მანეთი დაიხარჯა სხვა ქართული საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებებისათვის. ჩვენი გამოანგარიშებით ბანკი საშუალოდ წელიწადში ხარჯავდა 66 666 მანეთს. თუ ერთმანეთს შევადარებთ კონკრეტულ დანახარჯებს – განსხვავება მართლაც კოლოსალურია. მაგალითად: თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზი-

ისათვის გამოყოფილი 1 500 000 მანეთი და გორის ვაჟთა გიმნაზიისათვის მიცემული – 3 500 მანეთი, წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლისათვის გაღებული 105 760 მანეთი და თბილისის თავშესაფრისთვის ვაღარიცხული 1000 მანეთი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 30 წლის მანძილზე გამოეყო სულ 11 ათასი მანეთი[68].

რა თქმა უნდა, კლასობრივ საზოგადოებაში, კაპიტალიზმის ეკონომიკური პრინციპების დაცვის გარეშე ვერცერთი კომერციული ბანკი ვერ იარსებებს და მისი ქველმოქმედებაც, რა თქმა უნდა, მუდამ კლასობრივი შინაარსის მატარებელია. ეს კაპიტალიზმის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი კანონია.

აქედან გამომდინარე, ჩვენ გადაჭარბებულად გვეჩვენება ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მიმართ გამოთქმული მოსაზრება. რომ „ბანკი გადაიქცა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების, მისი სამშობლოს აღორძინების, მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მთაეარ არენად, სკოლად, ბრძოლის ველად, ერთგვარ პარლამენტად“[69]. თუმცა ბანკის მიერ გაკეთებული საქმეები უაღრესად საჭირო და აუცილებელი იყო.

მაგრამ ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ აკად. პ. გუგუშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც მან ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებების ანალიზის დროს განსაკუთრებით წარმოაჩინა. აი, რას ამბობდა დიდი ილია „... სადაც ჩაი, სორგო, ალისარისული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარი საზეთო, სამღებრო, სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორც, მაგალითად, პურია, ჩვენი ფიქრით დიდი შეცდომაა... ნუთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი ჰავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით“[70].

ილიას სიცოცხლეში ეს გონიერი რჩევა ვერ განხორციელდა, ამისათვის არ იყო სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობები. მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ დადგება საკითხი ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესში საქართველოს ბუნებრივი პირობების უფრო რაციონალური გამოყენების შესახებ...

ყველაზე რთული და ძნელად განსახორციელებელი ამოცანა ქართველი პატრიოტებისათვის („თერგდალეულებისათვის“) – რელიგიური განსხვავებებით ერთმანეთისაგან გამიჯნული ქართველობის მონოლითური შეკავშირება იყო. როგორც ჩანს, ამ თემაზე ისინი დიდი ხნის მანძილზე ფიქრობდნენ, განსაკუთრებით კი ეს პრობლემა ილია ჭავჭავაძეს აღელვებდა. მას ღრმად სწამდა, რომ არავითარმა ფაქტორმა, გარემოებამ, ფასეულობამ არ უნდა შეაფერხოს მრავალკონფესიური ქართველობის ერთიანობა. რომ მოწოდება – „საქართველო – უპირველეს ყოლისა!“, უნდა გადაიქცეს ნებისმიერი ქართველის (თუ კი ის ამად თავის თაეს თვლიდა) ძირითად და უპირობო მოთხოვნილებად.

მიგვაჩნია, რომ ილიას ცნობილ „სამებაში“, რაც ქართველი ერისათვის სათაყვანებელ ლოზუნგად გადაიქცა – „ენა, მამული, სარწმუნოება“, შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ ფიგურირებს ცნება – „სარწმუნოება“, ხოლო „მართლმადიდებლობა“ კი დაფიქსირებული არ არის.

ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანს, ილია ჭავჭავაძეს არ უნდა გაძნელებოდა ამ სამერთიან კომპოზიტში „მართლმადიდებლობის“ შეტანა. მას არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ რუსეთის იმპერიის ფუნდამენტური სახელმწიფოებრივი „სამება“ ასე ჟღერდა – „თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა, ხალხურობა“. ევარაუდობთ, რომ სწორედ ამ რუსული ფუნდამენტური ლოზუნგის ანალოგიით მან უფრო ერიონული და ქართველებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამერთიანი ფორმულა ჩამოაყალიბა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გაეცემთ შთამომავლობას?“[71].

ილია ჭავჭავაძემ ეს აზრი გამოთქვა 1860 წლის 5 ნოემბერს, როცა რუსეთის იმპერიას უკვე შემომტკიცებული ჰქონდა უძველესი ქართული მიწა – მესხეთ-ჯავახეთი თავისი ქართული წარმომავლობის მაჰმადიანი მოსახლეობით, რომლის ნაწილმა საერთოდ არ იცოდა ქართული, ზოგს კი ქართული გვარი კი ჰქონდა, მაგრამ ქართული ცნობიერება თითქმის დაკარგული, ზოგმაც მეტ-ნაკლებად იცოდა ქართული ენა და ა.შ.

ქართული წარმომავლობის მაჰმადიანების რიცხვი სამხრეთ კავკასიაში კიდევ უფრო გაიზარდა 1878 წელს, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, როცა აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მიწები შემოუერთეს ქუთაისის გუბერნიას. ამ ტერიტორიულმა შემომატებამ ქართველების პოლიკონფესიური პრობლემის სიმწვავე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა.

მიგვაჩნია, რომ სწორედ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში არამართლმადიდებელი, ქართული წარმომავლობის მაჰმადიანთა ორგანული შეკავშირებისათვის ილიამ აირჩია რელიგიური თვალსაზრისით უფრო ნეიტრალური ფორმა – „სარწმუნოება“, რაც გულისხმობდა არა რომელიმე კონკრეტულ რელიგიას (მართლმადიდებლობას, კათოლიციზმს, გრიგორიანელობას, მაჰმადის რჯულს, ან თუნდაც, თვით სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებასაც კი – ნ. ბერდიაევის სიტყვებს თუ გავიხსენებთ მარქსიზმი ხომ რწმენა და რელიგიაც არის), არამედ „რწმენა“, როგორც ასეთი, როგორც ადამიანის პიროვნული არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ფენომენი.

ილია ჭავჭავაძის მიერ შემოთავაზებულ სამერთიან კომპოზიტში ის, ჩვენი ვარაუდით, უნდა გულისხმობდეს სწორედ „საქართველოს სიყვარულის რწმენას“, „საქართველოს ინტერესის უპირატესობის რწმენას“, როგორც ძირითად და განმსაზღვრელ „სარწმუნოებას“ ნებისმიერი ქართველი ადამიანისათვის, რა კონფესიის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო ის.

ამ თამამი ჰიპოთეზის განცხადების საფუძველს გვაძლევს ქართველი ახალგაზრდების („თერგდალეულების“) მთელი შემდგომდროინდელი მოღვაწეობა, მათი გამონათქვამები საჯარო შეხვედრებზე თუ პერიოდულ პრესაში.

1878 წელს, ახლადშემოერთებული აჭარიდან თბილისში ჩამოვიდა პროქართულად განწყობილი აჭარის საზოგადოებრიობის წარმომადგენლობა. მეფისნაცვალთან შეხვედრის შემდეგ, რაც ოფიციალური პროტოკოლით ჩატარდა და რუსეთის იმპერიაში აჭარის შეერთების პროგრესულ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილებას ისახავდა მიზნად, მოხდა ქართველობისთვის მეტად საინტერესო, შეიძლება ითქვას ისტორიული შეხვედრაც. თავად კონსტანტინე მუხრან-ბატონის სასახლეში საქართველოს საზოგადოებრიობამ მიღება მოუწყო მაჰმადიან ქართველებს – რომელთაც ეროვნული თვითშეგნება საკმაოდ ძალუმად ჰქონდათ მომადლებული. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ამ შეხვედრის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

ქართველი ქრისტიანების მხრიდან ამ შეხვედრას ესწრებოდნენ: თავადი კონსტანტინე მუხრან-ბატონი, თავადი გრიგოლ ორბელიანი, პოეტი აკაკი წერეთელი, პუბლიცისტი სერგი მესხი, ი. ანდრონიკაშვილი, დ. ჯორჯაძე, დ. ფურცელაძე და სხვები. აჭარიდან თბილისში ჩამოვიდნენ: შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, ჰასან-ბეგ ბეჟანიძე, მუფთი ხასან ეფენდი სურმანიძე და სხვები, სულ 16 კაცი.[72]

ამ შეხვედრაზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ქართველების ერთიანობაზე, რომ ქართველობა და მამულიშვილობა უფრო მეტია, ვიდრე მათი რელიგიური კუთვნილება, რომ რელიგიურმა განსხვავებებმა და ყოფით გამოწვე-

ულმა ცვლილებებმა არ უნდა შეასუსტოს ქართველობის ერთობლივი ზრუნვა საქართველოს აღორინება-გაძლიერებისათვის, რომ უნდა მოინახოს ის ფუნდამენტი, რომელიც ახალ ვითარებაში ხელს შეუწყობს ქართველი ერის კონსოლიდაციას.

საზეიმო შეხვედრაზე ისიც ითქვა: რომ „შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყეველად და დღეს იქით ლხინშიც, ჭირშიც უნდა ვიყვეთ ერთად, ვითარცა ერთიანი დედა-საქართველოს შვილნი“[73].

შეხვედრაზე აჭარის წარმომადგენელმა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა განაცხადა შემდეგი: „დღეს, როდესაც ერთად ვართ, ღმერთმა ქნას მეცა და ჩემ თანამოძმეებსაც საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება – შეერთებული ვიყოთ მტკიცედ, ძმურად, ჩვენთვის დიდი ხნის აქეთ დაშორებულ მრავალრიცხოვან ძმებთან, სულით, გულით და ყოველ კეთლგანწყობით ხელი ხელ მოგეცეს...“[74].

ამ მეჯლისზე აკაკი წერეთელსაც უთქვამს შემდეგი: „ახლა ვხედავთ, ჩვენი წინაპრების დაპირებები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი“[75].

აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა, რომელიც სერიოზულად უახლოვდებოდა ათეიზმს, საოცრად ადვილად ითავისებდა იმ ფუნდამენტურ პოსტულატს, რომ მოწოდება – „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ უნდა იყოს მთავარი და ძირითადი დებულება ყველა კონფესიური თუ არაკონფესიური აღმსარებლობის ქართველისათვის, რომ მათთვის ერთადერთი იდეა მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ქართველი მოსახლეობის ამ მიზნით მომზადება უნდა ყოფილიყო.

აჭარელთა დელეგაციის სტუმრობა იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტი აღმოჩნდა, რომ მართალია მეჯლისს ვერ დაესწრო, მაგრამ გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე მეორე დღეს საგანგებოდ შეხვდა ქართველ მაჰმადიანებს და ასეთი სიტყვებით მიმართა მათ: „საყვარელო შვილებო, ძმებო და ნათესავებო ქართველო მაჰმადიანებო, მოგილოცავთ დაკარგულ ძმებთან შეერთებას და საქართველოს დედაქალაქ თბილისში ჩამობრძანებას... იყავით კარგად და დამერწმუნებით, რომ ჩვენ ქართველი ქრისტიანები ყოველთვის ვიქნებით თქვენი სარწმუნოების მფარველნი და მადლობელნი. იქონიეთ იმედი, რომ არც ერთი ჩვენთაგანი თქვენს სჯულსა და ადათ-წესებს და ჩვეულებებს არავინ შეეხება ავად“[76].

ილია ჭავჭავაძეც, რომელიც ამ მეჯლისს ვერ დაესწრო, თავისი პრინციპული პოზიცია, რომლის შესახებ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პრესაში არა ერთხელ საჯაროდ გაახმაურა: უპირატესობა მხოლოდ საერთო ეროვნულს,

ერთობლივი ზრუნვა მხოლოდ საქართველოს სულიერი აღორძინებისათვის, მიზანი მხოლოდ ერთი – „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“.

აი რას წერდა დიდი ილია: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, – დღეს ჩვენ შემოგვიერთდა, და თუ კარგად მოექცევიან – ვის ხელთაც არის აწ იმათი ბედი, ჩვენთან იქნება კიდეც სამუდამოდ.“[77]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთების გულმხურვალე მოამაგე და პატრიოტი სერგი მესხი ახლადშემოერთებული ძმებისადმი გამორჩეულ ზრუნვას ავლენდა. ის ყველას მოუწოდებდა: „ტკბილი სიტყვებითაც კი არ უნდა ვეცადოთ ჩვენ მათ გაქრისტიანებას, თორემ თავიდანვე განზე დაგვიწყებენ ყურებას, სარწმუნოება სინდისის საქმეა, ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს ამას კაცი... არც ქადაგობა, არც რჩევა არ არის საჭირო ამ შემთხვევაში, თვითონ თავისთავად თუ გაიგებენ და დარწმუნდებიან ქრისტიანთ სარწმუნოების უმჯობესობაში და მიიღებენ ამ სარწმუნოებას, ხომ კარგი, თუ არა და იყვნენ, დარჩნენ ისე, როგორც არიან“[78].

მოგვიანებით ილია ჭავჭავაძე, გერმანიის გამოცდილებიდან გამომდინარე, განაცხადებს პოლიკონფესიური ქართველების გასაგონად: „იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, საცა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია“[79].

აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ი. ჭავჭავაძე გერმანიის II რეიხისა და მისი ლიდერის, ბისმარკის მიერ ეროვნული კონსოლიდაციის მიზნით განხორციელებულ ეფექტიან პოლიტიკას გულისხმობდა. როგორც აღინიშნა, ამ პოლიტიკამ რელიგიურ განსხვავებებზე მაღლა გერმანიის ერთიანობის იდეა დააყენა და უდიდეს გამარჯვებებსაც მიაღწია ერის კონსოლიდაციის გზაზე. ილიამ და მისმა მეგობრებმაც სწორედ ეს ამოცანა დაუსახეს სრულიად საქართველოს.

ქრისტიანი ქართველების ძმური დახვედრით აღფრთოვანებული აჭარლები მოგვიანებით წერდნენ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე: “ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს ჩვენმა ძმებმა, ქართველმა ქრისტიანებმა ყურადღება მოგვაქციეს და ჩვენთვის წერილებიც დაბეჭდეს. ჩვენი საყვარელი ქვეყანა საქართველოა, ჩვენი სამშობლო ენაც – ქართულია“.[80]

რახან ბათუმის ოლქიდან ჩამოსულ ქართველ მაჰმადიანებთან თბილისის ინტელიგენციის შეხვედრის პერიპეტიებზე ვმსჯელობთ, ძალაუნებურად წინ წამოიწევა შეკითხვა – ასეთ შეხვედრას, ასეთ აზრთა გაცვლა-გამოც-

ელას და ძმური და ყოველმხრივი ერთიანობისადმი მიძღვნილი გულმხურვალე სიტყვების წარმოთქმას ადგილი თუ ჰქონდა 1829 წელს, მესხეთ-ჯავახეთის – ანუ ახალციხის საფაშოს შემოერთების შემდეგ? ჩამოვიდნენ თუ არა გამაჰმადიანებული მესხების წარმომადგენლები თბილისში? შეხვდნენ თუ არა ისინი ქართველ თანამემამულეებს?

სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხზე დუმილია. შესაძლებელია სათქმელიც არაფერია... როგორც ჩანს, ადგილობრივ მესხ მაჰმადიანებს, თუნდაც ქართული წარმომავლობით, ქართული ცნობიერება კიდევ უფრო დაკარგული ჰქონდათ, ვიდრე მათ თანამემამულე აჭარლებს.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთის 1897 წლის აღწერით თვით აჭარაში, მხოლოდ ერთი ნაწილი მაჰმადიანებისა ასახელებდა თავის თავს ქართველად. მაგრამ სწორედ ისინი გახდნენ ქართველობისა და მამულიშვილობის ტრადიციის აღორძინების, გაძლიერებისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი დემიურგი ამ რეგიონში.

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ აჭარაში, ბათუმში იმჟამად ძლიერი პროოსმალური დაჯგუფებაც არსებობდა, რომლის ცენტრი აზიზიეს მეჩეთი იყო. მოგვიანებით ეს ადამიანები, მათ შორის ბევრი ქართული წარმომავლობის მაჰმადიანი, „სედაი მილეთის“ პროთურქულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაერთიანდება და აქტიურად იბრძოლებს „დედა-სამშობლოში“ – თურქეთის იმპერიაში დასაბრუნებლად.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმპერიული რუსეთიც, მფლობელი და ოფიციალური ბატონ-პატრონი ახლადშემოერთებული აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთის მიწებისა, სასაზღვრო რეგიონის მოსახლეობის ტოტალურ გარუსებას ვარაუდობდა და ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენციის სენტიმენტალური სენტენციები მისთვის შემაფერხებელი ბარიერი, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა.

რა დაუპირისპირეს მსოფლიო იმპერიების ანტიქართულ მცდელობებს ქართველმა ახალგაზრდებმა („თერგდალეულებმა“)?

ქართველობის ერთიანობის იდეის განმტკიცება!

ამის ერთადერთი საშუალება საერთო სალაპარაკო ენის – ქართული ენის პოპულარიზება და რეგიონში ამ ენაზე სკოლების ფართო ქსელის შექმნა იყო. ქართული წარმომავლობის მაჰმადიანებით (განსაკუთრებით ვისთვისაც ქართული ჯერ კიდევ მშობლიური იყო) დასახლებულ სასოფლო რეგიონებში ქართული სკოლების შექმნა „თერგდალეულების მიერ“ ჩაითვალა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

რუსეთთან შეერთებამდე ქართული წარმომავლობის მაჰმადიანები, რომლებისთვისაც ქართული ჯერ კიდევ მშობლიური იყო, ქართულს სახლში, დე-

დის დახმარებით, სახელმძღვანელოების გარეშე სწავლობდნენ. რა თქმა უნდა, წერა-კითხვას მუსლიმურ მეჩეთებთან არსებულ მედრესებში, მაჰმადის რჯულის ძირითად პრინციპებთან ერთად ითვისებდნენ.

„თერგდალეულებმა“ მიზნად დაისახეს ქართული წარმომავლობის მაჰმადიანი მოსახლეობისათვის ადგილზე დაწყებითი სკოლების ქსელის ორგანიზება. ისინი კარგად გრძნობდნენ, რომ ამ საქმეში რუსეთის ხელისუფლება მათი დამხმარე არ იქნებოდა, ამიტომაც სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებების, პირველ რიგში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ რესურსების ამოქმედებით აჭარაში პირველი ქართული სკოლის გასახსნელად ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა.

როგორც ამბობენ, აჭარის გულმხურვალე მოამაგე სერგი მესხი ქართველ მაჰმადიანებთან სრულიად ქართველობის დაახლოების კონკრეტულ საშუალებად თელიდა „ხშირ-ხშირ მისვლას, ვაჭრობას, აღებ-მიცემობას, მაგრამ მთავარ საშუალებად ის თელიდა მაჰმადიან ქართველებში წერა-კითხვის გავრცელებას, რაც შეიძლება ბევრი ქართული სკოლის გახსნას. ამისათვის კი აუცილებელი იყო საკმაო რაოდენობის მასწავლებლების მომზადება“[81].

ილია ჭავჭავაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აჭარაში ქართული სკოლის ორგანიზების საქმეს. მისი აზრით „თუ ჩვენს შორის კიდევ ცოტა ოდენი განსხვავება და გარჩევაა – ამის მოსპობა ძნელი არ არის. მაგრამ რამ უნდა მოსპოს ეს განსხვავება? რა არის ისეთი საშუალება, რომელიც ნამდვილ ძმებად, ერთი დედის შვილად გაგვხდის ჩვენ ჩოლოქის იქითა და აქეთა საქართველოს შვილებს? ჩვენი აზრით, ერთი უმთავრესი ამისი საშუალება არის ქართული სკოლა“[82].

იაკობ გოგებაშვილი იმჟამად წერდა: „აჭარასა და ქობულეთში შეიძლება მომეტებული შკოლები გაიმართოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა ისევისე ძმურ სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში“[83].

ქართული სკოლის აჭარაში გახსნას მიესალმებოდნენ აჭარელი მამულიშვილებიც. ისინი, როგორც თბილისისა და ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენლები, ფიქრობდნენ, რომ ქართული ეროვნული სკოლა გახდებოდა მაჰმადიან ქართველებში ეროვნული თვითშეგნების აღორძინებისა და განმტკიცების, კონფესიური განსხვავებებით გამოწვეული პრობლემების დაძლევის ძირითადი საშუალება. აჭარელი იბრაიმ აბაშიძე თავის ერთერთ წერილში ხაზგასმით მიუთითებდა: „... ჩვენი შვილებისა და ქრისტიანების ერთად სწავლა არის დასაწყისი... მომავალი ურთიერთშორის დაკავშირებისა“[84].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფინანსებით 1881 წელს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. პირველად სკოლაში სულ 11 მაჰმადიანი, მათ შორის ერთი გოგონა, 6 კათოლიკე და 11 მართლმადიდებული ბავშვი სწავლობდა[85].

ცოტა მოგვიანებით, უკვე 30 ქრისტიანი და 30 მართლმადიდებელი ბავშვი ეუფლებოდა ქართულ ენასა და ქართულ კულტურას. სკოლის გახსნას თვითონ ილია ჭავჭავაძეც დაესწრო. პირველი პედაგოგი ალ. ნანეიშვილი ყოფილა. ილია არიგებდა მას – „იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო... დიდი მიღწევა იქნება ჩვენი მხრივ წერა-კითხვასთან ერთად თუ შეაგნებინებთ, რომ ისინი ქართველები არიან, რომლებიც ჩვენგან განირჩევიან მხოლოდ სარწმუნოებით“[86].

„თერგდალეულებს“ სერიოზულად აშინებდათ მათი უანგარო მცდელობისათვის მაჰმადიანების მხრიდან არაჯანსაღი დამოკიდებულების პროვოცირება, მუსლიმური ფუნდამენტალიზმის გამოვლენის შემთხვევები, მათ შორის რაიმე განხეთქილების ჩამოგდების მცდელობა. ამიტომაც ილია ყველას გასაგონად აცხადებდა: „ნურავის ნუ ექნება იმის შიში და ეჭვი, რომ ვინმე ეცდება მაჰმადიანი ყმაწვილების გაქრისტიანებას, რჯულის გამოცვლას. სკოლა მხოლოდ იმას ეცდება, ასწაელოს რაიმე ყმაწვილებს, გონება გაუხსნას ... პატიოსანი და ქვეყნის შვილი შეიძლება ქრისტიანიც იყვეს და მაჰმადიანიც“[87].

ცოტა მოგვიანებით ბათუმის სკოლა მოინახულა და მისი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები დასახა იაკობ გოგებაშვილმაც. მას ჩინებულად ჰქონდა გაცნობიერებული ბათუმის სკოლის უდიდესი მნიშვნელობა ქართველების კონსოლიდაციის საქმეში: „განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობს იმაში, რომ ახლადშემოერთებულ მაჰმადიან ქართველთა შვილები მოეზიდნა, პირველდაწყებითი განათლება მიეცა მათთვის... და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლ ძმათა შორის, რომელნიც... ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულ საუკუნეებში“.

იაკობ გოგებაშვილს ძალიან მოსწონებია ადგილობრივი მაჰმადიანი მოზარდების ცოდნის დონე, განსაკუთრებით სამშობლოს ქვეყნის ისტორიაში მათი ინფორმირებულობა. მან ბათუმის სკოლის მესვეურებს ურჩია უფრო აქტიურად მოეზიდათ მაჰმადიანი ბავშვები, ხოლო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელმძღვანელების წინაშე დააყენა აჭარის რამდენიმე დიდ სოფელში ქართული სკოლის ორგანიზების საკითხი[88].

უნდა აღინიშნოს, რომ იყო მცდელობა ანალოგიური სკოლა ქობულეთშიც გახსნილიყო, მაგრამ იმხანად ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

ბათუმის პირველი სკოლის შენახვა და მისი ფუნქციონირების ნორმალური განვითარება სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს ქმნიდა, მაგრამ „თერგდალეულებს" კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული ბათუმის სკოლის უდიდესი მნიშვნელობა და ამ მსხვერპლზე შეგნებულად მიდიოდნენ. ივანე მაჩაბელი ერთ-ერთ შეხვედრაზე ამბობდა, რომ ბათუმის სკოლის შენახვა საზოგადოებისათვის ძნელი პრობლემა იქნებოდა, მაგრამ მან მაინც უნდა იარსებოს, რადგან ეს სკოლა ისეთი დაწესებულებაა, რომლის სარგებლიანობა და მნიშვნელობა ფულით არ განისაზღვრება[89].

ბათუმის სკოლაში ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, თვალსაჩინო სწავლება, სუფთა წერა, გალობა და გიმნასტიკა.

სკოლა ქართველი ინტელიგენციის მუდმივი ზრუნვის საგანი გახდა. მას ეხმარებოდნენ ლიტერატურით, სასკოლო ნივთებით, ფინანსებით.

გარკვეული პრობლემები სკოლას თავიდანვე თან დაჰყვა. მაჰმადიანი ბავშვები ძალიან დიდ მგრძნობელობას იჩენდნენ ეთნიკურ და რელიგიურ განსხვავებებთან დაკავშირებით და პედაგოგს, ილია ჭავჭავაძის შეგონებიდან გამომდინარე, სულ სჭირდებოდა სიფხიზლე და სიფრთხილე, რომ მათი რელიგიური გრძნობები არ შელახულიყო. დიდი ქართველი მამულიშვილი მემედ აბაშიძე თავის მოგონებებში იხსენებს თავისი მეგობრების იმ მწვავე რეაქციას, რაც მოჰყვა მის მიერ კლასში საჯაროდ განცხადებულ აღსარებას – „მე ქართველი ვარ!". როგორც ის ამტკიცებს, მაჰმადიანი მეგობრებისაგან მან დიდი ზიზღი და ათვალისწუნება დაიმსახურა, რადგან მათ შეგნებაში „ქართველი" ნიშნავდა „ქრისტიანს" და მაჰმადიანმა მეგობრებმა ფაქტობრივად ის მაჰმადიანური რელიგიისაგან განდგომილად ჩათვალეს.

ამის მსგავსი სხვა ბევრი პრობლემაც იყო. მუსლიმური რელიგიის მსახურები – მოლები და ხოჯები იყენებდნენ თავის ზეგავლენას და ურჩევდნენ მაჰმადიან ქართველებს შვილები მხოლოდ მედრესებში მიებარებინათ, რათა ცოდვაში არ ჩავარდნოდათ შვილები ქრისტიანებთან მჭიდრო კონტაქტის გამო, რადგან ისინი ჭეშმარიტი მუსლიმები უნდა გამოსულიყვნენ. ამ პროპაგანდას უკვალოდ არ ჩაუვლია. საუკუნის დასასრულს ბათუმის სკოლაში მხოლოდ ქრისტიანი ბავშვები სწავლობდნენ.

ვითარება, რაც შეიქმნა ბათუმის ქართულ სკოლაში, იყო ანარეკლი რეგიონში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, რასაც მეფის რუსეთი, ერთი მხრივ, და თურქეთი – მეორე მხრივ, მიზანმიმართულად ანხორციელებდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

აჭარის ისტორიის მკვლევრები აღნიშნავენ, რომ „აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყველაფერი ლამის ისევ ისე დარჩა, ისევ ის გაჭირვება, ჩამორჩენილობა, მოშლილი და დანგრეული სოფლის მეურნეობა, არავითარი ეკონომიკა“[90].

აჭარის შეერთების შემდეგ რუსეთის წვრილფეხა ჩინოვნიკობა კალიასავით შეესია ბათუმის ოლქს და ძალიან მალე შეაბეზრა თავი ადგილობრივ მოსახლეობას თავისი მექრთამეობით, ადამიანის პრობლემებისადმი უგულისყურო დამოკიდებულებით, ბიუროკრატიული სიმახინჯეებით. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ არ მომხდარიყო ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ხშირი კონტაქტი, თანამშრომლობა, ძმური კავშირების აღდგენა-განმტკიცება. რუსი ჩინოსნები ყველანაირად ‘უჩიჩინებდნენ ადგილობრივ მაჰმადიანებს, რომ ისინი ქართველები კი არ იყვნენ, არამედ იყვნენ „თათრები“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტიც სცოდაედა: შეშინებული იმით, რომ მაჰმადიანებს ისინი ზეწოლაში არ დაედანაშაულებინათ, ისინი თვითონ ურჩევდნენ მაჰმადიანებს არ გამოეცვალათ სარწმუნოება, არ შეეცვალათ ეთნიკური კუთვნიელება, დარჩენილიყვნენ აჭარლებად. საინტერესო მასალას აქვეყნებს მკვლევარი ე. ბუბულაშვილი: გორის ეპისკოპოსთან ალექსანდრე ოქროპირიძესთან მისულა მაჰმადიანი ქართველი ქობულეთიდან და უთხოვია: „მე მინდა თქვენი სჯული მივიღო და მომნათლეთო“. მე მიზეზი ვკითხე ამისი. მან ასეთი ამბავი გადმომცა: ბათუმში ერთი გურული ქალი არის, მინდა ის ცოლად შევირთო, მაგრამ არ მომდევს, თათარი ხარ და არ გამოგყვებიო. მე მას ასეთი პასუხი მივეცი, კაცი, რომელიც ცოლის შერთვის გულისათვის სჯულს გამოიცვლის, ის შემდეგ იქნება მარად ჟამს უბედური, შესაბრალი და ნამეტნურ მოძულებული ნაცნობთა, ნათესავთა და მეზობელთაგან. შენ რა გინდა, რომ ცოლის შერთვის გულისათვის მუდმივ უბედურს ცხოვრებაში ჩავარდე. წადი შენს ქვეყანაში, მოსძებნე შენი სჯულის ქალი და მით დაახწიე შენც თავი უბედურ ცხოვრებას. მე გირჩევ, რომ ისე ქნა და სამუდამო უბედურებას განშორდე“[91].

ასეთი შეგონება კი, მიგვაჩნია, რომ აშკარად კაპიტულაციაა! უკანდახევაა!

მიუხედავად იმისა, რომ „თერგდალეულების“ მიერ პოლიკონფესიური ქართველების შეკავშირების პოლიტიკა სწორედ იყო განსაზღვრული და პირველი ნაბიჯებიც წარმატებით გადაიდგა, აშკარად გამოიკვეთა, რომ ქართველ ინტელიგენციას არ ეყო რესურსი ასეთი დიდი ამოცანის ბოლომდე გადასაწყვეტად. ახლადშემოერთებული მაჰმადიანი რეგიონები სისტემატურ ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვდნენ. ქართული პრესის ფლაგმანების: „დროების“ , „იეერიის“ მოწოდებები სრულიად საქართველოსათ-

ვის, რომ ჯეროვნად დახმარებოდნენ მაჰმადიან ძმებს, მხოლოდ კამპანიური ხასიათს იღებდა და პერიოდულად თუ ხერხდებოდა რაიმე ფინანსური სახსრების ადგილზე გადაგზავნა. მარტო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მგზნებარე პატრიოტული სტატიები კი საქმეს ვერ შველოდნენ.

საჭირო და მნიშვნელოვანი საქმე, რომლის მიზანი იყო მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის ბარიერების გადალახვა და ერთიანობის მიღწევა, ფაქტობრივად შუა გზაზე შეჩერდა. ეს თერგდალეულების მნიშვნელოვანი მარცხი იყო.

მოგვიანებით ამ პერიოდზე მემედ აბაშიძე იტყვის: „ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვეტანა მუსლიმან ქართველების ნაწილში ეროვნული შეგნება, რაც საკმაოდ გაძნელებული და სულაც არ იყო უსაფრთხო, რადგან სიტყვა „ქართველი“ ჩვენი მუსულმანებისათვის იყო ქრისტიანობის სინონიმი... ჩვენი პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით მთავრდებოდა დიდი მარცხით“[92].

§ 10. – „ჩატეხილი ხიდი“

მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძემ გენიალური მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“ დაწერა და გამოაქვეყნა (1887 წ.), უკვე თითქმის საუკუნენახევარია გასულა, მაგრამ საქართველოში მაინც არ წყდება დისკუსია XIX საუკუნის ბოლოს კლასებს შორის ურთიერთობაში არსებული დრამატიზმის – მათ შორის „ჩატეხილი ხიდის“ არსებობისა და სამოქალაქო ზავის შესაძლებლობა-შეუძლებლობის შესახებ. ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები ღრმად სწავლობენ ამ პრობლემას, ეძებენ და საზოგადოებას სთავაზობენ სულ ახალ და ახალ ვერსიებს, ვარაუდებს იმუამად ამ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო გზებსა და მეთოდებზე, წარმოაჩენენ ერის კონსოლიდაციის პროცესში კლასთა დაპირისპირების დაძლევის აუცილებლობის საკითხს.

ბევრი რომ არ გაგაგრძელოთ, საქართველოში არ არის კაცი, რომელსაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ დაეწეროს თემა: „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. ამრიგად, საკითხი ეხება საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო პრობლემატურ საკითხს, რომელიც, როგორც დასტურდება, ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის და ალბათ კიდევ დიდხანს იქნება შესწავლისა და კამათის საგანი.

ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე კომენტატორი პავლე ინგოროყვა ასეთ დახასიათებას აძლევდა ილია ჭავჭავაძის ამ მოთხრობას: „აღსანიშნავია „ოთარაანთ ქვრივის“ უბრწყინვალესი მხატვრული ფორმა, მისი ენა. არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერ-

ლობაში „ოთარაანთ ქვრივი“ არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელშიაც ახალმა ქართულმა ენამ ჰპოვა თავის სრულყოფილი გამოსახულება“[93].

ამრიგად, კრიტიკოსის მიერ ხაზგასმულია მოთხრობის გამორჩეული „მხატერული ფორმა“, მისი მხატვრულ-ლიტერატურული რენომე. ამიტომაც ცოტა გასაკვირია, რომ ბოლო წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში შეიმჩნევა მცდელობა ეს გენიალური მოთხრობა ეთნოგრაფის საველე ჩანაწერად წარმოაჩინონ, კანონიზირება გაუკეთონ და ქართულ სოფელში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, განსაკუთრებით კლასთა შორის ურთიერთობის გაგებისას, ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებად გამოაცხადონ. იმასაც კი აღნიშნავენ: „... რომ, თუ საბჭოური ისტორიოგრაფიული თუ სოციოლოგიური სტანდარტებით ვიმსჯელებთ, **ოთარაანთ ქვრივის მეურნეობა კულაკური გახლდათ**“[94] (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). ე.ი. გამოდის, რომ ოთარაანთ ქვრივი **„კულაკის ცოლი“** ყოფილა და სხვა არაფერი.

შემდეგ მოდის სკრუპულოზური ჩამონათვალი, რომ „კულაკის ცოლს“ ქმრისაგან დარჩა ნახევარი გუთნეული საქონელი, ორი ფურ-კამეჩი, სამი ძროხა, ამის გარდა ორი დღის კარგად გაკეთებული და გავსებული ვენახი და, ოციოდე დღის სახნავ-სათესი და ა.შ. და ა.შ..

მაგრამ მოთხრობა, როგორც სამართლიანად მიუთითებდა პაელე ინგოროყვა „უბრწყინვალესი მხატვრული ფორმაა“, მხატერული ნაწარმოებია – გენიის ფანტაზიის ნაყოფია, რომლის კალამს თვით ზენაარსი წარმართავს და შედეგს აყალიბებს. ამიტომ ზედმეტ გადაჭარბებად მიგვაჩნია ეს ნაწარმოები სტატისტიკურ ცნობარად წარმოვაჩინოთ, რომლის საფუძველზე, როგორც საისტორიო წყაროზე, შეიძლება საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის სოციალური, კლასთა შორის ურთიერთობების პრობლემები შევისწავლოთ.

ალბათ ყველა ინგლისელ ისტორიკოს-სოციოლოგს გაეღიმება ჩვენ რომ ვიქტორიანული ეპოქის ინგლისის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები შევისწავლოთ შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარით“ – აქაც ხომ სოციალურად დიფერენცირებულ პიროვნებათა შორის არსებულ ამაღლებულ სიყვარულეზეა საუბარი, რომელიც ქართული მოთხრობისაგან განსხვავებით, „ჰეპი ენდით“ დასრულდა. თუმცა ინგლისელი რომანტიკოსი ქალის ეს შედევრი დღესაც ლიტერატურათმცოდნეებს შორის ბევრ კითხვას აღძრავს და ინტერესი მის მიმართ კვლავ დიდია, ხოლო პოპულარობა მსოფლიოში კი მართლაც განუზომელი.

ილიას გენიალური მოთხრობა არ შეიძლება აღვიქვათ როგორც ქართულ სოფელში მიმდინარე პროცესების ადეკვატური ასახვის ნიმუში. ჩვენი აზრით, ეს ძალიან აკნინებს მოთხრობაში ჩადებული გენიალური მოაზროვ-

ნის მსოფლმხედველობის ჰუმანისტ'ურ საფ'უძვლებს, იმ სუბლიმირებ'ულ ზეაღსვლას, რომელსაც აღწ'ევს ავტორი თავისი შინაგანი მძლავრი შემოქმედებითი იმპ'ულსების კარნახით და ის არ უნდა დავიყვანოთ რიგითი ქართ'ული სოფლის სოციალ'ურ-ეკონომიკ'ური ყოფის სტატისტიკ'ური მიმოხილვის დონეზე.

მოთხრობის რამდენჯერმე წაკითხვა და მასში დავანებ'ული ადამიანური ურთიერთობების პრობლემების გასიგრძეგანება გარკვეულ შეხედ'ულებებს გვიყალიბებს: ილია ჭავჭავაძემ, რომელიც საოცრად განათლებ'ული იყო დასავლეთ ევროპ'ულ ლიტერატ'ურაში, ჩინებ'ულად იცოდა და იცნობდა საკმაოდ უხვად არსებ'ულ რომანტიკ'ულ ლიტერატ'ურას, რომელშიც გრძნობამოჭარბებ'ული ავტორები სიყვარ'ულის გამოყენებით, თუნდაც სოციალ'ურად მკეთრად განსხვავებ'ულ პირებს შორის, საოცარ ლიტერატ'ურ'ულ ვირაჟებს სთავაზობდნენ მკითხველს, რაც ხშირად ცრემლსა და ოხვრას, აღფროთოვანებასა და ლიტერატ'ურ'ულ კმაყოფილებას იწვევდნენ მკითხველ'ში.

ილია არ წავიდა ამ გზით; ილიას მოთხრობას ეს ამოცანა არ ჰქონდა. კესოს საყვარელი ადამიანის არჩევანის უფლება, უდავოდ ჰქონდა: გიორგი მას შეიძლება ბრწ'ყინვალე თავადიც არ შეჰყვარებოდა – ესეც ხომ ხდება რეალ'ურ ცხოვრებაში.

სოციალ'ური განსხვავება, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მთავარი არ არის. ორი ადამიანის სასიყვარ'ულო ორთაბრძოლის ტრაგედიაში ილია კლასებს შორის არსებ'ულ ტრაგედიაზე, შეურიგებლობაზე მიანიშნებს და ქვეცნობიერად საკ'უთარი პოლიტიკ'ური ცხოვრების დასასრულს წინასწარმეტყველებს. მკერდშენგრეული გიორგი – ეს მკერდშენგრეული ილიაა წიწამურის ველზე, ხოლო ოთარანთ ქვრივი – ოლღა გ'ურამიშვილი, რომელიც საყვარელ მეუღლეს დასტირის...

ჩვენი აზრით, ამ მოთხრობაში მოცემულია წინასწარხედვა იმ გზისა, იმ პოლიტიკ'ური ხაზის ტრაგიკული დასრულებისა, რომელიც მიზნად ისახავდა, კლასობრივი განსხვავების მიუხედავად, ერის კონსოლიდაციის პროცესის წარმატებით დაგვირგვინებას და რასაც ილიამ და მისმა მეგობრებმა მთელი ცხოვრება მოახმარეს.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ცნობილ ქართველ ისტორიკოსს პ. რატიანს შემდეგში: „ილიას ცხოვრების უმაღლესი მიზანია (ჩვენ დავუმატებდით „თერგდალეულების"- ა.დ.) იხილოს საქართველო ძლიერი, ხოლო ქართველი ხალხი ბედნიერი. ამ მიზნის მისაღწევად მას აუცილებლად მიაჩნია ქართველი ხალხის ერთიანობა, მისი ყველა წოდების ძმური და კეთილმეგობრული განწ'ყობილება. ესაა მისი უმთავრესი პრინციპი, მისი გამოსავალი დებ'ულება"[95].

ჩვენ ზემოთ ვნახეთ რა დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაო იყო უკვე შესრულებული ამ გზაზე, რამდენი გაკეთდა ქართველი ინტელიგენციის მხრიდან ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის განვითარების, განმტკიცების მიმართულებით, როგორ რუდუნებით იღვწოდნენ ისინი „ახალი ქართველის“ აღსაზრდელად, რამდენი თხზულება დაიწერა, რამდენი გეგმა შემუშავდა და მათ ჰქონდათ იმედი, რომ მოხდებოდა ქართველი ერის ისეთი ეროვნული კონსოლიდაცია, როცა შეიქმნებოდა შესაძლებლობა – საქართველოს განთავისუფლების მიზნით მომხდარიყო კლასთა „შერიგება“, დამეგობრება, დაახლოება...

ამ შესაძლებლობაზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ დღეს. მაგალითად, მკვლევარი ო. გოგიაშვილი მიუთითებს, რომ „სანამ ქვეყანა კოლონიალურ მდგომარეობაშია, სანამ მისი ეროვნული თვითმყოფადობისა და გადარჩენის საკითხი დგას, კლასობრივი დაპირისპირება, რა სფეროშიაც არ უნდა გამომჟღავნედეს, ხელს შეუშლის ეროვნულ ერთიანობას და, შესაბამისად, მთავარი მიზნის მიღწევას“[96].

ეს აშკარად სადავო დებულებაა, რადგანაც იმჟამად ობიექტური რეალობა აშკარად სხვა იყო – „თერგდალეულების“ გულმხურვალე მოწოდებები, შეგონებები, მოთხრობები თუ წიგნები, რომლებიც ქართველების უდიდეს მიზანზე – დამოუკიდებლობის მოპოვებასა და ამ მიზნით მონოლითური ერთიანობის მიღწევების ამოცანა, ე.წ. „საერთო ნიადაგის თეორია“ – კლასთა შორის ჰარმონიის მიღწევა) სახავდა – ქართველების 85 პროცენტს არ ესმოდა, მათ გულამდე არ მიდიოდა – მათ ხომ წერა-კითხვა არ იცოდნენ, ისინი „საქართველოს მოამბეს“, „ივერიას“ არ კითხულობდნენ, ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა პატრიოტულ შემოქმედებას ფაქტობრივად არც კი იცნობდნენ.

სამაგიეროდ წერა-კითხვის გარეშეც კარგად ხვდებოდნენ გაჭირვებისა და გასაჭირის სოციოლოგიურ ეტიმოლოგიას, რადგან ეს გაჭირვება თითქმის ქართველების უდიდესი ნაწილის ოჯახებში იყო დავანებული. ამიტომაც მათთვის უფრო სასიამოვნო მოსასმენი იყო სოციალ-დემოკრატების მოწოდებები უკვე დაგროვილი, „უკანონოდ“ მოპოვებული და მითვისებული ხალხის ქონების უშუალოდ ხალხისთვის გადაცემის შესახებ („ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“), ვიდრე ილიასა და მისი მეგობრების შეგონება – ვაპატიოთ ქართველ თავადს, ქართველ კაპიტალისტს, ქართველ ბობოლას კლასობრივი განსხვავებით გამოწვეული ქონებრივი დიფერენციაცია მითიურ მომავალში საქართველოს მითიური დამოუკიდებლობისთვის.

ქართველებში ასეთ ნიჰილისტურ განწყობილებებს იმჟამად (მაგალითად, პოლონელების, იტალიელების და სხვ. ერებისაგან განსხვავებით) აძლიერებდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის (ერის მაკონსოლიდირე-

ბელი ძლიერი ძალის) უაღრესად დამცრობილი მდგომარეობა; ქართველი ბურჟუაზიის უღიმღამო პოზიცია და მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობები, რუსეთის ანტიქართული მცდელობების განსაკუთრებული გაძლიერება (ამის შესახებ ქვემოთ) და ა.შ.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX საუკუნის მიწურულში ქართველების სოციალური სტრუქტურა ზედმეტად დიფერენცირებული იყო. თბილისის გუბერნიის მოსახლეობა სოციალური მდგომარეობით მეტად მრავალფეროვანია: შთამომავლობით აზნაურები იყვნენ 29 347 კაცი (2,8%) პირადი აზნაურები – 15 042 კაცი (1,4%), სასულიერო წოდება – 10 863 კაცი (1%), საპატიო მოქალაქე – 5 274 კაცი (0,5%), ვაჭრები – 3 947 კაცი (0,4%), მეშჩანები – 102 421 კაცი (9,7%), გლეხები და კაზაკები – 865 887 კაცი (82,4%), უცხოელები – 15 427 კაცი (1,5%), სხვები – 2 824 კაცი (0,3%).

იგივე მონაცემები ქუთაისში ასე გამოიყურება: შთამომავლობითი და პირადი აზნაურები იყვნენ 13 937 კაცი (6,86%), სასულიერო წოდება – 23 270 კაცი (2,22%), საპატიო მოქალაქე – 1 950 კაცი (0,18%), ვაჭრები – 2 457 კაცი (0,23%), მეშჩანები – 34 650 კაცი (3,27 %), გლეხები და კაზაკები – 897 557 კაცი (84,8%), უცხოელები – 22 809 კაცი (1,5%) და სხვ.

როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოს მოსახლეობა სოციალური (ანუ ქონებრივი) და უფლებრივი თვალსაზრისით ზედმეტად „აჭრელებულია“, რაც გულისხმობდა თითოეული კლასისა თუ სოციალური ფენის ინტერესთა სხვადასხვაობას, ხშირად ურთიერთდაპირისპირებას, რაც ზოგჯერ, თუ-კი ამისათვის შესაფერისი პირობები იქმნებოდა, გადაულახავ კოლიზიებს წარმოშობდა და კლასობრივ ბრძოლებშიც გადაიზრდებოდა ხოლმე.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ საქართველოში კლასობრივი შეგნება – „კლასობრივი ზავი“ მიუღწევადი ოცნება აღმოჩნდა და ის ბედკრული გიორგის მსგავსად შავ მიწაში დაიმარხა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რომ ქართველი თავადაზნაურობის მიმართ, (ალბათ, მათი მხრიდან ცარიზმის მიმართ, ამ ეტაპზე განსაკუთრებით გაძლიერებული კომფორმიზმის გამო) კრიტიკული დამოკიდებულება ყოველგვარ საზღვარს გასცდა – ეს დასტურდება გენიალური ქართული ლიტერატურის შედევრებით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს ღრმად მიიჩნია ქართულმა საზოგადოებამ.

ბურჟუაზიული საქართველოს მოტრფიალე, გიორგი წერეთელი, თავის „პირველ ნაბიჯში“, ბახეა ფულავასა და ერემია წარბას ტრაგიკულ ურთიერობით, რასაც უმანკო ესმას სიცოცხლე შეეწირა, ასევე „კლასობრივი ზავის“ ილუზიის დასამარებას ისახავდა მიზნად.

სოციალ-დემოკრატის, დღეს საოცრად მიეიწყებული, ეგნატე ნინოშვილის პერსონაჟებს მასწავლებელ სპირიდონ მცირიშვილისა და აზნაურის ტარიელ მკლავაძის დაპირისპირებაც ხომ ასევე ერთ-ერთი პერსონაჟის (აზნაურიშვილის) მკვლელობით მთავრდება.

აშკარაა, რომ საქართველოში კლასებს შორის სერიოზული გადაულახავი პრობლემაა, რაც სისხლიან ანგარიშსწორებასთან იყო ასოცირებული...

არა მარტო მხატვრულ-გამოგონილი პერსონაჟები, არამედ „თერგდალეულებს“ მათ გვერდზე მდგომი რეალური პერსონაჟებიც ეკარგებოდათ და ისინი მოწინააღმდეგეთა რიგებში გადადიოდნენ. ამის ყველაზე ტიპიური მაგალითია იოსებ ჯუგაშვილი. 16 წლის ჭაბუკმა დაწერა საოცრად პატრიოტული ლექსი „დილა“, რომელიც ილია ჭავჭავაძემ მოიწონა და თავის „ივერიაში“ დაბეჭდა, ხოლო იაკობ გოგებაშვილმა – თავის „დედაენაში“ განათავსა.

მაგრამ სულ რაღაც ორ წელიწადში ახალგაზრდა მთლიანად გადაბარგდა ქართველი სოციალ-დემოკრატების ბანაკში, გვერდზე გადადო პატრიოტიზმიც, „საერთო ნიადაგის თეორიაც“ და მსოფლიოში ყველაზე რადიკალური – კომუნისტური მოძრაობის ლიდერი გახდა. საქართველოს სინამდვილეში ასეთი მაგალითები ძალიან ბევრი იყო და მათ უკვე თავისი ახალი, სოციალ-დემოკრატიული სიმართლე ჰქონდათ.

აშკარაა: **XIX საუკუნის მიწურულში საქართველოს საზოგადოებრივი აზრის საკმაოდ დიდი ნაწილი (თავადაზნაურული, ბურჟუაზიული თუ სოციალ-დემოკრატიული) უკვე სკეპტიკურად უყურებდა კლასობრივი ჰარმონიის ყოველგვარი მიღწევის შესაძლებლობას.**

ამ ყველაფერს საქართველოში კიდევ უფრო აძლიერებდა კაპიტალიზმის პირველადი დაგროვებიდან გამომდინარე ენითაღუწერელი სიღარიბე, გაჭირვება და გასაჭირი, რომელიც ასე გავრცელებული იყო საქართველოში და ასე ტრაგიკულად აისახა დავით კლდიაშვილის მადლიან შემოქმედებაში: „დარისპანის გასაჭირი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „სოლომონ მორბელაძე“ და სხვები, აშკარად ხდის, რომ საქართველო იმჟამად ყველაზე უფრო მომზადებული იყო სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისათვის და ქართველების 85 პროცენტმა არჩევანიც მის სასარგებლოდ გააკეთა.

§ 11. – დაპირისპირება

„თერგდალეულების“ მიზანმიმართულ მოღვაწეობას სერიოზული ბზარი გაუჩინა პიროვნულმა დაპირისპირებამ. ეს კონფლიქტი ილია ჭავჭავაძესა

და ივანე მაჩაბელს შორის დაიბადა და მალე სხვაც ბევრი ჩაითრია. უთანხმოებამ ძველ მეგობრებს შორის იმდენად დრამატ'ული ხასიათი მიიღო, რომ 1892 წელს ივანე მაჩაბელმა ილიას საწინააღმდეგო ბროშ'ურაც კი გაშოაქვეყნა, სადაც მის უარყოფით თვისებებზე ამახვილებდა ყ'ურადღებას. 'უკრიტიკებდა ამბიცი'ურობას, პირველობისადმი ს'წრაფვას, ლამის დიქტატორ'ულ ნიშან-თვისებების კ'ულტივირებას, აბრალებდა 'უსამართლობას, ჭეშმარიტების ფეხქვეშ გათელვის უნარს. ივანე მაჩაბელი იმაზეც ამახვილებდა ყ'ურადღებას, რომ წლებმა მნიშ'ვნელოვნად შეცვალეს ილიას პიროვნება, რომ ის 'უფრო კონსერვატორი, შემგ'უებული, რეტროგრადი გახდა. რომ საზოგადოებამ ის ზომაზე მეტად გააკერპა, რამაც ილიას ხასიათზე უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ პოზიციაში მომხდარ ცვლილებებზე ყ'ურადღებას ამახვილებდა ნიკო ნიკოლაძეც, განსაკ'უთრებით აქცენტს აკეთებდა მის კომპრომისებზე ძველი თაობის მიმართ, აბრალებდა ყოველივე ქართ'ულისადმი მონ'ურ თაყვანისცემას, ამდენად მას სლავიანოფილ'ური ყაიდის ეი'რო პატრიოტად აცხადებდა[97].

ილია ჭავჭავაძეს XX ს'აკ'უნის დასაწ'ყისში აშკარად საქართველო'ში 'უკვე ბევრი აკრიტიკებდა, ყველაზე ხშირად გაისმოდა ხმები მისი მსოფლმხედველობითი პოზიციების ევოლ'უციის შესახებ, მას'ში კონფორმიზმის ელემენტების გაძლიერების, ხელისუფლებისადმი მის დამოკიდებულება'ში ადრინდელი კრიტიკ'ული პათოსის შეს'უსტებისა და 'უფრო მოზომილი, შემრიგებლ'ური პოზიციის გამო. განსაკ'უთრებით აკრიტიკებდნენ გაზეთ „ივერიის“ პოლიტიკ'ურ ხაზს, რომელსაც აშკარად დაეტყო კრიტიკ'ული ტონის შეს'უსტება. ეს კი, ჩვენი აზრით, განსაკ'უთრებით სამეფო ოჯახის საქართველო'ში ყოფნის დროს (1888 წლის შემოდგომა) გამოქვეყნებ'ულ რეპორტაჟებსა და წერილებ'ში აისახა.

არ შეიძლება არ გავიზიაროთ აზრი, რომ როგორც ყველა ნებისმიერი პიროვნება, ისე ილია ჭავჭავაძეც, ცხოვრებისე'ული გამოცდილების, ასაკის, თავისი ყოფა-ცხოვრების სტილის, მუშაობის ხასიათის (იგი ბანკს თითქმის 30 წელი ხელმძღვანელობდა და ეს საქმიანობა გარკვე'ულწილად განსაზღვრავდა მის ცხოვრებას), საზოგადოება'ში მისი მდგომარეობის გამო გარკვე'ულ ცვლილებას აუცილებლად განიცდიდა. სარწ'მუნოა, რომ XX ს'აკ'უნის გარიჟრაჟზე ილია ჭავჭავაძე 'უფრო კონსერვატორი, თავშეკავებ'ული და გონებადამჯდარი იქნებოდა, ვიდრე 30-40 წლის წინ, როცა აღფრთოვანებ'ულ სტრიქონებს უძღვნიდა ჯ'უზეპე გარიბალდის და პარიზის კომ'უნას. მისი ახალგაზრდული აღტკინება შეცვალა სიბრძნემ, მოყ'ლენებ'ში ღრმად ჩაწვდომის სურვილმა, შორსგამიზნ'ული შედეგების პრო'გნოზირებამ და ა.შ..

ამ ხასიათის ცვლილებებთან დაკავშირებით ა. ბაქრაძეს მოაქვს ჩინებული მაგალითი ილიას ბიოგრაფიიდან: რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა სტუდენტებმა ორ გამორჩეულ ქართველ ავტორიტეტს: ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს შეკითხვით მიმართეს – გაეგზავნათ თუ არა თანაგრძნობისა და მხარდაჭერის წერილი კრეტაზე აჯანყებული ბერძნებისათვის. გიორგი წერეთელმა ახალგაზრდებს განზრახული მოუწონა. ილიამ კი მათ თავშეკავება ურჩია: „...აშკარაა, იგი, რაც თქვენს პატიოსან გულს მოუწადინებია, არ მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ გეზიანოთ რამე. თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა“[98].

ეს რთული ცხოვრებისეული გამოცდილებით დატვირთული კაცის გონიერი რჩევაა, მაგრამ მას უკვე აშკარად ბევრი საერთო აღარ აქვსიმ ილიასთან, რომელიც 60-იანი წლების შუა ხანებში ყველგან და ყველაფერში ხმალამოღებული ებრძოდა დრომოჭმულსა და არქაულს.

ასეთი ილია, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო არ მოეწონებოდათ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეებსა და პუბლიცისტებს, რომლებიც ეროვნული იდეოლოგიის მატარებელ ადამიანებში აშკარად ინტერნაციონალისტური იდეოლოგიის – მარქსიზმის უკომპრომისო მტერს ხედავდნენ. მარქსიზმის პოპულარიზატორების ნოე ჟორდანიას და ფილიპე მახარაძის კრიტიკა, რაც დრო გადიოდა, ილიას მიმართ (წაიკითხე ილიას საქმის მიმართ, „თერგდალეულთა“ მოღვაწეობის მიმართ) სულ უფრო კრიტიკული და გესლიანი ხდებოდა.

ქართული მოაზროვნე საზოგადოება აშკარად გაიყო ორ ჯგუფად: ილიას გულმხურვალე მომხრეებად და მის მოწინააღმდეგე ბანაკად. როგორც ა. ბაქრაძე მიუთითებს – კუთხურობამაც იჩინა თავი: ქართლელები ივანე მაჩაბელს თანაუგრძნობდნენ, კახელები – ილიას.

ამ ვითარებაში ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას სოციალური განთავისუფლებას, ნაციონალიზმის ნაცვლად ინტერნაციონალიზმს სთავაზობდნენ და უკანონოდ დაგროვილი სიმდიდრის სწრაფ გადანაწილებას პირდებოდნენ.

აკაკი ბაქრაძის აზრით „ილია დარჩა მარტოდ-მარტო, უმწეო, უამხანაგო, უჯარისკაცო და მარტოდ-მარტო დაიღუპა“[99].

შეიძლება დავეთანხმოთ შემდეგ მოსაზრებასაც: „ამდენი ხნის მუშაობამ მუქთად ჩაიარა, მისი ნაციონალური დროშა ხალხმა ერთი დაკვრით უარყო და მის ადგილას ააფრიალა ინტერნაციონალური დროშა“[100].

ილიას მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება კიდევ უფრო გააძლიერა იმან, რომ 1906 წელს ის აირჩიეს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს

შემადგენლობაში. იმპერიის ბიუროკრატიული მანქანის ეს უმაღლესი ორგანო, რომლის წევრების ნახევარი იმპერატორის მიერ ინიშნებოდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის არჩევა ხდებოდა, რა თქმა უნდა, საზოგადოების მემარცხენე პოზიციებზე მდგომი ნაწილისათვის უკვე შერყეული ხელისუფლების გაძლიერების, კანონიზაციის საშუალებად იყო მიჩნეული და მასში მონაწილეობა დემოკრატიული, ხალხოსნური იდეების ღალატად ჩაითვალა. მართალია, ილია ჭავჭავაძის ხანმოკლე მოღვაწეობა სახელმწიფო საბჭოში გამოირჩეოდა პროგრესული შეხედულებების მხარდაჭერით, ხოლო პ. ინგოროყვა მას სახელმწიფო საბჭოს მემარცხენე მიმართულების მოღვაწეთა რიგებში ათავსებს, მაგრამ მაინც მისი ეს ნაბიჯი საქართველოს ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა რუსეთის ხელისუფლებასთან კომპრომისად ჩათვალა.

ისტორიკოს პ. რატიანს მოაქვს მასალა, რითიც ამტკიცებს, რომ ილიას არ სურდა სახელმწიფო საბჭოს წევრობა[101]. შეიძლება ეს მისი ორჭოფობა იმით იყო გამოწვეული, რომ სახელმწიფო საბჭოში იმდროინდელი რუსეთის ოდიოზური ფიგურები იყვნენ დანიშნული, რომელთა მთავარი ოცნება „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ დაცვა და შენარჩუნება იყო? და ილიას არ უნდოდა მათთან ერთად ყოფნა? შეიძლება იმისი ვარაუდიც, რომ ასეთი ოდიოზური პირების გვერდით ილიას ყოფნა ვერ მოიაზრა და ვერ წარმოიდგინა ქართულმა მემარცხენე საზოგადოებრივმა აზრმაც. არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ ილიას სწორედ ეს ვერ აპატიეს, ან ეს იყო ილიასთან მათი კრიტიკული დამოკიდებულების ბოლო წვეთი...

აქედან უკვე წიწამურის ტრაგედიამდე სულ მცირე ნაბიჯი იყო დარჩენილი...

ამრიგად, საქართველოს ახალგაზრდა ინტელიგენციამ („თერგდალეულებმა“) XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიზნად დაისახა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის განვითარება-გაღრმავება და მისი ლოგიკური დაგვირგვინება – ქართველობის ერთიანობის მიღწევა. ამ მიზნით მათ შეიმუშავეს სწორად განსაზღვრული, არსებული ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომლის შედეგი უნდა ყოფილიყო ქართველურენოვანი (ქართული, მეგრული, სვანური) და პოლიკონფესიური (მართლმადიდებელი, კათოლიკე, გრიგორიანელი და მაჰმადიანი) ქართველების **მონოლითურ ერთობად შეკავშირება**.

ეს გეგმა ითვალისწინებდა:

1. „კრიტიკული ნაციონალიზმის“ პოზიციებიდან ერის თანადროული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის ობიექტურ გააზრებას და შეფასებას, რაც გაკეთდა ძირითადად სწორად, თუმცა კრიტიკის მხრივ ზოგიერთი ზედმეტობებით;

2. ახალი სალიტერატურო ქართული ენისათვის ბრძოლა მთლიანად შეესაბამებოდა როგორც ქართული ენის შინაგანი განვითარების გადაუდებელ ამოცანებს, ასევე ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის ისტორიულ მიზნებს, რაც ჩატარდა სამართლიანად და წარმატებით. ქართული ენა გაიწმინდა ისტორიული ანაქრონისტული დანაშრევებისაგან, გახდა უფრო მობილური და სრულყოფილი. **ქართული ენის შენახვა-დაცვა, მისი სისტემატური განვითარება ჩაითვალა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.**

3. ქართული ენის ახალი სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფდა „ახალი ქართველის" ფორმირების პროცესის დაწყებას და მის ზეაღმავალ განვითარებას, შეიქმნა თანადროული პედაგოგიური მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით და ქართული ენის ინტერესების დაცვით. ამ მუშაობის წარმატებაზე მიანიშნებს ი. გოგებაშვილის მიერ შექმნილი „დედაენის" სახელმძღვანელოს აქტიური გამოყენება ქართველების რამდენიმე თაობის აღზრდის საქმეში. **ქართული ენის სახელმძღვანელოზე პერმანენტული ზრუნვა ჩაითვალა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.**

4. ქართული ეროვნული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, მისი განვითარების ოპტიმალური პირობების შემუშავება, განათლების საყოველთაობა, **საგანმანათლებლო პროცესის ყველა ეტაპის ქართულ ენაზე წარმართვის აუცილებლობა ჩაითვალა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.**

5. უმდიდრესი ქართული მხატვრული ლიტერატურის ტრადიციების დაცვა და მისი ეპოქის შესაბამისად განვითარება, საისტორიო ბელეტრისტიკა, ქართული ჟურნალ-გაზეთების ქსელის **განვითარება ჩაითვალა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.**

6. ერთიანი ეროვნული ცნობიერების განვითარება-განმტკიცება ერთიანი საქართველოს ობიექტური ისტორიის შემუშავებისა და საისტორიო მეცნიერების ინტენსიური **განვითარების ბაზაზე ჩაითვალა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.**

7. ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების (თეატრის, ბიბლიოთეკების, ეროვნული მუზეუმების, წიგნთსაცავების და ა.შ.) ჩამოყალიბება, მათზე ზრუნვა და **განვითარება ჩაითვალა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.**

8. ქართული ხალხური შემოქმედების: ხალხური ზეპირსიტყვიერების, სამუსიკო ფოლკლორის მოძიება, დაცვა და **განვითარება ჩაითვალა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.**

9. კუთხური პარტიკულარიზმის გადმონაშთების დაძლევა, ერთიანი ქართული ცნობიერების გაძლიერება განმტკიცების საფუძველზე, **ჩაითვალა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.**

10. „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ – ანუ ქართველთა კონფესიური პოლიფონიის დაძლევა, რელიგიური პარტიკულარიზმის ნიველირება **ჩაითვალა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.**

11. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანის მატერიალური უზრუნველყოფისათვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება და ქვეყნის ზეაღმავალი პერმანენტული განვითარება **ჩაითვალა ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.**

ამ ურთულესი მიზნის მისაღწევად ქართველი ახალგაზრდების („თერგდალეულების“) მიერ დასახული ყველა ღონისძიება და გადადგმული ყველა ნაბიჯი მართლზომიერი და აუცილებელი იყო.

მაგრამ რუსეთის იმპერიის მარწუხებში მოქცეული ქართველი ინტელიგენცია მოკლებული იყო იმ რესურსებს, შესაძლებლობებს და პირობებს, რომლებიც საბოლოოდ, მართლაც, უზრუნველყოფდნენ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის წარმატებით დაგვირგვინებას.

გამარჯვებები და მიღწევები ამ მიმართულებით (ერთიანი ახალი სალიტერატურო ენის შექმნა, ახალი ქართული სახელმძღვანელოები, ახალი ქართული თეატრი და ჟურნალ-გაზეთები, მდიდარი მხატვრული ლიტერატურა და პატრიოტული ბელეტრისტიკა, და ა.შ.) წააწყდა სერიოზულ გამოცდას და ზოგჯერ აშკარა წარუმატებლობებსაც კი (ფინანსური რესურსების სიმცირე, ქართველი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის წერა-კითხვის უცოდინარობა, მოსახლეობის პოლიკონფესიური კუთვნილება და ა.შ.), რამაც ამ სფეროში არა თუ შეფერხება, არამედ ზოგჯერ აშკარა მარცხიც კი მოუტანა ქართველი „სამოციანელების“ მიერ დაწყებულ ეროვნულ-მაკონსოლიდირებელ საქმიანობას.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ტოტალურად გაიმარჯვა მემარცხენე – სოციალ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ. „თერგდალეულების“ მიერ დაწყებული ეროვნული კონსოლიდაციის საჭირო და აუცილებელი პროცესი სერიოზულად შეფერხდა.

თავი VIII

პრობლემები ქართველების ერთიანობის მიღწევის გზაზე

§ 1. – ქართველი სოციალ-დემოკრატების ზეგავლენის გაძლიერება

XX საუკუნემ საქართველოში ახალი იმედებით შემოაბიჯა. ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემების მიუხედავად, საქართველოს ყველა კლასსა და სოციალურ ფენას ჰქონდა იმედი, რომ ახალი საუკუნე უფრო ბედნიერი, უფრო ნაყოფიერი და უფრო იმედის მომცემი იქნებოდა, ვიდრე უკვე გარდასული.

იმედის განცდას გარკვეულწილად აძლიერებდა ქართველი თავადაზნაურობის მხრიდან ატეხილი საიუბილეო აჟიოტაჟი და საყოველთაო მზადება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს შესვლის 100 წლის იუბილის გამო. ქუთაისის თავადაზნაურობის მიერ წამოწყებულ ინიციატივას – საგანგებოდ და განსაკუთრებით საზეიმოდ აღენიშნათ ეს ისტორიული თარიღი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამაც დაუჭირა მხარი. შეიქმნა ერთობლივი საიუბილეო კომიტეტი, დამუშავდა საზეიმო ღონისძიებების გეგმა, საბოლოოდ დადგინდა მოსაწვევი საპატივცემულო სტუმრების სიები, ყველაფერი შეუთანხმეს კოლონიალურ და ცენტრალურ ხელისუფლებას, არ დაივიწყეს საქართველოს ეგზარქოსიც და დიდი ორგანიზაციული მუშაობა გააჩაღეს.

1801 წლის 25 სექტემბერს რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოს შეერთების 100 წლისთავი საზეიმოდ აღნიშნა. საიუბილეოდ თბილისს ეწვია დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე (საქართველოს ყოფილი მეფისნაცვალი) ოჯახითურთ, საბერძნეთის დედოფალი ოლგა (რომანოვების სამეფო გვარიდან) შვილებთან ერთად. ზეიმში მონაწილეობდნენ თბილისში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, უმაღლესი სამღვდელოება, სხვადასხვა სოციალური ფენის ღვაწლმოსილი ადამიანები. სიონის საკათედრო ტაძარში ჩატარდა წირვა.

საქართველოს მთავარმართებლის სასახლეში მოეწყო საზეიმო მიღება, რომელზეც დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ წაიკითხა რუსეთის იმპერატორისა და „საქართველოს მეფის“ ნიკოლოზ II-ის საიუბილეო რეს-

კრიპტი, რომელშიც ხაზგასმული იყო: „**საქართველოს** (და არა ქართლ-კახეთის, ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) რუსეთთან შემოერთების 100 წლის შესრულების მნიშვნელოვანი დღესასწაულის დღეს, სიამოვნებით ვიგონებ ამ სახელოვან ისტორიულ გარემოებას... მოვიგონებ ქართველ თავად-აზნაურთა რუსეთის წინაშე ღვაწლს, რომელიც არა ერთხელ მოწყალედ დაფასებულა ჩემთა წინაპართა და ვუცხადებ თავადაზნაურობას ჩემს იმპერატორულ და მეფურ სათნოებას".

შემდეგ რუსეთის იმპერატორი ჩამოთვლიდა იმ წყალობას, რაც მან გაიღო საქართველოსათვის სწორედ ამ „დიდი ისტორიული თარიღის" აღსანიშნავად: 1. კავკავში დაარსდეს კადეტთა კორპუსი; 2. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა შვილების აღსაზრდელად დამატებით ხაზინიდან გაიცეს ყოველწლიურად 40 ათასი მანეთი...; 3. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურები და მემამულეები სამი წლით განთავისუფლდნენ სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადებისაგან და ა.შ. და ა.შ.[1].

ამ გულუხვ ჩამონათვალში განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი მუხლი – კავკავში (დღევანდელ ვლადიკავკაზში), ოსების დედაქალაქში, დაარსდეს კადეტთა კორპუსი – როგორც ჩანს, ნიკოლოზ II ჩინებულად იცოდა, რომ კავკასიონის ორივე მხარეს ოსებით დასახლებული ტერიტორიები, იურიდიულად და ფაქტობრივადაც, ისტორიულად საქართველოს მეფე-მონარქებს ეკუთვნოდათ და მათ საქართველოს უკავშირებდა. სხვა მხრივ გაუგებარია ამ ისტორიულ დოკუმენტში კავკავის ხსენება და იქ სამხედრო სასწავლებლის შექმნა – როგორც საქართველოს შეერთებასთან დაკავშირებული მეფური წყალობა.

საიუბილეო დღესასწაულები სამი დღე გაგრძელდა. საზეიმო ღონისძიებებს ცვლიდა ქართველ თავადაზნაურთა მიერ მოწყობილი ბრწყინვალე სადილები, თეატრალური სანახაობები, ფეიერვერკები, გაჩახჩახებულ, გაწკრიალებულ თბილისში დიდი სახალხო სეირნობები.

ამ რესკრიპტს თავისი მნიშვნელობა დღესაც აქვს – ფაქტობრივად ნიკოლოზ II-მ იურიდიულად აღიარა „საქართველოს" (და არა „ქართლ-კახეთის') შეერთება რუსეთთან 1801 წელს და ამით კიდევ ერთხელ იურიდიულად დააკანონა ქართველი ხალხის საკუთრების იურიდიული უფლება იმ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის იმპერიაში საქართველოს ცნებას უკავშირდებოდა.

მაგრამ საქართველოს საზოგადოების ყველა ფენა ოვაციით როდი შეხვდა ამ იუბილეს. საქართველოს პროგრესული საზოგადოება, ინტელიგენციის დიდი ნაწილი მკვეთრად უარყოფითად აფასებდა რუსეთის კოლონიალიზმის 100 წელს. ხოლო ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიანთ პუბლიკაციებსა და პროკლამაციებში არ ერიდებოდნენ და ამბობდნენ ჭეშ-

მარიტ სიმართლეს – ეს იყო „რუსეთის ხიშტის 100 წელი კავკასიაში“. პრობლემატიკები, რომელიც კავკასიელმა სოციალ-დემოკრატებმა მასობრივი ტირაჟით დაბეჭდეს, ხაზს უსვამდნენ რუსული იმპერიალიზმის მტაცებლურ ბუნებას, მისი მხრიდან კავკასიის ხალხების ჩაგვრას, უსამართლობისა და ძალმომრეობის კულტის გავრცელებას კავკასიაში. ეს პრობლემატიკა აშკარად მიანიშნებდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკურ მომზადებაზე, მათ ამბიციებსა და სოციალისტური საქმისადმი ერთგულებაზე.

XX საუკუნის დასაწყისში ქართული სოციალ-დემოკრატია უკვე საკმაოდ მყარად იდგა ფეხზე: მათ არსენალში იყო რამდენიმე წარმატებით ჩატარებული საპირველმაისო დემონსტრაცია, ინტენსიური კონტაქტები მუშებთან ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში (ბათუმი, ჭიათურა, გურია, თბილისი და ა.შ.), მუშათა თვითგანათლებისა და პოლიტიკური მომზადების საკმაოდ განტოტვილი ქსელის შექმნა და, განსაკუთრებით, საკმაოდ მაღალ დონეზე მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამები და მარქსიზმის საფუძვლების მასობრივი პროპაგანდა პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობაში[2].

ეს პროპაგანდა თავიდანვე მკვეთრად დაუპირისპირდა იმას, რასაც „თერგდალეულები“ ასე რუდუნებით და მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდნენ – ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს. ქართველი სოციალ-დემოკრატები, ისევე როგორც მათი პარტიელი ამხანაგები: რუსი, სომეხი, ებრაელი, აზერბაიჯანელი სოციალ-დემოკრატები აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც, ეროვნული ერთიანობის იდეას, რომელიც კლასობრივ საზოგადოებაში მათ მიერ მიუღწეველ ოცნებად გამოცხადდა. ისინი თავისი პოლიტიკური პროპაგანდის დროს პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობას მოუწოდებდნენ მარქსიზმის ინტერნაციონალისტური დროშის ქვეშ გაეროთიანებას, ბურჟუაზიისა და თავადაზნაურების მიმართ კლასობრივ ზიზღსა და შეურიგებლობას ნერგავდნენ, ილიასეულ „საერთო ნიადაგის“ თეორიას მშრომელების კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებად და კლასობრივი კომპრომისის მიღწეულად თვლიდნენ და მის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლაც გააჩაღეს.

რაც დრო გადიოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეები მოსახლეობის ფართო ფენებში ინერგებოდა. საქართველოს ფაბრიკა-ქარხნები სწორედ ის ნაესაყუდელი იყო, სადაც ყალიბდებოდა საქართველოს, კავკასიის პროლეტარიატის ინტერნაციონალური ერთობა – სოციალ-დემოკრატიის მთავარი და უპირველესი მიზანი. გამოიკვეთნენ იდეოლოგიური ხელმძღვანელებიც: ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, კ. ჩხეიძე, ი. ჯუგაშვილი, ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე, ს. შაუმიანი და სხვ. გამოჩნდნენ მუშა-პრაქტი-

კოსებიც: ძმები სტურუები, მ. ჩოდრიშვილი, ს. ალილუევი (სტალინის მომავალი სიმამრი), ნ. ალაჯალოვა და სხვ.

1897 წელს თბილისში დაარსდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ადგილობრივი კომიტეტი. ასეთივე კომიტეტი მოგვიანებით შეიქმნა დასავლეთ საქართველოში – იმერეთ-სამეგრელოში. ჩამოყალიბდა კავკასიის კავშირიც (1903 წ.) – რეგიონალური ცენტრი. შედარებით სუსტად ვრცელდებოდა მარქსისტული იდეოლოგია აფხაზეთში, იქ ამ იდეოლოგიით უფრო ქართველი მოსახლეობის უღარიბესი ნაწილი დაინტერესდა.

1901 წელს მოხერხდა პირველი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ბრძოლის" დაარსება, რომელიც მარქსიზმის პროპაგანდას ეწეოდა და საქართველოს სხვადასხვა ერის მუშებს მოუწოდებდა ინტერნაციონალური დროშის ქვეშ ებრძოლათ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს ავლაბრის არალეგალური სტამბა, სადაც პროკლამაციებსა და პოლიტიკურ ბროშურებს ბეჭდავდნენ. 1903 წელს ქართული „ბრძოლა" და სომხური „პროლეტარი" გაერთიანდნენ და დაიწყო გამოსვლა ღრმად ინტერნაციონალისტურმა გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლა".

1902 წელს ძლიერი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი შექმნა ბათუმში იოსებ ჯუგაშვილმა. მან მიაღწია ბათუმის ნავთის ბიდონების მწარმოებელ ქარხნების მუშების დარაზმეას სოციალ-დემოკრატიული პრინციპების გარშემო, გაუძლიერა პროლეტარული სოლიდარობის გრძნობა.

მუშათა ინტერნაციონალისტური აღზრდის თვალსაზრისით უდიდესი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის მიერ უპატრონო, რიგითი სომეხი მუშის გარდაცვალების გამორჩეულად აღნიშვნის ფაქტს. ქალაქის მუშებმა დაკრძალვის პროცესი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დემონსტრაციად გადააქციეს და ქალაქის ცენტრალური ქუჩა გადაკეტეს[3].

1902 წლის მარტის დასაწყისში როტშილდის ბიდონების საწარმოდან მუშების უკანონო დათხოვნის მოტივით სოსო ჯუგაშვილმა მოაწყო ძლიერი პროლეტარული დემონსტრაცია, რომელიც 9 მარტს მეფის პოლიციასთან სისხლიანი შეტაკებით დამთავრდა. დაიღუპა 15 კაცი. მეფის ჟანდარმერიამ დააპატიმრა დემონსტრაციის ორგანიზატორები და აქტივისტები. **ეს იყო იოსებ ჯუგაშვილის საქმისათვის ქართველების მიერ პირველად გაღებული სისხლი – იმ დღიდან საქართველოს ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა ამ ისტორიულ პიროვნებას.**

ბათუმიდან გასახლებული მუშები გურიის სოფლებს მოედვნენ და რევოლუციური პროპაგანდა გააჩაღეს. იმჟამად გურია საქართველოს ერთ-ერთი

სოციალურად დამცრობილი რეგიონი იყო და ამიტომაც სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა აქ განსაკუთრებულ შედეგებს აღწევდა. გურიაში იქმნებოდა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები.

1903 წელს ლონდონში შეიკრიბა რსდმ პარტიის II ყრილობა, რომელმაც გააერთიანა რუსეთის იმპერიაში თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და ეს ერთობა მტკიცედ დაუკავშირა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ იდეას, ხოლო ეროვნული საკითხის მოგვარება – პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საბოლოო შედეგებს.

რსდმპ II ყრილობას საქართველოდანაც ესწრებოდნენ დელეგატები (დ. თოფურიძე, ა. ზურაბოვი და სხვ.), სწორედ ამ ყრილობაზე წარმოიშვა ორი მიმდინარეობა – „ბოლშევიზმი" (ვ. ი. ლენინის მომხრეები) და „მენშევიზმი" (პლეხანოვ-მარტოვის მიმდევრები). საქართველოს წარგზავნილებმა მხარი უფრო „მენშევიკებს" დაუჭირეს. საქართველოს სოციალ-დემოკრატები ამ პერიოდში რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფას და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას არ მოითხოვდნენ. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ ავტონომიის მოთხოვნისაც კი. მარქსისტული დოგმატიდან გამომდინარე ისინი მომავალში მსოფლიო პროლეტარული სახელმწიფოს შექმნას ვარაუდობდნენ და მიაჩნდათ ეროვნული თავისებურებების გაფეტიშება, ეროვნული საკითხის წინ წამოწევა დაასუსტებდა პროლეტარიატის ერთიან ბრძოლას ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციული ჩამოყალიბება დაემთხვა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ გართულებას – რუსეთ-იაპონიის დაპირისპირებას, რაც 1904 წლის ომში გადაიზარდა. ამ ომში საქართველოს მცხოვრებლებიც იღებდნენ მონაწილეობას, ხოლო ომის უარყოფითი ზეგავლენა მკვეთრად აისახა მხარის მშრომელთა სოციალურ ყოფაზე. ამან გამოიწვია სოციალური პროტესტი, რაც 1905 წელს რევოლუციურ მღელვარებაში გადაიზარდა.

ამტკიცებენ, რომ 1905 წლის რევოლუციური მოვლენების დროს ამბოხებული გლეხები „წვავდნენ სოფლის კანცელარიას, აძევებდნენ საძულველ მოხელეებს. აჯანყებულები ხელთ იგდებდნენ მემამულეთა მიწებს. საძოვრებს, ტყეებს და გლეხებს უნაწილებდნენ. ბევრ ადგილას სავსებით პარალიზებული იყო ხელისუფლების ორგანოების მუშაობა. გლეხები ქმნიდნენ სახალხო მმართველობას.."[4].

აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული აღმოსაელეთ საქართველოც. მემამულეებს აქაც ტოტალურად ერეკებოდნენ საცხოერებელი ადგილებიდან. **აშკარა იყო, რომ „თერგდალეულების" ნანატრი სურვილი – კლასობრივი ზავის, „საერთო ნიადაგის" შექმნისა და ქართველი ერის კონსოლიდაციის**

მიზნით გაწეული პროპაგანდისტული მუშაობა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის კანონებმა ერთი მოსმით დაანგრია.

ქართველები ამ კლასობრივ ომში ისეთ გამორჩეულ თავდადებას და შემართებას ავლენდნენ, რომ გურიის გლეხთარეველოლუციური გამოსვლები, ნასაკირალის ბრძოლა, და სხვა რევოლუციური ეპიზოდები რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლების ქრესტომათიაში შევიდა. რსდმპ III ყრილობამ სპეციალური რეზოლუცია მიუძღვნა გურიის გლეხობის რევოლუციურ ბრძოლებს და აღნიშნა: „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას... თვითმპყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარებსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს ყველა უმნიშვნელოვანესი კურის უაღრესად დაუნდობელ განადგურებას...“[5].

საქართველოს მოსახლეობის რევოლუციურმა შემართებამ, მიტინგებმა და პოლიტიკურმა მსვლელობებმა, განსაკუთრებით პოპულარული გახადეს ქართველი სოციალ-დემოკრატები. რიგითი ქართველები ნაკლებად ერკვეოდნენ პოლიტიკურ ნიუანსებში და ვერანაირ განსხვავებას ვერ ხედავდნენ მემარჯვენე თუ მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს შორის (როგორც დოკუმენტურად დასტურდება, ამას ხშირად თვითონ მეფის საიდუმლო პოლიციის თანამშრომლებიც კი ვერ ხედავდნენ). მათთვის მთავარი იყო, რომ ეს პარტია რევოლუციური გარდაქმნების სწრაფად განხორციელებას პირდებოდა მათ. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოდან რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში (პარლამენტის ქვედა პალატა) დეპუტატებად პირველსავე არჩევნებზე ძირითადად სოციალ-დემოკრატები აირჩიეს. ეს, მართლაც, გამორჩეული ვითარება იყო – რუსეთის უკიდეგანო იმპერიაში სოციალ-დემოკრატიის ინტერესებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ქართველები წარმოადგენდნენ. გამორჩეულად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას წლების მანძილზე ქართველი კარლო ჩხეიძე ხელმძღვანელობდა. ხოლო დეპუტატებზე: ირაკლი წერეთელზე, არშაკ ზურაბოვზე, სევერიან ჯუღელზე, კონსტანტინე კანდელაკზე, გერასიმე მახარაძეზე და სხვებზე სახელმწიფო საიდუმლო პოლიციას („ოხრანკას“) სპეციალური საქმეები ჰქონდა გახსნილი და მათ სისტემატურად უთვალთვალებდნენ[6].

ხაზგასასმელია ისიც, რომ „თერგდალეულების“ თვალსაჩინო და აქტიური წარმომადგენელი აკაკი წერეთელი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად სწორედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარდგინებით იყრიდა კენჭს და სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება მისი ყველაზე უფრო ანტიკლერიკალური გამოსვლები, წერილები თუ ლექსები. მიგვაჩნია, რომ ეს ფაქტი ულაპარაკოდ

მიანიშნებს „თერგდალეულების“ რიგებში სერიოზულ იდეოლოგიურ განხეთქილებაზე, საქართველოში სოციალ-დემოკრატიის პოზიციების განმტკიცებაზე და კლასობრივი ზავის ილიასეული შეხედულების დასამარებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის პოპულარობის ზრდას საქართველოში ისიც მოწმობს, რომ საქართველოში მაღალი კლასის მოსწავლეები ენერგიულად იბრძოდნენ საგანმანათლებლო პროგრამებიდან „საღვთო რჯულის“ ამოსაღებად, საქართველოს სოფლებში იყო მცდელობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის და ა.შ. და ა.შ..

საქართველოს მოსახლეობის ღარიბი და უღარიბესი ნაწილი თანაგრძნობით ეკიდებოდა რევოლუციური პარტიების მიერ „მებრძოლი რაზმების“ აგრესიულ მოქმედებას, რაც ხშირ შემთხვევაში მკვლელობებით, ექსპროპრიაციით, მემამულეთა ოჯახების აწიოკებით მთავრდებოდა. 1906-1907 წლებში თბილისსა და საქართველოს რეგიონებში სოციალ-დემოკრატების „რევოლუციური მეთოდების“ მსხვერპლნი აღმოჩნდნენ: თბილისის გენერალ-გუბერნატორი ტიმოფეევი, თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების უფროსი ლეფევრი, გორში მოკლეს თავადი ერისთავი, მუხათგვერდთან გაძარცვეს ირანის შაჰის ელჩის ეტლი და ა.შ..[7]

რუსეთის რევოლუციონერების, მათ შორის, სოციალ-დემოკრატების მიერ დანთებული რევოლუციური ცეცხლი, მათ მიერ გაჩაღებული რევოლუციური ბრძოლა (ან შეიძლება ითქვას – ტერორისტული თარეში) სულ უფრო ახალი და ახალი პოლიტიკური მოღვაწის სიცოცხლეს იწირავდა რევოლუციის სამსხვერპლოზე...

§ 2. – ილიას მკვლელობა

1907 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან, ოლღა გურამიშვილთან ერთად, თბილისიდან საგურამოში მიემგზავრებოდა. წიწამურთან მას შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი დახვდა, რომლებმაც სიცოცხლეს გამოასალმეს საქართველოს დიდი ეროვნული მოღვაწე. „ათი დღე, 30 აგვისტოდან – 9 სექტემბრამდე გლოვის ზარი გაისმოდა საქართველოში“ – წერდა ილიას საქმის დიდი დამფასებელი პაველ ინგოროყვა. მოაზროვნე საქართველომ გულწრფელად დაიტირა ერის დიდი მოჭირნახულე.

მამა დავითის წმინდა მთაზე მიუჩინეს განსასვენებელი საქართველოს დიდ მამულიშვილს, რომელმაც საუკუნო საფიქრელი დაუტოვა სრულიად საქართველოს: ვინ? რატომ? როგორ? რისთვის?

საუკუნეზე მეტია ათასგვარი ვერსია არ ასვენებს სრულიად საქართველოს და ყოველ წლიურად კიდევ ახალი და ახალი ვარაუდი გამოითქმის და ვანსჯის საგანი ხდება.

მთავარი ის არის, რომ, როგორც აღნიშნავენ, **„ი. ჭავჭავაძის მკვლელობა იყო ვერაგულად გამიზნული პოლიტიკური აქტი, მიმართული ქართველი ხალხის მთლიანობის წინააღმდეგ“**[8].

ძალიან სწრაფად აგორდა აზრი, ამ ტრაგედიის ორგანიზებაში სოციალ-დემოკრატიული კვალის შესახებ. ამ აზრს განამტკიცებდა თვითონ სოციალ-დემოკრატების, მათ შორის ნ. ჟორდანიას ცინიკური გამონათქვამიც – „შეშას ჭრიან – ნაფოტები ცვივა!“. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე პ. გელეიშვილი კიდევ უფრო შორს წაიდა: „ილია ჭავჭავაძე თავის ძველ იდეალურ საქართველოსთან ერთად სამუდამოდ დაიმარხა“[9].

საკმაოდ ბევრი იყო ვერსიები ვინმე „იმერელი ბიჭის“ მონაწილეობის შესახებ ამ ტერორისტულ აქტში და ეს „ბიჭი“ სერგო ორჯონიკიძესთანაც კი იყო გაიგივებული. საზოგადოების ერთი ნაწილი მეფის აგენტურის აქტივობასაც არ გამორიცხავდა. ამ თვალსაზრისის აქტიური პოპულარიზატორები და გამზიარებელნი თვითონ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც) იყვნენ.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ საქართველოში ილიასა და მისი მეგობრების მიერ დაწყებული ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობა – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინა ეტაპი, არა მარტო შეფერხდა, არამედ დიდი ხნით შეჩერდა კიდეც. 1907 წლის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ აზრს ტოტალურად უკვე მეპარცხენე იდეოლოგია – სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, კომუნისტური აკონტროლებდა და ამიტომაც ქართველმა ხალხმა ეროვნული კონსოლიდაციისათვის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვეღარ მოიცალა.

ილიას ღვაწლი, ილიას წვლილი იმჟამად მხოლოდ განათლებულ, ეროვნულ პოზიციებზე მდგომ საზოგადოებას ესმოდა, და ამიტომაც მათ ასე გულწრფელად დაიტირეს ის. მაგრამ ასეთი ადამიანები იმჟამად საქართველოს მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდნენ. სამართლიანად აღნიშნავენ: „ილიას ვერ გაუგეს... ისეთი „გულთა ძგერით“ და „სულთა-ძვრით“ ემსახურა ილია თავის ქვეყანას და თუმცა მისი დიდი ღვაწლი, განსაკუთრებით სიცოცხლის დასალიერზე, ზოგმა ეჭვის ქვეშ დააყენა, მაგრამ თავად დარწმუნებული იყო, სხვანაირად ვერ შეეჭიდებოდა უმძიმეს ტვირთს ქვეყნის შვილისა...“[10].

ილიას გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ უამრავი შეხედულება გამოითქვა – ავიც და კარგიც. იმასაც კი ამბობდნენ, რომ 1907 წელს მოკლეს

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის **ყველაზე პოპულარული მოღვაწე** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)"[11].

პაველ ინგოროყვას მიხედვით კი: „ამაო იყო მტრის წადილი შებრძოლებოდა იმას, რაც მარადისია, მოესპო გასროლილი ტყვიით ის, რაც უკვდავია. უკვდავია ილიას საქმე"[12].

„წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი!" – იტყვის გალაქტიონი და მართალიც იქნება...

ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ დაასრულა ერთი ეტაპი ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობისა: რომლის დროს განისაზღვრა ძირითადი საკითხების წრე, ჩამოიქნა მოქმედების გეგმა, გამოიკვეთა პრიორიტეტები, გადაიდგა რეალური ნაბიჯები და გარკვეული შედეგებიც იქნა მიღწეული. ეს გეგმა, ეს ამოცანა ილია ჭავჭავაძემ საფლავში როდი წაიღო, როგორც ამას პ. გელეიშვილი ვარაუდობდა, – ის ქართველ ერს დაუტოვა, როგორც ანდერძი და როგორც დიდი შესასრულებელი ამოცანა. უკვე ილიას დროს ნათელი იყო, რომ ამ ამოცანის განუხორციელებლად ქართველობა წინ ვერ წავიდოდა, რომ საჭირო იყო ენერგიული მუშაობა – ერთობლივი მუშაობა, შესაძლებელია უკვე ახალ ეპოქაში, ახალ თვისებრივ პირობებში.

1907 წლის წიწამურის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს წინაშე იმდენი გადასაჭრელი ამოცანა დადგა, იმდენი ომი, სისხლისღვრა, ნგრევა და ქაოსი განიცადა ქვეყანამ, რომ გარკვეული პერიოდი საზოგადოებამ მიივიწყა (როგორც ვნახეთ, მისმა უდიდესმა ნაწილმა არც კი იცოდა ვინ იყო) ილიაც და მისი ბრძნული შეგონებებიც. მხოლოდ 30 წლის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვლება.

§ 3. – რუსეთის ანტიძართული, დეზინტეგრაციული საძმიანოგის გაძლიერება

XX საუკუნის დასაწყისში აშკარად გამოიკვეთა, რომ რუსეთის იმპერიას სერიოზული ინსტიტუციონალური პრობლემები აქვს, რომ თავადაზნაურულ-მონარქიული დესპოტია ახალ ეპოქაში უკვე ანაქრონიზმი იყო და საჭირო იყო სწრაფი ცვლილებები, რომლებიც ახალ სიცოცხლეს შთაბერავდნენ, განაახლებდნენ და ევროპის განვითარებული ქვეყნების გვერდით დააყენებდნენ რუსეთის უკვე ძირმომპალ იმპერიას.

სიმართლე ყველას გასაგონად დიდმა რუსმა მწერალმა, გრაფმა ლევ ტოლსტოიმ უთხრა მშობლიურ ქვეყანას და მის ახალგაზრდა იმპერატორს: „რუსეთის მესამედი გაძლიერებული კონტროლის ქვეშაა, ესე იგი კანონგარეშეა. პოლიციელთა არმია – აშკარაცა და ფარულიც – სულ უფ-

რო იზრდება. ციხეები, გადასახლებისა და საკატორღო ადგილები გადაჭედილია ასეული ათასი სისხლის სამართლის დამნაშავით, პოლიტიკური პატიმრით, რომლებსაც უკვე მუშებიც მიათვალეს. ცენზურამ მიაღწია აკრძალვების წარმოუდგენელ საზღვრებს, რისთვისაც არ მიუღწევია 40-იანი წლების (იგულისხმება ნიკოლოზ I ეპოქა – ა. დ.) საშინელ ხანაშიც. რელიგიური დევნა არასოდეს ყოფილა ასე ხშირი და სასტიკი, როგორც ამჟამად... და როგორც შედეგი ასეთი დაძაბული და სასტიკი მოქმედებისა, მიწათმოქმედი ხალხი – ის 100 მილიონი, რომლის მხრებზე რუსეთის ძლიერებაა დავანებული, მიუხედავად წარმოუდგენლად მზარდი სახელმწიფო ბიუჯეტისა, და იქნებ სწორედ ამ ზრდის მიზეზით, ღატაკდება ყოველწლიურად... თქვენი მემამულეები თქვენ გარწმუნებენ, რომ შეაჩერებენ რა ხალხში ყოველგვარ მოძრაობას, ამით ისინი უზრუნველყოფენ ამ ხალხის კეთილდღეობას და უშიშროებას, მაგრამ უწინარეს მდინარის დინება შეიძლება შეწყდეს, ვიდრე შეწყდება თვით უფლის მიერ დაკანონებული კაცობრიობის მარადიული მოძრაობა წინ“[13].

საოცრად გულწრფელი ნათქვამია. ასეთი იყო მდგომარეობა რუსეთის ციტადელში.

კიდევ უფრო დრამატული იყო მდგომარეობა საქართველოში. იმჟამად მეფის ხელისუფლებას ორი ძირითადი ამოცანა აღელვებდა ქართველების მიმართ: მიეღწია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ლოიალობისათვის და არ დაეშვა ქართველთა კონსოლიდაციის პროცესის დასრულება, რომელიც ქართველმა „თერგდალეულებმა“ ასე წარმატებით დაიწყეს.

პირველი ამოცანა წარმატებით სრულდებოდა. ჩვენ ვნახეთ, რომ ქართველი თავადაზნაურობის უმრავლესობა, ბურჟუაზია (განსაკუთრებით სომხური), ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი ლოიალური იყო საიმპერატორო ხელისუფლების მიმართ. რიგითი მოსახლეობაც, გარკვეულწილად, ლოიალური იყო და აშკარად არ უპირისპირდებოდა რეჟიმს. ეს ლოიალობა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, განსაკუთრებით რელიეფურად წარმოჩნდა 1888 წელს ალექსანდრე III ვიზიტის დროს საქართველოში, რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლისთავის საიუბილეოდ და რომანოვების სამეფო ტახტზე ასვლის 300 წლის იუბილის აღნიშვნის დღეებში.

ქართველების რეჟიმის მიმართ ლოიალობის დადასტურებაა ისიც, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდნენ, და საკმაოდ ერთგულადაც, ქართველი ოფიცრების გამორჩეული კადრები (დაახლოებით 7000 ქართველი სხვადასხვა რანგის ოფიცერი იყო დაკავებული რუსეთის რეგულარულ არმიაში, მათ შორის გენერლები: გ. კვინიტაძე, გ. მაზნიაშვილი, პოლკოვნიკები: რ. მუსხელიშვილი, ე. წულუკიძე, ქ. ჩოლოყაშვილი და სხვ.). საქართველოში ჯარში გაწევის კამპანია არასოდეს ჩაშლილა მო-

სახლეობის მასობრივი უკმაყოფილების გამო. ამრიგად, ლოიალობის საკმაოდ მაღალი ხარისხი საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში რუსეთის ხელისუფლებას XX საუკუნის დასაწყისში გარანტირებული ჰქონდა.

მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას სერიოზულად აღელვებდა ქართველი ინტელიგენციის მცდელობა და მათ მიერ ქართველი ერის კონსოლიდაციის მიზნით წარმოებული მუშაობის შესაძლო შედეგები. მეფის რუსეთს საქართველო პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური უფრო აწყობდა, ხოლო თუ კი ქართველებს შორის კონფესიური, ან ეთნოგრაფიული თვალსაზრისით იარსებებდა სერიოზული დაპირისპირება – ეს რუსეთისათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი იყო – ის მუდამ შეასრულებდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის მომრიგებლის როლს, ან, გარკვეულ ვითარებაში, თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა ქართველთა ეთნოგრაფიულ თუ კონფესიურ დაპირისპირებას. ამ მიმართულებით რუსეთის სპეცსამსახურები საგანგებო მუშაობას ეწეოდნენ.

ეს მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, როცა ცენტრალურ ხელისუფლებას განსაკუთრებით აფრთხობდა კოლონიებში საპროტესტო ძალების შესაძლო გაერთიანება და მათი ერთობლივი ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოში რუსულმა „ოხრანკამ“ სერიოზული ნაბიჯები გადადგა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების სისხლიანი შეტაკების მოსაწყობად. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „თერგდალეულების“ მუშაობის ერთ-ერთი წარუმატებელი რგოლი იყო კონფესიური მრავალფეროვნების დაძლევა და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად ქართველების კონსოლიდაციის მიღწევა. მართალია, ახალციხესა და ახალქალაქში ეს მცდელობა სერიოზული არც არასოდეს ყოფილა და პოზიტიური შედეგების ფიქსაცია ჭირს, მაგრამ აჭარაში – რომლის მაჰმადიანი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქართული ენა შემორჩენილი ჰქონდა, ქართველმა ინტელიგენციამ, როგორც თბილისიდან, ისე ბათუმიდან, გარკვეული მუშაობა ჩაატარა ეროვნული კონსოლიდაციის მიმართულებით. მაგრამ, როგორც დავინახეთ, აშკარად – უშედეგოდ.

სწორედ ჯერ კიდევ არსებული გაუცხოების კიდევ უფრო გაღრმავება გადაწყვიტეს რუსეთის სპეცსამსახურებმა. დიდი ქართველი მოღვაწე მემედ აბაშიძე თავის ერთ-ერთ მოგონებაში აღწერს ასეთ ფაქტს: „რევოლუციონერმა იოსებ ბრეგვაძემ ბათუმის ოლქის მმართველს, არქირეაქციონერს ივანოვს ესროლა. მოკლულის გვერდით შემთხვევით მყოფი ხუსეინ-ბეგი შერვაშიძე მკვლელს გამოეკიდა და შეებრძოლა. ბრეგვაძემ მასაც დაახალა ტყვია. რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ იმავ წამს გაავრცელა

ჭორი, რომ „ქართველ ქრისტიანებს გადაუწყვეტიათ გაწყვიტონ ყველა ბეგი და მაჰმადიანი აზნაური აჭარაში“. ეს ჭორი დაიჯერეს და მაჰმადიანი მოსახლეობა სოფლებში, განსაკუთრებით მთის სოფლებში, დაირაზმა, შეიარაღდა, დაიძრა ბათუმისაკენ ქართველების დასასჯელად[14].

როგორც მ. აბაშიძე ამტკიცებს, პროქართულად განწყობილ ბათუმელ მაჰმადიანებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ გააეებული ბრბო დაეწყნარებინათ და ამით დაძაბულობა განმუხტეს.

რახან დარწმუნდნენ, რომ პროვოკაციისათვის ნაყოფიერი ნიადაგი შემზადებული იყო, მეფის „ოხრანკამ“ გააძლიერა ანტიქართული მოღვაწეობა ბათუმის ოლქში. როგორც ამტკიცებენ, ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ ბათუმის ოლქში ქრისტიანი ქართული მოსახლეობის მიგრაციას და ადგილზე მათ დამაგრებას. ამ გზით რუსები ცდილობდნენ მინიმუმამდე შეემცირებინათ ქართველი და მაჰმადიანი ქართველების კონტაქტები[15].

მკვლევარი ო. გოგოლიშვილი აქვეყნებს ინფორმაციას, თუ როგორ ცდილობდა რუსეთის აგენტურა ლოიალურად განწყობილი აჭარელი ბეგების ჩაბმას ანტიქართულ საქმიანობაში, რომ მომხდარიყო ქრისტიანებისა და მაჰმადიანების სისხლიანი შეტაკება. ამ მიზნით განსაკუთრებით ცდილობდნენ ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის გამოყენებას, რომელმაც ამ პროვოკაციის შესრულებაზე სასტიკი უარი განაცხადა[16].

რუსეთის სახელმწიფო აჭარაში ანტიქართულ საქმიანობას ყოველ წლიურად აძლიერებდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია წერილი, რომელიც ზემდგომ ინსტანციაში გააგზავნა რუსმა მოხელემ: „თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ ვცდილობთ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა გავაძლიეროთ რუსული ელემენტი ბათუმის ოლქში... ჩვენ გადავწყვიტეთ ეთნოკოფლიქტების ჩამოგდების გზით გაგვეთიშა „ტუზემცები“. ჯერ ვცადეთ ერთმანეთისათვის წაგვეკიდებინა ქართველი ქრისტიანები და მაჰმადიანები. ამ მიზნით ვეცადეთ მოგვესყიდნა არა ერთი გავლენიანი მაჰმადიანი ქართველი. შევაძლიეთ დიდძალი თანხა... მაგრამ ისინი ყველაფრისაგან შორს იჭერდნენ თავს“[17].

მართალია, სისხლიანი შეტაკების ორგანიზება ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ე.წ. „ქართველი მასწავლებლების“ საქმე, რომელიც რუსეთის „ოხრანკის“ ბათუმის განყოფილებამ შეთითხნა და საკმაოდ დიდი ხმაურიც ატეხა. რუსეთის აგენტურა ყოველნაირად აფურხებდა ქართველი პედაგოგების მცდელობას – გაეერცელებინათ აჭარაში ქართულ ენაზე წერა-კითხვა. ბათუმში მოსული ცირკულარი ავალებდა ადგილობრივ აგენტურას, ისე დაეგეგმათ საქმე, რომ თვითონ მაჰმადიანი მოსახლეობა დაპირისპირებოდა ქართველ პედაგოგებს[18].

სერიოზული პრობლემები შეექმნათ ქართველ მასწავლებლებს აფხაზეთშიც. აქ ქართველების ყველა მცდელობა მიეღწიათ ისტორიულ ძმებთან – აფხაზებთან კავშირის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, აწყდებოდა კოლონიალური ხელისუფლების წინააღმდეგობას. მაგალითად, რუსებმა ხელი შეუშალეს ადგილობრივი ქართველების მცდელობას, რომლებიც აპირებდნენ იაკობ გოგებაშვილისათვის დაევალებინათ აფხაზური „დედაენის“ შედგენა და პრაქტიკაში დანერგვა[19].

I მსოფლიო ომის წინ რუსებმა განსაკუთრებით გააძლიერეს ანტიქართული საქმიანობა აფხაზეთში. გამოიყენეს თავის სასარგებლოდ ის გარემოება, რომ აფხაზებმა რუსეთის I რევოლუციის დროს საერთოდ არ გამოიჩინეს არავითარი რევოლუციური აქტივობა (აფხაზებს იმჟამად საერთოდ არ ჰქონდათ პროლეტარიატი, არ იყვნენ ჩაბმული არც მრეწველობაში და არც ვაჭრობაში), ქართველებისაგან განსხვავებით – რომლებიც აფხაზეთშიც რევოლუციური შემართებით გამოირჩეოდნენ.

რუსეთის ხელისუფლებამ 1912 წელს აფხაზებს მოუხსნა „დამნაშავე ერის“ იარლიყი, რომელსაც ისინი ატარებდნენ უკვე რამდენიმე ათეული წელია და დაუპირისპირეს ქართველებს – რევოლუციის აქტიურ მონაწილეებს.

რუსებმა ასევე გააძლიერეს აფხაზეთში მიგრაციის პროცესი, როცა ხელი ეწყობოდა რუსეთისთვის ლოიალურად განწყობილი მოსახლეობის ჩასახლებას, ადგილზე დამაგრებას – დამკვიდრებას. მათ ეხმარებოდნენ მატერიალურად, მორალურად. ყველაფერი ეს, აფხაზეთში რუსეთის ზეგავლენას აძლიერებდა.

§ 4. – ეროვნული საკითხი და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი

პირველი მსოფლიო ომის მოახლოებამ ევროპის ქვეყნებში გააძლიერა მილიტარისტული განწყობილება და მისი მთავარი შემადგენელი – ნაციონალიზმი, შოვინიზმი. ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა საკუთარი ერის გამორჩეულობის იდეის პროპაგანდამ. სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგები და პროპაგანდისტები თავის საქმიანობაში წინ სწევდნენ საკუთარი ქვეყნის ინტერესების უპირატესობას, ასაბუთებდნენ მათ სამართლიანობას და, ამასთან, ყველა ცდილობდა რაც შეიძლება უარყოფითად შეეფასებინა მოწინააღმდეგე სახელმწიფო, დაესაბუთებინა მხოლოდ და მხოლოდ მისი მტაცებლური, გაუმაძღარი ბუნება, და რომ მხოლოდ ის იყო მოწოდებული დაეპყრო, დაემორჩილებინა, წაერთმია სხვისთვის, გაენადგურებინა, მიეტაცა ის, რაც მას არასოდეს ეკუთვნოდა.

I მსოფლიო ომი, როგორც აღიარებულია, მსოფლიოს განვითარების ობიექტურმა კანონებმა განაპირობეს, მაგრამ მისი თავიდან აცილება სერიოზულად არც არავის უცდია, რადგან ევროპის ყველა ქვეყანა დაინტერესებული იყო მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებით. ამ დაუოკებელი სურვილის გამო, ევროპის სახელმწიფოების იმჟამინდელმა ხელმძღვანელებმა შეგნებულად გახსნეს „პანდორას ყუთი“ და მსოფლიო აშკარად გასწირეს იმ ექსპერიმენტებისათვის, რაც დატრიალდა ევროპაში I მსოფლიო ომის შემდეგ.

შოვინიზმისა და ულტრანაციონალიზმის კულტივირებამ ევროპის მემარცხენე, განსაკუთრებით სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პარტიებში გამოიწვია გადაუდებელი მოთხოვნა განესაზღვრათ თავისი დამოკიდებულება ეროვნული პრობლემატიკის მიმართ, შეესწავლათ ნაციონალიზმის ბუნება, მისი გამომწვევი მიზეზები, მამოძრავებელი ძალები და დაეპირისპირებინათ მისთვის კარგად გააზრებული ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობა, რაც შოვინისტური ვაკხანალიის პირობებშიც უზრუნველყოფდა მემარცხენე მიმართულების სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტს მშრომელების ფართო მასაში.

საქართველოშიც ეროვნული საკითხისადმი დაინტერესება აშკარად გაძლიერდა ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ. ყველასათვის აშკარა იყო, რომ ქართველების ეროვნულ იდეას დიდი ბურჯი გამოაკლდა და საჭირო იყო ამ მდგომარეობით მაქსიმალური სარგებლის მიღება.

თითქმის ყველა მიმართულების პოლიტიკური პარტიის ლიდერი თავს ვალდებულად თვლიდა საკუთარი პარტიის დამოკიდებულება ეროვნული საკითხის თეორიული ასპექტების, ერის ცნების, მისი მომავალი განვითარებისა და პერსპექტივების შესახებ შეხედულება გამოეთქვა საჯაროდ და პრინციპულად.

საქართველოში ეროვნული საკითხის თეორიული ასპექტებისადმი ყურადღება განსაკუთრებით სოციალისტური მიმართულების პარტიებში დაფიქსირდა. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან გავეშებული რუსული ნაციონალიზმი და შოვინიზმი სერიოზულ პრობლემებს ბადებდა კავკასიაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პროპაგანდისათვის.

ქვემოთ ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ პოლიტიკური დაჯგუფებების ისეთ თეორიულ შეხედულებებს, რომლებმაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს საზოგადოების განვითარებაზე, გახდნენ კონკრეტული პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძველი, უზრუნველყვეს პარტიების ეროვნული პროექტების რეალიზაცია და გარკვეული შედეგიც მოიტანეს.

საქართველოში ეროვნულ საკითხზე ჩამოყალიბებული მოძღვრებებიდან

მსოფლიო მნიშვნელობა აქვს იოსებ ჯუგაშვილის კონცეფციას ერის ცნების, ეროვნული პოლიტიკის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისის ძირითადი პარამეტრების შესახებ. დროს გაეუსწრებ და ვიტყვი, რომ იოსებ ჯუგაშვილის კონცეფცია არა მარტო საფუძვლად დაედო ბოლშევიკური მიმართულების პროლეტარული პარტიის ეროვნულ პოლიტიკას, არამედ რუსეთში ბოლშევიზმის გამარჯვებისა და ბოლშევიკური რევოლუციის ექსპორტის წარმატებით დასრულების შემდეგ ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყნებში სწორედ ეს თეორიული დებულებები გახდნენ ძირითადი და განმსაზღვრელნი ამ ქვეყნების მემარცხენე პარტიებისათვის ეროვნული პრობლემების მოგვარების დროს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ი. სტალინის კონცეფცია ეროვნული საკითხის სოციალ-დემოკრატიული პრინციპების შესახებ მოიწონა და სამოქმედო პროგრამად დასახა მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა ვ. ი. ლენინმა[20].

იოსებ ჯუგაშვილმა კი თავისი მემარცხენე კონცეფცია ეროვნულ საკითხზე ჩამოაყალიბა თავის ბროშურაში „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ (1913 წ.). ამ დროისათვის იოსებ ჯუგაშვილს ეროვნულ საკითხზე უკვე რამდენიმე თეორიული ნაშრომი ჰქონდა გამოქვეყნებული და პარტიაში ეროვნული საკითხის მთავარ ექსპერტად ითვლებოდა. რა თქმა უნდა, მისი ეს ნაშრომი მთლიანად ეფუძნება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ თეორიას და ლენინის კონკრეტულ-ისტორიულ შეხედულებებს რუსეთის მრავალეროვან იმპერიაში ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური ამოცანების შესახებ.

ი. სტალინის ეს ნაშრომი არა ერთი სტალინოლოგის მიერ არის დეტალურად შესწავლილი და გაანალიზებული[21], მის შესახებ მოსაზრება ჩვენც გვაქვს გამოთქმული[22], ამჯერად მხოლოდ რამდენიმე ძირითად დებულებას შევეხებით, რომლსაც ჩვენი წიგნისთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ერის (ნაციის) დეფინიცია, რომელიც იოსებ სტალინმა ამ ნაშრომში ჩამოაყალიბა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში სოციალისტური ქვეყნების იდეოლოგებისა და საზოგადოებათმცოდნეების მთავარი და ერთადერთი ამოსავალი წერტილი იყო ამ სფეროში: „ნაცია არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“[23].

ჩვენ უკვე ვწერდით ჩვენს სხვა ნაშრომში, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ჩვენ საქმე გვაქვს ილია ჭავჭავაძის სამერთიანი ფორმულის: „მამული, ენა, სარწმუნოება“ აშკარა ზეგავლენასთან, რომელსაც სტალინმა, მარქსისტუ-

ლი ეკონომიკური მოძღვრების გაელენით – „ეკონომიკური წყობის ერთობაც“ დაამატა და ამით მიიღო ერის ახალი დეფინიცია.

ი. სტალინი, თავის ნაშრომში, ერთგულია რსდმპ II ყრილობაზე მიღებული ეროვნული პროგრამისა და ამიტომაც აღიარებს „ერთა თვითგამორკვევის უფლებას“, რაც ბოლშევიკებისათვის ყოველთვის გულისხმობდა ერების არა ფაქტობრივ თვითგამორკვევას, არამედ მხოლოდ უფლების აღიარებას. ფაქტობრივი თვითგამორკვევა – ლენინისა და მისი მომხრეების მიხედვით მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლების მიზანშეწონილობით შეიძლება განსაზღვრულიყო.

სწორედ აქედან გამომდინარე აყალიბებს სტალინი ეროვნულ საკითხში პარტიის სამოქმედო პროგრამას: **თვითგამორკვევის უფლება, როგორც აუცილებელი პუნქტი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში; საოლქო ავტონომია, როგორც აუცილებელი პუნქტი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში; ნაციონალური თანასწორუფლებიანობა ყველა მისი სახით (ენა, სკოლები და სხვ.) როგორც აუცილებელი პუნქტი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში; მუშათა ინტერნაციონალური შეკავშირება, როგორც აუცილებელი პუნქტი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში“**[24].

აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ მემარცხენე სოციალ-დემოკრატია წინააღმდეგია ერთიანი რუსეთის იმპერიის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის – მას საოლქო ავტონომია იმ ეტაპზე ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტის ოპტიმალურ საშუალებად მიაჩნია. სტალინი იცავს ადგილობრივ ენებსა და ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეს (**სიახლოვე თერგდალეულების პროგრამასთან აშკარაა**). მოითხოვს სხვადასხვა ერის მუშათა ინტერნაციონალურ შეკავშირებას კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ (**ე.ი. სახეზეა „საერთო ნიადაგის თეორიის“ სრული უგულებელყოფა**).

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია საფუძვლიანად განხილული სტალინის ამ ნაშრომში – ეს არის „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ თეორიული შეხედულებების უკომპრომისო კრიტიკა. ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების მიერ შემუშავებული ეს თეორია სამოქმედო პროგრამად აღიარეს რუსეთის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა, რომლის ორგანული და გამორჩეული ნაწილი ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები იყვნენ. „კულტურულ-ნაციონალური“ ავტონომია კი გულისხმობდა არა ტერიტორიულ ავტონომიას, არამედ კულტურულს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ავტონომია მიენიჭებოდა არა, მაგალითად, საქართველოს, არამედ ქართველს – სადაც არ უნდა ეცხოვრა მას. შეიქმნებოდა „ეროვნული რეესტრები“, რომელიც საკუთარი სურვილის გათვალისწინებით გააერთიანებდა ერთი ერის ხალხს, შეიქმნებოდა ექსტერიტორიული პარლა-

მენტი, რომელიც იზრუნებდა ეროვნული ენის, ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის განსაკუთრებით დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შენარჩუნება-განვითარებისათვის. ამ პროგრამის მეორე თავისებურება ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები უნდა აგებულიყო ეროვნული ნიშნის მიხედვით, რაც ერთი სახელმწიფოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაშლას გამოიწვევდა. ეს კი ყოველმხრივ მიუღებელი იყო ლენინისა და ბოლშევიკებისათვის.

რუსეთის სინამდვილეში ამ იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი დამცველი და გამტარებელი ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანია იყო. ის წერდა: „სულ სხვაა ნაციონალურ-კულტურული საქმეები. ესენი დაკავშირებულია არა განსაზღვრულ ტერიტორიასთან, არამედ განსაზღვრული ერის არსებობასთან. ქართული ენის სვე-ბედი ერთნაირად აინტერესებს ქართველს, სადაც უნდა ცხოვრობდეს ის. თქმა იმისა, რომ ქართული კულტურა მარტო საქართველოში მცხოვრებ ქართველთ ეხებაო – დიდი სიბრიყვე იქნება“[25].

სწორედ ამიტომაც სტალინი გამორჩეულად აკრიტიკებს ნოე ჟორდანიას შეხედულებებს ეროვნულ საკითხზე, რადგან სწორედ ის იყო რუსეთის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი აღიარებული იდეოლოგი, ხოლო საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მან თავისი შეხედულებები „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ შესახებ საქართველოში ნამდვილად განახორციელა (ამის შესახებ ქვემოთ).

უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში (როგორც ქართულში, ისე საზღვარგარეთულში) ნოე ჟორდანიას საქმიანობა, მისი თეორიული შეხედულებები საეროვნებათაშორისო ურთიერთობების გადაჭრის გზებისა და მეთოდების შესახებ, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდე, ცალსახად ეროვნული პოზიციებიდან არის შეფასებული[26], რაც ჩვენი აზრით არ შეესაბამება არც ჭეშმარიტებას და ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის ლიდერების იმ ერთგულებას რუსეთის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზის მიმართ, რომლის გამტარებელნი საქართველოში და სრულიად კავკასიაში ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე და სხვები იყვნენ. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ იძულებით დადგნენ ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე და ამ საქმეშიც გერმანიის იმპერიისა და თურქეთის პორტის ზეწოლა აშკარა იყო (ამის შესახებაც ქვემოთ).

მეტად საინტერესო და გააზრებული ეროვნული პოლიტიკა ჰქონდა საქართველოში პოპულარულ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას, მის ლი-

დერს – არჩილ ჯორჯაძეს. ეროვნული პრობლემა ამ პარტიისათვის, განსხვავებით სოციალ-დემოკრატებისაგან, მთავარი და არსებითი იყო. ა. ჯორჯაძე სამართლიანად წერდა: „საინტერესოა მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, თუ როგორ გესმით ეროვნული პრობლემა, ავტონომისტი ხართ, თუ ავტონომიის მოწინააღმდეგე, ამაყად ატარებთ ქართველი კაცის სახელს, თუ სირცხვილით იწვით იმ უბედურების გამო, რომ განგებად ქართველად გშობა და ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანად გაგაჩინა“[27].

სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით ა. ჯორჯაძე ერის წარმოშობასა და განვითარებას მჭიდროდ უკავშირებდა სახელმწიფოს, ჩვენს შემთხვევაში – ქართული სახელმწიფოს არსებობას, რადგან მიაჩნდა: **„ერი ჩნდება იქ, სადაც ჩნდება კანონი, ე.ი. სახელმწიფო თავისი ორგანოებით. უსახელმწიფოდ ერი არ არის“**[28].

ეს დღესაც სადავო დებულებაა, რადგან მსოფლიოს ისტორიული გამოცდილება იცნობს ერებს, რომლებსაც ან სახელმწიფო საერთოდ არ ჰქონიათ, ან სახელმწიფოებრიობა დიდი ხნის მანძილზე დაკარგეს (ებრაელები, სომხები, ბოშები და ა.შ.), მაგრამ გარკვეული წინსვლა ერის განვითარების პროცესში მუდამ ჰქონდათ.

ა. ჯორჯაძის ნააზრევში განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ პროცესებს ის მარტივად არ აღიქვამს, ამჩნევს სირთულეებსაც და წინააღმდეგობებსაც – ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სწორი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისათვის. საქართველოს ერის აღორძინების პროცესზე დაკვირვებისას ის შენიშნავს: „ჩვენშია შემოჭრილი გარეშე პოლიტიკური ძალა, რომელმაც შექმნა განსაკუთრებული პირობები. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ საქართველოში ერთმანეთს ჩაქსოვილ-გადახლართული პოლიტიკური და ნაციონალური ჯგუფებია, რომ ჩვენში სოციალური დიფერენციაცია იჩრდილება ამ გადახლართულ ეროვნულ და პოლიტიკურ პირობებით“[29].

ეს მოსაზრებაც, დღევანდელი დღის გადასახედიდან, შეიძლება სადავო იყოს, რადგან სოციალური პრობლემები ხშირად აფერხებდნენ და დღესაც აფერხებენ ერის კონსოლიდაციის პროცესებს, მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტებს მაინც ჰქონდათ იმედი, რომ მიაღწევდნენ ერთიანობას საქართველოს სოციალურ კლასებსა და ჯგუფებს შორის. ა. ჯორჯაძეს სწორედ ამ ღვაწლს უთვლის დადებითად და აღსანიშნავად ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ა. ბენდიანიშვილი, როცა აღნიშნავს: „წინა პლანზე წამოსწია ე.წ. „საერთო ნიადაგის“ თეორია და თავგამოდებით ცდილობდა „მოკამათე დასების“ გაერთიანებას ეროვნული საკითხის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში“[30].

სოციალისტ-ფედერალისტებმა თავისი ეროვნული პროგრამა ასე ჩამოაყალიბეს: „ავტონომიური საქართველოს პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება შეასრულებდა შინაგანი მართვა-გამგეობის ყველა ფუნქციას. დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება კი მას არ ექნებოდა. საქართველო თავის წილს შეიტანდა ფედერალურ ბიუჯეტში საერთოდ და რუსეთის თავდაცვის ხარჯებში კერძოდ. რუსეთის ფედერალური სახელმწიფოს საერთო საქმეთა გამგებლობაში ავტონომიური საქართველო მონაწილეობას მიიღებდა ცენტრალურ პარლამენტში გაგზავნილი წარმომადგენლების მეშვეობით“[31].

მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტების წიაღში იყო ქართველი პატრიოტების ერთი ჯგუფი, რომლებსაც შემდგომში მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი და წინააღმდეგობრივი პოლიტიკური მოღვაწე მიხაკო წერეთელი ხელმძღვანელობდა. მან სწორედ ეროვნული საკითხით განსაკუთრებული დაინტერესების პერიოდში გამოაქვეყნა სქელტანიანი ნაშრომი „ერი და კაცობრიობა“. მასში ძალიან ბევრი და საყურადღებო მოსაზრებაა წამოყენებული. დღეებანდელი გადასახედიდანაც თანადროულად ჟღერს შემდეგი სიტყვები: „ქართველი ევროპის კულტურას საესებით არასოდეს არ ეხიარება. არ ეხიარება მას არც მის შემდეგ, რაც ჯერ თავისი კულტურა შეითვისა და სულით და გულით დაამთავრა ქართული სულიერი ზრდა. მისი ხიარება მხოლოდ ცალ-მხრივი და უსრულია. ასეთი ხიარება კი ქართველს ვერც ევროპელად ხდის და ვერც რუსად. თანაც ქართველობას აცლის“[32].

მისი ნაშრომი ცალსახად სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საქართველოში კულტივირების მავნე შედეგების წარმოჩენას ითვალისწინებდა, როცა ხაზს უსვამდა შემდეგ გარემოებას: „მოხდა საშინელი სასწაული: საქართველოში ინტერნაციონალიზმი რუსის ცენტრალიზმად გარადაიქმნა, – უსოციალიზმოდ და უინტერნაციონალიზმოდ! ეგ რად გინდათ, – **დღესაც აბა სად არის ჩვენში ღრმა რწმენა საქართველოს ღირსეულ და თავისუფალ ეროვნულ ცხოვრებისა**. ორიოდე კაცის გარდა, წარმოუდგენიათ თუ არა ან ძველებს და ან ახლებს ურუსოდ ქართული თავისუფლება და ქართული სოციალიზმი. მართალია, ბევრი ჩვენს სისუსტესა და სიძაბუნეს წამოაყენებს არგუმენტადა, – არ შეგვიძლია უძიძოდ გაძლებაო, – მაგრამ ეს არგუმენტი არ არის, **ეს ურწმუნოებაა საკუთარი სიცოცხლისა**“[33].

მეტად შთამბეჭდავი შეფასებაა. მიხაკო წერეთელსა და მის დაჯგუფებას ღრმად სწამდათ, რომ საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა შესაძლებელია და აუცილებელია, რომ პოლიტიკური სპექტრი ამ მიმართულებით ყველა დაშვებულსა თუ დაუშვებელ ხერხს უნდა იყენებდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ მიხაკო წერეთლის ნაშრომის გამოქვეყნებისთანავე საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ მკაცრად გააკრიტიკა ნაშრომში ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები. მათმა აღიარებულმა ლიდერმა აკაკი ჩხენკელმა სპეციალურად წიგნიც დაწერა და გასაკრიტიკებელი საკმაოდ ბევრი „დაინახა“[34].

უნდა აღინიშნოს, რომ მ. წერეთელს არ შეუწყვეტია თეორიული და პრაქტიკული ძალისხმევა, რათა მიეღწია საქართველოს არა თეორიული, არამედ პრაქტიკული დამოუკიდებლობისათვის. ქართველების კონსოლიდაციის საკითხეებზე მან ჩინებული სტატია გამოაქვეყნა 1930 წელს პარიზში, ემიგრაციაში, რასაც ჩვენ სპეციალურად ქვემოთ განვიხილავთ.

ეროვნული პრობლემატიკით დაინტერესებამ საქართველოში ბევრს გაუჩინა სურვილი გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი. ქვეყნდებოდა როგორც მემარცხენე მიმართულების (სოციალ-დემოკრატების ა. ჯაფარიძის, ვლ. დარჩიაშვილის და სხვ.), ისე მემარჯვენე შეხედულებების მქონე მოღვაწეების (იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა ფშაველას და სხვათა) გამოკვლევები, წერილები, შენიშვნები.

მაგრამ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ამ ნაშრომებში, თეორიებსა და ლოგიკურ დასკვნებში იყო ერთი საერთო ნაკლი – ისინი ქართველ ერს წარმოიდგენდნენ როგორც დასრულებულ, ჩამოყალიბებულ, კონსოლიდირებულ სუბსტრატს და მასზე აპელირებდნენ. მათ ნააზრევში „ქართველი“ თანაბარი და თანასწორია „გერმანელის“, „ფრანგის“, „რუსის“ და ა.შ. ეს არ იყო სწორი.

ქართველი მოაზროვნეები ივიწყებდნენ, რომ **ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულების“ მიერ წარმატებით დაწყებული უდიდესი მუშაობა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის გაძლიერება-განვითარებისათვის შუა გზაზე შეფერხდა – გაჩერდა, თავის ლოგიკურ დასასრულამდე გერ მივიდა. მაშასადამე, ერთიანი ქართველი ერი იმჟამად უფრო თეორიული ცნება იყო, ვიდრე პრაქტიკული. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ის ბოლომდე გერ შეასრულებდა იმ ამოცანებს, რაც დასრულებულ, მონოლითურ, კონსოლიდირებულ, ერთიან ეთნიკურ სუბსტრატს შეუძლია.** მიგვაჩნია, რომ ბევრი დრამატული მოვლენა, რაც საქართველოს გარშემო 1917-1921 წლებში დატრიალდა, სწორედ იმიტომ მოხდა, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა დაიეიწყეს ეს უმნიშვნელოვანესი აქსიომა – **ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი ლოგიკურ დასასრულს ელოდა**, აქედან გამომდინარე მათი პოლიტიკა ამ აქსიომის გათვალისწინებით უნდა შემუშავებულიყო.

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ეროვნულ-პატრიოტული ძალები გარკვეულწილად დაიქსაქსნენ, მათი პოზიციები შესუსტდა, სოციალური პრობლემების პრიმატი უკან სწევდა ეროვნული ერთიანობის იდეის ცხოველმყოფელობას. მაგრამ საქართველოში, ყველაფრის მიუხედავად, მაინც სახეზეა ეროვნულ-პატრიოტული ძალების ისეთი საქმიანობა, რომლის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევაა, ანუ გამოცოცხლდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ჯერ კიდევ 1889 წ. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველმა სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს ფარული საზოგადოება „საქართველოს თავისუფლების ლიგა“. პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, კიევის, ხარკოვის, ოდესისა და სხვა სასწავლებლების ქართველმა სტუდენტებმა ქუთაისში 1892 წლის 26-29 ივლისს ჩაატარეს პირველი გაერთიანებული ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მიხეილ ხელთუფლიშვილი, გიორგი გვაზავა, ივანე ელიავიშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, ნიკოლოზ ფანცხავა და სხვ. მათ პროგრამაში ნათქვამი იყო შემდეგი: საქართველო დაჩაგრულია, „ქართველ ხალხს ემუქრება მშობლიური ენის, ზნე-ჩვეულებისა და მიწის დაკარგვის საფრთხე... „თავისუფლების ლიგა“ მიზნად ისახავს საქართველო გამოიყვანოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ფართო გზაზე. იგი ეცდება ქართველ ხალხს აუხსნას ჩამორჩენილობის მიზეზი, შეაგნებინოს თავისი მძიმე მდგომარეობა, **დარაზმოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)“[35].

საყურადღებოა, რომ ქართველი ახალგაზრდები გეგმავდნენ ანტირუსული გამოსვლის ორგანიზებას მთელი კავკასიის მასშტაბით და სწორედ ამ მიზნით იგეგმებოდა კავკასიის ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობებთან მჭიდრო თანამშრომლობა. მეფის საიდუმლო პოლიციამ მიაგნო შეთქმულებს და ყველა აქტივისტი დააპატიმრა.

1907 წელს ქართველი ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა: ვარლამ ჩერქეზიშვილმა, მიხაკო წერეთელმა, მიხეილ გვაზავამ ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას ქართველი ხალხის სახელით წარუდგინა „პეტიცია“, რომელშიც დაგმობილი იყო რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოში და თხოვდნენ კონფერენციის მონაწილეებს დახმარებოდნენ ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის აღდგენაში გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის ძირითადი პრინციპების საფუძველზე. საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეები მხოლოდ თანაგრძნობის გამოხატვით დაკმაყოფილდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გააქტიურდნენ ბაგრატიონის გვარის წარმომადგენლებიც. მაგალითად, ელისაბედ ბაგრატიონი შეეცადა რუსეთის მთავრობასთან დაეყენებინა საკითხი საქართველოს სამეფოს აღდგენის შესახებ. ნიკოლოზ II სცნო მისი უფლებები საქართველოს სამეფო ტახტზე – ფიქრობდა პატივმოყვარე ქალბატონი მხოლოდ ამ უფლების აღიარებით დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ ელისაბედ ბაგრატიონმა 1910 წლიდან გააურცელა მოწოდება "საქართველოს სამეფოს აღდგენა". ეს უკვე აღარ მოეწონათ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს და ენერგიული ქალბატონი დააპატიმრეს[36].

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ქართველი ეროვნების საეკლესიო მოღვაწეებს შორის გაჩნდა სურვილი ებრძოლათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, რაც რუსეთის ხელისუფლებამ უკანონოდ, ყოველგვარი კანონიკური წესის იგნორირებით, განახორციელა და გააუქმა.

1905 წლის თებერვალში ჯერ იმერეთის სამღვდელოებამ გაუგზავნა პეტიცია რუსეთის ხელისუფლებას და მოითხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. პეტიციაში ინიციატორები ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ სწორედ რუსული ეკლესიის სიმახინჯეები, აშკარა გადახრები მსოფლიო ეკლესიის კანონიკური საფუძვლებიდან, სერიოზულად აკნინებდა ეკლესიას, მრევლის თვალში საეკლესიო მსახურს საიდუმლო პოლიციის აგენტად წარმოაჩენდა და მასში ათეისტურ განწყობილებებს ავითარებდა. იმერეთის სამღვდელოებას მხარი მალე გურია-სამეგრელოს ეპარქიის ღვთისმსახურებმაც დაუჭირეს.

თვალსაჩინო ქართველი საეკლესიო მოღვაწეები: ლეონიდი (ოქროპირიძე), კირიონი (საძაგლიშვილი), ამბროსი (ხელაია), კორნელი კეკელიძე და სხვები ცდილობდნენ რუსეთის სინოდისათვის დაემტკიცებინათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობა და კანონიერება. ამ მიზნით სპეციალური საზოგადოებრივი ორგანიზაციაც კი შეიქმნა – „ავტოკეფალისტთა საზოგადოება". მათი მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა მაშინ, როცა საქართველოდან გაიწვიეს ეგზარქოსი ნიკოლოზი და მის ადგილზე წარმოგზავნეს არქიერეაქციონერი ნიკონი[37].

ქართველ მღვდელმთავრებსა და ავტოკეფალისტებს ღრმად სწამდათ, რომ მოახერხებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიღწევას, რაც გახდებოდა ქართველი ერის კონსოლიდაციის და მისი ზეაღმავალი განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი.

ამ დიდ საქმეში ქართველ სამღვდელოებას მხარში ამოუდგნენ ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის ისტორიკოსებიც: ნიკო მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. გორგაძე და სხვ. განსაკუთრებულია პროფ.

ალ. ცაგარელის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში[38].

1916 წლის დეკემბერში ქართველმა ავტოკეფალისტებმა თხოვნით მიმართეს რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ II: „განხორციელდეს სურვილი ქართველი ერისა, მის ეკლესიას თქვენი უდიდებულესობის ბრძანებითა და წყალობით დაუბრუნდეს ავტოკეფალია“.

ქართველი სამღვდელოება პარალელურად ინტენსიურად განაგრძობდა მოღვაწეობას ქართველების კონსოლიდაციის მიზნით. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ საქმიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა აფხაზეთისათვის – საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში თითქმის მთელი ერთი საუკუნე რუსეთი მიზანმიმართულად ამკვიდრებდა ანტიქართულ განწყობილებას.

1906 წელს სოხუმის კათედრაზე დაინიშნა ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი), რომლის ხანმოკლე მოღვაწეობა აღინიშნა როგორც „მთელი ეპოქა რეგიონში საეკლესიო ცხოვრებაში... მას ჰქონდა გეგმა სოხუმში აეშენებინა „ორი შეუპოვარი ციხე სიმაგრე ქართველი ეროვნებისა“ – ეკლესია და სკოლა“[39]. ის თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდა მიეღწია აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის კონსოლიდაციისათვის. ამ მიზნით მან ჩამოაყალიბა აფხაზი ინტელიგენციის შემადგენლობით სპეციალური კომისია, რომელსაც აფხაზურ ენაზე უნდა ეთარგმნა საეკლესიო ლიტერატურა. ეპისკოპოსი კირიონი ქართულ-აფხაზური ძმური ურთიერთობის აღდგენის გულმხურვალე თანამონაწილე იყო.

ქართველი ერის კონსოლიდაციის მიზნით იღვწოდნენ საქართველოს პოეტები, მწერლები, ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ქართველ ინტელიგენციას XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით აღელვებდა ქვეყანაში მოძალებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, კოსმოპოლიტიზმი, რაც, მათი აზრით, აკნინებდა ეროვნულს, ტრადიციულს, ძალას აცლიდა მათ მცდელობას ეროვნული კონსოლიდაციის მიმართულებით. ისინი თავიანთ პუბლიცისტურ წერილებსა და საჯარო გამოსვლებში ქართველ მოსახლეობას მოუწოდებდნენ ერთიანობისა და ძმური შეკავშირებისაკენ.

გამორჩეული მნიშვნელობა აქვს ვაჟა ფშაველას მოღვაწეობას ქართველების ერთიანობის მიღწევის საქმეში. ამ მხრივ მისი პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ მაინც გამორჩეულია. ვაჟა სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს უსაგნო კოსმოპოლიტიზმს, რის პროპაგანდასაც მავანნი ცდილობდნენ საქართველოში და აყალიბებს საოცარ ბალანსს ეროვნულისა და საკაცობრიოს შორის. ის არ უპირისპირებდა ამ ორ ფენომენს ერთმანეთს, არამედ ღრმად სწამდა, რომ მათი ჰარმონიული შეხამება – შესაძელებელია. ის წერდა: „მეცნიერები და გენიოსები გეიხ-

სნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყველა ერი იქამდის, რომ ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფის აკკარგი, მოსპეთ დღეგანდელი ეკონომიკური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორეს ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე".

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ვაჟა ფშაველა ამ პატარა წერილში კიდევ ერთხელ წარმოაჩენდა თერგდალეულების, ილიასა და მისი მეგობრების მიერ უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებას ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის შესახებ: „პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქოს დაბადებასთან ერთად დაჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორიც მაგ. არის **დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვ.** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)"[40]. ამით ვაჟა ფშაველა კიდევ ერთხელ ახსენებდა საქართველოს საზოგადოებას, რომ უსაგნო კოსმოპოლიტიზმის ნაცვლად გაეთავისებინა და განემტკიცებინა ეროვნული ფასეულობები, აეღორძინებინათ ეროვნული კულტურა, მეცნიერება, დამწერლობა და ამის საფუძველზე გაემდიდრებინათ მსოფლიოს ცივილიზაცია, გაეხადათ ქართველებს ქართული კულტურა მსოფლიოსთვის საცნაური (ვაჟას ეს ოცნება მხოლოდ XX საუკუნის 70-80-იან წლებში გახდა შესაძლებელი).

I მსოფლიო ომის მოახლოებამ მნიშვნელოვნად გააქტიურა ეროვნულ-პატრიოტული ძალების მოღვაწეობა – ისინი საქართველოს გამოხსნის კონკრეტულ გეგმების შემუშავებიდან უკვე საქმეზე გადავიდნენ – მათ სანდო და შემძლე მხარდამჭერის ძიება დაიწყეს. იმჟამად ამის შესაძლებლობა ყველაზე მეტად გერმანიის იმპერიასა და მის მოკავშირეებს (მათ შორის თურქეთს) ჰქონდათ. ბერლინში ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტი". მასში გაერთიანებული „ქართველი მოღვაწეების მიზანი იყო გერმანულენოვან სამყაროსა და თურქეთის პოლიტიკურ წრეებში შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზმის არსებობის სამართლებრივი საფუძვლებისა და მისი ნეიტრალიტეტის საჭიროების შესახებ"[41].

ქართველი პატრიოტების (გ. მაჩაბლის, მ. წერეთლის და სხვ.) ორიენტაცია გერმანიასა და მის მოკავშირეებზე გარკვეული სერიოზული რისკის შემცველი იყო საქართველოს მოსახლეობისათვის, რადგან თურქეთთან გაფორმებული ხელშეკრულება ომის შემთხვევაში ქართველების აჯანყებას გულისხმობდა, რაც შეიძლება ტრაგიკულად დასრულებულიყო ქართველე-

ბისათვის (გავიხსენოთ თურქეთში სომხების გენოციდი ღალატის მოტივით). რუსებს შეეძლოთ ქართველებისათვის ბრალი დაედოთ ორგულობაში და აქედან გამომდინარე სასტიკი რეპრესიები განეხორციელებინათ. აქედან გამომდინარე ქართული პოლიტიკური სპექტრი, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატები, მხარს არ უჭერდნენ სეპარატიზმსა და განკერძოებას, ისინი ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის დემოკრატიული რევოლუცია ერთიანად წაადგებოდა რუსს, ქართველს, სომეხს თუ აფხაზს.

მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტის აღიარება, სრულიად მოულოდნელად, ძალიან სწრაფად და ასევე – ძალიან ადვილად მოვიდა.

§ 6. – საქართველოს პირველი რესპუბლიკა

მსოფლიო ომისათვის სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვაგვარად მოემზადა. ყველაზე ცუდად – აშკარად, რუსეთის იმპერია, რადგან ეკონომიკურმა პრობლემებმა, გაჭიანურებული ომის სოციალურმა შედეგებმა ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსის წინ დააყენა, რამაც ომის პირობებში მოსახლეობის უქონელი ნაწილის სერიოზული სტიქიური საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. რუსეთი, მართლაც, აღმოჩნდა „სუსტი რგოლი", ევროპის სახელმწიფოებს შორის, რომელმაც ვერ გაუძლო გამოცდას და შექმნილმა მძიმე სოციალურმა ვითარებამ მისგან მოითხოვა რადიკალური ცვლილებები.

1917 წლის თებერვალში ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომისა და დროებითი მთავრობის შექმნის შემდეგ საქართველოში ძირითადად პოლიტიკური სპექტრი მაინც პრორუსულად იყო განწყობილი (თუ არ ჩავთვლით მ. წერეთლისა და გ. მაჩაბლის პოლიტიკურ დაჯგუფებას) და სურვილი ჰქონდათ გამარჯვებამდე მიეყვანათ მსოფლიო ომი. ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ მეფის არმიის შემადგენლობაში დაახლოებით 7000 ქართველი ოფიცერი იბრძოდა, ისინი გამოირჩეოდნენ იმპერატორისადმი ერთგულებით, მათ შორის ძალიან ბევრი იყო წარმატებული და დიდი ავტორიტეტის მქონე სამხედრო მოღვაწე.

ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები პეტროგრადის პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდნენ – კარლო ჩხეიძე (დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე) გარკვეულ პერიოდში პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე იყო, ირაკლი წერეთელი – დროებითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი, აკაკი ჩხენკელი და ნოე ჟორდანია – პარტიის თეორიულ მოღვაწეთაგან გამორჩეულნი და ა.შ..

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი ვარაუდობდა, რომ საშემოდგომოდ დანიშნული რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები უზრუნველყოფდნენ ერთიანი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას ევროპის მოწინავე ქვეყნების მსგავსად.

მაგრამ რუსეთის ახალმა, დემოკრატიულმა მმართველმა ელიტამ ვერ შეძლო ქვეყანაში სტაბილურობის დამყარება, მსოფლიო ომის ფრონტებზე სამხედრო წარმატების მიღწევა და ამიტომ რუსეთში პოლიტიკურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია.

ამით ისარგებლეს ბოლშევიკებმა, რომლებსაც უკვე საკმაოდ მიზანმიმართულად ამზადებდა ლენინი თავის პარტიულ ამხანაგებთან ერთად და 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერი) მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება, დააპატიმრეს დროებითი მთავრობა და სეპარატიული ზავი შეკრეს გერმანიასთან.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება ის იურიდიული დოკუმენტი აღმოჩნდა, რომლის საფუძველზეც გადაისინჯა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის ისტორიული შედეგები და ბოლშევიკური რუსეთი იძულებული გახდა დაეთმო თურქეთისათვის ტაო-კლარჯეთი და აჭარა მიმდებარე ტერიტორიებითურთ.

სახელმწიფო ვერტიკალის ნგრევამ, ფრონტებზე წარუმატებლობამ და ბოლშევიკურმა გადატრიალებამ კავკასიის ფრონტზე რუსეთს მიერ უკვე მიღწეული გამარჯვებები სადავო გახადა. თურქეთი მთელი კავკასიის ოკუპაციას აპირებდა.

სასწრაფოდ შექმნილი ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანება – კავკასიის სეიმით სათაურში, ცდილობდა სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ინტერესების დაცვას. თურქეთის იმპერია, რომელიც გადაიღალა წარუმატებლობებით ფრონტებზე, ახლა ცდილობდა კავკასიაში მის მიერ საუკუნე-ნახევრის მანძილზე რუსეთთან ომებში დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნებას.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების შემდეგ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის ახალქალაქში, ახალციხეში, ბათუმის ოლქში მაჰმადიანი მოსახლეობა პოლიტიკურად გააქტიურდა და თურქეთთან შესაერთებლად ინტენსიური მუშაობა გააჩაღა[42].

თურქეთის სამხედრო აქტივობამ კი დაშლამდე მიიყვანა ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფო – აშკარა გახდა, რომ სამხრეთ კავკასიის სამი მეზობელი სახელმწიფოს ერთი მიზნით გაერთიანება სერიოზული პრობლე-

მა იქნებოდა მუდამ. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამოუკიდებელნი გახდნენ სომხეთი და აზერბაიჯანი.

საქართველოში ხელისუფლება მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ხელში აღმოჩნდა, რამაც დამატებითი პრობლემები შექმნა. ეს იყო მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს აღიარებდა და მისი მთავარი ლოზუნგი იყო – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. აქედან გამომდინარე, მისთვის ძირითადი და განმსაზღვრელი იყო პროლეტარიატის ინტერესები – რასაც ის მუდამ ქადაგებდა. მაგრამ ისტორიის მკაცრმა აუცილებლობამ მას დააკისრა უდიდესი მისია – დაეწყო ახალი საქართველოს მშენებლობა. პოსტსაბჭოთა ისტორიკოსების უმრავლესობა თვლის, რომ ქართველმა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა ეს ამოცანა წარმატებით შეასრულეს. მიგვაჩნია, რომ ეს შეხედულება არ ასახავს იმ რეალობას, რაც საქართველოში შეიქმნა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მმართველობის პერიოდში. და მთავარი სწორედ ის იყო, როგორც ამას ქართველი ეროვნულ-დემოკრატები სრულიად სამართლიანად აღნიშნავდნენ – ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ვერ გაიხადეს „სოციალისტური ხაფთანი“, კავშირი ვერ გაწყვიტეს მარქსიზმთან და ბოლომდე ვერ დადგნენ ეროვნულ ნიადაგზე.

სამხრეთ კავკასიაში რადიკალურმა სამხედრო-პოლიტიკურმა ცვლილებებმა მოითხოვა სწრაფი რეაგირება შექმნილ ვითარებაზე, რომ როგორმე შეეჩერებინათ თურქეთის მზარდი აგრესია და მისი პან-თურქული გეგმების რეალიზება. ამიერკავკასიის მაჰმადიანი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას თურქეთი თავის ერთგულ ისტორიულ მოკავშირედ მიაჩნდა და რელიგიური ერთიანობის გამო წინააღმდეგნი არ იყვნენ შესულიყვნენ თურქეთის პროტექტორატში.

მართლაც მძიმე და გამოუვალ ვითარებაში ქართველმა პოლიტიკოსებმა გერმანიის იმპერიაზე აიღეს გეზი, იმედოვნებდნენ, რომ მისი დახმარებით შეაჩერებდნენ თურქეთის აგრესიას.

28 მაისს ფოთში დაიწყო მოლაპარაკება გერმანიის იმპერიასა და საქართველოს სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის. დაიდო „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“. მიუხედავად პოსტსაბჭოთა რიგი ქართველი ისტორიკოსის ეიფორიული დამოკიდებულებისა, ეს ხელშეკრულება, ჩვენი აზრით, მეტად დამამცირებელი იყო საქართველოსათვის. ის ქვეყნის რკინიგზებსა და ნავსადგურებზე გერმანიის სრული კონტროლის დამყარებას ითვალისწინებდა. ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს მხარეს გერმანიისათვის უნდა გადაეცა მის პორტებში დისლოცირებული

ყველა გემი: სამგზავრო ხომალდი, ბუქსირები, ბარჟები, მოტორიანი ნავები, ბოგირები[43]. ამასთან, დამოუკიდებელი საქართველო უნდა შერიგებოდა იმ ტერიტორიულ დანაკარგებს, რაც გერმანიის მოკავშირემ – თურქეთმა საქართველოს ძალით წაართვა მიმდინარე სამხედრო კრიზისის პერიოდში (საქართველო იძულებული გახდა თურქეთისათვის აჭარასა და ტაო-კლარჯეთთან ერთად ახალციხე და ახალქალაქიც დაეთმო, რასაც არ ითვალისწინებდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება). ამ მდგომარეობამ საქართველოს შენშეიკური ხელისუფლება მკაცრი კრიტიკის მარწუხში მოაქცია როგორც „მარჯვნიდან“, ისე „მარცხნიდან“.

1918 წლის 7 ივნისს ფოთის ნავსადგურში გერმანიის დიდი სამხედრო ხომალდი შემოვიდა. 3-4 ათასი ჯარისკაცით, ზარბაზნებით, ტყვიამფრქვეველებით ქალაქის სხვადასხვა უბანში განლაგდა. ფოთიდან ოპერატიული დავალებების შესასრულებლად ყოველდღიურად გადიოდა რკინიგზის ეშელონებით 200 კაციანი სამხედრო რაზმები.

საქართველოს ხელისუფლებამ ცოტა ამოისუნთქა.

მაგრამ ქვეყნის წინაშე ძალიან მალე დადგა პოლიტიკური პრობლემების მთელი ერთობლიობა, რაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ (სწორედ სოციალ-დემოკრატიულ) მთავრობას განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებდა და მისგან სწრაფ რეაგირებას მოითხოვდა.

1. საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, „დამოუკიდებლობის აქტი“ მიიღო და მისი პოლიტიკური მართვის სადავეებთან აღმოჩნდა, ახალი საქართველოს მშენებლობა დაიწყო იმ პოლიტიკურმა ძალამ, რომელსაც ეს ამოცანები თავის საპროგრამო დებულებებში არასოდეს არ ჰქონია და მუდამ რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირში, ინტერნაციონალიზმის დროშით შეიარაღებული, მარქსისტული სოციალიზმის აშენების გეგმას უსახავდა თავის ამომრჩეველს. ფაქტობრივად მოხდა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური მიზნების რადიკალური ცვლილება, შემობრუნება, რაც მისმა ოპონენტებმა, როგორც „მარჯვნიდან“, ისე „მარცხნიდან“ ჩინებულად გამოიყენეს ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში აქედან გამომდინარე პოლიტიკური შედეგებით. ამან, გარკვეულ პერიოდში, სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მიმართ მოსახლეობის მემარცხენედ განწყობილ მასაში უნდობლობა და პროტესტი გამოიწვია.

2. საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა ძალამ როგორც თავისთავად არსებული და შეუვალი – თავის საგამგებლოდ „დე იურედ“ და „დე ფაქტოდ“ მიიღო ერთიანი საქართველო ფაქტობრივად მის ისტორიულ საზღვრებში, რომელზედაც სხვადასხვა ეთნოსი და კონფესიის წარმომადგენელი ცხოვრობდა. მართალია, მათ შორის, ძირითადი ქართვე-

ლი ეთნოსი იყო, მაგრამ კონფესიური მრავალფეროვნება, ზოგჯერ აშკარად გაუცხოებაც ქართველებს შორისაც კი, სერიოზული პრობლემების შემცველი ჩანდა. ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ამაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მათ მიერ აღიარებული „კულტურულ-ნაციონალური“ ავტონომია ყველა პრობლემას მოაგვარებდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „თერგდალეულებმა“ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი დაიწყეს, გარკვეულ შედეგებსაც მიაღწიეს, მაგრამ ეს პროცესი შუა გზაზე შეჩერდა და გარკვეული სერიოზული პრობლემებიც წარმოაჩინა. საჭირო იყო ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ამ პრობლემების წინ წამოწევა და მათ წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა, ეროვნული კონსოლიდაციის კომპლექსური პროცესის გამოცალკევება პრობლემათა საერთო კონტექსტიდან და ამ პროცესისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ, როგორც ისტორიულ პროცესზე დაკვირვება გვიჩვენებს, ამ პრობლემებს საერთოდ ყურადღება არ მიაქცია, რამაც ძალიან მალე ბევრი ახალი, დამატებითი პრობლემა წამოატივტივა.

ზემოთ აღნიშნულმა პირველმა პრობლემამ ქართველ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებს მმართველობის დასაწყისშივე გაუჩინა საფიქრალ-სადარდებელი, ხოლო მეორემ – მათი ხელისუფლების ყოფნის მეორე ეტაპზე.

ქართველი მემარცხენე სოციალ-დემოკრატები (ახლა უკვე კომუნისტები) თავის ყოფილ პარტიელ ამხანაგებს აკრიტიკებდნენ რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილებისა და იმპერიალისტურ გერმანიასთან კავშირის გამო. რუსეთის ბოლშევიკური პრესის ფლაგმანები „პრავდა“ და „იზვესტია“ იმჟამად წერდნენ: „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობამ, რაც წინ უსწრებდა სეიმის სხვა დანარჩენ ღალატს, გამოიწვია აღშფოთება ქართველი და სომეხი ხალხების, რომელთაც სტიქიურად აღმოხდათ: „მოღალატენო!“ გეგეჭკორისა და კომპანიის მიმართ“. იყო ასეთი პუბლიკაციაც: „ყველაზე მკაცრი დარტყმა კავკასიის მშრომელი მასებისათვის იყო კავკასიის ჩამოცილება რუსეთისაგან. ყველას კარგად ესმის, რუსეთისაგან ჩამოცილება ნიშნავს გერმანია-თურქეთის მონობას“[44].

რუსეთის ბოლშევიკური პრესა განსაკუთრებით აკრიტიკებდა ნ. ჟორდანიას, კ. ჩხეიძეს, ი. წერეთელს, ა. ჩხენკელს და ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის სხვა ლიდერებს, რომლებიც მსოფლიო ომის წინ და ომის პერიოდშიც გამოირჩეოდნენ რუსეთის ერთიანობის მხურვალე დამცველებად და ყოველთვის სეპარატიზმის წინააღმდეგ მებრძოლებად განიხილებოდნენ[45]. რუსი ბოლშევიკი-კომუნისტები ქართველ სოციალ-დემოკრატებს ხშირად აყვედრიდნენ იმას, რომ ადრე ისინი მხარს უჭერდნენ ნიკოლოზის რუსეთთან ერთიანობას და დღეს კი მოსკოველ კომუნისტებთან

(მათი გაგებით ჭეშმარიტ სოციალ-დემოკრატებთან) ამ ერთიანობის აუცილებლობას ვეღარ ხედავდნენ.

აქედან გამომდინარე ქართველი მემარცხენე სოციალ-დემოკრატები (ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, კ. ცინცაძე, ბ. მდივანი, ს. მამულია და სხვები) თავის ანტისამთავრობო პროპაგანდაში აქტიურად იყენებდნენ შემდეგ თეზისს – ქართველმა მენშევიკებმა უღალატეს თავის პრინციპებს, გაწყვიტეს კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან, რომელიც აშენებს მარქსისტულ სოციალიზმს და კავშირი შეკრეს გერმანელ და თურქ იმპერიალისტებთან, რომლებიც სისხლს სწოვენ პოლონეთის, ბალტიისპირეთის მოსახლეობას, ხოლო საქართველოს ჩამოაცილეს აჭარა და ტაო-კლარჯეთი[45].

ასეთი დემაგოგია, გარკვეულწილად, მოქმედებდა საქართველოს ბოლომდე არაკონსოლიდირებულ ქართველ და არაქართველ მოსახლეობაზე. მემარცხენე სოციალ-დემოკრატების (კომუნისტების) ზეგავლენა მთელ საქართველოში განსაკუთრებით იგრძნობოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ თვეებში: სამეგრელოში მოქმედებდა ა. გეგეჭკორის ხელმძღვანელობით შექმნილი კომუნისტური 1000 კაციანი მებრძოლი რაზმი; დუშეთის მაზრის მოსახლეობამ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია თბილისის ცენტრალური ხელისუფლების ძალებს და აჯანყების დროშაც კი ააფრიალა, კომუნისტების წაქეზებით რუსეთისაგან ჩამოცილებას აპროტესტებდნენ სამაჩაბლოს ოსი აჯანყებულები, იყო ანტისამთავრობო გამოსვლები საჩხერეში, ქვემო ქართლში, ხოლო მემარცხენე კომუნისტურმა ძალებმა, საერთოდ, ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება სოხუმში.

1918-1921 წლებში აფხაზურ-ქართული ურთიერთობების კონკრეტული საკითხები ჩინებულად არის შესწავლილი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში და მკითხველს აქვს საშუალება ამ ურთიერთობის ყოველდღიურ ფაქტებს გაადევნოს თვალი. შემჩნეულია ამ ურთიერთობის ნაკლოვანი, დანაშაულებრივი მომენტებიც კი. საქართველოს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ მოახერხა აფხაზებთან პოლიტიკური კონსოლიდაცია. სხვადასხვა მიზეზების გამო (ბოლშევიკური აგრესია, დენიკინის თეთრგვარდიელების აქტივობა და ა.შ.) საქართველოს მხედრიონის მონაწილეობით იმჟამად აფხაზეთში რამდენიმე სამხედრო ოპერაცია განხორციელდა. ამ დროს ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტების ფაქტებსაც. ეს შემჩნეულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. მიუთითებენ, რომ ქართველთა „სამხედრო ოპერაციას თან ახლდა ზედმეტად მკაცრი და რეპრესიული ზომები მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ“[46].

ასეთმა ფაქტებმა გაართულეს კონსოლიდაციის პროცესი აფხაზეთში და მომავალში საფუძველი მისცეს საქართველოს ერთიანობის ყველა მოქიშპეს რეგიონში ანტიქართული ინსინუაციებისათვის.

კომუნისტურმა პროპაგანდამ საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას სერიოზული პრობლემა შეუქმნა შიდა ქართლშიც, ოსებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში, რასაც რამდენიმე აჯანყება მოჰყვა.

ეროვნებათაშორისო ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთ მიზეზად ჩვენ ვთვლით მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მიერ „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ რეალიზებულ პროგრამას – საქართველოში მათ შექმნეს „ეროვნული საბჭოები“. საქართველოს ხელისუფლებას გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ეს საბჭოები ლოიალურნი იქნებოდნენ საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან და მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით დაკმაყოფილდებოდნენ. მაგრამ ძალიან მალე მათთვისაც ნათელი გახდა, რომ „ისინი თავისი ერის კულტურულ-საგანმანათლებლო ინტერესებით როდი კმაყოფილდებიან, მათ გადაუწყვეტიათ როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში თავისი ეროვნების წარმომადგენლობა იკისრონ“[47]. იმასაც აღნიშნავდნენ, რომ „სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ... მოინდომა ძალაუფლების ხელში ჩაგდება“[48], „აფხაზეთის ეროვნული საბჭო სავსებით ვერ ახორციელებს თავის მოქმედების სწორ ხაზს“[49]. რაც შეეხება სომხეთის ეროვნულ საბჭომ, ქართულ-სომხური კონფლიქტის დროს მან აშკარად „მეხუთე კოლონის“ ამოცანა შეასრულა და აქტიურად ეხმარებოდა საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილ დაშნაკცუტიუნის ბანდებს.

უფრო მეტიც, ზოგიერთი „ეროვნული საბჭო“ ცდილობდა გამოეყენებინა ქართველების კონფესიური მრავალფეროვნება, კონსოლიდაციის პროცესის შეფერხება და გაეთიშა ქართველების ერთიანობა – მაგალითად, სომხეთის სახელმწიფოს ემისრები გრიგორიანელ ქართველებს თანაგრძნობისაკენ მოუწოდებდნენ; მაჰმადიანთა „ეროვნული საბჭო“ ქართველ მაჰმადიანებს საღვთო ომისთვის აგულიანებდნენ და მათში პროთურქულ ორიენტაციის გაძლიერებას ლობირებდნენ.

„ეროვნულ საბჭოებზე“ დაკვირვებამ მოგვცა საფუძველი გამოგვეთქვა ვარაუდი, რომ „ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების „მიგნება“ – ეროვნული საბჭოები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირობებში, თავისი იდეოლოგიური (მარქსისტული) შეზღუდულობის გამო, საქართველოს ხელისუფლების მოლოდინის მიუხედავად, ვერ გახდნენ საეროვნებათაშორისო ურთიერთობის ჰარმონიზაციის (ტოლერანტობის) მიღწევის საშუალება. პირიქით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მათი ფუნქციონირება ადასტურებს, რომ „ეროვნული საბჭოები“ დაპირისპირების, ეთნიკური ომების საფუძველი გახდნენ და კარგად შეითვისეს „მეხუთე კოლონის“ ხელმძღვანელი შტაბის ფუნქცია“[50].

განსაკუთრებული საფრთხის შემცველი იყო „ეროვნული საბჭოების“ ზოგიერთი ანტიქართულად შემართული მოღვაწის საქმიანობა ქართველთა

ეთნოგრაფიული ნიშნით გაყოფის მიზნით. სამწუხაროდ, ამ საფრთხეებს საქართველოს ხელისუფლება ვერ ხედავდა. მისი პოლიტიკა ეფუძნებოდა ქართველების ერთიანობის იდეას, რაც იმჟამად ჯერ კიდევ ბოლომდე გაუხორციელებელი ამოცანა იყო.

საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის მთელ პერიოდში სერიოზულ პრობლემად დარჩა მაჰმადიან ქართველებთან ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობის საკითხიც.

ჩვენ ზემოთ დავინახეთ როგორ სათუთად, დიდი ტაქტით ეკიდებოდნენ ქართველი „სამოციანელები" მაჰმადიან ქართველებთან ურთიერთობას, რა დიდ როლს ანიჭებდნენ ქართველთა ერთიანობის მიღწევის გზაზე სარწმუნოებრივ ტოლერანტობას, რამდენ დათმობაზე მიდიოდნენ ამ ერთიანობის განსამტკიცებლად, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ერთიან საგანმანათლებლო-კულტურული სივრცის შექმნას და ა.შ..

1918-1921 წლებში ურთიერთობა ქართველების კონფესიურ ჯგუფებს შორის აშკარად ვერ დარეგულირდა. ამის მიზეზი იყო ორი: 1. საგარეო პოლიტიკური ფაქტორი; და 2. საქართველოს ხელისუფლების მკვეთრად გამოხატული ათეიზმი.

გერმანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით საქართველომ ფაქტობრივად მთელი სამაჰმადიანო საქართველო დაკარგა (გარდა საინგილოსი). თურქეთმა კი დრო იხელთა და შემოერთებულ ტერიტორიებზე დიდი ანტიქართული, პროთურქული პროპაგანდისტული საქმიანობა გააჩაღა.

სასწრაფოდ მოიწვიეს ყარსის II კონფერენცია (1918 წ. ნოემბერ-დეკემბერი), რომელზეც დელეგატები გააგზავნეს სამხრეთ კავკასიის მაჰმადიანი რეგიონებიდან, მათ შორის ბათუმიდან, ახალციხე და ახალქალაქიდან. თურქი ავტორების მტკიცებით 1918 წლის 1 დეკემბრის ეროვნული ისლამური საბჭოს გადაწყვეტილებით „ყარს-ბათუმის ვილაიეთების, ახალციხის, ახალქალაქის, შარურის, ნახჩევნის, სურმელის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ერევნის სანჯაყების მოსახლეობამ ერთობლივად შექმნა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა..."[51].

იმასაც ამტკიცებენ, რომ „ყარსის II კონგრესზე ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით იგი რჩებოდა კავშირში ოსმალეთის სახელმწიფოსა და ხალიფასთან, იყენებდა თურქეთის დროშას, სამართალსა და ქვეყნის მართვის საქმეებს წარმართავდა ოსმალური კანონების მიხედვით"[52].

თურქი ავტორის ეს შენიშვნა, აშკარად მიანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ტიპიურ მარიონეტულ წარმონაქმნთან, რომელსაც მიაწერეს ახალქალაქი, ახალციხე და ბათუმის ოლქიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღწერილ პოლიტიკურ ღონისძიებას წინ უსწრებდა თურქების მიერ ახლადშემოერთებულ მიწებზე ე.წ. „რეფერენდუმის“ ჩატარება, რომელშიც, როგორც ამას თურქული მხარე ამტკიცებს, უპირატესობა მოიპოვეს პროთურქულმა პოლიტიკურმა ძალებმა. ასეთი „რეფერენდუმი“ ჩატარდა ბათუმშიც. როგორც ქართული პრესა აცხადებდა, ამ „რეფერენდუმში“ მონაწილეობა უნდა მიეღო 4 312 კაცს, ფაქტობრივად მონაწილეობდა მხოლოდ 2 829 კაცი, არ გამოცხადდა 1 483 კაცი. თურქეთთან შეერთებას ხმა მისცა 2 669 კაცმა, წინააღმდეგი იყო 16053. საინტერესოა, რომ კენჭისყრაში მონაწილე ქართველებმა, სომხებმა და ებრაელებმა – 644 კაცმა ხმა მისცა თურქეთთან ბათუმის შეერთებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს „რეფერენდუმი“ ჩატარდა ძალადობრივი ზეწოლის პირობებში, როცა ბევრი ადგილობრივი ქრისტიანი ქართველი გახიზნული იყო და მონაწილეობა არ მიიღო კენჭისყრაში, ამასთან, როგორც დასტურდება, ბათუმის არამაჰმადიანმა მოსახლეობამ, გარკვეულწილად, ბოიკოტიც კი გამოუცხადა „რეფერენდუმს“.

ამ ფაქტთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიტანოთ ერთი დიპლომატიური დემარში, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არის ცნობილი და უაღრესად მნიშვნელოვნად გეესახება. თურქეთის მიერ ორგანიზებული რეფერენდუმების სერია ანექსირებულ ტერიტორიებზე სერიოზულად გააპროტესტა კომუნისტურმა რუსეთმა. მისმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა სპეციალური ნოტა გაუგზავნა თურქეთის სახელმწიფოს იმასთან დაკავშირებით, რომ ის „... ყარსში, არდაგანსა და ბათუმში მიმართავს ძალადობას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ... მოსახლეობა, რომლის თავისუფალი ნების გამოხატულებით უნდა შექმნილიყო ახალი წეს-წყობილება, წინასწარვე იყო ტერორიზებული და ჩაყენებული ისეთ პირობებში, როცა უფლება, რომელიც სამი ოკრუგის მოსახლეობას მიენიჭა, გადაიქცა მათ აშკარა დაცინვა-გაპამპულებად. არჩევნების წინ ავტორიტეტული პირები, რომლებიც მათი ანტითურქული განწყობილების გამო თურქეთისათვის არ იყვნენ მისაღებნი, განდევნეს და დააპატიმრეს. ზოგ შემთხვევაში მათ ხვრეტდნენ კიდეც. არჩევნები თურქეთის ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ მიმდინარეობდა. ასეთი არჩევნების შედეგები, რა თქმა უნდა, წინასწარ იყო ცნობილი... თვლის რა ასეთ ძალადობას, რუსეთისაგან ჩამოცილებული ოკრუგების მოსახლეობაზე საფუძვლიან დარღვევად ხელშეკრულების მე-4 პუნქტისა, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მას არ შეუძლია დათანხმდეს ე.წ. მოსახლეობის თავისუფალი სურვილის გამოხატვის შედეგებს ყარსში, არდაგანსა და ბათუმში“[54].

როგორც ეხედავთ, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე (არაქართული მხარე) ოფიციალურად აცხადებს „რეფერენდუმის“ უკანონობის შესახებ და მოითხოვს მისი შედეგების ანულირებას.

მიგვაჩნია, რომ ამ დიპლომატიურ დემარშს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელობა და ზოგიერთი თურქი ისტორიკოსის აპელირება „რეფერენდუმის“ შედეგებზე და მათი „დასკვნები“ ამ მხარის მოსახლეობის თავისუფალი ნების გამოხატვის შესახებ – იურიდიულად არამართლზომიერია.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თურქების მიერ შექმნილი „ყარსის რესპუბლიკა“ არსებობისთანავე მკვეთრად დაუპირისპირდა ახლადშექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მიზნად დაისახა ქართველთა ერთიანობის ხელყოფა. ამ მარიონეტული სახელმწიფოს ლიდერები (მათ შორის სერვერ-ბეგ ათაბაგი (ჯაყელი) მოუწოდებდნენ საქართველოს მაჰმადიან მოსახლეობას „არ ჩაებარებინათ საქართველოს მთავრობისათვის იარაღი, არ მიეღოთ მონაწილეობა დამფუძნებელი კრების არჩევნებში“ და ა.შ.[55].

ამ ხელოვნური სახელმწიფო გაერთიანების აგიტატორები სარგებლობდნენ რეგიონში შექმნილი რთული ვითარებით, დადიოდნენ სოფელ-სოფელ და პროთურქულ, ანტიქართულ რეზოლუციებს აწერინებდნენ ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ იმჟამად ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა გამოირჩეოდა მეტად დაბალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონით, რელიგიური ფანატიზმით, პოლიტიკური უმწიფრობით, რის გამოც ხშირად ხდებოდა, რომ ერთსა და იმავე სოფელში იღებდნენ სხვადასხვა შინაარსის რეზოლუციას: ხან პროთურქულს, ხან პროაზერბაიჯანულს, ხანაც პროქართულს. ასეთი პოლიტიკური მერყეობის ტიპიური მაგალითია ქობულეთის მცხოვრებლების ერთი შეკრების გადაწყვეტილებაც. იმჟამად რეგიონში ზედმეტად აქტიურობდნენ აზერბაიჯანის ბურჟუაზიული სახელმწიფოს ემისრები, რომლებმაც მოახერხეს ადგილობრივი მოსახლეობის თავყრილობის მოწყობა. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ 1. ჩვენ უნდა განვახორციელოთ ცხოვრებაში ვილსონის (აშშ პრეზიდენტი – ა.დ.) პრინციპების მიხედვით თვითგამორკვევის უფლება... 2. ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ საქართველოს მთავრობას, რომელიც პრეტენზიებს აცხადებს ბათუმზე და ბათუმის ოლქზე; 3. ჩვენი ხალხის უმრავლესობის მტკიცე გადაწყვეტილებაა, რათა შეიქმნას ჩვენი ოლქისაგან სახელმწიფო აჭარისტანი, რომელშიც შევა ბათუმიც“[56].

უნდა აღინიშნოს, რომ პროთურქული ორიენტაციის მოსახლეობის ფანატიკური ბრბოები სარგებლობდნენ თურქული მხარის წაყრუებით, და ზოგჯერ მათი აშკარა ხელშეწყობითაც, მშობლიური ადგილებიდან აძევებდნენ ადგილობრივ ქრისტიან მოსახლეობას. ასეთი ფაქტები დაფიქსირდა განსაკუთრებით ახალციხესა და ახალქალაქში, ბათუმის ოლქში და სხვა რეგი-

ონებშიც. ბორჯომის ხეობას მოაწყდნენ ქართველი ლტოლვილების უზარმაზარი ჯგუფები.

თურქების მხარდაჭერით რეგიონში გაძლიერდა პროთურქული ორიენტაციის პარტიის, „სედაი მილეთის“ საქმიანობა. თურქი და ადგილობრივი კოლაბორაციონისტები საშინელ საქმეებს აკეთებდნენ. იმდროინდელი პრესა აღსავსეა კორესპონდენციებით, რომლებიც თურქების სისასტიკეს ასახავენ: „დაატყვევეს 300 ქართველი, შერეკეს ერთ შენობაში, თვითონ დათარეშობდნენ. ბევრი მათგანი ჩახოცეს ოჯახებში. ცულით დაჩეხეს აბასთუმნის ეკლესიის შესავალი კარები, გაიტანეს 5 ფუთამდე ვერცხლის განძეულობა, 500 000 მანეთის განძეული, მოაოხრეს ყველაფერი“. შემაშფოთებელი დეპეშები მოდიოდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან: „თათართა ბანდები იჭრებიან ოჯახებში, აუპატიურებენ ქალებს, მიჰყავთ ტყვედ მამაკაცები, ცეცხლს უკიდებენ შენობებს“.

ახალქალაქის რაიონში თურქების ძალმომრეობის შედეგად გაწყდა რამდენიმე ათასი მაცხოვრებელი. თვითმხილველები ყვებოდნენ, რომ რაიონში სურსათის მხრივ აუწერელი გაჭირვება იყო, თითქმის ყოველ სახლში შეხედებოდით შიმშილისაგან ლოგინად ჩავარდნილ ქალებსა და ბავშვებს. ბალახის ჭამით ყველას ტუჩები დახეთქილი და ღრძილები ჩაშავებული ჰქონდა. უამრავ ოჯახში ფიზიკურად გაჟლიტეს მამაკაცი...

რა თქმა უნდა, თურქების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე პროქართული ძალებიც მოქმედებდნენ. ეს აქტივობა განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა მსოფლიო ომში გერმანია-თურქეთის ალიანსის დამარცხებისა და მუდროსის ზავის მიღების შემდეგ. თურქეთმა „ანტანტის“ მესვეურების ზეწოლით დატოვა სამხრეთ კავკასიაში ყველა ოკუპირებული ტერიტორია, დაცალა ბათუმი და მისი ოლქიც, ახალციხე, ახალქალაქი. თურქეთის სამხედრო ძალებს ჩაენაცვლნენ ინგლისის საექსპედიციო კორპუსის საჯარისო შენაერთები. თუმცა საქართველოს იურისდიქცია ამ ტერიტორიებზე ჯერ კიდევ არ ერცელდებოდა.

მაგრამ პროქართულად განწყობილ ძალებს შესაძლებლობა მიეცათ აშკარად გამოეხატათ თავისი დამოკიდებულება პოლიტიკური მოვლენების მიმართ. ამ მხრივ უდიდეს ეროვნულ საქმეს აკეთებდა ბათუმში მემედ აბაშიძის პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც მუდამ პროქართული ორიენტაციით გამოირჩეოდა.

ქართველთა ერთიანობის მიღწევის გზაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მემედ აბაშიძის მიერ ორგანიზებულ ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლების ყრილობას, რომელიც 1919 წელს ჩატარდა და რომლის მიზანი იყო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრის საკითხი. ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციისათვის ამ ფორუმს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ ყრილობის გარშემო ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერაც არის კამათი – ზოგი მას „ქართველ მუსლიმანთა წარმომადგენლების ყრილობას“ უწოდებს, ზოგი „ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობას“. სინამდვილეში კი ამ შეკრებას ჰქვია „ბათუმის ოლქის მუსლიმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობა“[57].

შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ეს შეკრება თავისებური გამოძახილი იყო იმისა, რაც თურქებმა განახორციელეს ყარსში, როცა მაჰმადიანებით დასახლებული რეგიონებიდან, რომლებიც რუსეთს წაგლიჯეს, შექმნეს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან დემოკრატიული არჩევნების ილუზია და ყრილობამ პროთურქული რეზოლუციები მიიღო.

მემედ აბაშიძემ თავი მოუყარა, მისი აზრით, პროქართულად განწყობილ მაჰმადიან ინტელიგენციას – დაახლოებით 100 კაცს და განიხილა აჭარის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

ამ შემთხვევაში იბადება ორი აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანი კითხვა: 1. რამდენად ლეგიტიმური იყო მ. აბაშიძის მიერ ორგანიზებული თავყრილობა; 2. რატომ არ ესწრებოდნენ მას წარმომადგენლები სხვა მაჰმადიანებით დასახლებული რეგიონებიდან (ახალციხიდან, ახალქალაქიდან, ტაო-კლარჯეთიდან, ლაზეთიდან)?

როცა ყრილობის ლეგიტიმაციის საკითხს ვაყენებთ, ჩვენ ამით თურქ ისტორიკოსებსაც ვთხოვთ დაგვისაბუთონ ყარსის ყრილობის ლეგიტიმაციის საკითხი. როგორც ესინ დაის ნაშრომიდან ჩანს, მათ ამის შესაძლებლობა არა აქვთ, რადგან აშკარაა, რომ ეს იყო სხვადასხვა რეგიონებიდან პროთურქულად განწყობილი პირების თავყრილობა[58].

ასეთივე გაურკვეველი იურიდიული სტატუსი მოჩანს მ. აბაშიძის მიერ მოწყობილ ყრილობაშიც, რომელსაც 100 კაცამდე ესწრებოდა, ძირითადად მხოლოდ აჭარის სხვადასხვა რეგიონიდან. მათგან 40 კაცმა ხმა არ მისცა აჭარის საქართველოსთან მიერთების საკითხს. თუმცა უმრავლესობამ მიიღო რეზოლუცია (რეზოლუციაზე 85 დელეგატის ხელმოწერაა, აქედან ქართულ ენაზე გაკეთებულია მხოლოდ 26 ხელმოწერა) საქართველოსთან ერთად ყოფნის შესახებ, მხოლოდ ფართო შინაგანი ავტონომიის დაცვით.

რატომ არ დაესწრნენ ამ თავყრილობას დელეგატები ახალციხიდან, ახალქალაქიდან, ლაზისტანიდან, ტაო-კლარჯეთიდან, საინგილოდან? კვლევებით დასტურდება, რომ თვითონ მ. აბაშიძეს იმჟამად არ სჯეროდა ამ რეგიონების მაჰმადიანი მოსახლეობის ერთიანობა. ამის საფუძველს გვაძლევს მისი რეპლიკა 1917 წლის 13 დეკემბერს ქართველების ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე: „ჯერჯერობით საკითხი ფართოდ ვერ დაისმება, ლაზისტანი დაუგდებს ყურს ბათუმს?“[59].

იაკობ გოგებაშვილი



მემედ აბაშიძე

ამრიგად, დემოკრატიულ საქართველოში პრობლემა იყო არა მარტო კონფესიის მიუხედავად ერის კონსოლიდაციის მიღწევა, არამედ ერთი კონფესიის შიგნით გაერთიანების საკითხიც. როგორც ჩანს, ვერ ხერხდებოდა ერთიანი კონცეფციის შემუშავება. რადგან მაჰმადიან მოსახლეობას – ყოფილ ქართველებს, რომლების საკმაოდ დიდი ნაწილი იმ მომენტში თავის თავს ქართველებად აღარ თვლიდა, სჭირდებოდა მწყობრი სისტემა ღონისძიებებისა, რომლის შედეგიც იქნებოდა ეთნიკური ერთიანობის მიღწევა (რაღაც მსგავსი „თერგდალეულთა" მიერ შემუშავებული პროგრამისა).

ყრილობის გადაწყვეტილებით გულანთებულმა მ. აბაშიძემ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას საქართველოსთან აჭარის კონსოლიდაციის საკუთარი გეგმა წარუდგინა. ეს გეგმა დიდი ხნის განმავლობაში ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილი არ იყო სრული და ამომწურავი სახით. მკვლევარმა ე. ოქროპირიძემ ის გამოაქვეყნა. მას ქვია: „პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის".

აღნიშნული პროგრამა სამი თავისა და 79 პარაგრაფისაგან შედგება. განსაკუთრებით საინტერესოა პროგრამის მე-6 და მე-7 პარაგრაფები: „6. სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა უნდა იქნეს სრულიად დამოუკიდებელი თავის შინაურ საქმეებში. ეს საქმეებია: ა) სარწმუნოებრივი საქმე; ბ) სასამართლო; დ) ადმინისტრაცია; დ) სწავლა-განათლება; ე) მეურნეობა; ვ) ვაჭრობა. მრეწველობა და სხვა ეკონომიკური საქმიანობა და სხვა შინაურ საქმეებში სრული დამოუკიდებლობა. 7) სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა მთელ საქართველოს მთავრობასთან ერთად განსაზღვრულ პირობებში უნდა აწარმოებდეს შემდეგ საქმეებს: სამხედროს, ფინანსურს, საგარეოს, ფოსტა-ტელეგრაფს, რკინიგზებს და საბაჟოებს".

ამრიგად, აჭარის პროქართულად განწყობილი ლიდერების „ფართო ავტონომია" გულისხმობდა თანამონაწილეობას საგარეო და სამხედრო საქმეებში ცენტრთან „განსაზღვრულ პირობებში". აშკარაა, რომ პროგრამაში ჩამოყალიბებული დებულებები სცილდება ავტონომიის სტატუსის საზღვრებს, ის არც „ფართო ავტონომიის" ცნებაში მოიაზრება. ეს აშკარად სახელმწიფოა სახელმწიფოში (ასეც შეაფასებს საქართველოს ინტელიგენცია მსგავს დოკუმენტს ცოტა მოგვიანებით), რომელიც მთლიანად დამოუკიდებელია საშინაო საქმეებში და რაც მთავარია, ცდილობს გავიდეს ერთიანი ქართული საგანმანათლებლო-კულტურული სივრციდან. ეს კი აშკარად „თერგდალეულთა" ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი პრინციპების უგულებელყოფაა.

როგორი იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების რეაქცია?

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო საქართველოს ცენტრალური მთავრობისათვის მეტად რთული პერიოდი. სამუსლიმანო საქართველო ხელიდან-ხელში გადადიოდა: თურქები აჭარლებს ავტონომიას პირდებოდნენ, ინგლისელები – რუსეთისათვის ინახავდნენ, სომხები და აზერბაიჯანელები – ავტონომიას სთავაზობდნენ. ამიტომაც საქართველოს მთავრობას არ ჰქონდა უფლება მხარი არ დაეჭირა იმ ერთადერთი პოლიტიკური ძალისათვის, ვინც საქართველოს ფარგლებში მოიაზრებდა სამუსლიმანო საქართველოს. თუმცა ის, რასაც მ. აბაშიძე და მისი პოლიტიკური დაჯგუფება სთავაზობდა ობილისს მოლიანად ეწინააღმდეგებოდა იმ პრინციპებს, რასაც მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები აღიარებდნენ.

სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ იმ საეჭვო დუმილის მიზეზი, რითიც საქართველოს ხელისუფლება შეხვდა ამ დოკუმენტს და კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ გაატარა ის. მკვლევარი დ. ჯუმბერიძე, რომელმაც სერიოზულად შეისწავლა დემოკრატიული საქართველოს პერიოდში აჭარის პრობლემატიკა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ამის შესახებ არაფერს ცეამცნობს.

საქართველოს ხელისუფლების ორჭოფული დამოკიდებულება ამ პროექტისადმი იგრძნობა ნ. ჟორდანიას მიერ 1919 წლის 11 სექტემბერს ზემო აჭარის დელეგაციისათვის გაგზავნილ წერილში, სადაც ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში სამუსლიმანო საქართველოს მართვა-გამგეობა დაემყარება ადგილობრივი ხალხის – ქართველი მუსლიმანების თვითმმართველობას (ავტონომიას). ამ წერილში არის მეტად ზოგადი მითითებები უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ: „საზოგადო და საერთაშორისო საქმეებს უძღვება რესპუბლიკის ცენტრალური დაწესებულებები, ხოლო შინაურ საქმეებს უძღვება ადგილობრივი ხალხის მიერ არჩეული დაწესებელება. ეკანასკნელნი განაგებენ სარწმუნოების ყველა საკითხს შარიათის მიხედვით, მიწის საქმეს და ა.შ."[60]

მაგრამ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ჟორდანიას წერილში მითითებულ „სამუსლიმანო საქართველოში" მოიაზრებოდა „ყოველი სამცხე-საათაბაგო, ახალციხე და ახალქალაქის მაზრა (მესხეთ–ჯავახეთი), არტაანის ოლქი (კოლა-არტაანი), ოლთისის ოლქი (ძველი ტაო), თორთომი, ისპირი, ჭანეთი, ბათუმის ოლქი (ქობულეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ლიეანა)"[61].

მიუხედავად დაპირებისა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აჭიანურებდა საბოლოო პასუხის გაცემას შემოთავაზებულ პროექტზე. ეს სერიოზულად აღელვებდა მემედ აბაშიძეს, რომელიც 1920 წლის 24 აპრილს საქართველოს დამფუძნებელ კრებას საყვედურობდა ავტონომიის საკითხის განხილვის გაჭიანურების გამო[62].

რთული იყო მდგომარეობა საინგილოშიც, რომელიც რომანოვების დროს თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა და საქართველოს მასზე კანონიერი (ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან) პრეტენზიებიც ჰქონდა. მაგრამ ოლქში მდგომარეობა რთული იყო. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საინგილოში დემოგრაფიული სურათი ქართველების სასარგებლოდ არ გამოიყურებოდა. ქრისტიანი და მაჰმადიან ქართველების გარდა ოლქში ძალიან ბევრი იყო ლეკი, არაქართველი წარმომაელობის მაჰმადიანი.

არსებობს ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც იმჟამად რეგიონში შექმნილ ვითარების ობიექტურად წარმოაჩენს: „ზაქათალას ოლქი ოფიციალურად უკვე შედის ადერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში. ამისათვის ოსმალეთის მთავრობას გამოგზავნილი ყავდა **განსაკუთრებული პირები აგიტაციისათვის** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) ... ოსმალეთის ორიენტაციას მხარს უჭერდნენ ადგილობრივი მოლები და ბეგები. მათ ზაქათალაში დემოკრატიული გამოკითხვა ჩაატარეს და მხარი დაუჭირეს ამ ორიენტაციას სხვადასხვა დაპირებებით. ფაქტობრივად დღეს ზაქათალა შეკავშირებულია ადერბაიჯანის რესპუბლიკასთან, რომელსაც ყავს გამოგზავნილი ზაქათალაში ასეული ოსმალოს ჯარისკაცი. ზაქათალაში ცხოვრობს შესამჩნევი რიცხვი ქართველი ინგილოების (რამდენიმე სოფელი), რომლებიც საქართველოს რესპუბლიკასთან კავშირს აღიარებენ. ეკონომიკური და თვით პოლიტიკური მდგომარეობა კი პირდაპირ უკარნახებს ზაქათალას ოლქის მუსულმანობას იყოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, ვინაიდან მათი ნაწარმოების გამსაღებელი ბაზარი თბილისის გუბერნიაა. განსაკუთრებით სიღნაღის მაზრა... ერთადერთი გზა, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ზაქათალის ოლქის გადმოხრა – **ეს არის ეკონომიკური მხარე მათი** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). მეორე გზა – ეს არის ძალით შემოერთება, რაც გამოიწვევდა ადერბაიჯანის რესპუბლიკასთან შეჯახებას, რადგან ფაქტობრივად უკვე შეკავშირებულია მათთან...“[63].

ეს დოკუმენტი, რომელიც აშკარაა ზაქათალაში საქაროველოს ხელისუფლების საიდუმლო წარმომადგენლის უნდა იყოს, მიანიშნებს ოლქში შექმნილ მძიმე ვითარებას და წამოწევს თურქეთის პროპაგანდისტულ-მაკონსოლიდირებელ ფაქტორს, რომელიც მუდამ ცდილობდა მაჰმადიანური ერთიანობის იდეა მყარად ჩაენერგა სამხრეთ კავკასიის მუსლიმანებში.

ეს კი საქართველოს მთავრობას უყენებდა ანალოგიურ ამოცანას – გაეშალა პროპაგანდისტულ-მაკონსოლიდირებელი საქმიანობა ყველა იმ კუთხეში, რომლებიც მეფის რუსეთის ხელისუფლების დროს გამოირჩეოდნენ განსხვავებული ენობრივი თუ კონფესიური კუთვნილებით და საჭიროებდნენ მზრუნველობას, ყურადღებას, რომ ბოლომდე გატარებულიყო „თერგდალეულთა“ ერის მაკონსოლიდირებელი პროგრამა.

რა ოქმა უნდა, ნოე ჟორდანიას სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ილიას საქმის გამგრძელებელი ვერ იქნებოდა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის“ კანონები ასეთ ნარევებს არ ითვალისწინებდა. ამიტომაც ამ მხრივ კომპლექსური მუშაობა თითქმის არ სწარმოებდა. ამაზე აშკარად მიანიშნებს არა მარტო პრესაში გამოქვეყნებული სტატიები და წერილები, არამედ საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატების საანგარიშო მოხსენებები და ხემოთ აღნიშნული პრობლემის გარეშემო მათი კრიტიკული გამოსვლები.

მაგალითად, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ჰ. გელეიშვილი თავის საკმაოდ დეტალურ და მოცულობით ანგარიშში აღწერს ბათუმის ოლქში, ცენტრალური ხელისუფლების დაუდევრობით, შექმნილ ვითარებას. ის წერდა: „ამ ოლქში, რა თქმა უნდა, თვით ბათუმის გამოკლებით, არც ერთი ახალი მომხრე და მოყვარე ჩვენი ქვეყნისა არ შეგვიძენია და რაცა გვყავდა სულ ერთიანად მოგვიმდურებია და მტერთა და მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაგვირეკია“[64].

დღეს ქართველ ისტორიკოსებს შორის არსებობს აზრი, რომ ჰ. გელეიშვილის მოხსენება აჭარის შესახებ სედმეტად სუბიექტურია და არ ასახავს ჭეშმარიტ რეალიებს. მაგრამ ჩვენ გვაქვს იმაგე წელს და ასევე მაჰმადიანურ რეგიონში (ბორჩალოს მაზრაში) დამფუძნებელი კრების წევრის ჰ. ი. ბრუელის მოგზაურობის ოფიციალური ანგარიში, სადაც ასევე ხაზგასმულია: „ყველაზე შეიმჩნეება დარღვევები, რასაც ბევრი უსიხდისო ჩადის. საკუთარი მოყალეობისაღმი ბევრი ნინოვნიკის დამოკიდებულება გულგრილია“. დეპუტატი იმასაც მიანიშნებს, რომ „კომისრების, გუბერდიელების, ოფიცრების, მილიციონერების, ზოგიერთი ერობის მუშაკის საქმიანობა აღწერას არ ექვემდებარება... პატარა მეფეებივით იქცევიან, ეს პირდაპირ დაცინვაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების. დემოკრატიზმის ნიშნები ძლივს შეიმჩნევა. სამაგიეროდ უხვად არის ნაციონალიზმი კი არა, შოვინიზმიც კი“[65].

ქართული მხარის უყურადღებობით, შეცდომებით და გადაცდომებით სარგებლობდნენ ანტიქართული ძალები. მაჰმადიან რეგიონებში თურქეთის ემისრების გარდა საკმაოდ წარმატებით მოღვაწეობდნენ „სედაი მილეთის“, აჭარის პროთურქული პოლიტიკური პარტიის წევრები. ისინი ანტიქართულ საქმიანობას სისტემატურად აძლიერებდნენ. მათ მიერ ორგანიზებულ შეკრებებში ბათუმის ოლქში იღებდნენ ანტიქართულ რეზოლუციებს: „ქართული ხელისუფლება მატყუარაა, რადგან ის ხალხს დაპირდა ავტონომიას და არაფერი არ გაუკეთებია“. სოფლებში, დაბებსა და ქალაქებში საჯარო შეკრებებზე ღიად აცხადებდნენ: „მათთვის მიუღებელია გურჯების ხელისუფლება, რადგან ის არამაჰმადიანურია“. რიგითი მუსლიმები იმასაც ამ-

ბობდნენ, რომ „ოსმალეთი კვლავ შემოიერთებს ჩვენს მხარეს. ის გურჯებიით ხალხს კი არ მოატყუებს. არამედ შეასრულებს იმას, რასაც დაპირდა. მხედველობაში მაქვს ჩვენი მხარისათვის ნამდვილი ავტონომიის მინიჭება... ოსმალეთის ჯარები მალე ბათუმში შემოვლენ და ჩვენი კუთხე კვლავ ჩვენს თანამოძმეებს შეუერთდება“[66].

გვინდა ხაზგასმით ისიც აღვნიშნოთ, რომ ბათუმის ოლქი საქართველოს დიდმა ბრიტანეთმა მხოლოდ 1920 წლის აგვისტოს გადასცა. მიუხედავად მცირე დროისა, როგორც ჩანს, ქართველი ჩინოსნები და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები სერიოზულად სცოდავდნენ, რომ ასე აძლიერებდნენ მაჰმადიან მოსახლეობაში ანტიქართულ განწყობას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ ართვინის გამგებელმა პოლკოვნიკმა ვ. წულუკიძემ, თავისი უხეშობით, ადგილობრივი მოსახლეობის შეურაცხყოფით ადგილობრივ მკვიდრთა აჯანყება გამოიწვია. შესაზარად მოექცნენ ქართველი მილიციონერები ქობულეთის სოფელ კოხის მცხოვრებლებს. მათმა ძალადობამ და უპასუხისმგებლობამ სოფელში ანტიქართული აჯანყება გამოიწვია, რომლის ჩაქრობა მხოლოდ სახლების გადაწვით და რეპრესიებით მოახერხეს.

ყოველივე ზემოთ თქმული მიანიშნებს, რომ სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა „თერგდალეულთა“ მიერ დაწყებული ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის გაგრძელება, ვერ შეძლო კონფესიურად გამიჯნული ქართველობის მონოლითური შეკავშირება. ამას თვითონაც აღიარებდნენ, როცა პარტიულ გაზეთში წერდნენ: „არცერთი ქართველი მუსლიმანი არ იბრძოდა ჩვენს ჯარში, ჩვენ ვერ გამოვნახეთ მუსლიმან გლეხობასთან საერთო ენა“[67].

საქართველოს ხელისუფლებამ საერთო ენა ვერ გამონახა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთანაც. ქართველმა სამღვდელოებამ, საქართველოს ინტელიგენციის პატრიოტულმა ჯგუფმა 1917 წლის მარტში აღადგინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია და იმედოვნებდა, რომ ასევე აღადგენდა მის – ტრადიციულ, ქართველი ერის მაკონსოლიდირებელი ძალის ფუნქციასაც. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები თავისი იდეოლოგიური მრწამსით ათეისტები იყვნენ და ამ საქმით ძალიან არ განსხვავდებოდნენ თავიანთი გუშინდელი ამხანაგებისაგან – კომუნისტებისაგან. უბრალოდ, ისინი ათეიზმს უფრო ჰუმანური ფორმებით ქადაგებდნენ და არ მიმართავდნენ ძალადობის იმ საშუალებებს, რასაც მოგვიანებით კომუნისტები განახორციელებენ ყველა კონფესიის წარმომადგენლის მიმართ.

საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა ქართული ეკლესიის მესვეურთა ყველა მცდელობას – შეესრულებინათ ქართვე-

ლების შემაკავშირებლი ღვედის ფუნქცია, მიეღოთ უფრო აქტიური მონაწილეობა „ახალი ქართველის“ აღზრდის საქმეში, გამოეყენებინათ თავისი ცოდნა და გამოცდილება საქართველოს საკეთილდღეოდ. ასეთ უპატიურ დამოკიდებულებას სერიოზულად აპროტესტებდა საქართველოს კათოლიკოსი ლეონიდი. თავის ერთ-ერთ წერილში ის ხასგასმით აღნიშნავდა: „ჩვენი მთავრობა სოციალისტურია. პინციპულად ვერ ებუება ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც ნუ შეეგუებიან ურთიერთს ეკლესია და სოციალისტები და დროზე გაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ აქაც სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მარტო სამართლიან დაშორებას ვთხოულობთ სახელმწიფოსაგან. სხვა არაფერს“[68].

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ შევიწროების მიუხედავად უკვე იმჟამად საქართველოს სამოციქულო ეკლესია იღვწოდა ქართველთა შეკავშირებისა და ერთიანობისათვის. 1919 წ. საქართველოს პატრიარქი ეწვია აფხაზეთს, შეხვდა მის მოსახლეობას და ყველას მოუწოდა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე გაერთიანებულიყვნენ.

ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ რელიგიური ფაქტორის გაძლიერებას ქვეყანაში. მათთვის სინდისის თავისუფლება უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ის საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი იყო. და ამით ისინი კიდევ უფრო უახლოვდებოდნენ თავის კლასობრივ ძმებს – დასავლეთ ევროპის მემარჯვენე სოციალისტებს.

საქართველოს კონსტიტუციის ასეთივე ფუძემდებლური პრინციპი გახდა რელიგიითა და საყოფაცხოვრებო პირობებით განსხვავებული რეგიონებისათვის ავტონომიური მმართველობის სისტემის დაკანონება. ის გარემოება, რომ საქართველოში ავტონომიური მართველობის დამკვიდრების აღიარებას დასჭირდა ორნახევარი წელი, მიანიშნებს იმას, რომ ამ საქმის გაკეთება ნოე ჟორდანიას და მის პოლიტიკურ დაჯგუფებას სერიოზულად გაუჭირდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია ადასტურებს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქს), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“[69].

სამწუხაროდ დამფუძნებელმა კრებამ ვერ მოასწრო „ავტონომიური მმართველობის“ შინაარსის განსაზღვრა – კონსტიტუციაში ეს არ არის შეტანილი. მოგვიანებით ივარაუდებოდა ცალკე კანონის შემუშავება და მიღება, რომელიც მთლიანად დაარეგულირებდა ურთიერთობას ცენტრსა და ავტონომიას შორის.

თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ კონსტიტუცია ავტონომიური მმართველობის გარეთ ტოვებს სამუსლიმანო საქართველოს ძალიან დიდ ნაწილს (ახალციხე, ახალქალაქს, ტაო-კლარჯეთს და ა.შ.), რაც გვაფიქრებინებს, რომ იმათ მიმართ რაღაც სხვა მმართველობითი ფორმის გამოყენებას აპირებდნენ.

ქართველების გაერთიანება ძლიერ ეკონომიკურ იმპულსებს, კაპიტალიზმის ეკონომიკური კანონებით გაჯერებულ სამეურნეო ცხოვრებას შეეძლო – როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა, მაგრამ ამას გარკვეული დრო და ამ მიზნით სახელმწიფოს მიზანმიმართული მოღვაწეობა ჭირდებოდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები აღიარებდნენ კაპიტალიზმის განვითარების დადებით შედეგებს და მთლიანად იზიარებდნენ მარქსის მოძღვრების იმ ნაწილს, რაც სოციალიზმის დამყარებას მხოლოდ კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრული რეალიზაციის შემდეგ მოიაზრებდა. ისინი საჯაროდ აცხადებდნენ, რომ მთავრობის სოციალისტური შემადგენლობა არ გულისხმობს სოციალიზმის იდეების დაუყოვნებლივ რეალიზაციას საქართველოში.

აქედან გამომდინარე თეორიულად ისინი მზად იყვნენ საქართველოს კაპიტალისტური განვითარებისათვის ხელი შეეწყოთ, მაგრამ რეალურად ეს ასე არ მოხდა. რა თქმა უნდა, უპირველეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საქართველოში ბურჟუაზიის ძირითადი ნაწილი არაქართველი ეროვნების წარმომადგენელი იყო და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნდამენტის გაძლიერებას ნაკლებად გეგმავდა. მათი უმრავლესობა რუსეთზე იყო ორიენტირებული და სამხრეთ კავკასიაში რუსების დაბრუნებას ელოდებოდა.

ჩვენ ზემოთ ავღნიშნეთ, რომ ქართველების კონსოლიდაციის ეკონომიკური საფუძვლები XIX საუკუნეში არა მარტო ჩამოყალიბდა, არამედ წარმატებით ვითარდებოდა კიდეც. დამოუკიდებელ საქართველოში ეს ფაქტორები კიდევ უფრო ეფექტიანად უნდა ამოქმედებულიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

საქართველოს ეკონომიკა კი გარკვეულ პოტენციალს კვლავ ფლობდა – ეს იყო მისი მდიდარი წიაღისეულები, ქვეყნის მზარდი სატრანზიტო ფუნქცია, საზღვარგარეთის ინვესტორების ინტერესი საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების გამოსაყენებლად.

მაგრამ ყველა ეს პოტენცია სერიოზულად დაასუსტა პირველი მსოფლიო ომის ეკონომიკურმა კოლაფსმა, რამაც ძლიერ დააზარალა საქართველოს ეკონომიკაც.

ტრადიციული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის გამო სერიოზული პრობლემები შეექმნა საქართველოს სამთამადნო მრეწველობას და იქ და-

საქმებულ მუშათა კოლექტივებს. ომმა სერიოზულად დასცა მარგანეცის ექსპორტი ევროპასა და მსოფლიოში. რუსეთის ბაზარი მთლიანად დაიხურა საქართველოს მეღვინეობისათვის, რამაც სერიოზულად დააქვეითა ღვინის წარმოება საქართველოში.

ბევრი საწარმო გაჩერდა, დაიწყო მუშების დეკლასირების პროცესი. როცა ორც დასტურდება საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ბოლომდე ვერ მიიყვანა საქართველოსთან დაკავშირებული უცხოელი ინვესტორის არცერთი ვეგმა, ვერცერთი საინტერესო ეკონომიკური შეთავაზება. ქართველი ეროვნების ბიზნესმენები (მაგალითად, ა. ხოშტარია) მთავრობას სთავაზობდნენ საინტერესო პროექტებს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდა, ბოლომდე არ ენდობოდა უცხოელებს, ამიტომაც ჩაიშალა ჰოლანდიური, ამერიკული, იტალიური სამრეწველო პროგრამები.

მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები (პირველ რიგში ეროვნულ-დემოკრატები) მთავრობისაგან მოითხოვდნენ შეექმნა ნორმალური პირობები ეკონომიკის ასალორძინებლად, თავისუფალი კაპიტალის მოსაზიდად, აღგილობრივი წარმოების სტიმულირებისათვის. ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე სპირიდონ კედია საჯაროდ უცხადებდა მთავრობას: „ჩვენ სასიკეთილოდ ვაზიანებთ მრეწველობის ინტერესს და გადაჭარბებით ვიცავთ მუშას". ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში ბიზნესი მარწუხებში იყო და განვითარებას ვერ ახერხებდა.

ქართველი „თერგდალეულების" ბრწყინვალე წარმომადგენელი ნიკო ნიკოლაძე საქართველოს მთავრობას სთავაზობდა უფრო აქტიურად დაეინტერესებინათ ევროპის ბიზნესი საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობებით, განსაკუთრებით მისი გეოსტრატეგიული თავისებურებებით. 1920 წელს მან დაწერა ორი წერილი „მეთევზეობა და თევზის მრეწველობა ფოთში" და „ფოთის პორტის მნიშვნელობა მსოფლიო ვაჭრობაში". ამ უკანასკნელში ნიკო ნიკოლაძე ასაბუთებდა ფოთის პორტის უდიდეს მნიშვნელობას მსოფლიო სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობაში, განსაკუთრებით ჩრ. კავკასიის ნავთობით მდიდარი რაიონის (გროზნოს ბასეინის) მსოფლიო სავაჭრო ორბიტაში ჩართვის საქმეში.

მიუხედავად ქართული ეკონომიკური აზრის შენიშვნებისა და კონკრეტული გეგმებისა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ მოახერხა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების აღორძინება. საქართველოს ეკონომიკა სტაგნაციაში შევიდა. ეკონომიკაში სერიოზული პრობლემები რომ იყო, ეს საჯაროდ თვით ნოე ჟორდანიამაც აღიარა 1920 წლის 13 ოქტომბერს ეკონომიკურ თათბირ-

ზე, როცა განაცხადა: „დღეს თითოეული ჩვენგანი გრძნობს, რომ ჩვენ არა თუ მივდიეართ კატასტროფისკენ – ჩვენ უკვე მივედით იქამდე".

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ვერ მოხერხდა ქართველების კონსოლიდაციის პროცესის აღორძინება, მისი მთავარი დეტერგენტი – ეკონომიკური ცხოვრება, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სერიოზულ სტაგნაციაში იმყოფებოდა.

§ 7. – საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის საქმიანობა ერის კონსოლიდაციისათვის პირველი რესპუბლიკის პერიოდში

საქართველოს ახალი, სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, თავისი პარტიის პროგრამული დებულებებიდან გამომდინარე, გარკვეულ ყურადღებას უთმობდა ქვეყანაში საგანმანათლებლო სივრცის შემდგომი განვითარების საკითხებს – სოციალ-დემოკრატია თავის თავს თვლიდა მსოფლიოში ყველაზე უფრო პროგრესულ, მოწინავე სამეცნიერო შეხედულებების მატარებელ პოლიტიკურ ძალად და მოსახლეობის ტოტალური განათლება მისთვის აუცილებლად გადასაჭრელი ამოცანა იყო. მიუხედავად იმისა, რომ 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში, ქვეყანა ერთობ მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში იმყოფებოდა, განათლების პრობლემა მაინც მთავრობისათვის პრიორიტეტული აღმოჩნდა. თუმცა სოციალ-დემოკრატიული გადახრები, ცრურწმენები განათლების სფეროშიც იჩრდნობოდა. ერთ-ერთი ასეთი ცრურწმენა იყო შეხედულება იმაზე, რომ „დემოკრატიულ რესპუბლიკაში სწავლების ენად ყველგან მოწაფეთა მშობლიური ენა უნდა იყოს მიჩნეული, ამიტომ ეხლავე გადასაწყვეტია ორი რამ: 1.ქართველ მოქალაქეთა შვილებისათვის სწავლების ენად ქართული უნდა იყოს დაუყოვნებლივ შემოღებული; 2.ხოლო ეროვნულ უმცირეს მოქალაქეთაც უნდა ჰქონდეთ საშუალება განათლება საკუთარ ენაზე მიიღონ"[70].

ქვეყნის ეროვნულ უმცირესობათა შვილებისათვის სკოლის ნაციონალიზაციის მოთხოვნა აშკარად საზიანო იყო ქვეყნისათვის, მისი ერთობისათვის. არ შეიძლება ერთი ქვეყნის მოქალაქეებს სხვადასხვა ფასეულობებზე ხრდიდე – ქართველებს რუსთაველისა და ილიას შემოქმედებაზე, სომხებს – დავით სასუნცის ეპოსზე, რუსებს – პუშკინსა და ლერმონტოვზე, აზერბაიჯანელებს – ყურანსა და შარიათზე. ქვეყნის ძირითადი საგანმანათლებლო სივრცე სახელმწიფოს ძირითადი ეთნოსის ენის გამოყენებას უნდა ეფუძნებოდეს. მხოლოდ ასე ჩამოყალიბდება სახელმწიფოს მოქალაქეთა სოციალურ-პოლიტიკური ერთობა. დიასპორებს კი უნდა ჰქონდეთ, თუ

მათ ამის სურვილი და საშუალება ექნებათ და მათ ამაში სახელმწიფო გარკვეულწილად უნდა დაეხმაროს – მშობლიურ ენაზე სპეციალიზირებული სკოლების შექმნის შესაძლებლობას. სამწუხაროდ, ეს სოციალ-დემოკრატიული შეზღუდულობა კომუნისტებისათვისაც იყო დამახასიათებელი (ამაზე ქვემოთ).

რა ვითარება იყო საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში 1918 წელს? მდუომარეობა საგანგაშო იყო. როგორც ოფიციალური პირები აცხადებდნენ: „ჩვენს სკოლებში სწავლების ენად ყველგან რუსული ენაა შემოღებული“[71].

ამრიგად, „თერგდალეულთა“ ენერგიული მცდელობა და გარკვეული შედეგიც, რომ საქართველოში შექმნილიყო ქართული საგანმანათლებლო სივრცე – 1918 წლისათვის უკვე საკმაოდ შესუსტებულ-შემცირებული იყო.

ასეთ ვითარებაში რა ამოცანა იდგა ქართული სკოლის მესვეურების წინაშე? როგორც ამტკიცებენ: „განათლების რეფორმა და სკოლების შემდგომი რეორგანიზაცია ითვალისწინებდა საყოველთაო უფასო, სავალდებულო სწავლების შემოღებას, ხალხის სულიერი ცხოვრების აღმავლობას და ტრადიციული პედაგოგიური მეთოდების შერწყმას თანამედროვე მოწინავე პედაგოგიკურ მეთოდებთან, სკოლების მთლიანად გაეროვნულებას, ნაციონალური უმცირესობებისათვის ახალი სკოლების გახსნას (სადაც მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება), პროფესიული და ტექნიკური სკოლების დაარსებას, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების შექმნას, ახალი სკოლების გახსნას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, მოსწავლეებისა და სტუდენტების გაგზავნას საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ა.შ.“[72].

რა თქმა უნდა, პირველ რიგში, განათლების პოლიტიკა უნდა შეხებოდა ქართველთა ეროვნული ერთიანობის მიღწევის ამოცანას, რათა მომხდარიყო სკოლის საშუალებით ეთნოგრაფიული, კონფესური და ენობრივი გაუცხოების ძლიერი პლასტების დაძლევა. ეს საკითხი, რომ პრობლემატური იყო, ეს აჩვენა საქართველოს მასწავლებელთა ყრილობაზე გამოსულ დელეგატების გამოსვლებმაც: „ოსმალების შემოსევისას სკოლები განადგურდნენ, უმწეო მდგომარეობაშია ბათუმის ქართული გიმნაზია... ამჟამად ბევრი მსურველია, მაგრამ მათი დაკმაყოფილება ძალიან ძნელია, რადგან სკოლების უმეტესობას არა აქვს საკუთარი შენობა... აკლიათ სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები... საჭიროა საქართველოს მთავრობამ და განათლების სამინისტრომ მეტი დახმარება გაუწიოს აჭარის განათლების სისტემას.“[73]

უპირველეს ამოცანად დაისახა სკოლის გაეროვნულობის პრობლემა. მაგრამ იმთავითვე გამოიკვეთა სერიოზული მეორე პრობლემაც. როგორც ამ-

ტკიცებენ: „პირველ რიგში იგულისხმება მასწავლებელთა კადრების მწვავე სინაკლულე საერთოდ და კერძოდ კი, ქართული ენის მცოდნე მასწავლებელთა კატასტროფული უმარისობა, რა თქმა უნდა, ნაკლები მნიშვნელობა მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების უქონლობასაც არ ჰქონდა“[74].

მდგომარეობის გამოსასწორებლად, ძალიან სწრაფად, საქართველოს ხუთ ქალაქში გაიხსნა მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები. იქმნებოდა სკოლის ქართული სახელმძღვანელოები, ახალი სასწავლო პროგრამები. ქართველი ინტელიგენცია – ეროვნული მოღვაწეები: დ. უზნაძე, ს. კაკაბაძე, ალ. ჯავახიშვილი, მ. სანდუკელი და სხვები აქტიურად იყვნენ ჩაბმული ამ პროცესში

მაგრამ შექმნილი რთული პოლიტიკური მდგომარეობა არ იძლეოდა საშუალებას ყველა პროექტი და ამოცანა დროულად და სათანადო დონეზე გადაწყვეტილიყო. აშკარაა, რომ ხელისუფლებაც განათლების სფეროს განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ უთმობდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ განათლების მინისტრებად სულ რაღაც ორწლიწადნახევარში, ძირითადად შემთხვევითი – არაპროფესიონალი პირები ინიშნებოდნენ, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, სამხედრო მინისტრი – გრიგოლ ლორთქიფანიძე. ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, განათლების ურთულეს პრობლემას სათანადოდ ვერ მოაწესრიგებდა (მსგავსი მაგალითი საქართველოს ისტორიაში განმეორდება ერთი საუკუნის შემდეგ, როცა მ. სააკაშვილმა განათლების მინისტრად ჯერ დანიშნა ყოფილი გენერალური პროკურორი, ხოლო შემდეგ პენიტენციალური სისტემის ხელმძღვანელი).

ქვეყანას შესაძლებლობები რომ უფრო ნაკლები ჰქონდა, ეიდრე დასახული გეგმები და სურვილები – ეს საქართველოში ახლადგახსნილი სკოლების რაოდენობასაც ეტყობოდა. მკვლევარ დ. ჯუმბურიძის მიერ შედგენილ ნუსხაში იმჟამად საქართველოში არსებულ დაწყებით 74 სასწავლებელს შორის 1918 წლის შემდეგ გაიხსნა მხოლოდ 8 სასწავლებელი – ფოთის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, კიზიის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, ზუგდიდის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი და ა.შ.[75].

მიუხედავად დიდი მცდელობისა, საგანმანათლებლო სივრცეში გაერთიანებულში ქართველების რაოდენობა ბეური არ ჩანს და არც მათი ზუსტი მონაცემები გვაქვს. ერთ-ერთი ცნობით 1919 წელს საქართველოში იყო 1583 პირველდაწყებითი სასწავლებელი 3050 მასწავლებლით და 105 უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი 975 მოსწავლით[76].

მაგრამ ქართველი ინტელიგენციის მთავარი გამარჯვება თბილისში უნივერსიტეტის ორგანიზება იყო. ამ ეროვნული საქმის ფუძის ჩამყრელი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილია, რომელიც იმჟამადაც ერთგულად აგრძელებდა ილია ჭავჭავაძისა და მისი მეგობრების მიერ დაწყებულ ეროვნულ

საქმეს და მიაჩნდა, რომ ძლიერი ქართული უნივერსიტეტი გახდებოდა ერის კონსოლიდაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი. მისი აზრით, სწორედ უმაღლესი განათლების ამ ეროვნულ კერას უნდა უზრუნველყო იმ ეროიანი საგანმანათლებლო სივრცის ლოგიკური დაგვირგვინება, რომლის მშენებლობაც ილიამ და მისმა მეგობრებმა დაიწყეს და სწორედ მას უნდა აღეზარდა და ჩაეყენებინა ერის სამსახურში განათლებული „ახალი ქართველი" ახალგაზრდობა, რომელიც მომავალში კიდევ უფრო განამტკიცებდა ქართველი ინტელიგენციის მიერ დაწყებულ ამ პატრიოტულ საქმეს.

ნიშანდობლივია, რომ ამ პატრიოტულ წამოწყებაში ივანე ჯავახიშვილს ნაკლებად დაეხმარნენ იმჟამინდელი საქართველოს ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები. უნივერსიტეტი ფაქტობრივად „არასამთავრობო", კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება იყო. მისი დამფუძნებლები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი და მრავალი სხვა. როგორც აღნიშნავენ: „უნივერსიტეტი პატრიოტ ქართველ მეცნიერთა უანგარო თავდადებით დაარსდა და კერძო შემოწირულობებით ინახავდა თავს. მენშევიკური ხელისუფლება მას მატერიალურ დახმარებას არ უწევდა. სახსრების ნაკლებობა და შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა დიდად აძნელებდა ახლადდაარსებული უნივერსიტეტის ნორმალურ საქმიანობას. მაგრამ მისი დამფუძნებელი კოლექტივის დაუღალავმა შრომამ თბილისის უნივერსიტეტი მოკლე დროში გადააქცია ქართველი ხალხის უპირველეს და უმთავრეს საგანმანათლებლო ცენტრად"[77].

მიგვაჩნია, რომ ივანე ჯავახიშვილმა თბილისის უნივერსიტეტის ორგანიზებით, ფაქტობრივად ხელში აიტაცა ილიას გარდაცვალების შემდეგ დროებით ძირს დაგდებული ეროვნული დროშა და ეროვნული კონსოლიდაციის საქმეში კიდევ ერთ ახალ ეტაპს ჩაუყარა საფუძველი – საქართველოში ადგილზე საფუძვლიანი და სრული განათლებისათვის საჭირო ყველა პირობა შეიქმნა. ამ საგანმანათლებლო სივრცეს უნდა ჩამოეყალიბებინა ის „ახალი ქართველი", რომელზეც ოცნებობდნენ „თერგდალეულები". ამ ახალ ეტაპზე ქართველების მთავარი ლოზუნგი გახდა „განათლება უპირველეს ყოვლისა!" (შეიძლება თამამად ითქვას, რომ თითქმის მთელი XX საუკუნე ეს ლოზუნგი მეტ-ნაკლები ინტენსივობით განსაზღვრავდა ქართველების ცხოვრებას).

სწორედ ივანე ჯავახიშვილმა და მისმა მეგობრებმა საფუძველი ჩაუყარეს იმ პერმანენტულ პროცესს, რომელმაც სულ რაღაც რამდენიმე ათეულ წელიწადში რადიკალურად შეუცვალა სახე საქართველოს და განათლებისადმი მოსახლეობის ლტოლვის ხარისხით ერთ-ერთი მოწინავე გახადა მსოფლიოში.

ქართველებისთვის უდიდესი მნიშვნელობის ეს ისტორიული ფაქტი, ლოგიკურად დააგვირგვინა ასევე უმნიშვნელოვანესმა მეორე მოვლენამ – თბილისში 1919 წელს ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დაიდგა პირველი ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი". მისი ავტორი, ზაქარია ფალიაშვილი, „საზოგადოების" ბრწყინვალე წარმომადგენელი. უკვე რამდენიმე ათეული წელია სწავლობდა ქართულ სამუსიკო ფოლკლორს და როგორც მუსიკათმცოდნეები აღნიშნავენ, ამ ოპერაში „კომპოზიტორმა განაზოგადა ქართული მუსიკალური ფოლკლორის მრავალრიცხოვანი დიალექტები და მისი სხვადასხვა ეთნოგრაფიული მიმართულებებისაგან შექმნა ერთიანი სამუსიკო ენა"[78].

ერთიანი სამუსიკო ენა – ეროვნული კონსოლიდაციის კიდევ ერთი მარკერი, რომელიც ძალიან მალე ქართველების ეროვნული სიამაყისა და მსოფლიოში აღიარების საფუძველი გახდება. ნიშანდობლივია, რომ სწორედ „თერგდალეულებთა" უნიჭიერესი წარმომადგენლის, ზაქარია ფალიაშვილისა და მისი მეგობრების – მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, ვიქტორ დოლიძის, კოტე ფოცხვერაშვილის შემოქმედებაში ერთიანმა სამუსიკო ენამ ჰპოვა ლოგიკური დაგვირგვინება და სწორედ ამ ურთულეს პერიოდში შეიქმნა ერთიანი „ქართული სამუსიკო სკოლაც".

აშკარაა, ეროვნულმა დამოუკიდებლობამ, სიძნელეების მიუხედავად, ქართველი ინტელიგენციის უდიდესი ენთუზიაზმი და შემოქმედებითი შემართება გამოიწვია. მაგრამ შექმნილმა გეო-პოლიტიკურმა ვითარებამ, დრამატულმა მოვლენებმა, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მესვეურთა უგულისყურობამ და ბოლშევიკური რუსეთის აგრესიამ სწრაფად დაასამარა ის, რაც საქართველოში საბოლოოდ მოპოვებული ეგონათ.

XX საუკუნის დასაწყისში, ილიასა და მისი თანამოაზრეთა მცდელობის მიუხედავად, საქართველოში პოპულარული გახდა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია. შეიქმნა და განმტკიცდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, მისი ადგილობრივი სტრუქტურები. მიმდინარეობდა მარქსიზმის პროპაგანდა-აგიტაცია. სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გაძლიერებას მიუთითებს 1902 წლის 9 მარტს ბათუმში იოსებ ჯუგაშვილის მიერ ორგანიზებული მუშათა გაფიცვა და სისხლიანი შეტაკება პოლიციასთან – ამ დღეს ქართველებმა პირველად დაღვარეს სისხლი ამ პოლიტიკური მოღვაწის საქმისათვის. ამ დღიდან საქართველოს ბედი მჭიდროდ გადაეჯაჭვა იოსებ ჯუგაშვილის (მომავალში იოსებ სტალინის) პოლიტიკურ ბედს. ქართველი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით დაწყებული რევოლუციური გამოსვლები თავისი მასშტაბებით იმდენად ძლიერი იყო, რომ ის სანიმუშოდ დაისახა რსდმპ II ყრილობაზე.

საქართველოში სოციალ-დემოკრატების ზეგავლენის გაძლიერებაზე მიუთითებს ისიც, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში საქართველოდან არჩეული დეპუტატების უმრავლესობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები იყვნენ და გამორჩეულ როლს ასრულებდნენ პარტიის საქმიანობაში. სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას წლების მანძილზე ქართველი კარლო ჩხეიძე ხელმძღვანელობდა. პარტიის ლიდერებს შორის იყვნენ ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, ნოე ჟორდანია. სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გაძლიერებამ საქართველოში სერიოზულად შეაფერხა ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობა.

სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გაძლიერებამ შესაძლებელი გახადა ილია ჭავჭავაძის ცერაგული მკვლელობა. ამ ტრაგედიამ ცხადყო, რომ საქართველოში „დამთავრდა ეპოქა დიდი", რომ საქართველოს ეროვნულ-მაკონსოლიდიერებელმა მოძრაობამ დიდი საჭეთმპყრობელი დაკარგა. ეს პროცესი სერიოზულად შეფერხდა.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერია კვლავ აგრძელებდა ანტიქართულ, დეზინტეგრაციულ საქმიანობას, ყველა საშუალებას იყენებდა კონფესიურად განსხვავებული ქართველების გასათიშად, დასაპირისპირებლად, ცდილობდა მათ შორის ხელოვნური ბარიერების აღმართვას. ეს ხდებოდა სამხრეთ საქართველოში, აჭარასა და აფხაზეთში. ეს ვლინდებოდა აჭარაში – ე.წ. „ქართველ მასწავლებელთა საქმეში", აფხაზეთში – „ქართული პარტიის" დევნაში, ქართული სკოლების რაოდენობის კატასტროფულ შემცირებასა და ა.შ.

I მსოფლიო ომის მოახლოებამ აქტუალობა შესძინა ეროვნულ პრობლემას. მისი თეორიული საკითხების დამუშავება მიზნად დაისახა ყველა მიმართულების პოლიტიკურმა ლიდერმა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეროვნული საკითხის ძირითადი დებულებების დამუშავებასა და მათი გადაწყვეტის კონცეფციის ჩამოყალიბების საქმეში ჰქონდა იოსებ ჯუგაშვილის პროექტს, რომელიც მოგვიანებით საფუძვლად დაედება კომუნისტური მსოფლიოს ეროვნებათაშორისო ურთიერთობებს. და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების შეხედულებებს (ნ. ჟორდანიასა და მისი მეგობრების) „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" პრინციპებზე ეროვნული საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობის შესახებ (ეს პროექტი კი საქართველოში განხორციელდა).

თეორიულ მსჯელობებთან ერთად, ქართველი ახალგაზრდების მცირე ჯგუფი. რეალურად ფიქრობდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას გერმანიისა და თურქეთის სახელმწიფოების მხრიდან სერიოზული დახმარების საფუძველზე. ამ ახალგაზრდების (მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი და სხვ.) უკვე აშკარად გადადგმული ნაბიჯები საქართველოსთვის დიდი

ხიფათის მომტანი შეიძლება ყოფილიყო, ამიტომაც მას საქართველოში ბევრი არ გამოეხმაურა.

I მსოფლიო ომში რუსეთის მხარეზე 200 000-ზე მეტი ქართველი იბრძოდა, მათ შორის 7500 მაღალპროფესიონალი სამხედრო ოფიცერი იყო, რაც მიანიშნებს იმპერიისადმი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის ლოიალურობას. პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა საქართველოს რუსეთის შემადგენლობიდან გამოსვლას არ მოითხოვდა. მსოფლიო ომში რუსეთის სამარცხვინო დამარცხებამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც გერმანიის იმპერიის დახმარებით 1918 წლის 26 მაისს „დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე საზეიმოდ გამოცხადდა.

საქართველოს მმართველობის სადაყეებთან მოვიდა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობაზე არასოდეს ფიქრობდა და მისი იდეალი მუდამ იყო „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!". მეშვიდეული სოციალ-დემოკრატებმა ვერ შეძლეს ილიას და „სამოციანელთა" მიერ დაწყებული ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობის ვერც გაცოცხლება და ვერც განვითარება. მათ მიერ შექმნილი „ეროვნული საბჭოები" საქართველოში მოსახლეობის ინტეგრაციას ხელს ვერ უწყობდა, პირიქით – ს'შირ შემთხვევაში ისინი „მეხუთე კოლონის" ფუნქციას ასრულებდნენ. მეშვიდეული სოციალ-დემოკრატული მთავრობის მიერ ეკონომიკური კოლაფსის დაშვება, ქართველებს შორის კონფესიური დაპირისპირების გაღრმავება და გაუაზრებელი საგარეო პოლიტიკა – სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა საქართველოს და ქვეყანა სულ უფრო და უფრო მიუქანებოდა პოლიტიკურ კრახისაკენ.

ასეთ ვითარებაში კვლავ საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია აღმოსნდა ქართველთა ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობის ცულშემატკივარი. ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა თბილისის უნივერსიტეტის ორგანიზებით, ფაქტობრივად ხელში აიტაცეს ილიას გარდაცვალების შემდეგ დროებით ძირს დაგდებული ეროვნული დროშა და ეროვნული კონსოლიდაციის საქმეში კიდევ ერთ ახალ ეტაპს ჩაუყარეს საფუძველი – საქართველოში აღგილობრივად საფუძვლიანი და სრული უმაღლესი განათლებისათვის საჭირო ყველა პირობა შეიქმნა. სწორედ ამ საგანმანათლებლო სივრცეს უნდა ჩამოეყალიბებინა ის „ახალი ქართველი", რომელზეც ოცნებობდნენ „თერგდალეულები". ამ ახალ ეტაპზე ქართველების მთავარი ლოზუნგი გახდა „განათლება უპირველეს ყოვლისა!" (შეიძლება თამამად ითქვას, რომ თითქმის მთელი XX საუკუნე ეს ლოზუნგი მეტ-ნაკლები ინტენსიობით განსაზღვრავდა ქართველების ცხოვრებას).

თავი IX

ქართველების ეროვნული ერთიანობა საფრთხეშია

§ 1. – კომუნისტების ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

სამოქალაქო ომისა და დასავლეთის ქვეყნების ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით დასრულების შემდეგ მოსკოვმა ამიერკავკასიისათვისაც მოიცალა და მსოფლიოში უნიკალური ბაქოს ნავთობის კვლავ ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. ეს ამოცანა კი ავტომატურად გულისხმობდა ბათუმის აკვატორიაზე კომუნისტური რუსეთის გავლენის აღდგენას (ანუ რაღაც ფორმით საქართველოზე სრული ან ნაწილობრივი კონტროლის დაწესებას), რომ ბაქოს ნავთობი ევროპის ბაზარზე შეუფერხებლად გასულიყო.

მეტად ნიშანდობლივია, რომ ამიერკავკასიის რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში აუცილებლად დაბრუნების კომუნისტური იდეები საჯაროდ გააჟღერა სწორედ სამხრეთ კავკასიელმა, კომუნისტური რუსეთის ერიოვნებათა საქმეების სახალხო კომისარმა ი.ბ. სტალინმა 1920 წლის ნოემბერში, სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ძალიან მალე. ამ დროს აზერბაიჯანს უკვე კომუნისტური რუსეთი აკონტროლებდა და ბოლშევიკების ლიდერის ამ სიტყვაში აშკარად იგრძნობოდა ის ხიფათები, რაც საქართველოს წინაშე დადგა 1921 წლის დასაწყისში. თავის ინტერვიუში ი.ბ. სტალინი აღნიშნავდა: „რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპისა და აზიის შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი-ბაქო, ბათუმი-თავრიზი, ბათუმი-თავრიზი-არზრუმი).. ბოლოს და ბოლოს ვინ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში, ვინ ისარგებლებს ნავთითა და აზიის სიღრმეში უაღრესად მნიშვნელოვანი გზებით, რევოლუცია თუ ანტანტა – ეს არის მთელი საკითხი“[1].

ამრიგად, ეს დაუფარავი გულწრფელობით ნათქვამი აგრესიული პროექტი თავის განხორციელებას საჭიროებდა და შესაფერის დროს ელოდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური რუსეთის „პოლიტიკური მადის“ ასეთი ზრდა, გარკვეულწილად, გამოწვეული იყო დასავლეთის პოლიტიკოსების ღრმა რწმენით, რომ ძალიან მალე ბოლშევიკური რუსეთის კრახი გარდაუვალი იყო და რუსეთში მოხდებოდა ლეგიტიმური, დემოკრატიული რეჟიმის რესტავრაცია. აქედან გამომდინარე ისინი რუსეთის, თავისი ყოფილი მოკავშირის, ინტერესების ერთგულ დამცველებად რჩებოდნენ და მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს ნაწილებად დაშლა. დასავლეთის დიპლომატიის ეს, იმჟამად აშკარად უსამართლო პოზიცია, თავის ერთ-ერთ ოფიციალურ წერილში აშკარად განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ. კოლბიმ: „ამერიკის შეერთებული შტატები წინააღმდეგია რუსეთის სახელმწიფოს დაქუცმაცებისა, რაც ა) ერთი მხრივ, გამოიწვევს ეკონომიკურ დასუსტებას, ანარქიას და კიდევ უფრო მეტ სიღატაკეს, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეუწყობს ხელს რუსი ერის აღორძინებას; ბ) ხელს შეუწყობს ბოლშევიკური მთავრობის გაძლიერებას“[2].

ახალი რუსეთის იმპერიალისტური ამბიციების მიმართ დასავლეთის პასიურობას სხვა საფუძველიც ჰქონდა. მართალია, ეს ბ. კოლბის ნოტაში მითითებული არ იყო, მაგრამ ყველასათვის ხომ ცხადია – XX საუკუნის 20-იან წლებში დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნები უზარმაზარი კოლონიების მფლობელები იყვნენ და ცეცხლითა და მახვილით ინარჩუნებდნენ ამ იმპერიების ერთიანობას. მათთვის გასაგები იყო რუსეთის იმპერიული ამბიციები, ის „თეთრი“ იქნებოდა თუ „წითელი“, კავკასიას ისინი იმჟამად მაინც რუსეთის პროტექტორატში მოიაზრებდნენ.

ამიტომაც კარგად ორგანიზებული პროვოკაცია ლორეს ნეიტრალურ ოლქში გახდა დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ კომუნისტური რუსეთის აგრესიის სტიმული, რაც 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის XI არმიის მიერ თბილისის დაკავებით დასრულდა. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ემიგრაციაში, საფრანგეთში გაიხიზნა. თბილისის თავზე III კომუნისტური ინტერნაციონალის წითელი დროშა აფრიალდა.

რუსეთის ანალოგიურად, ძალიან სწრაფად, შეიქმნა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები. უზურპირებული ხელისუფლების შესანარჩუნებლად რუსეთის შეიარაღებული ძალები დარჩნენ საქართველოში და აქტიურად ჩაერთვნენ საბჭოთა აღმშენებლობის პროცესში.

ჩვენ არ შევუდგებით საქართველოში საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის დამკვიდრებისა და განვითარების საკითხების წარმოჩენას – ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. მით უფრო, რომ არსებობს ნაშრომი, რომელშიც ჩვენი დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემებისადმი სრულად არის გაცხადებული[3]. ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთ ძირითად საკითხს – ქართველი

ერის კონსოლიდაციის მიმართულებით რა დახვდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში, რა ნაბიჯები გადაიდგა ამ პროცესების ან შესერების, ან მათი წინ წაწევის, ან კიდევ ამ პროცესის საერთოდ ლიკვიდაციის მიმართულებით.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი, ილიას გარდაცვალების შემდეგ, თვითდინებაზე იყო მიშვებული. ფაქტობრივად არავითარი შესამჩნევი წინსვლა არ განიცადა საქართველოში მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული მთავრობის არსებობის პირობებში.

ახალ ისტორიულ ვითარებაში კი ერის კონსოლიდაციის პროცესს მკვეთრად დაუპირისპირდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული პროგრამა.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ პროგრამის ფაქტობრივი შემქმნელი და კომუნისტურ რუსეთში მისი რეალიზატორი ი. ბ. სტალინი იყო – ქართველი წარმომავლობის რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე. საბჭოთა ისტორიოგრაფია დიდი ხნის მანძილზე თელიდა, რომ ეროვნული ურთიერთობების მოწესრიგების ეს კომუნისტური პროგრამა სრულად და სამართლიანად წარმოაჩენდა ეროვნული პრობლემის ყველა ნიუანსს, რა თქმა უნდა, რევოლუციური პროლეტარიატის ინტერესების გათვალისწინებით და მან უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა ერების აღორძინებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში.

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით შევნიშნოთ, რომ კომუნისტების ეროვნული პროგრამა ერს – ისტორიულ კატეგორიად განიხილავდა, რომელიც მომავალში, კომუნიზმის მსოფლიოში გამარჯვების შემთხვევაში, უნდა გამქრალიყო ისტორიის არენიდან და მის ნაცვლად შეექმნებოდა პროლეტარიატის საერთაშორისო ძმობა. ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა: „სოციალიზმის მიზანია არა მარტო მოსპოს წვრილ სახელმწიფოებად კაცობრიობის დაქსაქსულობა და ერთა ყოველგვარი განცალკევება, არა მარტო დააახლოვოს ერები, არამედ მათი შერწყმაც მოახდინოს“[4].

შერწყმა – კომუნისტების ენაზე ნიშნავდა ერის მიერ საკუთარი ფიზიონომიის დაკარგვას, ტრადიციული ეროვნული ფასეულობების უგულებელყოფას, „ეიწრო ეროვნული ნაჭუჭის“ ფარგლების გარღვევას, მსოფლიო პროლეტარულ სახელმწიფოში გათქვეფას.

აქედან გამომდინარე ერების კონსოლიდაცია კი არა, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის კონსოლიდაცია ითვლებოდა კომუნისტების მთავარ ამოცანად და მას უნდა შეწიროდა ერიც და მისი მომავალიც, რადგან, მათი აზრით, ცალ-ცალკე არსებული ერები, კომუნისტური იდეოლო-

გიის გარეშე, მხოლოდ განხეთქილებას და პროლეტარული მოძრაობის დაშლას იწვევდნენ.

ვ. ი. ლენინი, კომუნიზმის სხვა იდეოლოგები თავის გამოსვლებში, წერილებსა და შრომებში მკაცრად აყენებდნენ პროლეტარული ინტერესების უპირატესობის ამოცანას ეროვნულთან შედარებით. ეროვნული საკითხი, მათი აზრით, თავისთავად გადაიჭრებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისთანავე და სულ არ იყო საჭირო ამ პრობლემაზე გადაჭარბებული ყურადღების გამახვილება, ერის კონსოლიდაციაზე ზრუნვა. იგი წერდა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატების საქმე სრულებითაც არ არის ერთ ერად შეაერთოს ლიტველი, რიგელი, პიტერისა და სარატოველი გერმანელები“[5].

თუ ამ ამონარიდის პერეფრაზირებას გავაკეთებთ საქართველოსთან მიმართებაში ეს საპროგრამო დებულება ასეთ შინაარსს შეიძენს: „სოციალ-დემოკრატიის საქმე სრულებითაც არ არის ერთ ერად შეაერთოს თბილისელი, ახალციხელი, ბათუმელი, სუგდიდელი, მესტიელი, ქუთაისელი და სხვა ქართველი“, რომლებიც ჯერაც კიდევ განსხვავდებოდნენ როგორც ლინგვისტური, ისე კონფესიური თავისებურებებით. **იმჟამად ჭეშმარიტი ქართველი პატრიოტის ამოცანა კი ის იყო, რომ მომხდარიყო ამ განსხვავებების გადალახვა, რომ რაც შეიძლება მალე მიღწეულიყო „თერგდალეულთა“ ნანატრი ეროვნული ერთიანობა.**

მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში მოსული ადგილობრივი კომუნისტური პარტია ამ საკითხებზე ნაკლებად ფიქრობდა. მისი მთავარი ამოცანა იყო კომუნისტური რუსეთის მმართველობის გამოცდილების მაქსიმალურად სწრაფად გადმოტანა ქართულ მიწაზე.

მართალია, საქართველოს გასაბჭოების პერიოდისათვის, რუსეთის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიაში ეროვნული საკითხის შესახებ კონცეფციამ გარკვეული ევოლუცია განიცადა, რაც რუსეთის კომუნისტური სახელმწიფოს ფედერალურ მოწყობაშიც კი აისახა, მაგრამ ფრაზეოლოგიურმა ჟონგლიორობამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს – დეკლარაციებისა და საზეიმო განცხადებების მიღმა „ერების თვითგამორკვევის პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით“, პარტიულ დოკუმენტებში არაორაზროვნად მინიშნებული იყო მთავარი მიზანი: „პარტია აყენებს, როგორც ერთ-ერთ გარდამავალ ფორმას **სრული ერთიანობის გზაზე** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) საბჭოთა ტიპის მიხედვით მოწყობილი სახელმწიფოების ფედერაციულ გაერთიანებას“[6].

ამრიგად, კომუნისტების მიერ შეთავაზებული კუდმოკვეცილი ფედერაციაც, მხოლოდ „გარდამავალი ფორმა“ იყო და სხვა არაფერი, რომელსაც სხვადასხვა ერის პროლეტარიატის „სრული ერთიანობა“ უნდა მიეღწია იმ-

პერიალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. ამ შემთხვევაში ეროვნული კონსოლიდაცია არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა, რადგან დასუსტებული, დეზინტეგრირებული ერი, თავისი ისტორიული მეხსიერებისა და ტრადიციული ყოფა-ცხოვრების გარეშე, პროლეტარულ მსოფლიო თანამეგობრობაში უფრო ადვილად და უფრო მალე გაითქვიფებოდა.

პროლეტარიატის ერთიანობას კიდევ უფრო განამტკიცებდა რუსეთის კომუნისტური პარტიის საწესდებო სუბორდინაცია და დაწერილი კანონები, რომლებიც არაფერს ტოვებდნენ ქვეყნების თავისუფლებისა და სუვერენიტეტისაგან: „რუსეთის კომუნისტური პარტიისა და მის ხელმძღვანელ დაწესებულებათა ყველა გადაწყვეტილება უსათუოდ საყალდებულოა პარტიის ყველა ნაწილისათვის, მიუხედავად მათი ნაციონალური შემადგენლობისა. უკრაინელი, ლატვიელი, ლიტველი კომუნისტების ცენტრალური კომიტეტები სარგებლობენ პარტიის საოლქო კომიტეტების უფლებებით და სავსებით ემორჩილებიან რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს"[7].

ეს დადგენილება აშკარად მიანიშნებს, რომ „დამოუკიდებლობა", „სუვერენიტეტი" საბჭოთა სახელმწიფოში თავიდანვე ფიქცია იყო და ის ყველა დროსა და ეპოქაში პარტიული უნიტარიზმით გადაიფარებოდა ხოლმე.

ამრიგად, კომუნისტური პარტიის ეროვნული პროგრამის ძირითადი პარამეტრები წინააღმდეგობაში მოდიოდა ქართველების ეროვნული კონსოლიდაციის ისტორიულ ამოცანებთან და ამ ეტაპზე საგრძნობლად დაიაგრა კიდეც ის.

§ 2. – „ჭართველის" მაგივრად „საბჭოთა"

საბჭოთა რუსეთის იდეოლოგებს ღრმად სწამდათ, რომ ოქტომბრის რევოლუციიდან დაიწყო ახალი ეპოქა, რომ წარსული დარჩა უკან, რომ კომუნისტური მომავალი ძალიან მალე ისეთ ახალ და ბედნიერ ცხოვრებას შექმნიდა, რომ აღარავის გაახსენდებოდა საკუთარი ეთნოსი, მამა-პაპათა ტრადიციები, ისტორიული წარსული. კომუნისტური პერსპექტივა მთელი მსოფლიოს ადამიანებს მოუტანდა ნანატრ ბედნიერებას, თუ კი ისინი ცხოვრებაში განახორციელებდნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის ეროვნულ პროგრამას, რაცა ტოტალურად ყველა გახდებოდა „საბჭოთა" და მსოფლიო აღარ დაქუცმაცდებოდა ერებად და ეროვნებებად.

ამ იდეის რეალიზაცია საქართველოში ძალიან სწრაფად დაიწყეს. ეს პროცესი მჭიდროდ დაუკავშირეს ტრადიციული ეროვნული ოჯახის ნგრევას

და „ახალი საბჭოთა ადამიანის“ აღზრდის ამოცანებს. საზღვარგარეთულ სოვეტოლოგიაში სამართლიანად არის შემჩნეული, რომ „ახალი ხელისუფლება ისწრაფოდა მიეღწია განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი საბჭოთა რეგიონების ერთსახოვნებისა და გათანაბრებისათვის. ამ მიზნის განხორციელების მყარი საფუძველი იყო სახალხო განათლების სახელმწიფო ქსელის განვითარება და სრულყოფა, რადგან სწორედ მას უნდა აღეზარდა კომუნიზმის მშენებელი „ახალი ადამიანი“[8].

ეს ამოცანა რთულიც იყო და ადვილიც. რთული იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ბრძოლა უხდებოდა ეროვნულ საგანმანათლებლო ტრადიციებთან (განსაკუთრებით კულტურულად დაწინაურებულ რეგიონებში, მათ შორის საქართველოშიც) კულტურული განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ადამიანების, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა დამწერლობის მქონე ხალხების სულიერ მისწრაფებებთან, რომლის ტოტალური გარდაქმნა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ადვილი იყო იმიტომ, რომ ტოტალიტარული რეჟიმისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა წერა-კითხვის უცოდინარი, გაუნათლებელი მოსახლეობისათვის შეეთავაზებინა „საბჭოთა სკოლა“, საბჭოთა აღმზრდელობითი პროგრამები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგული „ჰომო-სოვეტიკუსის“ ფორმირება იყო.

„საბჭოთას“ რომ ორგანულად შეეცვალა „ქართული“ და მტკიცედ დაემკვიდრებინა „საბჭოთა“ – ეს პროცესი მხოლოდ აღზრდის სისტემის საფუძვლებიდან უნდა ყოფილიყო დაწყებული და პერმანენტულად განვითარებული, სანამ საბჭოთა ადამიანის ფორმირება წარმატებით არ დასრულდებოდა. საქართველოში ძალიან მალე დაიწყეს ამ პრინციპების ცხოვრებაში დანერგვა. მეტად საინტერესოდ გვეჩვენება საქართველოში კომუნისტური აღმშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორის, განათლების სახალხო კომისრის მოადგილის მარიამ ორახელაშვილის თეზისები, რომელშიც განსაზღვრულია საქართველოში ახალგაზრდის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ძირითადი პრინციპები. თეზისების გაცნობა იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ სახეზეა: 1. საოჯახო აღზრდის სრული იგნორირება; 2. ინდივიდუალისტური ტენდენციების ნაცვლად კოლექტივისტური ტენდენციების დანერგვა-განვითარების მოთხოვნა; 3. სოციალური აღზრდის პრინციპების უპირატესი დამკვიდრება.

ამ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, მარიამ ორახელაშვილი აყენებს ამოცანას: „ჩვენი მიზანია ისე მოვამზადოთ ბავშვები, რომ ისინი ჰარმონიულად განვითარდნენ და შეიქმნას ახალი კომუნისტური საზოგადოების მკვიდრნი წევრნი, გრძნობდნენ მჭიდრო კაეშირს საზოგადოებასთან, შეიგნონ კომუნისტური ფსიქოლოგია და შრომის უნარი, რომელსაც შეუძლია

თავისი ნებისყოფა და ინტერესი დაუქვემდებაროს კოლექტივის ინტერესს, რომელსაც ყოველ პირობებში შეუძლია იყოს კარგი ამხანაგი, მუშაობაში შეიტანოს თავისი ინიციატივა“[9].

შარიამ ორახელაშვილი თავის თეზისებში აყალიბებდა ბავშვის აღზრდის იდეალურ საბჭოთა სტრუქტურას, რომელსაც უნდა მოეცვა ბავშვის აღზრდა-განვითარების სრული ციკლი: საბავშვო ბაღი, საბავშვო მოედნები, სკოლა, კლუბი ან ბავშვთა სახლი (ინტერნატი), მთლიანი შრომის სკოლა. აღზრდის ყველა ამ კონკრეტული ფორმის მთავარი ამოცანაა: „ყოწრო ეგოისტური ოჯახის გავლენის მოსპობა“[10].

ამ შემთხვევაში აშკარაა შარიამ ორახელაშვილის შეხედულებების სრული თანხვედრა მარქსიზმის ძირითად დებულებებთან, რომლებიც მოითხოვენ ბავშვის აღზრდის სისტემის სოციალიზაციას, ოჯახური აღზრდის ლიკვიდაციას, რის საფუძველსაც შესაძლებელი გახდებოდა სწორედ ისეთი მსოფლმხედველობის ადამიანის ფორმირება, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებისაგან.

ეს იდეალური პროექტი, რომლის რეალიზება საქართველოში წერტილს დასუვამდა ქართულ ოჯახს, ტრადიციებსა და ეროვნულ ფასეულობებს, საბედნიეროდ, ვერ განხორციელდა სერიოზული ფინანსური პრობლემების გამო, რომელიც შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეკონომიკური კოლაფსის გამო. ხოლო შემდეგ ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის კოლექტივიზაციის კონკრეტულმა ამოცანებმა ისეთი კოლოსალური ფინანსური დაბანდებები მოითხოვა, რომ ვეღარ მოხერხდა მარქსისტული აღზრდის პრინციპების სრული დანერგვა.

რაც მთავარია ვეღარ მოხერხდა ბავშვის ოჯახის გარეშე აღზრდა. XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ბავშვი კვლავ ოჯახში, მშობლების მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა, და აქედან გამომდინარე, ტრადიციულ ფასეულობებთან გარკვეული კავშირს ინარჩუნებდა. სამაგიეროდ მოხდა სკოლის, როგორც დაწყებითი, ისე საშუალო და უმაღლესი სკოლის სრული „სოვეტიზაცია“. ამ ეტაპზე „ჯომო სოვეტიკუსი“ სწორედ სკოლას უნდა აღეზარდა. ახალი სასწავლო პროგრამები, ახალი სახელმძღვანელოები, სწავლების მეთოდოლოგია და მეთოდიკა მთლიანად მარქსისტულ-ლენინური პრინციპებს დაექვემდებარა და თვალსაჩინო შედეგებიც იქნა მიღებული – 30-იან წლებში საქართველოში საბჭოთა ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი უკვე კომუნისტური სახელმწიფოს გულმხურვალე დამცველი და გულშემატკივარი იყო.

საბჭოთა განათლებისა და აღზრდის სისტემა უპირველეს ყოვლისა მებრძოლი ათეისტის აღზრდას ითვალისწინებდა. საქართველოში ათეიზმი, ასევე, ითვალისწინებდა ქართველი ერის იდენტობის ერთ-ერთი საფუძვლის – ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ტოტალურ განადგურებას.

ამ მიზანმიმართებაში ორი ამოცანა იკვეთება: 1. ქართული ეკლესიის განადგურება – ქართველების იდენტობის დასუსტება-მოსპობის საფუძველი და აქედან გამომდინარე „ჰომო სოვეტიკუსად“ ქართველობის ადვილად გარდაქმნისათვის პირობების შექმნა. 2. საბჭოთა იდეოლოგიური სისტემა ვერ განვითარდებოდა და დამკვიდრდებოდა სხვა რელიგიური ორგანიზაციის ტოტალური განადგურების გარეშე. საბჭოთა იდეოლოგია ადამიანის სულისთვის ბრძოლაში კონკურენტს ვერ მოითმენდა და ვერც თავისუფალი არსებობის შესაძლებლობას მისცემდა მათ. საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური „მრევლი“ უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე ნებისმიერ კონფესიას საბჭოთა კავშირში შეექმნა წარმოუდგენელი ბარიერები, მათი არსებობა თითქმის შეუძლებელი გახდა.

ამის საფუძველი კი იყო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მებრძოლი ათეიზმის შესახებ. კ. მარქსი არაერთხელ აღნიშნავდა: „რელიგიის, როგორც ხალხის ილუზორული ბედნიერების ამოძირკვა არის მისი ჭეშმარიტი ბედნიერების მიღწევის მოთხოვნა“[11]. ვ.ი.ლენინი მიუთითებდა: „რელიგია – ეს არის სხვის საკეთილდღეოდ მომუშავე, დაბეჩავებული და მარტოობაში მყოფი მშრომელთა ფართო მასების სულიერი ჩაგერის ერთ-ერთი სახეობა“[12].

კომუნისტური პარტიის საპროგრამო დოკუმენტებიც ხაზგასმით მიუთითებდნენ რელიგიურ ორგანიზაციებთან ყოველგვარი კომპრომისის დაუშვებლობას და თავის წევრებს ასწავლიდნენ: „რელიგიის მიმართ რუსეთის კომუნისტური პარტია არ კმაყოფილდება სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის უკვე დეკრეტირებული გამოყოფით... მხოლოდ გეგმაშეწონილობისა და შეგნებულობის განხორციელება მასების მთელ საზოგადოებრივ სამეურნეო მოქმედებაში გამოიწვევს რელიგიურ ცრურწმენათა სრულ მოსპობას“[13].

ამ პროგრამული მოთხოვნების ცხოვრებაში განხორციელებას საქართველოში საკმაოდ ენერგიულად შეუდგნენ. 1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი „სახელმწიფოსაგან ეკ-

ლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ". ამ პერიოდისათვის საქართველოში 1450 ეკლესია, 25 მონასტერი ფუნქციონირებდა, ღვთისმსახური იყო 1600 კაცი[14].

ქართველი კომუნისტები განსაკუთრებით გააღიზიანა გუნუაში, საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე გაკეთებულმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) მიმართვამ, რომელშიც მღვდელმთავარი მსოფლიოს ხალხოგადოებისაგან მოითხოვდა ოკუპირებული საქართველოს დახმარებას, მხარდაჭერას რუსეთის აგრესიის შესერების საქმეში.

ამ წერილს პირველ რიგში ფ. მახარაძე გამოეხმაურა საგანგებო სტატიით: „პატრიარქ ამბროსის მღვდელმთავრული ჭორიკანობა".

კიდევ უფრო განრისხდა ამ ფაქტით მოსკოვის სელმძღვანელობა. ის სამღვდელოებისაგან უპირობო მორჩილებას მოითხოვდა და მათ აიძულებდა კომუნისტური ექსპერიმენტისათვის გაეღოთ საეკლესიო სიძველეები, ქონება, განძეულობა. ცნობილია ვ.ი. ლენინის საიდუმლო წერილი მოლოტოვისადმი, სადაც ის მოითხოვს საეკლესიო მსახურების ფიზიკურ განადგურებას: „მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ახლა უნდა მიეცეს ყველაზე ვადამწყვეტი, ყველაზე დაუნდობელი ბრძოლა შავრაზმულ სასულიერო ფენას და ჩახშობილ იქნას მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რომ მათ ეს არ დაივიწყონ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში".

საქართველოს კომუნისტები, მოსკოვის მითითებების საპასუხოდ, დიდი ენთუზიაზმით ატარებდნენ მებრძოლი ათეიზმის საბჭოთა პოლიტიკას. უპირველეს ყოვლისა დაიწყეს საეკლესიო სიძველეების ამოღება. საქართველოს არცერთ კუთხეში არ დარჩენილა ეკლესია და მონასტერი, რომ იქიდან საეკლესიო განძეულობა არ გამოეტანათ და სახელმწიფო საჭიროებისათვის არ გამოეყენებინათ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ჩამორთმეული ქონების უდიდესი ნაწილი საქართველოში ზაჰესის, ინდუსტრიალიზაციის სხვა ობიექტების მშენებლობას მოხმარდა.

ანტირელიგიური პროპაგანდა კიდევ უფრო ულმობელი გახდა 1923 წლიდან, როცა საქართველოს კპ ცკ მდივანმა მ. კახიანმა დაბეჭდა მოწოდება, რომელშიც კომუნისტებსა და კომკავშირლებს ანტირელიგიური მუშაობის გააქტიურება დაავალა. ქართულ ისტორიოგრაფიაში დაფიქსირებულია ასეთი „მუშაობის" არა ერთი მაგალითი. გაზეთ „სპარტაკის" ერთ-ერთი პუბლიკაცია მოგვითხრობს კომკავშირლების მიერ მოწყობილ ათეისტურ ღონისძიებაზე. როგორც ჩანს „შობის წინა დღით, 6 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართა ჩვენი კავშირის საქალაქო კრება, რომლის შემდეგ კავშირის წევრები გამოვიდნენ ქუჩაში... ჩირაღდნებითა და დროშებით ხელში. დემონსტრაციამ მიზანს მიაღწია. არც ერთი ახალგაზრდა იმ დღეს ეკლესიაში არ ყოფილა. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ჩირაღდნები

წითელი ნაჭრებით გადაკრული, რომელზედაც ეწერა: „სარწმუნოება მეცნიერებისა და რევოლუციის მტერია“[15].

მებრძოლი ათეიზმი საქართველოს რეგიონებსაც მოედო. ახალგაზრდა კომკავშირლები უპარტიო ათეისტებთან ერთად იგონებდნენ ახალ-ახალ ღონისძიებებს, რომ დაეკნინებინათ რელიგიური ფასეულობები, დაემცირებინა სარწმუნოებისა და ეკლესიის ერთგული ადამიანები, აშკარად ცდილობდნენ წერტილი დაესვათ რელიგიური აღმსარებლობისათვის. მაგალითად, ახალსენაკში საშობაოდ, როგორც დოკუმენტები მიუთითებენ, ახალგაზრდებმა „ააფეთქეს საგანგებოდ მოწყობილი „მამა ღმერთი“, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“.

ათეიზმის ულმობელი ხელი არამართლმადიდებელ კონფესიებსაც შეეხო. სურამის ებრაელ სინაგოგას, შაბათს, ებრაელებისათვის წმინდა დღეს, აღგილობრივმა ახალგაზრდებმა შეურაცხყოფა მიაყენეს. მესლიმი სამღვდელოების მიმართ სიმკაცრე განსაკუთრებით გაძლიერდა ხულოს ამბოხების შემდეგ, როცა დაიწყეს მუსეთების მასიური დახვრეტა. ქეთაისის, გორის კათოლიკე მამებს საბჭოთა სპეცსამსახურები სისტემატურად უთვალთვალებდნენ, აგროვებდნენ მათზე ინფორმაციებს, აცხადებდნენ ვატიკანის აგენტებად.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა 1924 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ. ქართველი სასულიერო პირების გარკვეული ნაწილი აშკარად თანაუგრძნობდა აჯანყებულებს, ლოცავდა პარტიზანებს. ეს კი მათ ძალიან ძვირად დაუჯდათ. ბევრი მღვდელი ძალით გაკრიჭეს, ბევრიც აწამეს.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ თავი შეირცხვინა იმით, რომ მოაწყვეს პატრიარქის, ამბროსის (ხელაია) სასამართლო პროცესი. როგორც დოკუმენტურად დასტურდება საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სურდა პატრიარქის სიკვდილით დასჯა. ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს გადაწყვეტილება. რომელიც სწორედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის მომავალ ბედს ეხება. დადგენილება მოამზადა ი. ბ. სტალინმა და ის შეიცავს შემდეგს: „პატრიარქ ამბროსის და საქართველოს სხვა სასულიერო წევრების მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით. გთავაზობთ 1. სასჯელის გამოტანისას შემოიფარგლეთ 10 წლის თავისუფლების აღკვეთით; 2. ყველა არსებული მასალა ეგზარქოს ამბროსის და სხვა სასულიერო პირების კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ გამოიყენეთ სპეციალურად ორგანიზებული კამპანიის დროს პრესაში, რადიოში, განსაკუთრებით სოფლად და ა.შ.“[16]

მოსკოვიდან ადგილობრივ კომუნისტებს ყოველმხრივ აგულიანებდნენ ათეისტური საქმიანობის გასაძლიერებლად. საქართველოს არქივსაცავებში ინახებოდა ვ. მოლოტოვის დეპეშა, რომელიც მოითხოვს – „უნდა შეანჯღრიოთ ხუცობა. დაუპირისპირეთ ზედა და ქვედა სამღვდელოება“[17].

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გასათიშად, შიდა საეკლესიო დაპირისპირების გასაძლიერებლად საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით გამოიყენა ე.წ. „განახლების მოძრაობა“. ეს სიახლე რუსეთის ეკლესიაში ჯერ კიდევ რევოლუციამდე უკვე არსებობდა და მიზნად ისახავდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციული წეს-განრიგის შეცვლას, ცხოვრებასთან უფრო მორგებულ რელიგიურ ღვთისმსახურების დაკანონებას. ამტკიცებენ, რომ ეს მოძრაობა ისეთი დამოკიდებული გახდა საბჭოთა ხელისუფლებაზე, რომ რუსეთის ეკლესიაში „რელიგიური ამინდი“ ვინმე ევგენი ალექსანდრეს ძე ტუჩკოვის კაბინეტში იქმნებოდა. ეს კაცი კი სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მე-6 განყოფილების თანამშრომელი იყო და საეკლესიო ორგანიზაციებზე ზედამხედველობა ევალებოდა[18].

„განახლების მოძრაობის“ ქართველი მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ „სასუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენი ეკლესია რუსეთის ტყვეობაში იყო და როგორც მისი ნაწილი, უნებურად მის ბრძანებათა და ზრახვათა აღმსრულებელი, რუსეთის ეკლესიის ცოდვათა თანაზიარი გახდა. ეკლესია გაიყინა მკვდარ, დაძველებულ გარეგან ფორმათა შესრულებაში და ჩავარდა სწორედ იმ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა ფარისეველთა სექტა ქრისტეს დროს და რომლის წინააღმდეგ გაილაშქრა ქრისტემ“[19].

„განახლების მოძრაობამ“ განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა მას მხარი დაუჭირა საქართველოს ეკლესიის რამდენიმე მღვდელმთავარმა, რომლებმაც ჩათვალეს, რომ მსოფლიოში ათეიზმისა და მემარცხენე პოლიტიკური მიმართულებების ბატონობის პირობებში საჭირო იყო ეკლესიაშიც გარკვეული ცვლილებები, რომ ეკლესია მთლიანად არ განადგურებულიყო და მოეძებნა ევოლუციური განვითარების გზა.

სწორედ იმ პერიოდიდან ივარაუდება, რომ საბჭოთა სპეციალური სამსახურები კომპრომისულად განწყობილ მღვდელმთავრებსა და სასულიერო მსახურებს გადაბირებისა და საიდუმლო თანამშრომლობისაკენ უბიძგებდნენ, უქმნიდნენ პრივილეგიებს, აძლევდნენ აუცილებელ სუბსიდიებს და ა.შ..

საბჭოთა ხელისუფლება სისტემატურად აძლიერებდა ეკლესიაზე ზეწოლას, იქნებოდა ეს ფინანსური იძულება თუ ადმინისტრირება. როგორც მტკიცდება, საბჭოთა საქართველოში უკვე 20-იან წლებში დაიხურა 1213-ზე მეტი ეკლესია.

საბჭოთა ხელისუფლება ეკლესიის ავტორიტეტის დასამცრობად თვითონვე იყენებდა მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციული ფორმების კომუნისტურ სახეცვლილებებს საკუთარ პროპაგანდისტულ მუშაობაში. მაგალითად, XX საუკუნის 20-იანი წლების მიგნებაა კომუნისტური „ნათლობა". ამ ღონისძიებაში სიამოვნებით მონაწილეობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის გამოსულნილი ლიდერები, მოწინავე მუშები, რევოლუციონერები: სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე და სხვ. ქარხნებში იმართებოდა ასეთი „კომუნისტური ნათლობები". ბავშვებს არქმევდნენ ცნობილი რევოლუციონერების სახელებს, მაგალითად, „ელადლენსა", „ორჯონიკას". „კიმ"-ს, „მარატს" (ფრანგი რევოლუციონერის გვარია) და ა.შ..

გაინდნენ კომუნისტი „წმინდანები" – პროლეტარიატის საქმისათვის თავშეწირული ადამიანები. მაგალითად, 26 ბაქოელი კომისარი, კამო, ლადო კეცხოველი, ალიოშა წულუკიძე და ა.შ..

დაიწყეს „წმინდა" – მემორიალური ადგილების შექმნა, რომლებიც დაკავშირებული იყო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ეპიზოდებთან. მაგალითად, შეიქმნა მუზეუმი – „ავლაბრის არალეგალური სტამბა", საქართველოს კომპარტიასთან დაკავშირებულ სხვა მემორიალურ ადგილებზე. მოეწყო მუზეუმები, რომელთა მონახულება თითოეული კომუნისტის აუცილებელ მოვალეობად გამოცხადდა.

ათეისტური ბრძოლის ფორმების გააქტიურებით საბჭოთა სახელმწიფომ სერიოზულად დააკნინა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში საკმაოდ დაუძლურებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მას ფაქტობრივად ჩამოართვა ერის მაკონსოლიდირებელი ძალის წამყვანი ფუნქცია.

§ 4. – საქართველოს ტრადიციული პოლიტიკური ელიტის განადგურება

საქართველოს თავადაზნაურობამ საუკუნეების მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის ისტორიულ განვითარებაში: იყო მისი პოლიტიკური მდგრადობის ფუნდამენტი – მისი პოლიტიკური ელიტა, საქართველოს თავდაცვითუნარიანობის გარანტი, სოციალური სტაბილურობის შემადგენელი, რელიგიური და კულტურული ცხოვრების წარმმართველი. საქართველოს ისტორიამ შემოინახა თავადაზნაურების ბრწყინვალე წარმომადგენლების არა ერთი სახელოვანი ისტორიული ფაქტი და ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს მათ წვლილს.

მაგრამ ფეოდალიზაციის პროცესის ზედმეტად გაჭიანურებამ, გარეშე ფაქტორების გამძაფრებამ, ეკონომიკურმა სტაგნაციამ ქართველი თავადაზნაუ-

რობა დაამცრო ეკონომიკურად, გარკვეულწილად წინ წამოიწია საგვარეულო-დინასტიურმა უპირატესობებმა ეროვნულთან შედარებით. საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ ვერღარ შეძლო ერის კონსოლიდაციის პროცესის გაგრძელება, რაც კახელმა ბაგრატიონებმა წარმატებით დაიწყეს, და როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თანდათან რუსეთის სამეფო კარის ჩინოსნები, სამხედრო შენაერთების გენერლები და ოფიცრები, რუსეთის ეკლესიის გაელენიანი წარმომადგენლები გახდნენ, ზოგიერთმა მათგანმა სულ დაკარგა ეროვნული სახე და როგორც ითქვა – რუსეთის იმპერიის ლოიალური მსახურთა რიგებში ჩადგა.

ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე უკვე თითქმის გამორიცხავდა საქართველოს თავადაზნაურობას – როგორც კლასს იმ ისტორიული გამოწვევების გადამწყვეტი ძალების შემადგენლობიდან, რომელთაც ხელეწიფებოდათ საერო საქმის კეთება.

საქართველოში საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რადიკალური შემარცხენე იდეოლოგიის – სოციალ-დემოკრატიის უპირველესი პროპაგანდისტები და თვალსაჩინო მოღვაწენი საქართველოში თავადაზნაურული სოციალური ფენის წარმომადგენლები: ირაკლი წერეთელი, ნოე ჟორდანია, აღექსანდრე წულუკიძე, მამია ორახელაშვილი, სერგო ქავთარაძე და სხვები გახდნენ.

სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება თავადაზნაურობას უყურებდა როგორც რუდიმენტს – კლასს, რომელიც უნდა გამქრალიყო ისტორიული არენიდან ბურჟუაზიული უროიერთობების განმტკიცებისთანავე. ამიტომ რუსეთში, სადაც თავადაზნაურობა თავისი სოციალური უფლებებით და კლასობრივი ფიზიონომიით თითქმის XX საუკუნემდე მიაღწია, უკვე ითვლებოდა იმ სოციალურ ძალად, რომელიც პირველ რიგში უნდა გამქრალიყო ისტორიის არენიდან. სამართლიანად არის შენიშნული პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში: „ბოლშევიკ-ლენინელები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ეროვნული არისტოკრატია უნდა გაენადგურებინათ პირველ რიგში. მემამულეები ბოლშევიზმის პირველი მსხვერპლნი იყვნენ“[20].

საქართველოში თავადაზნაურთა რეპრესიები რუსეთის XI არმიის შემოსვლისთანავე დაიწყო. არის უამრავი დოკუმენტური მასალა, რომელიც მიანიშნებს, რომ ქართველი თავადაზნაურობის სახლ-კარის, მამულების მითვისება, მათი ფიზიკური განადგურება რუსეთის არმიამ მენშევიკური შეიარაღებული ძალების განდევნისთანავე დაიწყო. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: გორის რაიონის სოფელ ქარელის მკვიდრნი ანასტასია ჯანდიერი და როდამ ბაგრატიონ-დავითაშვილი თავის საჩივარში მიუთითებდნენ, რომ როცა წითელი არმიის საჯარისო ნაწილებმა მათ სოფელში გაიარეს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მათ ყველაფერი გაუნადგურეს, გაიტაცეს

ავეჯი, ჭურჭელი, ქონება, ნამოიღეს კარები, ფანჯრები, დაიკავეს მამული და მიწა[21].

მტკიცებლებივით იქცეოდნენ ადგილობრივი რევკომების წევრები: კლასობრივი სიძულვილით აღვსილნი ისინი თავადაზნაურებს უკანონოდ (თვით საბჭოთა კანონების უხეში დარღვევით) არომევდნენ სახლ-კარს, ქონებას, სერსათ-სანოვაგეს. მაგალითად, ხონში, ჭკუშურის რევკომმა ყოველად უკანონოდ ნამოართვა სახნავი მიწა ცერახიმე ჭავჭავაძეს, სოფელ ქეშხეთში რევკომმა საზოგადო მოღვაწეს კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანს წაართვა სახლი და ა.შ..[22]

რამდენი თავადაზნაური იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში? ზუსტი სტატისტიკური ცნობები არ არსებობს, იმიტომ რომ გასაბჭოებისთანავე საქართველოს რევკომმა გააუქმა თავადაზნაურობის წოდება და ის კატეგორია კატეგორიაში – „მოქალაქე". მაგრამ არსებობს ს. ორჯონიკიძის მიერ ერთ-ერთ მოხსენებაში დასახელებული ციფრი – 5 პროცენტი[23], ცოტა განსხვავებულ ციფრს ასახელებს ცნობილი ბოლშევიკი ლევან ღოღობერიძე – 6 პროცენტი. საქართველოს იმჟამინდელ მოსახლეობაში ეს პროცენტი დაახლოებით 125-130 ათას კაცს უდრიდა, რაც საკმაოდ დიდი ციფრია და ბოლშევიკებისათვის სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. რომელიც ჯერ კიდევ ფლობდა გარკვეულ მატერიალურ ქონებას, გამოირჩეოდა ინტელექტით და მასში სერიოზული ძალა იყო თავადაზნაურული მხედრობა (ოფიცრობა, რომელშიც იმჟამად დაახლოებით 7500 კაცი იყარაულებდა).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ წლებში თავადაზნაურობა აქტიურად ჩააბა სამხედრო სამსახურში. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ყოფილი თავადები – „ამხანაგი" ანდრონიკაშვილი, „ამხანაგი" ჩოლოყაშვილი, „ამხანაგი" დადიანი, „ამხანაგი" წერეთელი და სხვები ს. ორჯონიკიძესა და შ. ელიავასთან ერთად ქმნიდნენ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს. 1923 წლის ცნობით საქართველოს წითელი არმიის შემადგენლობაში 11 პროცენტი თავადაზნაურობისა და სასულიერო წოდების წარმომადგენელი იყო[24]. ამ დროს საბჭოთა ქართულ ჯარში მსახურობდა მეფის არმიის 4 გენერალი, 13 პოლკოვნიკი, 15 ვიცე-პოლკოვნიკი. უკვე ცნობილია, რომ თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში (1922 წლის ზაფხულამდე) მსახურობდა საბჭოთა არმიაში და იყო ცხენოსანი ჯარის სარდლის მოადგილე.

ეს, ერთი შეხედვით აშკარად ანომალური ვითარება, გამოწვეული იყო, როგორც დასტურდება, ნ. ჟორდანიას, ს. კედიას და სხვა პოლიტიკური ლიდერების მხრიდან ქართველი ოფიცრებისადმი შორსგამიზნული შეთავაზებით. ისინი ცარაუდობდნენ, რომ შეძლებდნენ „შიგნიდან აეფეთქები-

ნათ“ ოკუპანტების სამხედრო ხელისუფლება. ეს სრულიად ლოგიკური კონცეფციაა. მაგრამ. რა თქმა უნდა, ასეთი შეთქმულების მონაწილე ყველა ვერ იქნებოდა, აქედან გამომდინარე – ბევრი მსახურობდა ხელფასის, სარგოებისა და საბჭოთა პრივილეგიების გულისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება არ იყო გულუბრყვილო და ამ „თანამშრომლობის“ გარკვეული შედეგიც აინტერესებდა – სამხედრო ფიცით დაკავშირებული თავადაზნაურული ოფიცრობა მცირეოდენ გადაცდომაზე ისჯებოდა სამხედრო ტრიბუნალის საშუალებით. ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ თავადაზნაურობის ფიზიკური განადგურების გარკვეული ლეგიტიმური ფორმა მონახა. ეს ძალიან მალე გახდა საცნაური. 1923 წელს დახვრიტეს ის სამხედროები, რომლებიც საბჭოთა საჯარისო სტრუქტურებში თანამშრომლობდნენ და მათში ეჭვი შეიტანეს (გენერალი ვ. წულუკიძე, პოლკოვნიკი რ. მუსხელიშვილი და სხვ.)

შეშინებული თავადაზნაურთა წარმომადგენლები საბჭოთა ჯარში უკვე ცდილობდნენ „რომის პაპზე უფრო მეტი კათოლიკე“ ყოფილიყვნენ და ისინი ულმობლად უსწორდებოდნენ თავის ყოფილ კლასობრივ ძმებს – ქართველ თავადაზნაურებს. მაგალითად, ცნობილია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს დასაჭერად დასდევდა მისი მოგვარე – სართიჭალის საბჭოთა მილიციის უფროსი ჩოლოყაშვილი, „ჩონის“ (საბჭოთა საგანგებო რაზმი) ერთ-ერთ შენაერთს ხელმძღვანელობდა მამია ერისთავი და ა.შ..

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ბოლომდე არ ენდობოდა თავადაზნაურობას და 1924 წლის აჯანყება ჩინებულად გამოიყენა თავადაზნაურობის გენოფონდის გასანადგურებლად. კომუნისტების მხრიდან 1924 წლის აჯანყების პროვოცირების საკითხს დღეს ქართველ ისტორიკოსთა შორის უკვე ბევრი იზიარებს – ყველაზე უფრო მომგებიანი ეს აჯანყება კომუნისტებისათვის აღმოჩნდა – აჯანყებამ საბჭოთა ხელისუფლებას მისცა საშუალება გამოეკლინა ანტისაბჭოთა ძალების ყველა ძირითადი ცენტრი და ყველა შესაძლო მებრძოლი. აჯანყების ჩახშობის პროცესში პირველ რიგში ფიზიკურად გაანადგურეს სწორედ ქართველი თავადაზნაურობის საუკეთესო წარმომადგენლები. სერგო ორჯონიკიძის ცნობით 1924 წლის აჯანყების პირველსავე დღეებში დაიხვრიტა 980 კაცი, მათგან 95 % თავადაზნაური იყო[25].

კომუნისტებისა და კომკავშირლების წაქეზებით, სოფლების უქონელი და შეუგნებელი, ფანატიკოსი გლეხები თავადაზნაურთა წინააღმდეგ აწყობდნენ „პოგრომებს“, ფიზიკურად ანადგურებდნენ თავადებს, მათ ოჯახებს, ითვისებდნენ ქონებას. გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავდა ასეთი „პოგრომების“ რეპორტაჟებს: „8 სექტემბერს იყალთოში დილის 7.30 საათზე, ყველა გლეხი გამოვიდა რევოლუციური სიმღერებით, კეტებით შეიარაღებული.

„სიკვდილი თავადებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“. ხელისუფლებას არ უსმენდნენ. თავადები გამოაძევეს თავიანთი სახლებიდან. მათი ქონების ნაწილს ცეცხლი გაუჩინეს, ქვის სახლებში ჩაასახლეს უღარიბესი გლეხობა. თავადები შეიპყრო პანიკამ, გარბიან თავიანთი მამულებიდან: ვანინაძიანი, საბუე, ახმეტა“[26].

საშინელი ბარბაროსული ფორმით ამოყლიტეს ბოგანო გლეხებმა სოფელ რუისში ფანიაშვილების ოჯახი. ეს ტრაგედია დაიგეგმა, ჩატარდა აშკარად კომუნისტებისა და კომკავშირლების წაქეზებით. ამ მიზნით მოეწყო მიტინგი, რომელსაც მოუწოდებდნენ: „რკინის ფოცხებო, მთელი აზნაურობა დაგფოცხოთ!“.

აშკარაა, 1924 წლის აჯანყების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში თავისი ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული ამოცანა შეისრულა – თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფიზიკურ განადგურებასთან ერთად მან ბოლომდე ჩაიტეხა ხიდი გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის, დაეცა „შიშის სინდრომი“, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე გაჰქცა გადარჩენილი თავადაზნაურობის ნაშთებს.

მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა და ქართველ თავადაზნაურობას მოუხდა ადაპტაცია ახალ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში. ასეთ განადგურებულს და აწიოკებულს, რა თქმა უნდა, მას აღარ შეეძლო ერის მაკონსოლიდირებელი ძალის ფუნქცია შეესრულებინა. პირიქით, ის დაინტერესებული იყო რაც შეიძლება სწრაფად გათქვეფილიყო საზოგადოებაში, რომ არავის გახსენებოდა მათი თავადაზნაურული წარმომაელობა. მაგრამ მათ შეინარჩუნეს ინტელექტი, მართვის გამოცდილება, მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი მიდრეკილება, ამიტომაც ისინი კვლავ ჩანდნენ ამ სფეროების თანამშრომელთა შორის. არსებობს XX საუკუნის 20-იანი წლების საბჭოთა მმართველობის სისტემის მშრომელთა სოციალური კუთვნილების სტატისტიკა, რომელიც მიანიშნებს თავადაზნაურობის წარმომადგენლობის მეტად მაღალ პროცენტს მართვის სტრუქტურებში: მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში თავადაზნაური იყო – 34%, განათლების სახალხო კომისარიატში – 34%, ჯანდაცვის სახალხო კომისარიატში – 15 %, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში – 24%, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში – 62%, მუშაგლეხინში – 36%, იუსტიციის სახალხო კომისარიატში – 27%, შინაგან საქმეთა კომისარიატში – 22%, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში – 35 % და ა.შ..[27]

ეს ვითარება გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა – შეშინებულნი საკუთარი და ოჯახის წევრების მომავალი ბედით, ამ სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანები გამოირჩეოდნენ საკუთარი მოვალეობისადმი უსახლვრო ერთგულებით, რადგან შიშობდნენ მათი სოციალური წარმომაელობა არავის

გამოეყენებინა მათ საწინააღმდეგოდ. განსაკუთრებით პრობლემატური იყო მათი სამსახური საბჭოთა ძალოვან სტრუქტურებში – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, უშიშროების ორგანოებში. ისინი კიდეც უფრო მეტ ულმობლობას იჩენდნენ სხვათა მიმართ, რომ არ ჩაეთვალათ მათი ლმობიერება – კლასობრივი სოლიდარობის გამოხატულების დადასტურებად.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გატარებული რეპრესიული ღონისძიებების შედეგად, მოხერხდა საქართველოს ტრადიციული პოლიტიკური ელიტის საგრძნობი ნაწილის ფიზიკური განადგურება, საქართველოს თავადაზნაურობის მეორე ნაწილის გარკვეული ლოიალობის მიღწევა და მათი აქტიური ჩართვა საბჭოთა აღმშენებლობის სისტემაში. თავადაზნაურობამ, როგორც კლასმა, ერის მაკონსოლიდირებელი ძალის ფუნქცია საბოლოოდ დაკარგა.

§ 5. – საიდ ქადაროვის ინციდენტი

საქართველოში მიმდინარე პროცესებს, განსაკუთრებით ეროვნული კონსოლიდაციის მიმართულებით, როგორც დავინახეთ, მუდამ გულმოდგინედ ადევნებდა და დღესაც ადევნებს თვალს გარეშე ძალა, რომელიც ერთიან და ძლიერ საქართველოს თავის პოლიტიკურ გეგმებში არ მოიაზრებს. რუსეთის იმპერიის დროს ამ ანტიქართულ საქმეს სპეციალური სამსახურები ასრულებდნენ და ამას საოცარი გულმოდგინებით აკეთებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე თვეებში კომუნისტური რუსეთის სახელისუფლებო სტრუქტურების რიგი წარმომადგენელი აშკარად ანტიქართული საქმით იყო დაკავებული. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშას ამოფარებულნი ისინი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ყველა მოქმედებას გულდასმით ზომავდნენ, ქართული საქმისათვის გაკეთებულ ყოველ ნაბიჯს აფიქსირებდნენ, სათანადო ორგანოებს აცნობებდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ დაემუხრუჭებინათ, ხელი შეეშალათ ქართველების ერთიანობისათვის, გაეღრმავებინათ მისი შიდა ეთნიკური თავისებურებები, გაეფეტიშებინათ ისინი და, ამასთან, ბრალს დებდნენ საქართველოს სახელმწიფოს შოვინიზმსა და ნაციონალიზმში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამტკიცებენ, რომ საქართველოს დაქუცმაცების გეგმა ჰქონდა რუსეთის სამხედრო ატაშეს, გენერალ სიტინს[28]. სპეციალური მოხსენება მიუძღვნა საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში საქართველოში მიმდინარე ეთნიკურ პრობლემებს რუსმა დიპლომატმა იუსტმა. მას განსაკუთრებით აღიზიანებდა საქართველოს ხელისუფლების

ის მოკრძალებული საქმიანობა, რომლის მიზანი იყო კონფესიურად განსხვავებული ქართველების შეკავშირება. ის ზემდგომ ინსტანციებს ატყობინებდა: „სიტყვები არ მყოფნის დაგწმო ის საშინელი მდგომარეობა, როცა კოლონიზატორობას მიმართავს მცირე ერი, რომელიც ათეული წლების მანძილზე თვითონ განიცდიდა ჩაგვრას“[29]. კონსულის ზემდგომი ინსტანციიდან მოითხოვდა აქტიურ ჩარევას, რომ აჭარაში შეწყვეტილიყო ყოველგვარი მოკრძალებელი მოძრაობა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის განსავითარებლად და მკაცრად აყენებდა მაჰმადიანური ტრადიციების, ჩვეულებისა და შარიათის წესების დაცვის ამოცანას.

მაგრამ ყველაზე უფრო რელიეფურად ანტიქართული დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე მაკონსოლიდირებელი პროცესების მიმართ გამოავლინა საიდ კადიროვმა, საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ, 1928 წელს, საქართველოში მოყლინებული პარტიული კონტროლის კომისიის რიგითმა წევრმა.

ამ კომისიას ძირითადად ევალებოდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის შედეგების შემოწმება და კომისიის თავმჯდომარის პშენიცინის მოხსენებაშიც, რომელიც თბილისში მოისმინეს, ძირითადად ეკონომიკურ საკითხებზე იყო ყურადღება გამახვილებული.

მაგრამ მოსკოვში გამგზავრების შემდეგ, კომისიის რიგითმა წევრმა ს. კადიროვმა საბჭოთა კავშირის პარტიული ხელმძღვანელობის სახელზე გააგზავნა პირადი წერილი, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება ნაციონალიზმსა და შოვინიზმში, მცირე ერების წარმომადგენელთა ჩაგვრაში დაადანაშაულა. ის საქართველოს მთავრობას აბრალებდა აფხაზების, ოსების, აზერბაიჯანელების, ბერძნების ჩაგვრას. მაგრამ, რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია, ის ადანაშაულებდა თბილისს აჭარლების, მეგრელების, სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მოთხოვნილებების უგულებელყოფის გამო და მოითხოვა ეთნოგრაფიული ყოფით განსხვავებულ რეგიონებში ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც გადაულახავს გახდიდა ამ განსხვავებებს.

როგორც წერილის შინაარსიდან ირკვევა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დროს მისთვის ადგილობრივ, დაინტერესებულ პირებს გარკვეული ინფორმაცია მიუწოდებიათ, რომელიც დისკრედიტაციას უკეთებდა საქართველოს ცენტრალურ მთავრობას საერთოდ, ხოლო მის ეროვნულ პოლიტიკას შოვინისტურად წარმოაჩენდა.

ჩვენ არ შევეხებით საკითხებს აფხაზების, ოსების, აზერბაიჯანელების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. ეს

ძალიან შორს წაგვიყვანდა და ამის შესახებ ჩვენ ‘ეკეე გვაქვს გამოთქმული მოსაზრება[30]. ჩვენ ქვემოთ განსაკუთრებ‘ულ ყ‘ურადღებას გავამახვილებთ მრავალკონფესი‘ურ და ენით განსხვავებ‘ულ ქართ‘ულ რეგიონებში (აჭარა, სამეგრელო, სამხრეთ საქართველო და ა.შ.) მიმდინარე პროცესების ავტორისე‘ულ შეფასებებზე..

წ‘არილ‘ში ძალიან დიდი ყ‘ურადღება აქვს დათმობილი აჭარას, ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის სოციალ‘ურ-ეკონომიკ‘ური და კ‘ულტ‘ურული განვითარების საკითხებს. როგორც ჩანს, ს. კადიროვს აჭარა‘ში და‘უფიქსირებია ანტიქართ‘ული განწ‘ყობილებები, ტენდენციები და აღნი‘შნავს, რომ ამის მიზეზი „ჩადრ‘ში კი არ იყო (იმჟამად მიმდინარეობდა ჩადრის ტარების საწ‘ინააღმდეგო საკმაოდ ტლანქი საბჭოთა კამპანია, რომლის მიზანი იყო აჭარელი ქალის საბჭოთა პოლიტიკ‘ურ და ეკონომიკ‘ურ სისტემაში ‘უფრო ინტენსი‘ური ჩართვა – ა.დ.), არამედ იმა‘ში, რომ აჭარლებს და‘ეხ‘ურეს მედრესები. ამასთან ‘უკმაყოფილონი იყვნენ არა იმდენად იმით, რომ საღ‘ვთო სწ‘ავლის შესწავლა შეწ‘ყდა, არამედ იმით, რომ ხმარებიდან ამოიღეს არაბ‘ული ანბანი“[31].

ამრიგად, ორგან‘ული და მეტად საჭირო პროცესი, ეთნიკ‘ური ქართველებისათვის – აჭარლებისათვის მშობლი‘ურ ენაზე – ქართ‘ულ ენაზე სწ‘ავლ‘ების შესაძლებლობის მიცემა, ს. კადიროვის მიერ აღქმ‘ულია მართლაც ძალით, ცეცხლით‘ა და მახვილით სამხრეთ-დასავლეთის ქართველებისათვის თავსმოხვე‘ული არაბ‘ული ანბანის ‘უფლებების შელახვად. ასეთი განწ‘ყობილება აჭარა‘ში და საქართველოს მაჰმადიანი ქართველებით დასახლებ‘ულ კ‘უთხეებში მხოლოდ რელიგი‘ური კ‘ულტის მსახ‘ურებს – მოლებსა და ხოჯებს შეიძლება ჰქონოდათ. აჭარლების ძირითადი მასა – ქართ‘ულ ენაზე მეტყველებდა, ქართ‘ულ ენას მშობლი‘ურად მიიჩნევდა, აქედან ბ‘უნებრი‘ივია, რომ მათ ‘უნდა ჰქონოდათ მშობლი‘ურ ენაზე სწ‘ავლების ‘უფლება. თ‘ემცა დასტ‘ურდება, რომ აჭარა‘ში, განსაკ‘უთრებით მთის რეგიონებში, იყო სხვაგვარი აზრიც (ამის შესახებ ქვემოთ).

სპეციალ‘ურად ჩერდება ს. კადიროვი სამეგრელო‘ში მიმდინარე პროცესებზე და ყ‘ურადღებას ამახვილებს სამეგრელოს ავტონომიზაციის მომხრეთა საქმიანობაზე. საქართველოს ცენტრალ‘ურ ხელის‘უფლებას აბრალებს, რომ მან ‘უარი ‘უთხრა სამეგრელოს ავტონომიაზე, მოახდინა „მეგრულ ენაზე წერა-კითხვის ლიკვიდაცია, სასამართლო‘ში მისი გამოყ‘ენება, სკოლის პირველ ჯგ‘უფში როგორც დამხმარე ენად შესწ‘ავლა“ და ა.შ.[32].

მარტო ენის პრობლემით არ კმაყოფილდება ს. კადიროვი. ის ცდილობს აჩვენოს, თ‘უ როგორ „ჩაგრავს“ საქართველო სამეგრელოს ფინანს‘ურ-ეკონომიკ‘ურადაც. მას მოაქვს ამონარიდი იმ გამონათქვამების, რომელიც მას 300 კაციან შეხვედრის დროს ზ‘უგდიდ‘ში მოასმენინეს: „საქართველო ე‘წევა

მეგრელი მოსახლეობის სახის დაკარგვის პოლიტიკას იმით, რომ აქუცმაცებს მის ტერიტორიულ ერთობას ცალკეულ რესპუბლიკებსა და მაზრებს შორის". ვიღაც გაბრაზებულ მოქალაქეს ისიც კი უთქვამს: „ჩვენ ყელს დავჭრით ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც მეგრელი გლეხის ინტერესი მიჰყიდა საქართველოს რესპუბლიკას"[33].

რაც შეეხება სამხრეთ საქართველოს მაჰმადიან მოსახლეობას, ს. კადიროვი თბილისს აბრალებს მათდამი გულგრილობას, უყურადღებობას, დისკრიმინაციას: „ადგილობრივ მოსახლეობას წლების განმავლობაში ცენტრიდან ჩამოსული ერთი პასუხისმგებელი მუშაკიც კი არ უნახავთო" – ამტკიცებდა წერილის ავტორი.

ს. კადიროვის წერილმა უდიდესი ვნებათღელვა გამოიწვია როგორც თბილისში, ისე მოსკოვში. რესპუბლიკა, რომელიც ამაყობდა ეროვნული საკითხის გადაჭრის საქმეში თვალსაჩინო მიღწევებით, გამოაცხადეს შოვინისტური, დისკრიმინაციული პოლიტიკის გამტარებლად.

თბილისში პირველ რიგში შეეცადნენ, რომ ის ცუდი შთაბეჭდილება გაექარვებინათ, რომელსაც წერილის შინაარსი ტოვებდა – პშენიცინის კომისიის სხვა წევრებმა სასწრაფოდ დაწერეს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე შეტყობინება, სადაც ს. კადიროვის წერილში მოყვანილი ფაქტები არ დაადასტურეს, ხოლო მისი შეხედულებები – კერძო პირის განსაკუთრებულ თვალსაზრისს დაუკავშირეს[34].

ინცინდენტი მიჩქმალეს, მაგრამ ლექი მაინც დარჩა. თუმცა მან თავისი დადებითი შედეგი მაინც გამოიღო იმით, რომ საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ განსაკუთრებით გააძლიერა ყურადღება ეროვნული და საეროვნებათაშორისო ურთიერთობების პრობლემატიკისადმი, შექმნა უამრავი კომისია, რომელიც საქართველოს სხვადასხვა პოლიკონფესიურ და პოლიეთნიკურ კუთხეში გაემგზავრა და სულ რამდენიმე თვეში საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას ხელში ჰქონდა უზარმაზარი და ობიექტური ინფორმაცია ეროვნულ და საეროვნებათაშორისო ურთიერთობების შესახებ როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში. დღეს ეს მასალა ჩინებული წყაროა საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს ეროვნებათშორისო ურთიერთობებისა და ეთნიკური პრობლემების შესასწავლად.

ეს ანგარიშები, სტატისტიკური ცხრილები და კომისიის წევრების დაკვირვებები მდიდარ მასალას გვაძლევს იმისათვის, რომ დავინახოთ და გავაცნობიერებინოთ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესების თავისებურება. მასალების ობიექტური შესწავლა აშკარად მიანიშნებს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარი ქართველი ერის კონსოლიდაციის საქმეში ყველაზე რთული და დრამატული პერიოდი იყო – მართლაც: ქართველი ერის ერთობას სერიოზული საფრთხე შეექმნა.

როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესები საქართველოს რეგიონებში? – ამის შესახებ ქვემოთ...

§ 6. – ᲛᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ

სვანეთის აჯანყება საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული პირველი ფართო მასშტაბიანი სახალხო მღელვარებაა, რომელსაც ამგვარად აფასებს პოსტსაბჭოთა ქართული ისტორიოგრაფია: „აჯანყება, რომელიც 6 თვეს გაგრძელდა, უფრო პოპულარული იყო, ვიდრე ორგანიზებული. იგი წარუმატებლად დასრულდა. მაგრამ საბჭოთა რეჟიმთან მებრძოლმა სვანებმა თავისი მაგალითით გაამხნევა ქართველი ერის მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც კელავ აღმავლობით ვითარდებოდა“[35].

ჩვენ სპეციალურ გამოკვლევაში შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ სვანეთის აჯანყება კი არ დამარცხდა, არამედ გაიმარჯვა – აჯანყებული სვანების თითქმის ყველა მოთხოვნა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ გაითვალისწინა: მოწესრიგდა ადგილობრივი მმართველობა, „წითელი მულახის“ ნაცელად ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადდა ბეჩო, რასაც ითხოვდნენ სვანები, გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები რეგიონის მოსახლეობის მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად (მთავრობამ გამოყო 300 მილიონიანი ფინანსური დახმარება), გადაწყდა სკოლების აღდგენა, დაიგეგმა ადგილზე ტექნიკუმის ორგანიზება და ა.შ..[36]

სვანეთის აჯანყება იმითაც არის საყურადღებო, რომ მან მიიქცია ევროპის ქვეყნების პირველი პირების ყურადღება. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, ლეიბორისტი რ. მაკდონალდი ბერნში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს კ. რადეკს ატყობინებდა შემდეგს: „ჟორდანიამ მაცნობა დასავლეთ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. ის აცხადებს, რომ წარსული წლის ზაფხულში დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლები აჯანყდნენ, დაამარცხეს რუსის ჯარები. დღევანდლამდე მათ შენარჩუნებული აქვთ ხელისუფლება“[37]. დასავლეთ ევროპის სოციალისტების ლიდერი სთხოვდა რუსეთის მხარეს გაეთვალისწინებინათ მოსახლეობის ინტერესები და და თავიდან აეცილებინათ სისხლისღვრა.

ჩვენ არ შევუდგებით სვანების გმირული ბრძოლის ისტორიის გადმოცემას, ეს არ შედის ჩვენი წინამდებარე ნაშრომის მიზნებში. მაგრამ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ სვანეთის აჯანყების დროს ადგილობრივი მოსახლეობის ერთ მოთხოვნაზე, რომელიც საინტერესოა XX საუკუნის 20-იან

წლებში საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობის გენეზისის შესასწავლად.

მთავრობასთან მოლაპარაკების ერთ-ერთ ეტაპზე სვანეთის დელეგაციის მხრიდან წარდგენილ პეტიციაში ხაზგასმულია ასეთი მოთხოვნა: **„მიეცეს სვანეთს უფლება დააფუძნოს საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტები ისეთივე პირობებით, როგორიც მინიჭებული აქვთ ყარაჩაელებს და ჩრ. კავკასიის სხვა ტომებს“**[38].

რა იგულისხმება ამ ჰატარა, რამდენიმე სიტყვაში მოცემულ მოთხოვნაში? რა თქმა უნდა, ავტონომიური მმართველობის დაკანონება. ჩრ. კავკასიაში ეთნო-ტერიტორიული გამიჯვნა უკვე დაწყებული იყო და, როგორც ჩანს, სვანები ამ პროცესებს აკვირდებოდნენ.

საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების ყველა ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით ხაზს უსვამდა რეგიონის სპეციფიკას. საქართველოს სხვა კუთხეებიდან ყოფითი და ტრადიციული მახასიათებლების განსხვავებას, იმას რომ, მაგალითად, იარაღის ტარება – ეს მამა-პაპათა ტრადიციაა და მისი აკრძალვა – ძალიან ძნელი შესასრულებელი იქნებოდა რიგითი სვანისათვის და ა.შ..

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც ძალიან ბევრ დათმობაზე წავიდა სვანების დუპუტაციასთან მოლაპარაკებების დროს, მათ შორის დათანხმდა ცენტრალურ რევკომში საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების შეყვანასაც კი, ავტონომიის ამ მოთხოვნას ფაქტობრივად „წაუყრია“ – არ შეასრულა. იმ მასალის საფუძველზე, რაც ჩვენ მოვიპოვეთ, მოლაპარაკებების არცერთ ეტაპზე სვანეთისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღარც სვანებმა გამოიდეს თავი და არ გააგრძელეს ადგილობრივი სპეციფიკით სპეკულირება. ისინი დათახმდნენ საბჭოთა ხელისუფლების ყველა შეთავაზებას.

ცენტრალური მთავრობის მიერ რეგიონში განხორციელებულ ღონისძიებათა შორის გამორჩეული მნიშვნელობა ქართულ ენაზე სკოლების ქსელის განვითარებას ენიჭება. სწორედ ამას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა სვანებისა, და მთლიანად სვანეთის, ერთიან ქართულ ორგანიზმში კიდევ უფრო ინტენსიური ჩართვის დროს, რაც წარმატებით განხორციელდა.

როცა რუსეთის XI არმია, ქართველი კომუნისტების დახმარებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ხელისუფლებას ეცილებოდა და თბილისს უახლოვდებოდა, მოსკოვში რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში, ტრადიციულად ერთმანეთის მოქიშპე ორ ქვეყანას შორის საფუძვლიანი დიპლომატიური ხელშეკრულების გაფორმების ყველა პირობა შეიქმნა. ხელშეკრულების დამდები ორიენ ქვეყანა, I მსოფლიო ომში განცდილი მარცხის შემდეგ, სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა – ორივეს, ყოფილ იმპერიებს, მნიშვნელოვანი ტერიტორიები შემოეცალათ, ტრადიციული გავლენის სფეროები დაკარგეს და ამჯერად ორივე ცდილობდა ახალ ვითარებაში გამოეყენებინა ერთმანეთი გარკვეული პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად. საბჭოთა რუსეთი ახლო აღმოსავლეთში კომუნისტურ ექსპორტზე ფიქრობდა და თურქეთს ამ ექსპერიმენტში მოიაზრებდა, განსაკუთრებით დიდ ამოცანებს უყენებდნენ მას „ანტანტის“ წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საქმეში.

სწორედ „ანტანტის“ წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებოდა ქემალისტურ თურქეთს კომუნისტური რუსეთი, მისი მატერიალური და სამხედრო რესურსები. იგეგმებოდა შესაძლო უფრო მჭიდრო ალიანსიც კი.

ინტერესების ასეთი დამთხვევა ორივე ქვეყნის მესვეურებს კომპრომისისაკენ უბიძგებდა. სწორედ ამიტომაც ხელშეკრულების დადების პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ წარიმართა და ორივე მხარე გარკვეულ დათმობაზე წავიდა: სადავო ტერიტორიები სამხრეთ კავკასიაში მათ კვლავ გადაინაწილეს. საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ბათუმის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილი, სოფ. სარფის მონაკვეთიდან, საქართველოს იურისდიქციაში დარჩა, ხოლო სამხრეთი – ტაო-კლარჯეთი და არტაანის ტერიტორია კვლავ თურქეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ქართულ პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში არაერთხელ გამოთქმულა აზრი, რომ კომუნისტურ რუსეთს არ ჰქონდა უფლება ისტორიული საქართველოს მიწები – კოლა-არტაანი, ართვინი, ტაო-კლარჯეთი თურქეთის მხარისათვის გადაეცა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ, კომუნისტების აგრესიასთან ბრძოლაში, თურქეთის მხრიდან შესაძლო სამხედრო დახმარების იმედით, ნება დართო თურქეთის მხედრიონს დაეკავებინა ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი.

ამ ფაქტს თანამედროვე თურქი ისტორიკოსი ასეთ კომენტარს უკეთებს: „საბჭოთა რუსეთის მიზანი გახლდათ საქართველოს გაბოლშევიკება და შეერთება. ამ მიზნით თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის მხრიდან ქართველ ელჩს მიეცა ნოტა (23 თებერვალი), რომლითაც არტაანის სასწრაფო დაცლა მოითხოვეს. ამგვარი კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე ქართველებმა მიიღეს თურქეთის წინადადება და 23 თებერვალს მდგომარეობა ანკარას აცნობეს. იმავე დღეს თურქული შენაერთები არტაანში შევიდნენ. თუმცა საბჭოთა საქართველოს გამოცხადებიდან ორი დღის შემდეგ თურქეთის მთავრობა აღარ შეეხო ბათუმის საკითხს და იგი ჩასატარებელი პლებისციტის გადაწყვეტილებას დაუქვემდებარა“[39].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბათუმის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენის პრობლემა, ამ საქმეში დემოკრატიული საქართველოს სამხედრო შენაერთების, ქართველი მხედართუფროსების ღვაწლი, საქართველოს რევკომის პოზიცია – ჩინებულად არის შესწავლილი და მას ჩვენ აქ აღარ შევეხებით[40].

მთავარი ის არის, რომ 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით ბათუმის ოლქი გადაეცა საქართველოს და თურქეთმა მასზე უკვე ოფიციალურად უარი განაცხადა. დღეს, საერთაშორისო ექსპერტებს შორის, არის მცდელობა ეჭვქვეშ დააყენონ მოსკოვის ხელშეკრულების კანონიერება, იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულების დამდები არც ერთი ქვეყანა იმჟამად საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ იყო და ამდენად მოსკოვის ხელშეკრულებას იურიდიული ძალა არა ჰქონდა[41].

მაგრამ, ამ საერთაშორისო ექსპერტებს ავიწყდებათ, რომ იმჟამად ორივე ხელშეკრულებადამდები მხარე მკვეთრად ემიჯნებოდა საერთაშორისო იურიდიულ კანონმდებლობას – რასაც „ანტანტის“ მხრიდან მსოფლიოს დამონების ერთ-ერთ საშუალებად თელიდნენ და ამ კანონებს თავისთვის სავალდებულოდ სრულიადაც არ მიიჩნევდნენ. ორივე ეს ქვეყანა, როგორც რუსეთი, ისე თურქეთი იწყებდა ახალი, წარსულისაგან განსხვავებული, წესწყობილებით ცხოვრებას და საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს, ბურჟუაზიულ აზრს, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ამ ხელშეკრულებამ ფაქტობრივად იარსება მთელი XX საუკუნე და უზრუნველყო ხანგრძლივი მშვიდობა ამ რეგიონში. ეს ტერიტორიული გადანაწილება ფაქტობრივად დარჩა დღესაც და მისი კანონიერება დადასტურდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ამ ქვეყნების ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს. ამრიგად, ჩვენი აზრით, მოსკოვის ხელშეკრულებას იურიდიული ძალა, როგორც „დე იურე“, ისე „დე ფაქტო“ შერჩენილი აქვს დღესაც.

მაგრამ, მარტო მოსკოვის ხელშეკრულება ვერ უზრუნველყოფდა რეგიონში საერთაშორისო მშვიდობის დამყარებას, რაც 1921 წელს საკმაოდ მყი-

ფე ჩანდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სამხრეთ კაკკასიაში მდებარე სამივე ქვეყანას (საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს) ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მიზნები, გეგმები და პოლიტიკური ორიენტირები ჰქონდათ და საჭირო იყო მათთან საერთო ენის გამონახვა. ამიტომაც გადაწყდა თურქეთის სამივე ამ რესპუბლიკასთან ხელშეკრულებები გაეფორმებინა ყარსში საბჭოთა რუსეთის პატრონაჟით. როგორც თურქი ისტორიკოსები ამტკიცებენ: „თურქეთის დელეგაციამ ამ შეხვედრაზე ბათუმის პორტის სამხედრო და სავაჭრო მხრიდან გამოყენების წინადადება შეიტანა. რუსეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი მისთვისაც მნიშვნელოვანი იყო და თქვა: „ავტონომიის სტატუსის მქონე აჭარის ცენტრი ბათუმი, არის სასიცოცხლო მნიშვნელობის პორტი კავკასიის ხალხებისათვის. სწორედ ამის გამო შეუძლებელი ხდება მისი გადმოცემა თქვენი მხარისათვის. გარდა ამისა, ნახსენები პორტით სარგებლობა ჩვენთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამით იგი თურქეთის დელეგაციის წინადადებას დათანხმდა...“[42].

რა თქმა უნდა, კომუნისტური რუსეთის წარმომადგენელი ყარსის კონფერენციაზე წამყვან ფიგურას წარმოადგენდა და ამ საერთაშორისო კონფერენციაზე მოსკოვის შეხედულებები განმსაზღვრელი იყო. შალვა ელიავა – საქართველოს სსრ წარმომადგენელი კონფერენციაზე, აქ მხოლოდ ხელისმომწერი პოლიტიკური ფიგურა იყო და სხვა არაფერი. ყარსის ხელშეკრულებამ, რუსეთ-თურქეთის მოსკოვის გარიგების საფუძველზე, ორ ყოფილ იმპერიას შორის მიღწეული ძირითადი დიპლომატიური გარიგების ხელმეორე კონსტატაცია მოახდინა და ეს განხორციელდა სამხრეთ კავკასიის საბჭოთა სახელმწიფოების თანდასწრებით.

როგორც თურქი ისტორიკოსი აღნიშნავს – კონფერენციის მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე: „1. ყველას ერთი ხმის მიღების უფლება უნდა ჰქონდეს. უცხოელები ხმის მიცემაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. უცხოელებად, მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ აჭარაში შემოსულებს თვლიდნენ. თუ შინაგან და სამხედრო კომისრებს საქართველო გამოჰყოფს, მაშინ მთავრობის სხვა წევრებს აჭარის ეროვნული მეჯლისი დაამტკიცებს.

2. ენა; ოფიციალური ენა თურქული და ქართულია. სწავლება მოსახლეობის სურვილის მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს.

3. რადგანაც საერთო მიზნებისათვის გამოყენებული პორტი, პროდუქცია, რკინიგზა არის დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ამიტომ მნიშვნელოვანი გზების კარგად დაცვა და მათი შენახვა საქართველოს ევალებოდა. ნახსენები გზები აჭარიდან მთლიანი საქართველოს ტერიტორიისაკენ მიემართება.

4. მუსლიმ მოსახლეობას სარწმუნოებრივი ავტონომია ენიჭებოდა, საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ მიემართათ თურქეთის შარიათის სასამართლოსათვის."[43].

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ყარსის კონფერენციის გადაწყვეტილებაში აშკარად იგრძნობა თურქეთის სახელმწიფოს ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება. ეს გამომდინარეობდა ვ. ი. ლენინის გულუბრყვილო რწმენიდან, რომ ქემალისტური თურქეთი კომუნისტური რუსეთის ერთგული და მისი შორსგამიზნული გეგმების აღმსრულებელი გახდებოდა. ეს შეხედულება XX საუკუნის 20-იანი წლების საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის განმსაზღვრელი იყო. 30-იანი წლებიდან ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვლება.

ამრიგად, ზემოთ ხელმოწერილი დიპლომატიური ხელშეკრულებების საფუძველზე საბჭოთა ხელისუფლებამ ივალდებულა თურქეთის მიერ დათმობილი ტერიტორიების მოსახლეობისათვის ავტონომიის უფლების მინიჭება, რომლის გეგმა აჭარის პარლამენტს (მეჯლისს) უნდა შეემუშავებინა.

ვფიქრობთ, ისიც აღვნიშნეთ, რომ აჭარის ინტელიგენციაში, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს – აჭარისტანის შექმნის იდეა და ეს მოიაზრებოდა თურქეთის პროტექტორატის ქვეშ.

იმის კონსტატაცია, რომ ამ ეტაპზე შეჩერდნენ ავტონომიის მინიჭებაზე, უკვე გარკვეული პროგრესია, მით უფრო, რომ საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა ავტონომიურ ოლქს – როგორც პოლიტიკური მოწყობის ფორმას იურიდიულად უკვე აღიარებდა. მაგრამ ჩვენ ისიც აღვნიშნეთ – რომ საბჭოთა სისტემა ავტონომიას იურიდიულად კი აღიარებდა, მაგრამ პარტიული სუბორდინაციის შედეგად ამ ავტონომიისაგან რეალურად ბევრს აღარაფერს ტოვებდა. დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპები კომუნისტური პარტიის ჰეგემონიას ყველგან ამკვიდრებდა – ეს საბჭოთა პოლიტიკური სისტემის გამორჩეული მახასიათებელი იყო: ფრაზით ფედერალური – ფაქტობრივად უნიტარული.

ამ საბჭოთა „წეს-განრიგის" წინააღმდეგობა (ე.ი. ავტონომია გაქვს ფორმალურად, მაგრამ რეალურად მთლიანად დამოკიდებული ხარ ცენტრზე) ძალიან მალე გამოელინდა აჭარის მაგალითზეც...

აჭარაში მეჯლისის არჩევნები 1921 წლის მაისში ჩატარდა. რომ ეჩვენებინა თურქეთთან ლოიალური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარაში ნება დართო არჩევნებში პროთურქული ორიენტაციის პარტიის, „სედაი მილეთის" წარმომადგენლებსაც მიეღოთ მონაწილეობა. აჭარის ახალმა მეჯლისმა ავტონომიური მოწყობის პროექტი შეიმუშავა და ის თბილის-

ში ჩამოიტანა უკვე 1921 წლის იანისის შუა რიცხვებში. მისი განხილვა გაჭიანურდა.

პროექტის შესახებ გაიგეს ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა და ის დაუყოვნებლივ გამოაქვეყნეს თავის პარტიულ გაზეთში[44]. ამასთან, მათ გამოაქვეყნეს ინტერვიუ აჭარის დელეგაციის წარმომადგენელთან, მეჯლისის თავმჯდომარესთან ჰასან ლორთქიფანიძესთან. მეჯლისის წევრებთან მემედ კონცელიძესა და ებექირ აბუსერიძესთან.

ამ პროექტის მიხედვით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში რჩებოდა მხოლოდ საგარეო საქმეთა წარმოება. აჭარას ეყოლებოდა თავისი სამხედრო კომისარიატი, რომელიც დაექვემდებარებოდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო ადი სახალხო კომისარიატი: შინაგან საქმეთა, ფოსტა-ტელეგრაფის, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ფინანსების, სახალხო მეურნეობის საბჭო, მუშაგლეხინი და ა.შ. ამასთან, პროექტი ითვალისწინებდა ახალციხის მაზრის აჭარასთან მიერთებასაც.

გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის მეთაურმა სპეციალურად დააყენა ენის საკითხი: „საქმეებს ვაწარმოებთ ქართულადაც, რუსულადაც, თათრულადაც". მან აქცენტი გააკეთა სარწმუნოების საკითხზეც: „სარწმუნოების საკითხი ჩვენი ხალხისათვის მტკიცნეულია და მნიშვნელოვანი საკითხია. ჯერჯერობით არ შეიძლება ლაპარაკი სარწმუნოების სკოლიდან განთავისუფლებაზე"[45].

ჩვენ სხვა ნაშრომში შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ ეს აღნიშნული პროექტი გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ზემოთ, ჩვენს მიერ უკვე განხილულ, მ. აბაშიძის აჭარის პოლიტიკური მოწყობის პროექტთან და მათ შეჯერებას აქ აღარ შევეცდებით. მოვიტანთ დასკვნას: „ეს წინადადება თავისი შინაარსით უფრო კონფედერაციას უახლოვდება"[46] და სერიოზულ ბარიერებს აღმართავდა ქართველი ერის კონსოლიდაციის გზაზე.

მიგვაჩნია, რომ მეჯლისის მიერ წარმოდგენილი წინადადების კატეგორიულობა გარკვეულწილად „სედაი მილეთის" წარმომადგენელთა ზეგავლენით შეიძლება ყოფილიყო ნასულდგმულები.

საქართველოს ინტელიგენციამ აჭარის მეჯლისის მიერ წარმოდგენილი პროექტი მკვეთრად უარყოფითად შეაფასა. ამჯერადაც კვლავ ქართველი ინტელიგენცია დადგა ეროვნული კონსოლიდაციის დაცვის სადარაჯოზე. ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა იმ დღეებში: „დღეს აჭარა ადგენს ... მემორანდუმს და ისეთი კილოთი, ისეთი გამოთქმით, თითქოს აჭარელი სხვა ნაცია იყოს, დამოუკიდებლად არსებული, რომელიც დღეს თანხმდება ავ-

ტონომიური აჭარისტანის შექმნაზე". წერილის ავტორი წინ წამოწევს მემორანდუმის იმ პუნქტს, რომ აჭარას „საქართველოსთან აკავშირებს მხოლოდ საგარეო საქმეები"[47]. შემდეგ წერილის ავტორი აკეთებდა დასკვნას: „არავის არ მივცემთ გაუმართლებელი პრეტენზიებით იაროს ჩვენს ქვეყანაში და გამოუანგარიშებელი სურვილებით ჰგლიჯოს ქართველი ერის ისედაც ნაგლეჯი ტანი... ის რასაც მეჯლისი მოითხოვს – ის სახელმწიფოს შექმნაა".

უფრო კატეგორიული იყო კონსტანტინე გამსახურდია: „მემორანდუმის ტონი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს აჭარა ჩვენი მეზობელი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს, რომელსაც შესელა უნდა ჩვენი რესპუბლიკის შემადგენლობაში... კარტიკულარიზმი საქართველოს წარსულში ერთერთი დამღუპველ მიზეზთაგანი იყო. **ახალმა საქართველომ უნდა უარყოს ყოველივე პარტიკულარიზმი, სულ ერთია რომელი ქართული ტომი გამოიჩენს მას** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)"[48].

გაზეთები ბეჭდავდნენ ქართველი ინტელიგენციისა და პოლიტიკოსების სხვა საპროტესტო წერილებსაც.

ამრიგად, ქართველი ინტელიგენცია წარმოდგენილი პროექტის რეალიზაციაში პარტიკულარიზმის სერიოზულ საფრთხეს ხედავდა და მის წინააღმდეგ პრინციპულად იბრძოდა.

ჩვენთვის უცნობია, თუ როგორი იყო საქართველოს ხელისუფლების რეაქცია აჭარის დელეგაციის მიერ ჩამოტანილ პროექტზე – ამის მასალა ჩვენ ვერ ვნახეთ არქივებსა და წიგნთსაცავებში. მაგრამ მოხდა ისე, რომ 1921 წლის ზაფხულში, მოულოდნელად, თბილისში ჩამოვიდა ი.ბ. სტალინი, რომელიც ს. ორჯონიკიძემ მოიწვია ამიერკავკასიის კომუნისტურ პარტიებში სერიოზული პრობლემების არსებობის გამო.

1921 წლის 7 იელისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე ი.ბ. სტალინს ეთხოვა, სხვა საკითხებთან ერთად, გასაუბრება აჭარის დელეგაციასთან „ბათუმის საკითხის გამო"[49].

სამწუხაროდ, არქივში არ ინახება რაიმე მასალა სტალინის აჭარის დელეგაციასთან შეხვედრის დასადასტურებლად. თუმცა უკვე 1921 წლის 27 ივნისს გამოქვეყნებული საქართველოს რევკომის №54 დეკრეტის შინაარსი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ **აჭარის წარმომადგენლებთან ვიღაც გავლენიანმა პირმა სერიოზულად იმუშავა** (შეიძლება ეს პირი სტალინიც იყო). დეკრეტი რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რაც აჭარის დელეგაციამ ჩამოიტანა. ჩვენ არ შევუდგებით დეკრეტის მუხლების ჩამოთვლას, ეს შორს წაგვიყვანს, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის პოზიტივი, რასაც სწორედ ეროვნული კონსოლიდაციის მიმართულებით აღნიშ-

ნულ დეკრეტს ჰქონდა: **დეკრეტის მიხედვით აჭარაში საქმის წარმოება მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა ყოფილიყო** (ე.ი. ქართულ ენაზე, აჭარის დელეგაციის პროექტში კი ივარაუდება სამი ენა – ქართული, რუსული, თურქული). ახალციხის აჭარასთან მიერთების საკითხი არც კი განიხილებოდა. დეკრეტში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უზენაესობა ყველა მუხლში იგრძნობა, მკაცრად განისაზღვრა სახალხო კომისარიატების ის ჯგუფი, რომლებიც ადგილობრივ საქმეებს განაგებენ. საგარეო საქმეები და საგარეო ვაჭრობა მთლიანად ცენტრის პრეროგატივად გამოცხადდა (აჭარის დელეგაცია თავის პროექტში ითხოვდა თანამონაწილეობას). მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ადგილობრივი სახალხო კომისარიატები, რომლებიც აჭარის ასსრ საკითხებს განაგებდნენ, მთლიანად ექვემდებარებოდნენ საქართველოს ცენტრალურ სახალხო კომისარიატებს, როგორც დეკრეტი ასაბუთებდა – „საფინანსო და სამეურნეო პოლიტიკის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით“[50].

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მმართველი კომუნისტური პარტია საოცარი ცენტრალიზმით გამოირჩეოდა, რაც ყველა ავტონომიურ წარმონაქმნს ფორმალურ ავტონომიად აქცევდა, ადვილი მისახვედრია, რომ ამ შემთხვევაშიც ფაქტობრივად საქმე გვქონდა უნიტარული სახელმწიფოს საბჭოთა მოდიფიცირებულ ფორმასთან. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც შეიძლება არ მოსწონებოდათ, ქართველი ინტელიგენცია მაინც ამ დეკრეტს უფრო დადებითად შეხვდა. მიგვაჩნია, რომ ეს დეკრეტი თავისი ისტორიული მნიშვნელობით ქართველი ერის კონსოლიდაციის გზაზე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ქმნიდა ნაყოფიერ ობიექტურ პირობებს სრული ერთიანობისაკენ.

რა თქმა უნდა, დეკრეტი აჭარაში ბევრს არ მოეწონებოდა, განსაკუთრებით პროთურქულ პარტიას „სედაი მილეთს“, აჭარის მაჰმადიანი სასულიერო ფენის წარმომადგენლებს, მაგრამ დეკრეტის აშკარა კრიტიკა იმჟამად არ დაფიქსირებულა.

ქართველმა კომუნისტებმა აჭარაში ორიენტაცია აიღეს თახსინ ხიმშიაშვილის პოლიტიკურ დაჯგუფებაზე, ის საქართველოს უმაღლეს საბჭოთა სტრუქტურების წევრიც იყო და მას აჭარაში განუსაზღვრელი გავლენა ჰქონდა. ხიმშიაშვილები აჭარის უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნოდნენ და მუდამ ქიშპი ჰქონდათ ადგილობრივ აბაშიძეებთან. როგორც ჩანს, მის პოლიტიკურ დაჯგუფებას ძალიან არ მოეწონა დეკრეტი №54, მაგრამ გარკვეულ პერიოდში დუმილს ამჯობინებდა.

მაგრამ 1925 წლის ოქტომბერში ქედაში ჩატარებულ აჭარის საბჭოების ცაკის გამსვლელ სესიაზე თახსინ ხიმშიაშვილის მონაწილეობით მიიღეს აშკარად ანტიქართული რეზოლუცია: „მესამე სესია მწუხარებით აღნიშ-

ნავს საქართველოს მიერ აჭარისტანის მიმართ თაეიდანვე წარმოებულ ნაციონალურ-შოვინისტურ და კოლონიალური პოლიტიკის განაგრძობას"[51].

ასეთ რადიკალურ პოლიტიკურ განცხადებას, მოსდევს კიდევ უფრო შემზარავი „მტკიცებულებები": „სესია აგრეთვე აღნიშნავს – საქართველო ნაცვლად დახმარებისა, აჭარისტანში არსებულ სხვა და სხვა ტიპის ორგანიზაციების-დაწესებულებების საშუალებით აწყობს ინტრიგებს და ეწევა თავის ზემოაღნიშნულ პოლიტიკას და მათ ხელს უშლის აჭარისტანის კულტურულ, ეკონომიკურ და აღმშენებლობით განვითარებას... მესამე სესია იძულებულია წავიდეს უფრო წინ და მიმართოს საკავშირო ცაკ-ს და მის წინაშე გამოაცხადოს სასტიკი პროტესტი საქართველოს ამგვარი პოლიტიკის გამო".

ამრიგად, აჭარის ადგილობრივმა ხელისუფლებამ თბილისს მოსკოვში უჩივლა...

ქედის ინციდენტი ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ჩვენს ნაშრომში[52] და აქ მხოლოდ მოვლენის ზოგადპოლიტიკურ ასპექტებზე გავამახვილებთ ყურადღებას. ჩვენ ამ კონფლიქტის გამომწვევ არა ეთნოგრაფიულ, არამედ სუბიექტურ ფაქტორებს წარმოვაჩენთ. თ. ხიმშიაშვილს, რომელიც მოსკოვისა და თბილისის გადაჭარბებული მფარველობით სარგებლობდა, სერიოზულად გაურთულდა ურთიერთობა ადგილობრივ პარტიულ ხელისუფლებასთან – ღამბაროვთან. საქმე იმაშია, რომ აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში აჭარელი მხოლოდ 22 პროცენტი იყო, დანარჩენი ათეისტი ქართველები, სომხები, რუსები, ბერძენები იყვნენ. როგორც ყველგან, ისე აჭარაშიც პარტიული კომიტეტი განსაზღვრავდა პოლიტიკას და მოითხოვდა ყველასგან მორჩილებას. ამ ნიადაგზე მოხდა დაპირისპირება თ. ხიმშიაშვილსა და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ თ. ხიმშიაშვილი ერთ ფრონტზე რომ პარტიულ ნომენკლატურას ებრძოდა, მეორე ფრონტზე – თავის შესაძლო პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, აჭარელი ბეგების შთამომავლებს აწიოკებდა. მისი ბრძანებით 1923 წელს დააპატიმრეს მ. აბაშიძე და კიდევ რამდენიმე ბეგი, მათ შორის ბევრი აშკარად პროქართული ორიენტაციის.

რაც დრო გადიოდა თ. ხიმშიაშვილს პროთურქული განწყობილებები უძლიერდებოდა. როგორც ამტკიცებენ, მან დაიახლოვა თურქოფილი სედაი რეშიდი, რომელიც კომუნისტურ პარტიაშიც შევიდა და აჭარის განათლების სახალხო კომისარი გახდა. ის მოითხოვდა აჭარის სკოლებში თურქული ენის სწავლების პროცესის გაძლიერებას.

ბათუმელი ისტორიკოსები ამ საკითხზე მსჯელობის დროს აშკარად მიანიშნებენ, რომ თ. ხიმშიაშვილის მცდელობის მიზანი იყო „ფიქტიური ავ-

ტონომიის ფაქტიურ ავტონომიად გადაქცევა"[53]. ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და ვთვლით, რომ თ. ხიმშიაშვილის პოლიტიკის გამარჯვება გამოიწვევდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის სერიოზულ შეფერხებას და აჭარის დედა-სამშობლოსთან ორგანულად ჩართვის პროცესს ხანგრძლივად შეაჩერებდა.

აჭარაში ვითარება ძალიან დაიძაბა. ანტიქართული რეზოლუციები მიიღეს ხულოს საბჭოების კრებამ, ქობულეთის სამაზრო საბჭოს შეკრებამ და ა.შ.

საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელებმა ვითარების შესახებ აცნობეს სტალინს. ს. ორჯონიკიძემ ორი საიდუმლო დეპეშა გაუგზავნა საკ. კპ (ბ) გენერალურ მდივანს და რჩევა სთხოვა, თანაც დეტალურად განუმარტა შექმნილი ვითარება. დეპეშის დასასრულს სერგო ორჯონიკიძე ვარაუდობდა, რომ „ყველაფერი დამთავრდება შემდგომი სანდალური განვითარების გარეშე"[54].

რა უპასუხა ი. სტალინმა ქართველ კომუნისტებს, ჩვენ არ ვიცით. მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივის ფონდებში ასეთი პასუხის დედანი არ აღმოჩნდა. მაგრამ ინცინდენტის შემდგომი მდგომარეობა გარკვეული ვარაუდების გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა. აჭარაში სწრაფად ჩავიდა მთელი ქართული კომუნისტური პოლიტიკური ელიტა. 1925 წლის 20 ოქტომბერს, უკვე ბათუმში, პარტიული კლუბის შენობაში შეიკრიბა აჭარცაკის მესამე სესიის მეორე სხდომა. შეკრების მიზანი იყო ყოველმხრივ გაენეიტრალებინა ის უარყოფითი ზეგავლენა, რაც პირველი სესიის აშკარად პროვოკაციულმა რეზოლუციამ გამოიწვია საზოგადოებაში. ძალიან ბევრი იყო გამომსვლელი, მაგრამ ჩვენ ორ გამოსვლაზე გავაკეთებთ აქცენტს. თახსინ ხიმშიაშვილმა თავის გამოსვლაში რატომღაც, ჩემის აზრით, ზედმეტი ყურადღება დაუთმო მენშევიკების საგანმანათლებლო პოლიტიკას აჭარაში. ის ამბობდა: „მენშევიკებს იმის გაგებაც კი არ უნდოდათ, რომ აჭარისტანს თავისებური ისტორიული პირობების გამო ჰქონდა თავისი ადათები, ჩვეულებანი და, თუ გნებავთ, თავისებური კულტურული ელემენტები. მენშევიკების ნაციონალისტური სკოლა ანგარიშს არ უწევდა აჭარისტანის ამ თვისებებს და პირდაპირ უხეშად ატარებდა შოვინისტურ ხაზს. გაუტანელი შოვინიზმით დაბრმავებული მენშევიკური მთავრობა იმასაც კი ვერ ამჩნევდა, რომ ადგილობრივი პირობებისათვის ანგარიშის გაუწევლობა, აჭარელ სკოლებში ურა-ქართული პოლიტიკის წარმოებით იგი არღვევდა პედაგოგიური მეცნიერების ელემენტარულ პრინციპებს"[55].

თ. ხიმშიაშვილის გამოსვლის ეს ნაწილი აშკარად გვაგონებს ქართულ ანდაზას: „მულო შენ გითხარი, რძალო შენ გაიგონეო!". აჭარა დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში სულ რამდენიმე თვე იყო საქარ-

თეელოს შემადგენლობაში და ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარაში ამ მოკლე მონაკვეთში რაიმე რეალური პოლიტიკა განათლების დარგში გაეტარებინა. აშკარაა, რომ თ. ხიმშიაშვილი სწორედ საბჭოთა პერიოდში განხორციელებულ საგანმანათლებლო პოლიტიკას აკრიტიკებს შეფარვით, აშკარად ეზოპეს ენით და აჭარის განცითარების ისტორიული თავისებურებების, ყოფითი უნიკალურობის გამო მოითხოვს ანგარიშგაწევას, რეალურ ავტონომიას, რომლის დროს შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ეს უნიკალობა, ეს გამორჩეულობა. **ამრიგად, აჭარის ადგილობრივ ელიტაში საფუძვლიანად არსებობდა აჭარის ისტორიული თავისებურებებით გამოწვეული უნიკალობის, განსხვავებულობის შენარჩუნების ძალუმი სურვილი.** ეს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა.

მეორე კი აშკარად გამოიკვეთა საქართველოს კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერის მამია ორახელაშვილის გამოსვლაში: „ბათუმი პროლეტარიატის კერაა, პროლეტარიატის ბატონობის საფუძველი – კი მისი დიქტატურაა. პროლეტარიატმა უნდა მოიმხროს გლეხობა. თუ ეს ასე არ მოხდა, ეს ასე არ იქნა, მაშინ დიქტატურა დაიშლება და **ბათუმის კუთვნილების საკითხი არა ცაკში, არამედ სხვა ადგილზე გადაიჭრება** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)"[56].

მ. ორახელაშვილის ეს ძუნწი ფრაზა აღძრავს შეკითხვას, რომ 1925 წლის შუა ხანებისათვის „ბათუმის კუთვნილების" საკითხი ჯერ საბოლოოდ არ იყო გადაჭრილი და მის გარშემო რაღაც გეგმები მუშავდებოდა სადღაც სხვაგან, სხვა ადგილებზე. თუ მ. ორახელაშვილის ამ ფრაზას გვერდში ამოვუყენებთ კ. იუსტის, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე მოტანილ მოსაზრებებს, შეიძლება ვიყარაუდოთ, რომ საქართველოს გარეთ, თუნდაც მოსკოვში, რაღაც ძალები ბათუმის კუთვნილების საკითხზე აქტიურად მსჯელობდნენ და შეიძლება მიაჩნდათ კიდეც, რომ მოსკოვის ხელშეკრულების ის ნაწილი, რომლის ძალითაც აჭარა ბათუმითურთ გადაეცა საქართველოს – რუსეთის მხრიდან არამართლზომიერი ნაბიჯი იყო.

ამ ეტაპზე მოხერხდა დაპირისპირების სწრაფი განმუხტვა, მაგრამ მდგომარეობა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ქართული პარტიული ელიტა ეარაუდობდა. აჭარაში სერიოზულმა უკმაყოფილებამ დაიბუდა, რაც არ გამოპარვია ქართველი ერის ერთიანობის მოწინააღმდეგეს. ის დროს ელოდა.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში თბილისი გარკვეულწილად, ანგარიშს უწევდა ადგილობრივ ტრადიციებს, რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, შარიათის კანონებს. ხმარებაში იყო გამოთქმები – „აჭარისტანი", „აჭარის მეჯლისი", „ფუხარა ხალხი". ასეთი პოლიტიკის გატარებას თბილისს აიძულებდა მოსკოვის გულუბრყვილო რწმენა ათათურქის პოლიტიკური პარტნიორობის შესახებ. მაგრამ უკვე 20-იანი წლების შუა ხა-

ნებში აშკარა გახდა, რომ ქემალ ათათურქი სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა და კრემლის იდეოლოგების გეგმები მისთვის მიუღებელი იყო. ამიტომაც ნელ-ნელა დაიწყო მოსკოვსა და ანკარას შორის ურთიერთობების გაუარესება. ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება თურქეთს ანგარიშს უკვე აღარ უწევდა.

ამასობაში საბჭოთა სახელმწიფოში კიდევ უფრო განმტკიცდა კომუნისტური დიქტატურა, განსაკუთრებით მებრძოლი ათეიზმი, რამაც მოითხოვა ახალი საბჭოთა ტრადიციების, ყოფითი ელემენტების დანერგვა, ცხოვრების ტოტალური უნიფიცირება, საბჭოთა სისტემის ყველა ატრიბუტიკის ღრმა და ყოველმხრივი ჩანერგვა, ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირების პროცესის გაძლიერება. ასეთი პოლიტიკის დროს ადგილი აღარ რჩებოდა ადგილობრივი თავისებურებების გასათვალისწინებლად. საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ სცადა უფრო ენერგიულად, ვიდრე ადრე, აჭარაში ძველი ტრადიციების ნაცვლად საბჭოთა ტრადიციების, საბჭოთა სამართლის, საბჭოთა ყოფის ახალი ელემენტების დამკვიდრება. აჭარელი ქალის სოციალური აქტივიზაციის მიზნითაც გადაიდგა უფრო რადიკალური ნაბიჯები: ცდილობდნენ ჩადრის ტარების ტრადიციის აღმოფხვრას, ქალის აქტიურ ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სერდათ გაეთავისუფლებინათ ქალი ქმრისა და ვაჟიშვილის ტრადიციული დამოკიდებულებისაგან, კრძალავდნენ ნაადრევ ქორწინებას და ა.შ..

ადგილობრივმა მაჰმადიანმა მოსახლეობამ, რომელშიც ქართველობის ერთიანობის იდეა ჯერ მტკიცედ არ იყო გამჯდარი, ეს მცდელობა ტრადიციული, მამა-პაპური წეს-ჩვეულებების უხეშ შელახვად აღიქვა და მის წინააღმდეგ კრიტიკულად განეწყო. ამ კრიტიკულ განწყობილებებს აძლიერებდნენ, როგორც დღეს დადასტურებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თურქების ემისრებიც[57].

როგორც ამტკიცებენ მომავალი ამბოხების სიმპტომები მთიან აჭარაში უკვე 1927 წელს იგრძნობოდა. ეს ის პერიოდია როცა იქმნება პირველი ანტისამთავრობო ორგანიზაციები. აჭარაში ამ დრამატული პერიოდის შესახებ არსებობს მდიდარი ლიტერატურა[58]. საბჭოთა ისტორიოგრაფია მას კლასობრიეი ბრძოლის გამწვავებას უკავშირებდა. პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი – კოლექტივიზაციის სიმახინჯეების წინააღმდეგ გლეხობის სტიქიურ გამოსვლად თვლის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ამბოხება ლოგიკური შედეგია იმ ყოფითი ტრადიციების წინააღმდეგ მიმართული საბჭოთა პოლიტიკისა, რომელიც საბჭოთა სისტემის უნიფიცირებას იწვევდა და ამ გზაზე შემკავებელ ბარიერებს ველარ ურიგდებოდა. **შეტაკება ტრადიციულსა და საბჭოურს შორის აუცილებლად მოხდებოდა.**

მტკიცდება თურქეთის სპეცსამსახურების აქტივობაც, რომლებიც აჭარას კვლავ თავის ინტერესების სფეროში მოიაზრებდნენ.

აჭარაში შეიქმნა ამბოხების მოსამზადებელი საერთო ცენტრი – „აჭარის ხსნის კომიტეტი". ის ავრცელებდა პროკლამაციებს, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „ძმებო, საბჭოთა ხელისუფლებას სურს ჩვენ წაგვართვას ყველაფერი წმინდა რაც გაგვაჩნია, არაფრის წინაშე უკან არ იხევს და არაადამიანური მეთოდებით ცდილობს ჩვენი თავმოყვარეობის შელახვას. აბუჩად იგდებს ჩვენს ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, შეურაცხყოფას აყენებს ქალებსაც"[58].

დაძაბულობამ აჭარის მთიანეთში კულმინაციას მიაღწია 1929 წლის დასაწყისში. მოსახლეობის უკმაყოფილებას აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა პროპაგანდისტული მუშაობის გააქტიურებით უპასუხეს. კომუნისტები და კომკავშირლები დადიოდნენ სოფლიდან სოფელში და აიძულებდნენ მოსახლეობას შეკრებებზე მოეყვანათ ქალები, მათ კი აიძულებდნენ ჩამოეხსნათ ჩადრი, შეესრულებინათ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებები და ა.შ.

ერთ-ერთ ასეთ პარტიულ შეკრებაზე ხულოს რაიონის სოფელ ჭვანში ბათუმელი სტუმრის მიერ დაუფიქრებლად ნათქვამმა უტაქტო სიტყვამ ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია, ისინი აჯანყდნენ, დააპატიმრეს ბათუმელი სტუმრები, მათ შორის აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეც კი.

აჯანყება სწრაფად გავრცელდა მთიან რეგიონში, მას გამოეხმაურნენ სოფლები: ტაკიძეები, ღორჯომელები, სხვა სოფლების მცხოვრებლები. ამბოხებულები კლავდნენ კომუნისტებს, პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს. მათ გაბედეს და თავს დაესხნენ საბჭოთა მე-19 სასაზღვრო საგუშაგოს, მოკლეს ორი მესაზღვრე. აჯანყებულებმა თურქეთში მყოფ ხიმშიაშვილებს გაუგზავნეს დეპეშა „აჭარა განთავისუფლებულია, კომუნისტები და საბჭოთა ხელისუფლება დამხობილია, ჩამოდით და გვიხელმძღვანელეთო".

რა თქმა უნდა, რომ საქმე მარტო კომუნისტებისა და კომკავშირლების მიმართ განხორციელებულ რეპრესიებს შეხებოდა, ჩვენც შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ამბოხება ანტისაბჭოთა შინაარსისაა და ის საკოლმეურნეო მოძრაობის გავრცელების მიმართ პროტესტმა გამოიწვია (ასე ფიქრობენ რ. კოჭლამაზაშვილი, ი. მანველიძე და სხვ.). მაგრამ წყაროებში დაფიქსირებულია ფაქტები, რომ უკვე ამბოხების დროს ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით ქალები თავის რისხვას წარმართავდნენ ქართული საბჭოთა სკოლის მიმართაც, რადგან მოლებისა და ხოჯების მიერ აღზრდილი

ადამიანები მედრესებს უფრო ეგუებოდნენ, ვიდრე ათეისტურ ქართულ სკოლას.

და აქ მივადექით მთავარ სათქმელს: როცა ილია ჭავჭავაძის მეცადინეობით ქართველმა „სამოციანელებმა" ახალ შემოერთებულ აჭარაში დაიწყეს „ქართული საქმის" კეთება, უპირველესი მნიშვნელობა ქართული სკოლის დამკვიდრებასა და გაძლიერებას მიანიჭეს. მაგრამ სხვა მხრივ განსაკუთრებით არ აქტიურობდნენ. ჩვენ ზემოთ ისიც დავინახეთ, რომ ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლები კომპრომისზეც კი არ მიდიოდნენ და უარს ეუბნებოდნენ აჭარლებს მონათელაში, რომ არ შელახულიყო ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიური გრძნობები. ჩვენ მათი ეს ნაბიჯი კრიტიკულად შევაფასეთ, რადგან მათი მოღვაწეობის შედეგი იყო საყალალო – **1900 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილ ბათუმის ქართულ სკოლაში უკვე არცერთი მაჰმადიანი ბავშვი აღარ სწავლობდა. მეორე სკოლის გახსნა საერთოდ ვეღარ მოახერხეს და აჭარაში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი შეფერხდა.**

ისტორიკოსი ყოველთვის ვალდებულია გაარკვიოს რა არის მთავარი და განმსაზღვრელი კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, რა ამოცანები დგას კონკრეტული ერისა თუ სახელმწიფოს წინაშე. ქართველი ერის წინაშე იდგა ეროვნული კონსოლიდაციის ამოცანა. აშკარად ჩანდა, რომ მხოლოდ სტიქიური ფაქტორები ამ პროცესს წარმატებისკენ ვერ წაიყვანდა. საჭირო იყო ძალისხმევა, ყველას ერთნაირი მონდომება, იმის აუცილებელი გააზრება, რომ მთავარია „საქართველო უპირველეს ყოვლისა" და ეს მოითხოვს ერთიანობისაკენ მიმავალ გზაზე, ისტორიის ბედუკუღმართობით შეძენილი ჩვეულებებისა და ტრადიციების დათმობას საერთო ისტორიული მიზნის მისაღწევად.

ასეთი უდიდესი ამოცანის გააზრება და მისი გადაჭრა ყოველთვის ზემოქმედების მშვიდობიან ფორმებს არ გულისხმობს. ზოგჯერ მას ზედმეტი ძალისხმევა სჭირდება, რაც ყოველთვის პუმანურ ჩარჩოებში არ თავსდება. მიგვაჩნია, რომ აჭარის მთიანეთში მომხდარი საპროტესტო გამოსვლა – ეს ის აუცილებელი ხარკი იყო, რომელიც უნდა გადაეხადა ქართველ ხალხს ეროვნული კონსოლიდაციისაკენ მიმავალ ეკლიან გზაზე.

ახლა კვლავ აჯანყებას დავუბრუნდეთ: შექმნილი ვითარება აცნობეს ი. სტალინს. მან მოკლე შინაარსის წერილი გამოგზავნა: „აშკარაა თქვენ დაუშვით შეცდომა" და მოითხოვა კონფლიქტის უსისხლოდ დამთავრება[59].

ბათუმში ჩაიდა ლ. ბერია. დაიწყო აჯანყების ლიკვიდაცია. ამბოხების მოთავეები ზოგი დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს, ზოგი თურქეთში გადავიდა. რიგითი ამბოხებულები სახლებში დაბრუნდნენ. აჯანყების შემდეგ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ სპეციალურად შეის-

წაელა აჭარაში მოსახლეობის უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზები და გადაწყვიტა ათეისტური პროპაგანდა რეგიონში დროებით შეეჩერებინა.

XX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში შეიქმნა განსხვავებული ვითარება, რამაც აჭარაც მთლიანად ჩაითრია ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა საქართველოს მომავალი განვითარების ძირითადი მაგისტრალური ხაზი.

§ 8 – მესხეთ-ჯავახეთი

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ქართველი ერის კონსოლიდაციის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესის ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემა – სამხრეთ საქართველოში მცხოვრები, წარმოშობით ქართველი, მაგრამ გამაჰმადიანებული მოსახლეობის ქართულ ერთიან ორგანიზმში ჩართვისა და ადაპტაციის საკითხი იყო. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დემოკრატიული საქართველოს პერიოდში ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობა თურქეთის მიმართ აშკარა სიმპატიებით გამოირჩეოდა და, როცა კი არსებვანის შესაძლებლობა მიეცა, სტამბოლისაკენ ეადაიხარა. ამან კი ბევრი დამატებითი პრობლემა შეუქმნა საქართველოსაც და ადგილობრივ არამაჰმადიან მოსახლეობას.

1926 წლის საკავშირო აღწერით აღნიშნულ რეგიონში მოსახლეობის ეთნიკური სურათი ასეთი იყო: ახალციხის მაზრაში ცხოვრობდა: სომეხი – 15, 5 ათასი, თურქი – 44, 5 ათასი, ქურთი იეზიდი – 3 ათასი, თარაქამი – 4,6 ათასი, რუსი – 2.8 ათასი, დანარჩენი იყვნენ ქრისტიანი ქართველები. ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა: სომეხი – 57,8 ათასი, თურქი – 6,9 ათასი, ქურთი იეზიდი – 0,9 ათასი, რუსი – 5,1 ათასი, დანარჩენი იყო ქართველი. ბორჩალოს მაზრაში ცხოვრობდა: სომეხი – 15 ათასი, თურქი – 51 ათასი, რუსი – 1,1 ათასი, გერმანელი – 4 ათასი, დანარჩენი იყო ქართველი[60].

მრავალეთნიკური იყო მესხეთ-ჯავახეთის სასოფლო თემების შემადგენლობაც. მარტო ერთ – ახალციხის მაზრის ოკამის თემის მოსახლეობა იყო: თურქი – 90 პროცენტი, ქართველი – 6 პროცენტი, ქურთი – 4 პროცენტი. ამ თემში 14 სოფელი შედიოდა და ის 4900 კაცს აერთიანებდა[61].

დროთა განმავლობაში რეგიონში მოსახლეობის თვალსაჩინო მატება დაფიქსირდა და 1930 წელს ახალციხის მაზრაში უკვე ცხოვრობდა 52 711 კაცი. მათ შორის თურქი – 46,7 პროცენტი, სომეხი – 30,2 პროცენტი, ქართველი – 10, 7 პროცენტი, რუსი – 5,4 პროცენტი, ქურთი – 4 პროცენტი და სხვა დანარჩენი – 3 პროცენტი[62].

ამ რეგიონში ყველაზე მეტი თურქი ცხოვრობდა აწყურში. აქ მათი რაოდენობა 90 პროცენტი იყო, კედინში – 99.8 პროცენტი, გუღარეთში – 99,8 პროცენტი. ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობდა ვალეში – 69, 6 პროცენტი, მინაძეებში – 99.8 პროცენტი. ქალაქ ახალციხეში იმჟამად სულ 13 668 კაცი ცხოვრობდა: მათ შორის თურქი იყო 2, 3 პროცენტი, სომეხი – 52, 8 პროცენტი, ქართველი – 14, 8 პროცენტი, რუსი – 20 პროცენტი, სხვა დანარჩენი – 10 პროცენტი[63].

რეგიონი განსაკუთრებული კონფესიური მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. მისი ძირითადი მასა – იყო მუსლიმანი, რეგიონში, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ცხოვრობდნენ მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველები, გრიგორიანელი სომხები, მუსლიმანი სომხებიც – თარაქამები, იეზიდები, მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი რუსები და ა.შ..

ასეთი შემადგენლობა თავისთავად აპირობებდა საეროვნებათაშორისო ურთიერთობის რთულ პრაქტიკას. მით უფრო რომ რუსეთის ცარიზმის მიერ, როგორც აღინიშნა, ხელოვნურად „აჭრელდა“ რეგიონი და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოს ამ ისტორიულ ტერიტორიებზე ხელი ეშლებოდა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის ნორმალურ განვითარებას.

ჩვენ ვნახეთ, რომ დემოკრატიული საქართველოს პერიოდში რეგიონში ვითარება ძალიან რთული იყო, ადგილი ჰქონდა ქართულ-სომხურ დაპირისპირებას და ომს, თურქეთის აგრესიის დროს მაჰმადიანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საოცარ ულმობლობას იჩენდა ქრისტიანების მიმართ, რეგიონში თარეშობდნენ სხვადასხვა სახელმწიფოების ემისრები, აშკარა თუ ფარული აგენტები და ა.შ. ეს ყველაფერი მემკვიდრეობით დარჩა საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომელსაც რეგიონიდან ხშირად ძალიან შემაშფოთებელი ცნობები მოსდიოდა.

მაგალითად, 1921 წ. 9 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა ინფორმაცია, რომ რეგიონში ჩვეულებრივი მოვლენა იყო ბანდიტიზმი, ქურდობა, ეთნიკური დაპირისპირება კონფესიურ ჯგუფებს შორის.

ამ დაპირისპირებას, როგორც ინფორმატორი ამტკიცებდა, აპირობებდა არსებული საგადასახადო პოლიტიკაც. როგორც ჩანს, ნატურალური სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ქართულ და მაჰმადიან სოფლებში განსხვავებული იყო და იწვევდა მუსლიმანი მოსახლეობის უკმაყოფილებას. მაგალითად, აწყურის მაჰმადიან მოსახლეობას (2300 კაცი, 6000 დესეტინა მიწა) უნდა გადაეხადა ნატურით 3 109 ფუთი ხორბალი და სიმინდი, მაშინ როცა ქართულ სოფელ საღირეს მოსახლეობას (700 კაცი, 302 დესეტინა მიწა) სულ უნდა გადაეხადა მხოლოდ 300 ფუთი. ამასთან, მუსლიმ მოსახ-

ლეობას, რომელიც საერთოდ არ თესდა კარტოფილს, გადასახადი ამ კულტურაზეც უნდა გადაეხადა[64].

ინფორმატორი იმასაც იტყობინებოდა, რომ რეგიონში, რომლის მოსახლეობის 80 პროცენტი მაჰმადიანი იყო, არცერთი მუსლიმანი არ იყო დასაქმებული მილიციაში, საბჭოთა სტრუქტურებში. საერთოდ, რეგიონში ჭირდა კომუნისტური ორგანიზაციების, საბჭოების შექმნა და ნორმალური ფუნქციონირება (მაგალითად, 1925 წელს ახალქალაქის მაზრაში, მოსახლეობის პასიურობის გამო, ორჯერ ჩატარდა საბჭოების არჩევნები და მოითხოვდნენ მის მესამედ ჩატარებას, 1925 წელს ახლქალაქის მაზრის პარტიული ორგანიზაცია საერთოდ დაშალეს არაეფექტიანობის გამო, მთლიანად გამოცვალეს კადრები და ა.შ.).

თუ ამ ფაქტორებს დავუმატებთ იმასაც, რომ ეს რეგიონი საქართველოში გამოირჩეოდა განათლების მეტად დაბალი დონით (როგორც ქრისტიანებში, ისე განსაკუთრებით მაჰმადიან მოსახლეობაში), რაც რელიგიური ცნობიერების არსებობას გულისხმობდა და რაც მოლებისა და ხოჯების ძლიერ იდეოლოგიურ ზეგავლენაში ცლინდებოდა, შეიმჩნეოდა პროთურქული პროპაგანდა-აგიტაცია და ა.შ. ამის გამო საბჭოთა ხელისუფლებას მესხეთ-ჯავახეთში სერიოზული პრობლემები შეექმნა.

როგორც ირკვევა, რელიგიური ფანატიზმი (მიურიდიზმი) რეგიონში ხანდახან ისეთ აგრესიულ ფორმებს იღებდა, რომ ხელისუფლება იძულებული ხდებოდა მკაცრი ადმინისტრაციული ზომები გამოეყენებინა[65].

ასეთ რთულ ვითარებაში აუცილებლობით დადგა სამი გადასაწყვეტი საკითხი: 1. მაჰმადიანი მოსახლეობის (რომლებიც ქართული წარმომავლობის იყვნენ) სრულიად საქართველოსთან კონსოლიდაცია-შერწყმის შესაძლებლობის შესახებ; 2. პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ რეგიონში სამოქალაქო მშვიდობის დამყარების შესაძლებლობა; 3. სიცოცხლისუნარიანი ადგილობრივი საბჭოთა მმართველობითი სტრუქტურების მშენებლობა.

საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ასეთი რთული რეგიონის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებით ხშირი დაინტერესება, მათი განხილვა პარტიულ ფორუმებზე, ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე საბოლოოდ მიიყვანდა მათ საკითხის ობიექტურ და პროლეტარიატის დიქტატურის შესაბამისად გადაწყვეტის შესაძლებლობამდე. მართლაც, მთელი 20-იანი წლების მანძილზე თითქმის ყოველწლიურად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო იხილავდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებს, იღებდა დადგენილებებს, სახავდა მდგომარეობის გაჯანსაღების ამოცანებს.

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმ საქმიანობაზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობდა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს.

1925 წლის 28 მარტს საქართველოს კა(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მიიღო დადგენილება „ახალციხის მაზრაში პრაქტიკული ღონისძიებების გატარების შესახებ“. მასში ხაზგასმული იყო, რომ „სახელმწიფო ენად ახალციხის მაზრაში ითვლება ქართული ენა“[66]. მასთან ერთად საქმის წარმოებაში დაშვებული იყო. ეთნიკურად განსხვავებულ თემებში, უმრავლესობისათვის გასაგები ენის გამოყენება.

ამ ეტაპზე არა მარტო ქართული, არამედ რეგიონის მრავალეთნიკური მოსახლეობის კონსოლიდაციის მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალა შიდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ-საკადრო გამიჯვნა ეთნიკური ნიშნით.

რეფორმის გატარების შემთხვევაში მაზრის პარტიული ხელმძღვანელი (რეგიონის ფაქტიური ხელმძღვანელი) – მდივანი ქართველი უნდა ყოფილიყო. მას ეყოლებოდა ორი მოადგილე: სომეხი და თურქი. რაიკომისა და აღმასკომის დადგენილებები აუცილებლად სამ ენაზე უნდა გამოქვეყნებულიყო. აღმასკომის თავმჯდომარე აუცილებლად ქართველი უნდა ყოფილიყო. მისი მოადგილეები: სომეხი და თურქი. განსაზღვრული იყო სხვა თანამდებობის დამკავებელი პირების ეროვნული კუთვნილებაც: ადმინისტრაციული განყოფილების გამგე, მაზრის მილიციის უფროსი – მაჰმადიანი უნდა ყოფილიყვნენ, მოადგილე – ქართველი. ქალაქ ახალციხის მილიციის უფროსი – აუცილებლად სომეხი უნდა ყოფილიყო. მაზრის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი – ქართველი, მისი თანაშემწე – აუცილებლად მაჰმადიანი. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგე – ქართველი, რომელსაც მოადგილეები სომეხი და მაჰმადიანი ეყოლებოდა. განათლების განყოფილებას ქართველი უხელმძღვანელებდა, სამხედრო კომისარიატს – სომეხი და ა.შ.

ამ დადგენილებას ანალოგი არ ეძებნება საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიაში – ის არასტანდარტულია და არ შეესაბამება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც მუდამ წინააღმდეგი იყო ნაციონალური ნიშნით საკადრო კვოტების შემუშავებისა და საკადრო პოლიტიკაში ამ მეთოდს არ იყენებდა.

საფიქრებელია, რომ ასეთი არაორდინალური გადაწყვეტილების მიღება საქართველოს ხელმძღვანელობა აიძულა რეგიონში შექნილმა რთულმა საეროვნებათაშორისო ვითარებამ, რომელსაც ვერ ანეიტრალებდა პარტიული ლოზუნგები იმის შესახებ, რომ „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, რომ „ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისთანავე ამოიძირკვება ერთა შორის ყოველგვარი დაპირისპირება და წინააღმდეგობა“ და ა.შ.

მაგრამ საქართველოს სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. ამაზე მიუთითებს საქართველოს ისტორიული განვითარება XX საუკუნის 20-იან წლებში, როცა გამოიკვეთა სერიოზული პრობლემები სწორედ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესებთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ დადგენილებას, მისი პრაქტიკული რეალიზაციის შემთხვევაში, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა როგორც საქართველოს ერთიან ორგანიზმში რეგიონის ინკორპორირებისათვის, ისე ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის განსავითარებლად სამხრეთ საქართველოში. თუმცა, საჭირო იყო საკმაოდ დიდი მატერიალური დანახარჯები. ახალი კადრების მომზადება, რეგიონში ქართული ენის მცოდნე კადრების (პედაგოგების, ექიმების, ტექნიკური მუშაკების და ა.შ.) შემოყვანა, სკოლების ქსელის ინტენსიური ზრდა, ქართული ლიტერატურით რეგიონის უზრუნველყოფა და ა.შ..

მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს პარტიული გადაწყვეტილება ადგილზე სერიოზულ ოპოზიციას წააწყდა. პირველ რიგში მოლებისა და ხოჯების პროპაგანდით გაბრუებულ მაჰმადიან მოსახლეობაში. იმჟამად რეგიონში 117 მეჩეთი ფუნქციონირებდა (სულ საქართველოში იმჟამად 412 მეჩეთი იყო), ხოლო კავშირები თურქეთთან საბოლოოდ არ იყო გადაჭრილი, ხოლო პროთურქულ ძალებს სიახლის დანერგვა არ სურდათ, ყოფით თავისებურებების შენარჩუნებას უფრო ცდილობდნენ.

ამ დადგენილებამ კი რეალური შედეგი ის გამოიღო, რომ გაძლიერდა ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობაში ფარული თუ აშკარა ლტოლვა თურქეთისაკენ. საქართველოს სპეცსამსახურები ატყობინებდნენ თბილისს, რომ ადგილობრივი მესლიმი მოსახლეობის მხრიდან გაძლიერდა საქონლის ფარების უნებართვო გაყვანა თურქეთში, რომ გამრავლდა იმ სოფლების რიცხვი, რომლებიც თურქეთში გადასახლებაზე ოცნებობდნენ და ა.შ..

1926 წელს საქართველოს ხელმძღვანელობამ დამატებით მიიღო კიდევ ახალი ღონისძიებათა პაკეტი, რომლის მიზანი იყო მესხეთ-ჯავახეთში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება, კულტურული დაწინაურება, ახალი ტრადიციების დანერგვა და ა.შ.

როცა ადგილზე შეისწავლეს ვითარება, გაირკვა, რომ საბჭოთა სისტემის ბატონობის მიუხედავად რეგიონში კვლავ არსებობდა: მიურიდიზმი, სექტანტობა, მრავალცოლიანობა, მცირეასაკოვანთა ქორწინება, სისხლის აღების ტრადიცია, ქალის მოტაცება, ხოლო მაჰმადიანი მოსახლეობის უკმაყოფილების ფაქტები არა ერთხელ დააფიქსირეს საქართველოს სპეცსამსახურებმა.[67]

ვითარება ისე დაიძაბა, რომ 1927 წელს საქართველოს კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ აშკარად უკან დაიხია: ახალციხის მაზრაში ძირითად ენად კვლავ გამოცხადდა თურქული ენა, გადაისინჯა ადგილობრივი ადმინისტრაციული კადრების ლიმიტირების პრაქტიკა და ხმარებაში დანერგეს მხოლოდ მაჰმადიანი მოსახლეობის უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი. რამდენადაც ვერ მოხერხდა რეგიონში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დამკვიდრება და ვერც სამენოვნების რეალიზაცია განხორციელდა – გადაწყდა პრაქტიკულად უფრო მისაღები – ნეიტრალური ენის, რუსული ენის გამოყენება სახელმწიფო მართვის ადგილობრივ სტრუქტურებში.

აშკარაა, რომ ეს ახალი გადაწყვეტილება უკვე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, რადგან ხელს ეღარ შეუწყობდა რეგიონში სახელმწიფო ენის – ქართული ენის დამკვიდრების პროცესს, რომლის გარშემოც შეიძლებოდა მაჰმადიანი და არამაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის კონსოლიდაცია.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ოპტიმალური გადაწყვეტილება იქნებოდა რეგიონის არაქართულ სოფლებში ქართული სკოლების გახსნა, ქართული მოსახლეობის ჩასახლება, ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის უფრო ინტენსიური ჩართვა ერთიანი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში. მაგრამ ასეთი მასშტაბური ღონისძიებების რეალიზაცია მხოლოდ დამოუკიდებელ და სუვერენულ ქვეყანას შეეძლო. საბჭოთა კავშირის არტახებში მოქცეულ საქართველოს ხელმძღვანელებს კი მუდამ მოსკოვისაკენ უნდა ეცქირათ და კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის დოგმატები გაეტარებინათ პრაქტიკაში. აშკარაა, რომ ათასი მაკონტროლებელი თვალი მათ არ აძლევდა შესაძლებლობას რაიმე ქმედითი ღონისძიება განეხორციელებინათ ქართველების სასარგებლოდ – ეს იმჟამად ქართული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოვლენად ითვლებოდა და სასტიკადაც ისჯებოდა.

ამიტომაც ვითარება რეგიონში გაიყინა – დამყარდა მყიფე „სტატუს კვო". ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ ეს პოლიტიკა სერიოზულად აფერხებდა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს მესხეთ-ჯავახეთში.

„სტატუს კვომ" კი რეგიონში ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. შეშფოთებულმა საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა კომპლექსურად შეესწავლა მესხეთ-ჯავახეთი და იქ მივლინებით სპეციალური და კომპეტენტური პირებით დაკომპლექტებული კომისია მიავლინა.

კომისიის დასკვნის ამონარიდები, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ ვაქვეყნებთ, აშკარად მიანიშნებს, რომ პრობლემები სიღრმისეულია და ადვილი გადასაჭრელი არ იყო.

კომისიის წევრები აღნიშნავდნენ, რომ „გარეგნულად ახალციხეში იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეროვნული საკითხი აქ გადაწყვეტილია ერთხელ და სამუდამოდ“[68].

მაგრამ თბილისში ჩამოტანილი ანგარიში აღსავსე იყო რთული ეთნიკური კოლიზიებით, დაპირისპირებებით, ეთნიკური შუღლით, ეთნიკური ომის მოლოდინის განცდით.

კომისიის წევრები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ „ახალციხელი თურქები წარსულში (მათი დიდი ნაწილი მაინც) ქართველები, რომლებმაც ჯერ კიდევ შემოინახეს ქართული ყოფის ცალკეული ნიშნები, ზოგჯერ გვარიც კი. აძლევდა საფუძველს ქართველ ნაციონალისტებს ემტკიცებინათ, რომ თურქები – ეს ქართველი-მაჰმადიანები არიან და აქედან აკეთებდნენ პოლიტიკურ დასკვნას – დავუბრუნოთ ეს ქართველი-მუსლიმანები ქართულ კულტურას, ენას და ა.შ. ეს ანტიმარქსისტული, ანტილენინური „თეორია“ 1923-1926 წლებში საქართველოს ხელმძღვანელი ჯგუფის მიერ (ღვამიჩავაშუშანია) გამოიყენებოდა პრაქტიკაში და იწვევდა თურქების დიდ უკმაყოფილებას (ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კომისიის წევრები გულისხმობენ იმ პოლიტიკას, რომელიც ტარდებოდა ახალციხეში 1925-1927 წლებში – ა. დ.), საქმე იმაშია, რომ თუ დღევანდელი თურქები ოდესღაც იყვნენ ქართველები, ახლა, 300 წლის შემდეგ, დაკარგეს ყველაფერი ქართული: ენა, რელიგია, ყოფა, ტანსაცმელი და ამჯერად ეს ყველაფერი მათ აქვთ თურქული. დღევანდელი თურქები არა თუ აღარ არიან ქართველები, არ არიან ქართველები, არამედ არც უნდათ იყვნენ ქართველები – ეს უნდა მტკიცედ დაიმახსოვრონ „უკლონისტურად“ მოაზროვნე ამხანაგებმა – ეს აზრი უნდა დავმარხოთ საბოლოოდ (დოკუმენტის სტილი დაცულია – ა.დ.)“.

კომისიის წევრებს მოაქვთ სტატისტიკა, რითიც უნდათ დაამტკიცონ, რომ ახალციხის მაზრაში 20-იანი წლების დასასრულს თურქები განიცდიდნენ დისკრიმინაციას. სამაზრო პარტიულ აქტივში 48 კაცია, ქართველი 23 (48%), სომეხი – 14 (30%), რუსი 6 (12%), თურქი მხოლოდ 5 (10%). ამ აქტივში 25 კაცი – არამკვიდრი მცხოვრებია. მაზრის პარტიული ორგანიზაციის პლენუმის შემადგენლობაში ითვლება 29 კაცი, თურქია – მხოლოდ 6. არცერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე თურქი არ არის – ამტკიცებენ კომისიის წევრები.

უდეს თემში, – აღნიშნულია საანგარიშო წერილში, მხოლოდ თურქები ცხოვრობენ, ხელმძღვანელ თანამდებობებზე კი მხოლოდ ქართველებია. ამ თემში 361 თანამშრომლიდან თურქი მხოლოდ 7-ია. სამარცხვინოა ვითარება ფოსტა-ტელეგრაფის სისტემასა და ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებაში. კომისიის წევრები ახალციხეში შექმნილ ვითარებას „ქართულ-

სომხურ კოლონიალიზმს" უწოდებენ. ამ სისტემის 29 თანამშრომლიდან ქართველია 20 (70%), სომეხი – 4, რუსი – 5 და არც ერთი თურქი.

კომისიის წევრები იმაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რომ საქმის წარმოება კვლავ ქართულ ენაზეა და ადგილობრივი ენების ჩანაცვლება არ სდება..

მოტანილია სასკოლო სტატისტიკა, რომელიც ასევე შემაშფოთებელია. ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც არ მოიცავს სკოლის ქსელი სომხებში არის – 37.4%, ქართველებში – 53, 7%, ხოლო თურქებში – 84%. წერილის ავტორები იმასაც ამტკიცებენ, რომ ქართულ-სომხური სკოლების შენახვაზე ორჯერ მეტი თანხა იხარჯება, ვიდრე თურქული სკოლების შენახვაზე.

შემდეგ ჩამოთვლილია კონფლიქტები, გაუგებრობები და უსიამოვნებები ადგილობრივი ეთნოსების წარმომადგენლებს შორის ყოფით ნიადაგზე, ხაზგასმულია ეთნიკური ცრურწმენებისა და კლიშეების როლზეც ურთიერთობების გამოწვევების საქმეში. მოტანილია ასეთი საუბრების ფრაგმენტები: „თქვენ, ქართველებს გიჯობთ გაჩუმდეთ, გეყოფათ, თუ არ გინდათ კიდევ ერთხელ აღვმართოთ თქვენზე ხელი, გახსოვდეთ, მოვა კიდევ დრო თქვენი გალახვის".

დაფიქსირებულია თურქი ვინმე მურად გალატ ოღლის (სოფ. მუსხის მკვიდრი ზველის თემი) მუქარაც: „თქვენ ქართველები ისე წყნარად უნდა იქცეოდეთ, რომ თქვენი ხმა არ ისმოდეს. იცოდეთ, რომ ჩვენ ვერაფერს ვერ მოგვიხერხებთ... ურაველში თქვენ ხმა არ ამოგეღებათ, თქვენ მხარს არავინ არ დაგიჭერთ. თქვენ იჩივლეთ თუ გინდათ თბილისში, იქ არის თქვენი ხელისუფლება, და არა აქ (დოკუმენტის სტილი დაცულია – ა.დ.)".

რთული მდგომარეობა დაფიქსირდა ახალციხის სამრეწველო საწარმოებში – ინტერნაციონალიზმის ნასახიც არსად ჩანდა. კომისიის წევრებმა დააფიქსირეს, რომ საწარმოებში ქართველები და სომხები მეგობრობენ, ხოლო მუსლიმანები მათ კრიჭაში უდგანან. როცა ერთ-ერთ საწარმოში თურქი სომეხს დასცინოდა და ქართველი გამოექომაგა, თურქს უთქვამს შემდეგი: „თქვენ ხმის ამოღების უფლება არა გაქვთ, თორემ თქვენ სულ სხვანაირად მოგექცევით".

კომისიის წევრები ამტკიცებენ, რომ ასეთი კონფრონტაცია შეიმჩნევა მოზარდებშიც.

ამრიგად, აშკარაა, რომ მესხეთ-ჯავახეთში ეთნიკური პრობლემები XX საუკუნის 20-იან წლებში სერიოზულ ზრუნვას და მოგვარებას საჭიროებდნენ, რომ არა მარტო პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური რეგიონის ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ოაზისად გადაქცევა იყო საჭირო, არამედ სერიოზული მუშაობაც იყო გასაჩაღებელი ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების გასამთლიანებლად, მათი ერთიანობის მისაღწევად.

ჩვენდა თავად კი აღვნიშნავთ, რომ კომისიის წევრების მიერ მოტანილ სტატისტიკაში ერთ გარემოებაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება – თურქების წარმომადგენლობა საბჭოთა პარტიულ, სამეურნეო თუ პროფკავშირულ ორგანიზაციებში იმიტომ კი არ იყო მცირერიცხოვანი, რომ ქართველები მათ ჩაგრავდნენ, მათ დისკრიმინაციას ეწეოდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს (ამის შესახებ ჩვენ ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ), რომ მესხეთ-ჯავახეთში იმ წლებში ძალიან დიდი ზეგავლენა ჰქონდა მაჰმადიანურ რელიგიას (რეგიონში 147 მეჩეთი არსებობდა) და მის მსახურებს: მოლებს, ხოჯებს. მათთან ერთად დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ თურქეთის სახელმწიფოს ემისრებიც. რომლებიც მოუწოდებდნენ ადგილობრივ მაქმადიან მოსახლეობას არ ჩაბმულიყვნენ საბჭოთა სახელმწიფო სტრუქტურებში, არ შეეყვანათ შვილები საბჭოთა სკოლებში, თავი შეეკავებინათ „გიაურებთან" საყოფაცხოვრებო ურთიერთობისაგან და დალოდებოდნენ „დედა-სამშობლოსთან – ერთმორწმუნე თურქეთთან შეერთებას".

ყველაფერი ეს სერიოზულად აფერხებდა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს სამხრეთ საქართველოში, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიური დოგმატიკის გამო ისედაც ვერ იყო შემტევი.

§ 9 – სამეგრელოს ავტონომიის შექმნის საკითხისათვის

XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში სამეგრელოში გამოჩნდნენ ჯგუფები, რომლებიც აყენებდნენ სამეგრელოს ავტონომიის შექმნის საკითხს. 1925 წელს კომუნისტურ პრესაში გავრცელდა სამეგრელოში შექმნილი რაღაც დოკუმენტის, რომელშიც ასეთი რამ ეწერა: „სამეგრელოს მშრომელები მოელიან განთავისუფლებას საქართველოს ისტორიული და იურიდიული უსაფუძვლო სუვერენიტეტისაგან, რომელსაც მხარს უჭერენ მხოლოდ იმპერიალისტური ელემენტები"[69].

საქართველოს სპეცსამსახურების მტკიცებით ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა სამეგრელოს მთავრების მემკვიდრე, რკპ(ბ) ორგანიზაციიდან 1922 წელს გარიცხული მიშა დადიანი. ამტკიცებდნენ იმასაც, რომ მან საკუთარი ინიციატივით და მომხრეთა მხარდაჭერით შექმნა განსაკუთრებული ბიურო სამეგრელოს ავტონომიის იდეის ცხოვრებაში გასატარებლად და სოფლებში ეწეოდა ამ იდეის პროპაგანდას.

მოვლენათა განვითარების ამ ეტაპზე საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი მისი პირველი მდივნის ი. ჟვანიას სახით, მკვეთრად გაემიჯნა ამ მოძრაობას[70].

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა საქართველოს საზოგადოებაში და, უკვე მერამდენედ, საქართველოს ინტელიგენციის რიგებში მკვეთრი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. კვლავ ქართველი ინტელიგენცია დადგა ქართველი ერის კონსოლიდაციის დაცვის სადარაჯოზე. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ დიომიდე თოფურიძემ გამოაქვეყნა წერილი: „სამეგრელო და აშორდისტები“, რომელიც ამტკიცებდა, რომ ერთი მუჭა ავანტიურისტების ამ ქმედებას „ნიკოლოზის იმპერიალისტური პოლიტიკის სუნი უდის და ეს ბატონები აშორდიას პოლიტიკურ მემკვიდრეებს წარმოადგენენ, საქართველო ისტორიულად და კულტურულად მთლიანი ორგანიზმია და ამ მთლიანობის დარღვევა ნიშნავს მთელი ერის და მისი ნაწილების ეკონომიკურად და კულტურულად დაშლას“[71].

საინტერესოა სამეგრელოს მკვიდრის, სენაკელი მ. კვარაცხელიას პუბლიკაცია: „სამეგრელო განუყოფელი ნაწილია საქართველოსი როგორც ეკონომიკურად, აგრეთვე კულტურულად. სამეგრელოს ხალხი მუდამ ყოფილა და არის მჭიდროდ დაკავშირებული მთელ ქართველ ხალხთან... ხელოვნურად გამოყოფილი ნაწილი ვერ იცოცხლებს და მოკვდება... ყოველი მეგრელი, რომელიც თავის მოქმედებაში არ ხელმძღვანელობს ფარული პირადი ინტერესებით, თავის სამშობლო ენათ თვლის მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენას, სწავლობს ამ მშობლიურ ენას“[72].

კამათი პრესაში ძალიან გაჭიანურდა. ზოგიერთი პუბლიკაციის ავტორი საერთოდ უარყოფდა მეგრული ენის არსებობას, მიაჩნდა ის „ქართული ენის კილოკავად“, “მეგრული ენა არ არსებობდა და არც არსებობს“ – აღნიშნავდნენ ზოგიერთები.

ამ პროცესს გამოეხმაურა კონსტანტინე გამსახურდიაც და, როგორც მოგვიანებით ამტკიცებდა ი. ჟვანია, მან რუსთაველის თეატრში მოიწვია საჯარო კრება „ნამდვილი მენშევიკი შავრაზმელების მონაწილეობით და პირდაპირ აფურთხებენ მშრომელ გლეხობას. ვინ ხელმძღვანელობენ ამ კრებას? ეს იყო ცნობილი რეაქციონერი კოწია გამსახურდია, კაციჭამია შოვინისტი გიორგი ჟორდანია, ეპისკოპოსების მოტრფიალე თედო სახოკია, გაიძვერა მენშევიკი დიომიდე თოფურიძე და მსგავსი ხულიგნები“[73].

იყო თუ არა ეს „ავტონომისტების“ რეციდივი გარკვეული ჯგუფის პირადი ინიციატივა, თუ მას რაიმე ღრმა მოტივაცია ამოძრავებდა? ჩვენ დავინტერესდით მდგომარეობით 1925 წლის სამეგრელოს სოფელში. ჩვენს მიერ შესწავლილ საარქივო მასალებში (ჭალის თემის, ახალი ეწერის, ტყაიას, ბეჟას-ღალის, ლესიჭინის თემკომის, ჯიხასკარის, რუხის, ქვემო კახათის, ხობის, ხაბუმის, ახალი აბასთუმნის ქარხნის და ა.შ.) ვერ გადავაწყდით მსჯელობას მეგრულ ენაზე სწავლების, სამეგრელოს ავტონომიზაციის პრობლემის აქტუალობის საკითხებთან დაკავშირებით, ყველა დოკუმენტი

ჩინებული ქართულითა და მაღალი კალიგრაფიული ოსტატობით არის შესრულებული.

განსაკუთრებული აღშფოთება აშორდისტულმა ინიციატივამ გამოიწვია ზუგდიდის მაზრის დარჩელის უბანში, სადაც 1925 წლის 1 ნოემბერს პარტიულმა ჯგუფმა იმსჯელა „აშორდისტული მოძრაობის“ შესახებ და მიიღო მკაცრი დადგენილება, რომელშიც ავტონომისტების გააქტიურება მაზრის რაიონულ ხელმძღვანელობას დააბრალა: „მათ გახსნიათ ნარკომობის მადა. მაზრის თავმჯდომარეობა და მაგისთანები თურმე ეცოტავათ... დაიწყეს აგიტაცია სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნით, რასაც ამტკიცებს ეს დარიგებები, რომელნიც გადაუციათ ზოგიერთი ამხანაგისათვის ზემოთ ხსენებულ პირებს, კარიერისტული მადით იქნა გამოწვეული“[74].

საინტერესოა, რომ პარტიული ჯგუფის წევრები აქვე აპროტესტებდნენ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნას და მიაჩნდათ რომ ეს გამოიწვევდა „სამეგრელოსა და საქართველოს შორის შუღლს“.

ქართველი პატრიოტების ამ ჯგუფმა უკვე ამ ეტაპზე სამაზრო კომიტეტის პარტიულ ხელმძღვანელს ისაკ ჟვანიას აშკარად დასდო ბრალი სეპარატისტული ტენდენციების გაღვივებაში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ საქმეში უდიდესი დამსახურება და წინამძღოლობა დარჩელელი პატრიოტის მიხეილ მამფორიასი, რომელიც პრინციპულად დადგა ქართველი ერის ერთიანობის დაცვის სადარაჯოზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი პატრიოტების ამ ჯგუფზე, ადგილობრივი კომუნისტური ლიდერებისა და მათი ობილისელი მხარდამჭერების მხრიდან განხორციელდა აშკარად პოლიტიკური დევნა და რეპრესიები, რაც პარტიული ჯგუფის დაშლით დასრულდა.

ზუგდიდის მაზრის პარტიულმა ხელმძღვანელობამ ამ ეტაპზე შესძლო ბრალდების თავიდან აცილება და უსამართლოდ დასაჯა ქართველი პატრიოტები.

სამაგიეროდ, ძალიან მალე თვითონ ისაკ ჟვანია აშკარად დადგა „აშორდისტების“ რიგებში და საოცარი თავდადებით დაიწყო სამეგრელოს ავტონომიისათვის ბრძოლა. მას მხარი სხვებმაც აუბეს. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის 1928 წლის IV პლენუმზე ერთ-ერთმა გამომსვლელმა აღნიშნა შემდეგი: „მეც ვიყავი მხურვალე მოწინააღმდეგე, როცა მესმოდა რაიმე მეგრულ ენასა და წიგნებზე. მაგრამ როცა მოვინახულე სამეგრელო, პრაქტიკულად დავრწმუნდი და უკვე სხვაგვარად დავუწყე ამ საკითხს დაყენება. მართალია, ჩვენთან იყო ერთი რეაქციული მიმდინარეობა, რომლის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა. ეს არის ის, რომ სამეგრელოს თვლიდნენ სრულიად დამოუკიდებელ ნაციად საქართველოსაგან... ამის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ იმის წინააღმდეგ, რომ მეგრელ გლეხს მიეცეთ

რაიმე მეგრულ ენაზე, ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი არ უნდა ჰქონდეს"[75].

პლენუმზე საქართველოს ერთიანობის მომხრეებმა და სეპარატიზმის წინააღმდეგ მებრძოლებმა კატეგორიულად გაილაშქრეს ამის წინააღმდეგ და შენიშნეს: „თუ თქვენ დღეს გამოსცემთ ბროშურას მეგრულ ენაზე, ხვალ ვაიხსნება ცხრაწლედი, ხოლო ზეგ შექმნიან ავტონომიურ რესპუბლიკას"[76].

სამეგრელოს ავტონომიისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა 1929 წლის 31 მარტიდან, როცა ი. ჟვანიამ სამაზრო კომიტეტის II პლენუმზე თავის მოხსენებაში დააყენა საკითხი დასავლეთ საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გამიჯვნის ახალი პრინციპების შესახებ. ი. ჟვანია თავის განსაკუთრებულ მოსაზრებებს ასაბუთებდა იმით, რომ „ზუგდიდის მაზრა არის გეოგრაფიული, ეკონომიკური თვალსაზრისით ცენტრი სამეგრელოს და სვანეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის..."[77]. ის აყენებდა სვანეთის სამეგრელოსთვის მიერთების საკითხსაც. იგი აცხადებდა „მეგრელ გლეხს ჩვენ **ანგარიში უნდა გავუწიოთ სპეციფიკური პირობების გამო**"[78].

უნდა აღინიშნოს, რომ პლენუმზე რიგი გამომსვლელი გამოვიდა ი. ჟვანიას მხარდასაჭერად. ისინი მოითხოვდნენ „სვანეთ-სამეგრელოს ცენტრს", ადმინისტრაციულ ცენტრს ზუგდიდში. იყო მუქარის შეძახილებიც: „თუ ჩვენ მოთხოვნას ყურადღება არ მიეცემა, მოხდება ის, რაც მოხდა 1924 წელში"[79].

პლენუმზე მეორე საკითხად განიხილეს „მეგრული ენის შესახებ". მომხსენებელმა ი. ჟვანიამ თავის მოხსენება კ. მარქსის თხზულებებიდან ამონარიდებით გაავსო და შეეცადა დაესაბუთებინა, რომ „ენა არის საშუალება და არა პრინციპი". ის უსაბუთებდა მსმენელს: „რატომ დავაყენეთ ჩვენ, ზუგდიდის პარტორგანიზაციამ ცეკას წინაშე მეგრული ენის საკითხი? იმიტომ, რომ ყველა ის, გლეხებისათვის ელემენტარული საკითხები მათთვის გაგვეშუქებინა, გაეაგებინოთ მშრომელ გლეხობას მშობლიურ ენაზე ის, რის გაგებასაც მისგან მოითხოვს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები".

ამ პლენუმზე ი. ჟვანიამ უდიერად მოიხსენია ის ქართველი მამულიშვილები სამეგრელოდან, რომლებიც ჯერ კიდევ 1925 წელს შეეწინააღმდეგნენ ამ ანტიეროვნულ საქმიანობას (კ. გამსახურდია, დ. თოფურიძე და სხვ.).

კრიტიკის მათრახი ი. ჟვანიამ ქართულ ეკლესიასაც გადაარტყა: „რუსეთის ხელისუფლებამ ეკლესიაში მეგრულ ენაზე წირვის უფლება მისცა, მაგრამ სამეგრელოს სამღვდელოებამ ეს „ღვთის შერისხვად" ჩათვალა. მათი მოტივი იყო – სახარება ქართულ ენაზე ღვთის მიერ არის დაწერილი და თუ

მეგრულად გადაითარგმნა, ეს ხომ ღვთის შეურაცხყოფა იქნება. ზოგი ჭირი მარგებელია, რადგან ეკლესიაში მეგრელ გლეხს არაფერი არ ესმოდა და ამიტომაც არის, რომ მეგრელი გლეხი საქართველოს სხვა ტომებთან შედარებით ატეისტია".

თავისი მოხსენების დასასრულს ი. ჟვანიამ ჩამოაყალიბა თავისი ჯგუფის ძირითადი მოთხოვნები: 1. სოფლისა და თემის საბჭოებში საქმის წარმოება მეგრულ ენაზე; 2. მოეწყოს გამოცემა მეგრულ ენაზე, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა მეგრულ ენაზე; 3. იქნეს გამოცემული გაზეთი მეგრულ ენაზე; 4. მოხდეს ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინრობისა მოზარდ მოსახლეობაში მეგრულ ენაზე".

როგორი იყო საქაროველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ხელმძღვანელების რეაგირება ი. ჟვანიას ამ მცდელობებზე. როგორც დასტურდება, მათ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ სამეგრელოს ავტონომიის, მეგრული ენის სტატუსისა და მათთან დაკავშირებული სხვა პრობლემების გარშემო. ცნობილი პარტიული ლიდერი, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ბესო ლომინაძე ამ საკითხს აშკარად უარყოფითად ეკიდებოდა და მიაჩნდა, რომ „თავადაზნაურული ქმედებაა ეს და საჭიროა ამ ქუჩყიანი საქმის მოთავება"[80].

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლევან ღოღობერიძე ამ საკითხში უფრო ირჯოფულ პოზიციას იკავებდა და აცხადებდა: „შოვინისტური ინტელიგენცია ილაშქრებდა მეგრული გაზეთის წინააღმდეგ. გამოდის რა იქიდან, რომ ირღვევა საქართველოს ნაციონალური ინტერესები. დავაძალოთ მეგრელს დღესვე იცოდეს ქართული ენა, ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა გავაკეთოთ"[81].

მეტად მკაცრი იყო აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი იდეოლოგი მიხეილ კახიანი. ის აცხადებდა: „თუ კი ვინმეს სურს შექმნას „დიდი სამეგრელო", რომელსაც თავის დროზე აშენებდნენ შერვაშიძეები, წერეთლები ან და კიდევ ეშმაკები, მაშინ ეს არის უვარგისი ეროვნული ქმედება... და ასეთი განწყობილების წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძოლებთ. არავითარი საუბარი ამ „ავტონომიების" შესახებ არ უნდა იყოს. ასეთი ადამიანები გალის რაიონში აგიტაციას უწევდნენ და ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ლენინს სურდა სამეგრელოს დამოუკიდებლობა, ხოლო საქართველოს პოლიტიკა ამის შესაძლებლობას არ იძლევაო"[82].

1929 წლის ივლისში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე „მაფალუელები" აშკარა შეტევაზე გადავიდნენ. ძირითადი ყურადღება მეგრული ენის უფლებების დაცვაზე გადაიტანეს. ამ ეტაპზე სამეგრელოს ოლქის, სამეგრელოს ავტონომიის საკითხმა ჩრდილში გადაიწია და მათი აზრით, უფრო „რეალურ" საკითხს მიაპყრეს ყურადღება. აქ-

ცენტს აკეთებდნენ იმაზე, რომ სამეგრელოს იმ რაიონებში, სადაც გლეხობამ არ იცოდა ქართული ენა, შესაძლებლობა მისცემოდათ „კომუნისტურ კულტურას დაუფლებოდნენ თავის მშობლიურ ენაზე“[83].

პლენუმზე ი. ჟვანია აცხადებდა, რომ „ჩვენი გლეხობა მშობლიურ ენაზე უნდა იღებდეს დამხმარე სახელმძღვანელოებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართოს სოფლის მეურნეობა. როგორ უნდა აიმაღლოს კულტურული დონე... დღემდე ხომ მეგრელი მოჯამაგირე გლეხი, ღარიბი და საშუალო გლეხი არ ფლობს სხვა ენას, გარდა მეგრულისა“[84].

ამ დროს მომხსენებელს დარბაზიდან ესროლეს რეპლიკა – „ეს არ არის სწორი“[85].

„მაფალუელების“ პოზიცია პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ: „არ შეიძლება ასე თქმა, რომ მე მეგრელი ვარ, ან მე რაჭველი ვარ და ჩემს ენაზე უნდა იყოს ყველაფერი. ჩვენ სუეველა ქართველები ვართ და ჩვენი ფუძე არის ქართული კოლოკავი“.

პლენუმზე საკითხი ვერ გადაწყდა. „მაფალუელებმა“ ორიენტაცია მოსკოვზე აიღეს. ისინი ცდილობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გვერდის ავლით კრემლის ლიდერებთან შეთანხმებას. არის ინფორმაცია, რომ ი. ჟვანია შეხვდა მიხეილ კალინინს და მასთან შეათანხმა სამეგრელოს ავტონომიის საკითხი. მ. კალინინი იმუამად სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი-ს) თავმჯდომარე იყო და სწორედ მის კომპეტენციაში შედიოდა ახალი ადმინისტრაციული წარმონაქმნების იურიდიული გაფორმება. ი. ჟვანია იმასაც ამტკიცებდა, რომ 1929 წ. ის სოჭში ი. სტალინსაც შეხვდა და მისგანაც მიიღო დადებითი პასუხი (სხვა დოკუმენტური დადასტურება ი. ჟვანიას ამ ინფორმაციისა, პარტიულ არქივში არ არის).

მაგრამ თუ კი საბჭოთა კავშირის ორ უმაღლეს პოლიტიკურ ფიგურას – მ. კალინინსა და ი. სტალინს სამეგრელოს ავტონომიის შექმნის საკითხი დადებითად გადაუჭრიათ, რატომ არ შეიქმნა 20-იანი წლების დასასრულს საქართველოში ახალი ავტონომიური წარმონაქმნი?

ვვარაუდობთ, რომ ი. სტალინმა დაავალა გარკვეულ პირებს საკითხის ღრმად შესწავლა. ამაზე მიანიშნებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი შემდგომი მუშაობა ამ საკითხის მოგვარების მიმართულებით. 1929 წლის სექტემბერში საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა იხილავს მეგრული გაზეთის გამოცემის საკითხს და იღებს დადგენილებას: „მეგრული გაზეთის შესახებ საკითხი გადაიდოს“[86].

უკვე 26 ოქტომბერს გადაწყდა მეგრულ ენაზე გაზეთებისა და ბროშურების გამოცემა. ზუგდიდში დაიწყო ორგანიზაციული საქმიანობა გაზეთის

„საბჭოთა სამეგრელო“ გამოსაცემად. პარალელურად ი. ჟვანიას მომხრეებმა დაიწყეს ადგილებში, სოფლებსა და დაბებში ორგანიზაციებში საქმის წარმოების მეგრულ ენაზე გადაყვანა. იმ სოფლებში, სადაც წინა პერიოდებში ჩინებული ქართულით შედგენილი ოქმები და საქმიანი ქაღალდები ჰქონდათ, გაჩნდა მეგრული ოქმები და ჩანაწერები. აშკარად საფრთხე შეექმნა საქართველოს ენობრივ ერთიანობას – იმის მაგიერად, რომ კიდევ უფრო გაღრმავებულიყო და ყოვლისმომცველი გამხდარიყო ქართული ენის სწავლების დონე, „მაფალუელებმა“ ეს პროცესი ზუგდიდში ხელოვნურად შეაჩერეს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოს ზოგიერთმა სოფლის ორგანიზაციამ გააგრძელა საქმის წარმოება ქართულ ენაზე (მაგალითად, სოფელ კახათის პარტიულმა ორგანიზაციამ და სხვ.)

მაგრამ მოულოდნელად (ან იქნებ ვინმეს დაყალბიო!) ზუგდიდში ისაკ ჟვანიას და მის დაჯგუფებას გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი (ჩვენ ენახეთ, რომ ასეთი მოწინააღმდეგენი სამეგრელოს პარტიულ ორგანიზაციებში ი. ჟვანიას ადრეც ქყავდა). ისინი ი. ჟვანიას ბრალს დებდნენ „მაფალუელების“ წახალისებაში. ისინი საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში ამხელდნენ ი. ჟვანიას, მის დაჯგუფებას, რომ მათ ხმარებაში შემოეკონდათ არქაული მეგრული სიტყვები, ხელოვნურად თხზავდნენ სიტყვებს, ქართული სიტყვების ხმარებიდან განდევნის გზით პრაქტიკაში ნერგავდნენ რუსულ სიტყვებს და ა.შ.[87]

თაყიანთ წერილებში საქართველოს ეს პატრიოტები აღშფოთებული აღნიშნავდნენ: „სამეგრელოს არასოდეს არ ჰქონია საქართველოსაგან დამოუკიდებელი კულტურა. მეგრულ ენაზე არ არსებობდა არც ლიტერატურა, არც დამწერლობა“.

სამეგრელოში პოლიტიკურმა დაძაბულობამ იმატა. უშუალოდ რაიკომის ბიუროს სხდომაზე ი. ჟვანიას მოწინააღმდეგენი ამხელდნენ ჟვანიას ჯგუფის ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას.

ი. ჟვანია პოზიციებს არ თმობდა. ის 1931 წლის 19 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ. ბერიას უგზავნის მიმართვას, რომელშიც ორი ძირითადი მოთხოვნაა დაფიქსირებული: შეიქმნას სამეგრელოს ოლქი იმ რაიონებიდან, რომლებშიც უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა; ნება დაერთოს აღნიშნულ რაიონებში დაწყებით სკოლებში ისწავლებოდეს მეგრული ენა. ის ჩამოთვლის ამ რაიონებს: ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი, სენაკი, ნაწილობრივ – მარტვილი, აბაშა, ფოთი[88].

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია ი. ჟვანიას ურთიერთობა აფხაზეთის ლიდერთან – ნესტორ ლაკობასთან გალის რაიონში მეგრელი მოსახლეობის უნობრივი მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით[89].

როგორც ჩანს, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა უკვე გაღიზიანებული ადევნებდა თვალს ი. ჟვანიას გაუთავებელ საქმიანობას და გადაწყვიტა ეს საკითხი საბოლოოდ დაეხურა. 1931 წლის 28 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ყველა არსებული მასალა ცეკას ყველა წევრსა და წევრობის კანდიდატს გადაუგზავნა.

მასალების შესწავლა, როგორც ჩანს, გაჭიანურდა. 1932 წლის 10 ოქტომბერს ზუგდიდის რაიკომის ბიურო კვლავ იხილავს საკითხს „სამეგრელოს ოლქის შესახებ“ და იღებს დადგენილებას – საკითხის დადებითად გადაწყვეტა „პასუხობს სამეგრელოს მოსახლეობის სანუკვარ ოცნებებს“[90].

საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა აეკსო – 1933 წელს ი. ჟვანია გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან.

თბილისის ამ ნაბოჭით გაღიზიანებულმა ადამიანებმა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფალთაათვის გასაგზავნი წერილი შეთხზეს, რომელსაც 119 კაციდან (ამდენს ვარაუდობდნენ) საბოლოოდ ხელი მხოლოდ რვა კაცმა მოაწერა (არ არის ი. ჟვანიას ხელმოწერა).

ამ წერილში არის ასეთი ანტიქართული სიტყვები: „ქართველმა ნაციონალისტებმა, რომელთა სათავეში იდგნენ ი. ჭავჭავაძე, ი. გრიშაშვილი, თ. ჟორდანია, რომლებიც ებრძოდნენ რუს ნაციონალისტებს, დარაზმეს სამეგრელოს თავადაზნაურობა და სამღვდელოება... 1893 წელს ახალ სენაკში მეგრული ენა მონების ენად გამოაცხადეს. მათი მტკიცებით მეგრული ენა არ არის ღვთისმეტყველების ენა, როგორც ქართული, ამიტომაც მისი შემოღება არ შეიძლება სკოლებში და ღვთისმახურებაში... ამ დროიდან გაიმარჯვა ქართულმა შოვინიზმმა, ხოლო სამეგრელოს მშრომელი გლეხობა ყველაფერი ამისაგან შორს იდგა. მათ არავინ და არაფერს არ ეკითხებოდნენ...მეგრელები ჯერ კიდევ არ ასიმილირდებიან ქართველებთან და დიდხანს კიდევ არ ასიმილირდებიან, რადგან ქართული ენა თავსმოხვეულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებლად ჯერ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მიერ, შემდეგ მენშევიკებისა და ახლა ზოგიერთი „გაელენიანი“ კომუნისტის მიერ“[91].

ამ წერილში საქართველოს შეურაცხმყოფელი სხვა ფრაზები და წინადადებებიც არის, რასაც აქ აღარ მოვიტანთ.

ამ ეტაპზე ეს ფუჭი, ანტიქართული მცდელობა დასრულდა. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მოსაზრება, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში სამეგრელოში „მაფალელთა“ საქმიანობა უწყინარი კულტურულ-საგანმა-

ნათლებლო საქმიანობაა და „სამეგრელოს მონაპოვარით ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრების მცდელობა იყო“ მხოლოდ და მეტი არაფერი[92]. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას.

უნდა გამორჩეულად აღინიშნოს, რომ სამეგრელოს „მაფალუელებს“ საზღვარგარეთიდან, პარიზიდან თანადგომა გამოუცხადა ცნობილმა ქართველმა მოაზროვნემ და პოლიტიკურმა მოღვაწემ მიხაკო წერეთელმა.

§ 10. – ქართველი ერის კონსოლიდაციის მიხაკო წერეთლისეული გეგმა

როგორც წესი, საქართველოს კომპარტიის ზედა ეშელონებში მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირების შესახებ ფართო საზოგადოება ინფორმირებული არასოდეს ყოფილა. ყველა ის მასალა, რაც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ, პარტიულ არქივებში ინახებოდა გრიფით – „სრულიად საიდუმლო!“.

აქედან გამომდინარე, „მაფალუს“ მოძრაობის ბევრი საკითხი საქართველოს ფართო საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა. მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის განკარგულების მიუხედავად, საზღვარგარეთ, ქართულ ემიგრაციას ხელი მიუწვდებოდა საქართველოს კომპარტიის შიდაპარტიული დაპირისპირების გარკვეულ ფაქტებზე, იმაზე, რომ საქართველოში სერიოზულად დადგა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ისინი, ქართველი ემიგრანტები, ამ შემთხვევაშიც განზე არ გადგნენ. ჩვენთვის უცნობია თუ რა წყაროებით შეიტყო, მაგრამ ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და ორიენტალისტმა მიხაკო წერეთელმაც გაიგო სამეგრელოს ავტონომიასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიაში მიმდინარე დისკუსიის შესახებ.

ამ პრობლემას ის სპეციალური, საკმაოდ დიდი, წერილით გამოეხმაურა, რომელიც მან 1930 წელს ქართული ემიგრაციის პოპულარულ ჟურნალში „თეთრი გიორგი“ (№32) დაბეჭდა[93].

პუბლიკაციის დასაწყისში ის მიანიშნებს, რომ მისთვის ცნობილია საქართველოს კომპარტიის ზედა ეშელონებში სამეგრელოსთან დაკავშირებული ვნებათ-ღელვის შესახებ: „მაფალუს“ მოძრაობამ სამეგრელოში დიდი აღელვება გამოიწვია ქართველთა შორის – ყველაზე უფრო დიდი თვით სამეგრელოს ქართველ-პატრიოტთა შორის. ცოტნე დადიანის სამშობლოს ქართველებმა ითაკილეს ასეთი რამ, ღალატად ჩასთვალეს ეს მოვლენა საქართველოს სამშობლოსადმი, რომლის წინაშე საუკუნეთა ღვაწლი და თავგანწირულება მიუძღვნისთ მათ წინაპართა“.

მ. წერეთელს მიაჩნია, რომ შეშფოთებისა და აღშფოთებისათვის არ არსებობს სერიოზული მიზეზები და ახალიბებს ქართველი ერის კონსოლიდაციის საკუთარ კონცეფციას – რომელიც, მოვლენებს წინ გაუსწრებთ და ვიტყვით, აშკარად შორდება XIX საუკუნის ქართველ „სამოციანელთა“ ყველა იმ ნააზრევს, რის შესახებ ზემოთ ასე დეტალურად ვისაუბრეთ.

რომ მკითხველისათვის ნათელი გახადოს თავისი კონცეფციის საფუძვლიანობა, მიხაკო წერეთელი იწყებს ისტორიული მიმოხილვით და ამტკიცებს, რომ „**საქართველო არასოდეს ყოფილა ცენტრალისტური სამეფო** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ), ისეთი აბსოლუტური მონარქია, როგორიც წარმოიქმნა, მაგალითად, საფრანგეთში და რომელმაც შექმნა საფრანგეთის უმაღლეს ხარისხამდე განვითარებული ცენტრალიზმი“.

შემდეგ მ. წერეთელი ასაბუთებს ცენტრალისტური სახელმწიფოს უარყოფით თვისებებს და კვლავ საფრანგეთის ისტორიული გამოცდილების მოშველიებით ამტკიცებს, რომ საქართველოს შეა საუკუნეების ისტორიული განვითარება არანაირად არ გავს საფრანგეთისას, ხოლო დაეით აღმაშენებლის საქართველო – ლუი XIV საფრანგეთს, რომ „საქართველოს შემადგენლობაშიც სხვადასხვა ნაწილთა წარმომადგენელთა განსაკუთრებული როლი ჰქონდათ მიკუთვნებული სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივ საქმეთა წარმოებაში“. აქედან გამომდინარე იგი ასკვნის: „მადლობელი უნდა ვიყოთ ბედისა, რომ ცენტრალიზმი არასოდეს განვითარებულა საქართველოში და არ უქმნია ის მავნე საქმე, რომელიც მას ყველგან უქმნია, სადაც კი უკერია ქვეყანა“.

შემდეგ მ. წერეთელი ფეოდალური დაქუცმაცების პოლიტიკურ აპოლოგიას აკეთებს: „ყველგან, სადაც დამოუკიდებელი ქალაქები, რესპუბლიკები, ან სამთავროები და სამეფოები დამოუკიდებლად ეითარდებიან, შეიქმნენ დიდი კულტურული ცენტრები; ეროვნული კულტურისა ერთი კი არა, მრავალი დიდი კერა ენთო“.

მას სახელმწიფოებრიეი მოწყობის უფრო გერმანული მოდელი მოსწონს: „საკეთესო მაგალითი ამისა არის გერმანია, – ხოლო საწინააღმდეგო საფრანგეთი, სადაც აბსოლუტურმა მონარქიამ შექმნა ცენტრალიზმი ...“

ამრიგად მ. წერეთლის მიხედვით ცენტრალიზმს დეცენტრალიზაცია სჯობია.

შემდეგ ის საქართველოს მაგალითებს იშველიებს: „და მიუხედავად თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიათა გაერთიანებისა რუს-ოსმალოს ომების შემდეგ XIX საუკუნეში, თავისებურება საქართველოს ნაწილთა უკლებლივ დარჩა. საქართველოს ნამდვილი ერთობა ქართველი ერის კულტურული ერთობა იყო და ქართველობის შეგნება იყო. დღესაც ასე-

თია საქართველოს აგებულება: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, თვით რაჭა-ლეჩხუმი, ხევსურეთი, ფშავეთი, თუშეთი უბრალო მაზრები, ადმინისტრაციული კუთხეები კი არ არიან, არამედ ინდივიდუალური სახისა და ისტორიის მქონე ნაწილი საქართველოისი – საკუთარ თვისებებით, ზნე-ჩვეულებებით, ხასიათით განსხვავებული ურთი-ერთისაგან. ყოველივე ეს ქმნის საქართველოს მრავალფეროვნებას, ხოლო არ არღვევს საქართველოს და ქართველი ერის მთლიანობას, არამედ სიმდიდრეა საქართველოსი. საქართველო მუდამ ასეთი იყო, მაგრამ გაერთიანებულმა მეფეთ-მეფეთა საქართველომ ძველად შესაფერისი პოლიტიკური ფორმა გამონახა ამ მრავალფეროვნების ერთობად ნამოქნისა."

რას სთავაზობს ქართველ ერს საზღვარგარეთ გადახვეწილი გამოჩენილი თანამემამულე: „პოლიტიკური აგებულება საქართველოსი ავტონომიურ კანტონთა კავშირი უნდა იყოს. საქართველოს ყოველ კუთხეს, რომელიც ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს, რომელსაც სრულიად გარკვეული სახე აქვს, უნდა მიეცეს საშუალება საკუთარი ცხოვრება თვით მოაწყოს და სრულიად საქართველოს სახელმწიფოს მისთვის ზრუნვა იმოდენად უნდა დასჭირდეს, რამდენადაც მისი მოვალეობა იქნება მისი შემადგენელი ყოველი ნაწილისათვის ზრუნვა. კანტონთა ინიციატივამ, თვითმოქმედებამ უნდა შექმნას საქართველოს ყველა კუთხეში კულტურული ცენტრები, რომელთაგან სხივი კულტურისა მოეფინება არა მარტო თვითოეულ კუთხეს, არამედ მთელ საქართველოს..."

მ. წერეთელის აზრით ასეთ კანტონალურ სისტემაში უფრო ნაყოფიერი იქნება „ნამდვილი წარმომადგენლობა ხალხისა, ნამდვილი კავშირი ხალხისა და კანონ-მდებელთა შორის, ნამდვილი მზრუნველობა განმგებელთა განგებულთათვის, ხალხის კონტროლი თავის არჩეულთა და სხვ. ყოველივე ეს უფრო განსახორციელებელია მცირე კანტონში, სადაც მოქალაქენი თითქმის ყველა იცნობენ ურთიერთს და ნაკლებად მოსტყუვდებიან არჩევნებში და ნაკლებად გააბედვინებენ პოლიტიკურ პიროვნებათ, მათ პირად ან პარტიულ ამბიციებს ანაცვალონ ხალხის ინტერესები..."

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აქვეა მ. წერეთლისეული შეფასება „მაფალუს" მოძრაობისა – „ჩვენის ფიქრით, „მაფალუ" არც ღალატია საქართველოსი, არც საფრთხე საქართველოს მთლიანობისათვის. იგი ბუნებრიეი მოძრაობაა იმ დროისა, როდესაც ყოველი ეროვნული ინდივიდუალობა და თავისებურებებით თვით ერის ნაწილთა განმტკიცებად მიისწრაფვის".

და აი დასკვნაც: „სამეგრელო იქმნება ავტონომიური კანტონი და ორგანული ნაწილი ფედერატიული საქართველოისი, თვისის მშვენიერი მეგრული

ენით, რომლის კულტურაც ბუნებრივი მოთხოვნილება და მოვალეობა იქმნება ყოველი მეგრელისა და თვით სამეგრელოს კანტონისა...“

აქ გავჩერდეთ...

წინამდებარე წერილში მ. წერეთელი ბევრ სხვა საკითხსაც ეხება, რომელშიც აშკარად ვლინდება მისი უარყოფითი დამოკიდებულება საპარლამენტო რესპუბლიკის მიმართ საერთოდ, საპარლამენტო დებატებისა და დემოკრატიის სხვა ატრიბუტიკისადმი – ეს უარყოფითი დამოკიდებულება აშკარად ნასულდგმულებია ქართველ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებთან მისი პოლიტიკური დაპირისპირების გამოცდილებით...

მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც არის – მიხაკო წერეთლის მიხედვით **ფედერატიული საქართველო, კანტონალური ტიპის რეგიონებით, არის საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობისა და ქართველი ერის კონსოლიდაციის საუკეთესო მოდელი**.

მისაღებია თუ არა მ. წერეთლის ეს შემოთავაზება, შეიძლებოდა თუ არა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს საფუძვლად დასდებოდა ყველა რაციონალური პოლიტიკური სისტემა კანტონალური რეგიონებით? ამ პროექტზე თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ მ. წერეთელი ქართველებს სახელმწიფო მოწყობის შეუცვალებელ მოდელს სთავაზობს და მიანია, რომ სწორედ ეს მოდელი შეესაბამება საქართველოს ისტორიულ განვითარებას.

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ?

ჩვენ საკითხების მხოლოდ ორ წრეს შევეხებით: ისტორიულს და პრაქტიკულს.

ისტორიული: 1. ავტორი ამტკიცებს, რომ საქართველო „არასოდეს ყოფილა ცენტრალისტური სამეფო ისეთი აბსოლუტური მონარქია, როგორიც წარმოიქმნა, მაგალითად, საფრანგეთში და რომელმაც შექმნა საფრანგეთის უმაღლეს ხარისხამდე განვითარებული ცენტრალიზმი“.

მ. წერეთელი იყო გამოჩენილი ორიენტალისტი. ის საქართველოს ისტორიის მკვლევარი არ ყოფილა და თანაც ემიგრაციაში მოწყდა საქართველოს ისტორიის კვლევის ქართულ ტრადიციებს, სადაც როგორც 20-30-იან წლებში, განსაკუთრებით კი 60-80-იან წლებში სერიოზული საკვლევაძიებო სამუშაოები მიმდინარეობდა და საქართველოს ისტორიის ბევრი საკითხი ახლებურად იქნა წარმოჩენილი. ამ საკითხებს შორის სპეციალურად იქნა შესწავლილი ქართულ-ფრანგული ისტორიული პარალელები და დასაბუთდა, რომ ქართული კლასიკური ეპოქის ფეოდალიზმი საოცარ სიახლოვეს ავლენს სწორედ ფრანგულ ფეოდალიზმთან, რომ ბუნებრივი და ორგანული განვითარება ფეოდალიზმისა საქართველოში წარიმართებოდა

სწორედ ფრანგული მოდელით, რომ მისთვის აგრესიულ მეზობლებს ხელი არ შეეშალათ[94].

ასევე გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ აბსოლუტური მონარქია, რომლის კლასიკური მოდელი სწორედ საფრანგეთია, შესამჩნევია უკვე საქართველოს ისტორიის კლასიკურ ეპოქაში, რადგან მისი საკმაოდ თვალსაჩინო ელემენტები ან უკვე იძებნება, ან პოტენციაში არსებობდა[95]. სამწუხაროდ, მონღოლების შემოსევამ XIII საუკუნეში ყველაფერი ეს წყალს გაატანა.

ამრიგად, საქართველო თავისი ისტორიული განვითარებით უფრო საფრანგეთთან იყო ახლოს, ვიდრე გერმანიასთან (ავტორის ამ სიმპატიების სათავეებზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით).

2. ავტორს აშკარად მოსწონს დაქუცმაცებული სახელმწიფოები და ეწევა მათ აპოლოგიას. ამ შემთხვევაში ის ორიგინალი არ არის – ყველა სტუდენტისათვის ცნობილია, რომ ისტორიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ფეოდალური დაქუცმაცება ხელს უწყობს „ქალაქები, რესპუბლიკები ან სამთავროები და სამეფოები დამოუკიდებელი ქალაქები, რესპუბლიკები ან სამთავროები და სამეფოები დამოუკიდებლად ვითარდებიან. შეიქმნენ დიდი კულტურული ცენტრები; ეროვნული კულტურისა ეროი კი არა, მრავალი დიდი კერა ენთო". ამის მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ საქართველოს ისტორიიდანაც – როცა ვახტანგ გორგასლის საქართველო დაიშალა და ერანმა მეფობა გააუქმა, ხოლო არაბების შემოსევებმა ახალი სამეფო-სამთავროების წარმოშობა განაპირობეს. მართლაც, საოცრად აღორძინდა ადგილობრივი ეკონომიკა, შეიქმნა არა ერთი საინტერესო კულტურული ცენტრი.

ასე იყო საფრანგეთშიც, კიევის რუსეთშიც და სხვა ქვეყნებში – ეს ისტორიული კანონზომიერების გამოყენებაა. მაგრამ ეს „კეთილდღეობა" ძალიან მალე უბედურებად იცვლება, როცა გარეშე სერიოზული საფრთხე ჩნდება (ამის ტიპიური მაგალითია უზარმაზარი კიევის რუსეთი, რომელიც სწორედ ფეოდალური დაქუცმაცების შედეგად აღმოჩნდა მონღოლთა მრავალსაუკუნოვან მონობაში).

ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველომ ისტორიული განვითარების ლოგიკით დაძლია ეს ეტაპი და შექმნა ძლიერი ცენტრალიზებული მონარქია თვითმპყრობელი მეფით სათავეში. ის რაც მოხდა გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში, ეს გარეშე აგრესიული მეზობლების მოქმედების, ბიზანტიის დამხობის და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაგნაციის მიზეზებში უნდა ვეძებოთ. სწორედ ამ პერიოდმა უზრუნველყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შეჩერება, რამაც შეაფერხა ცენტრისკენული (ერთიანობისაკენ მიმართული) ტენდენციები და ჩააცემენტა ადგილობრივი თავისებურებები, რომლებიც მოგვიანებით უკვე

აშკარად ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთიანს, სოგადქართულს (გავიხსენოთ XIX საუკუნის საქართველო).

ფაქტობრივად მ. წერეთელი ამ ადგილობრივი ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების კომპენტირების იდეას აყენებს, იმის იმედით, რომ მტკიცედ სჯერა, „ნამდვილი ეროვნული ერთობა ვერც ამ გარემოებამ მოსპო. მას სხვა ძირები ჰქონდა და ეს ძირები ვერ აღმოფხვრა ვერავითარმა გრიგალმა შემოსეულთა...“

აშკარად აქ მეტაფიზიკურ ისტორიულ ერთობაზე არის მინიშნება. მაგრამ შეორე აბზაცშივე მ. წერეთელი იმასაც ამტკიცებს, რომ „მის შემდეგ **ყოველთვის მოკლე იყო აღდგენილი ერთობა** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) ჩვენი ქვეყნისა...“

ამრიგად ავტორს ბოლომდე არ აქვს გადაწყვეტილი – ქართველთა ერთობა მარადიული იყო, თუ მოკლეხნიანი... მას, როგორც ჩანს, სერიოზულად დააეჭვებდა ილია ჭავჭავაძის მიერ გულისტკივილით ნათქვამი: „აბა დაიძახე: ქართველო თქო, თუ შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღია-გადმოცემულის ქართლელის მეტმა (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრებმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნებ კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენსკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გაათხოვებენ, თითქოს იმათ არ ეძახიო, თითქოს ისინი კი ქართველები არ არიანო“ ე.ი. იმ ერთობისაგან, რომლის მისტიკური ძალის იმედი მ. წერეთელს აქვს, XX საუკუნის დასაწყისში ბევრი არაფერი იყო შემორჩენილი. საჭირო იყო მიზანმიმართული ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მუშაობა.

3. არ შეიძლება მკითხველს თვალში არ მოხვდეს, რომ მ. წერეთელისეულ დაქუცმაცებულ საქართველოს სამოსიათვალში სერიოზული ხარვეზია: „საქართველოს აგებულება: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, თვით რაჭა-ლეჩხუმი, ხევსურეთი, ფშავეთი, თუშეთი...“ – სამოთველის ავტორი. აქ არ იხსენიება აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი, ანუ „სამუსლიმანო საქართველო“. არ შეიძლება მ. წერეთელს არ გახსენებოდა საქართველოს ეს ისტორიული კუთხეები, რომლებიც თურქეთის ექსპანსიის შედეგად სარწმუნოება და პოლიტიკური ორიენტაცია გამოცვლილი იყო და, როგორც ზემოთ დავინახეთ, უფრო თურქეთის სულთანზე ოცნებობდა, ვიდრე თამარსა და დავითზე. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი ინტელიგენციის პროქართული მცდელობების მიუხედავად, დიდი ხნის მანძილზე საკმაოდ დიდ პრობლემებს ქმნიდა რელიგიური განსხვავება აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთის რეგიონში. აფხაზეთიც, რომელიც, მართალია, დასახელებულია მ. წერეთლის ჩამონათვალში, XX საუკუნის დასაწყისში ვითარება უკვე რადიკალურად განსხვავდებოდა XIII

საუკუნის აფხაზეთისაგან თავისი პოლიტიკური ორიენტაციითაც და ეთნიკური შემადგენლობითაც.

4. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ საქართველო XIX-XX საუკუნეში – ტიპიური კოლონიალური ქვეყანა იყო, სადაც რუსეთის იმპერია ყველანაირად თიშავდა ქართველებს, მეგრელებსა და სვანებს: უქმნიდა ანბანს, ხელს უწყობდა ქართველების კონფესიურ მრავალფეროვნებას (მ. წერეთელს არსად არ აქვს მოხსენებული ქართველთა რელიგიური ერთობის შესახებ, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში, რა თქმა უნდა, ის აღარ იყო, რაც XIII ს. და, აქედან გამომდინარე, მას უკვე აღარ შეეძლო შეესრულებინა ერის მაკონსოლიდირებელი ფუნქცია).

თავისი კონკრეტულ-ისტორიული თავისებურებებით XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს კუთხეები მსგავსებას უფრო იუგოსლავიასთან ავლენდნენ, ვიდრე შვეიცარიასთან.

ახლა **პრაქტიკულ** საკითხებზე გადავიდეთ:

1. მ. წერეთლის იდეალია ქვეყნის კანტონალური მოწყობა, რამაც, მართლაც, არანაკლებრივი შედეგები მოიტანა ცენტრალურ ევროპაში და, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ჩუშმარიტ პატრიოტს მისი საქართველოში დანერგვა უნდოდა.

მაგრამ, შვეიცარია ტიპიური, კლასიკური სახელმწიფო არ იყო. ის ძირითადად „სამონატეხი" ეთნოსების: ფრანგების, გერმანელების, იტალიელებისაგან – სხვადასხვა გარემოებების გამო გამოთიშული ეთნოსების მონოლითური შეკავშირების საფუძველზე ჩამოაყალიბა განსაკუთრებულმა ისტორიულმა პირობებმა, რაც შეიქმნა ცენტრალურ ევროპაში ადრე შუა საუკუნეებში. ეს „სამონატეხი" ეთნოსები ენითაც და კულტურითაც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ძირითად, მშობელ ერებთან და მუდამ გაინცდიდნენ მათ კულტურულ ზეგავლენას. ძლიერი კულტურული იმპულსები, მომდინარე ეროვნული ცენტრებიდან, ინარჩუნებდა ამ ჩამონატეხი ეთნოსების მჭიდრო ნათესაობასა და კავშირს.

გვიან შუა საუკუნეებში, რეფორმაციისა და სახოგადოების კაპიტალიზაციის კვალდაკვალ, შვეიცარიაში მობინადრე ფრანგები, გერმანელები და იტალიელები ერთობლივად ენერგიულად ჩადგნენ პროტესტანტიზმის იდეოლოგიის საფუძველზე კაპიტალიზმის ეკონომიკური ურთიერთობის მაშენებელთა რიგებში და ფაქტობრივად ევროპის ცენტრში შექმნეს კაპიტალიზმის შეუდრეკელი ციტადელი. ხოლო კლასიკური კაპიტალიზმის ეკონომიკურმა ბერკეტებმა ისე შეადუღაბა სამ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე და სხვადასხვა კულტურის მატარებელი სამი ეთნოსი, რომ მათ გაუჩნდათ საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტერესებიც, რა-

მაც თანაცხოვრება სრულიად ბუნებრივი და ორგანული გახადა. ეს თავისებურება მთლიანად და განუყოფლად ადგილობრივი მონაპოვარი იყო და მისი გამეორება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუ კი სხვაგან, სხვა ვითარებაში შეიქმნებოდა ზუსტად ანალოგიური ისტორიული პირობები.

ამ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობა რომ სწორია, ამაზე მიანიშნებს იუგოსლავიის ტრაგიკული გამოცდილება. ფაქტობრივად გენეტიკურად ნათესავი ეთნოსი – სამხრეთ სლავები, რომელთაც გვარებიც კი მსგავსი აქვთ, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო სერიოზულად გაითიშნენ კონფესიების მიხედვით: იყვნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, კათოლიკეები და მუსლიმანები. აქედან გამომდინარე, მათ განსხვავებული პოლიტიკური სიმპატიებიც ჰქონდათ.

იყო მცდელობა მონარქიის იდეის საფუძველზე სამხრეთ სლავების გაერთიანების – იგი წარუმატებელი აღმოჩნდა. ასევე იყო ძალისხმევა კომუნისტური იდეის საფუძველზე მათი გაერთიანებისაც (იოსიპ ბროზ ტიტოს მმართველობის პერიოდში) – ასევე წარუმატებელი გამოდგა. დღეს იუგოსლავიის ერთიანი სახელმწიფო ისტორიას ჩაბარდა, ყველა „კანტონი" – დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

აი, საით შეიძლება წაგვიყვანოს იდეამ, რომელიც ზედმეტად გააფეტიშებს ადგილობრივ თავისებურებებს და მამა-პაპათა ტრადიციებს ერთიანი ეროვნული მსოფლმხედველობის საზიანოდ, და მას ერთიანი სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ წარმართავს.

2. მ. წერეთლის პროექტის მიმართ შეკითხვებს აღძრავს ისიც, რომ წერილში არ იგრძნობა საქართველოში საკმაოდ მრავალრიცხოვანი დიასპორების (სომხების, აზერბაიჯანელების, ბერძნების, გერმანელების, ოსების და ა.შ.) არსებობა – როგორ უნდა მოწყობილიყვნენ ისინი – კანტონალურად თუ დიფუზიურად? **როცა ქვეყნის მოსახლეობის მესამედი არამკვიდრი ეროვნების წარმომადგენელია, ძირითადი ეთნოსის დაქუცმაცება ეთნოგრაფიული ნიშნით ხელს არ შეუწყობდა არა მარტო ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს, არამედ თვითონ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს არსებობასაც.**

3. საფრანგეთის ისტორიის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება და გერმანიის პოლიტიკური მოწყობის იდეალიზაცია, საპარლამენტო დემოკრატიის დასავლური მოდელის მიუღებლობა და ა.შ. სწორედ ის იდეოლოგიური საფუძველი გახდა, რამაც მ. წერეთელი და მისი მეგობრები ფაშისტური გერმანიის ლიდერებთან სათანამშრომლოდ განაწყო და ჰიტლერის მსახურთა რიგებში ჩააყენა. მიგვაჩნია, რომ საფრანგეთისადმი მისი ზედმე-

ტად კრიტიკული დამოკიდებულება და გერმანული ფენომენით აღფრთოვანება მ. წერეთლის პროფაშისტური სიმპატიებით შეიძლება აიხსნას.

ამრიგად, **მ. წერეთლის ზემოთაღნიშნული შემოთავაზება არ შეესაბამებოდა ქართველი ერის კონსოლიდაციის ამოცანებს** (მ. წერეთლის შეხედულებების რეამინაცია საქართველოში მოხდა XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში და მან ქართული ინტელიგენციის დიდი ჯგუფის კრიტიკული დამოკიდებულება გამოიწვია, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

§ 11. – საქართველოს ინტელიგენცია და ეროვნული ერთიანობის იდეა XX საუკუნის 20-იან წლებში

ერთიანის პოლიტიკური ვითარება, როცა ერის კონსოლიდაციის პროცესს სერიოზული საფრთხე დაემუქრა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ყოვლისმომცველი პოლიტიკის გამო ქართველების ყოფნა-არყოფნის საკითხი წამოიჭრა, კვლავ ქართული ინტელიგენცია დადგა (ეკვე მეორედ) ქართველობისა და მამულიშვილობის სადარაჯოზე.

ამას აპირობებდა მთლიანად მსოფლიოში და, განსაკუთრებით კი, სამხრეთ კავკასიაში არსებული ერთიანი პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში ქართველი ინტელიგენციის მიერ მშობლიური ერის მიმართ: 1. თავისი პატრიოტული ვალდებულების მწვავე შეგნება-შეგრძნება; 2. ქართველი ერის წინაშე მდგომი ერთიანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი ამოცანების შეგნება-შეგრძნება; 3. ქართველი ინტელიგენციის მიერ ამ პრობლემების მოწესრიგების შესაძლებლობის შეგნება-შეგრძნება.

თავის შესაძლებლობებისადმი ამ რწმენას გარკვეულწილად აძლიერებდა კომუნისტური რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან (განსაკუთრებით ვ.ლენინი იყო უხვი დაპირებებზე) ქართველი ინტელიგენციის მიმართ დასახული კომპრომისული პოლიტიკა, როცა კომუნისტური კატეგორიულობა და შეურიგებლობა აშკარად შეიცვალა მასთან თანამშრომლობის სურვილით.

ამ კომპრომისისათვის მზაობა ვ.ი. ლენინის ქართველ კომუნისტებთან პირველივე, 1921 წლის 3 მარტის სატელეფონო საუბარშიც გამოვლინდა. „საჭიროა განსაკუთრებით შეღავათიანი პოლიტიკა ქართველი ინტელიგენციის მიმართ“ – აღნიშნავდა ოქტომბრის ბელადი[96].

მართლაც, ეს კომპრომისი დაიწყო იმით, რომ ქართველი კომუნისტები შეხვდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლებს სახელმწიფო თეატრში, რომელსაც 1335 კაცი დაესწრო, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია და აშკარად იმ-

ჟამად ქართული ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. ამ შეხვედრაზე ქართველი კომუნისტების ერთ-ერთმა ლიდერმა შ. ელიავამ განაცხადა შემდეგი: „საბჭოთა რუსპუბლიკა პირველია, როცა სახელმწიფო ყოველმხრივ ეხმარება ხელოვნებისა და კულტურის ასპარეზზე მომუშავეთ...“[97].

3 მარტს კვლავ შედგა კომუნისტების ლიდერების შეხვედრა ქართული კულტურის მოღვაწეებთან. ამჯერად შეხვედრა გახსნა პოეტმა პაოლო იაშვილმა. საბჭოთა ხელისუფლება ინტელიგენციას ყოველმხრივ მხარდაჭერას დაპირდა და საჩუქრად ქართველ მწერლებს გადასცა ქართველი ბიბნესმენის ა. ხოშტარიას სახლი. ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველი იტელიგენციის მიმართ იმთავითვე გამოიყენა „თაფლკვერის“ პოლიტიკა. შემდეგ ქართველი კომუნისტები ამ პოლიტიკას არაერთხელ წარმატებით გამოიყენებენ.

ქართველ ინტელიგენციაში თავიდანვე გამოიკვეთა ორი მიმართულება: კომპრომისული და შეურიგებელი. შეიძლება კონსტატაცია გავუკეთოთ ფაქტს, რომ საქართველოში, ახალ ისტორიულ ეითარებაში კვლავ აღორძინდა რუსეთის მიმართ ორი ისტორიული ტენდენცია, რაც მუდამ დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის საქართველოს სახოგადოებრივი ცხოვრებისათვის: ა) მკეთრად უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობის მიმართ; და ბ) ლოიალობა და თანამშრომლობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღორძინების მიზნით.

შეურიგებელი ქართველი ინტელიგენცია, როგორც პარტიული (ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ა.შ.), ისე შემოქმედებითი (კ. ნადირაძე, მ. ჯავახიშვილი, ნ. კეცხოველი და სხვ.), სასულიერო (პატრიარქი ამბროსი (ხელაია), კ. ცინცაძე, კ. კეკელიძე და სხვ.) თავიდავე დადგნენ კომუნისტური ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში და თავის შემოქმედებასა და საჯარო გამოსვლებში გმობდნენ კომუნისტური დიქტატურის დამყარებას. ამის გამო ისინი სხვადასხვა დროსა და სვადასხვა ფორმით მკაცრადაც დაისაჯნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

ინტელიგენციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ძალიან მალე ჩადგა საბჭოთა სისტემასთან თანამშრომელთა რიგებში პრინციპით „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“ და შეეცადა ქართველი ერის სასარგებლოდ გამოეყენებინა ეს თანამშრომლობა. ეს ჯგუფი სწორად ვარაუდობდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში საჭირო იყო ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, ქართული სკოლის, განათლების ქართული ერთიანი სისტემის განყოთარება და თუ ახალი საბჭოთა ხელისუფლება მათ ამ ამოცანების გადაჭრაში დაეხმარებოდა, ინტელიგენციის ეს ჯგუფი მზად იყო თანამშრომლობისათვის.

აქედან გამომდინარე, ჩვენ არ გვიკვირს, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომელთა პირველ რიგებში დგას დიდი ივანე ჯავახიშვილი. არსებობას უკვე 1921 წლის აპრილში დათარიღებული მისი თხოვნა კომუნისტური ხელმძღვანელობის მიმართ თბილისის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად მატერიალური დახმარების შესახებ, აქვეა მისი თხოვნა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესავსებად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის სავალუტო რესურსების გამოყოფის შესახებ და ა.შ.[98]

ივანე ჯავახიშვილი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში თბილისის უნივერსიტეტთან ერთად ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს, რომელშიც იმჟამად თბილისში მოღვაწე თითქმის ყველა დამსახურებული სამეცნიერო პირი იყო გაერთიანებული. საბჭოს მიზანი იყო ქართულ საგანმანათლებლო სივრცეზე კონტროლი და სახელმძღვანელოების მომზადება ქართული სკოლებისათვის, საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისათვის ხელისშეწყობა და ა.შ.

ის რომ, კომუნისტურ რეჟიმთან ურთიერთობაში ივანე ჯავახიშვილი და სხვები ერთობ აქტიურობას ინერღვნენ, სრულიად გასაგები ხდება იმ ეროვნული ამოცანების გათვალისწინებით, რაც იდგა ქართველი ინტელიგენციის წინაშე იმჟამად – ტორალური ინტერნაციონალიზმის შემოტევისა და კომუნისტური მემარცხენე იდეოლოგიის გაბატონების პირობებში (რაზეც სემოთ გამოკვეთილად ვისაუბრეთ) საჭირო იყო მაქსიმალური მოქნილობის გამოჩენა, რომ გადაერჩინათ ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა. ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა უმძიმესი, 20-იანი წლების დასაწყისში გააგრძელეს ქართველი ერის კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის ფორმირების იღიასებული ამოცანების რეალიზაცია და ამ საქმეში კომუნისტური ხელისუფლება დაიხმარეს.

ქართველი ინტელიგენციის პრაგმატული ჯგუფის მოღვაწეობა შედეგიანი აღმოჩნდა. ხოლო მათი ყველაზე დიდი დამსახურებაა, რომ საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ საქართველოს პირველ კონსტიტუციაში შეიტანა სპეციალური მუხლი, რის საფუძველზეც ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა.

ეს, ფაქტობრივად ლენინური ენობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული აშკარა ნაბიჯი იყო, რადგან კომუნისტური დოგმატიკა მოითხოვდა: „არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არცერთ ენას!“ და, აქედან გამომდინარე, რუსეთის პირველი საბჭოთა კონსტიტუციაში არ არის მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ.

ქართველი ინტელიგენციის ეს ისტორიული გამარჯვება დიდხანს გაჰყვება საქართველოს და ურთულეს პოლიტიკურ ვითარებებშიც კი უზრუნველ-

ყოფს ქართული ენისათვის ელემენტარულ უფლებებს, რაც კი კომუნისტური უნიტარული უნიფიცირების პირობებში იქნება შესაძლებელი.

სამაგიეროდ, ქართველი ინტელიგენციის მეორე, შეურიგებელი ნაწილი აშკარად დაუპირისპირდა საბჭოთა ხელისუფლებას შემოქმედებითი თუ არალეგალური მუშაობით. მათ შესახებ ინფორმირებული იყო საბჭოთა ხელისუფლება. „ჩეკას" აგენტურა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ამ კატეგორიის ინტელიგენციის მიმართ და მისი ანგარიშები ჩინებული წყაროა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქართველი ინტელიგენციის გუნება-განწყობის შესასწავლად. დაფიქსირებულია ანტისაბჭოთა საუბრები თბილისის ოპერის თეატრში, უკმაყოფილების საკმაოდ დიდი მუხტი ქართველ პედაგოგებში, უნიტვერსიტეტის სტუდენტებში და ა.შ..

ოპოზიციური ქართველი ინტელიგენციის მიმართ არსებობს ი. სტალინის მეტად საყურადღებო წერილი ს. ორჯონიკიძისადმი. წერილი ეხება პარტიულ ინტელიგენტს სეით დევდარიანს – ცნობილ პოლიტიკურ და სახოგადო მოღვაწეს. აი, რას სწერდა სტალინი: „შენ მეკითხები მე ახრს დევდარიანზე. აი ის... გამოიყენეთ დევდარიანი მოკლე ხნის მანძილზე, რათა გახრწნათ მენშევიკი მუშები, თუკი ასეთი ჯერ კიდევ დარჩა საქართველოში. ხოლო შემდეგ მოისროლეთ ის საზღვარგარეთ, აუცილებლად მოისროლეთ"[99].

საოცრად გულწრფელი აღიარებაა – საბჭოთა ხელისუფლებას ინტელიგენცია სჭირდებოდა საკუთარი პრაგმატული ამოცანების შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მოწოდება – „მოისროლეთ საზღვარგარეთ" – ეს ყველაზე ასატანი გაკიცხვის ფორმა იყო ტოტალიტარულ სახელმწიფოში. სტალინის ეს წერილი აშკარად მიუთითებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ბოლომდე არ ენდობოდა ქართველ ინტელიგენციას. უკვე არსებული თანამშრომლობა – აუცილებლობით იყო გამოწვეული და მას მუდამ ბალანსირება სჭირდებოდა. ამ რთულ ურთიერთობებს ზოგჯერ აშკარა ჩავარდნებიც მოჰყოლია, როცა ქართველი ინტელიგენცია ზედმეტად ავლენდა თავის პატრიოტულ ბუნებას. ასეთ დროს საბჭოთა სამართალი ზედმეტად მკაცრი ხდებოდა ხოლმე.

კომუნისტების მზაობას – ეთანამშრომლა ქართველ ინტელიგენციასთან გამოეხმაურა ადრესატი – ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია. უამრავი ფაქტია, რაც ამტკიცებს საბჭოთა რეჟიმთან თანამშრომლობას საბჭოთა სისტემის დამკვიდრებისთანავე.. მაგალითად, 1921 წლის 27 მარტს პაოლო იაშვილმა გააკეთა საჯარო მოხსენება „რევოლუცია და ხელოვნება" და მასში ხაზი გაუსვა, რომ „ხელოვნება ყოველთვის წინ უძღვის რევოლუციას, დიდებული მწერლები ყოველთვის წინასწარ გამოიცნობენ ხოლმე ახალ გზას... ქართველი პოეტები ყოველთვის იდგნენ რევოლუციის

გზაზე... ქართული ხელოვნება მთლიანად იღებს ლოზუნგს ხელოვნება მასებისაკენ, ოთახიდან ქუჩაში... ხელოვნება თანამგზავრია რევოლუციის". ასეთი პათეტიკური სიტყვები საქართველოს „გასაბჭოების" თვისთავზე რეჟიმისადმი აშკარად ლოიალობას მიანიშნებს. ასეთი ლოიალობის მაგალითებიც საკმაოა...

როცა სტალინი თბილისში იმყოფებოდა, საქართველოს კპ (ბ) ცეკამ განიხილა გერმანიაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის საკითხი. ამ თანამდებობაზე შეირჩა ცნობილი ქართველი მოღვაწე გერონტი ქიქოძე – სტალინის კარგი ნაცნობი, ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციიდან.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან სახალხო დაების შემსწავლელ კომისიაში შეიყვანეს მწერალი და მეცნიერი პავლე ინგოროყვა.

მწერალი და სახოგადო მოღვაწე გრიგოლ რობაქიძე სათავეში ჩაუდგა განათლების სახალხო კომისარიატის ერთ-ერთ ქვედანაყოფს – მთავარ სახელოვნებო კომიტეტს[100].

1924 წლის აჯანყებამ გარკვეულწილად შექმნა პრობლემები კომუნისტურ რეჟიმსა და ქართველ ინტელიგენციას შორის. რიგი ქართველი ინტელიგენტი აშკარად მონაწილეობდა აჯანყებაში. რიგიც – აშკარად ან ფარულად თანაუგრძნობდა მას. მაგრამ აჯანყებამ, მისი ტრაგიკული დასრულების შემდეგ, გარკვეული ხღვარი გააყლო წარსულსა და აწმყოს შორის. ქართველი ინტელიგენციის ძირითადი და შემოქმედებიოი ნაწილი დარწმუნდა: 1. საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია და აღმავლობის გზაზეა; 2. ევროპა უსუსურია და სანდო არ არის, გადამწყვეტ ბრძოლებში მისი იმედი არ უნდა გქონდეს; 3. კავკასიის ხალხებს ერთმანეთისაგან იმდენი რამ განასხვავებს, იმდენად განსხვავებული ინტერესები ამოძრავებთ, რომ მათგან ერთიანი, ანტირუსული ფრონტის შექმნა ხღაპრული ქიმერაა.

აქედან გამომდინარე ქართველმა ინტელიგენციამ მიიღო იმჟამად ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: ქართული საქმის კეთებაში დამდგარიყო საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გვერდით და თავისი სულიერი პოტენციალი დაეხარჯა ერის კონსოლიდაციის ილიასეული პროგრამის განხორციელებაში.

ეს მასობრივი შემობრუნება, ეს გულწრფელი თუ კონფორმისტული თანამშრომლობა უკვე აშკარად სახეზეა 1927 წელს.

5 აგვისტოს ხელოვნების სასახლეში გაიმართა საქართველოს ინტელიგენციის შეკრება. ამ შეკრების ინიციატორი ნიკო ნიკოლაძე ჩანს. შეხვედრაზე აღინიშნა: „გარდამავალი ხანის შემდეგ ჩვენი ქვეყანა გამოდის მტკიცე აღმშენებლობის გზაზე... საქმის დიდი უმეტესობა, ცხრამეათედი მაინც იმ გზით მიდის, რომელსაც ქართველი ინტელიგენცია მუდამ შენატროდა და

შენატრის". შეხვედრაზე გამოითქვა აზრი: „ყველა ქართველი გვერდში ამოუდგება ჩვენს მთავრობას და მასთან ერთად იბრძოლებს..."; ისიც აღინიშნა, რომ „ამჟამად ჩვენს უმთავრეს ამოცანას უნდა შეადგენდეს იმ გზების გამონახვა, რომელიც საშუალებას მისცემს ინტელიგენციას პრაქტიკულად ჩაება საბჭოთა აღმშენებლობაში"[101].

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო მხოლოდ ფორმალური განცხადება. ქართველი ინტელიგენცია, ყველაფრის მიუხედავად, ჩადგა ქართველი ერის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისა და კულტურული განვითარების მშენებელთა რიგებში – ეს მისი უპირველესი მოვალეობა იყო. განსაკუთრებით პრინციპული და შეუვალი იყო ქართველი ინტელიგენცია ეროვნული კონსოლიდაციის განსახორციელებელი მთავრობის საქმიანობის შეფასებისას. მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველი ინტელიგენცია (ვ. კოტეტიშვილი, კ. გამსახურდია და სხვ.) სერიოზულად აკრიტიკებდა აჭარის დელეგაციის მიერ წარმოდგენილ პროექტს, რომლის მიზანი იყო ეთნოგრაფიული განსხვავებების საბაბით დაექუცმაცებინათ, დაესუსტებინათ ერთიანი ქართული სხეული.

შეუვალი და პრინციპული იყო ქართველი ინტელიგენცია სამეგრელოში აშორდისტული მოძრაობის აღორძინებისა და ისაკ ქვანიას ანტიქართული საქმიანობის აქტივიზაციის დროსაც (დ. თოფურიძე, კ. გამსახურდია, ო. სახოკია და სხვ.).

შეუვალი და პრინციპული იყო ქართველი ინტელიგენცია მაშინაც, როცა გავრცელდა ხმები საქართველოს სამუზეუმო სიძველეების რუსეთში გატანის შესაძლებლობის შესახებ, ინტელიგენციის ჯგუფმა პრინციპულად დაგმო ეს უკანონობა და დაიცვა ეროვნული საგანძური უხეში ხელყოფისაგან[102].

უდიდესი ძალისხმევა მოახმარა ქართველმა ინტელიგენციამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რუსეთში გატანილი სამუზეუმო და საარქივო სიძველეების სამშობლოში დაბრუნების კეთილშობილურ საქმეს (შ. ამირანაშვილი და სხვ.)

ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს საქართველოს ინტელიგენციას შეემატა უკვე ახალი ნაკადი – ე.წ. „წითელი" ინტელიგენცია – კომუნისტური ხელისუფლების ხელშეწყობით საქართველოს მუშებისა და უღარიბესი გლეხობის რიგებიდან გამოსული განათლებული ახალგაზრდობა, რომელთა შორის ძალიან ბევრი აღმოჩნდა ღირსეული და ნიჭიერი შემოქმედი. მათ ზედმეტ კომუნისტურ სიფიცხეს და რადიკალიზმს, ანეიტრალებდა საქართველოს სიყვარული და აშკარად ქართული საქმის კეთების სურვილი.

ამრიგად, 20-იანი წლების დასასრულს სახეზეა ქართული კულტურის ორი ნაკადი – ტრადიციული ინტელიგენცია, რომელიც დახვდა საბჭოთა ხელისუფლებას და რომელთანაც გარკვეული პრობლემები მუდამ ჰქონდა არსებულ რეჟიმს; და ახალი ნაკადი – საბჭოთა ე.წ. „წითელი“ ინტელიგენცია. ისინი გარკვეულ პერიოდში თანაცხოვრობდნენ, თანაარსებობდნენ, ექიშპებოდნენ ერთმანეთს: აკცირდებოდნენ, აკრიტიკებდნენ და თან წინ მიიწევდნენ.

ახლოვდებოდა XX საუკუნის 30-იანი წლები, როცა რადიკალურად განსხვავებული ამოცანები დაედგა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა წინაშე და ამან მათი გადაწყვეტის ახალი გზების ძიების საკითხიც დააყენა. საბჭოთა სახელმწიფო, მისი ხელმძღვანელები, ქართველი ერი და მისი მესვეურები, ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია აშკარად დადგნენ ახალი გამოწვევების წინაშე.

თავი X

ქართველი ერის კონსოლიდაციის სტალინ-ბერიასეული „გეგმა“

§ 1. – საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება

ამიერკავკასიის რესპუბლიკებისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩნდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) უმაღლესი ორგანოს – ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება: „საკ. კ.პ.(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კ.პ.(ბ) ცეკას, აზერბაიჯანის კ.პ.(ბ) ცეკასა და სომხეთის კ.პ.(ბ) ცეკას მოხსენებათა გამო“, რომელიც ჩვენი აზრით, გამორჩეულია და ნიშანსვეტია როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკებისთვის, ისე განსაკუთრებით საქართველოსათვის – ჩვენი აზრით, სწორედ აქედან **დაიწყო ერთიანი, კომპლექსური ქმედება ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის დასასრულებლად**. მართალია, ამ დადგენილებაში არსად არ არის ნათქვამი ქართველ ერზე და მის კონსოლიდაციაზე, მაგრამ მოვლენათა და გაკეთებულ საქმეთა თანმიმდევრობამ, რაც მოჰყვა სწორედ ამ დადგენილების რეალიზაციას, მოგვცა საფუძველი ვამტკიცოთ, რომ სწორედ ამ ისტორიულ მონაკვეთში (1931-1956 წწ.) **საბოლოოდ წარმატებით დაგვირგვინდა და განმტკიცდა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი.**

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით დავასაბუთოთ ეს მოსაზრება.

დაიწყოთ იქიდან, თუ რა შეფასებას აძლევდა ამ დადგენილებას ქართული საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფია.

პარტიულ-ისტორიული ლიტერატურა დადგენილებაზე საუბრისას აქცენტს აკეთებდა მხოლოდ შემდეგზე: „დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაცია იდეურად და პოლიტიკურად გაიზარდა და განმტკიცდა პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის ბრძოლაში“[1].

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ შესაბამის ადგილზე აეტორები კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით, რომ მოაქვთ მხოლოდ საკმაოდ ვრცელი ამონარიდი დადგენილების ტექსტიდან ყოველგვარი შეფასებისა და კომენტარის გარეშე[2].

პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში დადგენილებაზე საუბრისას მიუთითებენ: რომ ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომებს გლეხობის საკითხში და ვერ იქნა უზრუნველყოფილი გლეხობის (ღარიბი, საშუალო) სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა[3].

უდავოდ, ეს საკითხები აქცენტირებული იყო დადგენილებაში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სახეზეა დადგენილების აშკარად ცალმხრივი ინტერპრეტაცია. საერთოდ არ ჩანს ცდა აღნიშნული დადგენილება დაეკავშირებინათ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესებთან, ამ კონსოლიდაციის ეკონომიკური ფუნდამენტის განმტკიცება-განვითარებასთან, ერის სულიერი კულტურის ზრდასთან.

მიგვაჩნია, რომ ამ დადგენილების რეალიზაციით დაიწყო სრულიად განსაკუთრებული პერიოდი სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ისტორიაში, მათ შორის საქართველოს ცხოვრებაში, როცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკური განვითარება ტოტალურად – როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა, როცა გამოიკვეთა ქვეყნის მომავალი განვითარების უპირატესი ორიენტირები, რამაც ხანგრძლივად (საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ, საკმაოდ ვრცელ პერიოდში) უზრუნველყო საქართველოს მეტ-ნაკლებად სტაბილური ეკონომიკური წინსვლა, რაც ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის წარმატებით დასრულების საფუძველი გახდა.

რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს.

სწორედ დადგენილების სულისკვეთება და იმ კონკრეტული ამოცანების ჩამონათვალი, რაც დადგენილების ავტორებმა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინაშე დააყენეს. დადგენილების მთავარი ამოცანა – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული პროგრამის შემუშავებაა, რომელსაც მრავალი ათეული წლის მანძილზე უნდა უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი.

დადგენილება კატეგორიულად აყენებს საქართველოს ტერიტორიაზე, ახლადაღმოჩენილ საბადოებში, ქვანახშირისა და ფერადი ლითონების (პირველ რიგში სპილენძი და ალუმინი) პროგრესული ტექნოლოგიების საფუძველზე წარმოების შემდგომ განვითარებას, ჰიდროელექტრომშენებლობის დარგში უკვე მიღწეული შედეგების გაათკეცებას, მებამბეობისა და მეაბრეშუმეობის სამრეწველო ბაზის გაფართოება-განმტკიცების და ამის საფუძველზე საფეიქრო მრეწველობის განვითარებას. დადგენილებაში ხაზგასმული იყო: „განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბათუმის ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნის მუშაობას, უზრუნველყონ პროგრამის მთლიანად შესრულება... ფერომანგანუმის მრეწველობის ხაზით უზრუნველყოფი-

ლი იქნას საქართველოში ხესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის დამთავრება დანიშნულ ვადაში“. ამ ამოცანების რეალიზაცია ერთიან ეკონომიკურ სივრცეში მოაქცევდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ წარმოებებს და საქართველოს საკუთიდდეოდ მიმართავდა მათ საწარმოო პოტენციალს.

საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობის იყო კონკრეტული ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგშიც. გათვალისწინებული იყო: „საბჭოთა კავშირის უხრწნველყოფა ძვირფასი ტექნიკური სპეციალური კულტურებით (ბამბა, ჩაი, რამი, აბრეშუმი, თამბაქო, ციტრუსოვანი ნარგავები, ლიმონი და მანდარინი...)“. განსაკუთრებით ფასეულად გვეჩვენება დადგენილების ის ნაწილი, სადაც ჩაის კულტურის მასობრივ გავრცელებაზე და მის ფაქტობრივად მონოპოლიურ წარმოებაზეა ყურადღება გამახვილებული. დადგენილება „საქართველოს ორგანიზაციების წინაშე სახავს ჩაის პლანტაციების (საბჭოთა მეურნეობები) მაქსიმალურად გაფართოების საბრძოლო ამოცანას. ავრეთვე ამ კულტურების კოლმეურნეობებში ყოველმხრივ გაფართოების ამოცანას. მთელი რიგი სპეციალური წამახალისებელი ღონისძიებების გზით (პრემით მომარაგება, სამრეწველო საქონლით მომარაგება, შეღავათიანი ხესხის მხრივ და სხვ.). ამასთან მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიამ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ“.

დადგენილებაში ხაზგასმულია შემდეგი დავალებაც: „ყურადღება მიაქციონ ოუთის ხის გაშენების საკითხებს და მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, მეაბრეშუმეობის გავრცელებას კოლმეურნეობებში“. ამრიგად, აღმოსაცლეთ საქართველოს სოფელს – სადაც განსაკუთრებით კარგად ხარობს თუთის ხე, გამოუძებნეს კიდევ ერთი ეკონომიკური სრდის საფუძველი – აბრეშუმის ჭიის მოვლა, რაც აბრეშუმსახვევ-სადახაო ფაბრიკების მშენებლობის ბაზაზე მის საწარმოო დამუშავებასაც გულისხმობდა.

მიგვაჩნია, რომ ასევე უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა დადგენილების იმ ნაწილს, რომელიც სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში საკურორტო მშენებლობის განვითარებასა და საკურორტო ინფრასტრუქტურის შექმნას ითვალისწინებდა: „...განამტკიცონ საქართველოს საკურორტო მეურნეობის გაერთიანების ხელმძღვანელობა და მოაწყონ ამ გაერთიანების ხელმძღვანელობის ქვეშ სანატორიუმების მშენებლობის სპეციალური სააქციო საზოგადოებანი. წინადადება მიეცეთ... დაიწყონ უკვე 1932 წელს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობა ამიერკავკასიის უფრო მნიშვნელოვან კურორტებში (წყალტუბო, აბასთუმანი, ბორჯომი და შავი ზღვის სანაპირო)“.

დადგენილება ასევე შეიცავდა რეგიონის სოციალურ-კულტურული განვითარების ბლოკს, პარტიული ორგანიზაციის ზრდისა და განმტკიცების ამოცანებს, რასაც ჩვენ წიგნის შესაბამის ადგილებზე შევეხებით.

ამჯერად კი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დადგენილების ეკონომიკური ბლოკი:

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მიზნად დაისახეს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის სწრაფი და საკმაოდ მასშტაბური განვითარება, რომელიც შეესაბამებოდა ეროვნულ ინტერესებს:

1. დასახული სამრეწველო გეგმების სარეალიზაციოდ (ზესტაფონის „ფეროს" მშენებლობა, ბათუმის ნაეთობგადამამუშავებული ქარხნის ექსპლოატაცია, ახლადაღმოჩენილი სპილენძის საბადოები, რაც სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებასაც გულისხმობდა, შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები, აშენდებოდა ახალი ქალაქები, გაძლიერდებოდა შიდა მიგრაცია. განმტკიცდებოდა საქართველოს ეკონომიკა – ერის კონსოლიდაციის ძირითადი საფუძველი) მოიზიდვდა საკავშირო ბიუჯეტიდან დაფინანსებას.

2. საქართველოს სოფელი აღმოჩნდა განსაკუთრებული ამოცანების წინაშე: ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასთან ერთად (მევენახეობა, მესაქონლეობა, მესიმინდეობა და ა.შ.), დამატებით და განსაკუთრებით გამორჩევით მას უნდა აეთვისებინა ტექნიკური კულტურები – „ჩაი, რამი, აბრეშუმი, თამბაქო, ციტრუსოვანი ნარგაევები, ლიმონი და მანდარინი...". ამასთან დაისახა ზეამოცანა, რომ სულ რამდენიმე წელიწადში, ფაქტობრივად, საქართველოს უნდა დაეკმაყოფილებინა მთელი საბჭოთა კავშირი ჩაის მაღალხარისხოვანი პროდუქციით – ეს გულისხმობდა როგორც კაპიტალდაბანდებებს, ისე ქართული სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მანამდე არარსებული ინფრასტრუქტურების შექმნას (ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკების მშენებლობა, ციტრუსების შესაფუთი ფაბრიკების მოწყობა, ქალაქებში ჩაის დამამზადებელი მძლავრი წარმოების ორგანიზება და ა.შ.) და ამ მიზნით განსაკუთრებით გამორჩეული ეკონომიკური პირობების შექმნასაც (შეღავათიანი სესხები, სამრეწველო პროდუქციის ლიმიტები და ა.შ.). **ყველაფერი ამის შემდეგ უზარმაზარ საბჭოთა ბაზარზე შეიქმნა საქართველოს ფაქტობრივად მონოპოლიური მდგომარეობა ჩაისა და ციტრუსების წარმოებაში.**

მაგრამ მედალს მეორე მხარეც ჰქონდა – მონოპოლიის დაკარგვის (ე.ი. საბჭოთა ბაზრის დაკარგვის) შემთხვევაში დასავლეთ საქართველო აღმოჩნდებოდა ეკონომიკური კოლაფსის მდგომარეობაში (ეს მართლაც ასე მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ).

დადგენილების ის ნაწილი, რომელშიც ტექნიკური კულტურების ფართო გავრცელებაზეა საუბარი, ძალაუნებურად გვაგონებს ილიას ცნობილ შენიშვნას: „სადაც ჩაი, ხორცო, ალისარისული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარი სასუთო, სამღებრო, სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორც, მაგალითად, პურია, ჩვენი ფიქრით დიდი შეცდომაა... ნეთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი ძაძა და მიწა პურზე მოვაცდინოთ. მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უცრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჯავითა და მიწით".

ძნელი სათქმელია, რამდენად ახსოვდათ ილიას ეს შეგონება კომუნისტური ჯარების ლიდერებს (მართლაც, ძნელი სათქმელია, რადგან 1931 წელს ილია ჯერ კიდევ „მოდაში" არ იყო). მაგრამ დადგენილების ამ კონკრეტული ამოცანებისა და ილიას აზრთა თანხვედრა აშკარაა.

ხაზგასასმელია ისიც, რომ დადგენილება ამ რთული დავალებების რეალიზაციის კონკრეტულ გეგმებსაც აყენებს – „საირიგაციო სისტემების მოწესრიგება (გაწმენდა, წყლის გზების წესრიგში მოყვანა. წყალსაქაჩების გადაკეთება და მექანიზაცია, წყალშესაკრები სისტემის ორგანიზაცია)". ამ-რიგად, სახეზეა სრული ინფრასტრუქტურა საირიგაციო ნაგებობის, რაც ასევე მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებსა და ახალი სამეშაო ადგილების ორგანიზაციას გულისხმობდა.

3. დადგენილების გამორჩეული ნაწილია საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ეს მთლიანად 30-იანი წლების მონაპოვარია. საკურორტო მშენებლობა ნიკოლოზ II დროსაც არ ყოფილა მასიური. ბორჯომის საკურორტო ზონა მხოლოდ რომანოვებისა და მათი ახლობლებისათვის იყო დაკანონებული. გაგრა – პრინცი ოლდენბურგის სტუმრებისა და ნათესავებისათვის. აჭარის სანაპირო – შეძლებელი რუსი და ქართველი ბერჟუაზიისათვის. მეშვებისა და გლეხების დასვენების ორგანიზაცია მხოლოდ XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო და ამ საქმეში აღნიშნული დადგენილების როლი მნიშვნელოვანია.

დიდი დაკვირვება არ ჭირდება იმას, რომ დადგენილებაში ყველა საკურორტო ცენტრი – საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს, ამრიგად ამ ცენტრების კომერციული ათვისება („წყალტუბო, ბორჯომი, აბასთუმანი, შავი ზღვის სანაპირო") უკვე გულისხმობს მრავალმილიონიან დაბანდებებს საკურორტო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, საკურორტო საქმიანობისათვის სპეციალური კადრების (ექიმების, მედდების, მომვლელების, მზარეულების, მოსამსახურე პერსონალისა და ა.შ.), სასტუმროებისა და პანსი-

ონატების მშენებელი კადრების (მშენებლები, არქიტექტორები, ინჟინრები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მუშაკების და ა.შ.) მომზადება-გადამზადებას.

რამდენადაც საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა ძირითადად დასავლეთ საქართველოში მოიაზრებოდა, ეს აშკარად ამ კუთხის სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ დაწინაურებასაც გულისხმობდა. აამოძრავებდა დასავლეთ საქართველოს სოფელს, ჭარბი სამუშაო ძალა გადავიდოდა ახალ ეკონომიკურ სფეროში – საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში, რაც კეთილნაყოფიერ ზეგავლენას მოახდენდა ერის კონსოლიდაციის პროცესზეც.

ამრიგად, 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებამ დასახა ქართველი ხალხისთვის უაღრესად საჭირო და აუცილებელი კომპლექსური ამოცანა. დადგენილების მიღებაში, რა თქმა უნდა, ი. ბ. სტალინის დამსახურება აშკარად იკვეთება (საქართველოს ეკონომიკური თუ საკურორტო პოტენციალი ქარიშვილმა სტალინმა უფრო კარგად იცოდა, ვიდრე რუსმა მოლოტოვმა, ყოროშილოვმა თუ კალინინმა). ამ ამოცანის რეალიზაცია სტალინმა ლავრენტი ბერიას დაავალა, რომელიც ამ დადგენილების მიღებიდან სულ მალე საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ხოლო 1932 წლიდან ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი გახდა.

როგორ განახორციელა ლავრენტი ბერიამ სტალინის ეს უმნიშვნელოვანესი დავალება?

§ 2. – საქართველოს სახალხო მეურნეობა – ერის კონსოლიდაციის დასრულების მატერიალური საწუძველი

XX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვის გამორჩეულად პრობლემური იყო: დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატები, თავის ისტორიაში ყველაზე დრამატულ ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდნენ, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ჭარბწარმოებამ პროდუქციაზე ფასების მკვეთრი შემცირება, აქედან გამომდინარე, წარმოების არარენტაბელობა და რიგი დარგის მთლიანი გაჩერებაც კი გამოიწვია. უმუშევართა უზარმაზარი არმიები თავისი პროტესტით არყევდნენ სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში „დიდი დეპრესია“, დასავლეთ ქვეყნებში სოციალური ფონის მკვეთრი დაქვეითება – მემარცხენე იდეოლოგიის – კომუნისტური მოძღვრების გაძლიე-

რებას უწყობდა ხელს. ეს კი, თავის მხრივ, აძლიერებდა მემარჯვენე პოლიტიკურ მიმართულებებს – ნაციონალისტურ, ფაშისტურ მოძრაობებს, რომლებიც კრიზისიდან გამოსვლას I მსოფლიო ომის შედეგების გადახედვაში, ტერიტორიულ გადანაწილებასა და რევანშიზმის იდეოლოგიის აღორძინებაში ხედავდნენ.

აშკარაა – XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში თვალსაჩინოა ბრძოლა სამ პოლიტიკურ მიმართულებას შორის, რომლებიც გაშარჯვებისთვის ძალებს არ ზოგავენ: მათ შორის 1. დემოკრატიული სამყარო თავისუფალი ეკონომიკით და დასავლური ფასეულობებით; 2. ნაციონალისტურ-ფაშისტურ-რევანშისტული მოძრაობა კაცობრიძულე იდეოლოგიით; და 3. კომუნისტურ-ინტერნაციონალისტური საბჭოთა სახელმწიფო თავისი III კომუნისტური ინტერნაციონალით, რომლის მიზანია მსოფლიოს ტოტალური გარდაქმნა უკლასო, უეროვნებო, სოციალურად ორიენტირებულ საზოგადოებად.

სამივე ამ მიმართულებას ეპოქის დასაწყისში სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ვინ გამოვიდოდა გამარჯვებული ამ ისტორიულ შეჯიბრში – არავინ იცოდა. ყველა მათგანს თავისი სისტემა ჰქონდა და საყოველთაოდ მისაღებად მიაჩნდა.

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აქვთდა საბჭოთა ქვეყანას. აშკარად უტოპიური ლენინური კომუნიზმის მშენებლობის გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ სტალინმა მისი მასშტაბები ჯერ მხოლოდ საბჭოთა ტერიტორიებით შემოფარგლა, ძალიან ნელა გამოდიოდა სამოქალაქო ომის დრამატული შედეგებიდან, პარტიული დაპირისპირებებისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ულმობელი პერიპეტიებიდან. მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული დაჯგუფებები, თავიანთი გაუთავებელი პლატფორმებით, პარტიული დისკუსიებით, ფარული შეთქმულებებით სერიოზულად ბადებდა ეჭვს, რომ ეს საზოგადოება რომელსმე რამეს მიაღწევდა.

მხოლოდ სტალინის ერთპიროვნულმა ძალაუფლებამ, რომელიც საოცრად კარგად იყო შენიღბული საბჭოთა სისტემის კანონებითა და პარტიული ტრადიციებით, მოახერხა ის, რომ 20-30-იანი წლების მიჯნაზე დაწყებული ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება მხოლოდ კერძო საკუთრების ლიკვიდაციას, საბაზრო ურთიერთობის ნგრევას, კერძო ინიციატივის მაქსიმალურ ჩახშობას დაუკავშირა. ასეთი უტოპიური გეგმის რეალიზაცია კი მხოლოდ უსარმაზარი ძალისხმევით იყო შესაძლებელი.

ამ ძალისხმევამაც არ დააყოვნა. 1931 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის ლიდერმა ი. სტალინმა ერთ-ერთ შეხვედრაზე საჯაროდ განაცხადა: „ჩვენ 50-100 წლით ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი

წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ, ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ"[5].

ყველასათვის ნათელი იყო, რომ ლენინური უტოპიური სოციალური იდეალისადმი რწმენის შენარჩუნება საზოგადოებაში შეუძლებელი იქნებოდა, თუ კი ძალიან სწრაფად გარკვეული ეკონომიკური შედეგით არ დაემტკიცებდა კომუნისტური პარტია საბჭოთა მრავალეროვან მოსახლეობას ახალი ყორმაციის სახელმწიფოს უპირატესობას. მაგრამ 100 წლის ჩამორჩენის ათ წელიწადში დაძლევის ამოცანა უკვე გულისხმობდა ბევრ დრამატულ მოვლენას და ბოლომდე მკაფიოდ გაუაზრებელი ექსპერიმენტების რეალიზაციას.

უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმების საკონტროლო ციფრები. დღეს არავინ აღარ დაობს, რომ გრანდიოზული კომუნისტური მშენებლობები, მორეული აღმოსავლეთის ათვისება, ეკონომიკური ზრდის არნახული ტემპები – მხოლოდ საკუთარი ხალხის ბარბაროსული ექსპლოატაციის საფუძველზე შეიძლება განხორციელებულიყო. საბჭოთა ხალხმა ეს გაბოროტება მიიღო და ტრაგიკული მოვლენების მიუხედავად – შეასრულა კიდეც. ეს საკითხი თითქმის ყოველმხრივ დამუშავებულია პოსტსაბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში და ჩვენ მას აღარ შეეხებით. ჩვენთვის ამ ეტაპზე მთავარია, თუ ამ პერიოდში როგორ გაიზარდა საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი და ჰქონდა თუ არა მას გარკვეული მნიშვნელობა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის წარმატებით დაგვირგვინებაში.

ცოტა უკან დავიხევთ და აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ეკონომიკური აღმშენებლობა კომუნისტურმა რეჟიმმა ძალიან მალე და გარკვეულად წარმატებულად დაიწყო. ზემო აჭალის ჰიდროელექტროსადგურისა, აჭკესის და რიონის კასკადის მშენებლობა 20-იან წლებში ეროვნული ეკონომიკის აღორძინების მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ფუნდამენტი გახდა. მომდევნო წლებში ექსპლოატაციაში შევიდა რიონჰესის მეორე რიგი, ხრამჰესი, სოხუმჰესი. ახალი თბოსადგურები შევიდა ექსპლოატაციაში ტყვარჩელსა და შირაქში. საქართველოში 1937 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება 500 მილიონ კილოვატსაათს აღწევდა და ის 1928 წლის დონეს უკვე 12-ჯერ აღემატებოდა[6].

II მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოში ელექტროენერგეტიკის განვითარებას კიდევ უფრო დიდი ყურადღება მიექცა. მსხვილ საწარმოებთან ერთად შენდებოდა მცირე სიმძლავრის, ადგილობრივი მნიშვნელობის ჰესებიც. 1955 წელს საქართველოს ელექტროენერგეტიკის საწარმოებმა ერთობლიეად გამოიმუშავეს 1 385 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია[7]. ეს უდიდესი მიღწევა იყო.

საგრძნობლად გაფართოვდა წარმოება ჭიათურის მარგანეცის საბადოზე. 30–40-იან წლებში ჭიათურის მარგანეცი კვლავ ინარჩუნებდა წამყვან ადგილს მსოფლიოს ბაზარზე. მას განსაკუთრებით გერმანიის ბიზნესი ეტანებოდა. საბჭოთა კავშირში მოპოვებული მარგანეცის თითქმის ნახევარი ჭიათურაში მოიპოვებოდა და გამოირჩეოდა მაღალი სამრეწველო თავისებურებებით.

უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა პქონდა იმას, რომ 30-იან წლებში ექსპლოატაციაში შევიდა ზესტაფონის ფერიშენადნობთა ქარხანა, რის საფუძველზეც საქართველო არა მარტო მომპოვებელი, არამედ ფერომარგანეცის მაღალხარისხოვანი პროდუქტის მწარმოებლად გადაიქცა. ამან მოითხოვა დამატებით მუშახელი, მაღალკვალიფიციური კადრები. სახე იცვალა ზესტაფონმაც – ის ინდუსტრიის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი გახდა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ წლებში საქართველოში დაიწყო და მნიშვნელოვნად გაიზარდა გუმბრინის, დარიშხანის, ბარიტის, დიატომიტის მოპოვება და გადამუშავება. ესეც მნიშვნელოვნად ზრდიდა სამუშაო ადგილების რაოდენობას. საქართველოში საწარმოო პროცესებში ითრეოდა სულ ახალ და ახალ ტერიტორიებს.

მიგვაჩნია, რომ ეროვნული კონსოლიდაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქ რუსთავისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას. ხაზგასასმელია, რომ რუსთავში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას მოსკოვში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა – ექსპერტები არარენტაბელურად თელიდნენ ასეთი საწარმოო გიგანტის საქართველოში მშენებლობას. სადაც თითქმის არ იყო არავითარი ეკონომიკური საფუძველი ასეთი ინდუსტრიული გიგანტისათვის (გარდა მარგანეცის). მაგრამ კრემლის ქართული ლობის – სტალინ-ბერიას ტანდემმა ეს საკითხი რუსთავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. 1944 წელს დაიწყო და რამდენიმე წელში დასრულდა ამიერკავკასიის მეტალურგიული გიგანტის მშენებლობა, რომლისთვისაც 5000-მდე ქართველი ახალგაზრდა, უკვე 1944 წელს, რუსეთში გააგზავნეს მეტალურგის პროფესიის ასათვისებლად.

მომდევნო წლებში ქალაქ რუსთავში აშენდა არაერთი ქიმიური პროფილის საწარმო, რომელმაც რუსთავის ინდუსტრიული მნიშვნელობა და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში გამორჩეული გახადა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქალაქ რუსთავის მშენებლობის შემდეგ ქვემო ქართლში ისტორიის ბედუკუღმართობით მნიშვნელოვნად შეთხელებული ქართველობის რაოდენობამ იმატა. რუსთავი გახდა გამორჩეული ეკონომიკური და კულტურული ცენტრი რეგიონში, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის დასრულებაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ახალი ქალაქების მშენებლობაზეც – საქართველოს დაბა-სოფლები ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენისთანავე მნიშვნელოვან ქალაქებად გარდაიქმნენ: ტყიბული, ტყვარჩელი, ჭიათურა, ზესტაფონი, გორი, სამტრედია ეკონომიკურთან ერთად მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრებად გადაიქცნენ, საკუთარი ინტელიგენციით და მაღალგანვითარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურით.

გამორჩეულად აღსანიშნავია ქალაქი ქუთაისი, რომელიც II მსოფლიო ომამდე ძირითადად მსუბუქი მრეწველობის მოკრაძალებული ცენტრი იყო. 1945 წელს ქალაქის გარეუბანში დაიწყეს უზარმაზარი ავტოქარხნის აგება. აქ გადმოიტანეს გერმანიისაგან რეპარაციით მიღებული ერთ-ერთი ავტოქარხანა. მალე მას მოჰყვა ლითოფონის ქარხნის მშენებლობა, სატრაქტორო საწარმოს სიმძლავრეების ექსპლოატაცია, საკონსერვო და გადამამუშავებელი მრეწველობის ახალი ობიექტების აგება და ა.შ.. ქუთაისი მართლაც გახდა „ინდუსტრიის მშენებელი".

გორში დაიწყო და ძალიან მალე შეიდგა ექსპლოატაციაში ბამბეულის კომბინატი, დიდი საკონსერვო ქარხანა, აღჭილობრივი მრეწველობის საწარმოები და ა.შ..

ახალი საწარმოების დაპროექტებამ და მშენებლობამ, რა თქმა უნდა, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ზრდა გამოიწვია. კვალიფიცირებული კადრების ზრდა მთლიანად დამახასიათებელი იყო 30-50-იანი წლებისათვის. თუ ომის წინ საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 494 ათასი კაცი, 1950 წელს ეს რაოდენობა უკვე 629 ათასს აღრიცხავ. შეიძლება ითქვას, რომ სულ რაღაც 20 წელიწადში საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 130 ათასით გაიზარდა.

მიუხედავად ტოტალიტარული რეჟიმის ბარბაროსული დამოკიდებულებისა როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანური რესურსების მიმართ, უყაირათიანობისა და პროდუქციის ხარისხის უთანაბრობისა, საქართველოს სამრეწველო პოტენციალი მაინც საგრძნობლად მიიწევდა წინ. საწარმოო პოტენციის შედეგიც თვალსაჩინოა: 1955 წელს საქართველომ აწარმოა 436 ათასი ტონა თუჯი, 582 ათასი ტონა ფოლადი, 578 ათასი ტონა ნაგლინი; ამოიღო 2 712 ათასი ტონა ქვანახშირი, 43 ათასი ტონა ნავთობი, გამოიმუშავა 2 010 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, დაამზადა 3 942 ცალი ლითონსაჭრელი ჩარხი, ააწყო 4 595 ცალი სატვირთო ავტომობილი და ა.შ.[9] თუ ამ მაჩვენებლებს დავუმატებთ საქართველოსთვის ტრადიციულს – მსუბუქი და გემო-კვების მრეწველობის პროდუქციას: აბრეშუმის ქსოვილებს, ტრიკოტაჟის პროდუქციას, ტყავის ფეხსაცმელს, ღვინოსა და შამპანურს, მინერალურ წყლებსა და ქართული ჩაის პროდუქციას – შეიძლება დავეთანხმოთ აკად. პ. გუგუშვილს – „საბჭოთა წყობილებამ უზრუნველყო

საქართველოს სსრ საუკუნეობრივი ინდუსტრიული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია. მან წარმოქმნა და ისტორიაში უმაგალითო ტემპით განავითარა თანამედროვე მსხვილი მანქანური ინდუსტრია... ეს ინდუსტრია თანამედროვე მრეწველობის თითქმის ყველა სახეობას მოიცავდა."[10]

უფრო რთულად იყო საქმე საქართველოს სოფელში. ბოლშევიკები გლეხობას მიწას დაპირდნენ და ამით მოიმხრეს ის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ კომუნიზმი – საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრებას გამორიცხავდა. მიწა კერძო მფლობელობაში, როგორც ყოველთვის, კაპიტალიზმის აღორძინებისა და განვითარების დემიურგია. ამიტომაც რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, „სამხედრო კომუნიზმის" არსებობის პირობებში გლეხი ფაქტობრივად შიშველ მწარმოებელ ძალად გამოიყენეს, რომლის მიერ შექმნილი პროდუქცია უაპელაციოდ ხელისუფლებას მიჰქონდა და მას თითქმის არაფერს უტოვებდა. ამან რუსულ სოფელში ისეთი ნგრევა და ანარქია გამოიწვია, რომ „სამხედრო კომუნიზმი" შეცვალეს „ახალი ეკონომიკური პოლიტიკით", როდესაც გლეხს სრული ეკონომიკური თავისუფლება მისცეს და საკუთრების უფლებაც დაუტოვეს იმაზე, რაც ჰქონდა და რისი გაყიდვაც უნდოდა. კერძო საკუთრებამ და თავისუფალმა საბაზრო ურთიერთობებმა გამოაცოცხლა რუსეთის სოფელი, იმატა ხვავმა და ბარაქამ.

საქართველოში საბჭოთა რუსეთს „სამხედრო კომუნიზმი" არ დაუნერგავს. საქართველოში დამკვიდრდა „ნეპი" – ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომ ქართველ გლეხს გარკვეული კომერციული თავისუფლება ჰქონდა, მას მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოსათვის წინასწარ განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი (ნატურით, ფულით) უნდა გადაეხადა. მთელი 20-იანი წლების განმავლობაში ურთიერთობა საბჭოთა რეჟიმსა და გლეხს შორის რეგულირდებოდა „ნეპის" კანონებით. საქართველოს სოფელში ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა ვითარდებოდა.

ყოველი განვითარება კი წინსვლას გულისხმობს, ეკონომიკური განვითარება – ეკონომიკურ წინსვლას, წარმატებას, ფულის დაგროვებას. ძალიან მალე შესამჩნევი გახდა, რომ გლეხის ეკონომიკური წინსვლა აპირობებს ეკონომიკურად ძლიერ გლეხს. ხოლო თუ ის ინიციატივიანი, მომჭირნე და რენტაბელური მეურნეობის შემქმნელია – მისგან ადვილად ყალიბდება მდიდარი გლეხი (კომუნისტების ენაზე „კულაკი").

„კულაკმა" პირველად ყოვლადძლიერი პოლიტიკური ფიგურა ლ. ტროცკი შეაშინა და მოითხოვა კულაკების – როგორც კლასის ლიკვიდაცია. მას მალე ოქტომბრის ბელადები ლ. კამენევი და გ. ზინოვიევი შეუერთდნენ. ი. სტალინი, ნ. ბუხარინი, ა. რიკოვი, ვ. მოლოტოვი, ს. ორჯონიკიძე – გლეხის ინტერესების დამცველები და ტროცკის სიტყვით რომ ვთქვათ „თერმი-

დორეულ მოღალატეებად" გადაგვარებულები, სტალინის მოწინააღმდეგებმა ბურჟუაზიის ინტერესების დამცველებად წარმოაჩინეს.

მთელი 20-იანი წლების მანძილზე მემარცხენე კომუნისტები მოითხოვდნენ ი. სტალინისა და მისი პოლიტიკური დაჯგუფების წევრებისაგან კულაკების როგორც კლასის ლიკვიდაციას, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ნაცვლად კოოპერაციული მეურნეობის განვითარებას. მათი აზრით, რაც უფრო დიდხანს იარსებებდა საბჭოთა სოფელში გლეხური ერთპიროვნული მეურნეობა, მით უფრო მეტი შანსი არსებობდა კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის. განსაკუთრებულ საფრთხედ თვლიდნენ კულაკურ მეურნეობას – ეკონომიკურად ძლიერ მეურნეობას, რომელიც არ ემორჩილებოდა საბჭოთა ხელისუფლებას, ე.ი. იყო კერძო, პირადი და ეს მზარდი ქონებრივი პოტენციალი, რომელსაც ძალიან ახლო პერსპექტივაში შეიძლება ეს რესურსები რეალურად გამოეყენებინა კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის. კომუნისტური რეჟიმის დასამხობად, შეთქმულებისა და შეიარაღებული გამოსვლების ორგანიზაციისათვის. აუცილებლად უნდა დაშორისებოდა სახელმწიფო კონტროლს.

ი. ბ. სტალინი 1928 წლამდე, თავის პოლიტიკურ გუნდთან ერთად, რჩებოდა „ნეპის" პრინციპების დამცველად, მაგრამ 1928 წლის სასურსათო კრიზისმა, როცა კულაკებმა პური გადამალეს და ფასების აწევას ელოდებოდნენ, ისიც დაარწმუნა, რომ ეკონომიკურად გაძლიერებულ სოციალურ კლასს – კულაკობას მართლაც შეეძლო სერიოზული პრობლემები შეექმნა კომუნისტური დიქტატურისათვის. სტალინმა მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია სოფელთან დაკავშირებით.

საბჭოთა ხელისუფლებას რომ მუდამ დაპირებული ჰყოლოდა საბჭოთა მუშა და საბჭოთა ჯარისკაცი, ხელისუფლებას სჭირდებოდა მუდმივი იაფი სასურსათო პროდუქტი, რომელიც არ იქნებოდა მჭიდროდ დაკავშირებული საბაზრო ფასების რყევებთან. ამის გაკეთება საბაზრო ურთიერთობების არსებობის პირობებში, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არარსებობის ეითარებაში, მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობას შეეძლო, და ისიც მის სტალინურ მოდელს. ამიტომაც გადაწყდა სოფლის კოლექტივიზაცია.

რა გორი იყო მდგომარეობა საქართველოში?

1921 წლის 6 აპრილს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი მიწის „მშრომელი ხალხის საკუთრებად გამოცხადების შესახებ". მისი მიზანი იყო მიწის გასხვისების ყველა ფორმის აკრძალვა, მემამულეთა, საეკლესიო მიწების კონფისკაცია და მათი თავმოყრა მიწის სახელმწიფო ფონდში. საბჭოთა ხელისუფლება ახალისებდა მიწის გადანაწილების რევოლუციურ მეთოდებს – მემამულეების მიწების, სახლ-კარის, აგეჯის, საქონ-

ლის მისაკუთრებას. ღარიბი გლეხებისაგან ყველგან იქმნებოდა „გლეხკომები", რომლებიც საბჭოთა კანონებს ამკვიდრებდნენ ქართულ სოფლებში. მარტო შორაპანის მაზრაში ერთი თვის განმავლობაში მემამულე-თავადაზნაურობას წააროვეს 10 ათასი ქცევა მიწა, 50 სახლი, 30 წისქვილი. გორის მაზრაში – 747 დესეტინა მიწა, 89 სახლი, 21 წისქვილი[11]. იყო სხვა ტრაგიკული მაგალითებიც.

საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავდა მიწის ნორმა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში 4 დესეტინას, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 2,5 დესეტინას უდრიდა. საქართველოში იმჟამად მიწის 326 454 მიწის მოსარგებლე იყო. ამათგან 2 და მეტი დესეტინა მიწა (დესეტინა – 1,9 ჰექტარია) საქართველოს გლეხობის 40,2 %; 2-დან 10 დესეტინამდე მამული ჰქონდა 59 %; ხოლო 10-50 დესეტინა სავარგული სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 0,8 პროცენტს ჰქონდა. ამრიგად, საქართველოს გლეხობის ძირითადი ნაწილი (83 პროცენტამდე) შეძლებული და საშუალო გლეხი იყო. როგორც ამტკიცებენ, საქართველოში მიწის ნაკლებობის გამო გლეხობის ძალიან დიდი პროცენტი უმიწოდ დარჩა – რომ ყველა გლეხი დაკმაყოფილებულიყო მიწით, დამატებით საჭირო იყო 344 444 დესეტინა მიწა. რადგან ამ რაოდენობის ფართობის მოძიება საქართველოში შეუძლებელი ჩანდა, იგეგმებოდა ქართველი გლეხების გადასახლება რუსეთში. მაგრამ ეს პროექტი იმჟამად არ განხორციელდა

„ნეპის" პირობებში არსებულმა ეკონომიკურმა ურთიერთობებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საქართველოს სოფლის სოციალურ სტრუქტურაზე, ნაწილობრივ შემცირდა სოფლად ბოგანო გლეხების რაოდენობა, გაიზარდა მდიდარი გლეხების რიცხვი, საშუალო გლეხების კატეგორია მერყეობით გამოირჩეოდა – მისი ქონება ამინდზე და „მარიფათზე" იყო დამოკიდებული. როგორც ამტკიცებენ, 20-იანი წლების დასასრულს საქართველოს სოფელში სოფლის პროლეტარიატი (სრულიად უქონელი) – 7,7 პროცენტი იყო, ნახევრად პროლეტარები – 22,9%„ უბრალო მეწარმენი – 66, 7%, მათ შორის შეძლებული იყო 5,1%, ხოლო წვრილი კაპიტალისტური (ანუ კულაკური) მეურნეობა იყო – 2,8 %[12]. პროფ. ფ. ლომაშვილის აზრით საქართველოში კულაკების რაოდენობა დაახლოებით 4-5 პროცენტი შეიძლება ყოფილიყო.

საბჭოთა ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი სოფლის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ფენა იყო (დაახლოებით სოფლის მოსახლეობის მესამედი) – ე.ი. ძირითადად უქონელი, მოჯამაგირე, სოფელში ექსპლოატაციის მთავარი ობიექტი. მათ შორის ბევრი იყო ქალი (ქვრივი). ისინი, მართლაც, უმძიმეს მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და მათთვის საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებები მიწის „რევოლუციური

გზით" (წართმევით) გადანაწილების შესახებ – მოსაწონი და მისაღები იყო. სწორედ ისინი მონაწილეობდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სოფლად მოწყობილ სტიქიურ თუ დაგეგმილ ვანდალიზმის აქტებში: წაყენდნენ მემამულეთა სახლებს, იტაცებდნენ ქონებას, ერეკებოდნენ სოფლებიდან მემამულეებს. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ახალისებდა ამ კატეგორიის მოსახლეობის „რევოლუციურ ენთუზიაზმს" – საბჭოთა დაწერილი თუ დაუწერელი კანონებით დარბეული მემამულის, თავადის, კულაკის ქონებიდან 25 პროცენტი ეკუთვნოდა სოფლის პროლეტარიატს.

მაგრამ ძალიან მალე აუცილებელი გახდა სოფლად საბჭოთა სისტემისათვის მისაღები – კოლექტიური მეურნეობების, კომუნების, არტელების მშენებლობა. მეურნეობრიობის ამ ფორმების დანერგვა თავდაპირველად ნებაყოფლობით დაიწყეს. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით პოპულარული იყო სასოფლო-სამეურნეო კომუნები, რომლებშიც განზოგადებული იყო ყველაფერი და კომუნის წევრები ერთად, ერთ დიდ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდნენ – კომუნის წევრებს შრომა და ყოფა გაერთიანებული ჰქონდათ სწორედ ისე, როგორც ეს ენგელსის „კომუნიზმის პრინციპებშია" ასახული.

კომუნები საქართველოში 1924 წლიდან გამოისხდნენ. ერთ-ერთი პირველი სამთავისის კომუნა (ქართლში) იყო. მასში გაერთიანდა 21 კომლი: სულ 87 კაცი. მათ შორის 21 მამაკაცი, 25 ქალი, 41 ბაუშვი. კომუნის ძირითადი კონტინგენტი – ღარიბ-ღატაკი იყო. მხოლოდ 7-8 კაცს ჰქონდა შედარებით შეძლებული მეურნეობა, მაგრამ მათაც უანგაროდ შეიტანეს თავიანი ქონება კომუნის საერთო ბიუჯეტში. კომუნას სარგებლობაში ჰქონდა 100 დესეტინა საყარგული, 10 ცხენი, 8 უღელი ხარ-კამეჩი, 13 ძროხა, 10 მოზარდი წვრილფეხა საქონელი, 100 ქათამი, 20 დედაღორი. კომუნის წევრები განთავსებულნი იყვნენ 4-5 ოთახში, მუშაობდნენ არანორმირებული სამუშაო გრაფიკით. კომუნაში გაბატონებული იყო შრომისა და ცხოვრების კომუნისტური წესები. კომუნას მართავდა 7 კაციანი კომიტეტი, იყო ამხანაგური სასამართლო, საერთო სასადილო, საერთო საცხოვრებელი, საერთო სუფრა – საკმაოდ ღარიბი[13].

კომუნები შეიქმნა საქართველოს სხვა კუთხეებში. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა ზემო ქედის კომუნა, რომელსაც მეტად ენერგიული პიროვნება – მომავალი სოციალისტური შრომის გმირი კობა ჩოხელი ხელმძღვანელობდა.

პარალელურად იქმნებოდა სოფლის მეურნეობაში სხვა საწარმოო ფორმებიც: არტელები, მიწის კოლექტიურად დამუშავების ამხანაგობები. ყოფილ საუფლისწულო მამულების ბაზაზე შექმნეს საბჭოთა მეურნეობები. იმჟა-

მად ყველა მათგანი ძირითადად საკუთარი ნებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოქმედებდა. მაგრამ განსაკუთრებული ეფექტიანობით არ გამოირჩეოდა. სახელმწიფო აგრარულ ურთიერთობებში მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობით ერეოდა, რომელიც, რა თქმა უნდა, კლასობრივი შინაარსის იყო: მდიდარი გლეხებისათვის ფინანსურად დამანგრეველი, ხოლო მეურნეობრიობის საბჭოთა ფორმებისათვის – ხელისშემწყობი და წამახალისებელი.

1928 წლისათვის საქართველოში უკვე არსებობდა: 11 კომუნა, 135 არტელი, მიწის საზოგადოებრივი დამუშავების 98 ამხანაგობა[14]. უკვე ერთი წლის თავზე კომუნების რაოდენობა 82 პროცენტით, არტელების 291 პროცენტით, ხოლო მიწის დამმუშავებელი ამხანაგობები 104 პროცენტით გაიზარდა. ეს შედეგი იყო საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობის ფორსირებისა, რაც საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ განახორციელა ძალის გამოყენებით.

მოსკოვის მიერ დასახული გეგმით საქართველოში სრული კოლექტივიზაციის პროცესი 1932-1933 წლებში უნდა დასრულებულიყო. მაგრამ უკვე 1930 წლისათვის საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს საქმის დამთავრება. 1929 წლის იანვარში გაზეთი „კომუნისტი" აქვეყნებს მოწოდებას – „1930 წლის პირველი იანვრისათვის მიეაღწიოთ კოლექტივიზაციის 85 პროცენტს და საქართველოს რესპუბლიკა გამოცხადდეს მასობრივი კოლექტივიზაციის რაიონად".

ეს პროცესი მჭიდროდ დაუკავშირდა კულაკის – როგორც კლასის ლიკვიდაციის პროცესს. დაიწყო კულაკებზე ძალადობის ესკალაცია. ქონების ჩამორთმევას, სოფლიდან გასახლებას ტრაგიკული ექსცესებიც მოჰყვა. კომუნისტების ენაზე ეს იყო „კლასობრივი ბრძოლის დამაგვირგვინებელი აკორდი" – საკმაოდ სისხლიანი და ულმობელი. საქართველოში ეს პროცესი გადაჭარბებული გულმოდგინებით ჩაატარეს, რაც მოგვიანებით მოსკოვის ხელმძღვანელობის მხრიდან მკაცრ კრიტიკაშიც აისახა: „დაშვებულ იქნა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომელთაგანაც ძირითადია შეცდომა გლეხობის საკითხში... ვერ უზრუნველყვეს გლეხობის (ღარიბი-საშუალო მასების) სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა".

მოსკოვმა გარკვეულად უკან დაიხია, შეაჩერეს კოლექტივიზაციის ფორსირებული ტემპები, მათ შორის საქართველოშიც. მართალია, უარი არ უთქვამთ კოლექტიური მეურნეობების შექმნაზე, სამაგიეროდ დაუშვეს პირადი საკარმიდამო მეურნეობა და გლეხებს კერძო სარგებლობაში გარკვეული რაოდენობის საქონელი და ფრთა-ქათამიც დაუტოვეს.

ამრიგად, საბჭოთა სოფელში დაუშვეს დუალისტური მეურნეობრიობა: ძირითადი და განმსაზღვრელი იყო კოლექტიური მეურნეობა, სადაც გლეხს

უპირობოდ უნდა ემუშავა მკაცრად განსაზღვრული რეგლამენტით და ფიქსირებული ანაზღაურებით, ხოლო მოწეული სასაქონლო პროდუქტი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული გეგმით იაფად უნდა ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის; და მეორე, პირადი დამხმარე მეურნეობა – რომლის დამუშავება შეიძლებოდა მხოლოდ ძირითადი შრომიდან თავისუფალ დროს და ისიც მხოლოდ ოჯახის წევრების დახმარებით.

სამაგიეროდ ეს ზეწოლა საბჭოთა ხელისუფლებამ გაანეიტრალა სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით: შეიქმნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომელშიც პროფესიონალი მექანიზატორები ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ემსახურებოდნენ სოფელს, ადგილზე გაიხსნა ამბულატორიები, სამედიცინო პუნქტები, კლუბები, ქოხ-სამკითხველოები, უფასო სკოლები. გლეხის ბავშვს (განსაკუთრებით ღარიბსა და საშუალო შეძლების ოჯახებიდან) ექმნებოდათ ექსკლუზიური პირობები უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად.

ჩვენ ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით სოფლად მიმდინარე პროცესებზე, რომ იმჟამად ქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა. ძალმომრეობითმა კოლექტივიზაციამ მოახდინა ცხოერების უნიფიცირება, ყველა რეგიონი, ყველა მხარე და სოფელი მსგავს ეკონომიკურ ურთიერთობაში აღმოჩნდა როგორც სახელმწიფოსთან, ისე თანასოფლელებთან. ამ შეკრული წრის გაწყვეტა ვერ ხერხდებოდა – ე.ი. ეკონომიკური ღვედები, რომლებიც XIX საუკუნეში ძირითადად სტიქიურად მოქმედებდნენ და ეროიან ორგანიზმში კრავდნენ სრულიად საქართველოს, ახლა, რადიკალურად განსხვავებულ ვითარებაში მიზანმიმართული, უფრო უნიტარული და ძლიერი აღმოჩნდნენ. ამან, თავისი ტრაგიკული და ანტიჰუმანური ტენდენციებისა და შინაარსის მიუხედავად, მაინც კეთილნაყოფიერად იმოქმედა ერის კონსოლიდაციის პროცესზე – როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში ჩაბმული ქართველი მოსახლეობა ერთიანი და სისტემატიზირებული იყო და ამ ერთი სისტემის ჩარჩოებში „იხარშებოდა". საბჭოთა უნიფიცირება ტლანქად, მაგრამ მაინც არღვევდა პარტიკულარიზმის ნაშთებს და აყალიბებდა ქართველი ერის ერთიანობის განცდას – ბედის ერთიანობის განცდას.

1931-1935 წლები საქართველოს სოფელში ადაპტაციის პერიოდია. შეცდომებისა და ნაკლოვანებების დაძლევის გზით საქართველოს სოფელში კოლმეურნეობები მაინც დამკვიდრდა. განსაკუთრებით წაადგა მეურნეობრიობის ეს ფორმა დასავლეთ საქართველოს – ჩაისა და ციტრუსების მონოპოლიური განვითარების გეგმის შესრულება მხოლოდ კოლექტიური მეურნეობის კულტივირებით აღმოჩნდა შესაძლებელი.

დღესაც ვერავინ უარყოფს რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად საქართველოსათვის სამეგრელოს, აფხაზეთის, აჭარის დაჭაობებული და უკაცრიელი ტერიტორიების ნაყოფიერ სავარგულებად გადაქცევის პროცესს. ამ საქმემ უდიდესი ფინანსური დაბანდება მოითხოვა. საკავშირო დაფინანსებით შეიქმნა ორგანიზაცია „კოლხიდმშენი", რომელმაც სულ რამდენიმე წელიწადში ამოაშრო: ფოთის რაიონში 309 ჰექტარი, ხობში – 5538 ჰექტარი, სენაკის რაიონში – 6621 ჰექტარი, აბაშის რაიონში – 1052 ჰექტარი, ლანჩხუთის რაიონში – 655, მახარაძის (ოზურგეთის) რაიონში – 52 ჰექტარი მიწა. ამოშრობილ მასივებში შენდებოდა ცენტრესების ბაღები, ჩაის პლანტაციები.

აღმოსავლეთ საქართველოში სწორედ ამ პერიოდში დაიწყეს უხარმაზარი ბაღებისა და ვენახების მშენებლობა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ალაზნის სარწყავი სისტემის დასრულებას. 1933 წელს უკვე ირწყვებოდა 23 654 ჰექტარი ასლად ათვისებული მიწა. თესავდნენ ბამბას, რგავდნენ ხეხილს, აშენებდნენ ვენახს. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყეს რიგ რაიონებში ტექნიკური კულტურების გაშენება. ბეკრმა კოლმეურნეობამ დაიწყო ტუნგოს კულტივირება. გაზეთ „კომუნისტის" მტკიცებით ბევრი კოლმეურნეობა ტუნგოს მოყვანას უკვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და დაახლოებით 200 ჰექტრამდეც კი თესავდა. საბჭოთა ხელისუფლება ახალისებდა ამ წამოწყებას დიდი და გრძელვადიანი სუბსიდიებით[15].

აფხაზეთში, კახეთში (განსაკუთრებით ლაგოდეხში) საგრძნობლად გაიზარდა თამბაქოს კულტურის წარმოება, განსაკუთრებით მაღალხარისხიანი – სამსუნის ჯიშის თამბაქოს დამზადებას მიექცა უდიდესი ყურადღება, რომელიც ძალიან მალე თამბაქოს საბჭოთა ფაბრიკების ერთ-ერთი ძირითადი ნედლეული გახდა.

კახეთში არნახულად გაიზარდა თუთის პლანტაციების რაოდენობა. მეაბრეშუმეობა მთლიანად საქართველოში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი და გლეხის შრომითი შემოსავლის ზრდის ერთ-ერთ წყაროდ გადაიქცა.

უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეს ეთერზეთების წარმოების გაზრდას. თელავის ეთერზეთების ქარხანა იყო აღმოსავლეთ საქართველოში მოყვანილი ამ პროფილის ტექნიკური კულტურების ძირითადი გადამამუშავებელი საწარმო.

შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის გეგმა – საქართველო ეგზოტიკური და ტექნიკური კულტურების მწარმოებელ ქვეყნად გადაქცეულიყო, გარკვეული აზრით განხორციელდა სწორედ საკვლევ პერიოდში – XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობა უკვე მრავალ-

დარგოვანი იყო, ხოლო ტექნიკურ კულტურებს, მართლაც, განსაკუთრებული კომერციული მნიშვნელობა მიენიჭათ. მაგალითად, თუ 1913 წელს ტექნიკურ კულტურებს საქართველოში სულ 20, 7 ათასი ჰექტარი ეკავათ, 1940 წელს – 51, 6 ათასი, ხოლო 1950 წელს უკვე – 389 ათასი ჰექტარი[16].

რა თქმა უნდა, განსაკუთრებით გაიზარდა ჩაის, ციტრუსების. ვენახის, ხეხილის ფართობები. თუ 1913 წელს საქართველოში ციტრუსი მხოლოდ 0, 2 ათას ჰექტარზე იყო დარგული, 1937 წელს – უკვე 5,7 ათას ჰექტარზე, ხოლო 1950 წელს – 8,1 ათას ჰექტარზე.[17]

ასევე გაიზარდა მონოპოლიური პროდუქციის – ჩაის როგორც საჰექტარო ფართობები. ისე დამზადებული ნედლი ჩაის რაოდენობაც. 1913 წელს ჩაი საქართველოში გაშენებული იყო მხოლოდ 0,9 ათას ჰექტარზე, 1940 წელს – უკვე 45.6 ათას ჰექტარზე, ხოლო 1957 წელს – 51,8 ათას ჰექტარზე.[18]

იმატა პროდუქციის საერთო რაოდენობამაც – 1932 წელს საქართველოში დამზადდა მხოლოდ 1, 6 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი. 1940 წელს უკვე 51.3 ათასი ტონა, ხოლო 1957 წელს – 108,4 ათასი ტონა. ზრდა, მართლაც, შთამბეჭდავია. ასევე მზარდია ციტრუსოვანთა მოსავლიანობა: ყველა კატეგორიის მეურნეობიდან 1937 წელს დაამზადეს 5,7 ათასი ტონა ციტრუსი, 1950 წელს უკვე დამზადდა – 8,1 ათასი ტონა.

თუ საბჭოთა სტატისტიკურ კრებულებს დაეუჯერებთ, რომლებიც სტალინის სიცოცხლეში უფრო ნდობას იმსახურებენ, აშკარაა. რომ საქართველოს ეკონომიკური პოტენცია. როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში აღმავალი და წარმატებულია. ეს თვალსაჩინოდ ჩანს ერთიანი ნაციონალური პროდუქტის მაჩვენებელზე, რომელიც მუდამ მზარდია. აქედან გამომდინარე მზარდია საქართველოს რესპუბლიკის შემოსავალიც: თუ 1932 წელს რესპუბლიკის შემოსავალი 25 მილიონი მანეთი იყო, უკვე 1940 წელს მან შეადგინა 133, 4 მილიონი მანეთი, 1953 წელს ის თითქმის გაორმაგდა – 271, 3 მილიონი მანეთი იყო[19].

ეს ყველაფერი ქართველი ერის, საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლის შემოქმედებითი შრომის შედეგი იყო, რამაც უზრუნველყო 1931 – 1956 წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობის სტაბილურობა და ზეაღმავალი განვითარება. ხოლო აშკარა ეკონომიკურმა წინსვლამ, სამრეწველო და სასოფლო- სამეურნეო წარმოებამ შრომის ფერხულით მჭიდროდ შეკრა სრულიად საქართველო და ამით ნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა ერის კონსოლიდაციის პროცესის დასრულებაზე.

ქართული ენა – ცოცხალი ენაა. მუდამ განვითარებადი. მუდამ განახლებადი. ილიასა და „თერგდალეულების“ მიერ დაწყებული ენობრივი რეფორმა თავის ლოგიკურ გაგრძელებას ელოდა. ამ ისტორიული განახლების დაწყების შემდეგ, თითქმის 60 წელი გავიდა. ეპოქა შეიცვალა, ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი და ბევრ შემთხვევაში უკეთ რთული გახდა – ქართველმა ხალხმა განიცადა კაპიტალისტური განვითარების ზეგავლენა, რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის მაგნე შედეგები, გამოითარა სამი სოციალური რევოლუცია, მიიღწია სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, შემდეგ კვლავ ბოლშევიკური აგრესიის ობიექტად იქცა და ბოლოს საბჭოთა ხელისუფლების მარწუხებში აღმოჩნდა. ყველაფერი ეს ერთად და ცალ-ცალკე ზეგავლენას ახდენდა ენაზე. იწვევდა მის მრავალფეროვნებას, ფუნქციონური დატვირთვის ხან – ზრდას, ხანაც – შემცირებას.

XX საუკუნის 20-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე უკვე გამოჩნდნენ პროფესიონალი ფილოლოგები, ენათმეცნიერები, ლიტერატურათმცოდნეები, რომელთაც ხელეწიფებოდათ ჯეროვნად მიეხედათ და ერთგული პატრონობა გაეწიათ მშობლიური ქართული ენისათვის – ერის კონსოლიდაციის ძლიერი ფუნდამენტისათვის.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში საბჭოთა ინტერნაციონალისტური იდეოლოგიის გაბატონებით, რომელიც პროლეტარიატის მსოფლიო რესპუბლიკის რეალიზებას ლამობდა და ეროვნულ საკითხს მხოლოდ კლასობრივ ბრძოლებში დაქვემდებარებულ, მეორეხარისხოვან საკითხად განიხილავდა, ქართული ენის განვითარებისა და სრულყოფის პროცესს შეეძლება სერიოზული საფრთხე დამუქრებოდა. ეს საშიშროება ქართველმა ინტელიგენციამ ძალიან სწრაფად შეამჩნია და დაუფარავად განაცხადა კიდეც ამის შესახებ. მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ თავის ღია წერილში ქართველი ინტელიგენციის ძლიერი შეშფოთება გამოხატა: „დღეს, სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში მთავარი ატრიბუტი სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები, რკინიგზა და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არის“[20].

მაგრამ ჩვენ ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ლენინის პირადი მითითებით, პირველ ხანებში ქართველი ინტელიგენციის გულის მოგებასა და ლოიალობის მიღწევას ცდილობდა, ამიტომაც მან, თავიდანვე, გარეგნულად ქართული ენისადმი განსაკუთრებული ყურადღებისა და მისი უფლებების დაცვის ვალდებულება საჯაროდ აღიარა. უკვე 1921 წლის 6 მარტს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა კომუნისტური ხე-

ლის უფლების დაპირება, რომ „საბჭოთა სოციალისტური საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო ვალდებულია სასტიკად აასრულოს ბრძანება“.

ქართული ენისადმი განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის ამოცანა, მისი სახელმწიფო სტატუსის განმტკიცება დაავალა ი. სტალინმა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელებს 1921 წლის 8 ივლისს, საქ. კპ(ბ) ცეკას სხდომაზე. როცა ერთხმად მიიღეს შემდეგი რეზოლუცია: „ჩაითვალოს კანონიერ მოთხოვნად უმკაცრესი დაცვა ქართული ენის ინტერესებისა ყველა დაწესებულებაში უკლებლივ, რომლებიც ემსახურებიან ქართველ მოსახლეობას“[21].

სწორედ ქართველი ინტელიგენციის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის დიდი მიღწევა, რომ, სხვა მოკავშირე რესპუბლიკისაგან განსხვავებით, საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციაში (1922 წ.) დაფიქსირდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი.

მაგრამ, ჩვენ ზემოთ, სხვადასხვა პოლიტიკურ-უფლებრივ საკითხებზე მსჯელობისას, არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ბოლშევიკებისათვის არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა კონსტიტუციას და მასში დაფიქსირებულ დებულებებს. მათთვის მთავარი იყო პარტიული დისციპლინა და პარტიული წესდების დაწერილი თუ დაუწერელი კანონები. პარტიული ენა კი მხოლოდ რუსული იყო და ის ასეთად დარჩა საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში.

მაგრამ გარკვეული ძვრები ქართული ენის არა მარტო სტატუსის, არამედ მისი ფუნქციონალური დატვირთვის მასშტაბების გასაფართოებლად საქართველოში აშკარად კეთდებოდა. მაგალითად, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა სპეციალური, დარგობრივი ტერმინოლოგიის დადგენა და პრაქტიკაში დანერგვა. ამ საქმესაც ქართველი ინტელიგენცია ჩაუდგა სათავეში. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით არსებული სამეცნიერო საბჭო მოწოდებული იყო შეეშუშავებინა და სახელმწიფოსათვის შეეთავაზებინა ახალი სალიტერატურო ენის ნორმები, ახალი ტერმინები, გრამატიკის წესები და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მეცნიერების მოწოდებას – პრაქტიკაში დაენერგათ ახალი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია, გამოეხმაურნენ თბილისელი მუშებიც. გაზეთი „მუშა“ აქვეყნებდა ინფორმაციას, რომ თბილისის კონიაკის მე-4 ქარხანაში მუშებმა შეადგინეს ტექნიკური ტერმინების ჩამონათვალი, რომელშიც რამდენიმე ასეული მათთვის ნაცნობი ტექნიკური ტერმინი იყო მოხმობილი, ამათგან მხოლოდ 25 იყო ქართული, დანარჩენი კი – რუსული. აქედან გამომდინარე თბილისელი მუშები ცდი-

ლობდნენ დაემკვიდრებინათ პრაქტიკაში ქართული ტექნიკური ტერმინები. პროპაგანდა ეწეოდა იმას, რომ თბილისის დეპოს მემანქანე ზეიკიძე პრაქტიკაში საერთოდ აღარ იყენებდა რუსულ ტერმინოლოგიას და თანამშრომლებს აიცილებდა იმით, რომ ყოველდღიურ პრაქტიკაში სმაროობდა: ჭვალარს, ბარბაცას, მყრქვეანას, როგორც ადგილობრივი გასხეულები იტყობისებოდნენ. ზეიკიძემ თანამშრომლები დაარწმუნა ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის სმარების უდიდეს მნიშვნელობაში[22].

რა თქმა უნდა, ძნელია იმის თქმა, რომ ზეიკიძეს ბევრი მომხრეები ჰყავდა საქართველოს მრეწველობაში. როგორც დასტურდება, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი უფრო იყო დაცული მოხონაციონალურ რეგიონებში, ხოლო პოლიტინგვისტურ საწარმოებსა და ორგანიზაციებში – უფრო რუსული ენის გამოყენება იყო პატივში.

მაგრამ არ შეიძლება არ შევამჩნიოთ და ეს ჩვენ ხემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იყო მცდელობა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი დაეცვათ და განემტკიცებინათ სამხრეთ საქართველოში – ქართველი წარმომადგლობის მაჰმადიანებით დასახლებულ რეგიონებში, მაგრამ ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის მხრიდან ქართული ენისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო.

ქართული ენის შესწავლის, მისი სალიტერატურო ნორმების დადგენის მოაქარი ცენტრი XX საუკუნის 20-იანი წლებიდან გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები. ამ საქმეში ერის წინაშე უდიდესია აკაკი შანიძის, როგორც მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, დამსახურება. მთელი 20-იანი წლების განმავლობაში ახალგაზრდა მეცნიერი უდიდესი ენთუზიაზმით, იცავდა ჯაჭახიშვილთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტების საფუძველზე, მუშაობდა ქართული ენის გრამატიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ურთულესი პრობლემების შესასწავლად. მან არა ერთი სერიოზული გამოკვლევა მიუძღვნა ქართული ენის მორფოლოგიის, გრამატიკისა და სინტაქსის საკითხებს. ხოლო 1930 წელს სრულიად საქართველოს წარუდგინა „ქართული გრამატიკა- მორფოლოგია", რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მშობლიური ქართული ენის გრამატიკული ნორმების შესწავლისა და მასობრივი გავრცელების საქმეში. როგორც ავტორი აღნიშნავდა, ის „ცდილობდა არ დასცილებოდა **ახალი სამწერლობო ენის** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) ნიადაგს და შესადარებლად შემოჰქონდა, რამდენადაც საჭირო იყო სალიტერატურო ენაში დღეს არსებული მოვლენების გასათვალისწინებლად"[23].

ამრიგად, აკაკი შანიძის ამ ნაშრომიდან, შეიძლება ვამტკიცოთ, იწყება კიდევ ერთი ახალი ეტაპი ქართული ენის არა მარტო შესწავლის, არამედ

მისი ფუნქციური განვითარებისა და სრულყოფის საქმეში, რადგან სწორედ აკაკი შანიძის სამეცნიერო გამოკვლევები და ქართული ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, წერის კულტურის ნორმების შემუშავების შემდეგ ეს ცოდნა მასობრივად გავრცელდა სრულიად საქართველოში იმ სასკოლო სახელმძღვანელოების დახმარებით, რომლებსაც სწორედ აკაკი შანიძე სისტემატურად აქვეყნებდა ქართველი მოსწავლეების არაერთი თაობისათვის (აღსანიშნავია, რომ ეს სახელმძღვანელოები გამოდიოდა ყოველწლიურად მრავალათასიანი ტირაჟებით). სწორედ ქართული ენის, სალიტერატურო ენის, მისი გრამატიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის გაცნობა-გათავისება საქართველოს ქართულენოვანი მოსახლეობისათვის იყო კეთილნაყოფიერი საფუძველი კონსოლიდაციის პროცესის წარმატებით დაგვირგვინების. ეს არ იყო ერთჯერადი, კამპანიური პროცესი. **ამ პერმანენტულმა პროცესმა უზრუნველყო ახალი თანამედროვე ქართული ენის ნორმების ქართველი მოსახლეობის უმრავლესობაში საბოლოოდ დამკვიდრება, რაც 50-იანი წლების შუა ხანებში წარმატებულად დასრულებული ჩანს.**

აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძის, გიორგი ახვლედიანის, ვარლამ თოფურიას და მათი მოწაფეების უდიდესი დამსახურებაა, რომ ქართველოლოგია (განსაკუთრებით ენათმეცნიერება) საქართველოში განსაკუთრებულ სიმაღლეზე ავიდა სწორედ 30-50-იან წლებში. ქართული ლიტერატურის კარდინალური საკითხებია გაშუქებული შ. ნუცუბიძის, პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილის, ე. კოტეტიშვილის, ი. აბულაძის და სხვათა გამოკვლევებსა და მონოგრაფიებში.

განვითარდა და აყვავდა რუსთველოლოგია. განსაკუთრებით 1937 წლიდან, როცა სტალინის მითითებით, სრულიად საბჭოთა კავშირმა საზეიმოდ აღნიშნა გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავი. რუსთაველი და რუსთველოლოგია საქართველოს ხელისუფლების გამორჩეული ზრუნვის ობიექტი გახდა. საბჭოთა ხელისუფლებას რუსთაველში განსაკუთრებით მოსწონდა მისი აშკარა ინტერნაციონალიზმი და მას ძალიან ოსტატურად იყენებდნენ საკუთარ ინტერნაციონალურ-აღმზრდელობით საქმიანობაში.

ქართველმა მეცნიერებმა მაქსიმალურად გამოიყენეს საბჭოთა სისტემის მხრიდან გენიალური მწერლის მიმართ ეს ინტერესი და რუსთველოლოგია არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს. რუსთაველი გახდა ქართველი ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთი უპირველესი იდეოლოგიური საფუძველი. უკვდავი პოემა, რომელმაც მრავალი ათეული წლის მანძილზე ასეულ ათასიანი ტირაჟით გამოიცა, სწორედ ამ პერიოდიდან ქართული ლიტერატურის ყველა სახელმძღვანელოსა და ყველა ქართველის ოჯახში საბოლოოდ დამკვიდრდა. ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხის-

ტყაოსანი" საბჭოთა ინტერნაციონალისტურ სახელმწიფოში **ქართველების ეროვნული ერთიანობისა და ეროვნული იდენტიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი მარკერიც გახდა.**

არ შეიძლება არ აღინიშნოს რუსთველოლოგიაში, საერთოდ ქართველოლოგიაში „ენიმკის" (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის) მიღწევები ქართული ენის და ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლის საქმეში. 1936 წელს დაარსებული ეს სამეცნიერო ორგანიზაცია აერთიანებდა ქართველოლოგიაში მომუშავე თითქმის ყველა ქართველ და არაქართველ მეცნიერს. უდიდეს მუშაობას ეწეოდა ამ ინსტიტუტში არნოლდ ჩიქობავა. მისი გამოკვლევები ხოგადენათმეცნიერებაში მუდამ გამორჩეულ ინტერესს იწვევდა. მისი სახელი მთლიანად საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ მაშინ გახდა ცნობილი, როცა ი. ბ. სტალინი დაინტერესდა მისი გამოკვლევებით და საერთოდ ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებით.

1950 წელს 9 მაისს გაზეთი „პრავდა"-მ გამოაქვეყნა ა. ჩიქობავას წერილი, რომელშიც საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული ნ. მარის „ახალი მოძღვრება ენის შესახებ". როგორც ამტკიცებენ ნიკო მარის მიმდევრები „ცეცხლითა და მახვილით" ამკვიდრებდნენ მარისეულ ამ მოძღვრებას და მოწინააღმდეგეთა მიმართ იყენებდნენ ადმინისტრაციულ სემოქმედებასაც კი.

მარის წინააღმდეგ ა. ჩიქობავას მეცნიერულ არგუმენტაციას მხარს უჭერდნენ ცნობილი საბჭოთა ენათმეცნიერები ბ. ა. სერებრიანიკოვი, გ. ა. კახარციანი, ლ. ა. ბულახოვსკი და სხვ.

საზოგადოებისათვის მოულოდნელად ა. ჩიქობავას ამ სტატიას მხარი საჯაროდ დაუჭირა ი. სტალინმა, რაც ჯერ გაზეთში გამოქვეყნდა, ხოლო ცოტა მოგვიანებით ცალკე წიგნად – „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" გამოიცა.

ჩვენი მიზანი არ არის ამ დისკუსიის მიმდინარეობისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შეფასება – ეს ძალიან შორს წაგვიყვანს.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რომ სწორედ ქართული ენის ყოველმხრივმა შესწავლამ, ქართველი მეცნიერების ინტენსიურმა მუშაობამ ამ ფრონტზე, დარგის შესაძლებლობები არნახულ სიმაღლეზე აიყვანა და მათი მიღწევები, მოსაზრებები, დასკვნები და შეხედულებები საინტერესო და გასაზიარებელი გახდა ცნობილი სამეცნიერო სკოლების წარმომადგენლებისათვისაც. ეს უდიდესი მიღწევა იყო.

ამრიგად, კვლავ ქართველი ინტელიგენციის ძალისხმევით ქართული ენა – მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით, უკვე XX საუკუნის 30-50-იან წლებში გაუთანაბრდა მსოფლიოს დიდი ერების ენებს ფონეტიკისა და

მორფოლოგიის საკითხების სიღრმისეული დამუშავების დონით. ეს მოპოვებული ცოდნა, ეს მიღწევა სწორედ ქართველმა ინტელიგენციამ (სამეცნიერო თუ პედაგოგიურმა) მასობრივად გაავრცელა სრულიად საქართველოში და ამით ქართული ახალი სალიტერატურო ენა მართლაც გადააქცია ქართველი ერის კონსოლიდაციის მთავარ ფაქტორად.

§ 4 – ერთიანი ქართული საგანმანათლებლო სივრცე

„მშრომელი მასების" განათლება საბჭოთა რეჟიმის უპირველესი ამოცანა მაქდამ იყო. განათლება კომუნისტურად კი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გულისხმობდა კომუნიზმის საქმისადმი ერთგული, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიით შეიარაღებული, კოლექტივისტური სულისკვეთებით აღჭურვილი ახალგაზრდა თაობის აღზრდას. სწორედ საბჭოთა სკოლას უნდა სამოეყალიბებინა „ახალი საბჭოთა ადამიანი", რომელიც თავისუფალი იქნებოდა წარსულის „ბურჟუაზიული" გადმონაშთებისაგან, რელიგიური ცნობიერებისაგან, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მიუღებელი ტრადიციული ფასეულობებისაგან. ამ ამოცანებს საკმაოდ წარმატებით ახორციელებდა საბჭოთა ხელისუფლება XX საუკუნის 20-იან წლებში, მაგრამ გარკვეულ პერიოდში ამ ხაზის გარკვეული კორექტირება გახდა საჭირო...

20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებულად საცნაური გახდა, რომ მსოფლიო ახალი ომისთვის, ტერიტორიების ახალი გადანაწილებისთვის, რევანშისთვის ემზადებოდა. გერმანიაში ძლიერდებოდა ნაციონალისტური იდეოლოგია – ფაშიზმი, რომელიც 1933 წელს ხელისუფლებაშიც მოვიდა. მთელი აღმოსავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაციონალისტური იდეოლოგიის ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა. მოსალოდნელი ომი – საბედისწერო ომი იქნებოდა, რომლის დროს საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო არა მარტო ტერიტორიული პრობლემები, არამედ სოციერთი ერისა და სახელმწიფოს ეროვნა-არეროვნის საკითხიც. ერებისა და სახელმწიფოების, პოლიტიკური რეჟიმების ფიზიკურ განადგურებას ღრმა და შორსგამიზნული იდეოლოგია ასაზრდოებდა – ფაშისტური ნაციონალიზმი, რომელიც აკანონებდა ერების გამორჩეულობის დოგმას და გერმანული ციეილიზაციის უპირატესობას აშკარად ქადაგებდა. ასეთ ომში შიშველი ინტერნაციონალიზმით და ხალხთა ძმობის კეთილი სურვილებით საბჭოთა სახელმწიფო სასურველ შედეგს ვერ მიაღწევდა – ეს ჭეშმარიტება საბჭოთა ხელმძღვანელობამ საბედნიეროდ დროულად შეიგნო და 30-იანი წლების დასაწყისიდან საგანმანათლებლო-პროპაგანდისტურ სივრცეში ეროვნულ-პატრიოტული მოტივები ისე აშკარად უკ-

ვე აღარ იდევნებოდა. პირიქით, მათ ხელი ეწყობოდა, მაგრამ მხოლოდ უარკვეული დოზით. ამრიგად, სახეზეა ეროვნული ფასეულობების აღორძინება, ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაღვივება, ეროვნული ისტორიისადმი ყურადღების გაძლიერება და მათი ჩაყენება კომუნისტური სახელმწიფოს სამსახურში.

უპირველესად ეს ცვლილებები განათლების სისტემაზე აისახა. სასკოლო აღზრდის საქმეში გადაწყდა გამოეყენებინათ „თერგდალეულების" მიღწევები და გამოცდილება. 20-იანი წლების სხვადასხვა ექსპერიმენტის შემდეგ მივიდნენ იმ ჭეშმარიტების აღიარებამდე, რომ ქართველის აღზრდა უნდა დაფუძნებოდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" სახელმძღანელოს, რომელიც, რა თქმა უნდა, გაჯერებული უნდა ყოფილიყო კომუნისტური იდეოლოგიის გარკვეული პლასტებითაც.

ქართველი ბავშვის წერა-კითხვის შესწავლა კვლავ საკრალური „აი ია"-თი დაიწყეს. სახელმძღვანელოს შემდგენელი საბჭოთა ავტორები ძირითადად ეყრდნობოდნენ იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლის ბოლო წლებში, მისი მეთვალყურეობით, გამოცემულ ადაპტირებულ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც ეროვნულ მოტივს ძალიან დიდი ადგილი ეკავა. ჩვენ ზემოთ უკვე შევეფასეთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის" პედაგოგიური და ეროვნულ-პატრიოტული ღირებულება და მიგვაჩნია, რომ საბჭოთა სკოლაში მისი დაბრუნება – ეს ჭეშმარიტად ეროვნული საქმე იყო. ქართველი ბავშვი ამ სახელმძღვანელოთი საქართველოს სიყვარულს სწავლობდა: წიგნში კვლავ უხვად იყო ხალხური ლექსები, მოთხრობები, თქმულებები, ზღაპრები, აღწერილი იყო საქართველოს სვადასხვა კუთხე, მოთხრობები ეხებოდა საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას, მის ფლორას და ფაუნას.

რა თქმა უნდა, სახელმძღვანელოში გარკვეული ადგილი ეკავა იდეოლოგიზებულ მასალასაც – ლექსებს ლენინზე, სტალინზე, პარტიაზე. მაგალითად იყო ასეთი: „დათიკომ თავისი კუთხე ბელადების სურათებით და დროშებით მორთო"; „ძია სტალინი ჩვენი მეგობარია, ძია სტალინს უყვარს ბავშვები, ჩვენ გვიყვარს ძია სტალინი"[24].

სახელმძღვანელოს პირველივე გვერდზე გამოსახული იყო სამი სურათი – სტალინის, ბერიასი და რუსთაველის. სახელმძღვანელოების ავტორებს არ დავიწყებიათ და იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოდან გადმოიტანეს ცნობილი „დილა" – იოსებ სტალინის მიერ სიყმაწვილეში დაწერილი ლექსი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ 1895 წელს გაზეთ „ივერია"-ში დაუბეჭდა.

II მსოფლიო ომის შემდეგ პოლიტიკური თემების ამსახველი მასალის რაოდენობა იზრდება, უფრო ხშირია ლენინის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ მოთხრობები, ლექსები და მოგონებები სტალინზე და ა.შ.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ საგრძნობლად გაიზარდა პატრიოტული თემატიკაც – არის მოთხრობა – „სამასი თავდადებული არაგველი“, ხალხური ლექსი „მამულის სიყვარული“ და ა.შ..

საერთოდ, ქართული ენის დაწყებითი კლასის სახელმძღვანელო თავისი შემადგენლობით შეიძლება სამ ნაწილად დაიყოს – „ნეიტრალური ნაწილი“, რომელიც მთლიანად იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით არის შედგენილი და პედაგოგიური მეცნიერების ნორმებიდან გამომდინარე, ყმაწვილთაათვის ზოგადი განათლების საფუძვლების შესწავლას ითვალისწინებს; „პატრიოტული ნაწილი“ – საქართველოსადმი მიძღვნილი ხალხური თქმატიკა, მოთხრობები და ლაპარები, ისტორიული ამბები საქართველოს შესახებ და „იდეოლოგიზირებული ნაწილი“ – საბჭოთა იდეოლოგიისა და ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით წარმოდგენილი მოთხრობები და ამბები, ბელადების ცხოვრების ამსახველი სურათები და ა.შ.

ყველა ეს სახელმძღვანელო, საბჭოთა სინამდვილეში დამკვიდრებული ტრადიციით, ყოველწლიურად ეწარმაზარი ტირაჟებით იბეჭდებოდა. მაგალითად, 1939 წელს „დედა ენა“ დაიბეჭდა 85 000 ტირაჟით, მომდევნო წლებში ტირაჟი სისტემატურად იზრდებოდა. საყურადღებოა, რომ პარალელურად იბეჭდებოდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ აუტენტური გამოცემაც (3000 ცალი), რაც საბჭოთა პროპაგანდისტულ სისტემაში იაკობ გოგებაშვილის შემოქმედების აქტიურ ჩართულობას მიანიშნებს.

რა თქმა უნდა, ანალოგიური პრინციპებით იყო შედგენილი საშუალო სკოლის მომდევნო კლასების სახელმძღვანელოებიც, და მათ შორის განსაკუთრებით პოლიტიზირებული – ისტორიის სახელმძღვანელოები იყო.

სასკოლო წიგნების ყოველწლიური ტირაჟის ზრდა მიუთითებს საბჭოთა სკოლებში ბავშვების რაოდენობის ზრდას. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „თერგდალეულების“ ეწარმაზარი ძალისხმევის მიუხედავად XX საუკუნის დასაწყისში მხოლოდ 18 ქართული სკოლა იყო მათ მიერ ორგანიზებული და ისიც მხოლოდ დაწყებითი სწავლების მიმართულების. მეფის ხელისუფლება ყოველმხრივ ზღუდავდა ეროვნულ ენაზე სკოლების ფუნქციონირების შესაძლებლობას. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში გარკვეულწილად ხელი შეეწყო ქართული სკოლების ქსელის ორგანიზებას – ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში სკოლების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. თუ 1915 წელს საქართველოში ყველა ტიპის მხოლოდ 1765 სასწავლებელი იყო, 1928 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 2560, ხოლო უკვე 1951 წელს საქართველოში არსებობდა 4800 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა[25].

საგრძნობლად გაიზარდა სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობაც. თუ 1915 წელს ყველა ტიპის სასწავლებელში ჩაბმული იყო მხოლოდ 157,1 ათასი

ახალგაზრდა. 1928 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 287,2 მოსწავლემდე, ხოლო 1951 წლისათვის საქართველოს ყველა სახეობის (დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო) სკოლებში სწავლობდა 713,8 ათასი ახალგაზრდა[26].

რა თქმა უნდა, ეს რაოდენობა მთლიანად მოიცავდა საქართველოში მცხოვრებ ყველა ერსა და ეროვნებას. ჩვენთვის კი განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რა როლი შეასრულა საბჭოთა სინამდვილეში სკოლამ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის დასრულებაში. ამ საკითხს იმიტომ ვაყენებთ, რომ წინა თავში საკმაოდ ფართოდ ვაჩვენეთ, რომ 20-იან წლებში განსაკუთრებით საცნაური გახდა დეცენტრალიზაციის ტენდენციები და ზოგიერთი პოლიტიკური თუ ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლის ანტიქართული, გამთიშველი საქმიანობა.

ჩვენ ქვემოთ შევეხებით საქართველოს იმ რეგიონებს, სადაც კუთხური ენები და კონფესიური განსხვავებები გარკვეულ პრობლემებს უქმნიდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ეს რეგიონებია აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი.

ქართული წარმომავლობის მაჰმადიანების დიდი ნაწილი აჭარაში ცხოვრობდა – ეს იყო 70 828 კაცი. ჩვენ ზემოთ ისიც დავინახეთ, რომ სოციერთი ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო აჭარის ხელმძღვანელობას გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რამაც რეგიონში 1925 წლისა და 1928-1929 წლების სერიოზული კრიზისები გამოიწვია. ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ აჭარის ხელისუფლება 20-იან წლებში ჯერ კიდევ გამორჩეულ პატივს მიაგებდა მუსლიმურ რელიგიას და მოითხოვდა მუსლიმური ტრადიციების, შარიათისა, მეჩეთებისა და მედრესების ფუნქციონირების ნორმალიზებას.

ასეთ ფონზე როგორი იყო საგანმანათლებლო სივრცე აჭარაში? ხომ არ განმეორდა „თერგდალეულების“ ის გამოცდილება, როცა ქართულ სკოლაში ქართული წარმომავლობის მაჰმადიანი ბავშვების ყოფნა საოცნებო გახდა?

მიუხედავად აჭარაში არსებული პრობლემებისა, რაზეც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ, აჭარლების მიერ ქართული ენის ცოდნა და მის მიმართ ერთგულება მაინც განმსაზღვრელი ჩანს. აჭარაში 1926 წელსაც ადგილობრივი ქართველი (აჭარელი) მოსახლეობა მშობლიურ ენად ძირითადად ქართულ ენას აღიარებდა – ბათუმის მაზრაში ეს იყო 26 826 კაცი, ქობულეთის მაზრაში 16 660 კაცი, ხულოს მაზრაში 28810 კაცი და ა.შ. რა თქმა უნდა, იყვნენ აჭარლები, რომელთათვისაც მშობლიური „ოსმალური“ ანუ თურქული ენა იყო. ამის შესახებაც არის ინფორმაცია: ბათუმის მაზრაში იმჟამად სულ 1 218 თურქი ცხოვრობდა, მაგრამ მშობლიურ ენად თურქული („ოსმალური“) 3 777 კაცმა დაასახელა[27].

მაგრამ აჭარაში როგორც ბათუმში, ისე რაიონებში საგანმანათლებლო სივრცე ძირითადად ქართული იყო: XX საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში 303 ქართული სკოლა ფუნქციონირებდა, 5 ქართულ-რუსული, თითო-თითო ქართულ-თურქული, ქართულ-ბერძნული, ქართულ-რუსულ-სომხური. იყო ნაციონალური სკოლებიც.

სწორედ ეს სკოლები ემსახურებოდნენ აჭარის მოსახლეობას და მის მოსარგებლეობას. სწორედ ამ სკოლების დამსახურებაა, რომ **უკვე 30-იანი წლების ბოლოს აჭარელი ქართველებისათვის უფრო ძვირფასი გახდა შოთა რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე, თამარ მეფე და დავით აღმაშენებელი, ერთიანი ქართული ფასეულობები, რა თქმა უნდა, კომუნისტური იდეოლოგიით გაჯერებული, მაგრამ მაინც ერთიანი და ქართული.** ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ათეისტური პროპაგანდის დაღებითი სეგაყვლენა მაჰმადიანური ტრადიციების ნაცვლად ერთიანი ქართული ტრადიციების განმტკიცების საქმეში. **ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის დასრულებისათვის სწორედ 1931-1935 წლების მონაკვეთში.**

რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა მესხეთ-ჯავახეთში, სადაც ასევე ძირითადად თავმოყრილი იყო ქართული წარმოშობის მაჰმადიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ზემოთ, სათანადო ადგილზე, გვქონდა საუბარი იმ სირთულეებსა და წინააღმდეგობაზე, რასაც ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დამკვიდრების შეხვდა რეგიონში – ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თვითონ თავს ქართველად აღარ თვლიდა და ბავშვები ქართულ სკოლაში თითქმის არ შეჰყავდათ. ისინი ითხოვდნენ სკოლებს თურქულ ენაზე. მაგალითად, ახალციხის რაიონში თურქული 52 სკოლა იყო 3972 მოსწავლით და მხოლოდ 7 – ქართული: ახალქალაქში 6 ქართული და 9 თურქული სკოლა (905 მოსწავლით) იყო[28]; შეეძლო საქართველოს ხელისუფლებას ამ ვითარების რადიკალურად შეცვლა – საბჭოთა სინამდვილეში ამის გაკეთება არ შეეძლო. ეს ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ ზეწოლად, რასაც უცხო მომზირალი თვალი (მაგალითად საიდ კადიროვი და მისთანანი) ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების დარღვევად ჩაუთვლიდა თბილისს.

თურქული სკოლები იყო ბორჩალოს რაიონში (44 სკოლა), ბაშკიჩეთში (38 სკოლა), ლუქსემბურგის რაიონში (29 სკოლა), ლაგოდეხის რაიონში (4 სკოლა), მაგრამ კონტინგენტი განსხვავებული იყო – ესენი მოგვიანებით აზერბაიჯანელებად შესახელებული ბორჩალოელი თათრები იყვნენ.

საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ძირითადად მეგრულ და სვანურ ენებზე საუბრობდნენ, და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ითხოვდნენ ადგილობრივი ენების უფლებების აღიარებას, XX საუკუნის 30-იან წლებში სკოლები ძირითადად მხოლოდ ქართული იყო: ზუგდიდის რაიონში 59

სკოლა. მარტვილის რაიონში – 68 ეროვნული სკოლა. ცხაკაიას (სენაკის) რაიონში 63 სკოლა. ზემო სვანეთში – 40 სკოლა და ა.შ. აქაც საცნაურია ერთიანი ქართული საგანმანათლებლო სივრცის კეთილნაყოფიერი ზეგავლენა, რომელმაც უზრუნველყო ამ რეგიონების კიდევ უფრო მჭიდრო ჩართულობა ერთიან ქართულ ორგანიზმში.

სპეციალურად გვინდა შევეხოთ სკოლების საკითხს აფხაზეთში – ის რაც 30-იან წლებში აქ კეთდებოდა სახალხო განათლების ქსელში – მხოლოდ ბაბილონის გოდოლს შეიძლება შეედაროს. სულ პატარა რეგიონში არსებობდა აფხაზური (69 სკოლა), ქართული (100 სკოლა), რუსული (43 სკოლა) ბერძნული (77 სკოლა) სომხური (122 სკოლა), თურქული (1), ესტონური (5 სკოლა), ოსმალური (1 სკოლა), ქართულ-რუსული(8 სკოლა), აფხაზურ-რუსული (15 სკოლა), ქართულ-აფხაზური (1 სკოლა), თითო-თითო იყო: რუსულ-სომხური, გერმანულ-სომხური, რუსულ-სომხურ-ქართული, რუსულ-ესტონურ-სომხური სკოლები[29]. სკოლების ასეთი „სიმრავლე" ყველანაირ ერთიან საგანმანათლებლო სივრცეს ვერ შექმნიდა და აკი ვერც შექმნა კიდეც...

ერთიანმა სასწავლო ციკლმა, საერთო საგანმანათლებლო პროგრამებმა, სახელმძღვანელოებმა, სწავლების ერთიანმა მეთოდოლოგიამ და მეთოდიკამ, მიუხედავად საბჭოთა სულისკვეთებისა, ხელი შეუწყო ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის წარმატებით დასრულებას, რადგან მოიცავდა საქართველოს ქართველენოვან ახალგაზრდა თაობას ტოტალურად და მას ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე უვითარებდა ერთიანი საქართველოს (თუნდაც ის საბჭოთა ყოფილიყოს) მოქალაქის შეგნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 30-იანი წლებიდან საქართველოს საშუალო სკოლებში ყურადღება მიექცა საქართველოს ერთიანი ისტორიის შესწავლას, რასაც ასევე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ცნობიერების განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

§ 5. – საქართველოს ერთიანი ისტორია

ზემოთ, სათანადო ადგილას, ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ივანე ჯავახიშვილმა „ქართველი ერის ისტორიის" საეტაპო ნაშრომით, გარკვეული აზრით, შეკრა „თერგდალეულების" მიერ დაწყებული ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობა, ხოლო ილიას ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ თავის ხელში აიღო „კულტტრეგერობის" ის საპატიო დროშა, რომლის წართმევას ილიასთვის ასე ენერგიულად ცდილობდნენ. სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ივანე ჯავახიშვილმა

და მისმა თანამოაზრეებმა დააფუძნეს ერის კონსოლიდაციისა და მისი ინტელექტუალური განვითარება–სრულყოფის მძლავრი კერა, რომელმაც ქველა'ზე ტრაგიკულ წლებშიც ღირსეულად ატარა ერის სულიერი სავანის საპატიო წოდება.

მიუხედავად უნივერსიტეტის რექტორობის გამო უდიდესი დატვირთვისა, ივანე ჯავახიშვილმა სწორედ 20-30-იან წლებში შექმნა თავისი კლასიკური ნაშრომების დიდი უმეტესობა, რომლებიც ეძღვნებოდა ქართველი ერის ისტორიის, ეკონომიკური განვითარების, სამართლისა და სოციალური პრობლემატიკის სხვადასხვა ასპექტს.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის ყველა'ზე დიდი მიღწევა – მისი საისტორიო სკოლის ფორმირება და გაძლიერებაა. მან გვერდ'ზე ამოიყენა ისტორიკოსთა ახალი თაობა – სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვარლამ დონდუა და სხვები. თბილისის უნივერსიტეტის საისტორიო სკოლა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობითა და მიღწევებით არ ჩამოუვარდებოდა საბჭოთა კავშირის წამყვან სამეცნიერო ცენტრებს. მართალია, ამ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი (ხოგი გ'ულწრფელად, ხოგი მოსყენებით) თავს თვლიდა მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის პრინციპების დამცველად. მაგრამ იმუამად ისინი მაინც ერთობლივი შრომითი შედეგებით წინ სწევდნენ ერთიანი საქართველოს ისტორიის სოციალურ-პოლიტიკური. ეკონომიკური და კულტ'ურული ასპექტების შესწავლის საქმეს.

საერთოდ, საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე გამორჩეული პატივით ეკიდებოდა ივანე ჯავახიშვილს და მის ღვაწლს ქართველი ერის ისტორიის ურთულესი პრობლემების შესწავლა-დამუშავების საქმეში. მიუხედავად ამისა, მაინც მოხდა ისე, რომ 1936 წელს ღვაწლმოსილ მეცნიერს თავისი მშობლიური უნივერსიტეტის დატოვება მოუხდა მის წინააღმდეგ აგორებული სერიოზული პოლიტიკური დევნისა და „სამეცნიერო" დავის გამო. ეს დრამატ'ული საკითხი ივანე ჯავახიშვილის ბევრ ბიოგრაფს აქვს ყოველმხრივ შესწავლილ-გაანალიზებ'ული და ჩვენ მასზე სპეციალურად აღარ შევჩერდებით. მაგრამ გვინდა ეს დევნა გარკვეულწილად დავუკავშიროთ (ჰიპოთეზის სახით მაინც) მოსკოვში 20-30-იან წლებში ისტორიკოსების ძველი თაობის მიმართ გაჩაღებულ „პოლიტიკურ-სამეცნიერო" დევნას, რომლის სულისჩამდგმელი მარქსისტი ისტორიკოსების მამამთავარი და ერთ-ერთი საბჭოთა იდეოლოგი მ. პოკროვსკი იყო. როგორც თანამედროვე რუსი ისტორიკოსები ამტკიცებენ, მ. პოკროვსკი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც ისტორიკოსთა ძველი თაობის წარმომადგენელი იყო, „ცეცხლითა და მახვილით" ებრძოდა ძველი თაობის ისტორიკოსებს: აკად. ს. პლატონოვს, აკად. ნ. ლიხაჩოვს, აკად. მ. ლუბავსკის, აკად. ე. ტარლეს და

ბევრ სხვას, რომელთაც ბრალს სდებდა მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის დოგმატიკის არასათანადო გამოყენებაში, კლასთა ბრძოლის როლის უგულებელყოფაში, სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების არდანახვაში, რუსეთის სახელმწიფოს მაორგანიზებელი როლის გადაჭარბებულ შეფასებაში, ისტორიაში პიროვნების როლის არამარქსისტულ ინტერპრეტაციაში და სხვა „ცოდვებში“[30].

მ. პოკროვსკი და მისი საისტორიო სკოლა იმჟამად გაბატონებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ისინი წარმატებით იყენებდნენ ადმინისტრაციული ზეწოლის მეთოდებს, იჩენდნენ შეურიგებლობასა და ულმობლობას. როგორც ამტკიცებენ, ისინი თავიანთ ოპონენტებს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებშიც კი ასმენდნენ.

საბჭოთა, იმჟამად უკვე აპრობირებული ტრადიციით, ის პოლიტიკური კამპანია, რაც იწყებოდა მოსკოვში, აუცილებლად პერიფერიებშიც უნდა გავრცელებულიყო (გავიხსენოთ ე.წ. „კონდრატევშინა“ და მისი რეციდივები საქართველოში) და ადგილზე აუცილებლად უნდა მოენახათ „განტევების ვაცი“. ვევარაუდობთ, რომ ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ აგორებული დევნის ინიციატორები, გარკვეულწილად, პოკროვსკის სკოლის მიერ დანთებული ალის გადმოტანას ცდილობდნენ საქართველოს სინამდვილეში (ამ ჰიპოთეზის დადასტურებას დამატებით სპეციალური კვლევის ჩატარება სჭირდება).

თუმცა, 1938 წელს სერიოზული კრიტიკის შემდეგ პოკროვსკის სკოლა ფაქტობრივად „კანონგარეშე“ გამოცხადდა სწორედ თავისი, ზედმეტად კრიტიკული, პოზიციების გამო რუსეთის სახელმწიფოს ისტორიული როლის მიმართ, ოფიციალურად უკუაგდეს პოკროვსკის მაქსიმალიზმი და მოვლენათა მისეული შეფასებები. ამ პერიოდში სტალინმა, როგორც აღვნიშნეთ, II მსოფლიო ომის მოახლოებასთან დაკავშირებით, გარკვეულად დაუშვა ნაციონალისტური ელემენტები ისტორიული სინამდვილის გაგებისა და შეფასების დროს, გადაისინჯა დამოკიდებულება როგორც რუსეთის სახელმწიფოს ისტორიულ როლზე, ისე ბევრ ისტორიულ პიროვნებაზეც (ალექსანდრე ნეველი, პეტრე დიდი და ა.შ.)

შემთხვევითი არ გვეჩვენება, რომ სწორედ ამ პერიოდიდან ხდება ივანე ჯავახიშვილის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების ყურადღებისა და მზრუნველობის გაძლიერება: იგი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად. ვევარაუდობთ, რომ ამ საქმეში შეიძლება სტიმული იმანაც შეასრულა, რომ ივანე ჯავახიშვილმა საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით შეისწავლა სტალინის წარმომავლობა, მისი გენეოლოგია და დაასაბუთა, რომ „ჯუ-

გაშვილები“ – წარმოშობით კახეთის ისტორიული სოფლიდან – ჯუგაანიდან იყვნენ.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის ამ პერიოდიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი და მისი მოწაფეების (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი) მიერ მომზადებული „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო“. რატომ?

თავის ადგილზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ივანე ჯავახიშვილი, მართალია კმაყოფილი იყო თავისი ნაშრომის „ქართველი ერის ისტორიის“ გამოქვეყნებით, მაგრამ წუხდა, რომ წიგნის აკადემიური სტილი, ღრმა მეცნიერული შინაარსი ნაშრომს საქართველოს ფართო მოსახლეობისათვის მიუწვდომელს ხდიდა. ეს გარემოება მას ძალიან აწუხებდა. ახლა, საბჭოთა სინამდვილეში, მისი შემოქმედებითი დაისის დროს კი ის და მისი მოწაფეები წერენ სრულიად საქართველოსათვის მისაწვდომ, ადვილად გასაგებ და ამასთან, ღრმა მეცნიერულ არგუმენტაციაზე დაფუძნებულ პოპულარულ ნაშრომს – ქართველი ერის ერთიან ისტორიას.

ნაშრომი სერიოზული განხილვის ობიექტი გახდა[31], მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სრულიად საქართველოს საისტორიო საზოგადოება: პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, გ. ნიორაძე. გ. ჩუბინაშვილი, აბ. კიკნაძე, ა. ჩიქობავა, გ. ტივაძე, პ. გუგუშვილი და სხვ.

იყო კრიტიკა, იყო საქმიანი წინადადებებიც და იყო უდიდესი აღფრთოვანებაც. ნაშრომი 1943 წელს – ქვეყნისათვის მართლაც საბედისწერო წელს, გამოქვეყნდა და სრულიად საქართველოს, მის მომავალ თაობას მიეცა ძლიერი სულიერი საზრდო: ეროვნული ერთიანობისა და საქართველოს სიყვარულის სახელმძღვანელო.

აი, რას წერს თვითმხილველი: „საქართველოს ისტორიის“ გამოსვლამ საზოგადოებაში ნამდვილი აღფრთოვანება გამოიწვია. იწერებოდა რეცენზიები, ეძღვნებოდა რადიოგადაცემები. **იყო ბედნიერი დღეები** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)[32].

როგორც ამბობენ, ნაშრომი იმ დროის პოლიგრაფიის უმაღლეს დონეზე იყო დაბეჭდილი და მდიდრულად ილუსტრირებული. წიგნი 10 000 ტირაჟით გამოქვეყნდა და სწრაფადაც გაყრილდა. წიგნმა II მსოფლიო ომის დრამატულ დღეებში ქართველობას ბედნიერება მოუტანა – ის ქართველების ერთიანობის სიმბოლოდ გადაიქცა.

წიგნი ძალიან მოეწონა იოსებ სტალინს. ამას მიუთითებს ის, რომ 1945 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში თავისთან იწვევს ქართველ ისტორიკოსებს ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს და მათ სამი დღის განმავლობაში საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე ესაუბრება. ამ საუბ-

რის დეტალური შინაარსი დასახელებული ისტორიკოსთა მოწაფეებმა და მათმა შთამომავლობამ მოგვიანებით გამოაქვეყნეს და ჩვენ ამ საკითხებს დეტალურად აღარ შევეხებით. გამოვყოფთ ი. ბ. სტალინის მიერ გაკეთებულ მხოლოდ სამ უმნიშვნელოვანეს აქცენტს:

1. „ეს ისეთი წიგნია, რომელსაც მიბაძავენ ყველა რესპუბლიკაში – უკრაინაში, ბელორუსიაში ... დღემდე ხომ არ ყოფილა საქართველოს ისტორია ასეთი";

2. საქართველო-რუსეთის ისტორიული ურთიერთობის შესახებ სწორედ ამ შეხედრაზე აღინიშნა: „ეს იყო ბოროტება, მაგრამ იმ ისტორიულ ვითარებაში უმცირესი ბოროტება";

3. „საქართველო ევროპული ქვეყანა იყო და... ის კვლავ დაუბრუნდა ევროპული განვითარების გზას"[33].

წიგნი სწრაფად გადათარგმნეს რუსულად და ის დაიბეჭდა. 1948 წელს „საქართველოს ისტორია" ქართულ ენაზე უკვე 20 000 ტირაჟით გამოქვეყნდა. ნაშრომს მიენიჭა სტალინური პრემია. რა თქმა უნდა, ყველაფერმა ამან უპრეცედენტო წიგნის უდიდესი პოპულარობა და მისაწვდომობაც – ქართველობას უკვე ხელთ ჰქონდა ადვილად გასაგები წიგნი – **ერთიანი საქართველოს ისტორია**.

ეს საეტაპო მიღწევა ქართული საისტორიო სკოლის ჩამოყალიბების დასრულებისა და ინტენსიური საკვლევაძიებო მუშაობის განვითარების შედეგი იყო. სწორედ 30-იან წლებში იბარტყა ქართულმა საისტორიო აზრმა, განვითარდა საისტორიო მეცნიერების მეტად აუცილებელი მიმართულებები და პრობლემური ჯგუფები. მასშტაბური არქეოლოგიური კვლევა მიმდინარეობდა ქვემო ქართლში – თრიალეთში (ბ. კუფტინი), მცხეთაში (ი. ჯავახიშვილი, ა. კალანდაძე, ა. აფაქიძე, გ. ნიორაძე და სხვ.); ქართველი ეთნოგრაფების გამორჩეული სკოლა შექმნეს გ. ჩიტაიამ, ვ. ბარდაველიძემ, რ. ხარაძემ; ქართული წყაროთმცოდნეობა მნიშვნელოვნად წასწიეს წინ ს. ყაუხჩიშვილმა, ვ. დონდუამ და სხვ.; რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხებზე სერიოზული გამოკვლევები შექმნეს მ. პოლიექტოვმა, ი. ცინცაძემ და სხვ.

II მსოფლიო ომის შემდეგ საისტორიო მეცნიერება კიდევ უფრო განვითარდა და გაძლიერდა. მეცნიერებაში მოვიდა ახალგაზრდობა: მ. ლორთქიფანიძე, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი და კიდევ ბევრი სხვ.

საისტორიო დოკუმენტების, საარქივო მასალების პუბლიკაციის, ეთნოგრაფიული გამოკვლევების ინტენსივობამ ახალი იმპულსი შესძინა საისტორიო ბელეტრისტიკას, რაც ქართველი ერის უსაყვარლესი ლიტერატურული ჟანრი სწორედ იმ წლებიდან გახდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ „თერგდალეულები“ ეროვნული კონსოლიდაციის გზაზე საქართველოს ერთიანი ისტორიის ცოდნას და მისადმი დაუოკებელი ინტერესის გაღვივებას. ამას ჩინებულად აღწევდნენ საისტორიო ბელეტრისტიკით, პოეზიით, ფოლკლორისტიკის განვითარებით. საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლება, რომელიც ისტორიას 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციით იწყებდა, გულგრილად ეკიდებოდა ისტორიულ წარსულს. ისინი უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ მარქსისტული ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის განმტკიცებას, ვიდრე მასებისათვის ისტორიული მემკვიდრეობის ხსოვნისა და პატივისცემის გაღრმავებას. ამის ჩინებული ილუსტრაციაა ბოლშევიკების იდეოლოგის ნიკოლოზ ბუხარინის გამონათქვამები ისტორიულ ბელეტრისტიკაზე, პატრიოტულ პოეზიაზე. მაგალითად, მისთვის ყოველმხრივ მიუღებელი იყო ს. ესენინის პატრიოტული შემოქმედება იმიტომ, რომ „ესენინი სიბნელეა, ცემა-ტყეპა, ლოთობა, არყისა და ცრემლის ლურჯი ზღვა, იგი დედის გინებაა, შრომისადმი უპატივცემლობა, ხულიგნობა, „ხატები“, „საკმეველი“ და „კანდელია“. იგია შოვინიზმის ნაშთი, დედაკაცისადმი ღორული მოპყრობა, შინაგანი თავაშებულობა... ობლომოვშჩინას ნაშთები, ინტელიგენტური ქედმაღლობა და მუშაობის მონური ტემპი. **ყველაფერი ეს არის ჩვენი მონური წარსული, რომელიც ჩვენში კვლავ ცოცხლობს და უგალობენ** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)“[34].

როცა გაბატონებული იდეოლოგიის მესაჭეს ასეთი შეხედულება აქვს წარსულზე, რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ისტორიული ბელეტრისტიკა ვერ განვითარდება. მაგრამ ქართველი მწერლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე პერიოდში – XX საუკუნის 20-იან წლებშიც ცდილობდნენ საქართველოს ისტორიის გამოყენებას ქართველების პატრიოტული აღზრდის მიზნით და საისტორიო შინაარსის თხზულებებსაც წერდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ვასილ ბარნოვისა და შალვა დადიანის შემოქმედება. ვასილ ბარნოვი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო სწორედ საისტორიო ბელეტრისტიკაში, 20-იან წლებში საქართველოს ისტორიის თემაზე არა ერთი რომანი დაწერა. მათ შორის: „გიორგი სააკაძე ანუ განგების რკალში“, „არმაზის მსხვრევა“, „დედოფალი ბიზანტიისა“, და სხვები. მაგრამ ეს ნაშრომები ვერ იქცნენ ქართველების სამაგიდო წიგნად (როგორც „ბაში-აჩუკი“ ან „მამელუქი“) და დღეს ვიწრო სპეციალისტების გარდა ისინი აღარავის ახსოვს.

უფრო პოპულარული იყო შალვა დადიანის თხზულება – „გიორგი რუსი“, რომელიც ქართულ-რუსული ისტორიული ურთიერთობის ერთ-ერთ განსა-

კუთრებულად დრამატულ ეპიზოდს – თამარ მეფის პირველ ქმარს, იური ბოგოლუბსკის და მის მიერ საქართველოში დატრიალებულ მოვლენებს ეხება. გიორგი რუსა ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთობ ცარიელ ადგილზე არის შეფასებული და მწერლის დაინტერესება სწორედ თავისი ტრაგიკული ბედით გამოიწვია. ნაშრომში აღწერილია თავისი ძლიერების ხანიტში მყოფი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მიღწევები. ნაშრომი რუსულ ენაზეც ითარგმნა და ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიის პოპულარიზებას სრულიად საბჭოთა კავშირში.

20-იან წლებში უფრო საინტერესო და განსაკუთრებით შინაარსიანი იყო პატრიოტული პოეზია: გ. ტაბიძის, ჰ. იაშვილის, ტ. გრანელის, ტ. ტაბიძისა და სხვათა შემოქმედება. მათ დიდი ბრძოლის გადატანა უხდებოდათ პროლეტარული მწერლების ასოციაციასთან, რომელთათვის პატრიოტიზმი მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო პროლეტარული საქმისადმი ერთგულება იყო და მათი ლექსის ვმირი თამარი და დავითი კი არა, არამედ ლევ ტროცკი და ულადიმერ ლენინი იყვნენ. აი რაზე ოცნებობდნენ „ახალი საქართველოს“ შუშა-პოეტები:

„წითელი ფრთები დავკრა არაბეთს,
ძველი ახალზე გადავუნაცვლო,
გზები შევუკრა რურში საფრანგეთს,
და პუანკარეს ფერი ვუცვალო“.

იყო ასეთიც:

„მოესკდე ნიაღვრად ახვიროებული,
და სულ კლდეებსა ვეხეთქებოდე,
მთელი ბუნების წაბილწულებსა
გადაეთელაკდე, ქეციად აღვგვიდე.“

ასეთი იყო, ძირითადად, ვითარება საქართველოში მთელი 20-იანი წლები, მაგრამ 30-იანი წლების დასაწყისიდან, როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიოში შექმნილმა რევანშისტულმა ტენდენციებმა და მსოფლიო ომის მოახლოებამ, საბჭოთა ხელმძღვანელობაც დაარწმუნა, რომ ისტორიული წარსულის ზომიერი გამოყენება საბჭოთა პროპაგანდისტულ პოლიტიკაში აუცილებელი და მისასალმებელიც არის. ყველა რესპუბლიკაში ხდებოდა ისტორიული ბელეტრისტიკის აღორძინება. არც საქართველო იყო გამონაკლისი – უკვე 30-იანი წლებიდან ქართველი მწერლები თავის შემოქმედებაში აქტიურად იყენებენ ისტორიულ თემატიკას, საზოგადოებას სთავაზობენ ცალკესად საჭირო და მასშტაბურ თხზულებებს. არნახული პოპულარობა მოიპოვა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატი კონსტანტინეს მარჯვენამ“. საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ეპიკური პერიოდის ღრმა და საინტერესო გააზრებით, რომანის გმირების რთული, წინააღმდეგობრივი სახეების

ოსტატ'ური გადმოცემით, გამორჩეული ენობრიეი სტილით და დახვეწილი ფაბ'ულით რომანი წარმატებული გახდა გამოქვეყნებისთანავე. იგი ითარგმანა როგორც საბჭოთა, ისე დასავლეთ ევროპის ხალხების ენებზეც.

30-იანი წლების ნამდვილ ბეტსელერად გადაიქცა ანა ანტონოვსკაიას 'უკედავი ეპოპეა, ხ'უთტომე'ული „დიდი მო'ერავი". საისტორიო მასალის ღრმა ცოდნა, ქართ'ული და აღმოსავლ'ური წყაროების ორიგინალ'ური გააზრება, შ'უა საუკ'უნეების საქართველოს ყოფიერების საკ'უთარი ინტერპრეტაცია, მხატვრ'ული კოლიზიებისა და გმირების 'უშრეტი ვნებების გამოხატვის მხოლოდ ავტორისათვის დამახასიათებელი 'უნარით, ანა ანტონოვსკაიამ საოცარი პოპ'ულარობა მო'პოვა რთ'ული და წინააღმდეგობრივი ბედის მქონე ისტორი'ულ პიროვნებას – გიორგი სააკაძეს, რომელზედაც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებ'ული. ერთმანეთის გამომრიცხავი შეხედ'ულებები, საუკ'უნეების განმავლობაში ვერ ახერხებენ ერთიანი, ყველასათვის გასაზიარებელი, დასრ'ულებ'ული ს'ურათის შექმნას.

ანა ანტონოვსკაიას ნაშრომი ძალიან მოეწონა ი. სტალინს. როგორც ამტკიცებენ, ანა ანტონოვსკაია გახდა პირველი საბჭოთა მწერალი ქალი, რომელმაც სტალინ'ური პრემია დაიმსახურა. როცა გადაწყდა გადაეღოთ ფილმი გიორგი სააკაძის მოღვაწეობაზე, სტალინმა სწორედ ა. ანტონოვსკაიას სცენარს დაუჭირა მხარი და ფილმი მიხეილ ჭიაურელმა მართლაც გადაიღო (ამის შესახებ ქვემოთ).

არ შეიძლება არ აღინიშნოს 30-იანი წლების საისტორიო ბელეტრისტიკის 'უდავო მიღწევა – მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი". ეს ჭეშმარიტი შედევრი ქართ'ული სიტყვაკაზმ'ული მწერლობისა, რამდენადაც გასაოცრად არ 'უნდა მოგვეჩვენოს, ისტორი'ული-მატერიალიზმის ლენინ'ურ-სტალინ'ური კონცეფციის ჭეშმარიტი დადასტ'ურებაა. იგი ილ'უსტრაციაა იმისა, თ'უ როგორც შეიძლება ჭეშმარიტად დიდმა მოაზროვნემ და შემოქმედმა დამკვეთის (ამ შემთხვევაში სტალინ'ური საზოგადოება) ყველა მოთხოვნაც დააკმაყოფილოს და გამორჩე'ულად მხატვრ'ული ლიტერატ'ურ'ული შედევრიც შექმნას (ამის შესახებაც ქვემოთ).

II მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდ'ში საქართველო'ში საისტორიო ბელეტრისტიკა ძალ'უმად აღორძინდა და ჩინებ'ული შედეგიც მოიტანა: წიგნის ბაზარზე გამოჩნდა გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელა" და „დიდი ღამე", დავით კასრაძის „იბერიის დედოფალი", ლევან გოთ'უას ეპოპეა „გმირთა ვარამი", იროდიონ სონღ'ულაშვილის „მირანდ'უხტ იადხმობილი", კონსტანტინე გამსახ'ურდიას „დავით აღმაშენებელი" და მრავალი სხვა.

რა თქმა 'უნდა, ისტორი'ული სიმართლისა და მხატვრ'ული ხერხების გამოყენების, და რაც მთავარია – ქართველ ხალხ'ში მოპოვებ'ული სიმპატიების ხარისხით ყველა ეს ნაშრომი ერთ დონეზე არ იდგა, მაგრამ ყველა ისინი

აუცილებლად ვრცელდებოდა საქართველოს მრავალრიცხოვანი ბიბლიოთეკების ქსელში და ქართველი ხალხისთვის ხელმისაწვდომი იყო. ისინი ამ ისტორიული შინაარსის წიგნებიდან, დამატებით, ეცნობოდნენ მშობლიური ქვეყნის ისტორიულ წარსულს, ხდებოდა მათი საისტორიო ცნობიერების სრულყოფა.

§ 7 – ბიბლიოთეკები და ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები

შეიძლება ითქვას, რომ ბიბლიოთეკები და კლუბები – კომუნისტების აკეთებული „იდეა-ფიქსი" იყო. ამაზე მიანიშნებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში როგორც ქოხ-სამკითხველოების, ისე საკლუბო დაწესებულებების რიცხვის სისტემატური ზრდა. მართალია, სჯობია ეს უკვე აღინიშნა, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მაშრებში, ქალაქებში ხსნიდა ბიბლიოთეკებს, მაგრამ მათი რაოდენობა საკმაოდ მოკრძალებული იყო, წიგნადი ფონდი კი – მცირე. მაგრამ „თერგდალეულები" უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოსახლეობის ფართო ფენებში წიგნის გავრცელების საკითხს. როგორც წესი, ასეთ ბიბლიოთეკებს იმჟამად ძირითადად ენთუზიასტები ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც ცდილობდნენ სოფლის მოსახლეობაში გაეცნოთ ქართული სიტყვა, ქართველ მწერალთა ნაწარმოებები, ქართული წიგნის საჭიროებაზე ალუზარდათ „ახალი ქართველი".

მაგრამ, მართლაც, ასეთი ბიბლიოთეკების რაოდენობა ძალიან ცოტა იყო. მაგალითად, თბილისში 1921 წლის დეკემბერში მხოლოდ 13 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. ბიბლიოთეკები იყო მაზრებშიც. მაგალითად, თელავის მაზრის ჯაფარიძის სახ. ბიბლიოთეკა 80 მკითხველს ემსახურებოდა და მხოლოდ 700 წიგნი ჰქონდა. სენაკის მაზრაში კი ბიბლიოთეკების საკმაოდ განტოტვილი ქსელი არსებობდა – 12 ბიბლიოთეკა და 157 ქოხ-სამკითხველო[35].

საბჭოთა სახელმწიფო კარგად გრძნობდა, რომ მისი პოლიტიკის რეალიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის პოპულარიზებას მოსახლეობის განსაკუთრებით ფართო მასებში. ისიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რომ წერა-კითხვის ცოდნასთან ერთად სოფლის მოსახლეობა კომუნიზმის ანა-ბანასაც სწავლობდა, ითავისებდა და თავისი ცხოვრების მიზნად ისახავდა.

ამიტომაც იმ წლებში ბიბლიოთეკებზე ფულს არ ზოგავდნენ. სწორედ ბიბლიოთეკებში, ქოხ-სამკითხველოებთან იქმნებოდა მასობრივად გლეხე-

ბისათვის წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლები და ჯგუფები.

სტატისტიკური კრებულები მიუთითებენ, რომ თუ 1927 წელს საქართველოში სულ 363 ბიბლიოთეკა არსებობდა, უკვე 1934 წელს რესპუბლიკაში იყო 1 245 მასობრივი ბიბლიოთეკა 1 244 ათასი ცალი წიგნის ფონდით, 287 სამეცნიერო და სპეციალური ბიბლიოთეკა 2 625 ათასი ცალი წიგნით, 1587 საბავშვო, მოზარდთა და სასწაელო ბიბლიოთეკა – 1 272 ათასი ცალი წიგნით[36].

ამ ბიბლიოთეკებიდან უკვე ამ პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობა და მნიშვნელობა მოიპოვა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკამ. ის საქართველოში წიგნის მთავარი საგანძური გახდა, მარტო ამ ბიბლიოთეკაში 1 მილიონი წიგნი ინახებოდა. ბიბლიოთეკის მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები ეხმარებოდნენ ადგილობრივ ბიბლიოთეკებს, ამზადებდნენ მეთოდურ და მეთოდიკურ სახელმძღვანელოებს, აცნობდნენ საბიბლიოთეკო საქმის თანამედროვე მეთოდებს.

საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა წიგნის მკითხველის რაოდენობა: თუ 30-იანი წლების დასაწყისში ბიბლიოთეკებიდან გაიტანეს 21 990 წიგნი, უკვე 1934 წელს – 110 883 წიგნი. მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. 1940 წელს საქართველოში 1598 ბიბლიოთეკა იყო, ხოლო 1950 წელს უკვე 2 183. ძალიან სწრაფად იზრდებოდა სოფლის ბიბლიოთეკების რაოდენობა: თუ 1927 წელს საქართველოს სოფელში იყო 229 ბიბლიოთეკა, უკვე 1950 წელს მათი რაოდენობა გახდა 1 757. სისტემატურად იზრდებოდა სოფლის ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი: 1927 წელს სოფლის ბიბლიოთეკებში ინახებოდა 633 ათასი წიგნი, ხოლო 1950 წელს – 5 მილიონზე მეტი[37].

ბიბლიოთეკები, როგორც წესი, კლუბებთან, კულტურის სახლებთან იხსნებოდა. საკლუბო დაწესებულებების ორგანიზებაც ძალიან სწრაფად დაიწყეს. ბევრ ადგილას კლუბი გაიხსნა ამ მიზნით წინასწარ გავერანებულ, კლუბად გადაკეთებულ ეკლესიაში. ითვლებოდა, რომ სწორედ კლუბში ყოველმხრივ უნდა განვითარებულიყო საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც მარქსის თეორიით, ბუნებრივად მზად იყო კულტურისათვის, რაც მას კლასობრივ საზოგადოებაში უკანონოდ წაართვეს.

ქალაქებში საკლუბო მოძრაობამ ძირითადად ფაბრიკა-ქარხნები მოიცვა. კომუნისტებმა ჩინებულად გამოიყენეს კულტურის აღმზრდელობითი შინაარსი და ის მთლიანად ჩააყენეს თავის სამსახურში. კლუბებში იქმნებოდა სხვადასხვა წრეები ინტერესების მიხედვით: ლიტერატურისა და პოეზიის, ფერწერის, მუსიკის, დრამის.

როგორც წესი, კლუბს ა'უცილებლად კინო-დანადგარი 'ენდა ჰქონოდა – საბჭოთა ხელისუ'ფლებამ კინო თავიდანვე ს'აყუნა თავის სამსახუ'რში და დააკავალა პროპაგანდისტულ-აღმზრდელობითი საქმიანობა.

კლ'უბები XX ს'აუკუნის 20-30-იან წ'ლებში შრომით კოლექტივებ'ში მარ-თლაც ასრ'ულებდა „კ'ულტრეგერობის“ ფ'უნქციას. მაგრამ ეს პროცესი ძლიერად იყო გაჯერებ'ული კომ'უნისტ'ური პროპაგანდით. სწორედ კლუბ'ში იმართებოდა პროპაგანდისტ'ული ღონისძიებები: „კომ'უნისტ'ური ნათლობა“, „კომ'უნისტ'ური ქორწილი“. აღნიშნავდნენ კომ'უნისტ'ურ დღეობებსა და დღესასწ'აულებს. ხ'შირად იმართებოდა ს'ახეიმო შეხვედრები პროლეტარი-ატის საერთაშორისო ს'ახეიმო დღეებთან დაკავ'შირებით. საბჭოთა ხელი-სუ'ფლებას, ამ დღესასწ'აულებისათვის რომ უფრო მეტი დატ'ვირთვა მიენი-ჭებინა, მუდამ მას ამოხვ'ევდა მატერიალ'ური წახალისების ღონისძიებებ-საც – ფ'ულად პრემიებს, მუშათა ოჯახებისათვის ბინების გადაცემას, დე-ფიციტ'ური მატერიალ'ური ნივთების ჩ'ექებას (პატეფონი, საკერავი მანქანა და ა.შ.).

დასტ'ურდება, რომ თ'ე 1927 წ'ელს საქართვ'ელოში 444 საკლ'უბო დაწ'ესებ'უ-ლება იყო. აქედან 383 –სოფლად; 1940 წ'ელს მათი რაოდენობა საგრძნობ-ლად გაიზარდა და შეადგინა 1 483 ერთეული. აქედან 1312 – სოფლად იყო ჩამოყალიბებ'ული[38].

სოფლად კლ'უბების ორგანიზება განსაკ'უთრებით ინტენსიური გახდა სა-კოლმეურნეო მოძრაობის დასრ'ულების შემდეგ. გარკვ'ეული მატერიალ'ური შესაძლებლობები კოლმეურნეობებს უფლებას აძლევდა გამოეყოთ თანხე-ბი კლ'უბების შესაქმნელად. 30-იანი წ'ლების მეორე ნახევრიდან, განსაკ'ეთ-რებით კი II მსოფლიო ომის ძლევამოსილად დასრ'ულების შემდეგ, საქარ-თვ'ელოს სოფლებში მიმდინარეობდა ნამდვილი შეჯიბრი კლ'უბების, კულ-ტ'ურის სახახლეების ასაშ'ენებლად. საქართვ'ელოს საუკეთესო არქიტექტო-რების მიერ შექმნილი პროექტებით მილიონერ კოლმეურნეობებსა და საბ-ჭოთა მეურნეობებში შენდებოდა პომპეზური შენობები სტალინ'ური არქი-ტექტ'ურის კანონების მიხედვით.

30-იანი წ'ლების მეორე ნახევრიდან დაიწ'ყო და 50-იან წ'ლებში არნახული გაქანება შეიძინა მხატვრ'ული ოლიმპიადების, ფესტივალებისა და საბჭო-თა დღესასწ'აულების გამორჩეულად აღნიშვნის პრაქტიკამ. თბილის'ში შე-მაჯამებელ ოლიმპიადაზე თავს იყრიდნენ მოყვარ'ული შემსრ'ულებლები ფაქტორივად მთელი რესპ'უბლიკიდან. ასეთი შეხვედრები ხალხ'ური ფოლ-კლორის ნამდვილ დათვალიერებად გადაიქცეოდნენ ხოლმე. ძალიან ხ'შირი იყო, როცა რომელიმე სოფლის მომღერალთა გ'უნდი თბილის'ში ჩამოიტან-და საკ'უთარ ნაწ'არმოებს – ახალ ხალხ'ურ სიმღერას, ლექსს, პოემას. თბი-ლისის ოპერის თეატრის სცენა რამდენიმე დღე ეთმობოდა სახალხო

მთქმელებს და მომღერლებს. განსაკუთრებით ძლიერი და გამორჩეული იყო გურიის სასიმღერო ფოლკლორი და იქიდან ჩამოსული სახალხო ანსამბლების მხატვრული დონე.

კლუბებსა და კულტურის სახლებში, როგორც წესი, არსებობდა მცირე თეატრალური კოლექტივებიც, რომლებიც წარმატებით ახორციელებდნენ სხვადასხვა ჟანრის, უფრო კომედიური ხასიათის სპექტაკლების წარმოდგენას. ასეთი დრამწრეები 20-იან წლებში უფრო პროპაგანდისტული შინაარსის სკეტჩებს დგამდნენ, სადაც ამათრახებდნენ ბურჟუაზიას, ჩარჩ-ვაჭრებს, კულაკებს. 30-იან წლებში პროპაგანდისტულ დატვირთვასთან ერთად რიგი სახალხო თეატრალური დასი სერიოზულ სპექტაკლებსაც ეჭიდებოდა.

30-იანი წლები კი ქართული თეატრალური ხელოვნების აღმავლობის წლებია.

§ 8. – ქართული თეატრი

უნდა საზგასმით აღინიშნოს, რომ ქართული თეატრი საბჭოთა ხელისუფლების ძალმომრეობით დამყარებას ცივად შეხვდა. იყო საბოტაჟის შემთხვევები, ხელისუფლებასთან აშკარა დაპირისპირებაც. საიდუმლო სამსახურები იმუამად აჟიქსირებდნენ უკმაყოფილებას თეატრის მსახიობთა შორის. საყურადღებოა ინფორმაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივში არსებული მორალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ვითარების შესახებ: „ოპერა მთლიანად განწყობილია რეაქციულად, არავითარ ინტერესს არ ავლენენ ახალი სახელმწიფო წყობილების მიმართ, არაფითარი ინტერესი – გარდა ჭორებისა, ინტრიგებისა და ფლირტაობისა, აერცელებენ ბოროტ ჭორებს საბჭოთა ხელისუფლებაზე. არ აკმაყოფილებთ ულუფა და ხელფასი. მომხმარებლური განწყობილებაა. კომუნისტები არ არიან. რამდენჯერმე კრება დაინიშნა – 400 კაციდან მოვიდა 15-20. საკითხი იყო – კომუნიზმის ანბანის წაკითხვა – მოხსენებაში ირონიულად გამოხატეს დამოკიდებულება. თეატრის დირექტორმა განაცხადა – ბოლშევიკები – ეს თავაწყვეტილი მასაა, რომელშიც არ არის წესრიგი. ბოლშევიკები ვერანაირ წესრიგს ვერ შექმნიან – ეს თავაწყვეტილი გლეხუჭებია. დაე თვითონ შექმნან კულტურული მუშაობა, ჩვენ მათ არ დავეხმარებით“[39].

მაგრამ ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ ქართული თეატრი იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო, ისევე როგორც საქართველოს ინტელიგენციის სხვა ჯგუფები. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური განმტკიცებისა

და მატერიალური დოვლათის დაგროვების კვალდაკვალ იზრდებოდა ასიგნებები კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემაზე. ეს კი გულისხმობდა დაფინანსებას თეატრების ბიუჯეტებისათვისაც. ქვეყანაში კერძო საკუთრების ლიკვიდაციამ საერთოდ გამორიცხა ცნება – კერძო სპონსორი. უკვე აღარ იყვნენ სარაჯიშვილები და ხოშტარიები. ერთადერთი სპონსორი საბჭოთა სახელმწიფო გახდა, ამიტომაც შემოქმედებითი განვითარებისათვის, ასევე, მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად, კომპრომისი აუცილებელი იყო.

თეატრსა და საბჭოთა სახელმწიფოს შორის კომპრომისი ძალიან მალე შედგა და ამ აქტის სათავეებთან კოტე მარჯანიშვილი იდგა. მის მიერ რუსთაველის თეატრში განხორციელებული ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო" ჩაითვალა რევოლუციური, ახალი ქართული თეატრის დაბადების დღედ. მოგვიანებით კ. მარჯანიშვილმა თბილისში, ქუთაისში განახორციელა არა ერთი საყურადღებო თეატრალური წარმოდგენა, რამაც მას საბჭოთა თეატრის წამყვანი მოღვაწის სახელი საბოლოოდ დაუმკვიდრა.

განსაკუთრებული მოვლენა იყო თეატრალური გაერთიანება „დურუჯი". ისინი გარკვეული აზრით აყვნენ „პროლეტკულტის" ქართველი წარმომადგენლები და თავის მანიფესტში აშკარად გააუღერეს თავისი რევოლუციური კრედო: „...არტისტი გიჟი, არტისტი ცეცხლოვანი,... შფოთი... გორიზი. არტისტი ფაფარაყრილ რაშზე...კადნიერი... რიხიანი, კენტავრი ეეფხვებით საერთაშორისო კარნავალში, მარჯნისფერი მზე „დურუჯი"[40].

ამ კორპორაციის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი რეჟისორი ს. ახმეტელი იყო. რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა თეატრის ფორმირების საქმეში. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „დურუჯი" ქართული თეატრის კრიზისის დაძლევისა და აღორძინების პირველი ცდა იყო. კორპორაცია საჭიროდ თვლიდა საკაცობრიო კულტურის მიღწევათა ათვისებასთან ერთად გაეთვალისწინებინა ეროვნული თავისებურებები"[41].

ქართული თეატრის აღორძინების საქმეში უდიდესი იყო გრ. რობაქიძის დამსახურებაც – როგორც განათლების სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკი, ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართულ თეატრს, მის რეპერტუარს. ნიშანდობლივია, რომ განათლების სახალხო კომისარიატი უდიდეს ყურადღებას უთმობდა ქართულ დრამატურგიას. მართალია, ეს სპექტაკლები კლასობრივი შინაარსით იყვნენ დატვირთულნი (მაგალითად, იმ წლებში განსაკუთრებით პოპულარული იყო დ. კლდიაშვილის მოთხრობების მიხედვით წარმოდგენილი: „შემოდგომის აზნაურები", ე. ნინოშვილის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი „ნინოშვილის გურია", ს. შანშიაშვილის – „ანზორი", გრ. რობაქიძის – „ლამარა" და მრავალი სხვ). მაგრამ ქართულ თეატრს არასოდეს უღალატია კლასიკური რეპერ-

წ'უარისთვისაც. ქართ'ული თეატრის ისტორიაში სამუდამოდ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ს. მარჯანი'შვილის მიერ დადგმ'ულმა შექსპირის „ჰამლეტმა“ (1925 წ.), გ'ეცკოვის „ურიელ აკოსტამ“ (1929 წ.), ს. ახმეტ'ელის მიერ რეალი'ზებ'ულმა შილერის „ყაჩაღებმა“ (1933 წ.) და მრავალმა სხვამ.

30-იანი წ'ლების ქართ'ულ თეატრ'ში მოვიდა ახალი შემოქმედებითი პოტენცია, ახალი რეჟისორები, მსახიობები, დრამატ'ურგები. მართალია, მათ ქედი მოუხარეს სოც'იალისტ'ური რეალი'ზმის კომ'ენისტ'ურ პრინციპებს, მაგრამ ძალიან განავითარეს ქართ'ული ეროვნ'ული თეატრალ'ური ხელოვნება, მისი სტილისტიკა, მოიტანეს ახალი თემატიკა. სასცენო ხელოვნების ახალი მეთოდები. შინაარსის მიუხედავად, ქართ'ული თეატრი ერთ მუჭად კრავდა ქართველ მაყურებელს, აქცევდა ძლიერი ქართ'ული კ'ულტ'ურ'ული ს'ემოქმედების ობიექტად, უნერგავდა ეროვნ'ული ერთიანობის გრძნობას, მაღლიანი ქართ'ული სიტ'ყვის აღქმის უნარს. ეს პერიოდი ქართ'ული თეატრის აღმაყვლობის წ'ლებია და შედეგიც თვალნათელი იყო.

ქართ'ული თეატრის მოსკოვში გასტროლების შემდეგ რ'ესი თეატრმცოდნეები აღფრთოვანებ'ული წ'ერდნენ: „რ'უსთაველის თეატრმა გააოცა მოსკოვი. მოსკოვი ფიქრობს და მეც ვი'სიარებ ამ აზრს, რომ იგი მსოფლიო თეატრების პირველ რიცებ'ში დგება“.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვ'ში რ'უსთაველის თეატრის წარმოდგენებს საბჭოთა ხელის'უფლების უპირველესი პირები ეს'წრებოდნენ და მათ განცვიფრება ვერ დაშალეს მსახიობ'ური ოსტატობის უმაღლესი გამოვლენის წ'ინაშე. ამ დროს ქართ'ულ თეატრს უკვე აშ'შენებდნენ: ა. ხორავა, ა. ვასაძე, გ. ანჯაფარიძე, უ. ჩხეიძე, ვ. შაყულიძე, შ. ღამბაშიძე, ს. თაყაი'შვილი და სხვ.

XX საუკ'უნის 20–30-იან წ'ლებში საქართველო'ში თეატრალ'ური ცხოვრება მარტო თბილის'ში როდი ჩქეფდა. ავტონომი'ურ რეგიონებში, რესპუბლიკის წამ'ყვან ქალაქებში: სოხუმ'ში, ქუთაის'ში ბათუმ'ში, გორ'ში, თელავ'ში, ჭიათ'ურა'ში შეიქმნა პროფესი'ული თეატრალ'ური კოლექტ'იები. 1940 წ'ელს საქართველო'ში უკვე 48 პროფესი'ული თეატრალ'ური კოლექტ'იები იყო, ხოლო ამ წ'ელს სპექტაკლს დაესწრო 1 978 ათასი მაყურებელი[42]. შეიძლება ითქვას, რომ აღსრ'ულდა დიდი ილიას ოცნება – **ქართულმა თეატრმა თითქმის მთლიანად მოიცვა ქართველი მაყურებელი.**

და რაც განსაკუთრებით ღირებ'ულია – **თეატრს მაყურებელთან მიჰქონდა მადლიანი ქართული სიტყვა, კიდევ უფრო დახვეწილი და სრულყოფილი, გამდიდრებული ეპოქის შესაფერისი ახალი ფრაზებითა და ლიტერატურ'ული პასაჟებით. მდიდარი ქართული მეტყველების მოსმენა, თანამედროვე ლიტერატურ'ული ნორმების აღქმა-გათავისება ხდებოდა უშუალოდ თეატრ'ში, მსახიობურ ოსტატობასთან ერთად. ეს კი ცვლიდა რიგითი ქართვე-**

ლის, ხოლო მისი საშუალებით, მთლიანად ერის სამეტყველო კულტურას, უფრო მდიდარსა და ხატოვანს ხდიდა მას. სწორედ ამაში იყო ქართული თეატრის მაკონსოლიდირებელი მნიშვნელობა.

ამასთან, თეატრს ქართველ მაყურებელთან მიჰქონდა არა მარტო ქართული დრამატურგიის საგანძური, არამედ მსოფლიოს კულტურის უმაღლესი შედევრების ქართული ინტერპრეტაციაც.

მიუხედავად ტოტალიტარული რეჟიმისა, ქართულ სცენაზე ძალიან ხშირად აჟღერებულა არსებული ყოფიერების „ეზოპეს ენით" გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიც. ასეთი ჩანაფიქრი ბევრ თეატრალურ მოღვაწეს მოგვიანებით სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდა.

II მსოფლიო ომის პერიოდში ქართულ თეატრში დაიწყეს კეროიკული სპექტაკლების წარმოდგენა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ძიენიჭა ქართულ საისტორიო რეპერტუარს. თეატრებმა მაყურებელს უჩვენეს: ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა", ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები", ლეჟან გოთუას „ერეკლე მეორე", ა. სამსონიას „ბაგრატიონი", მ. ჯაფარიძის „უამთაბერის ასული" და მრავალი სხვა[43].

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ქართულ თეატრში მოვიდა ახალგაზრდობა, მოიტანეს ახალი დრამატურგია. მართალია, ეს წლები გამოირჩეოდა ტოტალიტარული რეჟიმის განსაკუთრებული ძლიერებით, რაც შემოქმედებითი თავისუფლებისათვის ძალიან ცოტა ადგილს ტოვებდა, მაგრამ გამოსავალი მაინც მოინახა – ეს იყო მსოფლიო კლასიკური რეპერტუარის ქართული ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობები: რუსული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური თეატრალური კლასიკა ქართული თეატრალური რეპერტუარის მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდა, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუპოვა ქართულ თეატრს უკვე მოგვიანებით – 70-80-იან წლებში.

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ საუკეთესო ქართული თეატრალური წარმოდგენები, სპეციალური გადამუშავების შემდეგ, კინო-სცენარებად გარდაქმნილი კვლავ უბრუნდებოდა ქართველ მაყურებელს. ქართული კინო, ქართულ თეატრთან ერთად, იმჟამად ქართული სულისკვეთების უმნიშვნელოვანესი გამოხატულება გახდა.

§ 9 – ქართული კინო

თეატრისაგან განსხვავებით, საქართველოში კინოხელოვნება თავიდანვე ჩადგა საბჭოთა სისტემის იდეოლოგიურ სამსახურში და ეს დავალება ბო-

ლობდე პირნათლად შეასრულა. ეს კავშირი რეჟიმთან ისეთი ძლიერი და ეფექტიანი იყო, რომ ქართული კინო, გარკვეული აზრით, საბჭოთა სისტემის კრახთან ერთად დაემხო.

ამის მიზეზი იმ სოციალურ-ეკონომიკური სისტემის თავისებურებებში უნდა ვეძებოთ, რაც ბოლშევიკებმა დაამკვიდრეს საქართველოში. კერძო საკუთრების, კერძო ინიციატივის გაუქმებამ სახელმწიფოში ფულიანი – მხოლოდ სახელმწიფო დატოვა. ქვეყანაში არსებობდა ერთადერთი სპონსორი-დამფინანსებელი – საბჭოთა სახელმწიფო. ასეთ ვითარებაში კინო, რომელიც არა მარტო შემოქმედებითი, არამედ მკაცრად სამოყალიბებული და განსაზღვრული ინდუსტრიული სისტემა იყო, ვერაფერს გააკეთებდა მრავალმილიონიანი სუბსიდიებისა და სპეციალური სახელმწიფო დაკვეთების გარეშეკი. ის ადამიანები, ვინც XX საუკუნის 20-იან წლებში ქართული კინოს საფუძვლებთან იდგნენ, წარმატებით ითავსებდნენ საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურის მუშაკების წოდებასაც. ამას მოჰქონდა არა მარტო შემოქმედებითი დაკმაყოფილება, არამედ საბჭოთა პირობებში ასაკრანი მატერიალური ეფფერებაც. მაგრამ, ხასგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს ამ სოციალურ დაკვეთებს ქართული კინოს დიდოსტატები ულარესად საინტერესოდ, შემოქმედებითი თვალსაზრისით კი – გამორჩეულად, სასახელოდ აკეთებდნენ.

სახელმწიფო დაკვეთით ქართული კინოს თემატიკა – სოციალური ჟღერადობა, რევოლუციური პათოსი, კომუნისტური იდეალებისათვის თავდადება უნდა ეფუძნებოდეს. მართლაც, საბჭოთა სინამდვილეში პირველი ასეთი სოციალური ჟღერადობის ქართული ფილმი – „არსენა ჯორჯიაშვილი“ უკვე 1921 წელს იხილა საბჭოთა მაყურებელმა.

მაგრამ განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა 1923 წელს ივანე პერესტიანის მიერ გადაღებულმა მხატვრულმა ფილმმა – „წითელი ეშმაკუნები“. მისი წარმატება კოლოსალური იყო, და არა მარტო საბჭოთა კავშირში. მოხდა ისე, რომ ფილმი მსოფლიო კინომატოგრაფიის ანალებში შეიტანეს, როგორც თავისი გამორჩეული რევოლუციური პათოსით, მომავალი პერსპექტივების ხედვით და სოციალური იმედის საკმაოდ დიდი მუხტით[44].

გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, უკვე 20-იან წლებში, ქართულმა კინომ წამყვანი პოზიციები დაიმკვიდრა საბჭოთა ტოტალიტარულ სახელმწიფოში. საბჭოთა კავშირის ყველა რესპულიკაში უჩვენებდნენ ა. წუწუნაცას ფილმებს – „ვინ არის დამნაშავე?“ და „ჯანყი გურიაში“, ივანე პერესტიანის „სამ სიცოცხლეს“, ნ. შენგელაიას „ელისოს“ და მრავალ სხვას.

30-იან წლებში, საბჭოთა სისტემის განმტკიცების კვალდაკვალ, რევოლუციური თემატიკა ქართული კინოს მნიშვნელოვან მახასიათებლად გადაიქ-

ცა: საყოველთაო აღიარება მოიპოვეს: ს. დოლიძის „დარიკომ“, მ. ჭიაურელის „უკანასკნელმა მასკარადმა“ და მრავალმა სხვა კინო-შედევრმა.

ჩვენ არ შევუდგებით ქართული კინოს ისტორიის დეტალურ ინტერპრეტაციას – ეს რთული და საკმაოდ მოცულობითი საქმეა. ჩვენ წარმოვაჩენთ ქართული კინოს იმ შედევრებს, რომლებმაც, ჩვენი აზრით, გამორჩეული როლი შეასრულეს თავისი იდეურ-მხატვრული, პატრიოტული და, განსაკუთრებით კი – ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი თვალსაზრისით.

მიხეილ ჭიაურელის „არსენა“ ჩვენ ჩამონათვალში გამორჩეულ ადგილს იკავებს. დიდი რეჟისორის მიერ გადაღებული ეს ფილმი აშკარად მიანიშნებს, რომ ქართულ კინოში საბოლოოდ გაიმარჯვა კომუნისტურმა პრინციპებმა. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის სცენარის ავტორი რეპრესირებული მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი იყო. კინო-შედევრის თითოეული სიტყვა. თითოეული ნიუანსი თვალსაჩინოდ აჟღერებს სოციალური რეალიზმის სტალინურ კანონებს ისეთი დახვეწილი ოსტატობითა და ღრმა შემოქმედებითი ინტერპრეტაციით, რომ ფილმი საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებდა და დღესაც ტოვებს თავისი ხალხურობით, ძლიერი მხატვრული იმპულსებით, პერსონაჟების სახეების ღრმა და ყოველმხრივი ინტერპრეტაციით. ამ ფილმში არის ყველაფერი სტალინური იდეოლოგიური კანონიკიდან: პროლეტარული ინტერნაციონალიზმიც, ზომიერი ნაციონალიზმიც, კლასობრივი დაპირისპირებაც, კლასობრივი სოლიდარობაც, მწვავე ათეისტური პასაჟებიც, ანტიკლერიკალური განწყობაც, ქართველი ქალის სიდიადეც: კულაკების გამცემი ბუნებაც, რუსეთის თვითმპყრობელობის საშინელი სახე, რუსი დემოკრატების კეთილშობილებაც, ქართეული თავადაზნაურობის გამყიდველი ხასიათი და ა.შ. და ა.შ. მაგრამ ერთიანობაში ფილმი მაინც არის ქართველი ხალხის, მისი ისტორიული წარსულის, ხალხის წიაღიდან გამოსული გმირის მარადიული სადიდებელი.

ქართველი ხალხის ქებათაქება კიდევ უფრო ძალუმად აჟღერდა გენიალურ ფილმში – „გიორგი სააკაძე“. სცენარის რედაქტორი და შემფასებელი თვითონ იოსებ სტალინი იყო. რა თქმა უნდა, დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ ფილმის მთავარი გმირი – საქართველოს ისტორიის წინააღმდეგობრივი პერსონაჟი გიორგი სააკაძე განსაკუთრებით საინტერესო იყო ბელადისათვის. სწორედ ამიტომაც ათქმევინა სცენარისტმა და რეჟისორმა მთავარ პერსონაჟს ფრაზა, რომ სამშობლოს ინტერესებისათვის, მისი ძლიერებისათვის საჭიროა თითოეულმა გაიღოს მსხვერპლი, თუ საჭიროა შვილიც კი...

„გიორგი სააკაძე“ ფაქტობრივად ბლოკბასტერია, რომელიც ი. სტალინმა თეირანის კონფერენციაზე თავის პარტნიორებს – რუზველტსა და ჩერჩილს სიამაყით უჩვენა. საბჭოთა ლეგენდები მოგვითხრობენ, რომ ფილმის მნახველი ირანელები აღფრთოვანებული იყვნენ აკაკი ვასაძის მიერ შეს-

რულებული შაჰ-აბასის სახით და სწორედ ასეთ ძლიერ პიროვნებას მოიაზრებდნენ ირანის შაჰის ტახტზე.

„გიორგი საააკაძე" ღღემდე შემორჩა ეკრანს და ქართულ ყოფით ცნობიერებას. ქართველი ერის ცხოვრების თითქმის ყველა კრიტიკულ პერიოდში ფილმის მედმივი ჩვენება მიანიშნებს, რომ ეს ფილმი უფრო მეტია, ვიდრე რიგითი ბლოკბასტერი. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ფილმის მხატვრული სემოქმედების ძალა ქართულ ცნობიერებაზე -შედეგიანია, ხოლო ფილმის შინაარსი – ოპტიმისტურ-პატრიოტული: „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსთვის უცემს გული!"

სწორედ ეს იყო „თერგდალეულთა" უპირველესი სურვილი და სწორედ ამ თვალსაზრისის გამო შემოინახა დღესაც ქართველმა ცნობიერებამ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემაში, მისი კანონებით გადაღებული ეს კინომატოგრაფიული შედევრი.

უდიდესი ეროვნული მუხტის მატარებელია ფილმი „დავით გურამიშვილი" (რეჟისორები: ნ. სანიშვილი, დ. რონდელი). რუსულ-ქართული ისტორიული მეგობრობის სააგიტაციოდ გადაღებული ფილმი გადაიქცა გენიალური ქართველი მგოსნის დავით გურამიშვილის შემოქმედების პოპულარიზების. ქართული ეროვნული სულის მადიდებელ კინო-ნოველად.

ამ ნამონათვალს დავასრულებ ლეგენდარული ფილმით – „ქეთო და კოტე", რომელიც ჯ. ტაბლიაშვილმა სწორედ ტოტალიტარული რეჟიმის ზენიტში – 1948 წელს გადაიღო. ფილმში არაფერი არ მიუთითებს ტოტალიტარული რეჟიმის სულისშემხუთველ ატმოსფეროს – ყველაფერი ლაღი და ამაღლებულია, დახვეწილი და გაწონასწორებულია. ფილმი ჰოლივუდის საუკეთესო მუსიკალურ კომედიებს არ ჩამოუვარდება. უფრო მეტიც – ეს ფილმი უკვდავია. აშკარაა, რომ ფილმის სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსი, ხალასი ქართული იუმორი II მსოფლიო ომში დიდი ისტორიული გამარჯვებით ნაკარნახევი სიხარულით არის ნასულდგმულები. ქართულმა საბჭოთა კრიტიკამ ფილმი ციყვად მიიღო, მაგრამ ათეული წლების მანძილზე „ქეთო და კოტეს" მიმართ ქართული საზოგადოების აღფრთოვანება არ შენელებულა. ამის მიზეზი ის არის, რომ ფილმის ავტორებმა სცენარში, მის ინტერპრეტაციაში ისეთი ძლიერი ეროვნული მუხტი ჩადეს, ხოლო გენიალურმა ქართველმა მსახიობებმა ეს მუხტი ისეთ ეროვნულ ცეცხლად ააგიზგიზეს, რომ დღესაც ფილმი ნებისმიერი ასაკის მაყურებელში გულწრფელ აღტაცებას იწვევს.

მიგვაჩნია, რომქართული კინო თავისი არსებობის დაწყებისთანავე ქართველთა კულტურული კონსოლიდაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა და ეს ფუნქცია მომავალი ათწლეულების მანძილზე მან კიდევ უფრო მაღალ სიმაღლეზე აიყვანა.

XX საუკუნის 20-იანი წლები ქართული პროფესიული მუსიკის აღმავლობის წლებია. მისი საფუძველი გახდა საქართველოს ყველა რეგიონში სამუსიკო სკოლების ქსელის ინტენსიური და საფუძვლიანი გავრცელება-განმტკიცება. კომუნისტებისათვის მუსიკა გაბატონებული კლასების პრივილეგიად ითვლებოდა, რომელსაც, მათი აზრით, აუცილებლად უნდა დაუფლებოდა რიგითი მუშისა და გლეხის შვილიც. ამიტომაც საფაბრიკო-საქარხნო კლუბებთან, მუშათა კულტურის სასახლეებში აუცილებლად უნდა შექმნილიყო სამუსიკო წრეები, სადაც მუსიკის თეორიისა და პრაქტიკის ელემენტებს ეუფლებოდნენ მუშა-ახალგაზრდები, მათი შვილები და შვილიშვილები.

როცა შესაძლებლობა მიეცა, საბჭოთა სახელმწიფომ ეს წრეები გარდაქმნა სამუსიკო სკოლებად. საქართველოში სამუსიკო სკოლა თითქმის ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში ფუნქციონირებდა. 1921 წელს საქართველოში ამ ტიპის მხოლოდ 1 სასწავლებელი იყო, სადაც 150 ახალგაზრდა სწავლობდა. 1927-1928 სასწავლო წელს მათი რიცხვი სამი გახდა და ასეთ „სამხატვრო-სამუსიკო სასწავლებელში“ 769 მოსწავლე ეუფლებოდა სამუსიკო ხელოვნებას. 1930 წელს ასეთი სასწავლებელი უკვე ხუთი იყო[45].

1935 წელს საქართველოში 15 მუსიკალური ტექნიკუმი იყო, სადაც 1978 ახალგაზრდა მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს ეუფლებოდა. ძირითადი კონტინგენტი მოსამსახურეთა შვილები იყვნენ (967 მოწაფე), მაგრამ უკვე თვალსაჩინოა მუშათა (338 მოწაფე) და კოლმეურნე გლეხების (104 მოწაფე) წარმომადგენლობაც. ასეთ სკოლების კონტინგენტი კი ძირითადად ქართულია (1125 მოწაფე)[46].

საქართველოს ახალგაზრდობის ინტერესი და მიდრეკილება სამუსიკო ხელოვნებისადმი ისეთი ძლიერი იყო, რომ 1922 წელს თბილისში გაიხსნა მეორე კონსერვატორია. მას სახელგანთქმული ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი ხელმძღვანელობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი თაობის ქართველი კომპოზიტორების უმეტესობამ ლოიალობა დაუმტკიცა საქართველოს ახალ ხელისუფლებას. ამის გამო მათ გარკვეული შემოქმედებითი თავისუფლება მიიღეს და ეს მთლიანად მოახმარეს ეროვნული სამუსიკო კულტურის ამაღლების საქმეს. ქართული სამუსიკო ხელოვნება მთლიანად ეყრდნობოდა ქართულ ფოლკლორს და ასევე სრულად გამოხატავდა ქართველი ერის სულიერ გან-

წყობილებებს. მიუხედავად ტოტალიტარული რეჟიმის არტახებისა, ქართველი კომპოზიტორები თავისი შემოქმედებით უმღეროდნენ ქართველ ხალხს, მის ისტორიულ წარსულს, საქართველოს ბუნებას, ქართველი კაცის სულიერ სისუფთავეს.

ამ მხრივ გამორჩეულია ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, რომელიც 1923 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე განხორციელდა. ეს თავისებური სილის გაწნაც კი იყო მარქსისტული ინტერნაციონალისტური-ანტიეროვნული იდეოლოგიის ზეწოლაზე, რაც XX საუკუნის 20-იან წლებში განსაკუთრებით დამთრგუნველი იყო. ამ ქართულ ოპერაში სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსი ღრმად არის გადაჯაჭვული ეროვნულ-პატრიოტულ თემატიკასთან. სამართლიანია ცნობილი მუსიკათმცოდნის პ. ხუჭუას მოსაზრება: „შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ გასული 20-30-იანი წლების მანძილზე არ დაწერილა „დაისის“ მსგავსი ოპერა, რომელიც ისევე გამოირჩეოდეს ჭეშმარიტი ხალხურობით, რეალისტურობით, ნათლად გამოხატული ეროვნულობითა და ემოციური მიმზიდველობით.“[47]

ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ქართველი ხალხის საამაყო ბარათი გახდა, ამ ოპერებით საქართველო ამაყად ამოუდგა მხარში მსოფლიოს საოპერო ხელოვნებით აღიარებულ ქვეყნებს.

იმ წლებში საისტორიო-პატრიოტული თემატიკა ძალიან ბევრი კომპოზიტორისათვის იყო განმსაზღვრელი. მელიტონ ბალანჩივაძის „თამარ ცბიერი“ აკაკი წერეთლის პოემაზე შეიქმნა და იმერეთის ისტორიის დრამატულ პერიოდს ასახავს. სწორედ ამ წლებში მოღვაწეობდნენ ქართული მუსიკის კორიფეები: დიმიტრი არაყიშვილი, ვიქტორ დოლიძე, კოტე ფოცხვერაშვილი, შალვა აზმაიფარაშვილი, ანდრია ბალანჩივაძე, ალექსანდრე ბუკია, რევაზ გაბისკირია, ეკატერინე ცაგარეიშვილი და სხვები.

რა თქმა უნდა, კომუნისტურმა იდეოლოგიამ გარკვეული ზეგავლენა სამუსიკო ხელოვნებაზეც მოახდინა. უკვე 1928 წელს შეიქმნა „პროლეტარულ მუსიკოსთა ასოციაცია“, რომელიც გარკვეულ ეტაპზე დაუპირისპირდა კიდეც ქართველ კლასიკოს კომპოზიტორებს, მაგრამ ძალიან მალე თვითონ სახელმწიფომ გააუქმა ეს ხელოვნური გაერთიანება.

თავისთავად, ქართველ კომპოზიტოთა შემოქმედებაში საბჭოთა თემატიკამ დაიკავა გარკვეული სეგმენტი – ისინი მუსიკალურად აფორმებდნენ პარტიულ ღონისძიებებს, ქმნიდნენ კანტატებსა და ჰიმნებს საბჭოთა რეჟიმისათვის, მისი ბელადებისათვის. 1927 წელს „ზაჰესის“ საზეიმოდ გახსნის დღისთვის მელიტონ ბალანჩივაძემ დაწერა ჰიმნი „დიდება ზაჰესს“.

ზაქარია ფალიაშვილმაც დაწერა „სახეიმო კანტატა" საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც მთავრობის სახახლის წინ, ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავის საიუბილეო დღეებში შესრულდა. საიუბილეო ჰიმნები და კანტატები მელოდიურობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მწყერვალზე აიყვანა რევაზ ლალიძემ. მაგრამ თუ ღრმად ჩაეწყლებით ამ ჰიმნებისა და კანტატების მელოდიებს, ისინი მხოლოდ საქართველოს ქეშმარიტ სადიდებელს ღაღადებენ და სხვას არაფერს.

20-30-იან წლებში ძალიან გაფართოვდა და გაღრმავდა ეთნოგრაფიული, ფოლკლორული ექსპედიციების მოწყობის პრაქტიკა, რომელშიც ქართველი კომპოზიტორებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. სახალხო სიმღერებისა და ლექსების შეგროვებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. უამრავი ქართული ხალხური სიმღერა გადაიტანეს ნოტებზე, მათ საფუძველზე ყოველწლიურად იქმნებოდა ახალი რომანსები, საგუნდო სიმღერები, საერო საგალობლები.

ფოლკლორული ექსპედიციების დროს ულინდებოდნენ სახალხო შემსრულებლებიც. იმ წლებში ძალიან ხალისდებოდა რაიონულ კულტურის სახლებთან ფოლკლორული ანსამბლების ჩამოყალიბება. სახალხო ლოტბარები დამსახურებული და გამორჩეული პატივისცემით სარგებლობდნენ. სრულიად საქართველო ეთაყვანებოდა: სანდრო კავსაძეს, ძუკუ ლოლუას, ავქსენტი მეგრელიძეს. არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილებს, მარო თარხნიშვილს და მრავალ სახალხო მომღერალს. მათი ხელმძღვანელობით ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფები ამუშაებდნენ სულ ახალ და ახალ სიმღერებს, თვითონაც თხზავდნენ, საყოველთაოდ აერცელებდნენ.

იმ წლებში უდიდესი ყურადღება მიექცა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შესწავლა-აღორძინების საქმეს. დ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით XX საუკუნის 20-40-იან წლებში მოეწყო ექსპედიციები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მან ქართული ხალხური საცეკვაო ფოლკლორის უამრავი ნიმუში დააფიქსირა და დაკარგვას გადაარჩინა. ამ კეთილშობილ საქმეს სხვებიც გამოეხმაურნენ: ა. ალექსიძე, ა. თათარაძე, კ. მანჯგალაძე და სხვ.[48]

მათ შეამზადეს ის ნაყოფიერი ნიადაგი, რომელზეც 1945 წელს ჩამოყალიბდა ქართველი ერის იდენტობის კიდევ ერთ-ერთი მარკერი – ქართული ეროვნული ქორეოგრაფიის სრულყოფილება – ქართული ცეკვის აკადემიური ანსამბლი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ეს ყოველმხრივ გამორჩეული ანსამბლი ათეული წლების მანძილზე საქართველოსა და ქართველობის სავიზიტო ბარათი იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ცნობილი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, სამშობლოდან მოშორებით, ამ ანსამბლის ნახვის შემდეგ იტყვის შემდეგს: „ჯი-

ში...რჩეულობაა. რჩეულობა კი ყველგან და ყოველთვის თავისებურია: ნაირნაირი. ხოლო: თანაბარ ღირსეული, ფასეული... ვთქვი:ქართული ბალეტი არის ბალეტი ჯიშისა...[49].

სუხიშვილების ლეგენდარულ ანსამბლს ძალიან მალე საქართველოში მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. რაიონებში, დიდსა და პატარა ქალაქებში, სკოლებთან, კლუბებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში იქმნებოდა ქორეოგრაფიული წრეები. ქართველი მოზარდები ცდილობდნენ მიებაძათ ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ლეგენდარული ანსამბლის წევრებისათვის. სულ მალე ეს „წამბაძველობა" ტოტალური გახდა. ამ გატაცებამ სრულიად საქართველო მოიცვა და ქორეოგრაფიული ფორმითაც მოხდა ერთიანი ქართული ცნობიერების – „ჯიშის" კიდევ უფრო განმტკიცება. შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულმა აღორძინებულმა ცეკვამ და სიმღერამ ერთიანობის ძლიერი მუხტით არა მარტო სულიერად დატვირთა სრულიად საქართველო, არამედ შეადუღაბა კიდეც ის.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფოლკლორი, მუსიკა, სიმღერა გამორჩეულ ადგილს დაიკავებს ქართული რადიოს რეპერტუარშიც.

§ 11. – საქართველოს რადიო

ტექნიკური პროგრესის შედეგი – რადიო საქართველოში მხოლოდ 1925 წელს გამოჩნდა და თავიდანვე კომუნისტური სახელმწიფოს პროპაგანდისტულ-სააგიტაციო საშუალებად გადაიქცა. რადიოს რედაქცია უშუალოდ ემორჩილებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სააგიტაციო-პროპაგანდის განყოფილების ხელმძღვანელობას, მისი თანამშრომლები მხოლოდ საჭოთა ხელისუფლების ერთგული ოჯახებიდან გამოსული, სპეციალური ორგანოების მიერ შემოწმებული პირები იყვნენ. იმჟამად რადიოს ძირითადი ამოცანა იყო კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური შეხედულებების ფართო პროპაგანდა. მშრომელების კომუნისტური აღზრდა, მათი დარაზმვა იმ ამოცანების შესასრულებლად, რასაც პარტია აყენებდა კონკრეტულ ისტორიულ მომენტში.

მიუხედავად ამისა, რადიო გადაიქცა სრულიად საქართველოს შეკავშირების, ერთიანობის, კონსოლიდაციის ერთ-ერთ უპირველეს საშუალებად. ამას აპირობებდა: 1. მშობლიური ქართული ენა. ყველა ეტაპზე საქართველოს რადიოს სამაუწყებლო ენა იყო ქართული, თანაც – გამართული, ლიტერატურულად დახვეწილი. რადიოს დიქტორები სპეციალურად ირჩეოდნენ განსაკუთრებული ხმის ტემბრისა და სალიტერატურო ენის ცოდნის

ცათვალისწინებით. გარკვეულ ეტაპზე საქართველოს რადიოს დიქტორების დიდი უმეტესობა თეატრალური სცენიდან მოვიდა და მათი მეტყველება გამოირჩეოდა მაღალი სამეტყველო კულტურით. ეს აპირობებდა რეჟიორებში, განსაკუთრებით პოლიტინგვისტურ თუ ენობრივად განსხვავებულ რაიონებში, ქართული ენის სრულყოფილ შეთვისებას, მისი საშუალებით რიგითი ადამიანი აშალაშინებდა სამეტყველო კულტურას. საკუთარ დიქციას; 2. საქართველოს რადიოს რეპერტუარის მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეული პერიოდიდან გახდა ქართული ფოლკლორი, ქართული პოეზია, ქართული პროზა, ხშირად ხდებოდა თეატრალური სპექტაკლების ტრანსლირება. ეს ხელს უწყობდა საქართველოს მოსახლეობის დემოკრატიულ ფენებში ქართული კულტურის უახლესი ნიმუშების პოპულარიზებას, ამყარებდა სრულიად საქართველოს სულიერ კავშირს, აახლოვებდა ერთმანეთთან რიგით ადამიანებს.

გარკვეულ ეტაპზე, საბჭოთა სისტემის ეკონომიკური წინსვლის კვალდაკვალ, რადიო თითქმის ყველა ქართველის ოჯახში გამოჩნდა და მისი მაკონსოლიდირებელი, შემაკავშირებელი ფუნქცია კიდევ უფრო ყოველისმომცველი გახდა.

მაგრამ ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ რადიო საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბოლომდე დარჩა კომუნისტური სახელმწიფოს პროპაგანდისტული აპარატის ძირითად შემადგენელ ნაწილად, რომელიც გარკვეული აზრით აძლიერებდა სისტემურ ღვედებს.

§ 12. – ძართული მეცნიერება

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განმტკიცდა და განვითარდა ქართული მეცნიერება. მეცნიერული ჯგუფები და ცალკეული ორგანიზაციები საქართველოში XX საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა, მაგრამ მეცნიერების ძალუმი განვითარება საქართველოში სწორედ 30-50-იან წლებზე მოდის. ამას, გარკვეულწილად აპირობებდა, საბჭოთა სახელმწიფოს გეოსტრატეგიული ამბიციები და მისი დაუოკებელი სურვილი ჰქონოდა მსოფლიოში საკუთარი სამეცნიერო პოტენციალი თავისი პოლიტიკური შორსგამიზნული გეგმების სარეალიზაციოდ. ამიტომაც იმ რესპუბლიკებში, სადაც მეცნიერების განვითარებისათვის რეალური შესაძლებლობა ჩანდა, თანხებს არ ზოგავდნენ მის დასაფინანსებლად.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებისა და მისი გამორჩეული შესაძლებლობების შესახებ სწორედ 30-50-იან წლებში. ამავე პერიოდში საქართველოში განსაკუთრებით განვითარდა

მეცნიერების სხვა – ადრე საერთოდ არარსებული დარგებიც: მათემატიკა, ფიზიოლოგია, მედიცინა, ფსიქოლოგია, მექანიკა და ა.შ.

ჩამოყალიბდა ქართული **მათემატიკური სკოლა** (ნ. მუსხელიშვილი, ა. რაზმაძე, ვ. კუპრაძე და სხვ.). საყოველთაო მოწონება დაიმსახურა დიმიტრი უზნაძის მიერ შექმნილმა სამეცნიერო მიმართულებამ და მის მიერ დამუშავებულმა განწყობის თეორიამ.

საქართველოში განვითარდა **ქიმიური მეცნიერება**, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ჰ. მელიქიშვილი ხელმძღვანელობდა.

საქართველოს ბუნებრივი რესურსების ასათვისებლად შეიქმნა მეცნიერების **გეოლოგიური მიმართულება** ა. ჯანელიძისა და ა. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით.

სოფლის მეურნეობის რესურსების უფრო უკეთ ასათვისებლად ხელი ეწყობდა სასოფლო-სამეურნეო პროფილის მეცნიერების: **გეომორფოლოგიის, ბოტანიკის** განვითარებას. ამ საქმეში თვალსაჩინოა ნ. კეცხოველის, ზ. ყანჩაველისა და სხვათა ღვაწლი.

მნიშვნელოვანი მიღწევებით გამოირჩეოდა **ფიზიოლოგიური სკოლა**, რომელსაც მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი იყანე ბერიტაშვილი ხელმძღვანელობდა. როგორც ამტკიცებენ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ივანე ბერიტაშვილის გამოკვლევებს თავის ტვინის მოქმედების ფუნქციონირების პრობლემების დამუშავების საქმეში.

განვითარდა **სამედიცინო მეცნიერება**. ქართველი დასტაქრები: გ. მუხაძე, ე. ფიფია, კ. ერისთავი, ი. ჯანელიძე და სხვები ამუშავებდნენ მედიცინის ურთულეს პრობლემებს.

მეცნიერების განვითარებასთან, ახალგაზრდა კადრების აღზრდასთან ერთად, განმტკიცდა საბჭოთა მეცნიერების ორგანიზაციული სტრუქტურა. 1932 წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილება.

1941 წელს დაფუძნდა **საქართველოს მეცნიერებათა აკადემია**, რომელმაც გააერთიანა საქართველოში არსებული ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მისი პირველი პრეზიდენტი გახდა მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსი აკად. ნიკო მუსხელიშვილი. აკადემია აერთიანებდა გამოჩენილ და ღვაწლმოსილ ქართველ მეცნიერებს: გ. ახვლედიანს, ი. ბერიტაშვილს, კ. ზავრიევს, ფ. ზაიცევს, ა. თვალჭრელიძეს, კ. კეკელიძეს, ნ. კეცხოველს, ს. ჯანაშიას და სხვებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გახდა ნამდვილი შტაბი ქართული მეცნიერებისათვის. მის უამრავ ინსტიტუტსა და სამეცნიერო ლაბორატორიაში მიმდინარეობდა ინტენსიური

კვლევა მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებით. **საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ძალიან მალე გახდა ქართველი ერის კულტურული განვითარების, მისი სულიერი ამაღლების და ეროვნული ერთიანობის უმნიშვნელოვანესი საფუძველი.** ის ფაქტობრივად ისტორიული ქართული სამეცნიერო ცენტრებისა და სკოლების: ათონის ივირონის ქართველთა მონასტრის, სინასა და შავ მთაზე დაყუდებული ქართველი მეცნიერი-ბერების, გელათისა და იყალთოს მეცნიერებათა აკადემიების ტრადიციის გამგრძელებელი აღმოჩნდა და ასეთად დარჩა ათწლიანი წლების მანძილზე.

სამეცნიერო ცენტრები შეიქმნა რეგიონებშიც: სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში. ისინი საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ და უდიდესი როლი შეასრულეს ადგილობრივი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში.

II მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი თავიდავე ჩადგა ქვეყნის თავდაცვით საქმიანობაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მისდამი დაქვემდებარებული ინსტიტუტები უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ მრეწველობის სამხედრო რელსებზე გადაყვანის პროცესის დაჩქარების, ტექნიკური პროგრესის მიღწევების უკეთესად დანერგვის, ახალი მასალებისა და ნედლეულის გამოვლენის, წარმოების რაციონალიზაციისა და ეფექტიანობის მიღწევის მიმართულებით.

დიდი ომის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესაძლებლობები, გაიხსნა ახალი ინსტიტუტები. ლაბორატორიები. ქართული მეცნიერება წამყვანი იყო საბჭოთა კავშირში და მისი სამეცნიერო პოტენციალი – მისაბაძი. სამეცნიერო მოღვაწეობა ითვლებოდა პრესტიჟულად და ქართველი ახალგაზრდობა დიდი ენერგიით მუშაობდა საკუთარ თავზე, რომ შეევსო საქართველოს მეცნიერთა რიგები. თუ 1941 წელს საქართველოში სხვადასხვა პროფილის 74 სამეცნიერო დაწესებულება იყო, 1950 წელს მათი რაოდენობა 118 გახდა. ასევე გაიზარდა მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობაც – 1950 წელს საქართველოში 4843 მეცნიერი იყო. ამათგან 322 მეცნიერების დოქტორი და 1732 მეცნიერების კანდიდატი[50]. ყოველწლიურად იზრდებოდა ასპირანტების რაოდენობაც – 1950 წელს საქართველოში 569 ასპირანტი იყო.

ეს საქართველოს ინტელიგენციის ელიტარული ნაწილი იყო. ხოლო ინტელიგენცია კი საბჭოთა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი.

§ 13. – საბჭოთა საქართველოს სოციალური სტრუქტურა და ეროვნული კონსოლიდაცია

ჩვენ ზემოთ, სათანადო ადგილზე, აღვნიშნეთ, რომ მეფის რუსეთის არსებობის პერიოდში საქართველოს მოსახლეობა სოციალურად ზედმეტად დაშლილ-დაქუცმაცებული იყო, რაც განაპირობებდა სოციალურ დაპირისპირებას, ერთმანეთისაგან გათიშულობას. ქართველებს შორის იყვნენ თავადები, ტახტის ახნაურები, სასულიერო წოდების წარმომადგენლები, ვაჭრები, „მეშჩანები", გლეხები სხვადასხვა კატეგორიის და სხვა წვრილი სოციალური ერთეულები. თუ ამას დავუმატებთ ქართველთა მრავალკონფესიურობას – დაშლა-დაქუცმაცების აშკარა სურათი სახეზეა. ამიტომაც ვერ მოხერხდა იმ წლებში „ჩატეხილი ხიდის" ამოვსება, ქართველთა გაერთიანება. ასეთმა დაქუცმაცებამ ზიანი მოუტანა ეროვნულ ერთიანობას და სოციალური კატაკლიზმების დროს დაპირისპირების მაღალი მუხტიც გამოიწვია.

XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ გატარებული ეკონომიკური ღონისძიებების, კულტურული რევოლუციისა და სოციალური რეფორმების შედეგად საბჭოთა კავშირში უკვე აშენდა სოციალისტური საზოგადოება თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული სოციალური სტრუქტურით. გაცხადდა, რომ რადიკალური სოციალური რეფორმების შედეგად ქვეყანაში მოისპო: თავადების, კაპიტალისტების, მემამულეების, კულაკების სოციალური კლასები და ფენები, თითქმის განადგურების პირას მიიყვანა ყველა არსებული რელიგია და მისი ორგანიზაციული ფორმა, გაქრა სოციალურ ფენებს შორის განსხვავება-დაპირისპირება, აღორძინდა და განმტკიცდა ორი მეგობარი კლასი: მუშათა და გლეხთა კლასი და მათთან ორგანულად დაკავშირებული ინტელიგენციის ფენა.

საქართველოშიც, რა თქმა უნდა, ანალოგიური სოციალური სტრუქტურა დამკვიდრდა. ეს სისტემა გარკვეულად ხელოვნურია, რადგან სოციალურ ინსტიტუტებს შორის საზღვრები საქართველოში მკვეთრად გამიჯნული არ იყო (ეს ყველაზე კარგად ჩანს მუშათა „ორმისამართიანობის" პრაქტიკაში, როცა სოციალური ინდივიდი შეიძლება მუშაც ყოფილიყო და გლეხიც). ფიზიკურად გადარჩა თავადაზნაურობის წოდების ნაშთებიც, რომლებიც, მართალია, მაქსიმალურ ლოიალობას უცხადებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს, მაგრამ როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, მაინც ინარჩუნებდნენ წარსულის ხსოვნას (ეს ცხადყო პოსტსაბჭოთა პერიოდში თავადაზნაურთა სხვადასხვა საკრებულოს ჩამოყალიბებამ, მონარქისტული ტენდენციების გამოვლენამ, კონსერვატიულ-მონარქიული პარტიების შექმნამ და ა.შ.).

ამრიგად, 30-იან წლებში საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დაკანონებული სოციალური ჯგუფები უფრო დეკლარირებული იყო, ვიდრე ფაქტიური.

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, საბჭოთა სოციალურ სისტემას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის წარმატებით დაგვირგვინებისათვის: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ერთიანი სოციალური სტრუქტურა, თუნდაც სხვაპირული, არა სიღრმისეული. მაგრამ ეს ერთიანობა, ეს მსგავსება ათწლეულების შანძილზე განამტკიცებდა ერთიან ეროვნულ ცნობიერებას, ერთიანობის შეგნებასა და შეგრძნებას. ამ შემთხვევაშიც ადმინისტრირება, სწორი კიდეც უფრო განამტკიცებდა ეროვნული ერთიანობის შეგნებას.

ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიური განსხვავებით გამოწვეული გაუცხოების ნიველირებას. ის რაც პრობლემური იყო „თერაპალეულებისათვის" და რაც სერიოზულად აფერხებდა ერის კონსოლიდაციის პროცესს, ის მხოლოდ ძალდატანების გამოყენებით გახდა შესაძლებელი – მთლიანად გაქრა კატეგორია „ქართველი გრიგორიანელები", აჭარის მაჰმადიან მოსახლეობაში რელიგია საერთოდ აღარ თამაშობდა წამყვან როლს. „საღრი" – ისტორიას ჩაბარდა. ამან უკიდურესობამდე შეასუსტა პროთურქული განწყობილებები რეგიონში, მოლებისა და ხოჯების ზეგავლენა. **აჭარის ქართველობისათვის ილია და აკაკი უფრო ძვირფასი გახდა, ვიდრე მექა და მედინა.**

სოციალური სტრუქტურის რაოდენობრივმა შემცირებამ კეთილნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა ეროვნული კონსოლიდაციის თვისებრივ მახვენებლებზე. მით უფრო, რომ იმჟამად სოციალური ლიფტი ჯერ კიდევ საშართლიანად ფუნქციონირებდა და გადასვლა ერთი კატეგორიიდან მეორეში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა: ქართველი გლეხის შვილი შეიძლება მუშა გამხდარიყო, უმაღლესი განათლება მიეღო და ინტელიგენციის რიგები შეევსო. ასეთი მობილური სოციალური გრადაცია იწვევდა ერთიანობის ძლიერ განცდას, რაც კონსოლიდაციის პროცესების დაჩქარებაშიც აისახა.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ზემოთაღწერილი ფაქტორები ყველგან ერთნაირი წარმატებით მუშაობდა, ხოლო შედეგი ყველგან სასურველი – საქართველოში იყო რეგიონები, სადაც რელიგიური და პოლიტიკური ორიენტაციები მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებში ძველი დარჩა, ერთიანი საქართველოსაგან მათი ფაქტიური განცალკევებაც კვლავ სახეზე იყო (ამის შესახებ ზემოთ უკვე აღინიშნა და ქვემოთაც შევეხებით).

გატარებული ადმინისტრაციული ღონისძიებების შედეგად მოხდა გარკვეული ცვლილებები მრეწველობაში – საქართველოში ის გახდა მრავალდარგოვანი. ამან მნიშვნელოვნად გაზარდა მუშათა კლასის რაოდენობა საქართველოში. თუ 1922 წელს საქართველოში აღირიცხა 232 მოქმედი საწარ-

მთლ დაწესებულება, რომელშიც დაკავებული იყო მხოლოდ 10 848 მუშა-მოსამსახურე[51], 1930 წელს 221 სამრეწველო საწარმოში უკვე 26 727 კაცი მუშაობდა[52], ხოლო 1950 წელს მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობამ შეადგინა 494 ათასი, 1950 – წელს – 629 ათასი[53].

ამრიგად, მუშები გახდნენ საზოგადოების მნიშვნელოვანი წამყვანი ძალა და ქართველი კონსოლიდირებული ერის გარკვეული საფუძველი. კომუნისტური პრინციპებიდან გამომდინარე მუშები გამოიყვანეს მიწურებიდან და მისცეს ბინები. ჰქონდათ საგრძნობი პრივილეგიები განათლების მიღების, სოციალური დაზღვევის საქმეში.

ქართულმა სოფელმა სახე რადიკალურად იცვალა – მოხდა „კულაკების“ (სოფლის ყველაზე უფრო მშრომელი და ენერგიული ნაწილის) როგორც კლასის ლიკვიდაცია, რამაც დიდი კატაკლიზმები გამოიწვია. გლეხობის უდიდესი ნაწილი ძალდატანებით კოლმეურნე-გლეხი გახადეს. იგი ძირითადად სახელმწიფოსთვის თითქმის უსასყიდლოდ მუშაობდა. მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთი ეძლეოდა პირადი „საკარმიდამო ნაკვეთების“ დასამუშავებლად. ამ „ჟარდაქმნებით“ განსაკუთრებით კმაყოფილი იყო უღარიბესი გლეხობა, რომელმაც „კულაკების“ ექსპროპრიაციის ხარჯზე მიიღო ქონების გარკვეული ნაწილი. თუ 1928 წელს საქართველოს სოფელში იყო 37 საბჭოთა მეურნეობა და 239 კოლმეურნეობა, 1937 წელს მათი რაოდენობა შესაბამისად იყო 83 და 4366, ხოლო 1953 წელს – 98 და 2057 (რაოდენობის შემცირება გამოიწვია კოლმეურნეობების გამსხვილებამ)[54].

ამასთან, საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლებში აამოქმედა სკოლების ფართო ქსელი, გახსნა საიადმყოფოები და ამბულატორიები. მკურნალობა იყო უფასო.

შეიქმნა ინტელიგენციის ძლიერი და მრავალფეროვანი ფენა. ჯერ კიდევ შემორჩენილი, ხელისუფლებას ჩამოცილებული თავადაზნაურული ინტელიგენციის ნაშთები ძირითადად მეცნიერებაში, ხელოვნებაში, განათლების სფეროში მოღვაწეობდნენ, რაც განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მას შეემატა დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი გახდა.

არცერთ საბჭოთა კონსტიტუციაში ეს არ იყო დაფიქსირებული, მაგრამ შეიქმნა ძლიერი და იმჟამად ურყევი საბჭოთა ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური კასტა – ე.წ. „ნომენკლატურა“ – პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ელიტა, რომელსაც თავისი განვითარების კანონები და კანონზომიერებები ჰქონდა. ის ძირითადად იესებოდა სოციალურად სანდო ფენებიდან. სტალინური დიქტატურის პირობებში ეს ფენა ჯერ კიდევ ქმედითუნარიანი იყო, რადგან „ხელშეუხებლობის იმუნიტეტი“ ჯერ

კიდევ არ ჰქონდათ, და ნებისმიერ დროს შეეძლოთ თავისი პოლიტიკური კარიერა „ჯულაგში“ დაემთავრებინათ.

1936 წლის 5 დეკემბერს მიიღეს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია. გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია და საქართველო უშუალოდ შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ასევე გაუქმდა კლასობრივი დისკრიმინაცია არჩევნების დროს და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე ფორმალურად თანასწორი გახდა. დაინერგა პირდაპირი და ფარული საარჩევნო სისტემა. მაგრამ დეპუტატებს ასახელებდნენ შრომითი კოლექტივები და დაწესებულებები, რომლებიც მთლიანად პარტიული ორგანიზაციების მიერ იმართებოდნენ. კვლავ უცვლელი დარჩა სახელისუფლო სისტემის (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) ერთიანობისა და განუყოფლობის პრინციპი. კვლავ იყო დეკლარირებული მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები (სიტყვის, პრესის, კავშირების თავისუფლება), რაც არაფრით არ იყო გარანტირებული.

საბჭოთა კონსტიტუციის ძირითადი დებულებები გაიმეორა საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ, რომელიც დამტკიცდა 1937 წლის 13 თებერვალს, საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე. საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ კვლავ დაადასტურა, რომ **საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა**.

ახალი კონსტიტუციის საფუძველზე არჩევნები ჩატარდა 1938 წლის 12 ივნისს. იმ დღეს თბილისში საზეიმოდ გაიხსნა ფუნიკულიორის დიდებული შენობა. საქართველომ არნახული ენთუზიაზმის პირობებში (არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 99,2 პროცენტი) არჩია 237 დეპუტატი. აქედან კომუნისტი იყო 75,5 %, უპარტიო – 24,5%. მუშა – 33%, გლეხი – 23%, ქალი იყო 24.9%. ქართველი იყო 191 დეპუტატი, აფხაზი – 5, ოსი – 7, რუსი – 7, აზერბაიჯანელი – 7, სომეხი – 13 და ა.შ..

ამ კონფიგურაციით და ამ კომუნისტური პრინციპებით სოციალურმა სტრუქტურამ იმუშავა საბჭოთა ხელისუფლების დასასრულამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოება საკმაოდ დიდი ისტორიული მონაკვეთის განმავლობაში სოციალური რყევებისა და პოლიტიკური კატაკლიზმების გარეშე არსებობდა, რაც აპირობებდა ქვეყანაში ცენტრისკენული ფაქტორების განმტკიცება-განვითარებას, სოციალური ერთიანობიდან გამომდინარე საზოგადოების კონსოლიდაციის პროცესების გაღრმავებას, რაც ყოველმხრივ წაადგა საქართველოს ერთიანობის პროცესს.

20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში სტალინის მოსახლეობის დიდი ნაწილი თითქმის არ იცნობდა – რევოლუციური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე კობა ჯუგაშვილი ან არალეგალურად ცხოვრობდა, ან ციხეში იჯდა, ხანაც ციმბირში – გადასახლებაში იმყოფებოდა. არც მის თეორიულ ნაშრომებს იცნობდნენ ფართო მასები და არც მისი ლექსი „დილა" ახსოვდა ვინმეს – ილია ჭავჭავაძემ რომ დაუბეჭდა 1895 წელს გაზეთში „იერია".

დიდი ხნის განმავლობაში, საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი და რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი საშიშობლოში, როგორც ალვნიშნეთ, მხოლოდ 1921 წლის ზაფხულში ჩამოვიდა, ისიც ს. ორჯონიკიძის საგანგებო მოწვევით.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ პარტიულ გაზეთებში იმჟამად ოფიციალური ინფორმაციის პუბლიკაციის დროს მუდამ ხაზს უსვამდნენ და უთითებდნენ, რომ იოსებ სტალინი იყო ჯუგაშვილი. ქართველები თანდათან ეცნობოდნენ ამ პოლიტიკურ მოღვაწეს და მის საქმიანობას.

1922 წელს ი. სტალინი უკვე კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გახდა, 1924 წელს – ლენინის შესაძლო მემკვიდრე, 1925-1928 წლებში ბრწყინვალედ გაიმარჯვა პოლიტიკურ ოპონენტებზე, 1929 წელს – 50 წლის ასაკში ფაქტობრივად უზარმაზარი ქვეყნის ერთპიროვნული ლიდერი იყო, სელმძღვანელობდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, მას აღიარებდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მწერლები, პოეტები, ხელოვნების მოღვაწეები.

საქართველოში სტალინის დასასელებას უკვე აღარ ჭირდებოდა ხაზგასმა, რომ ის ჯუგაშვილი იყო – ქართველებმა ჩინებულად გაიგეს და კარგადაც შეითვისეს, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დიდი ბელადი გორელი მეწაღის ყაყო – იოსებ ჯუგაშვილი იყო.

ჩვენ არ შევუდგებით საბჭოთა პროპაგანდის მიერ 30-50–იან წლებში სტალინის კულტის დამკვიდრების მიზნით განხორციელებული კომპლექსური ღონისძიებების დეტალურ ანალიზს – ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ჩვენ, შეძლებისამებრ, ვაჩვენებთდაამჩნია თუ არა კვალი ქართველების მსოფლმხედველობას სტალინის ქართულმა წარმომავლობამ, მისმა მსოფლიო ისტორიულმა მისიამ, რა დოზით ან რამდენად წაადგა ის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის დასრულების საქმეს.

მიგვაჩნია, რომ II მსოფლიო ომის წინ ორგანული და ყოვლისმომცველი სტალინის პიროვნების კულტის დამკვიდრება საბჭოთა პროპაგანდის უდი-

დესი მიღწევა იყო, თუმცა ამ წარმატებაში მასების ფსიქოლოგია, მათი ნდობის ფაქტორი, ამ კულტში მათი ოცნებებისა და იმედების რეალიზატორისადმი პატივისცემის გარკვეული გამოხატულებაც უნდა დავინახოთ – სხვა მხრივ პიროვნების კულტი არ ყალიბდება.

შეიძლება დაუკვეთო ლექსი, პოემა ან მხატვრული ნაწარმოები ნიჭიერ მწერალს – პასტერნაკს ან გამსახურდიას, ბარბიუსს ან გალაქტიონს და მათ ამ პანეგირიკში დიდი პრემია გადაუხადო, მაგრამ ვერ აიძულებ რიგით გლეხს, რომელსაც სიტყვა უჭრის და ქართული ლექსის მადლი იცის, დაჯდეს და ლექსები, პოემები და სიმღერები დაწეროს სტალინზე. და არა მარტო დაწეროს, არამედ შემდეგ, კულტის კრიტიკისა და სტალინის დამსახურების ტოტალური განადგურების პირობებშიც – შეინარჩუნოს პატივისცემა, ბოლომდე უერთგულოს მის ხსოვნას, მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ სისხლი დაღვაროს... სწორედ ეს არის ისტორიული ფენომენი და მისი რეალური ძალა...

და ეს ფენომენი, გარკვეულწილად, ქართული საზოგადოების თითოეულმა წევრმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად საოცარი ოსტატობით ჩამოაყალიბეს XX საუკუნის შუა ხანებში.

ქართველი მწერლების პროლეტარული ნაწილი (იონა ვაკელი, სანდრო ეული, რაჟდენ გვეტაძე და სხვ.) თავიდანვე ეთაყვანებოდნენ ყოველივე საბჭოურს. მათ შორის კომუნისტ ბელადებსაც. როცა დიდების მწვერვალზე იყო, ქართველი მუშა-პოეტები ლ. ტროცკისაც უძღვნიდნენ გრძნობამოჭარბებულ მგზნებარე სტრიქონებს.

30-იანი წლების შუა ხანებიდან აკადემიური მიმართულების მწერლებიც (კ. გამსახურდია მ. ჯავახიშვილი, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე და სხვ.) საბაბს არ უშვებდნენ შეექოთ პარტიის გრანდიოზული მიღწევები, ამ ისტორიული საქმეების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იოსებ სტალინი. ამის უამრავი დამადასტურებელი ფაქტია, ჩვენ მხოლოდ ერთ მათგანს მოვიტანთ.

1937 წელს გამოქვეყნდა კრებული „ახალი კოლხიდა", ქართველი მწერლების და პოეტების ლექსების კრებული, რომელშიც კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი ტრამალების ამოშრობა სტალინური ეპოქის უდიდეს ისტორიულ მოვლენად არის შეფასებული. კრებულის რედაქტორი – მომავალი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანია. ხოლო ავტორები არიან: ალ. აბაშელი, ირ. აბაშიძე, კ. ბობოხიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. გაბესკირია, ი. გრიშაშვილი, ი. ლისაშვილი, კ. ნადირაძე, ვ. ჟურული, გ. ტაბიძე, ა. ქუთათელი, ს, ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, გ. ლეონიძე, ს. შანშიაშვილი და კიდევ ბევრი დიდი თუ საშუალო გაქანების ქართველი პოეტი. ამ კრებულის სულისკვეთებაა: „მგზნებარე კოლხიდე-

ლის – დიდი სტალინის შთაგონებით კოლხიდის დაბლობზე საბჭოთა ხალხი გამძაფრებულ ბრძოლას აწარმოებს ბუნების სტიქიასთან, რათა საუკუნეებით დაგუბებულსა და აშმორებულ ჭაობს გამოსტაცოს ძვირფასი, უაღრესად ნაყოფიერი მიწა“[55].

გიორგი ლეონიძემ კრებულში გამოქვეყნებული შესხმა იცოტავა და სულ მალე შექმნა მონუმენტური პოემა: „ბავშვობა და ყრმობა“ (1939 წ.) და როგორც ექსპერტები ხაზგასმით მიუთითებენ – ავტორი „მაღალმხატვრულად წარმოსახავს ქართულ პეიზაჟს, ფოლკლორულსა და ეთნოგრაფიულ კოლორიტს, ლეგენდებს და ისტორიულ-სოციალურ კოლიზიებს, ქართველი ხალხის ხელიერ სამყაროს და ცხოვრების სურათებს“[56]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პოემის შესახებ იოსებ სტალინმა არაფერი იცოდა, მხოლოდ 1946 წელს ოქტომბერში ქართველი ინტელიგენციის სტუმრობის დროს აკაკი ბასიაშვილმა წამოსცდა ეს ფაქტი ბელადთან...

სტალინის პიროვნების ფორმირების პერიოდს მიუძღვნა თავისი რომანი „ბელადი“ კონსტანტინე გამსახურდიამაც. წიგნი მრავალათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა. მაგრამ სტალინს ის, მაინცდამაინც, არ მოუწონა და წიგნიც საყოველთაოდ პოპულარული ვერ გახდა.

სტალინის შესახებ უამრავი კრებული, ნაშრომი გამოქვეყნდა 1939 წელს. როცა საყოველთაოდ ზეიმობდნენ „ხალხთა დიდი ბელადის“ დაბადების 60 წლისთავს – გამომცემლობები მრავალათასიანი ტირაჟით აქვეყნებდნენ როგორც პროფესიონალი ლიტერატორების, ისე სახალხო მთქმელების მიერ სხადასხვა დროს დაწერილ თუ ზეპირად ბელადისადმი მიძღვნილ საგალობლებს.

სტალინის ქებაში ქართველებს არც უცხოელები ჩამოუვარდებოდნენ. 1936 წელს თბილისში იმყოფებოდა ცნობილი ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ანდრე ჟიდი, რომელმაც იმოგზაურა საბჭოთა ქვეყანაში, საქართველოშიც შეხვდა რიგით ადამიანებს, ქართველ მწერლებს, პოეტებს და გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში აღნიშნა, რომ ის გაეცნო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას და „ყოველივე ამის შემდეგ მაღალი შეხედულება შემექმნა ამხანაგი სტალინის სიბრძნეზე“. საქართველოდან წასვლის წინ მან ლავრენტი ბერიას გაუგზავნა წერილი, რომელშიც შემდეგი სიტყვებია: „არსად საბჭოთა კავშირში არ მიგრძვნია უფრო ნამდვილი, უფრო მოყვარული ერთგულება გამარჯვებული რევოლუციის დიდი საქმისადმი, ვიდრე მშვენიერ, ორდენოსან საქართველოში, რომელმაც თავის ხელმძღვანელთა გონების წყალობით შეძლო შეენარჩუნებინა, აღედგინა ან ახლად მოეპოვებინა თავისი ჭეშმარიტი ტრადიციის ძირითადი თვისებები“[57].

ანდრე ჟიდი თვალთმაქცობდა. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ მან დაწერა წიგნი, რომელშიც მკაცრად არის გაკრიტიკებული საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა და მისი ხელმძღვანელები, მაგრამ ამის შესახებ ქართველებმა არაფერი იცოდნენ. მათ მართლაც ირწმუნეს, რომ ნობელის პრემიის ლაურეატი მათთან გულწრფელი იყო და ჭეშმარიტებას ღაღადებდა.

1937 წელს სრულიად საბჭოთა კავშირი შოთა რუსთაველის იუბილეს ზეიმობდა და დამაგვირგვინებელი შეხვედრა თბილისში გაიმართა. აქ თავი მოიყარეს საბჭოთა ლიტერატურის კორიფეებმა, სტუმრებმა სახლვარგარეთიდან. ამ საზეიმო შეხვედრას ესწრებოდნენ ანტიფაშისტი მწერლების დელეგაციები ბულგარეთიდან, ესპანეთიდან, ისლანდიიდან. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ სახეიმო სხდომაზე რუსი და არა მარტო რუსი მწერლები, პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სტალინის ქება-დიდებაში. სწორედ ამ შეხვედრაზე ითქვა ფრაზა, რომელმაც მოგვიანებით მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობითი ტეხილი გამოიწვია საქართველოში. მწერალი სტავსკი (სსრ კავშირის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი) თავის სიტყვაში აღნიშნავდა შემდეგს: „ჩვენ პლენუმს ვხსნით აქ, თბილისში, **ქართველი ხალხის დედაქალაქში, იმ ხალხისა, რომელმაც ჩვენს სამშობლოს, კაცობრიობას მისცა გენიოსი და ბელადი, ამხანაგი სტალინი** (მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის)“[58].

პოეტმა ა. ჟაროვმა თავის გამოსვლაში ეს თეზისი ასე ჩამოაყალიბა – „**ეს ლექსი მიმართულია დიდი ქართველი ხალხისადმი, რომელმაც მსოფლიოს მისცა ჩვენი მამა და მეგობარი, საყვარელი სტალინი“.**

ამრიგად, ქართველებმა უცხოელებისაგან შევიტყვეთ, რომ საქართველო იმით არის გამორჩეული და დიდი, რომ მან კაცობრიობას მისცა „გენიოსი და ბელადი, ამხანაგი სტალინი“.

ეს სიტყვები სრულიად საქართველოს მოედო, იმუამად გაზეთი „კომუნისტი“ ასიათასიანი ტირაჟით იბეჭდებოდა და ყველგან ვრცელდებოდა, საქართველოში წერა-კითხვა უკვე ყველამ იცოდა...

ამრიგად, ქართველებს, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე და მისი მეგობრები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ და მის უამრავ ნაკლს ააშკარავებდნენ, მათგან „ახალი ქართველის“ აღზრდას ცდილობდნენ, სულ რაღაც ოცდაათი წლის შემდეგ საჯაროდ უმტკიცებდნენ, რომ ისინი იყვნენ მსოფლიოში უკვე გამორჩეულნი იმით, რომ **ამ მიწაზე დაიბადა „გენიოსი და ბელადი, ამხანაგი სტალინი“.**

ეს სენტენცია, შეიძლება საქართველოში ყველამ არ გაიზიარა, ბევრმა ის საიუბილეო სხდომაზე პოეტების გადაჭარბებულ ხოტბა-დიდებას დაუკავ-

შირა, სოგმა დაიცწყა კიდეც, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, ამ სხდომაზე ნათქვამი საქართველოს გამორჩეულობის თეზა მაინც ჩაინერგა ნაყოფიერ ნიადაგში და მოგვიანებით კვლავ შეახსენებს თავს ქართველობას.

ხალხი თვითონ ქართველები, მისი ძირითადი ნაწილი, გულწრფელად აჰყვა სტალინის ქებას, ამ შეფასებას, დაიჯერეს და გაითავისეს იგი. რატომ?

შეიძლება დავეშვათ, რომ ქართველი რიგითი კაცის ცოფით შეგნებას ოპონირებდა ის ფაქტი, რომ უზარმაზარი სახელმწიფოს შემქმნელი და ხელმძღვანელი, მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი – გორელი მეწაღის ვაჟი იყო. ეს თავისთავად ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მეხტის მატარებელი იყო და განსაკუთრებით ძალემად მოქმედებდა დემოკრატიულ მასაზე. ეს ხომ ქართული სლოგანის ახდენას ჰგავდა: ღარიბის ქოხში დაბადებული ბიჭი საკუთარი ნიჭის, გამბედაობის, პრინციპულობისა და შრომის წყალობით ამარცხებს „ლეევებს" და უზარმაზარი სახელმწიფოს საქისმპყრობელი ხდება. ეს ისტორიაში მართლაც არნახული ამბავი იყო: ინდოელი არ გამხდარა დიდი ბრიტანეთის „ხელმწიფე", არც ალჟირელს დაეკავებია საფრანგეთის „სამეფო ტახტი"...

ამ ფაქტის შეგნება არა მარტო რიგით კლეხზე, არამედ ქართული ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილზეც ძლიერ ზემოქმედებდა და უდიდეს სტიმულს აძლევდა მათ.

სტალინის ავტორიტეტი და ზეგავლენა განსაკუთრებით გაიზარდა II მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ის ხელმძღვანელობდა ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხების ბრძოლას და ანტიჰიტლერული კოალიციის მთავარი შტაბის – „დიდი სამეულის" ავტორიტეტული წევრი იყო. როგორც დიდი ქართველი მეცნიერი, საფრანგეთში მყოფი ექვთიმე თაყაიშვილი მოგვიანებით იგონებდა – ფრანგები პარიზში სტალინისთვის ოქროს ძეგლის დადგმას აპირებდნენ.

1949 წელს ჩინეთში კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ – სტალინის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. იგი მართლაც აკონტროლებდა „იმპერიას", რომელშიც მზე არასოდეს ჩადიოდა. იყო წარმატების სხვა ფაქტებიც, რაც სტალინის ავტორიტეტს დემოკრატიულ ფენებში ზრდიდა. უკვე 1950 წელს მოხდა ომში თითქმის განადგურებული ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური აღორძინება, სოციალური სტაბილურობის განმტკიცება – ეს კი ბევრში, შინ თუ გარეთ, იწვევდა გულწრფელ აღფრთოვანებას.

უზარმაზარი ძალების დაძაბვით საბჭოთა კავშირმა შეძლო ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშება და მალე ზესახელმწიფო გახდა. ფეხზე კვლავ დადგა ქვეყანა, აშენდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, ქალაქები.

დაიწყეს პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების სისტემატური შემცირება (მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტები დღესაც ამტკიცებენ, რომ ეს „ფასების შემცირება" ილუზორული და მშრომელებისათვის ნაკლებად ეფექტიანი იყო, თვითონ ცნება – „ფასების შემცირება" – რიგით ადამიანებში განსაკუთრებულ კეთილგანწყობას იწვევს დღესაც).


ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტალინის ფენომენმა თავის მხრივ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ქართველების შეხედულებებზე XX საუკუნის 30-50-იან წლებში და მისი გამოძახილი მოგვიანებითაც შეიმჩნეოდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რიგით ქართველს სჯეროდა, რომ ყველა ეს ნობელის პრემიის ლაურეატი, უნიჭიერესი ქართველი მწერალი, სტალინური პრემიის მფლობელი ქართველი თუ არაქართველი მეცნიერი, უამრავი პოლიტიკური მოღვაწე გულწრფელი იყო სტალინის მიმართ გამოთქმულ შეხედულებებში და მართლაც მიაჩნდათ იგი მსოფლიო გამორჩეულ და უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფიგურად. რიგითმა ქართველმა კაცმა ხომ არ იცოდა, რომ ზოგი მწერალი, მეცნიერი, პოლიტიკოსი იყო კონფორმისტი, მატყუარა, რომელიც მხოლოდ კარიერისტული მოსაზრებებით აქებდა „დიდ ბელადს" და სინამდვილეში მას კაცისმკვლელად, დესპოტად და ტირანად თელიდა (როგორც დღეს ამ მეცნიერებისა და მწერლების შვილიშვილები გვიმტკიცებენ).

იმჟამად საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სტალინის პიროვნების კულტი გარკვეული ღირებულების მატარებელ ფენომენად გადაიქცა. ამ პიროვნების სახელით ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ და მისი სჯეროდათ. ქართულ საზოგადოებაზე სტალინის ფენომენის ზეგავლენა ცხადყო 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამაც, რასაც ქვემოთ სპეციალურად შევეხებით. ხოლო, რაც შეეხება თეზისს – „საქართველოს გამორჩეულ როლს კაცობრიობის ისტორიაში" – რისი მომსწრეც შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში სრულიად საქართველო გახდა, ამის შესახებაც ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი.

§ 15. – ილია ჭავჭავაძის კულტის დამძვიდრება

1937 წელს, როცა საბჭოთა ქვეყანაში „კუდიანებზე ნადირობამ" თავის აპოგეას მიაღწია და ქვეყანა ჩაიძირა „ხალხის მტრების" ძიებაში, მოსკოვის ცენტრალურ გაზეთში – „პრავდა" დაიბეჭდა ხოტბისშემცველი სტატია ილია ჭავჭავაძის შესახებ, რაც ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო – აშკარად ი. სტალინის ვიზირებით გახდა შესაძლებელი.

ივანე ჯავახიშვილი



აკაკი შანიძე

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ილიას ქართველ სოციალ-დემოკრატებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე ახალგაზრდობაში დროს არ კარგავდნენ და მარქსისტული კრიტიკის ცეცხლში ატარებდნენ საქართველოს სულიერ მამას. ილიას მკვლელობაც ხომ სოციალ-დემოკრატების დაკვეთით განხორციელდა...

მაგრამ ბედის ირონიით ისე მოხდა, რომ საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში ილიას ეს ორიენ კრიტიკოსი უმაღლეს ხელისუფლებაში მოვიდა. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ხანმოკლე მმართველობის პერიოდში ილია, მაინცდამაინც, პატივში არ ყავდათ. კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ, როცა ფილიპე მახარაძე ხელისუფლებაში იყო, ილიას კულტის დანერგვას მაინცდამაინც არ ცდილობდა. ილიას შემოქმედებას დაეწყების ბურუსი წააფარეს. უფრო დიდ პატივში ეგნატე ნინოშვილი და დავით კლდიაშვილი ჰყავდათ.

ამიტომაც გახეთ „პრავდის" სტატიამ ილია ჭავჭავაძეზე საქართველოში მოულოდნელობის გრძნობა დაბადა. მაინც რა ეწერა ამ სტატიაში?

რუსი ავტორი მოკლედ ეხებოდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას და, ამასთან, მიუთითებდა: „თავის სტატიებში, პოემებში, მოთხრობებსა და საჟურნალო სტატიებში ჭავჭავაძე თავს ესხმოდა საქართველოს ძველი თაობის თავადაზნაურ ინტელიგენციას, რომელმაც უარი განაცხადა რუსეთის კოლონიალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე. მეფის ხელისუფლება ილია ჭავჭავაძეს თავის მტრად მოიაზრებდა"[59].

და რაც მთავარია, გახეთ „პრავდის" პუბლიკაციაში ხაზგასმული იყო, რომ ილია ჭავჭავაძე „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი წარმომადგენელია, რომელიც აღიზარდა 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის ზეგავლენით"[60].

სტატიებმა „პრავდაში" ყველა მიახვედრა, რომ საქართველოს მოღვაწეებს შორის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადად სტალინმა არა აკაკი წერეთელი (სოციალ-დემოკრატებთან აშკარად დაახლოებული), არა გიორგი წერეთელი (ქართველი სოციალ-დემოკრატების „მამა"), და, მართლაც, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ეგნატე ნინოშვილი კი არ შეარჩია, არამედ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ბანკირი და თავადი, სოციალ-დემოკრატების თავდასხმებისგან გულშეწუხებული და მათ მიერ მოკლული ილია ჭავჭავაძე.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ არჩევანში ნამდვილად ითამაშა გარკვეული როლი სუბიექტურმა ფაქტორმა – სტალინის მეგობარი პ. კაპანაძე თავის მემუარებში არა ერთხელ იგონებდა სოსო ჯუგაშვილისა და ილიას შეხვედრას „ივერიის" გამომცემლობაში და ამ შეხვედრას ზედმეტად

თბილ ფერებში ხატავდა. შეიძლება ეს მართლაც ასე იყო – სტალინს ახსოვდა და აფასებდა ილიას: ჯერჯერობით არ აღმოჩენილა სტალინის მიერ ილიას სალანძღავი ერთი სტატიაც კი, თუნდაც რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყის ეტაპზე. თუმცა საქართველოში დღეს ენერგიულად ცდილობენ დაასაბუთონ, რომ სწორედ სტალინმა გაუკეთა ორგანიზება ილიას მკვლელობას...

მაგრამ ჩვენ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ „პრავდაში“ პუბლიკაციამ საქართველოში რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება ილიას მიმართ – მის მომხრეებს, რომლებიც საქართველოში საკმაოდ იყვნენ, ხელები გაეხსნათ ილიას შემოქმედების შესწავლისა და წარმოჩენისათვის, ხოლო მისი ოპონენტები – საშვილიშვილოდ დადუმდნენ.

მაგრამ საქართველოში მოხდა მეორე უკიდურესობა – ილიამ შეიძინა კულტის თვისება. მასზე, მის შემოქმედებაზე საუბარი მხოლოდ გაზეთ „პრავდაში“ უკვე დაფიქსირებული და აპრობირებული მსოფლმხედველობითი კლიშეების საფუძველზე იყო შესაძლებელი. ამიტომ ილია ისტორიკოსთა, ლიტერატურათმცოდნეთა შრომებში დამკვიდრდა, როგორც „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურაზე აღზრდილი, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მოწაფე“ და ა.შ. და ა.შ..

ილიაზე მხოლოდ დადებითი შინაარსის ინფორმაცია უნდა გავრცელებულიყო, ყველა მისი კრიტიკოსი – რა რანგის ან რა დამსახურების არ უნდა ყოფილიყო ის, გამოცხადდა მცდარად, რომელიც ვერ ხედავდა ილიას სიდიადეს. ხოლო მათ კრიტიკულ პათოსს – მხოლოდ ადამიანური სისუსტეები, შური და გაუტანლობა ასაზრდოებდა. ამ კონცეფციიდან გამომდინარე ზოგიერთისთვის ილია ჭავჭავაძე თავიდან ბოლომდე მტკიცე „რევოლუციონერ-დემოკრატი იყო“, რომელსაც არ შეეძლო განეცადა ევოლუცია, შეეცვალა ახალგაზრდობაში შეძენილი რომელიმე შეხედულება, პოლიტიკური ორიენტაცია და ა.შ. ილია ჭავჭავაძე, მათი აზრით, ახალგაზრდობიდან სიკვდილამდე „ცარიზმისა და რუსეთის სახელმწიფოს დაუძინებელი მტერი“ იყო და ა.შ. და ა.შ..

რა თქმა უნდა, პირველ რიგში ამ შეხედულების მხარდამჭერები ქართველი მარქსისტ-ლენინელი ისტორიკოსები გახდნენ, რომლებმაც ტომები მიუძღვნეს ილიას „რევოლუციურ-დემოკრატიულ“ მოღვაწეობას და მათთვის ილია ყველა ოპონენტთან ცამდე მართალი იყო (პ. რატიანი, მ. გაფრინდაშვილი და სხვ.). ისინი ვერ ხედავდნენ განსხვავებას XIX საუკუნის 60-იანი და 90-იანი წლების ილიას შორის, მათთვის მიუღებელი იყო ილიაზე ივანე მაჩაბლის კრიტიკული დამოკიდებულება, ნიკო ნიკოლაძის მიერ გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება, არჩილ ჯორჯაძის მოსაზრება ილიას

მსოფლმხედველობით ევოლუციაზე და ა.შ. ყველა ეს თვალსაზრისი ერთხმად ერესად გამოცხადდა.

მხოლოდ საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსის ნაშრომში (ა. ბაქრაძე, გ. ყორანაშვილი და სხვ.) არის მცდელობა უფრო რეალური პოზიციებიდან შეისწავლონ და წარმოაჩინონ ილიას ჭეშმარიტი ფენომენი და მისი უდიდესი დამსახურება ქართველი ერის აღორძინება-განვითარების საქმეში.

მიგვაჩნია, რომ სწორედ 1937 წლიდან დაიწყო და ათეული წელი გრძელდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, საქართველოს წინაშე მისი უდიდესი დამსახურების შეცნობა-შეგნება ქართველი ხალხის მიერ, რადგან სწორედ „პრავდის“ ამ სტატიის შემდეგ დაიწყეს ილიას თხზულებების მასობრივი პუბლიკაცია, მისი შემოქმედების ყოველმხრივი დამუშავება, მისი ლექსების, პოემებისა და მოთხრობების შესწავლა-გათავისება და ეს პროცესი იყო ტოტალური, უწყვეტი. ილიას ნაშრომები საბჭოთა პერიოდში ათობით ათასი ტირაჟით იბეჭდებოდა (1987 წელს ილიას საიუბილეოდ გამოქვეყნდა თხზულებების ხუთტომეული 100 000 ტირაჟით). ილიას შემოქმედება ისწავლებოდა ქართულ სკოლებში და ქართველი ბავშვები ეუფლებოდნენ მის მსოფლმხედველობას – ამრიგად, ილია ერთიანი ქართული საგანმანათლებლო სივრცის ორგანული შემადგენელი ნაწილი გახდა. მისი თხზულებების კრებულები, სხვადასხვა ცნობილი მწერლის რედაქციით, ძალიან ხშირად ქვეყნდებოდა. **ილიას შემოქმედება ჭეშმარიტად გაითავისა სრულიად საქართველომ.**

სანამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ილიას კანონიზაციას გაუკეთებდა (XX საუკუნის 80-იანი წლები) – ილიას კულტი უკვე დიდი ხნის დამკვიდრებული იყო საქართველოში და ის ქართველების ერთიანობის, მისი კონსოლიდაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

§ 16. – იყო თუ არა 1937 წლის მასობრივი რეპრესიები საქართველოში ეროვნული კონსოლიდაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯი?

ბოლო წლებში დასავლეთის „სოვეტოლოგიაში“ განსაკუთრებით პოპულარული გახდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველებმა სტალინმა და ბერიამ 1937 წლის მასობრივი რეპრესიები უნარიანად გამოიყენეს ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის წარმატებით დასაგვირგვინებლად და მეგრელების, აჭარლების, სვანების, ლაზების, ბაცბიცების (თუშების) ინტელიგენციაზე (მათი შეხედულებით „ეროვნული მოძრაობის ლიდერებზე“) განხორციელდა მიზანმიმართული ტერორი და სწორედ ამით მათ უზ-

რუნველყვეს ქართველი ერის კონსოლიდაცია. ეს ავტორები კიდევ უფრო შორს მიდიან და ქართველებს აბრალებენ, რომ მათ ეს მასობრივი რეპრესიები მიზნობრივად გამოიყენეს საქართველოში მცხოვრები სხვა, არაქართველი ეთნოსების ინტელიგენციის წინააღმდეგაც.

ასეთი მოსაზრებები ამოვიკითხეთ გერმანელი ისტორიკოსების ერთი ჯგუფის (მარკ იუნგეს, დანიელ მიულერის, ბერნდ ბონვიჩის და სხვათა) მიერ მომზადებულ კაპიტალურ ნაშრომში: „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში. ტ. I. დიდი ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში“(რუსულ ენაზე)[61].

სწორედ ამ ნაშრომში ავტორები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ქართველმა სტალინმა და ბერიამ 1937 წლის რეპრესიების დროს ყველაფერი გააკეთეს, რომ მომხდარიყო მეგრელების, სვანების, აჭარლებისა და ბაცბიცების ქართველ ერში იძულებითი გაერთიანების პროცესი, რასაც ისინი ადმინისტრაციულ შეზრდას უწოდებენ («Административное сращивание: аджарцы, мингрелы, сваны и бацбийцы»).

ამრიგად, გერმანელი მეცნიერები კვლავ ნიკოლოზის პერიოდის რუსი შოვინისტი იდეოლოგების, თითქოს უკვე დავიწყებულ, კონცეფციას ხელმეორედ გვთავაზობენ – რომ მეგრელები, აჭარლები, სვანები და ბაცბიცები (თუშები) ქართველები არ არიან. მათი აზრით ისინი სწორედ ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესიების ძალით გაქართველებულ არაქართულ ეთნოსებს წარმოადგენენ.

ჩვენ არ შევეხებით ამ, თითიდან გამოწურული, ათასჯერ ქართველი მეცნიერების მიერ უარყოფილი ფსევდომეცნიერული შეხედულებების დეტალურ კრიტიკას, ჩვენ ეს გავაკეთეთ 2014 წლის დეკემბერში ქართველ და გერმანელ მეცნიერთა დისკუსიის დროს, რომელიც სწორედ გერმანელი კოლეგების ამ ნაშრომის განხილვას მიეძღვნა და ეს მასალა გამოქვეყნდა კიდეც.

გერმანელი მეცნიერების კრიტიკა კი დავიწყოთ ტერმინებით: ავტორები აქ გვთავაზობენ ტერმინს „ადმინისტრაციული შეზრდა“. მე კი მას დავუპირისპირებდი ქართველ ისტორიკოსთა შორის დამკვიდრებულ ცნებას – „ეროვნული კონსოლიდაცია“.

ჩვენი წინამდებარე ნაშრომი არის სწორედ ნათელი ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ ჩამოყალიბდა ქართველი ერი, შემდეგ, გარეშე ძალების ზემოქმედებით, როგორ დაიშალა ის, ზოგ რეგიონში რჯულიც შეიცვალა, ზოგან – ქართულად უკვე აღარც კი მეტყველებდნენ. მაგრამ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი მთელი XIX-XX საუკუნის მანძილზე აღმავლო-

ბით მიმდინარეობდა – ქართველი ინტელიგენციის ერთიანი მაკონსოლიდირებელი საქმიანობის საფუძველზე.

რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ იყო უღრუბლო. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის სახელმწიფო მუდამ ცდილობდა ამ პროცესების შეჩერებას, შეფერხებას. საბჭოთა პერიოდში აჭარასთან დაკავშირებით გარკვეული სიძნელეებიც იყო, გამოწვეული საბჭოთა ხელისუფლების ათეისტური პოლიტიკით. სერიოზული თავსმოხვეული პრობლემები იყო სამეგრელოშიც. მაგრამ, როგორც დავინახეთ, თვითონ ადგილობრივი მოსახლეობა დადგა საქართველოს ერთიანობის დაცვის სადარაჯოზე.

უნდა ითქვას, არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ სარეცენზიო წიგნის ავტორები ისაკ ჟვანიას შესახებ, ნაშრომში ის წარმოდგენილია მეგრელების „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ ლიდერად, ინტელიგენტად, რომელიც თავისი შეხედულებების გამო 1937 წელს დააპატიმრეს და რამდენიმე დღეში დახვრიტეს[62].

ეს სიცრუეა – ჩვენ ამ საკითხზე ზემოთ უკვე გვქონდა დეტალური საუბარი სპეციალურ პარაგრაფში: ისაკ ჟვანია ტიპიური საბჭოთა ბოლშევიკი იყო, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, სოხუმის რევოლუციური კომიტეტის წევრი, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე, ეკავა პარტიული და სახელმწიფო თანამდებობები. ის გარდაიცვალა 1946 წელს (არა 1937 წელს როგორც ავტორები ამტკიცებენ)[63].

რაც შეეხება ბაცბიცებს (თუშებს), რომლებიც ავტორების მტკიცებით, ასევე ძალით შეუერთა თურმე ბერიამ ქართველობას, და მათ კი ამის სურვილი არა ჰქონდათ, რადგან თავს ქართველებად არ თელიდნენ, მოვიტან ერთ საყურადღებო ფაქტს, რომელიც უცნობია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1888 წელს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III იმყოფებოდა ოჯახით საქართველოში და ეწვია თიანეთს. აქ სამეფო ოჯახს დახვდნენ საქართველოს მთის რეგიონის მოსახლეობის წარმომადგენლები, მათ შორის იყვნენ თუშები (ბაცბიცები). დედოფალი მარია თევდორეს ასული მოიხიბლა თუში ქალების ჩაცმულობით, მიუახლოვდა მათ, გამოელაპარაკა და ჰკითხა წარმომავლობა. „გახლავართ თუშნი, იგივე მთის ქართველები“ – უპასუხეს თუშებმა[64].

ამრიგად, თვითონ რიგითი თუშები უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფიქსირებენ, რომ ისინი „მთის ქართველები“ არიან. გერმანელი მეცნიერები კი დღეს გვიმტკიცებენ, რომ თუშების „გაქართველება“ XX საუკუნის 30-იანი წლების დასასრულს სისხლიანი რეპრესიებით გახდა შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაზების საკითხს გერმანელი ავტორები დიდ ადგილს უთმობენ თავის გამოკვლევაში. ნაშრომის სპეციალური თავის – „ეთნოსი და ტერორი“-ს დაახლოებით 20 პროცენტი, თითქმის მეხუთედი ამ საკითხის გარკვევას ეხება, მაშინ როცა თვითონ ლაზებს 1926 წლის აღწერითსაქართველოს მოსახლეობაში ეკავათ მხოლოდ 0.02 პროცენტი (639 კაცი)[5].

ამ საკითხს ცოტა დაწვრილებით შევეხებით: ავტორების მტკიცებით, თურქეთთან საბჭოთა კავშირის მხრიდან საზღვრის დემარკაციის შემდეგ ლაზების ძირითადი მასა, 150 ათასი კაცი დარჩა თურქეთში. საქართველოში ლაზებს ეკუთვნოდათ მხოლოდ ერთი სოფელი თურქეთის საზღვართან, გაფანტულად ცხოვრობდნენ აფხაზეთშიც. როგორც ირკვევა, ქემალ ათათურქმა 1929 წელს საერთოდ აუკრძალა ლაზებს კულტურულ-ენობრივი იდენტობის გამოვლენა, ყველა ჩაეწერა თურქად, ე. ი. ლაზების უმრავლესობაზე (ალბათ 95%) განხორციელდა მასობრივი რეპრესია. მაგრამ წიგნიდან არ ჩანს, რომ ამას მოჰყვა მასობრივი გამოსვლები, აჯანყება, წერილები ერთა ლიგაში ან სხვა ინსტანციაში. ლაზების უმრავლესობამ, რომლებიც ცხოვრობდნენ თავის ისტორიულ სამშობლოში, შეითვისა თურქობა და დღესაც ამ სახელს სიამაყით ატარებს. ეს მათი არჩევანია.

მაგრამ თურმე, საქართველოში დარჩენილ ერთ სოფელს – სარფს და აფხაზეთში სხვადასხვა დროს ჩასახლებულ ლაზების ჯგუფებს ქართველები ჩაგრავენ, კულტურული განვითარების საფუძველს არ აძლევენ, ენას არ თმენენ, ხელს არ უწყობენ „ენერგიულ ბრძოლაში კულტურული თავისებურებების დასაცავად“.

რა თქმა უნდა, ავტორებს გამოუყავთ უზარმაზარი პროცენტული ციფრები ლაზების რეპრესიების შესახებ, რაც ამტკიცებს, მათი აზრით, ვითომდა ქართველების მიერ ლაზების უპრეცენდენტო ჩაგვრას. ამ დასკვნას გერმანელი მეცნიერები აფუძნებენ ლაზი ინტელიგენტის ისკანდერ ციტაშის მიერ III კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის თავმჯდომარის გიორგი დიმიტროვისათვის გაგზავნილი წერილის საფუძველზე.

საკუთხია, რომ ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა არ იციან (ან თუ იციან, ამ ადგილზე მას არ იყენებენ), რომ ვიდრე ისკანდერ ციტაში დიმიტროვს გაუგზავნიდა წერილს, ასეთივე წერილი 1935 წელს გაუგზავნა იოსებ სტალინსაც, რომელსაც მოჰყვა რეაგირება. ეს წერილი საქართველოს კომპარტიის ცკ(ბ) ხელმძღვანელობამ ბიუროზე განიხილა 1935 წელს.

ამ წერილიდან ჩანს, რომ უფრო ადრე ისკანდერ ციტაშის წერილებით მიუმართავს ფილიპე მახარაძისათვის (საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარე) და თვით ლავრენტი ბერიასთვისაც. ამ წერილებში ი. ციტაში უკვე ძირითადად სოციალური ურთიერთობის საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას

და ლაზებისათვის ითხოვდა მიწათმოწყობის საკითხების მოგვარებას, ლაზების უფრო აქტიურ ჩაბმას კუსტარულ და სამრეწველო არტელებში, ავლენდა ლაზების ყოფით თავისებურებაზე ზრუნვას და რაც მთავარია „პარტიულ და საბჭოთა მუშაობას მათთვის გასაგებ ენაზე". წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა თურქეთში მასობრივი გადასახლებით. თანაც საქართველოს ხელისუფლებას აცნობებდა, რომ აფხაზეთში, ამ მიზნით, ქემალისტების აგენტები უკვე დიდი ხანია პროპაგანდას ეწევიანო[66]

საქართველოს ხელისუფლებამ შეისწავლა ლაზების მდგომარეობა, გაირკვა, რომ წლების განმავლობაში აფხაზეთში მცხოვრები ლაზები იყენენ აფხაზი და მეგრელი კულაკების მოჯამაგირეები. როცა ადგილობრივი კულაკობა გაანადგურეს, ისინი უმიწაწყლოდ და გაბოგანოებული დარჩნენ. მათ მიმართეს აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს თხოვნით, რომ მათთვის გამოეყოთ მიწა. 1930 წლის გადაწყვეტილებით მათ გამოეყოთ მიწა, რომელზედაც უნდა შეექმნათ კოოპერატივი „წითელი ლაზისტანი", მაგრამ აფხაზეთის ცაკ-ის გადაწყვეტილება აფხაზეთის მთავრობამ არ შეასრულა. როგორც ირკვევა საქართველოს კპ(ბ) ცეკას სპეციალური კომისიაც შეუქმნია ლაზების ცხოვრების პირობების, მათი სურვილების შესასწავლად. მიიღეს ამ შემთხვევისათვის სტანდარტული დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა ლაზი მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად გარკვეული ნაბიჯების გადადგმას. რამდენად განხორციელდა ეს დადგენილება – ძნელი სათქმელია.

მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 600 კაციან დიასპორას, რომელთაგან მშობლიურ ენაზე მხოლოდ 137 კაცი ლაპარაკობდა, ქართული – არცერთმა არ იცოდა, ხოლო დანარჩენმა – სხვა ენები იცოდნენ (ალბათ თურქული), არცერთ ქვეყანაში არ უქმნიან და ვერც შეუქმნიან გამორჩეულ პირობებს ეროვნულ კულტურული განვითარებისათვის, 600 კაცს არსად არ უბეჭდავენ გაზეთებსა და წიგნებს, 600 კაცს არ უქმნიან სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს, და ბოლოს, 600 კაცი – ვერავითარი მხარდამჭერი ვერ იქნებოდა ნესტორ ლაკობასი ანტიქართულ საქმეებში (ეს მოსაზრებაც ამოვიკითხეთ გერმანელი მეცნიერების ოპუსში).

როგორც წესი, ასეთ მცირერიცხოვან მოსახლეობას აქვს სამი არჩევანი – 1. თუ ძალიან ჰყვარს თავისი ეთნიკური და კულტურულ-რელიგიური იდენტობა და სურს მისი შენარჩუნება, დაიხუროს ქუდი და წავიდეს სამშობლოში; 2. ისწავლოს იმ სკოლაში, რომელიც მისთვის კულტურულ-რელიგიური თვალსაზრისით უფრო მისაღებია; 3. მთლიანად ჩაერთოს სატიტულო ერის საგანმანათლებლო სივრცეში, მიიღოს ის, რასაც მასპინძელი

სახელმწიფო სთავაზობს. ასე ხდება ყველა თავისი ღირსების მქონე დემოკრატიულ სახელმწიფოში.

ჩვენ ვეჭვობთ, რომ გერმანელი მეცნიერების მიერ ამგვარი ტენდენციური ნაშრომის დაწერას სულ სხვა მოტივაცია ამოძრავებდა, ვიდრე ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის შესახებ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. ჩვენი აზრით საქმე გვაქვს გერმანელი მეცნიერების მიერ ნაჩქარევად, მეტად ტენდენციურად ჩატარებულ საკმაოდ მოცულობით სამუშაოსთან; და რაც მთავარია, ისინი არასწორ აქცენტს აკეთებენ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესზე, მის ეტაპებზე.

სწორედ ჩვენი წინამდებარე გამოკვლევა მიანიშნებს, რომ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი დასრულდა სწორედ XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში და მას უკვე აღარ დასჭირდებოდა ასეთი მასშტაბური ადმინისტრაციული ზემოქმედება (რეპრესიების ფორმით), რომ ეს პროცესი კიდევ უფრო განმტკიცებულიყო.

1937 წლების რეპრესიებს განსაზღვრავდა სულ სხვა მოტივაცია და ისიც კრემლის კულუარებში იყო შემუშავებული. საბჭოთა კავშირის ყველა რეგიონში მოსკოვიდან მიღებული ცირკულარებით ხელმძღვანელობდნენ და მასობრივი რეპრესიები ერთიანი პრინციპით განხორციელდა. მისი ამოცანა იყო საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური განმტკიცება II მსოფლიო ომის კვირაძალზე და არა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის დასრულება. მიგვაჩნია, რომ გერმანელი ავტორების მსჯელობაში აშკარად იგრძნობა უსამართლობის ოხშივარი, რაც ნაკარნახევია ნეოფაშისტურ-რევანშისტული იდეოლოგიით.

§ 17. — სისტემური ღვედები

ჩვენ მიერ განხილული საკითხების ერთობლიობა ერის სრული კონსოლიდაციისათვის აუცილებელი ელემენტებია და, ჩვენი ღრმა რწმენით, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი საქართველოში XX საკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დასრულებული ჩანს. შემდეგ უკვე ხდება მიღწეული შედეგების განმტკიცება და შედუღაბება.

მაგრამ ამავე პერიოდში მოხდა, და ეს საყოველთაოდ არის აღიარებული, საბჭოთა კავშირში, რომლის შემადგენელი ნაწილი საქართველოც იყო, კომუნისტური სისტემის აშკარა და ფარული ღვედების განმტკიცება და შედუღაბება, რამაც ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს თავისი დაღი დაამჩნია და მას მისცა ისეთი განსხვავებული იმპულსები, რაზეც

„თერგდალეულებს“ არ შეეძლოთ წარმოდგენა ჰქონოდათ და რაც, ასევე, წარმოუდგენელი იქნებოდა ეროვნული ორიენტაციის ხელისუფლების პირობებში.

ეს პროცესები ურთიერთპარალელურად მოქმედებდნენ და საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის განეითარების კვალდაკვალ კიდევ უფრო ძლიერდებოდნენ და ყოვლისმომცველი ხდებოდნენ. საბჭოთა ქვეყნის მთელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური სტრუქტურა უკვე ერთ მთლიანობაში კრავდა როგორც საქართველოს – თავისი რეგიონებითა და დაბა-ქალაქებით, ისე თვითონ საქართველოს – მტკიცე ღვედებით აკავშირებდა მოკავშირე რესპუბლიკებთან და მათ ყველას ერთად – საერთო იმპერიულ ცენტრთან – კრემლთან.

ამ სისტემური ღვედების მთავარი და ძირითადი შემადგენელი იყო ერთიანი, ურღვევი რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რომელსაც შემდგომ საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) ეწოდა და, ბოლოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიად (სკკპ) გარდაისახა.

1921 წელს, როცა კომუნისტურმა რუსეთმა საქართველოს ძალმომრეობითი გასაბჭოება განახორციელა, საქართველოს ადგილობრივ ორგანიზაციაში სულ 9 000 წევრი შედიოდა, მათ შორის მუშა მხოლოდ 1 190 იყო. დასაწყისში კომუნისტებს საქართველოში ზეგავლენა უფრო არაქართველ მოსახლეობაში ჰქონდათ.

კომუნისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ ხდება კომუნისტერი პარტიის რიგების სწრაფი ზრდა – რაც კარიერისტული მოსაზრებებითაც შეიძლება აიხსნას. 1921 წლის სექტემბერში კომუნისტურ პარტიაში უკვე 19 775 წევრი იყო გაერთიანებული[67]. ერთი წლის განმავლობაში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შეიქმნა პარტიული ჯგუფი: მათი რაოდენობა უდრიდა 1 094 ერთეულს, აღსანიშნავია, რომ გამორჩეულად მრავალრიცხოვანი პარტიული უჯრედები შეიქმნა იმ რეგიონებში, სადაც ერთი წლის წინ სოციალ-დემოკრატები („მენშევიკები“) თითქმის განუყოფლად ბატონობდნენ: ოზურგეთის მაზრაში (111 კომუნისტური ორგანიზაცია), სენაკში – 153 პარტიული ორგანიზაცია, გორის მაზრაში – 119 ორგანიზაცია, ეს მაშინ როცა თბილისში მხოლოდ 107 პარტიული უჯრედი იყო ჩამოყალიბებული.

უნდა აღინიშნოს, რომ კარიერისტული მოსაზრებებით ან ჩვენთვის უცნობი მიზეზებით კომუნისტური პარტიის რიგებში იმჟამად თავადაზნაურთა წარმომადგენლებიც შედიოდნენ. დასტურდება საქართველოს კომპარტიის რიგებში სამეგრელოს მთავართა შთამომავლის – მიშა დადიანის წევრობა, რომელიც პარტიიდან 1922 წელს გარიცხეს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1923 წლიდან გაიზარდა საქართველოს კომპარტიაში სხვა პარტიებიდან გადმოსული ახლადშეძენილი წევრების რაოდენობაც. ამ მაჩვენებელმა შეადგინა 866 კაცი[68]. საქართველოს კომპარტიის რიგებში გადმოდიოდნენ ყოფილი სოციალ-დემოკრატები, სოციალ-რევოლუციონერები. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტებმა გასაბჭოებისთანავე დაუჭირეს მხარი კომუნისტებს, ხოლო მოგვიანებით ორგანიზაციულადაც კი შეუერთდნენ მას.

1924 წლის აჯანყების სასტიკი ჩახშობის შემდეგ საქართველოს კომპარტიის რიგები კიდევ უფრო გაიზარდა – 1926 წელს იგი აერთიანებდა 23 595 კაცს, აქედან 15 508 ქართველი იყო, 277 აფხაზი, 2 369 რუსი, 2 812 სომეხი და სხვ.[69]

რაოდენობრივი ზრდა, რა თქმა უნდა, თვისებრივ მახასიათებლებზეც აისახა. 20-იანი წლების შუა ხანებში ძირითადად ჩამოყალიბდა პარტიის ადგილობრივი სტრუქტურები. გადაწყდა ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში, ნებისმიერ შრომით კოლექტივში შექმნილიყო პარტიული ორგანიზაცია, რომელიც დარაზმავდა და უხელმძღვანელებდა კომუნისტებს, შეიმუშავებდა ორგანიზაციის განვითარების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პარამეტრებს, აქტიურად ჩაერეოდა საწარმოო პროცესებში, იქნებოდა საწარმოს ხელმძღვანელების მაკონტროლებელი ძირითადი ორგანო, გახდებოდა ხიდი ადგილობრივ კომუნისტურ მასასა და ზემდგომ პარტიულ ინსტანციებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ გასაბჭოების პირველ წლებში ჯერ კიდევ ძალიან მაღალი იყო კომუნისტებში რწმენისა და ფანატიზმის ელემენტი, ამიტომაც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ პარტიის ცენტრალური ორგანოების მიზანდასახულობათა ცხოვრებაში რეალიზაციის საქმეში. პარტიულ ჯგუფებს თავისი პროპაგანდისტული აპარატიც ჰქონდათ და უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ საფუძვლებზე იდეურ აღზრდას. პარტიული კომიტეტის მდივანი – იმ წლებში მართლაც ასრულებდა კომუნისტის „სულიერი მამის“ ფუნქციას, აქტიურად ერეოდა კომუნისტების პირად, ოჯახურ თუ შრომით საქმიანობაში.

კომუნისტური პარტიის მნიშვნელობა საქართველოში, მის პერიფერიებში სისტემატურად ძლიერდებოდა. რამდენადაც იგი მონოპოლიურად ფლობდა ძალაუფლებას ხელისუფლების ყველა რგოლში, ამიტომაც პარტიაში ბევრი შედიოდა კარიერისტული მოსაზრებით, რაც მის რიგებს განსაკუთრებით ზრდიდა. 1940 წელს საქართველოს კომპარტია უკვე აერთიანებდა 88 951 კაცს. მათ შორის მხოლოდ 9,2 პროცენტი იყო უმაღლესი განათლებით, პარტიის 21 პროცენტს საშუალო განათლება ჰქონდა, ხოლო 29 პრო-

ცენტი – დაწყებითი განათლებით იყო. საკმაოდ დიდი ჩანს იმ კომუნისტების რიცხვი, რომლებმაც წერა-კითხვა კი იცოდნენ, მაგრამ არავითარი განათლება არ ჰქონდათ მიღებული (21,6%)[70].

დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს კომპარტიის რიგები შეივსო ფაქტორივად საბჭოთა სისტემის პერიოდში აღზრდილი ახალი თაობით. 1950 წელს პარტიაში ირიცხებოდა 165 164 კომუნისტი. ამ დროს უკვე აშკარად თვალსაჩინოა, რომ საქართველოში პარტია თანდათან მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციიდან გადაიქცა ბიუროკრატიულ ორგანიზაციად – მოსამსახურეთა რაოდენობა პარტიაში დიდი უმრავლესობა იყო – 82 731 კაცი. მუშა საქართველოს კომპარტიაში მხოლოდ 12,7 % იყო[71].

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის რიგები მომავალ წლებშიც სისტემატურად იზრდებოდა. საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციაც, ბეერი გულწრფელად და ბევრიც – კარიერისტული მოსაზრებებით, კომუნისტური პარტიის რიგებს ავსებდა. ამით ისინი უზრუნველყოფდნენ თავის მომავალ მატერიალურ და შემოქმედებით ცხოვრებას. ასეთი ლოიალური პირები, როგორც წესი, ხელმძღვანელობდნენ შემოქმედებით კავშირებს. შემოქმედებით ორგანიზაციებს, ინსტიტუტებს და ლაბორატორიებს. საბჭოთა ხელისუფლება ლოიალურ ინტელიგენციას ცხოვრების შედარებით გამორჩეულ პირობებს უქმნიდა: მათ ჰქონდათ მაღალი ხელფასები, პრემიები, აგარაკები, ავტომანქანები, თბილისის პრესტიჟულ უბნებში მათ ეძლეოდათ საუკეთესო ბინები სტალინური არქიტექტურით ნაგებ შენობებში.

პროფესიულმა და შემოქმედებითმა კავშირებმა თავისი პირველადი ფუნქცია – ებრძოლათ მშრომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობებისათვის და ამ მიზნით გამოეყენებინათ გაფიცვები, პროფესიული ბრძოლის აპრობირებული ფორმები, საერთოდ დაკარგეს და გადაიქცნენ მშრომელების ყოფის მეტ-ნაკლებად მოწესრიგების საშუალებად. მაგრამ ისინი განსაკუთრებით მასობრივ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, რომლებიც ათასობით ადამიანს აერთიანებდნენ. პროფკავშირებმა საერთოდ უარი თქვეს ხელისუფლებასთან კონფრონტაციაზე და ძირითადად დაინტერესებულნი იყვნენ საწარმოს ეკონომიკური განვითარებით, მონაწილეობდნენ წარმოების ორგანიზაციასა და მის მართვაში. როცა საბჭოთა ქვეყანაში დაიწყეს სოციალისტური შეჯიბრების კულტივირება – პროფკავშირები ამ „პატრიოტული ინიციატივების" ადგილზე პოპულარიზებისა და დამკვიდრების საშუალებად გადაიქცნენ. საქართველოს უკვე 1921 წელს 21 საწარმოო პროფესიული კავშირი იყო ორგანიზებული, რომელიც 1922 წელს 90 ათასი კაცს აერთიანებდა[72].

საქართველოს დაჩქარებულმა ინდუსტრიალიზაციამ, ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობამ, კულტურული დაწესებულებების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების რიცხვის მუდმივმა ზრდამ, რა თქმა უნდა პროფკავშირის წევრების რაოდენობაც გაზარდა. 1932 წელს საქართველოს პროფკავშირებში გაერთიანებული იყო 300 000-ზე მეტი მშრომელი. 1956 წელს – 600 000 კაცი. ეს იყო უზარმაზარი არმია მშრომელებისა, რომლებიც მთლიანად იყვნენ ჩართულნი საბჭოთა აღმშენებლობის სხვადასხვა ფორმაში და მათი უმრავლესობა ლოიალური იყო საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

ამის ერთ-ერთი მიზეზი კი უმუშევრობის მოსპობა იყო (1930 წ.). არ შეიძლება არ აღინიშნოს, გარკვეული სოციალური უზრუნველყოფა: უფასო ბინა, უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო ან შეღავათიანი დასვენება, „სოციალური ლიფტის" არსებობა და სხვა შესაძლებლობები ქმნიდა არსებულ რეჟიმთან თანაარსებობის პირობებს.

საბჭოთა სისტემის განუყრელი ატრიბუტი გახდა ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი – მომავალი კომუნისტების სამჭედლო. საქართველოში ეს ორგანიზაცია ბორის ძნელაძემ დააფუძნა. ძალიან მალე ალკკ კომუნისტური პარტიის ერთგული მოკავშირე გახდა ახალი საბჭოთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მშენებლობის საქმეში. დასაწყისში ორგანიზაცია ძირითადად აერთიანებდა მუშებისა და უღარიბესი გლეხობის ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზრდებს, შედარებით მოგვიანებით კომკავშირში ინტელიგენციის ოჯახებიდან გამოსულმა ახალგაზრდებმაც დაიკავეს კუთვნილი ადგილი.

კომკავშირულ ორგანიზაციას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ძლიერ განტოტვილი ადგილობრივი სტრუქტურები ჰქონდა. ისინი უნიფიცირებულნი იყვნენ და ერთიანი სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ. რაც დრო გადიოდა, კომკავშირის რიგები იზრდებოდა და მას ემატებოდა უკვე საბჭოთა სკოლაში აღზრდილი ახალგაზრდობა, რომელთა დიდი უმეტესობა რწმენითა და იმედით იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ (ეს ნათელყო როგორც II მსოფლიო ომში მათმა აქტიურმა მონაწილეობამ, ისე 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამაც). საქართველოს ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს ღრმად სწამდა, რომ აშენებდა მსოფლიოში ყველაზე უფრო სამართლიან და დემოკრატიულ საზოგადოებას, სადაც არ იყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც ახალგაზრდობის წინაშე „ყველა კარი ღია იყო". ამიტომაც კომკავშირელთა რიგები საქართველოში სწრაფად იზრდებოდა: 1924 წელს საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კავშირი აერთიანებდა მხოლოდ 21 292 ახალგაზრდას, რაც ძალიან მალე უზარმაზარ არმიად გადაიქცა – 1930 წელს მის რიგებში გა-

ერთიანებული იყო 110 ათასამდე ახალგაზრდა. II მსოფლიო ომის დაწყების წინ საქართველოს კომკავშირი 500 000-ზე მეტ ახალგაზრდას აერთიანებდა.

სწორედ ეს სამი მნიშვნელოვანი სისტემური ბერკეტი, ძალუმი ღვედი კრავდა ქართულ საზოგადოებას და რაც დრო გადიოდა ამ ღვედების ძლიერება უფრო და უფრო საცნაური ხდებოდა. ზოგჯერ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ ღვედებს ვერაფერი გაწყვეტდა, რომ ასე იქნებოდა ძალიან დიდი ხნის მანძილზე.

მოახდინა თუ არა ამ ღვედების არსებობამ, განვითარებამ, ქმედებამ რაიმე ზეგავლენა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესზე?

სამივე ამ სტრუქტურას საზოგადოებაზე ზემოქმედების უდიდესი რესურსი და შესაძლებლობები, ფორმები და მეთოდები ჰქონდა და ის მთლიანად განმსჭვალავდა ქართულ საზოგადოებას. ამ ღვედებიდან განთავისუფლება, ქართული საზოგადოების გამოხსნა ამ სტრუქტურების ზეგავლენისაგან ისე, რომ სრულიად საქართველოს არ დააზარალებდა – წარმოადგენდა მომავალი საქართველოს აღმშენებელთა, განმანთავისუფლებელთა უპირველეს ამოცანას. და თუ როგორ განახორციელეს მათ ეს ამოცანა – ამას ჩვენ სპეციალურად შევეხებით ქვემოთ.

§ 18. – II მსოფლიო ომი და საქართველო

მიუხედავად მოლოდინისა, ომი მაინც 1941 წლის 22 ივნისს ღამით დაიწყო, როცა მას არავინ ელოდა. გერმანიამ დაარღვია საბჭოთა კავშირთან დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულება და საზღვრები არა ერთ ადგილას გადმოლახა. გერმანიის ვერმახტის შეიარაღებული ძალები სწრაფი ტემპით მოიწევდნენ წინ – მოსკოვისაკენ. გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია. ყველამ კარგად იცოდა, რომ წყდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი.

მოხდა ისე, რომ დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები, რომლებიც 1939-1941 წლებში სასტიკად აკრიტიკებდნენ და გმობდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, მის ანექსიონისტურ მოქმედებას ბალტიისპირეთში, ერთხმად ჩადგნენ საბჭოთა სახელმწიფოს დამცველთა რიგებში. ჩამოყალიბდა ანტიჰიტლერული კოალიცია: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი. ეს ქვეყნები გაერთიანდნენ იმისათვის, რომ გერმანიისათვის შესაძლებლობა არ მიეცათ დაეშალა და გაენადგურებინა საბჭოთა კავშირი, დაეშალა და გაენადგურებინა ჩეხოს-

ლოვაკია, დაეშალა და გაენადგ'ურებინა იუგოსლავია (რაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, XX საუკ'უნის 90-იან წლებში ისტორი'ული განვითარების ლოგიკით მაინც განხორციელდა), რომ კაცთმოძ'ულე ფაშიზმი მსოფლიოში არ გაბატონებ'ულიყო.

საქართველო'ში მოსახლეობის უმრავლესობამ ომი თავიდანვე აღიქვა „სამამ'ულო ომად". ამაზე მი'უთითებს ის უზარმაზარი მატერიალ'ური და ადამიან'ური მსხვერპლი, რაც საქართველომ გაიღო ომში გამარჯვების მოსაპოვებლად. ომის განმავლობაში ფრონტზე გაიწვიეს დაახლოებით 700 000 კაცი, ქართველობა მათ შორის უმეტესობა იყო. მოგვიანებით საქათველოდან გაწვე'ული მებრძოლები ქართ'ულ ეროვნ'ულ საჯარისო ფორმირებებში გააერთიანეს. შეიქმნა ქართველთა რამდენიმე მსროლელი დივიზია (392, 414, 276, 242, 349 და ა.შ. დივიზიები). დასავლეთ საქართველო'ში მცხოვრები ახალგაზრდებისაგან შეიქმნა სპეციალ'ური სამთო-ალპ'ური ბრიგადები. ძალიან დიდი იყო მოხალისეთა რაოდენობა, მათ შორის ქალებიც იყვნენ.

საბჭოთა ქვეყანა სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. საქართველოს მრეწველობა სასწრაფოდ გადაიყვანეს სამხედრო რელსებზე. ტრადიცი'ული ეკონომიკ'ური კავშირები შეწყდა. საქართველოს სამრეწველო საწარმოები მომარაგებისა და სათადარიგო ნაწილების გარეშე აღმოჩნდნენ. მაგრამ საქართველოს მშრომელთა პატრიოტ'ულმა შემართებამ, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ინიციატივამ უზრ'უნველყო საწარმოო პროცესების შეუფერხებელი მუშაობა. საქართველოს სხვადასხვა საწარმოს დაევალა სამხედრო პროდ'უქციის წარმოებაც.

საქართველოს სოფელი ომის წლებში სახელმწიფოს ინტენსი'ურად აწვდიდა სასოფლო-სამე'ურნეო პროდ'უქციას, საქართველოდან ფრონტებზე ხშირად მიდიოდა სურსათ-სანოვაგით დატვირთ'ული ეშელონები. ამის გარდა მოსახლეობაში გავრცელდა ფრონტებზე საჩ'უქრების გაგზავნის პატრიოტ'ული ინიციატივა.

ძალიან მალე წარმოი'შვა და მთელი ომის მანძილზე გრძელდებოდა ფ'ულადი სახსრების, ძვირფასეულობის შეგროვებისა და თავდაცვის ფონდში უსასყიდლოდ ჩაბარების აქცია. ქართველი კოლმეურნეების შემოწირულობით აშენდა თვითმფრინავების ესკადრა „საბჭოთა საქართველო" და ა.შ. ომის საჭიროებისათვის საქართველოს მოსახლეობის შენატანმა სულ 3 173 მილიონი მანეთი შეადგინა.

საქართველოს წარგზავნილები მონაწილეობას იღებდნენ თითქმის ყველა მნი'შვნელოვან საბრძოლო ოპერაციაში. 224-ე ქართ'ული მსროლელი დივიზია 1942 წელს ყირიმ'ში იგერიებდა გერმანელების შემოტევას, დივიზიის უდიდესი ნაწილი შეეწირა ქერჩის თავდაცვის ოპერაციებს. კავკასიის დაცვის საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრ'ულეს საქართველოს წარგზავნი-

ლებმა. გერმანელების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ბაქოს ნავთობის უნიკალური საბადოს ხელში ჩაგდება, ამიტომაც ცდილობდნენ კავკასიაში შემოჭრას. კავკასიის დაცვაში მონაწილეობა მიიღეს 392, 414, 276 და სხვა ქართულმა დივიზიებმა.

ქართველი მეომრები მონაწილეობდნენ სტალინგრადის სამხედრო ოპერაციებში. ბრძოლებში თავი გამოიჩინეს სხვადასხვა საარმიო ფორმირების ხელმძღვანელებმა: გ. გოცირიძემ, შ. ჭანკოტაძემ, დ. გვრიტიშვილმა და სხვებმა. ცნობილი „პაელოეის სახლის" დაცვაში მონაწილეობდნენ ქართველები: მოსიაშვილი, სტეფანაშვილი, აფხაზი ცუგბა.

ორიოლ-კურსკის რკალის გრანდიოზულ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობდნენ ქართველი გენერლები და ოფიცრები: კ. ხოჯუა ნ. კალაძე, მ. მიქელაძე და სხვ.

ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა ლეგენდარულმა შოთა გამცემლიძემ, რომელიც ხელყუმბარებით ხელში გერმანელების მეწინავე ტანკს შეუვარდა და შეტევა ჩაშალა. მან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა.

კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში აშკარა გმირობა და გამჭრიახობა გამოიჩინა საინჟინრო ბატალიონმა, რომელსაც კაპიტანი ირაკლი ციციშვილი ხელმძღვანელობდა. ბატალიონს დაევალა კიევზე შეტევის დროს, მტრის განეიწყვეტელი იერიშების პირობებში, აეგო ხიდი, რომელიც მდინარეზე გზას გაუხსნიდა საბჭოთა ჯარებს. მათ ისე საოცარი ოსტატობით განახორციელეს ეს საინჟინრო ოპერაცია, რომ ახალგაზრდა ქართველ არქიტექტორს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

საქართველოს წარგზავნილები მონაწილეობდნენ ბალტიისპირეთის გერმანელებისაგან განთავისუფლებისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში.

სამხედრო დამსახურებისათვის ასობით საქართველოს მოქალაქე დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდებით. მათ შორის არიან: ჭ. ბენდელიანი, ი. ცხოვრებოვი, ი. კოკოსკერია და მრავალი სხვა.

ბევრი ქართველი მონაწილეობდა ბერლინის საბრძოლო ეპოპეაში, რომელიც წარმატებით დამთავრდა. 1945 წლის 1 მაისს რეიხსტაგზე გამარჯვების დროშა რუს მ. ეგოროვთან ერთად ქართველმა მ. ქანთარიამ აღმართა.

საქართველოს წარგზავნილები მონაწილეობდნენ შორეულ აღმოსავლეთში მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციებში და წვლილი შეიტანეს კვანტუნის არმიის განადგურებაში.

სხვადასხვა მიზეზით ევროპის რიგ ქვეყანაში მცხოვრები ქართველები მონაწილეობდნენ პარტიზანულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პოლონეთში ცნობილი იყო პარტიზანული ჯგუფი, რომელსაც „ვასია გრუზინი“ (ვ. მანჯავიძე) ხელმძღვანელობდა.

პოლონეთში ომის წლებში ჩადენილი უდიდესი ზნეობრივი გმირობისათვის ქართველი მართლმადიდებელი მღვდელი, ესესელების მიერ ნაწამები მამა გიორგი ფერაძე, პოლონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ქართველი ემიგრანტი ი. ოდიშელიძე იყო იუგოსლავიაში ერთ-ერთი პირველი ანტიფაშისტური დაჯგუფების ორგანიზატორი. საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში საფრანგეთში მცხოვრები ქართველებიც მონაწილეობდნენ. ცნობილი იყო ო. კობიაშვილის, ს. ვეშაპიძის, ა. ნოზაძის, ა. ცხომარიას და სხვათა პარტიზანული რაზმები. იტალიაში ლეგენდად იქცა ქართველი ვაჟკაცის ფორე მოსულიშვილის სახელი, რომელიც იტალიის ეროვნული გმირი გახდა.

ლეგენდად იქცა და ჰოლანდიელი ხალხის მადლიერება დაიმსახურეს ქართველმა ტყვეებმა, რომლებიც 1944 წელს კ. ტექსელზე აუჯანყდნენ ფაშისტ დამპყრობლებს და საგრძნობი ზარალიც მიაყენეს მათ.

საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო საერთო გამარჯვებაში. ბოლო დადგენილი მონაცემებით, მსოფლიო ომის ფრონტებზე დაიღუპა და უგზოუკვლოდ დაიკარგა 163 311 კაცი, გაწვეულთა საერთო რაოდენობის 23, 3%. მათ შორის ქართველი იყო 117 031 კაცი (66%).

ფაქტობრივად ქართველები თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის იბრძოდნენ როგორც დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ისე შორეულ აღმოსავლეთში და ყველგან აჩვენეს უდიდესი სამხედრო შემართება და ორგანიზებულობა. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ეროვნული კონსოლიდაციის დონე მაღალია, ერი ერთიანი და მიზანმიმართულია, ბოლომდე გააზრებული აქვს თავისი მოქმედების საბოლოო შედეგები.

4 წლის განმავლობაში სრულიად საქართველო (მისი აბსოლუტურად დიდი ნაწილი) ერთი მიზნით, ერთი იდეით არსებობდა, შრომობდა, იბრძოდა და მოძმე ერებთან ერთად გაიმარჯვა კიდეც. ეს ქართველი ერის მსოფლიო ისტორიული დამსახურებაა, რაშიც ეჭვის შეტანა, მისი დაკნინება არ შეიძლება. საქართველო და ქართველები იმ ქარცეცხლიან დღეებში იდგნენ მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან ერთად. **ეს კი სწორედ ის ძალები იყო, რომელთა აუცილებელი გამარჯვება აპირობებდა იმჟამად მსოფლიოს ზეაღმაგალ პროგრესულ და დემოკრატიულ განვითარებას.**

რა მოსაზრებაც არ უნდა ჰქონდეს შექმნილი დღეს მავანს საბჭოთა კავშირზე, მისი ტრანსფორმაციასა თუ მსოფლიო ისტორიული მისიის შესახებ, **ქართველი ხალხის ბრძოლა II მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ერების ძმურ ოჯახში არის უდიდესი ისტორიული დამსახურება სწორედ კონსოლიდირებული ქართველი ერისა, რისი დავიწყება, ეჭვის ქვეშ დაყენება, ჩვენი აზრით, არის მკრეხელობა და ქართველი ერის შეურაცხყოფა.** სწორედ ამიტომაც მოხდა, რომ მოგვიანებით, XX საუკუნის 90-იან წლებში ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის მცდელობას – დაეკნინებინა II მსოფლიო ომში ქართველების მონაწილეობის მნიშვნელობა, წააწყდა საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხრიდან დაუფარავ რისხვას.

არ შეიძლება არ ითქვას ერთი-ორი სიტყვა იმაზეც, რომ გერმანელებმა შექმნეს „ქართული პოლიტიკური კომიტეტი" ქართველი ემიგრანტებისაგან. ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები: მ. წერეთელი, ს. კედია, შ. მაღლაკელიძე, გ. მაღალაშვილი და სხვ, რომლებიც გამოირჩეოდნენ საქართველოს სიყვარულით, გაერთიანდნენ ამ კომიტეტში და ეხმარებოდნენ გერმანელებს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ჩანს, ისინი ვერ ხედავდნენ, რომ ამ საბედისწერო ომში საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა მსოფლიოს დემოკრატიული, პროგრესული ძალების მნიშვნელოვან დასაყრდენს, ხოლო მისი სამხედრო განადგურება გამოიწვევდა მსოფლიოში ნაციზმისა და კაცთმოძულე ფაშიზმის იდეების საბოლოო გამარჯვებას. ამიტომაც რანაირადაც არ უნდა შეიცვალოს პოლიტიკური კონიუნქტურა, იმჟამად მათი ძალისხმევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მხოლოდ უარყოფითად შეიძლება შეფასდეს.

მაგრამ სწორედ II მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე საქართველოში მოხდა უაღრესად დიდი მნიშვნელობის ანტიჰუმანური ქმედება, რამაც სერიოზული დაღი დაასვა საქართველოს ისტორიულ განვითარებას ჯერ უკვე იმ წლებში, ხოლო მოგვიანებით, მისი გამომძახილი სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ახალ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური განვითარების საქმეში.

1944 წელს, ნოემბერში, როცა ანტიჰიტლერულმა კოალიციამ უკვე სერიოზული დარტყმა მიაყენა გერმანიის ჯარებს და მას ხერხემალი გადაუტეხა, საქართველოში განხორციელდა სამხრეთის რეგიონებიდან შუა აზიაში მოსახლეობის დიდი ჯგუფების დეპორტაცია. მოსახლეობის ამ ჯგუფში ძირითადი ნაწილი ის ეთნიკური მასა იყო, რომელსაც ჩვენ წინა თავებში ქართული წარმომავლობის მაჰმადიან მოსახლეობას ვუწოდებთ.

როგორც საქართველოს იმჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელი, საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი კ. ჩარკვიანი ძალიან დიდი ხნის

შემდეგ თავის მემუარებში აღნიშნავდა: „ჩვენ გვქონდა ცნობა, რომ თურქებმა ჩვენი საზღვრიდან გაასახლეს ქართველები საზღვრის გაწმენდის მიზნით. ჩვენ შეიძლება თურქეთისათვის არ მიგვებაძა, მაგრამ საკავშირო მთავრობამ საზღვრის გაწმენდა აუცილებლად მიიჩნია“[73].

რატომ?

აქვე, თავის მოგონებებში, კანდიდ ჩარკვიანი აღნიშნავს შემდეგს: „თურქ მესხებს არ ჰქონდათ საშუალება გამოეყენებინათ **თავისი მოღალატური ზრახვები** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) თუმცა ჩვენ ისინი ძალიან სერიოზულ სიძნელეებსა და პრობლემებს გვიქმნიდნენ“[74].

ამ ამონარიდში ორი საინტერესო აქცენტია: „თურქ მესხებს“ (უფრო სწორი იქნება „მესხეთელ თურქებს“, „ქართული წარმომავლობის მაჰმადიან მოსახლეობას“) რაღაც **„მოღალატური ზრახვები“** ჰქონიათ და საქართველოს ხელისუფლებას **„ძალიან სერიოზულ სიძნელეებსა და პრობლემებს“ უქმნიდნენ.**

რა სიძნელეებზე და პრობლემებზეა აქ საუბარი?

ჩვენ ზემოთ, არა ერთ ადგილას აღვნიშნეთ, რომ სამხრეთ საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში იყო, მართლაც, სერიოზული პრობლემები რელიგიურ ნიადაგზე, ეთნიკური კუთვნილების გარკვევის დროს, ენობრივი პოლიტიკის გატარებისას და ა.შ. ეთნიკურად და კონფესიურად საკმაოდ აჭრელებულ რეგიონში ძალიან ჭირდა ყველასათვის მისაღები და დამაკმაყოფილებელი პოლიტიკის გატარება. ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ თურქი ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თურქეთის ხელისუფლება საკმაოდ ინტენსიურ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა, მაჰმადიანი მოსახლეობის თურქეთში გადასაყვანად. საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შინაგან საქმეთა და საიდუმლო სამსახურების აგენტებისაგან მოსდიოდა სრული ინფორმაცია რეგიონში არსებული მორალურ-ფსიქოლოგიური, რელიგიური და პოლიტიკური განწყობილებების შესახებ. მაგალითად, 1930 წელს ახალციხის, ახალქალაქის და სხვა მაჰმადიანური რაიონების მოსახლეობაში, სოფლებში: ოკამში, მისაშხანში, აბლახში, ერინჯაში, ხოვესტიში, ხერთვისში, საღამოში, გერტასა და სხვა სოფლების მოსახლეობაში დაფიქსირდა თურქეთში გადასახლების დიდი სურვილი. საიდუმლო მასალებში ხაზგასმულია ასეთი განწყობის მიზეზები: ათეისტური პროპაგანდა, კოლმეურნეობების ძალისმიერი კულტივირება, ფართო მოხმარების საგნებზე დეფიციტი და ა.შ..

1932 წელს საქართველოს ხელმძღვანელობამ თურქეთთან მოსაზღვრე სოფლებში (ახალციხე, ახალქალაქი, ტალოში, ადიგენი) გააგზავნა სპეციალური კომისია. ამ რეგიონში არსებული 28 სოფლისაბჭოდან შეისწავლეს

17. კვლევას ექვემდებარებოდა: ადგილობრივი ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ფუნქციონირების საკითხები, საკოლმეურნეო ცხოვრება, სახალხო განათლება, ჯანმრთელობის დაცვა. კომისიამ დაადასტურა მოსახლეობის სერიოზული უკმაყოფილება რეგიონში: მიუხედავად იმისა, რომ ეს სოფლები სასოფლო-სამეურნეო ვალდებულებებს პირნათლად ასრულებდნენ, ადგილობრივ მცხოვრებლებს არ ჰქონდათ საჭირო რაოდენობის ფართო მოხმარების საგნები, სოფლებში დაფიქსირდა ჯგუფობრივი დაპირისპირების შემთხვევები. როგორც საიდუმლო ორგანოების აგენტურა ატყობინებდა საქართველოს ხელისუფლებას, თურქეთის სახელმწიფო იმ წლებში დაინტერესებული იყო სამხრეთ კავკასიიდან მოსახლეობის მიგრაციით, მათ ასახლებდნენ ცენტრალურ ვილაიეთებში, ცარიელ მიწებზე. ფიქსირდებოდა თურქეთის ემისრების აქტივობაც, მოლებისა და ხოჯების პროთურქული პროპაგანდის ზრდაც[75].

უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ საქართველოს ეთნიკური თვალსაზრისით შერეულ სოფლებშიც რთული ვითარება იყო. მაგალითად, ბაშკიჩეთის რაიონში შეიმჩნეოდა მათ შორის ნაციონალური ანტაგონიზმი. ამის შესახებ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. მოლოტოვს წერილი გაუგზავნა ადგილობრივმა ბერძენმა მოსახლემ ვინმე იოსეფიდიმ. წერილში ის აღნიშნავდა, რომ რაიონში უმრავლესობა თურქი იყო, თუმცა ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, გერმანელები, დუხაბორები და მოლოკნები. ის ამტკიცებდა, რომ მათ სოფელში ბერძენი მოსახლეობა განიცდიდა თურქების მხრიდან სასტიკ შევიწროებას, ხშირი იყო საქონლის ქურდობა თურქების მხრიდან, ეენდეტის ფაქტები. კომისიას, რომელიც თბილისიდან სასწრაფოდ გააგზავნეს, დაადასტურა ამ ფაქტების სიმართლე[76].

ჩვენ ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთ სოფელში, ახალციხეშიც კი – მაჰმადიანი მოსახლეობა უკმაყოფილო იყო ქართველებისა და სომხების მხრიდან განხორციელებული ზეწოლით, უსამართლობით.

ამრიგად, სამხრეთ საქართველოს მაჰმადიან რეგიონებში ვითარება მართლა რთული იყო, რომლის ატანა კიდევ შეიძლებოდა მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობებში, საომარი ვითარების გამწვავებამ, ეს პრობლემებიც გაამწვავა. საბჭოთა კავშირი უკვე აშკარად გამარჯვებული გამოდიოდა ამ სისხლისმღვრელ დაპირისპირებაში, რის დროსაც მან ყველა სხვა ქვეყანაზე მეტი მატერიალური და ადამიანური რესურსები დაკარგა. აშკარაა, რომ საბჭოთა გამარჯვებული ხელმძღვანელობა ყველაფერ ამის კომპენსაციაზე უკვე 1944 წელს ფიქრობდა. იხსენებდნენ თურქეთის სახელმწიფოს ორჭოფულ პოლიტიკასაც მთელი ომის პერიოდში, როცა გერმანიის მხურვალე მხარდამჭერი თურქეთის ხელისუფლება შესაფერის დროს

ელოდა განეხორციელებინა სამხედრო დემარში სამხრეთ კავკასიის „საკუთარი. რუსეთის მიერ უკანონოდ მიტაცებული მიწების“ დასაბრუნებლად. ეს ჩანაფიქრი რომ თურქეთს დროზე ადრე არ შეესრულებინა, საბჭოთა სახელმწიფოს მის საზღვრებთან 25 დივიზია ჰყავდა დისლოცირებული. ეს კი იმ დროს, როცა დასავლეთის ფრონტებზე ზოგჯერ ადამიანური რესურსების ნაკლებობა იგრძნობოდა.

საბჭოთა ხელისუფლება ომში განცდილი მატერიალური დანაკარგების შევსებას მოწინააღმდეგის მხრიდან ტერიტორიული დათმობების საფუძველზეც გეგმავდა. ეს ხომ ასეც მოხდა ომში გამარჯვების შემდეგ: გერმანიას მთელი აღმოსავლეთ პრუსია წაართვეს, იაპონიას – კურილიის კუნძულები. ხოლო თურქეთისათვის – მოსკოვის 1921 წლის მარტის ხელშეკრულების ძალით დაკარგული ისტორიული ქართული და სომხური მიწა-წყლის დარუნებას ვარაუდობდნენ. ამიტომაც ამ ტერიტორიებზე მოიაზრებოდა სისხლისმღვრელი სამხედრო ოპერაციები, რისთვისაც ტერიტორიები უნდა გათავისუფლებულიყო ადგილობრივი, ნაკლებად სანდო მოსახლეობისაგან.

როგორც ჩანს, თავდაპირველად არ იგეგმებოდა ამ მოსახლეობის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაყვანა – ვარაუდობდნენ მათი აღმოსავლეთ საქართველოში გასახლებას, რაც მოგვიანებით შუა აზიაში გადასახლების სასარგებლოდ გადაწყდა და 1944 წლის ნოემბერში 77 500 კაცი, და ქალი, მოხუცი და ბავშვი შუა აზიისაკენ მიმავალ გზას გაუყენეს.

ეს არაჰუმანური და გაუმართლებელი ქმედებაა, ისევე როგორც არაჰუმანური და გაუმართლებელია თვითონ ომი, ადამიანის კვლა, მსოფლიოს ტერიტორიების გადანაწილების მცდელობა. ათიათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა მარტო ქერჩის მოუფიქრებელ სამხედრო ოპერაციას, რჟევის ტრაგიკულ ბრძოლას, სტალინგრადის ძლევამოსილ ეპოპეას, დნეპრის გადალახვას და ბერლინის შტურმს. არაფერი ეს არ მოხდებოდა II მსოფლიო ომი რომ არ დაწყებულიყო – ომის პერიოდში განხორციელებული ყველა ქმედება საომარი კანონებით უნდა იყოს შეფასებული.

ამ დრამატულ მოვლენას თვითონ შემსრულებელ-განმახორციელებელი მოგვიანებით ასე აფასებდა: „ჩვენ ქართველები მოვიყვანეთ და ჩავასახლეთ იქ, სხვები ხომ არ ჩაგვისახლებია? ის რაიონები დასახლებულია იმჟრლებით, ქართლელებით, ობიექტურად ეს ქართველი ეთნოსის სასარგებლოდ მოხდა...“[77].

რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ?

ჩვენ შეგვიძლია დავეთანხმოთ კ. ჩარკვიანის ამ შეხედულებას, მხოლოდ შემდეგი შენიშვნით: ისევე როგორც „თერგდალეულებმა“ განიცადეს მარ-

ცხი ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის დროს სწორედ მაჰმადიან ქართველებთან დაკავშირებით (გავიხსენოთ ბათუმის ქართული სკოლა(!) და მასთან დაკავშირებული პრობლემები), ასევე ქართველმა კომუნისტებმა განიცადეს კიდევ უფრო დიდი და ტრაგიკული მარცხი სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანურ მოსახლეობასთან დაკავშირებით. მათ ვერ მოახერხეს მათი სრული კონსოლიდაცია სრულიად საქართველოსთან. რა თქმა უნდა, 70 ათას კაცში ვიღაცას ქართულიც ეცოდინებოდა, ვიღაცას ქართული გვარიც ჰქონდა, მაგრამ XX საუკუნის შუა ხანებში სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანი მოსახლეობა რადიკალურად განსხვავებული იყო აჭარის მუსლიმი მოსახლეობისაგან, რომლის უმრავლესობა მთლიანად და სრულად იყო უკვე ინკორპორირებული ერთიან საქართველოსთან.

აქედან გამომდინარე, სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიან მოსახლეობას მოუწია სამშობლოს დატოვება.

§ 19. – „მეგრელთა საქმე“

1951 წლის ნოემბერში სრულიად საქართველო კიდევ ერთხელ შეარყია საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ: „საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“. დადგენილებაში ნათქვამი იყო: „უკანასკნელ ხანს სკპ (ბ) ცკ-ში შემოვიდა ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოში ძალიან არის გავრცელებული მექრთამეობა, რომ იქ მექრთამეობასთან ბრძოლა ერთობ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს“[78].

ეს დადგენილება მოსკოვში მაშინ მიიღეს, როცა კანდიდ ჩარკვიანი ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო. აი როგორ აფასებს ის ამ დადგენილებას თავის მოგონებებში ძალიან დიდი ხნის გასვლის შემდეგ: „მგელაძის (საქართველოს პარტიული ხელმძღვანელი – ა.დ.) აზრით ყველაფერი (ე.ი. კორუფცია საქართველოში –ა.დ.) იმის ბრალია, რომ ბარამია ზის ცენტრალურ კომიტეტში და მეგრელებს იცავსო. მერე იყო ერთი მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე, რომელმაც ქრთამი აიღო და ეს სამი ფაქტი იყო სულ. დანარჩენი უკვე სტალინმა საკუთარი ფანტაზიით დაუმატა. აქედან შეიქმნა იმხელა მითი, რომ ცკ-ს ხელმძღვანელობა მოხსნეს, მეგრელები დაიჭირეს“[79].

დადგენილების რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო (საქმის გაჭიანურება, არასათანადო რეაგირება), კანდიდ ჩარკვიანი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის მაგივრად აფხაზეთის ყოფილი საოლქო პარტიულ ორგანიზაციის მდივანი, ქუთაისის ქალაქკომის ყოფილი

მდივანი, საქართველოს ალკკ კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი აკაკი მგელაძე დანიშნეს.

ის კი ასე იგონებს ამ დადგენილების მიღების წინაპირობებს: სტალინს ძალიან აღელვებდა მდგომარეობა საქართველოს კომპარტიაში, სტალინს მასთან საუბარში არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ „რესპუბლიკაში გავრცელებულია მექრთამეობა, ხაზინის ქურდობა, სოციალისტური ქონების დატაცება“[80]. ამ საუბარში ამოტივტივებულა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ვ. ბაქრაძისა და საქართველოს „პრეზიდენტის“, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. სტურუას სახელი. ორივე ძველი „ბოლშევიკი“ იყო და ორივეს ბრწყინვალე პარტიული კარიერა ჰქონდა. გიორგი სტურუა ცარიზმის დროს იოსებ ჯუგაშვილის მუშათა წრეების აქტივისტი იყო, რომელიც ფაქტობრივად თაყის ძმასთან, ვანო სტურუასთან ერთად საქართველოში კომუნისტური ექსპერიმენტის განმახორციელებელთა პირველ რიგეში იდგა, მუდამ მხარს უჭერდა სტალინის პოლიტიკურ კურსს და ა.შ. და ა.შ..

მაგრამ როგორც გაირკვა, წყნეთში, სახელმწიფო აგარაკზე, მან შექმნა რაღაც კერძო ფერმერული მეურნეობის მსგავსი, რომლის პროდუქციას თბილისის კომერციულ ბაზარზე ჰყიდდა, ბოროტი ენები იმასაც კი ამბობდნენ. რომ მისი მეუღლე თავის პატარა ვაჟს ამ ფერმის ძროხების რძეში აბანაებდა და შემდეგ ამ ნაბანსაც ბაზარზე ჰყიდნენ.

კომუნისტური ზნეობის სრულ დაქვეითებაზე მიუთითებდა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის – ვალერი ბაქრაძის ქცევა, რომელმაც თბილისში პრესტიჟულ უბანში (ვერაზე) სამსართულიანი სახლი აიშენა უძვირფასესი მარმარილოს ღუმელებითა და ძვირფასი ხის ინკრუსტირებული კედლებით. სახლის შესახებ გაიგო ი. სტალინმა. რა თქმა უნდა, განრისხდა. სახლი ვალერი ბაქრაძეს ჩამოართვეს და იქ საბავშვო ბაღი მოაწყვეს. ამ შენობაშიდღესაც საბავშვო ბაღია.

ამრიგად, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ორი ხელმძღვანელის თხრობა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება. კანდიდ ჩარკვიანის მიხედვით „მითი“ აგორდა ვინმე რიგითი სამი მეგრელი მექრთამის ფაქტის გაზვიადების გამო – „დანარჩენი უკვე სტალინმა საკუთარი ფანტაზიით დაუმატა“. ის გადაკვრითაც არ იხსენებს საქართველოს ორი უმაღლესი თანამდებობის პირების „ყოფითი გადაგვარების“ ფაქტებს, რადგან ეს ჩირქს მოსცხებს მას – საქართველოს უმაღლეს პარტიულ ხელისუფალს, რომელმაც დაუშვა ეს „გადაგვარება“.

ისე კი ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ 50-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში მხოლოდ „სამი მეგრელი მექრთამე“ იყო.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ დადგენილებაში არა ეს ორი მაღალი თანამდებობის პირი ფიგურირებს, არამედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი – მიხეილ ბარამია და მისი „დაჯგუფება“.

აი რას იგონებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ალექსანდრე მირცხულავა (მან შეცვალა ა. მგელაძე თანამდებობაზე ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ): „ყალბი ცნობების მიწოდებაში განსაკუთრებით გააქტიურდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მგელაძე, რომელიც სასმელების და საჩუქრების მირთმევით სტალინის თანაშემწესთან, პოსკრებიშევთან, ახლო ურთიერთობა დაამყარა. სწორედ იგი აწვდიდა ცილისმწამებლურ მასალებს საქართველოს ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკზე, განსაკუთრებით კი მიხა ბარამიაზე“[82].

ამრიგად, საქართველოს პარტიული 3 ხელმძღვანელიდან ორი – „მეგრელთა საქმეს“ წვრილმან ადამიანურ ინტრიგებს უკავშირებს და საქმის დაწყების ინიციატივას ა. მგელაძეს აბრალებს, რომელმაც „სტალინის თანაშემწესთან, პოსკრებიშევთან, ახლო ურთიერთობა დაამყარა“.

არ სჭირდება სპეციალური კვლევა იმას, რომ საქართველოში XX საუკუნის 50-იან წლებშიც მექრთამეობა, კუთხურობა, კუთხური პატრიოტიზმი, ნათლი-მირონობა, მეგობარ-ნათესაობა, პროტექციონიზმი, ნეპოტიზმი საკმაოდ ფეხმოკიდებული იქნებოდა და მას, როგორც ყველა ქვეყანაში მხოლოდ ბოროტება შეეძლო მოეტანა საზოგადოებისათვის. რომ ყველაფერი ამის წინააღმდეგ რადიკალური ბრძოლაა საჭირო – ესეც აუცილებელი აქსიომაა.

უნდა აღინიშნოს, რომ „მეგრელთა საქმე“ განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ი. სტალინის ბიოგრაფიაზე მომუშავე ყველა პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიკოსისათვის, განსაკუთრებით რუსეთში. ისინი, როგორც ერთნი, ხაზგასმით ამტკიცებენ, რომ „მეგრელთა საქმე“ სტალინმა მოიფიქრა ყოვლადძლიერი „დიდი მეგრელის“ – ბერიას თავიდან მოსაშორებლად, რომლის ნიჭი, გაქანება, ამბიციები, მათი აზრით, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ დიდი ბელადის ერთპიროვნულ ძალაუფლებას82.

შეიძლება დაეთანხმო რუს კოლეგებს, რომ არა ერთი გარემოება – იმისათვის, რომ სტალინს მისთვის უკვე არასასურველი მინისტრი თავიდან მოეშორებინა, ამისათვის სამეგრელოს პროვინციაში რამდენიმე პარტიული ფუნქციონერის დაპატიმრება და გადასახლება იყო საჭირო? ყოვლადძლიერი „ხალხთა დიდი ბელადი“ ამ სურვილს „მეგრელთა საქმის“ გარეშე ვერ შეისრულებდა?

ვვარაუდობთ, რომ საქმის მიზეზები უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია, ვიდრე ზედაპირზე ჩანს. ჩვენ არ შევუდგებით სტალინის სიცოცხლის ბოლო

პერიოდში გახშირებული დრამატული მოვლენების განხილვას – ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი – „მეგრელთა საქმეს" მოახდინა თუ არა რაიმე ზეგავლენა საქართველოს საზოგადოებაზე, დაარღვია ქართველთა ერთობა თუ განამტკიცა ის?

„მეგრელთა საქმეზე" მომუშავენი, ჩვენი აზრით, ზედმეტ ყურადღებას აქცევენ პიროვნებებს, სუბიექტურ ფაქტორებს. ვვარაუდობთ, რომ 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილების ერთი აბზაცი განსაკუთრებით საყურადღებოა და მასზე დაფიქრება შეიძლება: „უეჭველია, რომ, თუ ამხ. ბარამიას მიერ დანერგილ მეცრული შეფობის ანტიპარტიული პრინციპი სათანადო წინააღმდეგობას არ წააწყდება, თავს წამოპყოფენ ახალი „შეფები" საქართველოს სხვა პროვინციებიდან: ქართლიდან, კახეთიდან, იმერეთიდან, გურიიდან, რაჭიდან, რომლებიც ასევე მოისურვებენ „თავისი" პროვინციების შეფობას და იქ დანაშაულის ჩამდენთა მფარველობას, რათა ამით განიმტკიცონ ავტორიტეტი „მასებში", და თუ ეს მოხდა, საქართველოს კომპარტია დაიშლება რამდენიმე პროვინციულ პარტიულ სამთავროდ, რომლებსაც „რეალური" ხელისუფლება ექნებათ, საქართველოს კპ (ბ) ცკ-ისა და მისი ხელმძღვანელობისაგან კი მხოლოდ ცარიელი ადგილი დარჩება"[83].

დადგენილების ეს ადგილი ძალიან მაგონებს დიდი ქართველი მწერლის – კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ჯერ კიდევ 1921 წლის ზაფხულში დაწერილ ფრაზას: „პარტიკულარიზმი საქართველოს წარსულში ერთ დამღუპველ მიზეზთაგანი იყო. ახალმა საქართველომ უნდა უარყოს ყოველივე პარტიკულარიზმი, სულ ერთია, რომელი ქართული ტომი გამოიჩენს ამას"[84]. ეს დიდმა მწერალმა განაცხადა მაშინ, როცა აჭარის ინტელიგენციის ერთმა ჯგუფმა, კონფესიური განსხვავებებიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიის საკანონმდებლო პრინციპების დამუშავების დროს, ზომაზე მეტი დათმობები მოითხოვა ერთიანი საქართველოს ინტერესების საზიანოდ.

ასჯერ მართალია კ. გამსახურდია – პარტიკულარიზმი საქართველოს მთავარი და შეიძლება ერთადერთი აშკარა შინაური მტერია. ყველა მტერი და დუშმანი, ყველა დროსა და ყველა ეპოქაში ცდილობდა და დღესაც ენერგიულად ცდილობს საქართველოსათვის დამღუპველი სენის – კუთხური პარტიკულარიზმის გაღვივებას, ზოგჯერ ამის რეციდივებსაც იწვევს ხელოვნურად (ამის შესახებ ქვემოთ), ამიტომაც ვთვლით, რომ „მეგრელთა საქმე", თავისი კაცთმოძულე ფორმების მიუხედავად მაინც წაადგა საერთო საქმეს – უზრუნველყო სამეგრელოს მოსახლეობის უფრო ღრმა და ყოველისმომცველი ჩართულება ერთიანი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში. დღეს რომ სამეგრელოს მხარის ინტელიგენცია ასე აქტიურად არის ჩართული ერთიანი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ

ცხოვრებაში, შესაძლებელია სწორედ „მეგრული საქმის“ გარკვეული შედეგიც იყოს.

ხოლო რაც შეეხება „მეგრელთა საქმის“ სხვა აპექტებს – ყველა მათგანს, ჩვენი აზრით, თავისი კონკრეტული მიზანი ჰქონდა:

1. ჩვენი აზრით, დადგენილების მიზანი იყო „მარშლების სინდრომის“ აღმოფხვრა თუ არა, მისი რადიკალური შესუსტება მაინც. ნაპოლეონ ბონაპარტის მარშლები, რეჟიმის ბოლო ეტაპზე, ისე გადაიღალნენ ნაპოლეონის მიერ დაგეგმილი სტრატეგიული ამოცანების შესრულებით, ისე მოენატრათ ნაძარცვი ქონებით „ჰედონიზმის მორევში“ ცურვა, რომ ღაკარგეს სიფხიზლე, შესუსტდათ ნაპოლეონის მიმართ ერთგულება, უკვე წყნარი და მდიდრული ცხოვრება ენატრებოდათ. ნაპოლეონის პოლიტიკურ წარუმატებლობას მისი პოლიტიკური ბიოგრაფიის დასასრულს ბევრი ექსპერტი სწორედ „მარშლების სინდრომის“ შედეგებს უკავშირებს. მსგავსი ვითარებარომ შეიქმნა სწორედ მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებით დაგვირგვინების შემდესაბჭოთა კავშირშიც, ამაზე აშკარად მიანიშნებს მარშალ ჟუკოვის ინციდენტიც (რეპარაციებიდან მითვისებული უზარმაზარი უკანონო ქონება). ასევე შეიძლება მოვიტანოთ ამონარიდი სტალინის საუბარიდან ა. მგელაძესთან მარშალ ბერიას „ბურჟუაზიული ყოფითი გადაგვარების“ შესახებ და ა.შ. სწორედ ამიტომაც აპირებდა (ამას ამტკიცებენ თანამედროვე რუსი ისტორიკოსები) სტალინი საბჭოთა კავშირის უმაღლეს ეშელონებში რადიკალურ „გადატრიალებას“, „წმენდას“, ახალი კადრების დაწინაურებას.

2. მიუხედაავად მცდელობისა და ბრძოლის დრაკონული მეთოდების გამოყენებისა, სტალინმა ვერ შეაჩერა საბჭოთა ბიუროკრატიის დეგრადირება და მისი „წყრილბურჟუაზიული“ გადაგვარება. ერთადერთი გამოსავალი რაც სტალინმა მოიფიქრა – ეს მკაცრი „დამოკლეს მახვილი“ იყო და საბჭოთა ბიუროკრატიისათვის პერიოდულად „სისხლის გამოშვება“ მათი გაჯანსაღების მიზნით. მაგრამ როგორც კი ეს მეთოდები შეწყდა (სტალინის გარდაცვალების შემდეგ) საბჭოთა ნომენკლატურა გაიხრწნა წარმოუდგენლად სწრაფად და შედეგიც თვალსაჩინო იყო – მათ ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე მოაახლოვეს სტალინის ცხოვრების ძირითადი შედეგის – საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრახი. „მეგრელთა საქმეც“ შეიძლება ამ კონტექსტში იქნეს განხილული.

3. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სტალინური რეპრესიების მთავარი ობიექტები – პარტიული ფუნქციონერები არიან. ეს კი ის ადამიანებია, კომუნისტური პარტიის წევრები, რომლებმაც სტალინთან ერთად მოიფიქრეს, შექმნეს და გააძლიერეს კომუნისტური სახელმწიფო, მისი დაწერილი თუ დაუწერელი კანონები. სტალინური რეპრესიული მეთოდები – ეს მათ მიერ

ერთობლიად შემუშავებული ბრძოლის ფორმებია, რომელსაც თვითონ იყენებდნენ სხვების მიმართ, ხოლო, ზოგჯერ, უკვე ეს „სხვები“ წარმატებით იყენებდნენ მათ წინააღმდეგ. ამიტომაც, ჩვენი აზრით, უნდა მკვეთრად გაიმიჯნოს განხორციელებულირეპრესიები პარტიულ-კომკავშირულ ელიტასა და რიგითი, არაპარტიელი, ღირსეული მოქალაქეების მიმართ.

აი ასეთი მოსაზრებები დაგვებადა „მეგრელთა საქმის“ დეტალების გააზრების დროს, თუმცა საკვლევი და გასააზრებელი ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია.

§ 20. – 1956 წლის 9 მარტი

მიუხედავად მკაცრი ანტიბიუროკრატიული პოლიტიკისა, „მარშალთა სინდრომი“ საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა სტალინთან „ბრძოლაში“. 1953 წლის 5 მარტს სტალინი თავის აგარაკზე, კუნცევოში, ინსულტით გარდაიცვალა (დღეს ექსპერტთა დიდი უმეტესობა ამ საქმეში „მარშლების“ მონაწილეობას დადასტურებულ ფაქტად მიიჩნევს).

სწრაფად დაიწყო დესტალინიზაციის პროცესი. ექსპერტების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ უკვე ცენტრალური კომიტეტის პირველივე დადგენილებები – დესტალინიზაციისაკენ მიმართული პირველი სერიოზული ნაბიჯებია. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა ღრმად გასაიდუმლოებულ ვითარებაში- საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისაგან ფარულად. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა ლავრენტი ბერია. მისი ინიციატივით შეწყდა „მეგრელთა საქმე“, „ექიმთა საქმე“, დაპატიმრებული პირები ციხიდან გამოუშვეს, მომზადდა საყოველთაო ამნისტია, რომელმაც 1953 წლის ზაფხულში ასიათასობით საბჭოთა პატიმარი „გულაგიდან“ გამოიხსნა.

მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ამ პერიოდში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი ბერიას მიერ გაგზავნილი წერილები, რომელშიც ის „საბჭოთა კანონიერების უხეშ დარღვევებზე“, საგამომძიებლო ორგანოების მიერ „უფლებების საშინელ გადაჭარბებებზე“, „საბრალდებო მასალების ფალსიფიკაციასა“ და საბჭოთა სამართალწარმოების სხვა მიღწევებზე კრიტიკულად საუბრობს, ვითომ თვითონ არ იყო მათი შემქმნელ-დამნერგავი[85].

თუმცა ამან ვერ უშველა ყოლადძლიერ „მარშალს“. სხვა „მარშლებმა“ – მისმა ყოფილმა მეგობრებმა ის სრულიად უკანონოდ, სამართლის ნორმე-

ბის დარღვევით ჩამოაცილეს ხელისუფლებას, დააპატიმრეს და დახვრიტეს კიდეც.

1956 წლამდე ახალი საბჭოთა ხელისუფლება გარეგნულად ინარჩუნებდა სტალინისადმი მხურვალე ერთგულებას, მაგრამ თებერვალში, სკკპ XX ყრილობაზე ნ. ხრუშჩოვის მიერ გაკეთებულ მოულოდნელ მოხსენებაში უარყოფითად იყო შეფასებული საბჭოთა კავშირში სტალინის კულტის არსებობა, წინ იყო წამოწეული სტალინის შეცდომები და დანაშაულობები. ეს მოხსენება ფაქტობრივად შოკი იყო პარტიული ორგანიზაციისათვის. მართალია, ის არ გამოქვეყნებულა, მასზე ღიად არ საუბრობდნენ, მაგრამ მოსახლეობაში ნ. ხრუშჩოვის მოხსენების ზოგიერთმა პასაჟმა მაინც გაუონა და ბევრგან გამოიწვია მღელვარება.

ნ. ხრუშჩოვის ანტისტალინური მოხსენების შესახებ ხმებმა მოაღწიეს საქართველოში და აქ, მართლაც, სერიოზული აღშფოთება გამოიწვია. უკმაყოფილება ფარულად მწიფდებოდა და მან სტალინის გარდაცვალების წლისთავზე – 1956 წლის 5 მარტს მონახა გამოხატვის ფორმა.

თბილისი და სრულიად საქართველოს წარმომადგენლობა სანაპიროზე, სკვერში, სტალინის უზარმაზარ ქანდაკებასთან შეიკრიბა. ყოველდღიურად ათიათასობით საქართველოს მოქალაქე ადასტურებდა სტალინისადმი უდიდეს პატივისცემას და ერთგულებას. ეს ძირითადად, საბჭოთა სისტემისადმი გამოხატული ერთგულებაც იყო, თუმცა აშკარად იკვეთებოდა ეროვნული თავმოყვარეობის შელახვის გრძნობაც. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დეტალურად არ იცოდა, მაგრამ გუმანით გრძნობდა, რომ სტალინს „ხელი შეახოცეს“, „სტალინს დააბრალეს ის, რაც ლენინისა და სრულიად პარტიის დანაშაული იყო“, რომ „სტალინი განტევების ვაცად აქციეს“ და რომ ეს ყველაფერი გაკეთდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ეთნიკური ქართველი იყო. ყველასთვის აშკარა იყო, რომ საბჭოთა კავშირის იმჟამინდელი პარტიული ხელმძღვანელობა სტალინთან ერთად იყო პასუხისმგებელი ყველა იმ დანაშაულობებისათვის, რასაც სტალინს აბრალებდნენ. უსამართლობის ძლიერმა მუხტმა შეძრა ქართველი კაცის გული – და უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანის გამოქომაგების სურვილი გაუჩინა.

სწორედ ეს იყო 1956 წლის მარტში თბილისის სკვერში შეკრებილი ქართველობის ძირითადი ნაწილის საპროტესტო მოძრაობისლაიტმოტივი. აქ ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი იყო თავმოყრილი, ახალგაზრდობა განსაკუთრებით ჭარბობდა: ათეული წლების მანძილზე საბჭოთა პროპაგანდა უმტკიცებდა საბჭოთა საზოგადოებას და მთელ მსოფლიოს სტალინის გამორჩეულობას, მის სამართლიანობას, ლენინის საქმისადმი ერთგულებას, ცამდე აჰყავდათ მისი ღვაწლი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, ქართველობას უმტკიცებდნენ, რომ „საქართველოს

უდიდესი დამსახურებაა მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე, რომ მის მიწაზე დაიბადა კაცობრიობის უდიდესი ადამიანი – დიდი სტალინი“ და ახლა ეს ყველაფერი სიცრუე აღმოჩნდა.

საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელი ვასილ მჟავანაძე ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდა: ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო საბჭოთა ღვედები, იდეოლოგიურიც, ეკონომიკურიც და სამხედრო-პოლიტიკურიც. ამიტომ ის იძულებული შეიქმნა შეესრულებინა კრემლის ყველა განკარგულება.

1956 წლის 9 მარტს ნ. ხრუშჩოვის უშუალო ბრძანებით რუსმა ძალოვნებმა ცეცხლი გაუხსნეს უიარაღო მომიტინგეებს რუსთაველის გამზირზე და 100-ზე მეტი კაცი დახვრიტეს[86].

ფაქტობრივად ნიკიტა ხრუშჩოვმა 9 მარტს საქართველოში მოკლა სოციალიზმის რუსული მოდელის მიმართ ქართველი კაცის რწმენა, საბჭოთა სახელმწიფოს სამართლიანობის რწმენა (მხედველობაში გვაქვს დემოკრატიული ფენების დიდი უმრავლესობა).

9 მარტი – სიმბოლური დღე იყო, 54 წლით ადრე, ბათუმში ქართველებმა პირველად დაღვარეს სისხლი სტალინის საქმისათვის. 1956 წლის 9 მარტი – ეს უკვე იყო ბოლო წვეთი.

ქართველების დახვრეტასთან ერთად, დასრულდა კიდევ ერთი ეტაპი ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის საქმეშიც – საბოლოოდ დასრულდა „სტალინ-ბერიასეული“ გეგმა. საჭირო გახდა ამ პროცესის ახალი ხელმძღვანელი, ახალი წარმმართველი...

თავი XI

საქართველოს ინტელიგენცია კვლავ ერის კონსოლიდაციის სათავეში

§ 1. – ვითარება მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე

1956 წლის 9 მარტის ტრაგედია ნიშანსვეტი გახდა საქართველოს ცხოვრებაში. მან სერიოზულად შეარყია მთელი ქართული საზოგადოება – როგორც კომუნისტური, ისე უპარტიო. ნ. ხრუშჩოვის ბრძანებით განხორციელებულმა დამსჯელმა ოპერაციამ კომუნისტურად განწყობილ მასებშიც კი გამოიწვია პარტიისა და პარტიის ლიდერების მიმართ რწმენისა და ნდობის კრიზისი, ხოლო საზოგადოების არაკომუნისტური ნაწილი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ საჭირო იყო ახალი გეგმები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობამდე მიიყვანდა.

რა თქმა უნდა, ატომური იარაღით აღჭურვილი საბჭოთა სახელწიფო გარეგნულად ჯერ კიდევ ძლიერი და დაუმარცხებელი ჩანდა (ამ სახელმწიფომ წარმატებით ჩაახშო ჩერკასკში მუშების ანტისაბჭოთა გამოსვლები, საბჭოთა სამხედრო ძალამ არ მისცა შესაძლებლობა უნგრეთის ხალხს თავი დაეღწია კომუნიზმის მარწუხებისათვის და ა.შ.).

რაც დრო გადიოდა ნ. ხრუშჩოვი სულ უფრო ემსგავსებოდა ტიპიურ დიქტატორს. ის ადვილად გაუსწორდა თავის პოლიტიკურ ოპონენტებს – „სტალინური გვარდიის“ წარმომადგენლებს ვ. მოლოტოვს, ლ. კოგანოვიჩს და სხვებს, რომლებიც მის პოლიტიკური არენიდან ჩამოცილებას შეეცადნენ და საბჭოთა კავშირში თავისი ერთპიროვნული ძალაუფლება საბოლოოდ განამტკიცა.

სტალინის ღრმად მოძულე ხრუშჩოვს ქართველებიც საოცრად არ უყვარდა და, როგორც საქართველოს კომპარტიის იმჟამინდელი ხელმძღვანელები ამტკიცებდნენ, იყო დღე, როცა ერთი, გადაუმოწმებელი ფაქტის გამო განრისხებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ქართველი ერის სამშობლოდან აყრასა და შუა აზიაში მათ გადასახლებას აპირებდა. ისი-

ნი მასვე მიაწერენ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში დაძაბულობის გაღვივებას 50-იანი წლების ბოლოს, აფხაზებში ანტიქართული ფსიქოზის რეციდივების აღორძინებას და ა.შ.[1]

ნ. ხრუშჩოვმა თავისი „ვოლუნტარისტული" პოლიტიკით სერიოზულად შეარყია საბჭოთა კავშირის ხალხებში რწმენა სოციალისტური სისტემის მიმართ, გამოაცალა ის ძლიერი მუხტი, რამაც საბჭოთა ხალხებს II მსოფლიო ომში მსოფლიო ისტორიული გამარჯვება მოუტანა და მან აშკარად დაამყარა შეუნიღბავი რუსული იმპერიალისტური დიქტატურა, რამაც ძალიან მალე მოკავშირე რესპუბლიკებში ანტისაბჭოთა აზროვნების აღორძინება-განვითარება უზრუნველყო.

მაგრამ, ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ ნ. ხრუშჩოვმა, რომელიც გარკვეულწილად, შინაგანად გრძნობდა პასუხისმგებლობას თბილისში 1956 წლის მარტში დატრიალებული ტრაგედიისათვის, დაუშვა გარკვეული კეთილგანწყობა საქართველოს ეკონომიკური პრობლემების მიმართ, თვალი დახუჭა ქართულ ხელოვნებასა და კულტურაში ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებაზე 50-იანი წლების დასასრულს. მან ასევე ლენინური და სახელმწიფო პრემიებით დააჯილდოვა ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები, უარი არ უთქვამს და ნება დართო საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას გამორჩეული პომპეზურობით აღენიშნათ თბილისის დედაქალაქობის 1500 წლის იუბილე და ა.შ. (ამის შესახებ ქვემოთ).

მაგრამ ნ. ხრუშჩოვს არ შეუცვლია კომუნისტური პარტიის ძირითადი მაგისტრალური ხაზი არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკაში, თუმცა მან მისი ქმედითუნარიანობა სერიოზულად შეაფერხა. სწორედ მისი მმართველობის დროს „სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის" კულტივირებამ საბჭოთა საზოგადოებას განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოუტანა.

მთავარი ის იყო, რომ ნ. ხრუშჩოვმა და მისმა მომხრეებმა სკკპ XXII ყრილობას (1961 წლის ოქტომბერი) მიაღებინეს კომუნისტური პარტიის ახალი, უტოპიური მესამე პროგრამა, რომელიც 1980 წლისთვის საბჭოთა ქვეყანაში კომუნისტური სისტემის გამარჯვებას ითვალისწინებდა: „უახლოეს ათწლეულში (1961-1970 წლებში) საბჭოთა კავშირი, რომელიც ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ გაუსწრებს კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ და მდიდარ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს; მნიშვნელოვნად ამაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურულ-ტექნიკური დონე, ყველასთვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური შეძლება; ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაიქცევა მაღალნაყოფიერ და მაღალშემოსავლიან მეურნეობად; ძირითადად დაკმაყოფილდება საბჭოთა

ადამიანების მოთხოვნილებანი კეთილმოწყობილ ბინაზე; გაქრება მძიმე ფიზიკური შრომა; სსრ კავშირი ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა გახდება. მეორე ათწლეულის შედეგად (1971-1980 წლებში) შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვეს მთელი მოსახლეობისათვის; საბჭოთა საზოგადოება უშუალოდ მივა მოთხოვნილებათა მიხედვით განაწილების პრინციპის განხორციელებასთან, მოხდება თანდათან გადასვლა ერთიან საერთო სახალხო საკუთრებაზე. ამრიგად, სსრ კავშირში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება“[2].

ეკონომიკურად მცდარი და სოციალურად ილუზორული დოკუმენტი ქვეყანაში ისეთ ფანტასტიკურ ეკონომიკურ აღმავლობას სულ რაღაც ოც წელწადში ვარაუდობდა, რის საფუძველზეც განხორციელდებოდა კომუნისტური პრინციპი: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით!“

მიუხედავად იმისა, რომ ახალი საპროგრამო დოკუმენტი საესე იყო სამშვიდობო მოწოდებებით, საბჭოთა ხელმძღვანელობის ერთგულებით „მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებისადმი“, საერთაშორისო მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო: საბჭოთა კავშირი განაგრძობდა კომუნისტურ ექსპანსიას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. პროსაბჭოთა რეჟიმების სუფსიდირებას უზარმაზარი სახსრები ხმარდებოდა, ეს მაშინ, როცა რიგითი საბჭოთა ადამიანი უამრავი სოციალური პრობლემით იყო გატანჯული.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმის კონსტატაციასაც, რომ 50-60-იანი წლების მიჯნაზე მსოფლიოში თანდათან დასრულდა კოლონიალიზმის შავბნელი ეპოქა. ყოველწლიურად სულ ახალი და ახალი კოლონიები ხდებოდნენ დამოუკიდებელნი და სუვერენულნი. მათ შორის კი ძალიან ბევრი იყო ისეთი ქვეყანა, რომელიც არ გამოირჩეოდა არც ეკონომიკური მდგომარეობით და არც კულტურული წარსულით. ყოველწლიურად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახალ-ახალ წევრებს იღებდა თავის რიგებში. ეს პროცესები, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ადგილობრივი ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში, იმედებსა და ახალ სურვილებს აღძრავდა...

იმჟამად მოკავშირე რესპუბლიკებში, პარტიულ და უპარტიო ინტელიგენციაში მოსკოვისადმი ოპოზიციურ განწყობას აძლიერებდა ნ. ხრუშჩოვისა და მისი დაჯგუფების მიერ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობაც, რამაც განსაკუთრებით უარყოფითი შედეგები 60-იანი წლების დასაწყისში მოიტანა. 50-იან წლების მეორე ნახევარში განხორციელებული ხრუშჩოვისეული რეორგანიზაციები არაეფექტური აღმოჩნდა: ეკონომიკის მართვის ახალი სისტემა — „სახალხო მეურნეობის საბჭოები“

(რომლებიც შეიქმნა დარგობრივი სამინისტროების გაუქმების შემდეგ), ნაკლებად ეფექტიანი, მოუქნელი ეკონომიკური სტრუქტურები გამოდგა. მათ ვერ შთაბერეს ახალი სიცოცხლე საბჭოთა ეკონომიკას.

1961 წელს განხორციელდა ფულის რეფორმა, რამაც ათჯერ შეამცირა ფულის არსებული მასშტაბი და მომავალში საკმაოდ სერიოზული ინფლაცია უზრუნველყო.

სერიოზული პრობლემები იყო სამომხმარებლო ბაზარზე – 1963 წელს შეიქმნა დაძაბულობა ქვეყნის რეგიონების პურით მომარაგების საქმეში. საქართველოში პურის მაღაზიებთან უზარმაზარი რიგები გაჩნდა.

სიძნელეები შეიქმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად შენელდა შრომისნაყოფიერების ზრდა, ყოველ დახარჯულ მანეთზე პროდუქციის უკუგება, ჭიანურდებოდა ახალი სამრეწველო ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა, წარმოებაში ძნელად ინერგებოდა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, ეკონომიკური დაგეგმვის დროს ხშირი იყო შეცდომები, ეკონომიკური კანონების უგულებელყოფა, წარმოებული პროდუქცია დაბალი ხარისხის იყო[3].

ყოველივე ამის საპირისპიროდ, დასავლეთში თანდათან იწყებოდა და ყოველწლიურად ძალას იკრებდა ახალი სამრეწველო რევოლუცია, გრანდიოზული ძვრები ეკონომიკის ყველა დარგში წინ სწევდა საზოგადოებას. ამასთან საბოლოოდ განმტკიცდა დასავლური ფასეულობებიც: სიტყვის, პრესის, კავშირების, გადაადგილების თავისუფლების პრინციპების არა მარტო დეკლარირება, არამედ მათი ქმედითობა დასავლური დემოკრატიის მთავარი მახასიათებელი გახდა, რასაც ვერ ვიტყვით აღმოსაყლეთ ევროპის სოციალისტურ ბანაკზე – სადაც კომუნისტური და მუშათა პარტიების ჰეგემონია კვლავ მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი იყო.

ნ. ხრუშჩოვი საკმაოდ ავანტიურისტულ პოლიტიკას ეწეოდა მსოფლიოში, რაც ზოგჯერ უმძიმეს ვითარებაში აგდებდა საბჭოთა ქვეყანას. 1963 წელს სრულიად გაუაზრებლად ნ. ხრუშჩოვმა ფარულად შეიტანა ატომური ქობინებით დატვირთული რაკეტები კუბაში და აშშ-ს აშკარად სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ამან გამოიწვია ე.წ. „კარიბის კრიზისი“, რომლის დროს მსოფლიო რამდენიმე დღე თერმობირთვული კატასტროფის საშიშროების წინაშე დადგა. ვითარების განსამუხტად ნ. ხრუშჩოვი იძულებული გახდა კუბიდან საბჭოთა რაკეტები გამოეტანა.

საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობამ აშკარა გახადა საბჭოთა ქვეყანაში სერიოზული რეფორმების აუცილებლობა. პარტიულმა და საბჭოთა ელიტამ ამ ცვლილებების რეალიზაცია დაიწყო ნიკიტა ხრუშჩოვის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ. 1964 წლის ოქტომბრის პლენუმ-

ზე, შეთქმულებმა (ლეონიდ ბრეჟნევმა, ალექსი კოსიგინმა, ნიკოლოზ პოდგორნიმ, მიხეილ სუსლოვმა, ვასილ მჟავანაძემ და სხვ.) აიძულეს ხრუშჩოვი „ჯანმრთელობის გაუარესების“ საბაბით თანამდებობიდან გადამდგარიყო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ლეონიდ ბრეჟნევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს გამოცდილი სამეურნეო მუშაკი – ალექსი კოსიგინი.

ახალმა ხელისუფლებამ ხრუშჩოვის მიერ განხორციელებული ბევრი ნოვაცია გააუქმა – აღდგა სამინისტროები, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დაიწყეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. 1965 წლის სექტემბერში სკკპ ცკ პლენუმმა მიიღო დადგენილება: „მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“.

დადგენილება ითვალისწინებდა ეკონომიკურ რეფორმას. დაგეგმარების დროს მაქსიმალურად უნდა გათვალისწინებულიყო საწარმოს შესაძლებლობები. დაწესდა მატერიალური წახალისების ახალი ფორმები, მაგალითად, „მეცამეტე ხელფასის“ სისტემა. მისი ოდენობა მთლიანად დამოკიდებული იყო საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლების საბოლოო შედეგებზე. პრაქტიკაში დაინერგა მოსახლეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური სიახლე – ძვირადღირებული, ხანგრძლივი მოხმარების საგნების განვადებით შეძენა, რამაც სწრაფად გამოაცოცხლა საბჭოთა ვაჭრობა, რადგან გამოიწვია მოხმარების საგრძნობი სტიმულირება. ამან კეთილნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინა საერთო ეკონომიკურ ცხოვრებაზეც. ეს რეფორმები საქართველოშიც გატარდა.

ნ. ხრუშჩოვი საქართველოში არ უყვარდათ. მისი გადაყენება საქართველოში სიკეთედ აღიქვეს, მით უფრო, რომ საბჭოთა კავშირის ახალ ხელმძღვანელებს საქართველოსთან გარკვეული პირადი ურთიერთობა აკავშირებდათ. ალექსი კოსიგინის სიძე ქართველი იყო, შვილიშვილები ქართველები (გვიშიანი) ყავდა. ლეონიდ ბრეჟნევი კი ომის წლებში ლეგენდარული ქართველი მხედართმთავარის კონსტანტინე ლესელიძის მე-16 არმიის პოლიტსამართველოს უფროსი იყო და ყველა შესაძლო შემთხვევაში ამ მეგობრობას ხაზგასმით აღნიშნავდა და ძალიანაც აფასებდა.

1966 წელს ლ. ბრეჟნევი ჩამოვიდა საქართველოში და ქართველების მიმართ კეთილ- განწყობა სპორტის სასახლეში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე ხაზგასმით დააფიქსირა.

ასეთმა ცელილებებმა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში საქართველოს პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას (როგორც პარტიულ, ისე უპარტიოს) ჩაუსახა იმედი საბჭოთა კავშირში სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები გამოეყენებინა ქართველი ერის სასარგებლოდ, განემტკიცებინა

ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები და მიეღწია მისი კულტურული აღორძინებისათვის. **ეს ფაქტობრივად გულისხმობდა საქართველოს მიერ 30-50-იან წლებში მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მიღწევების განმტკიცებას და შემდგომ განვითარებას. ეს მიზანი იმჟამად მთლიანად შეესაბამებოდა ქართველი ერის ეროვნულ ინტერესებს და მისი შედეგები კიდევ უფრო განამტკიცებდა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს.**

ეს პროცესი არ იყო მარტივი, მაგრამ როგორც დასტურდება, საქართველოს იმჟამინდელმა პარტიულმა და სამთავრობო ხელმძღვანელობამ (ვ. მჟავანაძე, გ. ჯავახიშვილი, გ ძოწენიძე და სხვ.), რა თქმა უნდა, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე და საქართველოს ტექნიკურმა და შემოქმედებითმა ინტელიგენციამ – ასევე თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად უზრუნველყო ქვეყნის ისეთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რომელმაც **სულ მალე მოგვცა საქართველოს საზოგადოების საგრძნობი ეკონომიკური დაწინაურება, სოციალური პროგრესი და თვალშისაცემი კულტურული აღორძინება. ყველაფერმა ამან ქართველი ერის განვითარებაზე კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა.**

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები მიმდინარეობდა პარალელურად მეორე, საკმაოდ ძალუმ პროცესებთან ერთად – ეს იყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შემდგომი კულტივირება, კომუნისტების, კომკავშირლების რიგების სისტემატური ზრდა, პარტიული და კომკავშირული ცხოვრების აქტივიზება. საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ცნობიერების ასეთი გაორება დამახასიათებელი იყო საბჭოთა კავშირში რუსული სოციალიზმის განუხრელი კრიზისის გაძლიერების ფონზე.

ეს ორი პარალელური პროცესი საქართველოში თითქმის თანაბარი მნიშვნელობით ვითარდებოდა, ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს ეჯაჭვებოდა, ერთმანეთთან თანაარსებობდა და ამის საფუძველზე აღწევდა შედეგებს. ამიტომ საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, რომ საჭირო დროსა და საჭირო პირობებში მათ დაცალკევებას ერისათვის ტრაგიკული შედეგები არ მოეტანა...

§ 2. – თბილისი – კონსოლიდირებული ერის დედაქალაქი

ჩვენ ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ისტორიული დედაქალაქი, რუსეთის იმპერიული სახელმწიფო მანქანის მცდელობით, XIX საუკუნის დასაწყისიდან თანდათან გადაიქცა რუსეთის პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად ამიერკავკასიასა და მთლიანად ახლო აღმოსავლეთში. რა თქმა უნდა, თბილისმა შეინარჩუნა ერთია-

ნი საქართველოს დედაქალაქის ისტორიული მეხსიერება, მაგრამ ის უკვე ძალიან იყო დასუსტებული სწორედ მეფის რუსეთის ინტენსიური მცდელობით – შეიცვალა თბილისის სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული და კულტურულ-საგანმანათლებლო პროფილი. ამას მეფის ხელისუფლება აღწევდა სპეციალური დემოგრაფიული პოლიტიკით, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში უკვე თავისი შედეგი გამოიღო – ქართველობა თბილისში უკვე უმრავლესობა აღარ იყო: ქართველების რაოდენობა 26, 4 პროცენტამდე შემცირდა[4].

თბილისში დემოგრაფიული პოლიტიკა რომ მიზანმიმართულად ანტიქართული იყო, ამაზე მიუთითებს თუნდაც ეთნიკური რუსების რაოდენობის არნახული ზრდა მთლიანად XIX საუკუნეში: 1803 წელს სულ სამი რუსი მოსახლე, საუკუნის დასასრულს გადაიქცა 44 823 კაციან ეთნიკურ ჯგუფად. არნახულად გაიზარდა სომეხი მოსახლეობის ხვედრითი წილიც – თბილისში ის უკვე 29,5 პროცენტს შეადგენდა. მოხდა ისე, რომ თბილისი გადაიქცა სომხური კაპიტალის ცენტრად და სომხური კულტურის ოაზისად, თბილისის ცენტრალურ უბანს – სოლოლაკს, სომეხი კაპიტალი დაეპატრონა.

რუსეთმა თბილისს სახელიც კი შეუცვალა და „ტიფლისი“ შეარქვა.

რა თქმა უნდა, ქართველობა ინარჩუნებდა პოზიციებს, განსაკუთრებით ძლიერად – კულტურულ-საყოფაცხოვრებო სფეროში, თუმცა XIX საუკუნის თბილისი ტიპიური იმპერიული ქალაქი იყო მკვეთრად გამოხატული აღმოსავლური კოლორიტით.

ეს თავისებურება, გარკვეულწილად, ქმნიდა პრობლემებს – ფაქტობრივად მოსახლეობის ორი-მესამედი ქართული საქმისადმი მტრულად თუ არა, საკმაოდ გულგრილად იყო განწყობილი. ეს დაადასტურა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიამ, როცა თბილისში არსებული ეროვნული დიასპორის ცენტრები ანტიქართული საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი[5], ისე 1924 წლის აჯანყებამაც, როცა როგორც თვითმხილველები ამბობდნენ – „თბილისი დუმდა“[6] ანუ ანტისაბჭოთა აჯანყების მიმართ თბილისის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გულგრილი დამოკიდებულება ჰქონდა.

ამრიგად, თბილისში XIX-XX საუკუნეებში მოსახლეობის დინამიკა და ეთნიკური შემადგენლობა რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის ობიექტური შედეგი იყო. საჭირო იყო ამ მდგომარეობის რადიკალური გამოსწორება.

ეს პროცესი დაიწყო საქართველოს გასაბჭოების შემდგომ, ინდუსტრიალიზაციის ტემპების გაძლიერების კვალდაკვალ. თბილისი სულ უფრო იღებდა სამრეწველო იერსახეს, შენდებოდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, კულტუ-

რული ობიექტები, უმაღლესი სასწავლებლები, იხვეწებოდა საქალაქო ინფრასტრუქტურა. ეს აპირობებდა თბილისში მოსახლეობის მიგრაციას საქართველოს ყველა რეგიონებიდან. ეს იყო როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკა, ისე თანმდევი სტიქიური პროცესიც.

განსაკუთრებით ინტენსიურად დაიწყო ზრდა თბილისმა 30-50-იან წლებში ე.წ. „სტალინ-ბერიასეული“ გეგმის რეალიზაციის დროს. თუ 1926 წელს თბილისის მოსახლეობის 39,5 % იყო ქართველი, 1939 წლის აღწერით ქართველობა თბილისში უკვე 44,5 პროცენტი გახდა, ხოლო 1959 წელს მან 47,2% შეადგინა[7]. 60-70-იან წლებში თბილისში ქართველების ხვედრითი წილი უკვე ნახევარზე მეტი იყო. რა თქმა უნდა, ეს შიდა მიგრაციული პროცესების ზრდის შედეგიც იყო და მას აპირობებდა თბილისის ინდუსტრიული პროფილის ზეაღმავალი განვითარება.

უნდა აღინიშნოს, რომ 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის შემდეგ ნ. ხრუშჩოვი, როგორც აღინიშნა, გრძნობდა რა პასუხისმგებლობას ქართველების სისხლისღვრაში, უფრო ლოიალური გახდა რიგი, თბილისისათვის საჭირო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის დროს. მაგალითად, მან თანხმობა განაცხადა თბილისში დიდი ელმავალმშენებელი ქარხნის საფუძვლის ჩაყრაზე, განაახლა თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა, რაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ ძალიან მალე თვითონ მოსკოვმა შეაჩერა, თბილისის სხეადასხვა უბანში დაიწყეს საცხოვრებელი მასივების, ე.წ. „ხრუშჩობების“ – იაფფასიანი, მაგრამ მასიური კორპუსების მშენებლობა (საბურთალოზე, დიღმის მასივში და ა.შ.).

და რაც მთავარია, მოსკოვმა ნება დართო საქართველოს ხელმძღვანელებს 1958 წლის ოქტომბერში დიდი პომპეზურობით აღენიშნათ თბილისის დედაქალაქობის 1500 წლის იუბილე.

ტრაგიკული 1956 წლის მოვლენების 2 წლის შემდეგ პომპეზური დღესასწაულის აღნიშვნა ამკარად მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა ტრაგიკული დღეების შედეგის – საქართველოს მოსახლეობაში დეპრესიისა და მოდუნების სინდრომის გავრცელების შეჩერება, რაც, ჩვენი აზრით, ვ. მჟავანაძის ხელისუფლების უდიდესი დამსახურებაა ერის წინაშე. ტრაგედიამ ვერ გადაფარა ქართველების შემოქმედებითი პოტენცია და ეს სწორედ თბილისის სადღესასწაულო დღეებში გამოვლინდა. ამას უდიდესი მორალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა – ქართველი ერი, მისი შემოქმედებითი ინტელიგენცია მზად იყო გაეგრძელებინა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის ზეაღმავალი განვითარება და, მართლაც, შეძლო ახალი ეკონომიკური და კულტურული სიმაღლეებისათვის მიეღწია. **შეიძლება გამტკიცოთ, რომ სწორედ თბილისის საიუბილეო დღეებში ქართველმა ინტელიგენციამ ფაქტობრივად კვლავ თავის ხელში**

აიღო ეროვნული საქმის მესაჭის საპატიო ფუნქცია და ის XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ღირსეულად ატარა.

საზეიმო დღეებში თბილისს შეემატა ახალი კეთილმოწყობილი ქუჩები და მოედნები, აიგო პირველი საჰაერო სამგზავრო-საბაგირო გზა, რომელმაც ქალაქის ცენტრი – რუსთაველის მოედანი დაუკავშირა ფუნიკულიორს.

იუბილეს მიეძღვნა რევაზ ლაღიძის „სიმღერა თბილისზე", რომელიც სულ მალე ფაქტობრივად ქართველების მუსიკალური „პასპორტი" გახდა. გადაიღეს სამნაწილიანი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „უძველესი ქალაქის გაზაფხული". მოეწყო ქართული სახვითი ხელოვნების საიუბილეო გამოფენა. მეტეხის კლდეზე საძირკველი ჩაეყარა თბილისის დამაარსებლის, ვახტანგ გორგასლის ძეგლს. რუსთაველის პროსპექტზე, ყოფილი I სკოლის შენობის წინ დაიდგა ვ. თოფურიძის ავტორობით შესრულებული ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლი. საიუბილეო დღესასწაული შედგა „დინამოს" სტადიონზე, ხოლო „ქარიშხალას" სპორტულ არენაზე – სახალხო ზეიმი, რომელსაც მრავალი სტუმარი დაესწრო[8].

სწორედ 1958 წელს შეიქმნა ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკება „ქართლის დედა", რომელიც თბილისის სიმბოლოდ გადაიქცა. მასვე ეკუთვნის ვახტანგ გორგასლის ქანდაკება მეტეხის პლატოზე. საზეიმო დღეებში თბილისის თეატრები, საკონცერტო თუ საგამოფენო დარბაზები ადასტურებდნენ ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის მაღალ დონეს და პატრიოტულ შემართებას.

1980 წელს თბილისი უკვე „მილიონერი" ქალაქი გახდა. ფაქტობრივად ყოველი მეხუთე მოქალაქე თბილისში ცხოვრობდა. ეს მიგრაციული პროცესების დაჩქარებული განვითარების შედეგი იყო. განსაკუთრებით ძლიერი იყო მიგრაციის ნაკადი II მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდებში, როცა თბილისს ემატებოდა ასიათასობით ახალი მაცხოვრებელი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. დადასტურებულია, რომ სულ რაღაც 20 წლის განმავლობაში (1939-1958 წწ.) თბილისში საცხოვრებლად ჩამოვიდა 521 ათას კაცზე მეტი[9]. რა თქმა უნდა, ამ პროცესს ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. დადებითი ის იყო, რომ თბილისი უკვე ქართველების ერთიანობის გენერატორი გახდა – ის ისრუტავდა, გარდაქმნიდა, პროვინციალიზმისა და სეპარატიზმის ნარჩენებისაგან ათავისუფლებდა სრულიად საქართველოს: თბილისური კილოკავი გავრცელდა სრულიად საქართველოში თბილისური ცხოვრების წესი, მოდა, ჩვევები, ჟარგონიც კი სრულიად საქართველოს საკუთრება ხდებოდა. საქართველოს ყველა კუთხე „ამარაგებდა" თბილისს შრომითი თუ ინტელექტუალური რესურსებით. თბილისი კი „გადამუშავებულს" და ეროვნული ერთიანობის უზარმაზარი მუხტით დატვირთულს უკან აბრუნებდა ადგილებზე – რაიო-

ნებსა და სოფლებში (დასტურდება, რომ 20 წლის მანძილზე თბილისი დატოვა 380 ათასზე მეტმა მაცხოვრებელმა).

ეს მიგრაციული პროცესები იმჟამად გარკვეულწილად რეგულირდებოდა და თბილისი ქართველების „გენერატორის" ამოცანას წარმატებით უმკლავდებოდა, რასაც ვერ ვიტყვით იმ დემოგრაფიულ მოვლენებზე, რომელიც თავს დაატყდა თბილისს XX საუკუნის 90-იან წლებში. (ამის შესახებ ქვემოთ).

§ 3. — ედუარდ შევარდნაძის შაძტორი

1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში საგრძნობლად შეირყა რწმენა სოციალიზმის რუსული მოდელის მიმართ, თუმცა საბჭოთა სისტემა საქართველოში ჯერ კიდევ ქმედითუნარიანი იყო, მაგრამ, ისიც აშკარაა, რომ მორალურ-ფსიქოლოგიური ეროზია შეიპარა როგორც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში, ისე პარტიულ და საბჭოთა ელიტაშიც. შინაგანი რწმენა, ჩვენი აზრით, სერიოზულად შეერყა საქართველოს კომუნისტების ლიდერს ვასილ მჟავანაძესაც, რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებში თავის საანგარიშო თუ საპროგრამო მოხსენებებში მხოლოდ მკაცრი ფრაზეოლოგიით კმაყოფილდებოდა, ხოლო ცხოვრებაში, პრაქტიკულ საქმიანობაში აშკარად იჩენდა ლოიალობას „ნეგატიური" მოვლენების მიმართ. საქართველოში საგრძნობლად შესუსტდა დისციპლინა როგორც საქართველოს კომუნისტურ პარტიაში, ისე მთლიანად ქვეყანაში, გამოცოცხლდნენ „საქმიანი ადამიანები", რომლებიც ახერხებდნენ ფარული ბიზნესის ორგანიზებას, სახელმწიფოს საკონტროლო ორგანოებისაგან მალულად უკანონო ქონებასაც აგროვებდნენ. საზოგადოებაში უკვე აშკარად საუბრობდნენ ლაზიშვილების ზღაპრული სიმდიდრის შესახებ, „ჩაშკას" (ცნობილი თბილისელი სპეკულიანტი) არნახულ კომერციულ შესაძლებლობებზე, თბილისში, სურამში, კულაშში და სხვა ადგილებში არნახულად აყვავდა „შავი ბაზარი" — მაღაზიაში იმპორტული საქონელი გაქრა, სამაგიეროდ „შავი ბაზარი" უხვად სთავაზობდა საქართველოს მოსახლეობას მრავალფეროვანსა და მაღალხარისხიან პროდუქციას ორჯერ და სამჯერ უფრო ძვირად.

საკმაოდ მასშტაბური გახდა სახელმწიფო ქონების მითვისება, მისი უკონტროლო ხარჯვა. ბოროტი ენები იმასაც კი ლაპარაკობდნენ, რომ დასავლეთ საქართველოში საკმაოდ გამოცოცხლებული კერძო ბინათმშენებლობა ენგურჰესის უნიკალური კაშხალის ასაშენებლად გათვალისწინებული ცემენტის უკანონო გასხვისების საფუძველზე ხდებოდა. დღეს რუსულ ინ-

ტერნეტსაიტებზე შეხვდებით მოსაზრებას, რომ ვასილ მჟავანაძე შეგნებულად უწყობდა ხელს ამ პროცესებს და ცდილობდა რაც შეიძლება ბევრი ქართველი „გამდიდრებულიყო“, სოციალური თვალსაზრისით დაწინაურებულიყო, თუნდაც სოციალისტური თანაცხოვრების წესების უხეში დარღვევების საფუძველზე.

მაგრამ ასეთი უკანონობა, ფაქტობრივად ქურდობის პოლიტიკის დამკვიდრება ზნეობრივად ანადგურებდა საზოგადოებას. საქართველოში შეიმჩნეოდა სხვა სერიოზული ნაკლოვანებებიც. როგორც აღნიშნავდნენ: საქართველოში „ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის მანკიერებასა და კორუფციას შორის პირდაპირი კავშირი არსებობდ“. ამის გამო „კორუფციისაგან ყველაზე მეტად ზარალდებოდა „პატარა ადამიანი“, რიგითი მოქალაქე. ის არ იყო დაცული არც ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების, არც სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რადგან მაფია ამ სტრუქტურებშიც აღწევდა და აკონტროლებდა მათ. ხელისუფლებისადმი ნდობა შეირყა, ყველაფერს ნაღდი ფული წყვეტდა. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. ლპობისა და რღვევის ნიშნები განსაკუთრებით საშინელი იყო კომუნისტური და პატრიოტული ფრაზეოლოგიის დახავების ფონზე...“[10]

მჟავანაძისადმი ოპოზიციურად განწყობილმა ძალებმა ეს მკაცრი სინამდვილე, სათანადო არგუმენტებით დართული, კრემლის ლიდერებს წარუდგინეს. მოსკოვი აშკარად უკმაყოფილო იყო რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობით.

1972 წლის 22 თებერვალს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. მართალია, დადგენილება თბილისის კომიტეტის მუშაობას კრიტიკულად აფასებდა, მაგრამ ყველასთვის აშკარა იყო, რომ მოსკოვი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის საქმიანობით უკმაყოფილოიყო.

მოსკოვს განსაკუთრებით აღიზიანებდა ქართველი ინტელიგენციის მზარდი ნაციონალისტური განწყობილება, რაც საგრძნობლად გაძლიერდა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის შემდეგ და, როგორც კრემლი ამტკიცებდა, აშკარად ვლინდებოდა საქართველოს ინტელიგენციის შემოქმედებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში. ეს ფაქტორი ხაზგასმით აღინიშნა კიდეც დადგენილებაში.

მოსკოვი საქართველოს პარტიული ორგანიზაციისაგან მუშაობის რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვდა. ამ დადგენილების რეალიზაციას სჭირდებოდა ახალი პიროვნებები, ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელები. ვასილ მჟავანაძე დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ედუარდ შევარდნაძე. საქართველოს კომკავშირის ცკ-ს ყოფილი პირველი მდივანი, მცხეთის პარტიის რაიკომის ყოფილი ხელმძღვანელი, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, რომელმაც ჩინებულად იცოდა საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური სისტემის როგორც აშკარა, ისე ფარული, ძლიერი და სუსტი მხარეები. მან მთელი თავისი მუშაობა იდეოლოგიური, სამეურნეო-ორგანიზაციული და კულტურულ-აღმზრდელობითი მიმართულებით წარმართა.

მოსახლეობაში პარტიისა და მთავრობის შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად, შევარდნაძემ „სასტიკი ბრძოლა“ გამოუცხადა კორუფციას: დააპატიმრეს ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები, მათ შორის ერთ-ერთი ძმა ლაზიშვილების კლანიდან, დააკავეს ე.წ. „ჩაშკა“ და მისი მსგავსი „ბიზნესმენები“. უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის, აკადემიკოს პეტრე გელბახიანისა და მისი „დანაშაულებრივი ჯგუფის“ მიერ სოციალისტური კანონიერების დარღვევების, მექრთამეობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო აღძრულმა საქმემ. ხმაურით განხორციელდა დაბა ცხვარიჭამიაში აგარაკების ჩამორთმევის პროცესი. ჩამორთმეულ შენობებში პიონერთა ბანაკები გახსნეს, ზოგიც დაანგრიეს.

ედუარდ შევარდნაძემ მუშაობა დიწყო...

თითქმის 30 წელზე მეტი მართავდა საქართველოს ეს გამოცდილი და მოგეიანებით უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე. მან უზარმაზარი პოლიტიკური არსენალი დააგროვა და მართვის თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეთოდები შეიმუშავა, რომლებიც სოციალისტური სისტემის პირობებში მას საოცრად უმართლებდა. ეჭვი არ არის – ის იყო მთლიანად კომუნისტური პარტიის მიერ გამოზრდილი ნიჭიერი, ახალგაზრდა კადრი, რომელმაც გაიარა რთული ცხოვრებისეული გზა კომკავშირული ლიდერიდან უზარმაზარი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობამდე. მას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფო მოღვაწეებთან ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. თავისი ცხოვრების მეორე ეტაპზე მან **ისტორიის მაგისტრალური ხაზი, სხვებთან ერთად, წარმატებით შეცვალა, მონაწილეობა მიიღო „ბერლინის კედლის“ ნგრევასა და საბჭოთა კავშირის ისტორიის ასპარეზიდან გაქრობაში, სხვებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ახალ ევროპასა და ახალ მსოფლიოს. უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეები მის მეგობრობას საჯაროდ აფიშირებდნენ, მას რჩევას ეკითხებოდნენ, ანგარიშს უწევდნენ. მას ბოლომდე ეყო უნარი, პოლიტიკური სიმწიფე და ალ-**

ღო, რომ სწორედ შეეფასებინა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და დადგა იქ, სადაც უნდა დამდგარიყო – რათა შეენარჩუნებინა ავტორიტეტი, ზეგავლენა და რაც მთავარია – პოლიტიკური ძალაუფლება. ე. შევარდნაძე ის მესამე ქართველია, რომელმაც მსოფლიოში განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა – ი. სტალინისა და ლ. ბერიას შემდეგ, მაგრამ თუ ამ ორი წინამორბედის მიმართ მსოფლიოს დემოკრატიულ ახროვნებას მკაცრად კრიტიკული დამოკიდებულება აქვს დღესაც, ედუარდ შევარდნაძემ, მათგან განსხვავებით, ძალუმად დაიმკვიდრა დასავლეთის სამყაროში დემოკრატიისათვის მებრძოლი, პროგრესული მოღვაწის სახელი. ეს პატარა სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწისათვის მცირე მიღწევა არ არის...

მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ იყო, გარკვეული წლების შემდეგ...

მანამდე კი მოსკოვი რომ თავის სრულ ლოიალობაში დაერწმუნებინა, საქართველოს კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელმა იდეოლოგიურ მუშაობაში განსაკუთრებული აქცენტი ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის პროპაგანდის გაძლიერებაზე გააკეთა. 1972 წელი – საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის 50-წლის იუბილეს დაემთხვა. პარტიულ-პროპაგანდისტული მუშაობის მთავარი ძალისხმევა ხალხთა ინტერნაციონალურ მეგობრობას, რუს ხალხთან საუკუნო კავშირის პროპაგანადას, საქართველოს ისტორიაში რუსეთის განსაკუთრებული როლის წარმოჩენას მოახმარეს.

ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრებისკენ მოუწოდებდა მეორე მნიშვნელოვანი დადგენილებაც: „მაენე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (1975 წ.). ქართული ეროვნული, განსაკუთრებით რელიგიური ტრადიციების შესრულების ნაცვლად, ქართველ ხალხს სთავაზობდნენ აღენიშნათ „ტრადიციული შრომითი დღესასწაულები, კომუნისტური შაბათობანი, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, მუშად და კოლმეურნედ კურთხევა და ა.შ..

ამ დადგენილებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერც ერთი ტრადიციული წეს-ჩვეულება, რომლის წინააღმდეგაც დადგენილება იყო მიმართული, ვერ აღმოიფხვრა. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სწორედ ე. შევარდნაძის ინიციატივით 1979 წელს საფუძველი ჩაეყარა სახალხო დღესასწაულს – „თბილისობას“ – ძმობისა და მეგობრობის დღესასწაულს, ქართული კულტურის საჯარო დემონსტრაციას. ეს დღესასწაული დღესაც დიდ სიხარულს ანიჭებს როგორც სტუმრებს, ისე მასპინძლებს.

საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ, მოსკოვის გულის მოსაგებად კიდევ ერთი დადგენილება მიიღო: „რესპუბლიკის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღო-

ნისძიებათა შესახებ“ (1973). საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ ფაკულტეტებზე რამდენიმე საგნის რუსულ ენაზე წაკითხვა მოითხოვეს. ამ ძალადობას წინ აღუდგნენ პატრიოტულად განწყობილი პროფესორები: მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ბაქანიძე, მ. ლეკვეიშვილი და სხვ.

საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ, განსაკუთრებით, იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ახალი ფორმებისადმი, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას მოსკოვში ავტორიტეტი და გავლენა მოუპოვა. საბჭოთა ქვეყნის მთავარ ქალაქში ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ და სამეურნეო საქმიანობას.

სწორედ ასეთი პოლიტიკით ედუარდ შევარდნაძე ახერხებდა ლავირებას მოსკოვში, საკუთარი ავტორიტეტის განმტკიცებით ის ამტკიცებდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებსაც, რაც მისი მმართველობის წლებში სულ მაღლა-მაღლა და ზემოთ მიიწევდა. ბევრი შემომედავება და იტყვის, რომ ე. შევარდნაძის მმართველობის წლებში არც ერთი ნაკლი, რასაც ის წინა ხელმძღვანელობას უკრიტიკებდა არათუ მოისპო, არამედ კიდევ უფრო დახვეწილი და შენიღბული ფორმით საქართველოში მაინც არსებობდა და ქვეყანას სულიერად აჩიავებდა, ზნეობრივად ანადგურებდა. საუბრობენ მიწერების რაოდენობის სისტემატურ ზრდაზე, არაეფექტიან შრომაზე როგორც ქარხნებში, ისე განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, სადაც ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებამ ყველა მასშტაბი გადალახა. ექსპერტები მიანიშნებენ ფარული კორუფციის გაუგონარ მასშტაბებზე სწორედ XX საუკუნის 70-80-იან წლებში.

მაგრამ ეს საკითხები ჩვენი წინამდებარე ნაშრომის გასარკვევი საკითხი არ არის. ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს პოლიტიკურმა ლიდერმა ედუარდ შევარდნაძემ შეაფერხა თუ წინ წასწია ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი, შეუწყო თუ ხელი შეუშალა ქართული კულტურის, მწერლობის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარებას. ხომ ფაქტია, რომ მისი მოღვაწეობა მთლიანად დაემთხვა XX საუკუნის 70-80- იან წლებს, ე.ი. სწორედ იმ ისტორიულ პერიოდს, როცა კონსოლიდირებული ქართველი ერი ამ კონსოლიდაციის შედეგებს უკვე აშკარად ავლენდა და თანაც ავლენდა საკმაოდ ენერგიულად და ძალუმად.

ჩვენი აზრით, ამ პროცესის შეჩერება, შეფერხება, გაჩერებაც კი იმჟამად ძალიან ადვილი შესაძლებელი იყო, თუ კი ამას ძლიერი პოლიტიკური ფიგურა მოისურვებდა. მაგრამ, როგორც ისტორიული პროცესები ადასტურებენ – საქართველოში ეს ასე არ მოხდა. პირიქით, ამ პერიოდში საქართველოში მართლაც ძლიერ კულტურულ აღორძინებასთან გვაქვს საქმე. სად

იყო ამ ისტორიულ პროცესებში ე.შევარდნაძის დადებითი როლი და სად არა, ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ სპეციალურად ვისაუბრებთ.

§ 4. – ილია II-ის ფენომენი

1977 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე ავიდა ირაკლი შიოლაშვილი-ღუდუშაური – ილია II. იმჟამად სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ დიდი თეორიული და სამღვდელმთავრო გამოცდილებით აღჭურვილი საეკლესიო მოღვაწე. მან უმაღლესი საეკლესიო განათლება რუსეთში, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში მიიღო და საქართველოში სახელი გაითქვა ჯერ კიდევ კათოლიკოსის ტახტზე აღსაყდრებამდე დიდი ხნით ადრე: ის იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, საქართველოს საპატრიარქოში სხვადასხვა საპასუხისმგებლო მისიას ხელმძღვანელობდა, ღრმად იცნობდა მდგომარეობას ქართულ ეკლესიაში – რაც იმჟამად მეტად საჭალალო იყო. როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, ილია II-ს სამღვდელმთავრო ტახტზე აღსაყდრებისას საქართველოს ეკლესიას მართავდა შვიდწევრიანი წმინდა სინოდი (პატრიარქის გარდა მასში შედიოდა მხოლოდ ექვს ჰყავდა მღვდელმთავარი: 3 მიტროპოლიტი და 3 ეპისკოპოსი), საქართველოში მოქმედებდა 34 ეკლესია და 4 მონასტერი; საქართველოში მოქმედებდა 15 ეპარქია, რომელთაგან მხოლოდ 6 ჰყავდა მღვდელმთავარი, ხოლო ექვსში არ იყო არცერთი მოქმედი ეკლესია, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მოღვაწეობდა მხოლოდ 80 სასულიერო პირი[11].

ათეიზმის ნახევარსაუკუნოვანი ბატონობის შედეგები არამარტო საზოგადოებისათვის, არამედ საქართველოს მრევლისათვისაც უაღრესად შემაძრწუნებელი ჩანდა. ჩვენ წინა თაებში არაერთხელ აღვნიშნეთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭალალო მდგომარეობის შესახებ ათეისტური დიქტატურის პირობებში, როცა მიზანმიმართულად იდევნებოდა ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობა და მათი მსახურები.

ახალმა კათოლიკოს-პატრიარქმა მიზნად დაისახა არსებული ვითარება რადიკალურად შეეცვალა. სრულიად სამართლიანია გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მ. ქურდიანის შემდეგი მოსაზრება საქართველოს მწყემსმთავარზე: „საპატრიარქო მოღვაწეობა შეიძლება შევადაროთ იმ მძლავრი მდინარების დინების საწინააღმდეგოდ, რომელსაც უზარმაზარი ლოდები მოაქვს და მოსპობით გემუქრება. ამ დროს ფეხზე დგომაც კი გმირობაა. ღვთისა და მოყვასის განუზომელმა სიყვარულმა შეაძლებინა საქართველოს პატრიარქს ბოლო საუკუნეებში სულიერი განადგურების პირას მისული ერი კვლავ ღვთისკენ მოებრუნებინა და

ხელახლა დაეყენებინა სულიერი ამაღლების გზაზე. ერის სულიერმა განახლებამ ძლიერი ბიძგი მისცა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული მოძრაობის გამოღვიძებას“.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ათეისტური რეჟიმი მაქსიმალურად ზღუდავდა ახალი პატრიარქის მცდელობებს, ილია I-მ მაინც მონახა გზა საქართველოს ახალგაზრდობისაკენ. იგი ყოველ ოთხშაბათს, საღამოს,სიონის საკათედრო ტაძარში წირვაზე სხვადასხვა აქტუალურ თემაზე სასაუბროდ ქართველ ახალგაზრდობას ხვდებოდა. ეს საუბრები ეხებოდა საქართველოს ისტორიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ტრადიციული სულიერი ფასეულობების აღორძინების საკითხებს. პატრიარქი უდიდეს ენერგიას ახმარდა და დღესაც ახმარს ქართულ ხასიათში ჯერ კიდევ არსებული მანკიერი თვისებების აღმოფხვრას, ქრისტიანებში სიყვარულისა და ძმობის მარადიული იდეის ქადაგებას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრები იმდენად საინტერესო იყო, რომ ახალგაზრდები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების აკრძალვების მიუხედავად, მუდამ იკრიბებოდნენ და ყურადღებით უსმენდნენ ქართველების სულიერ მამას.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ფაქტობრივად განაახლა დიდი ხნის წინ მივიწყებული, „თერგდალეულების“ მიერ მიზნად დასახული საქმე – ზრუნვა ქართველი კაცის სულიერი გაჯანსაღებისათვის, ქართული ტრადიციული ღირებულებების ასაღორძინებლად, „ახალი ქართველის“ აღსაზრდელად, რომლისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა “ენა, მამული, სარწმუნოება“. ეს საქმიანობა ქართველი ერის კონსოლიდაციისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო – საქართველოს ახალმა კათოლიკოს-პატრიარქმა ეს საქმე ენერგიულად დაიწყო...

ილია II-ის მოკავშირეები ამ საქმეში ქართველი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც უდიდეს ძალისხმევას ახმარდნენ საქართველოს საპატრიარქოსთვის კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს. სწორედ მაშინ დაიწყო და გადაიდგა პირველი ნაბიჯები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქართველ მეცნიერთა შორის ხელოვნურად ჩატეხილი ხიდის აღსადგენად,

არ შეიძლება არ შევეხოთ ორი ქართველის – ედუარდ შევარდნაძისა და კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ურთიერთობის მტკიენეულ საკითხს სწორედ ათეიზმის ბატონობის პერიოდში. თავისი იმჟამინდელი იდეოლოგიური მსოფლმხედველობისა და პარტიული თანამდებობის გამო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს ლოიალური ურთიერთობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ვერ ექნებოდა, თუმცა იმ-

ჟამად არც მკვეთრი დაპირისპირების ფაქტების გახსენება შეუძლია ვინმეს. ისინი, თითოეული ცალ-ცალკე ენერგიულად და ბოლომდე გამეტებით აკეთებდნენ იმ საქმეს, რასაც საკუთარი რწმენა, ცხოვრებისეული გამოცდილება, ადამიანური სინდისი და პატიოსნება კარნახობდა. ორივე ქართველი ერისთვის იღვწოდა – თავისებურად, მაგრამ ენერგიულად. მათი გზები მალე გადაიკვეთება და ეს, როგორც ისტორია დაადასტურებს, კიდევ უფრო წაადგება ქართველი ერის შემდგომი განვითარების პროცესს.

§ 5. – ქართველი ერის კონსოლიდაციის ძირითადი შედეგები

5. 1 – სოციალური სტრუქტურა. მიგრაციული პროცესები.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს ახალი კათოლიკოს-პატრიარქის ისტორიული მისია დაიწყო სწორედ XX საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს, როცა ყველაზე უფრო რელიეფურად გამოიკვეთა კონსოლიდირებული ქართველი ერის შემოქმედებითი შესაძლებლობები, ისტორიული მიღწევები მეცნიერების, ხელოვნების, კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. და რაც მთავარია, გარკვეული აზრით, სწორედ ამ პერიოდში საქართველოში საბოლოო სახე მიიღო და რელიეფურად გამოიკვეთა ის დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური პროცესებიც, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ სწორედ ერის კონსოლიდაციის პროცესის განმტკიცების საქმეში.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ქართველების რიცხობრივი ზრდის შესახებ. 1937 წლის მასობრივი რეპრესიებისა და II მსოფლიო ომის ტრაგიკული შედეგების მიუხედავად საქართველოს მოსახლეობა, მათ შორის ქართველების ხვედრითი წილი, მუდამ იზრდებოდა. საქართველოში 60-იანი წლების დასასრულს 4 686 ათასი კაცი ცხოვრობდა (1970 წლის აღწერის მონაცემები). მოსახლეობის მატება წინა აღწერასთან შედარებით (1960 წ.) 13% იყო, რაც ნაკლებია 1950 წელთან შედარებით, როცა მოსახლეობის მატება 18% იყო. ეს მაჩვენებელი 70-იან წლებში კიდევ შემცირდა. თუმცა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური ზრდა აშკარაა – 1979 წლის აღწერით საქართველოში უკვე 5 მილიონზე მეტი მოსახლე ცხოვრობდა.

გაიზარდა ქართველების აბსოლუტური და შეფარდებითი ოდენობაც. თუ 1959 წელს საქართველოში ცხოვრობდა 2 600 ათასი ქართველი, 1979 წელს მათი რაოდენობა უკვე უდრიდა 3 433 ათასს, ხოლო ხვედრითი წილის მაჩვენებელი რესპუბლიკის დემოგრაფიულ ბალანსში 64, 3 პროცენტიდან გაიზარდა 68,8 პროცენტამდე.

მიუხედავად ამისა, უკვე შეიმჩნეოდა საქართველოს მოსახლეობის ზრდის ტემპების შემცირების ტენდენცია. ეს მდგომარეობა აიხსნება ძირითადი მოსახლეობის – ქართველების შობადობის შემცირებით. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ათეიზმის ბატონობის შედეგებიც უნდა დავინახოთ და ცივილიზაციის ზოგიერთი მავნე პროცესის ზეგავლენაც.

საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სტატუსით შედიოდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთში 1970 წელს ცხოვრობდა 486 959, აჭარაში 309 768, სამხრეთ ოსეთში 99 421 კაცი. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იმჟამად სრულად აკონტროლებდა ვითარებას ყველა ავტონომიურ რესპუბლიკაში, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსეთის პოლიტიკური ელიტის გარკვეული ჯგუფები სტალინის გარდაცვალების შემდეგ ფარულად ინტენსიურად მუშაობდნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ანტიქართული რეციდივების ასაღორძინებლად.

ამ საქმეში მათი ჩინებული მეკავშირე იყო ადგილობრივი რუსულენოვანი სკოლა, სადაც ფაქტორიეად იზრდებოდა აფხაზი და ოსი ახალგაზრდობა. განსაკუთრებული პრობლემები იქმნებოდა აფხაზეთში. ადგილობრივი მცხოვრები ქართველების გარკვეული ნაწილი რუსულ სკოლას ამჯობინებდა. იმჟამად რეგიონში კულტივირებული იყო აფხაზების აშკარად უსამართლო ეთნიკური ჰეგემონია, რაც ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას აიძულებდა სოციალური სტატუსის დასამკვიდრებლად რუსულ კულტურულ ფასეულობებზე აეღოთ ორიენტაცია ქართულის საზიანოდ. ეს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელი იყო, მაგრამ თბილისი უფრთხოდა აფხაზეთში ეთნიკურ გართულებას და ამ და სხვა უსამართლობებზე აშკარად თვალს ხუჭავდა. ეს კი პრორუსული ტენდენციების გაძლიერებას იწვევდა ადგილობრივ ქართველებში.

პრორუსულ მიდრეკილებებს აძლიერებდა აფხაზეთის სასაზღვრო მდებარეობაც და მისი საკურორტო სტატუსიც – ასიათასობით რუსი დამსვენებელი საქართველოს ამ ავტონომიურ რეგიონში ჰედონიზმის ელემენტებს ამკვიდრებდა, რაც, ჩვენი აზრით, ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას სიფხიზლეს უდუნებდა, ადგილობრივი ქართველების ერთი ნაწილის ფსიქიკას ამახინჯებდა და ამით, გარკვეული აზრით – აშორებდა ერთიანი საქართველოსაგან. იმჟამად აფხაზეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდობის ძირითადი ორიენტირი – რუსეთი, რუსული კულტურა, რუსეთის სამრეწველო ქალაქები, რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები და ცხოვრების რუსული წესი იყო. მოსკოვზე ძლიერ დამოკიდებულ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას ამ მდგომარეობის შეცვლა არ შეეძლო. რაც დრო გადიოდა ეს ზვავი სულ უფრო იზრდებოდა...

შეიძლება ამიტომაც იყო, რომ თუ დასაყრელეთ საქართველოდან, განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონიდან თბილისისაკენ საცხოვრებლად, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების ტენდენცია აშკარაა მთელ 60-70-იან წლებში, ეს ტენდენცია ნაკლებად შესამჩნევია აფხაზეთის მაგალითზე. აქედან ქართველების ლტოლვა მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვის და რუსეთის სხვა ქალაქებისკენ უფრო რელიეფური და განმსაზღვრელი ჩანს.

ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესების ზეაღმავალი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიულ მოძრაობას, რაც საბოლოოდ ანადგურებს ტერიტორიული სეპარატიზმის გადმონაშთებს და საბოლოო ერთიანობას აყალიბებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაციის ტენდენცია უპირატესი იყო მთელი 60-70-იანი იანი წლების გამავლობაში. 1970 წელს საქართველოს მიგრაციულ ნაკადებში შიდამიგრაციული პროცესები აშკარად წამყვანი ჩანს (66 669 კაცი)[12]. ამ წლებში აღწერის დროს უკვე აღარ ითვალისწინებდნენ ტომობრივ მაჩვენებელს, ამიტომაც ჩვენ არ ვიცით როგორი იყო შიდამიგრაციული პროცესები, რამდენი მცხოვრები ჩამოვიდა ან წავიდა გურიიდან, კახეთიდან, სამეგრელოდან თუ აჭარიდან.

შიდამიგრაციული ნაკადები, თავისთავად, ნეგატიურ პროცესებსაც იწვევდა – საქართველოს მთის რეგიონები დაცარიელდა. მოსახლეობის ჩამოსვლა ბარში, განსაკუთრებით სამრეწველო ქალაქებში, პერმანენტული გახდა.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოში კიდევ უფრო განმტკიცდა ის სოციალური სტრუქტურა, რაც სტალინის მმართველობის პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა. საქართველოში გაიზარდა მუშების, გლეხების, ინტელიგენციის რაოდენობა. საქართველოს მთელი დასაქმებული მოსახლეობა 1970 წელს 2 101 734 კაცს შეადგენდა. აქედან მუშა იყო – 956 780, კოლმეურნე – 521 575, მოსამსახურე – 608 736 კაცი. ეს რაოდენობა მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაიზარდა.

მუშები, საბჭოთა საქართველოს ძირითადი სოციალური კატეგორია, დაკავებული იყვნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, ტყიბულის, ჭიათურის, ტყვარჩელის, ზესტაფონის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო საწარმოებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში, მშენებლობაში და ა.შ..

მუშათა შორის მნიშვნელოვან რაოდენობას ქალები შეადგენდნენ. საქართველოს მრეწველობაში 387 651 ქალი იყო დაკავებული (სულ მუშა იყო 956 780). ისინი ძირითადად მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში იყვნენ დასაქმებულნი, მაგრამ ბევრი იყო ქალი მძიმე მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და სხვა საწარმოებშიც.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მთავარი და ძირითადი ნაწილი საკოლმეურნეო შრომის სფეროში იყო ჩაბმული — საქართველოში კოლმეურნე იყო 521 575, მათ შორის უმეტესობა — 286 568 ქალია.

საბჭოთა სისტემის კრიზისის პირობებში, ქალი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საკოლმეურნეო ცხოვრებაში — ამის მიზეზი იყო ის, რომ მამაკაცები ძირითადად საკარმიდამო მამულის დამუშავებით იყვნენ დაკავებულნი. ეს მათი ოჯახური ბიუჯეტის ძირითადი და მთავარი წყარო იყო.

საქართველოს სოციალური სტრუქტურის მესამე შემადგენელი ნაწილი — მოსამსახურეები — მეტად მრავალფეროვანი კატეგორია იყო. იგი აერთიანებდა მეცნიერებს, პედაგოგებს, ექიმებს და უბრალოდ — მომსახურების სფეროში დაკავებულ ადამიანებს. საქართველოში, საბჭოთა სტატისტიკით, 608 736 მოსამსახურე იყო.

მთავარი სოციალური ფენა, რა თქმა უნდა, ინტელიგენციაა. საქართველოში შეიქმნა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ფენა: ადამიანების ნაწილი, რომლებიც დაკავებული იყვნენ მეცნიერებაში, ხელოვნებასა და ჯანმრთელობის დაცვაში. 60-იან წლებში ეს დარგები საქართველოში პრესტიჟული და პრიორიტეტულია. საქართველოში 1970 წელს ამ დარგებში (მეცნიერება, ჯანდაცვა, ხელოვნება) დასაქმებული იყო 343 507 კაცი — ეს გახლდათ საქართველოს ინტელექტუალური ელიტა.

განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავათ მეცნიერებაში დასაქმებულ ადამიანებს. შრომის ამ სახეობით საქართველოში დაკავებული ადამიანების რიცხვი სისტემატიურად იზრდებოდა: თუ 1960 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 9 137 კაცს, 1970 წელს უკვე — 20 160 კაცს. მეცნიერების დოქტორების რაოდენობა იმავე პერიოდში 430-დან 989-მდე გაიზარდა. ასევე გაიზარდა ასპირანტების საერთო რაოდენობაც, 1970 წელს საქართველოში 1427 ასპირანტი იყო[13].

როცა ჩვენ აღვნიშნავთ, რომ 50-80-იან წლებში ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის განმტკიცება-განვითარების საქმე ხელში აიღო ქართველმა ინტელიგენციამ — ჩვენ სწორედ ვგულისხმობთ ქართველი ინტელიგენციის რაოდენობისა და თვისებრიობის, მისი ადგილისა და მნიშვნელობის ზრდას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში: როგორც რიგითი, ისე შემოქმედებითი ინტელიგენცია ერთობლივი ძალისხმევით, საბჭოთა სისტემის პირობებში, საბჭოთა ღვედებით შეზღუდული, უამრავი შემბოჭავი ფაქტორის მიუხედავად, იღვწოდა და ძალიან ენერგიულად **აკეთებდა ქართულ საქმეს** — აყალიბებდა ერთიან ქართულ სუბსტრატს — ეკონომიკურად დაწინაურებულს, ინტელექტუალურად განვითარებულს, საგრძნობლად განათლებულს, აშკარად შემოქმედს. მხოლოდ ამის საფუძველზე მოხდა ის

ჭეშმარიტი აღორძინება, რაც საქართველოში სწორედ ამ პერიოდში ასე რელიეფურად წარმოჩნდა და გამოვლინდა.

5. 2 – ქართველი ერის ეკონომიკური ცხოვრება

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ნებისმიერი ერის კონსოლიდაციის საფუძველი – მოწესრიგებული, აღმავალი, მუდამ განვითარებადი ეკონომიკური ცხოვრებაა. 60-80-იან წლებში, გარკვეული პრობლემების მიუხედავად, საქართველოში ეკონომიკური ცხოვრება აშკარად ვითარდება, რა თქმა უნდა, საბჭოთა ეკონომიკის კანონების მიხედვით. გეგმური ეკონომიკა, კონკურენციის არარსებობა, საზოგადოებრივი საკუთრება მუდამ იწვევდა ეკონომიკურ პრობლემებს, ჩამორჩენას, დეფიციტს. მაგრამ მიუხედავად ამისა – საქართველოში ეკონომიკა მაინც ვითარდებოდა. ზოგ შემთხვევაში – ინტენსიურად, ზოგჯერ – ექსტენსიურად. გარკვეულ ეტაპზე ეკონომიკის ზრდა უზრუნველყო დაგეგმვის და მატერიალური სტიმულირების იმ ახალმა სისტემამ, რაც ნ. ხრუშჩოვის დამხობის შემდეგ ძალიან სწრაფად დაინერგა საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც.

სამრეწველო საწარმოები რომლებიც გადადიოდნენ ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, ამუშავებდნენ ეკონომიკურად დასაბუთებულ სქემებს. ამ ეტაპზე მეტი ყურადღება დაეთმო შრომის ნაყოფიერების ზრდას, საამქროებში სამეურნეო ანგარიშის სრულყოფას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას. 1967 წელს საქართველოში სულ რვა საწარმო მუშაობდა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი პრინციპების საფუძველზე, 1970 წელს რესპუბლიკის წამყვანი 800 საწარმო, რომლებიც საქართველოს მთელი მრეწველობის 83 %-ს აწარმოებდა, უკვე ახალი ეკონომიკური პრინციპებით მუშაობდა.

ეკონომიკური რეფორმების რეალიზაცია დაემთხვა საქართველოში ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის, ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობის უპირატეს განვითარებას. საქართველოს მდიდარი სანედლეულო ბაზა ამის შესაძლებლობას იძლეოდა. სახე იცვალა რუსთავმა, მეტალურგიასთან ერთად ის ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვანი ბაზა გახდა – განვითარდა აზოტოვანი სასუქების, სინთეზური ბოჭკოების წარმოება. იზრდებოდა ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ეკონომიკური შესაძლებლობები, ასევე ქიმიური პრეპარატების, კოფეინის და სხვა საწარმოო სიმძლავრეები.

1965 წელს საქართველოს ელექტროენერგეტიკამ გამოიმუშავა 6 მილიარდი კვტ.სთ ელექტროენერგია, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი რესპუბლიკის მზარდი ეკონომიკისთვის. დიდ იმედებს ამყარებდნენ უნიკალური მშენებ-

ლობის – ენგურჰესის დასრულებაზე – თაღოვანი კაშხალი ევროპაში ყველაზე მაღალი (271.5 მ.) უნდა ყოფილიყო. ენგურჰესი გადაწყვეტდა საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემას, რადგან მისი სიმძლავრე 1 300 ათასი კვტ-ს უტოლდებოდა. პარალელურად, მიმდინარეობდა ვარციხისა და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. საქართველო 1976 წელს უკვე 12 094 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას აწარმოებდა[14]. ფაქტობრივად 10 წლის განმავლობაში საქართველომ ელექტრორესურსის წარმოება გააორმაგა. ეს დიდი მიღწევა იყო.

სწრაფი ტემპით შენდებოდა მადნეულის კომბინატი – ადგილობრივი ფერადი ლითონების გადასამუშავებლად. ეს უნიკალური საბადო უხვად შეიცავდა სპილენძს, ტყვიას, ბარიტს, თუთიას და ა.შ..

რეფორმამ საქართველოში მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების, ელექტროტექნიკური, საინსტრუმენტო, საავტომობილო მრეწველობის, სატრაქტორო წარმოების, კვების ტექნოლოგიური მოწყობილობების წარმოების განვითარება დააჩქარა. თუმცა, სიძნელეებიც შექმნა: საქართველოს ეკონომიკის რიგი დარგები მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის, განსაკუთრებით რსფსრ-ს საწარმოებიდან მიღებულ ნედლეულსა და მოწყობილობებზე.

არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ერთი გარემოება, რაც 60-იანი წლებიდან განსაკუთრებით გავრცელდა და რომლის დახმარებით საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა ასეთი ფორმით ცდილობდა ეროვნული სულისკვეთების გამოხატვას – საქართველოში შექმნილ ან ქართული საწარმოს მიერ ათვისებულ პროდუქციას უმატებდნენ განსაზღერებას „ქართული“ – ასე გამოჩნდა ბაზარზე „ქართული ელმავალი“, „ქართული პიანინო“. „ქართული კონიაკი“, „ქართული ჩაი“, ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, „ქართული ავტომობილი“ და ა.შ.. ვარაუდობდნენ, რომ ინტერნაციონალისტურ სახელმწიფოში ასეთი ფორმით წარმოაჩენდნენ ეროვნულ ფაქტორს, ყურადღებას ეროვნული ფასეულობებისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში არსებული სერიოზული პრობლემების მოწესრიგებას ითვალისწინებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი. 60-იან წლებში უკვე აშკარა გახდა სოფლად აგრარული ურთიერთობების მახინჯი ხასიათი: დაბალი პროდუქტიულობა, უპასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი ქონების დაცარცება და ა.შ..

ახალი ეკონომიკური რეფორმის საერთო მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინსვლისა და განვითარებისთვის გამოიყო ასიგნებანი სამელიორაციო სამუშაოების გასაფართოებლად, ახალი ნასვენი და ყამირი მიწების ასათვისებლად. ყურადღება მიექცა სოფლის მეურ-

ნეობის მექანიზაციას და ავტომატიზაციას, ახალი, ეფექტური სასოფლო-სამეურნეო მანქანებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგებას, მინერალური სასუქების შეტანას.

60-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში 1435 კოლმეურნეობა და 168 საბჭოთა მეურნეობა იყო. 1976 წელს კოლმეურნეობათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა – საქართველოში 729 კოლმეურნეობა დარჩა. ამის მიზეზი წვრილი კოლმეურნეობების გაერთიანება და ზარალიანი კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გადაკეთების პრაქტიკა გახდა. საქართველოში 1976 წელს მკვეთრად გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების რიცხვი (382 მეურნეობა) .

სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ დარგების ინტენსიურ განვითარებას, რაც საერთო-საკავშირო დარგობრივი კულტურების განაწილებაში საქართველოს იმიჯს ქმნიდა: მევენახეობას, მეჩაიეობასა და მეციტრუსეობას.

დასავლეთ საქართველოში ციტრუსების დამზადება სოფლის მეურნეობის მთავარი და წამყვანი მიმართულება იყო: თუ 1960 წელს ციტრუსების პლანტაცია გაშენებული იყო 9,3 ათას ჰექტარზე, 1970 წელს – 16,3 ათას ჰექტარზე, 1976 წელს – 18,4 ათას ჰექტარზე. ასევე გაიზარდა ჩაის პლანტაციების საერთო მოცულობაც: 1960 წელს იყო – 55,6 ათასი ჰექტარი, 1970 წელს უკვე 64,8 ათასი ჰექტარი, ხოლო 1976 წელს – 66,1 ათასი ჰექტარი[15].

საქართველოს ყველა სახის მეურნეობაში ყოველწლიურად იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებითი მაჩვენებელი: ოფიციალური სტატისტიკით, თუ 1960 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა აწარმოეს 906 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, 1970 წელს – 1 704 მილიონი მანეთისა, ხოლო 1976 წ. – 2 287 მილიონი მანეთის პროდუქცია[16] (მიწერებისა და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების გაყალბების გამო დღეს ეს მონაცემები ეჭვს ბადებს – ა.დ.).

საქართველოს აგრარულ სექტორს ძალას აცლიდა ე.წ. „საბჭოთა დუალიზმი" სოფლის მეურნეობაში. პირადი დამხმარე მეურნეობის ადგილი და მნიშვნელობა ქართველი გლეხის ეკონომიკურ ცხოვრებაში ყოველწლიურად იზრდებოდა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ცხოვრების შედარებითმა ლიბერალიზაციამ, დისციპლინის მოშლამ, იძულების მექანიზმის შესუსტებამ გლეხის ყურადღება საკარმიდამო ნაკვეთზე გადაიტანა: საუკეთესოდ მოვლილი, დროულად დამუშავებული კერძო ნაკვეთები საჰექტარო მოსავლიანობით ბევრად სჭარბობდნენ საზოგადოებრივ მეურნეობებს. პირად სარგებლობაში მყოფი საქონელიც უფრო მოვლილი და პროდუქტიული იყო, ვიდრე საზოგადოებრივ ფერმებში (ხრუშჩოვის დამხობის შემ-

დეგ შეზღუდვები კერძო საქონლის ყოლაზე – გაუქმდა). ეს ტენდენცია 60-იან წლებში უკვე აშკარად შესამჩნევი გახდა.

წინააღმდეგობების, სიძნელეების მიუხედავად, 60-იანი წლების მეორე ნახევარში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა უზრუნველყვეს საბჭოთა ეკონომიკის ვარდნის დროებითი შეჩერება, ფინანსური დაგროვება, საბჭოთა მოსახლეობის ახალი სოციალური პროგრამების განხორციელება.

საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის (ე. შევარდნაძისა და მისი პოლიტიკური გუნდის) მიზანი საქართველოს მრეწველობის ინტენსიური განვითარება იყო. 70-იანი წლების მეორე ნახევარში გაიზარდა ასიგნებანი მრეწველობის შემდგომი ინტენსიური განვითარებისთვის. 1976 წელს საქართველოში 1127 სამრეწველო საწარმო იყო, მათ შორის 94 – საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება.

თუმცა, მრეწველობის მართვის ძირითადი ბერკეტები კვლავ ძველებურია: კომუნისტური შრომის ბრიგადები, სოციალისტური ვალდებულებები, სოციალისტური შეჯიბრებები, პატრიოტული თაოსნობები, ინიციატივები და ა.შ..

70-იან წლებში საქართველოს მრეწველობა შედარებით სტაბილურად ვითარდებოდა. ამ პროცესს მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ეკონომიკური რეფორმების რეალიზაცია, მატერიალური სტიმულირების შედარებით ეფექტური სისტემის ამოქმედება, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობის ინტენსიფიკაცია.

ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციის დროს, დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესებამ პირობები შექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის. გაიზარდა კოლმეურნეობების დაკრედიტება, კაპიტალდაბანდებების მოცულობა, მეტად განვითარდა მექანიზაცია სოფლად, ყურადღება დაეთმო შრომატევადი პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

მიუხედავად პრობლემებისა, საქართველოს სოფელში წარმატებული, მომგებიანი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები მრავლად იყო, იყვნენ მილიონერი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ბევრი მათგანი ორგანიზაციულად და ფინანსურადაც საუკეთესო ევროპულ ფერმებს არ ჩამოუვარდებოდა. ამაზე მიანიშნებს ის, რომ 60-70-იან წლებში საქართველოში ჩამოდიოდნენ ქართველი გლეხის გამოცდილების შესასწავლად თურქეთიდან, უნგრეთიდან, ინგლისიდანაც კი[17]. ისინი ეცნობოდნენ ჩაის წარმოების, ხილის მოყვანის, ციტრუსების გამოზამთრების აღგილობრივ გამოცდილებას.

ამრიგად – საქართველოს სოფელი ინარჩუნებდა მკვეთრად ჩამოყალიბებულ ინდუსტრიულ პროფილს და გამოირჩეოდა მრავალდარგოვანი სტრუქტურით. იყვნენ სასოფლო-სასეურნეო ორგანიზაციები, რომლებიც 16

სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობდნენ და შედეგებიც დახარჯული შრომის შესაფერი ჰქონდათ: ზოგს უფრო კარგი, ზოგს საშუალო და ზოგიც აუტსაიდერი იყო. იმისათვის, რომ ქართული სოფელი უფრო ნაყოფიერი და მდიდარი გაეხადა, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა ეკონომიკურ ექსპერიმენტებს არ ერიდებოდა. სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მართვის რაციონალური ფორმის ძიება – საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა. საკავშირო რეზონანსი ჰპოვა ე. წ. „აბაშის ექსპერიმენტმა“, რაც საქართველოს სინამდვილეში სოფლის მეურნეობის უფრო რაციონალური ფორმების, შრომის საბოლოო შედეგით გლეხის დაინტერესებას ითვალისწინებდა. ანაზღაურების მოცულობა დაუკავშირეს პროდუქციის ხარისხს. ექსპერიმენტის საყოველთაო გაერცელებას ხელი შეუწყო მწერალ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობამ „რა მოხდა აბაშაში?“.

უფრო მოგვიანებით, ქალაქ ფოთშიც განხორციელდა ექსპერიმენტი: შეიქმნა თვითმმართველობის ტერიტორიულ-დარგობრივი ორგანო. მის იურისდიქციაში მოაქციეს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, რომლებსაც დაევალათ, თავისი წვლილი შეეტანათ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერებისა და განვითარების საქმეში.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ მოახერხა და მოსკოვის მხარდაჭერით დაიწყო საქართველოს სამრეწველო სექტორის ტექნიკური გადაიარაღების პროცესი: ქუთაისის სამრეწველო საწარმოები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, თბილისისა და რუსთავის საკავშირო მნიშვნელობის საწარმოებში დაიწყო ტექნიკური გადაიარაღება, შემოჰქონდათ და ამონტაჟებდნენ ახალ მანქანა-დანადგარებს, ძვირადღირებულ მოწყობილობებს. ამრიგად, მართლაც **კეთდებოდა ქართული საქმე**.

ოფიციალური სტატისტიკით, 70-იანი წლების მეორე ნახევარი და 80-იანი წლების დასაწყისი საქართველოს ეკონომიკური წინსვლის პერიოდი იყო, რის გამოც საქართველო მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და პერმანენტულად იღებდა გარადამაეალ წითელ დროშას.

ეს ეკონომიკური ზრდა და წინსვლა მოსახლეობის ფართო ფენების შემოსავლებზეც უნდა აისახოს, მხოლოდ მაშინ აქვს ფასი ეკონომიკური ცხოვრების წინსვლას. როგორც დასტურდება, ამ მხრივაც საქართველოში შეიმჩნეოდა გარკვეული პროგრესი.

ოფიციალური სტატისტიკით, 60-80 იანი წლების სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები აშკარად აისახა საქართველოს ეროვნული შემოსავლის ზრდის მაჩვენებელზე: თუ 1966 წელს საქართველოს ეროვნული შემოსავალი 3 022,1 მილიონ მანეთს უდრიდა, უკვე 1968 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 3 374,2 მილიონი მანეთი, ხოლო 1970 წელს – 4 099,2 მილიონი, ხოლო 1976 წელს ეროვნულმა შემოსავალმა 5 784, 4 მილიონი მანეთი შეადგინა[18].

სახელმწიფოს სოციალური პროგრამების შედეგად ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა მოსახლეობის რეალური შემოსავლებიც – 60-იან წლებში, განსაკუთრებით ეკონომიკური რეფორმების პერიოდში, ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოს მოსახლეობის რეალური შემოსავალი ყოველწლიურად 5-7 %-ით იზრდებოდა.

ნაკლოვანებების – „ნეგატიური მოვლენების" მიუხედავად, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბჭოთა სისტემის მონაპოვარი იყო უფასო ბინა, უფასო სამედიცინო მომსახურება. მე7 ხუთწლედში (1966-1970 წლებში) საქართველოში აშენდა 7 916 ათასი კვმ საცხოვრებელი ფართი, აქედან, სახელმწიფოსა და კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ 3 346 ათასი კვმ, მუშებისა და მოსამსახურეების მიერ, საკუთარი ხარჯით და სახელმწიფოს დახმარებით აშენდა – 2 177 ათასი კვმ საცხოვრებელი ფართი, კოლმეურნეებმა თავისი ხარჯით და სახელმწიფოს დახმარებით აიშენეს 2 395 ათასი კვმ საცხოვრებელი ფართი. აღნიშნულ პერიოდში საბინაო პირობები ოფიციალური სტატისტიკით გაიუმჯობესა 705 ათასმა მოქალაქემ. თუ ეს ასეა, მაშინ მართლაც **კეთდებოდა ქართული საქმე.**

ეს მაჩვენებელი შემდგომ წლებშიც იზრდებოდა. როგორც ოფიციალური საბჭოთა სტატისტიკა ამტკიცებდა 1961 -1979 წლებში საქართველოში ექსპლოატაციაში გადაეცა 560 ათასი კეთილმოწყობილი ბინა, ხოლო საბინაო პირობები გაიუმჯობესა 3 მილიონმა ადამიანმა. შეიძლება შემომედავონ, რომ ეს იყო უხარისხო, დაბალ კომფორტული, გასარემონტებელი ბინები, რომლის კონდიციამდე მიყვანა საბჭოთა ადამიანს დამატებითი, საკმაოდ დიდი, თანხები უჯდებოდა. დიახ, ეს ასე იყო, მაგრამ საბურთალოს, დიღმის, გლდანის, მუხიანის, ვარკეთილისა და ვაზისუბნის საცხოვრებელი მასივების მასშტაბებს დღესაც ვერავინ გადააჭარბა. ამ სახლებში ასეულ ათასი საქართველოს მოქალაქე ცხოვრობდა და დღესაც ცხოვრობს. კიდევ უფრო მთამბეჭდავი იყო საცხოვრებელი ბინათმშენებლობა სოფლად.

70-80-იანი წლების პერიოდში მთლიანად სახე იცვალა ქართულმა სოფელ-

მა. ორსართულიანი, წარმოსადეგი სახლები (თუმცა ძირითადად ერთსახოვანი) ქართველი გლეხის მზარდი ეკონომიკური შესაძლებლობების ნათელი დემონსტრაცია იყო. ახლადაშენებულ ბინებს ძირითადად საქართველოს ავეჯის ფაბრიკების (ქუთაისის, თბილისის, ახალდაბის და ა.შ.) პროდუქციით ამშვენებდნენ, თუმცა უკვე ბევრი გამოჩნდა ისეთი, რომელიც იმპორტულ ავეჯს (პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისი და სხვა სოციალისტური ქვეყნების პროდუქციას) ყიდულობდა. ქართულ სოფელში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და ვიზუალური იერსახე ზოგიერთი ჩვენი მეზობელი რესპუბლიკის ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლის დაუფარავ გაღიზიანებას იწვევდა.

ეკონომიკური წინსვლა აისახა მოსახლეობის ეკონომიკურ შესაძლებლობებზეც — გაიზარდა მათი პირადი დანაზოგების ოდენობა — თუ 1960 წელს საქართველოში პირადი ანაბრები ჰქონდა 760 ათას კაცს, 1965 წელს — 785 ათასს, 1970 წელს — უკვე 1146 ათას კაცს გააჩნდა გადანახული თანხა. საგრძნობლად იმატა ანაბრების საშუალო მაჩვენებელმაც — 282 მანეთიდან (1960 წ.) 1 016 მანეთამდე (1970 წ.) გაიზარდა. 1976 წელს ანაბრების საშუალო რაოდენობამ 1 361 მანეთი შეადგინა (1940 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა მხოლოდ 40 მანეთს). საერთოდ, საქართველოს მშრომელებს (1 506 ათას კაცს) შემნახველ სალაროში **შენახული ჰქონდა 2 მილიარდზე მეტი მანეთი**[19]. თუ გავითვალისწინებთ, რომ 80-იანი წლების დასაწყისში მანეთი საკმაოდ სტაბილური ვალუტა იყო, გასაგები გახდება რა კოლოსალური ქონება ინახებოდა საქართველოს ბანკებში. ეს მაჩვენებელი 80-იან წლებში კიდევ უფრო გაიზარდა.

სტატისტიკური კრებულები არაფერს ამბობენ, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სისტემატურად ყიდულობდა და აგროვებდა საიუველირო ნაწარმს, ოქროს, ვერცხლეულს, ძვირადღირებულ სამკაულებს. შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასეულობის უდიდესი მარაგი ქართველების საოჯახო საცავებში, რომელიც ყოველწლიურად იზრდებოდა — ესეც ხომ ერის ეკონომიკური ძლიერების საფუძველი იყო.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა გაყიდული ძვირადღირებული საქონლის: ტელევიზორების, პიანინოების, ავეჯის და სხვა საგნების რაოდენობრივი მაჩვენებელი. საკავშირო საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოში ცხოვრების დონე აშკარად მაღალი იყო. სამწუხაროდ, სტატისტიკურ კრებულებში არ არის დაფიქსირებული საქართველოში გაყიდული ავტომობილების რაოდენობა, რაც, ასევე, ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგალითად, ტელევიზორების გაყიდვის მაჩვენებელი 20 წლის მანძილზე გაი-

ზარდა 57.9 ათასიდან 94,4 ათასამდე; მაცივრების – 30,9 ათასიდან 57,2 ათასამდე, სარეცხი მანქანების – 23.7 ათასიდან 48,4 ათასამდე და ა.შ. განსაკუთრებით პოპულარული საქართველოში იყო პიანინო. ის გადაიქცა ქარიშული ოჯახის აუცილებელ ატრიბუტად, კეთილდღეობის გამოხატულებად. 1976 წელს პიანინოებისა და როიალების გაყიდვის მაჩვენებელი ავიდა 8.9 ათასამდე (20 წლის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 4.4 ათას უდრიდა.) უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობდა თბილისური პიანინო „საქართველო“.

სტატისტიკური ცნობები მიანიშნებენ, რომ სახეზეა საქართველოს მოსახლეობის კვებითი რაციონის სისტემატური ზრდა მაღალკალორიული საკვები პროდუქტებით, ხორცით, ცხიმით, თევზით, პურ-ფუნთუშეულით. სტატისტიკური კრებულები იმასაც ასახავენ, რომ გარკვეულ წლებში საბჭოთა კავშირში სერიოზული პრობლემები შეიქმნა მოსახლეობის ხორცით, კარაქით და სხვა აუცილებელი, პირველადი მოხმარების პროდუქტებით მომარაგების საქმეში.

მაგრამ, ეკონომიკური სიძნელეებისა და კრიზისის მიუხედავად, ათეული წლების მანძილზე სასურსათო პროდუქციის ფასი უცვლელი რჩებოდა.

გარკვეული ყურადღება ექცეოდა მოსახლეობის ჯანდაცვას, დასვენებას, კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სოციალური მომსახურების ყველა ამ კატეგორიაში საქართველოში თვალსაჩინო წინსვლა ჩანს – საქართველო იყო ტურიზმის ცენტრი, მარტო 1976 წელს საქართველოს სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში დაისვენა დაახლოებით 600 000 დამსვენებელმა. დამსვენებლების საკმაოდ დიდი ნაწილი ისვენებდა კერძო მაცხოვრებლებთან, რომლებსაც ტურისიტების მომსახურება დამატებით შემოსავლის წყაროდ ჰქონდათ გადაქცეული. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით შავი ზღვის აგარაკებზე იყო გავრცელებული. 70-80-იან წლებში ხელისუფლება ამ „ბიზნესს“ უკვე აღარ კრძალავდა და ის ოჯახის ბიუჯეტს მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა, ანუ აქაც კეთდებოდა ქართული საქმე.

შედარებით მატერიალურად უზრუნველოფილი ქართველობა იმჟამად უფრო იცლიდა მშობლიური ლიტერატურისათვის, კულტურისა და ხელოვნებისათვის, რაც, ქართველი ინტელიგენციის ხელშეწყობით, იმ წლებში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში ქართულ საგანმანათლებლო სივრცის მთავარი განმსაზღვრელი იყო მშობლიური ენა და ლიტერატურა. ქართული ენის გრამატიკასა და სინტაქსს, მშობლიურ ლიტერატურას ქართულ სკოლაში ამ წლებში დიდი ყურადღება ეთმობოდა. საათების რაოდენობა უზრუნველყოფდა ქართული ენისა და ლიტერატურის საპროგრამო მოთხოვნების, შესაბამისი სურვილის არსებობის პირობებში, სრულ ათვისებას. იმ დროს ქართული ლიტერატურის სასკოლო პროგრამები ძველი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების შესწავლას აუცილებლად ითვალისწინებდა. ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურა (შუშანიკის მარტვილობა, აბო თბილელის წამება და ძველი ქართული ლიტერატურის სხვა შედევრები) ისწავლებოდა და მუშავდებოდა, ნაწყვეტებს ამ თხზულებებიდან ქართველი ახალგაზრდები ზეპირად სწავლობდნენ. ასევე, აუცილებელი იყო ქართული ენის გრამატიკისა და სინტაქსის საფუძვლების ღრმა ცოდნა, რასაც სრულყოფილად იძლეოდა ა. შანიძის მიერ დაწერილი, ჩვენ მიერ უკვე არაერთხელ აღნიშნული, სასკოლო სახელმძღვანელოები.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში იყო სიძნელეებიც – გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა ახალგაზრდების მიერ სკოლაში სალიტერატურო მეტყველებისა და აზროვნების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შეთვისების დონე. განათლების სამინისტროს რევიზორ-ინსპექტორები იტყობინებოდნენ, რომ „რიგი სკოლების მოსწავლეებს არა აქვთ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების, მკვიდრი, საფუძვლიანი ცოდნა. აშკარად შეინიშნება, რომ ისინი არასაკმაო დაინტერესებას იჩენენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლისადმი. არაიშვიათად შეხედებით მრთლწერის ელემენტარული წესების უცოდინრობას... მოსწავლეთა ერთი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად იცნობს მხატვრულ ნაწარმოებებს“ და ა.შ..[20]

ქართული ენისა და ლიტერატურის დაუფლების საქმეში რთული ვითარება იყო ზოგიერთი სოფლის სკოლებშიც. რევიზიის შედეგები მიუთითებენ, რომ „სოფლის დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან დედაენის პროგრამით შესწავლილი მასალა, უჭირთ სწრაფი, გამართული, გამომეტყველებითი კითხვა, წაკითხული მასალის გააზრებული გადმოცემა, სუფთად, ლამაზად, შინაარსიანად წერა“[21].

რა თქმა უნდა, ასეთი ნაკლი შეიმჩნეოდა ქართულ სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის შესწავლის დროს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ქართულ სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის მიმართ დამოკი-

დებულება ღირსეული და შემოქმედებითი იყო. ამაზე მიუთითებს იმ წლებში გამართული უამრავი ლიტერატურული ოლიმპიადა, შემოქმედებითი კონკურსი, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლიტერატურის წრის მიერ რესპუბლიკური მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებები, რომლებიც უწყვეტად ავლენდნენ ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტებს, მწერლებს, მხატვრული სიტყვიერების ჭეშმარიტ ახალბედა დიდოსტატებს.

60-80-იან წლებში მშობლიური ენის გამორჩეულ სიყვარულს, გარკვეულწილად, აპირობებდა ირაკლი აბაშიძის გენიალური ქმნილება: „ხმა კატამონთან“, რომელიც მართლაც რელიეფურად ავლენს ქართველის უაღრესად მოკრძალებულ დამოკიდებულებას მშობლიური ენისადმი. პოეტმა ამ ლექსში სრულად ჩამოაყალიბა ის ღრმა ემოციური მუხტი, რაც ეუფლება თვითოეულ ქართველს მშობლიურ ენასთან დამოკიდებულების, მისი ისტორიული მნიშვნელობის სუბლიმირებული გააზრების დროს:

„ო, ენავ ჩემო
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, *კირო ჩვენთა ქგათა და კირთა,* (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან“...

ამრიგად, პოეტი თვითონაც გრძნობს და სხვებსაც ასწავლის ქართული ენის უდიდეს მნიშვნელობას ერის ერთიანობის, კონსოლიდაციის მიღწევის საშვილიშვილო საქმეში. ამ ლექსს ქართველი ახალგაზრდები ზეპირად სწავლობდნენ, მხატვრულ შემოქმედებით ოლიმპიადებზე კითხულობდნენ, იმჟამად ლექსის პოპულარობა საყოველთაო იყო.

პერიოდულად იმართებოდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მთქმელთა რესპუბლიკური კონკურსები, ყველა თაობის წარმომადგენლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს შოთას უკვდავი პოემის სრულყოფილ ცოდნაში. საქართველოში ისეთებიც გამოელინდნენ, რომლებმაც ბოლომდე ზეპირად იცოდნენ პოემა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტელევიზიამ, რომლის მაუწყებლობა მთელს საქართველოს სწვდებოდა, შემოიღო სპეციალური გადაცემა – „პოეზიის ხუთი წუთი“, რომელშიც რესპულიკის წამყვანი დეკლამატორები ქართული კლასიკური თუ თანამედროვე პოეზიის შედევრებს კითხულობდნენ, აცნობდნენ მათ მოსახლეობას და პოპულარიზებას უკეთებდნენ დიდებულ ქართულ ლიტერატურას.

1966 წელს თბილისში გაიმართა შოთა რუსთაველის დაბადების 800

წლისთავის იუბილე, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი და სიყვარული ქართული ლიტერატურის ნიმუშებისადმი. საიუბილეოდ საქართველოში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ პოეტები, მწერლები, ლიტერატორები. იუბილესთან დაკავშირებულმა სამეცნიერო შეხვედრებმა, სიმპოზიუმებმა კვლავ დაადასტურა ქართული, განსაკუთრებით ქართველოლოგიური მეცნიერების, მაღალი დონე.

ეს წლები ქართული ლიტერატურის აღმავლობის წლებია. ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას აგრძელებდნენ პოეტები: ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, კარლო კალაძე, მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ მარგიანი, ანა კალანდაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, იოსებ ნონეშვილი, ფრიდონ ხალვაში და სხვები. ქართული ლირიკა ამ წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა შინაარსით, გაძლიერდა ინტერესი რთული პოეტური სახეებისადმი. უფრო აშკარად და უფრო ხმამაღალა ჟღერდა სამშობლოს თემა, პატრიოტული მოტივი.

70-იან წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს ეთიკურმა პრობლემებმა: პიროვნება და საზოგადოება, პიროვნება და სინდისი. ეგზისტენციალისტური პრობლემატიკა საქართველოშიც აღელვებდათ. ნოდარ დუმბაძის "მარადისობის კანონი" და გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი" თავისი მოქალაქეობრივი პოზიციით და მარადიული ფასეულობებისადმი ერთგულებით ქართველი მკითხველის უსაყვარლეს წიგნებად გადაიქცნენ.

საყოველთაო აღიარება მოიპოვა ნოდარ დუმბაძის პოეტურმა პროზამ, მსოფლიოს ბევრ ენაზე ითარგმნა სიცოცხლის სიყვარულით გამთბარი მისი რომანები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს" და სხვ.

იმ წლებში არნახული ინტერესი გამოიწვია მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის შედევრმა „დათა თუთაშხიამ" – რთული, პიროვნული კოლიზიებით და არაჩვეულებრივი ლიტერატურული ხერხებით გამორჩეული რომანი ყველაზე ადამიანურ სიკეთეზე, პატიოსნებაზე, მეგობრობასა და ერთგულებაზე, ამკვიდრებდა ძალმომრეობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის განწყობას.

ეს და სხვა ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედება განსაზღვრავდა იმუამინდელი საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებას, რაც ქართული ენის ძლიერების გარანტიც იყო.

მაგრამ ქართულ ენას 1977 წელს სერიოზული საფრთხე დაემუქრა – 7 ოქტომბერს სსრკ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც ზოგადი რიტორიკის გარდა, დიდად არაფრით განსხვავდებოდა 1936 წლის კონსტიტუციისგან, განსაკუთრებით, პიროვნების დემოკრატიუ-

ლი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის გარანტიების თვალსაზრისით. მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციის პროექტებში, „სტალინური“ კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ამოიღეს მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსი. ამ ფაქტმა უკიდურესად ააღელვა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია: უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში, საქართველოს კპ ცკ წარმომადგენლებს ასეთი გადაწყვეტილების ანტიეროვნულ ხასიათს განუმარტავდნენ. შეიქმნა საფრთხე, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს კონსტიტუციიდან ამოიღებდნენ. ინტელიგენციის მიერ დარაზმული თბილისელი სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ. ქართველი ახალგაზრდები მოითხოვდნენ ეროვნული ენის უფლებების დაცვას. ვითარება დაიძაბა და შეიძლება უმართავი გამხდარიყო. საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ ლეონიდ ბრეჟნევს აცნობა თბილისში შექმნილი მდგომარეობა და დაუსაბუთა კომპრომისზე წასვლის აუცილებლობა. მოსკოვი იძულებული გახდა უკან დაეხია. ქართველი ახალგაზრდობის გმირობამ ქართულ ენას კვლავ დაუმკვიდრა სახელმწიფო სტატუსი. 1978 წლის 15 აპრილს IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII საგანგებო სესიამ მიიღო საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი დააკანონა. **კვლავ გაკეთდა ქართული საქმე.**

ამ დიდი გამარჯვების აღსანიშნავად თბილისში, სანაპიროს იმ სკვერში, სადაც 1956 წლის 9 მარტს ქართველობა მოსკოვის საწინააღმდეგო საპროტესტო მიტინგებზე იკრიბებოდა – აღიმართა დედაენის დიდებული ძეგლი – ცისკენ მიისწრაფის ახალგაზრდა ქართველი მოსწავლე, ხოლო მის ძირში – საკრალური ორი სიტყვაა ამოტვიფრული – „აი ია“.

5. 5 – საქართველს ისტორიის ნარძვევები

აშკარად შესამჩნევია, და ჩვენ ეს სათანადო ადგილზე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ქართველი ერის კონსოლიდაციის გამორჩეულ ეტაპებზე მთელი XX საუკუნის მანძილზე, ქართველი ისტორიკოსები საზოგადოებას წარუდგენენ ხოლმე კაპიტალურ ნაშრომს – საქართველოს ერთიან ისტორიას, რომელშიც ჯამდებოდა ერის საისტორიო აზროვნების განსაზღვრული ეტაპი. ასე მოხდა ამჯერადაც. საქართველოს საზოგადოებრიობამ მიიღო ქართველი ისტორიკოსების მრავალწლიანი შრომის შედეგი – „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (8 ტომი). ნაშრომის სარედაქციო კოლეგია – დამსახურებულ და აღიარებულ მკვლევარებს აერთიანებდა, ხოლო მრავალტომეულის ავტორები – თითქმის ყველა წამყვანი ქართველი ისტორიკოსი იყო.

ნაშრომი და მისი ავტორები სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდნენ, ხოლო წიგნი მრავალათასიანი ტირაჟით გამოქვეყნდა და მთელ საქართველოში გავრცელდა. ეს ნაშრომი ფაქტობრივად აჯამებდა ქართველი ისტორიკოსების, ეთნოლოგების, ხელოვნებათმცოდნეების, მუსიკათმცოდნეების, საზოგადოებათმცოდნეებისა და სხვა მომიჯნავე პროფესიების წარმომადგენელთა რამდენიმე თაობის კვლევის შედეგებს საქართველოს ისტორიის შესახებ. მიუხედავად ცალკეული ხარვეზისა და იდეოლოგიური შტამპებისა (რაც განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეების პერიოდის ისტორიის გადმოცემისას შეიმჩნეება), რეატომეულმა უდიდესი როლი შეასრულა ქართველების მიერ მშობლიური ისტორიის გააზრების საქმეში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ნაშრომს უდიდესი მუშაობა უსწრებდა წინ – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 19 განყოფილებაში ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს ძველი, შუა, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხების დასამუშავებლად, ინტენსიური ხასიათი მიიღო წყაროთმცოდნეობითმა კვლევამ – ახალი წყაროების გამოვლენა-შესწავლა, მათი კრიტიკული გააზრება გახდა თანამშრომელთა მუშაობის მნიშვნელოვანი მიმართულება. შეიქმნა და აღორძინდა საისტორიო გეოგრაფიის განყოფილება, რომელიც ურთულეს საკითხებს ამუშავებდა. ახალი კვლევების საფუძველზე მიმდინარეობდა საქართველოს როლის გააზრება მსოფლიოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ პროცესში.

მართლაც აღორძინდა ეთნოლოგია: სახეზე იყო ეთნოგრაფიული ექსპედიციების მასშტაბური შედეგები, რაც აისახებოდა ქართველთა მატერიალური და სულიერი ეთნოლოგიის, სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების დამუშავების დროს. თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია ეთნომუსიკოლოგიამ, ანტროპოლოგიამ და სხვა მომიჯნავე დისციპლინებმა, რომლებიც ერთიანობაში ქართველი ერის ისტორიული წარსულის მეცნიერული გააზრების უდიდეს შესაძლებლობებს იძლეოდა. აკადემიკოსები: გიორგი მელიქიშვილი, გიორგი ჩიტაია, სერგი ჯიქია, მარიამ ლორთქიფანიძე, ვალერიან ფუთურიძე, თინა ყაუხჩიშვილი, პროფესორები: ვარლამ დონდუა, შოთა მესხია, ოთარ ჯაფარიძე, დავით მუსხელიშვილი, რუსუდან ხარაძე, ალექსი რობაქიძე, ზურაბ ანჩაბაძე, დავით ხახუტაიშვილი, გრიგოლ გიორგაძე, თინა ოჩიაური, ჯულიეტა რუხაძე და სხვები რუდუნებით მუშაობდნენ საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე.

საისტორიო მეცნიერების აღმავლობა საქართველოში იმ წლებში საყოველთაო იყო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საისტორიო მიმართულების კათედრები, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის სამეცნიერო კვლევი-

თი ინსტიტუტების საისტორიო შრომები შეძლო ჰფენდნენ საქართველოს ისტორიის დაფარულ პლასტებს, ხელს უწყობდნენ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გრძნობის განმტკიცებას.

80-იან წლებში ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი (ხელმძღვანელი პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე), რომლის თანამშრომლებმა ფარდა ახადეს საქართველოს ისტორიის უძველეს ისტორიას, გამოავლინეს კოლხეთის სამეფოს მატერიალური კულტურის არაერთი უბრწყინვალესი ძეგლი, კახეთის უკიდეგანო ტრამალებეზე აღმოაჩინეს უნიკალური ქართული კულტურის კვალი, ქართლსა და იმერეთში გათხარეს ჩინებული ისტორიული ძეგლები, აჭარასა და აფხაზეთში არქეოლოგებმა გამოავლინეს ბევრი უცნობი ნაქალაქარი თუ ნასოფლარი და ა.შ..

ყოველწლიურად ქართველი ისტორიკოსები, ეთნოლოგები, სოციოლოგები, საზოგადოებათმცოდნეები აქვეყნებდნენ სპეციალურ ლიტერატურას, რაც აღრმავებდა საქართველოს საზოგადოებრიობის ცოდნას საქართველოს ისტორიის განვითარების თავისებურებების შესახებ, წინ სწევდა ეროვნული ერთიანობის იდეოლოგიურ საფუძველს – ერთიან საქართველოს ისტორიას. **ისტორიის დარგში ქართული საქმე ნამდვილად გაკეთდა.**

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის დიდი სურვილი – რომ ქართველები დაუფლებოდნენ საქართველოს ისტორიას – შეიძლება ითქვას, რომ სწორედ იმ წლებში მაქსიმალურად სრულად განხორციელდა.

5. 6 – ქართული მეცნიერება

იმჟამად საქართველოში სამეცნიერო შრომა კვლავ პრესტიჟული იყო: 1980 წელს საქართველოში 1335 მეცნიერებათა დოქტორი და 9104 – მეცნიერებათა კანდიდატი მოღვაწეობდა. სულ სამეცნიერო შრომაში ჩაბმული იყო 25 198 კაცი. ყოველწლიურად იზრდებოდა მეცნიერების დაფინანსება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია – ეს სახელმწიფო იყო სახელმწიფოში, მისი ზეგავლენა კი ყოვლისმომცველი. აკადემიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, საცდელ სადგურებსა და გამოთვლით ცენტრებში მუშაობდა უამრავი სამეცნიერო პრობლემა: ატომგული ფიზიკით დაწყებული და გამოყენებითი სამეცნიერო დისციპლინებით დამთავრებული. ქართული მეცნიერების მიღწევები შთამბეჭდავი და, აქედან გამომდინარე, აღსანიშნავიც არის...

კვლავ მოწინავე იყო ანდრია რაზმაძის დაარსებული ქართული მათემატიკური სკოლა: აკადემიკოსების ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ვიქ-

ტორ კუპრაძისა და სხვათა მიღწევები მათემატიკის სხვადასხვა დარგში აშკარად თვალსაჩინო იყო. ქართველი მათემატიკოსები ამუშავებდნენ დრეკადობის თეორიის, სინგულარული ინტეგრალების განტოლებათა სისტემების აქტუალურ პრობლემებს.

ქართველმა ასტრონომებმა (აკადემიკოსი ევგენი ხარაძე და სხვ.) გალაქტიკის შერჩეულ უბნებში მოასდინეს ვარსკვლავთა ორგანზომილებიანი კლასიფიკაცია, შეადგინეს 30 ათასამდე ვარსკვლავის სპექტრული ტიპების და მნათობთა კლასების კატალოგები.

დაწინაურდა ქართული გეოლოგიური სკოლა. მომზადდა და გამოიცა „კავკასიის ტექტონიკური რუკა“ (მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი პ. გამყრელიძე). აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის მონოგრაფიას „ეულკანოგენური ფორმაციების მადნიანობა“ ლენინური პრემია მიენიჭა.

განვითარდა ტექნიკური მეცნიერების ახალი დარგები: კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ულექტრონული გამოთვლითი მანქანები, რადიოტექნიკა და ტელემექანიკა.

კვლავ მოწინავე იყო ქართველ ფიზიოლოგთა სკოლა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ემოციური რეაქციებისა და ძილის სტრუქტურის საკითხები, დაადგინეს ტვინის ნახევარსფეროთა ურთიერთმოქმედების მნიშვნელობა მეხსიერების კვალის ფიქსაციაში და ა.შ.

საქართველოში, ტრადიციულად, მოწინავე ჰუმანიტარულმეცნიერებად ქართველოლოგია ითვლებოდა. ენათმეცნიერები დიდი წარმატებით იკვლევდნენ თანამედროვე ენის ზოგად-თეორიულ პრობლემებს, დიდი მუშაობა ჩატარდა ქართული ენის დიალექტების შესწავლისა და ლექსიკოლოგიის დარგში. გამოიცა აკადემიკოს ვარლამ თოფურიას, პროფესორების: ი. გიგინეიშვილის, ი. ქაეთარაძის „ქართული დიალექტოლოგია“ ტ. I, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ VI-VIII ტომები, შეიქმნა 30-ზე მეტი ტერმინოლოგიური ლექსიკონი. აღსანიშნავია ქ. ლომთათიძის, ქ. შარაძენიძის, ი. აბულაძის, ი. იმნაიშვილისა და სხვების დამსახურება.

ახალი ნაბიჯები გადაიდგა ქართველური ენების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლის მიმართულებით. საყოველთაო აღიარება მოიპოვა აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის გამოკვლევებმა.

ინტენსიურად მუშავდებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის აქტუალური პრობლემები. გამოიცა „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეული, „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია“, ქართული ხალხური პოეზიის სრული კრებული (4 ტომი) და ა.შ. და ა.შ..

ქართველი მეცნიერების უდიდესი გამარჯვება იყო „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მომზადება და მისი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა. საქართველოში ენციკლოპედიის გამოცემას XX საუკუნის 30-იან წლებშიც აპირებდნენ, გადაიდგა პირველი ნაბიჯები, ჩატარდა სერიოზული სამუშაო, მაგრამ II მსოფლიო ომის მოახლოებამ, ობიექტურმა ხელისშემშლელმა ფაქტორებმა ამ დიდი ეროვნული საქმის დასრულება შეუძლებელი გახადა.

ახალ ვითარებაში, უკვე 1975 წელს ქართველმა მკითხველმა მიიღო ენციკლოპედიის პირველი ტომი. მის მომზადებასა და გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს მთელი ინტელექტუალური ელიტა, მაგრამ მაინც გამორჩეულია აკადემიკოსების ირაკლი აბაშიძისა და როინ მეტრეველის დამსახურება. ენციკლოპედიის 11 ტომში 70 ათასი ტერმინსტატია განთავსდა, რომელთა დიდი უმრავლესობა ორიგინალურია, საქართველოში მომზადდა და კარგად მიანიშნებს XX საუკუნის 70-80-იან წლებში ქართული სამეცნიერო აზროვნების უდიდეს შესაძლებლობებზე.

ქართველი მეცნიერები აღიარებულნი იყვნენ მსოფლიოში, მათ იწვევდნენ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე, ირჩევდნენ საპატიო აკადემიკოსებად, პროფესორებად, კითხულობდნენ ლექციებს სორბონის, კემბრიჯის, ბერლინის, მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში.

ქართველი მეცნიერები **ერთგულად ემსახურებოდნენ ქართულ საქმეს** და იმედოვნებდნენ, რომ დამოუკიდებელ, სუვერენულ საქართველოში კიდევ უფრო მეტს შესძლებდნენ, კიდევ უფრო წინ წასწევდნენ საქართველოს სამეცნიერო პოტენციალს.

5. 7 – ქართული თეატრი

წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწია ქართულმა პროფესიულმა თეატრმა. ამის საფუძველი ის კეთილნაყოფიერი გარემო იყო, რომელიც შეიქმნა ქართული თეატრისათვის 60-80-იან წლებში. პირველ რიგში ამის მიზეზი იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ახალი თეატრალური კოლექტივების შექმნა, დრამატურგებისა და მსახიობების ახალი გენერაციის ჩამოყალიბება. ეს ნაყოფიერი შედეგი მთლიანად ეფუძნებოდა ქართული თეატრის წინა პერიოდის მაშტაბურ მიღწევებს, მდიდარ გამოცდილებას და მთელი თავისი არსით ქართული შინაარსის მატარებელი იყო.

ჯერ ქალაქ რუსთავში გაიხსნა ახალი თეატრი, რომელსაც რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე

შექმნილი მისი სპექტაკლები საეტაპო გახდა ქართული თეატრისთვის და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

უკვე 70-იან წლებში ე. შევარდნაძის ხელშეწყობით გაიხსნა ახალი თეატრები თბილისში: კინომსახიობის (მთავარი რეჟისორი მ. თუმანიშვილი), მეტეხის (მთავარი რეჟისორი ს. მრევლიშვილი), მარიონეტების თეატრი (მთავარი რეჟისორი რ. გაბრიაძე), გლდანის თეატრი და ა.შ..

70-იან წლებში ქართულმა თეატრმა აშკარად გამოავლინა ის დიდი შემოქმედებითი პოტენცია, რომელიც თითქმის ერთი საუკუნე მწიფდებოდა და სხვადასხვა სახის, სხვადასხვა გაელვებით, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მოძღვრავდა, გზაზე აყენებდა ქართველ მაყურებელს და ამით მან ძლიერი სულიერი ზეგავლენა მოახდინა სრულიად საქართველოს საზოგადოებაზე.

იმჟამად საქართველოს თეატრები აშკარად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თეატრალურიზეიმის შექმნაში, საზოგადოებრივი პრობლემების საკუთარ ინტერპრეტაციაში, მსოფლიო თეატრალური კლასიკის ქართულ გააზრებაში, მსახიობთა დიდოსტატობის გამოვლენაში.

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი ქართულმა თეატრმა მსოფლიო აღიარება აშკარად მოიპოვა. თეატრში მოვიდნენ ახალი, მკვეთრი ინდივიდუალობით გამორჩეული რეჟისორები – ქართული თეატრალური სკოლის აღზრდილები, რომლებიც გრძნობდნენ დროის ახალ მოთხოვნებს და მათ საზოგადოებას ახალი ხედვა შესთავაზეს, ახალი თეატრალური გამომსახველობითი საშუალებები. რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის ორიგინალური რეჟისურა 70-80-იანი წლების ახალი ქართული თეატრის მთავარ სათქმელს მკვეთრად განსაზღვრავდა, საქართველოში შეიქმნა საოცარი თეატრალური ზეიმი. ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“, რომელიც რობერტ სტურუამ 1975 წელს დადგა, იქცა სპექტაკლ-ლეგენდად, რომელიც დღესაც წარმატებით იდგმება რუსთაველის თეატრის სცენაზე. შექსპირის „რიჩარდ III“-ს სტურუასეულმა ინტერპრეტაციამ საერთაშორისო აღიარება მოუტანა ხელოვანს.

ქართულ თეატრზე, ქართველი მსახიობების ოსტატობაზე ალაპარაკდნენ დიდი ბრიტანეთის ედინბურგის, საფრანგეთის ავინიონის, რუსეთის მოსკოვის, ავსტრალიის სიდნეის და სხვა ქვეყნებისა და ქალაქების ფესტივალებსა და თეატრალურ დღესასწაულებზე. ეს ქართველი კონსოლიდირებული ერის შემოქმედებითი ენერგიის გამოვლენა იყო, **ეს ქართული საქმის კეთება იყო.**

70-80-იანი წლები ქართული კინემატოგრაფიის აღმავლობის ხანაა. საკავშირო და მსოფლიო კინოფესტივალებზე „ქართული კინოს ფენომენზე“ ალაპარაკდნენ. ქართული კინოს მახასიათებელი იყო აშკარად გამოკვეთილი ეროვნული თვითმყოფადობა, ადამიანის სულის ურთულესი პლასტების ორიგინალური და მასშტაბური ინტერპრეტაცია.

ისევე როგორც ქართული თეატრი, ქართული კინოც ორგანულად ავითარებდა წინა ეპოქის ქართული კინოს შემოქმედებით ტრადიციებს. ამ პერიოდის თავისებურება კი ის იყო, რომ ქართული კინოს დიდოსტატებმა წარმოუდგენელი ოსტატობით აითვისეს „ეზოპეს ენა“, ურთულესი სოციალური პრობლემატიკის საკუთარი იტერპრეტაციის მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი უნარი, რაც სწორედ იმ წლებში ჩამოყალიბდა და ამან ერთნაირად მოხიბლა როგორც შინაური, ისე საზღვარგარეთელი მაყურებელი.

ჯერ კიდევ 1964 წელს მოსკოვის კინოფესტივალზე დიდი წარმატება მოიპოვა რეჟაზ ჩხეიძის „ჯარისკაცის მამამ“. მთავარი როლის შემსრულებელმა სერგო ზაქარიაძემ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მთაყარი ჯილდო დაიმსახურა.

რეჟისორ გიორგი შენგელაიას პოეტური ფილმი „ფიროსმანი“ აშშ-ში ჩიკაგოს X საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზით („ოქროს პიუგო“) დააჯილდოვეს (1969), ხოლო ელდარ შენგელაიას ფილმმა „შერეკილები“ – საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

თავისი სტილისტიკით, აქტუალური თემის ორიგინალური ინტერპრეტაციით გამოირჩეოდნენ ოთარ იოსელიანის ფილმები „გიორგობისთვე“ და „იყო შაშვი მგალობელი“. ოთარ იოსელიანმა საფრანგეთში ჟორჟ სადულის პრემია დაიმსახურა და პარიზში მიიწვიეს სამუშაოდ.

საყოველთაო მოწონებით სარგებლობდა თენგიზ აბულაძის შემოქმედება: “ვედრება“ და “ნატვრის ხე“ (ამ უკანასნელმა იტალიაში 1979 წელს პრესტიჟული პრიზი – დონატელოს „დავითი“ მოიპოვა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის ხელშეწყობით თ. აბულაძემ დაიწყო თავისი შემოქმედების ყველაზე აღიარებული ფილმის – „მონანიების“ გადაღება, რომელიც საბჭოთა სისტემის დაისის კიდევ ერთ-ერთი მაუწყებელი გახდება.

განვითარების ახალ სიმაღლეზე ავიდა ქართული სამუსიკო ხელოვნება. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ერთ-ერთი საუკეთესო იყო კავშირში. საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები გახდნენ კონსერვატორიის აღზრდილები: პიანისტები ელისო ვირსალაძე, მარინე მდივანი, მანანა დოიჯაშვილი, ლექსო თორაძე, მევიოლინეები მარინე იაშვილი, ლიანა ისაკაძე, ვიოლონჩელისტი თამარ გაბარაშვილი და მრავალი სხვ.

თბილისის ოპერის თეატრს, განხორციელებული რეფორმების შემდეგ, სათავეში ჩაუდგა დიდი მაესტრო ჯანსუღ კახიძე. კლასიკური და თანამედროვე ოპერები და ბალეტები, კლასიკური და თანამედროვე სიმფონიური მუსიკა ორიგინალური ინტერპრეტაციით, ქართველი მაყურებლების დიდ მოწონებას იმსახურებდა. იდგმებოდა ახალი ქართული ოპერები: რევაზ ლაღიძის „ლელა“, გია ყანჩელის „და არს მუსიკა“ და სხვ. თბილისის ოპერის თეატრში განაგრძობდნენ მოღვაწეობას სახელოვანი მომღერლები: ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდღულაძე, ოლღა კუზნეცოვა, ცისანა ტატიშვილი, მედეა ამირანაშვილი, ლამარა ჭყონია. თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყეს: პაატა ბურჭულაძემ, მაია თომაძემ, ნუგზარ გამგებელმა. მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე მღეროდნენ მსოფლიოში აღიარებული მომღერლები, ზურაბ სოტკილავა და მაყვალა ქასრაშვილი.

ქართულ საბალეტო ხელოვნებასთან ერთად (ვახტანგ ჭაბუკიანი, ვერა წიგნაძე, ზურაბ კიკალეიშვილი, ბელა მონავარდისაშვილი, მაკა მახარაძე და სხვ.) განსაკუთრებულ აღმაელობას განიცდიდა ქართული ხალხური ქორეოგრაფია, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით, თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა. მათთვის უნიკალური კოსტუმების ესკიზებს ქმნიდა სახელოვანი მაესტრო, მოსკოვის დიდი თეატრის მთავარი მხატვარი სოლიკო ვირსალაძე. საზღვარგარეთის პრესამ სუხიშვილების ცეკვის ანსამბლს „მსოფლიოს მერვე საოცრება“ უწოდა.

არნახულ სიმაღლეზე ავიდა ქართული საესტრადო ხელოვნება, ხალხისთვის საყვარელი მსუბუქი მუსიკა, რომელიც იმ წლებში საკმაოდ მდიდარი იყო როგორც ავტორ-კომპოზიტორებით, ისე მკვეთრი ინდივიდუალობით გამორჩეული მომღერლებით. მათი სიმღერები ხიბლავდა როგორც ქართველ, ისე საზღვარგარეთელ მაყურებელს.

საოცარი პოპულარობა მოიპოვეს გიორგი ცაბაძემ, ალექსანდრე ბასილაიამ და სხვა კომპოზიტორებმა, მათ მელოდიებს უდიდესი ოსტატობით ას-

რ'ულებდნენ ლიდი გეგელია, ნანი ბრეგაძე. ვახტანგ კიკაბიძე და ბევრი სხვა ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერალი. იმ წლებ'ში საესტრადო ცხოვრება მართლაც საინტერესო და შინაარსიანი ჩანდა. **ეს აშკარად ქართული საქმის კეთება იყო.**

5. 10 – სახვითი ხელოვნება

'უცხოეთ'ში გამართ'ულ არაერთ კონკ'ურსსა და ბიენალეზე ქართველი ფერმწ'ერები და მოქანდაკეებიც იღებდნენ მონაწილეობას. ქართ'ულ ფერწ'ერასა და ქანდაკებას კვლავაც გამოარჩ'ევდა მკვეთრი ინდივიდუალობა, არაჩვეულებრივი გამომსახველობა, უნიკალ'ური ხელწ'ერა.

ძველი თაობის მხატვრებს (ლადო გ'უდიაშვილს, 'ეჩა ჯ'აფარიძეს, ელენე ახვლედიანს და სხვ.) მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა თაობის, მაგრამ მკვეთრი ინდივიდ'ულობით გამორჩ'ეული შემოქმედნი: ნათელა იანქოშვილი, ნიკოლოზ იგნატოვი, თენგიზ მირზაშვილი, ავთო ვარაზი და სხვ.

ქართველი მოქანდაკეების: ელგ'უჯა ამაშუკელის, მერაბ ბერძენიშვილის, ჯ'უნა მიქატაძის და სხვათა ჩინებ'ული ქანდაკებები ამკობდნენ მოსკოვის, თბილისის, გორის, თელავის და რესპ'უბლიკის სხვა ქალაქების ქუჩებს, მოედნებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს.

5. 11 – ქართული არქიტექტურა

არქიტექტ'ურა ყველაზე 'უფრო დაიჩაგრა ხრ'უშჩოვის მმართველობის წლებში – „არქიტექტ'ურული ზედმეტობების“ წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ხ'უროთმოძღვრებას გამოაცალეს ხელოვნების ესთეტიკური შემადგენელი და გადააქციეს 'უტილიტარ'ული დანიშნ'ულების საწარმოო ობიექტად. ამან კი საოცრად გააღარიბა ხელოვნების ეს დარგი და არქიტექტ'ურაში გაამეფა 'უფერ'ულობა, 'უსახ'ურობა, სიტლანქე.

თ'უმცა თანდათან დაიწ'ყო არქიტექტ'ურაში „ხრ'უშჩოვის ეპოქის“ შტამპების (თ'უმცა არა ბოლომდე) დაძლევა და ქართველი არქიტექტორები ცდილობ'დნენ აღედგინათ დაკარგ'ული პოზიციები. რესპ'უბლიკის ქალაქებსა და რაიონებში 60-70-იან წლებში ბევრი ჩინებ'ული შენობა აშენდა: თბილისის სასტ'უმრო „ივერია“ (არქიტექტორები ტ. კალანდარიშვილი, ი. ცხომელიძე და სხვ.), თბილისის ავტოვაგზალი (არქიტექტორები რ. კიკნაძე, ვ. ქ'ურთი'შვილი და სხვ.), საკ'ურორტო კომპლექსი ბიჭვინთაში (მ. პოსოხინი და სხვ.) და მრავალი სხვ. 'უკვე იმ წლებ'ში მსოფლიო აღიარება მოიპოვა ქარ-

თეელმა მონუმენტალისტმა ზურაბ წერეთელმა. მის მიერ განხორციელებული მხატვრული შედევრები ამშვენებდნენ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების დედაქალაქებს.

5. 12 – ქართული სპორტი

უდიდეს წარმატებებს მიაღწია ქართულმა სპორტმა. მსოფლიოში ცნობილი გახდა ქართული საჭადრაკო სკოლა. 1962 წლიდან მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის მუდამ ქართველი იყო. ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილი ხუთჯერ გახდა ამ ტიტულის მფლობელი (1962-1978), ხოლო შემდეგ მაია ჩიბურდანიძე, ასევე, ხუთჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. გროსმაისტერები ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან არახამია ქართული საჭადრაკო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელები იყვნენ. წარმატებებს აღწევდნენ მოჭადრაკე ვაჟებიც (გროსმაისტერები ბუხუტი გურგენიძე, გენადი ზაიჩიკი, ზურაბ აზმაიფარაშვილი და სხვ.).

საქართველოში ჭადრაკის გარდა სპორტის ბევრი სახე იყო განვითარებული. მართალია, საერთაშორისო ასპარეზობაზე ქართველები საბჭოთა კავშირის სახელით გამოდიოდნენ, მაგრამ საქართველოს სასახელოდ მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ მსოფლიო ოლიმპიადაზე. 1952 წლიდან 1980 წლამდე გამართულ ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენებმა სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოიპოვეს 23 ოქროს, 20 ვერცხლის და 29 ბრინჯაოს მედალი. მათ შორის აღსანიშნავია: დ. ციმაკურიძე (თავისუფალი ჭიდაობა), მ. ჯუღელი (ტანვარჯიში), გივი კარტოზია (კლასიკური ჭიდაობა), ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა), რობერტ შავლაყაძე (სიმაღლეზე ხტომა) და სხვ. საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული იყო ჭიდაობის ყველა სახეობა, კალათბურთი, ხელბურთი და, რა თქმა უნდა, ფეხბურთი.

საქართველოში ფეხბურთი მუდამ გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა, ხოლო თბილისის „დინამო“ – ეროვნული ნაკრების რანგში იყო აყვანილი. ამ გუნდს უმდიდრესი სპორტული ტრადიციები ჰქონდა და საბჭოთა კავშირში საუკეთესოდ ითვლებოდა. 1964 წელს, ტაშკენტში გუნდმა პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა გუნდს სათავეში ნოდარ ახალკაცი ჩაუდგა, „დინამომ“ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზობებზე. „დინამოს“ ახალგაზრდული გუნდი: ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, ოთარ გაბელია, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, ვიტალი დარასელია და სხვები საერთაშორისო მატჩების დროს საოც-

რად თამაშობდნენ. 1981 წლის 13 მაისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დიუსელდორფში, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელებმა ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიპოვეს, რითაც უდიდესი სიხარული და სიამაყის განცდა მიანიჭეს ქართველ გულშემატკივარს.

X X X

ყველაფერი ეს შემთხვევით არ მოხდა – ეს ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის დასრულების ნაყოფიერი შედეგია, რაც ათეული წლების მანძილზე ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ქართველი ინტელიგენციის (ყველა პროფესიისა და ყველა მიმართულების) მიერ მიზანმიმართულად განხორციელებული შემოქმედებითი შრომის შედეგი იყო. ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულების“ მიერ 100 წლის წინ დაწყებული უდიდესი ეროვნული საქმე ლოგიკურად დაგვირგვინდა თვალსაჩინო მიღწევებით საზოგადოებრივი ცხოვრების უმრავლეს, ხოლო მეცნიერებისა და კულტურის – ძალიან ბევრ დარგში.

XX საუკუნის 60-80-იან წლების ისტორიული განვითარების შედეგებით დასტურდება, რომ სწორედ ქართველი ინტელიგენციის მუხლჩაუხრელი შრომის საფუძველზე, რაც მთლიანად ეფუძნეოდა არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, სტაბილურ ეკონომიკურ გარემოს, სტაბილურ საგანმანათლებლო სივრცეს, სტაბილურ სოციალურ სტრუქტურას და მოსახლეობის ცხოვრების საშუალო დონეს, განვითარდა, გაძლიერდა და ყოვლისმომცველი გახდა ქართული ეროვნული კულტურა მის ყველა ძირითად გამოვლენასა და მიმართულებაში. ქართველმა ინტელიგენციამ ბოლომდე გამოიყენა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმი და მოგვცა კულტურის განვითარების ისეთი მასშტაბები, რაც ქვეყანას არ ჰქონია საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანად“ ცნობილი ეპოქის შემდეგ. ამით ქართველმა ინტელიგენციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის არის ილია ჭავჭავაძის დიადი საქმის – ერის კონსოლიდაციის პროცესის ერთადერთი წარმმართველი და სულისჩამდგმელი, რომ მხოლოდ მას ხელეწიფება მიიყვანოს ქვეყანა პოლიტიკურ დამოუკიდებლობამდე, სოციალურ განახლებამდე, შემდგომ კულტურულ აღმავლობამდე. ამის პოტენცია საქართველოს ინტელიგენციას ნამდვილად ჰქონდა – ის ქართულ საქმეს აკეთებდა ერთგულად და ბოლომდე.

§ 6. – „კრიტიკული ნაციონალიზმიდან“ „უტოპიური ნაციონალიზმისაკენ“

ჩვენ ნაშრომის სათანადო ადგილზე, სადაც ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის დაწყების პირველ ეტაპზე ილია ჭავჭავაძისა და მისი მეგობრების გამორჩეულ ღვაწლზე გექონდა საუბარი, განსაკუთრებით გავუსვით ხაზი „თერგდალეულების“ ზედმეტად კრიტიკულ დამოკიდებულებას საკუთარი თანამემამულეების, ზოგადად, ქართველი ერის მიმართ. აღვნიშნეთ, რომ ილიას „ბედნიერი ერი“ არის სერიოზული გაფრთხილება, შეძახილი ქართველებისათვის, რომ მათ შეეცვალათ დამოკიდებულება არსებული მოვლენებისადმი, გამხდარიყვნენ უფრო პრაგმატულნი, უფრო პასუხისმგებელნი და ამით უფრო ღირსეულნი ყოფილიყვნენ მამა-პაპათა გმირული ტრადიციებისა. ამ ქართველ მოღვაწეებს კი უსაზღვროდ უყვარდათ საკუთარი ერი და საკუთარი ქვეყანა, ჩინებულად ჰქონდათ გააზრებული მისი ისტორიული ადგილი და მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთში, რუსეთის იმპერიაში, მიუხედავად ამისა არსად აქვთ წინ წამოწეული და განვითარებული ქართველი ერის გამორჩეულობის თეზისი. ილიასა და მისი მეგობრების მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა ძალუმად ამკვიდრებს ერთა თანასწორობის, ურთიერთგამდიდრებისა და ერთობლივი ძალისხმევით უკეთესო მომავლის შენების ამოცანას.

ამ კონტექსტში აუცილებლად აღსანიშნავია ილიას თვალსაზრისი პროგრესის მატარებელი დასავლეთ ევროპელი ერების მიმართ. ილია მუდამ ხაზს უსვამდა, რომ ქართველობამ უნდა შემოქმედებითად აითვისოს ევროპის მოწინავე ცივილიზაციის მიღწევები, დაამყნოს ის მამა-პაპათა ტრადიციულ ფასეულობებზე და შეინარჩუნოს თავისი მკვეთრი ინდივიდუალობა. აი, რას ასწავლიდა ილია ჭავჭავაძე ქართველებს: „ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, ჩვენ ზემოთ რომ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წარსდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დაამჩნევს“[22]. ეს იყო „თერგდალეულთა“ კრედო.

მაგრამ წინამდებარე ნაშრომის სათანადო ადგილზე ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ სტალინის ზეობის პერიოდში რუსმა საზოგადო მოღვაწეებმა და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა 1937 წელს, რუსთაველის პოემის საიუბილეო დღეებში, ქართველებს საჯაროდ განუცხადეს, რომ საქართველო გამორჩეულია მსოფლიო ერებში მხოლოდ იმით, რომ მან კაცობრიობას აჩუქა „ხალხთა დიდი ბელადი, იოსებ სტალინი“.

საქაროველოში ამ თეზისს ქართველი ინტელიგენცია არ გამოხმაურებია და მისი გამეორება ქართულ აზროვნებაში იმჟამად ნამდვილად არ შეიმჩნევა. ეს სტუმრებს აშკარა პირმოთნეობად ჩაუთვალეს და ქართული ინტელექტუალური საზოგადოება მას არ გამოხმაურებია.

მაგრამ XX საუკუნის 60-70-იანი წლებში ქართველი ინტელიგენციის ერთ მცირე ჯგუფში შეიმჩნევა აზრთა კონცენტრაცია და განსაკუთრებული ძიება იმისა, რომ **მეცნიერულად დაესაბუთონ ქართველი ერის გამორჩეულობის იდეა**. ახლა უკვე სტალინის გარშე, მხოლოდ საისტორიო მასალის მოშველიებით. იმჟამად ასეთ თემებზე საუბრები ჯერ პირადი კონტაქტების დროს ხდებოდა, შემდეგ საოჯახო დისკუსიებში, მოგვიანებით გარკვეულ თემებზე ამ ადამიანებს სტუდენტებთანაც ჰქონდათ საუბარი.

საეროდ. ამ თემაზე ხმამაღლა არ საუბროდნენ – საბჭოთა კანონმდებლობა სასტიკად კრძალავდა ერების გამორჩეულობის იდეის პროპაგანდას (ეს ნაციზმის იდეოლოგიის გამოვლენად ითვლებოდა), მით უფრო იკრძალებოდა ასეთ თემებზე სამეცნიერო მუშაობა.

რა თქმა უნდა დემოკრატიულ, თავისუფალ საზოგადოებაში ყველას შეუძლია ისაუბროს ნებისმიერ თემაზე, მოიტანოს ნებისმიერი არგუმენტი. მაგრამ ნეოკოლონიალიზმის მარწუხებში მყოფ, მრავალეროვან პატარა ქვეყნის ინტელიგენციას მუდამ მართებდა მეტი სიფრთხილე და პასუხისმგებლობა, რომ ასეთ თემებზე საუბარს, მის პროპაგანდას უკეთური შედეგი არაფერი მოეტანა მისი ქვეყნისათვის.

ეს ჩვენი საუბარი რომ არ იყო უსაგნო, მე შევეცდები ამ თემაზე ჩემი მოსაზრება წარმოვადგინო ზვიად გამსახურდიას ერთი მოხსენების საფუძველზე. რომელსაც ჰქვია „ქართველი ერის სულიერი მისია“. ეს მოხსენება ავტორმა საკმაოდ გვიან – 1990 წელს, ფილარმონიის დიდ დარბაზში შეკრებილ ქართველ და უცხოელ მსმენელებს გააცნო, მაგრამ მოხსენების შინაარსი, განხილულ საკითხთა სიმრავლე, მოტანილ არგუმენტთა შინაარსი და წარმომავლობა გვაძლევს საფუძველს, რომ საქმე გვაქვს ავტორის მიერ მრავალი წლის ნაფიქრ-ნააზრევთან, რომელმაც საბოლოო სახე ამ მოხსენებაში მიიღო.

თავიდან ვიტყვით: აშკარაა, რომ ნაშრომი არ იყო განკუთვნილი მარტო აკადემიური წრეებისათვის, მაშინ: ა) მას არ წაიკითხავდნენ ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში შეკრებული თითქმის 3000 კაციანი აუდიტორიის წინაშე; ბ). მას არ გამოაქვეყნებდნენ ზ, გამსახურდიას ზეობის ხანაში წარმოუდგენლად დიდი ტირაჟით (100 000 ცალი). ე.ი. ამ მოხსენების გაკეთებას და მის ტირაჟირებას კონკრეტული ამოცანა ჰქონდა – ორგანიზატორებს უნდოდათ ზ. გამსახურდიას ნააზრევს დაუფლებოდა საქართველოს საზოგადოება. ასეთ ვითარებაში ნაშრომი აშკარად პოლიტიკურ

ულერადობას შეიძენდა. ეს კი გეიმტკიცებს მოსაზრებას, რომ ზ. გამსახურდიას შეხედულებები საქართველოს საზოგადოების, მისი ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში აშკარა მხარდაჭერით სარგებლობდა.

ნაშრომი იმითაც არის საინტერესო, რომ ამ მოხსენებაში კონცენტრირებულად არის ჩამოყალიბებული ყველა ის ძირითადი თეზისი თუ მოსაზრება, რომელიც მოგვიანებით, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ტირაჟირებული იქნა საქართველოს ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლების მიერ უკვე ახალ ისტორიულ პერიოდში და მათ საკმაოდ ხშირად ვაწყდებით დღესაც...

ჩვენ ამ თხზულებას ვუდგებით მხოლოდ რამდენიმე განზომილებით – ა)მოხსენებაში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა უზრუნველყო ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის განვითარება თუ შეაფერხა ის, ბ) გაამდიდრა თუ გააღარიბა ქართული საზოგადოებრივი პოლიტიკური აზროვნება, და გ) წინ წასწია თუ არა ქართველოლოგიური მეცნიერება.

ჩვენ საერთოდ არ შევეხებოდით ამ ნაშრომში ჩამოყალიბებულ ყველა დებულებას და მიგვაჩნია, რომ ყველა მეცნიერს აქვს სრული უფლება იაზროვნოს როგორც უნდა, დაწეროს რაც უნდა, ჩამოაყალიბოს საკუთარი კონცეფცია და შესთავაზოს სამეცნიერო საზოგადოებას, მაგრამ თუ მას სურს, რომ მისი აზრი სხვამაც გაიზიაროს – ეს ნააზრევი აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერებაში დამკვიდრებულ კანონებს, ლოგიკას და სამეცნიერო ტრადიციებს.

მიგვაჩნია, რომ ზ. გამსახურდიას აღნიშნული ნაშრომი საკმაოდ ღრმად და ყოველმხრივ გამოხატავს საქართველოს საზოგადოების იმ ნაწილის მსოფლმხედველობასა და სულისკვეთებას, რომელიც მასთან ერთად მოვიდა საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში 1990 წელს. ამიტომაც მიზნად დავისახეთ ჩვენი გარკვეული შეხედულებები ამ ნაშრომზე მკითხველისათვის გაგვეზიარებინა.

სანამ ნაშრომის განხილვაზე გადავალთ, აღვნიშნავთ, რომ ავტორს მოხსენების პუბლიკაციის დროს მხედველობიდან გამორჩა აღეჭურვა ის სამეცნიერო აპარატით, სქოლიოებით, მითითებებით, კომენტარებით და კმაყოფილდება მხოლოდ საკუთარი მახსოვრობით, ამიტომ მასთან ამ მხრივ დისკუსია გაძნელებულია, თუმცა შესაძლებელია.

ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია ნაშრომის რამდენიმე თეზისი, რომელიც გამოხატავს ავტორის სუბიექტურ განწყობას სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემის მიმართ:

1. იგრძნობა დაუფარაი ზიზღი და უპატიო დამოკიდებულება ქართველი ინტელიგენციის მიმართ. „მრავალი საკითხი გაყალბებულია და საბჭოთა იმპერიული მეცნიერების მიერ უზურპირებული, თავისი ინტერესებისადმი

დაქვემდებარებული. ყოველივე ამის გავლენის ქვეშ, სამწუხაროდ, მოქცეულნი არიან ქართველი მეცნიერებიც."[23]. (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ).

„ქართველი მეცნიერები" – იგულისხმება ტოტალურად ყველა ქართველი მეცნიერი, ე.ი. მხოლოდ ზ. გამსახურდია დაუპირისპირდა იმპერიული მეცნიერების უზურპაციას, მთელი ქართული მეცნიერება კი მის ტყვეობაშია. ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება ქართველი მეცნიერების მიმართ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, კიდევ უფრო აგრესიული და კიდევ უფრო დამთრგუნველი, ფაქტორიეად პარალიზებას გაუკეთებს საქართველოს ინტელიგენციის პოლიტიკურ ძალისხმევას.

ეს შეხედულება სუბიექტურია და არ ასახავს ჭეშმარიტებას. ქართული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები, განსაკუთრებით ძველი, შუა საუკუნეების სპეციალისტები, ენათმეცნიერები, არქეოლოგები და ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები მარქსიმალურად ცდილობდნენ და ეს მათ ხშირ შემთხვევაში ხელეწიფებოდათ კიდეც, თავის გამოკვლევებსა და მონოგრაფიებში ყოფილიყვანენ ბოლომდე ობიექტური და მეცნიერული თვალსაზრისით – მართალნი. ეს მათ ძალიან ძვირად უჯდებოდათ, ზოგჯერ იძულებულნი ხდებოდნენ გამოეყენებინათ ეზოპეს ენაც. მაგრამ მათი მრავალმხრივი და მრავალპროფილური მოღვაწეობა ნიჰილიზმს არ იმსახურებს – ჩვენ ვნახეთ, რომ სწორედ ამ ინტელიგენციამ უზრუნველყო ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის წარმატებული დაგვირგვინება და ქართული მეცნიერება და კულტურა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ხალხებსა და სახელმწიფოებს გვერდში ამოუყენა.

ზ. გამსახურდიას მოხსენების მკაცრი შეფასება ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, სამეცნიერო მიზანს არ ისახავს, ავტორის ამოცანაა ქართველი ინტელიგენციის დისკრედიტირება ტოტალურად, მათ მიერ გაკეთებული ეროვნული საქმის ეჭვის ქვეშ დაყენება და საზოგადოებაზე მათი ზეგავლენის განეიტრალება.

2. მოხსენების ავტორი ამტკიცებს, რომ ამ ქართველ მეცნიერებს „სურდათ ქართველი ერისათვის შთაენერგათ არასრულფასოვნების კომპლექსი"[24], რადგან ისინი ზ. გამსახურდიას შეხედულებებს არ იზიარებდნენ და რიგით ქართველამდე არ მიჰქონდათ ქართველი ერის გამორჩეულობის დოგმა.

რა შეიძელება ითქვას ამის შესახებ?

ჩვენ წინა თავებში ვაჩვენეთ, რომ სწორედ ქართველი ინტელიგენციის წყალობით მოხდა ეროვნული თვითშეგნების არნახული აღორძინება საქართველოში XX საუკუნის 60-80 წლებში, რომ სწორედ ქართველი ინტელიგენცია (პარტიული თუ უპარტიო) უზრუნველყოფდა ქართული ეროვნული

კულტურის, მეცნიერების, სპორტის, ეკონომიკის ზეაღმავალ განვითარებას. მისი დამსახურება ერის წინაშე განუსაზღვრელია და იმის მტკიცება, რომ ქართველებს ინტელიგენცია „არასრულყოფილების კომპლექსს“ უვითარებდა ქაროველ ერს – არამართლზომიერი შეხედულებაა. სწორედ ქართველი ლიტერატორების, პოეტებისა და მწერლების, ქართველი მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების, რეჟისორებისა და მსახიობების, კულტურის მუშაკების, სორტსმენების მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია ის ეროვნული ძლიერი მუხტი, რომელიც საქართველოში XX საუკუნის 80-იან წლებში გიზგიზებადა და არა იმ 100-200 ცალი დისიდენტური ხელნაწერი ჟურნალისა, რომელიც მკითხველამდე ვერც კი აღწევდა.

ჩვენი აზრით, მოხსენების ეს თეზისიც არამეცნიერულია და ისიც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელობის დაკნინებას, მისი ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი ფუნქციის გაქარწყლებას, საბჭოთა სისტემასთან მათი კავშირის შეხსენებით პოლიტიკური არენიდან მათ განდევნას.

3. მოხსენების ავტორი ერთ ადგილზე ამტკიცებს, რომ „...მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა შექმნეს თეორია იმის შესახებ (არსებობს სტალინის თეორია ამასთან დაკავშირებით), რომ თურმე ქართველი ერი, როგორც ასეთი, შეიქმნა და ჩამოყალიბდა ერად მეცხრამეტე საუკუნეში, რომ მანამდე იგი თურმე არც ერი ყოფილა და არც არსებობდა...“

მე შეიძლება ზ. გამსახურდიას მოხსენების სხვა თეორიული მოსაზრებები არ განვიხილო, მათი სპეციფიკური შინაარსისა და ჩემი კვლევითი ინტერესებისაგან მათი საკმაოდ დიდი დაშორების გამო, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს სწორედ ჩემი „პრობლემაა“ და ზ. გამსახურდია მართალი არ არის. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს (მარქს, ენგელს, ლენინს) ქართველი ერის წარმოშობის შესახებ თეორია არა აქვთ. ამის შესახებ თეორია არ აქვს არც ი. სტალინს – მას არ დაუწერია ნაშრომი ქართველი ერის წარმოშობის შესახებ. მას აქვს ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, რომელშიც ზოგადად ერის მარქსისტულ თეორიას აყალიბებს მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის პოზიციებიდან, რომელიც იმჟამად გაზიარებული იყო სოციალ-დემოკრატების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ, სტალინის ზეობის პერიოდში – კომუნისტური მსოფლიოს წამყვანი იდეოლოგების მიერ[25] და მას დღესაც იზიარებენ, სხვადასხვა ვარიაციით, ზოგიერთი ქართველი და არაქართველი მეცნიერი.

არსად ი. სტალინი არ ამტკიცებს, რომ „ქართველი ერი ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნეში“. ის ამტკიცებს, რომ „ნაციის“ ფორმირება დასრულდა XIX საუკუნეში, როცა კაპიტალიზმის ეკონომიკურმა სისტემამ ძლიერი ღვედებით საბოლოოდ შეადუღაბა ნებისმიერი ერი, და არა მარტო ქარ-

თველები (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არიან ამერიკელი მეცნიერები, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ქართველი ერის ფორმირება დასრულდა XX ს. 30-იან წლებში[26]). აქ ი. სტალინი ერის ფორმირების პროცესის დასრულებაზე საუბრობს და ამაში ის მართალია. როგორც ჩანს, ზ. გამსახურდიას მოხსენების წაკითხვის წინ აღარ გადაუკითხვას ი. სტალინის ეს ნაშრომი და ძირითადად მეცნიერთა ერთ ჯგუფში მოარული ხმების საფუძველზე გააკეთა ეს განცხადება.

4. საკმაოდ გრძელი და დამქანცველი მეცნიერული წიაღსვლების საფუძველზე, როცა ვითომდა დამტკიცდა ქართველების გამორჩეული როლი მსოფლი ცივილაზაციის საწყის ეტაპზე, ზ. გამსახურდია აკეთებს აქედან გამომდინარე დასკვნებს ქართველი ერის ისტორიული მისიის შესახებ: **„რა მისიაა ეს? ეს არის სანქტიფიკაცის, განწმენდის მისია, კაცობრიობის განწმენდისა“** – ეს № 1 მისია; ხოლო მეორე მისია არის: **„ამავე დროს მხილებისა, რომელიც უნდა განახორციელოს ამ საწყისმა“**[27].

ამრიგად, ქართველმა ერმა, რომელიც სულ რაღაც 100 წლის წინ მისმა სულიერმა მამა ილია ჭავჭავაძემ სასტიკად გაკიცხა და დაანამუსა, XX საუკუნის ათეიზმის ბატონობისა და სოციალიზმის პირობებში მცხოვრებმა, მსოფლიოს საზოგადოებრიობა, კაცობრიობა უნდა „გაწმინდოს“, მისი „სანქტიფიკაცია“ უნდა მოახდინოს, რის საფუძველზე? რა უფლებით? და ქართველმა ერმა უნდა „ამხილოს“ და მერე ვინ, მსოფლიოს ცივილიზირებული, დემოკრატიული ფასეულობების მაღიარებელი ერები...

ამრიგად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ტიპიურ არაადეკვატურ „უტოპიურ ნაციონალიზმთან“, როცა მეცნიერი ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, მას მერე რაც ეს ჰიპოთეზა ჭეშმარიტებად გამოაცხადა, აყალიბებს უკვე ახალ მოსაზრებას (რომელიც მას მოსაზრება ჰგონია, სინამდვილეში კი კვლავ ჰიპოთეზაა) და ასე დაუსრულებლად. ხოლო შემდეგ სწორედ ამ ჰიპოთეზების უწყვეტი კასკადის დასასრულს ის ქართველ ერს მსოფლიო ერებისა და სახელმწიფოების მენტორის, აღმზრდელის, დამნამუსებლის, შემფასებლის, საქციელის განმკიცხავის ფუნქციას ავალებს. ასეთი „უტოპიური ნაციონალიზმი“ აშკარად ყურს მოსჭრიდა და აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, მიიპყრობდა კიდეც ყურადღებას და ცრუპატრიოტულ გრძნობებს აუღორძინებდა სამეცნიერო პრობლემებში ნაკლებად გათვითცნობიერებულ მსმენელს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მკითხველს არ დავღლით იმაზე მსჯელობით და იმ საკითხების კრიტიკით, რომ „ჰერაკლე არის წინარესახე ქრისტესი“[28], რომ „წმინდა გიორგი არის მიქაელის ასპექტი ისტორიულ პლანში“[29], და რომ „გიორგიანობამ დაჩრდილა ქრისტიანობა“, რომ „გიორგი გახდა...ქრისტიანული ღმერთის სახე“[30].

ამ საკითხებზე მსჯელობა ქართველი ღვთისმეტყველებისთვის მიგვინდია. მაგრამ ამ ფრაზეოლოგიაში, ამ საღვთისმეტყველო საკითხების მსჯელობაში აშკარად იგრძნობა დაუფარავი ზიზღი საქართველოს იმჟამინდელი სულიერი ლიდერის – კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ს მიმართ, მის მიერ გაკეთებული საქმის მიმართ. ამ დაუფარავ ზიზღს ზ. გამსახურდია მოგვიანებით აშკარად გამოავლენს საქართველოს იმჟამინდელი ეკლესიის საკითხებზე გაზეთ „ერის“ (ქართველი ტრადიციონალისტების გაზეთი) კორესპონდენტთან საუბარში. აი, რას ამბობს ზ. გამსახურდია: „ჩვენს ეკლესიას სჭირდება განწმენდა – ძველი კომუნისტური დროიდან ბევრი უარყოფითი მოვლენა და პიროვნება (საზგასმა ჩვენია – ა.დ.) გადმოჰყვა ამ ახალ პერიოდს. საბოლოოდ იგი უნდა იქცეს ჭეშმარიტ წმინდა ეკლესიად. საერთოდ ვთვლი, საჭიროა საეკლესიო კრების მოწვევა და დიდი წმენდა კადრების სფეროში, საჭიროა ახალი რუის-ურბნისის კრება...“[31].

არავისთვის დაფარული არ არის, რომელ საეკლესიო „პიროვნებაზე“ ჰქონდა გაკეთებული აქცენტი ზ. გამსახურდიას და ვის ემუქრეოდა რუის-ურბნისის ახალი საეკლესიო კრებით.

ასეთი დამოკიდებულება საპატრიარქოსთან, ქართველ ინტელიგენციასთან მხოლოდ ერთი – სუბიექტური ფაქტორით შეიძლება აიხსნას – ასეთი შემტევი პოზიციით ზ. გამსახურდია და მისი პოლიტიკური გუნდი ცდილობდნენ გადაეფარათ ქართველ საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილში მის მიერ 1978 წელს მოსკოვის ცენტრალურ ტელევიზიის ეთერში გაკეთებული მონანიების სუბიექტური შედეგები.

წარმოდგენილი მოხსენების გააზრების შემდეგ ჩნდება შემდეგი ჩამონათვალი:

1. **სახეზეა ფაქტებისა და მოვლენების არაადეკვატური აღქმა;**
2. **სახეზეა ფაქტებისა და მოვლენების არაადეკვატური შეფასება;**
3. **სახეზეა ფაქტებისა და მოვლენების ჰიპერბოლიზება;**
4. **სახეზეა ქართველი ერის მისიის არასწორი, არაადეკვატური გააზრება.**

რა შეიძელება მოიტანოს ასეთმა არაადეკვატურმა შეხედულებებმა?

1. ასეთი ნაშრომით პოლიტიკური ლიდერი ატყუებს ერს, იმით რომ ჰიპოთეზად არსებულ დებულებას ჭეშმარიტებად აცხადებს და მასზე მეორე ჭეშმარიტებად გამოცხადებულ ჰიპოთეზას აფუძნებს და ასე პერმანენტულად, განუწყვეტლად. ეს კი მეცნიერულ ნააზრევს ზღაპრულ შინაარს აძლევს – ე.ი. მას რეალობა ეცლება, ტყვილ ილუზიებს ქმნის. ეს ასატანია ვიწრო თანამოაზრეთა წრეში (ასეთი მოაზროვნეები დღესაც გვხედება თანამედროვე საქართველოში) სჯა-ბაასისას, მაგრამ თუ ასეთი მეცნიერული ნააზრევი საფუძვლად დაედება პოლიტიკურ მიმართულებას, მაშინ ის სა-

ბედისწეროა იმ კონკრეტული ერისათვის, რომელიც ასეთ უტოპიურ შეხედულებებს ითავისებს და თავისი მოღვაწეობის იდეოლოგიურ საფუძვლად აცხადებს და საბოლოოდ დამღუპველია ერისათვის, თუ კი ამ იდეოლოგიით აღჭურვილი პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში მოვა.

2. ასეთი ნაშრომით ამ იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური მოძრაობა უპირისპირებს საკუთარ ერს, რომელიც დაჩაგრული და დამონებულია, მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს, რომელმაც, ამ იდეოლოგიის მიხედვით, ქართველებისაგან უნდა მიიღოს ჯერ „მხილება“, ხოლო შემდეგ „განწმენდა“. ამრიგად, ამ იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური მოღვაწენი ამით შეგნებულად აფერხებენ ბუნებრივ კონტაქტს დასავლეთის ცივილიზაციასთან.

3. ასეთი ნაშრომით, ამ თეორიული „წიაღსვლებით“ და დასკვნებით მრავალეროვანი ქვეყნის პოლიტიკური მიმართულება, უკვე თეორიულად ქმნის საფუძველს საკუთარ ქვეყანაში ეთნიკური დაპირისპირების გასაღვივებლად. თუ კი შენ ასეთი „მისსია“ გაქვს აღსასრულებელი, სად მოიაზრება ამ ისტორიულ „მისსიაში“ აფხაზი და ოსი, რუსი თუ სომეხი, აზერბაიჯანელი თუ ქურთი?

4. ასეთი ნაშრომით, საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობის მიმართ ასეთი დაუფარავი ზიზღით მხოლოდ სერიოზული განხეთქილების შეტანა შეიძლება როგორც ეკლესიაში, ისე საზოგადოებაში (ეს ასეც მოხდა).

5. სწორედ .აქედან გამომდინარე მუშავდება არასწორი პოლიტიკური ორიენტირები. მაგალითად, ასეთი – „საქართველო გაბრწყინდება“ (აშკარად პასიურობის, ყურებჩამოყრის, ფუჭი მოლოდინის სლოგანი), ნაცვლად იმისა რომ იყოს „საქართველოს გავაბრწყინებთ“ (მოქმედების, პრაგმატიზმის, კონკრეტული საქმეების გამკეთებელთა სლოგანი – საქართველოს ინტელიგენციის სლოგანი 60-80-იან წლებში). ლოგიკის მკაცრი კანონებიდან გამომდინარე საქართველოს ეროვნულმა მოძრაობის გარკვეულმა ნაწილმა პირველი სლოგანი გაითავისა.

6. აქედან გამომდინარე მუშავდება და ყალიბდება არასწორი ეკონომიკური ორიენტირები. მაგალითად, ასეთი „საქართველოს ბორჯომი აცხოვრებს“, რაც საქართველოს ეკონომიკური სინამდვილის არაადეკვატურ ასახვას ეფუძნება და საერთოდ იგნორირებას უკეთებს ეკონომიკის მკაცრ კანონებს.

7. აქედან გამომდინარე მუშავდება არასწორი ზნეობრივი ორიენტირებიც – როცა ბერტოლდ ბრეხტისა არ იყოს – „საკუთარი განავალი არ ყარსო“, როცა საკუთარ თვალში ლოდს ვერ ხედავ და სხვისაში ჩავარდნილ ბეწვსაც სპილოდ წარმოსახავ.

8. როცა პოლიტიკური მოძრაობის იდეოლოგიური კრედო ასეთი არაადეკვატური და მცდარია, რა თქმა უნდა პოლიტიკური სტრატეგია და ტაქტიკაც არაადეკვატური-მცდარია, ხოლო მისი შედეგები – უკვე გამორჩეულად ტრაგიკული...

9. ასეთი არაადეკვატური დამოკიდებულება მოვლენებისა და ფაქტების მიმართ ვერც ქართულ მეცნიერებას წასწევს წინ და ვერც ქართველოლოგიას განავითარებს. ეროვნულ ერთიანობას კი სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის...

მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი თეორიული მსჯელობები იყო. ყველაფერი საქართველოს ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ გამოაფხიზლა ქართველი ხალხი – სოციალიზმის რუსული მოდელის მიმართ რწმენა საბოლოოდ შეირყა, თუმცა გარეგნულად საქართველოში ყველაფერი ძველებურად, საბჭოთა კანონებით მიმდინარეობდა, მაგრამ ადამიანებში, როგორც რიგით, ისე პარტიულ ფენებშიც მოხდა სერიოზული ცვლილება – ფეხი გაიდგა სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ. რუსეთში დაწყებულ ანტიქართულ ისტერიას (სტალინისა და ბერიას ქართული წარმომავლობის გამო) საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინება მოჰყვა.

რწმენის შერყევამ საქართველოს პარტიულ ელიტაში გამოიწვია სოციალისტური კანონიერების დარღვევების მიმართ შემგუებელი დამოკიდებულება, რაც ძალიან მალე აისახა საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე და უზრუნველყო კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის განვითარება, „საქმოსანთა“ კლანების გაჩენა, კორუფციის ზრდა.

ასეთ საერთო პოლიტიკურ ფონზე ქართველი ერის ერთიანობის პროცესზე მნიშვნელობა კვლავ ქართველმა შემოქმედებითმა (კომუნისტურმა. არაკომუნისტურმა) ინტელიგენციამ აიღო ხელში. სწორედ მან განამტკიცა, განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართველმა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ერთიანობა, რამაც უკვე, თავის მხრივ, უზრუნველყო ქართველებში შემოქმედებითი პოტენციის მაქსიმალური გამოვლენა, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, ისე განსაკუთრებით კულტურისა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგში.

სერიოზულად გაიზარდა საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობები, რაც საგრძნობლად აისახა ქართველების სოციალურ იერ-სახეზეც. ქართული სოფელი გახდა შეძლებული. „სტალინ-ბერიას ეკონომიკური გეგმა“ კვლავ ძალაში იყო, რაც უზრუნველყოფდა ქვეყნის სტაბილურ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ეკონომიკურმა დაწინაურებამ გაზარდა ასიგნებანი მეცნიერების, ხელოვნების კულტურის თითქმის ყველა დარგში. შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის 60-80-იან წლებში ერის ერთიანობის (კონსოლიდაციის) შენარჩუნების, განმტკიცებისა და განვითარების ყველა კომპონენტი ჰარმონიულად მუშაობდა. ეს ქართველი ინტელიგენციის დიდი დამსახურება იყო.

განვითარდა და ახალ სიმაღლეზე ავიდა: ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა, ქართული მეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, საისტორიო დისციპლინები, გამოყენებითი და ფუნდამენტური მეცნიერების თითქმის ყველა ძირითადი მიმართულება.

ყოველისმომცველი გახდა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელი, ხოლო მისი ადგილობრივი ორგანიზაციები ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ ერთიანი ქართული კულტურული ფასეულობების პროპაგანდის საქმეში.

მტკიცე მატერიალურმა ფუნდამენტმა და მდიდარმა ტრადიციამ უზრუნველყო ქართული არქიტექტურის, თეატრის, კინოს, სპორტის წარმოუდგენელი შედეგები. მსოფლიო ალაპარაკდა ხელოვნების რიგ დარგში „ქართულ ფენომენზე“.

ამ დიდ საერთო ქართულ მიღწევებში დასაფასებულია ყველა გამოჩენილი ქართველი მამულიშვილის (პარტიულის თუ უპარტიოსი) ღვაწლი, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ეროვნული ერთიანობის მისაღწევად, მის განსამტკიცებლად და ერის მიერ მაღალი შემოქმედებითი პოტენციის მაქსიმალურად გამოსავლენად. სწორედ მათ და არა სხვამ გააცოცხლეს და ააღორძინეს ქართველების ეროვნული ღირსება, ეროვნული ცნობიერება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ამ საერთო ფონზე ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენციის ერთ ჯგუფში დაიბადა და განვითარდა „უტოპიური ნაციონალიზმი“, რაც დაეფუძნა ქართველი ერის ისტორიული „მისიის“ არასწორ ინტერპრეტაციას, რაც არაადეკვატური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობასაც იძლეოდა. ინტელიგენციის ეს ჯგუფი, ფაქტობრივად, აშკარად გაემიჯნა ილია ჭავჭავაძისა და მისი მეგობრების „კრიტიკულ ნაციონალიზმს“, რამაც მომავალში საბედისწერო შედეგები მოიტანა.

თავი XII

რღვევა

§ 1. – კომუნიზმის კრახი და ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საბჭოთაში

სწრაფად ცვლად მსოფლიოში საბჭოთა კავშირში თითქოს დრო გაიყინა – XX საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურებით ლ. ბრეჟნევის ხელისუფლება ჯერ კიდევ ახერხებდა ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნებას, სუპერსახელმწიფოს იმიჯის განმტკიცებას, საგარეო პოლიტიკურ ექსპანსიას – მსოფლიოში რუსული სოციალიზმის მოდელის გავრცელებას და დამკვიდრებას. მაგრამ ამ მიზნებს უზარმაზარი მატერიალური რესურსები ხმარდებოდა: კოლოსალური თანხები იხარჯებოდა მოსკოვზე ორიენტირებული სოციალისტური ბანაკისა და მესამე მსოფლიოს ახლადჩამოყალიბებული ქვეყნების მატერიალურ და სამხედრო დახმარებებზე. ამის გამო საბჭოთა ქვეყანაში სოციალური პროგრამების დაფინანსების ზრდა ფაქტობრივად შეჩერდა უკვე XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ დაივიწყა, რომ მრავალეროვანი სახელმწიფო 1922 წელს მხოლოდ იმ მიზნით შეიქმნა, რომ მასში გაერთიანებული ერებისა და ეროვნებებისათვის სოციალური პრობლემები უფრო ადვილად და უფრო სწრაფად მოეგვარებინა და ამ საქმეში წამყვანი დასავლეთის ქვეყნებისთვის გაესწრო. მაგრამ მოხდა პირიქით – XX საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების რიგითი მოქალაქეები გაცილებით უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილნი მატერიალურად, თავისუფალნი – სოციალურად, მდიდარნი – კულტურულად. საბჭოთა ხელისუფლება და მისი სატელიტები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არაფერს არ ცვლიდნენ ტრადიციულ პოლიტიკაში – თითქმის ყველა ქვეყანაში ბატონობდა კომუნისტური ლიდერის ავტორიტარული დიქტატურა.

ამავე დროს კომუნისტური ჩინეთი, რომელიც უკვე 60-იანი წლების დასაწყისიდან გაემიჯნა რუსულ სოციალიზმსა და კრემლის დიქტატს, 80-იანი წლებიდან ინტენსიურად იწყებს ეკონომიკურ ტრანსფორმაციას და

დენ სიაოპინის ხელმძღვანელობით თანდათან, მაგრამ მეტად ენერგიულად გადაჰყავს უზარმაზარი ქვეყნის ეკონომიკა დინამიური განვითარების რელსებზე. მართალია, მაშინ ამ რეფორმების სოციალური შედეგები ჯერ კიდევ არ იყო საცნაური, მაგრამ ორი ათეული წლის შემდეგ მსოფლიო ალაპარაკდება „ჩინური სასწაულის“ შესახებ.

დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები ცდილობდნენ საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის შემდგომი ექსპანსიის შეჩერებას, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცევას, იმის მიღწევას, რომ საბჭოთა სახელმწიფოს შეეწყვიტა მხარდაჭერა და დახმარება ტერორისტების მფარველი დიქტატორული რეჟიმებისთვის.

ამ მიზნით შედგა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელმაც მიზნად დაისახა შემაჯამებელი დოკუმენტის შემუშავება. 1973-1975 წლებში მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკება ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სახელმწიფოებს შორის. 1975 წლის 1 აგვისტოს ჰელსინკში, კონგრესების სასახლეში ხელი მოაწერეს „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის დასკვნით აქტს“, რომელიც აღიარებდა ომის შემდგომი სახელმწიფო საზღვრების ურღვევობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, ევროპის უსაფრთხოებას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მოთხოვნების უპირობო აღიარებას და შესრულებას, ინფორმაციების გაცვლას, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის დარგში ქვეყნებს შორის ინტენსიური კავშირების განვითარებას.

საბჭოთა კავშირმა და მისმა სატელიტებმა ევროპაში, მართალია, ხელი მოაწერეს ამ დასკვნით აქტს, მაგრამ არც კი უცდიათ მისი პრინციპების რეალიზება, განსაკუთრებით კი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების მსოფლიოში აღიარებული კრიტერიუმების საკუთარ ქვეყნებში დამკვიდრება. საბჭოთა სისტემა კელავ „დახურულ საზოგადოებად“ რჩებოდა. მაგრამ საბჭოთა საზოგადოებაში უკვე არსებობდნენ ძალები, რომლებიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდნენ. ესენი ახალგაზრდა ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. მათ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში შექმნეს ანტისაბჭოთა, არალეგალური ჯგუფები.

ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასასრულს თბილისში შეიქმნა არალეგალური ორგანიზაცია „ეროვნული თვითშეგნების აღორძინება“ (ვ. ღლონტი და სხვ.). ახალგაზრდა ინტელიგენტთა ეს დაჯგუფება უშიშროების ორგანოების რეპრესიის მსხვერპლი გახდა.

1974 წელს თბილისში შეიქმნა „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საინიციატივო ჯგუფი (უვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვ. რცხილაძე და სხვ.). რომელსაც 1976 წლის 12 მაისს მოსკოვში „ჰელსინკის ხელშეკრულების

შესრულების ხელშემწყობი ჯგუფი“ ჩამოყალიბდა, თბილისის „ადამიანის უფლებათა დაცვის“ ჯგუფი „ჰელსინკის ჯგუფად“ გადაკეთდა. მათ გამოსცეს ლიტერატურული ჟურნალი „ოქროს საწმისი“ (ოთხი ნომერი) და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, მაგრამ ეს გამოცემები ხელნაწერი იყო, მცირე ტირაჟით და მხოლოდ ძალიან ერთგულ ადამიანთა შორის ვრცელდებოდა. ჯგუფის წევრებს განუწყვეტლივ უთვალთვალებდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და ამიტომ, მათი პროპაგანდისტული შესაძლებლობები ერთობ შეზღუდული იყო.

მაგრამ სულ სხვა იყო ის ძლიერი ტენდენციები და აშკარა პროტესტი, რაც 70-იან წლებში შეიმჩნეოდა ქართულ ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში.

70-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავის შემოქმედებაში ილაშქრებდნენ პიროვნების უფლებების შელახვის, რუსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერების წინააღმდეგ, იღვწოდნენ ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებისთვის. რამდენადაც მათი მოღვაწეობა უფრო ლეგალური იყო, შესაბამისად, მოსახლეობაზე ზემოქმედების შედეგები — უფრო შთამბეჭდავი და ძლიერი.

ახალი სულისკვეთების მწერლებს შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს ვანო ურჯუმელაშვილი და მისი რომანი „ფერისცვალება“, რევაზ ჯაფარიძის ნარკვევი „ადამიანთა მორჩილი ზღვა“, გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, რომლებშიც მხილებული იყო თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების გამოუვალი მდგომარეობა, უძრაობა, სულისშემხუთველი გარემო, პიროვნების გაორება.

70-80-იანი წლების საქართველოს ინტელიგენციის დემოკრატიულ თვალსაზრისს და რეჟიმისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავდა კრიტიკოსი და პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე. მისი ობიექტური, პატრიოტული და უკომპრომისო სტატიები და პუბლიკაციები, საინტერესო საჯარო გამოსვლები მოსწონდა საზოგადოებას.

ეროვნული მსოფლმხედველობის განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის რევაზ თაბუკაშვილის პატრიოტულ კინო-პუბლიცისტიკას. მისი „ალპიური ვარსკვლავი“, „ვიტორიო სელა“ და სხვა დოკუმენტური ფილმები, სწორედ პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების პრობლემებს ეხებოდა. ეროვნული აქცია იყო რევაზ თაბუკაშვილის ინიციატივით, იტალიიდან, ცნობილი ქართველი მეცნიერის, იტალიაში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენება (1978 წ).

იმ წლებში ქართული კინოს, ქართული თეატრის, ქორეოგრაფიის აღმავ-

ლობა და საერთაშორისო აღიარება უდაოდ ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, აყალიბებდა გადაულახავ კონფლიქტს არსებულ სინამდვილესთან, საზოგადოების სხვადასხვა ფენაში წარმოშობდა რადიკალური განახლების სურვილს და მისი რეალიზაციის აუცილებლობის მოთხოვნილებას.

აღსანიშნავია მწერლისა და მეცნიერის, ვახუშტი კოტეტიშვილის ინიციატივით დაწყებული „ფოლკლორული საღამოების“ მნიშვნელობა, რომელმაც არა მარტო ხელი შეუწყო ახალი სახალხო მთქმელების, შემსრულებლების გამოვლენას, არამედ უზრუნველყო საქართველოში ძლიერი პატრიოტული გრძნობების გაღვივება.

იდეოლოგიური დიქტატის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება გაერცელდა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებაში: ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ლიტერატორები ცდილობდნენ კომუნისტური დოგმატების მსხვრევას, თავისუფალი სიტყვის თქმას. შეფარვით, ეზოპეს ენით, იგავური ხერხით ამბობდნენ ჭეშმარიტ სიმართლეს.

მაგალითად, იყო მცდელობა დემოკრატიული საქართველოს ისტორიის ობიექტური, არაკომუნისტური, არანეგატიური შეფასებისა (აღსანიშნავია: ისტორიკოსები უშანგი სიდამონიძე, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი და სხვ.), თუმცა ასეთ მცდელობას ადმინისტრაციული ზემოქმედება უმალ მოჰყვებოდა ხოლმე.

ამ ყველაფერმა შეამზადა მსოფლმხედველობითი საფუძვლები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმაყლობისთვის. ამ პერიოდში მისი პეგემონი და იდეური ხელმძღვანელი საქართველოს ინტელიგენცია იყო, რომელიც, საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლის რადიკალური ფორმების გამორიცხვით, ცდილობდა საზოგადოების ევოლუციას სულიერი განწმენდის გზით. ხელისუფლებასთან მკვეთრი დაპირისპირება ინტელიგენციას ეროვნული საქმისათვის საზიანოდ მიაჩნდა. საყოველთაოდ არის ცნობილი აკაკი ბაქრაძის შეგონება – „საბჭოთა სისტემა ინგრევა და ვეცადოთ არ მოვყვეთ მის ნანგრევებში“ (მისი ეს განცხადება პირადად მოვისმინე იეანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მისი სტუმრობის დროს).

ასევე ფიქრობდა საქართველოს სამოციქულო ეკლესია, რომელიც ქვეყანაში თანდათან სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას იხვეჭდა.

1978 წელს „ჰელსინკის ჯგუფის“ საქართველოს ორგანიზაციის წევრები, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვ. რცხილაძე და სხვები, როგორ უკვე აღინიშნა, უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა. უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ ზვიად გამსახურდია საკავშირო ტე-

ლეონიზიით გამოვიდა და მოინანია თავისი „დანაშაული საბჭოთა ქვეყნის წინაშე“. შემდეგ კი უშიშროების კომიტეტის ყველა მოითხოვნა შეასრულა. ამის გამო ზვიად გამსახურდიას „შეუნდეს“ და მერაბ კოსტავასა და ვ. რცხილაძისგან განსხვავებით, ჩრდილოეთ კავკასიის ყიზლარის საძოვრებზე, ქართველ მეცხვარეებთან გადაასახლეს. საბჭოთა სინამდვილეში ცნობილი დისიდენტის ერთადერთი მონანიება თავიდანვე დაგმო საბჭოთა დისიდენტურმა მოძრაობამ.

ამრიგად, 80-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ეროვნული ცნობიერება განმტკიცდა და საბჭოური მენტალიტეტისადმი დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითად შეიცვალა

1982 წლის 7 ნოემბერს, საზეიმო აღლუმზე გაცივდა და მალე გარდაიცვალა ლეონიდ ბრეჟნევი. მსოფლიო იმედოვნებდა, რომ საბჭოთა კავშირში რადიკალურად შეიცვლებოდა ვითარება. მაგრამ სკკპ პოლიტბიუროს გერონტოკრატიას რადიკალური ცვლილები არ უნდოდა. სკკპ ცკ გენერალურ მდივნად და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს მოხუცებული იური ანდროპოვი, წლების გამავლობაში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ახალი ხელმძღვანელი რადიკალურად მემარცხენე შეხედულებების მატარებელი იყო, მიაჩნდა, რომ დისციპლინის განმტკიცება, უკანონობის აღმოფხვრა, წესრიგის დამყარება ყველგან და ყველაფერში დაეხმარებოდა ქვეყანას კრიზისული ვითარების დაძლევაში. მაგრამ მან დასახული მიზნების რეალიზაცია ვერ მოახერხა.

იური ანდროპოვი 1984 წელს გარდაიცვალა. საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი გახდა ნიკოლოზ ჩერნენკო, რომელიც ასევე ძალიან მალე, 1985 წლის აპრილში გარდაიცვალა.

1985 წლის 23 აპრილს შედგა სკკპ ცკ პლენუმი, რომელზეც საბჭოთა კავშირის კპ ცკ გენერალურ მდივნად აირჩიეს მიხეილ გორბაჩოვი, ასაკით შედარებით ახალგაზრდა, უცხოეთში გარკვეული ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური მოღვაწე. საბჭოთა საზოგადოება, პირველ რიგში ინტელიგენცია, მათ შორის ქართველი ინტელიგენციაც, მასზე დიდ იმედებს ამყარებდა.

სკკპ ცკ ახალმა ხელმძღვანელობამ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას შესთავაზა „გარდაქმნა“ – პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც მოკლე დროში რადიკალურად უნდა შეეცვალა საბჭოთა კავშირის იერსახე.

რადიკალური განახლება სწორედ ეკონომიკას სჭირდებოდა. პროპაგანდას უწევდნენ დევიზს: „ეკონომიკა ეკონომიკური უნდა იყოს!“, ფიქრობდნენ, რომ

მუშაობა კლასის და კოლმეურნე გლეხობის ენთუზიაზმს გააცოცხლებდნენ (რაც უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო), მაგრამ უამრავი დაპირებებითა და ფუჭი სიტყვებით გაბეზრებული საბჭოთა მოქალაქე საოცარ ინერტულობას იჩენდა. ქვეყანაში უიმედობამ დაისადგურა. რუსეთში კატასტროფული ხასიათი მიიღო ლოთობამ.

1985 წლის ზაფხულში სკკპ ცკ და სსრკ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება ითვალისწინებდა ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და გამოყენების შეზღუდვას, ქვეყანაში „ჯანსაღი ცხოვრების“ წესის დამკვიდრებას. საზოგადოებას შესთავაზეს უალკოჰოლო დღეობები, ქორწილები. დადგენილებამ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მეღვინეობა-მევენახეობას. შემცირდა ღვინის დამზადების მოცულობა, ქართულ ყურძენზე მოთხოვნილებამ იკლო. კახელი გლეხი იძულებული გახდა ვენახი გაეჩეხა და საზამთრო დაეთესა. ეს ტენდენცია, რომელიც ამ წლებში დაიწყო, ძალიან ხშირად შეახსენებს ხოლმე თავს ქართულ საზოგადოებას მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაშიც.

მიუხედავად მცდელობისა, მ. გორბაჩოვის პოლიტიკური გუნდის მიერ განხორციელებული ვერცერთი რეფორმა წარმატებული არ აღმოჩნდა, ეკონომიკური წინსვლა არ ჩანდა. დღეს რუსეთში ექსპერტები და პოლიტიკური მიმომხილველები უშუალოდ მ. გორბაჩოვსა და მის პოლიტიკურ გუნდს ადანაშაულებენ საბჭოთა ეკონომიკის მიზანმიმართულ დანგრევაში, რადგან მათი აზრით ჩინეთის მსგავსად, შეიძლებოდა ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღება, რაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ შეგნებულად არ გააკეთა.

თანდათან ქვეყანაში ეკონომიკური სტაგნაცია გაბატონდა. ეკონომიკური კრიზისის ნიშნები აშკარად ჩანდა: დაცარიელდა მაღაზიების თაროები, ხელფასების დასაქონლება ვეღარ ხდებოდა, „ნავთობდოლარები“ აღარ კმაროდა პირველადი მოთხოვნილების საგნების, სურსათის საზღვარგარეთ შესაძენად. უსარმაზარი რიგები სურსათის მაღაზიებთან საბჭოთა ყოფის დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

მიხეილ გორბაჩოვი თავიდანვე ცდილობდა საერთაშორისო დაძაბულობის, გამალებული შეიარაღების შენელებას, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემდა უზარმაზარი თანხები საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად გამოეყენებინა. კვლავ გრძელდებოდა ომი ავღანეთში, რომელიც უზარმაზარი თანხა უჯდებოდა ქვეყანას, გრძელდებოდა დახმარება კუბის, არაბული ქვეყნების პროსაბჭოთა რეჟიმებისადმი. ქვეყნის შერყეული ეკონომიკა ამდენ ხარჯს უკვე ვეღარ უძლებდა.

გორბაჩოვის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი ახალ პიროვნებას უნდა განეხორციელებინა. 1985 წლის ივნისის შუა რიცხვებში მიხეილ გორბა-

ჩოვმა თავისი საგარეო პოლიტიკური კურსის რეალიზება ედუარდ შევარდნაძეს შესთავაზა. 2 ივლისს სკკპ ცკ პოლიტბიურომ ედუარდ შევარდნაძე პოლიტბიუროს წევრად აირჩია და რეკომენდაცია გაუწია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. ამ გადაწყვეტილებას საქართველოში კმაყოფილებით შეხვდნენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ჯუმბერ პატიაშვილი.

საქართველოს ახალ პარტიულ ხელმძღვანელს არ შეეძლო რადიკალურად რამე შეეცვალა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში, ის მთლიანად მოსკოვზე დამოკიდებული პოლიტიკური მოღვაწე აღმოჩნდა. ჯ. პატიაშვილი უცილობლად ახორციელებდა იმ გადაწყვეტილებებს, რასაც მოსკოვის კრემლის კულუარებში ამუშავებდნენ და დირექტივების სახით მას უგზავნიდნენ.

ერთ-ერთი ასეთი ნოვაცია იყო „საჯარობა“ – ამაში მოიაზრებდნენ ნეგატიური მოვლენების საჯარო მხილებას. ამ საქმეში განსაკუთრებით გააქტიურდა პუბლიცისტიკა და განსაკუთრებით ბევრს წერდნენ იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას დანაშაულებების შესახებ. მ. გორბაჩოვს ეგონა, რომ სტალინსა და ბერიას გადააბრალებდა საბჭოთა სისტემის ყველა მანკიერებას და აქეთკენ მიმართავდა მოსახლეობის რისხვას, მაგრამ შედეგი საწინააღმდეგო მიიღო – უკვე არაკონტროლირებად პრესაში იმდენი „შავი თეთრეული“ გამოფინეს, რომ მან სოციალიზმის რუსული მოდელის საშინელი მანკიერი სიმახინჯეები წარმოაჩინა. ამასთან, ზოგმა რუსმა ჟურნალისტმა სტალინისა და ბერიას მხილების დროს აშკარად დაუშვა გადაჭარბება და ქართველ ერსაც შეეხო კრიტიკული და, როგორც მაშინ საქართველოში ფიქრობდნენ, ზედმეტად კრიტიკული თვალსაზრისით. მაგალითად, საქართველოში დიდი აღშთოფება გამოიწვია 1986 წლის ზაფხულში ჟურნალ „ნაშ სოვრემენნიკ“-ის მეხუთე ნომერში დაბეჭდილმა, მეტად ცნობილი და პოპულარული მწერლის, ვიქტორ ასტაფიევის მოთხრობამ – „ციმორების ჭერა საქართველოში“. ეს იყო დოკუმენტური „მოთხრობა“, რომელიც სავსე იყო ტყუილ-მართალით საქართველოს შესახებ. ქართველი ადამიანებისთვის ღირსებაშემლახავი ტონით რუსი მწერალი უაპელაციოდ აკრიტიკებდა ქართველი კაცის ცხოვრების წესს. რუს მწერალს საქართველოში აღიზიანებდა ყველაფერი: ქართველის ცხოვრების მაღალი დონე, მისი მდიდრული სახლი, ავეჯი, მოვლილი ეზო-კარი, უხვი სუფრა. რა თქმა უნდა, ნაწარმოებში დაფიქსირებული იყო რიგი ნეგატიური მოვლენა და ფაქტი, რაც 80-იანი წლების საქართველოში მართლაც შეიმჩნეოდა და ჭეშმარიტი მამულიშვილების გულისწყრომას იწვევდა, მაგრამ რუსი მწერლის გამომწვევი „წკი-

პურტები“ საქართველოს ინტელექტუალურმა საზოგადოებამ შეურაცხყოფად მიიღო. საქართველოში, ამ „ნაწარმოებით“ გამოწვეული უარყოფითი რეაქცია დიდი იყო. ქართველი მწერლების პროტესტს მოსკოვში მწერალთა კავშირის პლენუმზე რუსი მწერლების (ვალენტინ რასპუტინის და სხვათა) კიდევ უფრო ცინიკური გამოსვლები მოჰყვა. ქართველმა მწერლებმა დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი. შეგნებულად თუ შეუგნებლად, რუსმა მწერლებმა ჩინებული გზა მოძებნეს საბჭოთა კავშირის დაშლის ხელშესაწყობად – ეს იყო საეროვნებათაშორისო ურთიერთობის გამწვავება. საქართველოში ანტისაბჭოთა ტენდენციები კიდევ უფრო გაძლიერდა.

ყველაფერმა ამან ააღორძინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ერთ-ერთ ფრთას ახალგაზრდა „არაფორმალები“ შეადგენდნენ.

§ 2. – ჰეგემონიის საკითხისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში

საქართველოში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის ჰეგემონი და მამოძრავებელი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართველი ინტელიგენცია იყო ცალსახად და უპირობოდ. სწორედ მისი ღვაწლის შედეგადგაკეთდა ჭეშმარიტად ქართული საქმე – ყველაფერი ის, რითიც ასე ამაყობდა ქართველობა XX საუკუნის 60-80-იან წლებში და რამაც გააჩინა ის შეხედულება, რომ საქართველოს შეეძლო გამხდარიყო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, ჩამდგარიყო მსოფლიოს თავისუფალ ერთა რიგებში. ჩვენი აზრით, ქართველ ინტელიგენციას ხელეწიფებოდა ამ მიზნის ბოლომდე წარმატებით განხორციელება. მისი აუჩქარებელი, მოზომილი პოლიტიკური ხაზი, პრაგმატიზმი მოქმედებაში და ვითარების სწორი პოლიტიკური ანალიზი ამის გარანტიას იძლეოდა (მხედველობაში გვაქვს რეზო თაბუკაშვილის, ვახუშტი კოტეტიშვილის, აკაკი ბაქრაძის, ჭაბუა ამირეჯიბის და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლების ზომიერი პოზიცია სხვადასხვა შეხვედრებსა და გამოსვლებზე).

იმჟამად საქართველოს ინტელიგენციისათვის უმთავრესი მიზანი იყო შეენარჩუნებინა ათწლეულების მანძილზე მათ მიერ ასე რუდუნებით რეალიზებული სამი აუცილებელი პირობა: ერთიანი და განუყოფელი ყოფილიყო ქართველი ერი თავისი ტრადიციული ეროვნული ფასეულობებით; სტაბილურად და მედამ აღმავალი ხაზით განვითარებულიყო ქვეყნის ეკონომიკა – ამ ერთიანობის ძირითადი საფუძველი; კვლავ წარმატებული და მსოფლიოში აღიარებული ყოფილიყო ქართული მეცნიერება, ხელოვნება, კულ-

ტურა და სპორტი. ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია ყურადღებით ადევნებდა თვალს საბჭოთა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს უკვე 80-იანი წლების შუა ხანებიდან. ამ პერიოდში ქართველი ინტელიგენციის აშკარა ლიდერებიც გამოიკვეთნენ: აკაკი ბაქრაძე, რეზო თაბუკაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ვახუშტი კოტეტიშვილი, მერაბ მამარდაშვილი.

მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ფრთა, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა გამოუცდელი ინტელიგენტებით იყო წარმოდგენილი, უფრო რადიკალური და უკომპრომისო ჩანდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ კიდევ უფრო რადიკალური მოძრაობის წარმომადგენლები: „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია“ (ლიდერი ირაკლი წერეთელი), „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ (ლიდერი გია ჭანტურია), „პელსინკის ჯგუფი“ (ლიდერი ზ. გამსახურდია). ჩამოყალიბდნენ შედარებით უფრო ზომიერი პოლიტიკური დაჯგუფებები: „სახალხო ფრონტი“ (ლიდერი ნოდარ ნათაძე), „რესპუბლიკური პარტია“ (ლიდერი ძმები ბერძენიშვილები), „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ (ლიდერები ზურაბ ჭავჭავაძე, თამარ ჩხეიძე, კახა კახაძე) და სხვები.

აშკარაა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებმა მოძრაობის საწყის ეტაპზე აშკარად პოლიტიკური რეაბილიტაცია გაუკეთეს ზ. გამსახურდიას, რომელიც თავისი „მონანიების“ შემდეგ გარკვეულად ჩრდილში მოექცა და საბჭოთა დისიდენტებს შორის ავტორიტეტი სერიოზულად შეერყა. ამ „პატიებაში“, რა თქმა უნდა, მისი ლეგენდარული მამის – კონსტანტინე გამსახურდიას გაელენაც ასრულებდა გარკვეულ როლს.

1988 წლისათვის აშკარა გახდა, რომ საბჭოთა სისტემა თავს ვერ დააღწევდა კრიზისს და მალე აღსასრული დადგებოდა. ეს ნათელყო სოციალური პროტესტის ფორმებმა რუსეთის რიგ სამრეწველო ქალაქში, მთიანი ყარაბაღისათვის სომხურ-აზერბაიჯანულმა დაპირისპირებამ, ნაციონალისტურ-შოვინისტური ტენდენციების გაძლიერება თვით რუსებში და ა.შ..

საბჭოთა სისტემას, როგორც ყველა ცოცხალ ორგანიზმს, თვითგადარჩენის ინსტიქტები პქონდა და სიკვდილის მოახლოებისას შინაგანად ის აშკარად ცდილობდა გადარჩენას, ხოლო მოახლოებული პოლიტიკური სიკვდილის კონვულსები პრაქტიკაში ზოგჯერ აშკარად შესაზარ ფორმებს იღებდნენ და მას შეიძლება სერიოზულად დაეზიანებინა მოსალოდნელი „მსხვერპლი“.

ამის თავიდან აცილება, როგორც აღვნიშნეთ, ქართველ ინტელიგენციას საკუთარი შესაძლებლობებით შეეძლო. მაგრამ საკითხი დადგა ასე – ვის უნდა აეღო ხელში ძალაუფლება, რომელიც სულ უფრო და უფრო იკვეთებოდა ჰორიზონტზე? ქართველ ინტელიგენციას თუ რადიკალურ მოძრაო-

ბას?

არაფორმალების ერთი ნაწილი, რომელიც პატრიოტულ ფრაზეოლოგიას იყო ამოფარებული, და მათ შორის ზ. გამსახურდიაც, ქართველი ინტელიგენციის მიმართ უკომპრომისო შეურიგებლობას იჩენდა და მაქსიმალური ძალისხმევა მოახმარეს მათ დისკრედიტაციას: უწოდებდნენ – „წითელ პროფესურას“, „კრემლის აგენტებს“ და ა.შ. ძალიან ხშირად მიტინგებსა და არაფორმალების შეკრებებზე ცალსახად ქართველი ინტელიგენციის ლანძღვა ისმოდა მათი მოზომილი პოლიტიკური ნაბიჯების გამო, გმობდნენ მათ წარსულ „თანამშრომლობას“ კომუნისტურ პარტიასთან, უკიჟინებდნენ კომუნისტური პარტიის წევრობას, მიღებულ პრივილეგიებს და ა.შ. და ა.შ..

მოხდა ისე, რომ ქართველი ინტელიგენციის პოლიტიკური ლიდერები ასეთი დროს ზოგი თბილისში არ იმყოფებოდა (მ. მამარდაშვილი), ზოგი მძიმედ იყო ავად (რ. თაბუკაშვილი, ჭ. ამირეჯიბი, ვ. კოტეტიშვილი), ზოგი დაიბნა და სათანადო შემტევი პოზიცია ვერ დააფიქსირა და ვერ დაიცვა თავისი პოლიტიკური პოზიცია.

ისე რომ საბჭოთა სისტემის კრიზისის ბოლო ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ძირითადად არაფორმალები აკონტროლებდნენ თავისი რადიკალური იდეოლოგიით. ვერ მოხდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობის გაერთიანება. პირიქით, ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობა ჯერ ერთ ადგილზე შეაჩერეს, ის გზიდან ენერგიულად ჩამოიშორეს და დავიწყების ფარდა წააფარეს. ქართველმა არაფორმალებმა ქართველი ეროვნული ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი – ფაქტობრივად ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობის მთავარი ძალა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელოვნურად ჩამოაშორა, დაიტოვეს მხოლოდ ქართველი ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებიც ხელს არ უშლიდნენ ძალაუფლებისაკენ დაუოკებელ ლტოლვაში.

ეს ტენდენცია აშკარად გამოჩნდა 9 აპრილის კრიზისის პერიოდში...

საბჭოთა სისტემის აგონიის დროს, ზედმეტად კრიტიკული შემტევი პუბლიცისტიკის პირობებში, „საჯაროობის“ ვითარებაში საქართველოში არაფორმალებმა საბჭოთა ისტორიის რიგ საკითხებთან ერთად კრიტიკის ცეცხლში გაატარეს საქართველოში ავტონომიების შექმნის საკითხიც. აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიები გამოცხადდა კომუნისტების მიერ საქართველოს საფუძველში ჩადებულ ხანგძლივი მოქმედების „ნაღმებად“, რომელთა არსებობა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. სამწუხარო ის იყო, რომ ქართველმა „არაფორმალებმა“, რომლებიც საქართველოს I რესპუბლიკის მოტრფიალენი იყვნენ და მისი

იდეების მემკვიდრეებად აცხადებდნენ თავს, არ იცოდნენ, რომ ავტონომიის პრინციპი საქართველოში სწორედ I რესპუბლიკის კონსტიტუციამ დანერგა, რომ დემოკრატიული საქართველოს მესვეურები აღიარებდნენ ავტონომიას აფხაზეთისა და სამუსლიმანო საქართველოსათვის. სამართლიანია პროფ. დ. შველიძის შენიშვნა: „80-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობა და საერთოდ მაშინდელი პოლიტიკური ელიტა, რომელმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო არ უწყოდა რა მასზე ადრინდელი თაობების პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ"[1] სწორედ ამის გამო მათ დაუშვეს იგივე შეცდომები და არ გაითვალისწინეს ის ფაქტორები, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა მათ წინა თაობას.

ავტონომიების შექმნის საკითხი იმჟამად აშკარად არ იყო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი, მას შეეძლო გამოეწვია ჯერ კიდევ საბჭოთა სისტემაში ორგანულად ჩართულ საქართველოში სერიოზული დაპირისპირება ეთნიკურ ჯგუფებს შორის, განსაკუთრებით ეთნიკურ ელიტებში, რომლებიც საქართველოს რეგიონებში, განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს ისტორიული განვითარების წინა ეტაპებზე პრორუსული ორიენტაციით მუდამ გამოირჩეოდნენ, ხოლო პოლიტიკური კრიზისის დროს აშკარად გამოაველინეს კიდეც თაეისი ანტიქართული ტენდენციები.

ამიტომ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში ვინც ზედმეტად გაუკეთა პედალირება ავტონომიების შექმნის კანონიერება-უკანონობის საკითხს, მან ფაქტობრივად შეგნებულად თუ შეუგნებლად საბჭოთა უშიშროების დავალება შეასრულა.

ქართველ არაფორმალებში იყო ძალა, რომელიც გრძნობდა ვითარების ასეთ განვითარებას და მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ მოენახათ გზები სწორედ აფხაზეთისა და ოსეთის შესაძლო არაფორმალებთან, ეროვნულ ლიდერებთან, დაემყარებინათ მათთან კავშირი და შეექმნათ საერთო ფრონტი კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ. ასეთი ორგანიზაცია იყო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება". მაგრამ ის უმცირესობაში აღმოჩნდა ამ ეტაპებზე და იყო კიდეც განაპირებული.

ზედმეტად აქტიურობდა ზვიად გამსახურდია, რომელსაც განსაკუთრებით ხელი ეწყობოდა – მისთვის უფრო ღია იყო ეთერი, მასთან უფრო იღებდნენ ინტერვიუს საბჭოთა კორესპონდენტები, ზოგჯერ პარტიული ლიდერებიც კი რჩევას ეკითხებოდნენ. აშკარა იყო, რომ მისთვის „ვილაცეები მუშაობდნენ". მაგრამ ეს ყველაფერი ფილიგრანული ოსტატობით კეთდებოდა და თვითონ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც ამას შემდგომ განაცხადებენ მისი აქტივისტები, უკვირდათ ზვიად გამსახურდიას წინა პლანზე განსაკუთრებული წამოწევა.

რაც დრო გადიოდა საქართველოში ვითარება უფრო და უფრო იძაბებოდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან ერთად, ავტონომიურ რეგიონებში გამოცოცხლდნენ სეპარატისტული ძალები, რომლებსაც რუსეთის რეაქცია ასაზრდოებდა. მათ ჩინებულად ისარგებლეს მოსკოვის მასმედიაში, რუსეთის ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში შექმნილი ანტიქართული განწყობით და დაიწყეს ქართველების დაუფარავი კრიტიკა, სტალინისა და ბერიას ბევრი ცოდვა და დანაშაული უსამართლოდ ქართველ ერსა და საქართველოს მიაწერეს.

ყველაზე შეურაცხმყოფელი ფორმით სეპარატისტული განწყობილება გამოვლინდა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზეთის ნაციონალისტების თავყრილობაზე, სადაც 1989 წლის 18 მარტს 30 000 აფხაზი შეიკრიბა. აქ იყვნენ აფხაზეთის ასსრ აფხაზი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკებიც. რუსეთის რეაქციული ძალების მიერ წაქეზებულმა სეპარატისტებმა თავყრილობაზე მიიღეს ე.წ. „ლიხნის მიმართვა“, რომელშიც ისტორიული ფაქტების გაყალბებით არის მოცემული საქართველო-აფხაზეთის ისტორიული ურთიერთობის რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხი. სეპარატისტები შეეცადნენ ეჩვენებინათ აფხაზეთის მიმართ საქართველოს „ძალმომრეობის, ყოველმხრივი შეზღუდვის, ჩაგვრის, კულტურული ასიმილაციის მცდელობის, რეპრესიული პოლიტიკის გატარების “ პროცესი და ითხოვდნენ საკავშირო მთავრობის დახმარებას, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას და ა.შ. ეს წერილი დაეგზავნა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას, დაიბეჭდა აფხაზურ პრესაში.

სეპარატისტების მიმართვის შესახებ თბილისში არაფორმალებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ძალიან მალე შეიტყვეს. ისინი მოითხოვდნენ სეპარატისტების წინააღმდეგ ქმედითი ზომების მიღებას. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა კი დროს კარგავდა, აქტიურ მოქმედებაზე არ გადადიოდა.

ჩვენ არ შევეხებით 9 აპრილის ტრაგედიის პერიპეტიების დეტალურად აღწერას, ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არის გაკეთებული[2]. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტს...

30 მარტს სოხუმში ჩავიდნენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები: ჯუმბერ პატიაშვილი, გიორგი ანჩაბაძე, ნუგზარ ფოფხაძე, ბორის ნიკოლსკი, ოთარ ჩერქეზია. საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა პრობლემის მოწესრიგებას. **ამ მიზნით თბილისში ჯუმბერ პატიაშვილი შეხვდა არაფორმალურ ლიდერებს: ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას და სთხოვა მათ, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისთვის პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა მიეცათ, არ გაემწვავებინათ დედაქალაქში პოლიტიკური სიტუაცია.** ამრიგად, საქართველოს პოლიტი-

კურმა ხელმძღვანელობამ ამ თავისი ნაბიჯით კიდევ გამოკვეთა თავისი დამოკიდებულება ზ. გამსახურდიას მიმართ, რითიც ის ფაქტობრივად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთპიროვნულ ლიდერად აღიარა. ეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ლიდერების აშკარა დამცრობა იყო.

მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, 4 აპრილიდან დაიწყო თბილისის ახალგაზრდებისა და სტუდენტების მიტინგების სერია: ისინი ჯერ სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ. თუ პირველ მიტინგზე არაფორმალები აქტიურობდნენ, უნივერსიტეტში საკითხის ყოველმხრივ განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: აკაკი ბაქრაძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ლევან ალექსიძე და სხვ. ქართველმა ინტელიგენციამ ხელისუფლებას კატეგორიულად მოსთხოვა ყოველმხრივ მოეწესრიგებინა აფხაზეთის პრობლემა. აშკარაა, რომ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ცდილობენ ხელიდან არ გაეშვათ ინიციატივა, გამოეჩინათ სიფხიზლე და ყოფილიყვნენ მოვლენათა ცენტრში.

მთავრობაზე ზემოქმედების მიზნით გადაწყდა მთავრობის სახლის წინ ხალხმრავალი მიტინგის მოწყობა. ეს იდეა ეკუთვნოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“, რომლის ფაქტიური ლიდერი ზურაბ ჭავჭავაძე იყო. 4-5 აპრილს მიტინგის მსვლელობას სწორედ ეს არაფორმალური დაჯგუფება აკონტროლებდა.

6 აპრილს მიტინგზე ინიციატივა რადიკალების – ირაკლი წერეთლის და გია ჭანტურიას ხელში გადავიდა. აფხაზეთის პრობლემატიკა, რა თქმა უნდა, მიტინგის დღის წესრიგში დარჩა, მაგრამ ის დაჩრდილა მომიტინგეების, განსაკუთრებით კი მიტინგის ახალი ხელმძღვანელების ულტრარადიკალურმა გამოსვლებმა და გამონათქვამებმა. მიტინგზე გამოჩნდა ლოზუნგები და ტრანსპარანტები, რომლებიც მოითხოვდნენ: „რუსეთის იმპერიის დაშლას“, „საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას“, „საქართველოს გამოსვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან“, „საქართველოში გაეროს ჯარების შემოყვანას“ და ა.შ..

სწორედ აქ მოხდა გარდატეხა. დღევანდელი გამოცდილებიდან აშკარაა, რომ ულტრარადიკალური ლოზუნგები, რომლებიც მთავრობის სასახლის წინ მიტინგებზე იმ დღეებში გაისმოდა ახალგაზრდა, ეგზალტირებული, არაადეკვატური ლიდერების გაუაზრებელი, ემოციური იმპულსების ამოფრქვევა იყო მხოლოდ და მას არავითარი საერთო არ ჰქონდა ობიექტური პროცესების ლოგიკურ შეფასებასთან. **ამრიგად, ამ ეტაპზე სრულად ამოქმედდა „უტოპიური ნაციონალიზმის“ იდეოლოგია, რაც უკვე პოლიტიკურ**

პრაქტიკაში გადავიდა. ამ პერიოდში მიტინგზე წამოსროლილი ეს ლოზუნგები ილუზორულნი და განუხორციელებელი, ანუ „უტოპიურნი“ იყვნენ, აქედან გამომდინარე მავნეც კი, რადგან მათ შეიტანეს დეზორიენტაცია და დეზინტეგრაცია საერთო ვითარებაში და მდგომარეობა უმართავი გახადეს. სწორედ ეს იყო პირველი შედეგი ქართველ ინტელიგენციის ნაწილში გავრცელებული იმ იდეოლოგიური დოგმისა, რომელსაც „ქართველი ერის სულიერი მისსია“ ერქვა და ის უკვე თავის მავნე შედეგებს ავლენდა.

მომიტინგეების დაწყნარება სცადეს ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებიც ტელევიზიიდან მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს უფრო მოზომილი პოლიტიკა გაეტარებინათ ხელისუფლების მიმართ, მიეცათ შესაძლებლობა საქართველოს მთავრობისათვის ბოლომდე განეხორციელებინა აფხაზეთში კრიზისის მოგვარების საკუთარი გეგმა.

შეეძლო თუ არა საქართველოს ხელისუფლებას მოეგვარებინა ეს კრიზისი?

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაზე დაყრდნობით ამ კრიზისის მოგვარება შესაძლებელი იყო, რადგან აფხაზების სურვილი და სულისკვეთება მთლიანად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კონსტიტუციის პირობებს. საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო დავა გადაეტანა საკავშირო არენაზე და გაეკეთებინა ისე, რომ თვითონ მოსკოვს შეეჩერებინა აფხაზი ეთნოკრატიის დაუოკებელი პრეტენზიები.

მაგრამ ასეთი განვითარება მოვლენების ქართველი ულტრა-რადიკალების ინტერესებში არ შედიოდა. მათთვის აუცილებელი იყო საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის „დამბლა“, ქართველი ინტელიგენციის საბოლოო დისკრედიტაცია და ეროვნულ მოძრაობაში თავისი ჰეგემონიის კიდევ უფრო განმტკიცება.

თბილისში მდგომარეობის რადიკალური გაუარესება კი შედიოდა მოსკოვის იმ პოლიტიკური დაჯგუფების გეგმებში, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას ცდილობდა და კაპიტალიზმის რესტავრაციას ვარაუდობდა.

ამრიგად, მოსკოვის გარკვეული ძალებისა და საქართველოს რადიკალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გეგმები ერთმანეთს დაემთხვა.

იმჟამად საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფლება ქვეყანაში არ იმყოფებოდა: სსრ კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, თანმხლებ პირებთან ერთად ინგლისში მოლაპარაკებებს მართავდნენ.

ვითარება კი თბილისში უმართავი გახდა. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებთან საპროტესტო მიტინგის მონაწილე არაფორმალურმა ორგანიზაციებმა პიკეტები მოაწყვეს, სტუდენტებს სწავლის შეწყვეტისკენ მოუწო-

დებდნენ. შეიქმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კომიტეტი, დაიწყეს ფულადი სახსრების შეგროვება, ააგეს ბარიკადები.

8 აპრილს სცადეს მიტინგის მონაწილეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოეხდინათ სამხედრო ძალის დემონსტრაციით, რასაც, ინიციატორთა აზრით, მიტინგის მონაწილეების შემცირება უნდა გამოეწვია. მაგრამ შედეგი საპირისპირო მიიღეს – მიტინგს ახალი მონაწილეები დაემატნენ. იმ დღეს განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო თბილისის ცენტრში. მიტინგზე მთელი ქალაქი გამოვიდა.

სამხედროებმა თბილისში შემოიყვანეს სპეციალური სადესანტო ნაწილები, რომლებიც სანაპიროზე იყვნენ განალაგებულნი. ჩამოდგნენ ტანკებიც. შუაღამისას მიტინგზე იმყოფებოდა 8-10 ათასი კაცი, ძირითადად ქალები და მოზარდები. მგზნებარე მოწოდებებს ცვლიდა ცეკვა, სიმღერა, პატრიოტული ლექსების დეკლამირება. ამასობაში მიტინგის დაშლის ბრძანება უკვე გაცემული იყო.

9 აპრილს, დილით, 3 საათსა და 30 წუთზე მიტინგზე მივიდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, რომელმაც შეატყობინა მომიტინგეებს, რომ საფრთხე რეალურია, რომ მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მასთან ერთად წაიდნენ ქაშუეთის ეკლესიაში და ერთად ილოცონ საქართველოს გადასარჩენად. მაგრამ მომიტინგეები არ დაემორჩილნენ საქართველოს სულიერი მამის შეგონებას. ეს საბედისწერო შეცდომა იყო. მტკიცედ გეჯერა – მომიტინგეებს რომ შეესრულებინათ საქართველოს სულიერი მამის შუთავაზება, შეიძლება საქართველოს ისტორიული განვითარება სხვაგვარად წარმართულიყო. აქ აშკარად ისტორიულ არჩევანთან გვაქვს საქმე – ან პროცესების მშვიდობიანი ევოლუციური განვითარება, ან პერმანენტული სისხლიანი შლეიფი...

იმ ტრაგიკული მოვლენებიდან თითქმის 25 წელი გავიდა და დღესაც მისი უწმიდესობა ილია II ხშირად აღნიშნავს, რომ 9 აპრილის ტრაგედია შეიძლება თავიდან ყოფილიყო აცილებული. იგი, ალბათ, სწორედ საქართველოს ისტორიული განვითარების მშვიდობიან შესაძლებლობას გულისხმობს...

მთლიანად ვიზიარებთ რა მისი უწმიდესობის ამ შეხედულებას, მიგვაჩნია, რომ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, რომლებიც გარეგნულად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მორჩილ შვილად აცხადებდნენ თავს, უნდა შეესრულებინათ მისი უწმიდესობის მოწოდება. ეს ხელს შეუშლიდა მოსკოვის მხედრიონს განეხორციელებინა ბოროტი განზრახულობა, რომლის აუცილებლობა ნამდვილად არ იყო, და როგორც ისტორიამ დაგვანახა, დადებითად ნამდვილად არ წაადგა საქართველოს შემდგომ პოლიტიკურ განვითარებას. ამის შესახებ ჩვენ სპეციალური წერილი გვაქვს გა-

მოქვეყნებული და აქ საუბარს ამ თემაზე აღარ გავაგრძელებთ[3].

მიტინგი სასტიკად დაარბიეს. რუსი ჯარისკაცები სადესანტო ბარებით შეუბრალებლად ჩეხდნენ ყველას, ვინც კი მათ წინააღმდეგობას გაუწევდა. 16 ქალი დაიღუპა მიტინგის დარბევის დროს. შემდეგ კიდევ რამდენიმე კაცი დაემატა დაღუპულთა რიცხვს.

იმ ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ქართველობას მუდამ აინტერესებს რამდენიმე საკითხი – სად იყვნენ მიტინგზე მყოფი ქართველი მამაკაცები, რატომ არ გადაეფარნენ დაჩეხილ ქალბატონებს, რატომ ნაკაწრიც არ ჰქონდათ ეროვნული მოძრაობის ლიდერებს? რატომ დატოვეს მათ ასე სწრაფად მოედანი?

მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდნენ ედუარდ შევარდნაძე და ვალერი რაზუმოვსკი. მათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ინტელიგენციასთან შეხვედრის დროს სცადეს ტრაგიკულ მოვლენაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებისთვის დაეკისრებინათ. 14 აპრილს საქართველოს კპ ცკ პლენუმმა დააკმაყოფილა ჯუმბერ პატიაშვილის თხოვნა გადადგომის შესახებ.

პლენუმმა საქართველოს კპ ცკ პირველ მდივნად აირჩია გივი გუმბარიძე, რომელიც მანამდე საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობდა. თუმცა გუმბარიძემ ვეღარ შეძლო შეეჩერებინა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის აღსასრულის შეუნელებელი მოახლოება.

ტრაგედიის შემდეგ პირველსავე დღეებში რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებს დასახმარებლად მიმართა ასეულობით ადამიანმა, მათ შორის მოწამლული იყო 66, ბასრი და ბლაგვი საგნებით მიყენებული მძიმე ჭრილობა ჰქონდა – 24 კაცს, თავის ტრავმული დაზიანება ჰქონდა 67 კაცს[4].

9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა საქართველოს უახლეს ისტორიაში უაღრესად დიდია: მან ცხადყო საბჭოთა პოლიტიკური სისტემის აგონია და საბოლოო კრახი, განაპირობა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პროცესის მოახლოება. მაგრამ, ამასთანავე შექმნა მნიშვნელოვანი გარემოებაც – მან მეტად აშკარად და მეტად უხეში ფორმით დაუპირისპირა რუსეთის სახელმწიფო მანქანა ქართველებს, რუსეთის ჯარი – საქართველოს. საქართველო კავკასიაში მარტო დარჩა. ეს ჩინებულად გამოიყენა საქართველოს ყველა მტერმა და არაკეთილისმყოფელმა.

9 აპრილის შემდეგ საქართველოში კომუნისტური რეჟიმი ნომინალური გახდა. საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტ გაელენას იძენდნენ ულტრა-რადიკალები. სწორედ 9 აპრილის შემდეგ მოხერხდა საქართვე-

ლოს ეროვნულ-მაკონსოლიდირებელი მოძრაობის ლიდერების ნეიტრალიზება, მათი აქტიური პოზიციის შეჩერება.

9 აპრილმა უაღრესად მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს – მოხდა ქართულ-რუსული დიდი დაპირისპირება, დაიღვარა სისხლი ამ ორ მართლმადიდებელ ერს შორის, **რუსები საბოლოოდ აშკარად გადაბარგდნენ ქართველების მოწინააღმდეგეთა ბანაკში და უკვე აშკარად უჭერდნენ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედ ყველა ანტიქართულ ძალას.**

§ 3. – კომუნისტური მმართველობის დასასრული საქართველოში

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება, შექმნილი ურთულესი მდგომარეობიდან გამოსვლის გზას უზენაესი საბჭოს არჩევნებში ხედავდა. არჩევნები 1990 წლის 25 მარტს დაინიშნა, რომელიც შემდეგ 28 ოქტომბერს გადაიტანეს.

საქართველოში უკვე კარგად ამჩნევდნენ, რომ სასურველი თავისუფლება ახლოედებოდა. ინტელიგენციის გონიერი ნაწილი ცდილობდა ამ პროცესებისთვის უფრო ცივილიზებული, ნაკლებად მტკივნეული და მშვიდობიანი ხასიათი მიეცა. მაგრამ ამ დროისთვის მათი ზეგავლენა, როგორც აღინიშნა, საგრძნობლად შესუსტებული იყო. ვითარებას მთლიანად ულტრა-რადიკალები აკონტროლებდნენ.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება აშკარად გრძნობდა, რომ ძალაუფლებას კარგავდა და ცდილობდა გარკვეული კომპრომისული ნაბიჯები გადაედგა. მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების დავალებით, ქართველი ისტორიკოსების ერთმა ჯგუფმა (ლევან თოიძე, უშანგი სიდამონიძე და სხვ.) შეისწავლეს და დაასაბუთეს რუსეთის მხრიდან 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტი. ამის საფუძველზე 9 მარტს საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“, სადაც საბჭოთა რუსეთის არმიების შემოჭრა გამოცხადდა ინტერვენციად და ფაქტობრივ ანექსიად.

მაგრამ რადიკალურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ლიდერებს საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების აღარ სჯეროდათ. 1990 წლის 13-15 მარტს გაიმართა ეროვნული მოძრაობის შემადგენელი პოლიტიკური პარტიების კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება: 1. საქართველოს უნდა განსაზღვროდა ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი; 2. 1990 წლის 25 მარტის არჩევნებისათვის უნდა გამოეცხადებინათ ბოიკოტი; 3. პარტიულ საწყისებზე შეიქმნებოდა ეროვნული ფორუმი, 4. ყოველგვარ

უცხო შეიარაღებულ ძალას უნდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია და ა.შ..

ეროვნული ძალების კონსოლიდაცია ვერ მოხერხდა: ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების შერჩევის, პიროვნული მოსაზრებებისა და ამბიციებისა, სხვადასხვა, ჯერაც უცნობი მიზეზების გამო, აშკარა ხდებოდა უთანხმოება, რამაც საბოლოო განხეთქილება გამოიწვია.

სერიოზული დაპირისპირება გაჩნდა ეროვნულ მოძრაობაში – მისი რადიკალური ნაწილი სასტიკად დაუპირისპირდა დიდ ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს მერაბ მამარდაშვილს, მისი გაწონასწორებული, პრაგმატული და საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი პოზიცია გამოცხადდა მავნედ და მიუღებლად. შეურაცხყოფილი ქართველი ფილოსოფოსი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. ძალიან მალე ის გარდაიცვალა. საქართველოს დააკლდა მისი ცოდნა, გამოცდილება და მხურვალე გული. ამრიგად, ეროვნული მოძრაობის ლიდერები კიდევ უფრო დაშორდნენ ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციას.

განხეთქილება თვით ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელობაშიც მწიფდებოდა. აპრილის მიწურულს ფორუმი დატოვეს: საქართველოს ჰელსინკის კავშირმა, მონარქისტულმა პარტიამ, წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ, ზვიად გამსახურდიამ, ვაჟა ადამიამ და მათმა მომხრეებმა.

1990 წლის 7 მაისს ფორუმიდან განცალკევებულმა პოლიტიკურმა ძალებმა შექმნეს „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაცია. **მათ გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ 28 ოქტომბერს დანიშნულ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, რითაც ძლიერ გააკვირვეს ყოფილი მეგობრები, რომლებიც საბჭოთა პოლიტიკურ სისტემას რუსული კოლონიალიზმის სიმბოლოდ თვლიდნენ.**

მიგვაჩნია, ეს ზ. გამსახურდიასა და მისი მომხრეების მიერ გადადგმული ეს კომპრომისული ნაბიჯი სერიოზულ ეჭვებს აღძრავს: თუ აღიარებ, რომ „საქართველოს უნდა განსაზღვროდა ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი; რომ „ყოველგვარ უცხო შეიარაღებულ ძალას უნდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია“, ლოგიკურად გამოდის, რომ ამ ოკუპანტის მიერ დანერგილი სახელმწიფო სტრუქტურებიც უკანონო და არალეგიტიმურია. ოკუპანტი ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობა აშკარად მკვრეხელობაა, ქრისტიანისათვის – ცოდვაც კი არის, რადგან ბიბლიაში ხაზგასმულია „არც ახალ ღვინოს ჩაასხამენ ძველ ტიკებში“ (მათე, 9:17), რაც თანამედროვე პოლიტიკოსთა ენაზე ნიშნავს – ნუ გამოიყენებთ ახალი საქართველოს ასაშენებლად ძველი, ოკუპანტი რეჟიმის სახელმწიფო სტრუქტურას, შექმენით ახალი – ეროვნული. **ფაქტობრივად, ამ ეტაპზე ზ. გამსახურდია და მისი პოლიტიკური დაჯგუფება კომუნისტურ რეჟიმთან გარიგებაზე წავიდა, აქედან გამომდინარე ყველა შესაძლო შედეგით.**

ეროვნულმა მოძრაობამ, ზვიად გამსახურდიას მიერ მოწყობილი განხეთქილების მიუხედავად, გადაწყვიტა ეროვნული ყრილობის მოწვევა. 23 მაისს ეროვნული ყრილობა საზეიმოდ გაიხსნა. მას 80 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი და 6020 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია „საქართველოს ეროვნული კონგრესის“ შესახებ. მისი არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 30 სექტემბერს.

მიგვაჩნია, რომ „ეროვნული კონგრესი“ სწორედ ის ახალი „ტიკი“ იქნებოდა, რომელიც შეძლებდა საქართველოს შედარებით უმტკივნეულოდ სამშვიდობოზე გაყვანას და დამოუკიდებელი სახელმწიფო ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებას. „ეროვნული კონგრესის“ შექმნას ძალიან ბევრი გამოეხმაურა, მათ შორის ქართველ ინტელიგენციაშიც. მაგრამ ზ. გამსახურდიასა და მისი პოლიტიკური გუნდის გამთიშველმა საქმიანობამ ერთიანი ეროვნული მოძრაობა, რა თქმა უნდა, სერიოზულად დაასუსტა.

კონგრესის არჩევნები გაჭიანურდა. მასში, ოფიციალურ სტრუქტურებთან ერთად, არ მონაწილეობდა ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდა“. სიძნელეების მიუხედავად „ეროვნული კონგრესი“ მაინც აირჩიეს. მალე მან საქმიანობაც დაიწყო.

პარალელურად მიმდინარეობდა მზადება 28 ოქტომბრის არჩევნებისთვის. მართალია, არჩევნები მრავალპარტიული იყო (ამ გარემოებაზე ძალიან ხშირად აკეთებენ აქცენტს ზ. გამსახურდიას მომხრეები), მაგრამ საარჩევნო ველი – მთლიანად საბჭოთა. მართალია, კომუნისტური სისტემა დასუსტებული იყო, მაგრამ ის ჯერ კიდევ აკონტროლებდა ვითარებას ქვეყანაში, მით უფრო საარჩევნო გარემოს, სკოლებს, საარჩევნო ადმინისტრაციას, ხმის დათვლის პროცესს და ა.შ. აქედან გამომდინარე არჩევნების შედეგების შეჯამებაც (ხმების დათვლა) აპრობირებული საბჭოთა პროცედურებით ჩატარდა...

საარჩევნო სიაში შეიტანეს 3 444 002 ამომრჩეველი. არჩევნებში კენჭს იყრიდა 14 პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია: ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, საქართველოს კომუნისტური პარტია, ბლოკი „თავისუფლება“, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, ბლოკი „თანხმობა“, საქართველოს სახალხო პარტია და ა.შ.

28 ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვა პოლიტიკურმა გაერთიანებამ – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. მან უზენაეს საბჭოში მიიღო 155 ადგილი. კომუნისტურმა პარტიამ – 64, სახალხო ფრონტმა – 12, რუსთაველის საზოგადოებამ – 1, „დემოკრატიულმა საქართველომ“ – 4, ბლოკმა „გათავისუფლება და დემოკრატიული აღორძინება“ – 1 ადგილი, უზენაეს საბჭოში 9 დამოუკიდებელი დეპუტატი გავიდა.

ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია 1990 წლის 14 ნოემბერს თბილისში გაიხსნა. სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდია აირჩიეს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა გახდა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას სახელწოდება შეეცვალა და „საქართველოს რესპუბლიკა“ ეწოდა. აღდგა სახელმწიფო სიმბოლიკა – გერბი (შვიდქიმიანი ვარსკვლავი თეთრი გიორგის გამოსახულებით), დროშა – სამფეროვანი გახდა (ზედა ნაწილში თეთრი და შაქი ზოლი შინდისფერ ფონზე) და პიმნი (კონსტანტინე ფოცხვერაშვილის „დიდება“).

§ 4. – სამოქალაქო დაპირისპირება

უზენაეს საბჭოში გასულმა, კომუნისტურ რეჟიმთან შეთანხმებულმა, ეროვნული მოძრაობის ნაწილმა ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით, არსებული ვითარება ისეთ გარდამავალ პერიოდად წარმოიდგინა, როცა მათ ხელისუფლებას უკვე არაფერი დაემუქრებოდა. 1991 წლის საახალწლო მიმართვაში საქართველოს უზენაესი საბჭოს ახალი თავმჯდომარე აცხადებდა: „ახლადარჩეული ხელისუფლება, ეროვნული ხელისუფლება, იმგვარად წარმართავს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას, როგორც ეს აუცილებელია ქართველი ერისათვის, მისი განვითარების პერსპექტივებისათვის... **საბედნიეროდ, საქმის ვითარება იმგვარია საბჭოთა კავშირში, რომ აქტიური ჩარევა, უხეში ჩარევა რესპუბლიკის შინაურ საქმეებში უკვე შეუძლებელი ხდება ცენტრისათვის** (ხაზგასმა ჩვენია-ა.დ.)“[5].

აშკარაა ვითარების არაადეკვატური შეფასება: ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სამხედრო თვალსაზრისით, კერძო თუ საზოგადოებრივი ინტერესების ათასი ძაფით საბჭოთა სახელმწიფოსთან დაკავშირებულ საქართველოს მოსკოვიდან უამრავი საფრთხე მოელოდა და, პირველ რიგში, ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში: აფხაზეთში, შიდა ქართლში, მესხეთ-ჯავახეთში.

იმჟამად გორბაჩოვის ხელისუფლება ჯერ კიდევ იმედოვნებდა ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოს შენარჩუნებას. მაგრამ მოხდა ისე, რომ დასაყლეთში პოპულარობის ზდასთან ერთად, მისი რეიტინგი ძალიან დაეცა საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი პოლიტიკური დაჯგუფება მიატოვა გამოცდილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და დიპლომატმა ე. შევარდნაძემ. უზენაესი საბჭოს სხდომაზე მისმა განცხადებამ, რომ ქვეყანაში მოსალოდნელი იყო სერიოზული რევანშისტული, ანტიდემოკრატიული გადატრიალება – წინასწარჭვრეტად ჩაითვალა, რამაც მთელ მსოფლი-

ოში მისი ავტორიტეტი საოცრად აამაღლა და საბოლოოდ დაუმკვიდრა პროდასავლურ პოზიციებზე მდგომი მოღვაწის იმიჯი.

თვითონ საქართველოში ვითარება დაძაბული იყო: ეროვნული კონგრესის წარმომადგენლები, ქართველი ინტელიგენციის ნაწილი მწვავედ აკრიტიკებდა ზ. გამსახურდიას პროკომუნისტურ არჩევანსა და ეროვნული მოძრაობის გათიშვასაც ბრალად უყენებდა, აკრიტიკებდნენ მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ ნაბიჯებს.

დღეს აშკარაა, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებმა მოახერხეს და ზვიად გამსახურდია შეიტყუეს „სამაჩაბლოს ხაფანგში“. ოსი სეპარატისტების დემარშების გამო იმჟამად საზოგადოების მიერ აღქმული თითქოსდა ადეკვატური პასუხები – საბოლდოო ჯამში საქართველოსთვის წამგებიანი აღმოჩნდა. ოსი სეპარატისტების გადაწყვეტილებას – გამოცხადდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გაუქმებულად და მის მაგივრად შეიქმნას „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა“, თბილისში მკვეთრად უარყოფითად გამოეხმაურნენ: სწრაფად და დაუფიქრებლად, ტაშის გრიალში უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და მისი მიწების გარკვეული ნაწილი ქართულ რაიონებში გადაანაწილა.

მოდი აქ შევჩერდეთ...

ისტორიკოსთა შორის მიღებული არ არის, მაგრამ მოდი დავუშვათ ვარაუდი: ხომ არ აჯობებდა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან ლოდინის პოზიციის გამოყენება, აღნიშნულ ვითარებაში უფრო მეტი პოლიტიკური მოქნილობა. რუსეთში უკვე აშკარად მწიფდებოდა იდეა რუსეთის ფედერაციის ფარგლებში ავტონომიური რესპუბლიკების „სუვერენიზაციის“ შესახებ, რაც გულისხმობდა ავტონომიების რესპუბლიკებად „გადაქცევას“, მათთვის „პრეზიდენტების“ არჩევნების ორგანიზებას, „კონსტიტუციების“ შემუშაებას, პარლამენტების ფუნქციონირებას და ა.შ.. რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა მხოლოდ „ფირნიში“ ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკების ეთნოკრატიისათვის, რომელიც უნდა მოხიბლულიყო ამ მყვირალა „ფოჩიანი კანფეტებით“. გარკვეული აზრით, ამ პოლიტიკამ რუსეთში ძირითადად წარმატებით „იმუშავა“ (გამონაკლისი იყო კავკასიის რესპუბლიკები), პრორუსული ეთნოკრატიის მაქსიმალური მოსყიდვის ვითარებაში რუსეთმა ძირითადად შეინარჩუნა არსებული ფედერაცია, იმ განსხვავებით, რომ „თათრეთის ავტონომიური სსრ“ გახდა თათრეთის რესპუბლიკა, „ბაშკირეთის ავტონომიური სსრ“ გახდა ბაშკორტოსტანის რესპუბლიკა და ა.შ.. აირჩიეს თათრეთის პრეზიდენტი, ბაშკორტოსტანის პრეზიდენტი და ა.შ.. რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების უპირატესი ჰეგემონია მაინც აშკარა იყო.

იქნებ აჯობებდა ანალოგიური გზა საქართველოშიც აგვერჩია? ხომ გვთავაზობდა ჩვენი დიდი თანამემამულე მიხაკო წერეთელი ჯერ კიდევ 1930 წელს კანტონალურ მოწყობას საქართველოს მომავალი პოლიტიკური განვითარებისათვის, როგორც საუკეთესო გამოსავალს შექმნილი რთული ვითარებიდან?

იქნებ ჯობდა დაგვეწყო მოლაპარაკება ეთნოკრატიასთან (რასაც აქტიურად აყენებდა ზოგიერთი ოპოზიციური პარტია) და დაგვედო ურთიერთსასარგებლო ხელშეკრულება რეგიონის ოს ეთნოკრატიასთან „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის“, „აფხაზეთის რესპუბლიკის“, „აფხაზეთის პრეზიდენტის“ და ა.შ. უფლებამოსილების შესახებ, ხოლო სამაგიეროდ დაგვედო საუკუნო ძმობისა და მეგობრობის, საზღვრების ურღვევობის ყოელისმომცველი ხელშეკრულება, რომელიც რატიფიცირებული იქნებოდა და აღარ შექმნიდა დაძაბულობის კერებს?

რა თქმა უნდა,ეს ასე არ გაკეთდა და ვითარება განვითარდა ისე, როგორც განვითარდა – საქართველოს საზიანოდ.

ოსი სეპარატისტები შეუდგნენ ანტიქართულ საქმიანობას, იჭრებოდნენ ოლქში მცხოვრები ქართველების ოჯახებში, აწიოკებდნენ მათ, ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსი სამხედროები აშკარად უჭერდნენ მხარს ოს სეპარატისტებს, ამარაგებდნენ მათ იარაღით. რთულ ვითარებაში ქართველებიც იარაღდებოდნენ, ხან თავს იცავდნენ, ხან თვითონაც უკანონობას სჩადიოდნენ. განხეთქილების „პანდორას ყუთი“ საქართველოში გაიხსნა.

სამხრეთ ოსეთის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო, რომელმაც სერიოზული განხეთქილება გამოიწვია ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში. ოპოზიცია აკრიტიკებდა ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთში განხორციელებული უსუსური პოლიტიკის გამო, საბჭოთა შინაგანი ჯარის კონტინგენტის ოლქში შესვლის უფლების მიცემის გამო და ა.შ..

დაპირისპირება იმდენად მწვავე აღმოჩნდა, რომ ზ. გამსახურდიამ ბრძანება გასცა დაეპატიმრებინათ გასამხედროებული ქართული რაზმის – „მხედრიონის“ ხელმძღვანელი პროფესორი ჯაბა იოსელიანი. ამ ნაჩქარევმა ნაბიჯმა კიდევ უფრო გაამწვავა დაპირისპირება ეროვნული მოძრაობის ორ, შეურიგებელ მხარეს შორის.

დღევანდელი გადასახედიდან მიგვაჩნია, რომ მდგომარეობის ჩიხიდან გარკვეული გადარჩენა შეეძლო სსრკ პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებას „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო“, რაც გულისხმობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქთან დაკავშირებული საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ყველა საკანონმდებლო აქტის გაუქმე-

ბას და ა.შ. თუ საქართველოს ახალი მთავრობა მოინდომებდა, ამ დადგენილების რეალიზაციას შეიძლება „სტატუს კვო“ აღედგინა რეგიონში, რადგან ის ოსების მიერ მიღებულ უკანონო დადგენილების გაუქმებასაც ითვალისწინებდა.

მაგრამ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად ჩათვალა და ის არ შეასრულა. უფრო მეტიც, პოლიტიკური მოქნილობა რომ გამოეჩინათ, შეიძლება ასე ძალიან არ დაძაბულიყო ვითარება რეგიონში. რა თქმა უნდა, გორბაჩოვის გადაწყვეტილება არ შეასრულეს ოსმა სეპარატისტებმაც. მიგვაჩნია, რომ აქაც იგივე შეცდომაა დაშვებული, რაც აფხაზეთში მოხდა მოგვიანებით, როცა ზ. გამსახურდია დათანხმდა დისკრიმინაციული საარჩევნო სისტემის დაკანონებას – ფაქტობრივად, აქაც მოვლენების არაადეკვატურმა აღქმამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ამის შემდეგ როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის წარმომადგენლების ყოველგვარი ძალისხმევა რეგიონში არაეფექტური გახდა.

ზ. გამსახურდიას ყველა შეცდომას, რა თქმა უნდა, მისი პოლიტიკური ოპონენტები აკრიტიკებდნენ ოფიციალურ პრესაში. სამაგიეროდ უკვე 1991 წლის მარტიდან ზ. გამსახურდიას მომხრეებმა დაიწყეს თავის პოლიტიკურ ოპონენტებზე კომპრომატების პუბლიკაცია გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“[6].

რაც დრო გადიოდა საქართველოში დაძაბულობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა, რაც ორად თიშავდა არა მარტო საზოგადოებას, არამედ ქართველ ერსაც. პოპულარობის გაძლიერების მიზნით ზ. გამსახურდია დგავდა ნაბიჯებს, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან აშკარად არაადეკვატური ჩანს და უფრო ხელისუფლების პიარს ემსახურებოდა, ვიდრე რეალურ საქმეს. უნდა აღინიშნოს, რომ იმჟამად ამ ადეკვატურობას პოლიტიკური სპექტრის ზოგიერთი წარმომადგენელი აშკარად გრძნობდა, აცხადებდა კიდეც, მაგრამ მათ იმჟამად საერთოდ არ უსმენდნენ. მაგალითად, შევეხოთ 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საზეიმო ხელმოწერას, რომელიც უზენაესი საბჭოს დარბაზში ჩატარდა და 1918 წლის 26 მაისის აქტს დეპუტატებმა კიდევ ერთხელ საზეიმოდ მოაწერეს ხელი. ამას მოჰყვა დიდი პროპაგანდისტული პიარ-აქცია.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართველ ბოლშევიკებს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი არ გაუუქმებიათ, მისი დენონსირება არ მოუხდენიათ, ამიტომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ძალადაკარგული დოკუმენტი არ იყო და საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშიც, იურიდიული ფორმალობის დაცვით, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო იყო, რომელ-

მაც საკავშირო სახელმწიფოს კომპეტენციაში თავისი სუვერენიტეტის ზოგიერთი ნაწილი თავისი სურვილით გადასცა.

თუ ზ. გამსახურდიას პოლიტიკური დაჯგუფების ეს ნაბიჯი სწორია, მაშინ გამოდის, რომ საქართველო, რომელიც ევროკავშირის წევრი გახდება და რაღაც პერიოდში შეიძლება მისგან გამოსვლაც კი დააპიროს, საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ კვლავ უნდა განახორციელოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე საზეიმო ხელმოწერა? ეს ხომ აშკარად ნონსენსია?

საყურადღებოა, რომ 9 აპრილის ამ აქციის მხოლოდ პროპაგანდისტულ-დეკლარირებად ხასიათზე მაშინვე მიანიშნებდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, როცა აკეთებდა ოფიციალურ განაცხადს – „დამოუკიდებლობის დეკლარაციები" მიგვაჩნია მიზანშეუწონლად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის."[7]

მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც ზ. გამსახურდიამ, აშკარად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით, მოახერხა და საქართველოს პრეზიდენტი გახდა. ოპოზიცია არჩევნების გაყალბებაზე ალაპარაკდა. არჩევნებმა აჩვენეს ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ზ. გამსახურდიას მიმართ სიმპატია, აღფრთოვანება და ერთგულება დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ნორმებს სცილდებოდა და ძალიან სწრაფად ავტორიტარული რეჟიმის ელემენტებსაც იძენდა. პრეზიდენტის მომხრეთა შორის ბევრი უკვე საჯაროდ გამოთქვამდა შეხედულებებს, რომლებიც ზ. გამსახუდიას თავის საპროგრამო ნაშრომში „ქართველი ერის სულიერი მისსია" ჰქონდა ჩამოყალიბებული. ზ. გამსახურდიას კულტი ავადმყოფურ ფორმებს იღებდა. მაგალითად, ქართულმა პრესამ დააფიქსირა ზვიადის მომხრეების ასეთი შეხედულება: „მიხეილ გორბაჩოვი და ზვიად გამსახურდია არიან ბიბლიური პერსონაჟები... და არა უბრალო მოკვდავნი... დაირღვევა ყველა იმპერიები ხუთივე კონტინენტზე, დაიშლება რომის პაპის კარი, საეკლესიო რეორგანიზაცია გარდაუვალია საქართველოშიც. ილია II გაასამართლებენ, შევარდნაძე (კაენი) და საქართველოს ბანდიტური (კრიმინალური) დემოკრატია განწირულია, ზვიადი (აბელი) მთელს მსოფლიოში აღზევდება, საქართველო შეასრულებს საკაცობრიო სულიერ მისიას, რაც ნიშნავს აღმოსავლეთის სიმდიდრისა და დასავლეთის ტექნიკური ცივილიზაციის შეკავშირებას – სინთეზს... საქართველოს სულიერ მისიას კაცობრიობის წინაშე სახარებაში ქვია ლაზარეს აღდგინება..."[8] და ა.შ. და ა.შ..

ამ სიტყვებმა, ამ სულისკვეთებამ, რომელიც იმჟამად უამრავი იბეჭდებოდა და კიდევ უფრო მეტი ითქმებოდა ზ. გამსახურდიას მომხრეთა მიტინგებზე, შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო. სამოქალაქო დაპირისპირება კულმინაცი-

ას უახლოვდებოდა: დაიწყო გათიშვის პერმანენტული პროცესი, განხეთქილების ბაცილა მთელ საქართველოს მოედო: გაითიშა შემოქმედებითი კავშირების უმრავლესობა, „ზვიადიზმის“ სინდრომი ანგრევდა ქართულ ერთიანობას: გაითიშნენ ოჯახები, დაშორდნენ ძველი მეგობრებიც კი. დადგა სერიოზული პრობლემა – ინგრეოდა ქართველთა ერთიანობა.

სამოქალაქო დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში. მოსკოვში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და მ. გორბაჩოვის დაპატიმრება ზ. გამსახურდიამ ჭეშმარიტებად აღიქვა (კელავ მოვლენების არაადეკვატური აღქმა) და “გკჩპ“-წარმომადგენლის ყველა მოთხოვნა შეასრულა: გააუქმა ეროვნული გვარდია, როგორც დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურა, საჯაროდ არ დაუგმია „გადატრიალება“, ხოლო საქართველოს მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა: „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარია, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა“[9] – აი, ასე გამოეხმაურა საქართველოს ხელისუფლება მოსკოვში მიმდინარე პროცესებს.

აშკარაა, რომ „გკჩპ“ საბოლოო გამარჯვებაზე გათვლილი ზ. გამსახურდიას ეს მოწოდება მეტად სავალალოდ გამოიყურებოდა უკვე მოსკოვის პუტჩის ჩახშობის შემდეგ. ეს სიფრთხილე დემოკრატიის ღალატად ჩაუთვალეს საქართველოს პრეზიდენტს და მის წინააღმდეგ ძლიერი პიარკამპანია აგორდა. რა თქმა უნდა, ზ. გამსახურდია გრძნობდა, რომ მას შეცდომა მოუვიდა, რომ სიტუაცია ადეკვატურად ვერ შეაფასა, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს მისი არაადეკვატური აზროვნების შედეგი იყო, რის შესახებაც ჩვენ არაერთხელ უკვე ვისაუბრეთ ზემოთ.

ვითარების გამწვავებამ, დაბნეულობამ საქართველოს პრეზიდენტს რამდენიმე არაადეკვატური ნაბიჯი გადააგდგმევინა: ყურადღება რომ გადაეტანა თავის შეცდომიდან სხვა ფაქტებზე, მან აშკარად გამოგონილი ბრალდებით, ფაქტობრივად იმისათვის, რაც თვითონ ჩაიდინა (ე.ი. „გკჩპ“-სთვის ლოიალობის დადასტურება), საქართველოს კომპარტია კანონგარეშე გამოაცხადა. მან ლეგალური საპარლამენტო პარტია, რომელიც უზენაეს საბჭოში ხმების 30 პროცენტს ფლობდა და რომელსაც საკანონმდებლო ორგანოში ძალიან ავტორიტეტული და საქმის მცოდნე ინტელიგენცია ჰყავდა, ერთი ხელის დარტყმით პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოაშორა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია თითქმის 70 წლის განმავლობაში მონოპოლიურად ფლობდა ძალაუფლებას და ფაქტობრივად საქართველოს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურით ერთ მთლიანობაში კრავდა. 400 000 კაციანი პარტიული ორგანიზაცია თავისი

სტრუქტურებით, ადგილობრივი ორგანიზაციებით, აპარატით, წევრებით, თავისი სატელიტებით (კომკავშირით, პროფკავშირით) სახელმწიფოს სერიოზული შემაკავშირებელი იყო ათეული წლების მანძილზე.

საქართველოს კომპარტიის ლიკვიდაციას ავტომატურად მოჰყვა ასევე კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების ლიკვიდაციაც. და რაც ყველაზე განსაცვიფრებელია, მოხდა საქართველოს უდიდესი ორგანიზაციის – პროფკავშირული ორგანიზაციის პარალიზება – მას დაუკარგეს ყოველგვარი ფუნქცია, რაც მან საერთოდ ეღარ აღიდგინა შემდგომ პერიოდშიც.

პოლიტიკური სისტემის ასეთი მკვეთრი ნგრევა, როცა თვითონ პრეზიდენტის პოლიტიკური გაერთიანება „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ჯერ კიდევ არ იყო არც ყოვლისმომცველი პოლიტიკური ძალა, არც სათანადო ინფრასტრუქტურა ჰქონდა და არც პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილება – საბედისწერო გამოდგა საქართველოსთვის, რადგან ვერცერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვეღარ მოახერხა იმ ვაკუუმის შევსება, რაც უცბად გამონთავისუფლდა. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ, რომ სამოქალაქო დაპირისპირების პირობებში საქართველოს კომპარტიის ქონება და მატერიალური რესურსები უკვალოდ გაქრა, საქართველოსთვის დაიკარგა. ასევე მოუვიდა კომკავშირულ ორგანიზაციის მატერიალურ და სულიერ რესურსებს. იმის მაგივრად, რომ ეს ძალები ჩაეყენებინათ ქვეყნის სასარგებლო საქმიანობაში, მომხდარიყო პროცესების ევოლუციური განვითარება, ზ. გამსახურდიამ აირჩია რევოლუციური პერსპექტივა.

ასევე არაადეკვატური იყო პრეზიდენტის დამოკიდებულება იმ პროექტების მიმართ, რომლებიც მისივე პოლიტიკურ გუნდში შემუშავდა სამოქალაქო დაპირისპირების განსამუხტავად. ეს ყველაზე უფრო რელიეფურად გამოჩნდა იუსტიციის მინისტრის ჯონი ხეცურიანის მიერ შემუშავებულ პროექტთან დაკავშირებით. პროექტი იმდენად კარგია, რომ მას მთლიანად მოვიტანთ. სამწუხაროდ ამ ნაშრომს ჯერ კიდევ ჯეროვნად არ აფასებენ ქართველი საზოგადოებათმცოდნეები:

„1. ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციური, სამართლებრივი გზით, კატეგორიულად დაუშვებელია და დამღუპველად მიმაჩნია ძალის გამოყენება პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად. ერთადერთი სახელმწიფო ორგანო, სადაც განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზების ყველა საკითხი – პარლამენტია.

2. უნდა გამოცხადდეს მორატორიუმი, დროებითი დაზავება დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის. არცერთმა მხარემ არ უნდა მიმართოს მიტინგებს, მანიფესტაციებს, ტერორს, რეპრესიებს.

3. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე უმოკლეს ვადაში უნდა შეხვდეს ყველა პოლიტიკურ ძალის უფლებამოსილ წარმომადგენელს მათი მოთხოვნების დაზუსტებისა და აღნუსხვის მიზნით...

4. უზენაესი საბჭოს ამავე სხდომაზე განხილულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

– პრეზიდენტის მოხსენება საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ...

– კანონი მიწის შესახებ.

–სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ჩატარების ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ...

– ზამთრისათვის რესპუბლიკაში ენერგეტიკული ბაზის მდგომარეობის შესახებ.

– ინფორმაცია 2 სექტემბრის ფაქტთან დაკავშირებით (იგულისხმება თბილისის კინოს სახლთან ხალხმრავალი მიტინგის ბარბაროსული დარბევა სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ – ა.დ.) აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მდგომარეობის შესახებ...

– კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ...

– საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ ახალი კანონის შემუშავებისა და არჩევნების ვადის განსაზღვრის შესახებ...

– კანონი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გაუქმების შესახებ;

– კანონი მილიციის (ან პოლიციის) შესახებ;

– ყოფილი კომპარტიისაგან დეპუტატთა უფლებამოსილების შესახებ...

– ყველა პოლიტიკური პარტიისათვის სატელეეთერო გადაცემების უზრუნველყოფის შესახებ... "[10].

საქმის ცოდნით და უდიდესი პასუხისმგებლობით შედგენილი დოკუმენტი დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს საქმეში ჩახედულობით და ვითარების რადიკალური განმუხტვის კონკრეტული წინადადებებით. გვჯერა, რომ ეს პროგრამა, განხორციელების შემთხვევაში, აშკარად ააცილებდა საქართველოს სამოქალაქო დაპირისპირების გადაზრდას სამოქალაქო ომში. მაგრამ, როგორც საპარლამენტო ოქმი ადასტურებს – პრეზიდენტმა არ ინება გეგმის განხილვა, მან სხდომა მიატოვა...

ამრიგად დაიკარგა სამოქალაქო დაძაბულობის განმუხტვის რეალური შანსი და ამის მიზეზიც პრეზიდენტის მხრიდან შექმნილი ვითარების არაადეკვატური აღქმა იყო.

აშკარად არაადეკვატ'ური იყო და ერის კონსოლიდაციისათვის დიდი საფრთხის შემცველი პრეზიდენტის მოწოდება საქართველოს მოსახლეობისათვის ჩამოსულიყვნენ თბილისში და უშუალოდ დაეცვათ ზ. გამსახურდია და მისი რეჟიმი თბილისელების „აგრესიისაგან". ასეთი არაადეკვატ'ური მოწოდებით მან პროვოცირება გაუკეთა სამეგრელოს მოსახლეობას, რომლის მცირე ნაწილმა მიატოვა საკუთარი სახლ-კარი და პრეზიდენტის დასაცავად საკმაოდ ხანგძლივად თბილისში ჩამოვიდა. ამან შექმნა წარმო'უდგენლად საშიში პრეცენდენტი თბილისის მოსახლეობასთან მათი დაპირისპირების: იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თბილისი ებრძვის პრეზიდენტს, ზუგდიდი კი იცავს მას. ოპოზიციური პარტიები გმობდნენ პრეზიდენტის ამ არაადეკვატ'ურ გადაწ'ყვეტილებას.

არაადეკვატ'ური იყო ისიც, რომ პრეზიდენტი პოლიტიკაში აშკარად რევდა თავის მე'ულლეს და საკუთარი ოჯახის სხვა წევრებსაც.

ასევე მოვლენის არაადეკვატ'ურ აღქმასთან გვაქვს საქმე „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორის მამ'უკა ფაჩუაშვილის საქმესთან დაკავშირებით. მოვიტანთ ამონარიდს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან: „სხდომამ განიხილა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1991 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვა, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 49 დეპუტატი. პრეზიდიუმის წევრებმა დაგმეს მიმართვის ტექსტი. ზ. გამსახურდიამ აღნიშნა, რომ მიმართვა არის მხოლოდ ცილისმწამებლური, შორს არის სიმართლისაგან. დეპუტატთა მიმართვის „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნება მოწმობს იმას, რომ ეს გაზეთი პ'უტჩისტების ხელში აღმოჩნდა, რაც ყოვლად დაუშვებელია. მან მოითხოვა გაზეთის რედაქტორის მ. ფაჩუაშვილის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

თ. ქორიძემ განაცხადა, რომ დეპუტატების ასეთი მიმართვა „საქართველოს რესპუბლიკაში" არ უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ მ. ფაჩუაშვილის განთავისუფლება ოპოზიციის წისქვილზე დაასხამს წყალს, გამოიწვევს ნაკლებად საჭირო აჟიოტაჟს.

ა. ასათიანმა განაცხადა, რომ მ. ფაჩუაშვილის განთავსუფლების ნაცვლად საყვედური შეიძლება გამოეცხადოს, რაზეც ბატონმა ზ. გამსახურდიამ კატეგორიულად უპასუხა, რომ საჭიროა მ. ფაჩუაშვილის განთავისუფლება..."[11]. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს პრეზიდენტის გუნდის წევრების გონიერი და ადეკვატური მოსაზრების მიუღებლობასთან, სახელმწიფოს მეთაურის არაადეკვატ'ურ საქციელთან, რომელიც აშკარად შორს არის დემოკრატიის დასავლური ფასეულობებისაგან.

მსგავსი მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანს. ფაქტი ერთია – საქართველოს პრეზიდენტის არაადეკვატური საქციელი იწვევდა ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას, დრამატული მოვლენების ესკალაციას. მალე აშკარა გახდა, რომ ზ. გამსახურდიას დაუპირისპირდნენ მისივე მეგობრები – თანამოაზრეები: ყოფილი პრემიერ-მინისტრი თ. სიგუა, გვარდიის ყოფილი სარდალი თ. კიტოვანი, უზენსაესი საბჭოს დეპუტატები თ. პაატაშვილი, მ. ურიდია ვ. ადამია და სხვ.

ასეთმა არაადეკვატურმა საქმიანობამ ხელისუფლების მხრიდან, რომელსაც უფრო მეტი თავშეკავება, უფრო მეტი მოთმინება, უფრო მეტი დათმობა და ვითარების დარეგულირება მოეთხოვებოდა, და აქედან გამომდინარე უფრო მეტად იყო პასუხისმგებელი საზოგადოებრივ სიმშვიდესა და მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე, ვითარება უკვე უმართავი გახადა. 1991 წლის დეკემბერში პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგებზე, რომლებიც მთავრობის სასახლის წინ პერმანენტულად იმართებოდა, ისმოდა ოპოზიციის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების მოწოდებებიც კი. **უკვე რამდენიმე თვის მანძილზე ორ ბანაკად გათიშულ საქართველოში შემთხვევით გასროლილმა ტყვიამ სამოქალაქო ომის ცეცხლი ააბრიალა. ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს სერიოზული საფრთხე შეექმნა.**

§ 5. – სამოქალაქო ომი

ზ. გამსახურდიას დამხობა აშკარად კანონსაწინააღმდეგო აქტი იყო, თუმცა ამას მხარი იმუამად საქართველოს თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ დაუჭირა. ბევრს სჯეროდა, რომ გადატრიალება აუცილებელი იყო დიქტატურისა და ტირანიის რეციდივის შესაჩერებლად. სწორედ ამიტომაც სამხედრო საბჭო, რომელიც გადატრიალებისთანავე შეიქმნა, თავის განცხადებაში მიანიშნებდა: „საქართველოში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოსელის დღიდან მძვინვარებს დიქტატორული რეჟიმი. უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები. შეგნებულად ჩაღდება ერთაშორისი შუღლი... საქართველოში დიქტატორული რეჟიმის დამხობის მთავარი მიზანია მმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და ქეეყნის ყველა მოქალაქისათვის ჭეშმარიტი თავისუფლებების გარანტიების შექმნა...“[12]

სამხედრო საბჭომ საქართველოს დროებითი მთავრობის ხელმძღვანელობა ზვიად გამსახურდიას ექს პრემიერ-მინისტრს, თ. სიგუას დაავალა, ჩამოყალიბდა მინისტრთა კაბინეტიც, შეირჩნენ მინისტრები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პრეზიდენტის დამხობა იმუამად არ დაუგმიათ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებს. ჩვენ ერთ-ერთ ნაშრომში სპე-

ციალურად გვაქვს შესწავლილი საკითხი, თუ რატომ არ აღიარეს აშშ-მა ზ. გამსახურდიას ხელისუფლება. სტატიაში: „ორი მთავრობა – ორი მიდგომა“, სწორედ აშშ ხელისუფლების განსხვავებულ დამოკიდებულებაზე გვაქვს საუბარი ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მთავრობებთან დაკავშირებით. ნაჩვენებია, რომ ზ. გამსახურდიას მმართველობის სტილი და მეთოდები, მისი „დინების საწინააღმდეგო სვლა“ და სხვა ფაქტორები სერიოზულად არ მოსწონდა ბუშის ადმინისტრაციას, რაშიც ჩვენი ვარაუდით, ზ. გამსახურდიას 1978 წლის მონანიების სამარცხვინო ეპიზოდიც გათვალისწინებული იყო[13]. შეიძლება დავუშვათ ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი სხვა გარემოებებიც.

საქართველოს სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა გარკვეულ ეტაპზე იძულებულნი გახდნენ საქართველოში მოეწვიათ გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლისთანავე გააჩაღა ენერგიული მოღვაწეობა სამოქალაქო დაპირისპირების შესაჩერებლად: იყო ცხინვალში, ესაუბრა ოს მოქალაქეებს, შეხვდა ზვიად გამსახურდიას მომხრეებსაც, ჩავიდა ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ რეგიონებში და ა.შ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მისმა საერთაშორისო ავტორიტეტმა უზრუნველყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პროცესის დაჩქარება. აი, რას სწერდა მას იტალიის პრემიერ მინისტრი ჯულიო ანდრეოტი: „დიდი კმაყოფილებით შევიტყვე, რომ ახალ საპატიო პოსტზე აურჩევიხართ. მინდა გულითადად მოგილოცოთ და გისურვოთ დიდი წარმატება“[14]. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი რიჰარდ ფონ ვაიცზეკერი კი იწერებოდა: „ბატონო თავმჯდომარევ! მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ცნობს საქართველოს რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს...“[15]

საქართველოში შეიქმნა სახელმწიფო საბჭო, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოში არსებული თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია, ზ. გამსახურდიას პოლიტიკური დაჯგუფების გარდა. ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა ზუგდიდში გამაგრებული ფორპოსტი შექმნეს, მათ ჰქონდათ შეიარაღება და ჩამოაყალიბეს დაუმორჩილებლობის კომიტეტი ვ. შურღაიას ხელმძღვანელობით. ძალიან ბევრი მომხრე ჰყავდა ზ. გამსახურდიას აფხაზეთში, სოხუმში. ზედმეტად ეგზალტირებული ადამიანები, განსაკუთრებით ქალები, ზვიადის მიმართ სიმპატიებსა და თანაგრძნობას ვერ მალავდნენ და ზოგჯერ დასაშვებ ნორმებსაც აჭარბებდნენ. მათ მიერ მოწყობილ მიტინგებზე ისმოდა აფხაზურ-მეგრული სახელმწიფოს შექმნის შესახებ მოწოდებებიც, თბილისზე შეიარაღებული ძალით წამოსვლის მუქარაც და ა.შ. და ა.შ..

იმჟამად ასეთი მოწოდებები იმდენად სერიოზულად აღიქმებოდა, რომ ქართველმა მწერლებმა სპეციალური მიმართვაც კი გამოაქვეყნეს:

„საქართველო თავზარდაცემულია.

მის ზნეობრივ სახეს, ტერიტორიულ მთლიანობას და თვით სიცოცხლეს მომაკვდინებელი საფრთხე შეექმნა.

კუთხურობა, სამარცხვინო პარტიკულარიზმი თვით უდიდეს იმპერიებს აღგვის პირისაგან მიწისა და რა ხეირს დააყრის იგი ჩვენს ერთი ციდა ქვეყანას?

საბედისწერო სენს შეუპყრია ჩვენი ეროვნული სხეული, ისტორიის ჩარხი უკუღმა დაბრუნებულა და გასრესას გვიქადის...

ვიკმაროთ!

არც ერთი პარტია და მისი არც ერთი დოგმა, არც ერთი პიროვნება არა ღირს იმად, რომ მას ძლიეს ერთ მუჭად შეკრული სამშობლოს მთლიანობა შეეწიროთ!“...[16]

ქართველი მწერლების ამ შეშფოთებულ სიტყვებში „მეგრელთა საქმის“ შორეული კონტურების ნაშთები აშკარად იკვეთება – ქართველთმოძულეები ყველა დროსა და ყველა მომენტში, განსაკუთრებით კი როცა საქართველოს პრობლემები ექმნებოდა, ჩინებულად ათამაშებდნენ კუთხურობის, პარტიკულარიზმის ჯერ კიდევ 1921 წელს კონსტანტინე გამსახურდიას მიერ სასტიკად დაგმობილ და დღესაც ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აღმოფხვრილ სენს.

უნდა აღინიშნოს, რომ „შიშს დიდი თვალები აქვს“. შემაშფოთებელ ხმებს აყოლიცმა თბილისელმა მოხალისეებმა, „მხედრიონის“ ლიდერების ხელმძღვანელობით, დაარბიეს სამეგრელოს რიგი რაიონი და სოფელი, ზვიადის მომხრე საბრძოლო შენაერთებთან ბრძოლის დროს ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ წრეგადასული ძალადობა ჩაიდინეს, მოროდიორობა დაუშვეს, რითიც ძალიან ცუდი ხსოვნა დაუტოვეს ადგილობრივ მოსახლეობას.

სამწუხაროდ, სწორედ ასეთია სამოქალაქო ომი, მას მუდამ მოაქვს ტრაგედია და სამოქალაქო ურთიერთ დაპირისპირების სამარცხვინო შედეგები. როგორც ისტორია ადასტურებს, სამოქალაქო ომის თავიდან აცილება ვერასოდეს ხერხდება, თუ კი ამისთვის შექმნილია ყველა ობიექტური თუ სუბიექტური პირობა, რაც ერს ორ დაპირისპირებულ ბანაკად შლის.

სამოქალაქო დაპირისპირება ვერ განმუხტა საქართველოს დიპლომატიურმა წარმატებებმაც კი: საქართველოში ჩამოვიდნენ გერმანიის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი დიტრიხ გენშერი, აშშ სახელმწიფო

მდივანი ჯეიმს ბეიკერი, თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი და სხვა ოფიციალური პირები. ყველა ცალსახად ადასტურებდა უდიდეს პატივისცემას საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელის მიმართ და დიდ დახმარებას პირდებოდა სრულიად საქართველოს.

მართლაც, მადლიერებით უნდა აღინიშნოს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის, თურქეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, ვატიკანის წმინდა ტახტის და სხვა სახელმწიფოების მატერიალური დახმარების შესახებ, რომელმაც სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეულ საქართველოს მოსახლეობას ნამდვილ შემწედ მოევლინენ და აშკარა შიმშილით სიკვდილს გადაარჩინეს.

სამოქალაქო ომი საქართველოში ვერ შეაჩერა ვერც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საქართველოს 179 წევრად მიღების სასიხარულო ფაქტმაც. პირიქით, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გალის რაიონში, გახშირდა სარკინიგზო ტრანსპორტის ძარცვის ფაქტები, სომხეთის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კუთვნილი ქონების დატაცების შემთხვევები. აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლება ამ ფაქტებზე თვალს ხუჭავდა. ვითარება დასავლეთ საქართველოში უმართავი ხდებოდა. იყო ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან მოსალაპარაკებლად წასული თბილისელი მაღალჩინოსნების შეპყრობის ფაქტები, ადგილი ჰქონდა სხვა დრამატულ შემთხვევებსაც.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოში ბევრი დეპუტატი მოითხოვდა აფხაზეთში ვითარების განსამუხტავად რეგულარული არმიის ნაწილების იქ შეყვანას. ამას მოითხოვდნენ აფხაზეთის ქართველი დეპუტატები. ვითარება გამოუვალი ჩანდა – „8 აგვისტოს ფოთთან ააფეთქეს ჭალადიდის სარკინიგზო ხიდი, გალში გაძარცვის მიზნით გააჩერეს თბილისიდან და ერევნიდან მოსკოვისაკენ მიმავალი მატარებლები; ცაცხვი-ინგირის მონაკვეთზე რამდენიმე ათეული შეიარაღებული პირი თავს დაესხა ერევნიდან რუსეთში მიმავალ სატვირთო მატარებელს, ძარცვაში მონაწილეობდა მოსახლეობა... იგივე განმეორდა 9 აგვისტოს ინგირში... რკინიგზის ტრანსპორტზე გავრცელებული დანაშაულობების შედეგად ზარალი უკვე ცხრა მილიარდ მანეთს შეადგენს – ნათქვამი იყო სახელმწიფო საბჭოს დადგენილებაში[17].

ასეთ დანაკარგებს ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეეგუებოდა და რეაქციაც ადეკვატური უნდა ყოფილიყო. გადაწყდა რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღება. ჩვენ ქვემოთ მოვიტანთ ამ მიზნით მიღებული დადგენილების პროექტის იმ მუხლებს, რომელიც საბოლოოდ აღარ შეიტანეს ტექსტში და მიგვაჩნია, რომ ეს დიდი შეცდომა იყო: „საგანგებო წესების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფ-

ლების უმაღლესმა ორგანომ განიხილოს საკითხი აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს"[18]

სამწუხაროდ, ეს გონიერი გადაწყვეტილება არ განხორციელდა, ეს მუხლი საბოლოო ტექსტში შეტანილი არ არის და ალბათ არც გადაეგზავნა აფხაზეთის ხელისუფლებას და არც ოფიციალური პასუხი არ არსებობს სოხუმიდან (ჩვენ მას ვერ მივაგენით). უფრო ცნობილია, რომ ამ დადგენილების შესახებ სატელეფონო საუბარი ჰქონდათ აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან. მაგრამ ქართულ მხარეს რომ ხელში ჰქონდა სოხუმიდან ამ თემაზე გამოგზავნილი საპასუხო წერილი, ჩვენ მხარეს კიდევ უფრო მეტი არგუმენტი გვექნებოდა სოხუმის ხელისუფლების წინააღმდეგ.

მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ქართული სამხედრო შენაერთები შევიდნენ აფხაზეთში, რამაც ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა – აფხაზმა სამხედროებმა მოაწყვეს პროვოკაცია, დაიწყო სამხედრო შეტაკება. საქართველოში სამოქალაქო ომის საზღვრები გაფართოვდა.

მოვლენათა საბედისწერო ლოგიკამ კიდევ უფრო გაამძაფრა დაპირისპირება ქართველთა შორის. ზვიად გამსახურდია და მისი პოლიტიკური დაჯგუფება აშკარად აფხაზებს უჭერდა მხარს და ე. შევარდნაძეს ცალსახად ადანაშაულებდა: „მოეუწოდებ ქართველ ხალხს, კაეკასიის ხალხს (არსებობს კი „კავკასიის ხალხი? – ა.დ.), მთელ მსოფლიოს საზოგადოებას, კეთილი ნების ყველა ადამიანს გენოციდისაგან დაიცვას მცირერიცხოვანი მრავალტანჯული აფხაზი ხალხი"[19].

ეს არ იყო სამართლიანი განცხადება. აფხაზ ხალხს არავინ ემუქრებოდა, ასეთი განცხადება აშკარად მიანიშნებდა, რომ საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება გრძელდებოდა. აფხაზეთში ომის მთელ პერიოდში ქართველებს შორის დაპირისპირება არ შეწყვეტილა, პირიქით – გაიზარდა და საბედისწერო ხასიათი მიიღო. ქართველების ერთიანობის აღდგენა ვერ ხერხდებოდა თვითონ აფხაზეთშიც კი – აფხაზეთის ქართველების ერთი ნაწილი ზვიად გამსახურდიას ძალაუფლებას აღიარებდა, მეორე ნაწილი – ედუარდ შევარდნაძეს უჭერდა მხარს. სრული ფიასკო განიცადა რუსეთის საშუამავლო მისიამ. პირიქით, ყველა ასეთი შეთანხმების შემდეგ აფხაზები ნაბიჯ-ნაბიჯ წინ იწევდნენ გამარჯვებისაკენ. ევროპა და ამერიკა კონფლიქტში მხოლოდ შორიდან მომზირალი მენტორის ფუნქციას ითავსებდნენ. მართალია ისინი აშკარად უჭერდნენ მხარს თბილისს და ე. შევარდნაძეს, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ **აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ გაეროს მიერ მიღებული მრავალი დადგენილება – ცარიელ ქაღალდი აღმოჩნდა, მან ვერც სამოქალაქო ომი შეა-**

ჩერა და ვერც ქართველები შეარიგა. მთავარი და განმსაზღვრელი რუსული ფაქტორი იყო: ქართველებს უნდოდათ ევროპა და ამერიკა; აფხაზებს – მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი და განუყოფელი რუსეთი. ეს მსოფლმხედველობითი არჩევანი იყო და მისი ნეიტრალიზება იმ ეტაპზე – ძალიან ძნელი ჩანდა.

ამტომაც, რაც დრო გადიოდა დაპირისპირება აფხაზეთში კულმინაციას აღწევდა. ქართველების გამარჯვების მიღწევის ერთადერთი საშუალება – ერთიანობა იყო. ზ. გამსახურდიას მომხრე სამხედრო ძალები, ზვიადის ბრძანების თანახმად, მოლაპარაკებაზე არ მიდიოდნენ, ბოლომდე ინარჩუნებდნენ თბილისის ხელისუფლებასთან შეურიგებელ პოზიციას. ეს ასე მოხდა მაშინაც კი, როცა აფხაზეთში ვითარება უკვე კრიტიკული ჩანდა და საჭირო იყო მხოლოდ მცირეოდენი სამხედრო დახმარება ზუგდიდში დისლოცირებული სამხედრო შენაერთების მხრიდან, რათა ქართველებს საბოლოო გამარჯვებისათვის ერთად მიგვეღწია.

გროზნოდან ზ. გამსახურდიას ბრძანებები კი სულ უფრო კონფრონტაციული ჩანდა – ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, მოვლენებისა და ფაქტებისადმი მის ტრადიციულ არაადეკვატური აღქმაში უნდა ვეძებოთ: სამშობლო კი არ იყო ამჟამად მისთვის ყველაფერი, საკუთარი ხელისუფლება – პოლიტიკური ძალაუფლება იყო მისი მიზანიც და ცხოვრების მთავარი და გადამწყვეტი საზრისიც. სამწუხაროდ, ეს „დამოკლეს მახვილი“ პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ყველა უმაღლეს ხელისუფალს თითქოსდა „აკვნიდან დაჰყვა“.

1993 წლის აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში ზუგდიდში დისლოცირებულმა ზ. გამსახურდიას მომხრეებმა დაიწყეს ფოთის ბლოკირება, გურიის რაიონებისა და სოფლების დაკავება. მათ შეწყვიტეს თბილისთან ყოველგვარი საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობა. ამზადებდნენ პირობებს ექსპრეზიდენტის სამშობლოში დასაბრუნებლად.

ამრიგად, როცა საქართველოს შეიარაღებული ძალები აფხაზეთში ებრძოდნენ სეპარატისტებს და მათ მხარდამჭერებს: რუს, კაზაკ, ჩეჩენ და ჩრდილო კავკასიელ „ბოევიკებს“, ზუგდიდელი მებრძოლები აფხაზეთში თანამემამულეების დახმარების ნაცვლად აფართოებენ დაკავებულ ტერიტორიებს და პრობლემებს უქმნიდნენ თბილისს.

ქართველების გათიშულობით ისარგებლეს აფხაზებმა და 27 სექტემბერს შტურმით აიღეს სოხუმი. საქართველო დამარცხდა.

ზ. გამსახურდიას მცდელობა გალში ორგანიზება გაეკეთებინა წინააღმდეგობრივი მოძრაობისათვის, ასევე მარცხით დასრულდა. რუსეთისა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკის ხელმძღვანელების ერთობლივი გადაწყვე-

ტილებით, რუსეთის სადესანტო ძალებმა უზრუნველყვეს თბილისის ხელისუფლების აღდგენა დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონში. 1994 წლის 6 იანვარს საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა ზ. გამსახურდიას გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების შესახებ. საქართველოში სამოქალაქო ომი დასრულდა.

§ 6. – საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები

სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, ეკონომიკურმა კოლაფსმა, ქვეყანაში შექმნილმა სოციალურმა დაძაბულობამ, სამოქალაქო დაპირისპირებამ, რთულმა მორალურ-ფსიქოლოგიურმა პირობებმა ასახვა ჰპოვა საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობაზე, პირველ რიგში ქართველობაზე, რომელიც იყო მთავარი შემოქმედი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისაც და, აქედან გამომდინარე, „დარტყმის" მთავარი ობიექტიც.

დემოგრაფიული პრობლემა მთავარი აღმოჩნდა – ეკონომიკურმა კოლაფსმა, საბჭოთა კავშირის ნგრევამ ყველაზე უფრო საქართველოს ეკონომიკა დააზარალა (ამის შესახებ ქვემოთ), ფაბრიკა-ქარხნების დიდი უმრავლესობა ან გაჩერდა, ან ნახევარი დატვირთვით მუშაობდა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთი დაკვრით გაუქმებამ უმუშევრად დატოვა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მანეთის ზონიდან საქართველოს გამოსვლის შემდეგ, ქვეყანაში რეალური ვალუტა ძნელად იშოვებოდა – მოსახლეობა შიმშილის საშიშროების წინაშე აშკარად დადგა.

ამან სერიოზულად იმოქმედა მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელზე. თუ 1950 – 1991 წლებში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 1 710 ათასი კაცით, 1992-2000 წლებში მისი რაოდენობა შემცირდა 882 ათასი კაცით[20].

ეკონომიკურმა პრობლემებმა საქართველოში სერიოზული დარტყმა მიაყენა შობადობის მაჩვენებელს. შექმნილი მძიმე ვითარება აღარ ახალისებდა არა მარტო ახალი ოჯახების შექმნას, არამედ ბავშვების შობადობის ზრდას ცალკე აღებულ ოჯახში. თუ 1950 წელს შობადობის ზოგადი კოეფიცენტი საქართველოში საკმაოდ მაღალია – 24% უტოლდება, 2000 წლისათვის იგი უკვე 11-12 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა20.

საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებელი: 1990- 2000 წლებში საქართველოში გარდაიცვალა 560 ათასზე მეტი კაცი. საქართველოში დემოგრაფიული ვითარება ისე დამძიმდა, რომ 2000 წელს სახეზე იყო დეპოპულაციის მძიმე შედეგი: გარდაიცვალა 41,3 ათასი კაცი, დაიბადა- 40,4 ათასი კაცი[21].

მძიმე ვითარებამ ზეგაკლენა მოახდინა ქართული ოჯახის ფიზიონომიაზეც. დემოგრაფები სამართლიანად მიუთითებენ, „1990-იან წლებში განვითარებულმა ცნობილმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ქაოსმა. საქართველოში დაარღვია მოსახლეობის აღწარმოების ევოლუციური პროცესი. კერძოდ. დაჩქარდა მოსახლეობის აღწარმოების უახლეს ტიპზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი. გარდამავალი პერიოდის მოსამზადებლად ქვეყანაში არ გატარებულა არავითარი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკა, რის გამოც ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა ამ პროცესს“[22].

ამის მიზეზი ისიც იყო, რომ საქართველოს ახალი სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ყალიბდებოდა და ის ვერ უმკლავდებოდა უამრავ სოციალურ პრობლემას და გადასაწყვეტ ამოცანას. საქართველოში ოჯახი, ადამიანი – სრულიად დაუცველი, მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებს დაყრდნობილი, უამრავ ყოფით პრობლემასთან მარტოდმარტო აღმოჩნდა.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა გამოიწვია სერიოზული მიგრაციული ნაკადები. საქართველო დატოვა მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა. ქართველი დემოგრაფების გამოკვლევებით დასტურდება, რომ 1999-2000 წლებში საქართველო დატოვა ოფიციალური სტატისტიკით – 240 ათასმა კაცმა, არაოფიციალური ცნობებით კი – დაახლოეით მილიონმა ადამიანმა. თავდაპირველად მიგრაციის ძირითადი მიმართულება რუსეთი იყო, შემდეგ მას დაემატა თურქეთი, საბერძნეთი, ისრაელი, ევროპის ქვეყნები და აშშ.

მიგრაციამ სერიოზულად დააზიანა საქართველო. რა თქმა უნდა, საქართველოდან გავიდა არაქართველი მოსახლეობაც – ე.წ. „რუსულენოვანი“ კონტინგენტი, მაგრამ მიგრაციის საერთო მაჩვენებელში ძალიან დიდი იყო ქართველების ხვედრითი წილი. ოჯახის არსებობის შესანარჩუნებლად მთლიანად ოჯახი, ან მისი რომელიმე წევრი ხანგძლივად მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ და იქიდან ფინანსურად ეხმარებოდა ნათესაობას. რუსული საინფორმაციო წყაროები მიუთითებენ, რომ მარტო რუსეთიდან საქართველოში 1990-2000 წლებში საშუალოდ დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარი იგზავნებოდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მიგრანტთა თვისებრივი მაჩვენებლის შესახებ – საზღვარგარეთ პირველ რიგში მიდიოდა ძირითადად „ძვირადღირებული“ ადამიანური რესურსი: პროფესიონალი ექიმი, მეცნიერი, ინჟინერი, ენერგეტიკოსი, თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე, ამან კი სერიოზულად დააზარალა საქართველოს საზოგადოების ინტელექტუალური შემადგენელი. უფრო ხშირად მიდიოდა ახალგაზრდა, ენერგიული, პრაგმატული გონებით და მერკანტილური ამოცანებით დატვირთული ადამიანური კონტინგენტი,

რამაც საქართველოში ის სფეროებიც დააზარალა, სადაც მათი გამოყენება ძლიერ წაადგებოდა ქვეყანას. საქართველოში ისინი სისტემატურად აგზავნიდნენ მატერიალურ რესურსებს. საქართველოში გაჩნდა ძალიან დიდი ფენა ადამიანებისა, რომლებიც თვითონ აღარ მუშაობდნენ – ნათესავების მიერ გამოგზავნილი სახსრებით იკვებებოდნენ (ე.ი. „კუპონების კრეჭა“ ქართულად).

საზღვარგარეთ ქართველების უმრავლესობა ასრულებდა ისეთ სამუშაოს, რასაც სამშობლოში არ იკისრებდა: იყვნენ მოხუცებულთა მომვლელები, რესტორნის მიმტანები, დამლაგებლები, შავი მუშები და ა.შ. საქართველოში გავრცელდა ტრეფიკინგიც კი.

არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ გარდამავალ პერიოდში მოხდა ის, რაც ვერ შეძლეს ქართველმა ბოლშევიკებმა XX საუკუნის 20-იან წლებში – ქართული ოჯახი სერიოზული ნგრევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რადიკალურად შეიცვალა ოჯახის სტრუქტურა, ოჯახის წევრთა უფლებებისა და ვალდებულებების გადანაწილება, შემოსავლის წყაროები, თაობათა ურთიერთმიმართება და ურთიერთდამოკიდებულება. მამაკაცი უკვე აღარ იყო ძირითადი მარჩენალი, ხშირ შემთხვევაში მისი ფუნქცია ქალმა შეითავსა, ამან კი ქალი მოსწყვიტა ოჯახს და შეილს. ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ ბებიის მეთვალყურეობის ამარა დარჩა. – ბავშვი ხანგრძლივად ველარ ხედავდა მშობელს. ოჯახის ტრადიციული ფუნქციების მოშლამ, მოშალა თაობათა ტრადიციული ურთიერთკავშირი, რამაც საქართველოში დრამატული შედეგები გამოიღო.

უმძიმესი დემოგრაფიული ფონი გარკვეულად გამოასწორა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, როცა 2007 წელს მიმართა მრევლს, რომ ის გახდებოდა ნათლია ოჯახში დაბადებული ყოველი მესამე და შემდეგი შვილისა. ამ მოწოდებამ საზოგადოება გამოაღვიძა: როგორც დემოგრაფები მიუთითებენ, უკვე 2008 წელს ამ მოწოდების შედეგად 1300 ბავშვით მეტი დაიბადა, 2009 წელს შედეგი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო – დაიბადა 5 000 ბავშვზე მეტი და ა.შ.[23].

ბოლო წლებში მოხერხდა საქართველოში დეპოპულაციის საშინელი შედეგების შეჩერება და მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა აშკარაა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ ქართული ოჯახი გახდეს ძლიერი და სრულყოფილი ორგანიზმი ახალი ქართული სახელმწიფოსი – ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესში აღიდგინოს თავისი ტრადიციული როლი.

ჩვენ ზემოთ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ XX საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველო თავისი სოციალური მიღწევებით საბჭოთა კავშირში გამორჩეული რესპუბლიკა იყო და ეს იმდენად სჭრიდა თვალს მავანს, რომ ქართველების ცხოვრების დონე ზოგიერთი რუსი მწერლის დაუფარავ შურსაც იწვევდა და ამას თავის მხატვრულ შემოქმედებაშიც ასახავდა.

სამწუხაროდ, ისტორიული ქარტეხილებით გამოწვეული მთელი სიმძიმე საქართველოს მწარმოებელ მოსახლეობას დაატყდა თავს. მსოფლიოში მეორე ზესახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის კვდომამ გამოიწვია პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოუდგენელი სოციალური ვარდნა: საქართველოს მოსახლეობა ტოტალურად გაღატაკდა, მისი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ცხოვრების დონე კატასტროფულად დაეცა. ამას ჰქონდა როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური საფუძვლები. ერთი საზოგადოერივ-ეკონომიკური წყობილების (სოციალიზმის), მეორე საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილებით (კაპიტალიზმით) შეცვლა სერიოზულ კატაკლიზმებთან იყო დაკავშირებული, მით უფრო, რომ მას თან სდევდა სამოქალაქო ომი, მმართველი წრეების წრეგადასული კორუფცია, ხელისუფლების უუნარობა სწრაფად და ეფექტიანად გამოეყენებინა არსებული რესურსები და მაქსიმალურად შეემცირებინა გარდამავალი პერიოდის საშინელებები. პირიქით. მოხდა ისე, რომ საქართველოში ყველა სოციალური პრობლემა, საოცრად გამწვავებული ფორმით, აშკარად სულს ხდიდა რიგით მოსახლეობას.

პირველი დარტყმა საქართველოს მოსახლეობამ მიიღო რუსული ფულის მიმოქცევიდან ამოღების შემდეგ. საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობას მრავალმილიარდიანი დანაზოგები ჰქონდა შემნახველ ბანკებში დაბანდებული. ახალი საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა მოახერხეს, მიზანმიმართული პროპაგანდის წყალობით, მოქალაქეებს სახლში შენახული ფინანსური რესურსებიც შემნახველ სალაროებში შეატანინეს, შემდეგ ეს თანხები გაყინეს, მოგვიანებით ისინი კუპონებით ჩაანაცვლეს – ფაქტობრივად მოსახლეობას დანაზოგი დაუკარგეს. ეს მრავალმილიარდიანი დანაზოგი ჯერაც არავის დაუბრუნებია საქართველოს მოსახლეობისათვის.

საქართველოში პრივატიზაცია ჩატარდა უაღრესად მახინჯი ფორმით, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო მხოლოდ საზოგადოების მცირე ფენის არნახული გამდიდრება. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გაღარიბდა. ადამიანები ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად უკიდურეს ზომებს მიმართავდნენ – სახლიდან გაჰქონდათ და ყიდიდნენ მემორიალურ ნივთებს, საოჯახო სიწმინდეებს, სკოლის დამთავრების ოქროს მედლებს, სამხედრო

ორდენებს და ა.შ. არაეის არ შეუსწავლია და არსად არ აღრიცხულა, თუ რა რაოდენობის ოქრო, ვერცხლი, ძვირფასეულობა გადავიდა ქართველების ოჯახებიდან შავ ბაზარზე, მოხვდა სპეკულიანტების ხელში, გავიდა საზღვარგარეთ. ქართული ოჯახის მატერიალურ ძლიერებას სერიოზული დარტყმა მიადგა.

ხელფასმა დაკარგა თავისი დანიშნულება – ის ოდნავადაც ვერ ყოფნიდა არათუ ოჯახის, არამედ ინდივიდის გამოკვებას. იყო შემთხვევა, როცა ხელფასით ერთი კილო კარტოფილის შეძენაც არ ხერხდებოდა. სახელმწიფო მაღაზიები ცარიელი იყო, ბაზრები მხოლოდ რუსულ ფულზე ვაჭრობდნენ.

სამოქალაქო ომმა, დაკარგული ტერიტორიების პრობლემამ ლტოლვილი მოსახლეობა გააჩინა. მათი პატრონობა, ნორმალური პირობების შექმნა უპირველესი ამოცანა უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეჭირვებულ სახელმწიფოს ამის შესაძლებლობა არა ჰქონდა და აქედან გამომდინარე ლტოლვილთა საერთო მძიმე სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო ამძიმებდა ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ ყოფიერებას.

1995 წელს განხორციელებულმა ფულის რეფორმამ და ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღებამ ვერ განმუხტა სოციალური კრიზისი: საშუალო ხელფასი ქვეყანაში 1995 წელს 13,6 ლარი იყო (10 ამერიკული დოლარი). განსაკუთრებით მცირე იყო ხელფასი სოფლის მეურნეობაში (4,6 ლარი), ჯანდაცვის სისტემაში (5,5 ლარი), განათლებაში (7 ლარი)[24]. ხელფასმა თანდათან იწყო ზრდა, მაგრამ ნორმალური ცხოვრებისათვის ის არ კმაროდა.

კიდევ უფრო მძიმე იყო მდგომარეობა მარტოხელებისა და პენსიონერებისათვის. 1995 წელს საქართველოში 100 ათასი პენსიონერი იყო. 2000 წელს პენსიას იღებდა დაახლოებით 900 ათასი კაცი. პენსია მიზერული – სიმბოლური იყო: 2000 წელს მან 14 ლარი შეადგინა. მომდევნო წლებში, სახელმწიფოს ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგებასთან ერთად, იზრდებოდა პენსიის ოდენობა. 2015 წელს ის უკვე 160 ლარია, მაგრამ ინფლაციისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მისი რეალური მსყიდველობითი უნარი მაინც ძალიან დაბალია.

საქართველოში გარდამავალი პერიოდის ყველაზე სერიოზული გამოწვევა – ეს უმუშევრობა იყო. რა თქმა უნდა, ეკონომიკური კოლაფსის პირობებში სახელმწიფოს არ შეეძლო ყველა უმუშევარი დაეკმაყოფილებინა. მათი რაოდენობა კი ყოველწლიურად იზრდებოდა. ვერ ხერხდებოდა ეკონომიკური კოლაფსის შეჩერება. თუ 1990 წელს საქართველოს ეკონომიკაში დასაქმებული იყო 2 763 ათასი კაცი, 2000 წელს მხოლოდ 1 748 ათასი.

მიუხედავად საქართველოს სხვადასხვა მთავრობის დაპირებისა, მათ მიერ ფართოდ რეკლამირებული დასაქმების პროგრამები არ მუშაობდა. „მოქალაქეთა კავშირი“ საქართველოს ერთ მილიონ სამუშაო ადგილს დაპირდა – უტოპია აღმოჩნდა, მ. სააკაშვილი საქართველოში ეკონომიკის სწრაფ აღორძინებას ვარაუდობდა– ესეც სიცრუე აღმოჩნდა. დასაქმების სფეროში ძალიან სერიოზული პრობლემებია დღესაც.

აშკარაა, რომ დაახლოებით მილიონზე მეტი კაცი ამოვარდა აქტიური ეკონომიკის სფეროდან, ისინი თვითონ ეძებენ თაეის გადარჩენის საკუთარ საშუალებებს. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მომსახურების სფერო, არასაუწყებო დაცვის კონტინგენტი, მძღოლების რაოდენობა და ა.შ.. ჯერჯერობით არცერთი გრანდიოზული ეკონომიკური პროექტი, რომელიც რამდენიმე ათას კაცს მიიზიდავს სამუშაოდ – არც კი დაწყებულა.

ამან საქართველოში გამოიწვია სოციალური აპათია, ზოგ შემთხვევაში გულისგატეხვის სინდრომი, უპერსპექტივობის განწყობა, უიმედობა. აქედან კი ძალიან ახლოა სასოწარკვეთამდე – თვითმკვლელობის მაჩვენებელი ზრდადი იყო საქართველოში მთელი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში. გაიზარდა ნარკომანების რაოდენობაც – სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში 1996 წელს 5 000 ნარკომანი იყო რეგისტრირებული, ექსპერტები ვარაუდობდნენ საქართველოში 100 000 ნარკომანს. ეს კი სერიოზული სოციალური პრობლემა იყო.

საზოგადოება ჯერ კიდევ ელოდება მთავრობას, რომელიც შეძლებს ამ პრობლემების გადაწყვეტას.

§ 8. – ეკონომიკური კოლაფსი

ეკონომიკური სტაგნაცია საქართველოში უკვე 1989 წლიდან შეიმჩნევა. ზ. გამსახურდიას მმართველობის დროს ის კიდევ უფრო გაღრმავდა ეკონომიკის მართვის არაადეკვატური მეთოდების გამოყენების გამო – საბჭოთა კავშირისათვის საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ (საქართველოს საქმეებში მოსკოვის უხეში ჩარევის საბაბით) პირველ რიგში თვითონ საქართველო დააზარალა.

ეკონომიკურ კატასტროფას თავისი ხილული და უხილავი საფუძვლები ჰქონდა. პირველ რიგში კი ის იყო, რომ ერთი დარტყმით დაინგრა „სტალინ-ბერიას გეგმის“ ეკონომიკური ფუნდამენტი – საქართველოს მონოპოლიური მდგომარეობა საბჭოთა ბაზარზე ჩაის, ციტრუსების, სამხრეთული კულტურების წარმოების, ტურიზმისა და ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთ სხვა სფეროში.

ამის გარდა, საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა უამრავი ძაფით იყო დაკავშირებული საბჭოთა კავშირის ერთიან ეკონომიკურ ორგანიზმთან, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკასთან – იქნებოდა ეს სტრატეგიული ნედლეულის შემოტანა, ენერგორესურსები, აგროტექნიკა, სათადარიგო ნაწილები და ა.შ. მართალია, საქართველოს ჰქონდა რამდენიმე, მსოფლიოში ცნობილი და მნიშვნელოვანი საბადო (ჭიათურის მანგანუმი, ტყიბულის ქვანახშირი, მადნეულის სპილენძის კარიერი, რაჭის დარიშხანი და ა.შ.), იყო ნავთობის ამოღებისა და მისი ექსპლოატაციის გადიდების შესაძლებლობებიც, მოიპოვებოდა ოქრო, ბენტონიტური თიხები, გუმბრინი და ა.შ., მაგრამ გარდამავალ პერიოდში მათი ინვესტირებისათვის საქართველოს მთავრობას შესაძლებლობები არა ჰქონდა, ხოლო საზღვარგარეთელი ინვესტორი უფრთხოდა სერიოზული ფინანსების დაბანდებას სამოქალაქო ომით გაერანებულ ქვეყანაში. ახალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში საქართველოში შექმნილი ვითარება ეკონომიკური პროფილის ბევრი მნიშვნელოვანი საწარმოს არსებობის მიზანშეწონილობა ეჭვის ქვეშ აყენებდა (მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის ავტოგიგანტის, სხვადასხვა ქალაქში განლაგებული უამრავი ფეხსაცმლის ფაბრიკის, აბრეშუმსახვევ-საძახავი საწარმოს და ა.შ.).

სამწუხაროდ, ე. შევარდნაძის ეკონომიკურმა გუნდმა ვერ მოახერხა დროულად განესაზღვრა და რეალურად განეხორციელებინა ეკონომიკური გარდაქმნების ისეთი ოპერატიული გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა ეკონომიკური კოლაფსიდან ქვეყნის სწრაფად გამოყვანას.

1993-1995 წლებში საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ მუშაობდა. გარკვეული დაჯგუფებები ცდილობდნენ ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდებას. ადგილი ჰქონდა კაპიტალის პირველადი დაგროვებისათვის დამახასიათებელ მახინჯ მაველენებს: უკანონო მითვისებებს, აფიორას, მაფიოზური კლანების ფორმირებას და ა.შ. ამან გამოიწვია საეალალო შედეგები ეკონომიკაში: კატასტროფულად შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა, ამან შეამცირა ეროვნული შემოსავალი. ეკონომიკის ცალკეულ დარგებში ვარდნა კატასტროფული იყო: თუ 1990 წელს საქართველოში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ღირებულება შეადგენდა 12 063 მილიონ მანეთს, 1995 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 523,8 მილიონი მანეთი იყო, ე.ი. მოხდა სამრეწველო პროდუქციის წარმოების თითქმის 23- ჯერადი შემცირება. მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა 459,4 ათასიდან შემცირდა 121,4 ათასამდე, ე.ი. 3,7-ჯერ.[25]

მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო შეიქმნა სოფლის მეურნეობაში. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ტევადი ბაზრის დაკაგვამ ყველაზე უფრო დასავლეთ საქართველო დააზარალა – ქართულ ჩაიზე, ციტრუსებეზე

მოთხოვნილება კატასტროფულად შემცირდა. მოთხოვნილების დაცემამ კი წარმოების შეჩერება გამოიწვია. ვითარება კიდევ იმანაც გაართულა, რომ საქართველოში წარმოუდგენლად სწრაფად გააუქმეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მათ შორის ძალიან ბევრი – ეკონომიკურად ძლიერი. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ჩამოყალიბებული ეკონომიკური სტრუქტურები იყო: ზემო ქედის კოლმეურნეობა, ნატანების საბჭოთა მეურნეობა, კარდენახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, კახათის საბჭოთა მეურნეობა და უამრავი სხვა. ალბათ, უკეთესი იქნებოდა მათი გადაყვანა საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების რელსებზე და მათი პოტენციური შესაძლებლობების ახალ ვითარებაში გამოყენება. მაგრამ გარკვეული პოპულისტური მოსაზრებით და ანტისაბჭოთა ფსიქოზის ვითარებაში („არაფერი საბჭოური არ გვინდა!“), სწრაფად გაუქმდა აგრარული კოლექტიური ორგანიზაციები და მიწები ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებს საკუთრების უფლებით გადასცეს. ასეთი ნაჩქარევი ღონისძიების შედეგად საქართველოში 762,1 ათასი ჰექტარი მიწა გადაეცა კერძო მესაკუთრეს სარგებლობაში[26].

მაგრამ სოფლად სასოფლო-სამეურნეო ქონების პრივატიზაცია განხორციელდა ბარბაროსული ფორმით; ადგილი ჰქონდა უკანონო მიტაცებებს, საერთო საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მითვისებას, მოხდა ბევრი კანონსაწინააღმდეგო ქმედება. ფაქტობრივად, საქართველოს სოფელი შუა საუკუნეების დროინდელ გამწევი საშუალებების ამარა აღმოჩნდა – ხმარებაში შემოვიდა მამა-პაპისეული ცხენი და გუთანი. გლეხს არც ფული ჰქონდა ტრაქტორების შესაძენად, არც აგრონომის დასაქირავებლად თანხა და არც საჭირო შხამ-ქიმიკატების გამოყენების საშუალება. ამან რადიკალურად შეამცირა ნათესი ფართობების რაოდენობა: თუ 1990 წელს მუშავდებოდა 701,9 ათასი ჰექტარი, 1995 წელს – მხოლოდ 453,1 ათასი დამუშავდა, 2006 წელ საქართველოში ნათესი ფართობის რაოდენობა დაეიდა 330,2 ათას ჰექტარამდე, ხოლო 2012 წელს მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლებია – 259,6 ათასი ჰექტარი.

კიდევ უფრო სავალალო იყო ვარდნა აგრარული სექტორის ცალკეული დარგების მიხედვით: თამბაქოს ნათესი ფართობები 7,2 ათასი ჰექტარიდან შემცირდა 1,8 ათას ჰექტარამდე, სოიოსი – 7,6 ათასი ჰექტარიდან 1,9 ათასი ჰექტარამდე[27]. თვალსაჩინო იყო საქართველოსთვის სტრატეგიული პროდუქციის – ვენახის, ციტრუსების, ჩაის სათესი ფართობების კატასტროფული შემცირება. დასავლეთ საქართველოში ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი გაეერანდა მოუვლელობით, კახეთშიც ხშირად ვაზის გაჩეხვის ფაქტებიც კი ხდებოდა.

ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლამ შეამცირა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა. თუ 1975 წელს საქართველოში მოიწიეს 448 ათასი ტონა ყურძენი, 2006 წელს – 162,5 ათასი ტონა, ხოლო 2010 წელს – მხოლოდ – 120,7 ათასი ტონა. თუ 1975 წელს საქართველოში მოიკრიფა 356,2 ათასი ტონა ჩაი, 2006 წელს მხოლოდ 6,6 ათასი ტონა, ხოლო 2012 წელს მისი რაოდენობა დავიდა 2,6 ათას ტონაზე. ციტრუსები 1975 წელს საქართველოში დამზადდა 127 ათასი ტონა, 2006 წელს – მხოლოდ 52,2 ათასი ტონა და ა.შ..

რა თქმა უნდა, კატასტროფულად შემცირდა ქართულ სოფელში შრომის ნაყოფიერება, საინექტარო მოსავლიანობა, აგრო და სავეტერინარო მომსახურება, აგროტექნოლოგიის პროგრესული მეთოდების გამოყენება და ა.შ. და ა.შ.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკა საფუძვლიანად დაზარალდა. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მისი აღორძინების გეგმები და პროექტები განელილი 25 წლის განმავლობაში არა ერთი იყო, მათი სწრაფი რეალიზების დაპირებაც – უამრავი...

დავიწყოთ იქიდან, რომ ეკონომიკური ცხოერების გაჯანსაღების საკითხი საქართველოს ხელისუფლების წინაშე დადგა სამოქალაქო ომის დასრულებისთანავე. საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში რადიკალური ეკონომიკური რეფორმის დაუყოვნებლიე განხორციელებას ბევრი მოითხოვდა. სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ მხარი რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმებს დაუჭირა. მან უკვე 1994 წლის 7 თებერვალს ხელი მოაწერა ბრძანებულებას „საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისული პროგრამებისა და 1994-1995 წლების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზების შესახებ". ბრძანებულების საფუძველზე მოხდა ფასების ლიბერალიზაცია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფა, დაიწყო სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, თავისუფალი საშინაო და საგარეო ვაჭრობა და ა.შ..

მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმის რეალიზება იმ ეტაპზე მხოლოდ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარების საფუძველზე გახდა შესაძლებელი და საქართველომ წარმატებით მოაგეარა ურთიერთობა მსოფლიო ბანკთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და სხვა ორგანიზაციებთან. სწორედ მათი დახმარებით შემუშავდა ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი პროგრამები.

ეკონომიკა შედარებით გამოაცოცხლა ხმარებაში ეროვნული ვალუტის – ლარის დამკვიდრებამ. ის კონვერტირებული ვალუტა იყო – 1 დოლარი 1.35 ლარი ღირდა. საფინანსო რეფორმა განახორციელეს სწრაფად და სერიოზული დარღვევების გარეშე ჩატარდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სა-

ფინანსო რეფორმა ყველაზე წარმატებული ეკონომიკური ღონისძიება იყო საქართველოში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანი იყო მესაკუთრეთა ფენის შექმნა. ოფიციალური სტატისტიკით უკვე 1996 წელს საქართველოში კერძო საკუთრების ხვედრითმა წილმა 67-70 პროცენტს შეადგენდა, პრივატიზებული გახდა სამრეწველო საწარმოების 55 პროცენტი, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა 90%, საავტომობილო ტრანსპორტის 98%. სწრაფი ტემპით იქმნებოდა სააქციო საზოგადოებები (ზოგიერთი მხოლოდ ფურცელზე). სახელმწიფო ქონების პრივატიზაციით მოხდა 336,11 მილიონი დოლარის მობილიზება სახელმწიფო ხაზინაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს პროცესები აშკარად იყო დაკავშირებული ფარულ გარიგებებთან, კანონდარღვევებთან, კორუფციასთან და კაპიტალიზმის პირველადი დაგროვების პროცესისათვის დამახასიათებელ სხვა მახინჯ მოვლენებთან.

ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე განსაკუთრებით აქტიურობდა საბანკო კაპიტალი შეიქმნა უამრავი კერძო ბანკი, რომლებიც მაღალ პროცენტებს პირდებოდნენ საქართველოს მოსახლეობას. იყო მოსახლეობის მოტყუების შემთხვევებიც, მაგრამ საბანკო კაპიტალი ყოველდღიურად ძლიერდებოდა და დიდ შესაძლებლობებს იძენდა. ექსპერტები მიუთითებენ, რომ მ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოს ბანკებმა მნიშვნელოვანი რესურსები დააგროვეს – მათი წილი ქვეყნის მთლიანი პროდუქტის სტრუქტურაში 13 პროცენტიდან (ასეთი იყო ის 2003 წელს) 52, 8 პროცენტამდე გაიზარდა[28]. ეს მკაფიოდ მიუთითებს იმ გამორჩეულ მდგომარეობას, რაც საბანკო კაპიტალს შეექმნა ქვეყანაში ეკონომიკის სხვა სეგმენტებთან შედარებით.

საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ტრანსკავკასიის სატრანსპორტო დერეფნის" იდეის რეალიზებას. მისი ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე იყო. შექმნილ ვითარებაში საქართველოს მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინა თავისი სტრატეგიული გეოგრაფიული შესაძლებლობები, ამიტომაც საქართველოს პრეზიდენტის იდეას – აეღორძინებინა ისტორიული „აბრეშუმის გზა", მსოფლიოში ბევრი გამოეხმაურა. ევროკომისიის ინიციატივით შეიქმნა „ტრანსეკას" პროექტი. მარტო ევროკომისიამ საქართველოს სატრანსპორტო არტერიის მოსაწესრიგებლად 4 მილიონი დოლარი გამოჰყო. ამან მოაწესრიგა ხაშურ-ლიხის, ძირულა-შორაპნის რკინიზის გადასარბენი. დაიწყო ფოთი – ოდესის საბორნო ტერმინალის მშენებლობა.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოს უნიკალური ნავთობისა და გაზის საბადოს საექსპორტო შესაძლებლობების გასადიდებლად საქართველოს

ტერიტორიაზე ახალი ნავთობ თუ გაზსადენის მშენებლობის გრანდიოზულ პროექტებს. უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წელს საზღვარგარეთელმა ინვესტორებმა საქართველოს ეკონომიკაში ჩადეს 86 439 ათასი ლარი, 1998 წელს 400 989 ათასი ლარი.

ყველაფრის მიუხედავად საქართველოს საზოგადოება ეკონომიკურ წინსვლას ვერ ხედავდა, კორუფციის ზრდის პირობებში ეკონომიკური ცხოვრება თვითდინებაზე მიშვებულს ჰგავდა. საქართველოს საზოგადოება სწრაფ ეკონომიკურ ცვლილებებსა და მის შესამჩნევ შედეგებს ელოდებოდა. ამიტომაც 2003 წელს ე. შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულმა ფრთამ, რომელმაც ეჭვის ქვეშ დააყენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შედეგიანობა, საოცრად ადვილად განახორციელა გადატრიალება: ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ და ქვეყნის რადიკალური ეკონომიკური განახლების ლოზუნგით მათ მიერ შექმნილი პოლიტიკური გაერთიანება – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოიყვანა.

მაგრამ ეკონომიკური აღორძინება მაინც აგვიანებდა. ახალი ხელისუფლების წარმატებულ ეკონომიკურ პროექტებად ჩაითვალა: თბილისში – პრეზიდენტის ძვირადღირებული სასახლისა და ქუთაისში – ახალი პარლამენტის შენობის მშენებლობა, სიღნაღის ცენტრის ბუტაფორული გადახალისება, დავით აღმაშენებლის პროსპექტის ერთი ნაწილის გამშვენიერება, ბათუმის რიგი უბნის იტალო-ესპანური არქიტექტურის ყაიდაზე გადასხვაფერება და ა.შ..

საზღვარგარეთული ინვესტიციების რაოდენობა კი მკვეთრად მცირდებოდა: 2008 წელს მან შეადინა 1 563 962 ათასი დოლარი, ხოლო 2009 წელს – მხოლოდ 658 401 ათასი დოლარი[29].

ეკონომიკური თვალსაზრისით მთლიანად ჩაკვდა ქართული ინდუსტრიის ცნობილი ცენტრები: ქუთაისი, ტყიბული, სამტრედია, რუსთავი, გორი, ახალციხე, და ადრე ცნობილი სხვა საშრეწველო ქალაქები.

მ. სააკაშვილის ხელისუფლება ეკონომიკის გამოცოცხლებას აპირებდა – ქუთაისში პარლამენტის გადატანით, შავი ზღვის სანაპიროზე ფანტომქალაქის – ლაზიკის მშენებლობით, ბიზნესის დატერორებით და ა.შ..

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დაჯგუფების – „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ მოხერხდებოდა ეკონომიკური ცხოვრების ახალი ტემპის აღება, გრანდიოზული ეკონომიკური პროექტების რეალიზება, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღება. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ უფრო მეტია საჭირო, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი ეკონომიკაა ერის კონსოლიდაციის ძირითადი ფუნდამენტი.

ათწლეულების მანძილზე ქართული მეცნიერება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ქართული ინტელექტუალური აზროვნების ძირითადი აკუმულიატორი და ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლენა იყო, ხოლო მოსახლეობის მზარდი ინტელექტუალური აქტივობა მნიშვნელოვნად აპირობებდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურული ცხოვრების ზეაღმავალ განვითარებას, მის მსოფლიო იმიჯს. წინა თავებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყნისათვის ყველაზე ტრაგიკულ წლებშიც (საბჭოთა რუსეთის ოკუპაცია, 1937 წლების მასობრივი რეპრესიები და ა.შ.) საქართველოში ინტელექტუალური მუშაობა არ შეწყვეტილა, მეცნიერს პატივს სცემდნენ, ხელს უწყობდნენ. საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, ყველაზე მაღალი ხელფასი მეცნიერს ჰქონდა, უზრუნველყოფილი იყო ბინით, ელემენტარული საცხოვრებელი პირობებით. ეს უზრუნველყოფდა საქართველოში როგორც რიგითი ქართველის ლტოლვას განათლებისაკენ, მეცნიერებისაკენ, ისე საგრძნობლად ზრდიდა მატერიალური სტიმულირების მნიშვნელობასაც და აპირობებდა ახალგაზრდების აქტიურ ჩაბმას სამეცნიერო ცხოვრებაში — კადრების საკითხი იმჟამად ნამდვილად არ იდგა.

საბჭოთა სისტემის დამხობის წინ მარტო საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აერთიანებდა 50 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, უამრავ სამეცნიერო ლაბორატორიას, რომლებიც იკვლევდნენ და სწავლობდნენ მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებას. საქართველოში მეცნიერების მაღალ დონეზე ისიც მიანიშნებს, რომ მცხეთასთან მუშაობდა ატომური რეაქტორიც კი. ქართველი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობდნენ საკავშირო, მსოფლიო სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო შეხვედრებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, საყოველთაოდ იყო ცნობილი ქართული მათემატიკის, ფიზიკის, ფიზიოლოგიის, გეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის სამეცნიერო სკოლები და მიმართულებები, რომელთა დამფუძნებლები და განმავითარებელნი მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცნიერები იყვნენ.

მეცნიერთა დიდი პოტენციალი დასაქმებული იყო საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაშიც, კათედრებსა და ლაბორატორიებში ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა მიმდინარეობდა. საქართველოში სამეცნიერო შრომა პრესტიჟული იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ძალიან დიდი იყო არა მარტო ფუნდამენტური მეცნიერების მნიშვნელობა და მისი პოტენციალი, არამედ ქარ-

თველი მეცნიერების გამორჩეული ნაწილი აქტიურად მოღვაწეობდა გამოყენებითი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მარტო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 5-6 მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ჰქონდა, საკმაოდ განტოტვილი ადგილობრივი საბაზო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებითა და სადგურებით, რომლებიც ინტენსიურად სწავლობდნენ ქართული სოფლის განვითარების აქტუალურ პრობლემებს.

გარდამავალ პერიოდში, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობის გამო ეს უზარმაზარი სამეცნიერო პოტენციალი ჯერ გააჩერდა, შემდეგ კი ძალიან სწრაფად დაიწყო დაღმა სელა.

გავრცელდა აზრი, რომ განვითარებად ქვეყანას – რა ეტაპზეც საქართველო გარდამავალ პერიოდში აღმოჩნდა, სამეცნიერო ორგანიზაციების ასეთი მრავალრიცხოვანი და განტოტვილი ქსელი არ ჭირდება და მიზანშეწონილია მისი მკვეთრი შემცირება. როგორც მტკიცდება, დასავლეთ ევროპაში შემუშავდა კიდეც სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს სამეცნიერო პოტენციის თანდათან, შედარებით უმტკივნეულო ლიკვიდაციას.

ამ პროექტის რეალიზაცია ე. შევარდნაძემ ვერ შეძლო. მან შეინარჩუნა „სტატუს კვო“ ქართულ მეცნიერებაში, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ელემენტარული პირობებიც კი ვერ შეიქმნა მეცნიერების პოტენციის არა მარტო განვითარების, არამედ მისი შენარჩუნებისათვის. სამეცნიერო შრომა უკვე არაფრად ფასობდა – ხელფასი 6-7 ლარი თვეში იყო აშკარა დაცინვა ქართული ინტელექტუალური ელიტის. დაიწყო მეტად სწრაფი პროცესი მეცნიერებიდან ინტელექტუალების განთესვის: მაღალი პროფესიული განათლებისა და ტექნიკური მიმართულების წარმომადგენლები ევროპის სამეცნიერო ცენტრებში გადავიდნენ სამუშაოდ, იქ გააგრძელეს სამეცნიერო მოღვაწეობა და ბევრმა თვალსაჩინო შედეგსაც მიაღწია. ბევრმა მეცნიერმა საერთოდ დაანება მეცნიერებას თავი და სხვა სფეროებში დაიწყო მოღვაწეობა. დაიწყო რღვევის შეუქცევადი პროცესი. ამან ძლიერ გააღარიბა კადრებით ქართული მეცნიერება, უკვე არის მიმართულებები და პრობლემები, რომლის პროფესიონალი მკვლევარი საქართველოში არ იძებნება.

ქართული მეცნიერება განადგურების პირას მიიყვანეს 2004-2012 წლებში, მიზანმიმართული და ანტიეროვნული საგანმანათლებლო სისტემის რეალიზაციის პირობებში. ბოლონიის საგანმანათლებლო პრინციპების რეალიზაციის მომიზეზებით გადაწყდა სამეცნიერო საქმიანობის მხოლოდ უნივერსიტეტებში კონცენტრირება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას 2006-

2011 წლების პერიოდში მთლიანად ჩამოართვეს მის დაქვემდებარებაში არსებული დაახლოებით 50-მდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ისინი თბილისის უნივერსიტეტებში გადაანაწილეს. ეს რეორგანიზაცია მიმდინარეობდა სამეცნიერო კადრების შერჩევის ბარბაროსული პრინციპების გამოყენებით, ასაკობრივი ცენზის დაწესებით, მთავრობისადმი მხოლოდ ლოიალურად განწყობილი მეცნიერთა სელექციის პირობებში.

საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული სამეცნიერო კოლექტივები დაარბიეს ისე, რომ მათ დაუკარგეს განვითარების შესაძლებლობა: პატივცემული, დამსახურებული უფროსი თაობის მეცნიერები გარეკეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან. ამით შეგნებულად გაწყვიტეს სამეცნიერო ორგანიზაციებში თაობათა ორგანული და აუცილებელი შინაგანი კავშირი, რაც საჭიროა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების დროს. ამით მათ გააღარიბეს მეცნიერება. ასპირანტურის გაუქმებამ კიდევ უფრო გაართულა ვითარება – ახალგაზრდობა მეცნიერებას უკვე აღარ ეტანება.

არ იყო სამართლიანი და ნამდვილად არ წაადგა ქართულ მეცნიერებას დოქტორებად მეცნიერებათა კანდიდატების „გადაქცევის“ ლომაიასეული გეგმა, რამაც ნამდვილად უარყოფითი შედეგები მოიტანა.

სამეცნიერო ინსტიტუტების ახალმა „პატრონებმა“, სახელმწიფო უნივერსიტეტებმა, რომლებიც თვითონაც რეორგანიზაციის პროცესში იყვნენ და თავის თავზე განიცადეს „რეფორმების“ უარყოფითი შედეგები, სათანადოდ ვერ უპატრონეს ძალით შეერთებულ სამეცნიერო ორგანიზაციებს, ამიტომაც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებში მუშაობა ძლიერ შეფერხდა. ხოლო გამონთავისუფლებელი ინსტიტუტების შენობები ხელისუფლებამ სასწრაფოდ გაყიდა, ზოგჯერ აშკარად საეჭვო გარიგებების საფუძველზე.

ქართველი მეცნიერების პროტესტი (ყველაზე დიდი 2005 წლის 16 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ დარბაზში, 3000 ქართველი მეცნიერის თანდასწრებით გაცხადებული) ხელისუფლებამ არაფრად ჩააგდო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გადააქციეს დამსახურებული და აღიარებული მეცნიერების „სადისკუსიო კლუბად“, რომელსაც წაართვეს გამომცემლობა „მეცნიერება“, უამრავი დამხმარე ორგანიზაცია და საჭირო სტრუქტურა – ფუნდამენტური სამეცნიერო ბიბლიოთეკაც კი.

მიუხედავად ქართველ მეცნიერთა მხრიდან უამრავი პროტესტისა და მცდელობისა საქართველოს ახალი ხელისუფლება (20012-2015 წწ.) ზედმეტად ნელ ნაბიჯებს დგამს მეცნიერთა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხების მოწესრიგების გზაზე, რაც ბევრს აფიქრებინებს, რომ საქართველოს სამეცნიერო პოტენციის ლიკვიდაციის ამოცანა შეიძლება

ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს ჯათოლიკოს პატრიარქი
ილია II

გარეშე ფაქტორის დაინტერესების შედეგია, რის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი აღარ აქვს და მას, როგორც ფატალურ მოვლენას, ქართველობა უნდა შეეურიგდეთ...

§ 10. – საქართველოს ერთიანი ისტორია

ისევე როგორც ყველა სფერო, საისტორიო მეცნიერებაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სწორედ გარდამავალ პერიოდში გაჩენილი ბევრი გადაუწყვეტი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გამო. ქართველი ისტორიკოსები, როგორც საქართველოს თვითოეული მოქალაქე, უცებ აღმოჩნდნენ წარმოუდგენელი სოციალური კატაკლიზმების წინაშე. ქართველმა ისტორიკოსებმა თავიდანვე გაითავისეს ის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რაც საქართველოს წინაშე დააყენა სწრაფად ცვლადმა და ზედმეტად აგრესიულმა მსოფლიო ისტორიულმა განვითარებამ: საქართველოს დასჭირდა მსოფლიოს წინაშე დაემტკიცებინა თავისი სიმართლე აფხაზებთან და ოსებთან, რუსებთან და სომხებთან მიმართებაში. რუსეთის სამხედრო აგრესიას, სეპარატიზმის ტენდენციების გაძლიერებას თან ახლდა ინტენსიური მეცნიერული საქმიანობა იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველების პრეტენზიები აფხაზეთზე, შიდა ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთზე კანონიერია და მას ღრმა ისტორიული საფუძვლები ეძებნება; ქართველ მეცნიერებს უნდა გაებათილებინა რუსული მითი იმის შესახებ, „რომ აფხაზეთი – საქართველო არაა“, რომ ოსების პრეტენზიები შიდა ქართლში უმართებულოა და ა.შ. და ა.შ..

მოხდა ისე, რომ ზემოთჩამოთვლილი ერების იდეოლოგიური სამსახურები გაერთიანდნენ და დღეს საერთო ფრონტით აწარმოებენ იდეოლოგიურ დივერსიებს საქართველოს წინააღმდეგ, აქედან გამომდინარე დღეს იდეოლოგიური ფრონტი არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდა.

ამიტომაც, გარდამავალ პერიოდში ქართველი ისტორიკოსების მთავარი ამოცანა იყო დაეცვათ საქართველოს კანონიერი ინტერესები, გაენეიტრალებინათ იდეოლოგიური დივერსიების მავნე შედეგები და მსოფლიოს საზოგადოებისათვის შეეთავაზებინათ მოვლენების ქართული ხედვა, ქართული არგუმენტაცია, ქართული სიმართლე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ქართველმა ისტორიკოსებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ჩვენ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს: შეიქმნა და დაიწერა აფხაზეთში, შიდა ქართლში მიმდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებული საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მათ შორის რუსულ ენაზეც: რ. თოფჩიშვილის: «Об осетинской мифологеме

истории», «Грузино-осетинские этноисторические очерки», «Осетины в Грузии: миф и реальность» და სხვ; ზ. პაპასკირის: «Абхазия – история безфальсификаций», გ. ყორყოლიანის, ლ. თოიძის, ს. ლეკიშვილისა და სხვების: «Исторические и политико-правовые аспекты конфликта в Абхазии» და «Исторические и политико-правовые аспекты грузино-осетинского конфликта.", ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას: «Абхазия – историческая область Грузии», გ. გასვიანის "ძველი დაახალი აფხაზები" (ქართულ და რუსულ ენებზე) და მრავალი სხვა.

საქართველოს ისტორიის სომეხი, ოსი და რუსი გამყალბებლების წინააღმდეგ უკომპრომისო იდეოლოგიურ ბრძოლას ითვალისწინებს სპეციალური სერიით გამოცემული ნაშრომებიც: «Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии», «Некоторые вопросы истории осетин Шида Картли», «Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии». ამ კრებულებში თავმოყრილია ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლების (აკად. მ. ლორთქიფანიძის, აკად. დ. მუსხელიშვილის, აკად. რ მეტრეველის, პროფ. ა. ბენდიანიშვილის, პროფ. ბ. შოშიაშვილის პროფ. მ. სამსონაძის, პროფ. ი. თოთაძის, პროფ. ო. ჯანელიძის და სხვათა და სხვათა) გამოკვლევები საქართველოს ისტორიის საჭირბოროტო საკითხებზე. ამ სერიის მომზადებასა და მის რუსულ ენაზე თარგმანსა და გამოცემაში უდიდესია ცნობილი მეცნიერის გ. ჯოხთაბერიძისა და „მაგთიკომის" კოლექტივის დახმარება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გამოკვლევა – „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში" (ავტორები ა. ბენდიანიშვილი ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე), რომელშიც ობიექტურად არის გადმოცემული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიული პროცესი დასაწყისიდან დღემდე. რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის სხვადასხვა საკითხზე ინტენსიურად მუშაობენ: ზ. პაპასკირი, შ. ვადაჭკორია, ო. გოგოლიშვილი და სხვ. ბოლო წლებში გამორჩეული მნიშვნელობა შეიძინა ქართველი ისტორიკოსების საპოლემიკო ნაშრომების ინგლისურ ენაზე თარგმნამ და საზღვარგარეთ მათმა გამოცემამ: საქართველოს ისტორიის შესახებ ნაშრომები ინგლისურ-ფრანგულ ენებზე გამოაქვეყნეს: ნ. ასათიანმა და ო. ჯანელიძემ, ამერიკაში გამოქვეყნდა დ. მუსხელიშვილის, მ. სამსონაძის და ა. დაუშვილის „საქართველოს ისტორია", 2015 წელს ნიუ-იორკის გამომცემლობა „ნოვამ" გამოსცა ინგლისურ ენაზე ქართველი ისტორიკოსების, ეთნოლოგებისა და სამხედრო საქმის სპეციალისტების ერთობლივი გამოკვლევა 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ და მრავალი სხვა.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ქართველი ისტორიკოსები ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს ძირითადად ენთუზიაზმის საფუძველზე აკეთებენ, სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე. სამწუხაროდ საქარ-

თეელოს ხელისუფლებამ (ძეელმაც და ახალმაც) ვერ გაითავისა, რომ იდეოლოგიური ბრძოლა ისევე დიდმნიშვნელოვანი და ზოგჯერ შეიძლება უფრო აღმატებულიც კი არის, ვიდრე სამხედრო-შეიარაღებული დაპირისპირება.

სწორედ ხელისუფლების მხრიდან გაუაზრებელი მოქმედების შედეგი შეიძლება იყოს ის, რაც თავს დაატეხეს საისტორიო მეცნიერებას ე.წ. „რეფორმების" შედეგად, როცა განსაკუთრებით დაარბიეს საისტორიო დარგის სამეცნიერო-კელევითი დაწესებულებები, ქუჩაში გარეკეს კვალიფიცირებული ისტორიკოსები...

მაგრამ როგორც ადრეულ ეპოქებში, ქართეელი ისტორიკოსები ქედს არ იტეხენ და აგრძელებენ ივანე ჯავახიშვილის და მისი უკვდავი საისტორიო სკოლის ტრადიციებს. ამაზე მიუთითებს ისტორიკოსების უფროსი თაობის მიერ მომზადებული და გამომცემლობა „პალიტრა L"-ის მიერ მეტად მდიდრულად და მრავალათასიანი ტირაჟით გამოცემული „საქართველოს ისტორია" (ოთხტომეული) აკად. მ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით. ნაშრომის ავტორები არიან ქართული საისტორიო მეცნიერების პატრიარქები: აკად. გ. მელიქიშვილი, აკად. ა. აფაქიძე, აკად. ო. ჯაფარიძე, აკად. დ. მუსხელიშვილი, აკად, რ. მეტრეველი, პროფესორები: ა. ბენდიანიშვილი, ნ. ასათიანი, მ. სამსონაძე, მ. ნათმელაძე და სხვ. ამ საყურადღებო გამოცემის ორგანიზება მიანიშნებს, რომ არ გაწყდა ტრადიცია – ქართეელი ერის კონსოლიდაციის განსაკუთრებულ ეტაპებზე ქართველი ისტორიკოსები მუდამ წერდნენ და მომავალშიც დაწერენ საქართველოს ერთიან ისტორიას.

ნაშრომი მასობრივად გავრცელდა და ის თითქმის ყეელა ქართულ ოჯახშია, რაც მიუთითებს, რომ ქართეელების ინტერესი მშობლიური ქვეყნის ისტორიისადმი ჯერ კიდევ ცოცხალია, ეს კი მოწმობს იმაზე, რომ ჯერ კიდევ უკვდავია ხსოვნა ქართველთა ისტორიული ერთიანობისა., ხოლო ამის შემდეგ ამ ერთობის განვითარებისა და განმტკიცების ძლიერი სურვილიც მოვა.

§ 11. – ერთიანი ქართული საგანმანათლებლო სივრცე

სოციალურეკონომიკურმა კრიზისმა ყეელაზე უფრო საქართველოში სკოლა დააზარალა. მასწავლებელი, რომელიც არც საბჭოთა პერიოდში იყო ყურადღების ცენტრში და მისი სოციალური პირობები მაშინაც ბევრად უკეთესი შეიძლება ყოფილიყო, სრულიად მარტო აღმოჩნდა უამრავ სოციალურ პრობლემასთან, რაც ახალი საქართველოს მშენებლობის პროცესმა ასე უხვად მოიტანა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ხელფასმა დაკარგა თავისი

დანიშნულება, სკოლიდან მასობრივად წავიდა მამაკაცი, რამაც სერიოზული პრობლემები შექმნა. სკოლა დარჩა პედაგოგი-ქალის ამარა. მას კი აშკარად გაუჭირდა საგანმანათლებლო პროცესის ნორმალურად წარმართვა.

ამას დაემატა ისიც, რომ უსახსრობის გამო სკოლები აღარ თბებოდა, არ იყო განათება, რეგულარულად არ იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები. სკოლაში არსებული ყველა ტრადიციული ინფრასტრუქტურა მოიშალა. საჭირო იყო ახალ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე ახალი სკოლის მშენებლობა.

ეს „მშენებლობა“ უდიდესი კრიზისის პირობებში დაიწყეს: 1995 წელს განათლებაზე გამოიყო მხოლოდ 8,9 მილიონი მანეთი. 1999 წელს 29,6 მილიონი მანეთი. შემდგომ წლებში საფინანსო კრიზისის გამო არა ერთხელ შეიკვეცა განათლებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო ხარჯების რაოდენობა. ხოლო ეს მცირე სახსრები უნდა ყოფნოდა 3201 სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას, 26 უმაღლეს სასწავლებელს, 71, 6 ათას პედაგოგს, 15 461 პროფესორ-მასწავლებელს. აქედან გამომდინარე არ არის გასაკვირი, რომ განათლების მუშაკთა საშაულო ხელფასი XX საუკუნის 90-იან წლებში 7 ლარი იყო. მომდევნო წლებში ხელფასმა საგრძნობლად იმატა, მაგრამ არა იმდენად, რომ შეეცვალა საქართველოს სკოლებისათვის მეტად დამახასიათებელი სენი – ქალების ჰეგემონია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. სტატისტიკური ცნობარები მიუთითებენ, რომ, საქართველოში 68 670 პედაგოგიდან (2012 წ.) 58 324 არის ქალი ე.ი. დაახლოებით 85 პროცენტი არის ქალი[30]. ეს სოციალური პრობლემაა – რადგან ქართული სკოლა შერეული ტიპისაა, გოგონები და ვაჟები ერთად სწავლობენ, ახალგაზრდა ყმაწვილს, განსაკუთრებით მისი პიროვნული ფორმირების გარკვეულ ეტაპზე სჭირდება „მამაკაცური“ აღზრდა, კაცის მაგალითი. რასაც ქართული სკოლა თითქმის მოკლებულია. თანამედროვე რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში, როცა ოჯახის დეზინტეგრაციული პროცესები ძლიერდება და რთული პიროვნული კოლიზიები იქმნება, ზოგ შემთხვევაში, არაპროგნოზირებად მორალურ-ფსიქოლოგიურ გარემო უკვე ოჯახში უამრავი პრობლემებით ტვირთავს ბავშვსაც. მოზარდი, ზოგჯერ აშკარად მშობლის მზრუნველობასა და სითბოს მოკლებული, გაღიზიანებული მოდის სკოლაში, ქალი პედაგოგი აშკარად ვეღარ ახერხებს მის ჩაყენებას ისეთ კალაპოტში, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლო ამოცანების მაღალ დონეზე შესრულებას.

მხოლოდ რადიკალური გარდაქმნები ამ სფეროში (მათ შორის, ხელფასის ისეთი მატება, რაც სკოლაში მამაკაცს დააბრუნებს) შეძლებს, ალბათ, დღეს საქართველოს სკოლაში არსებული ბევრი პრობლემის მოგვარებას.

ქართული სკოლა ძალიან დააზარალა ლომაია-შაშკინის ე.წ. „რეფორმებმა“. სამწუხარო ის იყო, რომ ამ პერიოდში საქართველოში სკოლას ხელ-

მძღვანელობდნენ: ქართული ენის საფუძვლიანად არმცოდნენი, ყოფილი პროკურორები, ყოფილი სასჯელაღსრულების საქმეთა მინისტრები და ა.შ.. მათ მიერ განხორციელებული ბევრი საგანმანათლებლო ნოვაციები მხოლოდ უარყოფითად წაადგა ქართულ სკოლას.

სკოლების რაოდენობა შემცირდა: თუ 1995 წელს საქართველოში 3 201 საშუალო სკოლა იყო, 2012 წელს მათი რაოდენობა 2084 გახდა. სკოლაში საგრძნობლად შეიცვალა მოსწავლეთა კონტინგენტი: თუ 1980 წელს საქართველოს ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობდა 962 200 მოსწავლე, 2012 წელს საქართველოს სკოლებში მისი ნახევარიც აღარ სწავლობდა – მოსწავლეთა რაოდენობა 506,7 ათასი იყო[31]. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი გარკვეულად არის საქართველოში შობადობის მკვეთრი შემცირება სწორედ გარდამავალ პერიოდში, რისი შედეგები უკვე 2012 წლისათვის საცნაური გახდა.

კიდევ უფრო ბევრი პრობლემა გაუჩნდა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემას გარდამავალ პერიოდში. საქართველოში არსებობს 21 სახელმწიფო და 108 კერძო უმაღლესი სასწავლებელი. 2006-2011 წლებში საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში განხორციელდა რეორგანიზაცია. ისევე როგორც სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ბევრი მათგანი აშკარად დაარბიეს, რექტორებად ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი კადრები დანიშნეს და მოახდინეს პროფესურის სელექცია, რომელიც მთლიანად ლოიალური იყო არსებულ რეჟიმთან. განსაკუთრებული გულმოდგინებით დაარბიეს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც ადგილი ჰქონდა პროფესურასთან ფიზიკურ ანგარიშსწორების ფაქტებსაც კი.

აშკარაა, რომ ასეთი რეორგანიზაციების მთავარი მიზანი იყო უმაღლესი განათლების სისტემიდან მთლიანად აღმოეფხვრა ეროვნული, ქართული საგანმანათლებლო ტრადიცია და ის ჩაენაცვლებინა ფსევდო დასავლური საგანმანათლებლო ღირებულებებით, არა ჭეშმარიტი და ნამდვილით, არამედ იმჟამინდელი ხელისუფლების გუნება-განწყობაზე მორგებულით.

2012 წლის შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებში, როგორც მეცნიერებაში, ისე საგანმანათლებლო სივრცეში ვითარება ძალიან ნელა იცვლება, აქედან გამომდინარე რადიკალური შედეგიც არ ჩანს.

თანამედროვე პირობებში უმაღლესი სკოლის მთავარი პრობლემაა – სტუდენტის სწავლისადმი გაუცხოვების ფაქტი, მაღალნაყოფიერი სწავლის მოტივაციის თითქმის არარსებობა. თანამედროვე აბიტურიენტი, მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და კომპიუტერიზაციის გამო, პოტენციურად მომზადებულია განათლებისათვის, მაგრამ მას აშკარად არა აქვს მოტივაცია სიბეჯითის, ნაყოფიერი შრომისა და მიზანსწრაფული

გარჯისათვის. ამის ერთ-ერთი პირობა საქართველოში წინა ათწლეულებში არსებული განათლების, განათლებული ადამიანის კულტის ტრადიციის შოშლაა. უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში (სახელმწიფოც და კერძოც) დღეს ფაქტობრივად სახელმწიფოს მოუწესრიგებელი სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებად არის გადაქცეული. უმუშევრობის დიდი პროცენტის არსებობის პირობებში, სახელმწიფო ამ ფორმით ცდილობს ახალგაზრდობის დატყირთვას, ორგანიზაციულ სტრუქტურაში ჩართვას. მაგრამ ეს იწვევს მეორე გარემოებას – სტუდენტებს შორის აღარ არის კონკურენცია (პირიქით, ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი ეღარ აკომპლექტებს ვაკანსიას), გადასასინჯია ე.წ. „ერთიანი ნაციონალური გამოცდები“-ს დღეს მიღებული ფორმა, კრიტიკას ვერ უძლებს აბიტურიენტის მიერ ასარჩევი პროფესიის რაოდენობის განსაზღვრის დღეს არსებული პრაქტიკა, რომლის ძალით ისტორიაზე შეყვარებული აბიტურიენტი შეიძლება მათემატიკის ფაკულტეტზე სტუდენტად მოგვევლინოს.

ერთი აშკარაა, დღეს სერიოზულად შეირყა ქართული საგანმანათლებლო სივრცე. რადგან ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემის ძირითადი მაგისტრალური ხაზი ბევრმა მოძველებულად ჩათვალა, ამიტომაც იყო საშუალო სკოლიდან გარკვეულ პერიოდში განდევნეს ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, იყო პროგრამებიდან ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ამოღების მცდელობა, სპეციალისტებს სერიოზული შეკითხვები აქვთ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით, რაც სასურველია ბევრად უკეთესი იყოს. სამწუხაროა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური (თუ იდეოლოგიური) მოსაზრებით პროგრამებიდან ამოღებულია ისეთი ნაწარმოებები, რომელთა შესწავლა აუცილებელია. პროპაგანდა ეწევა მთლიანად დასავლური საგანმანათლებლო გამოცდილების უპალეციოდ გადმოღებას: იქმნება უამრავი ქართულ-ამერიკული, ქართულ-ბრიტანული, ქართულ-ფრანგული სკოლები. განათლების სისტემის ბევრმა ხელმძღვანელმა დაიწყო, რომ ქართველი მხოლოდ ილიასა და აკაკის, რუსთაველისა და თამარის, დავით აღმაშენებლისა და ერეკლე II ტრადიციებზე უნდა აღვზარდოთ და სწორედ ამან უნდა შეავსოს ძირითადად საგანმანათლებლო სივრცის ის ნაწილი, რომელიც აყალიბებს მოქალაქეს და მამულიშვილს.

თუ ქართული სკოლა დაიღუპება, შეფერხდება ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, სერიოზულად მოინგრევა ეროვნული ფუძე-ძირი.

1995 წლის კონსტიტუციამ ქართული ენა კვლავ სახელმწიფო ენად აღიარა. მაგრამ ეს განხორციელდა მხოლოდ დეკლარირების საფუძველზე. ეკონომიკურად დამცრობილ ქვეყანას არ შეეძლო ქართული ენის განვითარების სერიოზული პროგრამების დაფინანსება. თუმცა იმჟამად სახელმწიფოს სამთავრობო სტრუქტურებთან არსებობდა ენის სახელმწიფო პალატა, რომლის მიზანი იყო ქართული ენის დადგენილი ნორმების დაცვა, ქართული ენის კონსტიტუციურად მინიჭებული უფლებების რეალიზაციის პროცესისადმი მონიტორინგი, საქართველოს არაქართველ მოსახლეობაში ქართული ენის შესწავლის დონის ასამაღლებლად რეკომენდაციების გამომუშავება და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, ქართული ენის უფლებების დაცვის მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მეცნიერული თვალსაზრისით ამ საქმეს შეძლებისამებრ ახორციელებენ ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტების კოლექტივები, რომლებმაც დარბევის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნეს გარკვეული სამეცნიერო პოტენციალი და ინტენსიურად მუშაობენ ქართული ენის, ქართული ლიტერატურის საჭირბოროტო საკითხებზე.

მაგრამ გლობალიზაციის პროცესები, საქართველოში ინგლისურენოვანი ფონის მომძლავრება, ქართული მასმედიის რიცხობრივი და საკადრო რაოდენობის მკვეთრი ზრდა, ყოველთვის დადებითად არ მოქმედებს ქართველთა სამეტყველო კულტურაზე, ქართული ენის დაკანონებული ნორმები ხშირად ირღვევა. სატელევიზიო ეთერში აშკარად შეინიშნა ქართული სამეტყველო ენის ტრადიციული სულისკვეთება – ზედმეტად გადაიტვირთა ჟარგონით, ბარბარიზმებით, ბილწსიტყვაობით. ტელესივრციდან საერთოდ გაქრა ქართული ლიტერატურის კლასიკის კითხვის ტრადიცია, ნაკლებად აჩვენებენ ქართული თეატრის სპექტაკლებს, ქართულ კინოფილმებს.

ქართული ენა – ქრთველი ერის იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მარკერი და მისი არსებობის ძარღვია. მისი დამახინჯება და დისკრიდიტაცია – ქართველი ერის დაიმახინჯება და დისკრედიტაციაა – ეს უნდა ესმოდეს საქართველოს ყველა ხელისუფალს და არსებული ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

ილია ჭავჭავაძე. როგორც აღვნიშნეთ, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ერის კონსოლიდაციის საქმეში ქართულ თეატრს, მის რეპერტუარს, ქართულ დრამატურგიას. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ ისიც, რომ ურთულეს სიტუაციაშიც კი ახერხებდა ქართული თეატრი ქართულ ენაზე ქართველი მაყურებლისთვის ეთქვა ქართველი ერის საჭირბოროტო პრობლემების შესახებ. ჩვენ სათანადო ადგილზე ისიც აღვნიშნეთ, თუ როგორ აღორძინდა, გაძლიერდა და მსოფლიო აღიარება მოიპოვა ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ, ქართულმა რეჟისურამ, აქტიორულმა ოსტატობამ. ყველა ცარაუდობდა, რომ დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოში შეიქმნებოდა საუკეთესო პირობები სწორედ ქართული თეატრის შემდგომი განვითარებისათვის.

გარდამავალ პერიოდში ეს მოლოდინები არ გამართლდა. რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ სერიოზულად დააზიანა ქართული პროფესიული თეატრი. პირველ რიგში მისი განაყოფი – პროვინციული თეატრალური კოლექტივები. უსინათლობა, გაყინული დარბაზები, მატერიალური რესურსების არარსებობა, აქტიორების მიზერული ხელფასები – ერთი მხრივ, და ქართველი მაყურებლის მოძალებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თეატრში სიარულის ტრადიციის მოშლა, მეორე მხრივ, სერიოზულად აფერხებდა თეატრისა და მაყურებლის კავშირს. ქვეყნის მწვავე სოციალური პრობლემები აისახა ქართულ თეატრზეც.

სახელმწიფომ შეძლო და ძირითადად შეინარჩუნა თეატრების საერთო რაოდენობა – საქართველოში 2012 წელს 44 თეატრალური კოლექტივი განაგრძობდა ფუნქციონირებას, იდგმებოდა სპექტაკლები, თეტრში მოვიდა ახალი თაობა, განახლდა რეპერტუარიც, მაგრამ თეატრმა დაკარგა მაყურებელი: თუ 1976 წელს საქართველოში თეატრებში სპექტაკლი ნახა 3 მილიონ 196 ათასმა მაყურებელმა, 1912 წელს სპექტაკლებს სულ დაესწრო 353,7 ათასი მაყურებელი[32].

ქართული თეატრი ბოლომდე იბრძვის მაყურებლისთვის, იმისთვის, რომ უმძიმეს სოციალურ პირობებში ბოლომდე არ ჩაკვდეს რიგითი ქართველის ხალისი და ოპტიმისტური განწყობა, მომავლის იმედი, საბრძოლო შემართება. საზოგადოებაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა იუმორისტული სპექტაკლების სერია: „მღერიან და იცინიან თეატრისა და კინოს მსახიობები", რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ქართული თეატრალური ბომონდი. ქართველმა მსახიობებმა მოახერხეს სამოქალაქო ომისა და ომის შემდგომ უმძიმეს წლებში ქართველი მაყურებლის გულის მოგება, ოპტიმიზმის ჩანერგვა, სულიერი განმტკიცება...

ამ წლებში ქართული თეატრი კვლავ მეცნიერების ამარა დარჩა: სახელმწიფოს არც დოტაციის შესაძლებლობა, არც თეატრის გათბობის და არც მსახიობისათვის ღირსეული ანაზღაურების მიცემის საშუალება არა ჰქონდა. უნდა აღინიშნოს: ბიძინა ივანიშვილის, გია ჯოხთაბერიძის, ბადრი პატარკაციშვილის, მამუკა ხაზარაძის და სხვა ქველმოქმედების ღვაწლი – მათ გადაარჩინეს არა მარტო თეატრის რეჟისორები და მსახიობები, მათ შეინარჩუნეს თეატრების უნიკალური არქიტექტურული ნაგებობებიც.

ეპოქამ, რა თქმა უნდა, თავისი დაღი დაასვა ქართულ თეატრს: უკვე აღარ იდგმებოდა ქართულ სცენაზე დიდი საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე სპექტაკლები, მსგავსი იმისა, რასაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 70-80-იან წლებში და რითიც საქართველომ მთელი თეატრალური სამყარო აალაპარაკა. პირიქით – მოხდა ისე, შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ქართული თეატრიდან გააგდეს ლეგენდარული რეჟისორი რობერტ სტურუა...

ყველაფრის მიუხედავად ქართული თეატრი მაინც გადარჩა, რასაც ვერ ეიტყვი ქართულ კინოზე.

§ 14. – ლეგენდარული ქართული კინო

ყველაზე დიდი და გამოუსწორებელი დარტყმა განიცადა ქართულმა კინომ – მან დაკარგა მთავარი სპონსორი – სახელმწიფო, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ახალი საქართველოს მშენებლობა ისეთი ნელი ტემპით მიდიოდა წინ, რომ სახელმწიფოს მხოლოდ საქართველოს კინო-ინდუსტრიის პერსონალის მიზერული ხელფასით უზრუნველყოფა შეეძლო, ისიც მკვეთრად შემცირებული რაოდენობით. ქართულმა კინომ ვერც რეალური სპონსორი ვერ იშოვა – საქართველოში კომერციული კინოს ტრადიციები საერთოდ არ არსებობდა, ქართული „ელიტარული" კინო მხოლოდ ელიტარულ, მოაზროვნე მაყურებელზე იყო გათვლილი და მას განსაკუთრებული კომერციული წარმატებები არასოდეს ჰქონია.

გაუსაძლისმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა საქართველოში კინოს საერთოდ დაუკარგა მაყურებელი – ადამიანებს კინოს ბილეთის შეძენაც კი აღარ შეეძლოთ. მასიურად დაიხურა კინოთეატრები – ისინი სასწრაფოდ ან გაყიდეს, ან დაანგრიეს. თუ 1976 წელს საქართველოში 1978 კინოდანადგარი იყო, ხოლო ყოველწლიურად კინო-სეანსებს ესწრებოდა 60 მილიონი მაყურებელი, 1913 წლის საქართველოს სტატისტიკურ წელიწდეულში – კინო და მისი მაყურებელი საერთოდ ამოღებულია სტატისტიკური ჩამონათვალის ნუსხიდან...

თბილისში, სადაც ასეულობით კინოთეატრი იყო, დღეს 2-3 კინოთეატრი თუ სულდგმულობს. ასევეა მთელი საქართველოს მასშტაბით, სოფლების დიდ უმრავლესობაში, სადაც მუდამ ადგილობრივ კლუბებთან არსებობდა კინო-დანადგარი, დღეს აღარც კლუბია და აღარც კინო-დანადგარი.

უკვე დიდი ხანია საერთაშორისო კინოფესტივალებზეც აღარაფერი თქმულა „ქართული კინოს ფენომენის" შესახებ.

§ 15. – ქართული ხელოვნება

ქვეყანაში შექმნილი ვითარება აპირობებდა ხელოვნების მთელი რიგი დარგის, რომელიც ადრე განსაკუთრებით დაწინაურებული და გამორჩეული იყო კრიზისს. საქართველოში ძალიან პოპულარული იყო სამუსიკო ხელოვნება. მისი საფუძველი იყო, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მეტად განტოტვილი სამუსიკო სკოლების ქსელი რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონში: ბავშვებისათვის მუსიკის შესწავლა – ეს ქართული ოჯახის აკვიატებული იდეა იყო. აქედან გამომდინარე ხდებოდა ჩინებული ნიჭიერი, მაღალი საშემსრულებლო მონაცემების მქონე ახალგაზრდების სელექცია. საქართველოში აღზრდილი მუსიკოს-შემსრულებლები მსოფლიო აღიარებას იხვეჭდნენ. ეს ტრადიცია ბოლო წლებში მკვეთრად გაფერმკრთალდა, ამის მიზეზი სამუსიკო განათლების ტრადიციული სისტემის მოშლაა...

კრიზისმა მოიცვა ხელოვნების ბევრი სხვა დარგიც, მათ შორის განსაკუთრებით არქიტექტურა. თუ XX საუკუნის 30-50-იან წლებში არქიტექტურაში ცდილობდნენ ქართული არქიტექტურის ტრადიციების დაცვას და გამრავლებას, თანამედროვე ქართული არქიტექტურა, ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობის გამო, სერიოზულ კრიზისშია. გარკვეულ პერიოდში უპირატესობა ენიჭებოდა დასავლეთ ევროპელი არქიტექტორების ნამუშევრებს, მათ საეჭვო გემოვნებით შესრულებულ პროექტებს დიდი რუდუნებით აშენებდნენ თბილისის პრესტიჟულ რაიონებში, რითიც საოცრად დააზიანებდნენ ქალაქის იერსახეს. მ. სააკაშვილის პირადი გემოვნება ჩაითვალა ეტალონად და თბილისში ქუთაისში, ბათუმში მისი დაკვეთით რეალიზებული არქიტექტურული პროექტები უფრო იტალიური ან ესპანურია, ვიდრე ქართული.

სერიოზულმა კრიზისმა მოიცვა ქართული სამუსიკო ფოლკლორი, ქორეოგრაფია. მისი საფუძველი მუდამ იყო ადგილობრივი კულტურის სასახლეები და კლუბები, რაც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნების შემდეგ პატრონის გარეშე დარჩა და მათ არსებობა შეწყვიტეს.

მაგრამ გენიალური ქართული ცეკვისა და ხალხური სიმღერის გადარჩენა თავის ხელში აიღეს ქართველმა მეცნიერებმა, გამოჩნდნენ საზღვარგარეთელი ინვესტორები, რომლებმაც კვლავ შორს გაიტანეს „ქართული ლეგენდის“ სახელი.

§ 16. – ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ძველი

ქართული წიგნის ნავსაყუდელი – ბიბლიოთეკა ასევე დაზარალდა სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმების შედეგად. სახელმწიფომ მკვეთრად შეამცირა მისი ფინანსირება, რამაც ბიბლიოთეკების რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია – თუ 1990 წელს საქართველოში 4190 ბიბლიოთეკა იყო, 1999 წელს – 2480, შემდგომ წლებში ბიბლიოთეკების საერთო რაოდენობა, მკითხველების მიერ ბიბლიოთეკებით სარგებლობის ინტენსიობაც მკვეთრად შემცირდა. სახელმწიფო ბიუჯეტი კი ვეღარ აუდიოდა და ამიტომაც აღარც აფინანსებდა ბიბლიოთეკებისათვის ახალი წიგნების შეძენას, მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს. კულტურული ცხოვრების ეს სფერო მთლიანად ქველმოქმედების ზრუნვის ქვეშ მოექცა.

ასეთ ვითარებაში მაინც გამორჩეული იყო პარლამენტის ბიბლიოთეკა, რომელმაც მხოლოდ სპონსორების აქტიური დახმარებით მოახერხა კვლავ დაებრუნებინა ძველი რეპუტაცია და გამხდარიყო ქართული ინტელექტუალური აზროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი ცენტრი.

სამწუხაროდ, საქართველოს პერიფერიებში არსებული ბიბლიოთეკები, მათი წიგნადი ფონდი, მკითხველებთან ურთიერთობის საკითხები თანამედროვე პირობებში ჯობია რომ ბევრად უკეთესი იყოს.

უფრო დამაკმაყოფილებელია მდგომარეობა სახელმწიფო მუზეუმების, მოხდა მათი კონცენტრაცია, ცენრალიზება. თბილისის სახელმწიფო ეროვნული მუზეუმი რამდენიმე ცნობილ მუზეუმს აერთიანებს და საქართველოში ამ მიმართულების მთავარი სამეცნიერო ცენტრია. საქართველოში ტურისტული ნაკადების გამრავლებასთან ერთად საქართველოს მუზეუმების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. აქაც უდიდესია ქართველი მეცნიერების როლი, რომლებმაც დააფინანსეს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე სამუზეუმო საქმის ორგანიზება.

ახალი საქართველოს ყველაზე დიდი მონაპოვარი – ეს ქართული მასმედიაა, რომელიც, რაც დრო გადის, იზრდება, ვითარდება და სულ უფრო მეტ ავტორიტეტს იხვეჭს საზოგადოებაში. დამოუკიდებელი ჟურნალისტიკა გახდა თანამედროვე საქართველოს მთავარი მიღწევა. ეს უფლება ქართველმა ჟურნალისტებმა ხელისუფლებასთან მრავალი წლის უკომპრომისო ბრძოლით მოიპოვეს. ზოგჯერ იყო სერიოზული გართულებაც, ზეწოლისა თუ თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის ფაქტები, 2007 წელს მოხდა ტელეკომპანიების "იმედის", „იბერიის" ბარბაროსული დარბევა და ჟურნალისტებზე ძალადობრივი ზემოქმედება, იყო სხვა დრამატული ფაქტებიც.

საქართველოში საკმაოდ პოპულარულია გაზეთები: „რეზონანსი", „ახალი თაობა", „ალია", „კვირის პალიტრა", „ასავალ-დასავალი" და ბევრი სხვა. საქართველოში გამოცემული გაზეთების რიცხვი 2012 წელს 301-მდე ავიდა. ხოლო საერთო ტირაჟმა 57 მილიონს გადააჭარბა.

დღეს საქართველოში ჟურნალისტების უზარმაზარი არმიაა. ისინი, ძირითადად ობიექტურად აშუქებენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, არ ეპუებიან ავტორიტეტს, ხელისუფლებას და ავლენენ ნაკლს, გადაცდომას, დანაშაულს. მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს საკუთარი ძალების გადაფასებას, მცდელობას იყვნენ ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტება, შეუცდომლები, დადგნენ კრიტიკის ჩარჩოს მიღმა...

რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის, ქართულ ჟურნალისტიკას დღეს ბევრი პრობლემა აქვს და მათ შორის უპირველესი – პროფესიონალიზმი, ცოდნა და პირველ რიგში მშობლიური ენის, ქართული ენის ღრმა ცოდნაა, რომ არ დაანაგვიანონ ეთერი და არ შებღალონ ჩვენი ენა ქართული...

უდიდესია ერის ერთიანობისა და კონსოლიდაციის მიღწევის საქმეში ელექტრული მასმედიის როლი. მოსახლეობაში განსაკუთრებით პოპულარული არიან ტელეარხები: „კავკასია", „მაესტრო", „იმედი" და სხვები. განვითარდა და მტკიცედ დამკვიდრდა სამაუწყებლო სირცეში რეგიონალური ტელევიზიებიც, რომელიც უდიდეს მუშაობას ეწევა მართალი სიტყვის დაცვის და ქვეყანაში უკანონობის აღმოფხვრის თვალსაზრისით.

§ 18. – პრობლემური გამოწვევები

დამოუკიდებელ საქართველოში ძალიან ბევრი მოსალოდნელი და მოულოდნელი პრობლემა გამოვლინდა, რომლებიც თითოეული ცალ-ცალკე

და ყველა ერთად ზოგჯერ სერიოზულ საფრთხეებს უქმნიდა და მომავალშიც შეუქმნის ახალგაზრდა სახელმწიფოს და თანაც, უკვე იგრძნობა, რომ ეს პრობლემები ზეგავლენას ახდენენ (ზოგჯერ აშკარად უარყოფითს) ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესზე.

მათ შორის განსაკუთრებით პრობლემურია რამდენიმე:

სეპარაციის შესაძლო რეციდივები. მაგალითად მოვიყვანოთ აჭარის შემთხვევას. ზ. გამსახურდიამ, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი მიზეზებით, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ რეკომენდაცია გაუწია მემედ აბაშიძის შვილიშვილს, თბილისში სხვადასხვა თანამდებობაზე მომუშავე, კომუნისტ ასლან აბაშიძეს – საკმაოდ ენერგიულ და მიზანსწრაფ პიროვნებას. სამოქალაქო დაპირისპირებისა და პოლიტიკური ქაოსის ვითარებაში მან მოახერხა და თავისი მშობლიური რეგიონი – აჭარა, გარკვეული აზრით, „ოაზისად“ აქცია სამოქალაქო ომის დრამატული შედეგებით შეჭირვებულ საქართველოში. ე. შევარდნაძის მმართველობის მთელ პერიოდში ა. აბაშიძე ახერხებდა გაეტარებინა საკუთარი პოლიტიკა, რაც ფაქტობრივად თბილისის მიმართ გარკვეულ დისტანცირებას უზრუნველყოფდა: ის ცდილობდა შეენარჩუნებინა კონტროლი ბათუმის საბაჟოზე, არ რიცხავდა კუთნილ თანხებს ცენტრალურ ბიუჯეტში, ეწეოდა ლავირებას ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მომხრეებს შორის, საკმაოდ ენერგიულად აყალიბებდა რეგიონში ავტორიტარული რეჟიმის კონტურებს.

საქართველოს სხვა რეგიონებში განვითარებული მოვლენების ფონზე, როცა აფხაზეთში, შიდა ქართლში ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ თბილისს, ე. შევარდნაძის მთავრობა თვალს ხუჭავდა და იტანდა ა. აბაშიძის მცდელობას შეექმნა აჭარისაგან რაღაც შუასაუკუნეობრივი სამთავროს მსგავსი პოლიტიკური წარმონაქმნი (შეიძლება ითქვას, რომ ა. აბაშიძემ თავისი მმართველობის დასასრულისათვის ამ მიზანს აშკარად მიაღწია). ჩვენ ვეთანხმებით, რომ ა. აბაშიძე ცხოვრებაში ატარებდა თავისი პაპის, მ. აბაშიძის მიერ აჭარის „ავტონომიზაციის“ ჩამოყალიბებულ გეგმას, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და რომელიც ერთხმად დაგმო ქართველმა ინტელიგენციამ.

გარკვეული პერიოდიდან ა. აბაშიძემ ჩამოაყალიბა პოლიტიკური ორგანიზაცია „აღორძინება“, რომელსაც რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის თბილისშიც, საკუთარი, საკმაოდ გავლენიანი, წარმომადგენლობა ჰქონდა. ეს პოლიტიკური ორგანიზაცია სისტემატურად მონაწილეობდა საპარლამენტო არჩევნებში, ძლიერი და ენერგიული ფრაქციაც ჰქონდა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში და არა ერთხელ შეუქმნა სერიოზული პრობლემები ცენტრალურ ხელისუფლებას სხვადასხვა საკითხის განხილვის დროს.

რაც დრო გადიოდა, ა. აბაშიძის ავტორიტარული რეჟიმი უფრო და უფრო ცდილობდა თბილისისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინა: იქნებოდა ეს რუსეთთან ურთიერთობა, აჭარის რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფორმირების საკითხის ლობირება თუ ადგილობრივი მატერიალური რესურსების განკარგვის საკითხი.

ისარგებლა რა აჭარის გეოსტრატეგიული მნიშვნელობით და სარფის საბაჟოს განსაკუთრებული ფინანსური შესაძლებლობებით, „აჭარის ლიდერმა“ თავის ხელში აკუმულირება გაუკეთა რეგიონში არსებულ მთელ ფინანსურ რესურსს და მას თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ა. აბაშიძე დიდი ქველმოქმედებითაც გამოირჩეოდა და იმ მძიმე წლებში მეცნიერობას უწევდა ქართული კულტურის, მატერიალურად უაღრესად შეჭირვებულ, მოღვაწეებს.

რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია, მან შეძლო და აჭარაში ადგილობრივი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილიც მიიმხრო და ინტენსიურად ამუშავა, რომ მათ თეორიულად დაესაბუთებინათ აჭარის ავტონომიის არსებობისა და შემდგომი გაძლიერების, ცენტრისაგან დისტანცირების აბაშიძისეული პრაქტიკა. ანგაჟირებული მეცნიერები წერდნენ ნაშრომებს, რომლებშიც „ასაბუთებდნენ“, რომ აჭარის ავტონომია ისევე აუცილებელი და მარადიული კატეგორიაა, როგორც ესპანეთში – ბასკებისა და კატალონიის, გერმანიაში – ბავარიისა და საქსონიის, რუსეთში – თათრეთისა და უდმურტეთის. ისინი არ იზიარებდნენ მოსაზრებას, რომ აჭარის ავტონომია: „იყო კონკრეტულ ისტორიულ პირობებში რეალიზებული გარდამავალი მოდელი, რამაც თავისი ისტორიული მისია შეასრულა“[33].

2004 წლის მაისში, საქართველოს ახალ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან მკვეთრი დაპირისპირების გამო, აჭარისა და მთელი საქართველოს მოსახლეობის სურვილის შესაბამისად, ა. აბაშიძე თანამდებობიდან გადადგა და მოსკოვში გაემგზავრა.

აჭარაში ჩატარადა დემოკრატიული არჩევნები და სეპარატიზმის რეციდივები აჭარაში თითქოს აღმოიფხვრა. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ორგანიზაცია „აღორძინება“, ტრადიციისამებრ, საერთოდ გაქრა პოლიტიკური სარბიელიდან და არავინ არ აღმოჩნდა მისი საქმიანობის გამგრძელებელი.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს თურქეთში გარკვეული ფინანსური და სამეცნიერო წრეები (მათ შესახებაც გვქონდა საუბარი ზემოთ) აჭარას კვლავ განიხილავენ საკუთარ პოლიტიკურ არეალში და მათთვის ის კვლავაც რუსეთის იმპერიის მიერ ძალით წართმეული რეგიონია. ამიტომაც საქართველოს ხელისუფლების მხრივ უდიდესი სიფრთხილის დაცვაა

საჭირო რეგიონში ცენტრის მიერ კონკრეტული პოლიტიკის შემუშავების დროს.

აქვე უნდა გავიხსენოთ ზემოთ უკვე განხილული „აფხაზურ-მეგრული“ სახელმწიფოს ფორმირების საკითხი, რომელმაც XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გარკვეული საფიქრელი გაუჩინა საქართველოს სახელმწიფოს და ქართველ ინტელიგენციას.

ეს მაგალითები ამკარად მიუთითებენ, რომ საჭირო დროსა და საჭირო შემთხვევაში, შინაგანი თუ გარეშე მიზეზების შედეგად, საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლების წინაშე შეიძლება დადგეს სეპარატიზმის სერიოზული პრობლემა, რაც ცენტრალური ხელისუფლების სწრაფ რეაგირებასა და მის გადაწყვეტას მოითხოვს. სამწუხაროდ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების რეაქცია ასეთ ფაქტორებზე, ზოგჯერ დაგვიანებული, ან ხშირად ლოიალური იყო და არის ხოლმე.

სახელმწიფოს მხრიდან ასეთმა ორჭოფულმა, შემრიგებლურმა დამოკიდებულებამ საქართველოს ერთიანობის პრობლემის მიმართ ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილში, რომელიც ა. აბაშიძის ინცინდენტის გამეორებას უფრთხოდნენ საქართველოს სხვა რეგიონებსა და ოლქებში, გააჩინა მეორე უკიდურესობა – მათ დაიწყეს იმის მტკიცება, რომ მეგრული და სვანური ენები არის დიალექტები და არა ენები. მათ ამ აქტივობას ბიძგი მისცა ევროპაში მცირე ერებისა და ენების მიმართ დაწყებულმა თანადგომის მოძრაობამ, რაც ითვალისწინებდა ასეთი მცირე ენების დაცვას, მათთვის განვითარების, არსებობის, მათი ფუნქციური დატვირთის გამრავალფეროვნებისათვის პირობების შექმნას. ამ მოძრაობის გადმონერგვა ქართულ სინამდვილეში ნიშნავდა მეგრული და სვანური დამწერლობის კულტივირებას, ამ ენებზე ლიტერატურის შექმნა- განვითარებას, სკოლების გახსნას, მასმედიის საშუალებების, ტელეგადაცემების ორგანიზებას და ა.შ.

ეს პროცესი კი აშკარად დაშლის პირას მიიყვანს ერთიან საქართველოს. ჩვენ წინა თავებში ვნახეთ, როგორ იბრძოდა ქართველი ინტელიგენცია ამ ფორმით ერთიანი საქართველოს დაშლის წინააღმდეგ XX საუკუნის დასაწყისში. **ენობრივი სეპარაციის განვითარების საფრთხე – სერიოზული საფრთხეა.**

ქართველი ერის ეთნოგრაფიულ, ენობრივ განსხვავებებს ჩინებულად იყენებენ საქართველოს პოლიტიკური თუ იდეოლოგიური მტრები. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მიმართ მტრულად განწყობილი სახელმწიფოების სპეცსამსახურების დავალებით რიგი მეცნიერი-ისტორიკოსი აქტიურად ეწევა და მომავალშიც გააგრძელებს პროპაგანდას მეგრელების, სვანების, აჭარლების, თუშების არა ქრთველობის შესახებ და უწინასწარმეტყველებენ საქართველოს ახლო მომავალში დაშლას (მხედველობაში

გვაქვს: ა. შიროკორადის, ა. ეპიფანცევის, მ. იუნგეს და სხვათა ნაშრომები და გამოკვლევები[34]).

საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეების მიხედვით დაშლის სურვილი – რუსეთის იმპერიული მიზანდასახულობაა. სამწუხაროა ის, რომ ახალ ვითარებაში ასეთი ანტიქართული ტენდენციის მატარებლები გახდა რიგი დასავლეთ ევროპელი (მაგალითად, გერმანელი, ფრანგი) მეცნიერი, რომლებიც ფაქტობრივად მხარში ამოუდგნენ რუს, აფხაზ, ოს ისტორიკოსებს და საქართველოს ისტორიის საკუთარი, ანტიქართული ინტერპრეტაციაც შემოგვთავაზეს.

ქართველმა მეცნიერებმა (აკად. მ. ლორთქიფანიძემ, დ, მუსხელიშვილმა, რ. მეტრეველმა, პროფ. ა. ბენდიანიშვილმა, ზ. პაპასკირმა და სხვებმა) არგუმენტირებული პასუხი გასცეს მსგავს ინსინუაციებს და დაიცვეს საქართველოსა და ქართველების ერთიანობა, რაც მთავარია **მათ დაიცვეს ერთიანი ქართული სამეტყველო სივრცე.**

სერიოზულ გადასაწყვეტ პრობლემად გადაიქცა სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მაჰმადიანი მოსახლეობის უკან დაბრუნების პრობლემა. ეს კი უკვე აღარ არის მხოლოდ თეორიული მსჯელობის საკითხი. ის კონკრეტული შესასრულებელი ამოცანა გახდა: საქართველოს ხელისუფლებამ ხელი მოაწერა ევროსტრუქტურებთან მათი სამშობლოში დაბრუნების ვალდებულებას და მისგან უკვე აშკარად ითხოვენ ამ მუშაობის კონკრეტულ შედეგებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ საკითხში საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა სერიოზული შეცდომა – 1944 წელს სქართველოდან შუა აზიაში გასახლებული მოსახლეობის საკითხი უნისონშია იმ დემოგრაფიულ საკითხებთან, რაც გამარჯვებულის პოზიციებიდან გადაწყვიტა „დიდმა სამეულმა" II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ვვარაუდობ, რომ ეს პრობლემა მჭიდროდ უნდა დაკავშირებულიყო ჩეხოსლოვაკიიდან (სუდეტების ოლქიდან) და პოლონეთიდან (დანცინგი, პომერანია, აღმოსავლეთ პრუსია) გერმანელების უზარმაზარი მასის აყრა-გადასახლების პრობლემასთან და ის მხოლოდ მასთან მჭიდრო კავშირში უნდა გადაწყვეტილიყო, რადგან, ჩვენი აზრით, ამ პრობლემებს წარმომავლობის საერთო ძირები აქვთ.

საქართველოს ხელისუფლებამ კი ცალმხრივად იკისრა ამ კონტინგენტის სამშობლოში დაბრუნების ვალდებულება, ეს მაშინ, როცა ეს სადავო ტერიტორიები და რაიონები უკვე ათვისებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩასახლებულების მიერ და ძველი მოსახლეობის იქ შემობრუნება უკვე ახალ კანონდარღვევებთან, უსამართლობის ახალ ფაქტებთან იქნება დაკავშირებული.მართალია, სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილია სპეციალური სტრუქტურა ამ პრობლემების გადასაჭრელად და გარ-

კვეული გეგმებიც არსეობს მის აღსასრულებლად, მაგრამ გადასახლებული მოსახლეობის დიდი უმეტესობა თავის თავს დღეს უკვე თურქად მიიჩნევს და მოითხოვს თურქეთის საზღვართან ჩასახლებას, საიდანაც იყვნენ ისინი დეპორტირებულნი. მათი ეს კატეგორიული განცხადება სერიოზულად ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და საჭიროა დიდი მუშაობა, რომ ეს ურთულესი პრობლემა მოგვარდეს.

ქართველი მეცნიერები შეძლებისამებრ ცდილობენ ამ ურთულესი საკითხის შესწავლას, აყალიბებენ მიგრანტების ქართულ ყოფით გარემოში ადაფტაციის კონკრეტულ სქემებს და ვარიანტებს[35]. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

საქართველოსთვის სერიოზული გამოწვევაა ქვეყანაში პოლიკონფესიურობის კულტივირება, რაც ბოლო ათწლეულებში საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს. სინდისის თავისუფლების საკონსტიტუციო მუხლი და ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების მსოფლიოში მიღებული ნორმები გულისხმობს ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობის პროპაგანდის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე საქართველოში ბევრი ისეთი კონფესია აღორძინდა და გაძლიერდა, რომლებიც ადრე ქართველების ერთიანობას საფრთხეს არ უქმნიდა. ძლიერი მატერიალური რესურსების საფუძველზე სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს რომის კათოლიკური ეკლესიის მისია, ქართველი კათოლიკეების რაოდენობა გაიზარდა, გაიზარდა კათოლიკური ტაძრების რიცხვიც.

განსაკუთრებით ძლიერია მაჰმადიანური რელიგიის წარმომადგენლობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. აჭარაში, სადაც თითქმის აღარ იყო არც ერთი მეჩეთი, დღეს მათი რიცხვი საკმაოდ ბევრია. არის საუბარი ცნობილი მეჩეთის – „აზიზიეს" აღდგენის შესახებ. ეს მეჩეთი კი XX საუკუნის 20-იან წლებში ანტიქართული ტენდენციების გაძლიერების, აჭარის თურქეთთან შეერთების, პანთურქული იდეოლოგიის გავრცელების მნიშვნელოვანი ფორპოსტი იყო.

ბოლო წლებში გახშირდა რელიგიური საკითხების გარშემო ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების დაპირისპირებებიც, დაფიქსირდა ამ დაპირისპირების მახინჯი ფორმების გამოვლენაც.

ჯერჯერობით არ აღორძინებულა და აქედან გამომდინარე, არც პრობლემები ჩანს ქართველ გრიგორიანელებთან დაკავშირებით.

მაგრამ პრობლემურია, და ამას ბევრი ქართველი ექსპერტი აღიარებს საქართველოში არატრადიციული რელიგიური მიმართულებების: იაღოველების. კრიშნაიტების, ვაჰაბიტებისა და სხვების მოღვაწეობა. მაგალითად,იეღოველების მოღვაწეობა საფრთხეს უქმნის ქართველთა ერთიანობას – მი-

სი დოგმატიკა ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივია. ამ მოძღვრების ჭეშმარიტი აღიარება, ნიშნავს საბოლოოდ გამოეთიშო შენი ერის ერთიან სხეულს. სათაყვანებლად აირჩიო ის პრინციპები, რომელსაც საქართველოსთან და ქართველობასთან საერთო არაფერი აქვს. ამიტომაც დიდი სიფრთხილეა საჭირო არატრადიციული რელიგიური აღმსარებლობის კულტივირებასთან დაკავშირებით. ჩვენ წინააღმდეგი ვართ რომელიმე რელიგიური მიმართულების ადმინისტრაციული წესით აკრძალვის ან მასზე რაიმე ფორმის ზეწოლის, მაგრამ ეროვნული თვალსაზრისით ქართველობისა და მამულიშვილობის დაცვა იდეოლოგიურ ფრონტზე – საქართველოს ინტელიგენციის აუცილებელ მოვალეობად და მის უპირველეს უფლებად მიგვაჩნია.

ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს თანამედროვე პირობებში სერიოზულად აფერხებს ქვეყანაში შექმნილი და **მკვეთრად მზარდი სოციალური დიფერენციაციაც**. ჩვენ წინა თავებში აღვნიშნეთ, რომ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს უაღრესად ჭრელმა სოციალურმა სტრუქტურამ, სიღატაკემ და გაჭირვებამ, უზრუნველყო ქვეყანაში მემარცხენე იდეოლოგიის – სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გამარჯვება.

დღეს საქართველოში მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია აშკარად სახეზეა. სიღატაკის ზღვარს მიღმა საქართველოში ასობით ათასი მოსახლე ცხოვრობს, თვალსაჩინოა მოსახლეობის პაუპერიზაციის პროცესი – მათხოვრების, უსახლკარო ბავშვების სულ უფრო მზარდი რაოდენობა, „ნაგავში მომუშაეთა“ (კომუნისტურ ეპოქაში სრულიად წარმოუდგენელი სოციალური კატეგორიის) რიცხოვნობის მატება.

სოციალურ განსხვავებათა ამპლიტუდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე მაღალია მსოფლიოში, რაც სოციალური კატაკლიზმების შესაძლებლობას აკუმულირებს – ეს კი ხიფათის შემცველია.

სოციალური განსხვავებებით გამოწვეული შედეგები, გარკვეულ ეტაპზე, დამანგრეველი იქნება ქვეყნისათვის – ქვეყნის თავდაცვით სფეროში ძირითადად სოციალურად დამცრობილი ფენებიდან მიდიან, ხოლო შეძლებული კლასის წარმომადგენლები ყველა დასაშვები თუ დაუშვებელი ფორმით თავიდან იცილებენ ამ მოვალეობას. ისინი შვილებს საზღვარგარეთ ზრდიან, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით...

ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა საქართველოში საშუალო კლასის ფორმირება. ინტელიგენცია მატერიალურად დამცრობილია – ესეც სერიოზულ პრობლემებს უქმნის ერის კონსოლიდაციის პროცესს, რადგან ყველა განვითარებულ ქვეყანაში სწორედ საშუალო ფენაა დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი ხერხემალი და განვითარების ძლიერი დემიურგი.

სამაგიეროდ ვითარდება ფულის სწრაფად მკეთებელთა კატეგორია. როგორც საზღვარგარეთელი ექსპერტები ამტკიცებენ სოციალური განსხვავების კოეფიციენტი პოსტსაბჭოთა სივრცეში (მათ შორის საქართველოში) 20-22 ჯერადია, მაშინ როცა განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში ის არ აღემატება 5-6.

უკვე გამოიკვეთა და რაც დრო გავა ის კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება **დენაციონალიზაციის მავნე შედეგები**. ეს პრობლემა ყველა პატარა ერის საშიშროებაა, მით უფრო ქართველებისათვის, რომელსაც ისტორიის განვითარებამ ადაპტაციის გამორჩეული უნარი გამოუმუშავა. მხოლოდ 25 წელი გავიდა და საქართველოში შესამჩნევია „ამერიკანიზაციის", ანუ ამერიკული ცხოვრების წესის, ინგლისური ენის და ინგლისური ცივილიზაციის, საერთო დასავლერი ფასეულობებით ზედმეტად გატაცება. საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, შეიქმნა და ალბათ კიდევ ბევრი შეიქმნება ქართულ-ამერიკული, ქართულ-ინგლისური, ქართულ-იტალიური, ქართულ-ფრანგული, ქართულ-გერმანული სკოლები, რომლებშიც სწავლობენ ძირითადად საქართველოს საზოგადოების მატერიალურად დაწინაურებელი, პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა შვილები და შვილიშვილები. ისინი პირველი კლასიდან ეუფლებიან ევროპულ ენებს, ევროპულ ცივილიზაციას, ხდება ცნობიერების გაორება (რასაც საოცრად აპროტესტებდნენ „თერგდალეულები" XIX საუკუნეში), პოლიტიკური ორიენტაციისა და დასავლური კულტურული ფასეულობებით ქართული ტრადიციების ჩანაცვლება.

ქართულმა ცივილიზაციამ გაუძლო რუსეთის 200 წლიან პოლიტიკურ ზეწოლას და ვერ მოხერხდა საბოლოოდ ქართველების გარუსება (საქართველოში ქართველების გარუსების მაჩვენებელი ერთ-ერთი დაბალი იყო საბჭოთა კავშირში. გარუსება კი არა, ქართველობამ რუსული ენა კარგადაც კი ვერ შეისწავლა). ამის მიზეზი, გარკვეულწილად, სუსტ რუსულ კულტურულ იმპულსებს უნდა დავაბრალოთ, რომლებმაც ვერანაირად ვერ დაჯაბნეს ძირძველი – ქართული.

მაგრამ ანგლო-საქსური ცივილიზაცია – ძლიერია და ექსპანსიურია. მან სადაც კი შეაღწია, ეროვნულისაგან არაფერი დატოვა (მაგალითად, შვედეთი, ნორვეგია, დანია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ტასმანია და უამრავი სხვ.). ეს ცივილიზაცია ადვილად ერევა პატარა ერებს და ასიმილაციის, განსაკუთრებით კულტურული ასიმილაციის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა. დღეს საქართველოში ანგლო-საქსონიზაციის შედეგები თვალსაჩინო ჯერ კიდევ არ არის (მაგალითად, გადასასვლელებში ინგლისურად მომღერალი ქართველი მათხოვარ-„მენესტრელები", მხოლოდ ინგლისურ ენაზე მომღერალი ქართველი ქალბატონები, ევროპასა და ამერიკაში გა-

ხიზნური უამრავი ქართველი და მისი ოჯახი სერიოზულ პრობლემებს ყერ შექმნიან). მაგრამ ეს ტენდენცია, მისი ზრდის პირობებში, აშკარად შეიცავს დენაციონალიზაციის საფრთხეს, რასაც გათვალისწინება და კონტრღონისძიებების გატარება აუცილებლად დასჭირდება.

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემატიკა მიანიშნებს, რომ ჯერ კიდევ საფრთხე ელის საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მის ერს, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს და საჭიროა ამ პრობლემების წინააღმდეგ სერიოზული, კომპლექსური მუშაობის ჩატარება. სამწუხაროდ, ამის აუცილებლობის შეგნება და შეგრძნება საქართველოს ხელისუფლებას ჯერ არა აქვს.

§ 19. – პოლიტიკური ელიტის კრიზისი

უკვე 25 წელია საქართველო დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზას დაადგა და ცდილობს ახალი საქართველოს მშენებლობას. ისიც ვნახეთ რა ფასად დაუჯდა და ჯერ კიდევ უჯდება რიგით ქართველს, მთლიანად საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ეს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი. ქართველმა ხალხმა პოლიტიკური დამოუკიდებლობის გულისთვის, შეიძლება ითქვას, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დიდი მსხვერპლიც კი გაიღო – სამხედრპლოზეა მიტანილი ქართული მეცნიერება, ქართული კულტურა, ქართული თეატრი, ქართული კინო...

როდესაც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იწყებოდა, ყველა ფიქრობდა, რომ საქართველოს ჰქონდა პოტენცია ძალიან მალე ჩამდგარიყო ეკონომიკურად განვითარებულ, სოციალურად დაწინაურებულ და კულტურულად აღორძინებულ ხალხთა რიგებში.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველოში, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით, კულტურით, ხელოვნებით, განათლებისაკენ ახალგაზრდობის დაუოკებელი ლტოლვით, დღეს ერთობ სუსტი და ბევრი საერთაშორისო პარამეტრით რეგიონში საკმაოდ მოკრძალებული მდგომარეობა უკავია (მხედველობაში გვაქვს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები, რომლებთან შედარებით 2000 წელს ყველა ძირითად სოციალურეკონომიკურ მაჩვენებელში საქართველოს ბოლო პოზიცია ეკავა[36]). რა თქმა უნდა, არის ამის სერიოზული ობიექტური მიზეზები (ჩვენ მათ შესახებ ვისაუბრეთ), მაგრამ მიგვაჩნია რომ მთავარი მიზეზი მაინც პოლიტიკური ელიტის სერიოზული კრიზისია, რომელიც საქართველოში XX საუკუნის 80-90-იან წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს პოლიტიკურ ელიტას (ისტორიულად მმართველ ფენას: თავადაზნაურობას, საეკლესიო წოდებას) უკვე XIX საუკუნის II ნახევარში სერიოზული პრობლემები ჰქონდა და ილია ჭავჭავაძე სერიოზულად აკრიტიკებდა მათ შესაძლებლობებს ყოფილიყვნენ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის შემოქმედნი.

სწორედ ამიტომაც ერის კონსოლიდაციის საპატიო მისია ხელში აიღო ქართველმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ და ენახეთ როგორ თანდათან, მაგრამ მიზანმიმართულად, ბოლომდე წარმატებით დააგვირგვინა ის.

იმაზეც გვქონდა საუბარი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილმა, რომელსაც უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ, ისინი ხელისუფლებას ტოტალურად ჩამოაშორა.

ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ შეუფერებლად უხამსი დამოკიდებულება გამოავლინა მმართველმა ძალამ, რომელიც საქართველოს სათავეში აღმოჩნდა ე.წ. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ – 2004-2012 წლებში.

რატომ მოხდა ასე?

საქმე იმაშია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი შემადგენელი ახალგაზრდა, გამოუცდელი თაობა იყო, მათ შორის ყველაზე უფრო ასაკოვანი – ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა იყვნენ, მაგრამ მათაც პოლიტიკური მმართველობის გამოცდილება არა ჰქონდათ. ახალგაზრდების დიდი უმეტესობა ეგზალტირებული, ეროვნულ ფრაზეოლოგიას ამოფარებული ძალები იყვნენ, საკმაოდ ამბიციურნი და რადიკალურნი.

სწორედ აქედან მომდინარეობს, რომ რამდენი ლიდერიც იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში – იმდენი ძალაუფლების ხელში ჩაგდების პრეტენზიების მოსურნე პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდა და განვითარდა საქართველოში. „ერთკაციანი პარტიები" ქართული პოლიტიკური სივრცის მთავარი მახასიათებელი გახდა. თითქმის ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავებული, ფაქტობრივად იდენტური საპროგრამო ამოცანების მქონე პარტიები ერთ პოლიტიკურ ერთიანობაში ყოფნას თაკილობდნენ.

რა საერთო თვისებები ჰქონდათ მათ?

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ საქართველოს ინტელიგენციის ერთ ნაწილში „უტოპიური ნაციონალიზმის" საფუძველზე განვითარდა არაადეკვატური დამოკიდებულება ფაქტებისა და მოვლენებისადმი. აქედან გამომდინარე მთავარი თავისებურებები, ჩვენი აზრით, არის შემდეგი:

1. არაადეკვატურობა, მოვლენებისა და ფაქტების არა ობიექტური აღქმა და შეფასება;
2. იდეოლოგიური მერყეობა, ჩამოუყალიბებელი იდეოლოგიური შეხედულებები;
3. ინფანტილიზმი, ჭირვეულობა, სიჯიუტე,
4. ანტიდემოკრატიზმი – დემოკრატიის ფრაზეოლოგიას ამოფარებული შეუნიღბავი აუტორიტარული მიდრეკილებები;
5. არაპროფესიონალიზმი, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება;
6. ამბიციურობა, შეუცდომლობის სინდრომი;
7. საქართველოს სიყვარული მხოლოდ სიტყვით და არა საქმით;
8. სამშობლოს ისტორიის, საქართველოს განვითარების თავისებურებების ზედაპირული ცოდნა, რაც არ იძლევა საშუალებას სწორი ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის შესამუშავებლად;
9. ქართული ინტელიგენციის, მისი საქმის დაუფარავი ზიზღი და ა.შ.

რა თქმა უნდა, ყველა პოლიტიკური ლიდერი და პარტია ზემოჩამოთვლილ მახასიათებლებს სხვადასხვა დოზით ფლობდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია – მათ ვერ უზრუნველყვეს საქართველოს გაყვანა სამშვიდობოდ „ნაკლები დანახარჯებით". სრულიად სამართლიანია მისი უწმინდესობა ილია II, როცა აღნიშნავს, რომ ბევრი ტრაგიკული მოვლენა საქართველოში შეიძლება არ მომხდარიყო – თავიდან ყოფილიყო აცილებული. საქართველოს ახალგაზრდა პოლიტიკურ სპექტრს ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლი რომ არ ჰქონოდათ (პირველ რიგში იგულისხმება 9 აპრილის ტრაგედია და 2008 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს წარუმატებელი ომი), საქართველოს უახლესი ისტორია შეიძლება სულ სხვაგვარად წარმართულიყო.

აშკარა **ინფანტილიზმია,** როცა ზ. გამსახურდიას ხელისუფლების ჩამოგდების შემდეგ ერთ-ერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი საკუთარი ინიციატივით მიდის ესპანეთში გიორგი ბაგრატიონის საქართველოს სამეფო ტახტზე აღდგენის შესახებ მოსალაპარაკებლად. გონიერი „ტახტის პრეტენდენტი" სასტიკ უარს აცხადებს ამ შეთავაზებაზე და საქართველოში მიმდინარეობს გროტესკული პოლემიკა „ტახტზე უნდა ავიდეს თუ არ უნდა ავიდეს" მოტივებზე, ეს იმ დროს, როცა ქვეყანა სამოქალაქო ომისა და ეკონომიკური კოლაფსის მარწუხებშია.

საერთოდ, საქართველოში მონარქიის აღდგენის პერიოდულად აქტირებული თემა, აშკარად ბოლომდე გაუაზრებელ პოლიტიკურ გათვლებს ეფუძნება, ამიტომაც სხვადასხვა ვარიაციით ამოტივტივებულ ამ საკითხს ისტორიის ლოგიკამ დიდი ხნით საბურველი გადააფარა.

არაპროფესიონალიზმის ჭეშმარიტი აღზევება იყო 2004-2012 წლების პერიოდი, როცა მებაჟე ინიშნებოდა თავდაცვის მინისტრად, პროკურორი – გა-

ნათლების მინისტრად, სასჯელაღსრულების მინისტრს მეცნიერების განვითარება ჩააბარეს, მოცეკვავე ქალს – ეკონომიკა და ა.შ. როცა მეცნიერება და ხელოვნება საქართველო'ში „ჩარეცხეს" – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

სახელმწიფოს მართვა რთული ხელოვნებაა – მაქს ვებერის თქმით ის ნამდვილი „ხელობაა", რომელსაც ზედმიწევნით უნდა დაეუფლოს ადამიანი, იმპროვიზირება აქ დაუშვებელია, მას შეუძლია საბედისწერო შეცდომები გამოიწვიოს (მაგალითად, ქვეყანას დააკარგვინოს ტერიტორიების 20%), ხელოვნურად გაწყვიტოს თაობათა შორის ორგანული კავშირი საზოგადოებაში (ვგულისხმობთ 2006-2011 წლების რეფორმები განათლებასა და სამეცნიერო სფეროში), სერიოზულად დააზიანოს ხელისუფლების კავშირი ინტელიგენციასთან („ჩარეცხილების" ცნობილი ინცინდენტი) და ა.შ..

სამწუხაროა, რომ დღესაც პროფესიონალიზმის კრიტერიუმი სამმართავი დარგის ღრმა ცოდნა კი არ არის, არამედ ლიდერისადმი პირადი ერთგულება და ინგლისური ენის მეტ-ნაკლები ცოდნაა. ბევრმა დაივიწყა, რომ დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტები საქართველოს სიყვარულს არ ასწავლიან, **მათ საქართველო არ იციან**, საქართველოს სიყვარული და საქართველოს ცოდნა – აი, მთავარი კრიტერიუმები, რომელზედაც შეიძლება დაშენდეს მმართვის ხელოვნება და ხელობა საქართველოში. ღრმად შევისწავლოთ საქართველო, მისი გასაჭირი, მისი ავ-კარგი, მისი პრობლემები – ეს სრულიად შესაძლებელია, და მხოლოდ შემდეგ ერთად მოვიფიქროთ, თუ როგორ ვუმკურნალოთ მას. მაგრამ ეს უნდა მოხდეს ერთობლივი ძალისხმევით. საქართველოს პოლიტიკურმა სპექტრმა კარგად უნდა იცოდეს, **რომ არ არსებობს არც ერთი საზოგადოება მსოფლიოში, სადაც მართვის სადავეები მხოლოდ ახალგაზრდობას უკავიათ და უფროსი თაობა სახლებშია გამომწყვდეული.**

საქართველოში თანამედროვე პოლიტიკურმა ელიტამ შეგნებულად დანაშაულებრივად ჩამოაშორა შუა და უფროსი თაობა მმართვის სადავეებს და მთლიანად აიღო ორიენტაცია დასავლეთის ექსპერტებსა და წარმომადგენლებზე, რომლებმაც, შეიძლება, ჩინებულად იციან საკუთარი ქვეყნები, მაგრამ არ იციან საქართველო...

აქედან გამომდინარე უკვე 25 წელია ვუყურებთ, თუ როგორ ცუდად სრულდება დასავლეთის დემოკრატიული ფასეულობები ქართული შესრულებით (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით – საქართველოს პოლიტიკური ელიტის შესრულებით).

საქართველოს პოლიტიკური იდეოლოგია და პრაქტიკა მთლიანად ქართულ ფასეულობებს, ქართულ ხასიათს და საქართველოს ისტორიის ღრმა

ცოდნას უნდა ეფუძნებოდეს, ამის გარეშე მუდამ ასე ვიტრიალებთ ერთ წრეში.

§ 20. – ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია

ტოტალური რღვევის ვითარებაში, როცა მთლიანად დაინგრა საბჭოთა საქართველოს სოციალური, ეკონომიკური ფუნდამენტი, როცა საბჭოთა საზოგადოების შეკავშირების თითქმის არც ერთი ტრადიციული ინსტიტუტი აღარ მუშაობდა, ხოლო ახალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ან ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოყალიბებულნი, ან სრულყოფილად ვერ მუშაობდნენ – საქართველოს სამოციქულო ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი ეროვნულად იდგნენ ქართველობის ფიზიკური და ზნეობრივი გადარჩენის სადარაჯოზე. ფაქტობრივად მოხდა ისე, რომ საქართველოში ერის გაერთიანების, შემჭიდროების, დარაზმვის სულიერი გაჯანსაღების, იმედის შენარჩუნების ერთადერთი რეალური საფუძველი გარდამავალ პერიოდში სწორედ ილია II და ქართული სამოციქულო ეკლესია აღმოჩნდა.

ეს არ იყო ადვილი მისია. ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ ათეისტური მმართველობის პერიოდში საქართველოს სამოციქულო ეკლესია სერიოზულად დაზარალდა: მას აღარ ჰქონდა არც ადამიანური და არც მატერიალური რესურსები, ისეთი დიდი საქმეების საკეთებლად, რითიც ცნობილი იყო ქართული ეკლესია უხსოვარი დროიდან. მაგრამ ქართული საქმე ნამდვილად საკეთებელი იყო – ეკლესიას უნდა მოეძებნა ეს ყველაფერი, აღედგინა – ის რაც უკვე დაკარგული ჩანდა და ქართველი ერის სამსახურში ჩაეყენებინა.

მაგრამ ეს ამოცანა ურთულეს პრობლემებთან იყო დაკავშირებული – როგორც წინა თავებშიც აღვნიშნეთ, გარკვეული პოლიტიკური ძალები საქართველოში ენერგიულად ცდილობდნენ ქართული ეკლესიის ნგრევას, კათოლიკოს-პატრიარქს კი გადაყენებით, ახალი რუის-ურბნისის კრებით, გასამართლებით ემუქრებოდნენ. ასეთი და მსგავსი ძალების ანტიქართული, ანტიეკლესიური საქმიანობა არ შეწყვეტილა ბოლო დრომდე.

ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ საქართველოს ისტორიული არჩევანის უმნიშვნელოვანეს მომენტში, ქართველების ერთმა ნაწილმა ყურთ არ ისმინა პატრიარქის გონიერი შეთავაზება და აირჩია აშკარად სისხლიანი გზა... სწორედ ამ გზით მოვდივართ დღესაც

ახალ საქართველოში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქართველობას შესთავაზა სრულიად ახალი გზა – ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ორგანიზაციული და სულიერი განმტკიცებით თვითოეული ქარ-

თეელის სულიერი და ზნეობრივი გადახალისება. პატრიარქის მოწოდება: „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“- სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ეს კი ფაქტობრივად დიდი ილიას მიზნის – „ახალი ქართველის“ აღზრდის ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას უტოლდება.

ამ ისტორიული მიზნის რეალიზაციას ითვალისწინებს ის დიდი აღმშენებლობითი მუშაობა, რაც თვითონ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში მიმდინარეობდა ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე: მნიშვნელოვნად გაიზარდა სასულიერო მღვდელმსახურთა რაოდენობაც – 2007 წელს საქართველოში იყო 16 მიტროპოლიტი, 10 მთავარეპისკოპოსი, 9 ეპისკოპოსი, 32000 სასულიერო პირი. საქართველოში მოქმედებდა 1500 მოქმედი ეკლესია და 140 მონასტერი, საქართველოში უკვე 37 ეპარქია იყო, რომელთაგან ოთხი მოიცავდა საქართველოს ოდინდელ ტერიტორიებს[37]. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პოლიტიკური სპექტრის გარკვეული ძალები ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ საქართველოს ეკლესიას კვლავ გახდეს ქართველობის იდენტობის მთავარი მარკერი – ტრადიციული ეროვნული ფასეულობების შემნახველი და განმაყოთარებელი. მაგრამ ეს დიდი საქმე უკვე დაწყებულია– პატრიარქის ინიციატიით თბილისში გაიხსნა სასულიერო აკადემია, ქუთაისში – გელათის აკადემია, თბილისში – საღვთისმეტყველო ინსტიტუტი, ანდრეა პირველწოდებულის უნივერსიტეტი, თამარ მეფის სამედიცინო უნივერსიტეტი, ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი და ა.შ. და ა.შ..

არ შეიძლება ამ დიდ საქმეში არ დაყინახოთ ქართველი ქველმოქმედების: ბიძინა ივანიშვილის, მამუკა ხაზარაძის, ლევან ვასაძის, ლაშა პაპუაშვილის. თემურ ჭყონიასა და სხვა ღირსეული მამულიშვილების ღვაწლი, რომლებიც მხარში უდგანან პატრიარქს ისტორიული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

მათი შემწეობით აშენდა და გაბრწყინდა დიდებული სამების ტაძარი, მალე დასრულდება უნიკალური სამონასტრო კომპლექსი მახათას მთაზე, ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იხსნება და ინტენსიურ სამღვდელმსახურო მოღვაწეობას ეწევა არა ერთი ტაძარი თუ მონასტერი. ქართველებმა პირი იბრუნეს სულიერებისაკენ.

მაგრამ მისი უწმიდესობა უფრო მეტს გვავალებს. ის შეუვალია თავის პრინციპებში და ცდილობს ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე. არ ეპუება სიძნელეს და წინააღმდეგობას. ამ ბოლო წლებში მან არა ერთხელ ამხილა ქართული საზოგადოება, მისი ხელისუფლება უღირსი, უკეთური საქმიანობის კეთებაში. სასჯელივით ისმის მისი უწმიდესობის შემდეგი განცხადება: „არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რასაც წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ტირანიას უწოდებს და რაც

ზემდგომთა ბატონობასა და ძალადობაზე და ქვეშევრდომთა მონურ ყოფაზეა დამყარებული. ჩვენს გარშემო, სამწუხაროდ, ურთიერთმიმართების არაქრისტიანული წესი ჭარბობს“[38].

საქართველოს 2004-2012 წლების ხელისუფლების ასეთი მკაცრი და ობიექტური შეფასება არცერთ საზოგადოებათმცოდნეს არ მოუცია. ამიტომაც შეაქცია ზურგი ქართველმა ამომრჩეველმა ტოტალურად ამ პოლიტიკურ ძალას.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საზოგადოებრივი მანკიერების მხილებასთან ერთად ის გზაც გვიჩვენა, როგორ გაეხდეთ კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო მონოლითური და კიდევ უფრო ღირსეულნი ჩვენი მამა-პაპათა ტრადიციებისა. მან მოგვცა სამშობლოს სიყვარულის საკუთარი ფორმულა, რომელიც, ალბათ, ყველამ უნდა გავითავისოთ:

„რა არის სამშობლო, როგორ აღიქვამთ მას?

ჩვენი სამშობლო არის ჩვენი გენი, ჩვენი ენა, ღვთისა და მოყვასისადმი გამოვლენილი ჩვენი სიყვარული, ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

საქართველო არის ჩვენი მოგებული თუ წაგებული ბრძოლები, წინაპართა დადებითი და უარყოფითი თვისებები.

საქართველო არის მტკიცე ოჯახი, ნათესავების თანადგომა და მათი კავშირი;

საქართეელო არის ქვეყანა, სადაც მეგობრისათვის თავს სწირავენ და სადაც მეზობელი ოჯახის წევრად არის მიჩნეული; სადაც ნათელ-მირონობა და ძმადნაფიცობა სისხლისმიერ ნათესაობაზე მეტია.

საქართველო ჩვენი უნიკალური ფლორა და ფაუნაა, ჩვენი მთა და ჩვენი ბარია, ჩვენი უდაბნოა, ჩვენი წყალი და ზღვაა.

საქართველო ურღვევია, როგორც კვართი უფლისა!

თვითოეული ჩვენგანი ატარებს მას. საქართველო მე ვარ, იგი ჩემშია და მე მასში!“[39]

ასე იყო წინათ და ასე უნდა იყოს დღესაც, ეს უნდა გვწამდეს და ჩვენ ყველამ ერთად სწორედ ეს უნდა გადავარჩინოთ!

XX საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში შეიქმნა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება, რამაც უზრუნველყო სოციალიზმის რუსული მოდელის ეროზია. დღეს აშკარად საუბრობენ იმაზე, რომ მ. გორბაჩოვის ხელისუფლებამ მიზანმიმართულად გამოიწვია ქაოსი ქვეყნის ეკონომიკაში და ამით შექმნა მრავალეროვანი ქვეყნის დაშლის წინაპირობები.

საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია – წარმმართველი და ხელმძღვანელი ყველა იმ პროცესისა, რამაც ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესების დასრულება და მის საფუძველზე ერის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული აღორძინება გამოიწვია, ეარაუდობდა, რომ შექმნილ ვითარებაში მოახერხებდა თავიდან აეცილებინა მრავალეროვანი ქვეყნის დაშლით გამოწვეული ტრაგიკული მოვლენები. მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი რადიკალური ნაწილი, რომელიც ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ცდილობდა, თავიდანვე მკვეთრად დაუპირისპირდა საქართველოს შემოქმედებით ინტელიგენციას და ყველა შესაძლო ხერხით ცდილობდა მის დისკრედიტაციას მოსახლეობის თვალში. ფაქტობრივად საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენცია ხელოვნურად ჩამოაშორეს აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. რადიკალური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოაძრაობის ლიდერები, რომლებიც „უტოპიური ნაციონალიზმის“ პოზიციებზე იდგნენ, თავის პოტენციალურ მოწინააღმდეგად თელიდნენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასაც და მის საჭეთმპყრობელს.

სწორედ „უტოპიური ნაციონალიზმის“ პოზიციებზე მდგომმა ულტრარადიკალებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობეს 9 აპრილის მოვლენების ტრაგიკული დასრულება, როცა ყური არ ათხოვეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამშვიდობო შეგონებას და აირჩიეს მოვლენების სისხლიანი განვითარება. მისი უწმიდესობა ხშირად აღნიშნავს, რომ 9 აპრილის თავიდან აცილება შეიძლებოდა და ეს სრული ჭეშმარიტებაა – საქართველოს ისტორიული განვითარების გზა შეიძლება რადიკალურად განსხვავებული ყოფილიყო, რადგან ასე აშკარად არ დაუპირისპირდებოდა ორი მართლმადიდებელი ქვეყანა ერთმანეთს. ამის შემდეგ რუსეთი აშკარად გადაბარგდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოწინააღმდეგეთა ბანაკში, აქედან გამომდინარე ყველა დრამატული შედეგით.

ეროვნულ-განმათაეისუფლებელი მოძრაობის ერთი ფრთა – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ შეგნებულად წავიდა კომპრომისზე კომუნისტურ ხელისუფლებასთან და მიიღო მონაწილეობა უზენაესი საბჭოს არჩევნებში, რითაც დაარღვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი პრინციპული დებულებები. ამან ეროვნული მოძრაობის ორ ბანაკად გათიშვა გამოიწვია, რამაც სერიოზულად დაასუსტა ქართველობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“ ხელმძღვანელობა, გამომდინარე თავისი იდეოლოგიური შეხედულებებიდან, ადეკვატურად ვერ აფასებდა ქვეყანასა და მსოფლიოში შექმნილ პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. ის ქვეყანაში

აშკარად ავტორიტარ'ულ რეჟიმს ამყარებდა. სწორედ მოელენათა არაადეკვატურმა ხედვამ გაამწვავა სამოქალაქო დაპირისპირება, სეპარატიზმის ელემენტების გამოცოცხლება, შექმნა ობიექტური და სუბიექტური პირობები საქართველო'ში სამოქალაქო ომის დასაწყებად.

სამოქალაქო დაპირისპირება და სამოქალაქო ომი – ეს ის ორი ძირითადი დამანგრეველი ფაქტორია, რომელმაც სერიოზ'ულად დააზიანა XX საუკუნის 90-იან წლებში ქართველების კონსოლიდაციის პროცესი და მის რღვევის დაწყებას შეუწყო ხელი. ამან გამოიწვია გაჭიანურებ'ული კრიზისი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო'ში.

საბჭოთა კავშირის დაშლამ, „სტალინ-ბერიას ეკონომიკური გეგმის“ შეჩერებამ გამოიწვია სერიოზ'ული ეკონომიკური პრობლემები, საიდანაც ამოიზარდა გაჭიანურებ'ული დემოგრაფიუ'ლი კრიზისი, დეპოპულაცია, მრავალათასიანი შიდა და გარე მიგრაცია, ქართ'ული ტრადიციული ოჯახის ნგრევა.

ეკონომიკ'ური კოლაფსი და მძიმე სოციალ'ური ფონი, სოციალ'ური დიფერენციაციის გაღრმავება, მოსახლეობის პაუპერიზაცია, უმუშევრების არმიები სერიოზ'ულ პრობლემას ქმნიდა ეროვნ'ული ერთიანობის გზაზე. ერის კონსოლიდაციის მთავარი საფუძველი – ეკონომიკ'ური ცხოვრება თვითდინებაზე მიუშვეს და ამ სფერო'ში არსებ'ული ყველა მონაპოვარი წყალს გაატანეს.

გაუთავებელი პოლიტიკ'ური და ეკონომიკ'ური კრიზისის, ქვეყანა'ში შექმნილი მძიმე მორალ'ურ-ფსიქოლოგიუ'რი ვითარების პირობებში საგარეო ფაქტორების გააქტიურებამ (განსაკუთრებით გლობალიზაციის მავნე ტენდენციებმა და მისმა შედეგებმა) ხელი შეუწყო სეპარატისტ'ული ტენდენციების რეამინაციას უშალოდ ქართველი ერის შიგნით, დაიწყო პოლიკონფესიურობის კ'ულტივირება, არატრადიციული რელიგიუ'რი რწმენა-წარმოდგენების გავრცელება, ადგილი აქვს დენაციონალიზაციის პროცესების გააქტიურებასაც.

ეროვნ'ული კონსოლიდაციის პროცესების რღვევა დაუყოვნებლივ უარყოფითად აისახა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა იმ სფეროზე, რომლებშიც ქართველობას განსაკუთრებ'ული მიღწევები ჰქონდა: ქართ'ულ საგანმანათლებლო სივრცეზე და მის ხარისხზე, ქართ'ული ენის უფლებრივ მდგომარეობაზე, ქართ'ული მეცნიერების, ქართ'ული ხელოვნების, ქართ'ული კ'ულტ'ურის, ქართ'ული სპორტის განვითარების შედეგებზე.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ ერთია – აღვადგინოთ და განვავითაროთ ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულების“ მიერ ქართველი ერის კონსოლიდაციის აუცილებელი ძირითადი კომპონენტები: კვლავ შევქმნათ ერთიანი ძლიერი ეკონომიკური სივრცე, მუდამ ყურადღე-

ბის ცენტრში გექონდეს და გაეაძლიეროთ მშობლიური დედა-ენა და ქართული სამეტყველო გარემო, ხელი შეუწყოთ ქართული ლიტერატურის აღორძინებასა და განვითარებას, მოვახდინოთ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის რეამინაცია, კვლავ ავაღორძინოთ ქართული მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა და სპორტი.

ყველა ხალხსა და ყველა სახელმწიფოს საკუთარი იდენტობის შენარჩუნების, ფიზიკური გადარჩენის, უკეთესი სოციალური ყოფიერების, სულიერი გაჯანსაღების მიღწევის საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კონკრეტული გზა აქვს: ებრაელებს – იუდაიზმი, ინდუსებს – ინდუიზმი, გერმანელებს – პროტესტანტიზმი, ამერიკელებს – პრაგმატიზმი, ხოლო ჩვენ, ქართველებს ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულების“ მიერ მწყობრად და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, მკაცრად განსაზღვრული კონკრეტული სამოქმედო გზა გვაქვს, რომელიც, როგორც ისტორიამ დაადასტურა, ქართველებისათვის ეფექტიანი და ნაყოფიერია, თუ მისი ყველა ძირითადი პარამეტრი დაცულია და რეალიზებული, მხოლოდ ამას მოაქვს ქვეყნისათვის მატერიალური სიკეთე, სოციალური წინსვლა, სულიერი გაჯანსაღება და მხოლოდ მაშინ მოვახერხებთ ჩვენ, ჩვენი ძალით საქართველო გავაბრწყინოთ. აი, ის მთავარი და ძირითადი ჩამონათვალი:

– ქართველი ერის დემოგრაფიული წინსვლა; ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა და ზეაღმავალი განვითარება; „დედა ენის“ უჭკნობი მადლით გასხივოსნებული მუდამ დაცული და მუდამ ზრუნვის ობიექტი – ქართული სამეტყველო ენა; მუდამ განვითარებაში მყოფი ქართული მხატვრული ლიტერატურა; ერთიანი, ძლიერი ქართული საგანმანათლებლო სივრცე; საქართველოს ერთიანი და განუყოფელი ისტორია; ძლიერი ქართული მეცნიერება; პროგრესულად მზარდი ქართული კულტურულ-საგანმნათლებლო ორგანიზაციები; ქართული ტრადიციული ეროვნული ფასეულობები – უჭკნობი ქართული რწმენის სიმბოლოები; და ჩვენი მთავარი სლოგანი – „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

მხოლოდ ყოველივე ამის საფუძველზე შეძლებს დღევანდელი საქართველო მიაღწიოს ისეთ პროგრესს, რომლის საფუძველზე ის ამაყად ამოუდგება მსოფლიოს ცივილიზირებულ სახელმწიფოებს და მართლაც გაიბრწყინებს მსოფლიოს ხალხთა დიდ თანავარსკვლავედში.

თავი I
„ნათესავით ქართველნი“

1. Т. Гамкрелидзе, Вяч. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984, стр. 909, прим. 3.
2. გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002, გვ. 168-176; Т. Гамкрелидзе, Вяч. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984, стр. 877-879.
3. შდ. Т. Гамкрелидзе, Вяч. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984, стр. 880, прим. 2, 909, прим. 3; გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002, გვ. 162.
4. Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 37.
5. Т. Гамкрелидзе, Вяч. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984, стр. 880, прим. 2; თ. გამყრელიძე, მესხეთ-ჯავახეთი – საერთო ქართული წინარე სამშობლო. „მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა“, ახალციხე, თბ., 2000.
6. მ. ქურდიანი, ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების მიხედვით და საერთო ქართველური ეთნოსის ტომობრივი შემადგენლობა. „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი“, თბ., 2002, გვ. 86.
7. А. Ониани, З. Сарджveладзе, Против извращения вопросов грузинской топонимики. «Мацне» (Вестник), серия языка и литературы, № 3, თბ., 1971, стр. 174.
8. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 65; მისივე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათაეებთან, თბ., 2006, გვ. 241.
9. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 101; მისივე, საქართველოს ისტორიის სათაეებთან, თბ., 2003, გვ. 94; მისივე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათაეებთან, თბ., 2006, გვ. 271; მისივე, კავკასიის წინა აზიის სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის. „ძიებანი“, №20, 2011, გვ. 180.
10. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათაეებთან, თბ., 2006, გვ. 271.
11. მ. მენაბდე, თ. კილურაძე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981, გვ. 16, 17, 33.
12. ლ. ნებიერიძე, წოფის ენეოლითური კულტურა, 2010, გვ. 88; შდ. მისივე, სიონის ნამოსახლარი – აღმოსავლეთ საქართველოს გვიანნეოლითური ძეგლი. „ძიებანი“, №7, თბ., 2001, გვ. 9.
13. ლ. ნებიერიძე, წოფის ენეოლითური კულტურა, 2010, გვ. 89.
14. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 242-244.

15. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 265-267; მისივე, კავკასიის წინა აზიის სამყაროსთან ურთიერთობის საკითხისათვის. „ძიებანი", №20, 2011, გვ. 178, 179.
16. მ. მენაბდე, თ. კილურაძე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981, გვ. 29.
17. საქართველოს არქეოლოგია II, თბ., 1992, გვ. 33; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 13, 14.
18. გ. გიორგაძე, უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002, გვ. 45, 46.
19. გ. გიორგაძე უძველესი ახლოაღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა, თბ., 2002, გვ. 37, 47.
20. საქართველოს არქეოლოგია, II, თბ., 1992, გვ. 32.
21. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 285.
22. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხებისათვის, თბ., 1976, გვ. 71-82.
23. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 294-295.
24. მ. მენაბდე, თ. კილურაძე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981, გვ. 28.
25. ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 71.
26. Т. Чубинишвили, К древней истории южного Кавказа, Тб. , 1971, стр. 161-164; ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 81, 82; მისივე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 104; მისივე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 287.
27. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965-1971 წწ.), თბ., 1976, გვ. 67.
28. ი. კიკვიძე, ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972, გვ. 50, ტაბ. XIX, 1.
29. დ. მუსხელიშვილი, ქართველი ხალხის წარმომავლობისათვის, 2010, გვ. 16.
30. ა. ორჯონიკიძე, რეგიონთშორისი კავშირები ადრებრინჯაოს ხანის საქართველოში. „ძიებანი", დამატებანი, VI, თბ., 2001, გვ. 91, 92; ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 289.
31. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 119.
32. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 136.
33. ე. გოგაძე, კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ. „გურია", II. თბ., 1997, გვ. 49; გ. ფხაკაძე, კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კვლევის ზოგიერთი საკითხი. „ძიებანი", № 2, თბ., 1998, გვ. 34; ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ.,

2006, გე. 298-300; ა. ორჯონიკიძე, ლ. ჯიბლაძე, კიდევ ერთხელ ორჭოსანის ნასახლარის შესახებ „ძიებანი“, №19, თბ., 2010, გვ. 108; თ. გამყრელიძე, მესხეთ-ჯავახეთი – საერთო ქართული წინარე სამშობლო. „მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა“, ახალციხე, 2000, გე. 184; Т. Гамкрелидзе, Вяч. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб., 1984, стр. 881.

34. ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, თბ., 1998, გვ. 172.
35. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 21.
36. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 292.
37. საქართველოს არქეოლოგია, II, გვ. 131; ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, თბ., 1998, გვ. 176, 181; ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 323, 329.
38. საქართველოს არქეოლოგია, II, გვ. 131; ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, თბ., 1998, გვ. 174, 176; ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 24.
39. ა. ორჯონიკიძე, მტკვარ-არაქსის ტრადიციები ადრეული ყორღანების გავრცელების ხანაში. „ძიებანი“,№9, თბ., 2002, გვ. 23; ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 311.
40. იხ. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 310, 311; ა. ორჯონიკიძე, ბედენის კულტურის ფორმირების ზოგიერთი საკიხი, „ანალები“, №10, თბ., 2014.
41. ე. გოგაძე, კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ. „გურია“, II. თბ., 1997, გვ. 41.
42. იხ. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 315 და 319.
43. შდ. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 310, 311.
44. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 22-27.
45. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 341.
46. ე. გოგაძე, კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ. „გურია“, II. თბ., 1997, გვ. 41.
47. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 341, 342.
48. გ. მინდიაშვილი, მტკვარ-არაქსული მესაქონლეობის ხასიათის და მეურნეობის ამ დარგის კლასთწარმომქმნელი ბუნების გამო. „ძიებანი“, №9, თბ., 2002, გვ. 21.

49. ო. ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 318.
50. ო. ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 362.
51. ო. ჯაფარიძე. ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბ., 2006, გვ. 260.
52. К. Кушнарева, М., Рысин, Новые данные к проблеме датировки памятников «цветущей поры» триалетской культуры. „ძიებანი", დამატებანი, VI, თბ., 2001. стр. 102.
53. ლ. ძიძიგური, ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა, თბ., 2000. გვ. 302.
54. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 27, 32.
55. Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, стр. 231.
56. დ. მუსხელიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემისათვის. „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი", თბ., 2002, გვ. 6; მისიეე. ქართველი ხალხის წარმომავლობისათვის, 2010, 17-18.
57. თ. გამყრელიძე, „ოქროს საწმისის" ძველბერძნული სახელწოდება. მსე. XXIV, თბ., 2001, გვ. 28-30.
58. ლ. ნებიერიძე, წოფის ენეოლითური კულტურა, 2010, გვ. 112, 113, 122.
59. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 363.
60. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, თბ., 1950, გვ. 246-248; ს. ჯანაშია, ჩერქეზულ (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში. შრომები. III, თბ., 1959; ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხებისათვის, თბ., 1976, გვ. 295, 296.
61. დ. მუსხელიშვილი, ქართველი ხალის წარმომაელობისათვის, 2010, გვ. 21.
62. ო. ჯაფარიძე. შიდა ქართლის უძველესი წარსულიდან, თბ., 2009, გვ. 111, 112.
63. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 160-167.
64. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 55.
65. საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმიის კორპუსი), ტ. I, თბ., 2010, გვ. 59.
66. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 179; ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 116.
67. დ. მუსხელიშვილი, ქართველი ხალის წარმომავლობისათვის, 2010, გვ. 19-21.
68. ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, გვ.11.
69. ლ. სახაროვა, ნ. სულავა, საქართველოში გავრცელებული თავხვია საკინძების შესახებ. „ძიებანი", №19, თბ., 2010.
70. О. Лорткипанидзе, Наследие дрсвней Грузии, Тб., 1989, стр. 201.

71. დ. მუსხელი᾽შვილი, გ. ცქიტი᾽შვილი, შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. სიგკ, I, თბ., 1960, გვ. 195, 196.
72. დ. მუსხელი᾽შვილი, გ. ცქიტი᾽შვილი, შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. სიგკ, I, თბ., 1960, გვ. 193, 194; ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 229.
73. კ. ფიცხელაური, ცენტრალური ამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ. წ. XIV-XIII სს. თბ., 2005, გვ. 106, რუკა CCLIX.
74. დ. მუსხელი᾽შვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 37.
75. დ. მუსხელი᾽შვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 34, 35.
76. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973, თავი III; К Пицхелауи, Восточная Грузия в конце бронзового века. ТКАЭ, III, Тб., 1979, стр. 65 и сл.
77. დ. მუსხელი᾽შვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 17.
78. ა. რამიშვილი, შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების პერიოდიზაციის ზოგიერი საკითხი. „ძიებანი", №6, თბ., 2000, გვ. 30; მისივე, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღელში. ხაშურის ექსპედიციის შრომები I. „ძიებანი", დამატებანი, XII, თბ., 2004, გვ. 108, 109.
79. შდ. ა. რამიშვილი, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღელში. ხაშურის ექსპედიციის შრომები I. „ძიებანი", დამატებანი, XII, თბ., 2004, გვ. 127.
80. ა. რამიშვილი, შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების პერიოდიზაციის ზოგიერი საკითხი. „ძიებანი", №6, თბ., 2000, გვ. 30; ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღელში. ხაშურის ექსპედიციის შრომები I. „ძიებანი", დამატებანი, XII, თბ., 2004, გვ. 109.
81. П. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, М., 1900, стр. 336-338, рис. 267, 268.
82. Б. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, стр. 42, 43.
83. П. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, М., 1900, стр. 336-338, CXXXII-CXXXIII.
84. Б. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, стр. 43, 44.
85. დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი). სსმმ. XVIII–B, თბ., 1954, გვ. 66, 67.
86. დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი). სსმმ. XVIII–B, თბ., 1954, გვ. 66, 67.
87. Б. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, стр. 43.

88. ა. აფაქიძე, ბაკურციხის არეოლოგიური ძეგლები (საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი), თბ., 1940, გვ. 166, სურ. 51 და 52.
89. დ. მუსხელიშვილი ციხე-ქალაქი უჯარმა (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბ., 1956, გვ. 41-44.
90. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 245.
91. А. Рамишвили, Археологические работы в с. Цагвли. ПАИ, 1979, Тб. ,1982, стр. 35, 36, таб. XX 6,7.
92. Б. Куфтин. Материалы к археологии колхиды, I, Тб., 1950, стр. 235.
93. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 244-245.
94. Т. Микеладзе, К археологии Колхиды, Тб.1990, გვ. 77-78.
95. Т. Микеладзе, К археологии Колхиды, Тб.1990, стр. 75-76; ლ. სახაროვა, კიდევ ერთხელ კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხისათვის. „ძიებანი“, №10, თბ., 2002.
96. Т. Микеладзе, К археологии Колхиды, Тб.1990, стр. 77.
97. Б. Куфтин. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. ВГМГ, XII-B, 1944, стр. 328.
98. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 246.
99. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 228-229.
100. Б. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб.,1949, стр. 62-63.
101. დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978, გვ. 89.
102. დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. სიგკ. I, თბ., 1960 გვ. 192.
103. დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978, გვ. 88.
104. ა. რამიშვილი, გრავირებული კოლხურ ცულებიანი სამარხი სოფ. ნაცარგორადან, „ძიებანი“, №12, თბ., 2003, გვ. 41.
105. შდ. ა. რამიშვილი, კოლხური და შიდა ქართლური კულტურების ურთიერთობის საკითხები ნაცარგორის სამაროვნის მიხედვით„ძიებანი“, დამატებანი, XI, თბ., 2001, გვ. 159.
106. ა. რამიშვილი, კოლხური და შიდა ქართლური კულტურების ურთიერთობის საკითხები ნაცარგორის სამაროვნის მიხედვით„ძიებანი“, დამატებანი, XI, თბ., 2001, გვ. 157.
107. Т. Микеладзе, К археологии Колхиды, Тб., 1990, გვ. 78.
108. ე. გოგაძე, ც. დავლიანიძე, გორაძირი, თბ., 1981, გვ. 30.
109. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 38-40.
110. იხ. ი. კვირკვაია, ბრინჯაოსა და რკინის ცულები ძვ. წ. XIII-VI საუკუნეების ბორჯომის ხეობიდან. „ძიებანი“, №19, თბ., 2010.
111. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973, გვ. 196-197; გ. ავალიშ-

ვილი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974.
112. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 235.
113. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973, გვ. 167.
114. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ер. ,1964, стр. 116.
115. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955, გვ. 168.
116. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ер. 1964, стр. 64.; ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 235; Кушнарева К. Рысин М. Новые данные к проблеме датировки памятников «цветущей поры» триалетской культуры. „ძიებანი", დამატებანი, VI, Тb., 2001, стр. 107; ნიკოლეიშვილი ვ. სიხარულიძე ა. ინაშვილი გ. ირემაშვილი შ. მცხეთის შემოგარენში აღმოჩენილი ბრინჯაოს საბრძოლო–საპარადო ცული. „ძიებანი", №20, 2011, გვ. 238.
117. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955, გვ. 165-168; კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973, გვ. 167, 168.
118. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973, გვ. 168.
119. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1955, გვ. 165-168; კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973, გვ. 167-168; რ. დაველიანიძე, ფ. სადრაძე, ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი, თბ., 1993, გვ. 49.
120. დ. მუსხელიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემისათვის. „ქართველი ხალხის ეთნოგენეზი", თბ., 2002, გვ. 9.
121. კ. ფიცხელაური აღმოსაელეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1979; გვ. 167, 168; ლ. სახაროვა ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბ., 1976; შ. ჩართოლანი სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1979, გვ. 52; ა. კახიძე, შ. მამულაძე ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა. ბათუმი, 2000., გვ. 74–89.645
122. ნ. ახელედიანი, ი. სულხანიშვილი, ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი, „ძიებანი", №19, 2010, გვ. 126-127.
123. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), თბ., 1956. გვ. 46.
124. Э. Гогадзе, Курганное погребения Лило, ВГМГ, XXXII-Б, Тб., 1976, стр. 238.
125. რ. დაველიანიძე, ვ. სადრაძე, ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი, თბ., 1993, გვ. 64.
126. ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957, გვ. 59; დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი). სსმმ. XVIII–B, თბ., 1954, გვ. 68.

127. ნ. ოქრიპირიძე, ნ. მუხრანის ველის არქეოლოგიური ძეგლები ძვ. წ. XVII-VII სს. მსკა IV, თბ., 1965, გვ. 18.
128. ნ. ბარამიძე. კასპის სამაროვანი, მსკა IV, თბ., 1965, გვ. 43.
129. მ. კვაჭაძე. შუა ბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამარხები სოფ. კავთისხევიდან. „ძიებანი", №4, თბ., 1999, გვ. 24.
130. დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978, გვ. 8.
131. დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლული). სსმმ. XVIII–B, თბ., 1954, გვ. 65-68.
132. რ. აბრამიშვილი, თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი, თბილისი. არქეოლოგიური ძიებანი, I. თბ., 1978, გვ. 65-66, 131-132.
133. ა. რამიშვილი, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წაღვლში. ხაშურის ექსპედიციის შრომები I. „ძიებანი", დამატებანი, XII, თბ., 2004, გვ. 127.
134. Э. Гогадзе, Курганное погребения Лило, ВГМГ, XXXII-Б, Тб., 1976, таб. VI.
135. Б. Куфтин. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, стр. 42-43.
136. П. Уварова. Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, М., стр. 267-268; Б. Техов, Позднебронзовая культура лиахвского бассейна, Сталинир, 1957, стр. 52-53.
137. ნ. თუმიშვილი, მადნისჭალის სამაროვანი, თბ., 1972, ტაბ. XXVII, 66; რ. აბრამიშვილი, თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი, თბილისი. არქეოლოგიური ძიებანი, I. თბ., 1978, გვ. 65.
138. იხ. მაგალითად, გ. ნარიმანიშვილი, საფარ ხარაბას სამაროვანი, „ძიებანი", №17.18. თბ., 2006, გვ. 93.
139. კ. ფიცხელაური, გვიანი ბრინჯაოს სამაროვანი სოფ. გულგულასთან, მსკა, II, თბ., 1959, გვ. 143; ა. ნუცუბიძე, ალაზნის ველის ძვ. წ. XIV-XII სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.
140. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014. გვ. 61.
141. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 55-63.
142. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 262-264.
143. შდ. დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის რაიონი), თბ., 1961, გვ. 8-16, 37-41, 77.
144. ჯ. ნადირაძე, ყვირილას ხეობის არეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 134.
145. ჯ. ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, I, თბ., 1990, გვ. 127.
146. ზ. ბრაგვაძე, ვანის და საირხის შედარებითი ისტორიისათვის. „ძიებანი", №10, 2011, გვ. 273.
147. ე. გოგაძე, ც. დაუღიანიძე, გორაძირი, თბ., 1981, გვ. 22.

148. დ. მუსხელიშვილი, ხოლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978, გვ. 90.
149. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 76-81.
150. გ. ნარიმანიშვილი, ქართლში წითლად გამომწვარი კერამიკის გავრცელების შესახებ. სსმმ, X II-B, თბ., 1997, გვ. 182; ზ. მახარაძე, გ. ნარიმანიშვილი, ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში. „ძიებანი", №7, თბ., 2001, გვ. 51-52.
151. Г. Нариманишвили, Керамика Картли V- I вв. до н.э. Тб., 1991, გვ. 68; ქართლში წითლად გამომწვარი კერამიკის გავრცელების შესახებ. სსმმ, X II-B, თბ., 1997, გვ. 182.
152. Г. Нариманишвили, Керамика Картли V- I вв. до н.э. Тб., 1991, გვ. 68.
153. ზ. მახარაძე, გ. ნარიმანიშვილი, ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში. „ძიებანი", №7, თბ., 2001, გვ. 52.
154. დ. მუსხელიშვილი, ხოლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978, გვ. 75-77.
155. ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983, გვ. 12.
156. მ. მენაბდე, თ. კიღურაძე, სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981, გვ. 105-106, ტაბ. XVIII5.
157. დ. მუსხელიშვილი, ხოლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978, გვ. 91-92.
158. ზ. მახარაძე, გ. ნარიმანიშვილი, ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში. „ძიებანი", №7, თბ., 2001, გვ. 51-52.
159. შდ. ო. ლორთქიფანიძე, ძვ. წ. V-I საუკუნეების ქართლის (იბერიის) ისტორიის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხის შესახებ. „მაცნე", ისტორიის სერია, თბ., 1985, გვ. 156-157.
160. ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები), ვანი III, თბ., 1977., გვ. 20; О. Лордкипанидзе Вани в IV-III вв. до н.э. (о инновациях в материальной культуре). Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории причерноморья. Цхалтубо – 1982. Тб. 1985, გვ. 476, 480-481; Его же, Наследие древней Грузии, Тб., 1989, გვ. 274-275.
161. ზ. ბრაგვაძე, კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონების (ყვირილის ხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის. „მაცნე" ისტორიის სერია, №4, თბ., 1990, გვ. 138.
162. О. Лордкипанидзе Вани в IV-III вв. до н.э. (о инновациях в материальной культуре). Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории причерноморья. Цхалтубо – 1982. Тб. 1985, გვ. 481; Его же, Наследие древней Грузии, Тб., 1989, გვ. 275.
163. Б. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в цалкинском районе, Тб., 1948, გვ. 7-10.

164.Ю. Гагошидзе. Самадло (археологические раскопки), Тб., 1979, გვ. 91; მ. ინაძე. ელინიზმის გავლენის საკითხისათვის ამიერკავკასიის ქვეყნებში. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", თბ., 1976, გვ. 80; ო. ლორთქიფანიძე. ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები). ვანი III. თბ., 1977, გვ. 21; ზ. ბრაგვაძე, კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონების (ყვირილის ხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის. „მაცნე" ისტორიის სერია, №4, თბ., 1990, გვ. 139; Г. Нариманишвили, Керамика Картли V- I вв. до н.э. Тб., 1991, გვ. 8-78.

165.E. Akurgal, . Phrygische Kunst, Ankara, 1955, ტაბ. 33.

166.E. Akurgal, . Phrygische Kunst, Ankara, 1955, გვ. 51.

167.Ю. Гагошидзе, Самадло (археологические раскопки), Тб., 1979, стр. 109, прим. 34; ზ. ბრაგვაძე. კოლხეთის აღმოსავლეთ რაიონების (ყვირილის ხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის. „მაცნე" ისტორიის სერია, №4, თბ., 1990, გვ. 39.

168.დ. მუსხელიშვილი. სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014. გვ. 81.

169.Ю. Гагошидзе. Самадло (археологические раскопки), Тб., 1979, გვ. 47-48.

170.Ю. Гагошидзе, Самадло (археологические раскопки), Тб., 1979, გვ. 54.

171.Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, გვ. 31; Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949. გვ. 44 და შმდ.; Материалы к археологии колхиды, I, Тб., 1950, გვ. 40 და შმდ.; რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მსკა, თბ., 1959, გვ. 12; ლ. წითლანაძე. ვარსიმაანთ კარის სამაროვანი. „ჟინვალი", I, თბ., 1983, გვ. 59.

172.დ. მუსხელიშვილი. სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 244-245.

173.ზ. ბრაგვაძე, იბერია-კოლხეთის ზოგიეროი ისტორიულ-არქეოლოგიური პრობლემათათვის, „ძიებანი", №21, თბ., 2013, გვ. 254.

174.შდ. Г. Меликишвили, К истории древней Грузии. Тб., 1959, стр. 119.

175.Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, Тб., 1955, გვ. 36-38.

176.დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 58.

177.Г. Меликишвили, К истории древней Грузии. Тб., 1959, стр. 383.

178.დ. მუსხელიშვილი, აჭარის მოსახლეობის ეთნიკური ისტორიიდან „ანალები", №2, თბ., 1999, გვ. 7.

179.გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957, გვ. 188.

180.К. Пицхелаури, Мамаиашвили Н. Капанадзе М. Варазашвили В. Маисурадзе Б. Абдушелишвили М. Арехеологические исследования кахетской археологической экспедиции. ПАИ. 1979. Тб., გვ. 33.

181.დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 242.

182. გეორგიკა I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცეს და განმარტებანი დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961, 186, 230.
183. დ. მუსხელიშვილი, აჭარის მოსახლეობის ეთნიკური ისტორიიდან „ანალები", №2, თბ., 1999, გვ. 8.
184. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 97.
185. დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, თბ., 1997, გვ. 35, 51.
186. დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, თბ., 1997, გვ. 45.
187. დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, თბ., 1997, გვ. 49-50.
188. დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, თბ., 1997, გვ. 74-79.
189. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 128.
190. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 640-641.
191. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I, თბ., 1950, გვ. 248; П. Макалатиа, ТОПОНИМИКА Пшави-Арагвского ущелья. автореферат, Тб., 1971, გვ. 15.
192. თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 226, 227.
193. Г. Меликишвили, К истории древней Грузии. Тб., 1959, стр. 294-295; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 226, 227.
194. იხ. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 24, 25, 27, 32.
195. თ. ყაუხჩიშვილი, წილკნის აკლდამის ბერძნული წარწერა. „მაცნე" ისტორიის... სერია. №2, თბ., 1982.
196. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 88-89.
197. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 129-139.
198. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 137.
199. დ. მუსხელიშვილი, აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის. „არტანუჯი", №10, თბ., 2000.
200. გეორგიკა II.ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებანი დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965.
201. ნ. ლომოური, დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში. სინ, II, თბ., 1978, გვ. 188.
202. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, III §; მისივე, საქართველო IV-VIII საუკუნებში, თბ., 2004 გვ. 161.

203.დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 33.
204. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I, თბ., 1977, გვ. 229.
205.ნ. აფხაზავა, ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979, გვ. 36, 108.
206. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II, თბ., 1980, გვ. 152.
207. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 35-36.
208.დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 37-38.
209. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II, თბ., 1980, გვ. 79-80.
210.Л. Рчеулишвили, Купольная архитектура VIII-IX веков в Абхазии, Тб., 1988.
211.ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 294.
212.Г. Чубинишвили, Грузинское чеканное искуство, Тб., 1959, გვ. 139.
213.დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 38.
214.ე. მეტრეველი, საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976, გვ. 135.
215.ეფრემ მცირე, უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელ წიგნთა შინა მოიხსენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონი - საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959, გვ. 117.
216.ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955; 287, 384; II, თბ., 1959, 283.
217.Д. Мусхелишвили, Из исторической географии Восточной Грузии, Тб., 1982, გვ. 20-24.
218. ქართლის ცხოვრება, I, თბ,. 1955, 266.
219. Н.Марр, Арк, аун монгольское название христиан в связи с вопросом об армянах халкедонитах. ВБ. XII, 1906, 7; V.Minorsky, Caucasica IV. Bulletin of the School of Oriental and African Studies. London. Vol, XV, Part 3, N 512. 1953; Д. Мусхелишвили, Из исторической географии Восточной Грузии, Тб., 1982, გვ. 40.
220. დ. მუსხელიშვილი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II, თბ., 1980. გვ. 237-242.
221.ი. აბულაძე, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-XII სს-ში, თბ., 1944; ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევით და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1968.
222.ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 414.

223.ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, 414. შდ. იქვე, 277, 388, 389.
224. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 41.
225.ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 397.
226. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 41-42.
227.ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 414.
228.დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014, გვ. 42.
229.მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 104.

თავი II
ქართველი ერის განვითარების ძირითადი ტენდენციები XIII-XV საუკუნეებში

1. საზღვრების შესახებ მსჯელობა აქაც და ქვემოთ ეფუძნება: საქართველოს ისტორიის ატლასი, დ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბ. 2003; ზ. აბაშიძე, ვ. ეპაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი, ყოველი საქართველო, თბ. 2014.
2. Шихаб ад-дин ан-Насави. Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны, перевод З. М. Буниятова. М. 1996, с. 149.
3. Ибн ал-Асир, Тарих-ал-камилъ, перевод П. Жузе, Баку, 1940, გვ. 131; გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII–XIII ს-ის პირველ მესამედში, თბილისი, 1995, გვ. 162
4. Киракос Гандзакеци, История Армении, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларяна, Москва, 1976, с. 119-120; ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 169-170.
5. ჯ'უვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარს'ულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართ'ული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ. 1974, გვ. 28-29.
6. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ. 1982.
7. ჯ'უვეინი, გვ. 40.
8. ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ. 1987, გვ. 51.
9. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1955, გვ. 369.
10. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ.,

1984, გვ. 146, 147, 149; Մանր ժամանակագրություններ, XIII-XVIII դդ. Հատոր I. Կազմեց Վ. Ա. Հակոբյան. Երեվան, 1951, էջ. 43.

11. ან-ნასავი, გვ. 154-155, 157, 161-163, 183, 220.
12. ჯუვეინი, გვ. 30
13. შდრ. კ. ტაბატაძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV სს. სპარსული წყაროების მიხედვით, კრებ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 224.
14. ჟამთააღმწერელი, გვ. 53; ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1973, გვ. 259, 260.
15. ჟამთააღმწერელი, გვ. 126.
16. იქვე. გვ. 185-186.
17. The Travels of Marco Polo, the translation of Marsden revised, with a selection of his notes, edited by Th. Wright, London and New York, 1892, p. 33; ალ. თვარაძე, საქართველო და კავკასია ეეროპულ წყაროებში, თბ. 2004, გვ. 151.
18. იხ. ალ. თვარაძე. საქართველო და კავკასია..., გვ. 143, 147.
19. იქვე, გვ. 228-240.
20. Йоанн де Плано Карпини, История монгалов, Вильгельм де Рубрук, Путешествие в восточные страны. Введение, перевод и примечания А. И. Малеина. СПБ, 1911, с. 95 (ქვემოთ: რუბრუკი); Itinerarium Willelmi de Rubruk, Recueil de Voyages et de Mémoires, publié par la Société de Geographie, IV, Paris, 1839, p. 265 (ქვემოთ: de Rubruk). კავკასიონის ქედებს „გურჯისტანის (საქართველოს) მთებს ჰამდალლაჰ ყაზვინიც ეძახის (ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ, ვ. ფუთურიძისა, თბ. 1937, გვ. 24).
21. რუბრუკი, გვ. 171; de Rubruk, p. 384.
22. რუბრუკი, გე. 171; de Rubruk, p. 384.
23. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1990, გვ. 198-199.
24. ჟამთააღმწერელი, გვ. 67.
25. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 14-16; მისივე, ვახტანგ, უცნობი მე-XV საუკუნის აფხაზიმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი, ტფ. 1912, გვ. 11.
26. Աշխարացոյց Վարդանայ Վարդապետի, քննական հրատարակութիւն Հ. Պէրպէրենի, Բարիզ, 1960, էջ. 17.
27. Géographie d'Aboulféda. Traduite de l'arabe en francais et accompagnée de notes et d'éclaircissements par M. Reinaud. Π_1, Paris, 1848, p. 286; XIV XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, შესავა-

ლი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა, თბ. 1988, გვ. 53, 56.

28. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ. 1978, გვ. 267.
29. Abulfedae Tabulae quedam geographicae, nunc primum arabice editit, latine vertit, notis illustravit H. Wüstenfeld, Gottingae, 1835, p. 35-36.
30. ჟამთააღმწერელი, გვ. 74.
31. იქვე, გვ. 91.
32. იქვე, გვ. 74
33. კორპუსი, I, 147; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ. 1966, გვ. 258.
34. Աշխարացոյց Վարդանայ..., იქვე.
35. ჟამთააღმწერელი, გვ. 136.
36. იქვე, გვ. 90.
37. იქვე, გვ. 70.
38. Рашид ад-Дин. Сборник летописей. Том III, перевод с персидского А. Арендса, под ред. А. Ромаскевича, Е. Бстельса, А. Якубовского, М.-Л. 1946, с. 68; Абу Бакр ал-Кутби ал-Ахари. Тарих-и шейх Увейс, перевод М. Д. Кязимова и В. З. Пириева, Баку, 1984. с. 89.
39. იბნ ალ-ასირი, გვ. 146-148; ბ. სილაგაძე, არაბი მწერალი ყიეჩაღთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII ს-ის 20-ინი წლების დასაწყისში, ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, 1987, გვ. 76, 77.
40. ან-ნასავი, გვ. 186, 216.
41. კირაკოს განძაკეცი, გვ. 139; ბ. სილაგაძე, არაბი მწერალი..., გვ. 72.
42. ჟამთააღმწერელი, გვ. 56.
43. იქვე, გვ. 57.
44. სიტყვას „სომხეთი" ჟამთააღმწერელი არ იყენებს. მის სინონიმად, არშაკუნიანთა ქვეყანასთან ერთად, დასტურდება „ქუეყანად მჭარგრძელთა", რადგან სომხურ-ალბანური ტერიტორიები მხარგრძელთა სამ შტოს შორისაა გადანაწილებული: დვინს, ამბერდსა და ბიჯნისს იეანე და აეაგი ფლობენ, ანისსა და ვალაშკერტს – შანშე, შამქორს – ვარამ გაგელი (გვ. 54, 56, 57, 95, 119, 122). ქართველი მემატიანის თვალსაზრისით, მხარგრძელთა მამულები ისეთივე საქართველოებია, როგორც ბაკურციხელთა, სურამელთა, გამრეკელ-თორელთა, დადიანთა, რაჭის ერისთავთა თუ სხვათა საგამგეო-სამამულე ქვეყნები (გვ. 90-91).
45. ჟამთააღმწერელი, გვ. 94-95
46. Н. Эмин, Армянские надписи в Карсе, Ани и в окрестностях последнего, Москва, 1881, с. 52; Ч. Чпстпանեանց, Վիմական տարեգիր, Ս.-Պետերբուրգ, էջ. 74, 101; შ. დარჩიაშვილი, ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიიდან, თბ. 2010, გვ. 163; სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ,

ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ., 1978, გვ.18, 20-21.

47. Н. Эмин, დასახ. ნაშრ., გვ. 37; Ч. Чпстанянц, დასახ. ნაშრ., გვ. 90.
48. Н. Эмин, დასახ. ნაშრ., გვ. 31, 84; შ. დარჩიაშვილი, ძიებანი..., გვ. 145, 147, 154, 162; ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 2005, გვ. 51; სომხურ ხელნაწერთა.., გვ. 23; ჩვენთვის ცნობილი პირველი „სომეხთა და ქართველთა ამირსპასალარი" სარგის მხარგრძელია (სანაინის ეპიტაფია, 1187 წ. Ч. Чпстанянц, დასახ. ნაშრ., გვ. 36).
49. Н. Эмин, დასახ. ნაშრ., გვ. 51-52; შ. დარჩიაშვილი, ძიებანი..., გვ. 162-163.
50. Н. Эмин, დასახ. ნაშრ., გვ., 8-10, 20, 33, 55, 78, 87; შ. დარჩიაშვილი, ძიებანი..., გვ. 145-149, 155, 163. Ч. Чпстанянц, დასახ. ნაშრ., გვ. 165, 167, 169.
51. ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა.., გვ. 51
52. შ. დარჩიაშვილი, ძიებანი..., გვ. 143, 144. 146, 152, 157, 161-164; ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა.., გვ. 53, 55; Н. Эмин, დასახ. ნაშრ., გვ. 5-6, 37.
53. Н. Эмин, დასახ. ნაშრ., გვ. 7.
54. Պ. Մուրադյան, Հայաստանի վրացերեն արձանագրությունները (Երևան, 1977), էջ. 100, 119, 143, 172, 174-75, 177-79, 220-21;. თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, ქობაირის, ჰნევანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII-XIII, 2012-2013, გვ. 266, 271, 272, 274, 276.
55. Recueil des historiens des croisades, publié par les soins de l'Académie des Inscriptions et Belles-lettres. Documents arméniens, II, Paris, 1906, p. 291, შდრ. ფრანგ. ტექსტი, გვ. 156; Մանր ժամանակագրություններ, XIII-XVIII դդ. Հատոր II. Կազմեց Վ. Ա. Հակոբյան. Երևան, 1956, էջ. 139 (ქვემოთ: მცირე ქრონიკები, II); სტეფანოს ორბელიანი, „ცხოვრება ორბელიანთა", ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), გვ. 73; ვარდან არველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, თბილისი, 2002, გვ. 162.
56. კირაკოს განძაკეცი, გვ. 137; მცირე ქრონიკები, II, გვ. 137.
57. გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ. 1961, გვ. 8, 11, 16.
58. კირაკოს განძაკეცი, გვ. 149; მცირე ქრონიკები, II, გვ. 138; Մանր ժամանակագրություններ, XIII-XVIII դդ. Հատոր I. Կազմեց Վ. Ա. Հակոբյան. Երևան, 1951, էջ. 26, 39, 41, 105 (ქვემოთ: მცირე ქრონიკები, I); სტეფანოს ორბელიანი, გვ. 65, 69, 130, 132.

59. ამ კონტექსტში ალბანეთი გაგელთა საგამგეო ქვეყანას გულისხმობს, რაც აშკარა ხდება იქ დაპყრობილი ციხეების – ნორბერდი, შამქორი, გარდმანი და სხვ. – ჩამოთვლისას (გრიგოლ აკანელი, გვ. 11-12). ხორანა'შატის მონასტრის 1252 წ. სახარების მინაწერში კი პირდაპირაა ნათქვამი, რომ წიგნი „დაიწერა ... ალვანთა ქვეყანაში, ერგეევანქად წოდებულ მხარეში", აღბუღა გაგელის იშხანობის ჟამს (ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა.., გვ. 62). სხვა შემთხვევაში ალბანეთია განძა, ან კიდევ მუღანის დაბლობი (კირაკოს განძაკეცი, გვ. 149, 152).
60. კირაკოს განძაკეცი, გვ. 137
61. იქვე, გვ. 127.
62. სტეფანოს ორბელიანი, გვ. 82.
63. კირაკოს განძაკეცი, გვ. 155, 162, 180-181; სტეფანოს ორბელიანი, გვ. 103-104, 144
64. მცირე ქრონიკები, II, გვ. 151
65. გრიგოლ აკანელი, გვ. 9; კირაკოს განძაკეცი, გვ. 138 149; Recueil des historiens..., ფრანგ. 156, ლათ. 291; მცირე ქრონიკები, II. გვ. 138; მცირე ქრონიკები, I, გვ. 39; სტეფანოს ორბელიანი, გვ. 65, 130.
66. კირაკოს განძაკეცი, გვ. 157-167; ვარდანი, გვ. 162; სტეფანოს ორბელიანი, გვ. 72, 82, 132-33, 136.
67. იხ. აგრეთვე, ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49, ინტერპრეტაციისათვის, იქვე, გვ. 129-130; ი. აბულაძე, სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის განმარტების გარშემო, შრომები, IV, თბ. 1985, გვ. 111. სომხეთის სტატუსსა და ქართულ-სომხური ურთიერთობების შესახებ იხ. გ. მაისურაძე, ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII სს-ში, თბ. 2002, გვ. 234-270, მისივე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ. 1982, გვ. 77-113. შდრ. Armenian People from Ancient to Modern Times, v. I, ed. by R. Hovannisian, pp. 251-271.
68. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები..., გვ. 51.
69. იბნ ალ-ასირი, გვ. 162; ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, გვ. 23-24.
70. ან-ნასავი, გვ. 151-152, 218, ჯუვეინი. გვ. 29, 30, იბნ ალ-ასირი, გვ. 149, 156; Рашид ад-дин, Сборник летописей, I_2, перевод с персидского О. Смирновой, примечания Б. Панкратова и О. Смирновой, редакция проф. А. Семенова. М-Л. 1952, с. 227-228.
71. ჟამთააღმწერელი, გვ. 38.
72. იქვე, გვ. 53.
73. იქვე, გვ. 97.
74. იქვე, გვ. 64-65, 90-91.
75. იქვე, გვ. 99.
76. აბუსერიძე ტბელი, სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი (წგნ. წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსა-

ცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბილისი 1991, გვ. 264; ჟამთააღმწერელი, 62-63, 71-72.
77. ჟამთააღმწერელი, გვ. 127.
78. იქვე. გვ. 158, 159, 161, 162.
79. იქვე, გვ. 185-186. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.
80. ჟამთააღმწერელი, გვ. 70.
81. იქვე. გვ. 112, 122-123, 188.
82. იქვე, გვ. 163.
83. იქვე, გვ. 197.
84. იქვე, გვ. 110.
85. იქვე, გვ. 127.
86. იქვე, გვ. 125-126, 164, 184-185.
87. იქვე, გვ. 146.
88. იქვე, გვ. 110, 181, 185.
89. იქვე, გვ. 109-110.
90. Աշխարացոյց Վարդանայ..., გვ. 17; Կիրակոս Գանձակեցի, Պատմություն Հայոց, Աշխատասիրությամբ Կ. Ա. Մելիք-Օհանջանյանի, Երեվան, 1961, էջ. 389; მცირე ქრონიკები, I, გვ. 44.
91. Կիրակոս Գանձակեցի, გვ. 289.
92. Կիրակոս Գանձակեցի, გვ. 289, 315, 317, 389; მცირე ქრონიკები, I, გვ. 60.
93. „დავით ლაშას ძე თბილის ქალაქში იჯდა, ხოლო მეორე დავითი – სვანეთში" (კირაკოს განძაკეცი, გვ. 196).
94. „დაკუთარი (ე. ი. თეგუდარი – გ.ჭ.) სვანეთში გაიქცა" (მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლ. დაველიანიძემ, თბ., 1990, გვ. 84); შდრ. სტეფანოს ეპისკოპოსი: „თაკუდარი აფხაზეთს გაემართა და იქ დაიმალა (მცირე ქრონიკები, I, გვ. 44).
95. სტეფანოს ორბელიანი, გვ. 76-77, 134.
96. სტეფანოს ეპისკოპოსი და სტეფანოს ორბელიანი დავით ნარინს „სონთა მეფობით" მოიხსენიებენ (მცირე ქრონიკები, I, გვ. 49; სტეფანოს ორბელიანი, გვ. 75, 134).
97. მცირე ქრონიკები, I, გვ. 42.
98. იქვე, გვ. 44, 49. ვრაც-აფხაზი ანტონიმური ხასიათი კარგად იკვეთება ერთი ქრონოგრაფიული ცნობიდანაც, რომელიც XVI საუკუნით დათარიღებულმა ანონიმურმა ქრონიკამ შემოგვინახა: „ՉԸ թվին Դաւիթ թագաւորն Վրաց յԱփխազք եմուտ", ე.ი. 1259 წელს ქართველთა / ქართლის /საქართველოს მეფე დავითი აფხაზეთში გადავიდა (მცირე ქრონიკები, I, გვ. 149).
99. Recueil des historiens ..., p. 129, 268.
100. Հեթում Պամիչ, Թաթարաց, Յեղեալ ի լատին օրինակէ ի հայ բարբառ ի ձեռն Հ. Մկրտիչ աթոռակալ վարդապետի Աւգերեան, Վենետիկ, 1842, էջ. 14-15.

101. ფრანგ. ...for que le roiaume de Abcas, qui est en Jorgie; ლათ. ...preter regnum Abcas, quod est in Georgia (Recueil..., p. 139, 276); სომხ. ...բազ ի թագաւորութենէն Ափխազաց որ ի Վիրս (Հեթում Պամիչ, გვ. 24).
102. კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 225.
103. რაშიდ ად-დინი, „ჯამი ათ-თავარიხი", ტ. III, გვ. 67, 93, 123; კ. ტაბატაძე, რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ („მოქათაბათ-ე რაშიდი"), ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ. 1968, გვ. 81-84.
104. З. Буниятов, Материалы по истории Грузии в сочинении Кутб ад-дина ал-Йунини «Зайл Мир'ат аз-заман», მაცნე, ისტორიის ... სერია, № 4, 1972, გვ. 128-132; он же, Дополнительные сведения арабских авторов о пленении «грузинского царя» мамлюками, с. 101-106; Géographie d'Aboulféda. Traduite de l'arabe en francais et accompagnée de notes et d'éclaircissements par M. Reinaud. II_1, Paris, 1848, p. 40, 286; Taki-Eddin-Ahmed-Makrizi, Histoire des sultans mamlouks, de l'Egypte. Traduite en français, et accompagnée de notes philologiques, historiques, geographiques, par M. Quatremére. I_2, Paris, 1840, p. 18, 51; ივ. ჯავახიშვილი, დასხ. ნაშრ., გვ. 88; რაშიდ ად-დინი, „ჯამი ათ-თავარიხი", ტ. III, გვ. 65.
105. „მეფე (ლაშა გიორგი – გ.ჭ.) ... გარდავიდის ქუეთი აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი" (ჟამთააღმწერელი, გვ. 42).
106. საამისო მაგალითებისთვის იხ. ზემოთ.
107. ჯუვეინი, გვ. 25; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 92.
108. ჟამთააღმწერელი, გვ. 110.
109. იქვე, გვ. 125.
110. დავით ულუს „აფხაზთა მეფობა" დოკუმენტურად დასტურდება კახა თორელის 1260 წ. „დაწერილით" რკონის მონასტრისადმი (კორპუსი, I, გვ. 146, 147, 149). დავით ულუს აფხაზთა მეფობით (Դաւիթ թագաւորն յԱփխազք) მისი უმცროსი თანამედროვე, სტეფანოს ეპისკოპოსიც იხსენიებს (მცირე ქრონიკები, I, გვ. 43). იგივე ავტორი დავით გიორგის ძეს ქართლის/საქართველოს მეფესაც (Դաւիթ Վրաց) უწოდებს (იქვე, გვ. 44). ხომ არ არის დაკავშირებული ეს მონაცვლეობა ბიძაშვილ-მამიდაშვილის ზემოთნახსენებ გარიგებასთან?
111. კორპუსი, I, გვ. 161, 163.
112. იქვე, გვ. 167. ასევეა 1287/1288 წწ. დათარიღებულ სიგელში (იქვე, გვ. 181).
113. იქვე, გვ. 181.
114. იქვე, გვ. 183.
115. ე. ხოშტარია, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში, მრავალთავი, VI, 1978, გვ. 191.
116. აბუსერიძე ტბელი, გვ. 265. კაცისმჭამელი მგლები, შესაძლოა, მტრის ალეგორიას წარმოადგენდეს, თუმცა ხვარაზმელთაგან აოხრებულ ქვე-

ყანაში კაცისმჭამელი მგლების გამოჩენას სტეფანოს ორბელიანიც აღნიშნავს (გვ. 67).

117. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბ. 2013, გვ. 56.

118. „ყოველი საქართველო" დავითის ისტორიკოსს აქვს გამოყენებული (დავით აღმაშენებელს „...მოეყვანა ... გუარანდუხტ დედოფალი ... სჯულიერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოველისა საქართველოჲსა"). რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ასწლოვან მატიანის" შექმნამდე ეს ტერმინის გამოყენების ერთადერთი შემთხვევაა. ჟამთააღმწერელთანაც და დავითის ისტორიკოსთანაც „ყოველი საქართველო" კაეკასიის საქრისტიანოს აღნიშნავს, თუმცა ნიუანსური სხვაობაცაა: დავითის დროინდელი ქვეყანა აღმაეალია, წარმატებით იკრებს ქართულ და არაქართულ მიწებს, ჟამთააღმწერლის ქვეყანა კი დაღმავლობის გზაზეა დამდგარი, ბზარგაჩენილი და გახლეჩილი, რომელსაც ერთობის იდეალი ესაჭიროება. ნიშანდობლივია, დავითის ისტორიკოსის შემდეგ „ყოველი საქართველო" თითქმის ასი წლით ამოვარდა პოლიტიკური ლექსიკონიდან.

119. ჟამთააღმწერელი, გვ. 78.

120. იქვე, გვ. 82.

121. ე. ხოშტარია, საქართველოს პოლიტიკური ეროიანობის..., გვ. 192.

122. ჟამთააღმწერელი, გვ. 204.

123. იქვე, გვ. 219.

124. იქვე, გვ. 220.

125. ვახუშტი, გვ. 255.

126. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება", II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 108; ჟამთააღმწერელი, გვ. 84.

127. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1990, გვ. 197.

128. კორპუსი, II, 51, 56; ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, III, ტფილისი, 1910, გვ. 434; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, თბ., 2014, გვ. 287, 294.

129. კორპუსი, II, გვ. 61, 124, 128, 139, 230; კორპუსი, III, გვ. 38.

130. კორპუსი, I, გვ. 157.

131. ვახუშტი, გვ. 260; კორპუსი, II, გვ. 195.

132. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 632-640.

133. ე. კიკნაძე, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, მნათობი, № 9, 1982, 157-158; მისივე, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები, მნათობი, № 4, 1983, გვ. 161; ალ. თვარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 163, 166; XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები..., გვ. 53, 56.

134. ვ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები..., გვ. 161.
135. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები..., გვ. 54.
136. ამ გრძნობების შესანიშნავი გამომხატველია ჟამთააღმწერლის თხზულება: „სპარსნი ძუელითგან მტერნი არიან ჩუენ ქართველთანი" – ათქმევინებს მემატიანე სარგის ჯაყელს (გვ. 132). საინტერესოა იმავე ისტორიკოსის სხვა ცნობაც: „წარაელინეს მოციქული და აუწყეს აღება სპარსეთისა, საქართველოსა, საბერძნეთისა. და ყოველთა თემთა ქუდი და აბჯარი და ტანისამოსი გაუგზაენეს და წესი მიუმცნეს ესეეითარ: „ქართველნი სრულიად მოვიდეს მეფე და ერთობილნი მთავარნი, რომელთა აქუს სჯული კეთილი, და ტყუილსა ეელტიან, მწამლველი არცა თუ სახელ-იდების მათ შორის". და სპარსთათჳს მიუმცნეს ესრეთ: „არიან სპარსნი ცრუ, მოღალატე და ფიცის არშემნახველ, და მრავალნი იპოვებიან მწამლელნი და მამათმავალ ურცხჳნოდ" (გვ. 79-80). აღნიშნულ საისტორიო ნაწარმოებში „ქართველებისა" და „სპარსელების" დაპირისპირების სხვა არაერთი მაგალითია მოტანილი.
137. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, ტექსტები და გამოკვლევები მომზადებულია ქ. შარაშიძის მიერ, თბ., 1982, გვ. 38.
138. ან-ნასავი, გვ. 217.
139. Recueil..., p. 246-47 (ფრანგ.), 358 (ლათ.).
140. წყაროებშიც (ჟამთააღმწერელი, ბარ ჰებრეუსი, ჰეთუმი) და სამეცნიერო ლიტერატურაშიც კარგადაა ნაჩვენები, თუ რა დარტყმას აყენებდა ქართველთა გენოფონდს ეს გაუთავებელი ომები.
141. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები..., გვ. 51, 54.
142. С. Иванов, Византийское миссионерство: можно ли сделать из «варвара» христианина? М. 2003, с. 264.
143. ჟამთააღმწერელი, გვ. 51, 54, 60-62, 141, 216-217; კორპუსი, I, გვ. 151; კორპუსი, II, გვ. 219-20.
144. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ. 1980, გვ. 327. სიწმინდეების ძალით ქართველები იცავენ ქვეყანას, ამარცხებენ მომხდურთ, ათავისუფლებენ დაპყრობილ ციხე-სიმაგრეებს, ქვეყანას „წმედენ" ურჯულოთაგან (აბუსერისძე ტბელი, ჟამთააღმწერელი).
145. კორპუსი, III, გვ. 326-27.
146. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, დაბრუნება, II, თბ., 1991, გვ. 413-414; მ. ახალაშვილი, X-XV სს. წარწერები სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე, თბ, 1987, გვ. 65.
147. ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 414; მ. ახალაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 64.
148. ს. ჯანაშია, ქართველი ერის წარმოშობის შესახებ, შრომები, VI, თბ. 1988, გვ. 181; დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, კრებ. საქართველოსა და ქართველების..., გვ. 362.
149. დ. მუსხელიშვილი, იქვე.
150. ანბანების შესახებ წერილობით ძეგლებში იხ. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სა-

მეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ. 1988, გვ. 217-226.
151. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 221-222.
152. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია; სვანეთის წერილობითი ძეგლები, I-II, თბ. 1986-1988; პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941; ზემო სვანეთი, შუასაუკუნოვანი კედლის მხატვრობა. თბ. 2010.
153. გ. ღამბაშიძე, ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში, საბჭოთა ხელოვნება № 3 1976, გვ. 73-75; ვ. გამრეკელი, ისტორიული მასალები დვალეთიდან, სსმბ, XXIV-B, 1963, გვ. 98-101.
154. გ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 75-77; ნ. ჩიხლაძე, საქართველოს მუზეუმებში დაცული ნუზალის ეკლესიის კედლის მხატვრობის ასლები და მათი როლი მოხატულობის შესწავლის საქმეში, ნარკვევები, IX, 2004, გვ. 91-103. აღსანიშნავია, რომ ვ. კუზნეცოვიც თავდაპირველად ნუზალს „ქართული ხელოვნების შესანიშნავ ძეგლს" უწოდებდა (იხ. მისი Зодчество феодальной Алании, Орджоникидзе, 1977), შემდეგ კი ფერწერაში ქართული, ბიზანტიური და ადგილობრივი, ანუ ოსური ტრადიციები გამოყო, ხოლო ფერმწერად ვინმე ვოლა თლიაგი გამოაცხადა (В.А. Кузнецов, Реком. Нузал и Царазонта, Владикавказ, 1990, с. 64-74).
155. В. Миллер, Осетинские этюды, II , УЗИМУ, отдел историко-филологический, вып. второй, М. 1882, с. 256.
156. რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, I, თბ. 2005, გვ. 171.
157. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, ილ. აბულაძის საერთო ხელმძღვანელობითა და რედაქციით, IV, თბ. 1968, 348.
158. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ. 1963., გვ. 107-108.
159. იქვე, გვ. 106.
160. რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 174.
161. იქვე, გვ. 175.
162. იქვე.
163. იქვე.
164. გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, I, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, I, თბ. 1999, გვ. 99-100.
165. ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), მსკი, 30, 1954, გვ. 217-257, 263-88.
166. იქვე, გვ. 264.
167. Stéphannos Orbélian, Histoire de la Siounie. Traduite de l'armenien par M. Brosset. Saint-Pétersbourg, p. 263.
168. დ. ბერძენიშვილი, ძველი საქართველოს ციხესიმაგრეთა ზოგიერთი სახეობა წერილობითი წყაროების მიხედვით, ანალები, 1, 2007, გვ. 183-184.
169. Ahmed ibn Arabshah, Tamerlane or Timur the Great Amir, translated by J. H. Sanders, London, 1936, p 204; დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

170. დ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 183.
171. უამთააღმწერელი, გვ. 198-199.
172. იქვე, გვ. 202-203.
173. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 197, 390; დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, გვ. 373.
174. უამთააღმწერელი, გვ. 91
175. იქვე, გვ. 95.
176. იქვე, გვ. 37, 52, 112, 142, 157.
177. იქვე, გვ. 70, 71, 116, 186.
178. იქვე, გვ. 203, 210.
179. იქვე, გვ. 41, 72, 94, 97, 101, 107, 219-220.
180. იქვე, გვ. 70, 143.
181. იქვე, გვ. 72.
182. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, I, თბ. 1963, გვ. 426.
183. იქვე, გვ. 455.
184. იქვე, გვ. 463.
185. უამთააღმწერელი, გვ. 71.
186. იქვე.
187. ვ. სილოგავა, ანისის და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა, ახალციხე-ყარსი, ახალციხე, 2001, გვ. 43.
188. Н. Марр, Надпись Епифания, католикоса Грузии (Известия Императорской Академии Наук, СПБ, 1910.
189. Н. Марр, Надпись Епифания, с. 1440-1441; ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში, წიგნ. ქართველი ერის ისტორია, V, თბ. 1953, გვ. 139.
190. ვ. სილოგავა, ანისის და ყარსის..., გვ. 13-25, 41-47.
191. M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. Troisiéme rapport, SPB, 1851, p. 100-101; მისივე, Les ruines d'Ani, capital de l' l'Arménie sous les rois Bagratides, aux Xe et XIe S, histoire et description, SPB, 1860, p. 50.
192. შდრ. შ. დარჩიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 151; კორპუსი, I, გვ. 151.
193. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, III, თბ. 1970, გე. 177.
194. თ. უორდანია, ქრონიკები, II, ტფ. 1897, გვ. 229.
195. გ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა (თბილისი 1967), გვ. 338, შენ. 1; ხეც, დიმიტრი ბაქრაძის საარქივო ფონდი, № 32, გვ. 82, 84; Н. Марр, Дневник поездки в Шавшию и Кларджию, ТР, VII, 1911, с. 1; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, თბილისი, 1991, გვ. 385-390; Պ. Մուրադյան, Հայաստանի...

196.ჩანგლის წარწერა 1362 წლით თარიღდება.
197.გ. ჭეიშვილი, კარის (ყარსის) ქვეყნის საეკლესიო და პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, 2012, № 3, გვ. 44-45; შდრ. ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 390.
198.იბნ ალ-ასირი ანისისა და ყარსის გარნიზონს ქართველებად მოიხსენიებს (გვ. 162).
199.Всеобщая История Степаноса Таронского, Асохика по прозванию, переведена с армянского и объяснена Н. Эминым, Москва, 1864, с. 191.
200. Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, Баку, 1980, с. 13. ა. კერნისეულ პუბლიკაციაში ეს პასაჟი არ გვხვდება, იხ. Der `Libellus de Notitia Orbis" Iohannes III (de Galonifontibus?) O. P. Erzbischofs von Sultanyeh. Von Dr. Anton Kern, Archivum Fratrum Praedicatorum Volumem VIII (1938).
201.ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 258.
202. იქვე. გვ. 257-258.
203.მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ. 1895, გვ. 206.
204. იქვე. გვ. 205.
205.იქვე. გვ. 205-206.
206. გალონიფონტიბუსი, გვ. 13; de Galonifontibus, p. 113.
207. მარკო პოლო, გვ. 36; ალ. თვარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 152.
208.ჟამთააღმწერელი, გვ. 41; კორპუსი, I, გვ. 146-147; ვ. კიკნაძე, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 157.
209. ჟამთააღმწერელი, გვ. 59.
210.კირაკოს განძაკეცი, გვ. 147; ვ. კიკნაძე, იქვე.
211. სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების..., გვ. 57-58.
212.ალ. თვარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 141.
213.დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ. 2014, გვ. 47.
214.იბნ ალ-ასირი, გვ. 165.
215.ჟამთააღმწერელი, გვ. 195-196.
216.ხაზი ჩემია – გ.ჭ.
217.ვ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ, გვ. 157.
218.ისტორიანი და აზმანი, გვ. 90.
219.იხ. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ. 1979, გვ. 253-275.
220. ან-ნასაჲი, გვ. 204, 218, 220, 270; რუბრუკი, გვ. 173; de Rubruk, p. 388.
221.გრიგოლ აკანელი, გვ. 21; სტეფანოს ორბელიანი, გვ. 84.
222. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები, ტფ., 1926, გვ. 68-74; თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 259-307; Պ. Մուրադյան, Հայաստանի..., გვ. 163-189. ფრაგმენტი ბერი გიორგის წარწერიდან: „და დაჰჴსენ მიმძლავრებით წანაღები ზუარი რატისეული მეზურითა და განუსაკუთრ[ე] ამასეე ეკლესიასა უცხო თესლთაგან წანაღები". აქ ნიშანდობლივია ტერმინი „უცხოთესლი". ის, შეიძლება, მონღოლებსაც გულისხმობდეს (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ის-

ტორია, III, გე. 109) და სომეხ მონოფიზიტებსაც, იმის გათვალისწინებით, რომ მონღოლებს, ეითარცა მომთაბარეებს, ზერები ნაკლებად იზიდავდა, ალბათ. ასეთ შემთხვევაში, ბერი გიორგის ეროვნული ცნობიერების საკმაოდ სახასიათო შტრიხს დავამოწმებდით.

223. დ. კაციტაძე, რამდენიმე ცნობა „ჯამი ათ-თავარიხიდან" სადუნ მანკაბერდელის შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, II, თბ., 1979, 67-74, რაშიდ ად-დინი, ტ. III, გე. 49, 134.

224. სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების..., გე. 18. პროცესები, რა თქმა უნდა, მხოლოდ „გაქართველების" ნიშნით არ მიმდინარეობდა, იყო უკუქცევებიც. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ფაქტები: ა) ქობაირში შან'შე მანდატურთუხუცესის გვერდით მისი მწიგნობართუხუცესი მათე განისვენებდა (კირაკოს განძაკეცი, გე. 236; თ. ჯოჯუა, გ. გაგოშიძე, დასახ. ნაშრ., გე. 280-282); მისი ეპიტაფია ქართულია. შანშეს შვილიშვილის, შანშე II-ის საძვალე კი ანისში, ტიგრან ჰონენცის ეკლესიაში ყოფილა; მის გვერდით მათე (II) მწიგნობართუხუცესი იკრძალება. პატრონის ეპიტაფია ქართულია, მწიგნობართუხუცესის – სომხური (ვ. კეკელია, ანისის ტიგრან ჰონენცის ეკლესიის კონფესიონალური კუთვნილების საკითხისათვის, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, 2012, 105). იბადება კითხვა: გარკვეულ ისტორიულ გარემოებათა გამო მათეს სახლი ხომ არ გასომხდა? 2) ზაქარია ქანაქერცის თანახმად, მისი წინაპრები ქართველები ყოფილან, რომლებიც მეფე დათოს შვილის ავადმყოფობის დროს გადასულან შირაკში და გასომხებულან. მკვლევარები ამ ამბავს XIII ს-ის II ნახ. ათარიღებენ (ლ. დავლიანიძე, ზაქარია ქანაკერცის ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, 1987, გე. 109-111). თუ გადმოცემა რეალურია, გაბატონებული ერის საპირისპირო სარწმუნოებაში გადასვლის შემთხვევებიც გვექნება. 3) ხომ არ შეიძლება განვიხილოთ გასომხებულ-გამონოფიზიტებულად ვინმე ქართველი და მისი ძენი ხანძორექსის წარწერიდან (1213 წ.), იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იქ ნახსენები სარკაეაგ ეარდაპეტი, ეკლესიის ქტიტორი, ცნობილი სარკავაგ ვარდაპეტია, გეტიკის მონასტრის წიმნამძღვარი და მხითარ გოშის მოსწავლე? წარწერისა და ინტერპრეტაციის შესახებ იხ. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები..., გე. 198-199; გ. გაგოშიძე, ნ. ჩანტლაძე, მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში, თბ. 2009, გე. 120-123).

225. ქართულენოვნება სომეხი დიოფიზიტებისა, თუ კი მაინცდამაინც მათ მივაწერთ ქართულ წარწერებს ისტორიული სომხეთიდან, სულაც არ ყოფილა საყოველთაო. პირუკუ, ისინი სულდგმულობდნენ მშობლიური ენით, რომელიც მათი ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვითშეგნების უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენდა (იხ. გ. ჭეიშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები სომხეთში, ლოგოსი, № 7, 2013).

226. გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, I, გე. 100-102.

227. ჟამთააღმწერელი, გე. 38-39, 50, 67.

228.ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, 1990, გვ. 389-190.
229.სტეფანოს ორბელიანი, გვ. 54, 126.
230.კირაკოს განძაკეცი, გვ. 118, 141.
231.იქვე, გვ. 129.
232.იქვე, გვ. 139-140.
233.ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 77.
234.ჟამთააღმწერელი, გვ. 50; კირაკოს განძაკეცი, გვ. 138; მცირე ქრონიკები, I, გვ. 38; გრიგოლ აკანელი, გვ. 8-10; Recueil des historiens..., გვ. 156, 291.
235.ვარდანი, გვ. 160; მცირე ქრონიკები, II, გვ. 137.
236.იბნ ალ-ასირი, გვ. 137-142; რაშიდ ად-დინი, ტ. I_1, გვ. 195, ტ. I_2, გვ. 227-228.
237.ჟამთააღმწერელი, გვ. 54-56; კირაკოს განძაკეცი, გვ. 149.
238.კირაკოს განძაკეცი, გვ. 148.
239.მცირე ქრონიკები, I, გვ. 39; სტეფანოს ორბელიანი, გვ. 65-66, 130-131.
240. ან-ნასაევი, გვ. 151-152, 218-219; რაშიდ ად-დინი, ტ. I_2, გვ. 242-243; იბნ ალ-ასირი, გვ. 156-157; ჯუვეინი, გვ. 29-31.
241.ჟამთააღმწერელი, გვ. 74, 75-77; გრიგოლ აკანელი, გვ. 11-12, 17, 19-21; სტეფანოს ორბელიანი, გვ. 73; კირაკოს განძაკეცი, გვ. 176, 178.
242. ჟამთააღმწერელი, გვ. 55.
243.დედააზრი იყო: „ბერძნებთან ერთად ზეცად ასვლას ჩვენს მამებთან ერთად ჯოჯოხეთში ჩასვლა სჯობს " (Stéphannos Orbélian, p. 255).
244. Stéphannos Orbélian, p. 255-256.
245.კირაკოს განძაკეცი, გვ. 124-125, 149, 155); ვარდანი, გვ. 157; Stéphannos Orbélian, p. 253; ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 61.
246. შ. დარჩიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 157; ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53, 56, 61; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 198; გ. გაგოშიძე, ნ. ჩანტლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 122.
247. კირაკოს განძაკეცი, გვ. 114; შდრ. ვარდანი, გვ. 140.
248.სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების..., გვ. 51.
249. იქვე, გვ. 54.
250.ჟამთააღმწერელი, გვ. 67.
251.ან-ნასავი, გვ. 217; იბნ ალ-ასირი, გვ. 159; ჯუვეინი, გვ. 35-37; რაშიდ ად-დინი, ტ. II, გვ. 27-28.
252.მკვლევართა ნაწილი ამ ჩვენებას უნდობლად ეკიდება (გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 189).
253.ჟამთააღმწერელი, გვ. 138.
254.იქვე, გვ. 194.
255.იქვე, გვ. 118, 136.
256.იქვე, გვ. 51.
257. В. Миллер, Осетинские этюды, I , УЗИМУ, отдел историко-филологический, вып. первый, с. 138.
258.ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ. 1952, გვ. 238.

259.В. Миллер, Осетинские этюды, I, с. 159, прим. 4.

260. Дагестанские исторические сочинения, перевод А. Р. Шихсандова. М. 1993. с. 166.

261.П. Тахнаева, Христианская культура средневековой Аварии (V-XVI вв.) в контексте реконструкции политической истории. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. Махачкала 2001. http://www.krotov.info/history/10/3/avar_00.htm

262. იქვე.

263.მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 205; დ. კლდიაშვილი, ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები, I: სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, თბ. 2008, გვ. 163.

264. მ. ჯანაშვილი, იქვე; ატლასი, გვ. 55.

265.მ. ჯანაშვილი, იქვე.

266. გალონიფონტიბუსი, გვ. 14; de Galonifontibus, p. 113.

267. მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 207.

268.ა. ჩიქობავა, ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღისტნიდან, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 4, 1940; ტ. გუდავა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან, მსკი, 30, 1954, გვ. 185-196. დ. მუსხელიშვილის თანახმად, ეს წარწერები იმის მოწმობაა, რომ ქართული ენა და დამწერლობა გავრცელებული იყო დაღესტნელთა ზედაფენებშიც და მეთემეებშიც (იხ. მისი, ქართველთა თეითსახელწოდების ისტორიისათვის, გვ. 367).

269. Дагестанские исторические сочинения, с. 166; ტ. გუდავა, ორი წარწერა..., გვ. 187; П. Тахнаева, Христианская культура...

270. მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 209; К. Меретуков, Адыгейский топонимический словарь, 1990, с.85.; ე. შენგელია, რ. ჯანაშია, „ქართველის" სახელწოდებისათვის ჩერქეზულ და უბიხურ ენებში, საქართველოსა და ქართველების..., გვ. 320.

271.К. Меретуков, Адыгейский топонимический словарь, с. 96

272.А. Твёрдый, Топонимический словарь Кавказа. ix. apsnyteka.org.

273.იქვე

274. ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, ვინც დასახელებული ტოპონიმებით დაინტერესდა და მათ ახსნას ეცადა, ზ. რატიანი იყო (იხ. მისი, წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ. 1995).

275.მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 208; ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ. 1949, გვ. 251-52; С. Иванов, Византийское миссионерство, с. 255-260; იხ. Б. Виноградов, О реальности грузинского влияния на Северо-Западном Кавказе в X-XIII вв., ზურაბ პაპასქირი – 60, თბ. 2010-2013, გვ. 206-207.

276. გიულდენშტედტი პირდაპირ მიუთითებს, რომ "ძველ დროში" ჩერქესებში ქრისტიანობა ქართველებს შეჰქონდათ, იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, გერმანული ტექსტი ქართული ტარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. გელაშვილმა, თბ. 1964, გვ. 55, 171.

277.მ. ჯანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 209. სხვა ვარიანტით, ქურჯიფსზე მეფე რუსტამის მესამე შვილის რეზიდენცია ყოფილა (А. Твёрдый, Топонимический словарь Кавказа).
278.მ. ჯანაშვილი, იქვე.
279.ჟამთააღმწერელი, გვ. 38, 52, 80-81.
280.ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321.
281.ჟამთააღმწერელი, გვ. 73, 98-99.
282.Армянские источники о монголах, перевод с древнеармянского, предисловие и примечания А.Г. Галустяна. М. 1962, с. 44-45; შდრ. გრიგოლ აკანელი, გვ. 30 და კირაკოს განძაკეცი, გვ. 196-98.
283.ჟამთააღმწერელი, გვ. 179-180.
284.ჟამთააღმწერელი, გვ. 183; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 167.
285.Г. Анчабадзе, Источниковедческие проблемы военной истории Грузии. Тб. 1990, с. 153-154.
286.დედე ქორქუთის წიგნი, ოღუზურიდან თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს ე. ჯაველიძემ და გ. საყვალაშვილმა, თბ. 1987.
287.Книга моего деда Коркута, перевод В. В. Бартольда. М-Л. 1962. с. 120.
288.დედე ქორქუთის წიგნი, გვ. 45, შდრ. რუსული თარგმანი: `у прохода в Грузию сидят люди нечистой веры". ეს „საქართველოში შესასვლელი" გურჯი ბოღაზს ხომ არ გულისხმობს?
289.დედე ქორქუთის წიგნი, გვ. 146.
290. იქვე, გვ. 90.
291.იქვე, გვ. 102-103.
292.იქვე, გვ. 86-87, 163-164.
293.იქვე, გვ. 103.
294. იქვე, გვ. 144.
295.იქვე, გვ. 89; შდრ. რუსული თარგმანი: „уйду к кровожадному народу абхазов" (с. 49).
296. ჟამთააღმწერელი, გვ. 204.
297.იქვე, გვ. 204-205.
298.იქვე, გვ. 205.
299.იქვე.
300.ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 143.
301.თურქმანთა ცდები მოგვიანებითაც გრძელდებოდა (ვახუშტი, გვ. 259).
302.კორპუსი, II, გვ. 195.

თავი III
ქართველი ერის კონსოლიდაცია XVI-XVIII საუკუნეებში

1. ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, IV, თბ. 1948, გვ. 210-211; ე. ხოშტარია, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში, მრავალთავი, VI, 1978, გვ. 196-197.

2. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, თბ., 2014, გვ. 242, 308; Пурцеладзе Д. П., Грузинские церковные грамоты, 1881, с. 1; ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, II, თბ. 1965, გვ. 195, 205 (ქვემოთ: ქსძ); ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, გვ. 64; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955, გვ. 25, 45-46; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958, გვ. 17, 18, 20, 24.
3. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, 1913-1914, გვ. 191.
4. ს. ჯანაშია, შრომები, VI, თბ. 1988, გვ. 36-37.
5. С. Белокуров, Материалы для русской истории, М. 1888, с. 272, 297.
6. ი. ანთელავა, ლეევან II დადიანი, თბ. 1990, გვ. 116.
7. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, დაბრუნება, II, თბ., 1991, გვ. 462.
8. ქსძ, VI, თბ. 1977, გვ. 671.
9. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ. 1973.
10. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1959, გვ. 440 (ქვემოთ: ქც).
11. მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. იაშვილმა, თბ., 1974, გვ. 44.
12. Г. Пайчадзе, Русско-грузинские отношения в 1725-1735 гг., Тб. 1965, с. 94.
13. ს. კაკაბაძე, ცნობები ილორის ყმათა შესახებ ხონს და კუხს, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 162-163.
14. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ტექსტები გამოსაცემად მოამადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ე. სილოგავამ, თბ. 1988, გვ. 447-454.
15. იქვე, 441-442; თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტფ. 1897, გვ. 489
16. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ. 2014, გვ. 109.
17. საილუსტრაციოდ მოვიტან ორიოდე მაგალითს: გიორგი მეფის საფიცრის წიგნი გიორგი სააკაძეს: "ვიყოთ თქუენთვის ... მწყალობელი და მოპატივენი საქართველოშიგ იყო მაშინ, თუ სხვას თემს იყო – სადაც იყო... თუ ... შენ ან შენი ძმა და ან შენი შვილი ჩუენს ქვეყანას მოხვიდეთ, კიდეც კარგად გარჩინოთ " (ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა..., გვ. 24); ჩუენ ... მეფეთ-მეფემა ... გიორგი ... ესე ... სიგელი გი-ბოძეთ თქუენ ... წერეთელს ქაიხოსროს ... მას ჟამსა, ოდეს აგარიანთაგან საქართველოდამ ლიხთ-იმერეთს გარდმოვედით (იქვე, გვ. 42-43).

18. ს. კაკაბაძე, იქვე.
19. ბერი ეგნატაშვილი, გვ. 349. ამის მიხედვით, საქართველოს გარე პერიმეტრი ყოფილა ჯიქეთი, "სუანეთის მთის გარდმოღმართი", "დიგორის მთის აქათი", (ცენტრალური კავკასიონი და მისი პარალელური ჩრდილოეთის ქედი), "ჰევხილაკას აქათი, და კასრისჰევს-აქათი" (ე.ი. დვალეთი), "პალაკაციოდამე ... კარის სოფლის აქათი ერევნის საზღვრამდის" (ჩილდირი და აბოცი), "ბანბაკი და ლორე" (ტაშირი დებედას ზემო წელზე), "იქით კარის საზღვრამდის, აზრუმისაკენ გურჯი-ბორაზის აქათი" (მესხეთი), "ჰანეთი რკინის პალოს აქათი" (სამხრეთ-აღმოსავლეთ სავიზღვისპირეთი რიზემდე თუ ათინამდე).
20. კორპუსი, III, გვ. 186.
21. ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ. 1926, გვ. 7.
22. იხ. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოერება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1973.
23. იქვე, გვ. 39-40.
24. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი, თბ. 1999, გვ. 2-3.
25. იქვე, გვ. 18-19.
26. იქვე, 22-23.
27. იქვე, 24-25
28. იქვე, 78-79.
29. ევლია ჩელები, *„მოგზაურობის წიგნი"*, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, I, თბ. 1971, გვ. 315.
30. იქვე, გვ. 270.
31. ვახუშტი, აღწერა, გვ. 291-292.
32. იქვე, გვ. 32-34.
33. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალ. ჭყონიასი, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ. 1938-
34. დ. მერკვილაძე, პ. გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის "წმინდა კოლხეთი", ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XII-XIII, 2012-2013, გვ. 242.
35. იქვე, გვ. 253.
36. Иоанн де Галонифонтибус, Сведения о народах Кавказа, Баку, 1980, с. 10.
37. იქვე, გვ. 11.
38. იქვე.
39. Der "Libellus de Notitia Orbis" Iohannes III (de Galonifontibus?) O. P. Erzbischofs von Sultanyeh. Von Dr. Anton Kern, Archivum Fratrum Praedicatorum Volumem VIII (1938).p. 112.
40. Book of the Knowledge of all the Kingdoms, Lands and Lordships ... Written by a Spanish Franciscan in the Middle of the XIV Century... Translated and Edited by Sir Clements Markham. London, 1912, pp. vii-xiii; Т. Берадзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тбилиси, 1989, с. 44-47.; ალ. თვა-

რაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ. 2004, გვ. 295-302.

41. Book of the Knowledge, pp. 56-57, 71-73; Т. Берадзе, Мореплавание..., გვ. 46-47; ალ. თვარაძე, საქართველო და კავკასია..., გვ. 296-297.
42. ვახუშტი, აღწერა, გვ. 806.
43. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 58; დ. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქათველო XV საუკუნის 60-იან წლებში, თბ. 1989, გვ. 94, 99; XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ. 1981, გვ. 33, 55; შდრ. ე. მამისთვალიშვილი, ოდიშის ისტორიიდან, თსუ შრომები: ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, № 310, 1992, გვ. 49-52.
44. კორპუსი, III, გვ. 187.
45. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, ტფ. 1920, გვ. 26.
46. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1990, გვ. 614-615; დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები..., გვ. 277.
47. Ш. Ногмов, История адыхейского народа. Напечатанная с подлинной, исправленной рукописи и доплнена предисловием, биографиею автора, примечаниями и приложсниями Ад. Берже. Тифлис, 1861, с. 69-71.
48. С. Званба, Абхазские этнографические этюды, Сухуми, 1982, с. 5.
49. იქვე, გვ, 43
50. დ. მუსხელიშვილი, სამეცნიერო სტატიები..., გვ. 275-276, 292; აღნიშნული თქმულების შესახებ აფხაზთა და აბაზთა ეთნიკური ისტორიის კონტექსტში იხ. Л. Лавров, Историко-этнографические очерки Кавказа, Л. 1978, с. 41-46.
51. Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. К. Гарданова. Нальчик, 1974, с. 47. იტალიელ ავტორს დასახელებული აქვს cavo di Bussi (ბზის კონცხი), რომელსაც, ჩვეულებრივ, ბიჭვინტის კონცხთან აიგივებენ. მისი ლოკალიზაციისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ადლერს იქით ბზა აღარ ხარობდა (Ф/илипсон А/., Черкесы, казаки и адехе, Русский Вестник, 48, 1863, с. 862).
52. ვახუშტი, აღწერა, გვ. 786.
53. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 417.
54. ჯიქთუბანში, XVI-XVII სს. საეკლესიო დავთრების მიხედვით, შემდეგი გვარები ცხოვრობდნენ: რაზმაძეები, შენგელიები, ვახანიები, ვერულაშვილები, კოპალაიშვილები, ქუარქუალიძეები, მამფორიები... (ქსძ, III, თბ. 1970, გვ. 411, 641; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ., 1921., გვ. 149-150; II, 74-75); ჯიქიებს ან ჯიქიძეებს მათ შორის არ ეხვდებით. ეს გარემოებაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ტოპონიმი არა გვარსახელიდან (ჯიქიების // ჯიქაძეების უბანი), არამედ ეთნონიმიდან (ჯიქნი) მომდინარეობს.

55. საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში (საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი), II, შემდგენლები დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი, დ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბ. 2010, გვ. 490; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, V, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, ნ. მშვიდობაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ. ტომი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა მ. სურგულაძემ, თბ. 2015, გვ. 504.
56. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, ტფ. 1909, გვ. 37. ე. თაყაიშვილი საბუთს 1413-1444 წწ. ათარიღებს (იქვე, გვ. 35), ს. კაკაბაძე – 1490 წ. (სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 65), პირთა ანოტირებული ლექსიკონის შემდგენლები – 1484-1510 წწ. (ტ. I, თბ. 1991, გვ. 160).
57. Л. Лавров, Этнография Кавказа, Л. 1982, с. 86.
58. Л. Лавров, «Обезы» русских летописей, СЭ, 4б 1946, с. 163.
59. С. Званба.Абхазские этнографические этюды, с. 12.
60. Т. Бердзе, Мореплавание..., gv. 58.
61. J. Boissardo, Vitae et Icons Sultanorum Turcicorum, Principum Persarum..., Francforti, 1596, p. 345; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, თბ. 1984, გვ. 113.
62. არქანჯელო ლამბერტი, გვ. 5; ევლია ჩელები, გვ. 96.
63. ევლია ჩელები, იქვე.
64. მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკობისა, გვ. 146; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ. 1987, გვ. 166; С. Белокуров, Материалы..., с. 351-352.
65. ი. ტაბაღუა, საქართველო..., III, გვ. 157; მ. თამარაშვილის პუბლიკაციით, ამ მდინარეს აუსი ერქვა (დასახ. ნასრ, გვ. 144).
66. საქართველოს ისტორიის ატლასი, დ. მუსხელიშვილის რედაქციით, თბ. 2003, გვ. 48, 50; შდრ. Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней. Тб. 2009, с. 208.
67. ვახუშტი, აღწერა, გვ. 782. არქანჯელო ლამბერტი, გვ. 166.
68. Ю. Воронов, Келасурская стена, СА, 2, 1973, с. 115, 119-120.
69. იქვე, გვ. 106.
70. იქვე, გვ. 115-116.
71. იქვე, გვ. 116
72. ი. ტაბაღუა, საქართველო..., III, გვ. 169-171; არქანჯელო ლამბერტი, გვ. 168-169; ევლია ჩელები, გვ. 100-106.
73. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 615.
74. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთს სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა დ აკომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ. 1975, გვ. 107.
75. იქვე.
76. მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკობისა, გვ. 204-205.

77. ვახუშტი, აღწერა, გვ. 845.
78. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ., 1921, გე. 88.
79. იქვე.
80. И. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков, Сухуми, 1949, с. 38.
81. დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993, გვ. 343.
82. იხ. ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, თბ., 1940.
83. ფრონელი
84. ვახუშტი, აღწერა, გვ. 654-655.
85. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 138-139.
86. ოსთა განსახლების გეოგრაფიასა და ქრონოლოგიაზე მსჯელობისას ვეყრდნობით რ. თოფჩიშვილის დასახ. ნაშრომს.
87. ვახუშტი, აღწერა-
88. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა..., გვ. 139.
89. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ. 1940, გვ. 364.
90. В. Итонишвили, Осетинщина. Некоторые вопросы истории осетин Шида Картли, Тб. 2010, с. 113-132.
91. იქვე, გვ. 125.
92. წერილობითი წყაროებით ცნობილია გიორგი სააკაძის, ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის დამსჯელი ლაშქრობები (დიდმოურავიანი, ვახუშტი, პაპუნა ორბელიანი).
93. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, გვ. 233.
94. В. Миллер, Осетинские этюды, I , УЗИМУ, отдел историко-филологический, вып. первый, с. 141.
95. ნ. ვიტსენი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარეთი, საქართველო ანუ იბერია და სამეგრელო, თარგმნა და კომენტარები არჩილ და ნინო ჯაველიძეებმა, თბ. 2013, გვ. 231.
96. იქვე, გვ. 7.
97. იხ. В. Мачарадзе, Материалы по истории русско-грузинских отношений во второй половине XVIII века. Часть I. Русско-грузинские отношения в 40-50-е годы XVIII века. Тб. 2007.
98. სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბ., 1964, გვ. 170.
99. იხ. მაგ., "ლორე-ფანბაკის" მელიქის შაქროას წერილი რაინეგსისადმი, იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ., 284.

100. 1708 წლით დათარიღებულ ერთ ნასყიდობის წიგნში გარიგების მოწმედ გამოდის ლორელი არღუთას-შვილი ფარსადანა. იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940.

101. იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, კალმასობა, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ც. კახაბრიშვილმა, ც. კიკვიძემ, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1990, გვ. 490.

102. Жизнь Артемия Арартского. Издание подготовил К. Н. Григорян при участии Р. Р. Орбели, Л., 1980

103. ბერი ეგნატაშვილი, გვ. 387.

104. დაწვრილებით იხ. გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ. 1982; რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, I, თბ. 2005, გვ. 161-168.

105. იხ. გ. გაგოშიძე, ნ. ჩანტლაძე, მონოფიზიტური ძეგლები საქართველოში, თბ. 2009.

106. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საზიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ. 1981, გვ. 156.

107. იქვე, გვ. 172.

108. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, III, 1, თბ., 1988, გვ. 547.

109. С. Бурнашев, Картина Грузии или описание политическаго состоянмя царств карталинскаго и кахетинскаго, Тф. 1896, с. 6.

110. თ. ენუქიძე, მასალები ქართლის სამეფოს სამდივანბეგო სასამართლოს ისტორიისათვის (1755-1760 წწ.), XIV-XVIII სს., თბ. 1964, გვ. 23; ქსძ, VII, თბ. 1981, გვ. 491-492.

111. ქართული ეპისტოლარული წყაროები (XV ს. – 1762 წ.), შეად-გინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მ. ბერძნიშვილმა, თბ., 1989, გვ. 43-71.

112. СМОМПК, 17, 1893.

113. ლ. დავლიანიძე, ჰაკობ კარნეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 43 (ხელნაწერი).

114. იქვე, გვ. 44.

115. ვახუშტი, აღწერა, გვ. 660-661.

116. თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, თბ. 1967, გვ. 370-371.

117. ბერი ეგნატაშვილი, გვ. 384.

118. Г. Берадзе, Л. Смирнова, Материалы по истории ирано-гркзинских взаимоотношений в начале XVII века, Тб. 1988, с. 46.

119. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ. 1966, გვ. 32.

120. ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 8.

121. იქვე.
122. იქვე, გვ. 9.
123. ბერი ეგნატაშვილი, გვ. 366.
124. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, თბ. 1939.
125. ვახუშტის ნიშანდობლივი თქმით "გარნა გლეხთა უწიგნიოტაცა უწყიან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებელისა და თამარისა" (აღწერა, გვ. 292).
126. З. Авалав, Присоединение Грузии к России, СПБ. 1901, 27-28.
127. თ. ჟორდანია, ქრონიკები, III, გვ. 273.
128. С. Бурнашев, Картина Грузии..., с. 10.
129. В. Мачарадзе, Грузинские документы из истории русско-грузинско-египетско-эфиопских отньшении 80-х годов XVIII века, Тб. 1967, с. 25.
130. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფ. 1936, გვ. 15.
131. იქვე, გვ. 16
132. იქვე, გვ. 17.
133. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 725-729; დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ალ. დაუშვილი, საქართველოს ისტორია, თბ. 2012, გვ. 362-367.
134. ქსძ, II, გვ. 501.
135. იქვე, 502-503.
136. ს. ჯანაშია, შრომები, VI, გვ. 186-187.
137. დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, გვ. 374.
138. იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ. 1957, გვ. 33.

თავი IV
საქართველოს სამეფო-სამთავროები და მისი ისტორიული ტერიტორიები სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების წინ

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 845.
2. იქვე, გვ. 848.
3. АКАК, Т. 2.с.340.
4. АКАК, Т. 2. с. 366.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 850.
6. ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985, გვ. 7.
7. იქვე.

8. არჩილ გელოვანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003. გვ. 43.
9. იქვე.
10. გ. გასვიანი, აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზები, თბ.,1998, გ. 138.
11. З.В. Анчабадзе, Очеркэтнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, с.77.
12.გ. ანჩაბაძე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, თბ., 2011, გვ. 140.
13. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, თბ., 2007, გვ. 205.
14. ჯ. გამახარია, აფხაზეთიდამართლმადიდებლობა, თბ., 2005, გვ. 346.
15.З.В. Анчабадзе, Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, с.76.
16. გ. გასვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139-141.
17 პ. იოსელიანი, ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, თბ., 1978, გვ. 28.
18. მ. გონიკიშვილი, ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 2002, გვ. 115.
19. იქვე, გვ. 119.
20. ესინ დაი, ელვიე - სელასე – სამი სანჯაყი (ყარსი, ბათუმი, არტაანი), იხ. „ახალციხე – ყარსი (სიმპოზიუმის შრომები), ახალციხე-ყარსი, 2001, გვ. 89.
21. Н.Е.Сольнишкин, Артвин и артвиский округ, Тиф. 1912, с.5.
22. იქვე, გვ. 6
23. ო. გოგოლიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში, თბ., 2009, გვ. 6.
24. იქვე, გვ. 5.
25. იქვე. გვ. 7.
26. იქვე, გვ.12
27. დ. ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1988, გვ. 18.
28. მემუდ აბაშიძის პირადი წერილი მამია ორახელაშვილისადმი, იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 1, ს. 854, ფურც.17-18.
29. ი. ბერიშვილი, ქრისტიანობა აჭარაში, ბათუმი, 1990, გვ. 51.
30. უ. ბლუაშვილი, კიდევ ერთხელ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შესახებ; ლ. ჯანიაშვილი, კიდევ ერთხელ ტერმინ „თურქი მესხის“ შესახებ – რამდენიმე მოსაზრება უ. ბლუაშვილის სტატიაზე კიდევ ერთხელ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შესახებ, იხ. ჟურნალი „ანალები“, №10, თბ., 2014, გვ. 487-501; სოფი ტურნონ, „მესხური საკითხი“ საქართველოში, იხ. კრ. „დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელობა (კონფერენციის მასალები), თბ., 2013 17 – 18 მაისი, გვ. 136-150. და სხვ.

31. გ. ქიმაძე, ქართული სახელმწიფოებრიობა და „თურქი მესხების“ პრობლემა, თბ. 2004, გვ. 10.
32. სერგი მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 67.
33. ლ. ჯანიაშვილი, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნოისტორიული პრობლემები, თბ., 2006, გვ. 15.
34. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, ახალციხე, 2011, გვ. 105.
35. იქვე, გვ. 149-150.
36. რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2008, გვ. 71.
37. იქვე. გვ.119-120.
38. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 845-846.

თავი V

რუსეთის დამპყრობლობა საქართველოში, სამხრეთ კავკასიური ომები და ქართველი ერის კოლონიალიზაციის პროგლემა

1. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ.2008, გვ. 28.
2. იქვე.
3. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980 გვ. 26.
4. იქვე, გვ. 19.
5.შ. კაკურია, ქ. თბილისის მოსახლეობა. 1803-1970 წწ. თბ., 1979, გვ. 11.
6. მ. ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012. გვ. 10.
7.ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985, გვ. 17.
8. იქვე, გვ.21.
9. მ. ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ., 2012. გვ. 41.
10. მ. ხომერიკი, იმერეთის დე იურე მეფე ვახტანგ ბაგრატიონი, თბ., 2012, გვ. 6-7.
11. ა. ბენდიანიშვილი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, თბ., 2006, გვ. 191.
12. იქვე, გვ. 197.
13. ქ. ჩხატარაიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 33.
14.საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973 გვ. 886.
15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 220-221.
16. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, ახალციხე, 2011, გვ. 157.
17. ციტირებულია, შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.
18. შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170.
19. იქვე, გვ. 177.

20. მ. მგალობლიშვილი, ლ. მიქიაშვილი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ცნობები ახალციხის შესახებ, „ანალები“, 2002, №2, გვ. 60.
21. ლ. ჯანიაშვილი, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნოისტორიული პრობლემები, თბ., 2006, გვ. 23.
22. შ. მეგრელაძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956 წ. გვ. 12.
23.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. 3, ბათუმი, 2008, გვ. 43.
24. საქართველოს ისტორია (ოთხ ტომეული), ტ. 4, თბ., 2012, გვ. 78.
25. შ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.12.
26. ესინ დაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.
27. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 441.
28.газ. «Кавказ», 1877 г.21 апреля.
29.газ. «Кавказ», 1877 г.15 мая.
30. შ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.
31. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. 3, ბათუმი, 2008, გვ. 446-47.
32. იქვე.
33. იქვე, გვ. 6.
34. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5. თბ., 1970. გვ.443.
35. იქვე.
36. газ.«Кавказ», 1877 г. 26-27 июля.
37.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. 3, ბათუმი, 2008, გვ. 49.
38. იქვე, გვ. 48.
39. ესინ დაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.
40.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. 3, ბათუმი, 2008, გვ. 53-54.
41. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან – აფხაზეთი, თბ., 2007, გვ. 241.
42. იქვე.
43. იქვე, გვ. 244.
44. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 445.
45. გ. ანჩაბაძე, დასახ ნაშრომი, გვ. 74.
46. იქვე, გვ. 83.
47. საქართველოს ისტორია (ოთხტომეული), ტ. IV, თბ., 2012, გვ. 15.
48. М.Ткавашвили, Русско-осетинское противостояние в Грузии в начале XIX века. в книге «Некоторые вопросы истории осетин шида картли», Тб., 2010, стр.220.
49. ა. ბენდიანიშვილი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, თბ., 2006, გვ. 126.
50. იქვე, გვ. 217.
51. მ. ხომერიკი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები, თბ. 2012, გვ. 147.

52. საქართველოს ისტორია (ოთხტომეული), ტ. IV, თბ., 2012, გვ. 33.
53. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან – აფხაზეთი, თბ., 2007, გვ. 252.
54. მ. გონიკიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130-131.
55. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 835.
56. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921. თბ., 1980, გვ. 102.
57. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 504.
58. გაზ. „ივერია", 1888, 28 სექტემბერი.
59. იქვე.
60. Е. Б. Пчелов, Объект русских государей: особенности структуры и принципы формирования. Интернет издание, с.1.
61. Там же, с. 4.

თავი VI
ინტეგრაციული და დეზინტეგრაციული პროცესები საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში

1. И. Ш. Джаошвили, Население Грузии, Тб., 1968. с.8.
2. იქვე, გვ. 48.
3. Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Тифлисская губерния, 1905, с.VI.
4. Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Кутаисская губерния, 1905, с.V.
5. Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Тифлисская губерния, 1905, с. VI.
6. Сборникъ статистическихъ свъедъний о Кавказе, т.1. Тифлисъ,1869. с. 23.
7. Потто, Путишествие царской симьи на Кавкаезе, Тифлисъ, 1888с.159-186.
8. Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Кутаисская губерния, 1905, с.3.
9. იქვე.
10. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი. თბ., 2007, გვ. 265.
11. იქვე, გვ. 266.
12. Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Тифлисская губерния, 1905, с.XI.
13. Первая Всеобщая перепись населения Российской Империи 1897, Кутаисская губерния, 1905, с.IX.
14. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967. თბ., 1967, გვ. 35.
15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ. 1970, გვ. 363.
16. იქვე.
17. გ. მარგიანი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 . თბ., 1976, გვ. 277.

18. ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 54.
19. ა. გელოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.
20. გ. მარგიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.
21. იქვე, გვ. 393.
22. ნ. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.
23. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა. 1921-1967, თბ., 1967, გვ. 36.
24. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 421.
25. И. Г. Антелава, Э.А. Орджоникидзе. Э.В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельсом хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967, с. 3.
26. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, დასახ, ნაშრომი, გვ. 140.
27. იქვე, გვ. 141.
28. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი. თბ., 2007, გვ. 251.
29. იქვე, გვ. 164.
30. ესინ დაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.
31.ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.
32. ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938, გვ. 67-68.
33. ჯ. კარალიძე, აჭარა 1878-1903 წლებში, თბ., 2009, გვ. 43.
34. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი. თბ., 2007, გვ. 252.
35. იქვე.
36. ესინ დაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.
37. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. 3, ბათუმი, 2008, გვ. 69.
38. იქვე. გვ. 63.
39. იქვე, გვ. 76-77.
40. З. В. Анчабадзе, Очерк этнической историиабхазского народа, Сухуми, 1976. с. 85.
41. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი. თბ., 2007, გვ. 254.
42.ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, დასახ, ნაშრომი, გვ. 40.
43. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ. 1970, გვ. 471.
44. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, დასახ, ნაშრომი,გვ. 40.
45. დ. მუსხელიშვილი, მ.სამსონაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 2012, გვ.436.
46. ამიერკავკასიის ძველი მუშების ნაამბობი დიდ სტალინზე, თბ., 1939, გვ. 13.
47. სცსა, ფ. 440, აღ. 2, ს. 3, ფურც. 55.
48. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ. 1970, გვ. 644.
49. იქვე, 647.

50. ა. გელოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 347.
51. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, დასახ, ნაშრომი, გვ. 307.
52.იქვე, გვ. 312.
53. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.
54. იქვე.
55. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967. თბ., 1967, გვ. 37-38.
56. შავშელი, ქართველი გრიგორიანელები, თბ., 1906, გვ. 8.
57. შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე, სომხები საქართველოში, თბ., 1998, გვ. 73.
58. მთავარეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე), ქართლ-კახეთი, ქართველთა გასომხება, მანგლის-წალკის ეპარქია, 1999, გვ. 13.
59. შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.
60. გ. მაისურაძე, ქართულ-სომხური ურთიერთობების ისტორიოგრაფიიდან, თბ., 2008, გვ. 109.
61. შ. თეთვაძე, ო. თეთვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.76.
62. შავშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21-22.
63. იქვე, 113.
64. იქვე,103-104.
65. იქვე, გვ. 66.
66. მ. პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995. გვ.306-307.
67. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ.737.
68. Первая Всеобша перепись населения Россиской Империи 1897. Тбилисская губерния, с. 74.
69. Перва Всеобшая перепис населения Россиской Империи 1897. Кутаисская губерния, с. IX.
70. თ. იველაშვილი, კათოლიკობა საქართველოში. თბ., 2009, გვ. 95.
71. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 722.
72. მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 313.
73, მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.737.
74. ვ. მენაბდიშვილი, კათოლიკობა საქართველოში, ქუთაისი, 2005, გვ. 78.
75. ქ. პაველიაშვილი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია (1800-1945). თბ., 2008, გვ. 104.
76. გ. ყორანაშვილი, დიმიტრი ყიფიანი ახალი დიმიტრი თავდადებული, თბ., 2009, გვ. 303.
77. ი. უთურაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, თბ., 1989, გვ. 290.
78. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 2009, გვ. 1099.
79. Первая Всеобшая перепись населения Россиской Империи 1897. Тбилисская губерния, с. IX.
80. Первая Всеобшая перепись населения Россиской Империи 1897. Кутаисская губерния, с.VIII.

81. Первая Всеобша перепись населения Россиской Империи 1897. Кутаисская губерния, с. 84-85.
82. ესინ დაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.
83. ქ. პავლიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ.85.
84. Н. А. Бердяев. Истоки и смысль русского коммунизма, см. « История России.XX век»
М., 2000. с.27.
85. К.Маркс, Ф. Энгельс, соч.,т. 4. с. 371.
86. К.Маркс, Ф. Энгельс, соч.,т. 17. с. 553.
87. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 90.
88. მ. ჩოდრიშვილი, ჩემი თავგადასავალი, თბ., 1927, გვ. 88.
89. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 47.
90. М. Горкий, соч. т. 25, с. 25.
91. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 39.
92. იქვე, გვ. 41.

თავი VII
ქართველი ინტელიგენცია („თერგდალეულები") ერის კონსოლიდაციის სათავეში

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ხუთ ტომად, ტ. 5, გვ. 268-269.
2. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ხუთ ტომად, ტ. 5, გვ. 239.
3. იქვე, გვ. 207-208.
4. ციტირებულია, გ. ყორანაშვილი, ილიას ფენომენი, თბ., 2007, გვ. 28.
5. ი. ჩხაიძე, ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალისტური პროექტი („თერგდალეულები"), თბ., 2009, გვ. 63.
6. ციტირებულია, გ. ყორანაშვილი, ილიას ფენომენი, თბ., 2007, გვ. 28.
7. ციტირებულია, ვ. გურული, თ. წითლანაძე. გ. ქავთარაძე, ბ. შურღაია, ილია ჭავჭავაძე და ქართული ეროვნული ცნობიერება, თბ., 2009, გვ.18.
8. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ5, გვ. 206-207.
9. ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 2006, გვ.101.
10. ჯ. ღეინჯილია, პოეტური ენერგია, თბ., 1980. გვ. 286.
11. ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.
12. შაეთელი, ქართველი გრიგორიანები, თბ., 1906, გვ. 18.
13. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 4, თბ., 1987, გვ. 23.
14. დ. გამეზარდაშვილი, ილია ჭავჭავაძე დიდი ქართველი სამოციანელი, თბ., გვ. 46.
15. ი. ჭავჭაძე, თხზ. ტ. 3, თბ., 1986, გვ. 18-19.
16. დ. გამეზარდაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.
17. ე. მაღრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967, გვ.490.
18. იქვე, გვ. 493-493.

19. ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 2006, გვ.70.
20. შაცთელი, თბ., 2006, გვ. 45.
21. ვ. კიკნაძე, ქართული დრამატული თეატრის ისტორია, თბ., 2003, გვ. 50.
22. ი. მეგრელაძე, იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, თბ., 1988, გვ. 11.
23. ი. ჭავჭავაძე, თხ'ხ. ტ. 5, გვ. 197.
24. ი. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42,
25. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5, გვ. 262.
26. ი. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.
27. იქვე.
28. იქვე, გვ. 63.
29. ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1960, გვ. 20.
30. ი. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.
31. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, თბ., 2007, გვ. 268.
32. ტ. ხუნდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
33. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, გვ. 816.
34. პ. ინგოროყვა, შესავალი წერილი, ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1957, გვ. LVII.
35. ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938, გვ. 12.
36. ციტირებულია, დ. გეგეჭკორი, ი. გოგებაშვილის მოთხრობა „იაყნანამ რა ქმნა!", იხ. კრ. „მოძღვართმოძღვარი", თბ., 1991, გვ. 106.
37. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, დასახ ნაშრომი, გვ. 337-338.
38. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 811.
39. იქვე, გვ. 811-812.
40. პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი 1629-1929, თბ., 1929, გვ. 170.
41. იქვე.
42. გაზ. „დროება", 1875 № 146.
43. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5. გვ.187.
44. იქვე, გვ. 253.
45. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 336.
46. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.5, თბ., 1987, გვ. 12.
47. ე. ქაჯაია, ქართული თეატრი აფხაზეთში (1885-1940), თბ., 2000, გვ. 15.
48. იქვე, გვ. 19-20
49. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5. თბ., 1970., გვ. 826.
50. ი. ფერაძე, გიორგი ერისთავი და ქართული თეატრი, ქუთაისი, 1919, გვ.40.
51. ციტირებულია: ვ. კიკნაძე, ქართული დრამატული თეატრის ისტორია, თბ., 2003, გვ. 349.

52. ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, თბ., 1938, გვ. 4.
53. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IV, თბ.,1987, გვ.167-168.
54. იქვე, გვ. 165.
55. სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 91.
56.ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 4, თბ., 1987, გვ. 160-161.
57. იქვე.
58. ლ. გავაშელი, ია კარგარეთელი, თბ., 1959, გვ.74.
59. ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.
60. იქვე, გვ.117-118.
61. ლ. გავაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78-79.
62. ტ. ხუნდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120
63. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 424.
64. შ. ქისტაური. ილია ჭავჭავაძე – დიდი ქართველი ბანკირი-ფინანსისტი, თბ., 1998. გვ. 13.
65. იქვე. გვ. 23.
66. იქვე, გვ. 26.
67. გ. ყორანაშვილი, ილიას ფენომენი, თბ., 2007, გვ. 29.
68. შ. ქისტაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 24-26.
69. იქვე, გვ. 28.
70. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა (აკად. პ. გუგუშვილის რედაქციით), თბ., 1967, გვ. 55.
71. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 3, თბ., 1986, გვ. 25.
72. სერგეი მესხი, წერილები აჭარაზე, ბათუმი, 2000, გვ.31.
73. ვ. წულუკიძე, პირველი ქართული სკოლა აჭარაში. ბათუმი, 1982, გვ.16.
74. „დროება“, 1878, № 239.
75. შ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.
76. ე. ბუბულაშვილი, აჭარის შემოერთება და ქართველი სამღვდელოება, კრ.„ „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“, თბ., 2001, გვ. 204-205.
77. ი. ჭავჭავაძე, თბზ, ტ.5, თბ., 1987, გვ. 158.
78. „დროება“, 1878 № 146.
79. ი. ჭავჭავაძე, თხზ, ტ. 5, თბ., 1987, გვ. 213.
80. შ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.
81. სერგეი მესხი, წერილები აჭარაზე, ბათუმი, 2000, გვ. 21.
82. „დროება“, 1880 წ. № 227.
83. ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. 2, თბ., 1940, გვ27.
84. ალ. გობრონიძე, იაკობ გოგებაშვილი და აჭარა, ბათუმი, 2000, გვ. 213.
85. იქვე, გვ. 230-231.
86. ვ. წულუკიძე, პირველი ქართული სკოლა აჭარაში, ბათუმი, 1982, გვ. 20.
87. „დროება“, 1889 წ. 23 დეკემბერი.
88. ალ. გობრონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

87. ვ. წულუკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 1
88. ალ. გობრონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.
89. ვ. წულუკიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 19
90. თ. კომახიძე, აჭარის კულტურის ისტორია, ბათუმი, 1999, გვ. 5-6.
91. ე. ბუბულაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 206-207.
92. საქართველოს შინგან საქმეთა სამინისტროს არქივი, მეორე განყოფილება, ფ.14, აღ. 1, ს. 854, ფურც. 17.
93. ილია ჭავჭავაძე, თხზულებები, პ. ინგოროყვას შესავალი წერილი, თბ., 1957, გვ. XIX.
94. გ. ყორანაშვილი, ილიას ფენომენი, თბ., 2009, გვ. 370.
95. პ. რატიანი, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა. აზროვნება, შემოქმედება, იხ.: თხს. ტ. II, თბ., 1985, გვ. 171.
96. ო. გოგიაშვილი, ილია დღეს, თბ., 2008, გვ.118.
97. გ. ყორანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.
98. ციტირებულია, ა. ბაქარაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 2006, გვ. 35.
99. იქვე, გვ. 173.
100. იქვე, გვ. 170.
101. პ. რატიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

თავი VIII
პრობლემები ქართველების ერთიანობის მიღწევის გზაზე

1. газ. «Кавказ». 1901, 27 сентября.
2. ვ. გურული, იოსებ სტალინი, თბ., 1998, გვ. 20.
3. პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890-1914), ბათუმი, 1959, გვ. 72.
4. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971. გვ. 140.
5. სკკპ... რეზოლუციებში, თბ., 1954, გვ. 101.
6. საქართველოს ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ.156, აღ. 2, ს. 9, ფურც. 30.
7. იქვე, ფ. 95, აღ. 1, საქ. 10, ფურც. 10-12.
8. ა. და პ. სურგულაძეები, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 163.
9. ო. გოგიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 741.
10. იქვე, გვ. 740.
11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 161.
12. პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. LVI.
13. М.Ферро, Николай II, М.,1991. с. 84-85.
14. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, მეორე განყოფილება, ფ. 14, აღ. 1, ს. 854, გვ. 20.
15. ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათუმი, 2005, გვ. 34.
16. იქვე, გვ. 44.

17. იქვე, გვ. 77.
18. იქვე, გვ. 95.
19. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, თბ.,2007, გვ. 279.
20. ი. ბ. სტალინი, თხზ.ტ. 2, გვ. 432.
21. Р. Такер, Сталин – Путь квласти, М., 1990; Л.Д. Троцкий, Сталин, М., 1990; А. Островский, Кто стоял за спиной Сталина. М., 2002; А. Балок, Гитлер-Сталин., М., 2002 и др.
22. ა. დაუშვილი, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი 2, „კობა“, თბ., 2004, გვ. 254-297.
23. ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 2, გვ. 319.
24. იქვე, გვ. 383, 390, 391, 395.
25. გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, 1912 წ. №12.
26. ვახტანგ გურული, მერაბ ვაჩნაძე, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ., 1999; ს. ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში, თბ., 2007.
27. ა. ჯორჯაძე, ეროვნული პრობლემის გარშემო, თბ., 1911, გვ. 24.
28. იქვე, გვ. 43.
29. იქვე, გვ. 63.
30. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980, გვ.182.
31. იქვე, გვ. 172.
32. მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990, გვ. 20.
33. იქვე, გვ. 21.
34. ა. ჩხენკელი ერი თუ კაცობრიობა, თბ., 2000, გვ. 13-16.
35. ა. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 298.
36. იქვე, გვ. 310-311.
37. ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი,დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 351.
38. ა. ვარაზაშვილი, ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX ს.დასაწყისში. 1917 წლამდე), თბ., 2000, გვ. 75-76.
39. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, თბ., 2007, გვ. 278.
40. ვაჟა ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, ინტერნეტ პორტალი „ბურუსი“, გვ. 1-2.
41. დ. პაიჭაძე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, ჟ. „ანალები“, 2000 წ. №1, გვ. 114.
42. ესინ დაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.
43. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდგომში: სცსა), ფ. 1880, აღ.1, ს.152, ფურც. 8.
44. გაზ. „პრავდა“, 1918 წ. 20, 28 ივნისი.
45. ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა და რუსეთის ბოლშევიკური პრესა, თბ., 2013, გვ. 14-16.

46. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი. თბ., 2007 გვ. 292.
47. გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 26 ოქტომბერი.
48. გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 5 იუნისი.
49. გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 11 ივლისი.
50. ა. დაუშვილი, ტოლერანტული ურთიერთობის ერთი საკითხი დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში („ეროვნული საბჭოები“), იხ. ქართველოლოგიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბ.,2011, გვ. 83.
51. ესინ დაი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.
52. იქვე.
53. გაზ. „ერთობა“, 1918 წ. 24 ივლისი.
54. ამის შესახებ იხ.: კ. წენგუაშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და რუსეთის ბოლშევიკური პრესა, „ანალები“, 2009 წ. № 4, გვ. 263.
55. გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 1 თებერვალი.
56. გაზ. „ერთობა“, 1920 წ.2 მარტი.
57. ა. დაუშვილი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2009, გვ. 179.
58. ესინ დაი, დასახ ნაშრომი, გვ. 95.
59. ა. დაუშვილი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2009, გვ.176.
60. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკეთი I, მემედ აბაშიძე (1917-1923) დოკუმენტებისა და მასალების კრებული, შედგენილი აპ. სილაგაძისა და ვ. გურულის მიერ. თბ., 1998, გვ. 38-39.
61. შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წწ., თბ., 2001, გვ. 242.
62. დ. ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში, 1918-1921 წლები, თბ., 2003, გვ. 306.
63.საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1863, საქ. 9, ფურც. 50-51.
64. პ. გელეიშვილი, პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში. პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთეს აპოლონ სიალაგაძემ და ვახტანგ გურულმა, თბ.,. 1998, გვ. 11.
65.საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდგომში: სცსა), ფ. 1833, აღ.1, ს.153, ფურც. 513.
66. ო. გოგოლიშვილი, სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მეოცე საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 2001. სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი, გვ. 192.
67. გაზ. „ერთობა“, 1919 წ. 23 თებერვალი.
68. დიდნი საქმენი, თბ., გვ. 476.

69. საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს. იხ. ა. და პ. სურგულაძეები, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 361.
70. დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 9-10.
71. იქვე.
72. დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 8-9
73. იქვე, გვ. 42.
74. ა. ნიკოლეიშვილი, განათლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918 წ. მაისი – 1921 წ. თებერვალი), თბ.,2000, გვ. 6.
75. დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000, გვ. 47-53.
76. ა. ნიკოლაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
77. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972, გვ. 713.
78. Музыкальная энциклопедия, т. 4, М., 1978, с. 165.

თავი IX
ქართველების ეროვნული ერთიანობა საფრთხეში

1. ი. ბ. სტალინი, თხზ, ტ. 4, გვ. 444.
2. ნ. კირთაძე. ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, თბ., 1997, გვ. 103.
3. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, მ. ჯაფარიძე, კ. წენგუაშვილი, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში. თბ., 2008 გვ. 134.
4. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 19, გვ. 506.
5. იქვე. გვ. 284-285.
6. სკკპ... რეზოლუციებში, თბ., 1954, გვ. 530.
7. იქვე, გვ. 565.
8. Н. Верт, История Советского Государства. М., 2000. с.173.
9. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 300, ს. 81, ფურც. 14-15.
10. იქვე, გვ. 17.
11. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 1. გვ. 414-415.
12. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 12, გვ. 142-143.
13. სკკპ... რეზოლუციებში, თბ., 1954, გვ. 44-45.
14. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952. თბ., 2001, გვ. 66.
15. მ. გეგუტიშვილი, ახალი საბჭოთა ტრადიციები საქართველოში, თბ., 1972, გვ. 48-49.
16. ГАСПИ РФ, ф.17, оп. 3, д. 426, с. 78.
17. ГАСПИ РФ, ф.17, оп. 112, д. 411, с. 3.
18. ირ. არაბიძე, „განახლების მოძრაობა“ საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში, თბ., 2005, გვ. 23.
19. იქვე, გვ. 77-78.
20. С. Билокин, Механизм большевитского насилия, Киев. 2002, с.7.

21. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სუიცსა), ფ. 285, ს.163, ფურც.213.
22. იქვე, ფურც.116.
23. ГАСПИ РФ, ф.17, оп. 2, д.151, с. 501.
24. სუიცსა, ფ. 284, აღ. 2,ს. 1, ფურც. 69.
25. ГАСПИ РФ, ф.17, оп. 2, д.151, с. 513.
26. გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ., 9 სექტემბერი.
27. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 5, ფურც. 60.
28. იხ. გ. გასვიანი, აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნეში, თბ., 2004, გვ. 309.
29. აჭარა რუსი დიპლომატის თვალით, კ. იუსტის მოხსენება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი დაურთეს მ. ვაჩნაძემ და ვ. გურულმა, თბ., 1998. გვ. 15.
30. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004 გვ. 111-113.
31. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 425, ფურც. 206.
32. იქვე.
33. იქვე, ფურც. 210
34. იქვე, გვ. 91.
35. ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
36. ა. დაუშვილი, ანტისაბჭოთა აჯანყება სვანეთში, „საისტორიო მოამბე“, №79-80, თბ., 2009-2010, გვ. 181.
37. გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ. 7 ივნისი.
38. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღ. 1, საქ. 32, ფურც. 53.
39. ნურჰან აიდინი, ყარსის ხელშეკრულება და მისი ისტორიული მნიშვნელობა, „ახალციხე-ყარსი“ (სიმპოზიუმის შრომები), ახალციხე-ყარსი, 2001, გვ. 141.
40. ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის 18-20 მარტი, თბ., 2011.
41. ვიკიპედია, მოსკოვის ხელშეკრულება (რუსულ ენაზე), გვ. 1.
42. ნურჰან აიდინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.
43. იქვე.
44. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 13 ივლისი.
45. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 10 ივლისი.
46. ა. დაუშვილი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2009, გვ. 20.
47. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 10 ივლისი.
48. იქვე.
49. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, მეორე განყოფილება, ფ. 14, აღ. 1. ს.5, ფურც. 35-36.

50. ა. დაუშვილი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2009, გვ. 23-24.
51. აჭარის სახელმწიფო არქივი, ფ. რ-4, ს.249, ფურც. 13.
52. ა. დაუშვილი, ქედის ინცინდენტი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2009, გვ.32-61.
53. ი. მანველიძე, ანტისაბჭოთა გამოსვლები აჭარაში 1921-1930 წლებში, საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2001, გვ. 50
54. ГАСПИРФ, ф. 85,оп.25,д. 60,с.1-4.
55. აჭარის სახელმწიფო არქივი, ფ. რ-4, ს.249, ფურც. 17.
56. იქვე.
57. ო. გოგოლიშვილი, ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში, ბათუმი, 2000, გვ.78.
58. იხ. ა. კოჭლავაშვილი, საკოლმეურნეო მოძრაობის საწყისი ეტაპი, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ.VII, თბ., 1976, გვ. 498.; ამ თემაზე იხ.: ი. მანველიძე, ანტისაბჭოთა გამოსვლები აჭარაში 1921-1930 წლებში, საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 2001, გვ. 50; რ. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს სოფელში კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან (1926-1932 წწ), „საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები", თბ., 1971; ო. გოგოლიშვილი, დასახ. ნაშრომი; ა. დაუშვილი, ხულოს ამბოხება, „აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები", თბ., 2009, გვ. 66-67 და ა.შ..
59. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 3, ფურც. 13.
60. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 3, ს. 268, ფურც. 197.
61. იქვე, ს. 264, ფურც. 23.
62. იქვე, ფ. 14, აღ. 7, ს. 45, ფურც. 201.
63. იქვე.
64. იქვე, ფ. 14, აღწ. 1, ს. 51, ფურც. 22-23.
65. იქვე, ფ.14, აღწ. 2, ს. 363, ფურც. 61.
66. იქვე, ფ. 14, აღ. 4, ს. 24, ფურც. 69.
67. იქვე.
68. ა. კოჭლავაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 498.
69. გაზ. „კომუნისტი", 1925 წ. 12 სექტემბერი.
70. დეტალურად ამ თემაზე იხ. ა. დაუშვილი, დეცენტრალიზაციის პროცესები საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წელებში., „კლიო", №9, თბ., 2000, გვ. 145-183.
71. გაზ. „კომუნისტი", 1925 წ. 15 სექტემბერი.
72. გაზ. „კომუნისტი", 1925 წ. 16 სექტემბერი.
73. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 28, ს. 718, ფურც. 29.
74. იქვე, ფ. 28, ს. 213, ფურც. 2.

75. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4. ს. 5, ფურც. 108-109.
76. იქვე.
77. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 28, ს. 314, ფურც. 4.
78. იქვე, გვ. 5.
79. იქვე, გვ. 18.
80. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 6. ს. 266, ფურც. 33.
81. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 1. ფურც. 49.
82. იქვე, ფ. 14, აღ. 4, ს.273, ფურც. 94.
83. იქვე, ს. 150, ფურც. 281.
84. იქვე, ფურც. 273.
85. იქვე.
86. იქვე, ფ. 14, აღ. 4, ს.296, ფურც. 57.
87. იქვე, ფ.14, აღ. 6, ს. 266, ფურც. 47.
88. იქვე, ფურც. 27.
89. იქვე, ფურც. 47.
90. იქვე ფურც. 191.
91. იქვე, ფურც. 225-226.
92. გ. ციციშვილი, მაფალუ (დოკუმენტები და კომენტარები), წიგნი I, თბ., 2007.
93. მ. წერეთელი, ფედერატიული საქართველო, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წ. 24 ივნისი.
94. მ. დუმბაძე, ვასალიტეტი საქართველოში X-XII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), საკანდ. დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1982.
95. მ. სამსონაძე, აბსოლუტური მონარქიის ხასიათის შესახებ შუა საუკუნეების საქართველოში, „ანალები“, 2007 წ., №1, გვ. 351-365.
96. სუიცსა, ფ. 28, აღ. 2, ს. 2., ფრც. 9-10.
97. გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 5 მარტი.
98. სუიცსა, ფ. 300, ს. ფურც. 14; 181.
99. ГАСПИ РФ, ф. 558, оп.11, д. 32, с.45.
100. სუიცსა, ფ. 300, ს. 68, ფურც. 1.
101. გაზ. „კომუნისტი“, 1927 წლის 7 აგვისტო.
102. სუიცსა, ფ. 300, ს. 21, ფურც. 1.

თავი X
ქართველი ერის კონსოლიდაციის სტალინ-ბერიასეული „გეგმა“

1. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 645.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 535-536.

3. საქართველოს ისტორია (ოთხტომეული), ტ. IV, თბ., 2012, გვ. 338.
4. გაზ. „კომუნისტი“, 1931 წ. 3 ნოემბერი.
5. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 13, თბ., 1952, გვ. 42.
6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967, თბ., 1967, გვ. 226.
7. საბჭოთა საქართველოს 40 წელი (სტატისტიკური კრებული), თბ., 1961, გვ. 52.
8. Народное хозяйство Грузинской ССР к 60-летию великого октября, Тб., 1977, с. 134.
9. საბჭოთა საქართველოს 40 წელი (სტატისტიკური კრებული), თბ., 1961, გვ. 52.
10. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967, თბ., 1967, გვ. 256.
11. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925), თბ., 1958, გვ. 165.
12. რ. კოჭლამაზაშვილი. ეკონომიკური წყობები საქართველოს სოფლის მეურნეობაში (1921-1929), ჟურ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, 1968, №1.
13. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, მ. ჯაფარიძე, კ. წენგუაშვილი, ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი საქართველოში XXს. 20-იან წლებში, თბ., 2008, გვ. 428.
14. გაზ. „კომუნისტი“, 1929 წ. 14 ნოემბერი.
15. გაზ. „კომუნისტი“, 1939, 10 დეკემბერი.
16. საბჭოთა საქართველოს 40 წელი (სტატისტიკური კრებული), თბ., 1961, გვ. 86.
17. იქვე, გვ. 91.
18. იქვე, გვ. 90.
19. იქვე, გვ. 34-35.
20. გაზ. „სოციალ-ფედერალისტი“, 1921 წ. მაისი.
21. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 1, ს. 37, ფურც. 137.
22. დაუშვილი, საეროვნებათაშორისო ურთიერთობა საქართველოში 1921-1941 წწ. თბ., 2000, გვ. 12.
23. შანიძე. ქართული გრამატიკა, მორფოლოგია, თბ., 1930, გვ. VII.
24. დედა ენა (ვ. ძიძიგურის რედაქციით), თბ., 1939, გვ. 77.
25. საბჭოთა საქართველოს 40 წელი (სტატისტიკური კრებული), თბ.,1961, გვ. 153.
26. იქვე, გვ. 155.
27. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის, განყოფილება 1. თბ., 1929, გვ. 104.
28. სტატისტიკური კრებული, თბ., 1935, გვ. 40.
29. იქვე, გვ. 46-47.
30. БрачевВ. С. «Дело историков», М., 2000, с. 3.
31. ს. ჯორბენაძე, დასახ. წიგნი, გვ. 586-587.

32. სამი დაუვიწყარი დღე (ს. ჯანაშიას უბის წიგნაკიდან), პუბლიკაცია მოამზადა რ. ჯანაშიამ, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2004 წ., 6 ივნისი.
33. ნ. ბერძენიშვილი, შეხვედრა სტალინთან, „ცისკარი“, 1998 წ. №1, გვ. 99.
34. გაზ. „მუშა“, 1927, 14 იანვარი.
35. ვ. თვალაძე, კულტურული და პოლიტსაგანმანათლებლო სტრუქტურები 1921-1925 წლების საქართველოში, თბ., 2002, გვ. 106.
36. სტატისტიკური კრებული, თბ., 1935, გვ. XI.
37. საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ., 1961, გვ. 165.
38. იქვე.
39. სუიცსა. ფ. 281, აღ. 2, ს. 17, ფურც. 5.
40. შ. მაჭავარიანი, ქართული საბჭოთა დრამატული თეატრის განვითარების გზები 1921-1926 წწ. საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერი, თბ., 1961, გვ. 111.
41. ბაბუნაშვილი, კულტურული მშენებლობა საქართველოში აღდგენით პერიოდში 1921-1925 წწ. თბ., 1955, გვ. 105.
42. საბჭოთა საქართველოს 40 წელი, (სტატისტიკური კრებული), თბ., 1961, გვ. 164.
43. საქართველოს ისტორია, ტ. IV, თბ., 2012, გვ. 425.
44. 44. ორსტ Knietzsch. Filmgeschichte in Bildern, Berlin,1984, z.53.
45. საბჭოთა საქართველოს 10 წელი, თბ., 1931, გვ. 59.
46. სტატისტიკური კრებული, თბ., 1935, გვ. 82-83.
47. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.7, გვ. 906.
48. რ. ჭანიშვილი, ა. დაუშვილი, როკვაში განფენილი სული ქართული, თბ.,1910, გვ.6.
49. იქვე, გვ. 33.
50. საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ., 1961, გვ. 162.
51. სტატისტიკური კრებული (1922-1926), თბ., 1927, გვ. 157.
52. საბჭოთა საქართველოს 10 წელი, თბ., 1931, გვ. 101
53. Народное хозяйство Грузинской ССР к 60 -летию великого октября, Тб., 1977, с. 134.
54. საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, თბ., 1961, გვ. 71.
55. ახალი კოლხიდა, თბ., 1937, გვ. 5.
56. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1981, გვ. 268.
57. გაზ. „კომუნისტი“, 1936 წ. 1 აგვისტო.
58. გაზ. „კომუნისტი“, 1937 წ. 26 დეკემბერი.
59. газ. «Правада», 29 мая 1937 г.
60. იქვე.
61. М. Юнге, Д. Мюлерь, Б. Бонвеч и др. «Большевитский порядок в Грузии: Большой террор в маленькой кавказской республике», рукопись трехтомного соченения, 2014.

62. მ. იუნგე და სხვ. დასახ. ნაშრომი, გვ. 162.
63. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, თბ., 1984, გვ. 249.
64. გაზ. „ივერია“, 1888, 20 ოქტომბერი.
65. Всесоюзная перепись населения. т.XIV Грузия, таблица VI, М.,1929, с.16.
66. პარტიულიარქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 9, საქმე 210, ფურც. 28.
67. Коммунистическая партия Грузии в цифрах (1921-1970) Тб., с. 9.
68. იქვე, გვ. 21.
69. იქვე, 31.
70. იქვე. გვ. 96.
71. იქვე, გე. 160.
72. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი. მ. ჯაფარიძე, კ. წენგუაშვილი, საქართველოში ტოტალიტარულ რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბ., 2008, გვ. 88-89.
73. გ. ჩარკვიანი. ინტერვიუ მამასთან, თბ., 1913, გვ. 44.
74. იქვე.
75. საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 6, ს. 40, ფურც. 67-68.
76. იქვე, ფ. 14, აღ. 8, ს. 181, ფურც. 198.
77. გ. ჩარკვიანი, დასახ, ნაშრომი, გვ. 45.
78. დადგენილების სრული ტექსტი იხ.: ა. ასლანიშვილი, მეგრელთა საქმე, თბ., 2005, გვ. 8-13.
79. გ. ჩარკვიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.
80. A. Мгеладзе, Сталин- каким я его знал. Тб.,2001, с.181.
81. გაზ. „ალია“, 2001 წ. 5-11 მარტი, გვ. 8.
82. Н. Рубин, Лаврентий Берия (миф и реальность). М.,1998, с. 309-311, С. Рыбас, Е.Рыбас. Сталин (Судьба и стратегия), т.2, М., 2007, с. 577-578.
83. ასლანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
84. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 13 ივლისი.
85. Лаврентий Берия - 1953, документы. М., 1999, с. 38-39.
86. შ. ნოზაძე, ტრაგიკული 1956 წლის 9 მარტი, თბ., 1992, გვ. 78,83, 91-92.

თავი XI
საქართველოს ინტელიგენციას კვლავ ერის კონსოლიდაციის სათავეში

1. Д. Стуруа. Сталин, Хрущов, Брежнев. Тб., 1995, с. 47.
2. სკკპ XXII ყრილობის მასალები. თბ., 1962, გვ. 455-456.
3. საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 881-882.
4. შ. კაკურია, თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ. თბ., 1979, გვ. 42.
5. ა. დაუშვილი, ტოლერანტული ურთიერთობის ერთი საკითხი დემოკრატიული საქართველოს არსებობის პერიოდში („ეროვნული საბჭოები“), იხ. კრ. თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი 10 წლისაა, თბ., 2011, გვ. 83-85.

6. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, მ. ჯაფარიძე, კ. წენგუაშვილი, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბ., 2008, გვ. 150.
7. შ. კაკურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 91; 109.
8. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი,საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004, გვ.293.
9. შ. კაკურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.
10. ე. შევარდნაძე, ჩემი არჩევანი, თბ., 1992, გვ. 22.
11. მზიანი ღამე, თბ., 2008, გვ. 43.
12. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.
13. იქვე, გვ. 303.
14. Народное хозяйство Грузинской ССР к 60 летию великого октября. Тб., 1977, с. 57.
15. იქვე, გვ. 84.
16. იქვე, გვ 26.
17. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 288, აღ. 1, ს. 7218, გვ. 14, 17, 30, 34.
18. Народное хозяйство Грузинской ССР к 60 летию великого октября. Тб., 1977, с. 149.
19. ქართული საჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1981, გვ. 156.
20. საქართველოს უიცსა, ფ. 300, აღ. 26, ს. 26, ფურც. 2ა.
21. იქვე, აღ. 27, ს. 34, ფურც.7.
22. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5, თბ., 1987, გვ. 228.
23. ზ. გამსახურდია, წერილები, ესეები, თბ., 1990, გვ. 191.
24. იქვე, გვ. 192.
25. ა. დაუშვილი, საეროვნებათაშორისო ურთიერთობანი საქართველოში (1921-1985 წწ.), თბ., 2000; მისივე, სოსო ჯუგაშვილის ამბავი, წიგნი 2, კობა, თბ., 2004.
26. რ.-გ. სუნი, ქართველი ერის ჩამოყალიბება, კრ. „სტალინი ისტორიასა და თანამედროვეთა შეფასებაში“, თბ., 2002, გვ. 19-52.
27. ზ. გამსახურდია, წერილები, ესეები, თბ., 1990, გვ. 192.
28. იქვე, გვ. 208.
29. იქვე, გვ .201.
30. იქვე, გვ. 205.
31. გაზ. „ქართველი ერი“, 1991, №21, ნოემბერი.

თავი XII
რღვევა

1. დ. შველიძე. სიტყვა წარმოთქმული 2011 წლის 30 მარტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში, იხ., „ანალები“, ტ. 7, თბ., 2011, გვ.614.
2. ა. სონღულაშვილი, 9 აპრილი, თბ., 1999; გ.ყორანაშვილი, 9 აპრილი –

მითი და სინამდვილე, თბ., 2001; მ. ნათმელაძე,ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004; საქართველოს ისტორია (ოთხ ტომეული). ტ. 4, თბ., 2012 და ა.შ.

3. ა. დაუშვილი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები (ეპიზოდი II), „ანალები", ტ.9, თბ., 2013, გვ. 12-28.
4. ა. სონღულაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 54.
5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წ. 1 იანვარი.
6. გაზ. „საქრთველოს რესპუბლიკა", 5 მარტი, 5 აპრილი და სხვ.
7. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 13 აპრილი.
8. გაზ. „საქართველო", 1992 წ. 10 აპრილი
9. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი", 1991 წ. 19 აგვისტო.
10. სუიცსა, ფ. 1165, ს. 2915, აღ. 8, ფურც. 42-44.
11. იქვე, ფურც. 54-56.
12. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წ. 8 იანვარი.
13. ა. დაუშვილი, ორი მთავრობა – ორი მიდგომა, „ანალები" № 8, თბ., 2012, გვ. 88-105.
14. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წ. 26 მარტი.
15. იქვე.
16. გაზ. ლიტერატურული საქართველო", 1992, 24 იანვარი.
17. საქართველო XX საუკუნის 90-იანი წლები, წიგნი 2, თბ., 2010, გვ. 322.
18. სუიცსა, ფ. 767, აღ. 1, ს. 44, ფურც. 47.
19. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 18 აგვისტო.
20. გ. წულაძე. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2010, თბ., 2011, გვ. 6-7.
21. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 414.
22. ა. სულაბერიძე, გ. წულაძე, ოჯახის მოდერნიზაციის პრობლემები ქართულ ყოფაში, იხ. „ეკლესია და ოჯახი", თბ., 2012, გვ. 24.
23. ა. სულაბერიძე, გ. წულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
24. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 411.
25. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2000, გვ. 152,156.
26. იქვე. გვ. 149.
27. იქვე, გვ. 183.
28. ვარდების რევოლუცია. შედეგები, თბ., 2012, გვ. 15.
29. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2013, გვ. 265.
30. იქვე, გვ. 66.
31. იქვე.
32. იქვე, გვ. 72.
33. ა. დაუშვილი, აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები თბ., 2009, გვ. 171.
34. А.Б. Широкорад, Грузия, Заакавказский тупик М., 2010; А. Эпифанцев, Национальные окраины Грузии, Условия распадadasxvebi.
35. ლ. ჯანიაშვილი, დასახ. ნაშრომი; მისივე, კიდევ ერთხელ ტერმინ „თურქი მესხის" შესახებ – რამდენიმე მოსაზრება უ. ბლუაშვილის

სტატიაზე „კიდევ ერთხელ სამხერეთ საქრთველოდან დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შესახებ", „ანალები", 2014 წ., №10, გვ. 487-501.; უ. ბლუაშვილი, კიდევ ერთხელ სამხერეთ საქრთველოდან დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შესახებ, „ანალები", 2014 წ. №10, გვ. 463-486 და სხვ.
36. Статистический ежегодник Южно-Кавказских стран, 2002, с. 57.
37. მზიანი ღამე, თბ., 2008, გვ. 43.
38. უწმინდესი და უნეტარესი ილია II, 2011 წლის სააღდგომო ეპისტოლე, გვ. 9.
39. უწმინდესი და უნეტარესი ილია II, 2011 წლის საშობაო ეპისტოლე, გვ. 9.

SUMMARY

CONSOLIDATION STAGES AND PECULIARITIES OF THE GEORGIAN NATION (FROM THE ANCIENT TIME TILL TODAY)

In recent years the falsification of global processes or separate problems of the history of Georgia takes place in both the Georgian and foreign historiography by the encouragement of certain political forces. An attack on the formation of the Georgian nation and the specific features of its development goes on with special intensity while these questions are discussed. There are authors (for example, A. Shirokorad, Georgia, Transcaucasian Blind Alley, M. 2010, P.3) who "assert" that Georgia appeared in the 16th century, and as a state it was artificially created in 1936. The well-known American Sovietologist R.G.Soon asserts (see: The Formation of the Georgian nation, "Stalin in the Assessment of History and Historians, Tb., 2002) that the Georgian nation formed in the 30s of the 20th century. There is an attempt in one group of the Georgian historians to move the process of the Georgian nation's formation to the depth of centuries, the 1st millennium (e.g. Metropolitan Anania Japaridze. The Theory of the Proselytism of Georgia's Church and its Criticism, Tb., 2007); some "historians" appeared (A.Kvashilava, A Linear and The Reading of the Inscriptions in the Kartvelian Colchi Language, done in its Kindred Written Languages, "Kartvelology", Tb., 2012 No2, p.p. 5-30: K.Shelia, Colchis- the Gate to Our Universe, Tb., 2008, and others) who try to ascribe a distinguished role to Western Georgian Kartvelian tribes in the development of the Europian and world civilization.

The aim of our research was to study the specific features of the Georgians' origin, of the formation of the Georgian nation and the specificities of its development on the basis of the new findings of archeology, linguistics and the historical geography, on the grounds of the repeated study of the narrative and other sources, by the critical considering of the rich historical heritage. We have studied the question of the Georgians' being autochthons, we have tried to answer the question from what time it is possible to speak really about the Georgian tribes on the basis of the linguistic and archeological data. The role of the geographical environment in the process of the Georgian nation's formation, the questions of the ethnic problems of the early-class states on the territory of Georgia (Colchis, Iveria), the process of the Georgian nation's formation in Middle Ages have been specially studied.

The role of the Orthodox Christianity and its significance in the cause of the Georgian nation's consolidation has been studied exclusively.

We have also studied the processes that happened after the 13th century when Georgia suffered from intensive invasions undermining the existence of the united Georgian state - the most important factor for the nation's consolidation. We have discussed the feudal particularism and its harmful results, the tendencies preventing and assisting these processes.

We have specially studied the problems of socio-economic relations and of the political situation. Their successful development at every concrete moment always caused the development of the Georgian nation's consolidation process.

The invasion of the Mohammedan, Catholic and Armenian-Gregorian faiths takes place in a politically and ideologically weakened country. We had to show the real character of these processes and their significance for the problems, interesting to us. The real character of the processes of the Georgian decentralization and its result should have been found out. The real nature of those that encourage these processes and the social-political belonging of those fighting against them should have been found.

Alongside the study of the greatest historical significance of the steps, taken by the progressive representatives of the Kakheti Bagrationis, in the direction of the Georgian nation's consolidation we have studied the question why Georgia's political unification was not managed at the end of the 18th century. Today there are different ideas about the Georgian-Russian relations at the beginning of the 19th century. This process should have been assessed objectively and the role of the "Russian factor" in the common process of the Georgian nation's consolidation should have been elucidated. Both positive (joining the territories) and negative (the inculcation of anti-Georgian tendencies on the joined territories) aspects should have been studied.

We have considered the merits of our great patriots (Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Memed Abashidze and others) in ideological guaranteeing the cause of the Georgian

nation's consolidation. The positive results of their activities should have been established; their mistakes and faults should have been mentioned.

The role of economic relations in the process of the nation's consolidation is great - the influence of the objective or subjective results of the ascending capitalism became the subject of the special research.

Georgia's First Republic (1918-1921) played a certain role in the processes of the nation's consolidation. The role of the socio-democratic movement (Bolsheviks, Mensheviks) in this question (positive or negative) should have been elucidated finally, what was the part that the Marxist ideology played in Georgia from this point of view.

The 70-year long period of Soviet Georgia is a certain stage in the process of the Georgian nation's consolidation. It must be noted that the left wing Bolshevik direction had a certain influence - the dogma of the inevitability of the nations' dying and moving the national problem to the background, the cultivation of the proletarian internationalism and the unacceptability of the cultural heritage of the past, the national tradition.

We have studied which political groups and which public figures of Moscow try to strengthen the separatist tendencies in Georgia, when these attempts ended successfully. Who opposed them, we have found out what was the result that the proletariat's atheistic dictatorship brought to Georgia, what processes went on in Abkhazia, Inner Kartli and Southern Georgia from the confessional or ethnic point of view. We have specially studied "the activities" of the first secretary of the SUCP N.Khrushchev and his work in strengthening the separatist tendencies in Georgia.

The greatest merits of the Georgian intelligentsia should have been assessed, the specificities and ways, by which they managed to retain the Georgian national aspiration in the conditions of the Soviet regime should have been established.

We have assessed the processes, going on in Georgia in the 80-90s of the 20th century from the point of view of the national consolidation, the deserts of the Georgian apostolic church in the further accelerated development of these processes.

We have tried to give objective impartial positive or negative answers to the following questions: how Georgia met her independence in 1991, what the degree of the nation's consolidation was, why the country was able or was not able to solve the tasks, set before it by the processes of historical development, and where the positive or negative results of national consolidation are in this case.

შინაარსი

წინათქმა 3
თავი I (დავით მუსხელიშვილი) 5
„ნათესავით ქართველნი“ 5
§ 1. – ქართველ ტომთა პირველსაცხოვრისი 5
§ 2 – უკველესი მესაქონლეები 11
§ 3. – მიწათმოქმედება აღზევება 17
§ 4. – სპირალურ-კონცენტრულ ღაროვანი კერამიკა 19
§ 5. – ურთიერთობა ტომებს შორის 22
§ 6. – ქარიშული ცული და კერამიკა 25
§ 7. – კოლხეთის და ქართლის ურთიერთობა 31
§ 8. – ქართლის და ალვანეთის ურთიერთობა 36
§ 9. – მთისა და ბარის ურთიერთობა 37
§ 10. – ეკლესია და ეთნოგენეზი 39
§ 11. – ქართველი ერის ჩამოყალიბება 44
თავი II (გიორგი ჭეიშვილი) 47
ქართველი ერის განვითარების ძირითადი ტენდენციები XIII-XV საუკუნეებში 47
§ 1. საქართველო – კავკასიის საქრისტიანო 47
§2. – ქვეყნის დაშლისა და გაერთიანების ტენდენციების ასახვა ტერიტორიულ სტრუქტურაში 54
§ 3. – ეროვნული იდენტობის მანიშნებლი 60
§ 4. – „ნათესავით ქართველნი“ და მკვიდრნი 66
§ 5. – შემწყნარებლობა და ერთობა 71
§ 6. – თავდადება ქვეყნისთვის 79
თავი III (გიორგი ჭეიშვილი) 84
ქართველი ერის კონსოლიდაცია XVI-XVIII საუკუნეებში 84
§1. – ქვეყნის ერთიანობის იდეა დაშლილობის ხანაში (XVI ს. – XVIIს. I ნახ.) 84
§2. – ეთნიკური ცვლილებები 90
2. 1. – ქართველები 90
2. 2. – აფხაზები 92
2. 3. – „შრიათყოფილნი“ და „ოსთყოფილნი“ 97
2. 4. – სჯულით სომეხნი და ზნით ქართველნი 99
2. 5. – ელი 101
2. 6. – გალეკება 102
2. 7. – ოსმალოს საქართველო 103
§ 3. – რჯული, მამული, მეფე 104
§ 4. – გაერთიანების ცდები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში 106
თავი IV (ალექსანდრე დუმბაძე) 110
საქართველოს სამეფო-სამთავროები და მისი ისტორიული ტერიტორიები სამხრეთ კავკასიაში. რუსეთის დამკვიდრების წინ 110
§ 1. – იმერეთის სამეფო 113
§ 2. – გურია 115
§ 3. – სვანეთის სამთავრო 117
§ 4. – აფხაზეთის სამთავრო 119
§ 5. – სამეგრელო 121
§ 6. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ათაბაგა) 123

§ 7. – მესხეთ-ჯავახეთი — 127

თავი V (ალექსანდრე დაუშვილი) — 132

რუსეთის დამკვიდრება საქართველოში, სამხრეთ კავკასიური ომები და ქართველი ერის კონსოლიდაციის პრობლემა — 132
§ 1 – საქართველოს სამეფო-სამთავროების დაჩქრობა თუ საქართველოს კონსოლიდაცია-გაერთიანების გაგრძელება? — 132
§ 2. – მესხეთ-ჯავახეთის შემოერთება — 140
§ 3. – აჭარისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის შემოერთება — 142
§ 4. – აწყნაზეთის დაკრობა — 149
§ 5. – ქართველების ორი ტენდენცია რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში — 152
§ 6. – საქართველო ჟითიური თუ რეალური? — 163

თავი VI (ალექსანდრე დაუშვილი) — 169

ინტეგრაციული და დეზინტეგრაციული პროცესები საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში — 169
§ 1. – მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა და ქართველების სოციალური სტრუქტურა — 169
§ 2. – ბურჟუაზიული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ერთიანი ქართული ბაზრის ჩამოყალიბება – ქართველების კონსოლიდაციის საფუძველი — 176
§ 3. – რუსეთის იმპერია – ანტიქართული, დეზინტეგრაციული პროცესების მთავარი კატალიზატორი საქართველოში — 186
§ 4. – ქართველთა პოლიკონფესიური შემადგენლობა — 202
§ 5. – ანტიეროვნული, ინტერნაციონალისტური სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია — 220

თავი VII (ალექსანდრე დაუშვილი) — 233

ქართველი ინტელიგენცია („თერგდალეულები") ერის კონსოლიდაციის სათავეში — 233
§ 1. – ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის თავისებურებანი XIX საუკუნის 70ა ხანებში — 233
§ 2. – მშობლიური, ქართული, ახალი სალიტერატურო ენა — 242
§ 3. – ქართული ეროვნული სკოლა — 246
§ 4. – „თერგდალეულთა" პატრიოტული მხატვრული შემოქმედება და პუბლიცისტიკა — 257
§ 5. – ქართული ეროვნული თეატრი — 263
§ 6. – საქართველოს ერთიანი და განუყოფელი ისტორია — 268
§ 7. – ეროვნული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები — 272
§ 8. – ქართველების წარული „ჟინანსთა საჟინისტრო" — 276
§ 9. – „საქართველო – უპირველეს ყოვლისა!" — 281
§ 10. – „ჩატეხილი ხიდი" — 290
§ 11. – დაპირისპირება — 295

თავი VIII (ალექსანდრე დაუშვილი) — 301

პრობლემები ქართველების ერთიანობის მიღწევის გზაზე — 301
§ 1. – ქართველი სოციალ-დემოკრატების ზეგავლენის გაძლიერება — 301
§ 2. – ილიას მკვლელობა — 307

§ 3. – რუსეთის ანტიქართული, დეზინტეგრაციული საქმიანობის გაძლიერება — 309
§ 4. – ეროვნული საკითხი და საქართველოს პოლიტიკური სპექტრი — 313
§ 5. – ეროვნულ-პატრიოტული ძალების საქმიანობა — 321
§ 6. – საქართველოს პირველი რესპუბლიკა — 325
§ 7. – საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენციის საქმიანობა ერის კონსოლიდაციისათვის პირველი რესპუბლიკის პერიოდში — 345

თავი IX (ალექსანდრე დაუშვილი) — **352**

ქართველების ეროვნული ერთიანობა საფრთხეშია — **352**
§ 1. – კომუნისტების ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები — 352
§ 2. – „ქართველის“ მაგივრად „საბჭოთა“ — 356
§ 3. – მეგრძელი ათეიზმი — 359
§ 4. – საქართველოს ტრადიციული პოლიტიკური ელიტის განადგურება — 363
§ 5. – საიდ ქადიროვის ინციდენტი — 368
§ 6. – პითარება სვანეთში — 372
§ 7. – ბათუმის პრობლემა — 374
§ 8 – მესხეთ-ჯავახეთი — 387
§ 9 – სამეგრელოს ავტონომიის შექმნის საკითხისათვის — 395
§ 10. – ქართველი ერის კონსოლიდაციის მიხაკო წერეთლისეული გეგმა — 403
§ 11. – საქართველოს ინტელიგენცია და ეროვნული ერთიანობის იდეა XX საუკუნის 20-იან წლებში — 411

თავი X (ალექსანდრე დაუშვილი) — **418**

ქართველი ერის კონსოლიდაციის სტალინ-ბერიასეული „გეგმა“ — **418**
§ 1. – საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება — 418
§ 2. – საქართველოს სახალხო მეურნეობა – ერის კონსოლიდაციის დასრულების მატერიალური საფუძველი — 423
§ 3. – ქართული ენის სახელმწიფო უფლებებისთვის — 436
§ 4 – ერთიანი ქართული საგანმანათლებლო სივრცე — 441
§ 5. – საქართველოს ერთიანი ისტორია — 446
§ 6. – საისტორიო ბელეტრისტიკა — 451
§ 7 – გიგლიოთეკები და ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები — 454
§ 8. – ქართული თეატრი — 457
§ 9 – ქართული კინო — 460
§ 10. – მუსიკა-ქორეოგრაფია — 464
§ 11. – საქართველოს რადიო — 467
§ 12. – ქართული მეცნიერება — 468
§ 13. – საბჭოთა საქართველოს სოციალური სტრუქტურა და ეროვნული კონსოლიდაცია — 471
§ 14. – სტალინის შენიშვნები — 475
§ 15. – ილია ჭავჭავაძის კულტის დამკვიდრება — 480
§ 16. – იყო თუ არა 1937 წლის მასობრივი რეპრესიები საქართველოში ეროვნული კონსოლიდაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯი? — 483
§ 17. – სისტემური ღვედები — 488
§ 18. – II მსოფლიო ომი და საქართველო — 493
§ 19. – „მეგრელთა საქმე“ — 501
§ 20. – 1956 წლის 9 მარტი — 506

თავი XI (ალექსანდრე დაუშვილი) 509

საქართველოს ინტელიგენცია კვლავ ერის კონსოლიდაციის სათავეში 509

§ 1. – ვითარება მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე 509
§ 2. – თბილისი – კონსოლიდირებული ერის დედაქალაქი 514
§ 3. – ედუარდ შევარდნაძის ფაქტორი 518
§ 4. – ილია II-ის ფენომენი 523
§ 5. – ქართველი ერის კონსოლიდაციის ძირითადი მედეგები 525
5. 1 – სოციალური სტრუქტურა. მიგრაციული პროცესები. 525
5. 2 – ქართველი ერის ეკონომიკური ცხოვრება 529
5. 3 – სოციალური წინსვლა 534
5. 4 – „ო, ენავ ჩემო – დედაო ენავ!“ 537
5. 5 – საქართველოს ისტორიის ნარკვევები 540
5. 6 – ქართული მეცნიერება 542
5. 7 – ქართული თეატრი 544
5. 8 – ლეგენდარული ქართული კინო 546
5. 9 – ქართული პროფესიული მუსიკა და ქორეოგრაფია 547
5. 10 – სახვითი ხელოვნება 548
5. 11 – ქართული არქიტექტურა 548
5. 12 – ქართული სპორტი 549
§ 6. – „კრიტიკული ნაციონალიზმიდან“ „უტოპიური ნაციონალიზმისაკენ“ 551

თავი XII (ალექსანდრე დაუშვილი) 561

რღვევა 561

§ 1. – კომუნიზმის კრახი და ეროვნული მრეწველობის აღმავლობა საქართველოში 561
§ 2. – ჰეგემონიის საკითხისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში 568
§ 3. – კომუნისტური მმართველობის დასასრული საქართველოში 577
§ 4. – სამოქალაქო დაპირისპირება 580
§ 5. – სამოქალაქო ომი 589
§ 6. – საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები 595
§ 7. – სოციალური კატასტროფა 598
§ 8. – ეკონომიკური კოლაფსი 600
§ 9. – ქართული მეცნიერება 606
§ 10. – საქართველოს ერთიანი ისტორია 609
§ 11. – ერთიანი ქართული საგანმანათლებლო სივრცე 611
§ 12. – დედა ენა ქართული 615
§ 13. – ქართული თეატრი 616
§ 14. – ლეგენდარული ქართული კინო 617
§ 15. – ქართული ხელოვნება 618
§ 16. – ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ძსელი 619
§ 17. – ქართული მასმედია 620
§ 18. – პრობლემური გამოწვევები 620
§ 19. – პოლიტიკური ელიტის კრიზისი 628
§ 20. – ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 632

ბოლოთქმა 638
დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა 639
SUMMARY 695



გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge